სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ ო ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ и МАТЕРИАЛЬНОЙ
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

V—VI

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა
თბილისი 1940 Тбилиси

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
ხაქართველოს ფილიალის განკარგულებით

თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი

რედაქტორი პროფ. ს. ჯანაშია

1899—1939

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲡ
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲡ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ
40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲖᲔ

АКАДЕМИКУ
И. А. ДЖАВАХИШВИЛИ
К 40-ЛЕТИЮ
НАУЧНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

DÉDIÉ
à IVANÉ DJAVAKHICHVILI,
MEMBRE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES d'URSS,
A L'OCCASION DU 40-IÈME ANNIVERSAIRE
DE SON ACTIVITÉ SCIENTIFIQUE

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ-

1. ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე, სამენოვანი წარწერა გრემში . . . 1
2. არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში 13
3. ილია აბულაძე, მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კოსტანტინეს შესახებ 47
4. გ. ნიორაძე, მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა 57
5. კორნ. კეკელიძე, ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი 83
6. შოთა ძიძიგური, კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის მესამე პირის სუბიექტური სუფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით 103
7. ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონი 109
8. ქ. ლომთათიძე, რედუპლიკაციის ფუნქციისათვის აფხაზურში . . 115
9. ვლ. ფანჩვიძე, აკუზატივის გენეზისისათვის უდურ ენაში 137
10. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, გარესჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა—ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული 153
11. შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიიდან 177
12. ნ. ქოიავა, ფულის ფუნქციები მონათმფლობელურ საზოგადოებაში 209
13. სერგი ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში 223
14. მაკარ ხუბუა, ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან 233
15. ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს 267
16. ვ. დონდუა, თამარ მეფის და რუსუდანი 321
17. კ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში 329
18. იასე ცინცაძე, ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში 337
19. აბელ კიკვიძე, «შუა-სახლი» რაჭა-ლეჩხუმში 361
20. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ 369
21. ნ. ბერძენიშვილი, საქაზირო ფეოდალურ საქართველოში . . . 391
22. გ. ახვლედიანი, კომპოზიტის მეორე წევრის მეღერი ანლაუტის საკითხისათვის ოსურ ენაში 413

გვ.
23. გიორგი წერეთელი, მცხეთის ახლადაღმოჩენილი ებრაული წარწერა 419
24. გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის 427
25. გ. გოზალიშვილი, კასპიის კარი 469
26. გ. ჩიტაია, ქსნური მთის-გუთანი 479
27. რ. ხარაძე, ნათესაობის სისტემის საკითხისათვის ხევსურეთში . . 509
28. მ. პოლიევქტოვი, როსტომ ქართლის მეფის ურთიერთობის საკითხისათვის მოსკოვთან 523
29. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან 533
30. ვ. ბარდაველიძე, სვანური საგალობელი „ბარბალ დოლაში“ . . 541
31. თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან 575
32. ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე 633

СОДЕРЖАНИЕ

стр.
1. А. Шанидзе, В. Путуридзе, Трехязычная надпись в Греми. 1
2. Арн. Чикобава, Древнейший показатель субъекта третьего лица в картвельских языках . . . . . 13(43)
3. Ил. Абуладзе, Сообщение Матеоса Гандзасарского о грузинском царе Константине. 47
4. Г. Ниорадзе, Наземное погребение 57
5. К. Кекелидзе, Грузинская эра и эорталогический год . . . 83
6. Ш. Дзидзигури, Категория коньюнктива в рачинском говоре в связи с проблемой субъективного суффикса третьего л. в древнейшем грузинском языке . . . . . 103(107)
7. Ал. Барамидзе, Списки-автографы словаря С.-С. Орбелиани 109
8. К. Ломтатидзе, О функции редупликации в абхазском . . . 115
9. Вл. Панчвидзе, К вопросу о генезисе аккузатива в удинском языке . . . . . 137(151)
10. Л. Меликсет-беков, Армянская эпиграфика и грузинско-армянско-персидско-уйгурская многоязычная надпись из „Мравалмта“ в Гареджа 153
11. Ш. Чхетия, Из истории Тбилиси 177
12. Н. Коиава, Функции денег в рабовладельческом обществе . . 209
13. С. Жгенти, Запизмы в гурийских глаголах 223
14. М. Хубуа, Из истории грузино-иранских взаимоотношений . 233
15. Л. Мусхелишвили, Социально-экономические категории западно-грузинского крестьянства XVI—XVII вв 267

стр.
16. В. Допдуа, Сестра царицы Тамары Русудан 321
17. К. Дондуа, Об отношении относительного местоимения к определяемому слову (Bezugswort) в древне-грузинском 329
18. Я. Цинцадзе, Два документа из истории русско-грузинских отношений во время русско-турецкой войны 1768—1774 гг . . 337
19. А. Киквидзе, „Шуа-сахли" в Раче и Лечхуми 361
20. С. Джикия, Ибрагим Печеви о Грузии 369
21. Н. Бердзенишвили, Вазират в древней Грузии 391
22. Г. Ахвледиани, К вопросу о звонком аплауте второго члена композита в осетинском языке . . . . . 413(418)
23. Г. Церетели, Новооткрытая еврейская надпись из Мцхеты . . 419
24. Г. Чубинашвили, К истории Руисского храма 427
25. Г. Гозалишвили, Каспийские ворота 469
26. Г. Читая, Ксанское горное пахотное орудие . . . . . 479(503)
27. Р. Харадзе, К вопросу системы родства у хевсур . . . . . 509(519)
28. М. Полиевктов, К вопросу о сношениях Ростома карталинского с Москвою 523
29. В. Топурия, Заметки по словообразованию в картвельских языках 533
30. В. Бардавелидзе, Сванское песнопение «Барбал долаши» 541(567)
31. Т. Гониашвили, Словарные схождения чеченского и картвельских языков . . . . . 575(623)
32. С. Джанашиа, Древнейшее национальное известие о первоначальном расселении грузин в свете истории Ближнего Востока 633

TABLE DES MATIÈRES

Pages
1. A. Chanidzé, V. Phouthouridzé, Inscription trilingue de Grémi 1
2. Arn. Tchikobava, L'indice le plus ancien du sujet de la 3me personne dans les langues kharthvéliennes . . . . . 13(45)
3. Il. Abouladzé, Communication de Mathéos de Gandzassar sur Constantin, roi de Géorgie 47
4. G. Nioradzé, Sépulture aérienne 57
5. C. Kékélidzé, L'ère géorgienne et l'année héortalogique 83
6. Ch. Dzidzigouri, La catégorie „conjonctif" dans le parler de Ratcha en rapport avec le problème du suffixe subjectif de la 3me personne en ancien géorgien . . . . . 103(108)
7. Al. Baramidzé, Copies autographes du glossaire de S. S. Orbéliani 109

Pages
8. K. Lomthathidzé, La fonction de reduplication en abkhaze . . 115
9. Vl. Pantchvidzé, A propos de la génèse de l'accusatif dans la langue oudine . . . . . 137(152)
10. L. Melikset-békov, L'épigraphie arménienne et l'inscription polyglotte ibéro-arméno-perso-ouïgoure de „Mravalmtha" à Garesdja. 153
11. Ch. Tchkétia, De l'histoire de Thbilissi 177
12. N. Khoiava, Les fonctions de la monnaie dans la société basée sur l'esclavage 209
13. S. Zhghenti, Les zanismes dans les verbes goutiens 223
14. M. Khouboua, De l'histoire des relations réciproques ibéro-iraniennes 233
15. L. Mouskhélichvili, Les catégories sociales-économiques des paysans en Géorgie Occidentale aux XVI—XVII siècles 267
16. V. Dondoua, Roussoudane, soeur de la reine Thamar 321
17. K. Dondoua, De la relation du pronom relatif au mot déterminé en ancien géorgien 329
18. Ja. Tsintsadzé, Deux documents de l'histoire des relations russo-géorgiennes pendant la guerre russo-turque de 1768—1774 . . . 337
19. A. Kikvidzé, „Choua-sakhli" en Ratcha et en Létchkhoumi . . 361
20. S. Djikhia, Ibrahim Pétchévi sur la Géorgie 369
21. N. Berdzénichvili, Le vazirath en ancienne Géorgie 391
22. G. Akhvlédiani, A propos de l'„Anlaut" sonore du deuxième terme de la composition en ossète . . . . . 413(418)
23. G. Tséréthéli, Inscription hébraïque, nouvellement trouvée à Mtskhetha 419
24. G. Tchoubinachvili, A propos de l'histoire du temple de Rouissi 427
25. G. Gozalichvili, La porte Caspienne 469
26. G. Čitaia, L'instrument aratoire de montagne de Ksani . . . 479(506)
27. R. Kharadzé, A propos du système de parenté chez les Khevsours . . . . . 509(520)
28. M. Polievktov, A propos des relations de Rostome de Karthli avec Moscou 523
29. V. Thophouria, Notices sur la dérivation dans les langues kharthvéliennes 533
30. V. Bardavélidzé, Chant sacré svane «Barbal dolaschi» . . 541(570)
31. Th. Goniašvili, Rencontres des vocabulaires des langues tchetchène et kharthvèliennes . . . . . 575(623)
32. S. Djanašia, La plus ancienne mention nationale sur l'installation primitive des Géorgiens dans le jour de l'histoire du Proche Orient 633

ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე

სამენოვანი წარწერა გრემში

საქართველო-ირანის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიაში მე-16-ე—მე-17-ე საუკუნეებს ქართლ-კახეთის ცხოვრების მრავალ დარგში ირანის გავლენა ახასიათებს. განსაკუთრებით მძლავრი იყო ეს გავლენა მე-17-ე საუკუნეში, როცა ქართლისა და კახეთის სამეფოთა სათავეში იდგნენ ირანის შაჰის მიერ დანიშნული და მათივე პოლიტიკის გამტარებელი მეფეები, რომელნიც ზოგ შემთხვევაში აღზრდილნიც კი იყვნენ შაჰის კარზე და სიყრმიდანვე განიცდიდნენ ირანის ზე-გავლენას.

ქართველის ყოფა-ცხოვრებაში ირანული ჩვეულებისა და შეხედულებების შემოჭრას, სპარსულიდან თარგმნილი ლიტერატურის გარდა, რომლის მნიშვნელობა ამ მხრივ, რასაკვირველია, მეტად დიდია, ხელს უწყობდა აგრეთვე ის შედარებით ხშირი მიმოსვლა, რომელიც პოლიტიკურსა და სავაჭრო ნიადაგზე იყო გამართული საქართველოსა და ირანს შორის. ამ საუკუნეებიდან დაწყებული, ირანის გავლენა ეტყობა ქართულ ტანისამოსს, სახლის მორთულობას, ენას, ხელოვნების ცალკეულ დარგებს. ენაში შემოდის ბევრი სპარსული, ან სპარსულის გზით არაბული სიტყვა და ამრიგად ცვლილებას განიცდის როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკურის, ისე ყოფა-ცხოვრებითი ცნებების ტერმინოლოგია. მხატვრობაში ჩვენ ვხედავთ „ვეფხისტყაოსნის“ ირანულ გემოზე შესრულებულ ილუსტრაციებსა და კედლის მხატვრობას, რომლის სუჟეტი ირანულია. ასეთი სურათებით (სახელდობრ ფერდოუსის „შაჰ-ნამეს“ შინაარსიდან) ყოფილა შემკული როსტომ მეფის სასახლე, რომლის შესახებ პოეტ-მეფეს, თეიმურაზ II-ს, ნათქვამი აქვს თავის „სასახლის ქებაში“:

„როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელიანი,
ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი,
თვით როსტომ ფალავანი და დევნი ეხატნენ რქიანი,
შეემკო დიდად, დაედო სახელად როსტომიანი[1]“.

მრავლად არის დარჩენილი ამ საუკუნეებიდან აგრეთვე საქართველოს შესახები სპარსულ-ქართული წერილობითი საბუთები, ფირმანები (ინახება საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყ-ში და საქ. ცენტრარქივში), რომელთა შესწავლამ და დამუშავებამ მდიდარი მასალა უნდა მოგვცეს საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის სათანადოდ გაშუქებისათვის.

---

[1] პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატ. ისტორია, ტ. II, გვ. 181—182 და 439—440 (მითითებულია „წერა-კითხვის საზ-ბის“ ხელნაწერები № 1512, გვ. 30, № 2694, გვ. 78).

ამ გაელენის ერთ-ერთი გამოხატულებათაგანია სამენოვანი წარწერა გრემში (კახეთი), სადაც ქართულისა და სომხურის გვერდით ჩვენ სპარსულ ტექსტსაც ვხედავთ[1].

წარწერა მოთავსებულია გრემის ეკლესიის ნანგრევების დასაელეთის კარის თავზე, აგურის კედელში ჩაშენებულ ერთ მთლიან ქვაზე, ბალავარზე, სამ (სომხურ, ქართულ და სპარსულ) თანაბარ ნაწილად.

სამსავე წარწერას საერთოდ შემოხაზული აქვს ჩარჩოს გამომხატველი ხაზები, შუაში ჩასმული ქართული წარწერა კი გამოყოფილია მარჯვნივ სომხურისა და მარცხნივ სპარსული წარწერებისაგან 2 სწორი ხაზით, რომლებიც აგრეთვე ჩარჩოს უნდა გამოხატავდნენ[2]. სამივე წარწერა ამობურცულადაა მოჭრილი, ამასთანავე სომხურსა და სპარსულში სტრიქონებს შუა დატოვებულია მოუპრელად ქვის სწორი ზოლები. ქართულში სტრიქონები ნაკლები სიზუსტით არის გამოყვანილი, მეთერთმეტე კი უსწორმასწორადაცაა გავლებული. მეთორმეტე სტრიქონი, ძალზედ შემოკლებული, ჩართულია მეთერთმეტესა და მეცამეტე სტრიქონებს შუა დარჩენილ ცარიელ ადგილზე. ეტყობა, აქ ამომჭრელს ვარაუდი შეშლია და იმის შიშით, რომ შეიძლება ადგილი აღარ მეყოსო, მოუნდომებია სტრიქონების შემჭიდროება.

სომხური წარწერა ასომთავრულითაა შესრულებული, ქართული კი—მხედრულით, გადაბმული ასოებით, რომლებიც ხშირად არათანაბარი ზომისაა.

სპარსული წარწერა გამოყვანილია საკმაოდ ლამაზი ნასთალიყით[3]. მისი პირველი ორი სტრიქონი წარმოადგენს ლექსს, რობაის, ჰაზაჯე მაყსურ-ის ზომით დაწერილს. წარწერა საზოგადოდ კარგადაა შენახული, მაგრამ მათარსის მეუღლის სახელის პირველი ნაწილი გარკვევით არ იკითხება, ნათელია მხოლოდ მისი მეორე ნაწილი „სოლთან", რომელიც ახლავს ხოლმე ქალის ზოგიერთ სპარსულ საკუთარ სახელს.


სამივე წარწერა შინაარსით ერთია, მხოლოდ ერთმანეთის ზუსტ თარგმანს არ წარმოადგენს. ქართულსა და სპარსულ წარწერაში შემწირველად მოხსენებულია მათარსი, სომხურში-კი—მიკირტიჩი, ძე ზაქარიასი. სახელი მ ა თ ა რ ს - ი ან მ ა თ ა რ ს ა იშვიათი არ ყოფილა მე-16-ე—მე-18-ე საუკუნეებში. მას ვსვდებით ამ საუკუნეების სიგელ-გუჯრებსა და ხალხის აღწერის დავთრებში. ერთი მ(ა)თარსი ზავრაშვილი მოწმედ იხსენიება შუა ბოლნისელთა ნასყიდობის წიგნში, რომელიც დაწერილია ტპე ქორონიკონს, ე. ი. 1698 წ.[4]. სხვა მ ა თ ა რ ს ა ზ ა ვ რ ა შ ვ ი ლ ი მოხსენებულია 1721 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით შედგენილ „მეწინავე დროშის, საბარათაშვილოს და სომხითის აღწერაში"; მას ს. გილაგდაგს გამომღები ყმა ერთი კომლი ჰყოლია და ბოგანო ყმა

[1] გრემის სიძველეთა გამოსაკვლევად 1922 წ. ტფ. სახ. უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი იყო ექსპედიცია სამი კაცის შემადგენლობით, მათ შორის პროფ. გ. ჩუბინაშვილი და ა. შანიძე. სპარსული წარწერის ზოგიერთი ადგილის შესამოწმებლად 1.XII—37 წ. გრემში მიელინებული იყო ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი ვ. ფუთურიძე.

[2] სომხური ტექსტის პირველი ორი სიტყვა *կատաւն Ա՛յ* გამოყოფილია დანარჩენი სტრიქონებიდან და თვით ჩარჩოს არეშია მოთავსებული ზემო მარცხენა კუთხეში.

[3] რასაკვირველია, მასალას (ქვას) თავისი გაელენა მოუხდენია გამომჭრელის ხელზე და ნ ა ს თ ა ლ ი ყ ი თ წერის ყველა წესი არაა დაცული.

[4] საქ. სიძვ., II, გე. 119, № 92.



საშენოვანი წარწერა გრემში


ორი[1]. ერთს მათარსს ჩვენ ვიცნობთ „დიდ-მოურავიანიდანაც“: ქართლიდან ახალციხეს ცოლშვილით წასულ გიორგი სააკაძეს თან ახლდა, სხვათა შორის,

„მათარსი შიხაიდრის ძე, ჰკუისა მქონე ცნებული“[2].

ჩვენს წარწერაში შემწირველად მოხსენებული მათარსი უნდა იყოს მეფის კარის მდივანი, რომლის ხელითაც ყოფილა დაწერილი 1577 წელს ალექსანდრე მეფის წყალობის წიგნი, ჯორჯაძეთადმი ბოძებული, მალის ამოკვეთის შესახებ[3]. როგორც მეფის კარის მდივანს და დიდი შემოსაელის მქონეს, მას შეეძლო წარწერაში მოხსენებული საკმაოდ დიდი შესაწირავის გაღება ეკლესიისათვის.

საინტერესოა, რომ იმ ადგილს, სადაც არის ეკლესიის ნანგრევები სამენოვანი წარწერით, ადგილობრივი მცხოვრებნი ამჟამადაც „თარსა გალავანს“ ეძახიან, რაიცა ერთი შეხედვით თითქო სპარსულია და „ქრისტეანეთა გალავანს“ უნდა აღნიშნავდეს, მაგრამ ნამდვილად წარმომდგარი უნდა იყოს ეკლესიის აღმშენებელის სახელისაგან და (მა)თარსას გალავანს უნდა ნიშნავდეს.

ენა წარწერებისა მოიკოჭლებს სომხურსა და ქართულში: იქაც და აქაც შეცთომებს აქვს ადგილი და გაუმართავია.



[1] მასალანი საქ. სტატისტ. აღწერილობისა მე-18 საუკ., გვ. 275. ია ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, I—II, 1935, გვ. 172.

[2] დ ი დ - მ ო უ რ ა ვ ი ა ნ ი, პლ. იოსელიანის გამოც. ქ. თფილისს, 1851, გვ. 40, სტროფი 231.

[3] ცენტრარქივის ფ. 226, № 540. საბუთების პირი, უზენ. ბართ. ბრძანებით გადაწერილი. ამ საბუთზე მიგვითითა დოც. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ მ ა, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ.

I. სომხური წარწერა

Յամաւն Ա֊յ
Ես մեղաւոր և անարժան Մկրտիչ որպէ Զաքարին ի
ոռն Վրիստոնէի շինեցի սր֊ Ա֊ծածնս և
վս քաւութեան (sic) մերոյ և հաստատեցի
ի տաճն ի սր֊ Ա֊ծածին։ Եւ պատարագ հաստեայ
5 անել ամենայնոյ իմոյ և տալ վասին ա տ
ուն, ճարտ ատ Ջաղայ տ ապի ։բ։ գուբան
ինչ մարդ խարտնէ յիշատակս մեր
կամ վաճառ նզովքն կայնի և ուզայի ա
ոչ կատարիչքն աւետնին յայ և ի
10 աշաւրուքն պարսն ալկաստղերին խլո ոխ։


թարգմանი:

ნებითა ღვთისათა
მე, ცოდვილმა და უღირსმა მიკირტიჩმა, ზაქარიას ძემ,
ქრისტონეს შვილისშვილმა, ავაშენე ეს წმიდა
ღვთისმშობლის (საყდარი)[1] ცოდვათა სალხინებლად
და დავაწესე[2], რომ ღვთისმშობლის დღეს[3] შვიდი
წირვა უწირონ ჩემს მეუღლეს. და მივეც ვახმი
3 კომლი გლეხი[4], 1 წისქვილი, 1 ვენახი.
2 დუქანი. რა კაცმაც ეს ჩვენი სახსენებელი
ან ვახმი მოშალოს, კაენისა და იუდას წყევა მიიღოს,
შემსრულებელნი კურთხეულ იქმნენ! პატრონ
ალექსანდრეს მეფობაში[5], 1044 წელს.

---

[1] აქ ზედმეტად არის ხმარებული *և* „და“.
[2] ძველი ქართულით: განვაჩინე.
[3] სიტყვა-სიტყვით „დღეობას“ (*տաւն*).
[4] სომხურში ხმარებულია სიტყვა „ჰორტ“, რომელიც ჩვეულებრივ „ყმას“ ნიშნავს.
[5] სომხურში მოსალოდნელი იყო *ի թագաւորութեան* (მეფობაში), მაგრამ გარკვევით წერია *և թագաւորութեան* „და მეფობისა“.

II. ქართული წარწერა [1]



მე ფრიად ცოდვილმან მათარსი აღვაშენე
კარის ეკლესია ესე ყოელად წმიდისა ბ
რძანებითა და შეწევნითა ძისა მისისა[2],
და[3] ჟამსა[4] შინა მეფობასა მისისა პ
ატრონის ალექსანდრესითა, წელსა მეოცდა
სამესა ქ[5]კსა სპა და შევსწირეთ კნინ
ი შესაწირავი ესე სამი კუამლი კაცი,
ერთი წისქუილი, ერთი ვენაკი და ო
რი ქულბაქი საკსრად სულისა ჩემისა.
რამანცა ადამის მონათესავმან[6] ამა ეკლესიაზედა მჴდო
მს კაცზდა[7] ნასად[8] კელი დადვას ან ეს არ გაუთა
ოს, ღმერთმან მა
ს ნურა გაუთაოს რა. ამნ[9] კირიალესონ.

[1] ქართულ წარწერაში ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილები სხედს, ჩვეულებრივ სამ–სამი, იშვიათად ორი ან ერთი.

[2] იგულისხმება ი. ქრისტე.

[3] „და ჟამსა შინა მეფობასა მისისა პატრონის ალექსანდრესითა". სხვანაირად წაკითხვა არ შეიძლება, მაგრამ წინადადება მეტისმეტად გაუმართავია, „და" კავშირი ზედმეტია თავში.

[4] ამ სიტყვაში ზედმეტი ანია ხმარებული: ჟამსა.


[5] ამ სიტყვაში ნ ა გადაბმულად არის გამოყვანილი. თითქო შეიძლება უანოდაც წაეიკითხოთ: მონთესავმან.

[6] ასე უნდა წაეიკითხოთ: კაც(ს)ზედა.

[7] ნ ა ს ა დ, თითქო ასე უნდა წაეიკითხოთ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იკითხებოდეს: ან სად (ე. ი. ან სადმე).

[8] უნდა წაეიკითხოთ: ამნ.

III. სპარსული წარწერა



هو این خانه که روح بارد ازاضاتش ✿ یا رب که مبادا خلل از ایامش
از همت عیسی چو باتمام رسید ✿ کردیم کلیسای مریم نامش
بر ناظران این ستور پوشید ومستور ضماند که کمترین بندگان گنه‌کار وبدترین عاصیان
درگاه کردگار مترسی شرمسار در سنه ثلث الف بیست [و] سیم سال ایام سلطنت
نواب نامدار گردون‌مدار خان عالیشان سنکدرزمان و قیصردوران اعنی الکسندر خان
طول الله عمرهٗ و دولته و سلطنته الی یوم القرار بنای این عمارت‌را باتمام
رسانید و وقف مقبره همسره صلحهٔ ستیره مرحومه مغفوره‌اش صنادحب(?)
سلطان که در این عمارت آسوده یکباب باغ انگور و یکدر آسیا و دو در دکان و سه نفر
ملازم نمود لعنت خذ[ا] و نفرین رسول برمجاری که بر منافع این [مو]قوفات ضراف
نماید تحریرا ۱۰۳

თარგმანი:

„ის [არის ღმერთი][1].
ეს სახლი, რომლის სინათლისგანაც სული (წმიდა) წყიმს,
(უფალო, ნუმც დააკლდება მას დღეები!)
იესოს წყალობით რომ დასრულდა,
სახელად ვუწოდეთ მარიამის ეკლესია.

[1] ჩვეულებრივი დასაწყისია არაბულ-სპარსული დოკუმენტებისა.

ამ სტრიქონების შემხედველთათვის არ (უნდა) დარჩეს დაფარული და დამალული, რომ უკნინესმა მონათა შორის, ცოდვილმა და ყოველის შემძლებელის უაღრესმა მეურჩემ, შერცხვენილმა მათარსიმ ათას სამს წელს, ოცდამესამე[1] წელს ამაღლებულის, სახელოვანის, მსოფლიოს ცენტრის, უმაღლესი ყაენის, ალექსანდრე (მაკედონელის) დროსაებრ და კეისრის ეპოქისაებრ [განდიდებულის][2], ე. ი. ალექსანდრე ხანის მეფობაში, (ღმერთმა გრძელყოს სიცოცხლე, მეფობა და ხელმწიფობა მისი განკითხვის დღემდის!) ამ შენობის აგება დაასრულა და შესწირა საფლავს თავისი სახიერის ცხონებულის მეუღლის (სანდუხტ?)— სულტანისას, რომელიც ამ შენობაში განისვენებს, ერთი ვენახი, ერთი წისქვილი, ორი დუქანი და სამი სული გლეხი[3]. ღვთის[4] წყევა და მოციქულის კრულვა (იყოს) იმ მტანჯველზე, ვინც ამ შეწირულებით ისარგებლებს[5]. დაწერილია 1003 (წელს)".

როგორც თარგმანებიდან ჩანს, წარწერებს შორის მოიპოვება განსხვავებათა რიგი. თუ არ მივიღებთ მხედველობაში სპარსული წარწერის თავში შესავლად დაწერილ ლექსს, შინაარსობლივი განსხვავებანი შემდეგი იქნება:

1. **შემწირველს** სომხურში ეწოდება **მიკირტიჩი**, რომელიც არის **ძე ზაქარიასი** და **შვილიშვილი ქრისტონესი**. არაფერი ამისი მსგავსი არ მოიპოვება არც ქართულში და არც სპარსულში. იქაც და აქაც დასახელებულია მხოლოდ **მათარსი**.

2. **ეკლესიას ეწოდება** სომხურში უბრალოდ „ღვთისმშობელი"; ქართულში კი ნათქვამია: „კარის ეკლესია", აშენებული „ყოელად წმიდის" (ე. ი. ღვთის მშობლის) სახელზე. ეკლესია რომ ღვთის მშობლის სახელზე ყოფილა აშენებული, სპარსულ წარწერაში ამის შესახებ შესავლად წამძღვარებულ ლექსში ვკითხულობთ: „იესოს წყალობით რომ დასრულდა, სახელად ვუწოდეთ მარიამის ეკლესია". მაშასადამე. სამივე წარწერა ერთხმად აღნიშნავს, რომ ეკლესია აშენებულია მარიამის სახელზე, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იგი კარის ეკლესიად არის გამოცხადებული ქართულ წარწერაში. უთუოდ იგი იყო კარის ეკლესია არა ალექსანდრე მეფისა, არამედ მისი მდივან-მწიგნობრის მათარსისა, რომელსაც ეკლესიაში თავისი ცოლი დაუსაფლავებია.

3. **აშენების მიზნად** სომხურ წარწერაში აღმშენებლის ცოლის სულის მოხსენებაა დასახელებული, თუმცა შემდეგ ნათქვამია, რომ „რამაც კაცმა ეს **ჩვენი** სახსენებელი ან ვახმი მოშალოსო", მაშასადამე, ამით მათარსი თავის თავსაც გულისხმობს. ქართულში აშენებელი თავის „სულის საკვარს" ახსენებს და არა ცოლისას, ცოლი საზოგადოდ სრულებით არ ჩანს ქართულში, სამაგიეროდ სპარსულში ცოლის სახელიც არის მოხსენებული და აგრეთვე ისიც, რომ იგი ამ ეკლესიაში ასაფლავია.

---

[1] ტექსტში سی دست, გამოტოვებულია კავშირი و

[2] ასე ამკობდნენ ხოლმე სეფიანთა დინასტიის ხელმწიფეებს.

[3] رمز ჩვეულებრივ მსახურს ნიშნავს.

[4] მოსალოდნელი იყო لعنت, მაგრამ აშკარად ჩანს لعن.

[5] ნათლად იკითხება شاید قرار, რაც არა ჩვეულებრივი გამოთქმაა. მოსალოდნელი იყო شاید قرار.

4. შესაწირავი ყველგან ერთნაირად არის მოხსენებული: 3 კვამლი კაცი, 1 წისქვილი, 1 ვენახი და 2 დუქანი. ოღონდ დუქნის აღსანიშნავად ქართულში სპარსულიდან შემოსული სიტყვა „ქულბაგი“ არის ხმარებული, რაიცა ძველი ტრადიციის მაჩვენებელია. სომხურად და სპარსულადაც სათანადო ადგილას არაბული სიტყვაა ხმარებული („დუქანი“).

5. წყევის ფორმულა სხვადასხვაგვარად არის გაკეთებული: სომხური წარწერა კაენისა და იუდას წყევას ატეხს თავს შეწირულების მომშლელს, ქართულში შეწირულების შესრულებაა უბრალოდ ნათქვამი, მაგრამ დამატებულია, რომ „ეკლესიაზე მჯდომს კაცზე“ ვინც „ნასად ხელი დადვასო“, ან არ გაუთაოს, მას ღმერთმა ნურა გაუთაოსო,—სპარსულში კი ღვთის წყევა და მოციქულის კრულვაა მოხსენებული. ღმერთთან ერთად მოციქულის ხსენება—ეს მაჰმადიანური სამყაროდან მომდინარე ფორმულაა, მაჰმადიანები მოციქულად უთუოდ მაჰმადს გულისხმობენ, მაგრამ ძნელია იმისი ფიქრი, რომ აქ, ეკლესიაზე, ქრისტიანულ ძეგლზე, მაჰმადიანობის ფუძემდებელი იყოს ნაგულისხმევი. უნდა ვიფიქროთ, რომ პირვანდელი მნიშვნელობა ამ სიტყვისა დაიკარგა და იგი წყევა-კრულვაში სახმარებელ უბრალო სიტყვად გადაიქცა.

6. განსაკუთრებით აღსანიშნავია **თარიღის** საკითხი. თითოეული წარწერა ისეა დათარიღებული, როგორც ეს მიღებული იყო სათანადო ერებს შორის: სომხური წარწერა სომხური წელთაღრიცხვის მიხედვით, ქართული წარწერა—ჩვენში მიღებული ქრონიკონების მიხედვით, ხოლო სპარსული წარწერა—მაჰმადიანური წელთაღრიცხვის თანახმად.

სომხური წელთაღრიცხვის თანახმად ეკლესია აუშენებიათ ՌՀՂ წელს, ე. ი. 1044 წელს, რაიცა დღევანდელი ანგარიშით 1595 წელს უდრის (551+ +1044=1595). ქართული ქრონიკონი ორი წლით ნაკლებს გვაძლევს: **სჯა** ქრონიკონი უდრის 1593 წელს (1312+281=1593). რაც შეეხება სპარსულ წარწერას, აქ თარიღად დადებულია 1003 წელი. ეს 1003 წელი დაიწყო 1594 წ., ახალი (გრიგორიანული) სტილით 16 სექტემბერს და დასრულდა 1595 წლის 5 სექტემბერს, ძველი (იულიანური) სტილით-კი დაიწყო 1594 წლის 6 სექტემბერს და დასრულდა 1595 წლის 26 აგვისტოს. მაშასადამე წარწერა ამოჭრილია 1595 წლის 6 სექტემბრამდე (ახალი სტილით). როგორც ვხედავთ, სპარსული წარწერის წელთაღრიცხვა და სომხურისა ერთსა და იმავე წელს გვაძლევს, ქართული კი ამათგან ორი წლით არის განსხვავებული. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ქართულსა და სპარსულ წარწერაში ინდიქტიონიც არის მოხსენებული: ალექსანდრეს მეფობის 23-ე წელი. თუ ქართულ წარწერას დაეუჯერებთ და თარიღად 1593 წელს მივიღებთ, აგრეთვე ვიეარაუდებთ, რომ შეცთომა არ არის არც მეფობის წლის აღნიშვნაში, მაშინ გამოდის, რომ ალექსანდრეს გამეფების წლად სთვლიდნენ 1570 წელს (1593—23=1570). მაგრამ სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ ალექსანდრე გამეფებულა 1574 წელს, მართლაც, ვახუშტის ქრონიკის თანახმად, ალექსანდრე გამეფებულა 1574 წელს. ამავე წელს გვაძლევს ალექსანდრეს გამეფების თარიღად ორი სიგელი ალექსანდრესი. რომლებიც თ. ჟორდანიას აქვს გამოქვეყნებული თავისი ქრონიკების II ტომში:

ა) ნინოწმინდის სიგელი ბოძებული ყოფილა დასაბამითგან 7104 წ., ქრონიკონს 285. დასაბამითგანი (ბიზანტიური წელთაღრიცხვის მიხედვით) გვაძლევს (7104—5508) 1596 წ., ხოლო ქრონიკონი 285 (=285+1312=) 1597 წ. მაგრამ იქვე ყოფილა ნათქვამი, რომ ინდიქტიონი ყოფილა 23, მაშასადამე, ალექსანდრე გამეფებულად სთელის თავის თავს (1597—23=) 1574 წ.

ბ) მცხეთის სიგელი დათარიღებულია მარტოოდენ ქართული ქრონიკონისა და ინდიქტიონის მიხედვით. იგი ბოძებული ყოფილა 289 წ., ე. ი. (1312+289=) 1601 წ. ამავე დროს ინდიქტიონი ყოფილა 27, მაშასადამე, გამეფების თარიღად (1601—27=) 1574 წელი გამოდის.

როგორც ვხედავთ, ქართული წარწერის თარიღს მხარს არ უჭერს არც პარალელური წარწერები სომხურად და სპარსულად და არც სიგლებში მოხსენებული თარიღები ალექსანდრეს გამეფებისა.

დათარიღების შესამოწმებლად არას გვშველის გრემისავე მთავარანგელოზთა ეკლესიის წარწერა, შესრულებული ბერძნულად, რომლის მიხედვით გამოდის, რომ ალექსანდრე II ვერ გამეფდებოდა 1577 წლამდის, როდესაც მეფედ მისი მამა ლეონი იხსენიება. მაგრამ ეახუშტის ანვარიშით ლეონი მომკვდარა 1574 წ.


საზოგადოდ თარიღის საკითხი ჩვენი წარწერებით ბუნდოვანი რჩება და უეჭველია ახალი მასალების გამოქვეყნება ნათელს მოჰფენს ქრონოლოგიურ საკითხებს ამ ხანაში.

დამატება

ბერძნული წარწერა გრემში

წარწერა მოთავსებულია ნაკიხვარ გორაკზე მიქელ-გაბრიელის სახელზე აშენებული ეკლესიის შიგნით, შესავალი კარის თავზე. დათარიღებულია დასაბამითგან 7085 წლით, რაიცა, ბიზანტიური ანგარიშით, გვაძლევს 1577 წ. (7085—5508). დაწერილია ჩვეულებრივი მთაგრულით, რომელშიაც ნუსხურის ელემენტებია გარეული. წარწერა შესრულებულია შავი წამლით მომწვანო ფონზე და ჩასმულია შავ ჩარჩოში. სტრიქონები გამოყოფილია ერთმანეთისაგან ორი წითელი ხაზისაგან შემდგარი ჩარჩოთი. ძალიან დაზიანებულია მესამე სტრიქონი, რომლის ნაწილი სამუდამოდ დაღუპულია. მეორე სტრიქონი-კი μόχθου სიტყვიდან დაწყებული βασιλέου-მდი შეიძლება სრულიად აღდგენილ იქნეს ასოთა მოხაზულობის მიხედვით. დამწერი ხამი არ არის, ატყვია გამოცდილება. ორთოგრაფიული შეცთომები ცოტაა.

აი თვით წარწერაც:



† ἀνηγέρθη καὶ ἀνεκαινίσθη ὁ ἅγιος καὶ πάνσεπτος ναὸς τὸν
πανμεγεῖστων Μιχαὴλ καὶ Γαβριὴλ ||
διὰ σ[υνδρ]ομῆς καὶ ἐξόδου κόπου τε καὶ μόχθου τοῦ ἐνδοξοτάτου
βασιλέου Λεόν[τ]. ἀρχηρατεύοντ(ος) ||
Νικο[λάου ...]ετρουσ ἐ(τει) 3-ω'πε (= 7085—5508 : 1577). καὶ ἡγουμε-
νέβοντ(ος) Σαββ[α.....καρτ]όυ
λαρίου ἱερομονάχου καὶ πρότ(ο)σηγγέλου Σσαλονηκόσ. ((Θε)σσαλονηκόσ?)

თარიღის ქვეშ წვრილი მთავრულით მიწერილია:
ἐν μηνὶ αὐγούστου εἰσ τὰσ ϗὴ ἡμέρα δ

თარგმანი:

„აღეშენა და განახლდა საღვთო და ყ̃დ პატიოსანი ტაძარი ყოველთა უდიდესთა მიქაელისი და გაბრიელისი, შეწევნითა და წარსაგებელითა, შრომითა და გულსმოდგინებითა განდიდებულისა მეფისა ლეონისითა, მღვდელთმთავრობასა ნიკოლაოზისსა... წელსა 7085 და წინამძღვრობასა საბაჲსსა [ხარტულ]არისსა.
თთუესა აგუსტოსსა 29, დღესა 4,
ბერმონაზვნისა და პროტოსვინგელოზისსა სალონიკისასა (?).

არნ. ჩიქობავა

მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში[1]

1. მესამე პირის სუბიექტად შეიძლება იყოს **სახელი მოთხრობითსა** და **სახელობითს** ბრუნვაში; ასეა ეს ძველ-ქართულშიაც და ახალ ქართულშიაც: **იგი** აკეთებს—**მან** აკეთა (ახ. ქართ.: **ის** აკეთებს—**მან** აკეთა)... იგი ზის... თამაშობს... იზრდება...

როგორც ნაცვალსახელებში, ისე სხვა სახელებშიც ეს ორი ბრუნვა განსხვავებულია მესამე პირის სახელებთან. მეორე და პირველი პირის ნაცვალსახელებში სამი ბრუნვის ფუნქციაა შეთავსებული ერთ და იმავე ფონეტიკურ კომპლექსებში (მე... შენ... ჩუენ... თქუენ...); ამათ ეს ფუნქციები მესამე პირის სახელებთან შეპირისპირებითა და ზმნის აგებულებასთან დაკავშირებით განუვითარდათ; ფუნქციები ეცვალა ამ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს, სტრუქტურა კი წინანდელი დარჩათ: ამ სტრუქტურის მიხედვით კი **მე... შენ...** სხვა სახელთა **ფუძეს** უფრო უდრის, ვინემ რომელსამე ბრუნვას.

ამიტომაა, რომ წინადადების კონსტრუქციის ის თავისებურება, რომელიც სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვათა ცვლაში მდგომარეობს, გამოხატულებას პოებს მესამე პირის სახელთა ხმარებისას სუბიექტად და ობიექტად: **იგი** აკეთებს **მას** — **მან** აკეთა **იგი**. სხვანაირად რომა ვთქვათ, **წინადადების სტრუქტურის თავისებურება მესამე პირის პრობლემად წარმოგვიდგება.**

მესამე პირის სუბიექტს რომ დაეუბრუნდეთ, თავში თქმულს შემდეგი უნდა დავუმატოთ: ძვ.-ქართულში თუ სუბიექტად ადამიანის სახელი გვეევლინება, სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის მაგივრობა შეიძლება გაუფორმებელმა (უდეტერმინაციო) ფუძემ[2] გასწიოს:

---

[1] წაკითხულია მოხსენებად ენიმკი-ს საჯარო სხდომაზე 1938 წ. 16 ივნისს.

[2] ამ გაუფორმებელ ფუძეს ხშირად წრფელობითს ბრუნვას უწოდებენ; ეს უხერხულია: 1. წრფელობითი ხედმიწევნითი თარგმანია ბერძნ. *ὀρθή*-სი და ბერძნულ გრამატიკაში „სახელობითს“ აღნიშნავს („წრფელი“, „პირდაპირი“ ბრუნვა), წრფელობითი სახელობითის სინონიმია (ტერმ. „სახელობითი“ რომაელებმა დაამკვიდრეს „წრფელობითის“ ნაცვლად). ანტონიც თავის ქართულ გრამატიკაში ტერმინ „წრფელობითს“ სახელობითის გაგებით ხმარობს.

2. „იუდა“ ისეთივე ერთეულია, როგორც „წინაამწყარ“ (წინაამწყარ-მეტყუელი), „ღაღად“ („ღ ა ღ ა დ-ყო“), „ნელ“ („ნ ე ლ -საცხებელი“), „სრულ“ (იყვენით ს რ უ ლ... ადიშის ოთხთავი, ტაბ. 12 b_1). ამგვარ ოდენობას კი მხოლოდ ფუძე დაერქმის.

ისაკმან შვა იაკობი (ადიშის ოთხთავი, ტაბ. 1_{2}), მაგრამ იქვე გვაქვს: **იაკობ შვა იუდა... იუდა შვა ფარჩჳ და ზარა... ფარეჳ შვა ესრომ... სოლომონ შვა რობოამ...** და სხვა.

2. მესამე პირის სუბიექტის ნიშნად იხმარება სუფიქსები -ს, -ა, -ო. ასეა ეს ჯერ კიდევ V-VI საუკუნის ხანმეტ ძეგლებში. ამათგან -ს გამოყენებულია აწმყოში, ნამყო ხოლმეობითსა და სამიეე კავშირებითში, -ა ნამყო უსრულში და ნამყო ძირითადში (აორისტში), -ო -ც ამ უკანასკნელ დროში გვაქვს: იგი წარმომდგარია ან -ა-საგან წინამავალ თანხმოვანთან შერწყმით ანდა ამგვარი წარმოშობის მოვლენათა ანალოგიით.

საილუსტრაციო მასალა მოგვყავს, პირველ ყოვლისა, ძველი ქართულის უძველესი, ხანმეტური, ძეგლებიდან:

S_{3}—-ს- სუფიქსი:

... ყ~ლი რ~ლი ხითხოვს მიიღის და რ~ლი ხეძიებს პოვის და რ~ლი ხირეკს განხეღის: ხიყოს მე ვინ თქ~ნგანი კაცი რ~ლი ხთხოვდეს ძჱ მისი პურსა ქვაჲ ნუ მიხცესა მას: ანუ თუ სათევზსა (!) ხთხოვდეს. გუელი ნუ მიხცესა... (იხ. ივ. ჯავახიშვილი: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“: ტფილ. უნივერსიტ. მოამბე, ტ. II (1922-23 წ., გვ. 379).

... სადა იგი მატლი მათი არა დახესრულებიხ და ცეცხლი არა დახეშრტების რ~ ყ~ლი ცეცხლითა დახიმარილოს (იქვე, გვ. 381).

... რ~ი არა დაძუელდეს საუნ(ჯ)ჱ მოუკლებელი ცათა შინა სადა იგი მპარავი არა მიჰეხების და არცა მღილმან განრყუნის: სადაცა ხიყოს საფასჱ თქუენი მუნცა ჰიყოს გული თ~ქნი (იხ. ა. შანიძე: „ქართული ხელნაწერები გრაცში“. „ხანმეტი ლექციონარი“ -ტფილ. სახელმწ. უნივერ. მოამბე, ტ. IX, 1929 წ., გვ. 342).

S_{3}—ა- სუფიქსი:

... რბიდდა და მოვიდა სიმონ პეტრჱსა და ერთისა მის მოწაფისა რ~ი ხუყუარდა ი~ჳს და ხრქუა მათ (იქვე, გვ. 336).

... ხ~ პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად და შთახხედა და იხილნა ტილონი იგი... და წარვიდა თჳსაგან და დახუკჳრდა საქმჱ ესე (იქვე. გვ. 333).

... და მოხუჳდა მათ ი~ჳ ხეტყოდა მათ და ხ~ქა: მოჱეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა (იქვე, გვ. 330_{7}).

... სიბრძნემან იშჱნა თავისა თჳსისა სახლ და ქუეშე შეხუდგნა შჳდნი სუეტნი დაკლა საკლველი და განზავა ტაკუკთა თჳსთა ღუნოჲ... წარავლინნა მონანი თჳსნი (იხ. ივ. ჯავახიშვილი, op. cit., გვ. 372).

S_{3}—ო- სუფიქსი:

... რ~ გარდაგორეებულ ხიყო ლოდი იგი რ~ ხიყო დიდ ფრიად (იხ. ა. შანიძე, op. cit. გვ. 331).

... და იწყო მოსწყურებით გან (იქვე, გვ. 335)...
... მოიღო პური... და განტეხა (იქვე, გვ. 335).
... მიხუგო ერთმანეთ... (იქვე, გვ. 334).

ეგეთივე სუფიქსები გვაქვს ჰაემეტსა და შემდგომი ხანის, IX—XI საუკუნის, ძეგლებში.

3. მესამე პირის სუბიექტის აფიქსებთან დაკავშირებით ქართულში სამი რამაა აღსანიშნავი:

ა. მესამე პირი რამდენიმე აფიქსით აღინიშნება — -ს, -ა, (-ო) — მაშინ, როდესაც სუბიექტისა და ობიექტის სხვა პირები თითო აფიქსს იყენებენ: S_1—**ვ**, S_2—**ხ** ანდა **ჳ** და მისი ფონეტიკური ვარიანტები (-**ს** სალიტერატურო ქართულში, ჯ/ს... ღ, ხ, ზ, ქ—ხევსურულ დიალექტში... — O_1—**მ**, O_2—**გ**, O_3—**ხ** ანდა **ჳ** და მისი ფონეტიკური სახეცვლანი... ს და ა ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტად შეუძლებელია დავსახოთ, ესაა ორი ფონეტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ერთი და იმავე მორფოლოგიური ფუნქციისა.

ბ. მესამე პირის სუბიექტის ნიშნები—სუფიქსებია. ყველა სხვა პირი—იქნება ეს სუბიექტის თუ ობიექტის პირები — პრეფიქსებითაა წარმოდგენილი. პრეფიქსაცია პ ი რ ი ს აღნიშვნაში ქართული ზმნის უღელილების პრინციპია, და ამ პრინციპს არღვევს მესამე პირის წარმოება.

გ. მესამე პირის სუბიექტის ნიშნები ზმნას მხოლოობითში აქვს, მრავლობითში კი—არა.

ა-სუფიქსის შესახებ შეეძლო კაცს ეთქვა: დაიკარგა ფონეტიკური მიზეზის გამო, რადგანაც მომდევნო სუფიქსი მესამე პირის მრავლობითისა ხმოვნით იწყებაო: აკეთ-ა—აკეთ-**ეს** (<—აკეთ-ა-ეს?!). მაგრამ **ს**-სუფიქსის არქონა მრავლობითში ამავე მიზეზით შეუძლებელია ავხსნათ:

აკეთებ-ს *„აკეთებ-ს-ენ"
აკეთებდ-ე-ს *„აკეთებდ-ე-ს-ენ"
აკეთო-ს *„აკეთ-ო-ს-ენ"...,

ფონეტიკურად არავითარ სიძნელეს არ ხედება; და თუ არსად არა გვაქვს, **იმიტომ კი არა, რომ დაიკარგა**, არამედ იმიტომ, რომ **არც ყოფილა** ქართულში ისევე, როგორც არა გვაქვს ამჟამადაც სვანურში (აწმყოში)[1].

სვანურს აწმყოში დღემდე შენარჩუნებული აქვს ის მდგომარეობა, რომელიც ქართულ ზმნას ახასიათებდა გარკვეულ პერიოდში:

ხუ-არი, ხ-ჳრი, **ჳრი**--ხ-უ-არი-დ, **ხ**-არი-დ, **ჳრი-ხ**: მესამე პირს სუბიექტის ნიშანი არ გააჩნია, მრავლობითის მესამე პირში მხოლოდ რიცხვის ნიშანია მოცემული (*იგი *არი--იგინი არი-**ან**). სვანური შერჩა ამ საფეხურს, ქართულმა კი პირის ნიშანი დაურთო მხოლოობითს (არი-ს, ზი-ს, აკეთებ-ს), მაგრამ არ მოუხდენია არავითარი ცვლილება მრავლობითში, მრავლობითის სათანადო ნაკეთი დაშთავრებულ-ჩამოყალიბებულ სახეს ატარებდა: მრავლობითობის ნიშანი ზმნის ბოლოს უკვე იჯდა.

[1] ეგულისხმობთ **ს**- სუფიქსის შესაბამ სუფიქსს.

ეს ნიშნავს: **მრავლობითის სუფიქსების დამკვიდრება ზმნაში წინ უსწრებს მესამე პირის სუფიქსის გამოყენებას** (მხოლოობითში), **მესამე პირის სუფიქსი ზმნაში შედარებით ყველაზე ახალი ფორმაციისაა: მას წინ უსწრებს არა თუ სხვა პირთა ჩამოყალიბება, არამედ მრავლობითის გაფორმებაც.**

რელატიური ქრონოლოგიის ამ ცნობებს ერთიც უნდა დაეუმატოთ: მესამე პირის ნიშნის გაჩენა არ შეიძლება არ იყოს დაკავშირებული მოთხრობითისა და სახელობითის დიფერენციაციის პროცესთან: ა- სუფიქსი მოთხრობითის ჩამოყალიბების ხანისაა, -ს—სახელობითისა; პირველი უსწრებს მეორეს (-ს- სუფიქსი აშკარა ნაცვალსახელური წარმოშობისაა — იგი ნიეთიერ კავშირშია ი-ს-ი ნაცვალსახელთან).

ბუნებრივად იბადება კითხვა: როცა მესამე პირის ნიშანი ზმნას გაუჩნდა, რატომ მაინცა და მაინც სუფიქსის სახით მოგვევლინა, რა უშლიდა, პრეფიქსად მოვლენოდა ზმნას და სხვა პრეფიქსების, პირის ნიშნების, მწკრივში დაეჭირა მისთვის განკუთვნილი ადგილი? რატომ აღმოჩნდა ეს შეუძლებელი?

ეჭვს გარეშეა ამის მიზეზი უნდა იყოს რაღაც **დიდი გარდატეხა**, რომელიც იმ დროისათვის მომხდარი იყო სათანადო ენობრივი კოლექტივის სამეტყველო ფსიქიკაში: **პრეფიქსული წყობის ენა** (მხედველობაში გვაქვს პირთა აღნიშვნა) **სუფიქსაციის გზას ადგება**. ვიმეორებთ, ეს დიდი გარდატეხაა და ეს მხოლოდ მესამე პირის სუბიექტის აღნიშვნაში არ გამოიხატება. ამავე მიზეზის გამო—როგორც უკვე გექონდა შემთხვევა თავის დროზე აღგვენიშნა—ქართულმა დაკარგა „ვინ“ და „რა“ კატეგორიათა სპეციფიკური განმასხვავებელი წარმოება ზედსართავებში და სახელზმნაში, და იქაც პრეფიქსაცია დაზიანდა: ეს კატეგორიები პრეფიქსებით გაირჩეოდა...

ამ კონტექსტში ბუნებრივად ჩნდება ვარაუდი, რომ ჩვენს ენაში ეს გარდატეხა მოხდა ისეთ ენებთან შეხვედრასთან დაკავშირებით, რომლებიც სუფიქსაციით ხასიათდებიან—ეს კი ურალ-ალტაური ან ინდოევროპული ენები უნდა ყოფილიყო.

მრავალ მხრივ საგულისხმოა, რომ „ვინ“ და „რა“ კატეგორიათა საკითხშიც (და სუბიექტის მესამე პირის საკითხშიც) ყველაზე უვნებლად გადარჩა სვანური და ყველაზე უფრო დიდი ცვლილება განიცადა ქართულმა: იმ ენამ, რომელიც ყველაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით მოქცეულ ფრთას შეადგენდა ქართველურ ენებში; გამვლენელი ენების გეოგრაფიული მდებარეობის გასარკვევად ეს ანგარიშგასაწევი ფაქტია.

საინტერესოა, რომ სვანურში ორიოდე ზმნამ შემოგვინახა მესამე პირის ნიშნად პრეფიქსი (ლ-: ლ-ჷგ „დგას“, ლ-ი „არის“...)[1], მაგრამ პრეფიქსად ზმნაში ეს ლ- არ დამკვიდრდა, სუფიქსის სახითაც არ შეგვრჩა.

ქართულს რომ დაეუბრუნდეთ, ქართულში მესამე პირის სუბიექტის **ნიშანი** მარტოოდენ **მხოლოობითში** გვაქვს, ეს ნიშანი **სუფიქსია** და იგი ერთზე მეტი აფიქსითაა წარმოდგენილი; ეს აფიქსებია: **-ს, -ა** (‖ **ო**).

4. ამ ნიშანთა გარდა მესამე პირის სუბიექტურ სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ **-ნ**: **არ-ნ, ზი-ნ, დგა-ნ**...

[1] იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა: სვანური ენა: ზმნა, ტფილ. 1930, გვ. 2—4.

არ-ნ:

მჭედარი ვიდრე წყობასა არა შესრულ а р ნ. ძლევად მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ а р ნ. არცა მეფეთაგან ნიჭი მიიღის... „ცხორებად გრიგოლ ხანძთელისად“, გამოც. ნ. მარის მიერ, Тексты и разыскания по арм.-груз. филол. VII, 1911, გვ. მა [41], სტრ. 18—20 ზემ.

... დაღაცათუ ენაბრგუნვილი ვინმე წადიერ а р ი н (!) შესხმად მეფისა. არა შეურაცხ ყვის მეფემან ბრგუნვილებად იგი ენისაჲ... „კიმენი“, ტ. I, გამოც. კორნ. კეკელიძის მიერ, ტფილ., 1918. გვ. 176_{23}.

იკურთხევი-ნ... არ-ნ...

... ერთი წიგნის-მკითხველი მცირეთა მსმენელთა და მრავალთა თჳს სწორად კმა а р ნ. და ეგრეთვე უკუეთუ ერთი и к у р т х е в и н ანუ მრავალნი. მაკურთხეველი იგი ერთი კმა а р ნ... გრ. ხანძთ. გვ. ბ[80] სტრ. 12 ქვ.

ჰნებავ-ნ:

ხოლო შესაძლებელ თუმცა იყო, ყოველადვე არა ჰ н е б а в н მეფესა, რომელ ერთსამცა დღესა კიდე იყო მისგან... „ცხორებაჲ... გიორგი მთაწმიდელისა“, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლ. ხელნაწერი, ტფილ. 1901, გვ. 320.

უბნობ-ნ... აღმოდი-ნ:

და იტყოდა ნეტარი იოანე, ვითარმედ მუნ ჟამამდე ძნიად у б н о б н ქართულად... ხოლო მიერითგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროჲ, аღ м о д и н... „ცხორებაჲ... იოანესი და ეფთჳმესი“, ათონის... 1074 წლის ხელნაწერი, ტფ. 1901, გვ. 26.

მიმოვალ-ნ... კრებ-ნ:

და გამოვიდის იგი ქუაბით თჳსით. და м и м о в а л н უდაბნოსა და к р е б н იგი მელაღრიასა... „კიმენი“, გვ. 20_{23}.

უმძიმ-ნ... უხარი-ნ...

საჯორეს ყოველნი ძმანი იყვნიან მეჯორედ და ორნი ერისაგანნი იყვნიან მსახურად და მხუეტელად და სხუანი ძმანი იყვნიან და არა თუ у м ძ и м ნ, არამედ უფროჲსად у х а р и н... „ცხ. იოან. და ეფთჳმ“. ათონის... 1074 ხელნ., გვ. 48.

მიხუდები-ნ:

და შრომისა დღეთა შინა მყოფნი და ხუცესნი ჰმსახურებდიან, ვითარცა м и х у д е б и н... იქვე, გვ. 41.

გამოიცადები-ნ... იპოვები-ნ... დააკლდები-ნ...

რ ოქროჲ იგი რაჲდენცა г а м о и ц а д е б и н: უწმიდეს и п о в е б и н: და არა რაჲ დ а а к л д е б и н... იოანე ბოლნელ ეპ. ქადაგ. გვ. 64.

უთქუამ-ნ... სწადი-ნ... გარდამოცკვი-ნ...

ესე ლაზარჱ იდვა დავრდომილი ბეთა თანა მის მდიდრისათა... და გ ლი у т х у а м ნ და с ў а д и н მას განძღებად: ნაბიჭევისაგან р и г а р д а м о ц к ў и н ტაბლისაგან მის მდიდრისაჲსა... იქვე, გვ. 68.

2. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული

ჰრცხუენი-ნ:

და არა სადა განშიშულდის: და არცა იბანის სადა: და ჰრცხუენინ ხილვად ვისამე... კიმენი, გვ. 16ზ.

ეტყჳ-ნ:

და მარადის ეტყჳნ დიდსა იოანეს... „ცხ. იოან. და ეფთ.". ათონ. ხელნ. გვ. 15.

... ეტყჳნ მამაჲ იოანე ვითარმედ „შვილო ჩემო! ჭართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან"... იქვე, გვ. 26.

ევედრები-ნ:

და მარადის ევედრებინ ძმათა რა მოსწრაფე იყვნენ მისლვად ეკლესიად... იქვე, 35.

ეყოფი-ნ:

წერილ არს „ტჳრთი განწესებული ეყოფინ ნაესა"... გრიგ. ხანძთ. გვ. 80 16 ქვ.

ესმი-ნ:

... გუერდით მივიდის და თაყუანის სცის და უთხრის, რომელ მას ოდენ ესმინ... იქვე, 36.

ეუბნები-ნ:

... და მიერითგან მონასტრისა ძმათაჲ არღარა ვის ეუბნებინ გარნა თუ უცხოჲ ვინ მოვიდის... იქვე, 16.

აღუდგები-ნ... ექმნები-ნ:

ხოლო რომელთამე რეცათუ ცილობით წინა აღუდგებინ არამედ მიზეზ სწაელის ექმნებინ მას... აბო ტფილელი, გვ. 16.

ეკმარები-ნ:

კელარნი კულა სამხრად ყოველადვე სატრაპეზოსა მივიდიან... და ეგრეთვე მეეაჟინენი, მაგრა კელართა მწუხრსა თუ რაჲმე ეკმარებინ, შინა იკმარიან... ათონ. ხელნაწ. გვ. 48.

ივლტი-ნ... ეძიებ-ნ:

და რაჟს არა პოვის. სადგური იგი ეა მწ ჰნებავ-ნ. მოიძულის ადგილი იგი და მოიძაგის ნაშრომიცა იგი: მერე კდ გმოვიდის და იჳლტინ იგი და ეძიებინ სხუასა ადგილსა... იოანე ბოლ. ქად. 83.

ეძიებ-ნ... კმობ-ნ... ღაღადებ-ნ... მიმო იხედავ-ნ... ისტუანავ-ნ...

განჰმარტნის ფრთენი თჳსნი ეა იგი განჰმარტნის მფრინველმან ფრთენი თჳსნი და ეძიებინ მართუეთა თჳსთა შეკრებად მათა კმობინ გჳს მოდგინედ: ღაღადებინ სურვიელად ეძიებინ წადიერებით... მიმო იხედავნ და ისტუანავნ... ვე პოვნამდე მისა: და რაჟს პოვის... იქვე, გვ. 31.

ეუბნები-ნ... ასწავებ-ნ... ამხილებ-ნ... ნუგეშინიხ სცემ-ნ... დაჰვედრებ-ნ...

... უკუეთუ კულა ვინმე იხილნის უდებნი და დაჴსნილნი და ახალმოსრულნი, მათ ზედაჲსზედა ეუბნებინ, ასწავებინ, ამხილებინ და ნუგეშინის სცემინ და ჴელოსანთა დაჰვედრებინ, რაჲთა მარჯუედ ექცეოდიან და აოა რასა მიაჰირვებდენ... ათონ. ხელნ. გვ. 38.

ამცნებ-ნ:

...ესმის ვ˝დ არს იგი ამპარტავან და ზუავ მიუვლინის მას და ამცნებნ სიყუარულსა... „ცხორ. საბა ასურისაჲ“, გამოც. ს. ჯანაშიას მიერ, „არილი“, გვ. 12_{35}.

შემუსრავ-ნ:

რ˝ ამპარტავანთა ღ˝რ შემუსრავნ; ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი... იოანე ბოლნ. ქადაგ. გვ. 55.

დაჰკლავ-ნ... დაიკლვი-ნ:

მღედელი ყოელისა სოფლისა-თჳს კრაესა მას... დაჰკლავნ. და იგი მის-თანავე დაიკლინ... „წარტყუენვაჲ იერუსალჳმისაჲ“—გამოც. ნ. მარის მიერ, 1909, გვ. $იჳ_{6}$[15_{6}].

ლოცავ-ნ... ითხოვ-ნ:

ლოცავნ ღამჳ ყოველ მარადის ფარულად სამოსლითა პირველითა და ითხოვნ... საწუთროჲსა წილ საუკუნესა... ძვ. სასულიერო პოეზია, გამოც. პ. ინგოროყვას მიერ, ტფილ. 1913, გვ. 25.

ტირ-ნ... ეგლოვ-ნ... ამხილებ-ნ... ახწავებ-ნ...

ხოლო ტირნ და ეგლოვნ მათ-თჳს წ˝ჲ ტიმოთჳ მოციქული: და ამხილებნ მათ და ასწავებნ დღჳ და ღამჳ გზასა მას ჴეშმარიტებისასა... კიმენი, 105_{31}...

... ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა რ˝ი იგი მოვალნ მისა ზედაჲს ზ˝ა (და) ეტყჳნ მას: მისაჯე მე მოვალისა ჩემისაგან და არა ისმინის მისი მრავალ ჟამ: ხ˝ ქურივი იგი ფ˝დ აწყინებდა მას და მივალნ მისა ზედაჲს ზ˝ა უწყინოდ (და) თაყუანის სცემნ მას და შეუვრდებიან: ტირნ: ცრემლოვნ: მოეხუევინ ფერჴთა მისთა (აკოცებნ მუჴლთა მისთა) ამბორს უყოფნ ჴელთა მისთა... ხ˝ მსაჯული იგი ჰრისხავნ მას და აგინებნ და განაძებნ მას გარე: ა˝დ ზინ იგი წ˝ე მისსა: აწყინებნ და ეტყჳნ მას: მისაჯე მე მოვალისა ჩემისა გან... იოანე ბოლნელ ეპ. ქადაგ., გვ. 50.

მრავლობით რიცხვში ამ ნ-ს შესაბამისად -ედ გვაქვს:

არი-ედ:

ვერვინ ორთა ო˝ლთა ჰმონოს რ˝ნი ურთი-ერთას არა სათნოდ არიედ... კიმენი, 189_{23}.

უყოფ-ედ:

მეზუერჳ იგი არს მებაჟჳ, ხოლო საზუერჳ იგი არს ადგილი, სადა იგი ბაჟსა უყოფედ... იოანე ბოლნ. ქადაგ., გვ. 9.

ეტყჳ-ედ:

ცრუჳ მოძღუჳარნი იგი და შემასმენელნი შეეიდიან მისა და ეტყჳედ რომელნიმე რჱცა სიტყჳთა ლიქნისაჲთა... აბო ტფილ. 25.

შფოთებ-ედ... დასთხევ-ედ:

და აქუნ ჴელთა მათთა სახეები კერპებისაჲ და კუერთხები... და ესრჱთ შფოთებედ: და მრავალსა სისხლსა დასთხევედ: მამათა და დედათა... კიმენი, 105_{33}.

აშინებ-ედ:

და რომელნიმე მათგანნი ა შ ი ნ ე ბ ე დ მას... აბო ტფილ. 26.

ხედვ-ედ:

რომელნი ხ ე დ ვ ე დ მას. ვერ იკადრიან უდბად განცხრომაჲ კრძალულებათაგან მისთა... გრიგ. ხანძთ. **მბ.** [42$_4$ ზევ.]...

ჰლოშნი-ედ:

ა ნ დ ძაღლნიცა მოვიდიან და ჰ ლ ო შ ნ ი ე დ ზუზღასა მისსა... იოანე ბოლნ. ქადაგ. 68.

მორბი-ედ:

და რ ნი მ ო რ ბ ი ე დ მისა სიყუარულით შეიტყბობს... კიმენი, 14$_{36}$.

მიეგებვი-ედ:

მოძღუარი სამე ყრმათაჲ ვარი რ ნი გონიერად მ ი ე გ ე ბ ვ ი ე დ ჰეშმარიტებისა გარდამაქცეველთა... კიმენი, 46$_{22}$.

5. ზემოხსენებული **-ნ** აკად. ნ. მარს ნამყო უსრულის მაჩვენებლად მიაჩნდა და მას **დ**- სუფიქსის პარალელურ ოდენობად სახავდა:

„ნამყო უსრულს აქვს ორი ფორმა: ძველი სამწერლობო და ხალხური. ორივე სახეობის მაჩვენებელნი აწმყოს ფუძეს მიემატებიან: ა) ძვ. სანწერ. სახეობის მაჩვენებელი **ნ** გვეელინება მესამე პირში მხოლ. რიცხვისა; ასე, მაგ. იკითხავ-ნ—он читал, იტყჳნ—он говорил, გუცემ-ნ—он давал нам, განგუწვესებ-ნ—он приводил нас в порядок[1]... b) ხალხური სახეობის მაჩვენებელი—**დ**. ისიც გვეელინება ხშირად ყოველგვარი გახმოვნების გარეშე, ამასთან მხოლობითის ყველა პირში: ე-კრებ-დ, [ჰ]-კრებ-დ, კრებ-დ“ (იხ. „Грамматика древнегруз. литер. яз.“ Ленингр. 1925, გვ. 159, § 192).

ერთ სიბრტყეზე მოთავსება ამ **ნ**-სა და **დ**-სი შეუძლებელია: **-ნ**- მესამე პირშიღა გვაქვს, სხვაგან—არსად, **-დ**- ყველა პირში მეორდება, როგორც ეს დროის საწარმოებელ სუფიქსს შეშვენის... **დ**-თი წარმოებულ ნამყო უსრულ ხოლმეობითში ეს **-ნ**-ც შეიძლება გამოჩნდეს: კრებ-დ-ი-ნ... აქუნ-დ-ი-ნ (მაგალითები იხ. ქვ.), რაიც აგრეთვე ამ სუფიქსების ფუნქციათა სხვაობითაა განსაზღვრული[2]. მოკლედ: **-ნ** და **-დ** ფონეტიკურად ერთი მეორის მონაცვლედ შეიძლება მოგვეელინოს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ მათი მორფოლოგიური ფუნქცია ერთი და იგივეა... იკითხავ-ნ, იტყჳ-ნ და მსგავსნი ოდენობანი ნამყო უსრულად ვერ მიიჩნევა.

პროფ. ა. შანიძე **ნ**-იან აწმყოს ხოლმეობითის ფორმადა თვლის; იგი წერს: „აწმყოს მესამე პირში ძვ. ქართულს ორგვარი დაბოლოებანი მოეპოვება: ერთი მხრით -ს და **-ენ** (-ან), მეორე მხრით **-ნ** და **-ედ**; მაგ. ერთი მხრით არ-ს და არი-**ან**, მეორე მხრით არ-**ნ** და არი-**ედ** და მისთ. მეორე მხრის ფორმები ხოლმეობითის ფორმებია, ე. ი. ხოლმეს გაგებას შეიცავენ; სხვანაირად რომ

[1] დედანში ნაჩვენებია ტექსტები, საიდანაც ამოღებულია ეს ხმნები.

[2] ზოგი სხვა გარემოება აღნიშნულია ჩვენს რეცენზიაში ნ. მარის „ძვ. ქართ. სალიტ.-ენის გრამატიკისა“—იხ. საისტ.-საეთნოგრ. სახოგად. მიმომხილველი I (1926), გვ. 320—321.

ვთქვათ, წერ-ნ ამას ნიშნავს: „წერს ხოლმე", წერ-ედ კი ამას: „წერენ ხოლმე". პირველსა და მეორე პირში ასეთი გარჩევა არ იყო". (მოსდევს „აწმყო ხოლმეობითის" მაგალითი—იხ. „ძველი ქართული ენა" ა. შანიძის, ალ. ბარამიძის და ილ. აბულაძის სახელმძღვანელოში „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა", ტფილ. 1934, გვ. 024, § 43).

„წერნ" და მსგავს ფორმებს ხოლმეობითი შინაარსი აქვთ **ჩვეულებრივად**; ეს უდაოა[1]. მაგრამ კითხვა ისმის—რა კავშირშია ეს ხოლმეობითი შინაარსი **-ნ-** სუფიქსთან? ხოლმეობითობა **-ნ**-იან წარმოებაში მეღავნდება, მაგრამ არის თუ არა მისი მატარებელი **-ნ** სუფიქსი (მრავლობითში **-ედ** სუფიქსი)?

პასუხი უარყოფითი იქნება და აი რატომ:

1. ხოლმეობითობა ნამყოში ყველა პირში იჩენს თავს, აქ კი მხოლოდ მესამე პირითაა მისი გამოყენება შეზღუდული; დროის საწარმოებელი აფიქსი ყველა პირში უნდა გვქონდეს და არა მხოლოდ ერთში.

2. თუ აწმყოში ეს **-ნ** ხოლმეობითის ნიშანია, რაღაა პირის ნიშანი? **-ნ** იქერს **-ს** სუფიქსის ადგილს ძვ. ქართულში ისევე, როგორც **-ედ -ან, -ენ** სუფიქსთა მონაცვლედ გამოდის. ამიტომ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს **-ნ** (და **-ედ**) იმავე მორფოლოგიური ღირებულებისა უნდა ყოფილიყო, როგორიც **-ს** (**-ან, -ეს** სუფიქსებს) აქვთ.

3. **-ნ** სუფიქსი ძვ. ქართულში გვხვდება **-ი-** სუფიქსით ნაწარმოებ ნამყო ხოლმეობითშიც: ხოლმეობითობა რომ ამ **ნ**-სთან იყოს დაკავშირებული, ამგვარი წარმოება გაუგებარი იქნებოდა...:

მოიღ-ი-ნ:

... [ხი]რეკდით და განგეღო[ს] [თ]ქუენ. რ' ყოველი რ'ი ხითხოვნ მ ო ი ღ ი ნ... იხ. ივ. ჯავახიშვილი: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები"—ტფილ. უნივ. მოამბე II, გვ. 377.

მოუძლურდ-ი-ნ... დაშრტ-ი-ნ... განკეთრდ-ი-ნ... აღატყდ-ი-ნ... განქარდ-ი-ნ... გჳდებდ-ი-ნ...

... იძლიენ ძნელი იგი. მ ო უ ძ ლ ურ დ ი ნ მღჳმე იგი. დ ა შ რ ტ ი ნ საჭმილი იგი გეჰენისაჲ... სატანაჲ გ ა ნ კ ე თ რ დ ი ნ... გულის წყრომაჲ მისი ა ღ ა ტ ყ დ ი ნ... სატანჯველი მისი გ ა ნ ქ ა რ დ ი ნ და ზედამოსლვაჲ გ ჳ დ ე ბ დ ი ნ... კიმენი, 201_{8-12}.

მაგალითების ეს უკანასკნელი წყება შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც ნამყო ძირითადისაგან ნაწარმოები ფორმები (მ ო უ ძ ლ ურ დ ი ნ, დ ა შ რ ტ ი ნ, გ ა ნ კ ე თ რ დ ი ნ, ა ღ ა ტ ყ დ ი ნ, გ ა ნ ქ ა რ დ ი ნ), თუმცა საკმარისია **-ნ** სუფიქსი **ხ**-თი შევცვალოთ, რომ ნამყო ხოლმეობითის უცილობელი ფორმები წარმოგვიდგეს: მ ო უ ძ ლ ურ დ ი ს, დ ა შ რ ტ ი ს, გ ა ნ კ ე თ რ დ ი ს, ა ღ ა ტ ყ დ ი ს, გ ა ნ ქ ა რ დ ი ს...

მ ო ი ღ ი ნ კი არაფითარ ეჭვს არ ბადებს, რომ ნამყო ხოლმეობითია...

---

[1] თუმცა ძირითადი მნიშვნელობა ეს ისტორიულად არ უნდა ყოფილიყო; ამის შესახებ —კვეშოთ.

ამრიგად, ნ-სუფიქსი სუბიექტის მესამე პირის უძველესი ნიშანია აწმყოში. თუ ნ-იან აწმყოს ძვ. ქართულში (VI—XI სს.) ხოლმეობითობა ახასიათებს, ეს იმას კი არ მოწმობს, რომ ნ S_3 არ ყოფილა, არამედ იმის გასაღებს იძლევა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ აწმყო დროს ძველისძველად, მაშინ, როდესაც S_3-ად ნ იხმარებოდა.

ხოლმეობითობა აწმყოს დამახასიათებელი ძველი ფუნქციაა; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს **უნდა ყოფილიყო „აწმყო ზოგადი"** დაახლოებით ისეთივე შინაარსისა, როგორიც ახალს ქართულში გვაქვს გამოთქმებში: „მზე ანათებს", „მოწაფე სწავლობს", „მასწავლებელი ასწავლის"...[1].

ხოლმეობითობა ამგვარ მნიშვნელობას უკავშირდება: „ზოგადად რაც ხდება"→„ჩვეულებრივად რაც ხდება"... ამიტომაა, რომ ნ-იანი აწმყო ზედგამოჭრილია იმ შემთხვევებისათვის, როცა რაიმე წესი, ნორმაა გადმოსაცემი ანდა უცვლელი დამახასიათებელი თვისებაა აღსანიშნავი (ხშირად ამგვარ შემთხვევაში ძნელი გადასაწყვეტია ხოლმეობითი შინაარსი გადაწონის თუ „ზოგადობა")...

მკედარი ვიდრე წყობასა არა შესრულ არნ. ძლევად მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არნ... (იხ. ზემ. გვ. 17).

აქ დებულებაა წამოყენებული: როგორ იცნობა მხედარი... „ხოლმე"-ს აქ გამართლება არა აქვს. ეგეც ითქმის შემდეგი მაგალითის შესახებ:

... და არა სადა განშიშულდის: და არცა იბანის სადა: და ჰრცხუენინ ხილვად ვისამე... (იხ. ზემ. გვ. 18).

„მორცხვობა" აქ დამახასიათებელი თვისებაა: ჰრცხუენინ ამაზე მიუთითებს.

უფრო მკვეთრად ეს ჩანს მაგალითებში:

... მეორემ სახემ ლომისაჲ. რ~ეს სძინავნ მღჳძარემ არიედ თუალნი მისნი. რამეთუ ზემ უხილველად... „სახისა სიტყუაჲ", გამოც. ნ. მარის ტიერ, Тексты и разыск. кн. VI, 1904, СПБ. გვ. 3_{36}...

... მესამემ სახემ ლომისაჲ. რ~ეს შჯნის ძუმან ლომმან. ლეკუნი მკუდარნი სხნის და ზინ და სცავნ ლეკუთა მათ მოსლვადმდე მამისა მის დღესა მესამესა. ჰბერის შუბლსა და აღადგინნის ლეკუნი იგი... იქვე 4_{38}...

სამი სახემ არს ჭინჭვლისაჲ. პირველი სახემ რ~ეს დასკუდვილად ვლენედ გზასა ურთიერთას. თითოეულად თჳსი მარცუალი მიაქუნ პირითა და ცუდთა მათ რ~ლთა არა აქუნ არა ჰრქჳან ტკრთოსანთა მათ ვ~დ გუეცით ჩუენცა... არცაღა ჰშურნ... იქვე 19_{1-12}.

ამგვარი მნიშვნელობა სრულებით არ ეუცხოება ნამყო ხოლმეობითსაც:

... რ~ეს დაბერდის და თუალთა მოაკლდის და ჰნებავნ განჰაპუკნებაჲ. მარხვად დგის. და მჴნდის და იმარხის გუელმან მან ორმეოც დღემ და ორმეოც

[1] არსებითად ამგვარი აზრი უნდა ჰქონდეს შენიშვნას, რომელიც ა. შანიძეს „დროის" განმარტებისათვის აქვს დართული (იხ. „ქართული გრამატიკა" § 105, შენიშვნა 1, გვ. 121), თუმცა ავტორის დასკვნები სხვაგვარია; ვგულისხმობ დებულებას: „თევზი ცურავს", „ჩიტი ფრინავს"... „გველი ხოხავს"—„ყველა ესენი არსებითად უდროვო ფორმებია" (იქვე).

ღამე ვ~ წყალი განევლტის. და განუთხნის. იძიის ნაპრალი და პოვის კლდისაჲ იწროჲ და შევდის იწროდ და დააგდის ტყაეი იგი მისი ძუელი და განჰაპუქნის... იქვე, 17_6...—$_{18}$...

ამავე მიზეზის გამოა, რომ აწმყო ხოლმეობითი და ნამყო ხოლმეობითი ერთი მეორის გვერდითაა მოცემული ერთსა და იმავე ფრაზაში (მაგალ. იხ. ზემოთ, გვ. 17—20).

პერმანსიობა აწმყოსა და ნამყოს წარმოებას იმდენად აახლოებს, რომ იშლება ზღვარი აწმყოს ჯგუფისა და ნამყო ძირითადის ჯგუფს შორის...[1]. ამ ნიადაგზე პოულობს ახსნას „იცის“, „უწყის“. „ჰრქჳან“ ზმნათა აწმყოში გადმოსლვა, ამავე ხაზით ზოგი სხვა უფრო არსებითი საკითხიც, საფიქრებელია, რომ გადაიკრება...

დავუბრუნდეთ აწმყოს საკითხს.

„ხოლმეობითს“ (უკეთ „პერმანსივს“) ნამყოში -ი- სუფიქსი აწარმოებს. თუ კი აწმყოს მსგავსიად მნიშვნელობა ჰქონდა და თუ კი ნ- სუფიქსი ამ მნიშვნელობის მატარებელი არ იყო, საკითხავია, რით გადმოიცემოდა ის აწმყოში?

აქ ძალა-უნებურად ყურადღებას იქცევს ის -ი- სუფიქსი, რომელიც გარდაუვალ ზმნებს ხან აქვთ და ხან არა: ვარ || ვარ-ი... ვტირ || ვტირ-ი... სძულს || სძულ-ი-ს... სურს || სურ-ი-ს... სწადს || სწად-ი-ს...

ეს -ი- პერმანსიობის -ი უნდა იყოს. ეგეთ -ი- სუფიქსია, ალბათ, აწმყოს ფუძის საწარმოებელი -ი- გარდამავალ ზმნებთან: გზავნ-ი-ს... შლ-ი-ს... **-ავ, -ამ, -ებ, -ობ, -ოფ** სუფიქსიან ზმნებს რომ არაფერი ამგვარი მოეპოებათ? ეს უკვე დროთა წარმოების ისტორიის ძირითად საკითხთანაა დაკავშირებული და სპეციალურ განხილვას მოითხოვს. აქ მხოლოდ ის ითქმის, რომ ამგვარ ზმნათა უარყოფითი ჩვენება ზემოხსენებულ მსჯელობას უფრო განამტკიცებს, ვინემ დაბრკოლებას უქმნის...

დავასკვნათ: **-ნ** ხოლმეობითობას არ აღნიშნავს; ნ—მესამე პირის სუბიექტური სუფიქსია იმ ეპოქისა, როცა აწმყოში „ზოგადი“, „პერმანსიული“ („ხოლმეობითი“) შინაარსი მკვეთრად იგრძნობოდა და როცა ამ პერმანსიულობის ნიადაგზე აწმყო და ნამყო ერთმანეთთან იმდენად ახლოს იყვნენ, რომ პერმანსიული ნამყოს აწმყოდ ქცევა შესაძლებელი იყო... მოკლედ, აწმყო და ნამყო გამიჯნული და დაპირისპირებული დროები არ იყვნენ (ე. ი. დროებს არც წარმოადგენდნენ).

-ნ სუფიქსსა და პერმანსიულობას („ხოლმეობითობას“) **თანადროულობა** აკავშირებს ერთმანეთთან. ამიტომაა ნ-იანი აწმყო ძვ. ქართულში პერმანსიული („ხოლმეობითი“) შინაარსისა გამოდის. ეს ძველის-ძველი ვითარების გამოკრთომაა.

---

[1] პროფ. ა. შანიძე შენიშნავს: ხოლმეობითის ფორმები აწმყო-ნამყოს გაგებას „გარკვევით საზოგადოდ ვერ იძლევიან, ამიტომ შესაძლებელია მათი ერთმანეთში გარევა“-ო, იხ. „ძვ. ქართ. ენა და ლიტერ.“ § 44 ბ, შენიშ. 1, გვ. 025. ფაქტი სწორად არის შენიშნული.

6. S_3-ის უძველესი ნიშანი -ნ აწმყოში ხოლმეობითის გარდა შერჩა ბრძანებითს—ესაა **ნუ** ნაწილაკის გამოყენებით ნაწარმოები უარყოფითი ფორმა:

ნუ გეშინი-ნ:

... ნუ გეშინინ თქ̃ნ სამწყსოო მცირეო... სახისა სიტყ. 11_8.

... კუალად მოვალ და ყ̃ლადვე შენთანა ვარ ნუ გეშინინ: ნუ გეშინინ არა დაგიტეო შენ ობლადა... იოანე ბოლნ. ეპ. ქად. 65.

... იოსებ ძეო დავითისო ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა... ადიშ. ოთხთ. ტ. $6a_1$.

ნუ იყოფი-ნ:

... და მიუგო ყრმამან მან ვითარცა სრულმან კაცმან და ჰრქუა. ნუ იყოფინ... წარტყუენ. იერუსალ̃მ.. ნე„.

... ვითარცა ხედავთ, ფრიად სიგრილე იხილვების ჩუენ შორის; ნუ უკუე ვინმე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა თჳსსა, თუ პირველითგან ესრეთ იყვნეს ძმანი ჩუენნი—ნუ იყოფინ... ათონ. ხელნაწ. 5.

ნუ განაყენებ-ნ:

რ̃ლი იგი ღ̃თმან შეაუღლნა კაცი ნუ განაყენებ... ადიშ. ოთხ. ტ. 40 b_1.

ნუ უკუმოიქცევი-ნ:

... რ̃ლი ველსა გარე იყოს ნუ უკუ მოიქცევინ უკუ მიმართ... იქვე, ტ. $52a_2$.

ნუ ჰამ-ნ:

ვითარცა იტყჳს პავლე. რომელი არა შურებოდის. ნუცაღა ჰამნო... გრიგ. ხანძთ. o_{12} ზევ.

ნუ უკჯრ-ნ:

... არა უწყოდა საფასჲ. იგი რ̃ი იყო მის თანა. და ნუ ვის უკჯრნ ესე... კიმენი, 17_{32}.

ნუ იურვი-ნ:

ნუ იურვინ გული შენი მთავრისა მის-თჳს... წარტყუენ. იერუს. 6_{28}.

ნუ იქადი-ნ:

ნუ იქადინ აწ მძლავრი. ამბარტავანი. მოშურნე... ძვ. სასულ. პოეზ. $ტპზ_9$ ზევ.

ნუ **გეშინინ**=ნუ გეშინის [ის შენ მისგან]; აქედან: ნუ გეშინის-ცემაჲ. ახლანდელი ნუგეშის ცემა, ე. ი. „ნუ გეშინია“-ს თქმა („მიცემა“); აქედანვეა: „ნუგეში“ ნაწილი „ნუ გეში(ნი)-ს“-ა, გასუბსტანტივებული.

სხვა მაგალითებშიც ასევე -ნ-ს უპირავს შემდეგი ხანების ს-ს ადგილი: ნუ იყოფი-ნ=ნუ იყოფი-ს, ნუ განაყენებ-ნ=ნუ განაყენებ-ს, ნუ ჰამ-ნ=ნუ ჰამ-ს და სხვ.

7. S_3-ის უძველესი ნიშანი -ნ ძველ ქართულში მრავალ შემთხვევაში შენახული აქვს კაუშირებითს პირველს, როცა იგი ბრძანებითი კილოს მნიშვნელობითაა ნახმარი (—მოწოდებითი ბრძანებითი მესამე პირისა):

გიხაროდე-ნ:

... გიხაროდენ გამორჩეულო მაღლისა მიერ... აბო ტფილ. 41.

... მზრუნველო ცხორებისა თჳს ჩუენისა... შენ გიხაროდენ და მხიარულ იყავ... გრიგოლ ხანძთ. ოზ$_{17}$ ქვ.

... და ჰრქჳს მ~თ ჩემთანა გიხაროდენ და იხარებდით დღეს... იოანე პოლნ. ქადაგ. 31.

... იხილე უბიწოო და გიხაროდენ... ძვ. სასულ. პოეზია, სჲ$_{7}$ ზევ.

უხაროდე-ნ:

და უხაროდენ ყ~ლსა სოფელსა: ... იოანე ბოლნ. ქადაგ. 79.

განსცხრებოდე-ნ:

... დაჰბერეთ ნესტუსა საფუძველთა სოფლისათა და განსცხრებოდენ ზღუაჲ ოხრითურთ... ძვ. სასულ. პოეზია, პ$_{2}$ ზევ.

განსცხრებოდენ ქუეყანაჲ.. იქვე, ტპდ$_{1}$ ზევ.

გრცხუენოდე-ნ:

... იხილეთ... და გრცხუენოდენ... იქვე, რო$_{1}$ ზევ.

ჰრცხუენოდე-ნ... კდემებოდე-ნ:

... ჰრცხუენოდენ ნისტორს კრებულითურთ მისით... იქვე რმვ$_{7}$ ზევ.

... ჰრცხუენოდენ და კდემებოდენ ყ~ლთა რ~ნი ეძიებენ ს~ლთა მონათა შენთასა... კიმენი, 120$_{11}$.

გეშინოდე-ნ:

ნუ გეშინინ მათგან რ~ლთა მოწყჳდნეს ჯორცნი თქ~ნი... ა~დ გეშინოდენ მისა რ~ლსა ჴელმწიფებაჲ აქუს წარწყმედად სულისა... კიმენი, 9$_{30}$.

გიხაროდენ- -ესაა გიხაროდეს შემდგომი ხანებისა: გიხაროდეს შენ იგი: ეს „იგი“-ა -ნ სუფიქსით გადმოცემული: ეს რეალური ობიექტი სუბიექტის ნიშნითაა გადმოცემული, რადგანაც ზმნა ინვერსიულია.

„გიხაროდენ- ფორმა იმდენად განმტკიცებული იყო გარკვეული დარგის მწერლობაში, რომ გასუბსტანტივდა:

და უღალადა მათ გიხაროდენი. ევაჲს მწუხარებისა დამჴსნელი... ძვ. სასულ. პოეზია რმვ$_{3}$ ზევ.

... მღალადებელი. გიხაროდენსა მქადაგებელი... იქვე, სჲგ$_{1}$ ზევ.

... ვ~ა გიხაროდენი ჭალწულმან ეგრეთ შეიწყნარე ჴმა ზეციერი... აბო ტფილელი 46.

გიხაროდენ-ის გარდა ზემოხსენებულ მაგალითებში ინვერსიულია ზმნები: გრცხუენოდენ, გეშინოდენ: -ნ სუფიქსი რეალურად ობიექტს აღნიშნავს, მაგრამ ეს ობიექტი ზმნისათვის სუბიექტია.

განსცხრებოდენ პირდაპირი წყობისაა და მასში ნ- სუფიქსი რეალური სუბიექტის სუფიქსია: განსცხრებოდეს იგი...

8. ძვ. ქართულში არა იშვიათია კავშირებითი პირველის ადგილას ნამყო უსრულის ხმარება; კავშირებითი პირველი ნამყო უსრულის დიფერენციაციას წარმოადგენს:

აწმ. აკეთ-ებ-ს→ნამყო უსრ. აკეთ-ებ-დ-ა: კავშირ. I: აკეთებდ-ე-ს.
" " ხოლმ. აკეთ-ებ-დ-ი-ს

დროის საწარმოებელი სუფიქსი -დ- ნამყო უსრულისა რჩება კავშირებითს პირველშიაც. როცა მოსალოდნელია კავშირებითი, ხოლო ნახმარია ნამყო უსრული, ეს, ცხადია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ დიფერენციაცია ნამყო უსრულ სა და კავშირებით I-ისა ჯერ კიდევ დამთავრებული არაა. ამგვარად, ეს საკმაოდ ძველი ვითარებაა.

ამ კონტექსტში სრულიად ბუნებრივია, რომ -ნ აღმოაჩნდეს S_3-ის ნიშნად ისეთ ნამყო უსრულს, რომელიც კავშირებითი I-ის ადგილასაა ნახმარი და ბრძანებითი კილოს მნიშვნელობითაა გამოყენებული: თუ -ნ-იანი კავშირებითი I ბრძანებითისათვის იყო გამოყენებული (მაგალ. იხ. ზემ. გვ. 25), კავშირებითის მონაცვლე ნამყო უსრულსაც მესამე პირის სუბიექტურ სუფიქსად ისევ -ნ აქვს.

ნათობდ-ი-ნ (=ნათობდეს):

ა᷑დ ეგრე ნ ა თ ო ბ დ ი ნ ნათელი იგი თ᷑ნი წ᷑ე კაცთა... იოანე ბოლნ. ქად. 21.

ბრწყინევდ-ი-ნ (=ბრწყინავდეს):

... ეგრეთ ბ რ წ ყ ი ნ ე ვ დ ი ნ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა... აბო ტფილელი 21.

... ეგრᲝთ ბ რ წ ყ ი ნ ე ვ დ ი ნ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა... გრიგ. ხანძთ. $ლ_{13}$ ქვ.

გალობდ-ი-ნ (=გალობდეს):

... იხარებენ ცანი და გ ა ლ ო ბ დ ი ნ ქუეყანაჲ... ძე. სასულ. პოეზია $ხ_{17}$ ზემ.

... ამისთჳსცა იხარებდით ცანი და... გ ა ლ ო ბ დ ი ნ ქუეყანაჲ... იქვე, $პ_1$ ზევ.

იქორწინებოდ-ი-ნ (=იქორწინებოდეს!):

... ოდეს აღდგენ მკუდრეთით არცა ი ქ ო რ წ ი ნ ე ბ ო დ ი ნ არცა განჰქორწინებდენ... ადიშ. ოთხთავი, ტ. 91 b_1.

სუემდ-ი-ნ:

რ᷑ლსა სწყუროდის მოვედინ ჩემდა. და ს უ ე მ დ ი ნ... იოანე ბოლნ. 24.

იხარებდ-ი-ნ (=იხარებდეს):

... ამიერითგან ი ხ ა რ ე ბ დ ი ნ უდაბნოჲ ესᲝ... გრიგ. ხანძთ. $თ_{13}$ ზევ.

... ი ხ ა რ ე ბ დ ი ნ ცაჲ და განსცხრებოდენ ქუეყანაჲ. უგალობდით (=უგალობდეთ) ადამეანნი სიხარულით სიკუდილისა დამთრგუნველსა... ძე. სას. პოეზ. $სჲე_7$ ზევ.

გაქუნდ-ი-ნ (=გქონდეს):

... ნუ იტყჳ, თუ კაცთა ეჰსახურებ, არამედ ესრეთ გ ა ქ უ ნ დ ი ნ, ვითარმცა ანგელოსთა... ჰმსახურებდი... ათონის ხელნაწ. 40.

... ესე ვითარნი ნუგეშინის ცემა გ ა ქ უ ნ დ ი ნ თქუᲔნ, ძმანო... იქვე, 343.

გუაქუნდ-ი-ნ (=გექონდეს):

... და აწ წრაფაჲ სულისა მიმართ წ᷑დისა გ უ ა ქ უ ნ დ ი ნ... სახისა სიტყ. 40_{16} ზევ.

იხარებდ-ი-ნ... უხაროდ-ი-ნ... განიხუენებდ-ი-ნ... იშუებდ-ი-ნ:

... ი ვ ე ქ ვ ი ხ ა რ ე ბ დ ი ნ ჩ ნ თანა კეთილად მყოფებასა მას ჩ ნსა: უ ხ ა რ ო დ ი ნ კეთილად ცხორებასა მას ჩ ნსა: გ ა ნ ი ს უ ე ნ ე ბ დ ი ნ ღირსებით. ქცევასა მას თქუენსა... სათნო ეყოფოდენ (= ეყოფოდეს) თანაზიარებად ჩუენი... ი შ უ ე ბ დ ი ნ მოყუარებად ჩ ნი მისა მიმართ: ...კიმენი, 198_{19-22}.

-ნ-იანი ნამყო უსრული შეიძლება შეგვხვდეს ჩვეულებრივი კავშირებითის ნაცვლადაც—**არა** ნაწილაკის შემდეგ: რ ა არა იქმოდ-ი-ნ (-რ ა არა იქმოდეს):

... და მისცა მათ ყ ი სოფელი ვ ა სახლი და საფასჲ ურიცხჳ... რ ა არა ი ქ მ ო დ ი ნ ბოროტსა ა დ კეთილსა ...იოანე ბოლნ. ქადაგ. 34.

საკელროჲსა წესი ესრეთ გაეწესა რათა საშჳელსა არა ი ქ მ ო დ ი ნ, გარნა თუ უცხონი იყვნიან ანუ მშრომელნი ვინმე ... ათონ. ხელნ. 49.

რ ა არა **გურცხუენოდ-ი-ნ** (= რომ არ გვრცხვენოდეს):

... უპყრიეს მხიარულად პირი თჳსი: რ ა არა შეგუაშინნეს და გ უ რ ც ხ უ ე ნ ო დ ი ნ ჩ ნ ჩუენებად მისა წყალულებად იგი ჩუენი... იოანე ბოლნ. ქად. 8.

უკუეთუ **მოვიდოდ-ი-ნ** (= თუ მოდიოდეს, მოვიდეს):

... უკუეთუ ესე ადგილისა მრორინენი მონაზონნი მ ო ვ ი დ ო დ ი ნ, უკუეთუ მწუხრსა მოვიდენ, ისერონ და სამხარი ჰამონ... და დაუმოწმე, რომელ უჟამოდ არა მ ო ვ ი დ ო დ ი ნ... ათონ. ხელნ. 49.

ყველა ზემოხსენებულ მაგალითებში S_3— **-ნ**-ს წინ უძღვის **-ი-**: ნათობდინ, ბრწყინევდინ, იხარებდინ, გაქუნდინ, იქმოდინ...

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ნამყო უსრული ხოლმეობითი (პერმანსივი) დაირთავდეს **-ნ** სუფიქსს, რ ა ც ამ ნამყო უსრულს კავშირებითის მაგიერობის გაწევა უხდება.

უინო ფორმები (ნათობდ-ნ. იხარებდ-ნ, იქმოდ-ნ) არა გვხვდება, ე. ი. გამოდის, თითქოს ნამყო უსრული, თუ ის ხოლმეობითი არ არის, **-ნ-** სუფიქსს არ დაირთავდეს, სხვანაირად რომა ვთქვათ: ის ისე ძველი არ უნდა იყოს, როგორც ხოლმეობითი.

მაგრამ სანამ ასეთ დასკვნას გავაკეთებდეთ, უნდა გაირკვეს, ხომ არ არის ჩვენთვის საინტერესო **-ი-** მრავლობითის ანალოგიით გაჩენილი: ვიხარებდ-ი-თ, იხარებდ-ი-თ... ვიქმოდ-ი-თ, იქმოდ-ი-თ ყოველთვის **-ი-**ს დაირთავს, სულ ერთია, იქნება ნამყო უსრული ხოლმეობითი თუ არა: ვიხარებდთ, იხარებდთ— ფონეტიკურად აუტანელ კომპლექსს იძლევა. მაგრამ რაღა **-ი-**ს დაეკისრა ამ თანხმოვნების გათიშვა?

აქ ისევ აორისტის ხოლმეობითის **-ი-**ს უნდა დავუბრუნდეთ: ან **-ი-**ანი წარმოება, ხოლმეობითი, უფრო ძველია ნამყო უსრულში, ანდა, თუ ის ისტორიულად უპირატესი არ არის, საანალოგიო მასალას (**-ი-**ს) ხოლმეობითი ნამყო აწვდის ნამყო უსრულს არახოლმეობითის შინაარსისას.

ვფიქრობთ, მეორე შესაძლებლობაა სინამდვილესთან უფრო ახლოს. მართალია, ფაქტი ისაა, რომ **-ნ-**იან ნამყო უსრულს მესამე პირი მხოლოდ ხოლმეობითის წესზე აქვს გაწყობილი, უინო წარმოება აქ ისევე შეუძლებელია,

როგორც აორისტში -დ-თი ნაწარმოებ ზმნებთან ვნებითი გვარისა: გამდიდრდინ, განმხიარულდინ, მოუძლურდინ (მაგ. იხ. ქვემოთ)[1].

მაგრამ არის ერთი კრიტერიუმი, რომლითაც შეგვეძლო კონტროლი გაგვეწია ნამყო უსრულია თუ არა ხოლმეობითი, -ნ-ს რომ დაირთავს. ვგულისხმობთ მრავლობითის მესამე პირს: თუ ხოლმეობითია ამოსავალი, აქ -ი-ედ- გვექნებოდა (იხარებდ-ი-ედ...), და არა -ედ (იხარებდ-ედ).

ამგვარი შემთხვევები სამწუხაროდ მცირეა, ისეთი მაგალითი, როგორიცაა: **იგლოვდედ**:

—შვილნი მისნი იგლოვედედ და ძირი მისი უპოვარ იყვენ (კიმენი, 201_{13})— შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც კავშირებითი I-ის მრავლობითის მესამე პირი: იგი იგლოვდენ — იგინი იგლოვდედ — და არა: იგი იგლოვდ-ი-ნ (= იგლოვდ-ა)—იგინი იგლოვდედ...

სამაგიეროდ მაგალითში, როგორიცაა:

ხᲝᲥნ გიყურდ-ედ მტერნი თᲝქნი კეთილსა უყოფდით და ავასხებდით... (ადიშ. ოთხთავი, ტაბ. 115 b_1), გიყურდედ = გიყუარდედ ნამყო უსრულის ძველებური -ედ-იანი მრავლობითი ჩანს — კავშირებითის მნიშვნელობით ნახმარი: მომდევნო ზმნები — უყოფდით, ავასხებდით — ამას ცხადყოფს. ამგვარად **გიყურდედ** არის **გიყუარდნ**-ის (= გიყუარდა)-ს მრავლობითი და არა **გიყუარდენ**-კავშირებითისა.

ამრიგად, იმ მაგალითების ჩვენება, რომლებშიაც ნამყო უსრულის ფუძეს **-ედ** სუფიქსი დაერთვის, **გარკვეულ შემთხვევებში** ისეთია, რომ გიყუარდინ... იხარებდინ და მსგავსი ფორმები ხოლმეობით ნამყო უსრულისა კი არ არის, არამედ ჩვეულებრივი ნამყო უსრულისა.

9. აქამდის განხილული მასალიდან ირკვევა, რომ **-ნ**, როგორც სუბიექტური სუფიქსი მესამე პირისა, ძვ. ქართულში დასტურდება **აწმყოში, ნამყო უსრულში და კავშირებითის პირველში**. ეგეც ითქმის **-ედ** სუფიქსის შესახებ, რომელიც მესამე პირთან მრავლობითობას აღნიშნავს, როცა მხოლოობითში S_3 -ნ არის.

როგორია საქმის ვითარება დრო-კილოთა მეორე ჯგუფში? -ნ სუფიქსი (და შესაბამისად -ედ) **იქაც გვხვდება**. არსებითად იმავე პირობებში, როგორშიაც ნამყო უსრულსა (და კავშირებით I-ში) მიმართავდა ძველი ქართული ამ ნ-ს.

რა მიმართებაშიცაა ნამყო უსრული და კავშირებითი I, ისეთსავე მიმართებაშია აორისტი და კავშირებითი II ერთმანეთთან: მთელ რიგ შემთხვევაში აორისტი ენაცვლება კავშირებითს მეორეს. სახელდობრ:

ა) **-ცა** ნაწილაკის დართვისას აორისტი კავშირებითი II-ის როლს კისრულობს:

ბ) მესამე პირის ბრძანებითის წარმოებისას ძვ. ქართულში აორისტია გამოყენებული, ახლა იქ კავშირებით მეორეს მიემართავთ (მაგალ. იხ. ქვ.).

[1] როგორც ცნობილია, ამგვარ ზმნებს პირველსა და მეორე პირში ყოველთვის ი- აქვთ: ვანემხიარულდი, განმხიარულდი... (შდრ. ვთქუ, სთქუ...).

აიხსნება ეს იმით, რითაც ნამყო უსრულისა და კავშირებითი I-ის ურთიერთობა (შენაცვლება) იხსნებოდა: ეს დრო-კილოები ერთი და იმავე წარმოების დიფერენციაციას წარმოადგენენ.

საფიქრებელია, რომ ეს დიფერენციაცია დრო-კილოთა მეორე ჯგუფში უფრო ადრე მოხდა, ვინემ დრო-კილოთა პირველ ჯგუფში. ეს დრო-კილოთა ისტორიის პრობლემას განეკუთვნება და მასზედ აქ არ შევჩერდებით.

აქ მხოლოდ შევამოწმებთ, რამდენად მართლდება S_3 **-ნ-** საკითხზე აორისტისა და კავშირებითი II-ის ურთიერთობის ის გაგება, რომელიც ზემოთ არის წამოყენებული.

დრო-კილოთა პირველ ჯგუფში—ნამყო უსრულში, კავშირებითს I-ში (ნაწილობრივ—აწმყოშიც) **ნ-** სუფიქსი ბრძანებითის მნიშვნელობით ნახმარმა ფორმებმა შემოგვინახეს ყველაზე მეტად.

აორისტშიაც მესამე პირს **-ნ-** სუფიქსი აქვს ბრძანებითში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სხვაგვარი წარმოება მესამე პირის ბრძანებითისა ძველმა ქართულმა არ იცის, დროთა პირველ ჯგუფში კი ნამყო უსრულით მესამე პირის ბრძანებითის გადმოცემა ერთად ერთი საშუალება სრულებითაც არ არის, იქ კავშირებითი I-იც ფართოდ არის გამოყენებული ამავე მიზნით. სხვანაირად რომ ვთქვათ, აორისტში უფრო ძველი ვითარებაა დაცული, ვინემ დრო-კილოთა პირველ ჯგუფში.

როგორ იწარმოება მესამე პირის ბრძანებითი (დადებითი ფორმა!) აორისტისაგან? ესაა **აორისტის მესამე პირი**, განსხვავებული ჩვეულებრივი მესამე პირისაგან **-ნ- სუფიქსის** გამოყენებით (ა, ო-ს ნაცვლად).

ყავ-ნ (=ყოს):

... უფალმან ყავნ ნებაჲცა გულისა ჩემისაჲ... გრიგ. ხანძთ. $ქმ_{18}$ ზევ.

... რ~ლსა უყუარდე მე, უვარ ყავნ თავი თჳსი... იოანე ბოლნ. ქად. 58.

იყავ-ნ (=იყოს):

... ოქროჲ და ვერცხლი შენი შენთანვე იყავნ... აბო ტფილ. 25.

... და იყავნ ჴელი შ~ი მაცხოვრად ჩ~ნდა... იოანე ბოლნ. 87.

... იყავნ ნათელი... ჩუენ ზ~ა... გრიგ. ხანძთ. $ი_3$ ქვ.

გუეყავ-ნ (=გუეყოს, გადაგეექცეს):

... და გუეყავნ ჩ~ნ წყალი ესე... განმანათლებელ გულთა... კიმენი, 56_{21}.

მეყავნ (=მეყოს, გადამექცეს, გამიხდეს):

... ჰ~ქა მას სირცხვილი ესე მეყავნ მე... კიმენი, 8_{20}.

... მეყავნ მე მსგავსად სიტყჳსა შენისა... კიმენი, 181_{21}.

... მეოხებაჲ თქუენი მარადის შემწე მეყავნ ჩ~ნ ...გრიგ. ხანძთ. $ჲბ_3$ ზევ.

გეყავ-ნ (=გეყოს):

... კმა გეყავნ როჩიკი თ~ქნი... ადიშ. ოთხთ. ტაბ. 108 b_4.

ეყავ-ნ (=ეყოს):

... წჳიდათა ოხაჲ მარადის შემწე ეყავნ მას აქა და საუკუნოდ... გრიგ. ხანძთ. $ჲთ_{19}$ ქვ.

დაიყავ-ნ (=„დაიყოს“):

... დაიყავნ პირი შენი... ათონ. ხელნაწ. 32.

აღიძარ-ნ (=აღიძრას):

... დაჰბერეთ ნესტუსა სოფლისა საფუძველთა, აღიძარნ ზღუაჲ სავსებითურთ... ძვ. სასულ. პოეზ. **სიბ**$_{13}$ ქვ.

... იხარებენ ცანი მაღალნი და განსცხრებოდენ ქუეყანაჲ, აღიძარნ ზღუაჲ... იქვე, **სვ**$_{13}$ ზევ.

აღიღე-ნ (=აღიღოს):

... რ[ლთა უნებს შემოდგომად ჩემდა უვარ ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი დღითი დღედ და მომდევდინ მე... ადიშ. ოთხთავი ტაბ. 123a$_3$. იხ. აგრეთვე: იქვე, ტაბ. 82 b$_1$; იოანე ბოლნ. 58.

ბრძანე-ნ (=ბრძანოს):

... აწ ბრძანენ სიწმიდემან შენმან მეფობისა ჩუენისაგან მსახურებაჲ ღირსებისა შენისაჲ... გრიგ. ხანძთ. **კმ**$_{13}$ ქვ.

... არამედ ბრძანენ ჴელმწიფებამან შენმან და მოეიდენ იგინი ჩუენდა... იქვე, **კზ**$_5$ ზევ.

... აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყჳაჲ, რომლისა მიერ დაებუროს წმიდაჲ ეკლესია... ათონ. ხელნაწ. 302.

ადიდე-ნ (=ადიდოს):

... უფალმან ორითაეე ცხორებითა ადიდენ ვითარცა დიდი კოსტანტინე... იქვე, 320.

დაამყარე-ნ (=დამყაროს):

... რომლისა ლოცვითა დაამყარენ ღმერთმან ... მეფობა შენი... იქვე, 331.

მიაგე-ნ (=მიაგოს):

... რომელთა იგი დიდად აღგჳპყრეს ჴელი წყალობისაჲ, ათას წილად მიაგენ უფალმან... იქვე, 64.

გუაკურთხე-... აღგუაორძინე-ნ (=გუაკურთხოს... აღგუაორძინოს):

... მამათა ჩუენთა ... და სათნოთა ძმათა ჩუენთა... მადლითა და ლოცვითა გუაკურთხენ და აღგუაორძინენ უფალმან... იქვე, 67.

განამართლე-ნ... შეამკე-ნ (=განამართლოს... შეამკოს):

... ქრისტემან სრულიად შეამკენ მადლითა მისითა და განამართლენ წინაშე მისსა საუკუნოდ ...მაკარი... გრიგოლ ხანძთ. **პ**$_{17}$ ზევ.

დაამტკიცე-ნ (=დაამტკიცოს):

... დაამტკიცენ ქრისტემან ყოველისა შემძლებელმან ქებისა ბრძანებაჲ ეგჳ... იქვე, **თ**$_{17}$ ზევ.

დაიჯერე-ნ (=დაიჯეროს):

... დაიჯერენ სიწმიდემან შენმან... [ჰამბავი|... იქვე, **ჲდ**$_{11}$ ქვ.

დაგიმკვდრე-ნ (=დაგიმკვდროს):

... ქრისტემან... საუკუნოჲ დიდებაჲ... დაგიმკვდრენ კეთილთა თანა შვილთა... იქვე, **ივ**$_4$ ქვ.

ჰკითხე-ნ მათ (=ჰკითხოს მათ):

... და რომელსა ჰნებავს გულის ხმის ყოფაჲ, თუ რა შეემთხჳა იერუსალჳმელთა. ჰკითხენ მათ... წარტყუენ. იერუსალ. **ჲა**$_8$.

აღგაშენე-ნ (=აგაშენოს):

... უფალმან... აღთქუმისაებრ აღგაშენენ შენ... იქვე, **ლზ**$_5$.

განკურნე-ნ (=განკურნოს):

... არცა მას ვსწყევ ქრისტემან... გ ა ნ კ ურ ნ ე ნ სულით და ჯორცით... გრიგ. ხანძთ. ნთ$_{17}$ ქვ.

დაემორჩილე-ნ (=დაემორჩილოს):

... სულები წინაჲსწარმეტყუელთაჲ წინაჲსწარმეტყუელთა დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ე ნ ო... გრიგ. ხანძთ. ჲ$_{11}$ ზევ.

ესიძე-ნ... აღუდგინენ (=ესიძოს... აღუდგინოს):

... მო-თუ-ვინმე-კუდეს უშვილოჲ ე ს ი ძ ე ნ მას ძმაჲ მისი და ... ა ღ უ დ გ ი ნ ე ნ თესლი ძმას მას თჳსსა... ადიშ. ოთხთავი. ტ. 48ჲ$_1$.

მეწიე-ნ (=მეწიოს):

... მსწრაფლ მ ე წ ი ე ნ ჩუენ წყალობაჲ შენი... წარტყუენ. იერუსალ. კ$_2$.

განგიმზადე-ნ (=განგიმზადოს):

... ღმერთმან გ ა ნ გ ი მ ზ ა დ ე ნ შენ პური ცხოვრებისაჲ ზეგარდამო... კიმენი, 194$_{34}$.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ -ე-თი წარმოებული აორისტი სამსავე პირში ინარჩუნებდა ამ ე-ს:

მე ვ-ადიდ-ე	ე-ბრძან-ე
შენ ადიდ-ე	ჰ-ბრძან-ე
მან ადიდ-ე-ნ	**ბრძან-ე-ნ**
ჩუენ ვადიდ-ე-თ	ვ-ბრძან-ე-თ
თქუენ ადიდ-ე-თ	ჰ-ბრძან-ე-თ
მათ ადიდ-ე-დ	**ბრძან-ე-დ**

ამ -ნ-ს წინ -ი- უძღვის ყველა იმ შემთხვევაში, როცა ბოლოს აღმოჩნდება ძირეული თუ სუფიქსეული დ, ნ, რ (ხშირად ც, გ და ვ-ც):

მო-ვედ — მოვედ-ი-ნ (მოსალოდნელი იყო: მოვედ-ნ)

გრწმენ-ა — გრწმენ-ი-ნ (და არა: გრწმენ-ნ)

შენ ჰყავ- იგი — ჰ-ყვ-ენ იგინი: მან ყვ-ენ-ი-ნ იგინი...

წარვედ-ი-ნ... შევედ-ი-ნ (=წარვიდეს... შოვიდეს):

აღხუტყორცებ ტყავსა ამას ზე აერთა.

წ ა რ ვ ე დ ი ნ და შ ე ვ ე დ ი ნ ეკლესიასა არხიას ქალაქისასა... ივ. ჯავახიშვილი, ხანმეტი ტექსტების ნიმუშები, ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. II, 391.

...რ ̃ლსა სწყუროდის მ ო ვ ე დ ი ნ ჩემდა... იოანე ბოლნ. 24.

...გ ა მ ო ვ ე დ ი ნ სიძ̃ ეზოჲსაგან თჳსისა... იქვე, 24.

...ამას ჯერსაღა მ ო ვ ე დ ი ნ აპოლონ და გ ა ნ გ ა რ ი ნ ე ნ შენ... კიმენი, 141$_{16}$.

მოკუედ-ი-ნ (=მოკუდეს):

ღაღად ყვეს ურ ̃ლა სარკინოზთა... ანუ მ ო კ უ ე დ ი ნ მონაზონი ანუ მოვწყდეთ სარკინოზნი... კიმენი, 171$_9$.

... შეაგდე იგი სატანჯველსა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუჯენისაჲ, უკუეთუ არა, მ ო კ უ ე დ ი ნ იგი... აბო ტფილელი, 23.

შემომიდეგ-ი-ნ (=შემომიდგეს):

... რომელსა უყუარდე მე — ღვარ ყავნ თავი თჳსი და შ ე მ ო მ ი დ ე გ ი ნ მე... იოანე ბოლნ. 58.

მიცე-ი-ნ (=მისცეს):

... ქრისტემან განსუენებაჲ მ ი ე ც ი ნ მათ... გრიგოლ ხანძთ. **ლგ**$_4$ ქვ.

მოგეც-ი-ნ... მომეც-ი-ნ (=მოგცეს... მომცეს):

... მ ო გ ე ც ი ნ უფალმან შრომისა თქუენისა სასყიდელი... გრიგოლ ხანძთ. **ოზ**$_1$ ზევ.

... ღ ნ მ ო მ ე ც ი ნ მე სიბრძნჱ... სახისა სიტყ. 42$_{24}$.

... და მ ო გ ე ც ი ნ ქრისტემან დიდებაჲ სრული... გრიგოლ ხანძთ. **ლბ**$_{11}$ ქვ.

მოიქეც-ი-ნ (მოიქცეს):

... მშჳდობაჲ იგი თ ქნი თქ ნდაჳ მ ო ი ქ ე ც ი ნ... ადიშ. ოთხთ. ტ. 20a$_2$.

დაიცევ-ი-ნ... დაგიცევ-ი-ნ (=დაიცვას, დაგიცვას):

... ქრისტემან უმეტჱსად დიდებით დ ა ი ც ე ვ ი ნ მეფობაჲ შენი... იქვე **იგ**$_6$ ქვ.

... მშჳდობაჲ შენდა. დიდებულო ქუეყანაო... დ ა გ ი ც ე ვ ი ნ შენ ქრისტემან მშჳდობით ... წარტყუენ. იერუსალ. **ლვ**$_{22}$.

დაშრტ-ი-ნ (=დაშრტეს):

დ ა შ რ ტ ი ნ საჴმილი იგი გეჰენისაჲ... კიმენი, 201$_8$.

დაადგერ-ი-ნ (=დადგეს, დაისადგუროს):

... მოვედინ ო ი... განვიწმედ საცნობელთა ჩემთა. დ ა ა დ გ ე რ ი ნ მას შ ა... კიმენი, 182$_9$.

განიხრწენ-ი-ნ (=გაიხრწნეს):

... ჴ ლსა ჟამსა გ ა ნ ი ხ რ წ ე ნ ი ნ და განეშორენ უჩინოთაგან სულთა შენთა. სიძეაჲ მრუშებაჲ თაჳჴედებაჲ... სახისა სიტყ. 30$_{18}$ ქვ.

გარდამოჰსენ-ი-ნ (=გარდამოხსნას):

... და გ ა რ დ ა მ ო ჰ ს ე ნ ი ნ ეგე ღმერთმან თჳსმან აპოლონ... კიმენი, 141$_{10}$.

მიჰსენ-ი-ნ (=მიხსნას):

... სადა არს ბუნებაჲ ცეცხლისაჲ და ძალი მზისაჲ მოვედინ შემწედ მსახურისა თჳსისა და მ ი ჰ ს ე ნ ი ნ მე აწ ჟამსა ამას ჰირისასა... წარტყუენ. იერუს. **ნგ**$_{10}$.

იქმნენ-ი-ნ (=იქმნეს):

... ი ქ მ ნ ე ნ ი ნ განკურნებულ ჴელნი შენნი... გრიგ. ხანძთ. **ნე**$_6$ ქვ.

გრწმენ-ი-ნ (=გრწამდეს **იხ**...): შდრ. -ა სუფიქსით აორისტი: **გრწმენ-ა**.

... და ნუ იყოფი ურწმუნო: ა დ გ რ წ მ ე ნ ი ნ... იოანე ბოლნ. 81.

... გ რ წ მ ე ნ ი ნ ჩემი. ჴეშმარიტსა ვიტყჳ... გრიგოლ ხანძთ. **ნბ**$_2$ ქვ.

... რ ნი ურწმუნო ხართ მოვედით ჩემდა და გრწმენინ ჩემი... იოანე ბოლნ. 24.

... იხილეთ აწ და გ რ წ მ ე ნ ი ნ განხრწნილთა განახლებაჲ... ძვ. სასულ. პოეზია **სპგ**$_{13}$ ზევ.

დაგიცვენ-ი-ნ (=დაგიცვას მან თქუენ):

... და მშჳდობამან უფლისამან დ ა გ ი ც ე ვ ე ნ ი ნ თქუენ... აბო ტფილ. 29.

გაკურთხენ-ი-ნ (=გაკურთხოს მან თქუენ):

... გ ა კ ურ თ ხ ე ნ ი ნ ყოველნი პირმან ქრისტჱსმან... გრიგოლ ხანძთ. **ოვ**$_{15}$ ქვ.

აღადგინენ-ი-ნ (=აღადგინოს მან იგინი):

... უკუეთუ შემძლებელ არს იგი... ძიეედინ და **აღადგინენინ** შვილნი იგი შენნი... კიმენი, 147_{17}.

გუყვენ-ი-ნ (=გვყოს მან ჩვენ):

... უფალმან მოგვბოძენ და ღირს **გუყვენინ** ჩუენ...გრიგოლ ხანძთ. $ჳგ_{12}$ ქვ.

დ- სუფიქსით ნაწარმოებ ვნებითებს აორისტის პირველსა და მეორე პირში **-ი**- ყოველთვის აქვთ, მესამე პირში კი—არა; **-ნ**- სუფიქსის წინ **-ი**- აქ, მესამე პირში, უცილობლად წარმოგვიდგება; ასეთ პირობებში აორისტი და იმავე ფუძის ხოლმეობითი ერთმანეთისაგან აღარ გაირჩევა (მხოლოობითში).

განახლდ-ი-ნ (=განახლდეს):

... დაეითმან თქუა. **განახლდინ** ე᲋ ორბისა სიჰაპუკ᲋ შენი... სახისა სიტყ. 13_1 ზევ.

აღმომიცენდ-ი-ნ (=აღმომიცენდეს):

... იფქლისა ჩემისა წილ **აღმომიცენდინ** მე ქრთილი... იქვე, 20_{16} ზევ.

განმხიარულდ-ი-ნ (=განმხიარულდეს):

... ცანი განათლდით. ქუეყანაჲ **განმხიარულდინ**... ძვ. სასულ. პოეზია. **ტპბ**$_7$ ქვ.

მოუძლურდ-ი-ნ (=მოუძლურდეს):

... იძლიენ ძნელი იგი. **მოუძლურდინ** მღჳმ᲋ იგი... კიმენი, 201_6.

განკეთრდ-ი-ნ (=განკეთრდეს):

... ეშმაკსა პირი დაეყავნ. სატანაჲ **განკეთრდინ**... იქვე, 201_{11}.

აღატყდ-ი-ნ (=აღატყდეს):

...გულის წყრომაჲ მისი **აღატყდინ**... იქვე, 201_{13}.

განქარდ-ი-ნ (=განქარდეს):

... სატანჯველი მისი **განქარდინ**... იქვე, 201_{13}.

ნ-ს წინამავალი **-ი**- არ უნდა იყოს ხოლმეობითის სუფიქსი; ამას გვაფიქრებინებს ჯერ ერთი ის, რომ ამ **-ი**-ს დართვა ფუძის შეკუმშვას არ იწვევს, ხოლმეობითის **-ი**- კი რედუქციას იწვევს; შდრ.: **იქმენ-ი-ნ** (იხ. აქვე ზემ.); ხოლმეობითი: იქმნ-ი-ს... იქმნი... ვიქმნი...

გარდა ამისა მრავლობითში **-ედ** სუფიქსის წინ **-ი**- არა გვაქვს; გარკვეულ შემთხვევაში უთუოდ უნდა გექონოდა, თუ ხოლმეობითის **-ი**- იქნებოდა **ნ**-ს წინ მოქცეული **-ი**:

... ეშმაკნი **შეძრწუნდედ**. მთავრობანი და ძალნი **დაეცნედ**... კიმენი, 201_{10}. თუ სუბიექტს მხოლოობითში დავსვამდით, გვექნებოდა:

... ეშმაკი **შეძრწუნდინ**... ძალი **დაეცინ** (შდრ. „**მიეცინ**... **მოგეცინ**“ აქვე ზემოთ, გვ. 32).

ამგვარად, ეს **-ი**- მრავლობითის მესამე პირში არა ჩანს; უნდა კი ჩანდეს, თუ ხოლმეობითისად დავსახავთ: შეძრწუნდ-ი-ს—შეძრწუნდ-ი-ან...

დაეც-ი-ს — დაეცნ-ი-ან...

ამით იმ -ი-ს საკითხსაც ვუპასუხებთ, ნამყო უსრულში რომ გექონდა -ნ-ს წინ: გუაქუნდ-ი-ნ, იქმოდ-ი-ნ, იშუებდ-ი-ნ, იხარებდ-ი-ნ...

ხოლმეობითისა არც ეს ი-ა, იგი ამ ხოლმეობითის ი-ს ანალოგიითაა განვითარებული, მაგრამ მისი ფონეტიკური თვისებები და გავლენის უნარი აკლია.

10. კი მაგრამ:

1. არის თუ არა მოვედი-ნ, იყავ-ნ, ადიდე-ნ და მსგავს ფორმათა -ნ იგივე სუფიქსი, რაც აწმყოში და მისგან ნაწარმოებ დროებში აღმოჩნდა?

2. თუ -ნ მესამე პირის ნიშანია, თუ -ნ-იანი ფორმა მესამე პირია, რატომაა დაცული შეუკუმშავად ფუძე ზმნებში: იყავ-ნ, მოკუედი-ნ, შემომიდეგი-ნ, დაიცავი-ნ და სხვ. კერძოდ, რატომ გვაქვს **მოვედ-ი-ნ**, როცა მესამე პირში **ვიდ-** არის ფუძე: **მოვიდ-ა**?

პირველ კითხვაზე პასუხი დადებითი იქნება; მთავარი საფუძველია მრავლობითის მესამე პირთან **-ედ** სუფიქსის გამოყენება **-ნ**-ს შესაბამისად: მხოლობითში S_3 — -ნ, მრავლობითში — -**ედ** (რიცხვის ნიშანი), სწორედ ისევე, როგორც აწმყოსა და ნამყო უსრულში იყო:

აწმყო:	ადიდებ-**ნ** იგი მას	ადიდებ-**ედ** იგინი მას
ნამყო უსრ.:	ადიდებდ-ი-**ნ** იგი მას	ადიდებდ-**ედ** იგინი მას
ნამყო ძირით. (აორისტი):	ადიდ-ე-**ნ** მან იგი	ადიდ-**ედ** მათ იგი...

მაგალითები ტექსტებიდან:

იყავ-ნ — იყვნ-ედ:

... სადაცა საუნჯენი მუნცა იყვნედ გ˘ლნი თჳ˘ნი... იოანე ბოლნ. 67.

დაგეყავ-ნ — დაგეყვნ-ედ:

ნუ იყოფინ შენდა კეთილო ჶ ეშმაკო განუცხოებულო ჰეშმარიტებისაგან დაგეყვნედ თუალნი ეგე შენნი... კიმენი, 159_{12}.

დადუმენ-ი-ნ — დადუმნ-ედ || დადუმ-ედ:

... უკუეთუ არა იყოს თარგმანი, დუმენინ... დედანი თქუენნი ეკლესიასა შინა დუმნედ... „სამოციქულო“, საქართ. მუზ. წ. კ. ფონდ. № 1138, 79_1.

... დადუმედ ენანი ღმრთის მბრძოლთანი და პირი იგი მგმობარი მწვალებელთაჲ დაიყავნ... ძვ. სასულ. პოეზია, გვ. $სიგ_{14}$ ზევ.

გამოჩნდი-ნ — გამოჩნდ-ედ:

... და თქუა: გამოჩნდედ დიდებანი შენნი ო˘ და საცნაურ იყვნედ ძალნი და სასწაულნი შენნი... კიმენი, 147_{25}.

მივედი-ნ — მივიდედ:

... მივედინ და აღადგინენინ შვილნი იგი შენნი და მივიდედ მის თანა მცველნიცა იგი საპყრობილისანი მის... კიმენი, 147_{18}.

შეძრწუნდ-ედ... დაეცნ-ედ... ეგნედ...

... დაშრტინ საჴმილი იგი... დაჴენინ ურცხჳნოჲ იგი. ანგელოზთა შეეშინენ. ეშმაკნი შეძრწუნდედ. მთავრობანი და ძალნი დაეცნედ. მარჯუენითნი ადგილნი ვ˘ემდეგე ეგნედ. მარცხენითნი ნუმცა ჰგიან... კიმენი, 201_{8-11}.

მიგეტევი-ნ — მიგეტევნედ:

და ჰრქუა მას კაცო მ ი გ ე ტ ე ვ ნ ე დ შენ ცოდვანი შენნი... ადიში ტ. 113a$_1$.

საინტერესოა **-ედ**-იანი ფორმის ხმარება „რაჲთა“-ს შემდეგ:

ძმანო უფროჲს არს ესჳ ყოველთა სათნოებათა თქუენთა რაჲთა თუალნი თქუენნი ი ყ უ ნ ე დ მარადის ამათ ზედა... გრიგ. ხანძთ. **კვ**, კვ.

ახლა — მეორე კითხვის შესახებ. **-ნ-** სუფიქსი, აორისტში რომ გვაქვს და ბრძანებითის მესამე პირს რომ აწარმოებს, მართლა მესამე პირია აორისტისა თუ არა? კითხვა უცნაური ჩანს: თუ **-ნ** მესამე პირის ნიშანია და თუ ეს **ნ**-იანი ფორმა (იყავ-**ნ**. ადიდე-**ნ**, აღიღე-**ნ**...) მესამე პირის ბრძანებითის გამომხატველია, როგორღა შეიძლება ის არ იყოს მესამე პირი? მესამე პირის ნიშანი, ცხადია, მხოლოდ მესამე პირში შეიძლება იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა მესამე პირის ნიშანი.

აქამდის რაც ითქვა, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ **-ნ** სწორედ მესამე პირის სუბიექტის აღმნიშვნელია, უძველესი ფორმაციისა სალიტერატურო ქართულში.

მაგრამ, თუ ეს ასეა, რატომ გვაქვს ურედუქციო ფორმები: იყავ-ნ, მოკუედ-ი-ნ, შემომიდეგ-ი-ნ, მიეც-ი-ნ, დაიცევ-ი-ნ, დაადგერ-ი-ნ, მიჴსენ-ი-ნ და სხვა. მესამე პირში ჩვენ ჩვეული ვართ ხმოვან-ამოღებულ ფუძეს: მოკუდ-ა, შემომიდგ-ა, მისც-ა, დაიცვ-ა, დაადგრ-ა, მიჴსნ-ა... ურედუქციო ფორმები კი პირველსა და მეორე პირში გვაქვს: მო-ჰ-კუედ, შემო-მი-დეგ, მი-ეც-, დაი-ცევ, დაა-დგერ, მი-ჴსენ...

ახსნა მარტივია: რედუქცია მესამე პირში გამოწვეულია **-ა** ხმოვნით, ე. ი. მესამე პირის სუბიექტის სუფიქსით; ეს ბუნებრივია.

ასევე ბუნებრივია, რომ იმავე მესამე პირში ფუძე შეუკუმშავად დარჩეს, როცა მას **-ნ-** სუფიქსი ერთვის სუბიექტის ნიშნად:

S_3 — **-ა**: მე ვიყავ, შენ იყავ, იგი ***იყავ-ა** → ***იყვ-ა** → **იყო**:
S_n — **-ნ**: მე ვიყავ, შენ იყავ, იგი **იყავ-ნ**:

მესამე პირში იყავ- ფუძე უკვე აღარაა ვარსკვლავით აღსანიშნავი: იგი რეალურადაა მოცემული იყავ-ნ-ში.

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, სადაც **-ნ-** სუფიქსს **-ი** უძღვის წინ (შემომიდეგ-**ი-ნ**, დაადგერ-**ი-ნ**, მიჴსენ-**ი-ნ**...), ეს **-ი** მხოლოობითში ისევე არ იწვევს ხმოვნის ამოღებას, როგორც მრავლობითის პირველსა და მეორე პირში— ზმნებში: მოვკუედ-**ი-თ**, მოჰკუედ-**ი-თ**... მი ვეც-**ი-თ**, მი-ეც-**ი-თ**... დაედეგ-**ი-თ**, დასდეგ-**ი-თ**. ამ მხრივ ეს **-ი** არსებითად განსხვავდება ხოლჰეობითის **ი**-საგან: ეს უკანასკნელი ყველა პირში იწვევს ფუძის შეკუმშვას[1]:

---

[1] ამის შესახებ იხ. ავტორის წერილი: „რით არის აღნიშნული მრავლობითის სახელობითში დასმული MO ძვ. ქართულ ხმნაში?“ ტფილ. უნივერ. მოამბე, ტ. IX, 1929. გვ. 107 და შემდ.

მოვკუდ-ი, მოჰკუდ-ი, მოკუდ-ი-ს... მოვკუდ-ი-თ, მოჰკუდ-ი-თ, მო-კუდ-ი-ან..
მივსც-ი, მისც-ი, მისც-ი-ს... მივსც-ი-თ, მისც-ი-თ, მისც-ი-ან...
დავდგ-ი, დასდგ-ი, დადგ-ი-ს (იგი)... დავდგ-ი-თ, დასდგ-ი-თ, დადგ-ი-ან (იგინი)...

ცალკე განხილვას საჭიროებს „**მოვედ-ი-ნ**". ამ ზმნას მესამე პირში ფუძე ეცვლება: მო-**ვედ**, მო-ხ-**ვედ** — მო-**ვიდ-ა**.

-ნ-იანს ფორმაში **ვედ-** არის: მო-**ვედ**-ი-ნ, ე. ი. არის არა მესამე პირის ფუძე, არამედ მეორე პირისა (და პირველი პირისა) — **ვედ**; სხვანაირად რომ ეთქვათ, ბრძანებითი მესამე პირისაგან არ იწარმოება. — ასეთია პირველი შთაბეჭდილება.

მაგრამ ამ შთაბეჭდილებას აქარწყლებს მრავლობითი: მო-**ვიდ**-ედ იგინი (და არა: მო-**ვედ**-ედ იგინი! თუმცა პირველსა და მეორე პირში მრავლობითში ისევ **ვედ-** გვაქვს და არა **ვიდ-**).

მრავლობითის ჩვენება ეჭვმიუტანელს ხდის, რომ **ბრძანებითის მესამე პირი მხოლოდ მესამე პირს ემყარება, ის მეორე პირისაგან ნაწარმოები არ არის.**

ამიტომ მოვედ-ი-ნ ფორმაზე დაყრდნობით წესი კი არ უნდა გამოვიმუშაოთ — ბრძანებითი მესამე პირისა იწარმოება მეორე პირისაგან, — **არამედ თვით ეს მოვედ-ი-ნ უნდა ავხსნათ დადგენილი წესის საფუძველზე.** და ეს ახსნა იმავე ხასიათისა იქნება, როგორიც ურედუქციო იყავ-ნ, მოკუედ-ი-ნ, დაიცევ-ი-ნ და მაგგვ. შემთხვევათათვის იყო მოცემული: არც **-ნ**- სუფიქსი, არც წინამავალი **-ი-** არავითარ გავლენას ფუძისეულ ხმოვანზე არ ახდენს. გასარკვევად გვრჩება:

როგორ მიეღეთ: მო-**ვიდ-ა**? ფუძისეული **ე** → **ი** სუფიქსეული **-ა**-ს ზეგავლენით; **ე**-ს რედუქცია მის დაეიწროებაში მდგომარეობს.

მრავლობითის მესამე პირში სუფიქსისეული **-ე** იწვევს ფუძისეული **ე**-ს **ი**-დ დავიწროებას: მოვედ-ი-თ, მოხვედ-ი-თ, მოვიდ-ეს...

ნამყო ხოლმეობითში **ვიდ-** გვაქვს ყველა პირში ფუძედ: ამის მიზეზია ხოლმეობითის **-ი**; მის ზეგავლენითაა, რომ **ე** → **ი**:

მოვიდ-ი, მოხვიდ-ი, მოვიდ-ი-ს... მოვიდ-ი-თ, მოხვიდ-ი-თ, მოვიდ-ი-ან...

ამგვარად, **ვედ- ფუძე იქცევა ვიდ- ფუძედ -ა, -ეს, -ი სუფიქსების ზეგავლენით** (მრავლობითის პირველსა და მეორე პირში — მოვედ-ი-თ, მოხვედ-ი-თ — გვაქვს აგრეთვე **-ი-**, მაგრამ იგი ფუძისეული ხმოვნის რედუქციას ვერ იწვევს: იგივე **-ი-ა**, რაც გვქონდა მოკუედ-ი-ნ, ეც-ი-ნ, დაადგერ-ი-ნ და მაგგვარ ზმნებში).

ვედ- და **ვიდ-** ფუძეთა მონაცვალეობა **ფონეტიკური ვითარებით** აიხსნება, **მორფოლოგიური პროცესი** — სხვადასხვა პირობებში განსხვავებული ფუძეების გამოყენებისა — **აქ არა გვაქვს**. ასეთია დასკვნა, რომელსაც ვიღებთ **მოვედ-ი-ნ** და **მოვიდა**-ფორმათა ურთიერთობის კვალიფიკაციის ნიადაგზე.

მაგრამ თუ **ე**-ს რედუქცია **ი**-დ ფონეტიკური პროცესია, იგი **ვედ-** ზმნის გარდა სხვაგანაც უნდა დადასტურდეს. გვაქვს კი სხვა შემთხვევები ამავე რიგისა? გვაქვს; ესაა ფუძედრეკად ზმნებში აორისტის წარმოებისას:

გრეხ-ს — გრიხ-ა... გლეჯ-ს—გლიჯ-ა... დრეკ-ს — დრიკ-ა...
ადგენ-ს — ადგინ-ა... ავლენ-ს—აელინ-ა... არბევ-ს—არბივ-ა → არბი-ა..:

ყველა ამ ზმნას აორისტში და ხოლმეობითს ნამყოში დაერთვის სუფიქსები: -ე- დროის საწარმოებელი, -ი- ხოლმეობითისა, -ა მესამე პირის სუბიექტისა, -ეს მრავლობითობის ნიშანი მესამე პირში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჴედ- ზმნასთან ყველა ამათ შეუძლიათ მოგვცენ ე-ს რედუქცია ი-დ:

დაედრიკ-ე, დასდრიკ-ე, დადრიკ-ა || დადრიკ-ენ...
დაედრიკ-ე-თ, დასდრიკ-ე-თ, დადრიკ-ეს || დადრიკ-ედ...

ხოლმეობითი:

დაედრიკ-ი	დაედრიკ-ი-თ
დასდრიკ-ი	დასდრიკ-ი-თ
დადრიკ-ი-ს || დადრიკ-ი-ნ	დადრიკ-ი-ან || დადრიკ-ი-ედ

(ნამყო ძირითადი)

აღვადგინ-ე	აღვადგინ-ე-თ
აღადგინ-ე	აღადგინ-ე-თ
აღადგინ-ა || აღადგინ-ე-ნ	აღადგინ-ე-ს || აღადგინ-ედ

ხოლმეობითი:

აღვადგინ-ი	აღვადგინ-ი-თ
აღადგინ-ი	აღადგინ-ი-თ
აღადგინ-ი-ს || აღადგინ-ი-ნ	აღადგინ-ი-ან || აღადგინ-ი-ედ

ეს უნდა იყოს მიღებული: დ ა ე დ რ ე კ - ე... დ ა ე დ რ ე კ - ი... ა ღ ვ ა დ - გ ე ნ - ე... ა ღ ვ ა დ გ ე ნ - ი... და მსგავსი ფუძეებისაგან.

თუ ეს ასეა, რატომ აწმყოში -ენ სუფიქსის დართვისას არ ხდება რედუქცია? რატომ რჩება უცვლელად: გრეხ-ენ, გლეჯ-ენ. დრეკ-ენ, ადგენ-ენ, არბევ-ენ?

საფიქრებელია, იმიტომ, რომ აწმყოს წარმოება უფრო ახალი ფორმაციისაა და -ენ სუფიქსის გამოყენება ისეთი დიალექტური წრიდან მომდინარეობს, სადაც რედუქცია ისე ძლიერი არ უნდა ყოფილიყო.

არც იმ გარემოების უგულებელყოფა შეიძლება, რომ აწმყოში ხმოვნით დაწყებული სუფიქსი მხოლოდ და მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე პირში გვაქვს, და ამ შემთხვევაში, ამჟამად, არა თუ ე-ს ი-დ რედუქცია, არამედ უფრო მარტივი მოვლენა ხმოვნის ამოღებისა არათანამიმდევრობითაა წარმოდგენილი: დგამ-ენ || დგმ-ენ, ფარავ-ენ || ფარე-ენ, გორავ-ენ (|| გორე-ნ?), ცურავ-ენ || ცურე-ნ...

ამ საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება. ქართული აგლუტინაციური წყობის ენაა და ეს გვავალებს—იმ თავითვე ეჭვით მოვეკიდოთ ფუძის ფლექსიის ცალკეულ შემთხვევებს, რომლებიც აქა-იქ თაეს იჩენს, და შევამოწმოთ, ხომ არ არის **ეს ფლექსიურობა მოჩვენებითი ხასიათისა** (ისევე, როგორც, ვთქვათ, მრავლობ. 3 პ. აღნიშენის შემთხვევაში, სადაც, ერთი შეხედვით, ერთ სუფიქსს ორი ფუნქცია აქვს,—ანდა **-თა** სუფიქსის ხმარებისას სახელთა მრავლობითში, სადაც აგრეთვე მხოლოდ რიცხვის მაჩვენებელი სუფიქსი ამჟამად ბრუნვის ნიშანიც ჩანს).

11. ბრძანებითის მესამე პირის წარმოება აორისტისაგან და მესამე პირის ნიშნად **-ნ** სუფიქსის გამოყენება ამ შემთხვევაში შესაძლებლობას ქმნის ზმნის ძველი უღელილება ამ დროში შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ (ვიღებთ იმ ზმნებს, რომელთა **-ნ**-იანი ფორმანტები ზევით მოხსენებული იყო):

აორისტი (ნამყო ძირითადი):

მე	ვადიდ-ე...	მე	მოვუძლურ-დ-ი	მოვკუედ	ვიყავ
შენ	ადიდ-ე...	შენ	მოუძლურ-დ-ი	მოჰკუედ	იყავე
მან	ადიდ-ე-ნ...	იგი	მოუძლურ-დ-ი-ნ...	იგი მოკუედ-ი-ნ...	იგი იყავ-ნ
ჩუენ	ვადიდ-ე-თ...	ჩუენ	მოვუძლურ-დ-ით	მოვკუედ-ი-თ	ვიყვ-ენ-ი-თ
თქუენ	ადიდ-ე-თ...	თქუენ	მოუძლურ-დ-ით	მოჰკუედ-ი-თ	იყვ-ენ-ი-თ
მათ	ადიდ-ე-დ...,	იგინი	მოუძლურ-დ-ედ...	იგინი მოკუდ-ედ...	იგინი იყვ-ნ-ედ

ე-თი წარმოებული ზმნები (ვადიდ-ე, ვბრძან-ე, ვჰკითხ-ე, განვკურნ-ე, აღვაშენ-ე, დავამყარ-ე, დავამტკიც-ე...), როგორც ზევითაც იყო აღნიშნული (იხ. გვ. 31), ინარჩუნებენ ამ სუფიქსს მესამე პირშიაც.

ადიდ-ა, ბრძან-ა, ჰკითხ-ა, აღაშენ-ა, დაამყარ-ა... მიღებულია მაწარმოებელი **ე**-ს დაკარგვით **-ა** სუფიქსის (S_3) დართვისას, როგორც ეს ნავარაუდევი ჰქონდა ვარ. თოფურიასაც.

ამჟამად ეს რეალური ფაქტია, და არა ვარაუდი.

დ-თი ნაწარმოებ ვნებითში აორისტის მესამე პირი ხედება ხოლმეობითის მესამე პირს, უკეთ რომა ვთქვათ, ხვდება მესამე პირიც (პირველსა და მეორე პირში სხვაობა არ დასტურდება): ოღონდ S_3 **-ს**-ს ნაცვლად **-ნ** არის.

აორ.	მე განვმხიარულ-დ-ი	**ხოლმეობ.**	მე განვმხიარულდ-ი
	შენ განჰმხიარულ-დ-ი		შენ განჰმხიარულდ-ი
	იგი განმხიარულ-დ-ი-**ნ**		იგი განმხიარულდ-ი-**ხ**

ერთნაირია მრავლობითის პირველი და მეორე პირიც; განსხვავებას ადგილი ურჩება მხოლოდ მესამე პირში:

აორ. (ნამყო ძირით.): იგინი განმხიარულდ-ედ...
ხოლმ.: იგინი განმხიარულ-დ-ი-ან...

იმ ზმნებში, რომელთაც აორისტის საგანგებო მაწარმოებელი არ გააჩნიათ, აორისტი და ნამყო ხოლმეობითი გარჩეული აქვთ მაშინაც, როცა **ნ**- სუფიქსს წინ **-ი** უძღვის: აორისტში ეს **-ი** ფუძის შეკუმშვას არ იწვევს, ნამყო ხოლმეობითში ფუძის შეკუმშვა **-ი** სუფიქსის დართვის შედეგია:

აორ.: მოვკუედ	ვიქმენ	**ნამყო ხოლმ.**: მე მოვკუდ-ი		ვიქმნ-ი
მოჰკუედ	იქმენ	მოჰკუდ-ი		იქმნ-ი
იგი მოკუედ-ი-ნ	იქმენ-ი-ნ	მოკუდ-ი-ს...		იქმნ-ი-ხ...

12. აორისტის გარდა ნამყო ხოლმეობითშიაც დასტურდება S$_{ა}$ — **ნ** თითო-ოროლა შემთხვევაში:

მოიღ-ი-ნ:

|ხი|რეკდით და განგელო[ს] [თ]ქუენ. რ´ ყოველი რ´ი ხითხოვნ მ ო ი ღ ი ნ... ივ. ჯავახიშვილი, ტფ. უნიერ. მოამბე, II, გვ, 377.

დაშრტ-ი-ნ:

დ ა შ რ ტ ი ნ საჭმილი იგი გეჰენისაჲ... კიმენი, 201$_{ა}$.

მოიპოება თითო-ოროლა შემთხვევა **-ნ** სუფიქსის ხმარებისა თურმეობითს პირველშიაც — რ´ მოვიმკი სადა არა დავსთესი. და შეიკრიბი სადა არა გ ა ნ მ ი ბ ნ ე ვ ი ე ნ - - ადიშ. ტაბ. 55a_2, მაგრამ ეს პრინციპულად ახალს არაფერს წარმოადგენს (თურმეობითი აწმყოს ინვერსიული ვარიანტია გარდამავალ ზმნებში): მთავარია **-ნ**- სუფიქსის გამოყენება დროთა აწმყოს ჯგუფში და აორისტის (ნამყო ძირითადის) ჯგუფში.

13. მესამე პირის სუბიექტური სუფიქსი **-ნ**, ამრიგად, ძვ. ქართულს შემონახული აქვს:

აწმყოში, რომელსაც ამ შემთხვევაში ხოლმეობითის მნიშვნელობა აქვს ანდა **ნუ**- ნაწილაკის დართვით ბრძანებითის უარყოფითს ფორმას გადმოგვცემს;

კავშირებითს პირველში, რომელიც ბრძანებითი კილოს მესამე პირს აღნიშნავს;

ნამყო უსრულში, რომელიც კავშირებითს პირველს ენაცვლება ზემოხსენებული ფუნქციით;

აორისტში (ნამყო ძირითადში) და ნამყო ხოლმეობითში, რომლებიც ბრძანებითი კილოს მესამე პირის აღმნიშვნელად გვეელინებიან და ახლანდელი კავშირებითი მეორის მაგივრობას ეწევიან.

ეს **-ნ** სუფიქსი უძველესი სუფიქსია მესამე პირისა; იგი გამოყენებული იყო, როგორც დროთა მეორე ჯგუფში, ისე დროთა პირველ ჯგუფში — შემდგომი ხანების **-ა** სუფიქსისა და **ს-** სუფიქსის ნაცვლად:

შდრ.: აშენებ-ნ აშენებდ-ი-ნ აშენებდ-ე-ნ	იგი მას	აშენებ-ს აშენებდ-ა ‖ აშენებ-დ-ი-ს აშენებდ-ე-ს
აშენე-ნ აშენ-ი-ნ	მან იგი	აშენ-ა... აშენ-ი-ს...

პრეფიქსად ხმარებული პირის ნიშნები დროთა მიხედვით არ იცვლება: **ვ-, მ-, გ-, ხ-, ჰ-, ს-** პრეფიქსები ყველა დროში ერთნაირად იხმარება. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მესამე პირის სუბიექტის სუფიქსი, რომელიც აწმყოში, კავშირებით I, II, III-ში და ნამყო ხოლმეობითში — **ს-** სახითაა მოცემული, აორისტსა და ნამყო უსრულში **ა-ს** სახით (აორისტში **-ო** ვარიანტით)...

-ნ სუფიქსი მესამე პირისა გვარწმუნებს, რომ **მესამე პირის სუბიექტის სუფიქსიც დროთა მიხედვით არ იცვლებოდა,** — **აქ დაცული იყო ის ხაზი, რომელიც სხვა პირის აღმნიშვნელთა ხმარებაშია წარმოდგენილი.**

S_3-ისათვის სხვადასხვა ნიშნების ხმარება მერმინდელი მოვლენაა; თვით ნიშნები **-ს,** **-ა** ან სხვადასხვა ფორმაციისა ან სხვადასხვა დიალექტური წრისა (ანდა, რაც უფრო ნაკლებ არის მოსალოდნელი, სხვადასხვა ზმნებისთვისაა განკუთვნილი).

14. სხვა ქართველური ენების ჩვენებანი რომ გავითვალისწინოთ, გაირკვევა, რომ **-ნ** სუფიქსი მეგრულსა და ჭანურს მოეპოება, ოღონდ მარტოოდენ გარდაუვალ ზმნებში:

ჭან.: რე-ნ (არის)—რე-**ნ**-ან... (არიან)—ხე-**ნ** (ზის)—ხე-**ნ**-ან[1] (სხედან)
„ ულუ-**ნ** (ვალს)—ულუ-**ნ**-ან (ვლენან)... ტუბ-უ-**ნ**-ან—ტუბ-უ-**ნ**-ან

ეს **-ნ-** სუფიქსი ზმნას მრავლობითშიც გადაჰყვება: ქართულში **ნ-**სუფ. კი მრავლობითში აღარა ჩანს.

ეს სხვაობა იმდენად არსებითია, რომ კითხვას ბადებს: ხომ არ არის ზანურის **ნ-** სუფიქსი და ძვ. ქართულის **ნ-** სუფიქსი სხვადასხვა ოდენობა, მით უფრო, რომ **-ედ** მრავლობითში ზანურს არ გააჩნია; ანდა: თუ ეს **-ნ** ერთი და იგივე ოდენობაა, ხომ არ უნდა გვეფარაუდებინა, რომ იმ კილოს, საიდანაც **-ნ** ძვ. ქართულ სალიტერატურო ენაში შემოვიდა, **-ნ** მრავლობითშიც გადაჰყვებოდა.

ძნელია ამჟამად გადაჭრით თქმა, რომელი შესაძლებლობაა სინამდვილესთან უფრო ახლოს; ერთი შეხედვით,—მეორე; ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს:

[1] იხ. „ჭანურის გრამატიკული ანალიზი", § 22 (გვ. 89), § 28 (გვ. 101).

დგ-ა-ნ-ან ზმნის აგებულება; მრავლობითის **-ან** სუფიქსს აქ წინ უსწრებს **-ნ**, მესამე პირის სუბიექტური სუფიქსი:

მხოლ.: დგ-ა-**ს** || დგ-ა-**ნ**.
მრავლ.: დგ-ა-**ნ**-ან [1] || დგ-ა-**ნ**-ედ...

სალიტერატურო ენაში ახალი ფორმაციის **-ს**-სუფიქსის გამოყენების შემდეგ მრავლობითში შეგვენახა **-ნ**.

დგა-**ნ**-ან -ის რიგისა უნდა იყოს: სხ-ე-**ნ**-ან, ჰყვ-ა-**ნ**-ან, ჰ-ქო-**ნ**-ან (---*ჰ-ქუ-ა-**ნ**-ან), წვ-ა-**ნ**-ან...

მაგრამ ამ ფაქტების ჩვენება გაქარწყლდება, თუ გამოირკვეოდა, რომ ამ ზმნაში **-ნ** ზანიზმია.

ნ- სუფიქსის ვარიანტია **ლ**- აფიქსი სვანურში; იგი შემონახულია რამდენიმე ზმნაში:

1. **ლ**-ი (არის)
   ლ-ასუ (იყო)
   ლ-ესუ (იყოს)
2. **ლ**-ეგ (დგას)
   ლ-ეგან (იდგა)
3. ლა-**ლ**-ემ (შეეპარა)
4. ლა-**ლ**-ეშ ლაშხ. (დალია).

ვ. თოფურია სამართლიანად შენიშნავს: „**ლ**-ი, **ლ**-ეგ, **ლ**-ასუ (**ლ**-ესუ, **ლ**-ესეს), ლა-**ლ**-ემ და ლა-**ლ**-ეშ ზმნებში დაცული **ლ**- ნიშანი ნაშთად უნდა მივიჩნიოთ III სუბ. პირისა“ („სვანური ენა: I. ზმნა — § 1, გვ. 3)...

„... ზმნის სხვა დროში მოქცევით **ლ**-ს მდგომარეობა არ იცვლება..., რაც იმის მაუწყებელია, რომ **ლ**- არც დროის წარმოებას კისრულობს.. იგი მესამე პირის ფორმანტად ჩაითვლება“ (იქვე, § 1, გვ. 2).

ავტორის მტკიცება: „სვანურს ოდესღაც I და II პირის მსგავსად III პირისთვისაც გამოყენებული ჰქონია პრეფიქსი: იგი ყოფილა **ლ**-“ (იქვე, გვ. 3-4), კითხვას აღძრავს: თუ ზმნის უღვლილებაში S_3- **ლ**- ყველა ზმნას ჰქონდა, როგორღა მოხდა, რომ ის მხოლოდ რამდენიმეს შერჩა? ხომ არ იქნებოდა უფრო ბუნებრივი გვეფარაუდებინა, რომ სვანურმა ენამ სწორედ ისეთ დროს განიცადა გარდატეხა, როცა S_3- — **-ლ** ზმნის თავსართად დამკვიდრების პროცესში იყო.

მაგრამ, ასეა თუ ისე, სვანურის ჩვენება ეჭვმიუტანელს ხდის, რომ S_3- **-ლ** სვანურს მოეპოება; ესაა **ლ**- პრეფიქსი, და იგი აწმყოშიც შეიძლება იქნეს ხმარებული, ნამყო უსრულშიც, კავშირებითს I-შიც და აორისტშიც, ე. ი. S_3 პრეფიქსი დროთა მიხედვით ისევე არ იცვლება, როგორც **ნ**- სუფიქსი ქართულში.

ნ- სუფიქსთან შედარებით სვან. ლ- პრეფიქსი უფრო ძველ ვითარებას ამჟღავნებს: ის პრეფიქსია და არა სუფიქსი; მაშასადამე, იმ დროისაა, როცა პრეფიქსაცია **პირის აღნიშვნის განუხრელი პრინციპი იყო,** სუფიქსაციას ჯერ კიდევ ადგილი არა ჰქონდა.

[1] დგა-**ნ**-ან და მსგავს ზმნათა ანალიზი იყო საგანი მოხსენებისა, რომელიც ავტორმა წაიკითხა ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1927 წ.

15. ზმნის ის ფორმები, რომლებშიაც S_3 -ნ დასტურდება, მნიშვნელობის მხრივ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებები ძვირფას მასალას წარმოადგენენ, კერძოდ, ძირითად დროთა გენეტური ურთიერთობისათვის. რის გარკვევის გარეშე შეუძლებელია პასუხი გაიცეს მარტივი წინადადების სტრუქტურის მთავარ საკითხზე: რატომ იცვლება გარდამავალ ზმნასთან S-ისა და O-ის ბრუნვა, რატომ არის: **იგი** აკეთებს **მას**, მაგრამ: **მან** აკეთა **იგი**?

ამაზე — შემდეგ.

S_3-სთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი კერძოობითი საკითხიც: სახელდობრ, ზმნის შეუთანხმებლობა რიცხვში სახელთან, როდესაც ზმნაში S_3 — -ნ: უკუეთუ... მრორინენი მონაზონნი მ ო ვ ი დ ო დ ი ნ.., დაუმოწმე, რომელ უეამოდ არა მ ო ვ ი დ ო დ ი ნ (ათონ. ხელნაწ. გე. 49). ასეთი ფაქტები სხვა ძეგლებშიც გვხვდება სპორადულად. შემთხვევითი ეს არ უნდა იყოს, მას სინტაქსური საფუძველი უნდა გააჩნდეს.

ამ საკითხსაც სპეციალური შესწავლა სჭირდება.

დასასრულ, ერთი შენიშვნა. S_3 -ნ ამჟამად არ ჩანს ქართულს კილოებში. არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში, არც ბარსა და არც მთაში; არ შემოუნახავს ის ისეთ კილოსაც კი, როგორიცაა ხევსურული, რომელსაც ძველი ქართულის მორფოლოგიურ და სინტაქსურ ინვენტარიდან ბევრი რამ დღემდის მოუტანია.

ერთგვარი გამონაკლისი თითქოს მოხეური უნდა იყოს. ასპირ. კ. გუგუშვილის ცნობით, მოხეურმა იცის შემთხვევები -ნ=S_3 ხმარებისა; სამწუხაროდ, მასალა მეტად მცირეა. სასურველია სპეციალურად შემოწმდეს ამ მხრივ მოხეური.

ქართულ კილოებში ამ სუფიქსის დადასტურებაზეა ე რ თ გ ვ ა რ ა დ დამოკიდებული, თუ რა კვალიფიკაცია მიეცემა იმ წყაროს (დიალექტს), რომლიდანაც ძვ. სალიტერატურო ქართულმა S_3 -ნ შეითვისა.

P. S. ნ- სუფიქსი, რომ მესამე პირის უძველესი ნიშანია ამის შესახებ—ავტორის გამოკვეყნებულ ნაშრომთაგან — ლაპარაკია რეცენზიაში აკად. ნ. მარის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაზე"; იქ ნათქვამია:

„იკითხავ-ნ არ არის ნამყო უსრული, არამედ ე. წ. აწმყო მრავალგზითი... ნ აქ ხ-ს მაგიერია, ისევე, როგორც მრავლობითში ედ (იკითხე-ედ) ენ-ს მაგივრობას ეწევა. ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთიხ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ა დ უ ძ ვ ე ლ ე ს ი ფ ე ნ ი ს კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა, რომელიც ძველი ქართულის რთულ სახეშია წარმოდგენილი" [1].

(„საქართ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგ. მ ი მ ო მ ი ლ ე ლ ი", ტფილ., 1926 წ., გვ. 321).

ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც „იმავე ხანებში იყო წაკითხული ავტორის მიერ საენათმეცნიერო საზოგადოებაში და „დგანან" — ტიპის ზმნათა უღელილებას ეხებოდა, ხსენებული ნ- სუფიქსი შედარებული იყო სვან. ლ- პრეფიქსთან (და მეგრ. ნ სუფიქსთან).

[1] შდრ. მეგრულის აწმყოს სუფიქსი მესამე პირისა -ნ გარდაუვალ ზმნებში.

არ. ჩიკობავა

ДРЕВНЕЙШИЙ ПОКАЗАТЕЛЬ СУБЪЕКТА ТРЕТЬЕГО ЛИЦА В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

РЕЗЮМЕ

1. И в новогрузинском, и в древнегрузинском литературном языке показатель субъекта третьего лица:

a) наличен лишь в единственном числе (во множественном числе суффикс числа одновременно выполняет и функцию личного показателя);

b) является суффиксом;

c) представлен несколькими аффиксами;

d) изменяется по временам.

2. Использование суффикса в качестве показателя субъекта третьего лица в то время, как все остальные лица (первое и второе лица субъекта, первое, второе и третье лица объектов) представлены в глаголе префиксами, дает основание предположить, что:

a) форма третьего лица субъекта (в глаголах) образовалась сравнительно поздно;

b) в языковой психологии соответствующего языкового коллектива к тому времени произошел определенный сдвиг под влиянием языков суффиксового строя; это подтверждается и другими фактами морфологии грузинского языка.

3. Уже в древнейших памятниках грузинского литературного языка (V—VI в.) субъективными суффиксами третьего лица служат **-ს -s**, **-ა -a**, **-ო -o**.

Разнообразие показателей по всей вероятности восходит к разным диалектным слоям и характерно для разных периодов развития.

4. В древнегрузинском литературном языке пережиточно сохранился и древнейший показатель субъекта третьего лица — **-ნ -n** (соответственно во множественном числе — **-ნდ -ed**).

Суффикс **-ნ -n** встречается:

a) в настоящем времени, которое в этом случае имеет значение «общего настоящего времени» (или permansiva): не суффикс **-ნ -n** является показателем permansiva, а глагольная форма, использующая этот суффикс, выступает в древнем значении;

b) в настоящем же времени, когда оно используется с частицей **ნუ nu** и обозначает одну из отрицательных форм повелительного наклонения;

c) в conjunctivus I, когда оно передает повелительное наклонение третьего лица;

d) в прошедшем несовершенном вр., когда этим последним замещается conjunctivus I с вышеотмеченной функцией;

e) в 3 лице аориста, когда он используется для обозначения повелительного наклонения третьего лица;

f) в пермансиве (группы аориста)—спорадически.

5. Использование суффикса -ნ -n в качестве показателя субъекта третьего лица дает возможность:

a) установить древнее значение настоящего времени («настоящее общее»);

b) выявить генетическое взаимоотношение прошедшего несовершенного с conjunctivus I и аориста—с conjunctivus II;

c) восстановить древнейшую форму третьего лица аориста;

d) объяснить альтернацию глагольных основ (დრეკ-ს drek-s—დრიკ-ა drik-a гнет — погнул он ч.-л.) на фонетической основе.

6. Использование одного и того же суффикса -ნ -n, как в настоящем времени, так и в аористе показывает, что употребление различных суффиксов для субъекта третьего лица явление вторичное: суффикс третьего лица так же не изменялся по временам, как и префиксы остальных лиц.

Это же подтверждается употреблением ლ- l- префикса в качестве S_3 в сванском языке (проф. В. Т. Топурия).

7. Суффикс -ნ -n представлен и в занских диалектах: в чанском (лазском) и мингрельском—но лишь при непереходных глаголах, причем фигурирует и во множественном числе; эти обстоятельства могут возбудить сомнение об идентичности этого суффикса с суффиксом -ნ -n древнегрузинского литературного языка.

ARN. TCHIKOBAVA

L'INDICE LE PLUS ANCIEN DU SUJET DE LA 3me PERSONNE DANS LES LANGUES KHARTHVÉLIENNES

RÉSUMÉ

1. Dans le géorgien littéraire (ancien et nouveau) l'indice du sujet de la 3me personne:

a) n'apparaît qu'au singulier (au pluriel le suffixe de nombre remplit en même temps la fonction de l'indice personnel);

b) se présente comme suffixe;

c) est représenté par plusieurs affixes;

d) varie selon les temps.

2. L'emploi du suffixe comme indice du sujet de la 3me personne tandis que les autres personnes (1re et 2me personne du sujet, 1re, 2me et 3me personne des objets) sont représentées dans le verbe par des préfixes, donne lieu à croire que:

a) la forme de la 3me personne du sujet (dans les verbes) s'est formée relativement tard;

b) dans la psychologie linguale du collectif lingual correspondant un déplacement s'est produit sous l'influence des langues ayant une structure suffixale, ce qui est confirmé par d'autres faits de la morphologie du géorgien.

3. Dans les plus anciens documents du géorgien littéraire (V—VI siècles) ce sont **-ს -s, -ა -a, -ო -o** qui servent comme suffixes subjectifs de la 3me personne.

La diversité des indices remonte, selon toute vraisemblance, aux diverses couches dialectales et est particulière pour diverses périodes de développement.

4. Dans l'ancien géorgien littéraire le plus ancien indice du sujet de la 3me personne s'est conservé comme survivance. C'est **-ნ -n** (au pluriel **-ნეს -ed** respectivement).

Le suffixe **-ნ -n** se rencontre:

a) au présent qui dans ce cas a la valeur du «présent commun» (ou permansif) ce n'est pas le suffixe **ნ- -n** qui sert d'indice du permansif, mais c'est la forme verbale qui tout en gardant ce suffixe garde aussi son ancienne valeur;

b) au présent encore quand il s'emploie avec la particule **ნუ** nu et désigne une des formes négatives de l'impératif;

c) au conjonctif I, quand il remplace la 3me personne de l'impératif;

d) à l'imparfait remplaçant le conjonctif I avec la fonction susnommée;

c) à la 3me personne de l'aoriste quand on s'en sert pour désigner la 3me personne de l'impératif;

f) au permansif (du groupe de l'aoriste)—sporadiquement.

5. L'usage du suffixe -ნ -n comme indice du sujet de la 3me personne nous met à même:

a) d'établir l'ancienne valeur du présent («présent commun»);

b) d'éclaircir la relation génétique entre l'imparfait et le conjonctif I aussi bien qu'entre l'aoriste et la conjonctif II;

c) de restituer la plus ancienne forme de la 3me personne de l'aoriste;

d) d'expliquer l'alternance des thèmes verbaux (დრეკ-ს drek-s—დრიკ-ა drik-a, il ploie—il a ployé) sur la base phonétique.

6. L'usage du même suffixe -ნ -n au présent aussi bien qu'à l'aoriste indique que l'usage des suffixes différents pour le sujet de la 3me personne est un phénomène secondaire: de même que les préfixes des autres personnes celui de la 3me personne ne variait pas selon les temps.

Nous en trouvons la preuve encore dans l'usage du préfix ლ- l- comme S_3 dans la langue svane (V. Topouria).

7. Le suffixe -ნ -n est représenté dans les dialectes zanes aussi—en tchane (laze) et en mégrélien, mais dans les verbes intransitifs seulement; alors il figure aussi au pluriel. Ces circonstances peuvent éveiller un doute sur l'identité de ce suffixe avec le suffixe -ნ -n de l'ancien géorgien littéraire.

ილია აბულაძე

მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კოსტანტინეს შესახებ

„ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გამოსარკვევი და თანაც ჩვენს ხელნაწერებში უეჭველია მრავალი ძვირფასი ცნობები უნდა მოიპოვებოდეს მე-15—16 ს.ს. შესახებ, რომელთა საშუალებითაც არა ერთი ბუნდოვანი საკითხი გამოირკვეოდა და სრულებით ახლებიც იქნებოდა გაშუქებული“.

(ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტორია, წიგნი IV)

ასე იწყებს თავის „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნს ჩვენი მხცოვანი ისტორიკოსი. ის ცნობაც, რომელიც სწორედ ზემორე აღნიშნულ ხანას ეკუთვნის და რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ხელნაწერიდან არის ამოღებული, მაგრამ არა ქართულიდან, არამედ სომხურიდან. ქართულ წყაროებს გარდა საქართველოს შესახებ არა მცირედი ძვირფასი ცნობები მოეპოვება აგრეთვე ჩვენი კარის მეზობლების წერილობითს ძეგლებსაც, როგორც ამის საუცხოო დამადასტურებელ ფაქტებს აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ის შრომები მოწმობენ. სომხურ ენაზე შემონახული ხელნაწერები, რომელთა უდიდესი ფონდი საბჭოთა სომხეთს არის თავმოყრილი (ვაღარშაპატს), გადამწერების ანდერძ-მოსახსენებელთა (*ქ ი ქ ა თ ა ჩ ა რ ა ნ*) და მინაწერთა სახით მრავალ ისეთ საგულისხმო ცნობას შეიცავს, რომლებიც ოფიციალურ მატიანეებში ხშირად ან სულ არ იხსენება, ანდა ზოგჯერ, თუ იხსენება, ბუნდოვანად. ქართული წყაროების ერთ ასეთს ცნობას ავსებს ის დოკუმენტი, რომელიც მათეოს განძასარელის სახელთანაა დაკავშირებული.

მათეოს განძასარელის ცნობა XV ს-ის დამდეგს (პირველ ორ ათეულს) შეეხება. იგი დაცულია ამ ხანებში (1417) გადაწერილს ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში. ხელნაწერს გავეცანი მიმდინარე წლის სექტემბერში, სამეცნიერო მივლინების დროს ერევანს. იგი უკანასკნელ დროს მოუპოვებია ვაღარშაპატის ხელნაწერთა ბიბლიოთეკის დირექტორს, ამხ. ერ. თოროსიანს. ამხ. თოროსიანმა ხელნაწერი გადმომცა მე, რათა მომექცია ყურადღება მასში შესული „კოზერნის ხილეისათეის“, სადაც დასაწყისში საუბარია საქართველოს XI ს-ის ზოგიერთ ისტორიულ პიროვნებათა შესახებ, სახელდობრ რატისა და ვინმე ზოჟატ მხედართმთავრის გარშემო. გამოირკვა, რომ ეს ამბავი სამეცნიერო ლიტერა-

ტურაში უკვე ცნობილი იყო. აკად. ნ. მარმა მიაქცია მას პირველად ყურადღება. შინაარსი ამ ცნობისა და „კოზერნის ხილვის“ ძეგლის რაობა მან გაარკვია ჯერ კიდევ 1895 წ. ტექსტიც კი გამოსცა[1]; ასე რომ ამ მხრივ ახალი არაფერი აღმოჩენილა.

სამაგიეროდ ამ ხელნაწერის ძირითად ნაწილს, რომელიც „საწელიწდოს“ უნდა წარმოადგენდეს, ბოლოს დართული აღმოაჩნდა მისი შემდგენელის, ვინმე მათეოს მონაზვნის, მეტად საგულისხმო ანდერძი (*ქრისთესლობის*). აქ მოთხრობილია, თუ როგორ, სად, ვისი შეკვეთითა და რა პირობებში აღმოცენდა ეს ძეგლი. მოსახსენებელი საკმაოდ ვრცელია. მას უჭირავს 83 v. –89 r. ფურცელი; დაწერილია იმავე ხელით, რითაც ძირითადი ტექსტი. ვინაიდან ცალკე მისი გადამწერი არსად ჩანს, ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგი თვითონ მათეოს მონაზვნის ავტოგრაფია. ჩვენთვის ძვირფასია ამ ანდერძის ის ადგილები, რომლებიც წიგნის აღმოცენების პირობებსა და დროს ეხება. საგულისხმო ადგილები გამოვკრიბეთ მისგან კიდევაც და ქართული თარგმანით მოგვყავს ქვემოთ. ისინი საინტერესოა როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ისე მისი მეზობლებისათვისაც.

XV ს-ის ისტორიისათვის მეტად მცირე საისტორიო წყარო გვაბადია როგორც ქართულს, ისე სომხურ ენაზე. თვითდამხვდურად მაშინდელი ამბებისა სომხურ მწერლობაში მხოლოდ თომა მეწოფელია ცნობილი[2]. მოკლედ ამ დროის მოვლენებზე—ლანგ-თემურის ლაშქრობასა და ყარა-იუსუფის შემოსევაზე—„ქართლის ცხოვრების“ პირველი გამგრძელებელიც მოგვითხრობს. ამდენად ყოველი ცნობა, რა სახითაც კი არ იქნება იგი ჩვენამდის მოღწეული, ძვირფასია ისტორიისათვის. ასეთივე მნიშვნელობისაა მათეოს განძასარელის ანდერძიც:

[შ ე ს ა ვ ა ლ ი]

[*83* v.] *ფაად ქნ ყსერთე ცისქრ-ნელი. ჲ ეოეერე ყჩიაგნქრ ჲ ეჩჩერ...* [*84* r.] *հայր և որդի և սուրբ հոգի. որ նևրեցեր զոյին մարդասիրութեամբդ ած բովանդակ մեզանչականս յերկիս սևաս, մասնագէտ* (?) *և վիժուն զքէս Մատթէոսի անարժան զո ծառայէ հաստանել ի վերջ աստուածախուզ տա-ոլիս. և հայել խոհական մտօք. և տեւ-ստանել զպալի աչօք զվերջին պիծ տա-*

դიდება შენდა არსებულისა შემოქმედო და ნახევარსფეროსა და ეთერის მთხზველო... მამაო და ძეო და სულო წმიდაო, რომელმაც შენი კაცთმოყვარებით მიტევე სრულიად ცოდვილს სამსაენე ნათესავს შორის, თითით-მხედველსა (?) და უხმარ მწერალს მათეოსს, შენს უღირსს მონას, რათა მიმეღწია ღვთივშეკრებილ ამ ასოთა დასასრულისათვის და მეპვრიტა გო-

[1] Н. Марр, Сказание о католикосе Петре и ученом Иоанне Козерне (Из материалов для истории средневек. арм. лит-ры): Восточные Записки, გვ. 9–34.

[2] თომა მეწოფელის შრომებიდან საქართველოს შესახები ცნობები გამოკრებილია ქართულად.—თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარი დაურთო პროფ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ მ ა, ტფ. 1937 წ. (ქვემოთ ყველგან „თომა მეწოფელით“ ეს გამოცემაა ნაგულისხმევი).

ութս. վասն որով և ապաչկոյն ի սկիզբն դծագրութիւնս...

ნიერითა გონებითა და მეხილა ცნობიერი თვალით ამ ასოს უკანასკნელი ხაზი, რაზედაც აღწერილობის დასაწყისშივე გეეედრე...

[წიგნის მომგებელი და მისივე რაობა]

[*85* წ.] *եւ ոմն Մանուէլ քահանայ. վկրջին ի ծնունդս մանկանց ևկիզեցաւ. որ ի կէսէ յանկար հասակէ. այն ինչ յարուցն հա*[*85* v.]*ւսեալ երիտասարդական ձևոյ և կերպարանաց. ի մանկութենէ կրկնով վախճ մուսցն և ևս ի մոյ դնելով ի հոլուս* (?) *սրտմտութիւնց վասն որոյ նախ քան զայս դործառնութիւնս խոտել զմիզ և զծնողսն իւր և աղերսոյն լսելոյն ևրևոր, հասևնել տևսանել զտէդ կսխման դարշապարոյ մարմնոյնկալ Բանին Աստուծոյ յՍուսաննայ և երկրպադանել սուրբ տևղեացն. ուր կացեալ ևն տասն նոքա*[1] *լսաս մարդարէին. յորում ճանապարհն բանսարկուն այ տակաւ փորձութիւնս յարուցանէ. ապականութիւն ի ծովու և ձկանս ի մէջ կոհակացն, ամսօրեայ ժամանակօք. որպէս Պետրոսի յաւուրս աշնան. յորոց զերծուցեալ Աստուած և տարեալ հասոյց յիւր սուրբ անօրէնութիւնն տեղացն տևսումն...* [*86* r.]՝ *Ցետս երկուց ամաց առեալ զնիւթ քրքիջ ի Դամասկոսէ և ևկն խաղաղութիւնս առ մեզ. եւ քահանձեալ զհոգի իմ առ ի վարդապետէն կատարուէն պրիլ գլխոյտասկարան մատենից բոլոր տարոյն. որ է ի բանից աստուածաշունչ տասից յաբմարեալ ի հարցն սրբոց. շարժեալք ի հոգւոյն, կարդեալ կենսական հոգւոց իւրաքանչիւր աւուր ըստ կարգին եւ իմ տեսեալ զկերմանդ սէր նոցա. մանաւանդ հայեցեալ յաղքատութիւնն ձևնիեմք մանուել քահանայ, შობით უკანასკნელი ეკლესიის ყრმათა [შორის], რომელმაც–თუმცა შეუძლო ასაკში, მაგრამ მაინც ახალგაზრდის ნაკვთისა და სახის მომწიფებისას—ბავშვობიდან ატარებდა რა გულმოუსვენრობას, შეიგნო გამოსავალი მწუხარებისა, რისთვისაც ამ საქმიანობამდის დაგვტოვა ჩვენ. თავისი მშობლები და ძმები მტირალი სახით [და] გასწია, რათა ეხილა განხორციელებული ღვთის სიტყვის ტერფთაგან დათრგუნვილი ადგილი ერუსალემში და თაყვანი ეცა წმიდა ადგილთათვის, სადაც მდგარა მისი ფეხები [1], წინასწარმეტყველისამებრ. გზაზე მაცთურმა არა მცირედი განსაცდელი აღუდგინა მას—ღელვა ზღვაზე და ხლა ზვირთებს შორის თევობით, როგორც პავლეს შემოდგომის ჟამს, რომელთაგან იხსნა ღმერთმა და წაიყვანა და მიაღწევინა თავის წმინდა განკაცების ადგილთა სახილველად... ორი წლის შემდეგ წამოიღო ქალაღდი დამასკოდან და მოვიდა ჩვენთან მშვიდობით. შემეხვეწა მე, რათა წადიერებით აღმეწერა ბოლომდის მთელი წლის წიგნის მოსახსენებელი, რომელიც საღვთო წერილის ასოთა სიტყვათაგან იყოს [გამოღებული], შეწყობილი წმინდა მამებისას, სულისაგან აღძრული და განკარგული საზრდო სულთათვის, თვითეული დღისა წესისამებრო. მე რომ მისი მხურვალე სიყვარული ვიხილე

[1] შდ. ესაია 60,11.

4. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული.

ირნն և ի կատարեալ սէրն ոչ խնայի- ցի յիւր: Այլ մուսայեալ զտկարութիւն ձերոյ եղբայրն ձերոյ և զդատնութիւն ժա- մանակիս, յանձն առի պրել բազում և դառն չարչարանօք. նախ՝ ոլ օրի- նակ ոչ դոյր կատարեալ ի այն, որ կայր, քնէր և սդալ և պակաս. Զի ի մինն աւետարանն կայր յետ և յառաջ պրեալ. և սուղման ոչ. և միայն ներհակ սու- բին: Զոր պիւսակիծ մասոյ կլեցի գնե- լով երես օրինակս. և յերիցն զուգ[զ]- որդն ընտրեցի, որչափ և կարացի. ոլ- պէս սուսանն Աստուած. և ի թերեայն լիապէս գծագրեցի չարագրելով զրոլոր ա[86 v.]մնին զոլբաբնջնականն և դիշե- լոյ...

և նամետնავად კი ის, რომ მიეხედე ხელმოკლეობასა და აღსავსე სიყვა- რულს, არ დაეზოგე თავი. დამავიწყ- და ჩემი მოხუცებულობის უძლურება და დროს სიმწარე. თავს ვიდევ დამე- წერა [იგი] დიდი და მწარე გარჯით. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ არ იყო სრული ნუსხა, ისიც კი რაც იყო უსრული, მცდარი და ნაკლული [იყო]. ერთს სახარებაში წინა-უკმო ეწერა. ხოლო ფსალმუნი არა; მეორე კი ამის საწინააღმდეგო იყო. ვიტვირთე გო- ნების სიმწარე სამი ნუსხის დადებით და გამოვირჩიე სამთაგან სწორი, რამ- დენადაც შემეძლო, როგორც [ამას] ღმერთი ხედავს. ნაკლულთაგან სავსე- ბით აღვწერე და გავმართე მთელი წლისა, დღისა და ღამისა...

[ადგილი, დრო და პირობები წიგნის დაწერისა]

Եւ այս եղև ի տունս Ադուանից. ի թ՚ուականութեանս հայոց ՊՂԶ. յորում ամի կատարեցաւ ընթացք լուսնին ըստ թուոյ մասնոյ նուիրի. զոր գրնալ էին նախնիքն մեր. Յորում ամի եղև Լրացս սաստիկ և չորացան ամենայն բոյսք և ջուրք ցամաքեցան. ի հայրա- պետութեան տէր Կարապետ կաթուղի- կոսի տան Ադուանից. ի ժամանակի տնիչխանութեանն քրիստոնէից. քան- զի այն ոլ կայր միացեալ չաուսեղ տանն Բիւրթելեանց, գնաց վախստա- կան ի տունն Վրաց. որոյ անունն Սմբատ կոչեր. և անդ ի յօտարու- թիւնն վախճանեցաւ. Եւ միացեալ ոլ սրդիք իւր՝ եկեն ի հայկունիս իւրեանց. և ոչ են տեսեր իշխանութեանն իւ- րեանց. այլ ընդ ձեռամբ անօրինաց. Իսկ ի տան Խաչենոյ բարեպաշտ ամն կայր Զազայ անուն. այն փոխեցաւ յաստեացս և միացեալքն յազգէ տերին

ესე იქმნა ალვანეთ'ს, სომეხ- თა წელთაღრიცხვის ՊՂԶ-ს (=866. ე. ი. 1417 წ.), რომელ წელსაც შეს- რულდა მთვარის სრბა მისი ნაწილე- ბის რიცხვისამებრ, რომელიც ჩვენ წინაპრებს დაეწერათ. ამ წელს იქმნა ფიცხელი გვალვა და გახმა ყოველი მცენარე და დაშრა წყლები მამამთავ- რობისას ალვანთა კათალიკო- სის უფლის კარაპეტისა; ქრის- ტიანეთა უმთავრების დროს, რად- განაც ის, რომელიც დარჩენილიყო ბჯრთელთა სახლის მორჩი, ლტოლ- ვილი წავიდა საქართველოში. მას სა- ხელად სმბატი ერქვა. ის იქ უცხო- ობაში მოკვდა. მისი ორი დანარჩომი შვილი მოვიდნენ თავის სამშობლოში, მაგრამ ალარ არიან თავიანთი სამ- თავროს უფლები, არამედ უსჯულო- თა ხელთ ქვეშ [არიან]. ხოლო ხაჩენს კეთილმსახური ვინმე იყო, სახელად

Ջալալն և որդիք նորին և որդիք Ջալալային՝ Արղուքն և Ջալալադաւլէն և Հղբայրք նորին էլնդուն և էլէգանն ևն ի ներքոյ ձեռին անօրինացն եւ այսպէս պակասեալ է իշխանութիւն տան հայկազնեան։

Զի գաւնացաւ ժամանակ և ինդաւորեցաւ ոմն Թուրքման. անունն Ուսուֆ ոչ [87 r.] ճանաչիւք. ըստ ինչ տալոյն Աստուծոյ լինել կշտամբիչ ըստ այնմ ինչ գրչաւն չարեաւ կրուսեցէ»[1], Զի ի բանալ դռնէնին չորրորդի թաւմուրն կոչնցեալ կաղն. լունացեալ Ուսուֆն պատերազմեալ ընդ որդիսն նորա երիցս անդամ եսալն գնաստ և սնացեալքն փախստական գնացին յաշխարհն իւրեանց։ Իսկ զրնակն խանն Ահմատ կոչնցեալ. որ ևկն կամաւն իւրով ի Բարլոնէ ի քաղաքն Թաւրէզ. և ի վերայ նորա ևս յարուցեալ Ուսուֆն եսալն գնաւ եւ էնացեալ աստանօր միայն ամիրայն Շերուանայ, յորոյ յաւտտամրնէն չկրցեալ անդամ ևկն ի վերայ նորա Ուսուֆն և ի վերջին պատն՝ ձևորակալ արաւ գնա և զրագումս. ի մերջի նոցա եսալն թշուառական թագաւորն վերայ պնոտանդին, որ ևկեալ էր յօգնականութիւն իշխանին Շերուանայ. և զերկերն տո աւար և գնացս

Զայրչաւ չարիս առ ղչխաւորս աշխարհին հասեալ Ուսուֆին. իսկ առ փոքունն զինչ ասացից. զի վայրկենաւկալ զինուորք նորա ձուլ և հատանէն. ոչ զընտանիսն գիտեն և ոչ զտուարան. Թագաւորն և կռիւն զձևնհատն իւրեանց. Քէ ի ճանապարհի, քէ ի տան. քէ առանձին, քէ ի քաղաքի եւ այսպէս ոչ դոյր քիւ ազգակի մնալոյ։ Ահա այս ամենայն ևկն ի վերայ մեր

[1] Մատ 21₂₃.

ՁաՁա. ին գարեաւցալա ամիեր և միսი գვარის დანარჩომნი: ჯალალი და მისი შვილები, და ზაზას შვილები— არღუთი და ჯალალადაველე, და მისი ძმები—ელეგუმი და ელეგანი უსჯულოთა ხელთ ქვეშ არიან. ასე დაკლებულია სოფეხთა სახლის მთავრობა.

მწარე შეიქმნა დრო და გამეფდა ვინმე თურქმანი სახელად უსუფი რომ ჰქვია, რათა ღვთის ნებართვით იყოს მამხილებელი ომის თანახმად, რომ „ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმიდნეს“[1]. მეოთხე მხეცის, თამურის, აღფხერისას, რომელიც მკელობელად იწოდება, გაძლიერდა უსუფი, შეებრძოლა მის შვილებს სამჯერ და მოკლა ისინი. ხოლო დარჩენილები ლტოლვილნი წაიიდნენ თავიანთ ქვეყანაში. ნამდვილი ხანი კი, რომელსაც აჰმადი ერქვა და რომელიც თავისი ნებით ბაბილონიდან მოვიდა ქალაქ თავრეზს, მასზედაც კი აღდგა უსუფი და მოკლა იგი. აქიდან გადარჩა მხოლოდ შირვანის ამირა, რომლის განდგომისას სამჯერ წამოვიდა მასზე უსუფი და უკანასკნელად მოსვლის დროს შეიპყრა იგი და მრავალი [სხვა]. მათ შორის მოკლა ქართველთა უბედური მეფეც კოსტანტინე, რომელიც შირვანის მთავრის დასახმარებლად მოსულიყო; ქვეყანაც იავარ ყო და წავიდა.

ესოდენი უკეთურება მთავარ ქვეყნებს აწია უსუფმა, ხოლო მცირეებს [რაც დაატეხა], რა ვთქვა? მის გაველურებულ მორლაშქრეთ, სადაც კი მიიწევიან, არც შინაურები იციან და არც უცხო, ძარცვავენ და სცემენ თავიანთ ხელში ჩავარდნილთ როგორც გზაზე, ისე სახლში, როგორც მარტო, ისე ქალაქში. ასე არ ჰქონდა სათვალავი ჩვენს ღაღადებას. აი, ყველა ეს

վանն մնայ |87 v.| մերոյ. եւ զեւսեւ ի տարակուսի եմք. ոչ գիտեմք թէ առաջնեկացն պիտիւ ծնանի մնդ և կամ թէ ոչգոչ. ով գիտնայ զայսպիսի դառն նեղութիւնս. ակն ամենեցուն արտասուաթորը առ Աստուած նայի՛ թիւրեա պիտացի ի մեզ ողորմութիւնեա՛ր։

Յայսպիսի դառն և ի նեղութիւնոյ մերջի գծապրեալ եղեւ գիրքս իմով ձեռամբ նուաստ և յանգիտ բանասիրուց. սակայր ծնունդս նեղեղելոյ Մատթէոս մանուկն, որ ի ծնելացեալ յայսպանդի ծնոյ անասնոյ գայս ամենայն վիշտս և այլ բազում ցաւս զոր ոչ գրեցի Իսկ տեղիք գծապրութեան սորա եղև ի սուրբ ուխտս Դանդաստարոյ. յերկիրս Արցախական. որ այժմ կոչի Խաչէն. ընդ հովանեաւ սուրբ նշխարացս Յովհաննու Կարապետին. որ ի բնարանոյ տեառն գովեցաւ...

ფარელის ქვეშ, რომელიც უფლის პირით იქო...

Եւ յայսմ ազգիդեցս, որ վերոյ ասացեալ նախ քան զդրել զրոցս, պատահեցաւ մնդ յաւար անկանիլ կրկին անգամ ի նոյն չարասէր ազգէն թուրքմանեայ. Զի ի գնալն ի Շերուան. մեք նոցա հանդիպեալով նախ զմեզ յաւար հարին. և ապա գնացեալ ածին զմատուռնն ի ծակ իժ|88 r.|ից և գարձեալ բերին ի վրանս մեր զանօրէն ազգն թաթարաց. և յաւար հարին կրկին գուռըս ուխտս. և ոչ ինչ ի մարմնաւոր ընչից միայ. բայց միայն մեք և սրբոյ բանիւն։

Իսկ յետ այսր ամենայնի ծփանաց և խռովութեանց և աւարի թախանձանց զմեզ սիրելեալ սրդիս մեր Մանուէլ քահանայն և նա գրել զաս ոչ ձեր. այլ գոյիւ չափ. զոր ինչ ունէր սրկ աւաջի մեր...

მოიწია ჩვენზე ჩვენი ცოდვებისათვის. ჯერ კიდევ უმწეოდ ვართ და არ ვიცით, თუ რას გვიშობს ჩვენ მომავალი და ან როგორ გადავურჩებით ასეთ მწარე გაჭირვებას. ყველას ცრემლმწთოლვარე თვალი ღმერთს მისჩერებია, იქნებ მოგვხედოს ჩვენ მოწყალებით.

ასეთნაირ სიმწარესა და გაჭირვებაში დაიწერა ეს წიგნი ჩემი ხელით, უმცირესისა და უკანასკნელის სიტყვისმოყვარისაგან, ეკლესიის საპყარისაგან შობით, მათეოს მონაზვრისაგან, რომელიც დავიბადე მოხუცებულის სამოსაგან, რათა მენახა ყველა ეს ჭირი და სხვა მრავალი სალმობა, რაც აღარ დავწერე. ხოლო ამის აღწერის ადგილი განძასარის წმიდა სავანე იყო, არცახის ქვეყანაში, რომელსაც ახლა ხაჩენი ეწოდება, იოანე წინამორბედის წმინდა ნეშტთა სამარხის ქვეშ, რომელიც უფლის პირით იქო...

ამ განსაცდელთაგან, რომლებიც ზემოთ ითქვა, შეგვემთხვა ჩვენ წიგნის დაწერამდის რომ ჩავვარდნილიყავით ტაცებაში ორჯერ იმავე ბოროტის მოყვარე თურქმანთა ტომისაგან. შირვანს წასვლისას ჩვენ შევხვედით მათ. ჯერ იავარ გვყვეს და მერმე წაიღნენ და დაასხეს თითონი იქედნეთა ხვრელს და კვლავ მოიყვანეს ჩვენ კარავს უსჯულო ტომი თათრებისა. ორგზის იავარ ყვეს წმინდა სავანე და აღარაფერი დარჩა ხორციელი ქონებისაგან ჩვენსა და სიწმინდეს გარდა.

ხოლო ყველა ამ ღელვისა, არეულობისა და ძარცვის შემდეგ გვეველარა ჩვენ ჩვენი საყვარელი შვილი მანუელ ხუცესი და მოგვცა დასაწერად ეს, არა უფასოდ, არამედ ყველაფერი, რაც კი რამ ჰქონდა, წინა დაგვიდგა ჩვენ...

Արդ աղաչեմ զամենասիան. որք հանդիպիլիք այսմ ատտուածաղարդ բուբաստանին. օրինակելով և ընթերցմամբ և կամ սուկ տեսութեամբ. յիշեսջիք ի մաբրատիսայլ| ալօթիս ձիր պատացող սորին...

Ծետ ամենայուն ժամե և աս... [88 v.]*... յետին ի բանասիրաց և կրսեր յորդիս հիւսնեցաց Մատթէոս մինուդինս, որ բաղում տատասպանօք գծելի լսատ իմում կարի... լսատ մոլութեամ մատց իմոց անդուդի դնարկ գրելացս, ոչ հնահնալ ձևսն և արհեստապրուխնեն. այլ միայն հշմարտութիան և ուղղութիան...*

ახლა კი ვეევედრები ყველას, რომლებიც შეხვდებით ამას, ღვთივ შემკობილ წალკოტს, ნუსხის გადაღებით, კითხვითა თუ ოდენ ხილვით, მოიხსენეთ თქვენს წმინდა ლოცვაში ამისი მომგებელი...

ყოველთა შემდგომ გეხვეწებით მეც... სიტყვის-მოყვარეთაგან უკანასკნელი და ეკლესიის შვილთაგან უმცროსი, მათეოს მონაზონი, რომელმაც დიდი გაჭირვებით აღვწერე ჩემი ძალის მიხედვით... ჩემი მცდარი გონებით გადავიხადე წერილობის ხარკი, სახისა და წერის ხელოვნების მიუდევნელმა, ხოლო ოდენ ქეშმარიტებისა და სიწრფოების [მიმდევარმა]...

მათეოსი, როგორც თვითონ არა ერთხელ აღნიშნავს თავის შესახებ ზემორე მოყვანილ ანდერძში, მონაზონი ყოფილა განძასარის ძმობისა. განძასარი კი, როგორც თვითონვე განმარტავს, ალვანეთსაა — „არცახის ქვეყანაში, რომელსაც ახლა ხაჩენი ეწოდებაო“. იგი თავის თავს სიტყვის-მოყვარეს (*բանասէր*), ე. ი. მწიგნობარს, სწავლულს ეძახის; მოკრძალებით ყოველთვის — „უმცირესი და უკანასკნელიო“. როგორც ანდერძიდანა და მის მიერ აღწერილი (*պծագրեալ*) წიგნიდან ჩანს, მართლაც იგი იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული პირი ყოფილა. ამ მხრივ შეუმჩნეველი იგი თავისი დროისათვის არ დარჩენილა. მას შემდეგნაირად იხსენიებს თომა მეწოფელი თავის ისტორიაში [1].

«Եւ էին Եւսեբ, յաշակերտացն (Գրիգորի Տաթևացւոյն) յայլ տեղիս. Մատթէոս Ռշտունեցի սուրբ ուխտին Գանձասարայ, Մկրտիչ ի Փայտակարանէ, Սանփաննոս ի Թաւրիզոյ...» ([გრიგოლ ტათეველის] მოწაფეთაგან სამნი იყვნენ სხვა ადგილებში: მათეოს უხტელი განძასარის წმინდა სავანისა, მკრტიჩი ფაიტაკარანიდან [და] სტეფანოსი თავრიზიდან...)

საგულისხმო ამ ცნობაში ისაა, რომ მათეოს უხტელი, განძასარის სავანის წევრი, რაც ჩვენ ანდერძის ავტორი მათეოს მონაზონი გვგონია, ცნობილი გრიგოლ ტათეველის (1340—1411) მოწაფედ არის გამოყვანილი. ამრიგად, სიტყვის-მოყვარეობა მათეოსს გარკვეულ სკოლაში და ისიც დიდად ცნობილი მასწავლებლის ხელთაგან შეუთვისებია.

მათეოსის ანდერძიდან ჩანს, რომ მისთვის საეკლესიო წიგნის აღწერა (ე. ი. შედგენა) შეუკვეთია ვინმე მანუელ ხუცესს, რომელსაც სიყრმიდან ოცნებად ჰქონია გადაქცეული ემოგზაურნა და მიმოეხილა ერუსალემი, რაც კიდევაც შეუსრულებია. დაბრუნებისას დამასკოს შეუძენია ქაღალდი და ნივთიერი სახმა-

[1] თომა მეწოფელი, გვ. 21.

რის (ანუ სახსრის) გაღებით დაუწერინებია მათეოსისათვის ზემოთხსენებული ანდერძდართული წიგნი, რომელიც, როგორც ერთხელ აღვნიშნეთ, „საწელიწდოს“ წარმოადგენს. მათეოსს დავალება მიუღია და თავისი შრომა 1417 წ. დაუმთავრებია, ალვანთა კათალიკოსის კარაპეტის მამამთავრობის დროს.

ამ ჩვეულებრივ მომენტებს გარდა მათეოს განძასარელის საკმაოდ დიდი მოცულობის ანდერძი ისტორიისათვის საინტერესო სხვა უფრო არსებითსაც შეიცავს. ესენი არა მარტო ალვანეთს, არამედ საქართველოსაც შეეხებიან. აქ მოცემული სურათი ანდერძის დაწერის წინათ, ახლო წარსულში მომხდარ ამბებს აღბეჭდავს, ე. ი. XV ს-ის დამდეგისას (1417 წლამდის).

ამ დროს, მათეოსის თქმით, ქრისტიანთა შორის ალვანეთს უმთავროება (*անդիսանութիւն*) სუფევდა. არცახს ბურთელის (ორბელიანის) სახლის ნაშიერი სუმბატი საქართველოს გადაიხვეწა, სადაც მოკვდა კიდეცაო. დარჩენია ორი შვილი, რომლებიც შემდეგ დაბრუნებულან სამშობლოში. ახლა ისინი არა უფალნი. არამედ უსჯულოთა ქვეშევრდომნი არიანო. რად ივლტოდა სუმბატი საქართველოში, არაფერია ნათქვამი ანდერძში.

[სუმბატის შვილების სახელები ანდერძში არაა დასახელებული, მაგრამ თომა მეწოფელის ისტორიის თანახმად, ერთი თურმე ბეშქენად იწოდებოდა და მეორე შაჰად. ბეშქენი, მეწოფელის თქმით, ალექსანდრე დიდის სიმამრი ყოფილა, რომელიც შესმენით მოუკვლევინებია სიძეს. მისივე ცნობით ბეშქენს სიცოცხლეში ალექსანდრე მეფისაგან ლორის ციხე მიუღია, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მის ძმას, შაჰს, თურმე, როგორც მხდალს, აღარ უძებნია მამული მხარე[1]. რომელ მამულზეა აქ საუბარი, ხაჩენისა თუ ლორისაზე, არა ჩანს. თუ ლორისაზეა, ხომ არა გვაქვს აქ მაშინ იმ ბრძოლის გაგრძელების სურათი, რომელიც ორ ფეოდალურ საგვარეულოს შორის არსებობდა![2]].

სუმბატისა და მის შვილების გარდა ანდერძში ხაჩენს მოხსენებულია კიდევ ვიღაც კეთილმსახური ოჯახი ზაზასი. ალბათ, ესეც ფეოდალური საგვარეულოს წევრთაგანია. მის გვარისაგან გადარჩენილად ასახელებს აგრეთვე ვინმე ჯალალს, ძმებით—ელეგუმითა და ელეგანით, ზაზას შვილებთან ერთად—არღუთესა და ჯალალადაველესთან. ყველა უსჯულოთა ქვეშევრდომია და ამრიგად „სომეხთა სახლი“ მთავრობას მოკლებულიო.

თავისი კუთხის სამთავრო სახლის შესახებ ცნობებს გარდა მათეოსი ალვანეთის სხვა სამთავროსა და საქართველოს სამეფოს შესახებაც იძლევა ცნობებს ყარა-იუსუფის ლაშქრობასთან დაკავშირებით. ყარა-იუსუფმა რომ ლანგთემურის შვილებთანა და აჰმად ხანთან ბრძოლები გადაიხადა, გამარჯვებული შირვანის ამირას დასასჯელად წამოვიდა, რომელიც მაშინ გამდგარი იყოო. უკანასკნელად იგი და მასთან ერთად სხვებიც ხელთ იგდოო. მათ შორის იყო აგრეთვე ქართველთა მეფეც კოსტანტინე, რომელიც შირვანის მთავრის დასახმარებლად მოსულიყო და რომელიც ყარა-იუსუფმა მოკლაო.

[1] თომა მეწოფელი, გვ. 24—26.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში (თბილისის სახელ. უნივერს. შრომები, VII, 1938, გვ. 189—220).

კოსტანტინე, ალექსანდრე დიდის მამა, როგორც ეს პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია[1], მართლაც ქართული წყაროების ცნობითაც ყარა-იუსუფის ხელში ჩავარდნილა თავისი ლაშქრით და მასთან ერთად მომწყდარა[2]. ორიოდე სიტყვითაა ეს ამბავი გადმოცემული „ქართლის ცხოვრების“ პირველი გამგრძელებლის მიერ:

„დაჯდა მეფედ ძე ბაგრატისა კოსტანტინე და იმეფა შვიდ წელ და მოკლეს ჩალაღას“[3].

ვახუშტის ისტორიით კოსტანტინე ხონთქარის მიერ წარმოგზავნილ ლაშქართან ბრძოლაში მოიკლა:

„მოიკლა მათგან მუნ ბრძოლასა შინა თურქთაგან წელსა 1414, ქართულსა 102-სა“-ო[4].

მათეოს განძასარელის ცნობით, როგორც ვნახეთ, კოსტანტინე, შირვანის ამირას დასახმარებლად მისული, მოკლულა ყარა-იუსუფის ერთ-ერთი შემოსევის დროს. ჩალაღაც, ამდენად, რომლის ადგილსამყოფელო დღემდის უცნობია, შირვანის მიწა-წყალს არის საძიებელი.

„ქართლის ცხოვრების“ პირველი გამგრძელებლის ცნობას, მაშასადამე, მათეოს განძასარელის ანდერძის სახით, დამადასტურებელი სხვა წყარო აღმოუჩნდა. იგი ახლა უკვე შეჯერებულია უცხო წყაროსთან. უკანასკნელი აყენებს ქართულს არა მარტო იმით, რომ გვიჩვენებს კოსტანტინეს მოკვლის ადგილს, არამედ იმითაც, რომ აღნიშნავს, თუ რისთვის მოიკლა იგი.

ტფილისს, 1938. 12—XII.

---

[1] აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, წიგნი IV, 1923 („ჩვენი მეცნიერება“ № 4—5), გვ. 72—73.

[2] ib., გვ. 78.

[3] „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლისეული, გვ. 887.

[4] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გამოც. დ. ზ. ბაქრაძისა, ნაწ. I, ტფ. 1885.

გ. ნიოლრაძე

მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა

მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა (Luftbestattung). რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იყო გავრცელებული და ზოგს ქვეყნებში დღესაც არის შერჩენილი[1], ჩვეულებად ყოფილა ძველ საქართველოშიაც. ამის შესახებ ჩვენ გვაქვს ბერძენი და რომაელი მწერლების წერილობითი ცნობები. მაგალითად, ბერძნების მწერალი ა პ ო ლ ო ნ ი რ ო დ ო ს ე ლ ი. რომელიც ცხოვრობდა მესამე საუკუნეში ჩვენი ერას წინ, ამბობს: „ეხლაც კიდევ კოლხებს დიდ ცოდვად მიაჩნიათ მიცვალებულ მამაკაცების ცეცხლში დაწვა, ან მათი დაფვლა მიწაში და ზემოდან ძიწის დაყრა. მიცვალებულებს ახვევენ ხარის ტყავში და ჰკიდებენ ხეებზე ქალაქის მოშორებით, მაგრამ მიწაც ღებულობს თავისას ისე, როგორც ჰაერი, ვინაიდან ქალების გვამებს მიწაში მარხავენ. ასეთი არის მათი ჩვეულება“[2].

ებრაელების ნეფის იროდისა და ავგუსტის მეგობარი ფილოსოფოსი ნ ი კ ო ლ ო ზ დ ა მ ა ს კ ე ლ ი[3] მოგვითხრობს, რომ „კოლხები მიცვალებულებს კი არ ასაფლავებენ მიწაში, არამედ მათ ჰკიდებენ ხეებზე“[4]. ამასვე მოგვითხრობს ქ. პრენესტეს მცხოვრები კ ლ ა ვ დ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, რომელიც მეორე საუკუნის ბოლოში და მესამე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. „კოლხები, ამბობს კლავდიოს ელიანი, მიცვალებულს შემოაკერებენ ტყავს და ჰკიდებენ ხეებზე“[5]. ამგვარსავე ცნობებს იძლევიან სხვა მწერლებიც[6].

მიცვალებულის ხეზე ჩამოკიდება და ან მისი დამარხვა მიწის ზემოთ გავრცელებული ყოფილა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებშიაც. არაბების მწერალი ა ბ უ-ჰ ა მ ი დ-ე ლ-ა ნ დ ა ლ უ ზ ი უკვე მაჰმადიანურ დროში წერდა (+565=1169). რომ თანამედროვე ყუბაჩელების წინაპრები, რომლებსაც ის სირაიხ-კარანებს (ანუ ჯავშანის მკეთებლებს) უწოდებს, მიცვალებულს მიწაში არ მარხავენო. ამ

---

[1] K. W e u l e, Leitfaden der Völkerkunde, Bibliographisches Institut in Leipzig und Wien 1912, S. 136.

[2] В. В. Л а т ы ш е в, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Санкт-Петербург, 1896, т. I, вып. 2-ой, стр. 418.

[3] დაიბადა 64 წ. ჩვენი ერას წინ.

[4] В. В. Л а т ы ш е в, გვ. 456.

[5] В. В. Л а т ы ш е в, გვ. 608.

[6] К. Г а н, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифлис 1884, вып. 4, стр. 232.

მწერლის გადმოცემით, თუ რომ სირაიხ-კარანელი მოკვდებოდა, მას მაშინვე დაჭრიდნენ, ძვალსა და რბილს ერთმანეთს დააცილებდნენ, ხორცს ერთად მოაგროვებდნენ და მტაცებელ ფრინველებს აჭმევდნენ, ხოლო დასუფთავებულ ძვლებს ჩადებდნენ ტომრებში, ზედ დააწერდნენ მიცვალებულის სახელსა და გვარს და ჩამოკიდებდნენ ჰირისუფლის სახლში. ძვლების ჩასადებ ტომრებს მდიდრები კერავდნენ აბრეშუმის ქსოვილისგან და ქარგავდნენ ოქრომკედით, ხოლო ღარიბები—უპრალო ტილოსგან[1]. დაახლოებით ამგვარივე დამარხვის წესი არსებობდა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებშიაც[2].

სტრაბონის გადმოცემით კასპები, რომლებიც ძველ დროში დაღისტანში ცხოვრობდნენ და რომლებმაც მისცეს სახელწოდება კასპის ზღვას, მიცვალებულს გაიტანდნენ სოფლის გარეთ და იქ მიატოვებდნენ, ბოლო შორიდან თვალყურს ადევნებდნენ: თუ მიცვალებულს ფრინველი დაუწყებდა ჭამას, ასეთს მიცვალებულს ბედნიერად სთვლიდნენ, თუ მხეცი შეჭამდა—უფრო ნაკლებ ბედნიერად და თუ მიცვალებულს არც ფრინველი და არც მხეცი მიეკარებოდა. მაშინ მას მეტად უბედურად სთვლიდნენ[3].

ტიბეტში და ბჰუტანში მცხოვრები ბუდჰისტები, მონღოლები და სხვანი გაიტანდნენ მიცვალებულს მინდვრად და იქ ფრინველებს და მხეცებს აჭმევდნენ[4]. ამავე წესით მიწის ზემოთ მარხავდნენ მიცვალებულს ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის მცხოვრები ჩუქჩები[5] (სურ. 1). ცჰაჰტა და სხვა ინდიელები[6], აღმოსავლეთ-აფრიკის ტომები. როგორც, მაგალითად, მასსაი[7], დასავლეთ-აფრიკის ზოგიერთი ზანგები[8] და სხვა. კაფრებს მიაქვთ მიცვალებული ტყეში და იქ აფთრებს აჭმევენ[9]. უფრო ძველ დროში კი მიცვალებულს თვით ჰირისუფლები სჭამდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ, როგორც მიცვალებულის „სული“, აგრეთვე მიცვალებულის კარგი თვისებები მათზე გადაეცემოდა. ამავე რწმენით ზოგიერთ შემთხვევაში ავსტრალიელი ქალი თავისი მკვდარი შვილის ხორცს თვითონ სჭამს, ძვლებს ღებაეს და თან ატარებს[10].

[1] ამგვარივე ცნობები აქვს მასუდის, სეკერი ყაზვინის და სხვ. А. С. Уваров, Курганы с расчленением близ г. Дербента, Труды V-го Археологического с'езда в Тифлисе 1881 г., Москва 1887, стр. 73—74.

[2] G. Wilke, Mehrstufige Bestattung. Reallexikon der Vorgeschichte, Berlin 1927, B. VIII. S. 120.

Fr. Ratzel, Völkerkunde, Leipzig und Wien 1894, B. I, S. 346. არის ცნობები, რომ ძველ ეგვიპტეში მიცვალებულს დაჭრიდნენ, ძვლებს ჯერ ხორცს შემოაცლიდნენ, შემდეგ წითლად შეღებავდნენ და თიხის ან ქვის ჯატარა ყუთებში ჩაწყობდნენ. Обермайер, Доисторический человек, С.-Петербург 1913, стр. 618—619.

[3] Вс. Миллер, О некоторых древних погребальных обрядах на Кавказе, Этнографическое обозрение, Москва 1911, № 1, 2, стр. 133.

[4] Dr. Schurtz, Urgeschichte der Kultur, Leipzig und Wien 1912, S. 197. Д. Анучин, Энциклопедический словарь, С.-Петербург 1898, т. XXIV, стр. 40.

[5] Dr. G. Nioradze, Der Schamanismus bei den sibirischen Völkern, Verl. von Strecker und Schröder, Stuttgart 1925, S. 14.

[6] Fr. Ratzel, B. I, გვ. 586.

[7] Dr. Schurtz, გვ. 197.


[8] Dr. G. Buschan, Illustrierte Völkerkunde, Verl. von Strecker und Schröder, Stuttgart 1922, B. I, S. 43.

[9] Fr. Ratzel, B. I, გვ. 43.

[10] Hermann Klaatsch, Der Werdegang der Menschheit und die Entstehung der Kultur, Berlin 1920, S. 234—235.

პარსებიც[1] მიწის ზემოთ (ჰაერზე) ასაფლავებენ მიცვალებულებს, რომლებისთვის სპეციალურად აშენებენ უთავსახურო, რომაული ცირკის მაგვარ შენობას. ამ უკანასკნელს ეძახიან დაკხმას ანუ „სახლს დადუმებულთათვის“ და აკეთებენ საცხოვრებელ ბინების მოშორებით, მეტად მწირ ადგილზე. დაკხმას შიგნითა კედლებზე ისეთნაირად მიამაგრებენ მიცვალებულებს, რომ ფრინველებს თავისუფლად შეეძლოთ მათი ხორცის ჭამა, ხოლო ძვლების წაღება კი არა.

გამოჩენილი თურქი მოგზაური ევლია ეფენდი, რომელიც 1641 წ. გონიიდან ანაპამდის ზამბარაკჯი-ბაშს დაჰყეებოდა, წერს, რომ „აფხაზები მეტად განსხვავებულად მარხავენ თავიანთ ბეგებს. მიცვალებულს სდებენ ხის ყუთში



სურ. 1
ჩუკჩების დასაფლავება (ბუშანიდან)

და მიამაგრებენ მაღალი ხის ტოტებზე. ყუთის თავსახურს მიცვალებულის თავის სწორა აქვს ნახვრეტი, რომ ბეგს შეეძლოს ცის დანახვა, როგორც ამას აფხაზები ამბობენ. ფუტკრები შედიან ყუთში და თაფლს აკეთებენ. დანიშნულს დროს ყუთს ხსნიან, თაფლს იღებენ და ყიდიან. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ აფხაზეთში თაფლის ყიდვის დროს“ [2].

აფხაზეთში მიცვალებულის ხეზე ჩამოკიდების შესახებ ეახუშტი ამბობს: „...არა დაჰფლვენ მკუდართა თჳსთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა“... (საქართველოს გეოგრაფია, მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით, გამოცემა ჟურნალ „მოგზაუ-

[1] პარსები ცხოვრობდნენ ბაქოს მახლობლად ამ 100—120 წლის წინათ. დღეს ცხოვრობენ ბომბეიში.

[2] Ф. Брун, Путешествие турецкого туриста вдоль по восточному берегу Черного моря. Записки Одесского Общества истории и древностей. Одесса 1875 г., т. IX, стр. 178. ეს წერილი არის ინგლისურიდან ნათარგმნი (Narrative of travels in Europe, Asia and Afrika... by Ewliya Efendi, etc. London 1850, II p. 50—59). ამავე საკითხზე ფ. ბრუნს ჰქონდა წერილი გაბეთ „კავკაზ“-ში სათაურით: «Заметки турецкого туриста о состоянии Закавказского края около половины XVII века». «Кавказ» 1870, № 68. ამ წერილის წინათავები იხილე იმავე გაზეთის №№ 64 და 65.

რისა", თბილისი 1904 წ., გვ. 313). ვახუშტის ამ ცნობას რედაქცია უკეთებს შემდეგ შენიშვნას: „დღესაც აფხაზნი მეხ-დაცემით დახოცილებს სდებენ მაღლა ღია ფარდულზე იმ დრომდის, ვიდრე კუბოში მარტო მკვდრის ძვლები არ დარჩება და მერე მარხაენ" (გვ. 313).

მიცვალებულის მიწის ზემოთ (ჰაერზე) დამარხვას ჯერ კიდევ ცარიზმის უკანასკნელ დროში ჩვენ ვხვდებოდით ციმბირში მცხოვრებ სხვადასხვა ტომებს შორის. მაგალითად, იაკუტები გაუკეთებდნენ მიცვალებულს ორი მსხვილი ხისგან კუბოს, ჩასდებდნენ შიგ მიცვალებულს, გაიტანდნენ ტყეში და იქ მიამაგრებდნენ მაღალ ხეებზე (სურ. 2). კარაგასები შეკრაეფდნენ ხეების კუბოს მი-



სურ. 2
ხეების კუბო, იაკუტები (პოპოვიდან)

წის ზემოთ დაყენებულ ბოძებზე, შიგ მიცვალებულს ჩასდებდნენ და ამრიგად მარხავდნენ ჰაერზე (სურ. 3). ტუნგუზები შამანებს უკეთებდნენ ხის კუბოს და მიწის ზემოთ მარხავდნენ (სურ. 4). მიწის ზემოთ (ჰაერზე) მარხავდნენ მიცვალებულებს იუკაგირები, ბელტირები. ალტაის „თათრები", იურაკები, ოროტშენები, დოლგანები, სოიოტები, გილიაკები, სამოედები და სხვა[1].

მიცვალებულის ხეზე დაკიდება ან მიწის ზემოთ სპეციალურად მოწყობილ ბოძებზე დადება იყო გავრცელებული ავსტრალიაში, სიოურში, მანდანში, კრეჰენ-ინდიანელებში (Krähn-Indianer), მენიტარებში, იროკეზებში, მალაელებ-

[1] Dr. G. Nioradze, გვ. 14. ამ შრომაში მითითებულია ლიტერატურა.

ში, ოკეანელებში (Ozeanier) და კიდევ ბევრს სხვადასხვა ადგილებში[1]. ხშირად ხდებოდა, რომ, როდესაც მიწის ზემოთ (ჰაერზე) დამარხული მიცვალებული გაიხრწნებოდა და მარტო ძვლები დარჩებოდა, მაშინ ამ ძვლებს მოაგროვებდნენ და ხელმეორედ დამარხავდნენ მიწაში ან შეინახავდნენ სახლში[2]; მაგალითად, ასე იქცეოდა კჰოკტავა ანუ დაკოტა[3], ანუ როგორც ეს ჩუქჩებს. ინდოელებს და ზოგ სხვა ტომებს ჩვეულებად ჰქონდათ[4].

ჰუგო ობერმაიერი აღნიშნავს თავის შრომაში, რომ მიცვალებულის მიწის ზემოთ დამარხვა და შემდეგ მისი ძვლების ხელმეორეთ მიწაში დასაფლავება იყო თვით ნეოლითის ხანაშიაც[5]. კანგალაის იაკუტებს ჩვეულებად ჰქონდათ



სურ. 3.
ხეების კუბო, კარაგასები

ხეზე ჩამოკიდება შამანის გვამისა და შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი გაიხრწნებოდა და მხოლოდ ძვლები დარჩებოდა, მაშინ ამ ძვლებს ერთად მოაგროვებდნენ და მიწაში მარხავდნენ[6].

როგორც ჩანს, მიცვალებულის მიწის ზემოთ დამარხვა გავრცელებული ყოფილა ძველ საქართველოში და მის მეზობლად მდებარე ქვეყნებში. ეს ჩვეუ-

[1] Dr. Theodor Weitz, Anthropologie der Naturvölker, Leipzig 1862, dritter Theil, S. 201, 316, 330, 334, 339, Bd. VI, S. 406, 807, 808. Д. Анучин, გვ. 40. Fr. Ratzel B. I, გვ. 304, 345, 444, 585. K. Weule, გვ. 136. Moss, The Life after Death in Oceania and the Malay Archipelago, Oxford Univ. Press 1925. Preuss, Die Begräbnisarten der Amerikaner und Nordasiaten, 1894. Thurnwald, Totenkultus, Ebert Reallexikon, Berlin 1929, S. 364 ff.

[2] Prof. Dr. Max Schmidt, Völkerkunde, Berlin 1924, S. 93. G. Wilke, Mehrstufige Bestattung, Ebert, RL, B. VIII, S. 120.

[3] Dr. Theodor Weitz, გვ. 201.

[4] Fr. Ratzel, B. I, გვ. 444 და 586.

[5] Г. Обермайер, გვ. 571.

[6] Г. В. Ксенофонтов, Легенды о шаманах. Издание якутской секции ВСОРГО; Иркутск 1928, გვ. 16—17 (ნაბუ თავი: «Поднятие костей умершего шамана»).

ლება ამიერ-კავკასიის ზოგიერთ კუთხეებში დიდხანს ყოფილა შემორჩენილი. მაგალითად, ხევსურეთში (პირ-იქითში) სოფ. შატილიდან ორნახევარ კილომეტრის მანძილზე, იქ, სადაც შატილისა[1] და მიღმა ხევის წყალი ერთმანეთს ერთვის, არის აშენებული და სპეციალურად მოწყობილი „მიცვალებულთა სახლები“ ანუ „აკლდამები“, როგორც ამათ თვით ხევსურები ეძახიან (სურ. 5). ადგილს კი, სადაც ეს სახლებია აშენებული, ქვია ანატორი[2]. ეს სახლები არის მიწის ზემოთ და ნაშენებია ქვებით. მათი ფორმა ოთხკუთხედია, ჭერი ორგვერდიანი და არა ბრტყელი, როგორც ეს ძველ ხევსურულ სახლებს სჩვევია. თვითეული „მიცვალებულის სახლის“ სიგრძე საშუალოდ 4,5 m უდრის. კედლის სიმაღლე 2,5 m, სიგანე—3 m. ამ სახლებს არ აქვთ არკები და მათ დანიშნულებას ასრულებს საკმაოდ დიდი ზომის „სარკმელი“, რომელიც მიწის ზემო პირს 60 cm სიმაღლეზეა დაცილებული. თვით სარკმელის სიმაღლე საშუალოდ 37 cm



სურ. 4
ტუნგუზების შამანის კუბო (იოხელსონიდან)


უდრის, ხოლო განი—43 cm. ასე რომ ადამიანს შეუძლია შიგნით შეძრომა. ამ სახლების შიგნითა კედლებზე მოწყობილია ბრტყელი ქვებიდან თაროები, რომლებზედაც აწყვია მიცვალებულები უკვე ზოგი ჩონჩხად და ზოგიც მუმიად ქცეულნი.

[1] ზოგიერთი უწოდებს ამ მდინარეს „არგუნს“.

[2] ზოგიერთი მკვლევარი, მაგ. გურკო-კრიაჟინი, ამ „მიცვალებულთა სახლებს“ ეძახის ანატორის, რაც—შეცდომაა (В. А. Гурко Крячин, Хевсуры, Новый Восток, Москва 1928, книга 20—21-ая, გვ. 268). ამავე სახლების აღწერილობა აქვს რადეს (Dr. Gustav Radde, Die Chewsuren und ihr Land, Cassel 1878, გვ. 270—272), მაგრამ აღწერილობაში მოყვანილი ზოგიერთი ცნობები არ არის სწორი. მაგალითად, რადეს აღწერილობით „მიცვალებულთა სახლების“ ჭერი არის ბრტყელი, რომ ვითომც ხევსურები ასაფლავებენ მიცვალებულებს მჯდომარე პოზით და ყალიონით.

მიცვალებულებს ჯერ კიდევ 1926 წ., როდესაც მე ეს მიცვალებულთა სახლები ვინახულე, შერჩენილი ჰქონდათ ნაწილები ძველი ხევსურული ტანსაცმლისა. ერთს აკლდამაში შერჩენილი იყო ხევსურული აკვანი და მუსიკალური ინსტრუმენტი. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მიცვალებულები უეჭველად ხევსურებია და არც მეტად დიდ ძველ დროს ეკუთვნიან.

ანატორში სულ ხუთი „მიცვალებულის სახლია" ანუ აკლდამაა. ამ აკლდამების პირდაპირ, მდინარე შატილის წყლის მარცხენა ნაპირზე, არის სოფ. ანატორის ნანგრევები. შატილელები ამბობენ, რომ სოფ. ანატორის მცხოვრებლები ჟამიანობის დროს ამოწყდნენო და ეს აკლდამებიც იმ დროის აშენებულიაო. ვისაც ჟამი შეეყრებოდა. ამბობენ ხევსურები, ის შეძვრებოდა აკლდა-



სურ. 5

„მიცვალებულთა სახლები" ანუ „აკლდამები" ხევსურეთში

მაში, დაწვებოდა ქვის თაროზე და ელოდა სიკვდილსაო. სოფ. ანატორის ყველა მცხოვრები ამოწყდა ჟამითო და უმეტეს წილად ამ აკლდამებში თავისთავად „ცოცხლად" დაიმარხენო. იმაევ ხევსურების ცნობით გადარჩენილა მხოლოდ ერთი ვაჟი, რომელიც შატილში გადასახლებულა და რომლისგანაც, თურმე, წარმომდგარა ხუთი მოსახლე — გვარად ანატორიელი. ცხადია. რომ ხევსურების გადმოცემა ამ აკლდამების შესახებ ლეგენდა არის. თუ რომ მართლა ჟამი გაჩნდა სოფ. ანატორში, მაშინ ამგვარ უბედურების დროს ასეთს კარგს სახლებს, როგორიც არის მიცვალებულთა სახლები, ვერ ააშენებდნენ და არც არავინ ცოცხლად ამ სახლების შიგნით შეძვრებოდა და სიკვდილის მოლოდინს დაიწყებდა. ეს სახლები ჩვენ უნდა ჩავთვალოთ ერთგვარ სასაფლაოებად და, უნდა ვიფიქროთ, არიან იმ დროის, როდესაც მიცვალებულებს ხეზე ჩამოკიდების

მაგიერ მიწის ზემოთ მარხავდნენ ამ მიზნით საგანგებოდ გაკეთებულ სახლებში[1]. ამგვარიეე მიცვალებულთა სახლები არის ძველ ნასოფლარში (ანატორიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით), არის მუცოში (სურ. 6) და სხვა. ამგვარიეე სახლები აღმოჩენილია სოფ. ჟინვალში, ფშაიის არაგვის ნაპირზე (სურ. 7). აღმოჩენილია კახეთში კონღოთოს ხევში, იმერეთში, სამეგრელოში და სხვ.



სურ. 6

„მიცვალებულთა სახლები" მუცოში

[1] ანატორის მიცვალებულთა სახლების შესახებ იხილე: G. Nioradze, Begräbnis und Totenkultus bei den Chewssuren, Stuttgart 1932, S. 30—34.

[2] აღსანიშნავია, რომ მიცვალებულთა სახლები ცნობილია საფრანგეთში, ავსტრიაში და კიდევ ბევრ სხვა ადგილას, Оберайер, გვ. 573—574. G. Wilke, Nachbestattung. Reallexikon der Vorgeschichte, Berlin 1927, B. VIII, S. 393. სტრაბონის გადმოცემით კიროსის გვამი დამარხეს განსაკუთრებულად აშენებულს პატარა კოშკში, რომელსაც პატარა შესაძრომი ჰქონდა. ამ




სურ. 7

„მიცვალებულთა სახლი" სოფ. ქინვალში

კოშკს მიცვალებულის სახლად სთვლიან. სტრაბონისვე ცნობით, უკვე ზოგი სპარსელი აღარ მარხავდა თავის მიცვალებულს ისე, როგორც მისი მოგვები, ე. ი. აღარ აქმევდა მიცვალებულს მტაცებელ ფრინველებს (А. С. Уваров, გვ. 68). მიცვალებულთა სახლებად ჩვენ უნდა ჩავთვალოთ დოლმენებიც (მეგალით-საფლავები), რომლებიც უამრავად მოიპოება ახიაში და ევროპაში. მიცვალებულთა სახლებს უნდა მივაწეროთ ის გამოქვაბულები (ბუნებრივი და ხელოვნური), რომლებშიდაც მიცვალებულებს სდებდნენ (G. Wilke, Grabgrotte, Ebert RL, B. IV, S. 487). M. Arcelin, Les sépultures de l'âge du Renne de Solutré, Revue des questions scientifiques 3, გვ. 349. P. de Mortillet, Origine du culte des morts. Les sépultures préhistoriques, Paris 1913. აქვე აღსანიშნავია Kammergrab, რომელიც ამავე დანიშნულების იყო, Ebert RL, B. VI, S. 203; Noël des Vergers L'Etrurie et les Etrusques 1862; Martha, L'Art Etrusque 1889.

მიცვალებულთა სახლები არის ოსეთშიდაც (სურ. 8) და ბევრს სხვა ადგილებში. ეს ცოტა, მაგრამ უტყუარი ნაშთები, აგრეთვე თვით ძველი ბერძნების და რომაელი მწერლების გადმოცემანი გვაძლევენ საშუალებას ვთქვათ, რომ მართლაც ძველ საქართველოში და აგრეთვე ბევრს სხვა ქვეყნებშიდაც წესად ყოფილა მიცვალებულის მიწის ზემოთ (ჰაერზე) დამარხვაც და თუ პირობები ხელს უწყობდნენ. მაგალითად. თუ მოიპოვებოდა საცხოვრებელი ბინების მოშორებით დიდი ხეები, მაშინ ხეებზედაც ჰკიდებდნენ მიცვალებულებს, როგორც ამას წერილობითი წყა-




სურ. 8
„მიცვალებულთა სახლები". ოსეთი. აული სანიბა

როებიდან ეტყობილობთ. ჩვენ გვაინტერესებს უკანასკნელი შემთხვევა — მიცვალებულის ხეზე ჩამოკიდება.


საჭიროა ვიცოდეთ, რას უშვრებოდნენ მიცვალებულს ხეზე ჩამოკიდების შემდეგ?

სულ ხეზე ხომ არ უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული? რას უშვრებოდნენ ძვლებს, როცა გვამი გაიხრწნებოდა და ძვლები ძირს ჩამოცვივდებოდა? მიწის ზემოთ ხომ აღარ მიატოვებდნენ, რომ გამქელელ-გამომქელელს ფეხით ეტკეპნა? ამის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობები არ შოგვეპოებოდა და არც ჩვენს არქეოლოგიას დღემდის ამის შესახებ არაფერი უთქვამს.



სურ. 9
წიწამურის სასაფლაოს გეგმა

დღეს ჩვენ გვაქვს უტყუარი საბუთი და სრულიად სამართლიანი იქნება ვიფიქროთ, რომ მიცვალებულის ძვლებს. რომლებიც გვამის ხეზე ჩამოკიდებისა და გახრწნის შემდეგ დარჩებოდა, მოაგროვებდნენ და მიწაში დამარხავდნენ. აი ამ ძვლების დამარხვას უნდა ვუწოდოთ „განმეორებითი დამარხვა“. პირველი



სურ. 10

წიწამურში აღმოჩენილი პატარა ზომის ქვის ყუთები

დამარხვა ხეზე, ე. ი. ჰაერზე (Luftbestattung), ხოლო მეორე — მიწაში. ამ აზრს ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები წიწამურში, არაგვის მარცხენა მხარეზე, ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე არაგვისა და მტკვრის შესართავიდან (სურ. 9). ამ ადგილას ჩვენ აღმოვაჩინეთ სამი პატარა ზომის ქვის ყუთები (სურ. 10)[1], რომლებიც კუბოების მაგიერ იყო გამოყენებული. ეს ქვის კუბოები ოთხკუთხედი ბრტყელი ქვებიდან იყო გაკეთებული და მიწის ზედაპირს 26 cm დაცილებული. მათი მიმართულება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა იყო. ზომით თითქმის თანაბარნი. ერთი მათგანის (სურ.10 b) სიგრძე 84 cm იყო, ხოლო სიგანე — 12 cm და სიღრმე კი — 13 cm. სამარეების გარშემო მდებარე მიწა იყო ლიოსის მაგვარი და თანაც მეტად მაგარი. მიწის ზემო პირი ალაგ-ალაგ

[1] ეს გათხრები ჩვენ ჩავატარეთ 1926 წ. ამ გათხრების შესახებ ჩვენ მიერ თავის დროზე მოთავსებული იყო პატარა სტატია „Archiv für Anthropologie-ში (N. F. Bd. XXII, Heft. 1/2 Braunschweig 1930, S. 1—6).

ბუჩქებით მოფენილი. როდესაც ამ საფლავს ზემოდან დახურული ბრტყელი ქვა ავხადეთ, დავინახეთ, რომ სამარეში მიწა არ იყო ჩაყრილი და არც ჩანაჟონი წყლის მიერ ჩატანილი. სამარეში უწესრიგოდ ჩაწყობილი იყო ორი ადამიანის ძვლები (სურ. 11). ზემოდან — უფრო დიდი ძვლები, ქვემოთ კი უფრო პატარა. თაეის ქალას ძვლების ნიშნები სრულებით არსად ჩანდა. მხოლოდ კბილების და ძვლების მიხედვით შესაძლო იყო დაგვესკვნა, რომ სამარეში მოზრდილი ადამიანის და პატარა ბავშვის ძვლები იყო ჩაწყობილი. ძვლები მეტად ცუდად იყო შენახული. საკმარისი იყო ძვლის ოდნავ ხელის შეხება, რომ ის მაშინვე მტვრად ქცეულიყო. ერთი მთლიანად შენახული ბარძაყის ძვლის სიგრძე 463 mm-ს უდრიდა, ასე რომ მიცვალებულის სიმაღლე დაახლოებით 1691 mm უნდა ყო-



სურ. 11


სამარეში ჩაწყობილი ადამიანთა ძვლები

ფილიყო, რაც საშუალო ტანის ადამიანის სიმაღლეს გულისხმობს. ეს სამარე ინვენტარით ღარიბი გამოდგა, ვინაიდან გარდა 5 ცალი ბრინჯაოს ქინძისთავისა და ორი ცალი რკინის ლურსმნების ნატეხისა (სურ. 12) არაფერი არ აღმოჩნდა. ქინძისთავების სიგრძე საშუალოდ უდრიდა 5,5 cm.

მეორე სამარე ზომით და ნაგებობით დაახლოებით იგივე იყო, როგორც პირველი, მხოლოდ მიწით იყო პირამდის სავსე. ეტყობოდა, რომ მიწა ჩანაჟონი წყლით იყო შიგნივ ჩატანილი. ამ სამარეშიდაც მეტად ცუდად შენახული ადამიანის ძვლები იყო ჩაწყობილი. მატერიალური კულტურის არავითარი ნაშთი სამარეში არ აღმოჩნდა. მესამე საფლავი (სურ. 10 ა) სულ სხვანაირად იყო ნაშენები და ზომითაც უკვე ნახსენებ სამარეებისგან განსხვავდებოდა. ამ სამარის მოყვანილობა სწორ სამწახნაგოვან პრიზმას მოგვაგონებდა, რომლის ერთ გვერდად დედამიწის პირი იყო გამოყენებული. ამ სამარეს სულ ექვსი ოთხკუთხიანი ბრტყელი ქვა ჰქონდა: თავსა და ბოლოში თითო-თითო და ორ-ორიც თითოეულ გვერდზე. ეს სამარეც მიწით იყო სავსე და შიგ ადამიანის ძვლები ჩაწყობილი. ინვენტარი არავითარი. სამარის სიგრძე 105 cm, სიმაღლე 15 cm.

სამარეები დაცილებული იყო ერთი მეორეს თითო მეტრით. მათს გარშემო და ვერც მათ შიგნით ვერავითარი ნიშნები ცეცხლისა ვერ ვიპოვეთ. არც ძვლებს ეტყობოდათ ცეცხლის ნიშანი, რომ ადამიანს შეეძლო ეფიქრა, ვითომც მიცვალებულის დაწვასთან საქმე გვქონდა. ვერ ვიპოვეთ აგრეთვე ცხოველის ძვლების ვერავითარი ნაშთები.

იმ ინვენტარის მიხედვით, რომელიც ჩვენ ერთს სამარეში აღმოვაჩინეთ, ძნელია იმის თქმა, თუ რა დროს ეკუთვნის ეს სამარეები, მაგრამ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის შემდეგ დროს უნდა მივაკუთნოთ. დათარიღება ძნელდება იმ გარემოებით, რომ საფლავის ინვენტარი დათარიღებისათვის არასაიმედოა და თანაც მეტად




სურ. 12

პატარა ზომის ქვის ყუთში აღმოჩენილი ნივთები

ცოტა; არ შეგვიძლია აგრეთვე ანალოგიების საშუალებით ზუსტად გავერკვეთ თარიღში, ვინაიდან მცხეთის სამარეები დათარიღების მხრივ დიდ უთანხმოებას იწვევს; აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილი ნივთების მაგვარი საფლავის ინვენტარი მეტად დიდი ხნის განმავლობაში იყო ხმარებაში გავრცელებული საერთოდ ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილი განმეორებით დამარხვის ტიპის სამარეების გვერდით, ორი მეტრის დაშორებით აღმოჩნდა ფიქალი ქვებისგან ნაშენი ორი დიდი ზომის აკლდამა. ერთი მათგანი (სურ. 13) მთლიანი ფიქალი ქვებისგან იყო გაკეთებული და ზემოდან სამი ბრტყელი ქვა ჰქონდა დადებული. ამ აკლდამის სიგრძე შიგნიდან 180 cm იყო, სიგანე 77 cm, სიმაღლე 68 cm. აკლდამაში სამი ცალი 7,5 cm სიგრძის ბრინჯაოს ქინძისთავი, ობსიდიანის ნატეხი და ერთიც 5,3 cm სიმაღლის „საცრემლე" აღმოჩნდა (სურ. 14 a, b, c, d და სურ. 15). მეორე აკლდამა იყო პატარა ზომის ქვებით და ალიზით ნაშენი და ზემოდან ამასაც სამი ქვა ჰქონდა დადებული. ვერავითარი ნივთი გარდა დაჟანგული რკინის ნაწილებისა და ბრინჯაოს ქინძისთავის ნამტვრევისა (სურ. 14 e, f, g) ვერ ვიპოვეთ. ამ აკლდამის ზომა დაახლოებით იგივე იყო,

როგორც პირველის: სიგრძე შიგნიდან 184 cm, განი 80 cm და სიღრმეც 71 cm. ორივე აკლდამაში ერთი და იგივე დამარხვის წესი იყო. სახელდობრ თვითეულ მათგანში გულაღმა ესვენა ორი მიცვალებული: ერთი—თავისუფლად მდებარე და მეორე—აკლდამის კედელზე მიწეული. ერთი სიტყვით ჩვენ აქ იგივე სურათი გვაქვს, როგორც ეს იყო კარსნის ხევის სასაფლაოზე (შეად. გ. ნიორაძე, კარსნის ხევის სასაფლაო, საქართველოს მუზეუმის შრომები, თბილისი 1926 წ. სურ. 6 და 9). აკლდამების ადგილმდებარეობა, მათი განლაგება, მიწის პირის სტრატიგრაფია და თვით საფლავების ინვენტარი მიგვითითებდა, რომ, როგორც აკლდამები, აგრეთვე ჩვენ მიერ აღწერილი განმეორებითი დამარხვის ტიპის საფლავები, ერთსადაიმავე დროს უნდა მივაკუთნოთ. აქედან ადვილი ხდება დასკვნა, რომ ერთსადაიმავე დროს, ერთსადაიმავე ადგილზე სნმე გვაქვს სხვადასხვა სახის დამარხვის წესთან. შესაძლოა აგრეთვე დაეუშვათ, რომ ეს




სურ. 31
ფიქალი ქვებისგან ნაშენი აკლდამა

ორი სხვადასხვა სახის დამარხვის წესი ერთსადაიმავე ეროვნებას ჰქონდა შეთოღებული, ვინაიდან, თუ ბედველობაში მივიღებთ ძველი დროის რელიგიურ ფანატიზმს, ორს სხვადასხვა ეროვნების ხალხს სხვადასხვა ადგილას ექნებოდა სასაფლაოები და არა ერთსადაიმავე ადგილზე დამარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს [1].

ეხლა საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ უნდა ავხსნათ ჩვენ განმეორებითი დამარხვის წესი ანუ მიცვალებულის მიწის ზემოთ (ჰაერზე) დამარხვა. და-

[1] ალტაის მხარეზე მცხოვრებ კალმიკებს ამ 25 წლის წინათ ჩვეულებად ჰქონდათ მიცვალებულის, როგორც მიწაში დამარხვა, აგრეთვე ხეზე ჩამოკიდება. Изв. общ. арх., истор. и этногр. при Казанском унив., X, вып. 4, стр. 401.

მარხვის ასეთს წესს აქვს დღეს თავისი ახსნა. ვინაიდან მიცვალებულის სხეული ბინძურად, უწმინდურად ითვლებოდა და მიწა კი წმინდა ელემენტად, ამიტომ შეუძლებლად თვლიდა ზოგიერთი მიცვალებულის მიწაში დამარხვას და ამით მიწის გაუწმინდურებას. მათივე შეხედულებით არ შეიძლებოდა აგრეთვე მიცვალებულის ცეცხლში დაწვა და არც წყალში გადაგდება, ვინაიდან ცეცხლიც და წყალიც წმინდა ელემენტებად იყო აღიარებული. ასე ხსნის ზოგიერთი მკვლევარი ამ საკითხს, ასე ამბობენ დღეს ზოროასტროს მიმდევრები, ასე დააკანონა თვით ზოროასტრომ, რომელიც თავის მოძღვრებაში უკრძალავს მიცვალებულის შეხებით მიწის, ცეცხლის და წყლის გაუწმინდურებას[1].



სურ. 14

ამგვარად საკითხის ახსნა, რომ ვითომც მიწა, ცეცხლი და წყალი მიცვალებულის გვამით არ გააუწმინდურონ, არ უნდა იყოს ჩვენის შეხედულებით სწორი.


თუ მართლაც შესაძლოა მიცვალებულმა წმინდა ელემენტად აღიარებული მიწა გააუწმინდუროს, როგორც ამას ზოროასტროს მიმდევრები ამბობენ, რად არის რომ მამაკაცების გვამს არ მარხავენ მიწაში და ქალების გვამს კი მარხავენ?

თუ რომ მიცვალებულით მიწის გაუწმინდურებას უფრთხილდებიან, განა ქალის გვამს არ შეუძლია მიწა გააუწმინდუროს? ამაზე შესაძლოა გვიპასუხონ,

[1] Schurtz, გვ. 197. ამის შესახებ უვაროვს მოყავს ვენდიდადიდან სხვადასხვა ფარგარდების თარგმანი. А. С. Уваров, Курганы с расчленением близ г. Дербента, Труды V-го Археологического с'езда в Тифлисе, Москва 1887, стр. 63—67.

რომ ქალს ადამიანად არ სთელიდნენო და ჩვენც ამ განმარტებით დაეკმაყოფილდეთ.

დავუშვათ, რომ ასეთი განმარტება მისაღებია. ქალი ადამიანად არ ითელებოდა და ამიტომ მისი გვამი არავითარ გაელენას არ ახდენდა არც მიწაზე და არც სხვა „წმინდა“ ელემენტებზე. მაგრამ აქვე იბადება შემდეგი გაუგებრობა: თუ რომ ზოროასტროს მიმდევარი მამაკაცი მოკვდა, მისი დამარხვა მიწაში ახურა-მაზდას განმარტების თანახმად, რასაკვირველია, არ შეიძლება. მაგრამ, თუ სხვა ვინმე მამაკაცი, არა ზოროასტროს მიმდევარი გარდაიცვალა, მისი დამარხვა მიწაში ზოროასტროს მოძღვრებით დაკანონებულია. ამგვარ გაუგებრობაზე გვიპასუხებენ, რომ, როცა ზოროასტროს მიმდევარი კვდება, მაშინ იმარჯვებს ბოროტი სული — არიმანი და მიცვალებულიც უწმინდური ხდება, ხოლო, როცა უცხო ვინმე კვდება, მაშინ კი იმარჯვებს ორმუზდი, კარგი სული და ამიტომ მიცვალებული არ უწმინდურდება და შესაძლოა ამიტომ ასეთი გვამის დამარხვა მიწაში. ამგვარი განმარტება გარეგნულად ახდენს ერთგვარ შთაბეჭდილებას, მაგრამ თუ საკითხს ღრმად ჩავუკვირდებით, ჩვენ დავინახავთ საქმის არევ-დარევას და ერთი უცნობით მეორე უცნობის ახსნას და საკითხის ისევ გაურკვეველად დარჩენას.



სურ. 15
„საცრემლე“

ამგვარი ახსნაც რომ მიეიღოთ, არიმანს მხოლოდ მაშინ დაედება ბრალი, თუ ადამიანი თავის დღით არ მოკვდა, ე. ი. თუ რომ მას რაიმე უბედურება შეემთხვა, მაგალითად, კლდეზე გადავარდა, წყალში დაიხრჩო, ბრძოლის ველზე დაეცა და სხვა ამგვარი. მაგრამ, თუ კაცი დაბერდა, დაჩაჩანაკდა და თავის დღით მოკვდა, ამ შემთხვევაში არიმანის რა ბრალია? ადამიანს ხომ სამუდამოდ სიცოცხლე არ შეუძლია? და თუ არიმანს ბრალი არ უდევს, გვამიც უწმინდურად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ასეთი მოხუცის გვამს მარხავენ მიწაში ზოროასტროს მიმდევრები. ასე რომ აქაც ულოგიკობა არის, აქაც x-ით y-ის ახსნაა.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, რამდენია ისეთი ადგილები დედა-მიწის ზურგზე, სადაც ზოროასტროს მოძღვრებას არავითარი გაელენა არ აქვს, ზოროასტროს სახელი არც კი გაუგონიათ და მიცვალებულებს კი მიწის ზემოთ მარხავენ. ესეც ხომ ზოროასტროს მოძღვრებით არ აიხსნება? მერე კიდევ რამდენი რამ არის ბინძური, რომლის მიწაში დაფელას არ ერიდებიან თვით ზოროასტროს მიმდევარნი; რატომ ესენი არ აუწმინდურებენ „წმინდა“ ელემენტად დასახულ მიწას?

ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ზოროასტროს მიცვალებულის მიწის ზემოთ დამარხვის წესი თვითონ არ შემოუღია, ხოლო მან თავისებური ახსნა კი მისცა. ცხადია ისიც, რომ, ზოროასტრომდის მიცვალებულის მიწის ზე-

მოთ დამარხვა უკვე არსებობდა[1], ხოლო ზოროასტრომ, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ამნაირი წესი დააკანონა და თავის მოძღვრებას შეუფარდა ისე, როგორც ეს ბუდჰიზმა, ქრისტიანობამ, ისლამმა და სხვა რელიგიებმა ბევრი რამ ძველი ჩვეულებანი თავიანთ მოძღვრებაში შეიტანეს და კიდევაც დააკანონეს[2].

არ შეგვიძლია აგრეთვე დავკმაყოფილდეთ იმ განმარტებით, რომ მიცვალებულებს ვითომც მიტომ ჰკიდებდნენ ხეებზე, რომ ადამიანები უფრველეს დროში ხეებზე ცხოვრობდნენ და რომ მიცვალებულები ისეთნაირად უნდოდათ „მოეწყოთ", როგორც ისინი სიცოცხლეში ცხოვრობდნენ და ამიტომ ჰირისუფლები თავიანთ მიცვალებულებს ისევ ხეებს უბრუნებდნენო. არც ამნაირი ახსნით შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ; ვინაიდან პირველყოფილ ადამიანებს ყველას ხომ ხეებზე არ უცხოვრიათ და მეორეც ის, რომ დამარხვის წესი ისეთს დიდ სხვადასხვაობას განიცდის, რომ უმრავლეს შემთხვევებში მიცვალებული სრულიად „არ ეწყობა" ისე, როგორც მას უცხოვრია. მაგალითად, ავიღოთ ჩვენ პრიმიტიული დამარხვის წესი, რომელიც ანთროპოფაგიის ანუ კანიბალიზმის სახით იყო და რომლის შესახებ გამოჩენილი Steinmetz-ი ამბობს, რომ ამგვარად დამარხვის წესი იყო ყველაზე უძველესი და მთელს მსოფლიოში გავრცელებული[3].

ან ავიღოთ მიცვალებულის ცეცხლში დაწვა. ან მიცვალებულის ნავისებური კუბოთი წყალში შეცურება და ისე დამარხვა და სხვა ამგვარი.

ასეთი ახსნანი არ არიან საფუძვლიანი ისე, როგორც ვეიდენბაუმის აზრი, რომელიც მიცვალებულის ხეზე დაკიდებაში ხედავს ხისათვის მსხვერპლის მიტანას[4]. ვერც ვეიდენბაუმი სწყვეტს ამ საკითხს სისწორით, ვინაიდან ჯერ ერთი ის, რომ, თუ მსხვერპლის მიტანაზეა ლაპარაკი, მსხვერპლად მხოლოდ ცოცხლები მიყავდათ და არა ნახევრად გახრწნილი გვამები მიქონდათ; მეორეც ის, რომ, რამდენი ადამიანი მოკვდებოდა და რამდენს მიცვალებულს ხეზე ჩამოკიდებდნენ, ყველა ხე ხომ თაყვანის საცემი არ იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ხეებს იმ შემთხვევაში სცემდნენ თაყვანს, როცა ხეში გარდა თვით ხის „სულისა", ეგულებოდათ კიდევ განსაკუთრებულად დაბინავებული „სული", რომელსაც „შეეძლო" კარგი ან ცუდი გაეკეთებინა მოეხდინა ადამიანზე. ვიცით აგრეთვე, რომ ზოგჯერ მიცვალებულებს ხის ბოძებზე დაამაგრებდნენ და ისე მარხავდნენ ასეთი ბოძები კი თაყვანის საცემი არ იყვნენ, რადგან მათში არ ეგულებოდათ თაყვანის საცემი „სული".

გამოჩენილი მსოფლიო ეთნოლოგი ჰენრიხ შურტცი ფიქრობს, რომ მიცვალებულები მხეცების შეჭმისგან დაეფარათ, ამიტომ ჰკიდებდნენ მათ გვამებს ხეებზედო[5]. ჩვენ არც ასეთი ახსნა მიგვაჩნია სამართლიანად, ვინაიდან ბევრი

[1] მაგალითად, ნეოლითში უკვე იცოდნენ მიცვალებულის მიწის ზემოთ დამარხვა.

[2] Вс. Миллер, Этнограф. Обозр., Москва 1911, № 1—2, стр. 135.

[3] შეად. Prof. Dr. Karl Weule, Leitfaden der Völkerkunde, Bibliographisches Institut in Leipzig und Wien, 1912, S. 136. Hutton, The Eating of Dead Relatives Folk Lore 34 (1923), Chinnery, The Belief in Souland Soul Substance Man 19 (1919).

[4] Е. Г. Вейденбаум, Кавказские этюды, I, Тифлис, გვ. 81.

[5] Schurtz, გვ. 200.

სხვადასხვა ტომი თავიანთ მიცვალებულებს განგებ აჰმევდნენ მხეცებს; ბაქტრიაში საგანგებოდ ზრდიდნენ და წვრთნიდნენ ძაღლებს მიცვალებულების შესაჰმელად და სხვა. აგრეთვე მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ხეებზე მიცვალებულები ყოველთვის ვერ გადაურჩებოდნენ ცხოველებს, განსაკუთრებით ფრინველებს.

მაშ, როგორ უნდა აეხსნათ ჩვენ მიცვალებულის ხეზე ჩამოკიდება ანუ საერთოდ მიწის ზემოთ (ჰაერზე) მისი დამარხვა?

სანამ ამას ავხსნიდეთ, საჭიროა მოვიგონოთ, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდა პირველყოფილ ადამიანს „სულზე“.

პირველყოფილი ადამიანი სულს ისახავდა რაღაც ნივთიერ საგნად, სხეულისგან განუყრელად და იმავე მოთხოვნილებით, როგორც ცოცხალი ადამიანი. ამის მაგალითები უამრავი მოიპოვება ლიტერატურაში. ამის მაგალითები ჩვენ დღესაც ვიცით მთელ რიგ პრიმიტიულ ხალხთა შორის და ზოგი რამ გადასხვაფერებული survival-ის სახით დღესაც შესამჩნევი ხდება კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომ ხალხთა შორისაც.

დავიწყოთ სულის მატერიალიზაციიდან[1]. დავიწყოთ თუ გნებავთ აფხაზეთიდან, სადაც წყალში დამხრჩვალი კაცის „სულის დაჭერის“ შესახებ ნიკო ჯანაშია აქვს მეტად საყურადღებო წერილი მოამბეში. ნიკო ჯანაშია მოგვითხრობს, რომ აფხაზის რწმენით (იგულისხმება ძველი დროის აფხაზი) «წყალში დამხრჩვალ კაცის „სული“ გზა დაბნეულია,... ყოველ ღამ მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე..., ეული სული მოსთქვამს სასოწარკვეთილის ხმით, დასტვენს და დასჩხუვის მდინარის ნაპირებს.. ბევრს მგზავრს გაუგონია მკვდრის სულის ასეთი შემაძრწუნებელი ხმა!.., რომელიც თავის ობლობას და ტანჯვას დასტირის. ამიტომ საჭიროა სულის დაჭერა. მთელი სოფელი შეიყრება იქ, სადაც ულმობელას წყალის მსხვერპლი გახდა საცოდავი კაცი. სიმღერით, აბრეშუმის მშვენიერს და მაგარს ბაწარს გადაჰიმავენ მდინარის ერთ ნაპირიდან მეორემდე და ამაღე შუა ალაგას ძალიან წმინდა და უხმარ გუდას მიაბამენ ისე, რომ წყალი მას არ შეეხებოდეს... გუდას თავი უნდა ჰქონდეს გახსნილი. გუდას რომ მიაბამენ, ხალხი გაიყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი ერთ ნაპირზე დადგება და მეორე ნაწილი — მეორეზედ. იმართება სიმღერა და ცეკვა-თამაში, რომ სული უფრო „ჩაბრძანდეს“ სუფთა გუდაში.

ამიტომაა ნაპირებზე გაჩაღებული ცეკვა-თამაში და სიმღერა: აქ ბრმა მოხუც მეჩიანურესთან („აფხიარცა-არჰვაძე“) შეგროვილან დროულნი კაცნი და ჭიანურის („აფხიარცა“) ხმაზე ღიღინებენ; იქ — ახალგაზრდა მზეთუნახავი უკრავს ჩანგურს („აჩანგურ“) და მისს გარშემო მდგარ ახალგაზრდათა გუნდი ორისაევ სქესისა ბანს აძლევს; მესამე ალაგს კიდევ სხვა წრე შემდგარა და სიმღერა-თამაშია გართული.

ამორჩეული კაცები ხელმძღვანელობენ სიმღერა-ცეკვა-თამაშს და თანაც თვალყურს ადევნებენ გუდას, თუ როდის შებრძანდება გუდაში ტკბილის ხმით მოხიბლული და გახარებული საწყალი სული დამხრჩვალი კაცისა! როცა შეამ-

[1] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მაგალითის მოყვანა ამ საკითხების შესახებ მეტად შორს წაგვიყვანს, მე აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთს.

ჩნეევენ — გუდა „იბერება“ (სულის შებრძანების ნიშანი) უფროსები აძლევენ ნიშანს, რათა მომღერალთ და ჩანგურ-ჭიანურზე დამკვრელთ უფრო დაადაბლონ ხმა, უფრო ნაზად და წყნარად იმღერონ: შესაძლებელია მეტის-მეტმა მხიარულებამ შეაშინოს ეული სული და არ „შებრძანდეს“ გუდაში და მით საუკუნოდ დარჩეს უთვისტომოდ და ამით გამოწვეულ ტანჯვა-ეაებაში.

რამდენადაც უფრო და უფრო „სასიხარულო ნიშნები“ ეტყობა გუდას (რამოდენად უფრო იბერება), იმოდენად სიმღერა-თამაშის ხმა მიინაბება ხოლმე. აი, კიდევაც „შებრძანდა“ გუდაში სული, ხმაურობაც შეწყდა და ამორჩეულნი ეცბად მისცვივიან გუდას და თავს უკონავენ.

ეხლა, როცა სული მათ გუდაშია, უფრო და უფრო აჩაღებენ სიმღერა-თამაშს და ამ სიხარულით და ცეკვა-თამაშით გასწევენ მიცვალებულის სახლისაკენ და აქ მოუხსნიან თავს»[1].

ამ მშვენიერი აღწერილობიდან ცხადად ჩანს სულის მატერიალიზაცია: სულის ტკბილი სიმღერით მოტყუება, მისი დაჭერა და გუდაში დამწყვდეეაც კი შესაძლო ყოფილა. შესაძლო ყოფილა სულის გუდით წაღება და შემდეგ მიცვალებულისათვის ისევ დაბრუნება. დღეს, რასაკვირველია, სულის დაჭერის ამგვარი ცერემონიები უკვე გადავარდნილია აფხაზეთში[2], მაგრამ ეს მაგალითი გვიჩვენებს ძველი აფხაზების წარმოდგენას სულზე.

ძველად სვანებსაც „შესძლებიათ“ სულის დაჭერა და უცხო მხარიდან სამშობლოში „წამოყვანა“, ხოლო სვანების მიერ სულის დაჭერის ხერხი უფრო სხვანაირია, ვიდრე აფხაზების. «როდესაც სვანი თავის სახლის გარეთ ან სხვა სოფელში სადმე მოკვდება, მისი სულის სახლში „მოსაყვანად“ მიდიოდნენ მისი პირისუფლები, რომლებსაც სახლიდან მიყავდათ მამალი, მიქონდათ ჩანგი და ასე გამოწყობილი გარდაცვალების ადგილიდან გამოუძღვებოდნენ სულს სახლისკენ. გზაზე თუ მამალმა არ დაიყივლა და ჩანგმა კარგი ხმით არ დაუკრა. ეს იმის ნიშანია, რომ სული მათ არ მოყვება, გაჩერებულია და ამიტომ, სანამ ეს გარემოება არ გამოკეთდებოდა, გაჩერებული იყვნენ იმ ადგილას სულის წინამძღოლნი»[3].

ხევსურები კი სულ სხვანაირად „იჭერდნენ“ სულს და მიყავდათ მიცვალებულთან. თუ ხევსურს რაიმე უბედურება შეხვედებოდა, მაგალითად, წყალში დაიხრჩობოდა, ან კლდეზე გადავარდებოდა, ან ზვავს მოყვებოდა, ან თავს ჩამოიხრჩობდა და სხვა — ასეთ უბედურ შემთხვევის დროს მიქონდათ სულის „მომსხმელი“ ანუ „მომხსნელი“ დროშა ლიკოკის ხატიდან; მიიტანდნენ დროშას

[1] ნიკო ჯანაშია, აფხაზები (ეთნოგრაფიული მასალები), წყალში დამხრჩვალის კაცის „სულის დაჭერა“, მოამბე, II, ტფილისი 1897, გვ. 66—68. ეს წერილი გადათარგმნა რუსულ ენაზე ი. ბრამელოვმა და მოათავსა «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. XXXIII, Тифлис 1903, стр. 156—158. ამ თარგმანის სათაურია: «Кое-что из абхазских поверий. Вызаливание из реки души утопленника».

[2] 1897 წ. ნიკო ჯანაშია აღნიშნავდა, რომ წყალში დამხრჩვალი ადამიანის „სულის დაჭერა“ კიდევ არის დარჩენილი ბზიფშიო (აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში), ხოლო აბეჟაში (აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში) უკვე გადავარდაო (გვ. 68).

[3] Dr. G. Nioradze, Begräbnis und Totenkultus bei den Chewssuren, Stuttgart 1932, S. 48.

იმ ადგილას, სადაც უბედურება მოხდა. დაკრავდნენ დროშის ტარს მიწაზე და შემდეგ იმავე დროშას წაიღებდნენ მიცვალებულთან და სახლის ზედაბანზე დაასობდნენ რამდენიმე წუთით და ამგვარად უბრუნებდნენ მიცვალებულს დაკარგულს სულს, რომელიც „ეშმაკს“ ყავდა დატყვევებული[1].

სულის „დაკერის“ მაგალითები უამრავი ჴოიპოება ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში და აქ არც არის საჭირო ყველა მათი მოყვანა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ციმბირის შამანი „იკერდა“ სულს, რომელსაც „ჩადებდა“ ხოლმე ქისაში და მაგრად თავს მოკრავდა, რომ სული არ გაქცეოდა. შამანს შეეძლო ამგვარად „დაკერილი“ პატარა ბავშვის სული უშვილო ქალებისათვის „გადაეცა“ და მათაც შვილი გაუჩნდებოდათ. ციმბირში მცხოვრებ ზოგიერთ ხალხს სწამდა, რომ სულს შეუძლია თავისთავადაც მიეკედლოს ადამიანს. ამიტომ ენისეელი ოსტიაკების ქალიშვილები არაფრის გზით არ გაივლიდნენ სასაფლაოს ახლოს, რომ პატარა ბავშვების სული მათ არ მიეკედლებოდა და არ დაორსულებულიყვნენ.

ბურიატი არასოდეს ფუტკარს არ მოკლავდა, ვინაიდან მას სწამდა, რომ ფუტკარი ადამიანის სულია. ბურიატებს სწამდათ, რომ, როცა ადამიანს სძინავს, სული გამოძვრება სხეულიდან ფუტკრის სახით, დაფრინავს სხვადასხვა ადგილას, შემდეგ დაბრუნდება უკან, ისევ შეუძვრება პატრონს ცხვირში და პატრონსაც გამოელვიძება; რასაც ნახავს ფუტკარი, ან გაიგონებს, ეს ხომ მათი ძველი შეხედულებით სიზმარია[2]. ამგვარ მაგალითებს, რომლებიც აუარებელია სხვადასხვა ხალხთა შორის მეტს აღარ მოვიყვანთ. მოვიგონოთ მხოლოდ სხვაგვარი მაგალითები, სადაც სულის მატერიალიზაცია ნათლად იხედება. ავიღოთ თუნდ ერთს დროს ფართოდ გავრცელებული, ეხლა კი გადავარდნილი „სულის საქმე“. განა საკურთხს მიცვალებულის სულისათვის არ აკეთებდნენ, რომ სულს „ესაზრდოვნა“? განა ახლად მიცვალებულის სულისათვის არ იდგმოდა ხოლმე სახლში განსაკუთრებულ კუთხეში საქმელ-სასმელი, რომ სული „მშიერი“ არ დარჩეს? განა მიცვალებულის სულისათვის არ მოამზადებდნენ ხოლმე პირისსაბან წყალს, ხელსაბოცს და სხვა ამგვარს?

მაშ სულისათვის საჭირო ყოფილა ყველაფერი ის, რაც ცოცხალი ადამიანისათვის არის საჭირო[3]. ეს კიდევ არაფერი. შესაძლო ყოფილა სულის „დაჭრა“ და შემდეგ ამ ჭრილობის შეხორცება.

ესკიმოსებს სწამდათ, რომ შესაძლოა სულს ნაწილი ჩამოეჭრას; მათვე სწამდათ, რომ სულს შეუძლია გაზრდა და დაპატარავებაც. ხევსურეთში ერთს დროს სწამდათ, რომ სული იზრდებოდა. მაგალითად, თუ ხევსურს ორი წლის ბავშვი მოუკვდებოდა, მშობლები რვა წლის შემდეგ შეკერავდნენ ათი წლის ბავშვის სარგო ტანსაცმელს (ტალავარს) და უკურთხებდნენ მიცვალებულს. ამ შემთხვე-

[1] Dr. G. Nioradze, S. 47.

[2] Агапитов и Хангалов, Материалы для изучения шаманства в Сибири. Изв. Р. Г. О. т. XIV, Иркутск 1883, ამავე წიგნში აღნიშნულია, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ სულს შეუძლია დაჭორწილდეს, შვილები ყავდეს და სხვა.

[3] შად. G. Wilke, Totenmahl, Ebert Reallexikon, Berlin 1929, B. XIII. S. 412.

ვაში მშობლებს სწამდათ, რომ სული გაიზარდა „საიქიოს“ და ტანისამოსს საჭიროებს. ბევსურებს სწამდათ, რომ ადამიანის სული ათ წლამდის იზრდება. ბურიატები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ სული ტკივილებს გრძნობს. მათვე სწამდათ, რომ შეიძლება სულის მოკვლა. ბურიატები, იაკუტები, ნოღაელები, ყირგიზები და სხვანი ადასტურებდნენ, რომ შეიძლება სულის დანახვაო, რომ სული საჭიროებს ჰაერს, შეუძლია ხმა გამოიღოს, კიდევაც დასტვინოს ისე, როგორც ეს სწამდათ ძველ დროში აფხაზებს[1].

კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ბევრ ხალხს დღესაც სწამს, რომ სულს ხანდახან შეუძლია ტანს გაეყაროს დროებით და შემდეგ ისევ უკანვე დაბრუნდეს. მაგალითად, მათ სწამთ, რომ ადამიანის ძილის დროს სული მოშორებულია სხეულს და წასულია სასეირნოდ. როდესაც სული უკანვე დაბრუნდება, პატრონი იღვიძებს და ყველაფერს სულის მიერ ნახულს და განცდილს სიზმრის სახით იგონებს.

ეს მაგალითები და ბევრი კიდევ უამრავი, რომლებიც ჩვენ აქ არ მოგვიყვანია, გვიჩვენებენ, რომ კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხს სული ერთგვარ ნივთიერ საგნად აქვს წარმოდგენილი და რომ სულს აქვს იგივე თვისებები და მოთხოვნილებანი, როგორც ცოცხალ ადამიანს.

ახლა მოვიგონოთ, თუ რა დამოკიდებულება აქვს სულს და სხეულს ერთი მეორესთან, რასაკვირველია, კულტურის იმავე დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხთა რწმენით.

ადამიანის სიკვდილის შემდეგ სული უცბად არ შორდება სხეულს (შეად. „Lebender Leichnam“, Ebert Reallexikon, Berlin 1926, B. VII, S. 259). ის ერთხანს რჩება კიდევ სხეულთან. ამიტომ არის, რომ, მაგალითად, სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ტომები ერთი წლის შემდეგ თავის მიცვალებულის საფლავთან მიდიან და მოუყვებიან ყველაფერს, რაც კი რამ მოხდა ამ ბნის განმავლობაში[2]. ხოლო, როცა სხეული გაიხრწნება, მაშინ სულიც შორდება გვამს. რომ უფრო დიდხანს შერჩეს სული მიცვალებულს, ამიტომ ზოგიერთი ჰირისეფალი მოსჭრის თავს მიცვალებულს, რადგან დარწმუნებულია, რომ სული თავშია დაბინაევებული, თავს კი ახმობს და ისე ინახავს (სურ. 16). ამ მიზნითვე იყო ადამიანის სხეულის მუმიფიცირებაც და ან მიცვალებულის მთელი სხეულის სანთლით დაფარვა, რომ გვამი ჩქარა არ გახრწნილიყო[3].

რომ „სული“ ადამიანის სხეულს სცილდება და მიდის „საიქიოს“, ეს არის უკვე შემდეგი დროის წარმოდგენა. მაგრამ მაინც არც ისე მალე „შორდება სული“ გვამს და მის ახლოს განაგრძობს რამდენიმე ხნით ყოფნას, რადგან

[1] შდრ. Н. Харузин, Этнография, IV Верования, С.-Пет. 1905, стр. 126.

[2] Martius, Zur Ethnographie Amerikas. I, Leipzig 1867, S. 291.

[3] სტრაბონის გადმოცემით სპარსელები სპეთელს უსეამდნენ თავიანთ მიცვალებულებს (წიგ. XV, თავი III, § 13). ამასვე ამბობს ჰეროდოტეც. წმინდა სანთლით დაფარეს ინგლისის კოროლ ედუარდ I გვამი 1307 წ. და, როდესაც არქეოლოგიური საზოგადოების წევრებმა 1774 წ. 2 მაისს გასინჯეს ედუარდ I-ის გვამი, განცვიფრდნენ გვამის კარგი მდგომარეობით, რაც აღნიშნული იყო ოქმში the annual Pregister for the year 1774, pag. 117. (Уваров, стр. 71), Н. Харузин, стр. 259.

„მტერსა და მოყვარეს სათითაოდ უნდა დაუაროს, გამოეთხოვოს, ზოგს შენდობა მისცეს და ზოგს შენიეე მოსთხოვოს".

ძველი ქართველების წარმოდგენით სიკვდილის შემდეგ სული ერთს დროს რჩება გვამთან. ამგვარი ხალხური ძველი წარმოდგენა სხვათა შორის აკაკი წერეთელსაც აქვს გამოხატული თავის ნაწარმოებში: „სიკვდილი".

«მაშ ეს ყოფილა სიკვდილი,... ეკითხულობთ აკაკის მხატვრულ პროზაში, მეტი არაფერი?!

თვალები დახუჭული მაქვს, მაგრამ ვხედავ: გული აღარ მიძგერს — და ვგრძნობ-კი. გონებაც ისევ თავისავე რიგზეა. მხოლოდ სხეული დამდუნებია: ადგომა მინდა — ხელ-ფეხს ვეღარ ვანძრევ, ხმის ამოღება მსურს — ენა არ მემორჩილება. ჰეეე, მოდი და ირიკაეე ახლა!»[1]...

აქედან ადვილი გასაგებია. რომ, როდესაც მიცვალებულთან ხართ, არაფრის ცუდის თქმა მიცვალებულის შესახებ არ შეიძლება. კარგის თქმა კი — რამდენიც გნებავსთ.

თუ მიცვალებულთან ახლოს არ ხართ, ამ შემთხვევაში შეგიძლიათ მის შესახებ ძვირი ილაპარაკოთ. რატომ? მიტომ, რომ სული არის გვამთან და გაიგონებს თქვენს ნათქვამს, თუ მიცვალებულთან ახლოს ხართ; შორიდან კი ვერ გაიგონებს. დღეს შესაძლოა ამგვარი მოვლენა ხალხმა სხვანაირად ახსნას, მაგრამ მიზეზი ასეთი სიფრთხილისა არის ძველებური წარმოდგენა სულზე და მის გვამთან კავშირზე.



სურ. 16
მუმიფიცირებული ადამიანის თავი. ინახება საქართველოს მუზეუმში

რატომ არის, რომ ჩვენში, ზოგიერთ სოფლებში, სანამ მიცვალებულს სახლიდან გამოასვენებენ, კარებს დახურაეენ და კუბოს ბოლოს სამჯერ მიარახუნებენ სახლის კარებს, ან ღობეს გაარღვეეენ და როგორც კი ამ გარღვეულ ღობეში მიცვალებულს გაიტანენ, მაშინეე ღობეს გარაგვაეენ?

რატომ არის, რომ გურიაში ფანჯარას გასტეხენ მიცვალებულის გამოსვენების დროს, ან და ეზოში დიდ ხეს მოსჭრიან და თუ ეს ხე მოსაკრელად დაენანათ, მაშინ სჭრიან მის ლამაზ ტოტს?

---

[1] აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ს. გორგაძის და ს. აბაშელის რედაქციით, ტფილისი 1925 წ. ტ. I, გვ. 205.

დღეს, ცხადია, ხალხი ამგვარ ჩვეულებას ვერ ხსნის.

ძველებური წარმოდგენა დავიწყებულია და ტრადიციით იმეორებს თავის წინაპრების ჩვეულებას დამარხვის დროს. ამგვარი საქმის გარემოება მხოლოდ მით აიხსნება, რომ ძველ დროში, როდესაც დარწმუნებული იყვნენ, სული გვამთან არისო და რომ სული მიცვალებულის სახლიდან გასვენების შემდეგ უკანვე არ დაბრუნებულიყო, სახლის კედელს გაანგრევდნენ და ამ განგრეულ კედელში გაიტანდნენ მიცვალებულს. შემდეგ მაშინვე კედელს ამოაშენებდნენ და სრულიად დაიმედებულები იყვნენ, რომ სული სახლში შემოსვლას ვერ მოახერხებდა, რადგან გზა ესპობოდა. ამავე შეხედულებით აიხსნება ფანჯრის გატეხა, ღობის გარღვევა, ხის მოჭრა და სხვა. ყველაფერს ამას მიმართავდნენ იმ მიზნით, რომ სულისათვის გზა აებნიათ უკან დაბრუნების შემთხვევაში, მაგალითად, ხის მოჭრით, ან და, რომ ეზოში არ შემოსულიყო, ღობის გარღვევით და მაშინვე გარაგვით. ფანჯრის გატეხა კი არის სახლის კედლის განგრევის ჩვეულება შეცვლილი სახით, რომ ხარჯები შემცირებულიყო[1].

რომ უფრო გზა აებნიათ სულისათვის უკან დაბრუნების შეზთხვევის დროს, მიცვალებულს მიასვენებდნენ ისეთნაირად, რომ მას განვლილი გზა არ „დაენახა“. ზოგიერთი ტომები მიცვალებულს თვალებს აუხვევენ და ანნიღაბს გაუკეთებენ, როდესაც მას სახლიდან გაასვენებენ. ეს გარემოება მით არის გამოწვეული, რომ სულს გზა არ „დაენახა“ და არ „დაესწავლა“, რომ შემდეგ უკანვე სახლში არ დაბრუნებულიყო. დ. ანუჩინი აღნიშნავს, რომ ამ მიზნით არამც თუ თვალებს უხვევდნენ მიცვალებულს, არამედ ბაწრით შეკოჭავდნენ მკვდარს, რომ მის სულს არ შეძლებოდა უკან დაბრუნება. ამასვე ამბობს ჰერმან კლაატში აესტრალიელების შესახებ. ამავე კლაატშის აღწერილობით ძველ გერმანელებსაც წესად ჰქონდათ შემოღებული მიცვალებულის ხელ-ფეხის შეკვრა[2]. მიცვალებულის პირისსახის თაესაფრით ახვევა ხევსურეთში ჩვენ შეგვიძლია ამავე შეხედულებით ავხსნათ, ე. ი. რომ მიცვალებულის სულმა გზა არ დაიმახსოვროს და უკანვე არ დაბრუნდეს.

ბელტირები, საგაიერები, კარგინცები, ციმბირში მცხოვრები თათრები და სხვანი, როდესაც მიცვალებულს მარხილით გაასვენებენ, უკანასკნელს თავს შეუბრუნებენ საფლავისკენ და გზაში მიატოვებენ, რომ სული ამავე მარხილით სახლში არ დაბრუნდეს. ვოტიაკები დასაფლავების დღეს ეხვეწებიან სულს, რომ მან ხელი არ სტაცოს არც წინიდან და არც უკნიდან. ბუგუთშანელი თათრები, როდესაც მიცვალებულს ხეზე ჩამოკიდებენ, ხეს ტოტებს ჩამოაჭრიან, რომ სული ძირს არ ჩამოვიდეს. როდესაც იაკუტელი ქალი მიცვალებულ შვილს ხე-

[1] მაგალითად, ერთ დროს წესად ჰქონდა ზოგიერთ ხალხს მიცვალებულის საფლავზე ცხენების მოკვლა. შემდეგში, როცა ცხენების მოკვლა დაენანათ, დაიწყეს ცხენის ყურის გაპრა და საფლავში სისხლის ჩაწვეთება.

შეადარე: Nelson, The Eskimo about Bering Strait 18. Ann. Rep. Bur. Am. Ethn. part I (1899) S. 314, Boas 2. Report on the North—Western Tribes of Canada. Brit. Ass. Adv. Science 1896.

[2] Herman Klaatsch, Der Werdegang der Menschheit und die Entstehung der Kultur, Berlin 1920, გგ. 236, 239.

ზე ჩამოკიდებს, დარწმუნებულია, რომ ჩიტი, რომელიც ამ ხეზე შემოჯდება და იწყებს გალობას, მისი შვილის სულია[1]. ტიბეტში და ბჰუტანაში მცხოვრები ბუდდჰისტები მიცვალებულის თავს ინახავენ და დარწმუნებული არიან, რომ მასში მიცვალებულის სულია დაბინავებული. ამ მიზნით მუმიფიცირებული მიცვალებულის თავი, რომელიც ტიბეტიდან არის ჩამოტანილი, ინახება საქართველოს მუზეუმში (სურ. 16). ამგვარივე ჩვეულება მონღოლეთშიდაც იყო გავრცელებული. მინუსინსკის მცხოვრებლები, როცა მიცვალებულს დაასაფლავებენ, მაშინვე დააყენებდნენ შეიარაღებულ დარაჯებს სოფლის ახლოს და, თუ ღამით რაიმე ხმაურობა შემოესმოდათ, მაშინვე ასტეხავდნენ თოფების სროლას, რადგან ამ ხმაურობას უკან დაბრუნებულ სულს მიაწერდნენ და თოფების სროლით ფიქრობდნენ ხელი შეეშალათ, რომ სული სახლში არ მოსულიყო.

ორენბურგელი ნოღაელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სიკვდილის შემდეგ ისე მაგრად არის სული გვამში გამაგრებული, რომ ღმერთი განგებ გზავნის ხოლმე კასრაილს, რომელიც გაზით ამოგლეჯს სულს მიცვალებულს.

ჩრდილო ავსტრალიის ზოგიერთი მცხოვრებლები თავიანთი მიცვალებულის სხეულის ყოველ „გახსნილ“ ნაწილს (თვალებს, ცხვირს, პირს და სხვა) ზოგს აკერავენ და ზოგსაც ემუს (Emu) ბუმბლით დაჭმანენ ხოლმე, რომ სული არსად გაიპაროს[2].

სამოედებს მტკიცედ სწამდათ, რომ სიკვდილის შემდეგ სული მხოლოდ და მხოლოდ მიცვალებულთან არის დაკავშირებული: როდესაც მიცვალებული გაიხრწნება, სულიც ისპობა. ასე რომ სამოედებს საიქიოზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ამგვარ მაგალითებს სხვასაც ბევრს შევხვდებით ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში[3].

ეს მაგალითები გვეუბნება, რომ სხვადასხვა ადამიანების წარმოდგენით ერთის მხრივ სული ყოფილა რაღაც ნივთიერი რამ, სული თურმე საჭიროებს ჰაერს, საჭმელს და სხვა, ერთი სიტყვით სულს თურმე ჰქონია იგივე მოთხოვნილება, როგორც ცოცხალ ადამიანს. სულს თურმე გაზრდაც კი შესძლებია, სულის დაპრაც და მოკვლაც შესაძლო ყოფილა. მეორეს მხრივ, სული თურმე ერთხანს არ სცილდება გვამს ადამიანის სიკვდილის შემდეგაც კი. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რად ერიდებოდნენ ჰირისუფლები მიცვალებულის მიწაში დაფვლას, ცეცხლში დაწვას და ან წყალში გადაგდებას. ამიტომაც იყო, რომ, ვისაც ზემოთნახსენები წარმოდგენა ჰქონდა სულზე, ის თავის მიცვალებულს მარხავდა მიწის ზემოთ, ჰაერზე, და მით დარწმუნებული იყო, სულს არ ჰკლავდა.

---

[1] Ш а ш к о в, Шаманство в Сибири. Записки Русского Географического Общества, книга II-ая, С.-Петербург 1864, стр. 65.

[2] K l a a t s c h, S. 236.

[3] Н. Х а р у з и н, стр. 126.

ქრონ. კეკელიძე

ქართული ერა და ეკლესიური წელთაღრიცხვა

«დღეთა იხმნით და თთუეთა, ჟამთა და წელთა» (ჯლ. IV, 10)

ცხოვრების რთული მოთხოვნილებები ადამიანთა საზოგადოებაში იწვევს საჭიროებას დაყოფილ იქნეს დრო, რომლის არეზე იშლება მისი ყოველდღიური არსებობა, ცალკეულ ერთეულებად, როგორიცაა დღე. კვირა, თვე, წელიწადი, და აწარმოოს ამ ერთეულების აღრიცხვა. თვლა. აქედან წარმოიშვა წელთ ან ჟამთ-აღრიცხვა. თვითეულ ერს, რომელიც კულტურის გარკვეულ საფეხურზე ასულა, დაუდგენია თავისი ერა. ესე იგი წელიწადი, საიდანაც ის დროთა აღრიცხვას იწყებს. სხვადასხვა ქვეყანაში წელთ-აღრიცხვის გამოსავალ წერტილად ან ერად სხვადასხვა მოვლენა აუღიათ, უფრო კი ესათუის მნიშვნელოვანი ფაქტი თუ ისტორიული პიროვნება. ასე, მაგალითად, ძველი ბერძნები წელთ-აღრიცხვას აწარმოებდნენ ე. წ. ოლიმპიურ ვარჯიშობათა მიხედვით, ძველი რომაელები—ქალაქ როშის გაშენებიდან, ქალდეველნი—ნაბონასარის მეფობიდან: ცნობილია ერა სელევკიდებისა ან ალექსანდრე მაკედონელისა. ფილიპესი, ავგუსტოსი. დეოკლიტიანესი და სხვ. იმ ქვეყნებში. სადაც იდეოლოგიური ჰეგემონია ეკლესიას ეკუთვნოდა, წელთ-აღრიცხვას საფუძვლად რელიგიური მონაგონარი ედო. ამას ვხედავთ, მაგალითად, ებრაელთა შორის. სამაჰმადიანო და საქრისტიანო ქვეყნებში. ასეთი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნოდა. სხვათა შორის, ფეოდალურ-ქრისტიანული საქართველოც.

როგორც სხვა საქრისტიანო ქვეყნებში. საქართველოში ცნობილი იყო სამი ერა ან სამი სისტემა წელთ-აღრიცხვისა: «დასაბამითგან». «ქრისტესით» და «ქორონიკონით». გავითვალისწინოთ ხასიათი და გენეზისი წელთ-აღრიცხვის დასახელებული სამივე სისტემისა.

ერა «დასაბამითგან» თვლას აწარმოებს „ქვეყნის დასაბამიდან", resp. „გაჩენიდან". მაგალითად. აბო ტფილელის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ აბოს თავი მოჰკვეთეს «დასაბამით გარდასრულთა ექუსათას ოთხას ოცდამეოთხესა წელსა»; ამით ავტორს იმის თქმა სურს, რომ „ქვეყნის გაჩენიდან" აბოს სიკვდილამდე გასულა 6424 წელი.

ერა «ქრისტესით», რომელიც დღესაც დარჩენილია. წელთ-აღრიცხვას იწყებს „ქრისტეს დაბადებიდან"; ასე, მაგალითად, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ. რომ ესადაეს წიგნი გადაწერილია «შობითგან» ან «განხორციელებითგან», გინა

თუ «დაბადებითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით ჩა წელსა», ეს ნიშნავს, რომ „ქრისტეს დაბადებითგან" ამ წიგნის გადაწერამდე გასულა 1001 წელი.

წელთ-აღრიცხვა «ქორონიკონით», რომელიც სხვა ქვეყნებშიაც ცნობილი იყო და ჩვენში უცხოეთიდან შემოვიდა, წარმოებს 532-წლიანი ციკლით და მზისა და მთვარის მიმოქცევაზეა დამყარებული: მზის სრული ციკლი (28 წ.), გამრავლებული მთვარის ციკლზე (19 წ.), გვაძლევს 532-წლიან ციკლს, რომლის შემდეგ კვირის. თვის და წლის დღეები უცვლელი თანმიმდევრობით მეორდებიან, ესე იგი 532 წლის შემდეგ თვის რიცხვები იმავე დღეებში მოვა, რომელშიაც ისინი წელს ხვდებიან. ამათუიმ ერის ისტორიაში შეიძლება რამდენიმე 532-წლიანი ციკლი ან «ქორონიკონი» იყოს: ჩვენს ძველს ისტორიაში, როგორც ცნობილია, უმთავრესად ორ ციკლთან ან მოქცევასთან გვაქვს საქმე: მეცამეტესა და მეთოთხმეტესთან, მეცამეტე იწყება 781 წელს[1], მეთოთხმეტე კი 1313 წელს. ეს უკანასკნელი, ქორონიკონის, ერა თითქოს. ერთი შეხედვით, ასტრონომიულ საფუძველზეა აგებული, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, ნამდვილად იმასაც რელიგიური საფუძველი აქვს, რადგანაც მის გამოსავალ წერტილსაც «ქვეყნის გაჩენა» შეადგენს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

აღნიშნული სამი სისტემა წელთ-აღრიცხვისა ფეოდალურ-ქრისტიანულ საქართველოში პრაქტიკულ ხმარებაში შედარებით გვიან შემოდის. ძეგლებით ხელმისაწვდენ ისტორიულ ხანაში თავდაპირველად აქ ფაქტებსა და მოვლენებს ამათუიმ ხელმწიფის მეფობით ათარიღებენ. ასეა, ყოველ შემთხვევაში, საქმე წარმოდგენილი V – VI საუკუნეთა ორიგინალურს ლიტერატურულ დოკუმენტებში. ასე, მაგალითად, მეხუთე საუკუნის მწერალი იაკობი შუშანიკის ღვაწლის დასაწყისს შემდეგნაირად ათარიღებს: «იყო მერვესა წელსა [პეროზ] სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში». მეექვსე საუკუნის უცნობი ავტორი გადმოგვცემს, რომ ესტატე მცხეთელი ქართლს მოსულა «წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა».

ეხლა უნდა დაწვრილებით განვიხილოთ, როდის სახელდობრ ან საიდან შემოვიდა ჩვენში აღნიშნული სისტემები და რაზეა ისინი დამყარებული?

წელთ-აღრიცხვა «ქრისტესით» შემოღებულია 525 წელს დასავლეთ-ევროპაში დიონისე მცირის მიერ: 532 წელი არის პირველი, ისტორიაში ცნობილი, თარიღი «ქრისტესით», რომელიც დიონისეს ეკუთვნის. ეს ერა სამი ვარიაციისა იყო: ზოგი გამოსავალ წერტილად იღებდა ქრისტეს «დაბადებას». ზოგი მის «ენებას, ჯუარცმას და აღდგომას», ზოგი «ამაღლებას». აღნიშნული წელთ-აღრიცხვა თავდაპირველად უმთავრესად დასავლეთ-ევროპაში იხმარებოდა: ოფიციალურ დოკუმენტებში ის პირველად 742 წელს ჩანს, მუდმივს ხასიათს კი მხოლოდ მეათე საუკუნეში ღებულობს. საქართველოში ეს ერა, შედარებით აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან, ადრე გვხვდება; პირველად ის გამოუყენებია იოანე საბანისძეს (VIII ს. გასულს), რომელმაც აბო ტფი-

[1] ბიზანტიაში ის იწყებოდა 893 წელს, როგორც ამას აღნიშნავს „აფხაზთა ქრონიკაც" (თ. ჟორდანია, ქრონიკები I, 83); ეს იმიტომ, რომ ქართული წელთ-აღრიცხვის ერთი სისტემა, როგორც დავინახავთ, 112 წლით განსხვავდებოდა ბიზანტიურისაგან.

ლელის მარტვილობის დასათარიღებლად მიმართა „წელიწადსა ენებითგან დ. მკუდრეთით აღდგომით“ მაცხოვრისა. შემდეგ მას ეხედავთ ჰადიშის ოთხთავის დათარიღებაში: ის გადაწერილი ყოფილა „შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსით ჩა“ წელსა. თავი უჩენია მას აგრეთვე საქართვ. მუზეუმის დავითნში (№ 38. ფონდი A), სადაც ნათქვამია, რომ ქრისტეს შობიდან დღევანდელ დღემდე (ხელნაწერის გადაწერამდე) განვლო 974 ან, უფრო სწორად, 904 წელმაო; უკანასკნელს შემთხვევაში «შობად» ნაგულისხმევია ჯუარცმა-აღდგომა-ამაღლება. იოანე-ზოსიმე (X ს.) ერთს შემთხვევაში ასახელებს „ჯუარცუმას“[1], მეორეჯერ ამაღლებას[2]; „ამაღლებასვე“ იღებს «მოქცევაჲ ქართლისაჲ» და ნინოს შატბერდულ-ჭელიშური «ცხოვრება»[3]. ერა ქრისტეს ჯუარცმა-ენება-აღდგომა-ამაღლებისა, რომელიც პირველად, როგორც ვთქვით, იოანე საბანისძეს გამოუყენებია. მომდინარეობს Chronicon Paschale-დან: ამ ძეგლში, რომელიც დაახლოებით 630—641 წლებშია დაწერილი, მოცემულია «ქრისტეს ამაღლების» ერა (resp. ზოგიერთ შემთხვევაში—ენება ქრისტესი), რომლის პირველი წელი არის 5540 ქვეყნის გაჩენიდან, 31 წელი ქრისტეს დაბადებიდან[4]. განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ ჩვენში «ამაღლებად» ზოგს შემთხვევაში «შობას» გულისხმობენ, თან ქრისტეს შემდეგ სთვლიან 34 წელს.

რაც შეეხება ერას «ქვეყნის გაჩენითგან» ან, როგორც სხვანაირად იტყვიან, «ადამიდან» ქრისტეს დაბადებამდე, ის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად იხმარებოდა. ცნობილია შემდეგი სახე ამ წელთ-აღრიცხვისა: 5198 წ. ევსევი კესარიელისა, 5492 წ. პანოდორე ალექსანდრიელისა ან ეგვიპტელისა, 5500 წ. ანიანე ალექსანდრიელისა და იულიოს აფრიკანელისა, 5508 წ. ბიზანტიელებისა ან κατὰ Ρωμαίους. იცნობდნენ თუ არა ჩვენში აღნიშნული წელთ-აღრიცხვის ჩამოთვლილ სახეებს?

ევსევი კესარიელის 5198-წლიანი ერის კვალს საქართველოში ადასტურებს თითქოს ზოგიერთი ნუსხა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა (მაგალ. № 873, ფონდი A), სადაც გადამწერი შენიშნავს: „ქართველები დასაბამითგან ქრისტემდე 5198 წელს სთვლიანო; ასეთი ანგარიში, რომელსაც ემხრობიან ფრანგნი და სომეხნი, უფრო სწორია, ვიდრე ბერძნების 5508 წელი. ეს უკანასკნელი დამყარებულია აკვილა სვინოპელის მიერ 543 წელს გარყვნილს ებრაული ბიბლიის ტექსტზე, ვინაიდან მან, აკვილამ, „ქრისტეს გამოჩინება მიფარვით დაწერაო“[5]. სომხეთში თითქოს მართლაც სცოდნიათ ეს ერა[6], რაც შეეხება საქართველოს. მისი პრაქტიკულად გამოყენების მაგალითს აქ ვერსად ვერ ვხვდებით.

---

[1] კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება? ტფილ. უნივერ. მოამბე II, 394.

[2] იქვე.

[3] Описание II, 710, 718, 746.

[4] F. Ginzel, Handbuch der mathematischen und technischen Chronologie III, 291.

[5] Описание II, 710, 718.

[6] М. Джанашвили, Описание рукописей перк. Музея III, 113—114.

[7] Dulaurier, Recherches sur la chronologie arménienne, p. 184.

პანოდორეს 5492 და ანიანეს 5500-წლიანი ერა ხმარებული ყოფილა ჩვენში განსაკუთრებით მეათე საუკუნის დამლევამდე, ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ერთხელ შემთხვევა დაწვრილებით გველაპარაკნა[1]. ამიტომ ნათქვამს ეხლა აღარ გავიმეორებთ.

5508-წლიანი ბიზანტიური ერა, რომელიც მეშვიდე საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი[2], სხვა საქრისტიანო ქვეყნებშიაც გავრცელდა: მისი გამოყენების კვალს ქართულ ძეგლებში მეთერთმეტე საუკუნის დამდეგამდე ვერ ვხვდებით[3]. ეს იმით აიხსნება, რომ საზოგადოდ აღმოსავლეთში შედარებით გვიან იჩენს ის თავს, და არა მარტო აღმოსავლეთში, მის სამშობლოშიაც კი მას მეათე საუკუნემდე ალექსანდრიული ერა ეცილებოდა[4]. საყურადღებოა. რომ თავდაპირველად ის ისეთს ქართულ ძეგლებში გვხვდება, რომლებიც დაწერილნი არიან თვით ბიზანტიაში. ასეთია. პირველ ყოვლისა, „ანდერძი“ ექვთიმე ათონელის ორიერ ნათარგმნის მათეს სახარების განმარტებისა: „დაიწერა მთასა წმიდასა ათონას... ინდიკტიონსა ბერძულად ΙΘ, ქორონიკონი იყო დასაბამითგანთა წელთაჲ ϛϡϑ“[5]; ეს ქორონიკონი უდრის 1002 წელს (6510 -5508). ამასვე უდრის „ბერძნული ინდიკტიონი ΙΘ“ $\left[R = \left(\frac{1002 + 3}{15} = 67 \right) 0, \text{resp. } 15 \right]$. ექვთიმეს მეორე „ანდერძში“, რომელიც დართული აქვს „დიალოღონს“, ნათქვამია: „ითარგმნა – ბერძულად დასაბამითგან ϛϡϑ, ქართულად ქორონიკონი იყო სლა“[6]; დასაბამითგან 6519 უდრის 1011 წელს (6519 -5508), მასვე უდრის ქართული ქორონიკონის 231 (780+231). გიორგი ათონელი ამბობს ექვთიმეს შესახებ. რომ ის „აღესრულა თთუესა მაისსა ათცამეტსა, დღესა ორშაბათსა. ინდიკტიონსა ათერთმეტსა. წელთა დასაბამითგან სოფლისაჲთ ექუსათას ხუთას ოცდამეათექუსმეტსა“[7]. „ათერთმეტი ინდიქტიონი“ უდრის 1028 წელს $\left[R = \left(\frac{1028 + 3}{15} = 68 \right) 11 \right]$, როდესაც 13 მაისი მართლაც ორშაბათს მო-

[1] „როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება? ტფილ. უნივერ. მოამბე II, 392—397.

[2] F. Ginzel, Handbuch der mathematischen und technischen Chronologie II, 292.

[3] აბო ტფილელის მარტვილობაში, რომელიც გამოცემულია მ. საბინინის მიერ, ნათქვამია, რომ აბო აწამეს მაცხოვრის აღდგომიდან და ენებიდან „წელიწადსა შვიდს ოთხეოცდა მეათესა... დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუსიათას ორას ოთხმოცდა ათურიტსა“ (საქართ. სამოთხე, გვ. 341). ქრისტესით 790 მაშინ უდრის დასაბამითგან 6298 წელს, როდესაც 5508 წელს ვითვლით (6298—5508=790). ამ გარემოებამ გვათქმევინა ჩვენ ერთხელ, რომ 5508-წლიანი ერა ჩვენ ძველად, მეათე საუკუნემდეც გვხვდებაო („როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება? ტფილ. უნივ. მოამბე II, 394, შენ. 2), რაც ეხლა კატეგორიულად უნდა უარვყოთ. საქმე ისაა, რომ ასეთი დათარიღება აბოს მარტვილობისა არც ერთს დღეს ცნობილს ხელნაწერში არაა; ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სრულიად შეგნებული კორექტურა მ. საბინინისა (რაც მის გამოცემებში საერთოდ ცნობილია), რომელსაც საფუძვლად უდევს პროსეს მოსაზრება, ვითომც აბო 790 წელს აწამეს (Additions et eclair. p. 132—3).

[4] Ginzel II, 292.

[5] ხელნაწ. გელათის მონასტრისა (ეხლა ქუთაისის მუზეუმის) № 20; შეად. თ. ქორდანია, ქრონიკები I, 139.

[6] ხელნაწ. საქართვ. მუზეუმისა № 1103 (ფონდი A), ფ. 117.

[7] ათონის კრებული, გვ. 59.

დიოდა. 6536 წელი „დასაბამითგან“ მაშინ უდრის 1028 წელს ქრისტეს შემდეგ, როდესაც „ქვეყნის გაჩენიდან“ ქრისტემდე 5508 წელს ვიანგარიშებთ (6536—5508). მეთერთმეტე საუკუნიდან მრავლადა გვაქვს ბიზანტიური წარმოშობის ძეგლები, რომლებიც 5508-წლიან ერას იძლევიან[1], ქართული წარმოშობისა კი არც ერთი; ეს იმის მაჩვენებელია, რომ მეთერთმეტე საუკუნეში ამ ერას ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია გაერცელება თვით საქართველოში.

ყველაზე მეტად ცნობილია ჩვენში 5604-წლიანი წელთ-აღრიცხვა; ერა, რომელიც „ქვეყნის გაჩენიდან“ ქრისტემდე 5604 წ. სთვლიდა, ქართველებს საკუთარ, ნაციონალურ ერად მიუჩნევიათ. საიდან, როგორ ან როდის შეითვისეს მათ ასეთი ერა?

ამ საკითხს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩაუფიქრებია ჩვენი მწიგნობრები. ასე, მაგალითად, მეათე საუკუნეში იოანე-ზოსიმე ამბობდა: „ასდა ათორმეტითა წლითა წინაჲთ ითუალვენ ქართველნი ქორონიკონისა თავისა დაწყებასა ვისისაგანმე მოცთუნებითა“—ო. მეცამეტე საუკუნეში აბუსერიძე ტბელი. ჰკითხულობს რა: „რაჲსა მიზეზისათჳს უმეტესთა წელთა ითუალვენ სოფლისა დასაბამითგან ქართველნიო“. - თვითვე იძლევა ასეთს პასუხს: „იგი სისულელისა ჩუენისათჳს გასაგონებლად საჭირო უჩნდა წმიდათა ღმრთისათა და მის მხოლოჲსაჲვე კაცთმოყუარისა ცოდნასა ოდენ მიაჩემეს და არღარა მათსა მეცნიერებასო“[2]. ახალი დროის მკვლევართა შეხედულებით, დაწყებული ვახუშტით. ეს ერა დაკავშირებულია ქართული „დიდი ქორონიკონის“ annus nullus-თან: 780 წელს, ამბობენ ეს მკვლევარნი, გასრულდა 12 ციკლი ქორონიკონისა. ესე იგი $532 \times 12 = 6384$ წ. ქვეყნის გაჩენიდან, აქედან. მაშასადამე, ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე გასულა $6384 - 780 = 5604$ წელიო. მაგრამ საქმე ის არის, რომ 5604-წლიანი ერა უფრო ადრე ჩნდება. ვიდრე „დიდი ქორონიკონი“, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პირველი მეორეზე ვერ იქნება დამოკიდებული: მაგალითად, აბო ტფილელის მარტვილობაში. რომელმაც „ქორონიკონით“ თვლა არ იცის, 5604-წლიან ერას უკვე აქვს ადგილი.

აღნიშნული საკითხის გასაღებს ჩვენ სომეხთა წელთ-აღრიცხვის ისტორიაში ვპოულობთ. ვინაიდან სომხეთში ხმარებაში იყო მზის მოძრავი წელიწადი, ახლადჩამოყალიბებულს სომეხთა ეკლესიას ძალიან უძნელდებოდა ზატიკის ან პასექის (აღდგომის) დღის გამოანგარიშება; ის მოკლებული იყო საშუალებას გამოეყენებინა საბერძნეთის პასქალური ტაბულები. რომლებიც დამყარებული იყო იულიოსის უძრავი წლის სისტემაზე. ასეთს მდგომარეობაში დახმარება აღმოუჩინა სომხებს, როგორც მათი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ანდრია ბიზანტიელმა, მაგნოს ეპისკოპოსის ძმამ; მან შეუდგინა მათ 200-წლიანი პასქალური ტაბულა, რომელიც 353 წელს იწყებოდა და 552 წელს თაედებოდა“.

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები I, 148, 165, 169 და სხვ.

[2] Brosset, Etudes de chronologie technique, p. 2, 6, 33.

[3] ანანია შირაკელი, თქმული ზატიკისათვის უფლისა; იხ. მისი ფრაგმენტები, გამოცემული სომხურად პეტერბურგში 1877 წელს კქე. პატკანიანცის მიერ, გვ. 20—21. ანონიმური ტრაქტატი იმის შესახებ, თუ „ვისგან დაიდვა ნათესავთა წელთ-აღრიცხვანი“ (Dulaurier, Recherches sur la chronologie arménienne p. 58): სტეფანე ასოღიკი II, 6, გვ. 138.

განსვენებულის პროფესორის J. Markwart-ის გამოკვლევით, ანდრია იყო ტომით ბერძენი, მიმდევარი არიოზის მოძღვრებისა, რაც, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც კვირაკოზ განძაკელი ამბობს, ანდრიამ თავისი შრომა დაიწყო არიანოზ-იმპერატორის კონსტანტის ბრძანებით, იმ კონსტანტის, რომელმაც (და არა კონსტანტინე დიდმა, როგორც ამას რუფინოზი განზრახ გადმოგვცემს), დაახლოვებით იმავე ხანებში გაქრისტიანებულ იბერებს, თანახმად მათის თხოვნისა, სამღვდელოება. იგულისხმება—არიოზის მიმდევარი, გაუგზავნაო[1].

რას წარმოადგენდა ანდრიას პასქალური ტაბულა? თავისთავად იგულისხმება, ის იყო არა მთლიანი ციკლი (200 ცხრამეტზე არ გაიყოფა), არამედ უბრალო laterculus paschalis. ესე იგი—ცხრილი თავისუფლად აღებულის, დამრგვალებული რიცხვისა[2], რომელიც ეყრდნობოდა რომელსამე ცნობილ ციკლს. ჯერ კიდევ 1877 წელს A. Gutschmid-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ ანდრიას ტაბულა ემყარება ანატოლი ლაოდიკიელის 19-წლიანი მთვარის ციკლს: პირველი (353) წელი ამ ტაბულისა არის პირველი წელი ანატოლისეული ციკლისა, თანახმად ფორმულისა: $R = \left(\frac{353-276}{19} = 4\right) 1^{3}$. სწორედ ასეთს დასაყრდენს უნდა გულისხმობდეს ანანია შირაკელი, როდესაც ამბობს, რომ ანდრიას ტაბულა აგებული იყო „წესსა ზედა ათცხრამეტისა ქცევისასა“[4], აგრეთვე ანონიმის შენიშვნა: „ანდრიამ თავსიდვა უაღრესი შრომა განმტკიცებისათვის ათცხრამეტისაო“[5].

ჩვენთვის ამ შემთხვევაში იმდენად საინტერესო არაა გამოსაყალი წერტილი ანდრიას პასქალური ცხრილისა, რამდენადაც მისი ერა. დასახელებულ ანონიმურ ტრაქტატში ეკითხულობთ: ანდრიამ დასაბამთაგან „ქრისტეს შობამდე

---

[1] Übersetzung aus Moses Kalankajtvaci und der armenischen Chronik vom Jahre 686—687 bis zum Ende der Kaiserliste, S. 407—408. ეს ექსკურსი, რომელიც იგულისხმება ქვემოთ ყველგან, სადაც კი ნახსენებია Markwart-ი, მოთავსებულია, როგორც Anhang-ი, შრომაში: Hippolytus Werke, IV Band—Die Chronik, hergestellt von Adolf Bauer durchgesehen und herausgegeben von R. Helm nebst einen Beitrag von Markwart, Leipzig 1929. Markwart-ი ჩვენგან დამოუკიდებლივ მისულა ჩვენს დასკვნამდე (ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მიმომხილველი I, 30—43), რომ იბერების მოქცევას ადგილი ჰქონდა არა კონსტანტინე დიდის, არამედ მისი შვილის, არიანოზის კონსტანტის, დროს, 353 წლის მახლობლად (ჩვენი გამოანგარიშებით 355—6 წლებში; იხ. მისი—Die Bekehrung Iberiens und die beiden ältesten Dokumente der iberischen Kirche, Caucasica, 1931 SS. 111—167).

[2] ცნობილია რამდენიმე ასეთი laterculus-ი: 50-წლიანი სარდიკიის კრებისა (IV ს.) და სამი 100-წლიანი: თეოფილე ალექსანდრიელის (380—479), 354 წლის ხრონოგრაფისა (312—411) და მიუნქენის ხელნაწერისა.

[3] Agathangelos, Kleine Schriften, hrsgb. v. Rühl III, 353—4; ZDMG. XXXI, SS. 11—12.

[4] ანანიას ფრაგმენტი, პატკანიანცის გამოცემა, გვ. 20.

[5] Dulaurier, Recherches sur la chronologie arménienne, p. 58.

თქვა 5600 წელი, რაც, ჩვენი წელთ-აღრიცხვის დაწყებამდე [გასულ დროსთან] შეჯამებული, იძლევა 6153 წელსაო"[1].

ანონიმს შემოუნახავს ჩვენი პრობლემისათვის მეტად საყურადღებო ცნობა: ანდრია ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5600 წელს სთელიდაო; მიგნებულია წყარო ქართველთა 5604-წლიანი ერასი. როგორ, მკითხავენ ალბათ, სად 5604 და სად 5600? ამ ციფრების ასეთი სიახლოვე თავისთავად დამაფიქრებელია და ამასთანავე მაჩვენებელი მათი ნათესაობისა. ოთხწლიანი განსხვავება მათ შორის ისტორიულად ასახსნელი და გასაგებია. საქმე ისაა, რომ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე გასული დროის თელაში ორი ვარიანტი იყო ცნობილი; ერთი ვარიანტი, რომელიც წარმოდგენილია სულპიციუს სევეროზის[2] და 243 წლის ანონიმის" მიერ, ქრისტეს დაბადებას ოთხი წლით ადრე სდებდა, ვიდრე ეს მიღებულია მეორე, უფრო გავრცელებული და შეწყნარებული ვარიანტით. ასე რომ, თუ თანახმად ანდრიას ანგარიშისა, რომელიც პირველს ვარიანტს ეყრდნობა, ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5600 წელი გავიდა, მეორე ვარიანტით მივიღებთ 5604-ს.

ამრიგად, ქართველთა 5604-წლიანი ერა მომდინარეობს ანდრიას პასქალისტურ-ქრონოლოგიური სისტემიდან. 353 წლის შემდეგ ეს სისტემა სომხეთიდან გადასულა იბერიაში, რომელიც დაახლოვებით იმავე წლებში ოფიციალურად გაქრისტიანდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და, თუ გნებავთ, აუცილებელიც იქნებოდა, რომ ახლადმოქცეული იბერია, როგორც ცნობილია, იმთავითვე მტკიცე და მახლობელ კავშირში იყო სომეხთა ეკლესიასთან[3]. სომეხთაგან ეკლესიურად ჩამოშორების შემდეგ. გარკვეული მიზეზისა და მოსაზრების გამო, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება ლაპარაკი, ქართველები პირველი ვარიანტიდან (დასაბამითგან ქრისტემდე თელაში) მეორეზე გადასულან და 5600-ის მაგიერ 5604 მიუღიათ.

ანდრიას 200-წლიანი ტაბულა ამოიწურა იუსტინიანე დიდის მეფობაში. 552 წელს. ამ გარემოებამ დიდს საფიქრებელში ჩააგდო სომხები. მათ აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგში აღდგომის გამოანგარიშებისას. ამიტომ აღნიშნულ წელს ქ. ალექსანდრიაში თუ დვინში. ვინმე ეასის (A'ἰαξ) თავმჯდომარეობით, მომხდარა 36 კაცისაგან შემდგარი კრება (მისი მონაწილენი ყველანი მონოფიზიტური ქვეყნებიდან მოსულან), რომელიც სომეხთა ისტორიკოსებს თითქმის მსოფლიო პასქალისტურ კონგრესად აქვთ წარმოდგე-

---

[1] ავტორი სომეხთა წელთ-აღრიცხვის დასაწყისად გულისხმობს არა 552, არამედ 553 წელს (5600+553=6153). Markwart-მა (S. 405, 557) 6153 შეასწორა 6156-ად იმიტომ, რომ ანონიმის მიერ აღნიშნულ 19-ზე იყოფა არა 6153, არამედ 6156. თუმცა ასეთი შესწორება უფრო მიგვაახლოვებდა ქართულ 5604-თან (6156—552=5604), მაგრამ ის საჭირო არ უნდა იყოს, ვინაიდან ანონიმისავე მიერ აღნიშნულ 7-ზე იყოფა არა 6156, არამედ 6153.

[2] Gelzer, Sextus Julius Africanus und die byzantinische Chronologie II, 119.

[3] ეგრედწოდებული Computus Cypriani, Migne, Patr. Lat. t. IV.

[4] კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველს საქართველოში, ტფილ. უნივერ. მოამბე, X, 332—337.

ნილი. ამ კრებას შემოუღია 532-წლიანი ინდიკტიონი და დღესდღეობით ცნობილი, 552 წლიდან მომდინარე, წელთ-აღრიცხვა[1].

დანამდვილებით არ ვიცით, იმდროს არსებულ ერათაგან (დასაბამითგან ქრისტემდე) რომელი ერა მიიღო ამ კრებამ; საფიქრებელი კია, რომ ანდრიასეული 5600-წლიანი და არა ალექსანდრიული 5500-იანი, როგორც A. Gutschmid-ს ეგონა[2]. სჯმე ისაა, რომ ანანია შირაკელი ბრახმორევით მოგვითხრობს ვინმე ირონის შესახებ, რომელმაც თურმე გამოილაშქრა 552 წლის კრების დადგენილების წინააღმდეგ, სხვათა შორის, იმით, რომ „ქმნა ჟამთა აღწერაჲ ახალი წინააღმდეგ საღმრთოთა წერილთა და ყოველთა ჟამთა აღმწერელთა, რათა დაარღვიოს წინადადგინებული, ვითარცა უმეცრად აღრაცხული“[3]. და, როგორც ანონიმი ამბობს, „თვითსწავლულითა მოძღურებითა შეკრიბა ქრისტეს დაბადებამდე 5500 წელი“[4]. აქ ირონის მიერ „შეკრებილი“ 5500-წლიანი ერა წარმოდგენილია როგორც დამარღვეველი „წინადადგინებულისა, ვითარცა უმეცრად აღრაცხულისა“. იგულისხმება ეასის მიერ 552 წელს მიღებული ანდრიას 5600-წლიანი ერასი, რომელსაც. ან. უკეთ რომ ვთქვათ, მის 5604-წლიან ვარიანტს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი მწიგნობრებიც (შემდეგი დროისა) „მოცთუნების“ და „სისულელის“ ნაყოფს ეძახდნენ.

თავისთავად იგულისხმება. 552 წელს შემოღებული პასქალური სისტემა, სომეხ-ქართველთა კულტურულ-ეკლესიური ერთობის გამო, ქართლშიაც მიღებული უნდა ყოფილიყო და მას აქ ადგილი ექნებოდა არა მარტო 609 წლამდე. როდესაც სომეხ-ქართველთა განხეთქილება მოხდა, არამედ მას შემდეგაც თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში, ვინაიდან ფაქტიურად კულტურულ-ეკლესიური ერთობა მათ შორის მერვე საუკუნის ნახევრამდეც გრძელდებოდა. ამ დროისათვის, ესე იგი—მერვე საუკუნისათვის. საბოლოოდ გამომეღავნდა უხეირობა და უვარგისობა ამ სისტემისა. საჭმე ისაა. რომ 552 წელს შემოღებული პასქალური ციკლი ჰიბრიდული ხასიათისაა: ერთი ხელით ის ებღაუჭება ალექსანდრიულ ენეაკედეკაეტირიდას. მეორე ხელს კი უწვდის ანატოლისეულ ციკლს, რომელიც ანდრიას ცხრილს ედვა საფუძვლად. მას საფუძვლად აუღია ალექსანდრიული ენეაკედეკაეტირიდა, მაგრამ არა წმიდა სახით, არამედ შემდეგი ცვლილებით: მეორე წელი მისი გაუხდია პირველად და ასე შემდეგ. ამ გარემოებამ გახადა იძულებული სომხები ეგრეთწოდებული saltus lunae გადაეტანათ თავისი ციკლის ბოლოში. რის გამო ზატიკის მე-14 მთვარე ციკლის მე-19 წელს ხვდება, როგორც ანატოლისეულ ციკლში, არა 5. არამედ 6 აპ-

---

[1] ანანია შირაკელის ფრაგმენტები, გვ. 20—21; კვირაკოზ განძაკელი, ისტორია, გვ. 24; ვენეტიკი 1865, ანონიმი, იაკობ ყირიმელი და სხვ. (Dulaurier, Recherches, p. 58. 62, 66; Markwart, S. 404—407.

[2] Agathangelos, Kleine Schriften, hrgegb. v. Rühl III, 353—4, ZDMG. XXXI, SS. 11—12.

[3] ანანიას ფრაგმენტები, გვ. 20—21.

[4] Dulaurier, Recherches p. 58.

რილს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ 532 წლის განმაელობაში ოთხჯერ ადგილი აქვს სომხურს პრაქტიკაში ეგრეედწოდებულ „მრუდე“ ან „ელამ“ პასექს (*ბიაფაჩ*), რომელიც 6 აპრილის მაგიერ 13 აპრილს მოდის ხოლმე[1]. ასეთს ზატიკს აღნიშნულ პერიოდში სამჯერ ჰქონდა ადგილი: 570, 665 და 760 წლებში.

ამ ოდიოზურმა, ეკლესიური თვალსაზრისით, გარემოებამ, რომლის შესახებ შემდეგი დროის ქართველები დაცინვით ამბობდენ: „სომხებს აღდგომა შეეშალათ, თვედორობის კვირა ჰამეს, აღდგომა კვირაცხოვლობას დაიყენესო-[2] და რომელიც სომეხ-ქართველთა შუღლისა და კამათის საგნად ხდებოდა ხოლმე[3], აიძულა ქართველები ხელი აეღოთ სომხურ სისტემაზე და შეემუშავებინათ თავისი საკუთარი პასქალური „ქორონიკონი“ ან 532-წლიანი ციკლი. მაგრამ ისე კი. რომ შეენარჩუნებინათ ძველი. საბერძნეთიდან შემოსული და არა სომხების მიერ შექმნილი, ანდრიასეული 5600-წლიანი ერა, მისი მეორე. იმდროისათვის უფრო მიღებული, ვარიანტით, სახელდობრ 5604 წლით.

თუ მხედველობაში გვექნება, რომ annus nullus-ად ჩვენი „ქორონიკონისა“ მიღებულია 780 წელი. ეს ამბავი უნდა მომხდარიყოს აღნიშნული წლის მახლობლად, მერვე საუკუნის გასულს თუ მეცხრის დამდეგს[4]. ეს მით უფრო საფიქრებელია. რომ ამდროისათვის ალექსანდრიულმა ენეაკედეკაეტირიდამ საბოლოო ბატონობა მოიპოვა მთელს აღმოსავლეთში[5], ხოლო სომეხ-ქართველთა კონფესიონალური ურთიერთობის გამწვავებამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. ის შემუშავებულია ან საბა-წმიდის ქართულ კოლონიაში, ან ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლაში. საქმე ისაა. რომ პასქალისტური ტრაქტატები საბა-წმიდის მოღვაწის იოანე-ზოსიმეს შრომებში გვხვდება ხოლმე. ხოლო პირველი ლიტერატურული გამოყენება ჩვენს „ქორონიკონს“ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო მატიანეში უპოვნია.

საკითხს, თუ რატომ იწყებენ ქართველები თავის „ქორონიკონს“ 781 წლიდან, შეეხო პირველად აკად. მ. ბროსე, რომლის მოსაზრება შემდეგ გაიმეორა ერთს. შემთხვევითი ხასიათის, ნაშრომში ცნობილმა პროფ. ვ. ბოლო-

---

[1] Проф. В. Болотов, Церковный год Сиро-халдеев, Христ. чтение 1901 г. стр. 937—8, прим. 1. Д. Лебедев, Из истории древних пасхальных циклов, Византийский Временник, т. 18, отд. 1, стр. 220—1.

[2] ხელნაწ. საქართ. მუზეუმისა № 873 (ფონდი A), М. Джанашвили, Описание III, стр. 114.

[3] Проф. Л. Меликсет-Беков, О междоусобице в Тифлисе в 1197 г. по поводу Кривой Пасхи, Известия КИАИ, т. III, стр. 49—60.

[4] აბო ტფილელის მარტვილობამ (786—790) „ქორონიკონით“ თქმა ჯერ კიდევ არ იცის; ყველაზე ადრინდელი თარიღები „ქორონიკონით“ არის: 1) აშოტ კუროპალატის გარდაცვალება „ქორონიკონსა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა მვ“, ესე იგი 826 წ., თუ ეს დათარიღება ეკუთვნის არა დავით სუმბატისძეს, არამედ მის უძველეს წყაროს; 2) ატენის სიონის „ქორონიკონი ოჳბ“—853 წ., 3) გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალება „ქორონიკონსა ჳჟ“—861 წ.; 4) სინას მთის „მრავალთავის“ გადაწერის „ქორონიკონი ჸდ“—864 წ. და 5) ადიშის ოთხთავის „ქორონიკონი რიზ“—897 წ.

[5] Д. Лебедев, Из истории древних пасхальных циклов, Византийский Временник, т. 18, отд 1, стр. 220.

ტოვმა[1]. ისინი ფიქრობდნენ, რომ გამოსავალ წერტილად ქართველებს გაუხდიათ 780—532=248 წელი, როდესაც რომაელებმა იდღესასწაულეს რომის არსებობის 1000 წლის თავიო. რასაკვირველია, ეს მოსაზრება განსვენებული მეცნიერებისა შემცთარია; რომის 1000 წლისთავი დასავლეთშიაც კი არ გამხდარა არსად წელთ-აღრიცხვის დასაწყისად. მით უმეტეს ის ჩვენში ვერ ჰპოებდა ისეთს გამოძახილს, რომ აქ ის გამხდარიყო ნაციონალური წელთ-აღრიცხვის ქვაკუთხედად; ეს არის შემთხვევითი მხოლოდ შეხვედრა რიცხვებისა და წლებისა. ასევე უსაფუძვლოა პროფ. დ. ჩუბინაშვილის აზრი. თითქოს ქართული „ქორონიკონი“ იყოს პონტოს ერა, რომლის დასაბამი არის 284 წელი ქრისტ. წინ[2]. დღეს უკვე ცნობილია. რომ პონტოს ერა იწყება თუ 297 წელს არა[3], ყოველ შემთხვევაში 283 წელს[4] და არა 284 წელს ქრისტ. წინ; მაშასადამე, აქაც სიახლოვე წლებისა (283 284) სრულიად შემთხვევითი ხასიათისაა. ასევე მიუღებელია ის მოსაზრება. ვითომც „ქორონიკონით“ თვლა ჩვენში შემოეღოთ ბაგრატიონთა დინასტიის დამყარების აღსანიშნავად 780 წელს. აშოტ კურაპალატის გამეფების პირველს წელს[5]. საქმე ისაა. რომ აშოტ კურაპალატი „გამეფდა“ არა 780 წელს, არამედ გაცილებით გვიან. მეცხრე საუკუნის მეორე ათეულში[6]: ბაგრატიონთა დინასტიის გამეფება. თუ მას დავუკავშირებთ „ქორონიკონის“ შემოღებას, შესაძლებელია ყოფილიყო საბაბი ამ შემოღებისა და არა მიზეზი მისი, მით უმეტეს არა გამოსაყალი წერტილი „ქორონიკონისა“.

ნამდვილი მიზეზი ამისა ასე უნდა წარმოვიდგინოთ. „ქორონიკონული“ ერა ქრისტიანულია და არა წარმართული: ის წელიწადს იწყებს მარტით, რომელიც, ქრისტიანთა რწმენით, არის დასაწყისი ქვეყნის არსებობისა, თან ეს „ქორონიკონი“ პასქალურია, პასქალურ გამოანგარიშებათა საჭიროებისათვის შემოღებული ყველგან პირველ რიგში. ამიტომ ასეთი ერა შემოვიდოდა ჩვენში. როგორც სხვა ქვეყნებშიაც, მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ. ქრისტიან ქართველებს კი „ქორონიკონის“ დასაწყისად უნდა აეღოთ თავისი ქრისტიანული წარსულიდან ისეთი რიცხვი. რომელიც დამყარებული იქნებოდა 5604-წლიან ნაციონალურ ერაზე და ამავე დროს. გაყოფილი 19, 28 და 532-ზე (ასტრონომიული საფუძველი), მოგვცემდა ნაშთში ერთს. ასეთ რიცხვად ისინი ვერ აიღებდნენ, ვთქვათ, მეთორმეტე მოქცევის დასაწყისს (781—532), 249 წელს, რადგანაც ამ დროს ისინი ჯერ კიდევ არ ყოფილან ქრისტიანები. ასეთი იყო სწორედ 781 წელი ქრისტეს შემდეგ ან 5604+781=6385 წელი ქვეყნის გაჩენიდან. ეს

---

[1] Лекции по истории древней церкви I. 99; Журналы Совета Петерб. Дух. Академии за 1896—7 г.. стр. 258.

[2] განხილვა ძველთა და ახალთა კალადოკიის ანუ პანეთის მკვიდრთა მოსახლეთა, გვ. 16—18.

[3] Theod. Reinach, Mithridate Eupator roi du Pont, 1890, p. 263.

[4] F. Ginzel, Handbuch der mathematischen und technischen Chronologie III, 36.

[5] ძველი საქართველო, ტ. II, განყ. 3, გვ. 56—69. Georgian Chronology and the beginnigs of Bagratid rule in Georgia, Georgica. October 1935. vol. I, p. 16.

[6] კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 101—109.

ციფრი შემდეგს ფორმულას იძლევა „ქორონიკონის“ ასტრონომიული საფუძვლების გათვალისწინებით:

$$R = \left(\frac{5604+781}{19} - 336\right)1; \qquad R = \left(\frac{5604+781}{28} - 228\right)1:$$

$$R = \left(\frac{5604+781}{532} = 12\right)1.$$

ესე იგი –781 წელს ქრისტეს შემდეგ დაწყებულა მე-337 მთვარის ციკლი, მე-229 მზის ციკლი და მე-13 ქორონიკონი ან 532-წლიანი მოქცევა. ამ ჩვენს 532-წლიან ციკლს საფუძვლად უძევს ალექსანდრიული იკოსიოკტაეტირიდა

$$\left[R = \left(\frac{5492+781}{28} - 224\right)1\right]$$

და სირიულ-კონსტანტინოპოლური გინა თუ Chronicon Paschales-ის[1] ენეაკედეკაეტირიდა ფორმულით

$$\left[R = \left(\frac{5509+781}{19} = 331\right)1\right].$$

ამნაირად, ქართული 5604-წლიანი ერა, რომელზედაც დაფუძნებულია 532-წლიანი „ქორონიკონი“, შემოღებულია ვინმე ანდრიას მიერ, ის შემოსულა ჩვენში ქრისტიანობის დამყარებასთან ერთად, თუმცა მისი გამოყენების კვალს, დღესდღეობით არსებული და ცნობილი შრომებიდან, პირველად იოანე საბანისძის შრომაში ეხვდებით მხოლოდ. საიდან აიღო ანდრიამ ან მისმა წყარომ ასეთი ერა? არცერთი ისტორიულად ცნობილი ერა მას არ უდგება, არ შეიძლება მოიძებნოს მისთვის არც სიმბოლურ-მისტიკური ახსნა-განმარტება, როგორიც აქვს, მაგალითად, 5500[2] და 6000[3]-წლიან ერას. სომხური ანონიმური ტრაქტატის ავტორი, აღნიშნავს რა ევსევი კესარიელისა და ანდრიას შეუთანხმებლობას ქრონოლოგიაში, რაც თითქოს იმით აიხსნება, რომ ადამიდან მოსემდე სამარიელები, ძველი ებრაელები და 70 თარგმანნი სხვადასხვანაირად აღნიშნავენ დროს, ამბობს: „მიუხედავად ამისა სწორად იქცევა ანდრია, როდესაც ის, თანახმად 70 თარგმანთა, აღნიშნავს დროს: ქრისტეს დაბადებამდე მან თქვა 5600 წელიო“[4]. ამით ანონიმი გვატყობინებს, რომ ანდრიას ერა გამოანგარიშებულია 70 თარგმანთა (სეპტანტის) მიხედვით. როგორ მიიღო მან თუ მისმა წყარომ ასეთი რიცხვი, ძნელია თქმა, რადგანაც ბიბლიური ქრონოლოგიის გარკვევაში ხრონოგრაფები

[1] Migne, Patr. Graeca t. 92.

[2] Проф. В. Болотов, История древней церкви I, 92—93. Д. Лебедев, Отзыв о сочинении проф. А. Дьяконова: Иоанн Ефесский и его церковно-исторические труды, Византийский Временник, т. 18, отд. 2, стр. 81—82.

[3] Д. Лебедев, op. cit. მისივე—Средники, Журнал Министер. Народ. Просвещения 1911 г. Май, стр. 111—112.

[4] Dulaurier, Recherches, p. 58, Markwart, S. 405.

და მემატიანენი დიდს თავისებურებას იჩენენ ხოლმე. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ანდრიას ცხრილი ეყრდნობოდა ანატოლი ლაოდიკიელის ციკლს; ჯერ კიდევ გარკვეული არაა მეცნიერებაში ის ერა, რომლითაც ხელმძღვანელობდა ანატოლი, ზოგი ფიქრობს, რომ ის არის 5500-წლიანი[1], ზოგი—3973-იანი[2]. შეიძლება დაისვას საკითხი: ხომ არ იყო 5600-წლიანი (resp. 5604-იანი) ერა ანატოლის ერა, საიდანაც ის შეითვისა ანდრიამ? ამ ჰიპოთეზს ნაკლები ძალა და უფლება არ ექნება, ვიდრე, ყოველ შემთხვევაში, დასახელებულ ორს.

II

წინა თავში ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ქართველებს სხვადასხვა სისტემის წელთაღრიცხვა სცოდნიათ: სხვადასხვა ხანაში თავისი ცხოვრებისა მათ ჰქონიათ ასეთივე სხვადასხვა სისტემის წელიწადიც. სამოქალაქო ცხოვრებაში მათ უხმარიათ აგვისტოს, სექტემბრის, იანვრის და მარტის წელიწადი, თვითეულ მათგანს მეტად რთული და თან საინტერესო ისტორია აქვს[3], მაგრამ ამთავად ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ, ზოგად ხაზებში მაინც, სავანგებო საეკლესიო-ეორტალოგიური წელიწადი, რომელიც საქართველოში ხმარებაში იყო მეათე საუკუნის გასულამდე და უაღრესად საინტერესო მასალას წარმოადგენს ჩვენი უძველესი კულტურისა და მისი გზების გასათვალისწინებლად.

ქართული რიტუალურ-ეორტალოგიური წელიწადი, რომელიც იწყებოდა ე. წ. შობის ადვენტით ან 21 დეკემბრიდან, შესდგებოდა ცხრა პერიოდისაგან, რომელთა მოცულობა და ხანგრძლივობა. უძველესი ლიტერატურული ძეგლების მიხედვით[4], შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

1. პირველი პერიოდი იწყება შობის წინადღესასწაულით, რომელიც 21 დეკემბერს ემთხვევა. ეს პერიოდი შეიცავს შობისა და ნათლისღების დღესასწაულებს და თავდება ნათლისღების მომდევნო რვა დღით. 13 იანვარს, ასე რომ ის შეიცავს 24 დღეს, 21 დეკემბრიდან 13 იანვრამდე. ამ შემთხვევაში ქართულ პრაქტიკას შემოუნახავს პირველყოფილი ქრისტიანობის ტრადიცია, რომლის კვალი დარჩენილა როგორც დასავლეთის კალენდარში (ე. წ. რომის კალენდარი 354 წლისა), ისე აღმოსავლეთისაში (სირიული კალენდარი 411—412

---

[1] A. Gutschmid, Agathangelos. Kleine Schriften III. 353—4, ZDMG. XXXI. SS. 11—12.

[2] Ed. Schwartz, Einleitungen, Übersichten und Register zu Eusebius Kirchengeschichte III, S. CCXLVII, Anmerk. 1.

[3] ძველი ქართული წელიწადის შესახებ დამზადებული გვაქვს დასაბეჭდად გამოკვლევა.

[4] კვალი და ფრაგმენტები ქართული ეორტალოგიური წლისა შენახულა შემდეგს ლიტერატურულ ძეგლებში: 1) იოანე-ზოსიმეს კალენდარში (დამზადებული გვაქვს დასაბეჭდად), 2) პერგამენტ-პაპირუსის სტიხირარში, რომელიც რუსეთიდან იქნა დაბრუნებული; 3) მიქელ მოდრეკილის სტიხირარში (წერა-კითხ. ხელნაწერთა ფონდი № 425); 4) ჩვენ მიერ გამოცემულს „იერუსალიმის კანონარში", 5) პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულს ლექციონარში № 3; 6) უძველეს „მრავალთავებში", როგორიცაა საკლ. ფონდის №№ 19, 95, 144, ათონის № 57 და სხვ. ამ ძეგლების მიხედვით შესაძლებელი ხდება ქართული ეორტალოგიური წლის აღდგენა.

წლისა). დასასრული ამ პერიოდისა ააშკარაებებს პალესტინის უძველესი პრაქტიკის კვალს; აქაც, როგორც ჩანს ცნობილი მოგზაურის, სილვია აკვიტანელის, აღწერილობიდან, „განცხადებას" (ნათლისღებას) რვა დღის „შედეგი" მოსდევდა და შობა-ნათლისღების პერიოდი 13 იანვარს თავდებოდა[1]. უძველეს ხანაში, ყოველ შემთხვევაში სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი ერთობისას, შობა და ნათლისღება ჩვენშიაც, მსგავსად აღმოსავლეთისა, ერთად. 6 იანვარს, სრულდებოდა[2].

2. მეორე პერიოდს შეადგენს ნათლისღების მომდევნო კვირეები. 14 იანვრიდან „მეზვერისა და ფარისეველის" კვირამდე. როდესაც აღდგომა 25 აპრილსაა, ეს პერიოდი შეიცავს 31 დღეს, ვინაიდან ამ შემთხვევაში „მეზვერისა და ფარისეველის" კვირა 14 თებერვალს მოდის; დამრგვალებით კი, უკანასკნელს შემთხვევაში. ის აღებულია ხუთი კვირის შემადგენლობით. ამიტომაა, რომ „იერუსალიმის განჩინება" აღნიშნავს 1, 2, 3. 4 და 5 კვირიაკეს „განცხადების" შემდეგ. როდესაც აღდგომა 22, 23 და 24 მარტსაა. ეს პერიოდი სულ იკარგება, რადგანაც ამ შემთხვევაში „მეზვერისა და ფარისეველის" კვირა მოდის 11. 12 და 13 იანვარს.

3. მესამე პერიოდი შეიცავს დიდ-მარხვის ეგრეთწოდებულ მოსამზადებელ კვირიაკეებს: მეზვერისა და ფარისევლის (ერთი კვირა-დღე), უძღების შვილის, ხორცისა და ყველის აკრების,—სულ სამს კვირას; ის გრძელდება maximum (როდესაც აღდგომა 25 აპრილსაა) 14 თებერვლიდან 7 მარტამდე, minimum (აღდგომა 22 მარტს) 11 იანვრიდან 1 თებერვლამდე. ამ პერიოდში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება. მეზვერისა და ფარისეველის კვირის მეორე დღეს ან, უფრო ზუსტად. უძღების შვილის კვირიაკის ორშაბათს. სამშაბათს და ოთხშაბათს სირო-ქალდეველთ (ნესტორიანებს). კოპტებს. ეთიოპებს და სომხებს აქვთ ე. წ. „ნინეველთა მარხვა", რომელსაც სომხურად „არაჯავორ" ეწოდება. რაც (დიდი მარხვის) „წინამორბედს". „წინამავალს" ნიშნავს. ეს მარხვა უძველეს დროში ჩვენშიაც ყოფილა მიღებული „ალაჯორის". resp. „არაჯორის" სახელწოდებით. იოანე-ზოსიმეს კალენდარი ერთს ადგილას ლაპარაკობს ამ მარხვაზე, როგორც წარსული დროის მოვლენაზე: „ჴსენებაჲ იონა წინასწარმეტყუელისაჲ და სინანული ნინეველთაჲ. მარხვაჲ სამი დღ0 და სამი ღამ0 თთუესა ივლისსა შინა ყოფილა იგ, იდ, იე-საო". ხოლო ორ ადგილას იხსენიებს მას როგორც ცოცხალს. თანამედროვე ფაქტს. რომელსაც ხორცთა აკრების პარასკევს აქვს ადგილი. იოანე-ზოსიმეს დროს და უფრო ადრეც. მეცხრე საუკუნეში (დიდი არსენ კათოლიკოზის დროს) „ალაჯორის" წინააღმდეგ ქართლში გამწვავებული პაექრობა იყო, ასე რომ აღნიშნა მისი, როგორც ცოცხალი ფაქტისა. უნდა ეკუთვნოდეს „იერუსალიმის განჩინების", საიდანაც ის მოდის. ქართულად გადმოთარგმნის ხანას, VIII საუკუნეს. როდესაც ეს მარხვა ტრადიციით კიდევ ცოცხალი ყოფილა ჩვენს პრაქტიკაში. თუმცა

[1] Peregrinatio ad loca sancta saeculi IV exeuntis, изд. И. В. Помяловского, Палестинский Сборник, т. VII, стр. 44—45, 144—146.

[2] К. Кекелидзе, К вопросу о времени празднования рождества христова в древней церкви (Труды Киевской Академии 1905 г. Январь).

არა მისი სომხური სახელით, არამედ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მიღებული („ნინეველთა მარხვა"), რომელიც ისტორიულ სინამდვილესაც შეესაბამებოდა და ქართველთა კონფესიონალურ გრძნობასა და შეგნებასაც არ ბღალავდა.

4. მეოთხე პერიოდი არის დიდ-მარხვის პერიოდი. რომელიც შესდგება შვიდი კვირის ან 49 დღისაგან. მის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ყველის აღების კვირა ითვლებოდა პირველ კვირად, პირველი—მეორედ, მეორე—მესამედ, ბზობის—მეშვიდედ, ასე რომ ვნების კვირა გრძელდება ორშაბათიდან შაბათამდე (იერუსალ. განჩინება). ამგვარ თვლას ადგილი აქვს სირო-ქალდეველთა და სომეხთა კალენდარში, რაც თავისთავად მაჩვენებელი უნდა იყოს ჩვენი პრაქტიკის სიძველისა.

5. მეხუთე პერიოდი არის პასექის ან აღდგომის, გინა თუ ზატიკის პერიოდი, რომელიც მარტვილიამდე, ესე იგი—სული-წმიდის მოსვლამდე.—გრძელდება და 7 კვირის ან 49 დღისაგან შესდგება. აღდგომას და მთელს მის მომდევნო პერიოდს ჩვენს უძველეს ძეგლებში ეწოდება „ზატიკი". რაც მაჩვენებელია ჯერ კიდევ სომეხ-ქართველთა ეკლესიური ერთობისა. ვინაიდან „ზატიკი" სომხურადაც აღდგომას ეწოდება, მაგრამ ჩვენს ძეგლებში მიღებულია „აღდგომის" აღსანიშნავად აგრეთვე მეორე სახელიც—„აღვსება", რაც უნდა აღნიშნავდეს იმას, რომ ამ დღით ან, უკეთ, მთელი ენების კვირიაკით, თავდება ან სრულდება დიდ-მარხვის პერიოდი. ტერმინი „აღვსება" იხმარება აგრეთვე სირო-ქალდეველთა პრაქტიკაშიც, მხოლოდ არა მარტო დიდ-მარხვის პერიოდის, არამედ სხვა შვიდკვირიან პერიოდის უკანასკნელი შვიდეულის აღსანიშნავად, მაგალითად, „პარასკევი მოციქულთა შვიდეულის აღვსებისა", „კვირა მოციქულთა შვიდეულის აღვსებისა"[1]. მაშასადამე, ორივე ტერმინი, „ზატიკი" და „აღვსება" მაჩვენებელია ჩვენი ძეგლების უძველესი ტრადიციისა.

6. მარტვილიიდან ან სული-წმიდის მოსვლიდან იწყება ახალი, მეექვსე, პერიოდი, რომელიც 7 კვირის ან 49 დღისაგან შესდგება და გრძელდება ე. წ. „ათენაგობამდე". ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ სული-წმიდის მოსვლის დღესასწაული, რომელსაც ბერძნულად და სომხურადაც „პენტიკოსტე" (50. რადგანაც ეს დღესასწაული აღდგომიდან მე-50 დღეს მოდის ხოლმე) ეწოდება, ქართულს ძეგლებში ცნობილია როგორც „მარტვილია". საიდან და როგორ წარმოდგა ეს სახელწოდება? „მარტვილია" უნდა მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვიდან μάρτυρ, რომელიც „მოწამეს" აღნიშნავს; მაშასადამე, ამ დღეს მოდიოდა „მოწამეთა" ან „მარტვილთა" ხსენება, მათი პატივისცემა. მართლაც, ჯერ კიდევ უძველეს დროში გამომუშავებული იყო ერთი დღე წელიწადში, როდესაც ყველა ქვეყნისა და დროის მოწამეებს იხსენიებდენ ერთად (მიქელ მოდრეკილის სტიქირარში ასეთ დღედ ნაჩვენებია 22 იანვარი). იოანე ოქროპირის ერთერთი „სიტყვიდან" ჩანს, რომ ეს ხსენება მოდიოდა სული-წმიდის მოსვლის მომდევნო დღეებში; ის ამბობს: „არ გასულა ჯერ შვიდი დღე, რაც ჩვენ სულის წმიდის მოსვლა ვიდღესასწაულეთ, და ჩვენ მიგვიღო მოწამეთა გუნდმა·

[1] Проф. В. Болотов, Церковный год Сиро-халдеев, Христ. Чтение, Июнь 1901 г. стр. 942.

(Migne, PG. t. 50, col. 706). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იყო დრო (ჯერ კიდევ იოანე ოქროპირამდე), როდესაც მარტვილთა ხსენება დაკავშირებული იყო სულის წმიდის მოსვლის დღესასწაულთან და მასთან ერთად სრულდებოდა, რის გამო ამ დღესასწაულს „მარტვილია“ ეწოდებოდა. შემდეგ მას განუცდია მოძრაობა და ქანაობა, სანამ არ დაუკავებია ის ადგილი, რომელიც დღეს განკუთვნილია მისთვის, სახელდობრ—ყოველთა წმიდათა კვირიაკე (პირველი კვირა დღე სულის წმიდის მოსვლის დღესასწაულიდან).

ეხლა „ათენაგობის“ შესახებ. როგორც ვხედავთ, ათენაგობა მიჩნეულია ჩვენს ძეგლებში მიჯნად ორი პერიოდისა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ათენაგე ან ათინოგენ სებასტიელის სახელთან, რომელიც აწამეს მესამე საუკუნის გასულს თუ მეოთხის დამდეგს და რომლის ხსენება ბერძნულ კალენდრებში დადებულია ივლისის ხან 16, ხან 17, ხან 18. მისი „მარტვილობის“ უძველეს ქართულს თარგმანში ნათქვამია, რომ ის აწამეს 17 ივლისს დეოკლიტიანეს და მაქსიმიანეს მეფობაშიო, მაშასადამე, 284—305 წლებში[1]. რაც შეეხება წმიდა ქართულ ძეგლებს, მისი ხსენება დადებულია: იოანე-ზოსიმეს კალენდრით 13 და 17 ივლისს, ხოლო დასახელებული „მარტვილობის“ ზედწარწერით—„მარტჳლიითგან მეშჳდესა კჳრიაკესა“[2]. იოანე-ზოსიმეს კალენდარშიაც ასეა: „შემდგომად მარტჳლობისა მეშჳდესა კჳრიაკესა ჴსენებაჲ წმიდისა ათენაგენა მღდელთ-მაძღურისაჲ“. ეს უკანასკნელი თარიღი უფრო მიღებული ყოფილა ჩვენში, ყოველ შემთხვევაში უძველეს ხანაში. დამოკიდებულება მისი მარტვილიის დღესასწაულზე ადასტურებს, რომ ის ჩვენში მოძრავ დღესასწაულთა კატეგორიაში ყოფილა მოქცეული. ის ფაქტი, რომ მისი ხსენება მიჯნად ყოფილა მიჩნეული ორი საეკლესიო პერიოდისა, მაჩვენებელია იმის, რომ ეს ერთერთი დიდი და პოპულარული დღესასწაული ყოფილა ჩვენში. და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს კვალი ათენაგეს კულტისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც: დიდი ლიახვის ხეობის ოსები დღესაც არაჩვეულებრივი ზეიმით დღესასწაულობენ „ათენაგობას“ აღდგომის შემდეგ მე-98 დღეს, ხოლო ფშავ-ხევსურეთში „ათენგეობას“, რაც იგივე „ათენაგობაა“,—ივლისის თვის პირველს კვირაში[3]. ამნაირად, ეს დღესაც მოძრავ დღესასწაულთა ციკლს განეკუთვნება. ჩვენში ძველად საგანგებო ლიტურღიკული წიგნებიც კი ყოფილა იმ პერიოდისათვის, რომელსაც ათენაგობა მიჯნავდა; წიგნი, რომელსაც „ათენაგენე“ ეწოდებოდა, მოხსენებულია პაპირუს-პერგამენტის სტიქირარში: „ათენაგენსა ჰპოო“[4], და პარიზის ქართულს ლექციონარში № 3: „ჰპოო ათენაგენედ“ ესადაეს საკითხავი ან საგალობელიო (ფ. 302). ეს დღესასწაული უნდა იყოს ჩვენში ნაშთი სომეხ-ქართველთა ეკლესიურ-სარწმუნოებრივი ერთობისა; საქმე ისაა, რომ სომხეთში ათენაგეს კულტი მეტად პოპულარული იყო. „სომეხთა მოქცევის“ არაბულს ვერსიაში ნათქვამია. რომ გრიგოლ განმანათლებელმა, მღვდელმთავრად დადგინების შემდეგ კესარიაში, წამოიღო ქ. სებასტიიდან სომხეთში ნაწი-

[1] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века, стр. 288—294).
[2] ibid. стр. 289.
[3] ibid. стр. 20.
[4] ibid. стр. 20.

ლები ათენაგენისა, რომლის სახელზე ქ. შატისატში ეკლესია ააგოო[1]. გრიგოლსაენ დაუწესებია სომხეთში იოანე ნათლისმცემლისა და ათენაგეს დღეობა, ერთი ცნობით—პირველს ნავასარდს, მეორეთი კი—საჰმი თვის შვიდს რიცხვს.

შემდეგში სომხეთში „ათენაგობის" ადგილი დაუკავებია იმ დღესასწაულს, რომელსაც „ვარდავარი" —ფერისცვალება ეწოდება. არის ცნობა, რომ წარმართულ სომხეთში „ვარდავარს" უწოდებდნენ იმ დღესასწაულს, რომელიც ნავასარდის თვეში მოდიოდა ასტღიკ-აფროდიტეს სახელზე. გრიგოლ არშარუნი სომხური ლექციონარის განმარტებაში, რომელიც მას 690 წელს დაუწერია, ამბობს, რომ ამ წარმართული დღესასწაულის ადგილას გრიგოლ განმანათლებელმა ფერისცვალება დააწესაო[2]. მაგრამ საქმე ისაა, რომ „ფერისცვალების" დღესასწაული საქრისტიანოში ჩნდება არა უადრეს მეექვსე-მეშვიდე საუკუნისა, ამიტომ, თავისთავად იგულისხმება. გრიგოლ განმანათლებელი მას სომხეთში ვერ შემოიღებდა: აქ, სომხეთში, ის შემოტანილი უნდა იყოს ელინოფილების მიერ დაახლოვებით მეშვიდე საუკუნეში (გრიგოლ არშარუნი ამ საუკუნის გასულს უკვე იცნობს მას). მაშასადამე, ქრისტიანული „ვარდავარი" სომხეთში თავდაპირველად იყო არა „ფერისცვალება", არამედ რაღაც სხვა დღესასწაული. ჩვენ გვგონია, რომ ეს დღესასწაული იყო სწორედ „ათენაგობა". და აი რატომ: 1. ქართლში, როგორც ვთქვით, ათენაგობა უდიდეს დღესასწაულად იყო მიჩნეული, სომხური „ვარდავარიც" იმ უდიდეს დღესასწაულთა ციკლს ეკუთვნის, რომელთაც „ტალავარს" უწოდებენ. 2. „ვარდავარი", მსგავსად „ათენაგობისა", არის მოძრავი, აღდგომაზე დამოკიდებული, დღესასწაული, ის მოდის აღდგომა+98 დღე; ჩვენი „ათენაგობაც" მოდიოდა „მარტკლიითგან მეშჳდესა კჳრიაკესა", ესე იგი—აღდგომა+98, ან, როგორც მეათე საუკუნის კვინკლოსშია ნათქვამი: „უკუეთუ ეძიებდე ათენაგენსა, ახალკჳრიაკე იპყარ, რავდენსა იყოს თთუესა შინა, იმდენსავე ათენაგენაჲ ივნისსა ანუ ივლისსა: უკუეთუ ახალკჳრიაკე მარტსა იყოს, ათენაგენაჲ ივნისსა იყოს, თუ აპრილსა იყოს, ათენაგენაჲ ივლისსა იყოს ემდენსა"[3]; ამ ანგარიშითაც ათენაგობა მოდის აღდგომა+98 დღე. 3. საეკლ. ფონდის (A) ხელნაწ. („მრავალთავში") № 144 ვკითხულობთ: „დღესა ვარდობასა წამებაჲ ათენაგე მღუდელ-მოძღურისაჲ" (ფ. 316); აქ, როგორც ვხედავთ, პირდაპირაა აღნიშნული, რომ ათენაგეს ხსენება სრულდება „დღესა ვარდობასა", რომელიც, როგორც ცნობილია, სომხური „ვარდავარის" ექვივალენტია. 4. თუ სიტყვას ეტიმოლოგიურად განვიხილავთ, „ვარდავარი" უნდა ნიშნავდეს ვარდისაგან გაკეთებულს ან შეთხზულ სამკაულს, იგულისხმება მარტვილოლოგიაში „მოწამეობრივი გვირგვინი", რომლითაც შემკულ იქნა ათენაგე. ამნაირად, ეჭვი არ არის, თავდაპირველად სომხური „ვარდავარი" იყო ათენაგე მოწამის დღესასწაული[4].

[1] H. Marr, Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, стр. 130, 131, 133.

[2] F. Conybeare, Rituale Armenorum. p. 510.

[3] Brosset, Etudes de chronologie technique, p. 3.

[4] შემდეგში, სანამ ის ფერისცვალების დღესასწაულად გადაკეთდებოდა. მას შერევია ელემენტები იოანე ნათლისმცემლის სხვადასხვა დღესასწაულისა ისე მძლავრად, რომ ათენაგეს სახელი თითქმის მთლიანად დაჩრდილულა. ეს იმით აიხსნება, რომ სომეხთა განმანათლებლის

ეს გარემოება ჩვენ გვაძლევს გასაღებს ქართული დღესასწაულის „ვარდობის“ და მისი მოძრაობის ხასიათის გასაგებად. ძველად ჩვენში ცნობილი ყოფილა არა მარტო თვე „ვარდობისა“, არამედ დღესასწაულიც „ვარდობა“. ეს დღესასწაული სხვადასხვა დროს მოდიოდა ხოლმე: გვხვდება ის მაისში, მაგალითად, იოანე-ზოსიმეს კალენდარში ნათქვამია: „მაისსა იე ვარდობაჲ ღმრთისშობლისაჲ ტაძრად მიყუანებაჲ[1]. გვხვდება „ვარდობა“ ივნისშიაც: ზემო-იმერეთში, სურამიდან 25 კილომეტრის დაშორებით, ხეფინის ხევის საზოგადოების სოფელ გეთსამანიაში, ცნობილი ყოფილა ღვთისმშობლის დღეობა, რომელსაც „ვარდობა“ ეწოდებოდა; ეს დღეობა მოდიოდა ხოლმე მოციქულთა მარხვაში, პირველს ორშაბათს, ხან მაისში, ხან ივნისში (ცნობა მოწოდებულია 1923 წელს ქრისტეფორე ციცქიშვილის მიერ), რაც იმით აიხსნება, რომ აღნიშნული მარხვა, რომელიც 28 ივნისს თავდება, იწყება ხან 18 მაისს (როდესაც აღდგომა 22 მარტსაა), ხან 21 ივნისს (როდესაც აღდგომა 25 აპრილსაა). ამასთან დაკავშირებით გასაგები ხდება ის გარემოება, რომ მოციქულთა ან პეტრე-პაველობის მარხვას, ექვთიმე ათონელის სიტყვით, „ქართველნი ვარდობად უწოდენ“[2]. „ვარდობას“ ადგილი ჰქონია აგრეთვე იელისში; ეს იქიდანა ჩანს, რომ პეტრე-პაველს მარტვილობას სათაურად აწერია: „თთუესა ივნისსა კთ ჯსენებაჲ წმიდათა მოციქულთა პეტრჱსი და პაულჱსი ჰრომეს შინა უწინარჱს რვისა დღისა ვარდობისა (ათონ. ხელ. № 57, სინას მთ. № 83), ეს უდრის 6 იელისს, მაშასადამე ვარდობა 6 იელისსაც ყოფილა ცნობილი. რით აიხსნება, რომ „ვარდობა“ მოდის მაისშიც, ივნისშიც და იელისშიც? იმით, რომ „ვარდობა“ არის სომხური „ვარდავარი“, უკანასკნელი კი, როგორც დავინახეთ, უდრის „ათენაგობას“. „ათენაგობა“, ჩვენ უკვე ვიცით, მოდიოდა ივნისში და იელისში (27 ივნისი—31 იელისი). მართალია, მაისში ის უშუალოდ არ მოდიოდა, მაგრამ ის დაკავშირებული ყოფილა მოციქულთა მარხვასთან, რომელიც ხშირად 18—31 მაისშიაც მოდიოდა ხოლმე (როდესაც აღდგომა ხვდებოდა 22 მარტს—4 აპრილს).

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ „ათენაგობა“ ერთერთი უძველესი ნაშთია საქართველოს კულტურულ-ეორტალოგიური ერთობისა და კავშირისა სომხეთთან და ზოგადად ქრისტიანულ აღმოსავლეთთან.

გრიგოლის „ცხოვრებაში“ ათენაგეს და იოანეს სახელი, უეჭველად იდეალური მოსაზრებით, როგორც მოწამეებისა, დაკავშირებულია ერთმანეთთან: გრიგოლს სებასტიიდან მოაქვს სამშობლოში ნაწილები ათენაგესი და იოანესი, ის ერთსადაიმავე დღეს აწესებს ორისავე მოწამის სახელობის დღესასწაულს. ცხადია, იოანეს ნაწილებს გრიგოლი მესამე საუკუნის გასულს თუ მეოთხის დამდეგს სებასტიიდან სომხეთში ვერ მოიტანდა, ვინაიდან ისინი მაშინ ჯერ კიდევ პალესტინის ქალაქ სამარიაში იყო დაკრძალული და მხოლოდ 362—363 წელს იქნა აღმოჩენილი (Rufinus Historia Ecclesiastica II, 28). მაშასადამე, ესეც ზედმეტი საბუთია იმის, რომ მისი კულტის ელემენტები შემდეგში შეერია ათენაგენის კულტს. ეს შერევა შეიძლება დაწყებულიყო არა უადრეს მეხუთე საუკუნისა.

[1] სირო-ქალდეველთა კალენდარში 15 მაისს დადებულია დღესასწაული „ყოველად წმიდა მარიამის“. იოანე-ზოსიმე ეეღარ გარკვეულა—რა ფაქტი იგულისხმება ამ დღეს ღვთისმშობლის ცხოვრებიდან, და ამიტომ მიუჩნევია იგი ტაძრად მიყვანებად, რომელიც იმ დროს ჯერ საბოლოოდ ლოკალიზაციაქმნილი კიდევ არ ყოფილა ჩვენში.

[2] И. Заозерский и А. Хаханов, Номоканон Иоанна Постника в его редакциях: грузинской, греческой и славянской, стр. 66.

7. „ათენაგობიდან“ იწყება ახალი, მეშვიდე, პერიოდი, რომელიც „ენკენიამდე“ (13 სექტემბერი) გრძელდება. ხანგრძლივობა ამ პერიოდისა დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოდის აღდგომა. თუ ის 22 მარტს არის, მაშინ „ათენაგობა“ მოდის 27 ივნისს, მაშასადამე—ამ პერიოდის სიგრძე უდრის 77 დღეს ან 11 კვირას, ხოლო, როდესაც აღდგომა 25 აპრილს არის, „ათენაგობა“ 31 ივლისს მოდის, ამ პერიოდის სიგრძე კი უდრის 42 დღეს ან 6 კვირას. როდესაც ის 11 კვირას უდრის, ორ ნაწილად იყოფა: ა) შვიდი კვირის პერიოდი და ბ) ოთხი კვირის პერიოდი.

8. „ენკენიიდან“ იწყება ახალი, მერვე, პერიოდი, რომელიც, „იერუსალიმის კანონით“, შეიცავს 14 კვირას და 21 დეკემბრამდე გრძელდება. მაგრამ აქ უფრო გვიანი დროის შესწორება უნდა გვქონდეს. თუ მხედველობაში გვექნება გაბატონებული შვიდკვირეული სისტემა, უძველეს დროში, ალბათ, ეს პერიოდიც ორად იყოფებოდა, პირველში უნდა ყოფილიყო შვიდი კვირა ან 49 დღე, 13 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე,—

9. მეორეშიც—49 დღე ან შვიდი კვირა, 2 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე პირველი ნოემბერი რომ მიჯნა იყო ამ ორი პერიოდისა, ეს ჩანს სირო-ქალდეველთა (ნესტორიანთა) საეკლესიო წელიწადიდან, რომელშიაც უკანასკნელი პერიოდი წლისა სწორედ 1 ნოემბერს თავდება. ამ პერიოდში, მეცხრეში, ეხლა მოდის შობის მარხვა, მაგრამ ძველად ეს ასე არ ყოფილა; შობის მარხვა აღმოსავლეთში პირველად იხსენიება კოპტების კალენდარში (VIII საუკ.), მეცხრე საუკუნეში ის კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული და მისი სიგრძე უდრიდა 18—4 დღეს[1].

როგორც დავინახეთ, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე პერიოდი ჩვენი ლიტურღიულ-ეორტალოგიური წელიწადისა შესდგება შვიდ-შვიდი კვირის ან 49 დღისაგან. შვიდკვირეულ პერიოდად დაყოფა საეკლესიო წელიწადისა უნდა იყოს უძველესი აღმოსავლური პრაქტიკა, რომლის კვალი დარჩენილა, სხვათა შორის, სპარსეთის ქრისტიანების, ეგრეთწოდებულ ნესტორიანთა, კალენდარშიაც. მეორე ნახევარი წელიწადისა, რომელიც შეიცავს ჩვენი წელიწადის 4—8 პერიოდს, ნესტორიანთა კალენდარშიაც დაყოფილია ექვს პერიოდად, რომელთაგან თვითეული შვიდი კვირისაგან შესდგება და „შვიდეულად“ იწოდება[2]. პირველი პერიოდი, შვიდკვირიანი, როგორც ჩვენს კალენდარში, არის დიდმარხვის „შვიდეული“, აღდგომამდე, მეორე—აღდგომის „შვიდეული“ მარტვილიამდე, მესამე—მოციქულთა „შვიდეული“, რომელიც, რაც საყურადღებოა, თავდება ეგრეთწოდებული „ნავასარდილ“-ით (სომხური „ნავასარდ“), რაც უდრის სომხურ „ვარდავარს“[3], მაშასადამე—ჩვენს „ათენაგობას“. ეს „ნავასარდილ-ვარდავარი“ აქაც აღდგომა+98 დღე მოდის, ისე, როგორც ჩვენი „ათენაგობა“. „ნავასარდილ-ვარდავარიდან“ მოყოლებული, 1 ნოემბრამდე, ნესტორიანებს აქვთ სამი „შვიდეული“: ზაფხულის, ილიასი და მოსესი; უკანასკნელი, მოსეს შვიდეული, ნამდვილად შესდგება არა შვიდი კვირისაგან, არამედ

[1] Проф. М. Скабалланович—Толковый Типикон I, 364, 454.

[2] Проф. В. Болотов, Из истории церкви Сиро-персидской, Церковный год Сирохалдеев, Христ. Чтение, 1901 г. Июнь, стр. 937—965.

[3] В. Болотов, op. cit. стр. 943.

maximum 28 დღის ან 4 კვირისაგან (როდესაც აღდგომა მოდის 22 მარტს); როდესაც აღდგომა 25 აპრილს ხვდება, ეს „შვიდეული" სულ იკარგება და ამასთან ერთად წინა, ილიას, შვიდეულსაც ერთი კვირა აკლდება. მთელი ეს პერიოდი, 13 ენკენისთვე—1 ნოემბრის გამოკლებით, რომლისათვისაც ჩვენს კალენდარში დამოუკიდებელი „შვიდეულია" დადებული, უდრის ჩვენს პრაქტიკაში ათენაგე-ენკენიის „შვიდეულს". ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ნამდვილს შესატყვისობას ნესტორიანთა ილია—მოსეს „შვიდეულებისას". როდესაც აღდგომა 22 მარტს მოდის, ათენაგე-ენკენიას პერიოდი უდრის 11 კვირას, ეს არის, მაშასადამე, შვიდი კვირა ნესტორიანთა „ილიას შვიდეულისა" და ოთხი კვირა (maximum-ი) „მოსეს შვიდეულისა". როდესაც აღდგომა 25 აპრილს მოდის, ათენაგე-ენკენიის პერიოდი უდრის 6 კვირას ან 42 დღეს, მაშასადამე, ეს არის დაკარგვა ნესტორიანთა „მოსეს შვიდეულისა" და ჩამოჰრა ერთი კვირისა „ილიას შვიდეულისაგან".

ამნაირად, ჩვენი უძველესი ეორტალოგიური კალენდარი და წელიწადი, რამდენადაც მის შესახებ ფრაგმენტალური ცნობების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მაჩვენებელია იმ გზისა, რომლითაც მიემართებოდა ქრისტიანულ-მწიგნობრული და საზოგადოდ კულტურული კავშირი ქართველებისა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, როგორიცაა სირია, პალესტინა, მესოპოტამია, სომხეთი და სპარსეთი.

შოთა ძიძიგური

კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის მესამე პირის სუბიექტური სუფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით[1]

კონიუნქტივის კატეგორია ენათმეცნიერებაში არ არის სათანადოდ დამუშავებული. არც ცნების განმარტებაში სუფევს აზრთა ერთგვაროვნება. საბოლოოდ მაინც გამორკვეულია, რომ ინდიკატივი საზოგადოდ ობიექტურობას შეესაბამება, ხოლო კონიუნქტივი სუბიექტივიზმის ასახებაა. მაშასადამე. კრიტერიუმად მიჩნეულია მთქმელის დამოკიდებულება გამოსათქმელ აზრთან. „კავშირებითი ისეთი კილოა, რომელიც მთქმელის მიერ მოქმედებას, როგორც ფაქტს კი არ გულისხმობს, არამედ, როგორც შესაძლებელს, საეგებიოს“ (ა. შანიძე). საერთოდ, კონიუნქტივის ხმარების შემთხვევები დაიყვანება ორ ძირითად ფუნქციაზე: ოპტატიურზე (ნატვრითის აღმნიშვნელი) და პოტენციალურზე (შესაძლებელის აღმნიშვნელი). ამ ფუნქციათა განრიგება დროების მიხედვით სხვადასხვაგვარია ენის ევოლუციის სხვადასხვა საფეხურზე.

არ არის შესწავლილი ქართული კავშირებითი კილო ისტორიულად. მას შემდეგ, რაც გაირკვევა კონიუნქტივის ევოლუცია ეპოქების მიხედვით, მისი ფუნქციები ქართული ენის განვითარების მთელ სიერცეზე, თანამედროვე დიალექტების გათვალისწინებით,—ნათელი მოეფინება კავშირებითის მიმართებას სხვა კილოებთან (ამოსავალი გარემოება კონიუნქტივის ბუნების გასაგებად!), გაირკვევა მისი მომავალი ბედი და სხვ.

თანამედროვე ქართულში სამი კავშირებითი გვაქვს: პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი, მ ე ო რ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი და მ ე ს ა მ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი. ეს სახელწოდებანი სერიულობის მიხედვითაა გამომუშავებული. კავშირებითს სამი დრო აქვს: აწმყო, მყოფადი და ნამყო. აწმყო-მყოფადისათვის მას ორ-ორი ფორმა მოეპოება, რომელთაგანაც ერთი წარმოების ტიპის მიხედვით პირველ სერიას ეკუთვნის, მეორე კი—მეორე სერიას; მისი ნამყო, იმავე ნიშნის მიხედვით, ფორმათა მესამე სერიას ეკუთვნის. პირველ და მეორე კავშირებითს შორის არ არის დროული განსხვავება, არამედ მათი გარჩევა ხერხდება წარმოების გვარობისა და სინტაქსური ბუნების სხვადასხვაგვარობის საფუძველზე (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკა. 1. მორფოლოგია. გვ. 125—126). საზოგადოდ უნდა

[1] წაკითხულია მოხსენებად ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახ. ტფ. სახ. უნივერსიტეტის ქართ. ენის კათედრის სხდომაზე 1938 წ. 21 ივნისს.

აღინიშნოს, რომ კონიუნქტივისათვის (რომელიც არ ასახავს ობიექტურ რეალობას) დროული კატეგორია არ არის არსებითი[1].

ასეთია ფაქტიური ვითარება სალიტერატურო ენაში.

კონიუნქტივის თვალსაზრისით რაჭული კილო იმ მხრივ იპყრობს ყურადღებას, რომ ეს ერთადერთი თანამედროვე ცოცხალი ენობრივი სინამდვილეა, რომელშიც კავშირებითი კილო მჟიდროდ „გადაწნულია“ თხრობითთან. მართალია, კილოთა აღრევის ფაქტი არ არის რაჭულის სპეციფიკური რამ, მაგრამ აქ ეს მოვლენა წარმოდგენილია, როგორც სისტემა. კავშირებითის ფუნქციური თავისებურების გარდა, რაჭულში ყურადღებას იპყრობს ეს კატეგორია წარმოების თვალსაზრისითაც.

განვიხილოთ ჯერ პირველი საკითხი.

სიტყვა ეხება მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითის მონაცვლეობას. მესამე კავშირებითითაა გადმოცემული ის დრო-კილო, რომლის გამოსახატავად თანამედროვე ქართული მეორე თურმეობითს იყენებს.

ნიმუშები:

1. ერთი ყმარწვილი დავინახეით დიდ მინდორში და უნდა დამეჭირ-ო-ს და გაგვეყიდნ-ო-ს; 2. უნდა დაგვეჭირ-ო-ს და მოგვეყვან-ო-ს; 3. რომ ის მეცნიერი ყოფილიყ-ო-ს, დახოცვა არ ასცდებოდა რვათავე; 4. დააზმანეს ე ჩოხა და ქალებს უნდა შეეკერ-ო-ს; 5. ისინი წამოვიდეს და უნდა ეელ-ო-ს საძოვრის ფული იმათაც; 6. აი ეგ არ ამოგერჩი-ო-ს და სხვა წაგეყვან-ო-ს; 7. ერთი კარაული გაუმართეთ და იქ უნდა ეჭამ-ო-ს სადილი; 8. გიჯობდა გეკეროდ-ე-ს ხელშია; 9. მოიტანა შინა არჩვი და უნდა შეეწვ-ე-ს.

წარმოდგენილი ნიმუშები თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმების მიხედვით შემდეგ სახეს მიიღებდა: „დამეჭირა, გაგვეყიდა, ყოფილიყო, შეეკერა, აეღო“...

მე აქ გვერდს ვუვლი მთელ რიგ საკითხებს: თუ როგორია საქმის ვითარება ძველ ქართულში, რა სიბრტყეზე დგას წერილობითი ძეგლების მიხედვით და აგრეთვე მოძმე ენების სინამდვილეში კონიუნქტივ-ინდიკატივის ურთიერთობა და სხვა. აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავ: ა) მეორე თურმეობითის გადმოცემა მესამე კავშირებითის ფორმებით არ არის უცხო ქართველურ ენათათვის. ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღების ღირსია სვანური (ვ. თოფურია, სვანური ენა. 1. ზემნა. გვ. 182); ბ) რაჭულში ეს მოვლენა უნდა იქნეს მიჩნეული არქაულად. თანამედროვე ქართულში მესამე კავშირებითის ნაცვლად მეორე თურმეობითის გამოყენება ანუ მესამე კავშირებითის მეორე თურმეობითად „გადაკეთება“ მაჩვენებელია მრავალ ენაში დადასტურებულ საერთო ტენდენციისა: ინდიკატივი ავიწროებს კონიუნქტივის გამოყენების არეს თავისი ფორმების შენაცვლებით, და კილოთა ეს მძლავრი უნიფიკატორული პროცესი

[1] ზოგიერთ ენაში ფორმალურ-დროული განსხვავებანი ახალ გააზრებას ღებულობენ და დიფერენცირდებიან ფუნქციის მიხედვით: გარკვეულ დროს (ეთქვათ, აწმყო-მყოფადს) ენიჭება ოპტატიური ფუნქცია, ხოლო სხვა საპირისპირო დრო (ეთქვათ, ნამყო) კონიუნქტივის მეორე ფუნქციის-პოტენციალობის—ბასიათს ღებულობს.

მთელ რიგ ენებს თხრობითი კილოს გაბატონებასა და კავშირებითის შთანთქმას უქადის[1].

განვიხილეთ (მესამე) კავშირებითის ფუნქციის საკითხი რაჭულში. განსახილველი დაგვრჩა ამავე კატეგორიის წარმოების ტიპი.

მესამე კავშირებითის წარმოების ის ფორმა, რომელიც გავრცელებულია ზემოთდასახელებულ ნიმუშების სახით, ჩვეულებრივია, ე. ი. სალიტერატურო ენის თვალსაზრისით თავისებურებას არ შეიცავს. ამგვარი წარმოება ახასიათებს მთლიანად რაჭულ კილოს. მაგრამ რაჭულის მთარაჭულ კილოკავში ამის- და პარალელურად გვხვდება სხვაგვარი ფორმაც, რა გარემოებასაც შეიძლება მიენიჭოს დიდი პრინციპული მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით. აქვე უნდა დავძინო, რომ სათანადო შემთხვევები გადმონაშთის სახითაა დარჩენილი, სპორადულად და დასტურდება ნამეტურ მთარაჭულის გლოლურ თქმაში, რომელიც ცნობილია რაჭულის ყველაზე არქაულ დიალექტურ ერთეულად[2].

მესამე პირის სუბიექტი გამოხატულია ზმნაში **ნ** სუფიქსით მხოლობით რიცხვში, ნაცვლად **ს** სუფიქსისა. ამის წყალობით წაშლილია მორფოლოგიური მიჯნა მხოლობითსა და მრავლობით რიცხვთა შორის და სადიფერენციაციო ფუნქცია ეკისრება მხოლოდდამხოლოდ სინტაქსურ ურთიერთობას, კონტექსტს. ეს ხდება კონიუნქტიურ ფორმებში.

ნიმუშები:

1. რა კაცი ენდ-ო-ნ სხვასა; 2. შენი ქალი რომ სხვამ წაიყვან-ო-ნ, შენ იმას უნდა გაუსწორდეო; 3. თუ ვაჟა გეწერ-ო-ნ (=დაგებადოს), გამომიგზავნეო; 4. ვიქიდნეთო და რომელმაც წააქცი-ო-ნ-ო, იმისი იყვნენ ე ზარებიო; 5. აწ ამ ვაჟას გეეხარება, რომ ეს წიქარა ნახ-ო-ნ (მან); 6. რაც ამ ვაჟარმა ქნ-ა-ნ-ო, ნართის ქალაქმა ზღ-ო-ნ-ო; 7. რაცაღ არის, ის გავიგნო, ვაჲ თუ იყ-ო-ნ ბეჟან გიეიშვილი; 8. შავმა წყალმა ჩამოიარ-ო-ნ, ერიდეო; 9. ბერი კაცი შეგხვდებაო და გაჩუქებს და რომ შემოგიძახ-ო-ნ, ნუ შეგეშინდებაო; 10. თუ ქალი გექნ-ე-ნ, შინ დაიტოვეო; 11. სამთა ვაჟათა თქვეს: დედაჩვენი როგორ გაერთ-ო-ნ-ო?! (=დაიკარგოსო); 12. წვაღ ჩემ ქალთანაო და იქნება დამკრ-ა-ნ-აო მათრახიო და კაცად მაქცი-ო-ნ-ო (მან); 13. თუ რა გაგიჭირდ-ე-ნ (შენ), დაუკარო; 14. უთხრეს: ბეჟანო, რა უნდა იქნ-ე-ნ შენი გამძლეო? 15. ღმერთო და ჩემო გამჩენოო, რაჟამაც მიეეკარეო, იმაზე დამეცემოდ-ე-ნ ე შვილდისარიო; 16. რომ გათენდ-ე-ნ, ამოიარეო; 17. მოდი, დავნაძლევდეთო: ვინც ამ ბოძალ ხეში გაძერ-ე-ნ-ო, იმან უყიდ-ო-ნ ცხვარიო, რომელიც ვერ გაძერ-ე-ნ-ო...; 18. საცა გაგიჭირდ-ე-ნ, ჩემი სახელი ახსენე.

ეგეთე **ნ** გვხვდება მესამე კავშირებითშიც (resp. მეორე თურმეობითში).

ნიმუშები:

1. ვადა რო შეესრულები-ო-ნ, ამოგვაგდებდა; 2. შენ უნდა დაგეჭირ-ო-ნ ი კაცი; 3. ქვეყანამ სიმტერით უქნა: მის შვილს რო ეცოცხლები-ო-ნ, ქვეყანას

[1] მაგალ., თანამედროვე ინგლისურში კონიუნქტივი კვდება. ზოგიერთი მკვლევრის გამოანგარიშებით, ერთი თაობის შემდეგ სრულიად გადაშენდება ეს კატეგორია ინგლისურში.

[2] შდრ. „ენიმკი-ს მოამბე", II, გვ. 71.

ამოგვაგდებდა; 4. გვერჩია გადაგვეწყვიტ-ო-ნ, ერთი ველოდეთ შველასა; 5 წამოვიდა სხვაგან, საცა იმას უნდა ეშოვნ-ო-ნ ერთი რაში; 6. რა ბედს უნდა მწე-ო-ნ თევზმაო? 7. სოფელი არაა ჩერქეზეთს, მე რომ არ მემუშაევებ-ო-ნ.

მაშასადამე, მესამე კავშირებითში S_3 წარმოდგენილია როგორც **ნ**'თი, ისე **ნ**'თი.

სათანადო წარმოება ახასიათებს უმთავრესად ბრძანებითის ფორმებს, ხოლო ჩვენ კი ვიცით, რომ მესამე პირის ბრძანებითის საწარმოებლად თანამედროვე ქართული იყენებს კავშირებითს.

რა ახსნა უნდა მოეძებნოს მთარაჯულის ამ ერთი შეხედვით უცნაურ ფაქტებს?

სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ პირველ რიგში მოგვაგონდება ძველი სალიტერატურო ქართულის 3 პ. ბრძანებითის (=კავშირებ.) და, აგრეთვე, აწმყო ხოლმეობითის ფორმები: ორსაევე შემთხვევაში ძველი სამწერლო ენა იყენებს **ნ**-ს მხოლ. რიცხვში. მაგალ., იყავ-**ნ** (=იყო-ს!), გიხაროდე-**ნ** (=გიხაროდე-ს!), არ-**ნ** (=არი-ს ხოლმე), წერ-**ნ** (=წერ-ს ხოლმე)... შდრ. მრაველ. რ.: იყვნ-**ედ**, წარვიდ-**ედ**,—არი-**ედ**, წერ-**ედ**... გარდა ამისა. თანამედროვე ქართულში შემონახულა ორიოდე ზმნა, რომელშიც S_3-ის შაჩვენებლად **ნ** უნდა მიეჩნიოთ: დგა-**ნ**-ან[1], წვა-**ნ**-ან[2]. მოძმე ენები შემდეგ ჩვენებებს იძლევიან: ზანურს ეგეევე **ნ** დაუცავს, ხოლო სვანურში ხუთიოდე ზმნას შემოუნახავს **ნ**-ს ექვივალენტი **ლ** პრეფიქსის სახით. „გენეტურად **ლ** და **ნ** შორებელნი არ არიან: პირველის უკანასკნელისაგან მიღება თავისუფლად შეიძლება, და ჩვენც ასე ვეყრაუდობთ: 3 პ. ნიშანი წინარქართულში უნდა ყოფილიყო **ნ**, რომლის შეცვლილი სახე **ლ** სვანურმა შემოგვინახა, ხოლო „შეურყვნელად" იგი დანარჩენებმა დაიცვეს"[3]. აღსანიშნავია, რომ პროფ. არნ. ჩიქობავა **ნ**-ს, როგორც S_3-ის მაჩვენებელს, ძვ. ქართულში ზანურიდან შემოტანილად რაცხს: „მართალია, არც ერთ კილოში არ გეხვდება ამჟამად -**ნ**, როგორც S_3, და თვით ძველ ქართულშიც იგი ზანურიდან შემოსული ჩანს, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ სამწერლო ქართულისათვის S_3—**ნ** არ არის უცხო. დიალექტური შემადგენლობა ძვ. ქართული სამწერლო ენისა რთულია და არა მარტო -**ნ**, სხვა ფორმანტებიც (მაგალ., **ხ** და **ჲ**) სხვადასხვა ფენთა კუთვნილებას წარმოადგენს. მაინც შესადარებლად სხვა ოდენობა არა გვაქვს: თანამედროვე ქართული კილოები მეტ-წილად ძვ. ქართულის ნიადაგზე წარმოქმნილად ივარაუდება"[4].

ასეამგვარად, ქართველურ ენათმეცნიერებაში საკმაო საბუთიანობით ისმის საკითხი უძველეს ქართულში S_3—**ნ**-ს შესახებ. აკად. ივანე ჯავახიშვილი თავის კაპიტალურ ნაშრომში: „ქართული და კავკასური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", გვ. 450 ეხება ამ **ნ**-ს პრობლემას. პატივცემული მეცნიერის მტკიცებით, **ნ** პრექართულში მდედრ. სქესის აღმნიშვნელი

---

[1] არნ. ჩიქობავა, მარტივ წინად. პრობლემა ქართულში. 1, გვ. 209, შნშ. 1.

[2] სხვათაშორის: ქვემოიმერულში **ნ** 3 პირიდან გადმოდის 1 და 2 პირში: ვდგა-**ნ**-ვარ (ვდგა-**ნ**-ვართ), დგა-**ნ**-ხარ (დგა-**ნ**-ხართ).

[3] ვარლამ თოფურია, სვანური ენა, I. გვ. 8.

[4] ჰანურის გრამატიკ. ანალიზი, გვ. 101.

იყო და სქეს-კატეგორიების გადაშენების შემდეგ მიენიჭა მხოლოდ მას პირის აღნიშვნის ფუნქცია.

აი, ეს **ნ** არის ის **ნ**, რომელიც მოცემულია მთარაჭულის ზემომყვანილ ნიმუშებში, ვითარცა სუფიქსი 3 პ. სუბიექტისა მხოლოობით რიცხვში. სხვა ახსნა ამ ფაქტებს არ უნდა მოეპოებოდეს. ამდენად, მთარაჭულში დაცული ეს არქაიზმი უაღრესად სიმპტომატურია მესამე სუბიექტური პირის გენეზისის რკეევისას: ჩვენი დიალექტი ერთადერთი ქართული ცოცხალი მეტყველებითი სინამდვილეა, რომელსაც შემოუნახავს უძველეს ქართულში წარმონაქმი სუფიქსი მესამე პირის სუბიექტისა მხოლოობით რიცხვში.

დასკვნა

1. რაჭული კონიუნქტივი საყურადღებოა ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით—როგორც ფუნქციურად, ისე წარმოების ტიპის მიხედვით.

2. მესამე კავშირებითითაა გადმოცემული ის დრო-კილო, რომლის გამოსახატავად თანამედროვე ქართული მეორე თურმეობითს იყენებს. ეს ფაქტი საერთოდ ენებში ინდიკატივ-კონიუნქტივის მიმართების საზოგადო ტენდენციის კერძოობითი გამოხატულებაა.

3. მესამე პ. სუბიექტურ სუფიქსად მხოლ. რ. კონიუნქტიურ ფორმებში **ნ** გვეელინება. ეს ფაქტი მიიჩნევა უძველეს ქართულში S_3 მხოლ. რ. **ნ**-თი გაფორმების გადმონაშთად თანამედროვე ცოცხალ ქართულ მეტყველებაში. ამ მხრივ მთარაჭული უნიკუმია.

ШОТА ДЗИДЗИГУРИ

КАТЕГОРИЯ КОНЪЮНКТИВА В РАЧИНСКОМ ГОВОРЕ В СВЯЗИ С ПРОБЛЕМОЙ СУБЪЕКТИВНОГО СУФФИКСА ТРЕТЬЕГО Л. В ДРЕВНЕЙШЕМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

РЕЗЮМЕ

Образование конъюнктива в рачинском обращает на себя внимание с двух сторон: 1. Вместо II результативного (заглазного) времени современного груз. литер. языка употребляется III конъюнктив, что признается автором архаичным явлением. Дальнейшая «замена» III конъюнктива вторым результативным в литер. яз. находит свое объяснение в общей тенденции некоторых языков мира, судя по которой наблюдается засилие конъюнктива индикативными формами; 2. В Мтарачинском подговоре (собственно в Глолском patois) субъективным суффиксом третьего *л.* выступает *н* вместо *s* (в конъюнктивных формах). Это является блестящим «реальным подтверждением» высказанного в науке предположения о том, что в древнейшем грузинском S_3 оформлялся именно посредством *н*.

Ссылки на Ив. Джавахишвили, А. Шанидзе, В. Топурия, А. Чикобава.

CHOTHA DZIDZIGOURI

LA CATÉGORIE «CONJONCTIF» DANS LE PARLER DE RATCHA EN RAPPORT AVEC LE PROBLÈME DU SUFFIXE SUBJECTIF DE LA 3me PERSONNE EN ANCIEN GÈORGIEN

RÉSUMÉ

La formation du conjonctif dans le parler de Ratcha attire notre attention de deux côtés:

1. A la place du temps résultatif II du géorgien litteraire moderne on emploie le conjonctif III ce que l'auteur considère comme phenomène archaïque. Le résultatif II comme «substitut» ultérieur du conjonctif III dans la lange littéraire s'explique dans la tendance commune de certaines langues du monde qui nous fait observer une prépondérance des formes indicatives, leur prédomination sur le conjonctif.

2. Dans le patois de Glola, appartenant au parler de Mtaratcha, le suffixe subjectif de la 3me personne est représenté par «-n» au lieu de «-s» (dans les formes conjonctives). C'est une «confirmation réelle» et brillante de la supposition, émise dans la science, que dans l'ancien géorgien S_3 prend justement la forme de «-n».

Renvois à J. Djavakhichvili, A. Chanidzé, V. Thopho uria, A. Tchikobava

ალ. ბარამიძე

სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები

(წინასწარი ცნობა)

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ხელნაწერებს ჩვენამდის ბლომად მოუღწევია. ამ ხელნაწერებს რედაქციულ-ვარიანტული დიდი სხვაობა ახასიათებს. საკითხს ართულებდა ავტოგრაფული ტექსტების უქონლობა. «ქილილა და დამანას» ქართულ ვერსიებზე მუშაობისას 1929 წელს შემთხვევა მომეცა აღმომეჩინა სულხან-საბას ავტოგრაფული მასალების მთელი ციკლი[1]. კერძოდ, მივაგენი ლექსიკონის ავტოგრაფსაც[2]. ავტოგრაფული ლექსიკონი (საქართველოს მუზეუმის H კოლექციის № 1658) წარმოადგენს B რედაქციის ტიპის ხელნაწერს, მისი გადაწერა დასრულებულა კონსტანტინეპოლში 1716 წლის იანვრის 20-ს[3]. ავტოგრაფში მოიპოვება მრავალი საავტორო ჩანაწერი, შენიშვნა, შესწორება, კომენტარი და მისთანანი. ამ ხელნაწერის აღმოჩენამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ლექსიკონის საბასეული ტექსტის მეცნიერულად დადგენის საქმეს. მაგრამ საკითხის მთელი სირთულე მაინც ვერ ჩაითვლებოდა ძლეულად, რადგანაც ავტოგრაფული ტექსტი შედარებით მოკლე, B რედაქციისაა, ხოლო ამასთან ერთად ცნობილია უფრო ვრცელი ტიპის, ანუ A რედაქციის, ხელნაწერებიც. ჩემს შემდეგ პ. ინგოროყვამაც მოიპოვა საბას ავტოგრაფული ტექსტები, რის შესახებაც სპეციალური მოხსენებით გამოვიდა რუსთაველის სახელობის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის სხდომაზე 1933 წლის დეკემბერში[4]. სულხან-საბა ორბელიანის ავტობიოგრაფიული ავტოგრაფული ჩანაწერები აღმოჩნდა აგრეთვე ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

---

[1] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1932, გვ. 208 და შმდ.

[2] იქვე, 209.

[3] შდრ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფ. 1928. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში პროფ. ა. შანიძემ მახვილგონივრული აზრი გამოთქვა ხელნაწერ № 1658-ის ავტოგრაფობის შესაძლებლობაზე.

[4] შდრ. ილ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები (ტფ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, III, 259).

ერთ კერძო საკითხთან დაკავშირებით ბოლო დროს მე მომიხდა სულხან-საბას ძმის, ზოსიმეს გადაწერილი ლექსიკონის გასინჯვა. ესაა საქართველოს მუზეუმის H კოლექციის ხელნაწერი № 1035. ზოსიმეს ეს ხელნაწერი საფუძ-ველად დასდებია პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით დაბეჭდილი ლექსიკონის მეორე გამოცემას (ტფილისს, 1928). როგორც ამ გა-მოცემის წინასიტყვაობის ავტორი, პროფ. ა. შანიძე, აღნიშნავს (გვ. XI—XII), ხელნაწერი თავში დაზიანებული ყოფილა, ნაკლული ტექსტი რედაქციას სხვა უფრო გვიანდელი დროის ხელნაწერებით შეუვსია. რედაქციას გამორჩენია სწორედ იმავე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციაში დაცუ-ლი, იმავე ზოსიმეს გადაწერილი და იმავე ვრცელი A რედაქციის ტიპის უფრო ძველი და უნაკლო ხელნაწერი № 1429. რედაქციის განკარგულებაში მყოფი ზოსიმესეული ხელნაწერის გადანუსხვა დასრულებულა 1727 წლის ივნისის ექვსს. მომყავს მთლიანად ანდერძის ტექსტი:

> სრულ იქმნა სიტყვის-კონა ესე წიგნი, რომელ არს ლექსიკონი, ქრის-ტეს აქათ ათას-შვიდას-ოცდაშვიდსა, 1727, ივნის|ს| ვ |6|, სამეუფოსა დიდსა და ყოვლითურთ ღვთისაგან კურთხეულს თეთრს რუსეთს, მოსკოს. უფალმან განაძლიეროს და დაამტკიცოს მეფობა ცარი პეტრე ალექსი-შვილისა[1], და აკურთხოს ყოელნი ერთგულნი მისნი, და დასწყევლოს და აღმოფხვრას ორგულნი და წინააღმდგომნი მისნი. მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი მეფობისა მისისანი! ამინ. ამინ. ამინ.
>
> ამისი მწერელი ცოდვილი ზოსიმე, ძე ორბელისა, გარდამოცვივნებულის ნაბიჭვისაგან თვითოს შენდობის ლოცვას იაჯს ქრისტეს სიყვარულისათვის. ღვთით ეს ოთხი სიტყვის-კონა წიგნი დამიწერია. რომელ არს ლექსიკონი[2].

სხვათა შორის, როგორც ანდერძის დაყოფილი ნაწილიდან ჩანს, ხელნა-წერი № 1085 ზოსიმეს გადაწერილი ლექსიკონის მეოთხე ცალი ყოფილა. სა-თანადო ანდერძი დაუცავს ხელნაწერ № 1429-საც. აი ამისი ტექსტიც:

> ამა ზემოჴსენებული უფლისა საბას ძმა, არა ღირსი ძმობისა, არამედ მონა მისი, ზოსიმე შევრდომით გეეედრები ყოელთა, რომელნი მიემ-თხვიენეთ ამა ჩემსა მცირედ ნაშრომსა სიტყვის-კონა წიგნსა, გინების ღირსი შენდობით მომიჴსენოთ და ღირსი ჩემი გინება [არა] მომიბოძოთ. გასრულდა ლექსიკონი ესე ქრისტეს აქათ ჩღკე [1725], აპრილს კშ [28], მოსკოვს ქალაქში, ქორონიკონს უიგ [1725]. ამ წიგნის წერა

[1] პეტრე ამ დროს ცოცხალი არ ყოფილა.

[2] ქარაგმები გახსნილია.

ქვიშხეთს, ქართლს **დავიწყეთ** და ძველ მოსკოს **გავათავე**, თეთრს რუსეთს. თუ არ **გავირჯებოდით**, ნუ შეგვინდობთ. ეს ღვთით სამი სიტყვის-კონა წიგნი დამიწერია, რომელ არს ლექსიკონი.

ხელნაწერი № 1429 ზოსიმეს გადანუსხული ლექსიკონის მესამე ცალი ყოფილა, გადაწერა დასრულებულა მოსკოვს 1725 წლის აპრილის 28-ს. მაშასადამე, ეს ხელნაწერი № 1035-ზე ორი წლით მაინც უფრო ძველია. ტექსტის ნაწილი გადაწერილი ყოფილა ქვიშხეთში, ცხადია, ტფილისის დაცემიდან ვახტანგის რუსეთში გამგზავრებამდე, ე. ი. 1723 წლის იანვრიდან 1724 წლის ივნისამდე[3].

ყოველივე აღნიშნული გარკვეულ უპირატესობას აძლევს ხელნაწერს № 1429. მაგრამ ეს ცოტაა. ხელნაწერის პალეოგრაფიულმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ გადამწერი ყოფილა ორი პირი, სახელდობრ სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმა ზოსიმე. ხელნაწერის უმეტესი ნაწილი სიტყვა «რაბბა»-მდე (ამისი ჩათვლით) შესრულებულია კოლექტიურად, მეორე ნაწილი-კი მთლიანად ზოსიმეს ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით გასაგები გახდა ანდერძის სიტყვები: „ამ წიგნის წერა ქვიშხეთს, ქართლს **დავიწყეთ** და ძველ მოსკოვს **გავათავე**... თუ არ **გავირჯებოდით**, ნუ **შეგვინდობთ**“. ანდერძის ავტორი გარკვევით იუწყება, რომ მან მარტომან **გაათავა** გადაწერა („გაეათავე“), თუმცა ხელნაწერზე სხვასაც უშრომია („დავიწყეთ“... „გავირჯებოდით“...). საგულისხმოა, რომ სხვაგანაც, როდესაც ზოსიმე მარტოდ-მარტო თავის თაგზე ლაპარაკობს, მუდმივად ხმარობს მხოლოობითს ფორმას („გეეღრები ყოელთა... დამიწერია“...). ერთი სიტყვით, ანდერძი ადასტურებს ხელნაწერის პალეოგრაფიული ანალიზის შედეგს. ცხადია, კოლექტიურ გადამწერლობას ადგილი ექნებოდა 1725 წლის 26 იანვრამდე (ესაა საბას გარდაცვალების თარიღი). მუშაობა კი დასრულებულა იმავე 1725 წლის აპრილის 28-ს. ამიტომაც ხელნაწერის ბოლო ნაწილი მთლიანად ზოსიმესია. ზოსიმეს შედარებით მოკლე დროში გადაუწერია ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი—200 გვერდი (ხელნაწერში სულ 506 გვერდია, საბას მუშაობა წყდება მე-300 გვერდზე). ტექსტის პირველ ნაწილს დიდი დრო წაუღია. ესეც ადვილი გასაგებია: საქართველოში მუშაობა წარმოებდა არეულობის ხანაში. ქვიშხეთში საბა და ზოსიმე, რასაკვირველია, შეხიზნულან ტფილისისა და მისი მიდამოების აოხრების შემდეგ. ამასთან კოლექტიურ მუშაობას უბრალო გადამწერლობითი ხასიათი როდი ჰქონია. ზოსიმე ყოფილა საბას ნამდვილი თანაშემწე, თანამშრომელი, ზოგ შემთხვევაში რამდენადმე თანაავტორიც. აღსანიშნავია, რომ აქა-იქ ცალკეული გვერდები საერთოდაა გადაწერილი, ზოგი სიტყვა საბას გადაუწერია, ზოგიც ზოსიმეს. სანიმუშოდ აქვე ვუჩვენებთ შესაელისა და ან-ბანის ტექსტების ზოსიმესეულ წილს (აღუნიშნავი წილი საბასია):

---

[3] ერთი დოკუმენტის ცნობით, ვახტანგი რუსეთში გამგზავრებულა 1724 წლის ივნისის 20-ს (ე. თაყაიშვილი, Материалы для Истории Грузии, Тб. 1895, стр. 38).

11—12. აბრეშუმა—ადონაი[1].
13—15. ავშანი—აზანი, აზოტოს -აკვიატება.
16. აკუთა—ალაბული.
18. ამაყი—ამელექ.
20—21. ამპოლი—ანაფორა.
21—22. ანდრიანეპოლე— ანტიოქია.
27. არჩვი—არწივაკი.
32—34. აღელვება—აღსარება.
40—43. ბაზმა—ბართლომე.
46. ბელფეგორ—ბერილი.
47—48. ბერტყა—ბინდი.
50—51. ბოლოდ (კუდად)—ბოხი.
53. ბროჭი—ბრძვილი.
56. ბუჩი—ბჯენა.

მაგრამ მოტანილი ცხრილი შეეხება ლექსიკონის ძირითად ტექსტს. უცხო ტერმინთა შესატყვისობანი საბას ნაწილშიც ჩვეულებრივად ზოსიმეს ჩაუსვამს. როგორც საერთოდ ავტოგრაფულ ხელნაწერებს, კერძოდ კი საბას ნუსხებს, ახასიათებს, აქაც მრავლად მოიპოვება ჩანაწერები, შენიშვნები, განმარტებანი, გადახაზული, თუ გადაწებებული ადგილები და ა. შ.

მე არ შევუდგები ლექსიკონის ახალი ავტოგრაფული ხელნაწერის მნიშვნელობის სპეციალურ განხილვას, ვიტყვი მხოლოდ: ამ ნუსხაზე საბას უმუშავია უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ესაა საბას ათეული წლების დაუღალავი შრომის საბოლოო ჯამი, ლექსიკონის შევსებულ-შესწორებული და საბოლოოდ დადგენილი რედაქცია. ამით ერთხელ და სამუდამოდ წყდება კითხვა საბასეული ლექსიკონის უკანასკნელი რედაქციის ნაირობაზე. თქმა არ უნდა, ამიერიდან სულ იოლად მოხერხდება საბას ლექსიკონის შემდეგდროინდელი მინამატის ზუსტი აღრიცხვა. ლექსიკონის A და B რედაქციის ავტოგრაფული ნუსხების შედარება ცხადლივ ნათელჰყოფს საბას სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის მრავალ საყურადღებო მხარეს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, საბას გვერდით უნდა იქნეს მოხსენებული მისი ღირსეული თანამშრომლის, ზოსიმეს სახელიც. ახლა გასაგები ხდება საბას მეორე ძმის, დიმიტრი ორბელიანის ლექსის შემდეგი ადგილიც (ლექსი დაუცავს № 1035 ხელნაწერსაც):

ამ სიტყვის-კონის მწერალი, ძმა და მოწაფე მისივე,
საბავ, დაადე ზოსიმე...

ხელნაწერი № 1035 № 1429-ის პირია. დედნის ჩანამატი ადგილები გადამწერს ძირითად ტექსტში შეუტანია. ზოსიმე ხშირად იცავს დედნის მიმართ სტრიქონებრივი დალაგების შესატყვისობასაც კი. მაგრამ აქა-იქ უცხო ტერმინთა შესატყვისობანი გადანაწერ პირში მეტია, ან სხვაგვარია, ვიდრე დედან ნუსხაში. სანიმუშოდ ავიღოთ „თქმა“. № 1429 ხელნაწერში საბას ხე-

[1] ციფრები აღნიშნავს ხელნაწერის გვერდებს.

ლით აღნიშნულია: „თქმა: ითქმის სწორს კაცს ეტყოდეს, ხოლო მოკსენება –უაღრესისადმი, და ბრძანება—უმცროსისათვის. რამეთუ სამ სახე არიან თქმანი". ტექსტს გვერდზე მიწერილი აქვს ზოსიმეს ხელით „სოილამაღ". № 1035 ხელნაწერში განმარტებითი ნაწილი განმეორებულია უცვლელად. ხოლო სხვაგვარია უცხო შესატყვისობა—ასელ: დემაღ". B რედაქციის ავტოგრაფულ ნუსხაში „თქმა"-ს განმარტება მიწერილია აშიაზე („საუბარი, ლაპარაკი, ამბაი. თხრობა"), შესატყვისობა კი თავის ადგილასაა და იკითხება: „დირე: სოილამაღ: ხოსელ".

შედარებიდან ირკვევა, რომ თუმცა ზოსიმე ძირითადი ტექსტის ნაწილში უცვლელად იმეორებს დედან ხელნაწერს, ტერმინთა შესატყვისობისათვის სარგებლობს სხვა მასალებითაც. საფიქრებელი ხდება, რომ ზოსიმეს იმთავითვე საგანგებოდ უნდა ჰქონოდა მინდობილი შესატყვისობათა ამოწერა. თუ შემოწმება.

საქართველოს მუზეუმში მოიპოვება ზოსიმეს გადაწერილი ლექსიკონის მესამე ცალიც—H 95*, B რედაქციისა. იშვიათად უკანასკნელსაც დაუცავს რედაქციული შენიშვნების კვალი (შდრ. გვ. გვ. 12 a, 140 b, 247a...). ესეც ადასტურებს, რომ ზოსიმე დიდ დახმარებას უწევდა რთულ სალექსიკოლოგიო მუშაობაში თავის უფროს სწავლულ ძმას[1].

№ 1429 ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, რომ ზოსიმეს ქართული ლექსიკონის 4 ცალი გადაუწერია. აქედან საქართველოს მუზეუმში დაცულია სამი ცალი (95 H, 1035 H, 1429 H), ხოლო მეოთხე ცალი აღმოაჩნდა ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ს[2]. როგორც მოსალოდნელი იყო, არც უკანასკნელი დარჩენილა საბას ყურადღების გარეშე. შედარებით ნაკლებად, მაგრამ ამასაც შემოუნახავს საბას რედაქციული „ჩალხის" კვალი. ამრიგად, ჩვენამდე მოღწეულია ზოსიმეს გადაწერი ლექსიკონების ოთხიენ ცალი და ოთხივეს აღუბეჭდია სახელოვანი ავტორის ავტოგრაფული ხელი.

---

* ამაზე ილია ა ბ უ ლ ა ძ ე მ მიმითითა.

[1] როგორც თავის ადგილას აღვნიშნე, საბას ავტოგრაფული ნუსხის შესწავლა მრავალ საყურადღებო დეტალს ამქლავნებს. სანიმუშოდ აქ ერთზე შევჩერდები. ბერძნული წყაროების შესახებ საბა აცხადებს: „ამა წიგნთა შინა რაოდენთა ადგილთა ბერძული სიტყუა სწერია, რომელიც წიგნიდან შევიტყევ, სწორედ დავსწერე. ერთი მღდელ-მონაზონი იყო, ბ ე რ ძ უ ლ ს ჩ ე მ ო ბ დ ა. რომელიმე მისის სიტყვით დავსწერე და მას უკან ვსცან, არა იცოდა რა" (ლექსიკონი, 1928, გვ. III—IV). სკოლიოში დაბეჭდილია დაყოფილი სიტყვების ვარიანტი: „ბერძენი ცოდნას იჩემებდა B". B-ს ავტოგრაფულ ხელნაწერში დამოწმებულ ადგილას ორი სიტყვა გადახაზულია, მაგრამ ამოკითხვა მაინც ხერხდება. იქ წერებულა: „სერგიოს ერქუა" (გვ. 361). მღვდელ-მონაზონი სერგიოს ბერძენი კი მართლაც ცნობილი პიროვნებაა, ის 1696—97 წლებში საქართველოში ხლებია იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს, დარჩენილა ტფილისში და ვახტანგის მრჩეველ-თანამშრომელი გამხდარა სასტამბო-სარედაქციო საქმიანობაში (იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ნარკვევი ქართული სტამბის შესახებ, «ივერია» 1885, № 10, გვ. 103—104, 108—109).

[2] რომელმაც თავაზიანად დამითმო ის სარგებლობისათვის. ს. იორდანიშვილის ხელნაწერი შემდეგში შეიძინა საქ. მუზეუმმა და ამჟამად აღრიცხულია Q 400-ის ქვეშ.

სულხან-საბას ლექსიკონის ერთი ავტოგრაფული ცალი აღმოჩნდა ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმშიც (№ 300). ხელნაწერი მოკლე რედაქციისაა და პირობითად შეიძლება C რედაქციისად მივიჩნიოთ. ხელნაწერი თავიდან ბოლომდე ავტოგრაფულია, ოღონდ შიგადაშიგ რამდენიმე ფურცელი სხვის მიერაა შესრულებული ლამაზი მდივან-მწიგნობრული ხელით. ნუსხა ბოლოში ნაკლულია, ტექსტი წყდება სიტყვაზე „ჯღრე“. ჩვეულებისამებრ ტექსტი ძალზე აჩრელებულია მრავალრიცხოვანი საავტორო ჩანაწერ-შესწორებებით.

დასასრულ უნდა შევნიშნო, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის არსებული გამოცემები[1] დღეს დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. მოთხოვნილება კი ლექსიკონზე დიდია. სათანადო ორგანოები და სპეციალისტი ლექსიკოგრაფები დროულად უნდა შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას. მომავალი გამოცემის უზადო მეცნიერული ღირსების უზრუნველსაყოფად ნიადაგი უკვე მომზადებულია: მოგვეპოვება ავტოგრაფული ხელნაწერები სამივე რედაქციისა და ავტოგრაფულიე მნიშვნელობის მქონე ზოსიმეს ყველა ნუსხა. ახალ გამოცემას, ცხადია, საფუძვლად დაედება A რედაქციის ავტოგრაფული ნუსხა (№ 1429 H), მაგრამ აბსოლუტური სისრულით უნდა იქნეს გამოყენებული დანარჩენი ავტოგრაფული ტექსტები და ზოსიმეს ხელნაწერები.

29.IX.36.

---

[1] რაფიელ ერისთავის რედაქტორობით, თბ. 1884; პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქტორობით, თბ. 1928.

ძ. ლოლთათიძე

რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში

რედუპლიკაცია ანუ ფუძის (თუ ფუძის ნაწილის) გაორკეცება საკმაოდ ცნობილი მოვლენაა ყველა ენისათვის. მეტნაკლები ინტენსიობით შეიძლება გვხვდებოდეს იგი ამა თუ იმ ენაში. რედუპლიკაციის სამოქმედო უბანიც შედარებით ზოგადი ხასიათისაა.

გაორკეცებულად გვევლინება უმთავრესად ონომატოპოეტური ლექსიკა. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ხმაბაძვა უშუალოდ გადმოსცემს მოვლენისათვის დამახასიათებელ ბგერას და მის ხანგრძლივობა-განმეორადობას.

დასაწყისში რედუპლიკაციის შინაარსი სიმრავლე-მრავალგზისობა-ინტენსიობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. აქედან ის ზოგჯერ თითქოს სულ საწინააღმდეგო მნიშვნელობასაც იგუებს.

სიმრავლე-ინტენსივობის შინაარსის გამოსახატავად რედუპლიკაციისათვის დამახასიათებელი მიმატების ეს წესი უაღრესად საინტერესოა აზროვნების თვალსაზრისით. იგი შედარებით მეტი კონკრეტულობით დახასიათებული აზროვნების ანარეკლია.

რედუპლიკაციის გამოყენება გარკვეული რიგის შემთხვევებში ზუსტ მორფოლოგიურ მოვლენად იქცევა, გარკვეულს შემთხვევებში კი —სემასოლოგიურად.

საენათმეცნიერო კურსები მას მორფოლოგიაში განიხილავენ და სრულიად ბუნებრივია ეს მაშინ, როცა იგი ეწევა სპეციალური ფორმანტის მაგიერობას. მორფოლოგიაში განიხილავენ მას სწორედ იმიტომ, რომ ინდოევროპულს ენებში, მაგალითად, რედუპლიკაცია დროთა, ამ უაღრესად მორფოლოგიური კატეგორიის, მადიფერენცირებელ საშუალებად გვევლინება; ნამყოს ფუძის გამოყოფა აწმყოს ფუძისაგან ამ ნიადაგზე ხდება (იხ. პაული, Prinzipien der Sprachgeschichte, 1920, გვ. 210; ტომსონი. Общее языковедение, 1910. გვ. 317 ...). გაორკეცება გვევლინება ზოგს ენაში ინფინიტივისა, მრავლობითი რიცხვისა და სხვათა ფუნქციით (შდრ. ვუნდტი, Völkerpsychologie, Der Sprache, 191, გვ. 635; სეპირი, Язык, 1934, გვ. 60—61 ...), მაგრამ ამით არ ამოიწურება რედუპლიკაციის გამოყენების არე, იგი მძლავრად მომქმედი სემანტიკური ფაქტორიც არის.

განსაკუთრებით ვრცელი გამოყენება, როგორც ეს ედუარდ სეპირმა გვიჩვენა (იქვე), ამერიკულსა და აფრიკულს ენებში მოეპოება რედუპლიკაციას. საგულისხმო ფაქტია ამ შემთხვევაში აფხაზურთან შეხვედრა. აფხაზურში

ძირთა რედუპლიკაცია ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი გრამატიკული მოვლენაა. რედუპლიკაციით იქ გამსჭვალულია, როგორც მორფოლოგიის, ისე სემასიოლოგიის უბნები.

მეტად დემონსტრაციულია მისი მორფოლოგიური ფუნქცია, როცა ზმნაში სუბიექტის ან ობიექტის მრავლობითობაა გამოსახატავი. თუ ზმნას ობიექტი (ერთპირიანებში—სუბიექტი) მხოლობითს რიცხვში აქვს, მაშინ ჩვეულებრივს, ურედუპლიკაციო სახეობას იყენებს, როგორც ეს ზმნასთან დაკავშირებული სახელი მრავლობითის გაგებას მოგვცემს. მაშინვე ზმნის ძირი გაორკეცებულად წარმოგვიდგება.

მაგალითად:

აფწიარა — გაწყვეტა, მოწყვეტა, მოტეხა: „სხვლა ფწიეჯტ“ (ივ. პაპასკირ. „თემურ“, გვ. 6) „წელი მომწყდა“; „აშახა ფწიეჯტ“ „თოკი გაწყდა“. **აფჳწიარა** — მრავალნაწილად დაწყვეტა, დატეხა, დამსხვრევა: „იფჳწიო რლკუზ ამაწიქუა ნკალფსან“... (იქვე, გვ. 21) „ქალს მსხვრევით რომ ტოტები ეპირა, დაყარა რა“...: „ზინა ჟაალემფხჳაშაზ მაწიკუ ფჳწიანჳ იკაფსო დგჳლან დძრჯუა“ (იქვე, გვ. 19) „ზინა ტოტს. რომელიც ხელში შემოხვდა, ამსხვრევდა და ყრიდა რა, იდგა მსმენარე“. ამ შემთხვევებში მომდევნო ზმნაც (ნკალფსან, იკაფსო) კარგად არკვევს ამ რედუპლიკაციის შინაარსს. აკაფსარა ზმნა მხოლოდ მრავლობითი ობიექტის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული და „მრავლის დაყრას“ გულისხმობს. „...აჳაფიაჯკჳკ ზეგჳ ეჯზან ამჳაქუა ფჳწიწიანჳ, აქუჯიმა აიჯპ ახჳრგუახუაზ იკნჳ იტიეჯტ“ („აფსუა ლაკუქუა“. 1935, გვ. 121$_{34}$) „ოციე შეიკრიბნენ. საიდანაც ფიქრობდნენ (მოელოდნენ) მგელი მოვაო გზები გადაკვეთით (გადაჭრით) დაიჭირეს და დასხდნენ“. აქ თვით ამჳაქუა-ს (გზები) მრავლობითი განსაზღვრავს აფჳწიწიარა ზმნის რედუპლიკაციას.

ახწიარა—გადაკვეთა, გადატეხა, მოკვეთა თავისა: „იხჳ ხჳჯწიეჯტ“ „მან (კაცმა) მას (კაცს) თავი მოჭკვეთა“. **ახჳწიწიარა** — მრავლის გადაკვეთა. წატეხა, წაწყვეტა: „ბაშია სახიავალაზ სგუ ჟამუკუა ამღქუა ხჳსჳწიწიოიტ ჰია საჭოუპ“ (ივ. პაპასკირ, „თემურ“, გვ. 49) „ტყვილა რომ ჩავიარე გვერდით, გულმა არ მიქნა და ბარდებს (ეკლებს) წაეწყვეტ მეთქი, დავიწყე“ [1]; „აპაპ ილაბეეფში იშხოუწიწიო იუმპჳწანჳმწიააჯტ“ „მღვდლის ჯოხსავით რომ ჭრი და ჭრი თავს (რომ წაჭკვეთ და წაჭკვეთ), ხელში არ ჩაგელიოს“ [2].

აკჳლწიარა — ნახვრეტი; გამოხვრეტა: „აგუთა ააკჳლჟეჯწიოტ“ (ჯგერდული ტექსტები) „შუაგულს გამოხვრეტს“. **აკჳლწიწიარა** — მრავალ ადგილას დახვრეტა:

---

[1] ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ნაწილის გარდა თარგმანი სიტყვა-სიტყვითი არ არის. თანაც, ზოგჯერ, სიზუსტის დასაცავად, გამართული ქართულით ვეჯ, ითარგმნა.

[2] ასე შენიშნეს შემდეგი შემთხვევის გამო: ერთი ვინმე ფანქარს წვერს უთლიდა, რამდენჯერაც წაუთალა, იმდენჯერვე წვერი წაუტყდა წათლისავე პროცესში.

„ალუქუა რეგეარა იკეღწოწიანეღ...“ (ჯგერდ. ტექსტ.) „ძელებს შორის დახვრეტით მრავალ ადგილას...“.

ააჯეწიარა — შუაზე განკეეთა: „სეჟაუწიაპ-ჰია უყოუმა“—„შუაზე გამკვეთ გგონია-? **ააჯეწიწიარა** — დაკვეთა მრავალ ნაწილად: „ეჟღიკუპ ამკა სკთ, აუახიად კასცოჟტ, მამზარ უშიეჟაკსკწი. წიო დკრ!“ („აფსუა ლაკუქუა გვ. 14_{12}) „უკეთესია გზა მომეცი, რემას (ცხენის ჯოგს) გავრეკავ, თორემ რომ დაგკვეთავ (დაგკუწავ. დაგჭრი, დაგამტვრევ) მრავალ ნაწილად. იცოდე!“

აფეეიარა — გახეთქა, გასკდომა: „ახაჰი ურშიჟრგიკი ფეიოჟტ“ (ივ. პაპასკკრ, „თემკრ“, გვ. 44_{23}) „ქვაც რომ გაახურო გასკდება“; „იგუჭ ფეიანკ დკშიტ საბ რკცჰა- (იქვე. გვ. 60) „გულის გახეთქით მოკალით საბრალო მამაჩემი“; „უბასყაკ იგუჭ ფეიონ იფა იზკ- (იქვე. გვ. 83) „იმოდენად გული უსკდებოდა თავის შვილისათვის“. **აფჯეეიარა** — მრავალ ნაწილად დახეთქა, დასკდომა, დაგლეჯა: „აფჰიჭს აციჰარა, აღირა დაჰაჭნ ლკფსახკ ფკეიეიო“ (იქვე, გვ. 44_{19}) „ქალი იგინებოდა, ილანძღებოდა. მეტად გულმოსული (სულს თავის გლეჯით) იგივეა **აჟეეიარა** – დაჩეჩქვა, დამტვრევა მრავალ ნაწილად: „აგუჰარა აკუჭგრშოტ ათკრას პრახუ ირმკჟეიეარც“ (ჯგერდ. ტექსტ.) „ღობეს შემოაელებენ გარშემო. რათა საქონელმა გვიმრა არ დაჩეჩქოს“: „იტყუაცკზ დაეიეიეჟტ იგუჭ, იშაცქა“ (ბ. შკნკუბა. „აფხიატი აეიაქუა“, 1938, გვ. 11_{14}) „გამსკდარმა [ყუმბარამ] დაფლითა [მრავალ ნაწილად] მისი (კაცის) გული, მისი წშინდა სისხლი“.

ამეეიარა — მოწყვეტა. მოგლეჯა: „არი ჟაჰაზ აეია აბეუაცეაეეაკ ილახი აააშკნარცცკჟტ იკნუშკწყა იგუშ აკკ ააშკრეიაზშა“ (დ. ჯონქაძე, „სურამ აბაა“, 1936, გვ. 42_{3}) „ეს სიტყვა რომ გაიგონა შუამავალი დაიღრიჯა ისე. თითქოს გული დან მოსწყვიტეს რამეო“. **აამეეიარა** — მრავალ ნაწილად დაგლეჯა, დაფლეთა. დაწეწა: „ჰაჟ, ალაქუბ ეჟამკრეიეიაეჟტ!- „ჰაი. ძაღლებსაც დაუწეწიათ“: „უკზუსთოუ საჰი, მამზარ უეჟამკეიეია უქუსწოჟტ!“ („აფსუა ლაკუქუა“, გვ. 14_{10}) „ვინა ხარ მითხარი, თორემ დაგგლეჯ. დაგწეწ (დაგლეჯით. დაწეწვით, დაფლეთით) [და] დაგდებ“.

ახეეიარა — მოტკლეცა, გადატკლეცა. „აწლა ხეეჟტ“, „ხე მოსკდა. გადასკდა“. **ახკეეიარა** — (გა)დატკლეცა მრავლისა: „აწლაქუა იხკეეიეიანკ გიაიტყუან“ (აძვიბეური ტექსტები. III, 16_{3}) „ხეებს ტკლეცით ძირს ყრიდა“. „ხეებს ტკლეცდა რა მრავლად ძირს ყრიდა“: „რშაახკცქუაგკ ზეგკ ხკეეიაძეჟტ (დ. გულია, „შაარფკწეა“, 1937, გვ. 28_{12}) „მათი ფეხის ფრჩხილები ყველანი წატყდნენ“.

ეგევე ძირი მრავლობითის ცნების გამოსახატავად გაორკეცებულია ზმნებში: **ჯალაეეეიარა** — ჩალეწვა, ჩაჩეჩქვა მრავლისა: „ამხგკ ეჟლაეიეეა იკაჟკნ“ (ივ. პაპასკკრ, „თემკრ“, გვ. 5_{6}) „ყანაც ჩალეწილი ეყარა“: **ჯამჰეჟეეეიარა** — დაფლეთა, დაგლეჯა მრავალ ნაწილად: „აგარაგანქუა აღიაკ-საკჰია დანკლეეგხა აჰსაქუა ეჟამჰეკეიეია ილკქუჩრწტ“ („აფსუა ლაკუქუა“, გვ. 51_{11}) „გაუხედნელმა ცხენებმა აქეთ იქით რომ გაიწიეს, ქალები [ნაკუწ-ნაკუწად] და-

გლიჯეს და დადვეს“: ამ ფორმათა შინაარსი კარგად ჩანს დ. გულიას ლექსში:

აყუზი აკუატეჲ ეჲმანჭ — ბატი და იხვი ერთად
შჲკუაკუეჲ ცოქშიჲ ეჲლანჭ — თეთრი და ნაცრისფერი არეულ-
ლბაა აბაჰჩა ითანჭ, — ბაღში რომ იყვნენ ჩასული
აბგა-ხუჳჭ ნარჭლალტ. — ტურა დაერიათ.
აკაკალა იქიქიანჭ — სათითაოდ დაგლეჯით
რჳმწიჭეჲაქუა ჰჲჭეიქიანჭ — მათი ფრთების დაპუტვით
რხჭ, რჭხუდა ხჭწიწიანჭ — თავ-კისერის წაწყვეტით
აბგა-ხუჳჭ ნარჭლგიეჲტ. — ტურამ ისინი მოსპო.

(დ. გულია, „შაარფჭ-ეწია“. გვ. 94).

აფჩარა — გატეხა: იფჭსჩიჭეტ — გავტეხე რამე. **აფჩაჩარა** — მრავალ ნაწილად. მრავლის დატეხა, დამსხვრევა, დაფშვნა. ამ ფორმითაა, მაგალითად, გამოხატული ადგილი ოთხთავიდან ქრისტეს მიერ პურის მრავალ ნაწილად დატეხისა და მოწაფეთათვის დარიგების შესახებ. „ახუჩაკჲი აჭჳფსუძკჲი ჭშუხნჭ. აჟოჭანახ დჳაფშანჭ იფშეჲტ, ნას აჩაქუა ფჩაჩანჭ იწაკცაა ირითიტ, იწაკცაა აჟოლარ ირჭრთიტ“ (მათე, თ. 14 $_{19}$) „მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი. აღიხილნა ზეცად, და აკურთხა და განსტეხა (მარკოზი, ლუკა: დაჭ-ჳუსრა) და მისცნა პური იგი მოწაფეთა თჳსთა: და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას“.

აფრბაჩაჩარა — ურთიერთ დატეხვა, დამსხვრევა: „უაჟოჭშთა სარა სხჭ ზეგჭ აკაუპ. ეჲბაშჭმოუ რჳხჭუაგჭ ფიბა ჩაჩაააჲტ“ (დ. ჭონქაძე, „სურამ აბაა“, გვ. 70 $_{19}$) „აწ ჩემთვის ყველაფერი ერთია, უომნიათ არა (თუ უნდათ) ერთმანეთისთვის თავებიც დაუტეხიათ“ [1].

აფჳარა — გაკრა: „აჯშა ახუდა ფუყარგჭალა ააფშაუეჲტ“ (ივ. პაპასკჭრ. „თემჭრ“, გვ. 47) „თხას კისერიც რომ მოსჭრა, თვალი გამოიხედავს“. **აფჳყყარა** — დაკრა მრავალ ნაწილად, მრავლისა: „აღუჭ ახრა რხდჭრძომჭხტ ფჭსა. უბას იყარწონ: „აწლა დაშაქუა ფჭყყანჭ, იხჭწიწანჭ იდჭრშონ“ (ჯგერდ. ტექსტ.) ძელის დახერხვა არ იცოდნენ უწინ. ასე აკეთებდნენ: სწორ ხეებს დაჭრიდნენ, (გა)დაკეთდნენ და დააპობდნენ“ „აცი აცა დჭრყაცჭტ, იჯარ ეჲმაჰს იფჭრყყოჲტ“ („ანბან შიყუ“, 1938, გვ. 115) „ხარის ტყავი გააწკიპარტეს [გასხიპეს, გააკოპიტეს], რომ გახმება [მრავალ] საქალამნედ დასჭრიანჭ“.

არშარა — გაპობა: „წლაკჭ ააფრყან დჳირშან დჳჭციტ“ (ჯგერდ. ტექსტ.) „ერთი ხე მოჭრა მან (ქაც.) გამოაპო (გააპო) და გათალა“. **არშშარა** — მრავლის, მრავალ ნაწილად დაპობა: „აწლა დაშაქუა იფჭყყანჭ, იხჭწიწანჭ

[1] ქართული დედნის შესატყვისი ადგილი ცოტა განსხვავებულია. ჩვენ აფხაზური თარგმანის თარგმანსვე ვიძლევით.

იდრაშრნ“ (ჯგერდ. ტექსტ.) „სწორი ხეები დაჭრა, გადაკვეთა და აპობდა“ (მრავლად); „აკალათ აზე ატკაც იურაშომა“—„კალათისათვის ტკეჩს ხდი [მრავალს]?“

აქუყარა—ჩქარა გაგდება, გავარდნა, ჩამოვარდნა რისგანმე: „აჩიზ დაქუყან დკაჰაჲტ“ „ცხენიდან ჩამოვარდნით დავარდა ძირს“. **აქუყყარა**—მრავლის გაყრა, გაცვენა რისგანმე: „ჩიჭაწყვლა დრკჟოლანჯ ზეგიზ რეჩაქუა ირკუყყა იკაჟნე...“ („აფსუა ლაკუქუა“, გვ. 41 $_{28}$) „ცხენის მკერდით მიჰვარდა მათ (ცხენი მკერდით მიაგდო მათზე) და ყველანი თავიანთი ცხენებიდან გადმოცვენით ძირს ჩამოყარა რა...“

აჲმ-პ-რა — გათიშვა, განშორება, ერთმანერთისაგან განსვლა: ეჲმ-პ-ჲტ —ერთმანეთს განშორდნენ. ეგეგე ძირი გვხვდება გაორკეცებულადაც სხვა წინდებულით: **ანთგ-პპ-რა**—მრავლად განსვლა, მრავლის განშორება: „შეზეგშთახირა ყალახიან ადიღლბა მოსკვა დანნეჲ, აშაღშაკამს რთრა ჲნთჲპპუა ეჟფში, წჳა ზმამზ აუაა ადიღლბა ინთჲპპიტ, ახჲ ჲარკნჲ აწჲხუანძა“ (ივ. პაპასკირ, „თემცრ“, გვ. 95) „ნაშუადღევი უკვე გამხდარიყო, მატარებელი რომ მოსკოვს მივიდა. ჭიანჭველები რომ თავიანთი ბუდიდან გამოიშლებიან (გამოვლენ მრავლად) ისე გადმოვიდა ურიცხვი ხალხი (მრავლად) მატარებლიდან“. ამ სიმრავლის საილუსტრაციოდ კარგად აქვს ის ავტორს შედარებული ჭიანჭველებისათვის.

ათჟრშიარა — (მსუბუქი) რისამე ამოგდება „აშიაქ აპატრონა ითსჟრშიეჲტ“ „თოფიდან ტყვია ამოვაგდე“. **ათჟრშიშიარა** — ამოყრა მრავლისა: „იჯჟბახ ინაპჟ ნდიჟქუიწან ათათჟნ თჟრშიშიანჟ აციარდაღუჟ ინჟქუიფსეჲტ“ (ივ. პაპასკირ, „თემცრ“, გვ. 64 $_{29}$) „ჯიბეში ხელი ჩაიყო, თუთუნი ამოყარა და ტახტზე დაიბნია (დაყარა)“; „ითჟთჟნჟეგა ნთჟჟრშიშიან ნაყ იჟარახ ინჟშთჟწეჲტ“ (დ. ჭონქაძე, „სურამ აბაა“. გვ. 58 $_{28}$) „სათუთუნე გამორეკა (მრავალი გამოყარა) და გვერდზე დადო“.

ჳლშიარა — მსუბუქი რისამე (გა)მოვარდნა: „ახახუც ალშიეჲტ“ „თმის ღერი (ჩა)მოვარდა“. **ჳლშიშიარა** — მრავლის გამოცვენა, გამოყრა, გამოვარდნა: „ჟჟბლიჭკაჳ ლშიშიუოჲტ“ (სოფ. უათჰარის ტექსტებიდან) „ორი ფურცელი (აქ ორი ღერი ფრთა იგულისხმება) «მოჰვარდებიან» მას (უგ.-ს)“; „აძეხ აწჲხუახ დაჲაჲასჳნ ლიეჲმააქუა ნბლჟშხლჟრშიშიან ლშაპჟ ლჟძიძიეჲტ“ (ივ. პაპასკირ „თემცრ“, გვ. 57 $_{14}$) „ქალმა წყაროს ბოლოს ჩაიარა, თავისი ფეხსაცმელნი ფეხიდან წაიყარნა და ფეხი დაიბანა“.

აჲოჟშიარა—(„პირიდან“) (გა)მოვარდნა, „აწია ჰიშიანჟ იკაშიეჲტ“—„ვაშლი მოვარდნით ჩამოვარდა“.

აჲოჟშიშიარა — (პირიდან) გამოცვენა, გამოყრა: „...აჲჰაბჟ დაჰაჲტ რქჳთან აძიჟ კუტაკ შიჟიმაზ. უბრი აკუტჟ აეკ ზჭუა ხჟში რახ ჩინაკ ახჟ შიჟიჰიაშიშიუაზ“ („აფსუა ლაკუქუა“ გვ. 69 $_{9}$) „...უფროსმა გაიგონა, რომ მათ სოფელში ვილაცას ერთი ქათამი ჰყაესო. ვინც იმ ქათმის ხორცსა ჭამს, ყოველ სამ დღეში ერთჯერ პირიდან ოქრო გამოსცივაო (ბლომად)“.

ამჰჟწშიარა — ხელიდან გავარდნა: „ამპჳლ სჟმჰჟწშიეჲტ“ „ბურთი ხელიდან გამივარდა“. **ამჰჟწშიშიარა**—ხელიდან დაცვენა: „აფარა ქჭა იმჰჟ-

წშიშიანქ ადაშმა იქჴფსეჲტ“ (ნ. გოგოლ, „რევიზორ“ 1937, გვ. 57₂₅) „ფულები ხელიდან დაუცვივდა და იატაკზე დაიბნა“.

აჰარა — დახდა მაგ. ტყეჩისა: „აბჷცა ბზიენ იჩოჲტ ტქაცნქ“ „წნელი ტკეჩად კარგად იხდება“. **აჰჰარა** — დასკდომა, დახეთქვა მრავალ ადგილას, მრავალ ნაწილად: „სნაპქ ჰჰეჲტ“ „ხელი დამეხეთქა, დამისკდა, დამეშუშხა“ და სხვ.

ეგევე მოვლენა შეიძლება დაუკავშირდეს პროცესის ხანგრძლივობა-განმეორადობას ერთი მხრივ, ან მის ინტენსიურობას მეორე მხრივ. მაგ., წასმა აფხაზურში გამოხატულია **შ** ძირით. გვხვდება იგი სხვადასხვა წინდებულთან ერთად: **აწგ-შ-რა** — ამოსმა ქვეშიდან; **ათ-შ-რა** — ამოსმა „რასშიმეით“: „აჰიჭზბა აწჷგშჷგტ“ (ჯგერდული ტექსტ.) „დანა ამოუსვა ქვეშიდან მან (კაცმა)“; „ილჭმჰა ითშნქ ილჲეიშთჷგტ“ (სოფ. უათჰარის ტექსტებიდან) „(კაცმა) თავის ყურში ამოისვა [რაღაც] და ძირს ჩამოაგდო“... მაგრამ თუ გამოსახატაცია სმა ხანგრძლივად და განმეორებულად, მაშინ გამოყენებული იქნება **შშ**: „აძქ ეფხჷგშშ-აუა კუაპეჲქ ტანქ აფჰალ ინთალთიეჲტ“ (ივ. პაპასკჷრ, „თემჷრ“, გვ. 57₃₀) „წყალში კოპის (ამო)სმით (წყალს) იღებდა რა, კოკაში (ფოხალში) ასხამდა“ [1]. აქედანვე უნდა იყოს ნაწარმოები შესაკაზმი ლობიოს ამოსარევი, ამოსალესი იარაღის — **ბურეჩუ**-ის (გურ.) — სახელწოდება, როგორც მრავალ გზის „ამოსასმელ“-ამოსარევისა — **აყუდგრ-შშ-გგა**.

აბგლრა — (და)წვა: „იბლიჭტ“ — „დაიწვა რამე“. თუ გამოხატულ უნდა იქნას ის, რომ „ძალიან დაიწვა, დაიბრაწა რამე“, ამისათვის გაორკეცებული **აცთგ-ბბგლრა**-ს სახით მოგვეელინება იგივე ძირი. მაგ., „აკუპც იციგიბბჷლტ“— „ხორცი ძალიან დაეწვა, დაებრაწა“.

განსაკუთრებით ხშირია რედუპლიკაცია სიტყვის მნიშვნელობის საცვლელ საშუალებად. ეს თავისთავად საგულისხმო ფაქტია სიტყვათა აგებულების თვალსაზრისით.

სემასიოლოგია ენათმეცნიერებაში ერთი ყველაზე უფრო ნაკლებად დამუშავებული დარგია. არ არის სათანადოდ შესწავლილი სიტყვის, როგორც სემანტიკური ერთეულის, შენების საკითხები. ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა ამ მიმართულებითაც გადადგმული. სიტყვის მცვლელ აფიქსებს, სიტყვის შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე, სემანტიკის კომპეტენციაში აქცევენ. ამით სემანტიკის, როგორც მეცნიერების, საგანი ირკვევა, ფართოვდება სემანტიკის საკვლევო უბანი და ჩნდება საკითხთა ახალი წყება, რომლებიც ახალი თვალსაზრისით განხილვას საჭიროებენ [2].

ერთს, ყველაზე უფრო გაერცელებულს, სიტყვათწარმოებითს საშუალებას რედუპლიკაცია წარმოადგენს. რედუპლიკაცია, როგორც აღნიშნულია, უმთაერესად ხმაბაძვითს სიტყვებს მოიცავს. ეს ნათელი ხდება ყველა ენის მასალაზე.

---

[1] ინთალთიეჲტ — ჩაასხა-ს ნიშნავს, მაგრამ ქართულს თარგმანში ნამყო უსრულის ფორმა უფრო უდგება.

[2] სიტყვის მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები, ე. ი. ფუძის საწარმოებელი აფიქსები, სემასიოლოგიის საგნად აქვს მიჩნეული ა. რო. არნ. ჩიკობავას; სათანადო დასაბუთებაც არის წარმოდგენილი მის „ზოგად ენათმეცნიერებაში“ I, ტფილისი, 1935, თავი II.

რა თქმა უნდა, ყველა ხმაბაძვითი სიტყვა აუცილებელი არაა იყოს რედუპლიცირებული. რედუპლიკაციის საფუძველი ამ შემთხვევაშიაც მოვლენის ინტენსივობა-ხანგრძლივობა-განმეორადობაა. და თუ აქ უფრო ხშირად გვხვდება, გვხვდება იმიტომ, რომ რეალურად ახასიათებს იგი მოვლენას და ხმაბაძვაშიაც ეს უფრო მიახლოებით აისახება. ერთჯერადი ბომენტებისათვის აქაც გაუორკეცებელი ხმაბაძვითი კომპლექსები გვექნება (შდრ. ქართ. ‹ბრაგვანი გაადინა› და ‹ბრაგა-ბრუგი›).

რედუპლიკაციით წარმოებულ ხმაბაძვით სიტყვათა განუსაზღვრელი რაოდენობაა აფხაზურში.

მაგალითად:

აჟეჟეაჰეა: ‹იზიაშეა აჰარაქუა აგუაშე დადგელან აჟეჟეაჰეა ნთეწყა იჰაუაზ რანაცეა რახ იკელფშოუა› (ივ. პაპასკირ, ‹თემქრ›, გვ. 5₂) ‹მის (კაც.) პირდაპირ ხბოები მომდგარნი იყვნენ ჭიშკართან და ქვეით [გაცხარებით¹] მობალახე თავიანთი დედებისაკენ იყურებოდნენ›: ‹ნეხ, ბაშოოუპ ისხუეცუა! — აჟეჟეაჰეა იჩეედლაჰეანე დენდიელწეტ› (იქვე, გვ. 84₁₉) ‹ეჰ, ტყუილია, რასაც ეფიქრობ! [სწრაფად, ხელად, ერთბაშად] ტანთჩაიცვა (კაცმა) და გარეთ გამოვიდა›.

აკკაჰეა: ‹აკკაჰეა არბალიქუა რეჭოთბეე იგუნე დანაქუჯე› (იქვე, გვ. 5₁) ‹კაკანით მამლების ყივილის ხმა რომ მიესმა›: ‹ეს-ჩანე უაჟეაანე არხანტი, აკკაჰეა აჭკუნცაა რაშაჰაბეე იგოზგიე ააჯუამეზტ› (იქვე, გვ. 57₇). ‹ყოველდღე ამ დროზე ბარიდან ყმაწვილების სიმღერის [ჩქარა და წკრიალით] ხმა რომ ისმოდა, [ახლა] აღარ ისმის (ისმოდა)›.

აჭეჭეაჰეა: ‹აჭეჭეაჰეა აშე იზატიტ› (აძვიბჟ. ტექსტებ.) ‹[კრიალით. კრიჭინით] კარი გაეღო მას (კაცს)›; ‹სკუადრ ჟეღრგიეთ დაასხუეტჰეა უსჭეაგლანე აჭეჭეაჰეა უცეაჟეოჲტ› (ივ. პაპასკირ ‹თემქრ›, გვ. 17₇) ‹ჩემი უნაგირი ზუგდიდს ვიყიდეო პირში წამდგომიხარ და [ურცხვად, შეუჩერებლივ, ხმამაღლა] ლაპარაკობ›: ‹იხაპკე აჭეჭეა ააწკირგეეტ› (იქვე, გვ. 24) ‹თავის კბილებს [ქრაჭუნი] გამოაცემინა›.

აფჩჰეა: ‹აწაჯ ხუჭე აჭჭაჰეა აშაყუ დაფხიოტ აფჩაჰეა ადაყაქუა დკრხგსუეტ› (‹ანბან შიყუ,› 1938, გვ. 151) ‹პატარა მოსწავლე წიგნს [რაკრაკით] კითხულობს (ჩაარაკრაკებს), [სწრაფად, ერთი მეორის მიყოლებით] გვერდიდან გვერდზე გადადის›.

ადგეჭეა: ‹ზტეე იფოზ ანხაცეეჟ დარეჟ ადდგჰეა ააჟსუა›... (ივ. პაპასკირ ‹თემქრ›, გვ. 38₅) ‹ის და გლეხები, რომლის ქონებასაც ჭამდა, ერთმანეთს [ღრიალით] ეჩხუბებოდნენ რა›...; ‹ადდგჰეა იჩეჭკლ ინაწეგბაჰეან აკრთა რეგბამთო დანააჩეკეერხ› ივ. პაპასკირ, (‹თემქრ›, გვ. 16₄ ‹[ყველანი ერთბაშად] ავეანდას ეცნენ, ერთმანეთს რომ არ უთმობდნენ ისე, ცხენიდან როცა ჩამოსვეს ის (გონიერი არსება)›.

¹ ასეთი ხმაბაძვითი სიტყვების გადმოცემა ქართულად სრულიად მოუხერხებელი ხდება.

აგოგოგჰია: „შიტაიქუა, შიჴზგლოუზი“ იჰიან აგოგოგჰია დნარქვყიან აუსჰაართა დადხალტ“ (იქვე, გვ. 67$_{3}$) „დასხედით, რას დგახართო“ თქვა, [სწრაფად] მათ გვერდით ჩაუარა და სამმართველოში ავიდა“.

აშშგჰია: „იკუშიან იგლაზ ანხაცია აშშკჰია დნარქლსენ დანჴიაფშჲ“... (იქვე, გვ. 17$_{33}$) „მის (კაც.) გარშემო რომ გლეხები იდგნენ, [წუნარად] რომ მათ შეხედა“...: „აშშკჰია ლჰოჴნალხიჟტ“ (იქვე, გვ. 25$_{6}$) „[წუნარად, ნელა] მობრუნდა ქალი“: „აშშკჰია დააკჴნალტ“ (იქვე, გვ. 39). „წუნარად შემოვიდნენ სახლში“.

აჩჩაჰია: „იხაჰი ხიამთახა იგუშ აწა ითაქჴზ აშაურა აჩჩაჰია ეჯთააილაშჲიტ“ (იქვე, გვ. 65$_{3}$) „მძიმე ქვასავით რომ ჰქონდა გულში ჩავარდნილი სისხლის აღება [შუშხუნით] კლავე აუდუღდა“.

აჩიჩაჰია: „აჯრკძგიჴ იკურ-კურუა აჰოჴნანახიჟტ, აჩიჩიაჰია აძე თკჴრნე იკათიო“ (იქვე, გვ. 58$_{39}$) „კოკა კოტრიალით ჩაგორდა, წყალი [ჩუხჩუხით] იღვრებოდა რა“.

აჴჴაჰია: „შოუკჴ აჴჴაჰია აჴკქჷრეჯ ჰოჴხრა ჯაპჲჴნ“, (იქვე, გვ. 75$_{31}$) „ვიღაცეები [ქივილ-ხივილით] სიმინდს ტეხდნენ“.

ახიხაჰია: „...წკა ზმამ აჯბღიკქუა ააჰინახჴნ ეჯლარგეეუა აქოჳან იგუშახიჴ ინხანაგალტ, ხჴი იმცაკუა წაყა ილოეჯზგიჴ ახიხიაჰია ინეჯქუჴფსეჯტ აღგიჴლაპჲჴ“ (იქვე, გვ. 76$_{9}$) „ურიცხვი მუხის ფოთლები მოწყვიტა, ერთმანეთში დაატრიალა და ცის სიღრმეში აიტანა [ქარმა]. რომლებიც ზევით აუსვლელად ძირს წამოვიდნენ, [ჩხრიალით] მიწაზე დაცვივდნენ“: „ირკძინჴხან ახიხიაჰია ამცაჰჲ ჯააჩჲჰაჰხჴჯტ“ (უათჰარის ტექსტ.) „ვერცხლად ქცეული [ჩხრიალით] ცეცხლში ჩარჩა (ჩაცვივდა)“.

აგუგუაჰია: „აგუგუაჰია აკაზაკცია იცნჴ დააჩიჴკყიწჴჯტ აურიადნიკ (იქვე, გვ. 63$_{33}$) „ურიადნიკი ჩამოხტა ცხენიდან [დრაგუნით] ახლდა რა ყაზახები“: „ვ ჰიჴკ ზმაზ იკაზარმა აგუგუაჰია ათკრქუცია ჴწან ათათკნ ააზრკხუაზ“ (იქვე, გვ. 34$_{11}$) „მისს ყაზარმაში, რომელსაც სამი პირი ჰქონდა, იყვნენ [გუგუნით] თუთუნის ამცმელი თურქები“.

აკუკუჴჰია: „ზინა ლჩიჴნარყუნჴ ლაბ ეჯმსქუა აკუკუჴჰია დრკხო დახიგჴლაზ“ (იქვე, გვ. 27$_{27}$) „ზინა თავჩაღუნული მამის პაპიჰებს [განუწყვეტლივ] რომ წევდა [ფეხიდან] და იდგა“.

აკაკეჰია: „საბ აკაკაეჯჰია აკამბაშქუა დრკწაყო დცაღუო დააჯუან- (იქვე, გვ. 62$_{26}$) „მამაჩემი [შეკივლებით] კამეჩებს უწყრებოდა, ხნავდა და მოდიოდა“; „იგუშ ითაზ აჯაშია ანკწკლხ, აკაკაეჯჰია დიკწაყიჯტ, დჯფხალწეჯტ ალაყი ეჯფშა უსკმბახააჯტ ჰია“ (იქვე, გვ. 23) „მას გულში რა ედო როცა გაიგო ქალმა, [მკვახედ] გაუწყრა, გააგდო ბებერ ძაღლივით, კვლავაც აღარ მენახოო“.

აჴკრ-ჴკრჰია: „ნაყტიკირახი იგლოუ არა დკუ აჰიჴ აჴკრ-ჴკრჰია არაშიკგა აბეკგონ“ (ივ. ჰაჰასკკრ, „თემკრ“, გვ. 48) „გაღმით რომ კაკლის ხე დგას იმაზე [ჩრიჰინით] .....ს ხმა ისმოდა“.

აყგრ-ყგრჰაა: „მკვლ აყგრ-ყგრჰაა დააჩჩეიტ“ (იქვე, გვ. 42) „მიკიქვა [ხარხარით] გაიცინა“.

აკგრ-კგრჰაა: „ზინა აკგრ-კგრჰაა დააჩჩან“... (იქვე. გვ. 26) „ზინამ [კისკისით, კარკაცით] გაიცინა რა“...

აძგხ-ძგხჰაა: „იგუშე აძგხ-ძგხჰაა ეძსუა“ (იქვე, გვ. 80) „მისი გული [დაგა-დუგით] სცემდა რა“.

ატახ-ტახჰაა: „ატახ-ტახჰაა აყამჩ შთიბძგ გაეიტ“ (იქვე, გვ. 64) -[ტყლაშუნით] მათრახის ხმა გაისმა“.

აა-ააჭჰაა: „ალა.... ქდუხუპაკ აშაპაპჟე იბღიათო აა-ააჭჰაა იშაუა იგვლან“ (იქვე, გვ. 48) „ძაღლი .... ჯიკვის ძირში (მიწის) ფოფხვით [„ამ-ამ“-ის] ყეფით იდგა“.

აძგრ-ძგრჰაა: „აჩა აძგრ-ძგრჰაა აჩა აარშიშეიტ“ (ჯგერდ. ტექსტ.) „ცხენმა [„ხმაურით“] ტანი შეიბერტყა“.

აგუშგრ-გუშგრჰაა: „აძე აგუშგრ-გუშგრჰაა ეხშაუაზ“ (აძვიბჟ. ტექსტ.) „წყალი [ხვარჩალით] რომ დუღდა“.

ტახა-სახაჰაა: „აჩანე ანხაცაა უახა-სახაჰაა იცაღუო რჰიჯსთაქუა ირთან“ (ივ. პაპასკირ, „თემქრ“. გვ. 12) „იმ დღეს გლეხები [გამალებით] ხვნით თავიანთ სახნავებში იყვნენ“.

აყგგუ-ჩგგუჰაა: „ზინა აჩუან ააკნლხჳნ ახკრგაგაა ინთალკრგკლტ ამსთხუაგალა აყგგუ-ჩგგუჰაა ეძლახუო“ (იქვე, გვ. 27) „ზინამ ჩახანა ჩამოხსნა გორგოლაში ჩადგა, სუთით [ტკაცა-ტკუცით] ზელდა რა“.

აღგდ-მგდგჰაა: „აგაზეთქუა აღგდ-მგდგჰაა რეფხარა დეეთალაგონ აწხებჟონ“ (იქვე, გვ. 66 ₃₁) „გაზეთების [ბურტყუნით] კითხვას კვლავ იწყებდა შუაღამისას“.

ხმაბაძვით სიტყვათა ასეთი სიმრავლე შემთხვევითი არ არის აფხაზურში. ონომატოპოეტური სიტყვები სხვა მეტყველების ნაწილთა მაგიერობას ეწევიან იქ. ხმაბაძვითაა აფხაზურში გამოხატული თითქმის ყველა ის შემთხვევა, რომლებშიაც სხვა ენაში ზმნისსართები იქნებოდა გამოყენებული.

აქაც, ერთხელ კიდევ, ხაზი ესმის აფხაზურისათვის დამახასიათებელს კონკრეტულს აზროვნებას. ხმაბაძვითი სიტყვით გამოხატვა ხსენებული შინაარსისა გაცილებით უფრო უშუალო და მარტივია და უფრო ახლოა ენობრივი განვითარების ადრეულ საფეხურებთან, ვიდრე ზმნისსართებით აზროვნება.

იქ, სადაც ჩვენ „სწრაფად“-ს ვიტყოდით, აფხაზურში კვლავ ხმაბაძვით სიტყვათა მთელი წყება მოგვეელინება, მაგალითად:

„აშიაცაჰაა დუნდიღლყეიტ“ (იქვე, გვ. 78) „სწრაფად გაეარდა გარეთ“.

„აყეგფჰაა დნჯშთასუნ ინჯშთიფააიტ ეიგჯუში“ (იქვე, გვ. 24) „სწრაფად წაავლო (ხელი) და აიტაცა ნაჯახი“.

„ახიგშითჰაა დუნჩიჯტეფეიტ“ (ივ. პაპასკირ, „თემქრ“ გვ. 19) „სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან“.

„აშეგრჰაა დნეითაფან ამაა ლნაპჯ ნაიჯრღუღუალტ“ (იქვე, გვ. 58) „სწრაფად გადახტა და (ეურეელის) სახელურზე ქალს ხელი დააჭირა“.

„შიტბაქუა, შიქზგვლოუზი“ იჰიან **აყიყჳჰია** ღნარცვყაან აუსჰიართა და-ახალტ“ (იქვე, გვ. 67) „დაჯექით, რას დგახართო“ თქვა რა **სწრაფად** მათ გვერდით ჩაუარა და სამმართველოში ავიდა“.

„ნეხ, ბაშაოუპ ისხუქცუა!—**აყიყიაჰია** იჩაეღლაჰიანქ დენდიქლწქტ“ (იქვე, გვ. 84) „ეჰ, ტყუილია რასაც ეფიქრობ! **სწრაფად** ტანთ ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა“. და ასევეა თითქმის ყველა სხვა ზმნისსართიც.

აქ მოყვანილი ექვსი სხვადასხვა სახე (ზოგი სხვაც) ყველა „სწრაფად“-ს აღნიშნავს. სხვანაირად შეუძლებელია ჩვენ ისინი გადმოვთარგმნოთ. მაგრამ არცერთი მათგანი, ვთქვათ. იმავე ქართული „სწრაფად“-ის ეკვივალენტი არ არის. ამ უკანასკნელში ჩვენ განყენებული ცნება გვაქვს, აფხაზური კი კონკრეტულ სახეებს ემყარება: მას ათეული სიტყვის გამოყენება უხდება, რათა გადმოსცეს სისწრაფის სხვადასხვა ვარიაცია ცალკეულ და კონკრეტულ მოვლენებში არსებული. ამის გამოვე აფხაზური სათანადო შემთხვევებში ვერ გვაძლევს სიტყვას (რომელიც თავისში უკვე შეიცავს აბსტრაქციას). არამედ — ხმაბაძვითს კომპლექსებს. თვით კომპლექსები კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ბგერა შეეფერება ამა თუ იმ მოვლენას.

აფხაზური ენისთვის ნიშანდობლივი ჰარბი კონკრეტულობა მრავლად დასტურდება ლექსიკაშიაც და მორფოლოგიურს მოვლენებშიაც.

აფხაზური ხმაბაძვითი სიტყვები ყურადღებას იქცევენ თავიანთი „წარმოებითაც“. ისინი ყველანი ბოლოს **-ჰია** მარცვალს დაირთავენ. ეს კი აჰაარა „თქმა“ ზმნის ძირია. ამის გამო აშკარა მითითებაა იმაზე, რომ ამ რიგის სიტყვა მას გაგებული აქვს, როგორც მოვლენის, საგნის მიერ გამოცემული ბგერა ანუ თქმა. „**აჰჰაჰია** აში იზატტ“ „აჰჰა-ს თქმ(ით) კარი გაეღო“ ე. ი. „კარმა „აჰჰა“ თქვა (და) გაეღო“ [1]. საინტერესო ფაქტია ონომატოპოეტურ სიტყვათა წარმომავლობისათვის; ის, რაც სხვა ენის მასალის მიხედვით დაშვებულ უნდა იქნეს, აფხაზურში სრული რელიეფურობით გამოვლინდება.

გაორმაგებულ ხმაბაძვით სიტყვათა გამოძახილია მთელს რიგს სახელებში, როგორიცაა, მაგალითად, **ჰბიჭჰი** — მტრედი, **აკუკუ** — გუგული, **აწიწია** — ზარი, ეკვანი, **აუშარუშარ** — ზარი ხისა, **აყაფყაფ** — რიკრიკა (წისქვილისა), **აყაფყაფ** — „ოჩოფეხა“ და სხვ.

რედუპლიკაციას დიდი სარბიელი მოუპოვებია თვისების გამომხატველს სიტყვებში. აქ განსაკუთრებით საჭირო ხდება განცდის ინტენსიურად გამოხატვა.

აჯჯაჯჯია — მაგარი, უხეში, მსხვილი: „ალეშჰაქუა რჯჯაჯჯა იკეჟჯუშჯქტ“ (ივ. პაპასკირი, „თემცრ“ გვ. 5) „ყურების გაჯიქებით (სიდიდით) მიჰხედა“.

ალგუჯგუჩრა — ამობურცულობა, „იზაკუკლგუჯგუ-მლგუჯგუროზი“ „რა ოლრო-ჩოლროობაა (ამობურცული ზედაპირია)“.

---

[1] შეიძლება ხმაბაძვის სიტყვას **ჰია** არ დაერთოს. ეს შინაარსი მაინც იქნება გამოხატული სხვა მისი შინაარსის მქონე ზმნით, მაგ., „იხაპკი აჰჰა ქწგა“ (ყაზბეგი, „ელისო“; გვ. 31 21 თარგმანი 1937 წ.) „თავის კბილს „აჰჰა“ გამოაცემინა რა“.

აკაზ-კაზრა — კანკალა. ნათელი, სუფთა: „აეჯუან კაზ-კაზუა ფსთჰია შეწორაკ ჯარგეკ იუმბო ძააყალეიძტ“ (ივ. პაპასკირ, „თემცრა“, გვ. 29) „მოკრიალებულ, კანკალა ცა(ზე) ერთ ღრუბელსაც რომ ვერ დაინახავდი, ისე გახდა“.

აცგრ-ცგრრა — ბრუყვიალი: „ახეკ-მაციაზ ცკრცკრუა ილაჰიან“ (იქვე, გვ. 24) „ბრუყვიალა ოქროს ბეჭედი გახვეული იყო“.

ათ-შიაშია — ბრწყინვალე: „ლკლა თშიაშიაქუა“ (იქვე, გვ. 49) „მისი (ქ.) ბრწყინვალე თვალები“.

ცაჰი-ცაჰი — ძალიან ცხელი: „აბრაყა ინთყააზ ახკ ცაჰი-ცაჰი აუმა მკტა იგუკ ითაშიაზ“ (იქვე, გვ. 80) „აქიდან გამოვარდნილი ცხელი ტყვია იყო მიტას გულში რომ ჩავარდა, გულში რომ მოხვდა“...

აძწკ-ხტხტუა — გაწიწული.

ფკხხაა—გახეთქვა, დაფშვნა: „ლკკნკწყა ფკხხაა დაგიეძტ“ (იქვე, გვ. 55) „შიგნით (მუცელში) გახეთქა“...

აპეძ-პეძრა - ძალიან გავსილობა (გაპიპინება): „ჰამგუა პეძპეძუა ყალრძტე“ (აძვიბე. ტექსტ.) „ჩვენი მუცელი „გაპიპინებული“ გახდება“.

არხხარა — გაწოდება, გაწვდა: „ინაპკ რკხხანკ დკშიგკლაზ“ (ივ. პაპასკირ, „თემცრ“, გვ. 24) „ხელგაწვდილი რომ იდგა“.

არ-ხაჰარა — სიმეჩხრე: „ბკცალა ირხაჰანკ იშიშიუეძტ“ (ჯგერდ. ტექსტ.) „წნელით მეჩხრად ღობაეს“.

აჯკწკ-ზშარა — ადგომა, წამოწევა: იხკ ჯკწირზშან დანკძრჯკ“... (ივ. პაპასკირ, „თემცრ“, გვ. 82) „თავისი თავი რომ წამოსწია და ყური დაუგდო“...

აჯკწ-ჰიჰიარა — გადმორჩენა, გადმოშორება, ამოყოფა, გამოჩენა: „ლხკ ჯკწჰიჰიო“.... (უათჰარის ტექსტ.) „თავის ამოყოფით“...

ასევე მთელი რიგი თვისების აღმნიშვნელი სიტყვები მუდამ მხოლოდ გაორკეცებულად გვხვდება.

მაგალითად:

აწიწიკ — მჟავე.
აყაყაა — ბრტყელი.
აკაკაა — მაგარი.
ატატა — რბილი.
აღუღუა — ძლიერი, მაგარი (იგივეა, რაც ქართ. ღო[ნი-ერი], ოღონდ რედუპლიკაციით).
აჯაჯაა — მოუხეშავი, დახეთქილი, სქელი (მაგ. „ანარმა ჯაჯაა“ — სქელი, უხეში ნარმა).
ბაბა — გაბურდნული, გაშლილი.

ზოგ მათგანში გარკვეული ნაწილი შეიძლება იყოს მხოლოდ ორმაგად წარმოდგენილი.

მაგალითად:

ხააკუაკუარა — სასიამოვნო.
აშაკუაკუა — თეთრი.
აყუმშიგში — თეთრი და რბილი, ფუნთუშა.
ახიშაშაა — ცივი.
აძხგშიაშია — კარგი, მოქნილი ტანადი.
აძაწყაყარა — ძალიან მუქი, მწვანე (შდრ. აძაწია — მწვანე).

სიტყვათა ამ კატეგორიისათვის რომ განსაკუთრებით საჭირო ხდება ინტენსიური გამოხატვა და რომ რედუპლიკაციას ეს ფუნქცია აქვს დაკისრებული, სხვა გზითაც ნათელი ხდება. სწორედ თვისების აღმნიშვნელ სიტყვებს, შეიძლება უკვე გაორმაგებულსაც, ერთვის სპეციალური ინტენსივობის გამომხატველი ნაწილაკი — ძა.

მაგალითად:

„ამშიგნ ძაათჳწუაზ აფშია ხააკუაკუარა-ძა" (ივ. პაპასკირი, „თემური", გვ. 42) „ზღვიდან რომ (ძალზე) სასიამოვნო ქარი მოდიოდა".

„მკაკუ დჳძჳღუ-ძა ძძკრჯუან" (იქვე, გვ. 43, 39) „მიკიცი (ძალიან) გულმოდგინედ ისმენდა".

„აჰასკიგნ ძაწია ქაქა-ძა აშითქუეიდ აკაკაუქუეიდ ეძლარცკრეუა"... (იქვე, გვ. 48) „ლამაზად მწვანე ბალახებში ყვავილები და „ვარდები" ერთმანეთში ბრწყინავდნენ რა"...

„ახგხი ახკქუ აკიჟ დჳხუხუა-ძა დიან, იფსკიშონ" (იქვე, გვ. 48) „წყაროს პირას გაშხვართული იწვა, ისვენებდა".

„დყატა-ძა ლჩაჯკუეიწკლხჳტ" (იქვე, გვ. 58) „გრძლად გასწორდა".

„შკჳმთან ქია-საათკ ჯყოუკ უჰიარატჳ ამრა ყაყია-ძა აკიჟან აჩაკჳდნახალახიან" (იქვე, გვ. 66) „დილის ათი საათიათ იტყოდი მზე (ძალიან) ფართედ ცაზე ა(მო)სთულიყო".

„იცქიაკუაკუარა-ძა ინკუკუჳგონ" (იქვე, გვ. 72 44) „(ძალიან) სუფთად უელიდა მას".

„თემჳრ დჳხხუაფშიუაზ ასალამ შიყუკ რჩიგნ ოკაჳბა ინთეიწან დყაფშ-ძა დნეიცრაშიეიტ მკაკუ დანნეიხუაფშია" (იქვე, გვ. 74) „თემურმა წერილი, რომელსაც ათვალიერებდა, დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო რა (ძალიან) წითლად აენთო (წითლად მოეკიდა მას), მიკიჟს რომ შეხედა".

„აუსჰიართა ჯამარიაშიაგნ აკიჟანახი აუარბაკიჭუა ბბა-ძა აფსთჰია ჯაწალანჯ აგეეცრა ჯაპიჭნ" (იქვე, გვ. 76 10) „სამმართველოს ასწერივ ცაში ორბები გაშლილი ღრუბლებში იყვნენ და ტრიალებდნენ".

„იუაპცია ხკლფა ხაჩახი-ძა ჭიაიდკ იმწაწან აკრა დაპიჭნ" (იქვე, გვ. 78) „თავისი პატარა ნაბდის ქუდში [ეხურა-რა] ქალალდი წინ ედო და წერაში იყო გართული".

„იჯკიეშიეიტ თემჳრ იკიაჩა-კიაჩა-ძა ათათჳნ იქუეგლანჯ ანიბა" (იქვე, გვ. 95 2) „გაიკვირვა თემურმა „დაბზღირტულად" მდგომარე თუთუნი რომ დაინახა".

„უკი შეჯეშოზ ძააცოჩრყუეძტ ინეიფეჴნკლაძანჷ ახიჩლაზ აცეაჰპა უბრიგი იღაჩა-ღაჩა-ძა ნაცყაცჩა-ნაცყაცჩა ძაყარანჷ იქაზ ალაპყაქჭუა“ (ივ. პაპასკიჩრ, „თემჩრ“ გვ.95) „ამას რომ კვირობდა მის წინ გადაჲშალა მთელი ეელი, სადაც ნეკისოდენა დალეული სიმინდის ტაროებიანი [ყანა იყო]“.

„დბააძაქიეჩრა-ძა აცეა დაალწეძტ“ (იქვე, გვ. 18) „[ოფლით] გაწუწულმა (ძალიან დასველებულმა) გამოიღვიძა“.

„აქჭუჲჭმთკუჭა იძჩრკუჭა ეძთანატიეძტ იყუჭეთ-ყუჭეით-ძა“ (იქვე, გვ. 36_{24}) „ხმაგაუცემლივ უსმენდნენ რა ერთმანეთს კვლავ მისხდნენ მდუმარედ“.

„იქუჭკუჭა-ძა ინთალაზ ამრა“ (იქვე, გვ. 42_{7}) „პირდაპირ რომ ჩაეშვა მზე“.

„დკეჯ-ძა დგჷლოუპ“ „განმხოლოებით (განმარტოებით, სულ მარტო) დგას იგი (გონ)“.

„აჰმათ დჷლბააზშა ანაბა ამარდუან აწაყა იქაქაა-ძა იტაიზ ალა ჯაგჷლტ“ (ივ. პაპასკიჩრ, „თემჩრ“, გვ. 85) „აჰმათი ჩამოდისო რომ დაინახა, კიბის ქვეშ დახეეული (დაგორგლილი) რომ იწვა (იჯდა) ძაღლი, წამოდგა“.

„ჯჷზას ისოუშაგიჯ აუაა იბაღაა-ბაღაა-ძა იგჷლოუპ“ (იქვე, გვ. 100_{16}) „ჩემი საამხანაგო ხალხი კეტივით მაგრად დგას“.

„იბჷჯ ჰაიცა-ძა ეძთანჯრჷლაირგჷლტ აჰმათ“ (იქვე, გვ. 129) „თავისი (ძალიან) მკეეთრი ხმა კვლავ შეურთო აჰმათმა“.

„ლჷნაცაყაარქჭუა ხუხუა-ხუხუა-ძა“ (დ. ჯონქაძე, სურამ აბაა, გვ. 13_{34}) „მისი (ქალის) (ძალიან) გრძელ-გრძელი თითები“.

„დჷზზა-ძა დჷქჭიან“ „უშეელებლად (გაუნძრეველად) იწვა“.

განსაკუთრებით ფერებში ჩანს ეს: „არაცეეეფში ეჲქუაწიახხჩრა-ძა-ნახშირიეით შაეად“; „დჷცაჷში-ძა დჷუან“ „ნაცრისფრად იყო იგი (გონ.)“, „დყაფშ-ძა“ „წითლად“, იჯეჲჟ-ძა „ყვითლად“ და სხვ.

ამ რიგის სიტყვებში -ძა მუდმივად შეიძლება არც სებობდეს. არის: აყაფშ (წითელი), ხააკუაკუარა (საამო) და სხვ. -ძა თითქოს მაშინ უფრო ერთვის, როცა ეს თვისების აღმნიშვნელი სიტყვები ზმნისსართების როლში გამოდიან, მაგრამ აქ -ძა-ს ზმნისსართულობის მაწარმოებლად ვერ მიეიჩნევთ. მისი თაედაპირეელი ფუნქცია აქაც ინტენსიეობაა. რაც სრულს ჰარმონიაში მოდის თვისების აღმნიშვნელ სიტყვებთან.

მეტიც ითქმის: გარდა იმისა, რომ ეს ძა ძალიან ხშირად ერთვის თვისების აღმნიშვნელ სიტყვებს, არის რიგი ამ სიტყვათა, რომლებიც ინტენსიეობის -ძა სუფიქსის გარეშე უკვე აღარ წარმოიდგინებიან, მაგალითად, აფშძა „ლამაზი“, „კარგი“: „ზინა უარა დუზჰანჯ დტოოუ დტიამუ სარა დაარა **ფშძა** იზდჟრუეჯტ“ „ზინა შენთვის დანიშნული („თხოვილი“) ზის თუ არა ძალიან **კარგად** (**ლამაზად**) ვიცი“.... ამ სიტყვას განმეორებითაც შეიძლება იგივე -ძა დაერთოს: „ალჟმ ასახია ანჯ **იფშძაძა** ათძამც იკჯდჟრშილაზ აუარ-ჰაუ **ფშძა**“ (იქვე, გვ. 40) „კედელზე რომ იდო **ლამაზი** ხალიჩა გაკრული, **ლამაზად** ლომის სახე გამოხატული“. პირეელ შემთხვეევაში ძა თითქოს სიტყვის ძირეულ ნაწილს განეკუთვნებოდეს, იმდენად შეჰხორცებია მას. ნამდეილად კი ამ სიტყვის ძირს აფშა-რა „სახე“,. „ყურება“ სიტყვის ძირთან მიეჰყავართ.

ასევე -ძა-ს გარეშე შეუძლებელია თვისების აღმნიშვნელი სიტყვები: ირუუა-ძა, იხხა-ძა, ზენ-ძა...

„აჰმათ ედგუშე ჳრუუაძა აღურა დახიჴნჷუიჴრშიჴზ-... („თემჳრ", გვ. 49) „აჰმათმა ნაჯახი ძალიან შორს მოქნევით იატაკზე (ძელზე) რომ მიაგდო...".

„დაადაჴლფშიიტ კატია, აცჳმზა ხხაძა იკნჴ" (იქვე, გვ. 97, 24) „გამოიხედა გარეთ კატიამ „აბრდღვიალებული" სანთელი ეპირა რა (ხელში)".

„ამჳრხუაგა იხაძა იცჳრწჴზ ზენძა იჴიჴცჴნ" (ბ. შენკუბა, აფხატი აჟაქუა, გვ. 3 26) „მზის სხივები სასიამოვნოდ რომ ამოეიდა. მთლიანად (სულ ერთიანად) ახალი იყო".

ასე, რომ თვისების აღმნიშვნელ სიტყვებში აღქმის ინტენსიური სახის გამოხატვა უცილობელი ხდება და პირველყოველის ამ დანიშნულებას რედუპლიკაცია ემსახურება. გარკვეულს შემთხვევებში მას სცელის ინტენსივობის აფიქსი.

სიტყვათწარმოებითი ძალა რედუპლიკაციისა აფხაზურში მეღავნდება მთელ რიგ ლექსიკურ მასალაში. იგი საკმაოდ მძლავრი ფაქტორია ახალ ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვების წარმოსაქმნელად. რა თქმა უნდა, რედუპლიკაციის ძირითადი შინაარსია (ინტენსივობა. სიმრავლე-მრავალგზისობა) აქაც ამოსავალი.

თუ, მაგალითად, „სითბოს", „სიცხეს" აფხაზურში გამოხატავს **ში** ძირი (აქედან თვით „სიცხის" სახელწოდება ა-ში-ორა), მეორე მხრივ მომეტებული სიცხის, „გახურების" გამომხატველია სპეციფიკური „ავადმყოფობის" სახელწოდება — **„არ-შიგში-რა"** „გახურება". იგი რედუპლიკაციის გზით მიიღება.

აშიარა არის „თქმა". აქედან „ყვირილი" ანუ „ინტენსიურად თქმა" არის **აშაშიარა** [1].

შია ძირი სხვადასხვა შეერთებაში (აკა-შია-რა, ათა-შია-რა, ალ-შია-რა....) „ვარდნა"-ს გამოხატავს. მისი გაორკეცებული სახეობა უნდა გვქონდეს „ქნევა" ზმნის შემადგენლობაში. „ალა ჳაგჳლან იწჴხუა რშიშიო აჩჳაარხხეიტ" (ივ. პაპასკიჳრ, „თემჳრ" გვ. 5 9) „ძალიან წამოდგა და კუდის ქნევით (ცანცალით) მიბრუნდა".

„ერთ"-ის გამომხატველად ს(←სა) || სი (←სია) უნდა ვიეარაუდოთ აფხაზურისათვის გარკვეულს შემთხვევებში. მისი რედუპლიკაციით ვიღებთ ახალს შინაარსს — **ასსა** (ბზიფ. **ახახა**) **„წვრილი", „წვნიკი"** (მრავლის მნიშვნელობით) ანუ **„მრავალი (მცირე) ერთეული"** [2].

---

[1] საინტერესო ანალოგია მოეპოება მას, ვ. ვუნდტის მოწმობით, სამოა ენაში: „taba sprechen, tabataba schreien" (W. Wuudt, Völkerpsychologie... Die Sprache, Erst. Teil, Leipzig, 1911, გვ. 639).

[2] შეიძლება ამასვე დაუკავშირდეს რედუპლიკაციის ერთი შემთხვევა წმინდა მორფოლოგიური ბუნებისა. ამ შესაძლებლობის დაშვების ნიადაგზე ფარდა ეხდება „ქალ" სიტყვის „უკანონოდ" ნაწარმოებ მრავლობით რიცხვს. ქალი აფხაზურად არის აფჰეჴს (ბზიფ. აფჰეჴსი) ← *აფჰეჴსა (|| *აფჰეჴსრა). ს(||რ) აქ ერთეულის აღმნიშვნელ სუფიქსს უნდა წარმოადგენდეს. არა მთელი სიტყვის, არამედ მხოლოდ ამ ნაწილის რედუპლიკაციით

ზემოთ განხილულს შემთხვევებში ჯერ გვქონდა გაუორკეცებელი სახეობა და მისი რედუპლიკაცია გვაძლევდა სულ ახალ ცნებას. არის დიდი რაოდენობა სიტყვებისა, რომელთა ურედუპლიკაციო ვარიანტები არ მოეძებნებათ და მხოლოდ ამ ორკეცი სახით გვხვდებიან. ასეთები, ერთი მხრივ, იყო ზემოგანხილული თვისების აღმნიშვნელი სიტყვები, მეორე მხრივ მოიპოება სიტყვები, რომელთაც თავიანთი ბუნებით ახასიათებთ სიმრავლე, მრავალ-გზისობა, მოქმედების განმეორადობა ისე, როგორც ეს ხმაბაძვითს სიტყვებში გვქონდა.

მაგალითად:

აძიძიარა „რეცხა“ → „ბანა“. ცალკე **ძი** (resp. **ძა**) ამ შინაარსით არსად გვხვდება. მისი ორკეცი სახეობა „რეცხა“ ზმნისათვის იმიტომ ხდება დამახასიათებელი, რომ იგი წარმოდგენილია, როგორც უწყვეტი, ხანგრძლივი პროცესი.

აქუ-პაპა-რა: „მრავლის ერთად მიყრა, მისხდომა“; „აჩა ალა ამწქუა აქუპაპეიტ“ „ცხენს თვალზე ბუზები მიასხდა“.

აშიშარა „ჩივილი“.

აშიშარა „ღობვა“ და თვით „აშიშიგ“ „ღობე“.

აჟიჟარა „ქონვა“. უნდა ივარაუდებოდეს მრავალ ადგილას გამოქონვა: „ლელაქუა აბააძარა ნარკუწაჟაჟიტ“ (ივ. პაპასკირ, „თემური“, გე. 21) „მას (ქალს) თვალზე სისველე მოედინა (მოქონა)“.

ეკმა-რ-ცც-რა „შეკმუხვნა“: „ლულახ ეკმკრცცუა“ „შუბლის შეკმუხვნით“. აქ ივარაუდება მრავალი ნაოჭის წარმოქმნა.

აცცეირა „ძალიან გასუქება“, „გალაღება“: „მკრზაყან რეჰა იგუშ ანცეცეკ ზარფკრემთა დანკჭუნ აკუნ“ (იქვე, გე. 16) „მურზაყანის გული ყველაზე უფრო ყმაწვილობისას იყო გალაღებული“.

აბგბ „მტვერი“. რედუპლიკაციის საფუძველს აქ ქმნის ის, რომ იგი წარმოდგენილია, როგორც მრავალი ერთეულისაგან შემდგარი. რომ ასეთი გაგებაა მასში მოცემული, ამას მისი ერთეული ცნების წარმოებაც ნათელჰყოფს (**აბგბგკ**)[1].

აცცჳ „ფერფლი“ ესეც გაგებულია, როგორც მრავალი ერთეულისაგან შემდგარი.

აცცაკრა „სიჩქარე“. წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც განმეორებადი, ინტენსიური პროცესი.

აძლა-ტატა-რა „ერთმანეთში არევ-დარევა“.

მივიღეთ მრავლობითის გაგება და ამ ნიადაგზე გვაქვს სრულიად გამხოლოებით მდგომი მრავლობითის ფორმა—აჰოსა. სწორედ მრავლობითს ფორმაში ა ხმოვნის თანაარსებობაც მიმართავს რედუპლიკაციისაკენ ყურადღებას (შდრ. ქვემოთ მსგავსი სახე რედუპლიკაციისა). აჰოსა (resp. აჰოსრა) მიღებულად უნდა ვსცნოთ აჰოსსა (resp. აჰოსრრა) (—*აფჰოსსა || *აფჰოსრსრა)-საგან. ამ შესაძლებლობის ისტორიული დასაბუთებაც მოგვეპოება ა. უსლარის ჩანაწერში, სადაც, მართლაც-და, ხსენებული სიტყვის მრავლობითი ფორმა მუდამ ორი ხრ-თია წარმოდგენილი—აჰოსრსრა. აბაზურს დიალექტებში დღესაც მისი მხოლოდ ორ -ხ-იანი სახეობაა ცნობილი — აპაასსა || აჰისსა ქუა.

[1] ერთეულის მაწარმოებლების შესახებ სხვაგან.

ათგრ-ბგბ-რა „გუნდ-გუნდად, გაშლით გამოსვლა (ქვამლისა, ღრუბლისა)“: „ალა იშგ ითგრბბუა დააცაჟეიტ“ (ივ. ჰაპასკირ, „თემგრ“, გვ. 61) „პირიდან კვამლს გუნდ-გუნდად, გაშლით უშვებდა რა დაილაპარაკა“.

აფსხარა „გვა“, „ხვეტა“.

აყაყარა „ღეჭვა“.

ჰჩჩარა „სიცილი“.

აფხ. ჰჩჩარა ძირეული მასალითაც საერთო ჩანს ქართ. სი-ც-ილ — სი-ც-ინ-თან. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ც-ს შიშინა სახეობა იყოს წარმოდგენილი აფხაზურ ჩ- (resp. ჩა)-ში. ზანურმა (მეგრულ-ჭანურმა) ეს შიშინა სახეობა არ შემოგვინახა. სვანურსაც ქართულიდან ნასესხები ც ძირი გაჩნია (სიცილი—ლიცენა), თუმცა სვანურში მისი შიშინა სახეობაც დასტურდება: ხაჩა-ს პროფ. ვ. თოფურია ერთგან („სვანური ზმნა“ გვ. 260) თარგმნის „უხარია“-დ, მაგრამ მეორე ადგილას გადმოცემული აქვს; ხაჩა — ეცინება, უხარია; მაჩონ, ჯაჩონ, ხაჩონ — მეცინებოდა, გეცინებოდა, ეცინებოდა (იქვე, გვ. 94).

აფხაზურში ეს სვანური სახეობაა შემონახული, მაგრამ უკვე გაორკეცებით. აქ მისს რედუპლიკაციას ის იწვევს, რომ აფხაზურისათვის დამახასიათებელი ცნობიერებით პროცესი გაგებულ და დაფასებულ იქნა, როგორც განმეორებადი და უწყვეტელი.

სიცილის სხვადასხვა სახეობისათვის საერთოდ დამასახიათებელია გაორკეცება, მაგ., ქართ. ხით-ხითი, კის-კისი, ხარ-ხარი... აფხაზ. აყურ-ყურ-ჰაა და სხვ. აჩჩარა-ს შემთხვევაშიაც იგივე მეორდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ხმაბაძვითი სიტყვები გვაქვს და თითქოს ეს ორკეცობაც უფრო ბუნებრივია. აქ უფრო ბუნებრივად მიტომ გვეჩვენება, რომ ცოცხალი სახე ხმაბაძვის შემთხვევაში უფრო ადვილად შეგრძნობადია. აჩჩარა-ში კი ეს ცოცხალი სახე არ ჩანს. აჩჩარა ისევეა გაგებული და აგებული, როგორც აყურ-ყურ-ჰაა, ხით-ხითი და სხვ. მათგან მხოლოდ სახელდების პრინციპშია სხვაობა. აჩჩარა-ში არ ჩანს თუ რატომ უნდა იყოს ამ შინაარსისათვის გამოყენებული ჩჩა, აყურ-ყურ-ჰაა-ში ეს სახე მიახლოებით მაინც გამართლებულია.

ხსენებულ ცნებათათვის მრავალგზისობის მომენტი განუყრელია და მათი გამომხატველი ენობრივი ყალიბიც რთულია და შედგენილი. თანამედროვე აფხაზური ენობრივი შეგნებისათვის ჩჩა, ძძაა და სხვა ორკეცი ძირები განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენენ და შედგენილი ფუძეების მსგავსად როდი გაიყოფებიან ახალი ელემენტების დართვისას, შდრ. მაგ., აყაწარა „კეთება“ აორისტი იყა-სჷ-მ-წე-ჲტ, აძძაარა „რეცხა“ აორ. ი-სჷმ-ძძე-ჲტ.

რედუპლიკაციის სხვადასხვა სახე გვხვდება აფხაზურში. მაინც ყველაზე უფრო გავრცელებულად უნდა მივიჩნიოთ სიტყვის ძირეული მასალის რედუპლიკაცია. ჩვენ მიერ განხილული ე. წ. მორფოლოგიური დანიშნულების მქონე რედუპლიკაციის დროს, მაინცადამაინც, დამახასიათებელია სიტყვის მეორე ნაწილის (ეს მეორე ნაწილი თითქმის მუდამ მეორე თანხმოვანია) გაორკეცება, მაგ., აფჳწჳარა, აფჳჩჩარა, ახკჳაარა და სხვ. ასეთი გაორმაგების

წესი აფხაზურისათვის მეტად დამახასიათებელია და საინტერესოა იმით, რომ სიტყვის მეორე ნაწილის (ან თანხმოვნის) რედუპლიკაცია თითქმის მუდამ სიტყვის ძირეულ მასალაზე მოდის[1]. ხსენებულ სიტყვათა შედარება რომ მოვახდინოთ, ყველა მათგანში პირველი ნაწილი გამოიყოფა, მაგ., ახჳ-წიწიარა. ახჳ-ქიქიარა...; აფჳ-წიწიარა, აფჳ-ქიქიარა და სხვ. ამიტომ შეგვეძლო მათთვის ძირთა რედუპლიკაცია გვეწოდებინა, მაგრამ ზოგ სიტყვათა ჯერ ბუნდოვანი ეტიმოლოგიები მაინც გვიკარნახებენ ასეთი განზოგადებისაგან თავი შევიკავოთ. ამავე დროს, რედუპლიკაციის მონაცემების საფუძველზე, უნდა ვთქვათ, რომ იგი აფხაზურ სიტყვათა აღნაგობის რკვევისას ანგარიშგასაწევი საანალიზო ნიშანია.

ურიცხვ შემთხვევაში ამ ძირეულ გაორკეცებულ ნაწილს ერთი თანხმოვანი წარმოადგენს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გაორკეცებული სიტყვები უძველესი ფორმაციისანი არიან, ეს ფაქტი ყურადღებას მიიპყრობს აფხაზურ ძირთა წარმოქმნის ისტორიის თვალსაზრისით.

ამ სახეობის გაორკეცებულ სიტყვათა გარკვეული ნაწილი წარმოგვიდგენს გაორკეცებულად მხოლოდ თანხმოვანს, მაგ., ა-შიში-რა და სხვ. მეორე მხრივ გვხვდება გაორკეცებული თანხმოვნები და მათ შემდეგ ა ხმოვანი, მაგ.. აძიძიარა—ასეთს სიტყვებში სავარაუდებელია „ძირეულად“ არა მარტო ერთი თანხმოვანი, არამედ მარცვალი ძი, ჩა, წია და სხვ. გაორკეცებაც სწორედ ამ მარცვლისა უნდა ხდებოდეს, მაგრამ გაორკეცებისას პირველი ნაწილის ეს ა ხმოვანი ჩავარდება და შერჩება მხოლოდ მეორე ნაწილთან. ისინი რომ აღგვედგინა, უნდა გვქონოდა ძიძი, ჩაჩა, სასა და სხვ. მეტად იშვიათად შესაძლოა ამ ტიპის რედუპლიკაციაში პირველ ნაწილშიაც ხმოვნის შენარჩუნება, მაგ., ახ-ტა'ტა-რა (წაცხება), აქუ-პაპარა (-მისევა), მაგრამ აქ (თითქმის) ყოველთვის გაორკეცებული ელემენტის პირველ ხმოვანზე მოდის მახვილი, ამიტომ ბუნებრივი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ მახვილის როლი უმნიშვნელო არ უნდა იყოს ზემოგანხილულ სიტყვებშიაც ა ხმოვნის ამოვარდნის საქმეში.

საკმაოდ გავრცელებულია, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, „დისიმილაციური“ რედუპლიკაციაც, სადაც გაორკეცებული სიტყვის მეორე ნაწილი სრულიად თანხვედრილი არ არის პირველისა. აქ მუდამ ორ ან მეტ თანხმოვნიანი სიტყვები გვაქვს თვით პირველ ნაწილში.

მაგალითად:

კუაჯგი-მაჯგი: „აბხ ითჳწწ ადჳ დანააქწლა იქმაჰო, იკუაჯგჳ-მაჯგუა-„უანიდან რომ ამოვიდა ცოხნით მინდორს გაუდგა მძიმე სიარულით“.

გუგრგშ-შიგრგშ: „დგგუჳრგშ-შიჳრგშუა“ (ივ. პაპასკირი, „თემური“, გვ. 82) „ჯუჯღუნით“.

---

[1] მაგისტრალური ხაზი თუმცა მაინც ამ სახეობაზე გადის, მაგრამ შეიძლება სხვა შემთხვევებსაც წავაწყდეთ, მაგ., იგივე აბჳლრა „წვა“ ხმნა რომ ავიღოთ ჯერ-ჯერობით არ ჰანს, რომ მისი დაყოფა შეიძლებოდეს. რედუპლიკაციის დროს კი მხოლოდ ძირის ერთი წარმომადგენელი (ბ) გაორკეცდა.

ჰილგკ-სლგკ: „აშიკრ ფარა დააჯუან აუაა ააშაქუა იჰ"ლგკ-სლგკუა" (იე. პაპასკვრ, „თემკრ", გვ. 8$_{22}$) „ხილის საკმელად მოდიოდა ზარმაცი მოხეტიალე სალხი".

უყიან-ჩყიან: „არხა ენკჯუაზ უყიან-ჩყიან ბკგქუა დკრზძკრკუან" (იქვე. გვ. 12$_{11}$) „ბარიდან რომ ღრიანცელის ხმა ისმოდა, იმას უსმენდა".

კგბჲგ-მკბჲგ: „დკვკბჲ-მკბჲგუა ასოფ დააქუგლტ" (იქვე. გვ. 14$_{20}$) „ზლახვნით აივანზე გამოვიდა".

ხკლდა-ძკლდა: „ამკა დანკქულა დხკლდა-ძილდო, დენკდგუშჲკლაააკდგუშჲკლო..." (იქვე. გვ. 15$_{20}$) „გზას რომ გაუდგა უაზროდ აქეთ-იქით მაყურებელი".

ხრაა-ძრაა: „დნეჲუან... დხრაა-ძრაუა" (იქვე. გვ. 15$_{22}$) „მიდიოდა ისე რომ ყურადღებას არაფერს აქცევდა".

ჰიკცგ-მკც: „სნაჰი-ააჰიუა, სჰიკცკ-მკცუა სკქუიან" (იქვე, გვ. 20) „იქით მიბრუნება-მობრუნებით, წრიალით ვიწექი".

აფაში-მაში ძირ-ფესვი („ფესვ-მესვი")

მაჰკ-საჰკ - ცოტა-მატა.

ხკმა-ფსკმა: „ხკმა-ფსკმა დენდიკლყან" (იქვე. გვ. 18) როგორღაც ჩქარა გავარდა".

მაჭარ-ჩაჭარ: „დმაჭარ-ჩაჭარუა იკიენეჲხეჲტ" (იქვე, გვ. 25) „მუჭარით გაბრუნდა".

აურაუ-ზაურაუ: „აურაზოროუ დკხკვეჲჟუპ" (იქვე. გვ. 25) „თავით ბოლომდე („სიგრძე-მიგრძით") ყვითელი ოქროა".

ჰიარ-ფსარ: „დნახკნჭკნ აკე ყალწოშია დჰიარ-ფსარუა აგკჭჯარა დნკგჰაალტ" (იქვე. გვ. 25) „მიბრუნდა თითქოს რამეს ფაცა-ფუცით აკეთებდა და კუთხეში დადგა".

აგუაყ-წიაყ: „ბარა ბკბზიაბარა სგუაყ-წიაყკუან" (იქვე, გვ. 33) „შენი სიყვარული ქალთ მტანჯავდა".

ამათია-აჯგთია — „ტანსაცმელი-მანსაცმელი".

აკუშია-მჯკუშია — „ირგვლივ-მირგვლივ".

შიაფჯ-რჰაფჯ: „ზინა დშიაფჯ-რჰაფუა ილურა ლზჯმდერუა ლჩიაანკკლტ" (იქვე, გვ. 57) „ზინამ დამფრთხალმა არ იცოდა რა ექნა".

უტკნდ-შიკნდ: „იხაჰეჯ აცჯშზა ნკლჭუჯრგკლანჯ დყუჭნდ-შიკნდუა აფხიარა დშიაჰეჯზ აცჯა დკნთაგკლონ" (იქვე, გვ. 66) „თავთან სანთელს დაიდგამდა და ჩურჩულით კითხვაში რომ იყო გართული, ჩაეძინებოდა".

თიი-მიი: „დიხია ცჭია სკზმკცჯაზტ. სთიი-მიაშია სუზურბრ უიოუპ" (იქვე. გვ. 61) „დღეს კარგად არ მეძინა ზანტად იმიტომ გეჩვენები".

ხუიგ-წიი: „სარგჯ უბასწ"ყოუპ სშიკყოუ!— დხუკიკ-წიიუა დალაგიეჲტ მკშაგჯ" (იქვე, გვ. 85) „მეც სწორედ აგრე ვარ! ზმორებით დაიწყო მიშამაც".

გარკვეული კანონზომიერება განსხვავებულ თანხმოვანთა გამოყენებაში არ ჩანს; ყველაზე ხშირად გვხვდება მ. ჯ.ს..

შეიძლება სიტყვის პირველი ნაწილი გაორკეცდეს, მაგ.. აცცაკრა, აკუალკუაჯრა. ლაბა-ლამსგ და სხვ.

ინტენსიურობის გამოსახატავად შეიძლება გაორკეცდეს რომელიმე თანხმოვანი სიტყვაში, მაგ., იყაფშშძა („ძალიან წითლად") (შდრ. აყაფშ „წითელი"). შეიძლება სიტყვის ძირეულ ნაწილზე სულაც არ მოვიდეს გაორკეცება, არამედ ინტენსივობის ფორმანტზე, მაგ., დუძძა „ძალიან დიდი" („დუ", „დიდი", „დუძა" „ძალიან დიდი") და სხვ.

ნაწილობრივი რედუპლიკაციის ერთ-ერთ სახეობად გვეელინება ბგერის გაგრძელება. სიგრძე, რა თქმა უნდა, სიტყვის ვოკალურს ნაწილს ეხება. ესა თუ ის ხმოვანი თავისი ნატურალური მოცემულობით იქ მარტივია, გაგრძელდება მაშინ, თუ ინტენსიურად უნდა გამოიხატოს ცნება. ასე. მაგალითად. აფხაზი ამბობს „დარა იბზიოუპ" „ძალიან კარგია", მაგრამ თუ მთქმელი თავის ძლიერს განცდას უფრო ადეკვატურს შეფასებას მოუნდომებს, იტყვის: „დარა იბზიოუპ" დარაძა იბზიოუპ". ამ შემთხვევაში სწორედ ორი ა-თი გადმოსცემენ ხოლმე ამ სიგრძეს დაარა.

„საღამომდე" აფხაზურად იქნება „ხულაანძა". მაგრამ თუ მთქმელი მოისურვებს გამოხატოს პროცესის ხანგრძლივობა. რომ. მაშასადამე. ესა და ეს მოვლენა ხდებოდა. გრძელდებოდა. დილიდან მოყოლებული საღამომდე, ამბობს: „ჩინაკ ხულააანძა". აქ ხმოვნის გაგრძელება შესაძლებელია ad infinitum. მისი გრაფიკულად გადმოცემა არც ხერხდება[1].

რედუპლიკაციის ფუნქციები მორფოლოგიასა და სემასიოლოგიას შორის ნაწილდება აფხაზურში. მეტად გავრცელებულ მორფოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს იგი მაშინ, როცა ობიექტთა სიმრავლის ან პროცესის ხანგრძლივობა იხატება. არა ნაკლები პრეტენზიები გააჩნია მასზე სემასიოლოგიას. მნიშვნელოვან სიტყვათწარმოებით საშუალებად იქცევა იგი სემასიოლოგიაში. აფხაზური ლექსიკა გაელენთილია რედუპლიკაციით.

ორსავე შემთხვევაში ამ მოვლენას მისი შინაარსის სიმრავლე: მრავალგზისობა-ინტენსივობის — ერთი ცენტრისკენ მიჰყავართ.

მათ შორის ურთიერთ გადასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა. სიმრავლე-მრავალგზისობასა და ინტენსივობას შორის ზღვარი ძველად უფრო ნაკლებ მტკიცე რომ უნდა ყოფილიყო, ამაში სხვა მოვლენების განხილვის დროსაც დავრწმუნდებით.

რედუპლიკაციის წესისა და მრაელობითობის აფიქსთა ურთიერთობის საკითხები ამ ნიადაგზე ბუნებრივად დაისმის. თუ მოვლენაში რედუპლიკაცია გვაქვს, იმავე მოვლენის გამოსახატავად შესაძლოა სხვა ენაში მრაელობითობის აფიქსი იჩენდეს თავს და პირუკუ. შდრ. აფხაზური „ირგქუჭიყიეგტ" და ძვ. ქართ. „მან მათგან ისინი გაყარნა" და ასევე მრაელობითობის აფიქსები თვით აფხაზურშიაც ანალოგიურს შემთხვევებში.

პრინციპულად შესაძლებელია რედუპლიკაცია ყველგან იყოს იქ, სადაც მრაელობითობის აფიქსი გაგვაჩნია (ევულისხმობთ განსხვავებულს ენობრივს

[1] ამ კონტექსტში ყურადღებას მიიქცევდა ქართულშიც მსგავსი მოვლენა. კურდღელმა რომ ასეთი დილემის წინაშე დააყენა თავისი ბაჭია: „სამს თვეს გაწოვო ძუძუ თუ სამს დღეს"-ო. საბრალო ბაჭიამ, რა თქმა უნდა, უფრო ხანგრძლივი—„სამი დღე"—აირჩია.

ერთეულსა და განვითარების განსხვავებულ საფეხურსაც). გარკვეულს შემთხვევებში ისინი ერთმანეთის შინაარსს ხსნიან. ასე, მაგ., აფხაზურში დროის წარმოებაში სათანადო შემთხვევებში გვხვდება მრავლობითობის სუფიქსი ქუა. ნამყ. სრ.—„იყასწახიჷტ"—„უკვე გავაკეთე", მაგრამ იგივე დრო—„იყასწაქუა-ხიჷტ"—„უკვე **მრავალგზის** გავაკეთე". ამ მრავალგზისობას აქ მრავლობითობის -ქუა სუფიქსი გადმოგვცემს. აქედან უკვე სულ მცირე მანძილია ინდოევროპულ ენათა გაორკეცების გზით ნაწარმოებ პერფექტამდე, რამდენადაც ეს პერფექტი დასრულებულ მოქმედებას გადმოგვცემს და დასრულება კი გაგებულია, როგორც ხანგრძლივად ჩატარებული მოვლენის შედეგი.

აფხაზურში მეორე, უფრო ორდინარული, მაწარმოებელი ხოლმეობა-მრავალგზისობისა—-ლა-(ც)—შეიძლება მრავლობითობის აფიქსს წარმოადგენდეს. ქართველურ ენათა სხვადასხვა დროთა წარმოებაში გამოყენებულმა აფიქსებმაც შეიძლება არა მცირედი წვლილი შეიტანონ ამ მოვლენის გარკვევაში, მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

რ ე ზ უ მ ე

რედუპლიკაცია საერთოდ დამახასიათებელი მოვლენაა სხვადასხვა ტიპის ენებისათვის. ზოგში მას ფართოდ მოხაზული სამოქმედო უბანი გააჩნია. უმთავრესად სხვადასხვა მორფემის როლში გამოსვლა უხდება რედუპლიკაციას, მაგ., იგი დროთა განმასხვავებელი ნიშანია, ინფინიტივის, მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია და სხვ.

მართალია სრულიად განსხვავებული ენობრივი კატეგორიების საწარმოებლად შეიძლება იქნეს იგი გამოყენებული, მაგრამ ამოსავალი შინაარსი ყველა მათგანისათვის ერთი იქნება სიმრავლე-ინტენსივობა-განმეორადობის ცნება. და აშასადამე მის ნაცვლად, გარკვეული პირობების გათვალისწინებით (ენობრივი ტიპი, პერიოდი) შეგვეძლება ყველგან მრავლობითობა-ინტენსივობის აფიქსები ვივარაუდოთ.

ფართოდ იყენებს მას აფხაზური ენა ერთი მხრივ როგორც მორფოლოგიურ საშუალებას, მეორე მხრივ კი როგორც სემანტიკურს საშუალებას.

სიმრავლის გამოსახატავად იხმარება იგი ზმნებში, მაგ., **აფყარა**—„გაპრა": იფჳსყაჲტ „გავჭერი", მაგრამ **აფჳყყარა**—„დაპრა მრავლისა, დაპრა მრავლად": „აცი აცა დჳრყაცეჲტ, იჯარ ეჟმაჰა იფჳრყყოჲტ" („ანბან შყუ" 1938, გვ. 115) „ხარის ტყავი გასხიპეს (გააწკიპარტეს). რომ გახმება საქალამნე[ებ]ად დასჭრიან"; **ამპჳწშაარა**—„ხელიდან გავარდნა": „ამპლ სჳმპჳწშ"ეჲტ" „ბურთი ხელიდან გამივარდა", მაგრამ **ამპჳწშაშაარა**—„მრავლის დაცვენა", „აფარაქუა იმპჳწშაშაიჳ ადაშმა იქუფსეჲტ" (ნ. გოგოლ „რევიზორ" 1938, გვ. 57 [3]) „ფულები, ხელიდან დაუცვივდა და იატაკზე დაიბნა" და სხვ. მრავალი.

სემანტიკური მხრივ სიტყვათა რედუპლიკაცია უმთავრესად ეხება: ხმაბაძვითს სიტყვებს. რამდენადაც ხმაბაძვითს კომპლექსებში უშუალოდ

გადმოიცემა განმეორადობა-ინტენსიობა მოვლენისა, მაგ., **ჰჰჰჰაა-ჰაა**—კრიჭინი(თ), **აშშგ-ჰაა** — წყნარ(ად), **აჩიჩი-ჰაა** — ჩუხჩუხი(თ), **ახიხკა-ჰაა** — ჩხრიალი(თ) და სხვ.; თვისების აღმნიშვნელ სიტყვებს და ამ თვისების მატარებელ საგნებს: **აჰიგჰი** — მტრედი, **აწიწიპ**—ზარი, **აჳდაჳდაა**—მაგარი, მოუხეშავი, მსხვილი, **ცაჰი-ცაჰი**—ცხელი, **არ-ხახარა**—სიმეჩხრე, **აწიწიგ**—მჟავე, **აყიპყა** — ბრტყელი, **აკიპკა** — მაგარი, **ატატა** — რბილი, **აღშღშა** — ძლიერი [— ღონიერი], **ბაბა**—გაბურდნული, გაშლილი... რადგანაც განსაკუთრებით ხაზი ესმის ინტენსივობას თვისების აღნიშვნის დროს; მრავალგზისი მოქმედების შემცველ ზმნებსა და სიმრავლის გამომხატველ სახელებს: **აძიძიარა**—„რეცხა“, **აშიშირა**—„ღობვა“, **აყაყარა**—„ღეჭვა“, **აჩჩარა**—„სიცილი“, **აბგბ**—„მტვერი“, **აცცჳი**—„ფერფლი“ და სხვ.

ცალმაგი სახეობის მქონე სიტყვებისაგან რედუპლიკაციის გზით ახალი ცნების შემცველი სიტყვის წარმოება ხშირი მოვლენაა აგრეთვე აფხაზურში, მაგ., **ა-კა-შიშ-რა**—„გადაგდება“, **ა-თა-შიშ-რა**—„ჩაგდება“... (ძირი—**შიშ**), მაგრამ **ა-რ-შიშიშ-რა**— „ქნევა“; **ა-ში-ოურპ**—„სიცხე“, **ა-რ-შიჳშ-რა**—„გახურება“ (სპეციფიკ. ავადმყოფობის სახელწოდება), **აპიარპ**—„თქმა“, **აჰიჰიარა**—„ყვირილი“ (ინტენსიურად თქმა) და სხვ.

ორკეცდება უმთავრესად სიტყვის ძირეული თანხმოვანი, (მაგ., აფ-ყა-რა და აფჳ-ყყა-რა) შეიძლება გაორკეცება ძირს არც შეეხოს (მაგ., დუ—დიდი, დუ-**ძძა**—ძალიან დიდი). თუ მახვილი არ გადაარჩენს ასეთ შემთხვევაში წესად არის გატარებული ის, რომ გასაორკეცებელ თანხმოვანთან არსებული ხმოვანი პირველ ნაწილთან დაიკარგება (ა-ფ-ყა-რა, მაგრამ: აფჳ-**ყყა**-რა — *აფჳ-ყაყა-რა) შესაძლოა ე. წ. დისიმილაციური რედუპლიკაციაც სიტყვებისა, სადაც პირველი ნაწილი სიტყვისა სხვა სახეობით იქნება წარმოდგენილი, მაგ., **აჳმთიჳ-აჳჯთიჳ** „ტანსაცმელ-მანსაცმელი“ და ნაწილობრივი რედუპლიკაცია ანუ ხმოვნის გაგრძელება მაგ., **დარა**—ძალიან, **დარა**—ძალიან (უფრო ინტენსიური გაგებით).

ვლ. ფანჩვიძე

აკუზატივის გენეზისისათვის უდურ ენაში[1]

უდური ენის მკვლევრის ა. დირის მეთხებით უდური ბრუნების სისტემაში სახელთა ერთი ფორმა დღემდის მიჩნეულია ე. წ. ბრალდებით ბრუნვად (აკუზატივად). ა. დირი გვაძლევს ამ ბრუნვის შემდეგს მორფოლოგიურ დახასიათებას: „**-ახ, -ოხ, -ეხ** (**-იხ**) -სუფიქსებია ბრალდებითი ბრუნვისა, რომელიც ხშირად დაირთაეს **ნ**-ს...“[2]. შემდგომ ა. დირი არკვევს ამ ბრუნვის სინტაქსური ფუნქციის რაობასაც და ამბობს: „მოქმედებითი [გვარის] ზმნის პირდაპირი დამატება დაისმის ბრალდებით ბრუნვაში: ნანან თუ-ნე-სრემიშბესაი მარიამახ—დედას არ უყვარდა მარიამი...“[3]. არაეითარი მითითება იმის შესახებ, ანდა დასაბუთება იმისა, თუ რატომ უნდა იყოს ეს ფორმა ბრალდებითი, ა. დირს არ მოუცია. ასეთი დასაბუთების საჭიროება კი გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ იმას, რომ არც ერთ კავკასიურ ენაში ბრალდებითი ბრუნვა არა გეაქვს (თავი რომ დავანებოთ სხვა გარემრებას).

1928 წელს ა. დირი თითქმის იმეორებს თავის ძველ შეხედულებას, როდესაც იგი წერს: „ძველ ნათესაობას **ჰ**-ნიშნიან ადგილობით ბრუნვებთან (მაგ. ტაბას., აღულ.) გვიჩვენებს აკუზატივი (შიფნერით: აფექტივი) **ხ**-ნიშნით (ეხ, ახ, ოხ): ექ: ექეხ, ღარ: ღარახ, თურ: თურახ, იშეხ...“[4]. ახალია აქ იმის მითითება, რომ ბრალდებითი დაკავშირებულია ადგილობითს ბრუნვასთან (ლოკატივთან), რაც მეორე ადგილას უფრო კატეგორიულადაა გამოთქმული: „...**იხ**-ნიშნიანი ადგილობითი ბრუნვა (ადგილობითი მდგომარეობისა: სად?), რომელიც ამოსავალი პუნქტია დღევანდელი აკუზატივისათვის: ფაქ—ბაღი, ფაქიხ. აიზიხ—სოფელში...“[5]. 1903 წელს ა. დირი ამ დებულებას აყენებდა მხოლოდ როგორც შესაძლებელს და დასამტკიცებელს.

უდური ენის პირველი საფუძვლიანი მკვლევარი -ა. შიფნერი კი ამ ბრუნვის ფორმას სხვა სახელწოდებას აძლევდა: ის უწოდებდა ამ ბრუნვას

---

[1] წაკითხულია მოხსენებად **ენიმკი**-ს კავკასიურ ენათა განყოფილების 1938 წ. 3. VI. სხდომაზე. უდურ სიტყვათა ტრანსლიტერაცია მოცემულია ქართული ანბანით მაშინაც კი, როდესაც სიტყვა სხვა ავტორთა ციტატებში გვხვდება.

[2] ა. დირი, Грамматика удинского языка. Сб. МОМПК, 1903. გვ. 16. (არის ცალკე ამონაბეჭდიც).

[3] ა. დირი, Грамм., გვ. 17.

[4] ა. დირი, Einführung in das Studium d. kaukasischen Sprachen. Leipzig 1928, გვ. 334: «Alte Verwandschaft mit den Lokativen auf—h (des Tab., Aghul. z. B.) weist wohl der Akkusativ (SCH.: Affektiv) auf—x (ex, ax, ox) auf...“ სინტაქსურ ვითარებას არც ბრუნებასთან და არც ზმნის ფორმების ანალიზისას იგი აღარ ეხება.

[5] ა. დირი, Einführ., გვ. 335: «Ein Lokativ auf—ix (Lok. der Ruhe: wo?), wohl Ausgangspunkt des jetzigen Akkusativs:...». ხაზი ჩვენია.

Affektiv-ს. „...თავდაპირველად ჩვენ მოვიყვანთ აფექტივს, რომელსაც დაბოლოებად აქვს -ხ“ [1], ამბობს ის, როდესაც არჩევს უდურ ბრუნებას. მისი სინტაქსური ფუნქციის შესახებ კი ა. შიფნერი შემდეგს აღნიშნავს: [უდურში] „აფექტიი იჭერს სხვა ენათა აკუზატივის ადგილს, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ზოგიერთ ისეთ ზმნასთანაც, რომელთანაც მას არ მოველოდით; მაგალ. ზოგიერთ ისეთ შედგენილ |ზმნასთან|, რომლის მეორე წევრია „ფესუნ“, რომელი ზმნაც „თქმის“ მნიშვნელობით სწორედ აფექტივს მოითხოვს...“ [2].

შესაძლებელია, ა. შიფნერის ამ სიტყვებითაა გამოწვეული, რომ შემდგომმა კვლევრებმა ეს ფორმა მიიჩნიეს ბრალდებითად; ა. შიფნერის სახელოდ უნდა ითქვას ის, რომ იგი გარკვევით მიუთითებს ამ ბრუნვის ფორმისა და ბრალდებითის („...სხვა ენათა“) მხოლოდ ფუნქციონალურ ურთიერთობაზე, როდესაც ამბობს: „...სხვა ენების აკუზატივის ადგილს იჭერს“-ო. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ტერმინი Affectiv-ი რას ჰგულისხმობს, არაა განმარტებული თვით ა. შიფნერის მიერ, და ამდენად თვით ამ ცნების შინაარსიც გაურკვეველია.

აღსანიშნავია ის, რომ ამ ბრუნვის ფორმის საკითხს შეჰხებია და გარკვეული მოსაზრებაც გამოუთქვამს ჰ. შუხართსაც. კავკასიური ენების ერთერთი უნიჭიერესი მკვლევარი ამ შემთხვევაშიც შორსმჭვრეტელობას იჩენს და საყურადღებო შენიშვნებს გვაძლევს: ჰ. შუხართის ყურადღებას ამ შემთხვევაში იპყრობდა ზმნის ტრანზიტიობა და ამდენად აკუზატივის საკითხს იგი გაკვრით ეხება მხოლოდ. იგი აღნიშნავს: „ფრ. მიულერი და ერკერტი აფექტივს ნათლავენ აკუზატივად, და მართალიც არის ის, რომ იგი უმრავლეს შემთხვევაში ჩვენი აკუზატივით გადმოითარგმნება. მაგრამ იმ შემთხვევებსაც რომ თავი დავანებოთ, რომლებშიც ის მაშინაც პირდაპირ ობიექტს არ აღნიშნავს..., მრავალ შემთხვევაში იგი ჩვენც მიცემითით უნდა გადმოვცეთ, მაგალ. ხახფი-ნე—„მე მითხრა მან“ |„an mich sagte er“][3]...“

ამ ფრთხილ მსჯელობაში მაინც შეინიშნება ის, რომ ჰ. შუხართი მოვლენებს აფასებს ინდო-ევროპული ენების თვალსაზრისით; მაგრამ მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ჰ. შუხართის მიერ იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ ეს ბრუნვის ფორმა ფუნქციონალურად ხშირად მიცემითს უთანაბრდება.

---

[1] ა. შიფნერი, Versuch über die Sprache der Uden, 1863, გვ. 17, § 52.

[2] ა. შიფნერი, Versuch..., გვ. 40, § 158: «Der Affectiv vertritt die Stelle des Accusativus anderer Sprachen, tritt aber auch bei einigen Zeitwörtern auf, bei denen wir ihn nicht erwarten würden; z. B. bei einigen zusammengesetzten, deren zweites Glied ფესუნ ist, welches Zeitwort in der Bedeutung «sagen» ebenfalls den Affectiv erfordet...».

[3] ჰ. შუხართი, Über d. passiven Character d. Transitivs in den kaukas. Sprachen. Wien 1895, გვ. 31: „Fr. Müller und Erckert taufen den Affektiv in Akkusativ um, und es ist richtig, das er sich in den meisten Fällen mit unserm Akkusativus übersetzen lässt. Aber um von denjenigen abzusehen, in denen er auch dann nicht ein direktes Objekt bezeichnet..., müssen auch wir in vielen Fällen ihn durch den Dativ wiedergeben...». ხაზი ჩვენია.

უკანასკნელად ამ ბრუნვის ფორმას შეეხო ი. მეშჩანინოვი. საყურადღებოა მისი შენიშვნა: „ა. დირი ადასტურებს უდურ ენაში ბრალდებითი ბრუნვის არსებობასაც კი, რაც არაა დამახასიათებელი ერგატიული კონსტრუქციისათვის. დირის ეს მითითება ჯერ კიდევ საჭიროებს შემოწმებას“ [1].

აქ უნდა შევნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ავტორი არ აღნიშნავს გარკვევით იმას, თუ სახელდობრ რა საჭიროებს „შემოწმებას“ და როგორი თვალსაზრისით. არას ვამბობთ საერთოდ ავტორის ზოგად კონცეპციაზე, რომელიც ცალკე განხილვას მოითხოვს.

ამგვარია ზოგადად ამ ბრუნვის ფორმის კვალიფიკაცია არსებულ ლიტერატურაში. როგორც ჩანს, მკვლევართა უმრავლესობას ეს ფორმა მიაჩნია ბრალდებით ბრუნვად, უკეთეს შემთხვევაში, სანახევროდ მაინც ბრალდებითად, თავისებურებათა აღნიშვნით. უნდა ვიფიქროთ, საკითხის ამ მიმართულებით გადაწყვეტას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მოელენებს მკვლევრები აფასებდენ ინდო-ევროპული ენების სინტაქსური კონსტრუქციის თვალსაზრისით... ე. წ. პირდაპირი ობიექტის ბრუნვა ინდო-ევროპულ ენებში ბრალდებითია (აკუზატივია) და ამ ობიექტის გადმომცემი ბრუნვის ფორმა უდურშიც ბრალდებითი უნდა ყოფილიყო! ამ დასკვნას ვერ არღვევდა ის, რომ ეს ბრუნვა ხშირად სხვა ენათა მიცემითის ფუნქციას ასრულებდა და ისიც, რომ უდურში იმავე პირდაპირ ობიექტს ხშირად გადმოგვცემს სახელობითი და მიცემითი.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით ბუნებრივი იქნებოდა, თუ დავსვამდით საკითხს: არის კი ეს ბრუნვის ფორმა ბრალდებითი (აკუზატივი)? და თუ არ არის, რომელ ბრუნვას წარმოადგენს იგი?

ამ ბრუნვის ფორმასთან დაკავშირებული მორფოლოგიური ვითარება ამგვარად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. თუ ავიღებთ უდურ სახელებს: ადამარ—ადამიანი, ვიჩი—ძმა, ნანა—დედა... და ვაბრუნებთ მათ, გვექნება შემდეგი ფორმები (მოგვყავს ძირითადი ბრუნვების ფორმები, დანარჩენი ბრუნვები თანდებულიან ბრუნვებს წარმოადგენენ) [2]:

სახ.	ადამარ	ვიჩი		ნანა	
მოთხ.	ადამარ-ენ	ვიჩ-ენ	(←*ვიჩი-ენ)	ნანა-ნ	(←*ნანა-ენ)
ნათეს.	ადამარ-ი	ვიჩ-ი	(←*ვიჩი-ი)	ნანა-ა	(←*ნანა-ი)
მიც.	ადამარ-ა	ვიჩ-ე	(←*ვიჩი-ა)	ნანა-	(←*ნანა-ა)
„ბრალდ.“	ადამარ-ახ	ვიჩ-ეხ	(←*ვიჩი-ახ)	ნანა-ხ	(←*ნანა-ახ)

უკანასკნელი ფორმა (ადამარ-ახ, ვიჩ-ეხ, ნანა-ხ) ბრუნვისა მიჩნეული არის ბრალდებით ბრუნვად; მის ფორმანტად გამოიყოფა: -ახ (||-ეხ||-ოხ||-ხ||-ეხ). ეს მრავალფეროვნება აიხსნება გარკვეული ფონეტიკური პირობებით, მორფოლოგიურად კი ძირითადია -ახ ნიშანი.

[1] ი. მეშჩანინოვი, Новое учение о языке. 1936. გვ. 184 შნშ.

[2] უდური ბრუნვების შესახებ შდრ. ჩვენი: „სახელთა ბრუნებისათვის უდურ“ ენაში, „ენიმეცნიერების მოამბე“, I, გვ. 123 შმდ. შდრ. ა. დირი, Грамм., გვ. 13 შმდ.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს ფორმა წარმოებით დღეს ემყარება მ ი ც ე მ ი თ ი ს ფორმას:

მაგალ.: მიც.	ადამარ-ა	ეიჩ-ე
„ბრალდ.“	ადამარ-ა-ხ	ეიჩ-ე-ხ

ეს გარემოება შენიშნული აქვს ა. შ ი ფ ნ ე რ ს აც, მაგრამ ეს ფაქტი მის მიერ სათანადოდ არ ყოფილა შეფასებული.

ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ მოყვანილი ფორმები წარმოადგენს უდურის ვ ა რ თ ა შ ნ უ ლ ი კილოს კუთვნილებას. რაც შეეხება ნ ი ჯ უ რ ს, მასში „ბრალდებითის“ ფორმები დღეს მორფოლოგიურად თითქმის აღარ მოგვეპოვება. სახელდობრ, სადაც ვართაშნული ხმარობს „ბრალდებითს“, ნიჯური ჩვეულებრივ იყენებს მ ი ც ე მ ი თ ს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს 1934 წელს გამოსული უდური საანბანო წიგნიდან[1], რომელშიც მოთავსებულია პარალელური ტექსტები ვართაშნულსა და ნიჯურ კილოზე:

ვ ა რ თ ა შ ნ უ ლ ი:	ნ ი ჯ უ რ ი:
«მე ა შ ლ ა ხ ატუკსა სა ხაჲ» (Sd. 51a_{6-7})	«მე ა შ ლ ა ხ ანეკსა ხაჲდენ», (Sd. 51b_{7-8})
„ეს საქმე დაინახა ძაღლმა“.	
«მაალ ბუვაყსა, ვახ თანეშშა» Sd. 55a_{7-8}	«მაჲალ ჩურელაჲინ ვა თანეშტა» Sd. 55b_{6-8}
„სადაც გინდა, შენ წაგიყვანს [„წაგიღებს“]“.	
«იოლდაშ, ზახ აყანან კოლხოზა» Sd. 60a_{1-3}	«იოლდაშ, ზა ჰეხტანან კოლხოზა» Sd. 60b_{1-3}
„ამხანაგო, ამიყვანეთ მე კოლმეურნეობაში“.	
«ფინე ნიკოლაენ კოლხოზუნ ბულზაპკალტუხ» Sd. 60a_{3-5}	«ფინე ნიკოლაჲენ კოლხოზუნ ბულზაპკალა» Sd. 60b_{3-5}
„უთხრა ნიკოლოზმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს“.	
«ყაჭანეხა ტულლუხ, ბაჲანეხა ფინახ» Sd. 64a_{5-6}	«ყაჭანნე ტულა, ბაჲანნე ფინა» Sd. 64b_{4-6}
„ჰკრეფენ ყურძენს, სწურავენ ღვინოს“.	
«მიგილა ეჯურშ-ზ-ოწკესა ქულმუღოხ, ოზანეხ, იმხოხ» Sd. 66a_{1-3}	«მეჯურშ-ზ-ოწკესა ქულმუღო, ოზანა, უამუახხო» Sd. 66b_{1-3}.
„მსწრაფლ ამგვარად ვიბან ხელებს, კისერს, ყურებს“.	

[1] Çejrani T. (ჯიღარანი თ.), Sanıçi dƏs, Suxum, 1934. (შემოკლ. Sd., a აღნიშნავს ვართაშნულს, b ნიჯურს). მაგალითები შემოწმებული გვაქვს სოფ. ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს ა და ნ ი ჯ შ ი (1937 წლის ივლის—აგვისტოს მივლინების დროს)...

«სუნსუნახ დურუსლუღონ უკენ» «სუნსუნა დირისტულონ უკენ»
Sd. $76a_{3-4}$ Sd. $76b_{3-4}$

„ერთმანეთს მშვიდობა ვუთხრათ".

მოყვანილი მაგალითები გვიდასტურებს, რომ ნიჯური -ახ ფორმანტს აღარ ხმარობს. იგი არ გვხვდება აგრეთვე (მცირე გამონაკლისს გარდა) ჩვენ მიერ ჩაწერილ ნიჯურ ტექსტებშიც... მოსალოდნელი -ახ ბრუნვის მაგივრად გვაქვს მიცემითი (მორფოლოგიურად იმგვარიევ გაფორმებით, როგორც ეს ვართაშნულშიც გვაქვს)...

მაგრამ ამ ბრუნვის ფორმა ნაშთის სახით ჩვენ მაინც გვხვდება ნიჯურშიც: სახელდობრ ნაცვალსახელებს შემოუნახავთ იგი. მაგალ.:

«სა უსენინ ბაქატან, დახ-ალ ყუშკალ-ე»
„ერთი წელი |რომ| იქნება, ჩვენ-ც შეგვჭამს".

შდრ. «სამალ ქალა ბაქატან, მე ცადიზა-ალ ყუშკალ-ე»
„კიდევ დიდი |რომ| იქნება, ამ სოფელსაც შეჭამს".

«თავაკ-ყა-ზ-ბქსა, ზახ ჩარკესტა მე ბიჰჰი ყაშაბუნ»
„გთხოვ, მე გამათავისუფლო ამ მძიმე ტკივილისგან".

«ჰდითეთასტა ზაქი ვახ და ვი დრვლთახ ხათა თუ-ნე-ბუ»
„სიტყვას მაძლევს მე, რომ შენ ან შენს ქონებას ხათა არ ეკნება".

ასეთი ფორმების ხმარება ზემოხსენებულ შემთხვევებში მაინც ფაკულტატიურია: შეიძლება გექონდეს „ზახ..." და შეიძლება „ზა...". მაგრამ გვაქვს გარკვეული სინტაქსური ჯგუფი, რომელშიც მუდამ გვაქვს „ზახ, ვახ..." ფორმები. სახელდობრ ეს ფორმები სისტემატურად დაცულია „ყოფნა || ქონება" ზმნასთან. გვაქვს:

«ადლუხ ზახპუ ხური-ხური»
„ბავშვები მყავს წვრილწვრილი".
«დრვლთ გელე ზახპუ»
„ქონება დიდი მაქვს".
«ვი სა ბრლუქ ქულფშტ ვახპუ»
„შენ «წვრილშვილი» გყავს".
«სა თად რქუზ-ტუხ-პუდ»
„ერთი ცალი ხარი ჰყავდა".
«ვა ნუთ თე-დახ-პუ ბეშ ღი».

ამ გარემოების გამო ამ ზმნაში ჩვენ ვღებულობთ სრულიად თავისებურს, განსხვავებულს საერთო სისტემისაგან, უღვლილების ტიპს. ამ შემთხვევაში ნაცვალსახელოვანი ელემენტები ზმნის პირის ფორმებში გვაქვს ამ (ე. წ. ბრალდებითის) ფორმით, მაშინ როცა ჩვეულებრივ ზმნის უღვლილებაში გვაქვს სახელობითის ფორმები.

მაგალითად:

ზუ	ზახ-პუ (←ზახ-ბუ)[1]	—მაქვს
ჰუნ	ვახ-პუ (←ვახ-ბუ)	—გაქვს
შონო	ტუხ-პუ	—აქვს
ჲან	ჲახ-პუ	—გვაქვს
ვაან	ვაახ-პუ	—გაქვსთ
შოროხ	ტუახ-პუ	—აქვსთ

შდრ. ჩეჩნურებრივი უღელილება:

Inf. ქ ა რ ხ ე ს უ ნ — „ცხოვრება"

Präs.: ზუ	ქარჴხსა	—'ვცხოვრობ'
ჰუნ	ქარჴნხსა	
შო	ქარეხს	
ჲან	ქარჲანხსა	
ვაან	ქარნანხსა	
შოროხ	ქარტუნხსა	

უღელილების ორი ტიპის გამოყოფა დამახასიათებელია უფრო მკვეთრად ვართაშნულისთვის. ერთი ტიპი იქაც იძლევა ნაცვალსახელოვან ელემენტებს ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ს ფორმით[2] (ამგვარიე ფორმა მთლიანად გაბატონებულია ნოჯურში!), ხოლო მეორე ტიპს გვაძლევს მხოლოდ ა თ ი ო დ ე ზმნა: ამ ზმნებში ნაცვალსახელოვანი ელემენტები გვევლინება მ ი ც ე მ ი თ ბრუნვაში. გვაქვს:

I. ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ა ნ ი ზმნა:

Inf. მაიღუესუნ — „მღერა"

Präs.: ზუ	მაიღ-ზუ-ხა (მაიღ-ზუ-ეხა)	—ვმღერი
უნ	მაიღ-ნუ-ხა	—ჰმღერი
შონო	მაიღ-ნე-ხა	—მღერის
ჲან	მაიღ-ჲან-ეხა	—ვმღერით
ეჭან	მაიღ-ნან-ეხა	—ჰმღერით
შონორ	მაიღ-ყუნ-ეხა...	—მღერიან

II. მ ი ც ე მ ი თ ი ა ნ ი ზმნა:

Inf. ა კ ს უ ნ — „ხედვა"

Präs.: ზუ (‖ ზა)	ა-ზა-კსა	—მე ვხედავ
უნ (ვა)	ა-ვა-კსა	—შენ ჰხედავ
შეტინ (შეტუ)	ა-ტუ-კსა	—ის ხედავს

[1] რომ „ხ" აქ ისტორიულად არსებული მონაცემია, ამას უნდა მიუთითებდეს ა ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს პროცესიც: „ხ" იმსგავსებს „ბ"-ს და ხ → პ: ზახ-ბუ → ზაპუ.

[2] ასეთი ვითარება ნათელია ზოგ პირში (მაგალ. ზუ, ნე...), ხოლო ზოგი პირი საკვლევია (მაგალ. ნან..., ყუნ...).

ჲან (ჲა)	ა-ჲა-კსა—ჩვენ ვხედავთ
ეჭან (ვაჲ)	ა-ვაჲ-კსა—თქვენ ჰხედავთ
შოტღონ (შოტღო)	ა-ყო-კსა[1]—ისინი ხედავენ...

საყურადღებოა, რომ მეორე ტიპის (მიცემითიანი ზმნების) უღელილება ნიჯურში აღარ გვაქვს: იქ ან საერთოდ ზმნის ფუძე სხვაა, ანდა უღლილება მისდევს ჩვეულებრივ სახელობითიან ტიპს[2].

ამ ვითარების გათვალისწინებისას მნიშვნელოვანია ის, რომ ნიჯურში მაინც გვაქვს ერთი ზმნა, რომელიც უღელილებით განსხვავდება საერთო სისტემისგან. ბუნებრივია, დაისვას საკითხი: ხომ არ წარმოადგენს იგი მიცემითიანი უღლილების ნაშთს?[3] და მაშინ მასში წარმოდგენილი ნაცვალსახელოვანი ელემენტის ფორმები (ზაჰ, ვაჰ, ტუჰ...) ხომ არ წარმოადგენენ მიცემითის ფორმებს?...

ვართაშნულში დასტურდება ისეთი ფაქტები ე. წ. მიცემითიანი ზმნის უღელილების სისტემაში, რომელნიც სწორედ ამგვარი მიმართულებით გვაწყვეტინებენ დასმულ საკითხს. სახელდობრ, მიცემითიანი ზმნების უღელილებაში ჩვენ გვაქვს ნაცვალსახელოვან ელემენტთა მეორეგვარი, პარალელური ფორმები, რომელნიც სავსებით ემთხვევიან ნიჯურის ზემოხსენებულ თაისებურს ფორმებს (რასაკვირველია, მორფოლოგიურად)...

მაგალ. გვაქვს:

Inf. იღარიბსუნ—„მაცივებს"

«ზა თე-ზა-ბუყსაჲ, თე იღარიბაზაჰი»
(„მე არ მინდოდა, რომ მაცივებდეს...")

«ზუ თე-ზა-ბუყსაჲ, თე უნ იღარიბავაჰი»

«ზა თე-ზა-ბუყსაჲ, თე შოტუ იღარიბატუჲ»

«ზა თე-ზა-ბუყსაჲ, თე ჲა იღარიბაჲაჰი» (‖ თე ჲან იღარიბა ჲანი)

«ზა თე-ზა-ბუყსაჲ, თე ვაჲ იღარიბავაჲაჰი» (‖ თე ვაჲ იღარიბავაჲჲ)

«ზა თე-ზა-ბუყსაჲ, თე შოტღო იღარიბაყოჲჲ» (‖ შოტღონ იღარიბაყოჲ)...

შდრ. ჩვეულებრივი:

Präs.:	იღარიზაბსა	„მაცივებს"
	იღარივაბსა	„გაცივებს"
	იღარიტუბსა	„აცივებს"

[1] შდრ. ა. დირი, Einführ. გვ. 339.

[2] ამ ზმნების უღელილებასთან დაკავშირებულ საკითხებს ვეხებით წერილში: „ე. წ. მიცემითიანი ზმნები უდურში"...

[3] შდრ. აქვე, გვ. 144.

იღარიჲაბსა „გვაცივებს“
იღარივაბსანან „გაცივებსთ“
(‖ იღარივაბსა)
იღარიყობსა „აცივებს“...

ზემოყვანილი ზმნა წარმოადგენს მიცემითიან ზმნას, ე. ი. მისი უღვლილების დროს ნაცვალსახელოვანი ელემენტები (resp. პირის ნიშნები) წარმოდგენილნი არიან მიცემითი ბრუნვით. მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ პირველსა და მეორე პირში ჩვენ გვხვდება პარალელური ფორმები:

მხოლ. რიცხვში:	მრავლ. რიცხვში:
1 პ. ზა ‖ ზაბ	ჲა ‖ ჲაბ...
2 პ. ვა ‖ ვაბ	ვაჲ ‖ ვაჲბ...

ერთსა და იმავე სინტაქსურ კონსტრუქციაში ამ ორი მორფოლოგიური ოდენობის ერთი და იმავე ფუნქციით გამოყენება უსათუოდ უნდა მიუთითებდეს ამ ორი ფორმის იგივეობას—სინტაქსურად და მორფოლოგიურადაც. რამდენადაც ეჭვი არ არსებობს, რომ „ზა, ვა...“ და მისთ. ნამდვილად მიცემითს წარმოადგენენ, უნდა დავუშვათ, რომ „ზაბ, ვაბ...“ და მისთ. აგრეთვე წარმოადგენენ მიცემითი ბრუნვის ფორმას. მაშინ ნიჯურში შემორჩენილი გვექნება მიცემითიანი ზმნის ერთი შემთხვევა „ყოფნა‖ქონება“ ზმნის უღვლილების სახით, და მასში წარმოდგენილი ნაცვალსახელოვანი ელემენტებიც გვექნებოდა მიცემითი ბრუნვის ფორმით. ამდენადვე შემცდარად უნდა აღვიაროთ ის, რომ დღემდის ეს ფორმები მკვლევართა მიერ მიჩნეული იყო ბრალდებით ბრუნვად (აკუზატივად).

მაგრამ საკითხის ამგვარად გადაჭრის შემთხვევაში უდურში გვექნებოდა თითქოს ორი მიცემითი ბრუნვა. პრინციპულად ასეთი რამ შეუძლებელი არ იქნებოდა. უდურის მონათესავედ მიჩნეულს აღულურში, მაგალ., აღნიშნავენ აგრეთვე ორ მიცემითს; ა. დირი ამბობს: აღულურში „I მიცემითი ბოლოდება ტ-ნიშნით: გადაიტ. რუშატ, ბაჭატ... II მიცემითი—ს-ნიშნით: გადაის, ჰირას, რუშას, ბაჭას...“ [1].

უდურში ასეთ ვითარებას ვერ დავუშვებთ. უდურში ჩვენ უნდა გვქონდეს ერთი და იგივე მორფოლოგიური ოდენობა, ე. ი. ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე მიცემითი ბრუნვა (-ა ‖ -აბ სუფიქსით). ამათგან პირველი მიღებული უნდა იყოს მეორისაგან -ბ ელემენტის დაკარგვით: -აბ — -ა. ვართაშნულში ეს პროცესი არ არის დამთავრებული: ორივე სახეობა საერთოდ მკვიდრად არის წარმოდგენილი. ნიჯურში კი -აბ ფორმანტი ადგილს უთმობს -ა სუფიქსს, და ის შერჩენილია მხოლოდ ნაცვალსახელებში, ისიც გარკვეულ ვითარებაში (სახელდობრ „ყოფნა ‖ ქონება“ ზმნასთან).

[1] ა. დირი, Einführ., გვ. 278.

რომ -ა სუფიქსი გაბატონდა ნიჯურში და საერთოდ -აბ — ა-ს, ამისათვის შესაძლებელია ხელი შეეწყო თურქული ენის გარემოსაც, რამდენადაც მასში მიცემითის ნიშანი არის -a (‖ -ı)[1].

ასეთი გადატანა ფორმანტის ფუნქციისა ერთი ელემენტიდან მეორეზე პირველის დაკარგვის შემდეგ სრულიად დასაშვებია და ამის ანალოგიური მაგალიოები მოგვეპოება. ნიმუშად ქართული მოთხრობითის ისტორია შეიძლება მოვიყვანოთ, რომელშიც მოთხრობითის -ნ ფორმანტის როლი ახალ ქართულში ნაცვალსახელის ფუძემ -მა ‖ მ-მ იკისრა:

კაც-მა-ნ — კაც-მა...
დედა-მა-ნ — დედა-მ.

ამის მსგავსად უდურშიც შესაძლებელია დავუშვათ: სრული სახის მიცემითის ადგილს იპერს შეკეცილი მიცემითის ფორმანტი: -აბ — -ა.

მაგრამ ამ -აბ ფორმანტის მიცემითის ნიშნად გამოცხადებას ხელს უწყობენ აგრეთვე სხვა გარემოებანიც. როგორც ზემოთაც იყო მოხსენებული, ა. დირი ამ ბრუნვის ფორმას უკავშირებს ადგილობითს ბრუნვას (ლოკატივს). ასეთი დაკავშირება ზოგადად მართებული უნდა იყოს, მაგრამ „ბრალდებითობა“ ამ ორი ბრუნვის ფორმის ურთიერთობის გასარკვევად არაფერს შეგვმატებდა. ამ ფორმის მიცემითად მიჩნევა კი, ეფიქრობთ, უფრო გაარკვევდა ამ ბრუნვათა ურთიერთობას. სახელდობრ, მიცემითი ბრუნვა ჩვეულებრივად გამოყენებულია ლოკატივის მნიშვნელობით უდურში და ეს მოვლენა საერთო უნდა იყოს ზოგადად კავკასიური ენებისთვისაც. -აბ სუფიქსიანი ფორმის გამოყენება ლოკატივის ფუნქციით დღევანდელ უდურში შედარებით იშვიათია, რადგანაც მის ადგილს იპერს -ა სუფიქსი. მაგრამ მაინც გვხვდება ნიმუშები:

მაგალ.:

1. «მანეპსა ქურრა ოშეხ» (R 11_{13})
„მიაღწია ორმოს ქვეშ- [=ძირს].

2. «ეჲ თავარალ ხოდინ თუმეხ-ნე-ბითი» (I:v მთ. III, 10).
„და მახვილიც ხის ძირას ძევს...“.

3. «თანეშტა ჩრლეხ ოთარიჲიშტა»
„წაიყვანა მინდორში საძოვრად“.

[1] სრულებით გაუგებარია ზოგი მკვლევრის აზრი, რომ „ბრალდებითი“ უდურში განვითარდა უცხო სისტემის ენების, კერძოდ სომხურისა და თურქულის გავლენით. მაგალ. ა. დირი ამბობს: „აკუზატივი ნამდვილად განვითარდა ადგილობითი ბრუნვისგან სომხურისა და თურქულის გავლენით, სხვაგვარად მოცემულის მსგავსი მოვლენა შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც იგი სწორედ ყველა კავკასიური გრამატიკის საწინააღმდეგოა. ნამდვილად სომეხურის resp. თურქულის გავლენას მიეწერება ის, რომ განუსაზღვრელი პირდაპირი ობიექტი სახელობითში, განსაზღვრული ობიექტი კი იმ ბრუნვაში გვაქვს, რომელსაც ჩვენ აკუზატივს ვუწოდებთ...“ (ა. დირი, Einführ., გვ. 335, შნშ. 3). ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ნიჯურში ე. წ. ბრალდებითის ფორმანტად მიჩნეული -აბ კი არ უნდა შესუსტებულიყო, არამედ უფრო უნდა განმტკიცებულიყო!

მსგავსი მაგალითები ლოკატივის მნიშვნელობით მოყვანილი აქვს ა. შიფნერსაც. იგი ამბობს:

„-ახ ნიშნით დაბოლოებული ადგილობითი აღნიშნავს. რამდენიმე კავკასიური ენის მსგავსად, როგორც რაიმე ადგილას ყოფნას, ისე მოძრაობას რაიმე ადგილისაკენ; თუმცა უფრო ხშირად გვაქვს მისი შეცვლა თანდებულებით. მაგალითები: დუნიანიხ ბესალიბუ—„ქვეყნად მათხოვარნი არიან“, ხაშიხ თე-ნ-ბარეხა „სინათლეზე არ [უნდა] იყო“, ფაქიხ-ბაღში. ბუზაყსა, ჰაღაგიხ თაღაზ უშენქ -მინდა ტყეში წავიდე შეშისთვის...“ [1].

მაგრამ საყურადღებოა, რომ დღევანდელს უდურში ამ ფორმათა შესატყვისად გვაქვს: ჰაღაგი, დუნდანი, ფაქი, აგზი..., ე. ი. ამ შემთხვევაშიც სრული ფორმები შეცვლილია შეკვეცილით.

ამ ფორმაში (-ახ სუფიქსით) გვაქვს აგრეთვე მოცემული ზმნისართებიც, რაც ასე თუ ისე ამ ფორმის მიცემითობას უნდა მიუთითებდეს. მაგალითად:

«ახრახ თაცი, ბეღსანე სა ოსტავარ დავრაზინ ბოშ არცინე ნუთ აკეცი ხინარ» (R 12_{7-8})

„და ბოლოს წავიდა, ხედავს ერთი კარიბჭის შიგნით ზის უნახავი სილამაზის ქალწული...“.

«...ეთარ ახრახ არი, ჩურრეფი მე განე ლახო» (Ev. მთ. II. 9)
„...თუ როგორ ბოლოს მივიდა, გაჩერდა ამ ადგილის ზემოთ...“.

ამგვარია ამ ბრუნვის ფორმის მორფოლოგიური ვითარება. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა საკითხის გადაწყვეტისათვის უნდა ჰქონდეს მის სინტაქსურ ფუნქციას წინადადებაში. ამ მხარეს მკვლევრები ეხებოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, გარკვეული შეხედულება დღემდის არა გვაქვს ჩამოყალიბებული. მთავარი მიზეზი ამისა ის არის, რომ თვით უდურის ენობრივი მასალა არ იძლევა ამ მხრივ გარკვეულ სისტემას.

საქმის ვითარება ამგვარია. რეალური სუბიექტი უდურში გადმოიცემა ორი ბრუნვით: მოთხრობითით და სახელობითით ჩვეულებრივ, ხოლო ზმნათა ერთ ჯგუფთან მიცემითით (უკანასკნელ შემთხვევაში სისტემა უკვე შერყეულია) [2]. თუ რომელ შემთხვევაში რომელი ბრუნვა იხმარება—მოთხრობითი თუ სახელობითი, სამწუხაროდ მისი განსაზღვრა ამჟამად შეუძლებელია. ა. დირი შეეცადა მოეცა ზოგი წესი, მაგრამ ეს წესები არ დასტურდება მის მიერ მოტანილი მაგალითებითვე.

აკუზატივის საკითხისათვის უფრო მნიშვნელოვანია რეალური ობიექტის ბრუნვათა გათვალისწინება. რეალური ობიექტი უდურში შეიძლება გადმოიცეს: სახელობითით, მიცემითით და ე. წ. ბრალდებითი ბრუნვით, ამ სამ ბრუნვათაგან სახელობითით შეიძლება გადმოიცეს

[1] ა. შიფნერი, Versuch..., გვ. 42, § 168.
[2] შდრ. ა. დირი, Грамм., გვ. 80 შმდ.

ჰოლოლდ ე. წ. პირდაპირი დამატება, ხოლო დანარჩენ ორს თანაბრად შეუძლია გადმოგვცეს როგორც ე. წ. პირდაპირი, ისე ირიბი დამატებაც.

მაგალითად:

I. დამატება—სახელობითში:

1. «შეტინ თე-ნე-ბარეხა ხე თასშან» (R 13_{14}).
„ის ნებას არ აძლევს წყალი მოიტანოს".

2. «...ჰუნარ რუსტამენ-ნე-ბესა» (R 9_{9}).
„საგმირო საქმეებს რუსტამი აკეთებს".

3. «ამა სა კუტორ თე-აყი, იჩ ჟომო-ნე-ლახსა» (R 8_{16}).
„მაგრამ ერთი ნაჭერი რომ აიღო, თავის პირში იდებს...".

4. «ჭაჲყუნფე დუქენ, ბურყუნფე თოგდესუნახ»
„გახსნეს დუქანი დაიწყეს ვაჭრობა".

5. «ტესაჰათ ადლუნ ქეჲ ხაჲხაჲფი, ჩილინგ-ნე-სერბესა» (R 7_{9-10})
„იმ საათს ბავშვის ხელს ამტერეფს, ჩილინგს აკეთებს...".

IIa. მიცემითი გადმოგვცემს პირდაპირ ობიექტს:

1. «ჩურუფანან სურტუ... ფასჩაღლუღა, ვაჲ შეტა დოღრილულახ» (მთ. VI 33).
„ეძიეთ პირველად ...მეფობა და მისი სიმართლე...".

2. «ვაჲ ჲაყანები, კაწკაყუნ ბუთუნ აჲჲაღლუჲღო ეიფლეემა» (მთ. II 16).
„...და გაგზავნა, დახოცონ ყველა ყმაწვილი ბეთლემს...".

3. «პურან თანეშსა შეჲთანენ შოტუ გრლრ ალალუ ბურღოლ» (მთ. IV 8).
„ქვლაე მიჰყავეს ეშმაკს იგი ძალიან მაღალ მთაზე".

IIb. მიცემითი გადმოგვცემს ირიბ ობიექტს:

1. «ენ ხუპახ ზა თადა...» (R 14_{6-7}).
„შენ ფლავი მე მომეც".

2. «ჲაყალ მეტუ სა ადამარ-რე-ლამანდესა» (R 9_{6-7}).
„გზაზე მას ერთი კაცი შეხვდება".

3. «ვაჲ ეხნე შოტუ» (მთ. IV, 6, 9).
„და ეუბნება მას".

IIIa. -ახ ბრუნვა გადმოგვცემს პირდაპირ ობიექტს:

1. «რუსტამენ მეტა ბეხ ჩუკსანე» (R 11_{2}).
„რუსტამ მის თავს გლეჯს".

2. «ფასჰაღენ ჲაყანებსა მე ღარახ» (R 8_{9-10}).
„მეფე ჰგზავნის ამ ვაჟს".

3. «ფასჭაღენ კალლეხა რუსტამახ» (R 7_{15-16}).
„მეფე მოუწოდებს რუსტამს“.

4. «თოგიხლუ ქერხოხ აყი, თანესტა კიწკე ჲოლდაშა»
„ძვირფასი ქვები აიღო, მიუტანა პატარა ძმას“.

IIIb. -ახ ბრუნვა გადმოგვცემს ირიბ ობიექტს:

1. «ამა ჲახ თე-ნე-ფე»
„მაგრამ ჩვენ არ გვითხრა“.
2. «ვა ფინე შოტღოხ» (მთ. IV, 19).
„და უთხრა მათ“.
3. «სუნსუნახ შეთარ ბიყუნყესა» (R 8_{18-19}).
„ერთმანეთს იმგვარად ეცნენ“.
4. «რუსტამენ ეხნე მეტუხ» (R 9_{12}).
„რუსტამი ეუბნება მათ“.
5. «ბეზ ფაქიხ ყეჲრიტა ქეხ თადალ-თე-ზ»
„ჩემ ბაღს სხეისა (უცხოს) ხელს[ში] არ მივცემ“.
6. «თე შოტღონ ბარბაყუნ შოტღოხ» (შიჟ., გვ. 33, 41).
„რომ მათ დაურიგონ მათ“.
7. «ზუ **ვახ** თაზდესა თანგა» (დირი, 63_{18})
„მე **შენ** გაძლევ ფულს“.

მსგავსი მაგალითების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ აქ მოტანილიდანაც ცხადია, რომ ობიექტის გადმოცემის თვალსაზრისით ეს სამივე ბრუნვა—სახელობითი, მიცემითი და -ახ ბრუნვა—პრინციპულად ერთგვარი ფუნქციის მატარებელი არის. უდური ენის მკვლევრებს კი საქმის ვითარება სხვაგვარად ესმოდათ და ზოგ შემთხვევაში შეცთომაც მოსდიოდათ. კერძოდ ა. დირი ამტკიცებდა: „ზმნათა მიერ ბრუნვების მართვის საკითხი, მე მგონია, ყველაზე საჭირბოროტო საკითხია უდური გრამატიკისა. რამდენიც უნდა დავადგინოთ წესები, მაინც აღმოჩნდება მაგალითები, რომელნიც გამონაკლისს წარმოადგენენ. პირდაპირი დამატება მოქმედებითი გვარის ზმნისა დაისმის ბრალდებით ბრუნვაში, ირიბი დამატება კი—მიცემითში...“ [1].

ამ მსჯელობაში საყურადღებოა იმის მითითება, რომ საძნელოა მართვის გარკვეული წესების დადგენა უდურში. ეს რამდენადმე გამოწვეულია უდურის შეუსწავლელობით. ცხადია, არ შეიძლება ენის გრამატიკული აგებულება, თუ მას სათანადოდ გამოვიკვლევთ, გარკვეულ სისტემაში არ ჩამოყალიბდეს. სამწუხაროდ, შეუძლებელია ამ ზოგადი საკითხის აქ გარკვევა. ამ შემთხვევაში უფრო საყურადღებოა ა. დირის დებულება, რომ „პირდაპირი

[1] ა. დირი, Грамм., გვ. 80.

დამატება... დაისმის ბრალდებით ბრუნვაში, ირიბი დამატება კი—მიცემითში". ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი შეხედულება არაა სწორი, ის არ ასახავს უდურის ენობრივ სინამდვილეს. სახელდობრ, გამოტოვებულია სახელობითი, როგორც დამატების ბრუნვა და მექანიკურად მიკუთვნებულია ე. წ. ბრალდებითი—პირდაპირი, ხოლო მიცემითი—ირიბი ობიექტისათვის: ნამდვილად კი ხშირად გვაქვს ამ ბრუნვათა სრულიად საწინააღმდეგო ხმარებაც. მიუხედავად ამისა, ამგვარ შეხედულებას ყველა მკვლევარი, ვინც კი უდურს შეხებია, იზიარებდა. მხოლოდ ჰ. შუხართმა შეიტანა ამ ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციის გაგებაში თავისებური თვალსაზრისი. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ე. წ. ბრალდებითი ბრუნვა არა მარტო პირდაპირ ობიექტს, არამედ ირიბ ობიექტსაც გადმოგვცემს („müssen auch wir... ihn [d. Akkusativ] durch den Dativ wiedergeben")[1]. მანვე გარკვევით დასვა საკითხი: „...და შემდგომ უნდა ვიკითხოთ, პირდაპირი ობიექტი მუდამ აფექტიურით გამოიხატება, თუ არა. ტექსტების ზერელე გადათვალიერება საკმარისია, რომ ეს აზრი უარვყოთ..."[2].

ჰ. შუხართი შეეცადა ამგვარი ვითარების განმარტება მოეცა. მას არ აკმაყოფილებს ა. შიფნერის მიერ იმ შემთხვევათა ახსნა-განმარტება, როცა -ან ბრუნვის მაგიერად სახელობითი იხმარება: ა. შიფნერი ამგვარ ვითარებას ხსნიდა სხვა ენების ანალოგიით[3]. ჰ. შუხართი იძლევა თავის ახსნას:

„...თუმცა დედააზრი [ამ მოვლენისა] შესაძლებელია სხვა ენათა ინდეფინიტივით გაირკვეს. მართლაცდა, აფექტივი სცლის ჩვენს განსაზღვრულს, ხოლო სახელობითი ჩვენს განუსაზღვრელს აკუზატივს..."[4].

სამწუხაროდ, ამგვარი ახსნა არ შეესატყვისება უდური ენის სინამდვილეს. ჯერ ერთი, ღიად რჩება საკითხი იმ შემთხვევათა შესახებ, როცა -ან ბრუნვა ირიბ დამატებასაც აღნიშნავს; ამასთანავე არაა გათვალისწინებული მიცემითის ორგვარი ფუნქცია (გადმოგვცემს ირიბსა და პირდაპირ ობიექტს). მთავარი კი ის არის, რომ უდურში არ არსებობს ისეთი განაწილება ფუნქციებისა, როგორსაც ჰ. შუხართი ამ ორ ბრუნვას მიაკუთვნებს. თვით მის მიერ მოტანილი მაგალითებიც ნათელ დასაბუთებას არ იძლევა ამგვარი დიფერენციაციის არსებობისათვის[5].

---

[1] ჰ. შუხართი, Über d. Passiv., გვ. 31, შდრ. აქვე გვ. 140.

[2] ჰ. შუხართი, op. cit., გვ. 32: „Und sodann frägt sich, ob das direkte Objekt immer durch den Affektiv ausgedrückt wird. Ein flüchtiger Blick auf die Texte genügt, um das zu verneinen".

[3] შდრ. ა. შიფნერი, Versuch..., გვ. 41, § 159.

[4] ჰ. შუხართი, Über d. pass. Char., გვ. 32: „...wohl aber wird der Kernpunkt durch die Erwegung des Indefinitivs anderer Sprachen gestreift. In der Tat ersetzt der Affektiv unsern bestimmten, der Nominativ unsern unbestimmten Akkusativ...".

[5] უდურში განუსაზღვრელობა აღინიშნება „სა"—„ერთი" სიტყვით, განუსაზღვრულობა კი—ჩვენებითი ნაცვალსახელით: მაგალ. «ბანექე სა ჩობან, მე ჩობანი ბატაქეჲ სა ჩუბუხ, სა ღარ, იჩ წი რუსტამ. არი სა ვახტა, მე ჩობან ბიესანე» — „იყო ერთი მწყემსი, ამ მწყემსს ჰყავდა ერთი ცოლი, ერთი შვილი, მისი სახელი რუსტამი. მოვიდა ერთი დრო, ეს მწყემსი მოკვდა..." (R 7_{2-3}).

უნდა ვიფიქროთ, ამგვარ თვალსაზრისს ჰ. შუხართს უკარნახებდა სხვა სისტემის ენების ვითარება. საკითხის გადაჭრა კი უნდა ვეძებოთ ზოგადი კავკასიური სინტაქსური კონსტრუქციის გათვალისწინებით. სახელდობრ, ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ის, რომ პირდაპირი დამატების გადმოცემა შესაძლებელია როგორც სახელობითით, ისე მიცემითით და ამ ფუნქციისათვის არაა საჭირო ცალკე ბრალდებითი ბრუნვის არსებობა. კერძოდ, უდურის მიმართ საკითხი მარტივდება. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ -ახ ბრუნვა წარმოადგენს იმავე მიცემითს, და ამიტომ გასაგებია, თუ ის იჩენს მიცემითის საერთო თვისებებს. ამას ამტკიცებს უდურის კილოების მორფოლოგიურ მონაცემთა შედარებითი ანალიზიც.

მართალია, საკითხის ამგვარად გადაჭრის შემთხვევაშიც რჩება ძირითადი საკითხი: როგორია კონკრეტული გამოყენება უდურში, ერთი მხრით, სახელობითისა, მეორე მხრით, მიცემითის ამ ორი სახეობისა? ქართულში ჩვენ გვაქვს გარკვეული სისტემა სახელობითისა და მიცემითის სინტაქსური გამოყენებისათვის. ამ სისტემის გარკვეულობა არსებითად უნდა ემყარებოდეს ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის მკვეთრად ჩამოყალიბებას ქართულში. რამდენადაც უდურში არაა მკვეთრად ჩამოყალიბებული გარდამავლობის კატეგორია, იმდენად არაა გამოკვეთილი ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციებიც. მაგრამ გარკვეული წესები აქაც უნდა შეინიშნებოდეს. მათი გამოვლენა შემდგომი კვლევის საგანია[1].

---

[1] ე. წ. ბრალდებითის (აკუზატივის) საკითხის საბოლოო გარკვევა შეიძლება უდურის-მონათესავე ენათა — სახელდობრ ლეზგიურ ენათა — მონაცემების შედარებითი გათვალისწინების შემდეგ.

შემოკლებანი:

K = Рустам (უდური ხლაპარი) Сб. МОМПК, VI, 1888.

Ez. მთ, მყ. და სხვა = უდური ოთხთავის შესატყვისი თავები. Сб. МОМПК, XXX.

როდესაც მაგალითის წყარო მითითებული არ არის, მოყვანილია ცოცხალი მეტყველებიდან (ჩვენი ჩანაწერების მიხედვით).

ვ.ი. ფანჩვიძე

К ВОПРОСУ О ГЕНЕЗИСЕ АККУЗАТИВА В УДИНСКОМ ЯЗЫКЕ

РЕЗЮМЕ

1. Большинство исследователей удинского языка (Мюллер, Еркерт, Дирр...) устанавливает наличие в нем винительного падежа (аккузатива), с суффиксом -ъъ -ах (‖ -ъъ-ех ‖ -ъъ-ох ‖ -ъ-х); они признают тождественность этого падежа с аккузативом индоевропейских языков. Существует, однако, и другое понимание этой формы (Шифнер. Шухардт...); при этом высказывалось сомнение: действительно ли эта форма является формой винительного падежа (Шухардт, Мещанинов...)?

2. В современном удинском языке (в его диалектах) выявляются факты, которые дают возможность предположить, что в этой падежной форме мы не должны иметь винительного падежа.

Именно:

А. В ниджском диалекте этот падеж обычно заменяется дательным падежом; но в спряжении одного глагола—в виде пережитка—он сохраняется в личных местоименных элементах (ъъъ-ъу zax-pu—я имею, ъъъ-ъу vax-pu—ты имеешь...); в аналогичной конструкции в варташенском говоре мы имеем дательный падеж.

В. В варташенском говоре мы имеем параллельное употребление двух форм в спряжении одной группы глаголов: местоименный элемент, использованный в качестве аффикса, выступает в дательном и в этом т. н. винительном падежах (ъъъ-ъъ ‖ ъъъ-ъъъ aba-va ‖ aba-vax—ты знаешь...).

3. Синтаксически этот падеж выявляет одинаковые функции с дательным падежом: оба падежа употребляются для передачи как прямого, так и косвенного дополнения.

4. Исходя из вышеприведенных данных, можно предполагать, что эта форма является вариантом дательного падежа, с полным падежным окончанием (-ъъ —> -ъ -ах —> -а).

VL. PANTCHVIDZE

A PROPOS DE LA GÉNÈSE DE L'ACCUSATIF DANS LA LANGUE OUDINE

RÉSUMÉ

1. La plupart des explorateurs de la langue oudine (Müller, Erckert, Dirr) y établissent la présence de l'accusatif avec le suffixe -ъб -ax (‖ -ꝯб -ex ‖ -ѡб -ox ‖ -б -x); ils reconnaissent l'identité de ce cas avec l'accusatif des langues indo-européennes. Il existe pourtant une autre conception de cette forme (Schiefner, Schuchardt); mais en même temps on se demandait si cette forme présentait réellement un accusatif (Schuchardt, Mestchaninov)?

2. Certains éléments de l'oudine contemporain (dans ses dialectes) nous laissent supposer que dans ce cas on n'a pas d'accusatif. A savoir:

A. Dans le dialecte nidje ce cas est ordinairment remplacé par le datif; mais dans la conjugaison d'un seul verbe il s'est conservé — comme survivance — dans les éléments des pronoms personnels (ъъб-ɜꝯ sax-pu — j'ai, ꝯъб-ɜꝯ vax-pu — tu as...); dans le parler vartachène on a un datif pour la même construction.

B. Dans le parler vartachène on a un emploi parallèle de deux formes dans la conjugaison d'un groupe de verbes: l'élément pronominal employé comme préfix apparaît au datif et au soi-disant accusatif (ъбъ-ꝯъ ; ъбъ-ꝯъб **aba-va ‖ aba-vax** — „tu sais").

3. Syntactiquement ce cas montre des fonctions communes avec le datif: tous les deux s'emploient pour le complément **direct** et **indirect.**

4. En partant des données ci-dessus on peut supposer que cette forme présente une variante du **datif avec la terminaison de cas tout entière** (-ъб — -ъ **ax** — **a**).

ლეონ მელიქიშვილი-ბეგი

გარესჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა — ძართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული [1]

როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ე.-წ. „განგება დარბაზობისაჲ“-ს ტექსტის მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ, ერთი რამ საესებით უდავოა: იგი უტყუარი გამომხატველია ძველი საქართველოს კანონიკური წყობილების სურათისა გარკვეული დროისათვის და, ყოველ შემთხვევაში, არა-უადრეს XV საუკუნისა [2].

მაგრამ ქართული კანონიკური სამართლის ეს ძეგლი დღემდე ჯეროვნად შეფასებული არ არის, ძველ ლიტერატურას რომ თავი დავანებოთ, უკანასკნელი დროის ისეთ გამოკვლევებშიც კი, როგორიც არიან აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს „ქართული სამართლის ისტორიის“ II წიგნის მეორე ნაკვეთი (ტფ. 1929), სადაც „პირველი კარის“ მესამე თავში სპეციალურად განხილულია ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო სამართლის სისტემაში, და პროფ. კ ო რ ნ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს „კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში“ (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1930, გვ. 313—345), სადაც საუბარია მხოლოდ XII საუკუნის წინა დროის იერარქიული სტრუქტურის შესახებ.

ჩვენ ამჟამად აღნიშნული ძეგლი თავისი მთლიანი სახით კი არ გვაინტერესებს, არამედ მხოლოდ ერთი დეტალით „მღვდელმთავართა“ განრიგებაში, სადაც მე-9 და მე-11 ადგილას მოხსენებული არიან „ნინოწმიდელი არქიმანდრიტი“ და „ანჩელი არქიმანდრიტი“ და თანაც ახლავს მას (განრიგებას) ასეთი განმარტება: „შემოვიდეს ანჩელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ნინოწმიდელისა ქვემოთ“ [3].

მაშასადამე, 35 მღვდელმთავრისაგან შემდგარ სინკლიტში „ნინოწმიდელი“ და „ანჩელი“ მოწინავე რიგებში იხსენიებიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქოს არქიმანდრიტები იყვნენ მხოლოდ.

---

[1] გადამუშავებული მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქნა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე (პროფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს თავმჯდომარეობით) 13. VI. 1930.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფ. 1928, გვ. 71—73; *ლ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული წარწერა ანჩის ეკლესიის ნანგრევებში, II, ჰსსრ. 1930, გვ. 73.*

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, ტფ. 1892, გვ. 46 = A. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, в. I, Спб, 1894, стр. 294—ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, I, ტფ. 1907, გვ. 78,83.

მაგრამ სათანადო საბუთებთან გაცნობა ააშკარავებს, ერთი მხრივ, იმას, თუ ნინოწმიდელი და იშხნელი „განგება დარბაზობისაჲ“-ში რატომ არიან არქიმანდრიტებად და ერთიმეორის გვერდით მოხსენებულნი, ხოლო, მეორე მხრივ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გამორკვევას გარესჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკის მიმართ.

ცნობილია, რომ ტერმინი „არქიმანდრიტი“ როგორც ქართულსა, ისე რუსულში მუდამ ჩვეულებრივი მნიშვნელობით კი არ იხმარებოდა, როგორც მიტრაშემოსილი ღვდელმონოზონისა, არამედ სპეციფიკურითაც, როგორც „მაკურთხეველ არქიმანდრიტისა“, ე.-ი. священно-архимандрит-ისა. ასეთი წოდებით რუსეთის საეკლესიო იერარქიაში აღჭურვილნი იყვნენ ე.-წ. „უწმიდესი სინოდის“ სტავროპიგიებად ცნობილ ლავრათა წინამძღვრები, რომელნიც ამავე დროს სათანადო ეპარქიების მმართველი მიტროპოლიტნი გინა მთავარეპისკოპოზნი იყუნენ, მაგალითად: პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი — ალექსანდრე ნეველის ლავრისა, მოსკოვისა და კოლომნას მიტროპოლიტი — სამება-სერგიევისა, კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი — კიევის მღვიმისა, ხოლო ვოლინისა და ჟიტომირის მთავარეპისკოპოზი — პოჩაევისა.

ასეთსავე წესს გაცილებით ადრე ჩვენ ვხვდებით საქართველოშიც ნინოწმიდელისა და ანჩელის მიმართ, რომელთაც მიტროპოლიტის გინა მთავარეპისკოპოზის პატივი ჰქონდათ, მაგრამ არქიმანდრიტებად იწოდებოდნენ განსაკუთრებითი მნიშვნელობით[1], რაიც ნათლად გამოხატულია მთელ რიგ საბუთებში მოყოლებული XVI საუკუნიდან.

მაგალითად:

ლეონ მეფე 1553 წ. ერთი სიგლით, სხვათა შორის, მიჰმართავს „ნინოწმიდას და **ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტელსა** მამასა სილოანსა“[2].

იგივე მეფე იმავე წლის სხვა სიგლით მიჰმართავს „ქართლისა განმანათლებელსა დედასა და ემბაზსა წმიდასა მოციქულსა ნინოს და ტაძრისა მისისა საჭედმპყრობელსა და შემომკობელსა და **ათორ[მეტ]თა უდაბნოთა მაკურთხეველსა არქიმანდრიტ ნინოწმიდელსა** ზაქარიას“[3].

ალექსანდრე მეფეც 1597 წ. სიგლით ასე მიჰმართავს ნინოწმიდელს: „თქუენ ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა ჩუენსა მცველსა და მფარველსა **ათორმეტთა უდაბნოთა საჭეთმპყრობელსა** წმიდასა ნინოს“[4].

ანტონ I კათალიკოზსაც 1771 წ. ერთს განჩინებაში ეპარქიათა მართვა-გამგეობის შესახებ, სხვათა შორის, მოხსენებული ჰყავს „ყოელადსამღვდელო“ საბა „ნინოწმიდელი მიტროპოლიტი და **ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი**“[5].

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, არქეოლოგიური მოგზაურობა გარეკახეთსა და ჰერეთის ხეობაში, „სახალხო საქმე“ 1920 წ. № 964.

[2] თ. ურდანია, ქრონიკები, II, ტფ. 1897, გვ. 396.

[3] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ. 1913, გვ. 64.

[4] იქვე. 89.

[5] Д. Иустиниани, Грузинские церковные гуджари (грамоты), Т. 1881, стр. 31.

ირაკლი II მეფისა და ანტონ II კათალიკოზის 1795 წ. განჩინებაშიც მოხსენებულია „ყოველადსამღვდელო საბა ნინოწმიდელი“, „ნინოწმიდელი მიტროპოლიტი“ და „ნინოწმიდელი **არქიმანდრიტი**“ [1].

ნათლისმცემლის 1778 წ. „თავშემოწირულობის“ წიგნს ამტკიცებს ნინოწმიდელი საბა შემდეგი რეზოლუციით: „ქ. ჩვენ ყ“დ სამღვდელო ნინოწმიდელ მიტროპოლიტი და **ათორმეტთ უდაბნოთ მაკურთხეველი** ნინოწმიდელი საბა და თავშემოწირულობის წიგნის მოწამე ვარ და... ვამტკიცებ ამ წიგნსა მაისს ბ. უდვ“[2].

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. (S) კოლექციის № 1521 ხელნაწერში, რომელიც წარმოადგენს იოანე მმარხეელის სჯულის-კანონს, დაწერილს 1811 წ. 11 დეკემბერს გერონტი არქიმანდრიტის მიერ, მოთავსებულია შემდეგი შინაარსის შენიშვნა: „ყ“დ ოჳსამღოჳდელოჳს წმიდას მეოჳფესს **არხიმანდრიტელ**-ნინოწმიდელ მიტროპოლიტსა მწყემსსა, ჩემს მოწყალეს ჴელმწიფეს მიხაილს“ [3].

ასეთივე ხასიათის ცნობა იშხნელის მიმართ მოიპოვება ე.-წ. ანჩის ოთხთავში, რომელიც ზემო-წალკის ს. წინწყაროში იყო დაცული და 1924 წ. ჩვენ მიერ იქნა ჩამოტანილი ტფილისში და ამჟამად საქართველოს ცენტრარქივშია დაცული. ამ ოთხთავში, რომელიც თავის დროზე ე. თაყაიშვილმა აღწერა [4] და რომელსაც გაკვირთ ჩვენც შევეხეთ [5], მოიპოვება თამარ მეფის დროის მინაწერი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ადიდენ წმიდაჲ მღვდელმოძღვარი თეოდორე ანჩელ მთავარეპისკოპოსი და **ათორმეტთა უდაბნოთა ალქიმანდრიტი**“ მღვდელთმოძღვრებასა მათსა შინა“ etc.

ერთი სიტყვით. ყველა ზემომოყვანილი ცნობა როგორც ნინოწმიდელის, ისე ანჩელის შესახებ გვიჩვენებს, რომ მათი „არქიმანდრიტობა“ ჩვეულებრივი ხასიათისა კი არ იყო, არამედ განსაკუთრებულისა, ე. ი. რომ ისინი „მაკურთხეველ არქიმანდრიტები“ იყვნენ მიტროპოლიტის ანდა მთავარეპისკოპოზის ხარისხით.

დამაფიქრებელია მხოლოდ ერთი გარემოება, რომ ორსავე შემთხვევაში „ათორმეტთა უდაბნოთა“ ხსენებასთანა გვაქვს საქმე: რაღა 12 და არა მეტი ან ნაკლები უდაბნო აღინუსხა საქართველოს ორსავე ეკიდეურესს--აღმოსავლე-

---

[1] Там-же, 33--34.

[2] ს. ყაყაბაძე, ისტორიული საბუთები, V, ტფ. 1915, გვ. 92.

[3] იხ. ხელნაწერით გვ. 1, შდრ. გვ. 7.

[4] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. III, Т. 1907, стр. 99.

[5] Л. Меликсет-Беков, Из материалов поездки на Цалку,- «Известия Кавказского Историко-Археологического Института», т. IV, Т. 1926, стр. 133.

[6] „ალქიმანდრიტი“ შედგება რეგრესული დისიმილაციისა „არქიმანდრიტი“-საგან (თანახმად ფორმულისა: რ—რ—ლ—რ), როგორც მთელ რიგ სხვა შემთხვევებში: ორარი—ოლარი, არაჯორი—ალაჯორი, ამირახორი—ამილახორი, ამირბარი—ამილბარი, შარვარი—შალვარი (აგრეთვე: შარვალი), ჩორორდ (*չորրորդ*)—ჩოლორდი, ზორავარ (*զորավար*)—ზოლავარი, რეხური—ლეხური (აგრეთვე: რეხულა), ურაკპარაკი—[უ]ლა[კ]პარაკი ‖ ლაპარაკი, შურავერი—შულავერი, Ararad ‖ Arard—Ἀλαρόδιος (Herod. Hist. III, 94) და სხვ.

თისა და დასავლეთის--კუთხეში მოქცეულ სამონასტრო კომპლექსში? ჩვენ პირადად გვგონია, რომ ციფრი 12 ამ შემთხვევაში სიმბოლური ხასიათისაა, 12 მოციქულის ანალოგიით შექმნილი[1], რომელიც არქეოლოგიურ რეალიებს არ შეესაბამება, მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული მ. ჯანაშვილი ცდილობდა სათითაოდ ჩამოეთვალა გარესჯის 12 უდაბნოს სახელები: გარესჯა, მოწამეთა, ბერთუბანი, დოდორქისა, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრ-სენაკები, მღვიმე, ქალაგირი, მოხატული, ვერან-გარეჯა და პირუკუღმართი[2], თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ეს სია ისტორიულ საბუთებზე კი არ არის დამყარებული, არამედ დავითგარეჯის ან ნათლისმცემლის ყ. მონასტრების ძმობათა წრიდან მომდინარე ზეპირთქმულებაზე მხოლოდ. ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენ სამონასტრო კომპლექსებს დავითვლით, მაშინ მათი რიცხვი 12-ზე ნაკლები გამოვა, ხოლო თუ ცალცალკე ეკლესიებს, მაშინ 12-ზე გაცილებით მეტი მღვიმის ეკლესიასთან გვექნება საქმე. რამდენადაც „მრავალმთის-ეკლესია-სამლოცველოთა რიცხვი რამდენსამე ათეულს აღწევს.

ამრიგად, ცხადია, რომ „ათორმეტნი უდაბნონი" ერთგვარი termini technici-ა, რომელიც ერთიმეორეს ახლოს მდებარე უდაბნოთა ანუ მონასტერთა კომპლექსს აღნიშნავს საერთოდ.

ასეთი გაგებითაა ეს ტერმინი ნახმარი გარესჯის „მრავალმთის" მიმართ 1553, 1597, 1771 და 1778 წწ. საბუთებში, ხოლო ანჩის მიმართ თამარ მეფის დროინდელ საბუთში.

ასეთივე გაგებითაა იგივე ტერმინი ნახმარი აგრეთვე „კარის გარიგება"-სა და „ჟამთააღმწერლობა"-ში, რომელთაგან პირველი ჰგულისხმობს გარესჯის „მრავალმთა"-ს, ხოლო მეორე ანჩას: „ძმანი გარესჯელნი და **თორმეტნი უდაბნოთანი**, ვითარცა მართებს,... ესენი [დასხდენ] მარცხენის მჯრის სუფრასა". - ეკითხულობთ პირველში"; „მაშინ ბექამან დაიპყრა ქვეყანა ტასის-კარითგან კარნუ-ქალაქამდის. სამცხე, აჭარა. შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო. ვაშლოვანი, ნიგალის-ჴევი, არტანუჯი, **ათორმეტნი უდაბნონი**, კოლა. კარნიფოლა და ორნიე არტაანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს"[3].

„მაკურთხეველ არქიმანდრიტის" ინსტიტუტის არსებობა ფეოდალური საქართველოს მხოლოდ-და-მხოლოდ ორ კუთხეში, რომელთაგან ერთი აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე გარესჯის „მრავალმთა" იყო, ხოლო მეორე დასავლეთ საზღვარზე მდებარე ანჩა, ცხადჰყოფს, რომ მათი სახით ქართველთა დიოფიზიტობას (ქალკედონიზმს) გარკვეული დროიდან **ერთგვარი სადარაჯო ჰქონდა**

---

[1] შდრ. იოანე ზედაზნელის მეთაურობით ცნობილ 12 სირიელ მამათა კრებული, რომელიც „იესო ქრისტესა და მის 12 მოწაფის მისიის ანალოგიით"-აა შექმნილი (ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ,--„ტფილისის უნივერსიტეტის შრომებ", VI, 1926, გვ. 87—88, 105--106).

[2] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია. გამ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს რედ., ტფ., 1904, გვ. 67, შენ. 122.

[3] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, კელმწიფის კარის გარიგება, ტფ., 1920, გვ. 17.

[4] ქ. ც. მარიამ დედოფლის ვარიანტი, 719--ქ. ც., ბ რ ო ს ე გამ. I, 413.

შექმნილი ჰერეთსა და ტაო-კლარჯეთში, დიოფიზიტური (ქალკედონისტური) საქართველოს დაცვისა და დახსნისათვის მონოფიზიტობისაგან (ანტიქალკედონიზმისაგან), რომელიც ძველად სწორედ ამ მხარეებს გააჩნია, კერძოდ X საუკუნემდე ჰერეთ-კახეთსა.

გავიხსენოთ პროფ. კ. კეკელიძის მიერ „სირიელ“ მოღვაწეთა შესახებ წამოყენებული დებულება. რომ ისინი „არ იყვნენ მართლმადიდებელნი ან დიოფიზიტნი. არამედ ანტიქალკედონისტები ან მონოფიზიტები“, და აგრეთვე ის. რომ „მათ გადაუტანიათ მთელი სიმწვავე იმ დევნულობისა. რომელსაც ადგილი ჰქონდა სირიაში მეექვსე საუკუნის სიგრძეზე. და ქართლში მოსულან არა სამისიონერო მიზნით, არამედ იძულებით“. ვინაიდან „ისინი გამოქცეულან დასახელებულ დევნულობას“[1]: გავიხსენოთ. ამასთან დაკავშირებით, დავით გარეჯელის „ცხორების“ ის ადგილი. სადაც აღწერილია „ბარბაროზისა ვინმე ნათესავისა ადგილთაგან რუჲსთაჲისათა“ სანადიროდ წამოსვლა „მახლობლად ადგილსა მას. სადა ილოცვიდა წმიდად დავით“. რომელმაც.—ჰაგიოგრაფის სიტყვით.—მიუგო იმ ბარბაროზს „**სომხურითა ენითა**“-ო[2]; აგრეთვე გავიხსენოთ „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და Ცერეთისაჲ“-ს ქრონიკის ის ცნობა. რომ „იშხანიკისამდე (ე. ი. X ს.-მდე. ლ. მ.-ბ.) იყო Ცერეთი **მწვალებელი**“. ხოლო „დინარ დედოფალმან მოაქცია Ცერეთი **სომეხთა წვალებისა-გან** მართლმადიდებლობისა აღმსაარებლად“[3]; და ჩვენთვის საესებით ნათელი გახდება გარესჯის „მრავალმთის“ წარსულის ერთერთი მივიწყებულ ფურცელთაგანი, რომლის ოდნავი და მკრთალი გამომხატველია დღემდე მოღწეული კედლისმხატვრობის ზოგიერთი მომენტი. ხოლო შორეული გამოძახილი — შედარებით მდიდარი სომხური ეპიგრაფიკა.

* * *

გარესჯის „მრავალმთის“ რაიონში ჩვენ პირადად მოგვიხდა ყოფნა ორჯელ: ორჯელვე პროფ. გ. ჩუბინაშვილის მეთაურობით შემდგარ ექსპედიციებში მონაწილეობის სახით — პირველად 1921 წ. ოქტომბერს. ხოლო მეორედ და უკანასკნელად 1929 წ. ოქტომბერს[4].

პირველი მოგზაურობის დროსვე გამოირკვა, რომ ხსენებული რაიონი არაჩვეულებრივად მდიდარია წარწერებით კედლის ნაკვეთობაზე როგორც ქართულსა და სომხურს, ისე ბერძნულსა და თითქმის ყველა აღმოსაელურ ენებზე. და ამ წარწერების სიმდიდრისა და მრავალფეროვანობის მხრივ ამ რაიონს, შეიძ-

---

[1] კ. კეკელიძე, op. cit., loc. cit., 106.

[2] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, სპბ. 1882, გვ. 277—ს. კაკაბაძე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, ტფ. 1928, გვ, 40—41: შდრ. *ს. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, Վրաց ազգագրական հայագտանի և հայկական մասին*, I, *Եր. 1934, էջ 98*.

[3] ქ. ც. II, 97; შდრ. H. Marr, Аркаун etc.,—«Вив. Временник», XII, 1905, стр. 7; *მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი*, op. cit., *98, პანიკ. 2*.

[4] ორჯელვე ოქტომბერში, ვინაიდან გველების სიმრავლისა და უწყლობის გამო უდაბნოში მისვლა (ს. ყარაიადან 25—30 კილ. მანძილზე) და იქ ცხოვრება მხოლოდ შემოდგომითაა მოსახერხებელი.

ლება თამამად ითქვას. ცალი არა ჰყავს მთელს საქართველოში. ისევე, როგორც კედლისმხატვრობის სიმდიდრითა და მაღალხარისხოვანობით-სიძველით იგი ერთად-ერთია არამცთუ საქართველოსა. არამედ მთელს ამიერკავკასიაში.

1921 წ. მოგზაურობის დროს ჩვენ პირველად დავისახეთ მიზნად გადმოღება სომხური წარწერებისა. რომლებსაც სრულიად მოულოდნელად და შეუთხვევით წავაწყდით და რომელთა საერთო რიცხვი 20-ს აღემატება. ხოლო ქართულ წარწერათაგან ისეთებისა. რომლებიც ან სომხურის შესატყვისს წარმოადგენენ ანდა ხელს უწყობენ სომხურის სწორად გაგებას. ამათ რიცხვში აღმოჩნდა **უნიკალური პოლიგლოტური წარწერაც 4 ენაზე: ქართულად, სომხურად, სპარსულად და უძღურულად.** გარდა ამისა. ჩვენ კალკით გადმოვიღეთ ბერძნული წარწერები რიცხვით 8-მდე. და სპარსულ-არაბულ-თურქული—რიცხვით 21-მდე. რომლებიც გადაეცით სათანადო სპეციალისტებს დასამუშავებლად (ა. ი. ამირანაშვილს. გ. ვ. წერეთელს და სხვ.).

1929 წ. მოგზაურობის მიზანს შეადგენდა უმთავრესად სომხური წარწერების შემოწმება. კერძოდ—პოლიგლოტური წარწერის ფოტოგრაფირება. აგრეთვე ზოგიერთ საკითხებზე ადგილობრივ დაკვირვება.

აქ, რასაკვირველია, ზედმეტია ამ საინტერესო კუთხის დახასიათება ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით, რომლის შესახებაც სპეციალური გამოკვლევები აქვსთ დამზადებული პროფ. პროფ. გ. ჩუბინაშვილსა და შ. ამირანაშვილს[1]. ზედმეტია აქ აგრეთვე ამ კუთხის საერთო ისტორიულ მნიშვნელობაზე ლაპარაკი, რამდენადაც ამის შესახებ მოიპოვება სათანადო. თუმცა არსებითად მოძველებული. ლიტერატურა[2]. სამაგიეროდ კი. სიტყვას მივცემთ მხცოვან მეცნიერს. აკად. ივ. ჯავახიშვილს. რომელსაც. თუმცა ღა გარესჯის „მრავალმთა" პირადად ნახული არა აქვს. მაგრამ მისი კედლისმხატვრობიდან გადაღებული ორიოდე პირის უშუალო შთაბეჭდილებით ჯერ კიდევ 1919 წელს წარმოუთქვამს შემდეგი: **„ეს კუთხე ოდესღაც ქართული**

---

[1] ჯერჯერობით იხ.: შ. ამირანაშვილი, ბერთუბნის სატრაპეზოს კედლის მხატვრობა,—„ილიონი" II, 1922.

[2] იხ.: [А. Н. Муравьев,] Грузия и Армения. ч. I, Спб. 1848, стр. 55—116: Д. З. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства,—«Записки О-ва Любителей Кавказской Археологии», I, Т. 1875, стр. 58—59, 111—112—«Акты Кавказской Археографической Комиссии», V, Т. 1873, стр. 1004—1005; З. Кар бе лашвили, ბიბლიოგრაფიული ცნობა. კატალოგი დავით გარესჯის უდაბნოს ძველი ხელთნაწერის წიგნებისა, შედგენილი 4 თებერვალს 1886 წ.,—„ივერია" 1886 წ. № 159; მიხ. ხელ-ი, ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში,—იქვე №№ 207, 208: მისივე, ბიბლიოგრაფია. იოანე ნათლისმცემლის უდაბნო (ყარაიაზედ),—იქვე № 243: პ. ცხვილოველი (=პ. კარბელაშვილი. ლ. მ.-ბ.), დავით გარეჯელის უდაბნო,—იქვე 1893 წ. № 64; მისივე, დავით გარესჯის უდაბნოს გუჯრები,—იქვე №№ 72. 78, 87—91, 83, 95, 97. 130, 135, 136, 140; მისივე, დავით-გარეჯის უდაბნოში,—იქვე 1895 წ. №№ 116, 117. 122: რაჟდენ ბარამიძე, თამარ მეფის სურათი „ბერთუბანში",—იქვე 1900 წ. № 57; ერთი მეინახეთაგანი, იოანე ნათლის-მცემლის და დავით-გარეჯის უდაბნო,—„ცნობის ფურცელი" 1889 წ. № 855; Е. К. [иринов], Давид Гареджи и его лавра, Т. 1901; მისივე, Повествование о чудодейственном камне Давидгареджийской пустыни, Т. 1901; მისივე, ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარესჯელისა, ტფ. 1901; და სხვა.

კულტურის დიდებული კერა იყო. საკმარისია ადამიანმა დაათვალიეროს ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლი და ქართული მხატვრობის მრავალი განმაცვიფრებელი ნაწარმოები, რომელნიც დავით გარესჯის უდაბნოში შენახული არიან და რვა საუკუნის განმავლობაში ყოველგვარ მტრის გამანადგურებელ შემოსევას გადურჩენ, რომ ნათლად წარმოიდგინოს ადამიანმა, რამდენად დაწინაურებული ქართული კულტურული ცხოვრების ასპარეზი იყო ეს კუთხე “[1].

მაგრამ გარესჯის „მრავალმთის“ შესახებ უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ეს კუთხე საქართველოს ისტორიისა, არქეოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობისათვის ისეთი განძია, რომელსაც დიდებული ვარძია და უფლისციხე ვერასგზით ვერ შეედრება. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი სიერცითა (ათეული კილომეტრის სიგრძით) და გრანდიოზულობით მას ტოლი არა ჰყავს არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მთელს ამიერკავკასიაშიც კი.

რაც შეეხება ამავე კუთხის სომხურ ეპიგრაფიკას, რომელიც შეადგენს ამ ჩვენი წერილის საგანს, ამაზე საჭიროა ითქვას შემდეგი.—

საქართველოს არცერთ კუთხეს არ გააჩნია სომხურ წარწერათა ისეთი სიმრავლე, როგორც გარესჯის „მრავალმთის“ უდაბნოებს. მათ შორის პირველ რიგში ე.-წ. დავითგარეჯის „უდაბნო“-„წამებულს“. ეს წარწერები განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია, და ყველა გამოუკლებლივ ამოკრილია გამოქვაბულთა კედლის ნაღესობაზე.

ქვემორე წარმოდგენილ შენიშვნებში ჩვენ მიზნად ვისახავთ გამოვააშკარაოთ როგორც ეს წარწერები, ისე ზოგიერთი ქართულნიც, რომელთაც კი რაიმე მნიშვნელობა აქვსთ სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ისტორიისათვის, საერთოდ, და სომეხთა კოლონიზაციის ისტორიისათვის საქართველოში, კერძოდ. მათ შორის ვაქვეყნებთ აგრეთვე პოლიგლოტურ წარწერას 4 ენაზე, რომელიც უდღურულს ნაწილში პირველ მაგალითს წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვისაც.

წარწერები განხილული იქნება 3 კერის მიხედვით: 1. თვით დავითგარეჯის ლავრა, 2. დავითგარეჯის „უდაბნო“-„წამებული“, და 3. ბერთუბანი.

I

დავითგარეჯის ლავრა

თვით დავითგარეჯის ანუ, უკეთ, დავით გარეჯელის ლავრაში, სხვათა შორის, ყურადღებას იპყრობს კლდეში გამოქვაბული დიდი სატრაპეზოს N კედლის მხატვრობა, სადაც წარმოდგენილია ორი ქალი, ერთიმეორის გვერდით, შემდეგი წარწერებითურთ ქართული მთავრული ასოებით:

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ. 1919, გვ. 14.

1. წ[ა]რ[ა]წ[ე]რ[ი]ფს[ი]მე 2. მოც[ი]ქული ქართ[ველთა] ნინო[ა].[1]

თავისთავად ცხადია, რომ აქ წარმოდგენილნი არიან: 1. „წმიდაჲ რიფსიმე“ და 2. „მოციქული ქართ[ველთა] ნინო]“.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს იშვიათი ფრესკა, რომელსაც ემთხვევა ნოვგოროდის სპასა-ნერედიცის კედლისმხატვრობის ანალოგიური სურათები[2].

ამრიგად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად საინტერესო მოვლენასთან, რომელსაც, რასაკვირველია, თავისი ახსნა-განმარტება ესაჭიროება, ისევე. როგორც, მაგალითად, გრიგოლ პართელის სურათის არსებობის ფაქტს ქართულისავე კედლისმხატვრობის მრავალ ძეგლებში (ტიგრან ჰონენცის ეკლესიას ანისში, ახტალას, ბეთანიას. ატენის სიონს. სამთავისს etc.), აგრეთვე საქართველოსა და სომხეთს გარეთ (ნოვგოროდის სპასა-ნერედიცას, კონსტანტინეპოლის წმ. სოფიას). აქ ჩვენ მხოლოდ დავსძენთ, რომ ისევე, როგორც გრიგოლ პართელის ხსენება ქართულს ლიტერატურაში მრავალ სალიტურღიკო-საჰაგიოგრაფიო-ჰომილეტიკურ ნაწარმოებებშია აღბეჭდილი, რიფსიმეს ხსენება შესაფერისად საჰაგიოგრაფიო მწერლობაშია შემონახული[3].

II

დავითგარეჯის „უდაბნო“ ანუ „წამებული“

ეპიგრაფიკული ძეგლებით სულ ყველაზე მეტად მდიდარია ე.-წ. „უდაბნო“ ანუ „წამებული“. რომელიც დავით გარეჯელის ლავრის ერთერთ უდიდეს კომპლექსთაგანს წარმოადგენს. მისგან დაახლოებით 2 კილომეტრის დაშორებით, W-ით მდებარე მთის O მხარეზე.

---

[1] წარწერები ამოკითხული გვქონდა 1921 წ., ხოლო მეორე ექსპედიციის დროს 1929 წ. მარჯვენა წარწერის პირველი მარცვალი (მოც) უკვე ჩამოცვივნული იყო.

[2] იხ. ლიტერატურა: И. Толстой и Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства, в. IV, Спб. 1891, стр. 139; Д. П. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году (Росписи в Ч'уле, Сап'аре и Зарзме),—«Известия Кавк. Ист.-Арх. Института», т. I, Пгр. 1923, стр. 75 и 95, прим. 214; Chalva Amiranachvili, Quelques remarques sur l'origine des procédés dans les fresques de Neredicy,—«L'art byzantin chez les Slaves», t. II, Paris 1932, p. 113—114.

[3] იხ. ლიტერატურა: А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, в. 3, Спб. 1894, стр. 160; Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского Церковного музея, кн. II, Т. 1902, стр. 63; М. Джанашвили, Каталог предметам Церковного музея грузинского духовенства, Т. 1914, стр. 1; Л. Меликсет-Беков, Новый список «Жития св. св. Ринсимии, Гаяни и сподвижниц» на грузинском языке,—«Христ. Восток», т. III, 1914, стр. 313—314; ср. его-же, Грузинская версия Агафангелия и ее значение для грузинской историографии,—«Христ. Восток», т. IV, 1915, стр. 168—169; Robert P. Blake, Catalogue of the georgian manuscripts in the Cambridge university library,—«Harvard theological Review», vol. XXV, number 3, july 1932, გვ. 216, 220—211. შდრ. ილია აბულაძე, ძველი სომხური კრებსტომათია, ტფ. 1935, გვ. 180, შენ. 1; მისივე, იაკობ ცურტაველი. მარტკლობაჲ შუშანიკისი, ტფ. 1938, გვ. 041, შენ. 2 წინა გვერდისა.

ყველა ბერძნული და სპარსულ-არაბულ-თურქული წარწერა გარესჯის „მრავალმთისა“ მხოლოდ აქაა თავმოყრილი. აქვეა დაცული 20-იოდე სომხური წარწერა, ხოლო ქართულნი უმრავად.

სომხური წარწერები მიმობნეულია სატრაპეზოსა, თავ-ეკლესიასა და მის გვერდით სენაკს, ბეღელსა და ე.-წ. ხარებისა და წმ. გიორგის ეკლესიებში.

ამ კომპლექსის მრავალ გამოქვაბულს შორის სომხური წარწერებით სულ ყველაზე მეტად მდიდარია დიდი სატრაპეზო, რომელიც მთლად მოხატულია.

A. სატრაპეზო

წინა ნაწილის N კედლის ერთერთი მხატვრობის ქვეშ მოიპოვება პოლიგლოტური წარწერა, შესრულებული კედლის ნალესზე ყვითელი საღებავით 4 ენაზე: ქართულად, სომხურად, სპარსულად და უიღურულად, რომლის ფოტოსურათს, გადაღებულს 1929 წ. შ. ამირანაშვილის მიერ, აქ ვურთავთ.

ქართულსა და სომხურ წარწერებს, რომლებიც შესრულებულია ირიბად, ექვს-ექვსი სტრიქონი უკავიათ თითოს; სპარსულს, რომელიც ცოტად არის ირიბად შესრულებული, ხუთი სტრიქონი უკავია; უიღურული კი ერთადერთი წარწერაა, რომელიც სწორ ხაზზეა შესრულებული, და ამასაც ხუთი სტრიქონი უკავია. ოთხივე ერთისადაიმავე შინაარსისაა.

სპარსული ტექსტის გარჩევაში დახმარება გაგეიწია 1930 წ. აწ განსვენებულმა მარიფ მირზაევმა, შემდეგ კი შემოწმებაში პროფ. იუსტ. აბულაძემ, ხოლო უიღურული ტექსტისა 1934 წ. ლენინგრადში ყოფნისას— სამეცნიერო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მონღოლურმა კაბინეტმა (პროფ. პროფ. ნ. პოპპემ და ს. მალოვმა).

ა. ქართული ტექსტი

1. ქ. მე მიწაი მცირე სარგის ძე არასლანისა ამოვედით წმინდა
2. დავითისა საფლავსა მე და ჩემმან მეუღლემან და ჩემმან შვილმან
3. ამირ საიდ ღოდვად ჩვენდა და ჩვენთა გარდასულთა და ცოდვათა შენ
4. დობისათ[ვ]ნ და ვინცა წაიკითხოს ეს და შენდობა თქვას და მისთა გარ
5. დასულთა შ[ე]ნდ[ს] ღ[მრთ]ამან და წმინდა დაით დაბეჭა თვს ჳაისს
6. ქრ[ისტ]ესა შ

„ქ. მე, მიწაი მცირე, სარგის. ძე არასლანისა, ამოვედით წმინდა| დავითისა საფლავსა, მე და ჩემმან მეუღლემან და ჩემმან შვილმან| ამირ საიდ, ლოცვად ჩვენდა და ჩვენთა გარდასულთა და ცოდვათა შენ|დობისათვის. და ვინცა წაიკითხოს ეს და შენდობა თქვას, მას და მისთა გარ|დასულთა შეუნდეს ღმერთმან და წმინდა დავით. დაიწერა თვეს მაისს |ქრონიკონსა მ“.

ბ. სომხური ტექსტი

1. † ბաուէս և անարժանս սուրբիս աւետման որդիս էկայք

2. ի սր դաւիթի զէրէզմանն ի ազաւթս վասն պտուղն իմ և

3. զաւակ իմ ամէր սայիդ վասն ցմնդագ վիրկութիւն մեզ և ննջեցեալ

4. էլոց մերոյ ով որ կարդէս մեզաց քոզութիւն հարամայէք

5. որ ած քոզութիւն արժանի հրամայէ լղձէր մէղքն գրէկցավ

6. գիրս ի մայիս ամիսն ի թվ ալա

«† ბաուէս և անարժանս Սուրբիս Աւետման որդիս էկայք | ի սուրբ Դաւիթի զէրէզմանն ի ազաւթս, վասն պտուղն (sic) իմ և | զաւակ իմ Ամիր Սայիդ, վասն ցմնդագ (sic) վիրկութեան մեզ և ննջեցեալոց մերոց. ով որ կարդէս, մեզաց (sic) քոզութիւն հարամայէք, | որ ածուած քոզութիւն արժանի հրամայէ լղձէր մէղքն. գրէցավ | գիրս ի մայիս ամիսն ի թվին ալա»

ეს ტექსტი (სომხური), შედარებით ქართულთან, მეტისმეტად ვულგარული ენითაა დაწერილი. ამასთანავე ბას ახასიათებს ფსეედო-არქაიზმები და აშკარა შეცდომებიც.

1. ბաուէս უნდა იყოს ბաուայս (მონა ესე). էկար—եկաք.

2. դաւիթ უნდა იყოს դաւթի. գէրէզմանն—գերեզմանն, ի ազաւթս—յաղաւթս (յաղօթս). վասն պտուղն իմ- -վասն տան իմոյ.

3. զաւակ უნდა იყოს զաւակի. իմ—իմոյ. վասն ցմնդագ—վասն՝ՀմկազՀ.

3—4. ննջեցեալոց უნდა იყოს ննջեցելոց.

4. կարդէս უნდა იყოს կարդաս ანუ, უკეთ, կարդար. հարամայէք—հրամայէք.

5. լղձէր մէղքն უნდა იყოს ձեր մեղացն. գրէցաւ---գրեցաւ.

6. ամիսն უნდა იყოს ամսեան.

გ. სპარსული ტექსტი

بندهٔ کاتب سرکیس بن ارسلان..... مسیحی به نیت اخلاص
وزیارت داوود پاك بنده و حلال بنده و.....بنده
امیر سعید وبنماز وطاعت از برای ما و گذشتکان....
وعفو بغی و گناهان و نافرمانی در گفتن حق تعالی و داوود پاك گناهان
وبغی را عفوکرداند . فی شهر ربیع الآخر ثلثه وخمسین وسبع مأه

იგივე ლათინური ტრანსკრიპციით:

1. Bändä i qāẖib Sārqis bni Ärsälān masihī [////] benijäẖ əqlas
2. vä zijāräẖ Dawud ɸāq, bändā vä hälāl bändä vä [///] bändä
3. ämir Säid we be namāz vä tāäẖ äz bärāj mā vä gozāuıtägan [////]
4. vä āfā bāği vä gonāhān nāfärmāni dergoftän. hāq ẖāälā vä Dawud ɸāq gonāhān
5. vä bāẖirā āfu gärdā räd. fi mähri rabi ūl ä qär Sānā sālaasa o qamsina vä sab'a mja

დ. უიღურული ტექსტი (ლათინური ტრანსკრიპციით)

1. Män jaman qul Särqis Arslan oγly .....
2. ary Daudnun ... ynda män (?) umunum alalum
3. umnum (?) oγlum Amir Said .... üčün
4. .... tänri (?) .... qylsun ärkim oqysun .... tun
5. ..... tun qylsun .....

(ს. მალოვის რუსულ თარგმანში: «Я, грешный раб Саргис, сын Арслана, ... в ... святого Давида, за сына моего Ампр-Саида ..., бог .... да ... сделает, каждый пусть читает .... пусть сделает»).

უდავოა, რომ წარმოდგენილ ძეგლში ჩვენ საქმე გვაქვს ნაირნაირ ტექსტებთან ერთისადაიმაეე წარწერისა, რომელიც შინაარსობლივად მცირედ განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამასთანავე, მათ ერთიდაიგივე თარიღი უზისთ: ქართულს—„ქორონიკონს ᾳ̈ , რომელიც უდრის 40 [+1312]= 1352 წ.; სომხურს—«ի թվ. ՊԱ», რომელიც უდრის 801 [+551]=1352 წ., ხოლო სპარსულს—«Sana sālāasa o qamsina vā sab'a mja», რომელიც უდრის 753 [×0,97 +621, 54]=1352 წ.; უიღურულისა კი ვერ იკითხება.

მთავარი მნიშვნელობა ამ წარწერისა ისაა, რომ მასში მოხსენებულნი არიან „სარგის ძე არასლანისა (ასლანისა)“ და მისი შვილი „ამირ საიდ“-ი, რომლებიც გვარტომობით თითქოს სომხები არიან. შესაძლებელია იმ წრის წარმომადგენელნი, რომლებიც ბაგრატუნიანთა სომხეთის დაცემისა და, კერძოდ, 1319 წ. მიწისძვრის შემდეგ თანდათანობით სომხეთის დედაქალაქ ანისს გამოემშვიდობნენ და ტფილისში გადმოსახლდნენ. ცნობილია, რომ უკანასკნელში ისინი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდნენ ეკონომიური ცხოვრების სფეროში, იმდენად, რომ, მაგალითად, ერთი მათგანი, „მსხვილი ვაჭარი უმეკად წოდებული, რომელსაც თათრები ასილს უწოდებდნენ“-ო (*ისპაითაჲს վաճառական, Იაქჩիկ ათნაჲს, ყიր ენდრასუნ [ქარქარე] Ասիլ կոչէին*) კირაკოსით[1], ანდა „გამოჩენილი მდიდარი და ღვთის მოშიშარი უმეკი“ (*სცენილ ისპაითაჲს և երկիւղած ի ოსთაჲს ղՈაქჩին*) ვარდანით[2], კარინიდან ანუ არზრუმიდან ტფილისში გადმოსახლდა რა, „ქართველთა დავით მეფის მამად იწოდებოდა და განდიდებულ იყო სიგლითა ყაენის მიერ და ყოველთა დიდებულთაგან“-ო (*ჴაყე անուանեալ Թագաւորին վրաց Դաւթի և սիბაթաჲ ի Ղանէն ყրով և յամենայն ասպատանէն*)[3]. თითქოს ეს უმეკია „პარონ ომეკ“-ად (*պարոն*

---

[1] *Պատմութիւն աբարեալ Կիրակոսի վարդապետի Գանձակեցւոյ* [Ղուկասեան Մատենադարան III], *Թ. 1910, էջ 349—350։*

[2] *Հաւարումն Վարդանայ վարդապետի լուսարանեալ, Վենետիկ 1862, էջ 147 = Մխիթ. Վարդանայ Բարբերընդեցւոյ Պատմութիւն տիեզերական, ի լոյս ընծայեաց Մ. Էմին, Մոսկվա 1861, էջ 193։*

[3] *Պատմութիւն աբարեալ Կիրակոսի վարդապետի Գանձակեցւոյ*, loc. cit. შდრ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის,—„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, IV, ტფ. 1924, გვ. 87; ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში (საზოგადო მიმოხილვა),—„მნათობი“ 1924 წ. № 2, გვ. 227.

Ուխկ) წოდებული, რომელიც „სომეხთა დიდ ერისთავ პარონ ქარიმადინის“ (*սիր իշխան հայոց՝ պարոն Քարիմատինին*) მამად და ტფილისის ერთერთ სომეხთა ეკლესიის[1] პატრონად არის მოხსენებული, 1284 წ. ქვეშ, იოანე ერზინკაელის სიტყვის „ზეციერ სხეულთა მოძრაობისათვის“-ის წინასიტყვაობაში[2]. ხოლო ამ უმეკის ანუ ომეკის შვილის-შვილები, **სამნი** ძმანი—სუჯაჰთი (სუჯავთი), არიუწი (არივწი) და ჯალაპი, გადმოცემის თანახმად, ტფილისისავე **სამ**-საკურთხეველიანი ვანქის ტაძრის დამაარსებელნი იყვნენ XIV საუკუნის პირველ ნახევარში[3].

თუ ვინ არის ამ წარწერაში მოხსენებული სარგისის მამა **არასლანი**, ამაზე არაფრის თქმა შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, მისი გაიგივება თამარის დროინდელ ყუთლუ-**არსლანთან** დაუშვებელია. ესევე ითქმის ამირ-**საიდის** შესახებ, რომლის გაიგივება აბუ-**საიდ**-ბაჰადურ ხანთან (მონღოლთა მმართველი სპარსეთში 1316—1335 წწ.) შეუძლებელია[4].

სამაგიეროდ, ამ წარწერის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ იგი 4 ენაზეა შესრულებული, რაიც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

და მართლაც, განა ბევრია ჩვენში და მსოფლიოში ასეთი პოლიგლოტური წარწერები? თუ ანისის ე. წ. მანუჩეს მიზგითის სპარსულ-არაბულ-ქართულ-სომხურ წარწერებს (რომლებიც სხვადასხვა შინაარსისა არიან და ტექსტუალურად ერთმანეთს არ ჰფარავენ)[5], ცალ მხარეზე დავტოვებთ, ასეთ მოვლენას ჩვენ თითქოს ნაქალაქევ გრემის სამსაკურთხევლიან და სამსართულიან სომეხთა ეკლესიის W შესავალი კარის თავზე ვტყობილობთ, სადაც ერთისადაიმავე შინაარსის წარწერაა ამოკვრილი 3 ენაზე: სომხურად, ქართულად და სპარსულად—1593 წ. თარიღით[6]. ერთისადაიმავე შინაარსისაა საქართველოსა და ამიერკავკასიის გარეშე მეცნიერებაში კარგად ცნობილი წარწერები აგრეთვე 3 ენაზე: სპარსულად, მიდიურად და ასურულად—დარიუს ვშნასპისა 521 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომელიც ამოკვრილია ბეჰისტუნის კლდეზე ქერმანშაჰთან, აგ-

---

[1] აკად. ი. ო რ ბ ე ლ ი ს გამოკვლევით (Фрагмент крестного камня с арабской надписью в Тифлисе,—«Христ. Восток», т. VI, 1918, стр. 198—199), „წმ. გიორგისა“ თათრის მოედანზე, ე.-ი. ახპატის მონასტრის მეტოქედ მიჩნეულის ე.-წ. „ციხის დიდის“ (*քարդի մեծ*) ანუ, რაც იგივეა, „კათოლიკე ღვთისმშობლისად“ წოდებულისა.

[2] იხ. *Վիպասանութիւն վերինացին մարմնոց չարժմանէ* etc., *Նոր-Նախիջևան 1792, էջ ԻՀ-Ժ*; შდრ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, cit. loc., გვ. 85; Л. М е л и к с е т-Б е к о в, О междоусобице в Тифлисе в 1197 году по поводу Кривой пасхи,—„Известия Кавк. Ист.-Арх. Института“, т. III, Т. 1925, стр. 59; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, საიათნოვას ვინაობა. კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი, ტფ. 1930, გვ. 20—21.

[3] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, cit. loc.

[4] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, საიათნოვას ვინაობა, გვ. 27.

[5] В. Б а р т о л ь д, Персидская надпись на стене Анийской мечети Манучe [Анийская серия № 5], Спб. 1911.

[6] იხ. დ. ე რ მ ა კ ო ვ ი ს კოლექციის ფოტოსურათები № 2749, 5174, 13597. ამის გამოცემას აპირებდა პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ხოლო იგი ჩვენ მიერ შეტანილია ჩვენს ნაშრომში „სომხური წარწერები საქართველოში“, რომელიც მზადდება გამოსაცემად.

რეთვე ჰიეროგლიფური, დემოტური და ბერძნული წარწერა, რომელიც ბონაპარტეს ექსპედიციის მიერ იქნა აღმოჩენილი 1799 წ. სან-ჟულიენის ციხეში როზეტში (ეგვიპტე).

მაგრამ ჩვენი წარწერა ყველა მათგან მაინც იმით განირჩევა, რომ, ჯერ ერთი, პირველ შემთხვევას წარმოადგენს უძღურულის ტექსტისას არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აგრეთვე მთელ ამიერკავკასიისათვისაც, და მეორე, რომ იგი არა სამ, არამედ ოთხ ენაზეა შესრულებული, რაიც აშკარა გამომხატველია იმ საზოგადოებრივი განწყობილებისა, რომელიც ამიერკავკასიასა და კერძოდ სომხეთსა და საქართველოში შეიქმნა მონღოლთა ბატონობის ხანაში, როდესაც სომეხთა ზედაფენების ცალკეული თვალსაჩინო წარმომადგენელნი 4—5 ენაზე მოუბარნი იყვნენ.

ასე, მაგალითად, სტეფანე ორბელიანი, ლაპარაკობს რა ბურთელ ორბელიანის ძმის სუმბატის შესახებ (XIII ს.), აღნიშნავს:

Ამრათ, იც ჴრ ჰանձարով մեծ, խորհրդով ուժգին, խելօք անձամբ, հնարլիւք բազմագէտ, բանիւ աւտար և քաղցր, լեզուաւ հմուտ և ճարտար, ի դատաստանի դիւանին անպարտելի. ալի խօսէր լեզուս հինգ՝ հայ և վրացի, ուղղաբ և ի տարսի և ყմուղալն իսկ[1].

სუმბატ, რომელი იყო მეცნიერებით დიდი, განზრახვთ ძლიერი, ჰკვიათა უამხანაგო, ჭელოვნებით მრაელად მეცნიერ, სიტყუთ უხვი და ტკბილი, ენათმცოდნე და რიტორი, და სამდივნოსა სამსჯაროში უძლეველი მით, რამეთუ **უწყოდა ენა ე (ესე იგი) ქართული, სომხური, ქართული** (უნდა იყოს: **უძღურული**), **სპარსული, მუსალური** (ე. ი. **მონღოლური**), **რომელ არს ენა თათართა**[2].

ამრიგად, ირკვევა, რომ სუმბატ ორბელიანი XIII საუკუნეში ცნობილი იყო როგორც მცოდნე 5 ენისა: სომხურის, ქართულის, უძღურულის, ფარსულის და მონღოლურისაც კი, ხოლო „სარგის ძე არასლანისა“—4-ისა: ქართულის, სომხურის, სპარსულის და უძღურულისა[3].

* * *

ამავე სატრაპეზოს დანარჩენი წარწერები უმთავრესად უკანა ნაწილის N კედელზეა თავმოყრილი; ისინი ეულგარიზმებით ხასიათდებიან და, ამავე დროს, მეტად დაზიანებულნიც არიან.

1. (7 სტრიქონად).

զար զար աւաք էրէցս | եւ ույսկսրս զմրվանս | զԱպ էրէցս Անտեղ[ս]

եւ զՀպ սրէցս յիշո[ակ] | արժանի առնեք (sic) *| զՔորանս* (sic) *|*

քվ պ

[1] *Պատմութիւն տանն Սիսական, Թ. 1911, էջ 405.*

[2] იხ. საეკლესიო მუზეუმის კოლექციის (A) ხელნაწერი № 864 (1801 წ.), გვ. 17 ა—ს.

[3] შდრ. ლეონტი მროველის ცნობა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე „იხრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: **სომხური, ქართული, ხაზარული, ახურული, ებრაული და ბერძნული**: ესე ენანი იყვნეს და იცოდეს ყოველთა ქართველთა, მამათა და დედათა“ (ქ. ც. ᲘᲠᲝᲜ. I, 26 = მარიამ დედ. ვარ., თ ა ყ., 13).

ესე-იგი:

„უფალსა ტერ ხუცეს-მღვდელსა და იაკობსა, მურვან ხუცეს-მღვდელსა ანელსა, და ამაზასპ მღვდელსა ესე ხსენება აღირსეთ... წელსა 800 (=1351)“.

ანელი ხუცეს-მღვდლის ხსენება 1351 წ. თარიღით საუცხოო მაჩვენებელია იმისი, რომ ამ წარწერაში მოხსენებული პერსონაჟი სომხეთის ემიგრანტები არიან 1319 წ. მიწისძვრის შემდგომ, რომლებიც დაბინავებულნი იყვნენ საქართველოს დედაქალაქ ტფილისში ანდა ქართლ-კახეთის რომელსამე დაბაქალაქში.

2. (3 სტრიქონად).

էս սուջահիք | լայ (sic) *շայկեի ձէհրս* (sic) | *բանհիզս* (sic) *քվ...*

ესე-იგი:

«მე, სუჯაჰთ... წელსა....».

ეს წარწერა იმავე ხელითაა შესრულებული, როგორც წინა წარწერა 1351 წლისა. ამიტომ საფიქრებელია, რომ იგიც 1351 წ. ან მისი ახლო დროისა იყოს. მასში მოხსენებული სუჯაჰთი თითქოს ერთერთი იმ სამ ძმათაგანია (და მათში უფროსი), რომლებიც „უმეკ[აათ] სუჯავეთ, არჟუწ და ჯალაპის“ (*Իսհկ[ևան] Սուջաւք, Աւրժ և Ջալապ*) სახით მოხსენებულნი არიან ტფილისის ვანქის დაარსების შესახებ ცნობილს გადმოცემაში[1].

3. (5 სტრიქონად).

պատրիկ | արևիկս և ապ... | գիուանմանուկիկս յապ... |

պաղպնինայ (sic) *արդիւք | յաղաւքս յիշեցէք ի ք՝ պա |*

ესე-იგი:

«სარგის მღვდელმონოზონი და... თუმანბეკი... შეილებითურთ მოიხსენიეთ ლოცვათა შინა. წელსა 801 (=1352)».

4. (6 სტრიქონად).

քվ [պա| | ևս յոհ[ան] | դէդէ[ոն] | սարգ[իս] | տէր| ը

ესე-იგი:

«წელსა [801 (=1352)]. მე, იოანე, გედეონი, სარგისი, უფალი...»

5. (1 სტრიქონად).

Նաթևկս

ესე-იგი:

«ნათელა ესე».

[1] იხ. *Ֆր. ო Ա ղ ա ն ե ա ն ց, Վրաստանի հայերը,*—«*Տարազ*» *1919 թ. № 1—12, էջ 45*: ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი. ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, cit. loc., გვ. 87—88, 91.

G. (12 სტრიქონად).

պատրկի[ս]... | շալուա... ծառայ այ | եւ յովան[է]||ս անյախիմ |
փխլխատե|այիս զերեզմ|անիս որ սր շար|ք իմ և հայալ (sic) *|*
հաղ|ատիս (sic) *յիշեցէք | և ած գձնզ յիշ ամ|ն իմ սյս*

ესე-იგი:

«სარგისი, შალვა... მონა ღვთისა და იოვანე უძლეველი ფილოსოფოსის (ე. ი. იოანე ოძუნელის) საფლავისა, ... მოიხსენიეთ ლოცვათა შინა და ღმერთმაც თქვენ მოგიხსენიოს. ამინ. წელსა 801 (=1352)».

7. (2 სტრიქონად).

ես խաչիկինս | բրեն յոլղիս (sic)

ესე-იგი:

«მე, ხერედინი...».

ამავე სატრაპეზოს ერთერთი სვეტის (აბსიდიდან პირველის) O წახნაგზე ოკითხება (5 სტრიქონად):

ես (sic) *անարժան ծառայս | այ յիշեցէք զինայս* (sic) *| ի մարդ|ասիայ տղուքըն* (sic) *ձեր աղ|ացնմ ի քրմ հայոց ՌՃ|Դ.ն*

ესე-იგი:

«მე, უღირსი მონა ღვთისა ინა (?), მომიხსენიეთ თქვენსა წმიდასა ლოცვასა შინა, გეეედრებით. წელსა სომეხთა |წელთაღრიცხვისა| 1195 (=1746)».

ეს წარწერა, სხვათა შორის, აღსანიშნავია პალეოგრაფიულის მხრით: მასში *ն* ძალიან წაგავს *ს*-ს.

იქვე O კედელზე ერთ-სტრიქონიანი წარწერაა, რომელიც სრულიად ვერ განიმარტება:

նո (sic) *ես բատաւ.* (sic) *սգըլոյն* (sic).

ამავე სატრაპეზოს ერთ ქართულ მხედრულ წარწერას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული Onomasticon-ის საკვლევად. მხედველობაში გვაქვს ერთერთი სვეტის (აბსიდიდან მეორის) O წახნაგის შემდეგი წარწერა (2 სტრიქონად):

ქ. ღმრთო, გჯრწყჰის ღმრთის მშობელო, | უშჯულე დუღარდუხს, უცოცხლე ქმჯრი-შვილი.

ამ წარწერაში მოხსენებული „დულარდუხ“ შემოკლებული ფორმაა „დულარდუხ[ტ]“-ისაგან: როგორც ეტყობა, იგი ისეთივე წარმოშობისაა, როგორც, მაგალითად, ნინოწმიდის ტაძრის O მხარის ერთერთი წარწერის „ბაკურდუხტი“ [1], აგრეთვე ე.-წ. ჯვარისას ძეგლის „საჰაკდუხტი“ და ქართულ წყაროებში

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, არქეოლოგიური მოგზაურობა გარეკახეთსა და ჰერეთის ხეობაში, — „სახალხო საქმე“ 1920 წ. № 974.

კარგად ცნობილი „გულანდუხტი“ [1], სომხური *Խոսրովիդուխտ, Սահակադուխտ, Դարանդուխտ, Ջարմանդուխտ, Զրուանդուխտ, Մհերանդուխտ, Շահանդուխտ, Որմզդուխտ, Սանդուխտ, Վարազդուխտ, Վարդանդուխտ, Բուզանդուխտ* etc [2], ფაჰლაური Artaxšatrduxt, Mitrduxt, Narsēduxt, Anakduxt და ირანული Āzarmīduxt, Pērōzduxt, Nōvānduxt etc. [3].

B. თავი-ეკლესია

სატრაპეზოს შემდეგ იმავე დავითგარეჯის „უდაბნო“-„წამებულში“ სომხური წარწერებით მდიდარია აღმაშენებელთა სურათებით შემკული თავი-ეკლესია და მის N-ით მდებარე სენაკი.

ამ ეკლესიისა და სენაკის კედლებზე იკითხება შემდეგი სომხური და თანმხვედრი ქართული წარწერები.

საკურთხეველის N მხარეზე აბსიდაში (2 სტრიქონად):

Ես յովհան էրէց պրևայի տէ[ր]էց ի քվին ՋԺԹ

ესე-იგი:

«მე, იოვანე ტფილელმა, დავსწერე [ესე], წელსა 916 (=1467)».

ამის ქვეიდან იკითხება იმავე შინაარსის ქართული წარწერა მთავრული ხუცური ასოებით (2 სტრიქონად):

ⴈⴈⴑⴀⴍⴒ ⴑⴒⴓⴓⴀⴈ ⴑⴔⴐⴒ ⴂⴈⴌⴀⴑⴀⴌⴓ | ⴑⴈⴂⴒⴑⴈⴈ. ⴌⴔⴍⴑ ⴔⴍⴒ.

იგივე „იოვანე ხუცესი სომეხთა“ მოხსენებულია ამ აბსიდასა და სენაკს შორის არსებული გასაელის O კედლის ქართულ ასომთავრულსა და მხედრულ წარწერებში:

ასომთავრული იკითხება ასე (4 სტრიქონად):

ⴈⴈⴑⴀⴍⴒ | ⴑⴒⴓⴓⴑⴈ | ⴑⴔⴐⴒ ⴑⴈⴂ|ⴓⴑⴈⴑ.

მხედრული კი უფრო ვრცელია (6 სტრიქონად):

ⴂⴓ, ⴈⴈⴑⴔⴑⴈⴈ ⴈⴈⴑ|ⴀⴍⴒ ⴑⴒⴓⴓⴑⴈ, ⴂⴈⴌⴀⴑⴀⴌⴓ | ⴑⴈⴂⴒⴑⴈⴈ, ⴑⴔⴈⴈⴀⴑⴈⴑ ⴒⴂⴈⴔⴈⴑ | ⴔⴀⴑⴑⴀ-ⴑⴈⴈⴑⴀ ⴑⴀⴈⴔⴑⴑⴑ. ⴑⴈⴍⴑⴑⴀ | ⴓⴒⴑⴈⴑ ⴐⴈⴒⴈ ⴐⴔⴍⴑⴍⴈⴔⴀ ⴂⴒⴐⴀⴍⴈⴑⴈ, ⴂⴈⴑⴈⴑⴈⴑ | ⴂⴀⴑⴍⴈⴑⴈⴑ ⴑⴑⴈⴍⴑⴍⴈⴔⴈ. ⴑⴀⴈⴒⴓⴒⴑⴀ ⴌ"ⴑ; ⴒ"ⴍ.

როგორც აშკარად ჩანს, ოთხივე წარწერა—ერთი სომხური და სამი ქართული (მათ შორის ორი ასომთავრული და ერთი მხედრული)—შესრულებულია სომეხთა წელთაღრიცხვით 916, ხოლო ქართული ქრონიკონით 155 წელს, რაიც ჩვენი წელთაღრიცხვით 1467 წელს უდრის. კერძოდ, ქართული წარწერები საინტერესოა ენის მხრივ, რამდენადაც მათ კონტექსტს სომხურის ზეგავლენა გააჩნია: „იოვანე ხუცესი ვწერ მოქალაქე სომეხი“, „იოვანე ხუცესი ვწერე სომეხთა“, „ვინც **ერთი პირი** შენდობა ბრძანოთ“ (სომხურის მიხედვით: *ով մէկ բերան ինձ ողորմի ասէ*, resp. *հրամայէ*).

---

[1] „საქართველოს არქივი“, III, 1927, გვ. 207.

[2] *Հայբուէն արմատական բառարան*, II, *595—596*.

[3] Ibid., 596.

თვით N სენაკის N კედელზე იკითხება 2 სომხური წარწერა, ერთი-მეორის გვერდით.

მარცხენა წარწერა (4 სტრიქონად):

էս անաժան (sic) *վարևս|ուս գրէցի. ով ասէ | մի լևլսան ոդորմի, | ամէն | ոդորմի*

ესე-იგი:

«მე. უღირსმა ფარემუზამ, დავსწერე. ვინც ერთი პირი შენდობა თქვას, ღმერთმა შეუნდოს».

მარჯვენა წარწერა (3 სტრიქონად):

Էս մեղավոր անաբժան որ բառնիցս ևկայ ասել որ հարևւրը ժողո-վրդովք ուխտաւորս. ով ոք | կարդաբ մեկ լևլսան ոդորմի ասացէք. ՔՒՂՆ ՈՃԼ

ესე-იგი:

«მე, ცოდვილი [და] უღირსი უფალი ბარსელი (ბასილი), მოვედი [ამ] წმიდა ადგილს ასეული კრებულითა სალოცავად. ვინც წაიკითხოთ, ერთი პირი შენდობა სთქვით. წელსა 1131 (=1682)».

აქაც ორსავე წარწერას ემჩნევა სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების ის დამახასიათებელი სტილი, რომელზედაც ზემოთ იყო მითითებული: *ով ասէ մեկ լևլսան ոդորմի*—„ვინც **ერთი პირი** შენდობა სთქვას“, *ով որ կարդաբ՝ մեկ լևլսան ոդորմի ասացէք* — „ვინც წაიკითხოთ, **ერთი პირი** შენდობა სთქვით“. კერძოდ, პირველ წარწერაში ყურადღებას იქცევს დიალექტური ფორმები: *էս | ես, անաժան | անաբժան* (შდრ. *չի աժի | չարժէ, ինչ աժի | ինչ արժէ* etc.).

იქვე აღსანიშნავია 2 ქართული წარწერა, თითქოს XVIII—XIX სს.:

1. (ერთ სტრიქონად) —

ღმერთო, შეიწყალენ ფრიად ცოდვილნი გოგინაშვილი ავგიჯა

2. (ერთ სტრიქონად)

ქ. ჩვენ მოვედით ფათოანთ არუთინა ს[ე]

უკანასკნელ წარწერაში ბოლო სიტყვა ქარაგმის ქვეშაა შემოკლებული; იგი სამნაირად შეიძლება იქნეს წაკითხული: 1. სალოცავად, 2. სრულიად და 3. საჭად. ვფიქრობთ, რომ პირველი სჯობია[1].

C. ბ ე ღ ე ლ ი

რამდენიმე წარწერა მოიპოვება ზემოაღნიშნულ სატრაპეზოსა და თავ-ეკლესიას შორის არსებულს გამოქვაბულში, რომელიც თითქოს სამეურნეო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყოს (ბელელი).

ერთი წარწერა N ნიშის N კედელზეა, რომელიც ასე იკითხება (4 სტრიქონად):

[1] შდრ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, საიათნოვას ვინაობა, ვე. 60, შენ. 1.

სამაჲ ამჴნაჴალჩის აჲ ამაჲ ქმ ჭჩრ | ჴ აარდჩა ჩრჩეჲ ირდაჲ

ალჩაჲ ალჩიჲჩ. | ითრმჩ ჭა ჩარეაჲითჩის ი ჩნბჭ მჴჭაჲრჩა. |

ჭრჴეაჲ ჩ ჩ ჴბა

ესე-იგი:

«ნებითა ყოვლადმპყრობელის ღვთისა, ესე წერილი ჩემია — სარგის ხუცესისა, ალფოიან-ალფოს ძისა. შეუნდოს ქრისტემ წამკითხველსა და მე, ცოდეილსა ამას. დაიწერა წელსა 751 (=1302)».

ფრიად ორიგინალურია O კედლის ქართული წარწერა, რომელიც სომხური ტრანსკრიპციითაა შესრულებული (2 სტრიქონად):

ჯ՚Հ ղմնւրխ չէւթղ՚է նիկոլաոզ | մարիամՖմիդէլի ղլախակի

ესე-იგი:

«ქ՚ე ღმერთო, შეიწყ՚ალე ნიკოლაოზ | მარიამწმიდელი გლახაკი».

ამ წარწერაში, სხვათა შორის, საინტერესოა სახელწოდების „ნიკოლოზ“-ის ხმარება ბერძნული ფორმით: „ნიკოლაოზ“ (Νικόλαος). „ნიკოლაოზ“, resp. „ნიკოლოოზ“ კი ნახმარია აგრეთვე ე.-წ. მაღალაანთ ეკლესიის ნიკოლოზ მაღალაძის წარწერებში [1].

იმავე O კედელზე, ახლახან მოყვანილი ქართული წარწერის (სომხური ტრანსკრიპციით) მარჯვნივ გამოსახულია ხელი ნატურალური ზომისა [2], რომელშიც იკითხება (2 სტრიქონად):

կաոարէչ հալաա ոչ և յարի անուն ածայսպակ ար քահանայք |

պաւնջայ. ի ՖվԼու չԼոչ. ծաւաոյ... ոայա գմանկոյիս հաւաք ի տուն յայս

ესე-იგი:

«არასრული სარწმუნოებით და კეთილი სახელით ღვთივცხებულნი წმიდანი მღვდელნი გარეჯისანი წელსა 723 (=1274), მონა... დმანელმა მივაღწიეთ სახლსა ამას».

იქვე მოიპოვება შემდეგი დაზიანებული წარწერა (5 სტრიქონად):

Հուքի|ուա պլէղիչ ու Նա քլուսա/|ին ա//իչ քհլղհն ա նիք/| շարա-|պետ ոպ|ուհանք արար (sic, sic).

აზრი სრულიად გაუგებარია.

ზოგიერთი ასოების მოხაზულობით (ն-ს მსგავსი և-თი) ეს წარწერა ძალიან მოგვაგონებს სატრაპეზოს 1746 წლის წარწერას: ამიტომაც იგი XVIII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურის ხეობაში 1923 წელს,—„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, V, 1925, გვ. 136, 138: შდრ. „საქართველოს სიძველენი“ II, 544.

[2] ხელის შესახებ დამხადებული გვაკვს სპეციალური წერილი სათაურით: „ხელის რელიეფი ფეოდალური საქართველოს ნივთიერი კულტურის ძეგლებში“ (წაკითხულია მოხსენებად სამეცნიერო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ლენინგრადს 21, VI, 1934).

ამავე „ბეღელის“ დანარჩენ წარწერათაგან აღსანიშნავია ჰჯაგ ჯთამაგის ხსენება (ქართულად).

D. ხარების ეკლესია

ხარების ეკლესიად ცნობილია ის გამოქვაბული, რომელშიც მოიპოვება დიმიტრი თავდადებულის სურათი. აქ სულ 3 სომხური წარწერაა, რომელთაგან ერთი დავით გარეჯელისა და იოანე ეპისკოპოზის სურათზეა მოქცეული S კედელზე, მეორე—თვით დიმიტრი თავდადებულის სურათის მარცხნივ N კედელზე, ხოლო მესამე—აბსიდის N კედელზე.

1. (6 სტრიქონად):

ես նունեխ հվա|նեսի սրգին պր|ևցի. ած սպուրմ | տաս դիս՝ սիզոյ ;

պարտս, ով ոլ կար|դայ. թվ. չՃա

ესე-იგი:

«მე. ნუნემ ჲოვანეს ძემ, დავსწერე. ვინც წაიკითხოს, ჩემს ცოდვილ თავს უთხრას—„ღმერთმა შეუნდოს“. წელსა 781 (=1332)».

2. (2 სტრიქონად):

ով աբրնեալ հզրայր քրիստիա | ած տեսանել յիշայ սարգիս

ესე-იგი:

«ო, კურთხეულო ძმაო, თუ გსურს ღმერთი იხილო, მომიხსენე სარგისი».

3. (ერთ სტრიქონად):

յոգրաս սգր[ավիան]

ესე-იგი;

«ბაგრატ აღბალიანი».

ამათგან მეორე თითქოს XIV საუკუნისა უნდა იყოს, ხოლო მესამე—XVIII—XIX-სი.

E. წმ. გიორგის ეკლესია

წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში მეომართა სურათის მარჯვნივ იკითხება ის ერთად-ერთი სომხური წარწერა, რომელიც კი მოიძებნა ამ გამოქვაბულში.

წარწერაში თავს იჩენს ცნობილი „იოვანე ხუცესი ტფილელი“, რომელიც მოხსენებულია თავი-ეკლესიის წარწერებში, იმავე 1467 წ. თარიღით. წარწერა 4-სტრიქონიანია:

յով[ան]է | հրէից դրնցի | տփխեցիս թվ ՉԺԶ

ესე-იგი:

«იოვანე ხუცესმა დავსწერე ტფილელმა, წელსა 916 (=1467)».

III

ბერთუბანი[1]

დავითგარეჯის „უდაბნო“-„წამებულ“-ს გარდა, სომხური წარწერა ბერთუბანშიც მოიპოვება.

ეს წარწერა მოთავსებულია მღვიმის ეკლესიის N კედელზე, რომელზედაც „ჯ՛ი მუფუთ მუფუ ბუ თამარისი“ და „თამარ მუფუთ მუფუ“ არიან მოხატული სათანადო ასომთავრული წარწერებითურთ, და ისეთ სიმაღლეზეა მოქცეული, რომ მისი მიუწვდომლობისა და კიბის უქონლობის გამო, იძულებულ შევიქენით ერთერთ გამყოლთაგანის მხრებზე დადგომით გაგვერჩია იგი.

აი ეს წარწერაც (2 სტრიქონად):

სս որ բազմեցոյ հիմս տիզ բազում ուխտաւորաց քրիս ոգիս

ესე-იგი:

«მე, უფალი ბარსელი (ბასილი), მოვედი აქ მრავალი მლოცველებითურთ. წელსა 1131 (=1682)».

ეპვს გარეშეა, რომ ამ წარწერაში მოხსენებული „უფალი ბარსელი (ბასილი)“ იგივე პირია, რომელიც ცნობილია დავითგარეჯის „უდაბნო“-„წამებული“-ს თავი-ეკლესიის წარწერიდან იმავე თარიღით.

რაც შეეხება გარესჯის „მრავალმთის“ დანარჩენ კომპლექსებს, ე. ი. ნათლისმცემელს და მის „წამებულს“, ჩიჩხიტურს, დოდოს ანუ, რაც იგივეა, დოდორქისას, ამათში ჩვენ ისევე, როგორც თვით დავით გარეჯელის ლავრაში, სომხური ეპიგრაფიკის ვერაფითარი კვალი ვერ შევამჩნიეთ.

*
* *

ასე თუ ისე, ჩვენ მიერ განხილული 20-ზე მეტი სომხური და, მათთან დაკავშირებით, რამდენიმე ქართული წარწერა ნათლად გვიჩვენებს, რომ გარესჯის „მრავალმთის“ უდაბნოები და განსაკუთრებით დავით გარეჯელის ლავრა თვისი ე.-წ. „უდაბნო“-„წამებული“-თ საუკუნეთა განმავლობაში სომეხ-ანტიქალკედონიანთა სალოცავ და, ამავე დროს, რასაკვირველია, საქეიფო მყუდრო კუთხედ იყო მიჩნეული, ისევე, როგორც ქართველ და ბერძენ ქალკედონიანთა და მაჰმადიანთა მიერაც კი.

კერძოდ, თუ რომ ყველა ამ წარწერას ჩვენ თავს მოვუყრით და დავალაგებთ ქრონოლოგიურის თანამიმდევრობით, შევატყობთ, რომ მათით შესაძლებელი ხდება საკმაოდ დიდი დიაპაზონის დადგენა—XIII საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე. ხოლო თვით წარწერებში მოპოვებული თარიღები ჩვენ სრულ საშუალებას გვაძლევენ აღვნუსხოთ ანტიქალკედონიან-სო-

[1] „ბერთუბანი“ (ბერთ+უბანი) გეოგრაფიულ სახელწოდებათა იმ მწკრივს ეკუთვნის, სადაც ფუძედ სიტყვა „ბერი“ არის გამოყენებული. მაგ.: „ბერთა“ ტაო-კლარჯეთში, „ბერთაყანა“ მესხეთში (ვანის-ქვაბის მახლობლად) და სხვ.

მეხთა გარესჯის „მრავალმთა“-ში მიმოსელის ისტორიის შემდეგი მთავარი მომენტები:

1274 წ.—„ღვთივცხებულნი წმიდანი მღვდელნი გარეჯისანი“ და ვიღაცა „დმანელი“ (უდაბნო-წამებულის ბეღელი).

1302 წ.—„სარგის ხუცესი, ალფოიან ალფოს ძე“ (იქვე).

1332 წ.—„ნუნი ჯოვანეს ძე“ (იმავე კომპლექსის ხარების ეკლესია).

1351 წ.—„ტერ ხუცეს-მღვდელი, იაკობი, მურვან ხუცეს-მღვდელი ანელი, ამაზასპ ხუცესი“ (იმავე კომპლექსის სატრაპეზო).

1351 წ. (?)—„სუჯაჰთ“ (იქვე).

1352 წ.—„სარგის ძე არასლანისა“, მეუღლითა და შვილით „ამირ-საიდ“-ითურთ (იქვე).

1352 წ.—„სარგის მღვდელმონოზონი“, „თუმანბეკი“ და სხვ. (იქვე).

1352 წ.—„იოანე, გედეონი, სარგისი“ და სხვ. (იქვე).

1352 წ.—(?) „ნათელა“ (იქვე).

1352 წ.—„სარგისი [და] შალვა, მონა ღვთისა და იოვანე უძლეველი ფილოსოფოსის (ე. ი. იოანე ოძუნელის) საფლავისა“ (იქვე).

1352 წ.—(?) „ხერედინი“ (იქვე).

1467 წ.—„იოვანე ხუცესი სომეხთა, ტფილელი“ (მოხსენებულია იმავე კომპლექსის 5 წარწერაში, რომელთაგან 4 თავ-ეკლესიასა და მისი გვერდით მდებარე სენაკშია, მათ შორის 1 სომხური და 3 ქართული, 1 სომხურიც წმ. გიორგის ეკლესიაში).

1682 წ.—„უფალი ბარსელი (ბასილი) ასეული კრებულითა“ (იმავე კომპლექსის თავ-ეკლესიის გვერდით მდებარე სენაკს), ანდა მრავალი მლოცველებითურთ (ბერთუბნის ეკლესიაში).

1746 წ.—„მონა ღვთისა ინა (?)“ (უდაბნო-წამებულის სატრაპეზო).

XVIII—XIX ს.—„გოგინაშვილი ავეტიკა“ (იმავე კომპლექსის თავი-ეკლესიის გვერდით სენაკში).

XVIII—XIX ს.—„ფითოანთ არუთინა“ (იქვე).


XVIII—XIX ს.—„ბაგრატ აღბალიანი“ (იმავე კომპლექსის ხარების ეკლესიაში).

წარწერები საინტერესოა აგრეთვე იმით, რომ შეიცავენ ცნობებს სომეხ პილიგრიმთა სადაურობის შესახებ. მაგალითად, 1274 წ. წარწერაში მოხსენებულნი არიან მღვდელნი „გარესჯისანი“, ე. ი. საგარეჯოსნი, და ვიღაცა „დმანელი“ (*დმანისელ*), ე. ი. დმანისელი; 1351 წლისაში—მურვან „ხუცეს-მღვდელი ანელი“; 1352 წლისაში—„მონა ღვთისა და იოვანე უძლეველი ფილოსოფოსის საფლავისა“, ე. ი. იოანე ოძუნელის მონასტრით ლორე-ტაშირში; ხოლო 1467 წლისაში—იოვანე „ტფილელი“. დანარჩენ პირთა სადაურობა, სამწუხაროდ, აღნიშნული არ არის. მაგრამ ზოგიერთის შესახებ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტფილელები ანდა ქართლ-კახელები უნდა იყვნენ, როგორც მაგალითად: ხერედინი, ინა, ფარემუზა, სუჯაჰთი, ბარსელი (ბასილი), ნუნი ჯოვანეს ძე, გოგინაშვილი ავეტიკა და ფითოანთ არუთინა.

ყველა ეს მაჩვენებელია იმისი, რომ გარესჯის „მრავალმთა", საერთოდ, და დავითგარეჯა, კერძოდ, უსაზღვრო მიმზიდველობით ყოფილა ძველად აღჭურვილი, ქალკედონიან ქართველ-ბერძნებთან ერთად, ანტიქალკედონიან-სომეხთა თვალშიც კი, ესე-იგი—რომ „სარწმუნოებრივი" განსხვავება ამათუიმ ტომთა და ხალხთა შორის ვერ შებორკავდა მათ იმ მეგობრულ ურთიერთობისათვის, რომელიც ფეოდალიზმის განვითარების პირობებში ხატებში „სალოცავად" და საქეიფოდ სიარულში გამოიხატებოდა ხოლმე, ხოლო ქალაქებში საამქრო ორგანიზაციებში დამკვიდრებულ სოლიდარობაში.

ის გარემოება, რომ პილიგრიმთა მიერ მოხაზული მრავალფეროვანი წარწერებითა და, კერძოდ, სომხურით უმთავრესად დავითგარეჯის „უდაბნო"-„წამებული" და ნაწილობრივ ბერთუბანი არის ცნობილი, თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ ისინი წარწერების მოხაზვის მომენტში კარგა ხნის მიტოვებულნი იყვნენ: „უდაბნო"-„წამებული" თითქოს XIII საუკუნიდან, ე. ი. მონღოლთა შემოსევის დროიდან, ხოლო ბერთუბანი XVII-იდან. ამას მხარს უჭერს, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ 1917 წლამდე, ე. ი. ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, მონასტრების სახით მოღწეულ ნათლისმცემლის, დავითგარეჯისა და დოდოს კომპლექსებს არავითარი ძველი წარწერები საერთოდ არ გააჩნიათ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „იოვანე სომეხთა ხუცესის ტფილელის" 1467 წლის წარწერები „უდაბნო"-„წამებული"-ს თაი-ეკლესიის საკურთხეველსა და წმ. გიორგის ეკლესიაშია თავმოყრილი, რაიც ყოველად დაუშვებელი იქნებოდა იმ დროისათვის, როდესაც ისინი „მოქმედი" ეკლესიები იყვნენ და მათში ღვთისმსახურება სრულდებოდა, რამდენადაც „არამართლმადიდებელ", გარეშე ადამიანს, თუნდაც სასულიერო პირს, ამ შემთხვევაში სომეხ-ანტიქალკედონიანს, საკურთხეველში შესვლის უფლება საერთოდ არ ჰქონდა.

მოკლედ, ეპიგრაფიკული ძეგლები და, კერძოდ, სომხური წარწერები გარესჯის „მრავალმთის" ცალკეულ კომპლექსთაგან შეინარჩუნეს მხოლოდ ისეთებმა, რომლებიც წარწერების შესრულების მომენტში მოქმედ უდაბნოებად აღარ ითვლებოდნენ, რადგანაც ამათუიმ კატასტროფასთან დაკავშირებით ისინი XIII—XV საუკუნიდან მიტოვებულნი იყვნენ.



1352 წლის პოლიგლოტური წარწერა — ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული — დავითგარეჯის „უდაბნო“-ში (იხ. გვ. 161—163)

შ. ჩხეტია

ტფილისის ისტორიიდან

ტფილისის მდგომარეობა კეთილმოწყობის მხრივ 1860-იან წლებში[1]

ქალაქი ძველად და საშუალო საუკუნეებშიც, როგორც ცნობილია, შენდებოდა ჩვეულებრივად ყოველგვარ გეგმის გარეშე—არსებითად სტიქიურად და თვითმდინარების გზით: ქალაქის ყოველი მაშინდელი მოსახლე თუ მცხოვრები (ხელოსანი, ვაჭარი, ფეოდალი) უმთავრესად და განსაკუთრებით ზრუნავდა მხოლოდ პირად საჭიროებაზე, საკუთარ სახლ-კარზე, თავის საეკლესიო თუ სახელოსნო წარმოებაზე. ის ნაკლებად ჰფიქრობდა მეზობელზე, საზოგადოებრივ ადგილების (ქუჩების, მოედნების, ტრანსპორტის, ჰიგიენურ დაწესებულებათა და სხვა მისთანათა) მოგვარებაზე, საერთოდ ქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კეთილმოწყობაზე. მცხოვრებთა და ხელისუფალთა მზრუნველობას ქალაქის საერთო საჭიროებებსა და კეთილმოწყობაზე ადგილი ჰქონდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ქალაქი წარმოადგენდა არა მარტო სავაჭრო და სააღებმიცემო პუნქტს, არამედ ციხე-სიმაგრესაც და რამდენადაც ქალაქის ფუნქციას შეადგენდა მცხოვრებთა დაცვა მტრების შემოსევისაგან[2]. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს მზრუნველობა არ ჰგულისხმობდა არსებითად მზრუნველობას ქალაქის კეთილმოწყობაზე გარკვეული, წინასწარ შემუშავებული, გეგმის მიხედვით.

ამის გამო, სავსებით ბუნებრივია, ძველი და საშუალო საუკუნეების ქალაქები, გეგმიანობისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით, წარმოადგენდა ჩვეულებრივად უგეგმოდ და უწესრიგოდ დასახლებულ პუნქტებს—ტერიტორიის რაციონალურად გამოყენებისა და რაციონალურად დარაიონების გარეშე, ქალაქის საერთო აღნაგობასა და სტრუქტურაში სიმეტრიის დაცვის გარეშე, მოხერხებულ და კეთილმოწყობილ მოედნებისა, ქუჩებისა, წყალსადენისა, კანალიზაციისა და საქალაქო ტრანსპორტის გარეშე[3].

კაპიტალისტურ ეპოქის დაწყებიდან-კი, როდესაც ქალაქები გადაიქცა მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებად, როდესაც ქალაქის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით მოძრაობა ქუჩებში ერთობ გაიზარდა, როდე-

[1] თავი ხელნაწერ შრომიდან—„ტფილისი XIX საუკუნეში" (რუსულ ენაზე).

[2] Д. Арошовичъ, Градостроительство, БСЭ, XVIII, 114.

[3] იქვე. ფეოდალურ-ბატონყმურ ეპოქაშიც იყო, როგორც გამონაკლისი, შედარებით კარგად მოწყობილი ქალაქები, მაგრამ აქ ლაპარაკია არა გამონაკლისებზე, არამედ საერთოდ საშუალო საუკუნეების ქალაქებზე.

საც გაჩნდა საქალაქო ტრანსპორტის ახალი სახეები და როდესაც ქალაქის ფუნქციები გასაოცრად გაფართოვდა, ქალაქის კეთილმოწყობისა და მუნიციპალურ მეურნეობის დარგში წარმოიშვა მთელი რიგი ახალი პრობლემები: 1. ქალაქის შემდეგი განვითარების უზრუნველყოფისა და ამ მიზნით ახალ რაიონების დაგეგმვის პრობლემა, 2. ახალ პირობებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად ქალაქის ძველი კვარტალებისა და ქუჩების თუ მოედნების რეკონსტრუქციის პრობლემა, 3. საქალაქო ტრანსპორტისა და ქუჩებში წესიერ მოძრაობის ორგანიზაციის პრობლემა, 4. საზოგადოებრივ პროფილაქტიკისა და შესაფერ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების შექმნის პრობლემა. 5. ქალაქის სურსათ-სანოვაგით მომარაგებისა და მისი მოსახლეობის გამოკვების პრობლემა და სხვა.

ეს პრობლემები და საერთოდ ქალაქის კეთილმოწყობის პრობლემები კაპიტალიზმის ეპოქაში წამოყენებულია თვით ცხოვრების მიერ, ერთობ მწვავედ, რადგან მათ გადაუჭრელად ქალაქს არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება. ქალაქის დაგეგმვისა და რეკონსტრუქციის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, ქუჩებისა და მოედნების რაციონალურად მოწყობის პრობლემას, რადგან ძველებური ვიწრო, უსწორმასწორო და მოუკირწყლავი ქუჩები თუ მოედნები სრულიად გამოუსადეგი და ზოგჯერ ხელისშემშლელიც გამოდგა ახალ პირობებისათვის. ბურჟუაზიული ინჟინრები და არქიტექტორები „საუკეთესო" და „ულამაზეს" ქუჩად სთვლიან სწორ და ფართე ქუჩას[1] და ასეთი ქუჩების რაოდენობით საზღვრავენ კიდევაც უმთავრესად ქალაქის კეთილმოწყობის დონეს. ასევე ყურადღება ექცევა აგრეთვე სახლებისა და კვარტალების მხატვრულ-არქიტექტურულ გაფორმებას ბურჟუაზიულ გემოვნების მიხედვით, წყალსადენისა და კანალიზაციის მოწყობას, სანიტარულ პირობების დაცვას და სხვა, რადგან უამისოდ კაპიტალიზმის პირობებში ქალაქს არსებობა არ შეუძლია.

მაგრამ ყველაფერი ეს ამ დროს კეთდება ბურჟუაზიისა და საერთოდ ქალაქის შეძლებულ კლასების ინტერესების შესაბამისად: დაგეგმვისა, კეთილმოწყობისა და მხატვრულად გაფორმების ობიექტი არის უმთავრესად და განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალური ნაწილი, სადაც მოწყობილია მსხვილი საავაჭრო მაღაზიები, ბურჟუაზიის საცხოვრებელი ბინები და ხელისუფლების დაწესებულებები, სადაც განსაკუთრებით ძლიერია ქუჩის მოძრაობა და მიმოსვლა. ბურჟუაზიულ ხელისუფლებისა და ქალაქის მმართველობის ბურჟუაზიულ ორგანოების მთელი გულისყური მიქცეულია იქითკენ, რომ მაქსიმალურად კეთილმოეწყოს, არქიტექტურულად გაფორმდეს, სისუფთავე და სილამაზე სუფევდეს იქ, სადაც მცხოვრებთა მაღალი, პრივილეგიური ფენა მოსახლეობს; ქალაქის იმ ნაწილის კეთილმოწყობა კი, სადაც ღარიბი ან ულარიბესი ფენაა დასახლებული (ქალაქის განაპირა რაიონები), სრულიად ყოველგვარ ყურადღების გარეშე რჩება და. მაშასადამე, ამაზე არავინ ზრუნავს. მხოლოდ იმის შიში, რომ შესაძლებელია ასეთ განაპირა, ღარიბთა უბნებში ეპიდემია გაჩნდეს და აქედან ქალაქის სხვა ნაწილსაც გადაედოს, აიძულებს ბურჟუაზიას მიაქციოს დრო და დრო ყურად-

[1] პირველად ფართე და სწორი ქუჩების კულტი წამოაყენეს საფრანგეთში, ხოლო შემდეგ ეს კულტი გადაიღეს სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც.

ღება ამ უბნებსაც და იზრუნოს მათ კეთილმოწყობაზედაც[1]. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ბურჟუაზიის მზრუნველობა არსებითად არ სცილდება უბრალო და ელემენტარულ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების შექმნისათვის განკუთვნილ ღონისძიებათა გატარებას.

ამის გამო, ბუნებრივია, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქალაქების განაპირა რაიონები, ღარიბთა და მუშათა უბნები, ჩვეულებრივად, მეტად ცუდ და არასახარბიელო მდგომარეობაში არიან ხოლმე. ისინი მკვეთრად განირჩევიან ქალაქის ცენტრალურ ნაწილებისა და მდიდართა უბნებისაგან—სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებისა, მხატვრულ-არქიტექტურულ გაფორმებისა, კომუნალურ მომსახურებისა, ტრანსპორტისა, განათებისა და სხვათა მხრივ: ამ უბნებში, როგორც წესი, გამეფებულია უსუფთაობა, მტვერი, ტალახი, ანტისანიტარია და ანტიჰიგიენა.

ასეთია საერთოდ ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის პრინციპი კაპიტალიზმის ეპოქაში. ეს პრინციპი, უაღრესად კლასობრივი პრინციპი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, სავსებით დაცულია მეფის რუსეთის ბურჟუაზიულ-პომეშჩიკური ხელისუფლების მიერ ძველი ტფილისის რეკონსტრუქციის დროს[2] მთელი XIX საუკუნის სიგრძეზე და კერძოდ 1860—1865-იან წლებშიც.

* * *

ტფილისი ძველად (გარკვეულ პერიოდებში, მაგალითად, X—XIII, XVII საუკუნეებში), მთელ რიგ ქართულ და უცხოურ წყაროების მოწმობით, როგორც ვიცით, ლამაზ და კეთილმოწყობილ ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ მე-18 საუკუნის დასასრულისათვის ის, მტრების შემოსევისაგან არა ერთხელ დარბეული, იმდენად ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ სერიოზულ და კაპიტალურ შეკეთებას თუ გადაკეთებას მოითხოვდა, თუნდაც იმისათვის, რომ ის კავკასიის ადმინისტრატიულ ცენტრად და მეფის ნაცვლის სარეზიდენციო ქალაქად გამომდგარიყო[3]. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ტფილისის ეს შეკეთება რუსულ მმართველობის დამკვიდრების პირველ დღიდანვე დაიწყებოდა. მაგრამ ამ უკანასკნელმა ნაბიჯები ამ მიმართულებით ერთობ გვიან გადადგა, არსებითად მხოლოდ 1840—50-იან წლებიდან. მანამდე კი მთავრობის ღონისძიებებს ტფილისის აღდგენისათვის უფრო შემთხვევითი და პალიატიური ხასიათი ჰქონდათ. ეს

[1] იქვე.

[2] არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც ჩვენ ტფილისის „რეკონსტრუქციაზე" ვლაპარაკობთ ცარიზმის დროს, აქ არ იგულისხმება რეკონსტრუქცია თანამედროვე გაგებით: ეს „რეკონსტრუქცია" იყო ძველი ტფილისის დანგრევა და ზოგიერთი ახალი ქუჩებისა, მოედნების, თუ კვარტალების გაშენება არსებითად იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოეპრიანებოდა ეს ხელისუფლებას.

[3] მე-18 ს. დასასრულისა და მე-19 ს. დასაწყისისათვის ტფილისის მდგომარეობის შესახებ ზოგიერთი საჭირო ცნობები იხ.: აკ. გიულდენშტედტის „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში" (ნაწყვეტი ტფილისის შესახებ—Старый Тифлис, გვ. 39—43); უცნობი ავტორის „შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნების ისტორიოგრაფიული აღწერილობა" (ნაწყვეტი ტფილისის შესახებ—იქვე, გვ. 49—50); კლაპროტის „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში" (ნაწყვეტი ტფილისის შესახებ—იქვე, გვ. 66—73); შ. ჩხეტიას „ტფილისის ისტორიისათვის", 1938წ. ტფილისი, გვ. 26—27; И. Бадриадзивили, Тифлис, стр. 95—135.

აიხსნება ერთი მხრივ იმ გარემოებით, რომ ამ დრომდე ტფილისში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული კლასი, რომელიც საკუთარ ადგილსამყოფელის მოწყობით დაინტერესებული ყოფილიყო, ხოლო მეორე მხრივ კი იმითაც, რომ რუსულ ხელისუფლებას, ომითა და დაპყრობითი მიზნებით გართულს, მანამდე არც ეცალა ტფილისის მოწყობისათვის.

ამისდა მიუხედავად კავკასიის ადმინისტრაცია, რათქმაუნდა, საკუთარ ინტერესებიდან გამომდინარე, ამ პირველ პერიოდშიც იღებდა ზოგიერთ ზომებს იმ მიზნით, რომ კეთილმოეწყო ტფილისის ის უბნები მაინც, რომლებიც რუსულ მმართველობის შემოსვლის შემდეგ ქალაქის ცენტრალურ ნაწილებად და მთავრობის დაწესებულებათა სამყოფელ ადგილად გადაიქცა. აი რას მოგვითხრობს, მაგალითად, ამ ღონისძიებებით ერთობ აღფრთოვანებული, იმ დროის საფრანგეთის კონსული ტფილისში (1820—1824) გამბა:

„როდესაც მე ვნახე ძველი ქალაქი [ტფილისი] 1820 წელს, ყველა ქუჩა გავსებული იყო ნაგვის ზვინებით... ამ ზვინებზე უნდა გაეველო ადამიანს, რომ მიეღწია [სახლის] კარებამდე... და იქიდან კი შესულიყო სახლში მიწის ქვეშ... აჲ სახლების ბანი თითქმის ქუჩას უსწორდებოდა. ქუჩები კიდევ ვიწრო და უსწორმასწორო იყო. სამი წელიწადი იყო საკმარისი იმისთვის, რომ ამ ძველ ქალაქს, რომელიც თავის დაქცეულობით აზიურ თავაშვებულობის დესპოტურ რეჟიმს მოწმობდა, მისცემოდა განათლებულ ევროპულ ქალაქის სახე“[1].

„ამგვარი არსებითი ცვლილებები რომ მოეხდინათ, განაგრძობს გამბა, პოლიციის უფროსმა, ინჟენერისა და რამდენიმე მოსამსახურის თანხლებით, განსაზღვრა ყველა ქუჩის სიგანე იმ ვარაუდით, რომ ეტლს გავლა შესძლებოდა. ამასთანავე ყურადღება ექცეოდა იმასაც, რომ ქუჩები გაეყვანათ სწორი ხაზით. მცხოვრებლებს კი საკმაოდ მოკლე ვადა მიეცათ იმისათვის, რომ შეეკეთებინათ აგურით თავიანთი სახლები, რომელთა ჰიმაღლე არ აღემატებოდა 12—15 ფუტს. რომ უფრო ჩქარა წასულიყო ეს სამუშაოები, აგურის წარმოებას დაუთმეს უზარმაზარი სივრცე. ამ სამუშაოს მიჩენილი ჰყავდა ჯარისკაცები დიდის რაოდენობით. სხვები კიდევ მუხის ხეებს სჭრიდნენ ტყეებში და გორიდან ტფილისში ჩამოჰქონდათ ტიენები. ასეთ პირობებში ძველი ქალაქის აღდგენა წინ მიდიოდა ისეთი სისწრაფით, რომ წარმოდგენაც ძნელია[2]... აღმშენებლობის ჟინმა, რომელმაც თავი იჩინა სენას ნაპირებზე (ე. ი. პარიზში—შ. ჩ.) მოიცვა ცირუსის ნაპირებიც“ (ე. ი. მტკვრის ნაპირები)[3].

ძველი ქალაქის „აღდგენაზე“ და ტფილისისათვის „განათლებულ ევროპულ ქალაქის სახის“ მიცემაზე ამ დროს, რათქმაუნდა, ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გამბას[4] მიერ აღწერილ მდგომარეობიდან

[1] Старый Тифлис, стр. 77.

[2] იქვე, გვ. 78.

[3] იქვე, გვ. 82.

[4] გამბას გადაჭარბებული აღფრთოვანება ხელისუფლების ღონისძიებებით, რათქმაუნდა, მიეწერება არა ამ ღონისძიებების ფართე მასშტაბსა და ტემპებს (თუმცა მაშინ, აღმშენებლობის მასშტაბისა და ტემპების საზომი სულ სხვანაირი იყო), არამედ—მის სოლიდარობას მეფის ხელისუფლებასთან. იმავე სოლიდარობას საფუძველზე არა ნაკლებ აღფრთოვანებული იყო მთავრობის ღონისძიებებით კლაპროტიც. „უკანასკნელი ცნობებით, რომელიც მე მომეპოება ტფილისიდან, ქალაქი ყოველდღიურად ლამაზდება გენერალ ერმოლოვის (რომელმაც ქართველებს ევროპულ არქიტექტურის გემოვნება ჩაუნერგა) პატრიოტულ მცდელობის წყალობით“-ო, სწერს კლაპროტი (იქვე, გვ. 68).

40 წლის შემდეგაც, ე. ი. 1860—1865-იან წლებშიც კი, არ ჰქონდა ტფილისს ასეთი ქალაქის სახე; მაგრამ ეს ჩვენება ტფილისის აღდგენისათვის გადადგმულ ნაბიჯების შესახებ, რაც უეჭველია არა მთელს ქალაქს, არამედ მის არისტოკრატიულ უბნებს ჰგულისხმობს, ჰმოწმობს იმას, რომ ტფილისის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბურჟუაზია და მეფის ხელისუფლება, თავადაზნაურობასა და სასულიერო წოდებასთან ერთად, უკვე 1825-იან წლებში ცდილობდნენ მოეწყოთ ტფილისი—კაპიტალის ეს პირველი კერა კავკასიაში—იმ ვარაუდით, რომ აქ თავისთვის მოხერხებული და მუდმივი ბინა გაეჩინათ[1].

* * *

შემდეგში (განსაკუთრებით მ. ვორონცოვისა და ბარიატინსკის დროს) ეს მუშაობა ტფილისის აღდგენისათვის იმავე მიმართულებით (ე. ი. ქალაქის შეძლებულ ფენებისათვის მაქსიმალურად უკეთესი პირობების შექმნის მიმართულებით) გაგრძელდა უფრო სწრაფი ტემპებითა და უფრო ფართე მასშტაბით. 1840—1850-იან წლებიდან მოლონიერებულ ბურჟუაზიას და დაპყრობითი ომებისაგან შედარებით განთავისუფლებულ ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლეოდა მიაქციონ ამ საქმეს მეტი ყურადღება. პირველ რიგში მთავრობა ცდილობს კეთილმოაწყოს ყოფილი გარეთუბანი, რომელიც ამ დროისათვის ქალაქის უკვე ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, და სოლოლაკი, რომელიც ბურჟუაზიის მთავარ კვარტალად არის გადაქცეული: ამ რაიონებში შენდება ახალი კვარტალები, მდიდრული, სამსართულიანი სახლები, ფართე და სწორი ქუჩები, ბულვარები (გოლოვინის პროსპექტის ორივე მხარეზე), ბაღები (სასახლის, ალექსანდრეს, ბოტანიკური), შადრევნები და აუზები (გოლოვინის პროსპექტზე, ერევნის მოედანზე, სასახლის ბაღში), ქარვასლები (თამამშევის ქარვასლა ერევნის მოედანზე), მთავრობის დაწესებულებები (მთავარ შტაბის სახლი, პოლიციის სახლი) და სხვა.

მეორე რიგში მთავრობა ყურადღებას აქცევს საშუალო ბურჟუაზიის უბანს—მტკვრის მარცხენა ნაპირს. მუშტაიდიდან ავლაბრამდე თავისუფალი ადგილები, ან ბაღებით დაკავებული ადგილები ამ რაიონში ნაწილდება ახალ კვარტალებად, გაჰყავთ ახალი ქუჩები და შესახვევები, მათ შორის მიხეილის პროსპექტი; ამ პროსპექტის გასწერივ ორივე მხარეზე რგავენ ხეებს გამწვანების მიზნით, ხოლო მის დასაწყისში ეწყობა მოედანი—მიხეილის (ვორონცოვის) მოედანი (აწ კ. მარქსის მოედანი); 1850 წელს ორთაჭალასთან აშენებენ ხიდს მტკვარზე (ამერიკულ, ან ცოტა გვიან, მნაცაკანოვის ხიდად წოდებულს), ხოლო

[1] ტფილისის აღმშენებლობის საქმეში მაღალ ფენების აქტივობას იგივე გ ა მ ბ ა ასე გადმოგვცემს: „ზენერლები, ადგილობრივი თავადები და მდიდარი სომხები ერთი მეორეს ექიშპებოდნენ თავიანთ ნაგებობათა საუკეთესოდ მოწყობაში", მაგრამ მათგან განსაკუთრებით „გამოირჩეოდა სომხების ეპისკოპოსი ტფილისში—ნერსესი, რომელმაც ახალ ქალაქში უშეელებელი ქარვასლა ააშენა"-ო (იქვე, გვ. 78—79).

ერთი წლის შემდეგ (1851—1852)—მეორე ქვის ხიდს ეორონცოვის მოედანთან[1] და ა. შ.

აწყობდა და ალამაზებდა რა ამგვარად ტფილისის ბურჟუაზია და მეფის ხელისუფლება ქალაქის ცენტრალურ რაიონებს, არისტოკრატიის კვარტალებს, ამავე დროს სრულიად ყურადღების გარეშე სტოვებდა ისეთ უბნებს, როგორიცაა, მაგალითად, ვერა, ვარდისუბანი, ხარფუხი, კუკია (ნაწილობრივ), ჩუღურეთი, რიყე, სადაც მოსახლეობდა მცხოვრებთა დაბალი ფენა; ხელისუფლება ყურადღების გარეშე სტოვებდა აგრეთვე ისეთ რაიონებსაც, როგორიც იყვნენ ქალაქის ყოფილი ცენტრალური უბნები (ყ. კალა—ძველი ქალაქი, სეიდაბადი, აელაბარი) იმის გამო, რომ ამ უბნებშიც ახლა ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობდა, და აგრეთვე იმის გამოც, რომ ეს უბნები ადგილობრივი თავისებურების მატარებელნი იყვნენ. (თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალაქის რომელიმე უბანი, თავისი მოწყობილობით ან ისტორიული ძეგლებითა და ნაშთებით ქართველი ხალხის ეროვნულ წარსულზე მიუთითებდა, ხელისუფლება ცდილობდა ასეთი ისტორიული ძეგლები და ნაშთები მოესპო ან გადაეკეთებინა, როგორც ეს მან ჩაიდინა ტფილისის ძველი ციხისა, ქართველ მეფეების სასახლეებისა, თოფწამალის საწყობისა და სხვათა მიმართ)[2]. ყველა ასეთ უყურადღებოდ დატოვებულ ან მოძულებულ უბნებში მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში კი არ უმჯობესდებოდა კეთილმოწყობის მხრივ, არამედ უარესდებოდა კიდეც[3].

საერთოდ უნდა ითქვას, რომ 1860—1865-იან წლებამდე ტფილისი, მიუხედავად იმ ღონისძიებებისა, რომელთა შესახებ ზევით ვამბობდით, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, კეთილმოწყობის მხრივ, იმპერიის სხვა თანატოლ ქალაქებთან შედარებითაც კი: მოსკოვსა და პეტერბურგს თავი რომ დავანებოთ ოდესა, კიევი, ხარკოვი და იმპერიის ზოგიერთი სხვა ქალაქები. რომლებიც XIX ს. დასაწყისისათვის ტფილისზე დაბლა იდგნენ არა მარტო სიდიდით და მოსახლეობის რაოდენობით, არამედ კეთილმოწყობის მხრივაც, ახლა ამ მხრივ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ტფილისი[4]. „სამოციან წლების დასაწყისამდე—სრულიად სამართლიანად სწერს ნ. ბერძენოვი—ტფილისის მთავარი ქუჩებიც კი გამოირჩეოდა ავდარში გაუვალი

[1] ССК, VI, 306—309; Д. Бакрадзе и Н. Берлясенов, Тифлис в историческом и этнографическом отношении, 122 и далее; Весь Кавказ, стр. 55 и далее; Буржуазный Тифлис середины XIX века (Старый Тифлис, стр. 95); Тифлис и его окрестности, 1934 г. г. Тифлис; Тифлис, справочник для экскурсантов, 1929 г.; Акты КАК, т. VIII, IX, X (განსაკუთრებით ეორონცოვის უქვეშევრდომლესი ანგარიშები).

[2] ყველა ასეთი ძეგლი (გარდა ეკლესიებისა) რუსულ ხელისუფლების მიერ ან სრულიად მოსპობილ, ან გადაკეთებულ იქნა 1850-იან წლებამდე.

[3] 1660-იან წლებამდე და ერთხანს შემდეგაც ვერა, ხარფუხი, კუკია, ჩუღურეთი და სხვა განაპირა უბნები უმეტესად ხის, ან ქვის პატარა სახლებით იყვნენ გაშენებული და ეს უბნები ცენტრალურ უბნებს ეიწრო, უსწორ-მასწორო და ტალახიანი ქუჩებით უკავშირდებოდა.

[4] ეს, რათქმაუნდა, შედეგი იყო არა იმდენად მეფის რუსეთის კულტურის დაბალი დონისა, რამდენად დიდმპყრობელურ და კოლონიალურ პოლიტიკისა, რომლის წყალობით ტფილისი, როგორც განაპირა და „ინოროდცების“ ქალაქი, ხელისუფლების მხრუნველობის საგანი, რასაკვირველია, ვერ გახდებოდა.

ტალახით; ასე რომ შეუძლებელი იყო ქვეითად ამ ქუჩებზე გადასვლა ისე, რომ ადამიანი არ ჩაფლულიყო ლაფში მუხლამდე. მოედნების შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია; ესენი იყვნენ შავი ლაფის უზარმაზარი სათავსი და წარმოადგენდნენ სერიოზულ საფრთხეს იმისთვისაც კი, ვინც იქ გაივლიდა ცხენით ან ეტლით[1].

განსაკუთრებით კატასტროფული მდგომარეობა იყო ქუჩების მოკირწყვლისა და განათების მხრივ. 1860-იან წლებამდე მოკირწყლულ ქუჩების მთელი სივრცის რაოდენობა ტფილისში შეადგენდა მხოლოდ 6.824 კვ. საჟენს. ხოლო 1862 წელს ეს სივრცე გადიდდა 13.600 კვ. საჟენით და ამრიგად ამ დროს მოკირწყლული ქუჩების მთელი სივრცე არ აღემატებოდა 20.424 კვ. საჟენს[2]. ამასთანავე ეს მოკირწყლული სივრცე ხვდებოდა იმავე ცენტრალურ უბნებს (სოლოლაკი, ერევნის მოედანი, ყ. გარეთუბანი), რომელთა შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი.

ქუჩები განათებული იყო პრიმიტიული, უბრალო ნავთის ფანრებით[3]. ამ ფანრების საერთო რაოდენობის შესახებ ცნობები არ არის, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თითო ფანარი ქალაქს 20—25 მანეთი[4], ხოლო მთელი განათება—2.870 მან[5]. უჯდებოდა წელიწადში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი რიცხვი ამ დროს 115—140 არ აღემატებოდა. ფანრების ეს რაოდენობა, რასაკვირველია, სრულიად საკმარისი არ იყო ქალაქის გასანათებლად, თითო ქუჩაზე თითო ფანრის ვარაუდითაც კი, რადგან ქუჩების, შესახვევებისა და მოედნების რაოდენობა ამ დროს 200-ზე მეტი იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ფანრები გამოიყენებოდა მხოლოდ ცენტრალურ უბნებისათვის, დანარჩენი უბნები კი განათებული სრულიად არ იყო.

* * *

ამისდა მიუხედავად საკითხი ქალაქის ცენტრალურ უბნების გაშუქების შესახებაც, ისევე როგორც საერთოდ ქალაქის სანიტარულ პირობების გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის შესახებ, ამ დროს იმდენად მწვავედ იდგა ტფილისში, რომ მოითხოვდა სასწრაფო ზომების მიღებას: ბურჯუაზიას, ნგგელსის გამოთქმით, უკვე სული ეხუთებოდა საკუთარ ნეხვში, ხოლო ახლად დანიშნულ მეფის ნაცვალს დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელიც რომანოვთა პეტერბურგში მიჩვეული იყო მდიდრულ კვარტალებსა და სუფ-

---

[1] Бакрадзе и Н. Берлезенов, Тифлис в истор. и этногр. отношении, стр. 143; შდრ. А. Дюма, Кавказ, II, стр. 465.

[2] Н. Торопов, Взгляд на Тифлис в ипретологическом отношении, Тифлис, 1863 г. стр. 42.

[3] ალ. დიუმას ცნობით მაშინ ტფილისის ქუჩებს სრულიად არ ანათებდნენ, А. Дюма, Кавказ, II, стр. 466.

[4] ССС К, стр. 96; ამ ცნობების მიხედვით ჯაზის ფანარი ჯდებოდა 25 მან., ხოლო აქედან ნავთის ფანარის შენახვა შეიძლება ვივარაუდოთ ოდნავ ნაკლები.

[5] В. К., стр. 60.

თა ქუჩებს, არაფრად მოსწონდა თავის ახალ რეზიდენციაში ეს ნეხვიანი ატმოსფერა.

ამის გამო მიხეილ ნიკოლოზის ძის მეფის ნაცვლად დანიშვნის თითქმის პირველ დღიდანვე[1] ტფილისის კეთილმოწყობის საკითხი და კერძოდ ქუჩების გაყვანისა, მოკირწყვლისა და განათების საკითხი ტფილისში დაისვა უფრო რეალურად. რაკი ქალაქის მდგომარეობა ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, სრულიად აუტანელი იყო, ხელისუფლება იძულებული გახდა საკმაოდ დიდი თანხები გადაედო და საკმაოდ ენერგიულადაც მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის[2]. ჩვენ არ მოგვეპოება სრული და უდაო ცნობები იმ შედეგების შესახებ, რომლებიც მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯების წყალობით მოპოებული იყო 1860-იან წლებში, მაგრამ იმ ნაკლულევან ცნობებიდანაც, რომელიც ჩვენ მოგვეპოება, ჩანს, რომ ეს შედეგები, იმ დროის კვალობაზე, უმნიშვნელო არ იყო, თუმცა უნდა ითქვას რომ მთავრობის ღონისძიებები ვერასოდეს ვერ უსწრობდა ქალაქის ზრდას, და ტფილისი მთელ ამ ხნის (1860-იან წლების) განმავლობაში, ისევე, როგორც მანამდეც, არსებითად სრულიად ანტისანიტარულ და ანტიჰიგიენურ მდგომარეობაში რჩებოდა. ასე რომ, როდესაც ჩვენ მთავრობის ღონისძიებების შედეგების შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს შედეგები შედარებით წინა პერიოდთან, რომელსაც სრული უმოქმედობა ახასიათებდა.

რომ უფრო გასაგები იყოს ეს ამბავი, მოვიყვანთ შესადარებლად ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობებს:

ნ. დუნკელ-ველინგის სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით[3] ტფილისში 1864 წელს თითქოს 212 ქუჩა და 10 მოედანი ითვლებოდა. აქედან მოკირწყლული იყო სულ 56 ქუჩა და 5 მოედანი, რაც შეადგენდა 42.000 კვ. საჟენს, ხოლო მოუკირწყლავი—156 ქუჩა და 5 მოედანი, რაც შეადგენდა 33.000 კვ. საჟენს[4]. თუმცა დუნკელ-ველინგის ცნობა ქუჩებისა და მოედნების საერთო რაოდენობის შესახებ სავსებით სწორი არ უნდა იყოს[5], მაგრამ მოკირწყლული და მოუკირწყლავი სივრცის რაოდენობა ცალცალკე და ერთადაც, როგორც ჩანს, სიმართლეს შეეფერება. ხოლო ამის მიხედვით გამოდის, რომ მოკირწყლულ სივრცის რაოდენობა 1864 წელს, 1862 წელთან შედარებით, გადიდებულა მეტად ვიდრე ორჯერ.

---

[1] მიხეილ ნიკოლოზის ძე მეფის ნაცვლად დანიშნული იყო 1862 წელს, მაგრამ ფაქტიურად მან მუშაობა ორი-სამი წლით უფრო გვიან დაიწყო.

[2] ქალაქში წარმოებული მშენებლობა მიმდინარეობდა ერთი მხრივ კერძო კაპიტალისტთა ხარჯზე (კერძო სახლების, მაღაზიების, ქარვასლებისა და სხვათა მშენებლობა), მეორე მხრივ ხაზინის ხარჯზე (სახაზინო სახლები, დაწესებულებები და სხვა), ხოლო მესამე მხრივ ქალაქის ხარჯზე. ქალაქის შემოსავალი 1851 წელს შეადგენდა 106.095 მან. ხოლო გასავალი—დაახლოებით ამდენსავე; 1861 წელს შემოსავალი ნავარაუდევი იყო 292.706 მან., გასავალი კი—252.257 მან; 1874 წელს პირველი შეადგენდა 336.117 მან., ხოლო მეორე—317.294 მან. (ВК, стр. 56).

[3] ტფილისის სტატისტიკური აღწერილობა (შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, 1938 წ. გვ. 187—206; КК, 1865 г.; СССК, 1869).

[4] შ. ჩხეტია, იქვე, გვ, 204.

[5] შდრ. ქვემოთ მოყვანილ საარქივო ცნობებს.

შემდეგ, საარქივო მასალების მიხედვით[1] 1865-66 წელს ტფილისში ითვლებოდა 134 ქუჩა, 61 შესახვევი, 17 მოედანი, 2 პლაცი და 2 ბულვარი. აქედან მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების სიერცის რაოდენობა შეადგენდა 42.249 კვ. საჟენს, ხოლო შოსირებულისა—6.242 კვ. საჟენს[2], ე. ი. სულ 48.491 კვ. საჟენს. თუ რამდენს შეადგენდა მოუკირწყლავ სიერცის რაოდენობა, ამ საბუთიდან არა ჩანს, მაგრამ თუ მოსაკირწყლავ სიერცის საერთო რაოდენობას ქალაქში ვივარაუდებთ დაახლოებით 120.000 კვ. საჟენს (ე. ი. 1864 წელთან შედარებით 45.000 კვ. საჟენით მეტს[3]), მოუკირწყლავ სიერცის რაოდენობა გამოვა (120.000—48.491) 71.509 კვ საჟენი. ამრიგად, ამ ცნობების მიხედვით, 1865-6 წელს მოკირწყლულ სიერცის რაოდენობა შოსირებულითურთ, 1864 წელთან შედარებით, გადიდებულია 6.591 კვ. საჟენით.

დასასრულ, 1867 წლის ტფილისის გეგმის მიხედვით ამ დროს ტფილისში ითვლებოდა 108 ქუჩა, 2 პროსპექტი, 14 მოედანი, 22 შესახვევი, 2 აღმართი და 1 გასასვლელი[4], ხოლო 1876 წლის აღწერის მიხედვით—205 ქუჩა, 2 პროსპექტი, 16 მოედანი, 101 შესახვევი, 25 გასასვლელი და 6 აღმართი[5].

ამ ცნობებიდან, როგორც ჩანს, პირველი წყაროს (ტფილისის გეგმის) ცნობები ქუჩებისა და მოედნების რაოდენობის შესახებ სწორი არ უნდა იყოს[6], ხოლო მეორე წყაროს (ტფილისის აღწერის) ცნობები, არც თავისთავად და არც ამ წყაროს საიმედობის მხრივ, ეჭვს არ იწვევენ. ამიტომ ამ უკანასკნელის შედარება 1865-6 წლის საარქივო მასალის ზემოთმოყვანილ ცნობებთან ცხადჰყოფს იმ ზრდას, რომელსაც ტფილისი განიცდიდა ამ მხრივ (ე. ი. ქუჩების გაყვანის მხრივ) აღნიშნულ პერიოდის (1866—1876), ე. ი. 10 წლის განმავლობაში. მაგრამ, სამწუხაროდ, 1876 წლის აღწერიდან (ისევე, როგორც 1867 წლის გეგმიდან) არა ჩანს, თუ რამდენი იყო ამ აღწერაში დასახელებულ ქუჩებიდან და მოედნებიდან მოკირწყლული და რამდენი მოუკირწყლავი, რის გამოც შეუძლებელია ამ ცნობების შედარება ამ მხრივ ზემოთმოყვანილ სხვა წყაროების ცნობებთან. სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს ოდნავ უფრო გვიანდელი, სახელდობრ, 1879 წლის ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ ამ დროს მოკირწყლულ სიერცის რაოდენობა ტფილისში შეადგენდა 135.000 კვ. საჟენს, შოსირებულისა—25.000 კვ. საჟენს, ხოლო სრულიად მოუკირწყლავისა—100.000 კვ. საჟენს[7]. ამრიგად ამ

[1] ტფილისის მედიკურ-ტოპოგრაფიული და სტატისტიკურ-ეთნოგრაფიული აღწერილობა (შ. ჩხეტია, იქვე, გვ. 158—186).

[2] იქვე, გვ. 181.

[3] სულ ტფილისის ტერიტორია ამ დროს 1.800.000 კვ. საჟენს შეადგენდა, მაგრამ ამაში შედიოდა ის ტერიტორიაც, რომელიც ეკავა ნაგებობებს, ბაღებს და მტკვარს.

[4] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 210.

[5] ССК, VI, გვ. 265.

[6] შდრ. ზემოთმოყვანილ წინა წლების ცნობებს; რომ ეს ცნობები სრული არ არის, ჩანს ამ გეგმისთვის გაკეთებულ შენიშვნიდანაც: იქ ნათქვამია, რომ გეგმაში ნაჩვენებია მხოლოდ ზოგიერთი ქუჩები, შესახვევები და მოედნები.

[7] ССК VI, გვ. 266.

ცნობების მიხედვით 1879 წელს მოკირწყლულ სივრცის რაოდენობა შოსირებულითურთ, 1865-6 წელთან შედარებით, გადიდებულია 111.505 კვ. საჟენით. ხოლო 1864 წელთან შედარებით—118.000 კვ. საჟენით[1].

ახლა თუ ყველა ზემოთდასახელებულ წყაროს (გარდა 1867 წ. გეგმისა და 1876 წლის აღწერის) ცნობების მიხედვით მოკირწყლულ და მოუკირწყლავ სივრცის რაოდენობას ერთიმეორეს შევადარებთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

წლები	მოკირწყლული და შოსირებული სივრცის რაოდენობა		მოუკირწყლავ სივრცის რაოდენობა	
	კვ. საჟენი	%	კვ. საჟენი	%
1864	42.000 კვ. საჟ.	56	33.000 კვ. საჟ.	44
1865-6	48.491 „ „	48,8	71.509 „ „	51,2
1879	160.000 „	61,6	100.000 „	38.4

ჩვენ არ მოგვეპოება ცნობები ცალ-ცალკე 1867. 1868, 1869 და არც შემდეგი წლების შესახებ (1879 წლამდე), მაგრამ 1864 წლის და 1879 წლის ზემოთმოყვანილ ცნობების ერთიმეორესთან შედარება ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ მთელ ამ ხნის განმავლობაში მუშაობა ქუჩების გაყვანისა და კეთილმოწყობის (მოკირწყვლის) ხაზით საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა: რაღაც 14—15 წლის განმავლობაში, ქუჩების რიცხვის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად[2], მოკირწყლულ სივრცის რაოდენობა გაიზარდა თითქმის 400%-მდე[3]. მაგრამ მეორე მხრივ იმავე 1864 წლისა და 1879 წლის ცნობების ერთიმეორესთან შედარებიდან ნათელია ის გარემოებაც, რომ თუმცა მოუკირწყლავ სივრცის რაოდენობა პროცენტულად თანდათანობით იკლებდა ამ პერიოდში (44%—38,4%), მაგრამ ქალაქის საერთო სივრცის ზრდასთან დაკავშირებით, ეს რაოდენობა აბსოლუტურ ციფრებში ამავე ხნის განმავლობაში ასევე თანდათანობით მატულობდა: რაღაც 14—15 წლის განმავლობაში მოუკირწყლავ სივრცის რაოდენობა გაიზარდა 300%-ზე უფრო მეტად[4]. ეს მოუკირწყლავი ქუჩები იმყოფებოდა ქალაქის განაპირა უბნებში: ვერაზე, ხარფუხში, რიყეში, ჩუღურეთში, ავლაბარსა და კუკიაში.

* * *

ქუჩების მოწყობისა და მოკირწყლის საკითხთან ერთად 1860-იან წლებიდან, იმავე მიზეზების გამო, უფრო რეალურად ისმება ტფილისში საკითხი ქალაქის განათების შესახებაც. 1860-იან წლებამდე, როგორც ვამბობდით, ტფი-

[1] იხ. ზემოთ.

[2] შდრ. 1865-66 წლისა და 1876 წლის ცნობები (134 ქუჩა—205 ქუჩა).

[3] შდრ. 1864 წლისა და 1879 წლის ცნობები (42.000 კვ. საჟ.—160.000 კვ. საჟ.).

[4] შდრ. 1864 წლისა და 1879 წლის ცნობები (33.000 კვ. საჟ.—100.000 კვ. საჟ.).

ლისის ქუჩებს ანათებდნენ ნავთის უბრალო ფანრებით და ასეთი ფანრების რაოდენობა 115—140-ს არ აღემატებოდა. 1860-იან წლებიდან კი ხმარებაში შემოდის ახლად გამოგონილი გაზის განათება და ამ დროიდან ნავთის ფანრები, როგორც ჩანს, უკვე აღარ იხმარებოდა, ყოველ შემთხვევაში ქალაქის ცენტრალურ უბნებში. 1864 წლის სტატისტიკური ცნობებით ამ დროს ტფილისში მოწყობილი იყო სულ 302 გაზის ფანარი და ამ ფანრების შენახვა ქალაქს ყოველწლიურად 7.500 მან. უჯდებოდა (თითო ფანარი 25 მან.)[1]; მაგრამ რადგან ეს რაოდენობა ქალაქის გასანათებლად საკმარისი არ იყო, ქალაქს გადაწყვეტილი ჰქონდა მოეწყო შემდეგში დამატებით კიდევ 200 გაზის ფანარი და მაშინ ქალაქს განათების მთელი ხარჯი 12.000 მან. უნდა დაჯდომოდა[2] ყოველწლიურად. მაგრამ, როგორც ჩანს, 1865-იან წლებში ეს განზრახვა, უსახსრობის თუ სხვა მიზეზის გამო, რეალიზებული არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში ნ. ბერძენოვის ცნობებიდან ჩანს, რომ 1870-იან წლებშიც კი გაზის ფანრების რაოდენობა დასახელებულ რიცხვს (302) არ აღემატებოდა, ხოლო დამატებით 200 ფანრის მოწყობის განზრახვა ამ დროს ისევ განზრახვად რჩებოდა[3]. სამაგიეროდ შემდეგში (მომდევნო წლებში) გაზის ფანრების რიცხვი საგრძნობლად გადიდებულ იქნა. ასე, მაგალითად, 1879 წელს ტფილისში უკვე 1.350 გაზის ფანარი ითვლებოდა[4].

ეს ფანრები მოწყობილი იყო მხოლოდ მთავარ მოედნებსა, ქუჩებსა და ხიდებზე, რადგან ყველა ქუჩისათვის მათი რაოდენობა საკმარისი არ იყო. გაზის ფანრები ამ დროს თავისებურ კომფორტად და ფუფუნებად ითვლებოდა. მთავრობაც, როგორც ჩანს, ერთობ კმაყოფილი იყო ამ ფანრებით. ყოველ შემთხვევაში ივიე ზემოთ დასახელებული დუნკელ-ველინგი ფრიად აღფრთოვანებული სწერდა ამის შესახებ თავის დროზე: „ტფილისის ხიდები, ქუჩები და მოედნები ამჟამად[5] განათებულია 302 ფანრით, რომელიც იძლევა კაშკაშა სინათლეს. განათება წარმოებს გაზით, რომელიც გამოიყოფა თევი წვის დროს, ფოტონაფტილად ან ფოტოგენად წოდებულ. ნავთისაგან გაკეთებულ სითხიდან. ფანრებს აქვთ ერთობ კაშკაშა სინათლე, რომელიც ვრცელდება დიდ არეზე"-ო[6].

როგორც ვთქვით, ფანრები მოწყობილი იყო არა მარტო ქუჩებსა და მოედნებზე, არამედ ხიდებზედაც. ხიდებზე ფანრების მოწყობა, გასაგებია, გამოწეული იყო უმთავრესად იმით, რომ ღამე იქ გავლის დროს საფრთხისა და კატასტროფის შესაძლებლობა თავიდან აცილებული ყოფილიყო, მაგრამ ეს გამო-

[1] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 205.

[2] იქვე, გვ. 205.

[3] Д. Бакрадзе и Н. Бердзенов, Тифлис в ист. и эт. отношении, стр. 144.

[4] ССК, VI, 267; გაზის განათების შესახებ იხ. ტფილისის მმართველობის ანგარიში (რუსულ ენაზე), 1875 წ. ტფილისი.

[5] ე. ი. 1864 წელს.

[6] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 205.

წვეული იყო იმითაც, რომ მთავრობის განკარგულებით ხიდებზე (ახლად გაშენებულ ხიდებზე) გავლისათვის გამვლელთ გარკვეულ გადასახადს ახდევინებდნენ, და ღამე, გაუნათებლად, ამ განკარგულების შესრულება შეუძლებელი იყო. რომ სწორედ ეს მიზანიც ჰქონდა მთავრობას ხიდებზე ფანრების გაკეთების დროს, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ეს ფანრები მოწყობილი იყო მხოლოდ მტკვარზე გადებულ ხიდებზე, ე. ი. იმ ხიდებზე, რომლებზედაც დაწესებული იყო გადასახადი.

სულ მტკვარზე ამ დროს ოთხი ხიდი ითვლებოდა: 1. მნაცაკანოვის ხიდი, ორთაჭალის ახლო (წინათ ამერიკულ ხიდად წოდებული); 2. მიხეილის ან ეორონცოვის ხიდი ამავე სახელწოდების მოედანთან (მადათოვის კუნძულთან), 3. მეტეხის ხიდი (მეტეხთან) და 4. ავლაბრის ხიდი (იქვე). აძათგან მხოლოდ მიხეილის ხიდი იყო ქვისა, დანარჩენი კი ხის. მნაცაკანოვის და მიხეილის ხიდები, როგორც ვამბობდით, გაკეთდა ეორონცოვის დროს, პირველი 1850 წელს, ხოლო მეორე—1851—1852 წლებში. მეტეხისა და ავლაბრის ხიდები არსებობდა წინათაც (ქართველ მეფეების დროს), მაგრამ შემდეგში, რუსულ მმართველობის დროს, ისინი განახლებულ თუ გადაკეთებულ იქნენ: პირველი—1821 წელს, ხოლო მეორე 1830 წელს[1].

ამ დიდ (მტკვარზე გაკეთებულ) ხიდების გარდა 1865-იან წლებშივე ტფილისში ითვლებოდა ოთხი თუ ხუთი პატარა ხიდი[2]—მდინარე ვერაზე, დაბახანაზე და აგრეთვე პატარა ხრამებზე ორთაჭალაში, კრწანისსა და ნავთლულში: ვერის ხიდი, დაბახანის ხიდი, ორთაჭალის ხიდი, კრწანისის ხიდი და ნავთლულის ხიდი[3]. ამ ხიდებზე, როგორც ჩანს, მაშინ ფანრები ჯერ გაკეთებული არ იყო ისევე, როგორც თვით იმ რაიონებში, სადაც ეს ხიდები იმყოფებოდა.

* * *

როგორც ცნობილია, კეთილმოწყობის მხრივ ქალაქის მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია წყალსადენი და კანალიზაცია. მაგრამ 1860—1865-იან წლებში, ნამდვილად რომ ვთქვათ, ტფილისში ჯერ კიდევ არც წყალსადენი და არც კანალიზაცია არ არსებობდა. ქალაქის მოსახლეობა სასმელად ხმარობდა უმთავრესად მტკვრის წყალს, ხოლო ნაწილობრივ წყაროს წყალსაც. წინათ ტფილისში მრავალი წყარო იყო, მაგრამ შემდეგში, როდესაც ტყეები და ბაღები გაჩეხეს, ეს წყაროები თანდათან ამოშრა. „ქალაქის რამდენიმე ადგილას—ეკითხულობთ ერთ საბუთში, რომელიც 1865-66 წლს ეკუთვნის,—არის წყაროები,

---

[1] ამის შესახებ იხ.: შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ.204—205; ა. აკობიანცი, ტფილისის აღწერილობა („გარუნ". 1866 წ. გვ. 156—157): ტფილისის გეგმა 1867 წლისა (შ. ჩხეტია, იქვე გვ. 211); CCCK, I, გვ. 98.

[2] შ. ჩხეტია, იქვე, გვ. 181.

[3] ცნობები ამ პატარა ხიდების შესახებ ერთიმეორეს არ უდგება (შდრ. დასახელებული წყაროების ცნობები); კერძოდ ა. აკობიანცის ცნობით თითქოს ამ დროს ტფილისში მხოლოდ სამი ასეთი ხიდი იყო: დაბახანის—1, კრწანისის—1 და ვერის—1; მაგრამ ეს ცნობა, როგორც ჩანს, სწორი არ უნდა იყოს.

მაგრამ წყაროებში წყალი იმდენად ცოტაა, რომ ბევრი მათგანი ზაფხულობით სრულიად შრება"[1]. ექიმ ნ. ტოროპოვის მოწმობით კი ამ დროს თითქმის ყველა წყარო თვით შიგნით ტფილისში უკვე გამშრალი იყო. „ტფილისში, თვით ქალაქში,—წერს ის—წინათ ბევრი წყარო იყო, მაგრამ ახლა ყველა ისინი გაშრნენ და წყალს აღარ იძლევიან. ასე რომ ბევრ კერძო სახლთან ახლაც შეიძლება ნახოს ადამიანმა შადრევანისა, ნიშებში გაკეთებულ ონკანისა და მათ ქვეშ პატარა აუზის ნაშთები, რომლებიც ახლა ნაგავითა და მტვრით არის გავსებული"[2]-ო. როგორც ჩანს, ეს ცნობა სწორი უნდა იყოს: სხვა წყაროების მიხედვითაც ირკვევა, რომ 1860—1865-იან წლებში ტფილისში, თვით ქალაქის ფარგლებში, წყაროები უკვე აღარ იყო, ისინი ამოშრნენ. მაგრამ ქალაქის გარეუბნებში (თათრების სასაფლაოს ახლო, მთაწმინდაზე, სომხის სასაფლაოს ახლო და ზოგიერთ სხვა ადგილებშიც[3]) ამ დროს წყაროები იყო და ამ წყაროებით ქალაქის მოსახლეობა სარგებლობდა კიდეც.

მდინარე ვერის წყალს მოსახლეობა ხმარობდა ბაღების მოსარწყავად, ისევე როგორც მტკვრის წყალსაც, ხოლო დაბახანის წყალს—სარეცხისათვის[4]. რა თქმაუნდა., უკანასკნელ მიზნისათვის გამოიყენებოდა მტკვრისა და ვერის წყალიც. მაგრამ უმთავრესად ამ მიზნისათვის დაბახანის წყალი იმიტომ იხმარებოდა, რომ ის უერთდებოდა (როგორც ახლაც) მინერალურ (გოგირდის) თბილ წყლებს და ამის გამო თვითონაც თბილი ხდებოდა.

დასალევი წყალი მტკვრიდან ან კოკითა და დოქებით, ან კიდევ რუმბებითა და ბოჭკებით მოჰქონდათ. კოკებითა და დოქებით წყალი ჩვეულებრივად მოჰქონდათ პირად საჭიროებისათვის ღარიბ მცხოვრებლებს, ხოლო რუმბითა და ბოჭკებით მეთულუხჩეები წყალს უზიდავდნენ შეძლებულ მოსახლეობას გარკვეული გასამრჯელოს მიღებით[5]. რუმბები კეთდებოდა კამეჩის ტყავისაგან, ხოლო ბოჭკები—მუხის ხისაგან. ისინი მოწყობილი იყვნენ ტაჭკებზე იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ზევიდან ძაბრის საშუალებით წყლის ჩასხმა და უკან მიბმულ ტყავის საშუალებით კიდევ—გადასხმა. ზაფხულსა და გაზაფხულზე ჩვეულებრივად მღვრიე მტკვრის წყალი, როდესაც დადგებოდა და გაიწმინდებოდა, ერთი ოფიციალური საბუთის მოწმობით, „ტკბილ და სასიამოვნო დასალევად" ითვლებოდა[6].

ტფილისში 1860—1865-იან წლებში, ისევე როგორც მანამდე, არსებობ-

---

[1] შ. ჩხეტია, იქვე, გვ. 180.

[2] Н. Торопов, Взгляд на Тифлис, стр. 38.

[3] ტფილისის მიდამოებში ამ დროს განსაკუთრებით ცნობილი იყო შემდეგი წყაროები: 1. წყაროები ავაღლების ქუჩაზე, 2. ყორღანოვის წყაროები ვერაზე, 3. ორი წყარო ვარაზისხევში, 4. ციციშვილების წყაროები და 5. წყაროები ნაძალადევში ლოტკის-გორასთან (Г. Куриани, Исторический очерк водоснабжения Тифлиса, 1909 г., стр. 4).

[4] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 179.

[5] კოკა წყალი ფასობდა 1 კაპ., ხოლო მთელი თულუხი, რომელიც იტევდა 14 კოკას—10 კაპ. (КК, 1847 წ., გვ. 165—166).

[6] შ. ჩხეტია, იქვე, გვ. 178.

და ჭებიც[1], მაგრამ ჭის წყალი დასალევად უვარგისი იყო და ამიტომ მას ხმარობდნენ სარეცხისა და სხვა საოჯახო საჭიროებისათვის[2].

წყალსადენი ამ დროს ტფილისში, როგორც ვთქვით, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არ არსებობდა; მაგრამ რამდენიმე ადგილას მტკვრიდან და ქალაქის ახლო მდებარე წყაროებიდანაც გამოყვანილი იყო წყალი, რომლითაც მცხოვრებლები სარგებლობდნენ როგორც დასალევად, ისე სხვა საჭიროებისათვისაც. წყალი მტკვრიდან და წყაროებიდან გამოყვანილი იყო თიხის ან თუჯის, თუ რკინის, უბრალო და პატარა მილებით. ამ მიზნით მტკვარზე მოწყობილი იყო ორი წყლის ასაწევი მანქანა: ერთი გენერალ ყორღანოვისა—ვერაზე და მეორე ლიხტინსკისა—ნავთლუღში[3]. ამ მანქანებისა და დასახელებულ მილების საშუალებით მტკვრის წყალი უერთდებოდა ქალაქში მოწყობილ შადრევნებსა და აუზებს. სულ ამ დროს ტფილისში ითვლებოდა ცხრა ასეთი შადრევანი და აუზი: 1. სასახლის შადრევანი, რომელიც მარაგდებოდა სოლოლაკის წყაროს წყლით, 2. ალექსანდრეს ბაღის შადრევანი და აუზი, რომელიც იტევდა 24.000 ვედრო წყალს, და მარაგდებოდა მტკვრის წყლით, 3. ერევნის მოედნის შადრევანი აუზით, რომელიც იტევდა 1000 ვედრო წყალს და მარაგდებოდა სოლოლაკის წყაროს წყლით, 4. შადრევანი გოლოვინის პროსპექტზე, სამხედრო ყაზარმის ახლოს, რომელიც მარაგდებოდა მთაწმინდის წყაროს წყლით; 5. შადრევანი ინსტიტუტის ჭუჭაზე, 6. ორი აუზი თათრის მოედანზე, რომლებიც წყალს თათრის სასაფლაოს ახლო არსებულ წყაროდან იღებდნენ, 7. აუზი ავლაბართან და 8. ნავთლუღის აუზი, რომელიც მტკვრის წყლით მარაგდებოდა[4].

ამ აუზებისა და შადრევნების წყალი ოდნავადაც საკმარისი არ იყო, რათქმაუნდა, ქალაქის საჭიროების დასაკმაყოფილებლად: მათ არ შეეძლოთ ამ მოთხოვნილების მესამედი ნაწილის დაკმაყოფილებაც, და ამიტომ ქალაქის მცხოვრებთა წყლით მომარაგების საქმეში არსებითად უმთავრეს და, თუ გნებავთ, ერთად ერთ საშუალებას ისევ თულუხჩები წარმოადგენენ[5].

* * *

კიდევ უარესი მდგომარეობა იყო კანალიზაციის საქმეში. როგორც აღვნიშნეთ, კანალიზაცია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, 1860-იან წლებში

---

[1] 1847 წელს ტფილისში ითვლებოდა 444 ჭა (КК. стр. 165, 1847 წ.). თუ რამდენი ჭა არსებობდა ტფილისში 1860-იან წლებში, ცნობები არ მოიპოვება.

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ტფილისის ისტორიისათვის, გვ, 180.

[3] წყაროს წყლისთვის კი წყლის საჭაჩი მანქანა საჭირო არ იყო, რადგან ეს წყაროები ქალაქის მაღლობ ნაწილში იყო.

[4] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 179, 205—206. საერთოდ იხ.: Техническое снабжение Тифлиса водой из Куры (Кавказ, 1866, № 57); И. С т е б н и ц к и й и В. Б о г а ч е в, Новый водопровод на Куре (там-же, 1869, № 114); Водопровод в Тифлисе (там-же, 1882, № 117—124: 1883, № 99, 101, 104); А. О б е р о в, К вопросу о водопроводе (там-же, 1883, 114, 116), Г. К у р д и а н и, Исторический очерк водоснабжения Тифлиса, 1909 г. Тифлис.

[5] თულუხჩები ტფილისში XX საუკუნემდე არსებობდნენ.

ტფილისში სრულიად არ არსებობდა. მათ მაგიერობას სწევდნენ ერთი მხრით „სანაგვე ორმოები"—ნაგვის ჩასაყრელად, ხოლო მეორე მხრივ „ადგილობრივ", ან უკეთ, სპარსულ წესებზე გაკეთებული ჩეჩმები—ბუნებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად[1]. სანაგვე ორმოებიცა და ჩეჩმებიც თვითეულ მოსახლეს (ჩვეულებრივად თვითეულ ეზოში) თავისთვის ცალკე ჰქონდა მოწყობილი და ეს ორმოები და ჩეჩმები ინახებოდა ყოველგვარი საპროფილაქტიკო ან სადეზინფექციო ღონისძიებათა გარეშე: როდესაც ისინი გაივსებოდნენ ნაგავით ან სიბინძურით, ისინი მიწით დაიფარებოდნენ და მათ მაგიერ იქვე მეორე ადგილას ახალი ორმოები და ჩეჩმები კეთდებოდა.

მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მტკვარს, სადაც ტფილისის თავისებური რელიეფისა და ტოპოგრაფიულ პირობების გამო, როგორც ერთ ოფიციალურ საბუთშია ნათქვამი, თავისუფლად „ჩაღიოდა ქალაქის ყველა სიბინძური"[2] და წვიმის წყალიც, ავდარში ნიაღვარად რომ დაეშვებოდა ქალაქის მაღლობ ადგილებიდან. ხშირი კოკისპირული წვიმების გამო, ეს წვიმის წყალი ტფილისში ზოგჯერ (ავდარში) იმდენად დიდი იყო, რომ იმავე საბუთის თქმით, „ანგრეულა ქუჩებსა და წალეკავდა ხოლმე სახლებს"[3]. ამის გამო და აგრეთვე ქალაქის ნიადაგის თავისებურობის გამო, ტფილისში ერთობ ხშირი იყო მეწყერი, რომელსაც დიდი მატერიალური და ზოგჯერ ადამიანის მსხვერპლიც თან სდევდა ხოლმე. ასე, მაგალითად, 1857 წელს მოსკოვისა და კოლიუჩაია ბალკების რაიონში (აწინდელ „ზემელისა" და მოსკოვის ქუჩის რაიონში) დაინგრა რამდენიმე სახლი და დაიღუპა 20 კაცი[4]. ხშირი მეწყერი იმავე მიზეზების გამო იცოდა, რასაკვირველია, სხვა რაიონებშიც. მაგრამ განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებდა ეს მეწყერი იმ რაიონს, რომელიც ამჟამად ბერიას სახელობის მოედანსა და სოლოლაკს უკავია. ცნობილია, მაგალითად, რომ ერევნის მოედანზე (აწ ბერიას სახელობის მოედანზე), აღნიშნულ მიზეზისა და დიდი ნიაღვრების გამო, თამამშევის ქარავანსის აგება შეჩერებული იყო რამდენიმეჯერ[5] და მისი დამთავრება ვერ მოხერხდა მანამ, სანამ იქ არ გაავლეს ნიაღვრის წყლის გასაყვანი მილი მიწის ქვეშ; ცნობილია აგრეთვე, რომ ბოტანიკური ბაღი და მისი მიდამოები, მაგალითად, 1846 -1857 წლებში წაილეკა ნიაღვარისა და მეწყერის გამო არა ერთხელ[6] და სხ.

ამის გამო ჯერ კიდევ 1850—1860-იან წლებში ხელისუფლება იძულებული იყო მიექცია ყურადღება ამ გარემოებისათვის და მეწყერისა თუ ნიაღვრის ნიადაგზე ზარალისა და კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მიეღო გარკვეული ღონისძიება. მაშინდელი ინჟენრების მიერ ასეთ ღონისძიებად დასახული იყო ქვითკირის თაღების გაკეთება ქალაქის ფარგლებში მდებარე ხრამებზე და

[1] А. Абрамович, Об откожих ямах, устраиваемых по местному способу („Медицинский сборник", I, 1866 г., стр. 99).

[2] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 205.

[3] იქვე, გვ. 205.

[4] ССК VI, стр. 260.

[5] Театр в Тифлисе в 1845—1856 гг. (ცალკე ამონაბეჭდი, Акты X, КАК-იდან).

[6] Тифлис и его окрестности, 1925, ტფილისი, გვ. 171; ССК, VI, 261.

მიწისქვეშა მილების (არხების) გაყვანა სიბინძურისა და ნიაღვრისათვის. თაღები კეთდებოდა იმ ხრამებზე, რომლებიც ქუჩების გადაკვრით მიემართებოდა ქალაქის მაღლობ ადგილებიდან მტკვრისაკენ და ნიაღვარის წყალი თუ სიბინძურე ჩაქონდა იქ, ხოლო მიწისქვეშა მილები გაჰყვედათ ქალაქის სხვადასხვა ადგილას, სადაც ნიაღვრისა თუ მეწყერის გამო ნიადაგი ხშირად იშლებოდა და ქალაქს ზიანს აყენებდა.

ა. აკობიანცს თავის „ტფილისის აღწერილობაში", რომელიც 1866 წელს ეკუთვნის, დასახელებული აქვს 9 მიწისქვეშა მილი, გაკეთებული ამ მიზნით: 1. სოლოლაკის, 2. დაბახანის, 3. მთაწმინდის, 4. აგურხანის, 5. აელაბრის, 6. შავისოფლის, 7. ხარფუხის, 8. კრწანისისა და 9. ნავთლუღის[1]. მაგრამ, როგორც ჩანს, მათი რიცხვი ამ დროს გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო; ყოველ შემთხვევაში ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ნ. დუნკელ-ველინგი ჯერ კიდევ 1864 წელს ითვლიდა 40-მდე ასეთ არხს[2].

მაგრამ მათი რიცხვი მაინც იმდენად მცირე იყო ქალაქის მოცულობასთან შედარებით და მოწყობილობის მხრივაც ეს არხები იმდენად არადამაკმაყოფილებელი იყო, რომ ქალაქი ოდნავადაც უზრუნველყოფილი არ იყო არც ნიაღვრის ნიადაგზე წარმოშობილ ზარალისა და არც საერთოდ ანტისანიტარულ მდგომარეობისაგან. 1870-იან წლებშიც კი, როდესაც წყალქვეშა არხების რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ტფილისი ამ მხრივ ერთობ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა და აქ მთელი უბნები არსებობდა, რომელთაც „მყრალ ხეობას" უწოდებდნენ[3]: ამ უბნებში ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ადამიანს გაელაც არ შეეძლო. არამცთუ მუდმივად ცხოვრება.

* * *

ტფილისის ანტისანიტარულ-ანტიჰიგიენურ მდგომარეობას და კერძოდ ხშირ მეწყერებს, აღნიშნულ მიზეზების გარდა, ერთობ ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ აქ (როგორც ქალაქის შიგნით, ისე მის მიდამოებშიც) დიდი ნაკლებობა იყო ტყისა, ბაღებისა და საერთოდ მცენარეულობათა.

ფრანგი მოგზაურის შარდენის, ისტორიკოს ვახუშტის, აკადემიკოს გიულდენშტედტისა და სხვათა აღწერილობიდან ცნობილია, რომ ტფილისი ძველად სახელგანთქმული იყო თავისი ბაღებით; ქალაქის მიდამოები და ახლო-მახლო მდებარე რაიონები (ვერა, ვარდისუბანი, სოლოლაკი, ლეღვთახევი, ხარფუხი. ორთაჭალა, კრწანისი, მუშტაიდი, დიდუბე და სხვა) წარმოადგენდნენ თითქმის

[1] „გარუნ" 1866 წ., გვ. 156.

[2] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 205; შდრ. იქვე, გვ. 108.

[3] ССК, VI, გვ. 261. საერთოდ ტფილისის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობისა და კერძოდ კანალიზაციის ისტორიისათვის იხ.: 1. Н. Соболь щиков, Воздух и вода в Тифлисе («Кавказ» 1865, № 38-39); 2. К вопросу об устройстве канализации в Тифлисе («Кавказ», 1889, № 138); 3. К вопросу о производстве санитарно-гигиенических исследований в Тифлисе («Кавказ», 1891, № 82); 4. Т. Богатов, К вопросу о санитарных нуждах Тифлиса («Кавказ», 1884, № 76).

მთლიან ბაღებს, სადაც ჩვეულებრივ და დეკორაციულ ხეებს გარდა ხილის ხეებიც (ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი. ალუბალი, ჭერამი, ლეღვი, თუთა, ბროწეული და სხვა) იზრდებოდა. თვით ქალაქის შიგნით ჯერ კიდევ მე-18 საუკ. დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის არსებობდა მდიდარი და მშვენიერი ბაღები—ერეკლე მეფისა, დედოფალ დარიასი და ბატონიშვილებისა. „ტფილისის უმთავრეს სიმშვენიერეს—სწერდა მე-19 საუკუნის დასაწყისის რუსი მწერალი ზუბოვი—შეადგენენ მრავალრიცხოვანი ბაღები, რომელნიც სავსე არიან მშვენიერ აზიის ყველა ნაწარმოებითო"[1].

მაგრამ რუსულ მართველობის დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით კი 1825-იან წლებიდან (უმთავრესად ერმოლოვის, ვორონცოვისა და ბარიატინსკის დროს) ტფილისის ბაღების დიდი ნაწილი მოსპობილ და განადგურებულ იქნა ხელისუფლების მიერ თანდათანობით[2]. ასე რომ 1860—1865 წლებში უკვე თითქმის სრულიად აღარ იყო ბაღი ტფილისის ზოგიერთ უბნებში: ძველ ქალაქში. ვარდისუბანში. სოლოლაკში, კუკიაში. ყველა ამ უბნებში ამ დროისთვის უკვე გაჩეხილი იყო ბაღები და მათ ადგილას ახალი კვარტალები. ახალი სახლები და ქუჩები იყო გაშენებული; ანდა ამ უბნებში, თუმცა ახალი კვარტალები ჯერ გაშენებული არ იყო, მაგრამ შეუძლებელი იყო, მოსარწყავ წყლების უქონლობის გამო, ბაღების შენახვა. ექიმ ტოროპოვის მოწმობით, მაგალითად, ქალაქის ამ რაიონებში 1860-იან წლებისთვის დარჩენილი იყო ოდესღაც არსებულ მდიდარ და მშვენიერ ბაღების მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთები: ცალკე ხეები ან პაწაწინა, გავერანებული ბაღები[3].

ამისდა მიუხედავად. ტფილისი 1860-იან წლებში სრულიად უბაღოდ კი არ იყო დარჩენილი; პირიქით. ზოგიერთ მის რაიონებში, განსაკუთრებით მის განაპირა რაიონებში, დარჩენილი იყო დეკორატიული და ხილის ბაღები საკმაოდ დიდი რაოდენობით. ასე, მაგალითად, 1864 წლის ტფილისის სტატისტიკურ აღწერილობიდან, რომელიც ძირითადად ემთხვევა 1865-6 წლის საარქივო მასალის ჩვენებას და სხვა ამ დროის წყაროების ჩვენებებსაც, ჩანს. რომ ამ დროს ტფილისში 267 ბაღი ითვლებოდა[4]; ამათგან ხაზინას ეკუთვნოდა 4 ბაღი:

---

[1] Старый Тифлис, стр. 90.

[2] სხვათა შორის გენერალ ერმოლოვის დროს გადაწყდა ზემოთ ჩვენ მიერ დასახელებული ერეკლეს მშვენიერი ბაღის ბედიც. გარეშე მაყურებლისა და გარეშე პირის როლში, მაგრამ საკმაო გულისტკივილით, საფრანგეთის კონსული გამბა ამის შესახებ მოგვითხრობს შემდეგს: „ერეკლეს მშვენიერი ბაღი, სახელგანთქმული თავისი ჩეროიანი ჭადრის ხეებითა და ალვის ხეებით, განკუთვნილია ახალი კვარტალისათვის. რუსის მთავრობამ 1820 წელს გაჰყიდა ის და აიღო სულ 5.000 მანეთი ვერცხლით (20.000 ფრანკი); 1823 წელს ის ფასობდა 20—21 ათასი მან. ვერცხლით (84.000 ფრანკი)". Старый Тифлис, стр. 82.

[3] Н. Торопов, Взгляд на Тифлис, стр. 38.

[4] ტფილისის სტატისტ. აღწერილობა (შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ტფილისის ისტორიისათვის, გგ. 191); შდრ. ტფილისის მედიკურ-ტოპოგრაფიული აღწერილობა (იქვე, გგ. 181); ა. ა კ ო ბ ი ა ნ ც ი, ტფილისის აღწერილობა („გარუნ", 1866, გვ, 157—158).

1. სასახლის ბაღი[1], 2. ბოტანიკური ბაღი[2], 3. მუშტაიდის ბაღი[3] და 4. მეოთხე ბაღიც. მაგრამ თუ რომელი იყო ეს ბაღი, გამორკვეული არ არის; ქალაქს ეკუთვნოდა ერთი ბაღი—ალექსანდრეს ბაღი[4] და კერძო პირთ—262 ბაღი.

დასახელებული ბაღები თითქმის ყველა (გარდა ქალაქის შიგნით მდებარე ბაღებისა) წარმოადგენდა მომეტებულად ხილის ბაღებს ან ბოსტან-ბაღებს. აქ იზრდებოდა: ვაშლი, მსხალი, ატამი, ლეღვი, ბალი, ალუბალი, კომში, ტყემალი, ჭერამი და სხვა[5]; აქვე მოჰყავდათ ბოსტნეულობა და ბოსტნეული მცენარეები. მებაღეობა-მებოსტნეობა, რომელიც წინათ ტფილისელების ერთ-ერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა[6], 1860—1865-იან წლებში, როგორც ვხედავთ, უგულებელყოფილი არ იყო და სწორედ ამის წყალობით შემოინახა მან კიდევაც თავისი ბაღების ნაწილი, მიუხედავად იმ ბარბაროსული დამოკიდებულებისა, რომელსაც, როგორც ვთქვით, იჩენდა რუსული მთავრობა მათდამი. ეს ბაღები მეორე მხრივ ძალიან შველოდა როგორც ტფილისის ჰაერის გაჯანსაღებას, ისე ნიაღვრისა და მეწყერისაგან ნიადაგის შემაგრებას: ის ადგილები, სადაც ბაღები იყო მოწყობილი, უფრო ჯანსაღი იყო (თუ ეს ადგილები დაბლობი და ჭაობიანი ადგილები არ იყო) და ამ ადგილებში მეწყერსა თუ ნიაღვარს არ შეეძლო ნიადაგი დაეშალა.

* * *

დასასრულ, ტფილისის კეთილმოწყობისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის შესახებ მსჯელობის დროს, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ტფილისის აბანოების შესახებაც, მით უფრო, რომ ეს აბანოები, როგორც ცნობილია, სახელგანთქმული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც.

ტფილისის აბანოები ყურადღებას იქცევდა ყველა უცხოელისას, რო-

---

[1] ყ. ერეკლეს ბაღის ნაწილი, შემდეგში გაფართოებული.

[2] ის ადგილი, რომელიც ამჟამად და 1860-იან წლებშიც ბოტანიკურ ბაღს ეჭირა, წინათ „ლელეთა ხევად“ იწოდებოდა და უმთავრესად ხილის ბაღს წარმოადგენდა. ხილი ამ ბაღში 1860-იან წლებშიც იზრდებოდა. ვორონცოვის დროს, ნიშანდობლივ 1845 წელს, აქ დაიწყო ბოტანიკურ ბაღის მოწყობა და მას დაერქვა „ტფილისის ბოტანიკური ბაღი“. მაგრამ 1850-იან წლებიდან ის გადაიქცა საჯარო (სასეირნო) ბაღად. 1851 წელს მას ისევ დაუბრუნდა „ბოტანიკურ ბაღის“ სახელი და ხაზინის კუთვნილებად გადაიქცა.

[3] მუშტაიდსა და დიდუბეში წინათ კარგად მოწყობილი ხილის ბაღები არსებობდა. მაგრამ შემდეგში, მე-19 საუკუნიდან ეს ბაღები რამდენიმედ გაჩანაგდა და გაველურდა. 1840-იან წლებში ეს ადგილი რუსულმა მთავრობამ მიუბოძა ერთ სპარსელს, ვინმე მუშტეიდს, რომელმაც აქ მოაწყო ბაღი ხელახლა და მას თავისი სახელი უწოდა კიდეც. ხაზინამ ეს ბაღი შეისყიდა 1850-იან წლებში.

[4] ალექსანდრეს ბაღის გაშენება დაიწყო 1859 წ., მანამდე კი ამ ადგილას მოწყობილი იყო იპოდრომი, სადაც ხალხური გასართობები (ბურთის თამაში, კრივი, ცხენების შეჯიბრება, მარულა და სხვ.) იმართებოდა. მაშინ მას „ასპარეზი“ ეწოდებოდა.

[5] ა. აკობიანცი, ტფილისის აღწერილობა („გარუნ“, 1866, გვ. 158).

[6] აკ. გიულდენშტედტი (Старый Тифлис, გვ. 42).

ჰელსაც როდისმე საქართველოში უმგზავრია და ტფილისი უნახავს. ბევრმა მათგანმა (როგორც, მაგალითად, არაბ გეოგრაფმა იბნ-ჰაუკალმა, რუსმა ვაჭარმა გაგარამ, ფრანგ მოგზაურმა შარდენმა, ცნობილმა ბოტანიკოსმა ტურნეფორმა. აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა, ორიენტალისტმა კლაპროტმა, დიდმა რუსმა მწერალმა პუშკინმა, ალ. დიუმამ და სხვებმა) საინტერესო ცნობები და აღწერილობებიც კი დაგვიტოვა ამ აბანოების შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ მათ ტფილისის აბანოები მრავალმხრივ აინტერესებდათ: როგორც სამკურნალო წყაროები, როგორც ჰიგიენური დაწესებულებები, როგორც თავისებური გასართობი ადგილი[1] და სხვა. ასეთი მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდათ (როგორც დღესაც) ტფილისის აბანოებს 1860-იან წლებშიც. მაგრამ ამჟამად ეს აბანოები აღნიშნულ პერიოდში (ჩვენს თემასთან დაკავშირებით) ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ როგორც ჰიგიენური დაწესებულებები.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის ტფილისში სხვა საზოგადოებრივი აბანოები, გარდა გოგირდის მინერალური აბანოებისა, ცნობილი არ არის და როგორც ჩანს, არც უნდა ყოფილიყო. ხოლო გოგირდის აბანოები მაშინ ექვსი ითვლებოდა: 1. ერეკლეს აბანო, 2. მეითარის აბანო, 3. ბებუთოვის აბანო, 4. თამარ ბატონიშვილის აბანო, 5. გრილი აბანო და 6. სეიდაბადის აბანო[2]. ამ აბანოებმა ჩვენს დრომდეც მოაწია—ზოგიერთმა თავისი პირვანდელი სახელით, ხოლო ზოგიერთმა კი შეცვლილი სახელით.

რუსულ მმართველობის შემოღების შემდეგ ტფილისში გაჩნდა არაგოგირდის აბანოებიც, რომლებიც რუსულ აბანოების წესზე შენდებოდა და რუსულ აბანოებად იწოდებოდა კიდეც. რა დროიდან დაიწყეს ტფილისში რუსული აბანოების კეთება, დანამდვილებით არა ჩანს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს 1850-იან წლებიდან უნდა დაწყებულიყო. ყოველ შემთხვევაში 1846-7 წლებში ტფილისში ჯერ კიდევ არც ერთი რუსული აბანო, გარდა სამხედრო ჰოსპიტლის აბანოსი, არ არსებობდა[3]. ამ დროიდან კი რუსული ტიპის აბანოები და საერთოდ უბრალო (არაგოგირდის) აბანოები, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, სწრაფად მომრავლდა. 1860-იან წლებში. მაგალითად, სტატისტიკური ცნობებისა და საარქივო მასალების ჩვენებათა მიხედვით, ტფილისში უკვე 37 აბანო ითვლებოდა და აქედან მხოლოდ 8 აბანო იყო გოგირდისა, ხოლო დანარჩენი (29)—რუსული[4]. გოგირდის აბანოებიდან, რამდენად შეიძლება ადამიანი გაერკვეს ა. აკობიანცის ტენდენციურ ცნობებში, მაშინ არსებობდა: 1. ერეკლეს აბა-

---

[1] ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ტფილისის აბანოების ორიგინალური აღწერილობა მოცემულია ი. გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჭემა"-ში (გვ. 64—75).

[2] როგორც ცნობილია, 1795 წელს ტფილისის აბანოები დაანგრია აღა-მაჰმად-ხანმა, ხოლო ზემოთდასახელებული აბანოები მას შემდეგ აღდგენილი აბანოებია.

[3] Я. Полонский, Статистический очерк Тифлиса (КК, 1847, стр. 166).

[4] დუნკელ-ეელინგი, ტფილისის სტატისტიკური აღწერილობა (შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 191); შდრ. ტფილისის მედიკურ-ტოპოგრაფიული და სტატისტიკურ-ეთნოგრაფიული აღწერილობა (იქვე, გვ. 180). ამ უკანასკნელში მინერალური აბანოების რაოდენობა ნაჩვენებია 7, მაგრამ ეს ცნობა სწორი არ უნდა იყოს (შდრ. КК. 1847, გვ. 166),

ნო, 2. ორბელიანის აბანო, 3. არქიელის აბანო, 4. ბებუთოვის აბანო, 5. თამამშევის აბანო, 6. მირზოევის აბანო, 7. ზურაბიშვილის აბანო და 8. მეითარის აბანო[1].

ამ აბანოების მდგომარეობისა და კეთილმოწყობის შესახებ ოდნავ სრული ცნობები არ მოგვეპოვება; მაგრამ ზოგიერთი არაპირდაპირი და არასრული ცნობების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი მდგომარეობა ამ დროს მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო. ასე, მაგალითად, ზემოთდასახელებული საარქივო საბუთის ავტორი, ეხება რა ამ საკითხს, სხვათა შორის სწერს: „ადგილობრივი[2] აბანოები მოწყობილია საკმაოდ უბრალოდ; აუზი და იატაკი გაკეთებულია ადგილობრივი თლილი ქვისაგან. აბანოები არის საერთო და განცალკევებულნი, ან განსაკუთრებულნი; საერთო აბანოებში უმეტეს შემთხვევაში ერთი დიდი აუზია და ერთიც ან ორი პატარა; განსაკუთრებულ აბანოებში კი არის დიდი და პატარა აუზები და კიდევ ცივი აუზიც უბრალო წყლით“[3].

როგორც ეხედავთ ამ ცნობიდან, ტფილისის გოგირდის აბანოებს, რომელთაც წინათ (ქართველ მეფეების დროს) კარგად ინახავდნენ[4], ამ დროს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდათ და ისინი, გარდა „განსაკუთრებულ“ აბანოებისა, რომელნიც არისტოკრატიისა და მაღალ ფენისათვის იყვნენ განკუთვნილნი, ერთობ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ეს არც გასაკვირია თუ მოვიგონებთ იმ გარემოებას, რომ რუსის ხელისუფლებას კარგად არც კი ესმოდა ამ აბანოების განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღირებულება, თუნდაც როგორც ჰიგიენურ დაწესებულებისა. „აქაური აბანოები —ამბობს ირონიულად ი. პოლონსკი—ეწყობა სრულიად განსაკუთრებულ წესზე: ეს არის ვანები, სადაც მილების საშუალებით გაყვანილია ცხელი გოგირდის წყალი. ამ ვანებში ჩასვლა ადგილობრივი მკვიდრისათვის შეადგენს თითქმის ერთადერთ ფუფუნებას, რომელიც მოთხოვნილებადაა გადაქცეული. ჩამოსულები კი ამ ვანებით სარგებლობენ დიდის სიფრთხილით“-ო[5].

შემდეგში (1870-იან წლებში) ტფილისის აბანოების მოწყობის შესახებ, როგორც ვიცით, ნ. ნიკოლაძის მიერ შემუშავებული იყო დიდი პროექტი. ამ პროექტის თანახმად ეს აბანოები უნდა ჩამორთმეოდა კერძო მეპატრონეებს და საზოგადოებრივ საკუთრებად უნდა გამხდარიყო. ტფილისში უნდა მოწყობილიყო ბალნეოლოგიური სადგური—სამკურნალო მიზნით; და მაშინ ტფილისის აბანოებს, ნიკოლაძის აზრით, შეეძლო კონკურენცია გაეწია ევროპის იმ სა-

[1] ა. აკობიანცი, ტფილისის აღწერილობა („გარუნ“, 1866, გვ. 103).

[2] ავტორი ჰგულისხმობს გოგირდის აბანოებს.

[3] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 180—181.

[4] „ტფილისში გოგირდის აბანოები კარგად ინახება და ისინი, შეიძლება ითქვას, ერთადერთ გასართობს წარმოადგენენ მოქალაქეთათვისო“, სწერდა მე-18 საუკუნის დასაწყისში ცნობილი ფრანგი ბოტანიკოსი ტურნეფორი (Старый Тифлис, გვ. 28).

[5] КК, 1847, стр. 166. საერთოდ ტფილისის აბანოების შესახებ ზოგიერთი სასარგებლო ცნობები იხ: 1. Г. Абих, Теплые воды в г. Тифлисе («Медицинский сборник», №, 3); 2. Мнение ак. Абиха о тифлисск. мин. источн. («Кавказ», 1875, № 102); В. Желиховский, О тифлисских минеральных источниках («Кавказ», 1859, № 23—24); Ф. Оттен. Химическое исследование тифлис. мин. источников («Медицинский сборник»).

ეკეთესო კურორტებისათვის, რომლებიც ანალოგიური ხასიათისა იყო. მთავრობას პირველ ხანებში თითქოს მოეწონა ეს პროექტი, სპეციალური კომისიაც კი იყო გამოყოფილი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როდესაც ეს პროექტი განხორციელებული უნდა ყოფილიყო, მთავრობას შეეშინდა ხარჯებისა და პროექტიც უყურადღებოდ იქნა დატოვებული[1].

* * *

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ყველაფერი იმის მიხედვით, რაც ზემოთ ითქვა, ნათელი ხდება, რომ ტფილისი 1860-იან წლებში, თავის კეთილმოწყობითა და სანიტარული მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც. ამასთანავე, რაც მთავარია. ტფილისი საერთოდ თავისი მდგომარეობით ამ მხრივ აშკარად და გარკვევით კლასობრივ დაღს ატარებდა: ქალაქის ერთი ნაწილი მთავრობის მზრუნველობის საგანი იყო, ხოლო მეორე ნაწილი სრულიად უყურადღების გარეშე რჩებოდა. მაშინ როდესაც ქალაქის ცენტრალურ რაიონებში (გარეთუბანი, სოლოლაკი, ერევნის მოედანი, მიხეილის პროსპექტისა და მიხეილის მოედნის რაიონები და სხვა), რომლებიც დასახლებული იყო ბურჟუაზიითა და მაღალი წოდების მოსახლეობით, გაშენებული იყო ახალი, კეთილმოწყობილი კვარტალები ლამაზი სახლებით[2], ფართე და სუფთა, მოკირწყლული ქუჩებით, მოედნებით, შადრევნებით, ბულვარით და ბაღებით,—ქალაქის სხვა რაიონებში (ძველ ქალაქში, სეიდაბადში, ხარფუხში, რიყეში, ჩუღურეთში, ავლაბარში, კუკიაში და სხვა), სადაც ღარიბი და უღარიბესი მოსახლეობა ცხოვრობდა, გამეფებული იყო სიბინძურე და უსუფთაობა, მტვერი და ტალახი, რაც ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ყოველგვარ ავადმყოფობისა და ეპიდემიის გავრცელებისათვის.

ამის გამო, სრულიად გასაკვირი არ არის, რომ ტფილისს ამ დროს, ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მხრივ, ერთ-ერთი პირველ ადგილთაგანი ეჭირა მთელს რუსეთის იმპერიაში, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ მხრივ საერთოდ ერთობ ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა ევროპის ქვეყნებს შორის: იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში) საშუალო რიცხვი სიკვდილიანობისა (1870-იან წლებში) არ აღემატებოდა 28,4 კაცს მცხოვრებთა 1000 კაცზე, ყოფილ რუსეთის იმპერიაში ეს რიცხვი შეადგენდა 36,1 კაცს მცხოვრებთა 1000 კაცზე[3]. ტფილისი კი, როგორც ჩანს სრულიად სანდო სტატისტიკურ ცნობებიდან, ბევრად არ ჩამორ-

[1] Весь Кавказ, стр. 58.

[2] სულ ტფილისში 1864 წელს 10.119 სახლი ითვლებოდა, აქედან 82 სახლი ხისა იყო, ხოლო დანარჩენი ქვისა (შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 109); 1876 წელს კი ტფილისში ითვლებოდა 14.643 სახლი, აქედან ხის სახლები 1.168 იყო, დანარჩენი კი ქვისა (იქვე. გვ. 110).

[3] М. Песчанский, Смертность (МСЭ, VIII, стр. 48).

ჩებოდა სიკვდილიანობის ამ საშუალო ნორმას იმპერიაში. ასე მაგალითად, ე. კარპოვიჩის ცნობებით, რომლებიც გამოქვეყნებული იყო «Медицинский сборник»-ში (№ 10, отд. II, стр. 9—28), 1869 წელს ტფილისში, სამხედრო ჰოსპიტალისა. ქალაქის საავადმყოფოსა და ციხესთან არსებულ საავადმყოფო განყოფილების გამოკლებით. ითვლებოდა 1918 სიკვდილის შემთხვევა, ხოლო 1870 წელს—2.594 შემთხვევა, ე. ი. საშუალოდ 2.256 შემთხვევა წელიწადში[1].

ჩვენ არ გვაქვს ცნობები იმავე წლების სიკვდილიანობის რაოდენობის შესახებ ქალაქის საავადმყოფოში და ციხესთან არსებულ საავადმყოფო განყოფილებაში, მაგრამ 1868 წლის ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე საავადმყოფოში ეს რიცხვი დაახლოებით არა ნაკლებ 400 უნდა ყოფილიყო, ხოლო სამხედრო ჰოსპიტალთან ერთად, სადაც იმავე ცნობებით 291 შემთხვევაა[2] აღრიცხული,—არა ნაკლებ 691 შემთხვევისა. ამრიგად საშუალო ნორმა სიკვდილიანობისა 1865-იან წლებში (ყოველ 1000 შემთხვევაში ამ პერიოდის უკანასკნელ წლებში) ტფილისში შეადგენდა 2.947 კაცს, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, თითქმის 36 კაცს მცხოვრებთა ყოველ 1000 კაცზე. ამასთანავე, რაც მთავარია, ამ ჭარბ სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიური წარმოშობისა იყო: ავადმყოფობებიდან, რომლის შედეგად სიკვდილიანობას ადგილი ჰქონდა, პირველი ადგილი ეჭირა დეზინტერიას, მუცლის კატარს, ტიფს, ტიფოიდს, ციებ-ცხელებას და სხვა ისეთ ავადმყოფობებს, რომელთა წარმოშობა და გავრცელება უშუალოდ დაკავშირებულია ცხოვრების სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან და ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან. ასე, მაგალითად, როდესაც მიხრწნილობის (სიბერის) ნიადაგზე სიკვდილიანობის შემთხვევა შეადგენდა 179 (ან 194). დეზინტერიის ნიადაგზე სიკვდილიანობის შემთხვევა უდრიდა 669 (ან 896): ან კიდევ, როდესაც ტრავმატულ და სხვა გარეგნულ ავადმყოფობათა ნიადაგზე კვდებოდა 20 (ან 17) კაცი, ტიფისაგან გარდაცვალებულთა რიცხვი უდრიდა 148 (ან 161) კაცს და ა. შ.[3].

ამ სიკვდილიანობის სტატისტიკა წოდებათა მიხედვით ჩვენ არ მოგვეპოვება. მაგრამ უამისოდაც დანამდვილებით შეიძლება à priori ითქვას, რომ აბსოლუტური უმეტესობა დაავადებისა და სიკვდილიანობის შემთხვევათა დაბალ ფენას ხვდებოდა, იმ ფენას, რომელიც სიღარიბესა და სიბინძურეში ატარებდა თავის ცხოვრებას, რათქმაუნდა, იძულებით, შექმნილ პირობების გამო.

ყველაფერი ეს ცხადად ჰმოწმობს იმას, რომ ტფილისში გავრცელებულ ჭარბ სიკვდილიანობის უმთავრეს მიზეზს საერთოდ ქალაქის მოუწყობლობა სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების მხრივ და კერძოდ დაბალი ფენის არსებობის აუტანელი სოციალურ-ეკონომიური პირობები წარმოადგენდა.

---

[1] В. Карпович, Отчет о смертности г. Тифлиса за 1869 и 1870 гг. (ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 1—26).

[2] В. Карпович, Отчет о смертности г. Тифлиса за 1869 и 1870 гг. (ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 18).

[3] В. Карпович, იქვე, გვ.19—20; ფრჩხილების წინ ციფრი უჩვენებს 1869 წლის ცნობას, ხოლო ფრჩხილებში—1870 წლისას.

მაგრამ მეფის ოფიციალური ხელისუფლება ცდილობდა ამის მიზეზი მოენახა[1] არა ქალაქის მოუწყობლობაში. არა მძიმე სოციალურ-ეკონომიურ პირობებში, არამედ სხვა რამეში. ამავე დროს ის არასოდეს არ სთვლიდა თავის თავს დამნაშავედ და პასუხისმგებლად ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობისათვის, ყოველ შემთხვევაში მაშინდელს ოფიციალურ საბუთებში და ოფიციალურ ან ნახევრად ოფიციალურ ლიტერატურაში არსად არ მოიპოება მითითება იმის შესახებ, რომ ამ დროს ტფილისში გავრცელებულ ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მიზეზი მდგომარეობდა ჩვენ მიერ ზემოთდასახელებულ პირობებში. პირიქით, სიკვდილიანობისა და ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობის ფაქტის კონსტატაციის დროსაც კი, ამგვარ დოკუმენტებსა და ლიტერატურაში ან სრულიად არაფერია ნათქვამი ამ ორ მოვლენის, როგორც მიზეზისა (ქალაქის ანტისანიტარული მდგომარეობა) და შედეგის (სიკვდილიანობა). ურთიერთ კავშირის შესახებ; ან, თუ ასეთი კავშირი აღნიშნულია, აქედან არ არის გაკეთებული სათანადო ლოგიკური დასკვნა იმის შესახებ, თუ ვინ იყო საბოლოოდ ამისათვის პასუხისმგებელი. უფრო ხშირად კი ამ დროის წყაროებში ჩვენ ვხვდებით შეგნებულ და ტენდენციურ ცდას აღნიშნულ მოვლენის (სიკვდილიანობის) მიზეზად წამოყენებულ იქნეს ისეთი შედარებით მეორეხარისხოვანი და ზოგჯერ სრულიად ყალბი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, ტფილისის კლიმატური და ოროგრაფიული პირობები, ტფილისელთა „აზიური" ჩვეულებები, მათი „უკულტურობა", მედიცინისადმი „მტრული" დამოკიდებულება და სხვა.

ამ მხრივ ერთობ საინტერესოა ჩვენ მიერ ზემოთდასახელებულ „ტფილისის მედიკურ-ტოპოგრაფიულ აღწერილობის" ავტორის აზრი, რომელიც გამოთქმულია მის მიერ ამავე საბუთში. ის სწერს:

„ქალაქში, სადაც თითქმის 100.000-მდე მცხოვრებია, სადაც მომეტებულად სახლები შემჭიდროებულად არის აშენებული, სადაც მცხოვრებთა ¾ აზიურად ცხოვრობს სივიწროესა და უსუფთაობაში, სადაც აშკარად სძულთ ყველაფერი, რაც სისუფთავეს შეეხება, სადაც გასაოცარი დაჟინებით მამა-პაპურ ჩვეულებებს მისდევენ, სადაც ქუჩა სახლის, დუქნის, მეურნეობის, სახელოსნოსა და ფაბრიკის განუყოფელ ნაწილად ითვლება და ამის გამო ყოველგვარ უსუფთაობის გადასაყრელ ადგილად მიაჩნიათ,—ასეთ ქალაქში არც გასაკვირია ადგილი ჰქონდეს დიდ სიკვდილიანობასო"... და ქვემოთ: „მეორე მხრივ სიძულვილი მცხოვრებთა უმეტესობისა ყოველგვარ მედიკურ საშუალებებისადმი იწვევს სიკვდილიანობის დიდ რაოდენობას"-ო[4].

სხვანაირად რომ ვთქვათ, ავტორის აზრით (რომელიც არსებითად თვით

[1] თუ საერთოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ხელისუფლება ამის ნამდვილ მიზეზების გამორკვევით დაინტერესებული იყო.

[2] ხაზი ყველგან ჩვენია.

[3] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 122—123.

[4] იქვე, გვ. 123.

სიკვდილის მსხვერპლთ სდებს ბრალს საკუთარ მათ სიკვდილში), რომ ტფილისის მოსახლეობას არ ეცხოვრა „აზიურად სიეიწროესა და უ'უფთაობაში", რომ მას არ ჰქონოდა „სიძულვილი ყოველგვარ მედიკურ საშუალებისადმი" და სისუფთავისადმი, რომ მას სიმდიდრე და კარგი კვება ჰქონოდა[1], ასეთი დიდი სიკვდილიანობა არ იქნებოდა. ეს, რათქმაუნდა, ასე არის; ეს, რათქმაუნდა, ისედაც თავისთავად გასაგებია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი ავტორი, როდესაც ამგვარად მსჯელობს, სრულიად თავს არ იწუხებს იმის შესახებ, თუ რატომ ცხოვრობდნენ ტფილისელები ვიწროდ, ტალახსა და სიბინძურეში? თუ რატომ იკვებებოდნენ ისინი ცუდად? თუ რატომ „სძულდათ" მათ მედიკამენტები და „უველაფერი ის, რაც სისუფთავეს შეეხება?" მას, როგორც ჭეფის მოხელეს, სრულიად არ აინტერესებს ის გარემოება, რომ ტფილისელებს (იგულისხმება მოსახლეობის დაბალი ფენა), სწორედ თავიანთი სიღატაკისა და საერთოდ ქალაქში არსებულ ანტისანიტარულ მდგომარეობის გამო, და არა იმის გამო რომ მათ ჭამა არ იცოდნენ, ან სისუფთავე და მედიკამენტები სძულდათ, არ ჰქონდათ საშუალება ეცხოვრათ ადამიანურად.

სრულიად სხვა საკითხია, რათქმაუნდა, მართლაც სძულდათ თუ არა ტფილისელებს სისუფთავე და „მედიკური საშუალებები". როგორც ის ამბობს, თუ ეს შეგნებული ცილისწამება არის მათდამი საბუთის ავტორის მხრივ. ასეთი ყალბი და ცილისმწამებლური შეხედულება საერთოდ „ინოროდცებისა" და „ტუზემცების" მიმართ ოფიციალურ წრეებში ხომ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა!

ხოლო რაც შეეხება ქართველებსა და საქართველოს, ცნობილი ამბავია, რომ საქართველოში წინათ მედიცინა, საერთოდ, და ხალხური მედიცინა, კერძოდ, ძალიან მიღებული იყო და დიდი ყურადღებითაც სარგებლობდა. ამ მედიცინას სახელგანთქმული და ნიჭიერი წარმომადგენლებიც ჰყავდა; ზოგიერთი მათგანი (როგორც მაგალითად, კარაევი, თულა ყორღანაშვილი, ოსება ყორღანაშვილი, თურმანიძეები, ბაჯიაშვილები და სხვები) მე-18 ს. დასასრულსა და მე-19 ს. დასაწყისშიც კი მოღვაწეობდნენ. მაგრამ რუსული მმართველობის შემდეგ დაიწყო ქართული მედიცინისა და ქართველ ექიმების დევნა; ქართული საექიმო წიგნები, ქართული კარაბადინები და საერთოდ ქართული სამკურნალო ხელოვნება დაცინვისა და მასხრად აგდების საგნად გადაიქცა. ამიტომ „ქართველი ექიმებიც, პირადი პრესტიჟის შენარჩუნების მიზნით, ერიდებოდნენ ქართულ მედიცინას, „როგორც ავი სენით შეპყრობილ სნეულს"[2].

ამავე დროს, სდევნიდა რა ძველ ქართულ მედიცინას, რუსულ მმართველობას საქართველოში მისი სამაგიერო არსებითად არაფერი შემოჰქონდა. ის „მედიკური საშუალებები" და მედიკამენტები, რომელთა შესახებ საბუთი მოგვითხრობს. სიმართლე რომ ვთქვათ, მაშინ ტფილისში არც არსებობდა: სტატისტიკურ მასალებისა და საარქივო საბუთების მიხედვით[3], 1865-იან წლებში ტფილისში სულ ოთხიოდე აფთიაქი, 17 ექიმი (გარდა სამხედრო ექიმებისა) და ერთი სა-

[1] კვების შესახებ ის სხვა ადგილას ლაპარაკობს (იხ. ქვემორე).

[2] ლ. ქოტეტიშვილი, „წიგნი საქიმოა", გვ. V—VI, 1936.

[3] შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 121—122.

ავადმყოფო (გარდა სამხედრო ჰოსპიტლისა) მოიძებნებოდა[1]. ამასთანავე მედიკამენტები, ექიმები და საავადმყოფო ამ დროს ისე ძვირად ფასობდნენ, რომ ისინი სრულიად ხელმისაწვდომი არ იყვნენ ფართე მოსახლეობისათვის. ამის გამო მკურნალობის საქმე დაბალ მოსახლეობაში ამ დროს ფაქტიურად დალაქების, მკითხავების. ექიმბაშებისა და ბებია ქალების ხელში იყო, თუმცა ამ უკანასკნელთა რიცხვიც მაშინ მთელს ქალაქში 4—5 თუ 6 არ აღემატებოდა[2].

მეორე მხრივ, რაც მთავარია, საქმე ისაა, რომ არა ყველა ტფილისელი ცხოვრობდა ამ დროს ვიწროდ „მტვერსა და სიბინძურეში“, არა ყოველი ტფილისელი იკვებებოდა მაშინ ცუდად: შეძლებული ნაწილი ტფილისის მოსახლეობისა ძალიან ფართედ და ზედმეტად ფართედაც ცხოვრობდა—ფუფუნებასა და სიმდიდრეში, და იკვებებოდა კიდეც ძალიან კარგად, გადაჭარბებითაც; მხოლოდ ღარიბი ფენა ამ მოსახლეობისა, ეკონომიურ და მატერიალურ საშუალებებს მოკლებული, იძულებული იყო ეცხოვრა, პირუტყვის მსგავსად, უაღრესად ცუდ და დეხჩირ პირობებში.

ეს გარემოება, საინტერესოა აღინიშნოს, როგორც ჩანს, იცოდა (და არც შეიძლებოდა მას არ სცოდნოდა) თვით საბუთის ავტორმაც, ის კიდევაც არ ჰმალავს ამას ქვემორე, როდესაც ეხება საკითხს ბავშვების აღზრდისათვის მაშინ არსებულ პირობების შესახებ, თუმცა აქაც ის არ სცილდება ამ ფაქტის უბრალო კონსტატაციას. ავტორი სვამს კითხვას, „როგორ ჰიგიენურ პირობებში იზრდებიან ტფილისში ბავშვები“-ო და თვითონვე უპასუხებს: „ერთი მხრივ ბავშვები (უმთავრესად დაბალ წოდების ბავშვები) იზრდებიან ყოველგვარ მზრუნველობისა და მეთვალყურეობის გარეშე, როგორც ტყისა და ჭაობის მცხოვრებთა შთამომავალნი—დღისით ტალახში, მტვერში, სიცხესა და ავდარში, ხოლო ღამით ცუდ, ვიწრო, ნესტიან და ცივ სადგომებში, და ყველაფერი ეს ცუდ კვებასთან ერთად. მეორე მხრივ, მაღალ წრის მშობლების სათუთი და გაფაქიზებული ცხოვრება იმდენ საბაბს ჰქმნის მათი ბავშვების ავადმყოფობისა და ფუჭსავატობისათვის, რომ მათი დასახელებაც კი ძნელია“-ო[3].

მოყვანილი შეხედულება სიკვდილიანობის მიზეზთა და საერთოდ ტფილისში არსებულ პირობების შესახებ წარმოადგენს არა პირად აზრს საბუთის ავტორისას, არამედ თითქმის საყოველთაო შეხედულებას ოფიციალურ ხელისუფლებისას და ოფიციალურ წრისას, რომლებიც საერთოდ ყოველგვარ უარყოფითი მოვლენის მიზეზად ჩვენში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივად „ტუზემცებსა“ და ადგილობრივ პირობებს სთვლიდნენ: ეს შეხედულება გატარებულია. როგორც ვამბობდით, თითქმის ყველა იმდროინდელს საბუთებსა და ლიტერატურაში.

ამიტომ უფრო ობიექტურ და, მაშასადამე, უფრო სწორ შეხედულების შთაბეჭდილებას ახდენს 1860-იან წლების ტფილისის მეორე თანამედროვის, ექიმ ნ. ტ ო რ ო პ ო ვ ი ს აზრი ამ საკითხის შესახებ. ექიმი ნ. ტ ო რ ო პ ო ვ ი სპეციალურად სწავლობდა 1860-იან წლებში ტფილისს კლიმატური და განსაკუთრებით კი პირეტოლოგიური პირობების გამორკვევის მიზნით და შან ამ საკითხს

[1] იქვე, გვ. 122.
[2] იქვე, გვ. 122.
[3] იქვე, გვ. 124.

ცალკე ნაშრომიც მიუძღვნა[1]. ამ ნაშრომში ტოროპოვი, მთელ რიგ ფაქტებსა და საკუთარ დაკვირვებებზე დამყარებით, უარჰყოფს განმტკიცებულ ოფიციალურ შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს ტფილისის გეოგრაფიული და კლიმატური პირობები წარმოადგენს ავადმყოფობის გავრცელებისა და სიკვდილიანობის დიდ პროცენტიანობის ერთადერთ მთავარ მიზეზს. ის დაწვრილებით აღწერს ტფილისის ოროგრაფიულ მონაცემებს, რომელნიც მისი აზრით, გარკვეულ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცვის შემთხვევაში, არც ისე უარყოფითად მოქმედებენ მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე, და სამართლიანად მიდის იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ გარემოების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ქალაქის კეთილმოუწყობლობა და მისი არარაციონალური დაგეგმვა, კერძოდ მისი ჭუჩების არამიზანშეწონილად მოწყობა მიმართულებისა, სიფართე-სიგანისა და მდგომარეობის მხრივ[2].

* * *

რადგან ექიმ ტოროპოვის აღწერილობის ის ნაწილი, რომელიც ჩვენ მიერ დასმულ საკითხს შეეხება, საყურადღებო ცნობებს შეიცავს საერთოდ 1860-იან წლების ტფილისის დასახასიათებლად. მისი კეთილმოწყობისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის თვალსაზრისით, ამიტომ ჩვენ მას მოვიყვანთ აქ თითქმის მთლიანად. ნ. ტ ო რ ო პ ო ვ ი სწერს:

„საერთო მდებარეობა ქალაქისა საკმაოდ ხელსაყრელია. ის აშენებულია თითქმის ამფითეატრად ფერდობებზე, რომელნიც ქალაქის გარშემო მდებარე მთებიდან დაექანებიან ხოლმე მდინარისაკენ. ამ ამფითეატრს სჭრის მტკვარი ისე, რომ თითქოს ეს იყოს უზარმაზარი საწმენდი მილი, ქალაქის სიბინძურისა და მიაზმების გასაწმენდად გაყვანილი. ამფითეატრის განსაკუთრებით მარჯვენა მხარე მტკვრის მიმართ წარმოადგენს საკმაოდ სწორ ხრიატს, რომელიც თითქმის ციცაბოდ ეშვება მთაწმინდისა და სოლოლაკის მთებიდან მდინარისაკენ: ზოგჯერ ამ ციცაბოს 35°-მდე აქვს ჰორიზონტთან, რის გამოც გასაკვირი არ არის, რომ განაპირა დასახლებული პუნქტების სიმაღლე მთებთან აღწევს 250 ფუტამდე მდინარის დონიდან.

ასეთი მდებარეობა ერთობ ხელსაყრელი იქნებოდა ქალაქის ამ ნაწილისათვის, რომ ის დასერილი ყოფილიყო სწორი და ფართო ჭუჩებით ორი მიმართულებით იმგვარად, რომ ერთი წყება ჭუჩებისა მიმართული ყოფილიყო გოლოვინის პროსპექტის პარალელურად, ხოლო მეორე წყება, პირიქით, მის გადაჰრით მდინარისაკენ. მაშინ ვერაფერს უკეთესს ვერ ვისურვებდით ქალაქის ამ მთავარ და ყველაზე უფრო დასახლებულ ნაწილის ვენტილაციისათვის... ახლა კი ჩვენ

[1] Н. Торопов, Взгляд на Тифлис в гигиеническом отношении, 1862, Тифлис.

[2] იქვე, გვ. 15—38.

ვხედავთ სრულიად საწინააღმდეგოს. ქალაქი თითქოს განზრახ გაშენებულა[1] ისე, რომ არ გაატაროს გაფუჭებული ჰაერი, რომელიც მასში გროვდება. თუ აქ სწორი ქუჩებიც არის, ეს ქუჩები ზედ ებჯინება ნაგებობებს, რომელნიც მათ გადაჰრიან ხოლმე, ან კიდევ გადიან ისეთ ნაწილში, სადაც ვიწრო და მრუდე ქუჩები კი არა, შესახვევები ერთიმეორეში ისეა არეული, რომ გასაკვირი იქნება ადამიანი არ დაიბნეს მათ ლაბირინტებში. ასეთ პირობებში, გასაგებია, ყოველი ქარი, რომელსაც შეეძლო სწორი ქუჩების გაწმენდა, ახლა მხოლოდ შეანჯღრევს ხოლმე ქალაქში უვარგის და მტვრიან ჰაერს, რომელიც გაჟღენთილია ყოველგვარი გაზებით და ანაორთქლებით და რომელსაც გასავალი არა აქვს.

მართალია. ტფილისი აზიური ქალაქია და ის შენდებოდა, როგორც შეეძლო; მაგრამ თუ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მასში ევროპა[2] ხაზეინობს, მოსალოდნელი იყო, რომ ყოველ შემთხვევაში ახალი ქუჩები მაინც ყრუ შესახვევებით არ გათავდებოდა და უფრო სუფთად შეინახებოდა.

ეს საყვედური შეიძლება ითქვას ქალაქის იმ ნაწილის მიმართაც, რომელსაც მტკვრის მარცხენა ნაპირი უკავია. განსაკუთრებით კი კუკიის მიმართ, რომელიც გაშენდა წინასწარ შედგენილ გეგმის მიხედვით და, მაშასადამე, ევროპულ წესზე. ქუჩები აქ თუმცა სწორია, მაგრამ ამავე დროს ვიწროც არის და ებჯინება ნაგებობებს, რომელნიც ხელს უშლიან ვენტილიაციას. მეორე უხერხულობა კუკიისა ისაა, რომ მას უკავია ყველაზე უფრო დაბალი და ამავე დროს საკმაოდ სწორი ნაწილი მთელი ხნარცვისა; ასე რომ მიაზმები, რომელნიც აქ დაბლობიდან ჭარს მოაქვს, აქვე რჩება. რადგან კუკია მოწყვეტილია მტკვრისაგან მთელი რიგი განუწყვეტელი ნაგებობებით, რომელნიც სწორედ იქ არიან გაშენებული, სადაც სანაპირო ქუჩა უნდა იყოს გაყვანილი.

კუკიის იქით ადგილი ისევ აიწევს და შეადგენს ამფითეატრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, მაგრამ დაჭანება აქ სწორი არ არის და შეადგენს შვერს, რომელზედაც ხროვად მიყრილ-მოყრილია მაინცდამაინც არა საზრიანად გაშენებული ნაგებობები. მაინც ამ მხარის ყველაზე უფრო მაღალი ნაწილის—ავლაბრის—მდებარეობა უფრო ხელსაყრელია მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო მაღალია და იქ ნაგებობები იმდენად შემჭიდროებული არ არის. სამაგიეროდ ქვემოთ, კუკიიდან თვით მეტეხის კლდეებამდე, გაჰიმულია ვიწრო ზოლი, წინათ მტკვრის კალაპოტი—რიყე, რომელიც მუდამ ლაფიანია. საშინლად გადათხრილია და წუმპით გავსებულია; აქ სახლები ერთ მხარეზე მიჰყლეტილია ავლაბრის კლდეს, ხოლო მეორე მხარეზე—გაჰიმულია კედლის მაგვარად მტკვრის ნაპირზე, რომელიც თავდება ხიდით მეტეხის კლდის ქვემოთ. ეს ყველაზე უარესი ადგილია მთელს ტფილისში, ყველაზე ტალახიანი და ყველაზე მყრალი: თუმცა ხიდის მეორე მხარეზე, მდინარის იქით, უკეთესი მდგომარეობა არ არის.

აქ მდინარე აღწევს რა ქალაქის ხნარცვის ბოლომდე, ძლივს გაიელის მაღალ, ციცაბო და კლდოვან ნაპირებს, რომელნიც ერთმანეთთან ერთობ დაახლოებული და თანაც ძალიან წაწვეტილი არიან. ამის გამო გასაგები ხდება,

[1] ბახი ყველგან ჩვენია.

[2] ავტორი მეფის რუსეთს ჰგულისხმობს.

თუ რატომ მოუყრია აქ თავი ძველიდანვე ომის არმოყვარე (sic) ბაზრის მოსახლეობას: მარჯვნით აქ იყო ციხე-სიმაგრე, ხოლო მარცხნით ახლაც არის მეტეხის ციხე. ამის გამო არის აქ ასეთი სივიწროვე. ამის გამო არის აქვე სომხის ბაზარი და ამის გამოვე გასაკვირი იქნებოდა, რომ აქ სუფთა ჰაერი ყოფილიყო.

მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ მთელი გაფუჭებული ჰაერი, ანაორთქლებითა და მიაზმებით გაჟღენთილი, ამ ადგილის გარშემო მდებარე მთელი ქალაქის ამფითეატრიდან, მოიდინება ქარის მიერ, როგორც ძაბრის ძირში, რათა აქედან გაყვეს ქვემოთ მდინარის მიმართულებით. ახლა გასაგებია, თუ რატომ არის ეს ადგილი ყველაზე უარესი. ყველაზე არა ჯანსაღი ნაწილი ქალაქისა, სადაც იშვიათად გაუვლით ხოლმე მცხოვრებთ ავადმყოფობა ნორმალურად. და სადაც ეს ავადმყოფობა მომეტებულად ლპობად და ტიფიან სახეს იღებს და ცუდად მთავრდება იქ, სადაც მოსალოდნელი იყო დაღებითი შედეგი ყოფილიყო...

ამფითეატრის სამხრეთ მხარეს შეადგენენ: მარჯვნით მტკვრის მიერ გადარეცხილი თაბორის მთის კალთა და მარცხნით ავლაბრის მაღლობი მეტეხით. მარცხენა მხარე შედარებით უფრო დაბალია მარჯვენაზე[1] და აქედან გრძელდება ქვემოთ მტკვრის ნაპირის გასწვრივ... და შეადგენს ახლა უკვე მოკირწყლულ ვორონცოვის ქუჩას[2]. მტკვრის მეორე მოპირდაპირე ნაპირი[3], მეტეხიდან დაწყებული, მაღალი და კლდოვანია. ასე რომ მტკვარი მიდის მის ქვემოთ, როგორც შვეულ კედლის ქვემოთ. ეს გარემოება იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ მთელი ვორონცოვის ქუჩა ამის გამო მუდმივად გაფუჭებულ ჰაერის დენშია მოქცეული, რადგან ამ ჰაერს არ ჰყოფნის გასავლელად მტკვრის ვიწრო კალაპოტი მეტეხის ქვემოთ და... ის. ვერ პოულობს რა გასასვლელს. ეფინება ვორონცოვის ქუჩას...

ადვილი წარმოსადგენია, როგორ მდგომარეობაში უნდა იყვნენ იმ საკმაოდ დიდ კუნძულის მცხოვრებნი, რომელიც შექმნილია მტკვრის კალაპოტის გაორებით ნავთლუღის ქვეძოთ, და რომელიც, დაფარულია რა მთლიანი ბაღებით, მხოლოდ ოდნავ მაღალია მდინარის დონეზე. აქ საკუთარი მიაზმიც საკმაოა, მაგრამ აქვე მოდის ქალაქის მთელი მიაზმიც, რომელიც ჩერდება ხოლმე ბაღების გამო. გასაგებია ამიტომ, თუ რატომ წარმოადგენს ორთაჭალის კუნძული მთელს ტფილისში ყველაზე ციებ-ცხელებიან ადგილს იმდენად. რომ საკმარისია აქ დასახლდეს ადამიანი, რომ მაშინვე დაავადდეს ის ამ სენით...

გაცილებით უკეთეს ჰიგიენურ პირობებში იმყოფება მტკვრის მარცხენა მხარე, ავლაბრიდან ნავთლუღამდე. არა იმიტომ მხოლოდ, რომ ეს ნაპირი მაღალია და ცერად აღმართულია მდინარეზე. რომელზედაც გაფანტულია ქალაქის ანაორთქლი, არამედ იმიტომაც. რომ ეს ნაწილი თავისთავად თ ა ე ი ს უ ფ ლ ა დ ა ა გ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი და ყველგან. გარდა ამყრალებულ ავლაბრის მოედ-

[1] ასე აქვს ავტორს. უნდა იყოს პირუკუ: მარჯვენა მხარე უფრო დაბალია მარცხენაზე.

[2] ვორონცოვის ქ. წინათ იწოდებოდა ერევნის ქ., ხოლო ახლა მას ეწოდება მიასნიკოვის ქ.

[3] ე. ი. მარცხენა მხარე,

ნისა, დაქანებულია მტკვრისაკენ... ნავთლუღი, ამას გარდა, ავლაბრისაგან დაცილებულია ჩავარდნილი ადგილით, რომელიც თვითონ იგროვებს და შემდეგ მტკვრისაკენ მიმართულებას აძლევს მიაზმს, და ამიტომ ნავთლუღი, რაკი მას მაღლობი მდებარეობა აქვს, წარმოადგენს თითქმის ყველაზე უფრო ჯანსაღ ადგილს ტფილისის მთელ საცხოვრებელ პუნქტებს შორის. მით უფრო რომ აქ ქუჩები სწორი და უმეტეს შემთხვევაში ფართე არის და არც ნაგებობებით არის შევიწროებული...

ამრიგად ოროგრაფიული მდებარეობა მთელი ტფილისისა ერთობ ხელსაყრელია და, თუ რამე აფუჭებს მას, ეს თვით მისი მოსახლეობა, რომელსაც არამცთუ განსაკუთრებით მჭიდროდ მოუყრია თავი იქ. სადაც არ უნდა იყოს სრულიად მოსახლეობა. არამედ დაუკავებია ეს ნაწილი თავისი ნაგებობებით ისე, რომ დაუგუბებია, როგორც მტკვრისა და არაგვის ჭალებიდან მომდინარე, ისე აგრეთვე თვით ადგილობრივად გაჩენილი მიაზმები...

მაგრამ ტფილისში მასალები ხრწნისათვის სხვაც მრავალია... მაგალითად, განა მთელს ქალაქში ბევრი მოიძებნება ისეთი სახლი, საიდანაც გაჰქონდეთ ნაგავი, უსუფთაობა, როგორც ეს ხდება ყოველ წესიერ ქალაქში? ეს გარემოება ღირს იმად, რომ მას მიექცეს ყურადღება, რადგან ეს წარმოადგენს ჩვენს პირობებში მიაზმების მთავარ წყაროს. ასე, მაგალითად, ყოველ ეზოში მოიძებნება ადგილი, სადაც შეშას სჭრიან და აწყობენ. მათ სცვივათ კანი. ხოლო ჭრის დროს—ნაფოტიც. ყველაფერი ეს რჩება ეზოში და შემდეგში იქცევა ზვინად. რომელიც შიგნით ლპება და ნაწილობრივ შეუმჩნეველად ორთქლდება, ხოლო ნაწილობრივ დნება წყალში, თუნდაც წვიმის წყალში, ჩადის და ქვენთავს ნიადაგს, ანდა იღვრება ეზოში და ორთქლდება; ხოლო ყველაფერი ეს შეადგენს მიაზმს... მარტო სამზარეულოები იძლევიან ამოუწურავ მარაგს ლპობისა და ჰაერის მოწამვლისათვის: ნარეცხს, ნათალს, ნამცეცებსა და სხვ., რომელთაც ჰყრიან ხოლმე პირდაპირ ეზოში და რომელნიც იქიდან არასოდეს არ გააქვთ...

მაგრამ არა მარტო ეზოებში ჩნდება მიაზმები ტფილისში. მათ შეეჯიბრება ამ მხრივ ზოგიერთი ქუჩებიც, განსაკუთრებით ის ღიწრო და უსწორმასწორო შესახვევები, რომელნიც ქალაქის სანაგვეს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე მიმოსვლის საშუალებებს, რადგან ისინი მომეტებულად იქ არიან თავმოყრილი, სადაც ქალაქის მოსახლეობის უღარიბესი და, მაშასადამე, უბინძურესი ფენა ცხოვრობს. ამ შესახვევებში, ან უკეთ გასასვლელებში, ჰყრიან ყველაფერს, რაც უვარგისია, და ამიტომ თითოეულ ეზოდან გათხრილია, ან თავისთავად გაჩენილია ღარტაფი[1]. რომლითაც მუდამ მიქონავს გადაღვრილი წყალი და ყოველგვარი უსუფთაობა... და განა თვით ტფილისის ქუჩები არ იძლევიან მასალას ხრწნისათვის? განა მათ როდისმე ჰგვიან? განა აკრძალულია სახლიდან ნაგვის გადაყრა ქუჩაზე? ეს ვიწრო და მრუდე ქუჩები... იმდენად აყროლებული არის, ხოლო ჰაერი აქ იმდენად ჭარბი, დახშული და ყოველგვარ ანაორთქლებით გაჟღენთილია. რომ ადამიანი. რომელიც მიჩვეული არ არის ასეთ ჰაერს, ინ-

[1] Ложбина.

სტინქტურად გრძნობს მოთხოვნილებას, როგორმე მალე გავიდეს აქედან სუფთა ჰაერში. თითოეული დუქანიც ქალაქში თავის ახლო ინახავს საკუთარ ატმოსფერას უკიდურეს უსუფთაობის გამო ამ თავისებურ საწარმოში. რომელიც ერთსადაიმავე დროს წარმოადგენს საწვრილმანოსაც. სამიკიტნოსაც და სასტუმროსაც.

არის ერთი გარემოებაც, რომელიც სრულიად შეუმჩნეველად აძლევს ტფილისს მიაზმებს. ეს არის არა მოხერხებულ ადგილების არჩევა ქალაქის სასაფლაოებისათვის. ეს სასაფლაოები[1] მდებარეობს ისე, რომ მათი ანაორთქლები მიდის ქალაქში. ხოლო იმაში ეჭვი არავის შესდის, რომ სასაფლაოები გამოყოფენ ხოლმე ჯანმრთელ კაცისათვის არც მაინცდამაინც ჯნებელ გაზებსა და ანაორთქლებს... ყოველ საფლავიდან ამოდის ორგანული ხრწნის გაზისებური ანაორთქლები და, თუ სასაფლაო მაღლობზეა მოწყობილი, როგორც ეს ტფილისშია, ეს ანაორთქლები ჩამოდის ქვემოთ და იფანტება ქარისაგან მიდამოებში... ყოველგვარ საზრიანობის წინააღმდეგ ყველაზე ჯანსაღი ადგილი ქალაქში უკავია წარსულ თაობას, ხოლო ყველაზე უარესი—ცოცხალ მოსახლეობას; მაშინ, როდესაც, სასაფლაო ქალაქს გარეთ მტკვრის ქვემორე რომ იყოს. ტფილისის ოროგრაფიულ პირობებისა და მომეტებულად მთავარ ქედიდან მომავალ ქარის გამო, არც ერთი სასაფლაოს ეს მიაზმი ვერ მიაღწევდა ქალაქის მოსახლეობამდი...

პატრიარქალური ლაფიანი ტალახი. რომელიც აუცილებელი ატრიბუტია ყოველი აღმოსავლური ქალაქისათვის, ახლაც რჩება ტფილისში ისევე, როგორც ეს იყო, ალბათ, თამარ მეფის დროს, როდესაც ხალხს წარმოდგენა არ ჰქონდა საზოგადოებრივ ჰიგიენაზე. ქალაქის მცხოვრებნი ახლაც ეწყობიან ისე, როგორც მათ მოეპრიანებათ. თუნდაც რომ თავიანთი ნაგებობებით ართმევდნენ მეზობლებს სინათლესაც და სუფთა ჰაერსაც. და ამაში მათ არავინ უშლის ხელს; ახლაც ისინი ისევე დაუსჯელად ჰღვრიან თავიანთ ეზოსა და ქუჩაში ყოველგვარ სიბინძურეს და სრულიად არ ჰფიქრობენ იმაზე, რომ ეს ავრცელებს გადაჰდებ ავადმყოფობას; ახლაც ისინი ისევე გულუბრყვილოდ და ხელშეუშლელად იყენებენ ქუჩას სასაკლაოდ, როგორც იმ ნეტარხსენებულ დროში"[2].

ჩვენ განგებ მოვიტანეთ ასეთი ვრცელი ამონაწერი ტ ო რ ო პ ო ვ ი ს აღწერილობიდან უმთავრესად იმისათვის, რომ გავცნობოდით არა იმდენად მის მსჯელობას ტფილისში გაერცელებულ ავადმყოფობათა მიზეზების შესახებ, რამდენად ფაქტიურ ცნობებს ამ აღწერილობიდან, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორი იყო საერთოდ ტფილისის მდგომარეობა ამ დროს კეთილმოწყობის მხრივ. ტ ო რ ო პ ო ვ ი, რათქმაუნდა, შორსაა იმ განზრახვისაგან, რომ გააკეთოს თავის მსჯელობიდან შესაფერი ლოგიკური დასკვნები და საბრალდებულო სკამზე დასვას ტფილისის ასეთ მდგომარეობისათვის ერთადერთი დამნაშავე—ოფიციალური ხელისუფლება, მაგრამ ამისდა მიუხედავად მისი ცნობები ტფილისის

[1] საარქივო ცნობების თანახმად ტფილისში ამ დროს ითვლებოდა ცხრა სასაფლაო (შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ტფილისის ისტორიისათვის, გვ. 116).

[2] П. Т о р о п о в, იქვე, გვ. 32—55.

დასახასიათებლად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ტოროპოვის რამდენიმედ გამარტივებულ და, ასე ვთქვათ. მექანიკურ გაგებას საკითხისას ქალაქის ვენტილაციისა და მავნე მიაზმებისაგან ქარის საშუალებით მის გაწმენდის შესახებ, ტოროპოვის გადამეტებულ მიდრეკილებას ყველგან და ყველაფერში მიაზმების წყარო დაინახოს, მის უვიცობას საქართველოს ისტორიაში, რომ თითქოს თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ეპოქაში ტფილისელებს საზოგადოებრივი ჰიგიენის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონოდეთ, და ზოგიერთ სხვა, შედარებით მეორეხარისხოვან შეუსაბამოებებს, უნდა ითქვას, რომ მის მიერ მოწოდებული ფაქტიური ცნობები საესებით შეეფერება ნამდვილ ვითარებას და, მაშასადამე, სწორ მასალას იძლევა ტფილისის მდგომარეობის შესახებ.

Н. Н. КОИАВА

ФУНКЦИИ ДЕНЕГ В РАБОВЛАДЕЛЬЧЕСКОМ ОБЩЕСТВЕ

1. Классик буржуазной политической экономии А. Смит исходил в своих рассуждениях из естественного порядка и естественного права, вытекающих из человеческой природы. А. Смит оперировал понятием: «homo economicus». Этот экономический человек руководствуется в своих действиях личным интересом, он стремится к получению наибольшего эффекта путем затраты наименьших сил.

Д. Рикардо явился завершителем метода классической школы.

Классическая школа объявила установленные ею экономические законы вечными; она объявила вечными буржуазные отношения, капиталистический строй.

Вульгарно-апологетические «теории» всячески поддерживают положение о вечности экономических законов, о вечности капитализма.

Историческая школа буржуазной политической экономии взяла в атаку классическую школу. Она отвергла «homo oeconomicus» классической школы, она взывала к этическим нормам живого человека, она требовала вовлечения всех фактов общественной жизни для объяснения экономических явлений.

Историческая школа отвергла наличие экономических законов, общих для всех времен, стран, народов. Старая историческая школа поставила целью отыскание законов развития народного хозяйства (В. Рошер), законов экономического развития народов (Б. Гильдебранд), законов аналогии (К. Книс).

Новая историческая школа во главе с Г. Шмоллером взяла более «радикальный» курс, сделала «шаг вперед» по сравнению со старой исторической школой и объявила экономические законы несуществующими. Лишь на закате своей жизни Г. Шмоллер согласился признать некоторые «правильности» в экономической жизни, но эти «правильности», как он утверждал, могут быть вскрыты только в результате самого тщательного изучения прошлого и настоящего всех народов. Школа Шмоллера, применяя его «дескриптивный метод», занялась собиранием и отысканием фактов

из прошлой и настоящей экономической жизни различных государств, по преимуществу Германии.

Историческая школа задушила теорию грудой исторических фактов; она все время оставалась на поверхности явлений и ее историзм оказался вульгарным, не научным; невзирая на большой фактический материал, собранный представителями школы, ее исследования оказались бесплодными.

К. Маркс, еще в своей работе «К критике политической экономии», объявил предметом исследования материальное производство. Он заявил, что индивиды, производящие в обществе, а следовательно общественно-определенное производство индивидов,—таков исходный пункт анализа. Материалистическое понимание истории, диалектический материализм дали возможность Марксу построить грандиозное здание научного социализма. Классики научного социализма, Маркс, Энгельс, Ленин, Сталин, учат, что существуют различные общественно-экономические формации, что одна формация сменяется другой, что у каждой общественно-экономической формации имеются свои законы.

Ф. Энгельс в «Анти-Дюринге» писал: «Кто пожелает объединить одними законами экономику Огненной Земли и экономику современной Англии, тот, очевидно, не извлечет на свет божий ничего, кроме самых банальных общих мест» (Энгельс, Анти-Дюринг, 6-ое изд., стр. 104).

Политическая экономия в широком смысле слова и изучает все экономические формации, законы их возникновения, развития, гибели. Однако, у нас, до недавнего времени, уделялось чрезвычайно мало внимания экономике докапиталистических формаций. Известное замечание В. И. Ленина о политической экономии в широком смысле слова стимулировало углубленную разработку экономики докапиталистических формаций.

В последние годы появились работы, посвященные докапиталистическим формациям. Курсы политической экономии восполнились разделом о докапиталистических формациях. Началась разработка и отдельных экономических категорий и специальных дисциплин в разрезе политической экономии в широком смысле слова.

Но необходимо отметить, что в этих работах на один и тот-же вопрос иногда даются совершенно различные, прямопротивоположные ответы и это не взирая на то, что учение Маркса—Энгельса—Ленина—Сталина дает прямой ответ на поставленные вопросы или дает верный ключ для получения правильного ответа на эти вопросы. В качестве примера остановимся на вопросе, являющемся темой настоящей статьи—какие функции имеют деньги в рабовладельческом обществе?

Островитянов в своей книге: «Политическая экономия» часть I (М. 1934 г.), анализируя рабовладельческое общество, говоря о деньгах в рабовладельческом обществе, обошли этот вопрос. Обошел этот вопрос и В. Д. Преображенский в своей работе: «Краткий очерк

экономики докапиталистических формаций» (М. 1933 г.). В 1934 г. выходит в свет: «Краткое введение в историю докапиталистических формаций». Автор раздела: «Экономика античного общества» также не говорит ни слова о функциях денег и лишь в своей «Истории античного общества. Греция», отделывается фразой о том, что деньги в этом обществе имеют все функции.

Автор работы: «Очерки по экономике докапиталистических формаций» утверждает, что деньги в рабовладельческом обществе имели функции меры стоимости, средства обращения, сокровища; он утверждает, что в рабовладельческом обществе появляются элементы функции платежного средства, что в рабовладельческом обществе деньги не имеют функции мировых денег, так как отсутствуют все необходимые условия для появления этой формы денег.

Доцент Тбилисского Государственного Университета им. Сталина, тов. В. Бахтадзе, написал кандидатскую диссертацию на тему: «Античный способ производства». В этой работе тов. Бахтадзе утверждает, что античное общество эпохи расцвета хорошо знает деньги как меру стоимости и платежное средство, но что в условиях неразвитого товарного обращения деньги еще не являются средством обращения. По мнению тов. Бахтадзе деньги и сокровищем не являются в значительной степени. О функции всемирных денег автор даже не упоминает, будучи глубоко убежден в том, что эта функция у денег в античном обществе эпохи расцвета отсутствует (см. «Античный способ производства», стр. 188. Рукопись хранится в делах Университета).

Все это показывает, как мало мы еще освоили марксистское учение о функциях денег в рабовладельческом обществе.

В данной статье мы задаемся целью дать ответ на вопрос о функциях денег в рабовладельческом обществе, опираясь на марксистско-ленинское учение о деньгах.

2. Рабовладельческий способ производства принадлежит к натуральному типу хозяйства. При этом типе хозяйства производство ведется для удовлетворения собственных нужд. Но в условиях рабовладельческого производства происходит реализация излишнего прибавочного продукта. Рабовладельческое общество знает внутреннюю и внешнюю торговлю, товарное обращение, денежное обращение, торговый, денежный, денежно-торговый ростовщический капитал, кредит. Рабовладельческое общество знает товарно-денежные, товарно-капиталистические отношения. Эти отношения появляются спорадически и они играют не господствующую, а подчиненную роль.

«Каков бы ни был способ производства, на основе которого производятся продукты, входящие в обращение как товары,—будет ли это первобытное общинное хозяйство или производство, основанное на рабском труде, или мелко-крестьянское и мелко-буржуазное, или капиталистическое

производство,—это нисколько не изменяет их характера как товаров, и в качестве товаров они одинаково должны пройти процесс обмена и сопровождающие его изменения формы. Крайние члены, между которыми служит посредником купеческий капитал, даны для него, как они даны для денег и для движения денег. Единственно необходимое заключается в том, чтобы эти крайние члены имелись в наличности как товары,—безразлично, является ли производство во всем своем объеме товарным производством или же производители, сами ведущие хозяйство, выносят на рынок только излишек, остающийся за покрытием их непосредственных потребностей, удовлетворяемых их производством» (Маркс, Капитал т. III, М. 1936 г., стр. 292).

Это рассуждение Маркса ясно говорит нам о том, что и в рабовладельческом обществе имеется товарное обращение. Наличие товарного обращения в рабовладельческом обществе имеет большое значение для решения вопроса о функциях денег в этом обществе.

Маркс писал: «Различные формы денег—простой товарный эквивалент, или средство обращения, или средство платежа, сокровище и всемирные деньги—указывают, смотря по различным размерам применения той или другой функции, по сравнительному преобладанию одной из них, на весьма различные ступени общественного процесса производства. Тем не менее, как показывает опыт, достаточно сравнительно слабого развития товарного обращения, чтобы могли образоваться все эти формы» (Капитал т. I, М. 1937 г., стр. 162).

Предыдущая цитата убедила нас в том, что в рабовладельческом обществе, без сомнения, имеется то сравнительно слабое развитие товарного обращения, которое необходимо для образования всех форм денег, всех функций денег, так как функция есть ни что иное как форма проявления сущности денег. Уже ссылка на эти высказывания Маркса достаточна для того, чтобы положительно ответить на вопрос о том,—имеются ли у денег в рабовладельческом обществе все функции.

Но мы не ограничимся этим и остановимся на каждой функции в отдельности.

3. Бесспорно, что в рабовладельческом обществе деньги имеют функцию меры стоимости. Маркс, изучая происхождение денежной формы стоимости, изучая исторический процесс развертывания обмена указал, что уже в простой, отдельной, случайной форме стоимости мы имеем выражение стоимости одного товара в другом товаре; при полной или развернутой форме стоимости, стоимость одного товара выражается в целом ряде элементов другого товара; в всеобщей форме стоимости целый ряд товаров выражают свою стоимость в одном и том-же товаре.

Всеобщая эквивалентная форма стоимости есть форма стоимости вообще, она может принадлежать любому товару. «Специфический товарный

вид, с натуральной формой которого общественно срастается эквивалентная форма, становится денежным товаром, или функционирует в качестве денег» (Маркс. Капитал, т. I, стр. 69).

В процессе развития привилегированное положение заняло золото. Золото сделалось денежным товаром. Маркс прямо отмечает, что первая функция золота (Маркс для упрощения в качестве денежного товара предполагает золото) состоит в том, чтобы доставить товарному миру материал для выражения стоимости. Золото (и серебро) стало всеобщим эквивалентом, деньгами именно благодаря своему назначению быть мерой стоимости. «Деньги выступают раньше как мера (например, у Гомера—волы), чем как средство обмена....» (Архив Маркса и Энгельса, т. IV, стр. 121).

Уже философ античности Платон, отражая экономическую действительность, развил понятие денег как меры стоимости (см. Платон. Сочинения, перев. проф. Карпова, часть III, Политика или Государство, СПБ 1863, кн. II, стр. 118; Творения Платона, т. XIII, Законы, кн. 5. Ленинград 1923 г. стр. 158—159).

4. По учению Маркса деньги в рабовладельческом обществе имеют и функцию средства обращения.

Деньги в рабовладельческом обществе существуют уже с VII в. до нашей эры в монетной форме. А деньги в функции средства обращения существовали еще до появления монеты, так как по словам Маркса «...бесформенный сырой металл (aes rude) был первоначальной формой средств обращения» (К критике политической экономии, М. 1935 г., стр. 144).

Рассуждения Маркса об Аристотеле ясно показывают, что в рабовладельческом обществе деньги имели функцию средства обращения. «Аристотель в «Республике» развивает оба движения обращения Т-Д-Т и Д-Т-Д. в их противоположности под названием «Экономики» и «Хрематистики». Маркс пишет: «Аристотель ясно говорит, что деньги в качестве простого средства обращения имеют, повидимому, только обусловленное обычаем или законом существование»... (К крит. пол. эк., стр. 117).

Уже Аристотель понимал, что деньги имеют функцию средства обращения. Наконец, мы обращаем внимание читателя на цитату, приведенную нами выше (стр. 211—212) из «Капитала». Не могут деньги не иметь функцию средства обращения там, где происходит реализация товаров, где имеет место торговля, обращение товаров, если даже этот товар, как в рабовладельческом обществе, является излишком, выносимым производителем на рынок.

Итак, наличие у денег рабовладельческого общества функции средства обращения также очевидно по учению Маркса.

5. Деньги функцию меры стоимости выполняют идеально, а функцию средства обращения реально, но могут быть замещены своими представителями.

Есть функции, для выполнения которых требуются деньги в их золотой плоти. В этих функциях деньги выступают как единство меры стоимости и средства обращения. К этим функциям относятся: сокровище, платежное средство, всемирные деньги.

Имеются ли в рабовладельческом обществе эти функции у денег? Выступают ли в данном обществе деньги в единстве меры стоимости и средства обращения?

Деньги и в рабовладельческом обществе суть всеобщий эквивалент; деньги абстрактное общественное богатство, они непреходящее богатство. За деньги все можно купить, деньги дают власть их обладателю. Каждый старается иметь деньги, накопить их.

«Товарное обращение уже с самых первых зачатков своего развития вызывает к жизни необходимость и страстное стремление удерживать у себя продукт первой метаморфозы — превращенную форму товара, или его золотую куколку» (Маркс, Капитал, т. I, стр. 125).

Деньги и в рабовладельческом обществе являются предметом и источником страсти к обогащению. Рабовладельческое общество объято жаждой золота. Это общество оставило нам миф о фригийском царе Мидасе, в руках которого все вещи от прикосновения превращались в золото. Этот миф повествует о жадности к золоту.

В рабовладельческом обществе имеет место созидание сокровища. Имя лидийского царя Креза стало нарицательным для обозначения лиц, обладающих несметными сокровищами.

Литературные памятники рабовладельческого общества повествуют о сокровищах отдельных лиц, храмов, государства. Достаточно прочитать речи Лисия, Демосфена, сочинения Полибия, Плутарха, Фукидида, различные надписи, чтобы убедиться в наличии значительных сокровищ в рабовладельческом обществе (см. «Античный способ производства в источниках», гл. Е, Ж, З). О сокровищах рабовладельческого общества повествуют все курсы истории Древнего Востока, Греции, Рима. Маркс, глубоко изучивший рабовладельческое общество, прекрасно знакомый с первоисточниками, отмечал наличие и крупную роль сокровищ в рабовладельческом обществе.

В условиях слабого развития товарного производства особо важное значение имеет собирание сокровища, так как здесь происходит первое самостоятельное обособление меновой стоимости в виде денег. Это первое самостоятельное обособление меновой стоимости, собирание сокровища играет большую роль у древних народов.

«У народов с чисто металлическим обращением, например, у древних, образование сокровищ представляет собой повсеместный процесс, который осуществляется как отдельными лицами, так и государством, охраняющим свое государственное сокровище.

В более древние времена, в Азии и в Египте эти сокровища, охраняемые царями и жрецами, выступают больше как свидетельство их могущества.

В Греции и в Риме образование сокровищ, как постоянно обеспеченной и пригодной для употребления формы избытков, становится задачей политики. Быстрое перепесение таких сокровищ из одной страны в другую завоевателями и их частичный внезапный прилив в обращение составляют особенность античной экономики» (К критике полит. экономии, стр. 126).

В рабовладельческом обществе, таким образом, уже существует денежная форма богатства в отличие от натуральной формы.

Денежная форма богатства, сокровище, существует в этом обществе в наивной форме, поскольку созидание сокровища здесь является самоцелью. Но и в условиях рабовладельческого общества сокровище выступает как в непосредственной, так и в эстетической форме—обладания вещами из драгоценных металлов, предметами роскоши. Те-же литературные памятники повествуют о предметах роскоши, о сокровищах в эстетической форме.

Итак, по учению Маркса в рабовладельческом обществе деньги имеют функцию сокровища. Это обстоятельство еще раз доказывает, что в рабовладельческом обществе существуют у денег функции меры стоимости и средства обращения, ибо сокровище представляет собой единство меры стоимости и средства обращения.

Больше того, наличие функции сокровища в развитом виде указывает на наличие развитых функций меры стоимости и средства обращения, так как Маркс отмечает: «...в третьем назначении деньги могут выступать в развитом виде, лишь если они уже развиты в обоих прежних» (Архив Маркса и Энгельса, т. IV, стр. 211).

Итак, наличие у денег в рабовладельческом обществе функций меры стоимости, средства обращения и сокровища—не может быть взято под сомнение.

Мы считаем необходимым указать еще на одно место из произведения Маркса с тем, чтобы положительное решение вопроса не оставляло никакого сомнения.

В подготовительных тетрадях к книге «К критике политической экономии» Маркс, рассмотрев три назначения денег—меру стоимости, средство обращения и сокровище констатировал: «У римлян, греков и т. д. деньги выступают сначала непосредственно в своих обоих первых назначениях, как мера и средство обращения, в обоих назначениях не очень развитыми. Но как только у них развивается торговля или же, как у римлян, завоевания доставляют им массу денег—словом, вдруг на известной ступени их экономического развития,—деньги неизбежно выступают в их третьем назна-

чении, и они все более развиваются в этом назначении, как гибель этого общества» (Архив Маркса и Энгельса, т. IV, стр. 221).

Некоторые авторы, ссылаясь на приведенное нами место из «Архива», склонны утверждать, что по учению Маркса, деньги в рабовладельческом обществе существуют только в трех назначениях—меры стоимости, средства обращения и сокровища. Отсутствие функций платежного средства и всемирных денег они обосновывают тем, что Маркс здесь ничего не сказал о них.

Такое суждение не выдерживает никакой критики. Маркс в своих подготовительных тетрадях рассмотрел три назначения денег и дал материал для решения вопроса об остальных функциях. В своих следующих работах Маркс дал анализ и двух остальных функций. Рассуждения Маркса не оставляют никакого сомнения в том, что деньги в рабовладельческом обществе имеют и функцию платежного средства и функцию всемирных денег.

Остановимся сначала на функции платежного средства.

6. Развитие товарного обращения ведет к тому, что реализация цены товара отделяется от отчуждения самого товара, покупка товара предшествует его оплате. Один становится кредитором, другой должником. Эти роли возникают из простого товарного обращения. В этих условиях деньги применяются в качестве платежного средства. Но при известном уровне развития и достаточно широких размерах товарного обращения, учит Маркс, функция денег как средства платежа выходит за пределы сферы товарного обращения и деньги становятся всеобщим товаром договорных обязательств.

В рабовладельческом обществе существует ростовщический капитал, ростовщический кредит. Рабовладельческое общество знает отношения должника и кредитора. Эта допотопная форма капитала является капиталом, приносящим проценты и, таким образом, категория процента хорошо известна уже рабовладельческому обществу. Рабовладельческое общество знает и существование векселя с сопутствующим ему вексельным правом. Маркс отмечает, что вексельное дело «развилось уже в Риме и в Греции из собственно менялыного дела» (Капитал, т. III, стр. 286).

Ссуды в рабовладельческом обществе выступают как в натуральной, так и в денежной форме.

Кредитные отношения возникают между торговцами, между торговцами и ростовщиками. В качестве примера торговых ссуд можно привести морские ссуды, о которых говорят, например, Демосфен в своей речи против Апатурия или Плутарх в своей работе о Катоне (см. «Античный способ производства в источниках», стр. 53, 299).

Кредитные отношения существовали между крестьянами и ростовщиками, между крестьянами и землевладельцами, между рабовладельцами и ростовщиками.

Долговая кабала крестьян возникала на основе войн, неурожаев, разорительных для них. Энгельс рассказывает нам о полях Аттики, пестревших столбами с надписями о том, что данная земля заложена. Ипотечный кредит существовал за много веков до нашей эры.

В 594 г. до нашей эры Солон объявил долги недействительными: «в революции, произведенной Солоном, должна была пострадать собственность кредиторов в интересах собственности должников» (Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и государства, М. 1934, стр. 104).

Войны, разорявшие римских плебеев, наполняли амбары патрициев военной добычей—медными деньгами. Эту бесполезную для них медь, как пишет Маркс, они ссужали плебеям под ростовщический процент и превращали их в своих должников—рабов.

Рабовладельцы с своей стороны в результате расточительства попадали в цепкие лапы ростовщика.

Ростовщичество разрушало и уничтожало античное богатство, античную собственность, оно разрушало и разоряло мелко-крестьянское производство.

Совершенно очевидно, что при погашении долговых обязательств, деньги в рабовладельческом обществе выступали в функции средства платежа.

Развитие денежного хозяйства вело к превращению натуральных платежей в денежные. Мы знаем, что многообразные торговые пошлины, как во внешней, так и во внутренней торговле рабовладельческого общества уплачивались деньгами. Существовали отдельные денежные налоги—5 проц. налог с рабов, отпущенных на волю, налог на имущество, установленный Сервием Тулием, 1-процентный налог на предметы потребления, установленный Каракаллой и др.

Ясно, что во всех этих случаях деньги выступали в функции платежного средства. Но превращение всех налогов в денежные оказалось невозможным. Маркс пишет: «Ренты, подати и т. п. превращаются из поставки натурой в денежные платежи. В какой степени возможность такого превращения зависит от общего характера процесса производства, показывает, например, дважды потерпевшая крушение попытка Римской Империи взымать все налоги деньгами» (Маркс, Капитал, т. I, стр. 135).

Само наличие ростовщического капитала показывает, что деньги в рабовладельческом обществе имели функции платежного средства. «Широкой и при том специфической ареной ростовщичества является функция денег как платежного средства. Всякие денежные повинности, приуроченные к определенному сроку,—аренда, подати, налоги и т. п. сопряжены с

необходимостью денежных платежей. Поэтому ростовщичество со времен древнего Рима и до нашего времени так широко пользуется арендаторами» (Капитал, т. III, стр. 530).

Важно отметить, что по учению Маркса существование ростовщического капитала является показателем наличия товарного обращения и различных функций денег, поскольку Маркс отмечает: «Чтобы ростовщический капитал мог существовать, необходимо лишь одно: по крайней мере часть продуктов должна превратиться в товары и наряду с товарной торговлей деньги должны развить свои различные функции» (Капитал, т. III, стр. 524).

Эта цитата из Маркса еще раз подкрепляет все сказанное выше о функциях денег в рабовладельческом обществе.

В рабовладельческом обществе имела место и концентрация платежей. Там существовали даже учреждения для взаимных расчетов, которые «возникают совершенно независимо от развития кредитного дела, как, например, в древнем Риме» (К критике полит. экономии, стр. 141).

Наличие функции платежного средства в рабовладельческом обществе оспаривать не приходится.

7. И, наконец, о функции всемирных денег. Мы уже сказали, что в рабовладельческом обществе излишки прибавочного продукта подвергаются реализации. Большие излишки прибавочного продукта вызывали к жизни и довольно значительное развитие торговли. В рабовладельческом обществе мы стоим перед фактом довольно широкой международной торговли. Это обстоятельство дало Марксу основание говорить о торговых городах и народах древности, но при этом Маркс предупреждал нас не только от недооценки, но и от переоценки размеров и значения античной торговли. «То, что в древности представляли Тир, Карфаген и Александрия, в средние века Генуя и Венеция, чем до сих пор были Лондон и Ливерпуль,—центрами мировой торговли,—этим становятся теперь Нью-Йорк и Сан-Франциско... И тогда Тихий океан будет играть такую же роль, какую теперь играет Атлантический океан, а в древности и средние века Средиземное море,—роль большого водного пути для мировых сношений...» (Маркс и Энгельс. Международные обзоры. Соч. Маркса и Энгельса, т. VIII, ГИЗ, 1930, стр. 209).

Маркс далее отметил, что «Торговые народы древности существовали, как боги Эпикура, в междумировых пространствах вселенной...» (Капитал, т. III, стр. 296). Маркс добавляет к этому, что торговля первых самостоятельных, пышно развившихся торговых городов и народов была посреднической и основывалась на варварстве производящих народов.

Может-ли в этих условиях международная торговля рабовладельческого общества обойтись без денег в функции всемирных денег? Конечно, нет. Деньги и в рабовладельческом обществе имеют функцию всемирных денег.

Рабовладельческое общество является первой классовой общественно-экономической формацией. Вместе с этой формацией появляется и государство, как орган классового господства. В VII в. до нашей эры в Лидии появляются первые монеты. Вскоре появляются различные монетные системы. Деньги уже в рабовладельческом обществе наряжаются в национальные мундиры и в этих мундирах они принимаются по счету—взвешивание не требуется. Но деньги в таком виде являются законным платежным средством лишь в пределах определенного государства. Монетная форма не мешает деньгам выполнять функцию всемирных денег. Деньги, выходя за сферу внутреннего обращения, сбрасывали с себя национальный мундир и выступали в первоначальной форме слитков — опробование и взвешивание оставалось в силе на всемирной арене и в отношении денег в монетной форме.

Именно наличие у денег функции всемирных денег вызвало к жизни многочисленных менял, заполнявших рынки рабовладельческого общества, торговавших деньгами, одетыми в различные национальные мундиры. Наличие различных национальных мундиров остро ощущалось в рабовладельческом обществе, особенно в периоды порчи монеты.

Участники торгового союза, возглавлявшегося Афинами, обязаны были пользоваться афинской монетой, но монополия афинской монеты в пределах союза ничуть не говорит о том, что деньги в этот период не имели функции всемирных денег—в этой функции они выступали при сношениях со всеми другими государствами. То обстоятельство, что в V в., в веке наибольшего могущества Афин, афинские монеты были наиболее распространены в тогдашнем мире, ничуть не говорит о том, что деньги не имели функции всемирных денег. Афинские деньги проникали в другие государства и переходили из государства в государство в порядке выполнения ими функции всемирных денег. Между тем, упомянутый нами Рейхардт, ссылаясь на этот момент из истории денежных систем рабовладельческого общества, полагает, что не было предпосылок для появления формы денег—всемирных денег.

Всемирные деньги в рабовладельческом обществе на мировой арене выступали как мера стоимости, всеобщее средство обмена и как абсолютная общественная материализация богатства—как средство перенесения богатства из государства в государство.

Наличие функций меры стоимости и средства обмена не может вызывать сомнения после сказанного выше. О наличии у всемирных денег и последней функции говорят факты, имевшие место в рабовладельческом обществе: перенесение сокровищ из страны в страну, получение дани с покоренных народов и от союзников, займы одних государств другим и т. д.

У Маркса мы находим совершенно ясные указания на то, что деньги и в рабовладельческом обществе имеют функции всемирных денег.

«Развитие торговли и торгового капитала повсюду развивает производство в таком направлении, что его целью становится меновая стоимость, увеличивает его размеры, делает его более разнообразным, придает ему космополитический характер, развивает деньги в мировые деньги» (Капитал, т. III, стр. 297).

Наконец, мы обращаем внимание на 19 главу третьего тома «Капитала» о денежно-торговом капитале.

Мы уже говорили о широко развитом меняльном деле, о торговле деньгами в рабовладельческом обществе. «Поэтому торговля деньгами, торговля денежным товаром развивается прежде всего из международных сношений. При существовании особых монет в различных странах купцы, производящие закупки в чужих странах, должны обменивать монеты своей страны на местные монеты и обратно или же обменивать различные монеты на слитки чистого серебра или золота, как на мировые деньги. Отсюда возникает меняльное дело, которое следует рассматривать, как одно из естественно возникших оснований современной торговли деньгами. Из него развились разменные банки, где серебро (или золото) функционирует в отличие от ходячей монеты как мировые деньги—в настоящее время как банковые деньги или торговые деньги. Поскольку вексельное дело сводилось к выдаче путешественнику менялой какой-нибудь страны свидетельства на получение денег от других менял, оно развилось уже в Риме и в Греции из собственно-менялного дела»... «Таким образом, меняльное дело и торговля слитками являются самыми первоначальными формами денежной торговли и вытекают из двояких функций денег: как местных монет и как мировых денег» (Капитал, т. III, стр. 285—286).

8. Итак, деньги в рабовладельческом обществе имеют все функции—таково учение Маркса.

Вывод Маркса базируется на изучении им колоссального исторического материала, его вывод не есть простая абстракция. Ленин писал: «Маркс подвергает чрезвычайно детальному анализу различные функции денег, при чем и здесь (как вообще в первых главах «Капитала») в особенности важно отметить, что абстрактная и кажущаяся иногда чисто дедуктивной форма изложения на самом деле воспроизводит гигантский фактический материал по истории развития обмена и товарного производства» (Ленин, Сочинения, т. XVIII, стр. 17).

9. Все сказанное нами о функциях денег в рабовладельческом обществе не дает нам права отождествлять деньги и денежные отношения рабовладельческого общества с деньгами и денежными отношениями капитализма, как это делают буржуазные экономисты.

Их отличие основывается на отличии способа производства. При капитализме они пронизывают все экономические отношения, выступают в пол-

ной силе, превращаются в капитал, т. е. в стоимость, дающую прибавочную стоимость.

Маркс в своей работе «К критике политической экономии» отметил, что: «Деньги начали играть роль очень рано и в различных отношениях, однако в древности они выступают как господствующий элемент только у односторонне определившихся наций, у торговых наций. И даже в наиболее развитой древности, у греков и римлян, полное развитие денег, которое составляет предпосылку современного буржуазного общества, выступает только в период разложения.

Таким образом, эта совершенно простая категория исторически выступает в своей полной силе только в наиболее развитых состояниях общества. Она никоим образом не проникает во все экономические отношения; например, в Римской империи, в период наибольшего ее развития, основу составляли натуральные подати и повинности. Денежное хозяйство было там вполне развито, собственно, только в армии, оно никогда не охватывало весь процесс труда в целом» (Стр. 26). Отсюда не следует делать вывод, что у денег отсутствовали некоторые функции,—на это не дает нам права все сказанное выше о функциях денег в рабовладельческом обществе.

Здесь идет речь лишь о степени пропитывания деньгами экономических отношений. Во всяком случае наличие всех функций денег у древних народов в период разложения рабовладельческого общества, а до того в армии Римской Империи не подлежит сомнению.

Все сказанное в этой статье дает нам основание говорить лишь о степени развития и преобладания тех или иных функций денег. Мы можем сказать, что в рабовладельческом обществе деньги наиболее развиты в функциях меры стоимости, средства обращения, сокровища, менее развиты в функциях платежного средства и всемирных денег.

სერგი ჟღენტი

ზანიზმები გურულ ზმნებში

ცნობილია, რომ გურულში და იმერულში, განსაკუთრებით ქვემოიმერულში, მეგრელ-ჭანების ენობრივი მასალები უხვადაა წარმოდგენილი.

მეგრულ-ჭანური ფენის არსებობას გურულში ჩვენ ერთხელ შევეხეთ ნაწილობრივ [1].

ამჟამად ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ დამატებითი მასალები გურულში მეგრულ-ჭანური ფენის არსებობის ნათელსაყოფად.

გამოირკვა, რომ გურული ზმნების წყება მხოლოდ მეგრულ-ჭანურის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას. ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია გურულის, როგორც ენობრივად ნარევი კილოს, დასახასიათებლად [2].

ცნობილია, რომ გურიის ტოპონიმიკურს სახელებში მეგრულ-ჭანურ სახელწოდებათა დადასტურებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ტომთა ისტორიის გასათვალისწინებლად. ჯერ კიდევ 1913 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ წერდა: „გურულები და იმერლები მეგრელ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუა გულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ზემოალნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად კოლხეთის ის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა ცხოვრებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ. მთა **ჯიხანჯირი** (ჯიხა—ციხე), **ჯუმათი, ჭყონგვარი** (ჭყონი—მუხა), მდ. ოჩხამური (ო+ჩხამური, ჩხომი—თევზი, როგორც ოკალმახე A. Шагарелп, Этюды, II, 71), **ოჭილაური** (ო+ჭილაური — საჭილაო), **ჭყვიში**,

---

[1] იხ. „გურული კილო", 1936 წ. გვ. 19—28. იხ. აგრეთვე: И. Мегрелидзе: „Лазский и мегрельский слои в гурийском", Москва-Ленинград, 1938 г. იმ მასალებს, რომლებიც დასახელებულ ნრომებშია განხილული, ჩვენ აქ არ შევეხებით.

[2] ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ წარმოდგენილი მასალები არ არის უცხო იმერულისთვისაც, განსაკუთრებით კი—ქვემო იმერულისათვის და ზოგი მათგანი—დასავლური კილოებისათვის საერთოდ.

ჰყვიაშაური, ჭანეთი, მდ. **გუბაზოული**, მდ. **კინტრიში**, **ონჭიკეთი**, **ონჯოხეთი**, სოფ. **ოც[ხ]ანა** გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო“ [1].

ლიტერატურაში უკვე ცნობილი მასალების გარდა, ამავე რიგის მონაცემი უნდა გვქონდეს გურიის ერთი თემის სახელწოდებაში; ესაა: **ქუაბლა**. იგი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ჭანურ ნიადაგზე. **ქუაბლა** შედგენილი სიტყვაა: **ქუა** + **ბლა**. პირველი ნახევარი ცნობილი სიტყვაა: ქუა — ქვა. მეორე ნახევარი ჭანურში ნიშნავს: ’ყრა’ (და-ყრა, ჩა-ყრა, მო-ყრა, გა-ყრა). მაგ.:

„ბახჩას ჩანტუ კარპუზი დო შუკაფე. ხოჯაქ დოწილუ დო ტურვაფეს **ქოდოლობლუ**“—ბოსტანში ხარობდა საზამთრო და კიტრები. ხოჯამ დაჭკრიფა და ტომრებში ჩაჰყარა (ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, გვ. 113_{23}). „ბახჩაშ საიბიქ ხოლო უწუ-ქი: „ტურვას შიქ **დოლობლუ-ჲა**“—ბოსტნის პატრონმა კიდევ ჰკითხა: ტომარაში ვინ ჩაჰყარაო (იქვე, 113_{33}) „ა’ნდღას კირალიქ დიდო **ოკობღალა** დოვე დო მილეთის უწუ“—ერთ დღის მეფემ კრება (ყრილობა) აწვია („ქნა“) და ხალხს უთხრა (იქვე, 200_{33}). „დიდო ფარა **ქოდობღუ** ოხოი მუშის“—დიდძალი ფული დაჰყარა („ქედაყარა“) მის სახლში (იქვე, 150_{2}).

ამგვარად, **ქუაბლა** ნიშნავს: ქვა-ყრა, ქვა-ყრილი. იგი ნაზმნარი სახელია. მართლაც, ის ადგილი, რომელიც ამ სახელწოდებას ატარებს, არაჩვეულებრივი მსხვილი ქვებითაა მოფენილი (ჩოხატაურის რაიონი, მდ. გუბაზოულის ხეობაში, ბახმაროს მიმართულებით).

ქუაბლა-ს მსგავსად **ქვა**-დან ნაწარმოები სხვა ტოპონიმიკური სახელებიც იპოვება, როგორიცაა: **ქვაყრილი** (პროფ. ვ. თოფურიას ჩვენებით), **ქვალონი**, **ქვიანი** და სხვ.

მეგრ. **ბარდღალი** ნიშნავს: ’უაზრო, უშნო ლაპარაკს’. გურულშიაც გავრცელებულია ეს ზმნა იმავე მნიშვნელობით (იხ. „გურული კილო“, გვ. 211), ხოლო გურულში გავრცელებულია პარალელურად თანხმოვანთა გადაწევის ნიადაგზე მიღებული ვარიანტიც იმავე მნიშვნელობით: **პარტყალი** (**ბარდღალი** || პარტყალი). გურ. „გამომიყრუა ყური მისმა **ბარდღალმა**“; „**პარტყალის** მეტი რაი იცის“.

სვანურში ამ სიტყვის შესატყვისია: **ლი-ბგრდღენი** იმავე მნიშვნელობით [2].

როგორც ცნობილია, სვანური რთულბუნებოვანი ენაა და მასში სხვადასხვა ენობრივი ფენი შეინიშნება: „სვანურში მკვეთრად გამოიყოფა სამი (ფენი) მაინც (ერთი იძლევა ქართულის შესატყვის მასალას ანდა ხედება სალიტერატურო ქართულის შესატყვის მასალას; მეორე იმეორებს მეგრულ-ჭანურს; მესამე აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფის ენათა სინამდვილეს უკავშირდება)“ [3]. ამის გაშო სრულებითაც არ არის გასაკვირი ის შეხვედრები, რომელთაც, როგორც ქვემოთ

[1] იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1913 წ. გვ. 56.

[2] სვანური მასალები ლახამულური მეტყველების მიხედვითაა დამოწმებული.

[3] იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938 წ. გვ. 440.

ენახავთ, ერთი მხრით, ჭანურ-მეგრულ-სვანურსა და მეორე მხრით გურულს შორის აქვს ადგილი. ეს საერთო—ზანური ენობრივი ფენია.

მეგრ. **ბუცინუა** ნიშნავს: 'გაუგებარ ლაპარაკს'. გურულშიაც ეს ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით: **ბლუყუნი** ან **ბლიყინი**.

გურ. „ისე **აბლუყუნდება** კაცი ეეფერს გუუგეფს".

სვანურში იმავე მნიშვნელობის გამომხატველი შესატყვისი ფორმაა: **ლი-ბჷრყჷნი, ბჷრყნი**.

მეკრ. **ბაძღუა** ნიშნავს: 'მეჩხრად და უშნოდ ღობვა'. მეგრ. „**ბაძღილი** ღობერი" ნიშნავს: 'მეჩხრად და ცუდად ნაღობი ღობე'. გურულში იმავე შინაარსის გამოსახატავად გავრცელებულია: **ბანძღვა**. ნ ფონეტიკურადაა განეითარებული. ასე მაგ. იტყვიან: „რაცხა კი მიბანძღ-მობანძღაო", ე. ი. ცუდად მიაღობ-მოაღობა. გურულში **ბანძღი** იხმარება დაძველებული ღობის მნიშვნელობითაც.

მეგრ. **ბეზუა** ნიშნავს: 'მაგრად გარტყმას'. გურულშიაც იგივე ფუძეა გავრცელებული იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად: **ბეზვა** || **ბაზუნი**. გურ. -ერთი კარქა **მობეზა**".

ჭანურში ამ მნიშვნელობის გამომხატველი შესატყვისი ფორმაა: **ო-ზაპუ**.

მეგრ. **გო-ბონდღუა** ნიშნავს: 'დაქსელვას'.

მეგრ. „გობონდღილი"—გაბმული ქსელი (ობობასი). გურულშიაც ამ ზმნის ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად, მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვნებით: **ბანდღუა** (მეგრ. ო|ქართ. ა).

გურ. „**გუუბანდღავს** ობობას ქსელი".

მეგრ. **ბუცონუა** ნიშნავს 'უშნოდ ჭამას'. გურულშიაც ეს ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად: **ბუყვნა**. გურ. „**იბუყნება** ციე ჭადს".

მეგრ. **განუა** ნიშნავს: „ხბო რომ მოწველამდის ძუძუებს პირს მოავლებს". გურულშიაც ამ ზმნის ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად, მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვნებით: **მო-გენება**; ჭან. **გენი** ნიშნავს: 'ხბოს'.

მეგრ. **ღო-ძონძუა** ნიშნავს: 'დახუნძვას'; მეგრ. „ღოძონძილი" ნიშნავს: 'დახუნძული, ძალიან მსხმოიარე" (ხეხილი). გურულშიაც ეს ზმნაა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით, მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვნებით: **და-ძანძვა**. აქედან მიმღეობა: **და-ძანძული**.

გურ. „ამ სხალს ქლა **დაძანძული** აქ ბოლები".

მეგრ. **ეკალიფუა** ნიშნავს: 'აკრეფა, აღება, აწმენდა'. გურულშიაც ამ მნიშვნელობის გამოსახატავად იგივე ზმნაა გამოყენებული: **აკალიფება**.

მაგ. წყლისაგან ან ქარისაგან წაქცეული სიმინდების აყენებაზე იტყვიან: **აკალიფაო**.

მეგრ. **გო-ზიზინაფუა** ნიშნავს: 'ჰურჰლის ზედმეტად გავსებას რაიმე სითხით (მსუქანზედაც იტყვიან). ეს ზმნა გურულშიაც არის გავრცელებული იმავე მნიშვნელობით: **გაზიზინება** ნიშნავს: 'გავსებას', საქონლის ძალზე გაძღომაზედაც იტყვიან: „გაეაზიზინე ძროხაო".

ჰან. **თიკუნტალი** ნიშნავს: 'თავით გადაყირავებას' (იხ. ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 186). გურულში თავით გადაყირავების მნიშვნელობით იხმარება: **წიკუნტალი** (იხ. „გურული კილო", გვ. 257).

გურ. „ცხრაჯერ გადაწიკუნტალდა" ნიშნავს: ცხრაჯერ გადაყირავდა. განსხვავებას თავკიდური თანხმოვანი გვაძლევს. სვანურში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად **ციბრკელ** გვაქვს.

მეგრ. **თხიფუა** ნიშნავს: 'დასერას'. გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით.

გურ. „**ითხიპნება**" ნიშნავს: ისერება (თხიფუა ‖ თხიპვა). გურ. **მოთხიპული ‖ მოთხუპული** ნიშნავს: 'მოდღურულს, დასერილს'.

მეგრ. „კანტალი დუდიში" ნიშნავს: 'თავის ქნევას'. გურულში ამის შესატყვისი გავრცელებული ფორმაა: **თავის კანტური**.

გურ. „თავს **აკანტურეფს**" ნიშნავს: თავს აქნევს. „ყორიფელზე **გიკანტურეფს** თავს"—ნიშნავს ყველაფერზე გეთანხმება.

მეგრ. **კაპანუა** ნიშნავს: 'ტეხრთვას'. გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით: **და-კაპანება**. გურ. „**დაკაპანებული** ურემი" ნიშნავს: თავამდის, ზედშეტად დატვირთული ურემი.

მეგრ. **კარკაცი** ნიშნავს: 'კასკასი, კისკისი'. ეს ზმნა გურულში იმავე მნიშვნელობითა და ფორმითაა გავრცელებული.

გურ. „კარკაცოფს"—ნიშნავს: კასკასობს. **კარკაცი** ფონეტიკური განვითარების გზითაა მიღებული **კასკასი**-საგან. **რ ს**-ს ფონეტიკური მონაცვლეა (შდრ. ძე. ქართული სძალი—რძალი; სძე—რძე). **ც** კი შედეგია მეორე **ს**-ს გააფრიკატებისა (შდრ. ქართ. **მსხალი** და ჰან. **მცხული**: გურ. **სხვენი** და ჰან. **ოცხონე**). **კარკაც** ფუძეა გამოყენებული სვანურ: **ლი-კჳრკჳც**-ში, რაც ნიშნავს: 'კაკანს'. სვან. **კარკჳც**—კაკანებს. ამავე რიგის მონაცემი უნდა გვქონდეს სვან. **კორკოც**-ში, რაც ნიშნავს: 'მყივანა ხველას'.

მეგრ. **კეკუა ‖ კაკუა** ნიშნავს: 'წისქვილის ქვის მოპირვას', აგრეთვე ნიშნავს: 'მატყლის წეწვასაც'. გურულში ეს ზმნა იმავე ორი მნიშვნელობით იხმარება. იტყვიან: „ახალ **მოკეკილი** წისქვილიაო", ან კიდევ: „კაი **დაკეკილი** მატყლიაო".

მეგრ. **კვარკვალი** ნიშნავს: „კანკალს". გურულშიაც იმავე შინაარსის გადმოსაცემად ეს ზმნაა გავრცელებული. ცნობილია ასეთი ლექსი:

„სიცივეა **კვარკვალია**
ქალო, შენ რამ გადაგრია,
კასტუმიანს რომ დიეძეფ
ჩოხიანი რამ დალია" (ხ. „გურ. კილო", გვ. 70).

მეგრ. **კვირკუა ‖ კვარკვალუა** ნიშნავს: 'დახვევა, დაგორგალება'. გურულში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: **და-კვირკვალება**. გურ. „დაკვირკვალებული თმები აქ"—ხუჭუჭი თმა, ლოკონები აქვს. შდრ. ჰანური: „**კირკოლერი** თომა"—ხუჭუჭი თმა (ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 191$_2$). სვანურში იმავე მნიშვნელობის შესატყვისი ფორმაა: **ლი-კვირკვე**.

მეგრ. **ლანდუა** ნიშნავს: 'კერცხის სინათლეზე შემოწმებას ლაყე არის თუ არა'. გურულში **ლანდვა** იმავე მნიშვნელობით იხმარება.

მეგრ. **ლიფუა** ნიშნავს: 'გასანთლა, ტალახში ამოსვრა'. გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად. მაგ. ტალახით ან ჭინით გასვრილზე იტყვიან: **გალიფულიაო**.

გურ. „ხარს კუდი ქლა **გალიფული** აქ ტალახით".

ჭან. **ო-მღორინუ** ნიშნავს: 'ხმამაღალ ყვირილს, ღრიალს'. გურულში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: **მღორინი**. მ-ს ბ-დ ფონეტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე (იხ. „გურული კილო", გვ. 214).

გურ. „რა გაბღორინეფს, ბიჭო, ამხელას" — რას ღრიალებ ამოდენას? სვანურში შესატყვისი ფორმაა: **ლი-ბღლელ** 'ბღავილი (საქონლის)'.

მეგრ. **გო-ნიოჩაფა** ნიშნავს: 'წყალზე ქვაღის დაჭენას', მაგ.: ნავის გავლის შემდეგ ან გაცურვის შემდეგ. გურულში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად გავრცელებულია: **განავრვა** (იხ. „გურული კილო", გვ. 216).

მეგრ. **პურჭყაფი** ნიშნავს: 'ფურთხვას, უშნოდ ფურთხებას'. ეს ზმნა გურულშიაც არის გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. გურ. „**იპურჭყნება** საშინლათ" ნიშნავს: წამდაუწუმ უშნოდ იფურთხება.

მეგრ. **პუტინი** ნიშნავს: 'ჩუმად გაბმულ ლაპარაკს'. გურულში იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: **პუტუნი**. გურ. „**პუტუნოფს** თელი დღეი". ამ შემთხვევაში, და სხვა ბევრ შემთხვევაში, ი-სა და უ-ს შესატყვისობა მეგრულსა და გურულს შორის ისეთ ხასიათს ატარებს, როგორც მეგრულსა და ჭანურს შორის[1] (შდრ. მეგრ. **თხიფუა** და გურული: **თხუპნა**).

მეგრ. **ჟუარუა** ზმნას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს ისე, როგორც გურულშიაც.

მეგრ. **ჟუარუა** ნიშნავს: 1. ძალზე დაღლას. გურულშიაც იტყვიან: „დღეს ნამეტარი **დევჟეველო**", ე. ი. დავიღალე. 2. ნიშნავს: გარტყმას და 3. დასველებას, გაწუწვას. გურულშიაც ეს ზმნა ამ მნიშვნელობით იხმარება. მაგ. თუ ვინმე მდინარეში ტანზე ჩაცმული გავა იტყვიან: **გაჟუარუნდაო**.

მეგრ. **ჟღირაფა** ნიშნავს: 'ჭკნობას'. გურულში ამ შინაარსის გადმოსაცემად გვაქვს: **ჟღნობა**. გურ. „**დამჟღნარი** ვარდი"—დამჭკნარი ვარდი (იხ. „გურული კილო", გვ. 240).

მეგრ. **რეფუა** ნიშნავს: „რაიმე საგნის დარტყმას"[2]. გურულში **როფვა** იმავე მნიშვნელობის გამომხატველია. გურულში **ე** ხმოვანს **ო** ენაცვლება. გურ. „თავი გუუროფა"—თავი გაუტეხა, გაუპო (იხ. „გურული კილო". გვ. 71).

მეგრ. **ტიკუა** ნიშნავს: 'ფეხის ან ხელის რაიმე სითხეში ჩაკვრას'. ეს ზმნა გავრცელებულია გურულშიაც იმავე მნიშვნელობით. გურულში იგი თ ა ვ შ ი ჩ ა რ ტ უ მ ა ს ა ც ნიშნავს.

გურ. „**ტიკვა** ჯოხი თავში".

მეგრ. **ტკარჩალი** ნიშნავს: 'ხმამაღალ სიცილს'. აგრეთვე აღნიშნავს: ფრინველის გაფრენისას ფრთების ხმაურს.

[1] იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შდ. ლექსიკონი, გვ. 5.

[2] მაღლობას ვუძღვნი ანდ. თოდუას ზოგი მეგრული ზმნის შინაარსის დაზუსტებისათვის.

გურულში ეს ზმნა გავრცელებულია იმავე მნიშვნელობით, ხოლო ფუძეში ჩ-ს მაგიერ სისინა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ც გვაქვს: **ტკარცალი**. გურ. „ქალიშვილების **ტკარცალი**“; „ქათამი **ატკარცალდა**“.

სვანურში იმავე მნიშვნელობის შესატყვისი ფორმაა: **ტკჳრჩჳნ** ‘ტკარცალი’.

მეგრ. **ტყვაპინი** ნიშნავს: ‘რაიმე საგნის წყალში ჩავარდნისას ხმაური, ან სითხეში სიარული’. გურულში ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: **ტყვაპუნი**. გურულში ი-ს მაგიერ უ გვაქვს. მაგ. თუ პურქელში წყალი მოძრაობს, იტყვიან: „წყალი **ტყვაპუნოფსო**“.

მეგრ. „**ტყუაპალია** კვერცხი“ ნიშნავს: ლაყე კვერცხს. შდრ. გურ. **ტყვაპერა** კვერცხი“.

სვანურში მეგრ. **ტყვაპინი**-სა და გურ. ტყაპუნი-ს შესატყვისი გვაქვს: **ტყურპუნ** იმავე მნიშვნელობით.

მეგრ. **ფელეკუა** (ან. თოდუას ჩვენებით) ნიშნავს: ’გახლეჩას, გაპობას‘. გურულში შესატყვისი ფორმაა: **გა-ფელეკება** იმავე მნიშვნელობით.

მეგრ. **ფითქუა** ნიშნავს: ‘ამოგანგვლა რაიმე ფხვნილით: ფქვილით, პუდრით’.

მეგრ. „**გოფითქილი**“ ნიშნავს: პუდრწასმული. გურულშიაც **შეფითქვლა** ნიშნავს: ‘შეთეთრებას, პუდრის წასმას’.

მეგრ. **ფუჟაჟი** ნიშნავს: ‘ნელი წვა’. გურულში იმავე მნიშვნელობის შესატყვისი ფორმა გვაქვს: **პუჟვა**. გურ. „ცეხლი პუჟავს“—ცეცხლი ჩაქრობაზეა. გურულში პარალელურად იხმარება: **პუჟუნი** იმავე მნიშვნელობით (იხ. „გურული კილო“, გვ. 239).

მეგრ. **ღაჭუა** ნიშნავს: ‘კრეჭა’.

გურულშიაც ეს ზმნაა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით.

გურ. „თმაი **მიაღნუჭა** ან **შიაღნუჭა**“ ნიშნავს: თმა მიაკრიჭა ან შეაკრიჭა. გურულში გვაქვს უ-ნ-არო ფორმაც: **ღუჭვა**.

სვანურში შესატყვისი ფორმაა: **ნე-ღმეჭ** ნიშნავს: მატყლის ნაკრეჭს, ან ფართლის პატარა ნაჭერს (შდრ. გურ. **ნაღუჭნი** იმავე მნიშვნელობით).

მეგრ. **ღვანკალი** ნიშნავს: ‘ძლივ-ძლიობით, სუსტად სვლა’. მეგრ. **ღვანკალი**, გარდა ამისა, ჰქვია ჯიის მაგვარ წყლის პატარა ცხოველს (პროფ. არნ. ჩიქობავას ჩვენებით).

გურულში **ღანკალი** ნიშნავს: სუსტად, ’ძლივ-ძლიობით სვლას‘.

გურ. „ძულე ეღანკალება“ ნიშნავს: ძლივს დადის, სუსტადაა.

სვანურში შესატყვისი ფორმა გვაქვს: **ლი-ღგრკანელ** იმავე მნიშვნელობით ‘სუსტად სელა’, ნაზამთრ, დასუსტებული საქონლის სვლაზედაც იტყვიან.

ჭან. **ო-ღრიკუ** ნიშნავს: ’მოხრას, დახრას‘.

ჭან. „**მოღრიკი** ჯინიქი“—’დახარე (მოხარე) კისერი‘. გურულში იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: **მო-ღრიკვა**. გურ. „წუღები მომეღრიკა“—წაღები დასველების შემდეგ მზეზე ან ცეცხლზე რომ გაშრება და მოიგრიხება, იმაზე იტყვიან.

მეგრ. **დო-შხაფათუა** || **დო-შაფათუა** ნიშნავს: ‘ერთბაშად გაჟლეტა, დახოცვა’. გურულშიაც ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: **და-შხამფალება**. **მ** ფონეტიკურადაა განეიტრალებული. გურ. „ჭუჭულები დაშხამფალდენ“—წიწილები დაიხოცნენ (ერთბაშად რაიმე ავადმყოფობის გამო). „შვილები

დუუშხამფალდა“—შვილები დაეხოცა, გაუწყდა (უფრო ხშირად წყევლის დროს იხმარება).

მეგრ. **ციცქონუა** || **წიწკონუა** ნიშნავს: ‘ცოტ-ცოტა ჭამას’. გურულშიაც ციცქნა || წიწკნა იმავე მნიშვნელობით იხმარება.

გურ. „ისე იწიწკნება კაცს გულზე შამოუა“ (შდრ. **წიწკათაი ჭამა** გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 87).

გურულში გავრცელებულია **ცუცქნა** ვარიანტიც იმავე მნიშვნელობით.

ჭან. **ო-ცხოპუ** ნიშნავს: ‘სხლვა, გასხლვა’. გურულში ამ ფორმის შესატყვისი ფორმა გვაქვს: **სხეპვა** იმავე მნიშვნელობით.

ჭან. -სუმ კოჩი-თი **გოცხოპუ**“ — სამი კაციც მოკლა („გასხეპა“) (იხ. ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, გვ. 202). გურ. -ბეოლის დასხეპეა- ნიშნავს: თუთის ხის ტოტების დაჭრას.

აღსანიშნავია, რომ ჭანურის **ცხ** კომპლექსის შესატყვისი გურულში გვაქვს **სხ** კომპლექსი. გარდა ხსენებული მაგალითისა, შეიძლება დასახელებულ იქნეს სხვა მაგალითებიც. მაგ.: ჭანური **ო-ცხონე**-ს შესატყვისი გურულში გვაქვს: **სხვენი** ‘სამზარეულო სახლის ჭერები და ის არე საერთოდ, რომელიც მოთავსებულია სახლის სახურავსა და საცეცხლურს შორის (იხ. „გურული კილო“, გვ. 244). ჭანური **მცხული**-ს შესატყვისი გურულში გვაქვს: **სხალი. მ** იკარგვის, ან ზოგჯერ ფშვინიერდება და ვღებულობთ: ფსხალი (იხ. „გურული კილო“, გვ. 247), (შდრ. **სი-სხლი** და **დი-ცხირი**).

შეიძლება ამავე რიგის მონაცემი გვქონდეს სვანურ: **ლი-კაცხურე**-ში, რაც ნიშნავს ‘სხეპვას’.

მეგრ. **„კუჩხი გაჩიკინუ**“ ნიშნავს: ‘ფეხი გაფშიკა’.

გურულში ამის შესატყვისი გვაქვს: ფეხი **გაჩიკინა** იმავე მნიშვნელობით.

ჭან. **ო-ჩხოტალუ** ნიშნავს: ‘გასხლვა’ (შდრ. ო-ცხოპუ).

გურულშიაც ეს ზმნაა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით: **გა-ჩხოტვა**. გურ. „ბეოლის **გაჩხოტვა**“ ნიშნავს: თუთის ტოტებიდან ფოთლების გაცლა, დაყრევინება (იხ. „გურული კილო“, გვ. 27). მეგრულში იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება: **ოცხოტალე** და **ოჩხოტალე**-ც (დოც. მ. ხუბუას ჩვენებით).

სვანურში შესატყვისი ფორმაა: **ლი-ჩხვტი**, რაც ნიშნავს: ‘ხეხილის ფოთლების დაბერტყვას მაგ. ჰოლოკის სროლისას’. ნიშნავს: საქონლის აკაფსვასაც.

მეგრ. **წარწალი** ნიშნავს: ‘მოძრაობას’ მაგ. „ქარი იწარწალუ“—ქარი ქრის (მოძრაობს). გურულშიაც **წარწალი** ნიშნავს: ‘მოძრაობას, შრომას’. გურ. „თელი დღეი წარწალოფს“—მთელი დღე შრომობს, არ ისვენებს.

გურულში იხმარება ასეთი ვარიანტიც: **წანწალი** იმავე მნიშვნელობით. რ-ს მაგიერ **ნ** გვაქვს (შდრ. მეგრ. „ენის ტანტალი“, გურ. „ენის ტარტალი“).

მეგრ. **წკაპუა** ნიშნავს: ‘გამწკრივებას’. გურულშიაც **გა-წკაპვა** იმავე მნიშვნელობით იხმარება.

გურ. „გაწკაპულიყვენ ხიდეზე“—ხიდზე ჩამწკრივებულიყვნენ.

სვანურში შესატყვისი ფორმა გვაქვს: **ლი-წკჳნე** იმავე მნიშვნელობით. ჰაგ. იტყვიან ფოლაქების მწკრიეზე დაკერების შემთხვევაში.

მეგრ. **წკვარწკვალი** ნიშნავს: 'წვეთებად დენას'.

ჰან. „რუშდის უფი ჯინიქიშე **დოლოწურულამტუ**"—რუშდის კისრიდან ოფლი ჩამოსდიოდა წურწურით (ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 214).

გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. გურულში ამ ზმნის ორი ვარიანტი არსებობს: მეგრულის შესატყვისიცა და ჭანურის შესატყვისიც. გურ. „ოფლი მო-წკვარწკვალოფს"—ოფლი მოსდის ღვარად (შდრ. მეგრ. წკვარწკვალი). გურ. „ოფლი მო-წურწკულოფს"—ოფლი მოსდის ღვარად (შდრ. ჰან. დოლო-წურულამტუ) (იხ. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 87 **წურწკული**).

მეგრ. **წკიპუა** ნიშნავს: 'კოხტად გამოწყობას, მორთვას'. მეგრ. „გგმორწკიპილი ‖ გგმოწკიპილი კოჩი"—კოხტად მორთული კაცი.

გურულშიაც **მო-წკიპვა** ნიშნავს: 'კოხტად მორთვას, გამოწყობას'. „გამოწკიპული"—მორთული, გამოწყობილი.

სვანურში შესატყვისი ფორმა გვაქვს: **ლი-წკვპუნე** იმავე მნიშვნელობით.

როგორც ცნობილია, ისტორიულად სხვადასხვა დღესასწაულებზე გურულებსა და მეგრელებს შორის სხვადასხვა სახის თამაში იმართებოდა. ერთი ასეთი სახის თამაში იყო: **ჰაკუნი**. იგი მეტად გავრცელებული თამაში ყოფილა როგორც გურიაში, ისე სამეგრელოშიაც. თამაში შემდეგში გამოიხატებოდა: „ბურთის მაგვარად გათლიდნენ ხეს. შემდეგ დათლიდნენ გრძელ ჯოხებს, რომლებსაც თავები დამსხვილებული ჰქონდა. ამ დამსხვილებულ თავს ხის ბურთს გაარტყამდნენ და ამ ნაირად თამაშობდნენ ჰაკუნს" (იხ. „გურული კილო", გვ. 258).

მეგრ. **ჰაჰკუა** ნიშნავს: 'ეპკვა, წვრილად დაჭრა'. გურულში იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად იხმარება: **ჰიჰკნა**.

გურ. „შეშის დაჰიჰკვნა"—შეშის წვრილად დაჭრა. სვანურში იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება **ლი-ბწკგრე** 'შეშის ძალიან წვრილად დაჭრა'.

მეგრ. **ჰიჰე** ნიშნავს: 'პატარა, ცოტა'.

ჰანურში შესატყვისი ფორმაა: **ჰუტა, ჰუჰუტა** იმავე მნიშვნელობით.

ჰან. „არ ჰუჰუტა ნჯა რენ-ჲა"—ერთი პატარა ხე არისო (ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 215). ამ სიტყვის ფუძე გამოყენებულია ერთ გურულ ზმნაში: **მო-ჰიჰავება**, რაც ნიშნავს: 'ეკონომიას, მოცოტავებას' (იხ. „გურული კილო", გვ. 235).

გურ. „ჰიჰეთ იხმარე", ან კიდევ: „რომ გუუსვი ხელი ცოტა მოგეჰიჰავებია". „ჰიჰო-ჰიჰო იხმარე, თვარა ქე ჩაგელევა ხელში" (გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 88).

მეგრ. **გო-ჰიჰინაფა** ნიშნავს: 'გულის მოსვლას', ან კიდევ: 'გულის წასვლას'.

გურულშიაც ეს ზმნაა გამოყენებული იმავე მნიშვნელობით.

გურ. „გაჰიჰინდა"—'გული მოუვიდა, გაბრაზდა'. „ბაღანე გადაჰიჰინდა"—ბავშვს გული წაუვიდა (ბავშვს ტირილისა და ხველის დროს ემართება ხშირად).

მეგრ. **ო-ჭინახგ** ნიშნავს: 'საწნახელს'. გურულში **წნეხიხ** აღსანიშნაეად სწორედ ეს ფუძეა გამოყენებული. გურ. **ჭნეხა** ნიშნავს: **წნეხა** (იხ. „გურული კილო", გვ. 77).

მეგრ. **ჭონჭუა** ნიშნავს: 'მრავალჯერ დაკერება ძველის ძველზე'.

მეგრ. „ჭონჭილი"—ნაჭრებისაგან შეკერილი ტანსაცმელი ან სხვა რაიმე.

გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით, თუმც გურულში იგი ზოგჯერ ცუდად დაკერებულსაც ნიშნავს. გურ. „**მუუჭონჭავს** საშინლათ" (შდრ. გ. შარაშიძის, გურული ლექსიკონი, **ჭინჭვა** გვ. 88).

მეგრ. **ჭანჭყუა** || **ჭაჭყუა** ნიშნავს: 'ჭეჭყვა, ჭყლეტა'.

მეგრ. „ყურძენში ჭყანჭყუა"—ყურძნის წნეხა.

გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. მაგ. გურ. „**გეიჭარჭყე**" ნიშნავს: გავიჭყლიტე.

აქაც ფონეტიკურად შენაზარდ **ნ**-ს მაგიერ **რ** გვაქვს (იხ. „გურული კილო", გვ. 218). მაგ. თუ მძიმე ტვირთი მიაქვს კაცს იტყვიან: „**გეიჭარჭყა** კაციო".

სვანურში შესატყვისი ფორმა გვაქვს: **ლი-მჭყუნე** 'ჭყლეტა'.

სვან. „მტიშ ლი-მჭყნე"—მატლის გაჭყლეტა.

მეგრ. **ჭყაჭუა** ნიშნავს: 'წყლის მოძრაობით გამოწვეულ ხმაურს' (შდრ. ტყაპუნი).

ეს ზმნა გურულშიაც არის გავრცელებული იმავე მნიშვნელობით. მაგ. თუ ფეხსაცმელში წყალია შესული და მოძრაობს, იტყვიან: „ფეხში წყალი **მიჭყაპუნოფსო**" (შდრ. **ჭყამპალი**. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 89).

მეგრ. **ჭყორინი** ნიშნავს: 'გაწყრომა'. გურულშიაც ეს ფუძეა გავრცელებული, ხოლო იგი უფრო ხშირად ნიშნავს: „ღორის ყვირილს" (იხ. „გურული კილო", გვ. 259). გურულში გავრცელებულია ამ სიტყვის გამკღერებული ვარიანტიც: **ჯღორინი** იმავე მნიშვნელობით.

მეგრ. **დო-ჯგვაჯგვაფა** ნიშნავს: 'მძიმე საგნის რაიმეზე დაცემა'. გურულშიაც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით, ხოლო ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვნებით: **და-ჯეჯგვება**. გურ. „დეეჯეჯგვა საწყალი"—ნიშნავს ჯდომით დაეცა.

ჰან. **ო-ჯგიალუ** ნიშნავს: 'ხმაურით სელა'.

ჰან. „ცხენი დუმანის' თერი **ჯგჯალერი** ქომოხთუ"—ცხენი ქარივით („ნისლივით") ჩქარა ჯლიგინით მოვიდა („ქე მოვიდა") (ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 217).

გურულშიც ეს ზმნაა გავრცელებული იმავე მნიშვნელობით.

გურ. „მო-ჯლიგინოფს"—ნიშნავს: 'ხმაურით მოდის'.

მეგრ. **ჯორგუა** ნიშნავს: 'რაიმეს სიმძიმის ქვეშ მოქცევა'. გურულშიც **ჯორგვა, დაჯორგვა** იმავე მნიშვნელობით იხმარება (იხ. „გურული კილო". გვ. 222).

გურ. „კარი **მუუჯორგა**"—კარი მიუხურა (კარზე რაიმეს მიდებით).

სვანურში შესატყვისი ფორმაა: **ლი-ჯორგე** იმავე მნიშვნელობით.

ჰან. **ო-ხარხალუ** ნიშნავს: 'დუღილს'.

ჰან. „**ხარხალერი** წკარი ჲობეს დო დოჩეეს ქჩინი"—ადუღებული წყალი გადაავლეს და დაწვეს დედაბერი (ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 141_{13}). გურულში შესატყვისი ფორმაა: **ხუარხუალი** იმავე მნიშვნელობით. გურ. „წყალი **ხუარხუალოფს**"—ნიშნავს: 'წყალი ღუღს'.

მეგრ. **ხუარხუალი** ნიშნავს: 'მოძრაობას, დაუდეგრობას'.

გურულშიც იხმარება **ხუარხუალი** ამ მნიშვნელობით. იტყვიან მაგ. „წყალი **მიხუარხუალოფს** უბეშიო".

მეგრ. **ხუანცალი** ნიშნავს: 'განძრევას, მოძრაობას' (შდრ. ხუარხუალი).

გურულშიც **ხუანცალი** იმავე მნიშვნელობით იხმარება (იხ. „გურული კილო", გვ. 261). იტყვიან მაგ. „თებზი **ხუანცალოფსო**" ან კიდევ: „ბაღანე **ხუანცალოფსო**".

სვანურში შესატყვისი ფორმაა: **ლი-ხურცნელ** 'ხვანცალი'.

მეგრ. **გო-ხიკინაფა** ნიშნავს: 'ძალიან გახმობას, გაშრობას'. გურულში იმავე მნიშვნელობის შესატყვისი ფორმაა: **გახიკინება**. მაგ. მჭადის კეცზე კარგად გამოცხობის შემთხვევაში იტყვიან: „მჭადი **გახიკინებულიაო**".

მეგრ. **ხიჩუა** ნიშნავს: 'კბეჩა'. გურულში ეს ზმნა გავრცელებულია **ხმიჩა** ფორმით და იმავე მნიშვნელობით, თუმც ზოგჯერ უშნოდ კბეჩას ნიშნავს. გურ. „**იხმიჩება**"—იკბიჩება.

ჰან. **ო-ხლიპუ** ნიშნავს: 'მოსმა, მოხერეპა'. „არ **მოხლიპუ** ხუთ ფარა რენ-ჲა"—ერთი მოხერეპა ხუთი ფული ღირსო („არისო") (ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, გვ. 203). მეგრულში შესატყვისი ფორმაა: **ხუპუა** იმავე მნიშვნელობით.

გურულში გავრცელებული შესატყვისი ფორმაა: **ხვლეპა** 'მოსმა, უშნოდ მოსმა'. გურ. „ხარივით **იხვლიპება**".

სვანურში შესატყვისი ფორმაა: **ლი-ხვლიპი** 'ხვრეპა'.

ზემოგანხილული გურული თაყისებური ზმნები, როგორც ვნახეთ, მხოლოდ მეგრულ-ჰანურის ნიადაგზე იხსნება. ეს კი უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ გურულში მეგრულ-ჰანური ფენის საგრძნობი მარაგის არსებობის შესახებ.

ზემოგანხილული მასალები იმ მხრივაც აჩის საყურადღებო, თუ რა სახე მიიღო გურულში შესულმა მეგრულ-ჰანურის შიშინა ფენამ სისინა ფენის სინამდვილეში. მეგრულ-ჰანური ფენის გამოყოფა გურულის ენობრივი მასალებიდან იმ ფაქტის წინაშე გვაყენებს, რომ გურულში შესული მეგრულ-ჰანურის შიშინა ფენა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მას ზოგ შემთხვევაში კიდეც დაუჩრდილავს გურულის ძირითადი ფენა.

მაკარ ხუბუა

ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან [1]

„ვახტანგის „სწავლულ კაცთა" წყაროები ორ უმთავრეს ჯგუფად უნდა დაიყოს: 1. ადგილობრივ, ქართულ და 2. უცხოელთა წყაროებად...

უცხოელთა წყაროებად მხოლოდ საისტორიო თხზულებები „სპარსთა და სომეხთა ცხოვრებანი" ჰქონიათ, განსაკუთრებით კი სპარული საისტორიო მწერლობით უსარგებლნიათ—**სპარსულ საბუთებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ**».

ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა წიგნი I, 1916.

ივ. ჯავახიშვილი

I

საქართველოს კულტურული წარსულის მეცნიერული შესწავლა აუცილებლად გულისხმობს წინდაწინ ნიადაგის მოსუფთავებას იმ ისტორიულ ფაქტების დასადგენად, რომელნიც ქართველი ხალხის მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის სფეროს ეკუთვნიან. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელ კონტექსტში ფრიად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ირანულ კულტურას საერთოდ. ამიტომ, გასაგებია სავსებით ის გამახვილებული ინტერესი, რომელსაც იჩენენ სათანადო დარგის სპეციალისტები ქართულ-ირანულ ურთიერთობათა საკითხებისადმი, ეკუთვნის ეს ურთიერთობა უძველესს დროს, თუ უკანასკნელ საუკუნეებს.

ჰქმნიდა რა თავის მრავალფეროვან და მრავალწახნაგოვან კულტურას ორი უდიდესი მატერიკის მიჯნაზე—ევროპისა და აზიის შემაერთებელ ყელზე—საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ მიღწევათა საკვანძო პუნქტს. ამისი დამადასტურებელი ფაქტები უხვად არის მოცემული ენაში, ლიტერატურულ ძეგლებში. ისტორიულ ანალებში, მატერიალურ კულტურაში და სხვა.

გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო ირანული ენისა და ლიტერატურის ხაზით.

ცნობილია. მაგალითად, რომ სასანიანთა ირანის კულტურული წარმატებანი შედარებით ადვილად იკვლევდნენ გზებს ახლო აღმოსავლეთის ხალხებისაკენ. კერძოდ ფალაური ენისა და ლიტერატურის გავლენა თვალსაჩინო უნდა

[1] შესავლის ნაწილი შრომიდან —„ქართულ-ირანულ ურთიერთობათა საკითხისათვის მე-17—18 ს".

ყოფილიყო საქართველოს მიმართ, მისი განვითარების ადრინდელ-ფეოდალურ ეპოქაში. ამ საკითხზე დეტალურად იქნება საუბარი სხვა დროს, ხოლო ამჟამად საკმარისია დავიმოწმოთ აკადემიკოსი ნ. მარი.

აკად. მარის მართებული შენიშვნით „ქართულ. საქრისტიანო, ლიტერატურას საფუძვლად დასდებია ქართლური კილო. როგორც ჩანს ქართველებს სამწერლო ენა გააჩნდათ ქრისტიანობამდის. კავკასიის მთებს დაუახლოვდნენ ქართველი ტომები არა პირველყოფილ მდგომარეობაში. ზოგი მათგანი იდგა კულტურული განვითარების საკმაო მნიშვნელოვან საფეხურზე. ქართველ ტომთაგან მოსოხებს, ხალიბებს და მათ ახლო მონათესავეებს მდ. ჭოროხის სათავეებში აუყვავებიათ საკუთარი წარმოების მეტალურგიული (ლითონის) ინდუსტრია. მაშინდელ საქართველოში გაბატონებული კულტურა მიიმართება ასურეთ-ბაბილონისაკენ და მესოპოტამიისაკენ, როგორც სამშობლოსაკენ. წარმართული ეპოქის ქართულ საფლავთა განათხარებში აღმოჩენილი საგნები მოწმობენ აგრეთვე დასავლურ გავლენასაც, კლასიკური ქვეყნის გავლენასაც. მაგრამ ეს უფრო გვიანდელი ეპოქაა, ათასი წლით დაშორებული იმ ხანიდან, რომელსაც განეკუთვნება კოლხიდაში ოქროს მოსაპოვებლად გამგზავრებულ არგონავტთა შესახები თქმულების რეალური ჩონჩხი. მეოთხე საუკუნის დამდეგს საქართველოში ქრისტიანობას უკვე დახვდა გაელენა მესამე წარმართული კულტურისა, რომელიც შემოტანილ იქნა ირანიდან მოგვთა რელიგიასთან ერთად. სპარსული რელიგიური კულტურა დიდხანს იბრძოდა საქართველოში ოფიციალური ბატონობისათვის. მას უჭერდნენ მხარს ადგილობრივი ქართველი მეფეები და მმართველები. ის ღრმად შეიპრა ქართველი ხალხის ზნესა და ჩვეულებებში. მისი წყალობით ამ ქვეყანაში გავრცელდა სპარსული დამწერლობა „ფალაური“. საქართველოში იჭრებოდა ქართული ფულები ამავე რელიგიის ემბლემითა და ფალაური წარწერით მეშვიდე საუკუნემდის[1].

დავით აღმაშენებლის ეპოქიდან მოკიდებული არ ყოფილა არც ერთი პერიოდი კულტურული წინსვლისა და განვითარებისა საქართველოში, რომ მას გარკვეული კავშირი არ ჰქონოდა ირანთან. თვით ეგრეთწოდებულ დაცემის ხანაშიაც კი არ ჩამქრალა სავსებით ამ ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობის მაღვივებელი კერა და არ გამწყდარა იდეური კავშირის ძაფები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სეფიანთა ეპოქის მთელ მანძილზე ქართველი ხალხის მოწინავე შვილებს გრანდიოზული მუშაობა ჩაუტარებიათ ირანელთა მიღწევების გადმოსანერგავად საქართველოში, როგორც პოეტური კულტურის სფეროში, ისევე მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ამ ორი უდიდესი კულტურის მატარებელ ხალხთა მჭიდრო ურთიერთობათა ატმოსფეროში აღზრდილს ქართულს ფეოდალურ სამხედრო არისტოკრატიას არა ერთხელ დაჰკისრებია მნიშვნელოვანი როლი სეფიანთა ირანის სახელმწიფოებრივი სუვერენობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. ხოლო ამავე წოდების უმაღლესი წარმომადგენლები, როგორც წესი, თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის მზადების პერიოდში ვალდებულნი იყვნენ გარკვეული. საკ-

[1] Акад. Н. Я. Марр, «История Грузии», СПБ 1906, стр. 19

მაღ ხანგრძლივი დრო დაეყოთ შაჰის სამეფო სამსახურში თვით ირანის მიწაწყალზე და ამნაირად გაეცნოთ სათანადო კარიერის გრძელი გზა. ამისი დამადასტურებელი ფაქტები უხვადაა მოცემული, როგორც ქართულ-ირანულ ანალებსა და სიგელ-გუჯრებში, ისე სხვადასხვა უცხოურ პირველწყაროებშიც.

სეფიანთა ეპოქა არსებითად წარმოადგენს ფეოდალურ ირანის მიწაწყალზე უკანასკნელ ცდას, არა სავსებით უმნიშვნელოს, სასანიანთა ყოფილი პოლიტიკური და კულტურული სიძლიერის ხელახლად დამკვიდრებისათვის ბრძოლის საქმეში. ამ მიმართულებით წარმოებული აქტიური პოლიტიკის ბედი და იღბალი დიდად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შესძლებდა სეფიანთა ირანი ამიერკავკასიაში, პირველ რიგში კი საქართველოში, ფეხის მოკიდებასა და გამაგრებას.

ის ფაქტი, რომ განსაზღვრული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა უკვე ოდიდანვე არსებულა ირანსა და საქართველოს შორის, უკვე გარკვეულ სიტუაციას ჰქმნიდა სეფიანთა პოლიტიკის წარმომადგენლებისათვის, რათა შედარებით ადვილად გაეკვლიათ გზა ქართველ ფეოდალთა გულის მოსანადირებლად.

ირანის მიწაწყალზე გაბატონებული კლასებისა და საქართველოს უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესთა ერთიანობის შესახებ აღნიშნული ეპოქის სპეციალისტი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, სხვათა შორის, წერს:

«При внутреннем обозрении Картли XVI века прежде всего должно отметить дальнейшее политическое усиление высших феодалов... Из высших картлийских феодальных фамилий в XVI веке особенно усиливаются четыре (Папаскертел-Цицишвили, Зевдгинидзе-Амилахори, Мухран-Батони и Бараташвили).

До 70-х годов XVI века Картли героически борется с огромной кизилбашской державой. Эпизоды битв картлийских войск Луарсаба и Симона являют достойные восхищения примеры доблести и отваги на защиту родины и национальной свободы... Соединенные грузинские силы не раз вторгаются в иранские области Шеки-Ширван и Гянджа-Азербайджан. На это иранский шах отвечает военно-политической организацией сопредельных с Грузией Закавказских провинций (Еревана, Гянджи, Казаха, Шамшадило, Шеки и Ширвана)... Луарсаб, скоро покинутый союзниками вследствие ухищрений шаха Тахмаспа, один продолжает неравную борьбу, пока наконец, в 1558 г. не погибает на поле битвы. Не одни лишь военные действия являются средством борьбы иранского шаха. Шахские агенты искусно используют политическую структуру Грузии и социальные отношения в каждом отдельном царстве. Они всеми силами стараются еще больше разжечь присущие феодально-классовому обществу недовольство, неприязнь и борьбу между царствами, между царем и царевичами, между царем и высшими феодальными «домами», между членами одного «дома», между сословиями... Агенты шаха легко разъединяют союзы грузинских царств

и натравливают последних друг против друга—обещанием трона перемапивают на сторону шаха того или иного недовольного царевича; обещанием богатства, почестей и должности при дворе прельщаются недовольные, обиженные те или другие члены феодального «дома», приниженные, бедные, родовитые азнаури, угнетенные крестьяне мсахури»[1] и т. д.

ამგვარად, ქართულ-ირანულ ტრადიციებზე აღზრდილთა რიცხვი მრავლად მოიპოვება მე-17, მე-18 ს. მოღვაწე ქართველთა შორის, როგორც სამეფო გვარეულობიდან, ისე სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიიდანაც. ცნობილია, მაგალითად, რომ აღნიშნულ ტრადიციებზე აღზრდილი კახეთის მეფის დავითის მეუღლე ქეთევანს დაუშთა დავითის მიერ ძე ერთი, ყმა მცირე, თეიმურაზ... წარგზავნა ძე თვისი თეიმურაზ შაჰაბაზ ყაენთანა და წარყუა თან შერმაზან ჩოლოყაშვილი. ხოლო მივიდეს რა, დიდად პატივსცა შაჰაბაზ და ითვისა, ვითარცა ძე თვისი"[2]. მოხსენებული თეიმურაზი გარდა ამისა აღრმავებს იმ ლიტერატურულ ტრადიციას, რომელიც მას წინათაც მოსდგამდა მამის ხაზით: ის ცნობილია, როგორც მთელ რიგ პოემათა გადმომკეთებელი სპარსულიდან. თეიმურაზი მაინც ვერ შეეგუა ირანის მესვეურთა პოლიტიკას და განუდგა მას. ეს ხდება შაჰსეფი პირველის (1628—1642) დროს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ფირმანების ერთერთი ნიმუში ეხება ამ საქმის ვითარებას და შეიცავს ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს. ეს ფირმანია № 545, დათარიღებული 1045 წ. (ჩვენი წელთაღრიცხვით 1635) და ეკუთვნის შაჰსეფი პირველს. ბეჭდის წარწერაზე მოთავსებულია მისი ტახტზე ასვლის წელი—1038 (1628).

ფირმანი 1 (№ 545)

სპარსული ტექსტი:

ფერმანე ჰომაიუნ შოდ ანჭე რეჯ'ათ ვა მაალიჲ ფანაჰ ნეზამან ქაიხოსრო ბეგ ბეშაფაყათე შაჰენე მორთახერ ვა სარაფრაზ გაშთე ბედანად ქე ეჲალათ ვა სალთანათ ვა შავქათ ფანაჰ ჰაშამათ ვა ჯალალათ დასთგა(ჰ) ალიჯა ხალაჯ ას-სალათინ ალ-ეზამ შაჯა'ან ლილსალათანა ვაშ-შავქა ვალ ეყბალ ახავიამ როსთომ ხან ვალიდე გორჯესთან ჰაყიყათ ე მარდანეგი ვა ეხლას ვა დაჭჯჰათი ან რეჯ'ათ ფანაჰრა დარ ინ ველა ქე თაჰმურაზ დარ ჰავალიდე სერამ შექასთ ხორდე ფერარ ნუმუდე ბე ხედმათე აშრაჯ არზი ნუმუდე ბუდ ბაზე ეზდიდე შაფაყათე ფადეშაჰანე დარ ბარედე ან რეჯ'ათ ფანა(ჰ) გარდიდ ბერან რეჯ'ათ ფანა(ჰ) ვა ჯამ'ი მარდომე გორჯესთან ზაჰერ ასთ ქე თაჰმურაზე მაზქურ ბაზე ხარაბდე გორჯესთან ბუდე ვა ჰასთვა დაჯ'ე შარე უ ჯჭჰათე რაჯაჰეიდათე საქანჭდე გორჯესთან ბერ ჰამაგიდე მარდომე გორჯესთან ლაზემ ასთ მი ბადად ქე ბიშთარ აზ ბიშთარ აზ რუიე ეხლას ვა ე'თეყად დარ ხედმათე ეჲალათ ვა სალთანათ ფანა(ჰ) ალიჯაჰე მოშარალიე ბეთაყსირ აზ ხუდ რაზი ნა შოდე ჰარგაჰ მინ ბა'დ ერადედე ომადანე გორჯესთანთ ნომაიად ბაეთთეჯაყე აზნაურან ვა ქოლლე მარდომე ქართილ აზ რუიე ეხლას ვა დაჭჯჰათი დარ დაჯ'ო რაჯ'ე უ ქუში-

[1] Н. Бердзенишвили—Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII—XVI вв.—(41).

[2] ქართლის ცხოვრება III, ხაკ. ჯიბინაძის გამოც. 766.

დე ნავ'ი ნომჳადნდ ქე მარდომე გორჯესთჳნთ აზ შარრე ჯეთნჳძე უ ასუდე ხჳთერ გარდანდ აზ ჰარ ქას ქე ხელჳჯე დოელათხჳჰი ზჳჰერ შავად ჰაყიყათრჳ ხჳთერე ნეშჳნ ეძჳლათ ვა სალთანათ ფანჳ(ჰ) ე მოშჳრჳლიე' ნომჳჳადნდ ქე ბე ჰარ ნოვ' ქე სელჳჰე რუზაჯზუნ ვა რაჯჳჰჳლე საქანეძე ანჯჳ დანდ მოყარრარ დარად ქე ბე ამალ ავარანდ ანჩე ლაზემეძე ეხლას ვა დაქჯეჰათი ბუდე ბაშად ბეამალ მი ბაჳადნდ ავარდ ქე ჰაყიყათე ეხლას ვა იაქჯეჰათი ჰარ იაქრა სალთანათ ფანჳ(ჰ) მოშჳრჳლიე ბეხელმათე აშრაჯ არზი ნომჳადნდ ურა მაშმულე შაჯაყათე ხოსროვანე ხჳჰიმ გარდანიდ დარ ინ ბაბ ყადაღან დანესთე დარ აჰდე შენასანდ თაჰრირან ჯი შაჰრე მოჰარრამ-ოლ-ჰარამ სანაძე 1045 (მოჰრ დარ მეძანე)... ჰასთ აზ ჯანე ღოლამ შაჰ სეჯრ 1038.

თარგმანი

„გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასში, რათა დიდებულებისა და აღმატებულების თავშესაფარმა, შაჰური თანაგრძნობით წელგამართულმა (მოამაყემ) და ამაღლებულმა ქაიხოსრო ბეგმა უწყოდეს, რამეთუ მხარეთა და ოლქთა ბრწყინვალების საფარველმა, მოკრძალებისა და სიდიადის საყუდელმა, მაღალხარისხოვანმა, ზეაღმატებულ და ძლევამოსილებით გაბრწყინვებულ მეფეთა შთამომავალმა, გაბედნიერებულმა ძმამ ჩემმა როსტომ ხანმა საქართველოთა მეფემ (ეს სიტყვა ვალიძე გორჯესთანთ) უკეთილშობილეს სამსახურად მოგვახსენა იმა წყალობის თავშესაფარის [ქაიხოსრო ბეგის] ვაჟკაცობისა, თავდადებისა და ერთგულების (ერთსულოვნების) სიმართლე იმ ხანებისა (დროთა), როდესაც თეიმურაზმა დამარცხება განიცადა სურამის მიდამოებში და გაიქცა.

ეს [გარემოება] კი გახდა მიზეზი იმა დიდებულების თავშესაფარისადმი ფადიშაჰური თანაგრძნობის გამრავალებისა. იმა წყალობის თავშესაფარისა და საქართველოს მთელი ხალხისათვის ცხადია, რომ მოხსენებული თეიმურაზი იყო და არის მიზეზი საქართველოს აოხრებისა და მისი სიბოროტის აღკვეთა (მოშორება) აუცილებლად საჭიროა საქართველოს მცხოვრებთათვის, მთლიანად საქართველოს ხალხისათვის.

ჯერ არს (ხამს), რათა უფრო და უფრო [მომეტებული] ერთგულება და ცადება არ დაიშურონ მოხსენებულის, მხარეებისა და სახელმწიფო საფარველის, მაღალხარისხოვანის [როსთომ ხანის] სასამსახუროდ —ამიერიდან ყოველთვის [როდესაც თეიმურაზ] განიზრახავდეს საქართველოში მისელას, შეთანხმებულად აზნაურები [დიდებულები] და ქართლის მთელი ხალხი თავდადებითა და ერთსულოვნობით მის აღსაკვეთად მონდომებულნი მოიქცევიან იმგვარად, რომ საქართველოთა ხალხს (მარდომე გორჯესთანათ) მისი მზაკვრული ოინებისაგან (აზ შარრე ჯეთნაძე უ) სულიერი სიმშვიდე და კმაყოფილება მიანიჭონ. ყოველი, რომელიც აღმოაჩენს [ქვეყნის] კეთილდღეობის საწინააღმდეგო [მოქმედებას], აცნობებს სიმართლეს მხარეებისა და სახელმწიფოს ხსენებულ საფარველს, რომ ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, როგორც ჩვეულია (უწყის) ადგილობრივ მცხოვრებლებს—სახელმწიფოს კეთილდღეობისა, დღეგრძელობისა და კმაყოფილებისათვის—რაც კი საჭირო იქნება სიმამაცისა და თავდადებისათვის სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი, რომ თვითეული (პიროვნების) მამაცობისა და თავდადების

სიმართლე (ჭეშმარიტება) ხსენებული ქვეყნის საფარველმა უკეთილშობილეს სამსახურად მომახსენოს, [რათა] მას [მათ] მივანიჭოთ უშურველი მეფური წყალობა [ჩვენი]. ამის თაობაზე [ამა] ბრძანებულების აღიარებით მიიღონ თავის ვალდებულებად (ვისთვისაც ჯერ არს). დაიწერა თვესა მოჰარამ-ულ-ჰარამ 1045 წ. (1635 წ. 17 ივნისიდან 17 ივლისამდის).

ამგვარად, ეს ფირმანი მნიშვნელოვანია ქართულ-ირანულ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობისათვის (რის შესახებ ქვემოთ კიდევ მოვიტან ამავე სახის ორიოდე ფირმანს მომდევნო პერიოდისათვის). ირანის მმართველის მიერ დადასტურებულია ამ (№ 545) ფირმანში თვისი დიდი სიმპათიები როსტომ მეფისა და საქართველოს ხალხისადმი (ქვეყნის სახელწოდებას მრავლობით რიცხვში ხმარობს ის). საერთოდ ასეთი სიმპათიების საფუძვლები ცნობილია— როსტომ მეფე აღიზარდა შაჰაბაზ პირველის კარზე მისი მზრუნველობის ქვეშ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ირანის მომავალი შაჰი სეფი I მასთან ერთად იზრდებოდა და იწვრთნებოდა იმავე სამეფო კარზე. ამ პერიოდიდანვე მათ შორის არსებული მეგობრობით აიხსნება ალბათ ბევრი რამ, რასაც შემდეგში ჰქონდა ადგილი ქართულ-ირანული ურთიერთობის ხაზით ამ ორი პიროვნების მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ამ ურთიერთობათა ნიადაგზე გარკვევით მოჩანს მთელი რიგი ქართველების მკვეთრად გამოკვეთილი სახეები, მათი კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწეობის საერთო რელიეფი. დავკმაყოფილდეთ ამჟამად ზოგიერთი შტრიხით.

II

როგორც ცნობილია, აღნიშნული როსტომ მეფის მიერ გაზრდილი ფარსადან გორგიჯანიძე ორმოცი წლის განმავლობაში მოღვაწეობს ირანის მიწა-წყალზე, სადაც მას ეჭირა ადმინისტრაციული პოსტი. მან დიდი ამაგი დასდო მშობლიურ მეცნიერებას, როგორც ისტორიკოსმა. მისი მოღვაწეობის ეს მხარე ჩინებულად არის შეფასებული თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ, ხოლო სპეციალური განხილვის საგანია მისი მოღვაწეობის სხვა მხარეებიც. ჩვენი ინსტიტუტის გამოცემათა სერიაში უკვე იბეჭდება ფარსადან გორგიჯანიძის მიერ შედგენილი ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი ქართული ასოებით შესრულებული. აქ კი საჭიროა აღინიშნოს, რომ ფარსადან გორგიჯანიძე პირველია ქართულ-ირანულ სალექსიკოლოგიო ურთიერთობის ხაზით, რომელმაც ქართული ანბანი გამოიყენა (თუ როგორ, სხვა საკითხია) სპარსული ენის ფონემათა გადმოსაცემად. როდესაც მე ვეხები სპეციალურად მსგავს ლიტერატურულ მონაცემთა ანალიზს, იქ მთლიანად გაშუქებულია ფარსადან გორგიჯანიძის როლი ამ მიმართულებით.

სწორედ ფარსადან გორგიჯანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ წელს ჩადის ირანში მეორე ქართველი მოღვაწე, რომელსაც წილად ხვდა ქართულ-ირანულ კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობათა მეტად დაძაბულ (და მრავალ მხრივ საინტერესო) პერიოდში ცხოვრება—სეხნია ჩხეიძე. ეს საინტერესო პიროვნება სათანადოდ შეფასებულია ჩვენ საისტორიო მწერლობაში იმავე აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ. მე მაინტერესებს ის, როგორც გარკვე-

ულ ტრადიციებზე (ქართულ-ირანული ურთიერთობანი) აღზრდილი მწიგნობარ-ლიტერატორი, რასაც ვრცლად სხვაგან ვეხები, აქ კი აღვნიშნავ მისი თხრობის ზოგ ეპიზოდს და დავუპირისპირებ მათ სხვა პირველ წყაროებიდანაც ამოკრებილ ცნობებს—სათანადო დასკვნისათვის.

სეხნია ჩხეიძე იშვიათი სიზუსტით იძლევა ცნობებს ქართველ ბატონიშვილთა და უმაღლესი არისტოკრატიის სხვა წარმომადგენელთა ირანის მიწა-წყალზე ყოფნისა და მოღვაწეობის შესახებ.

როდესაც სეხნია ჩხეიძეს პირველად უხდება ისპაჰანს ჩასვლა, იქ არიან უკვე საკმაო რაოდენობით ქართველები, მათ შორის ბატონიშვილები ლევან და ლუარსაბ. სეხნიას ეს პირველი გამგზავრება დაკავშირებულია უყენის მოთხოვნით ბატონიშვილის ქაიხოსროს წასვლასთან, რომელიც აქედან „გაისტუმრეს პატივითა, მაგრამ კაცნი მცირედნი გაატანეს: გაყვა ჩხეიძე სეხნია და მცირედნი აზნაურნი და მსახურნი“... (12). მცირე ხნის შემდეგ, როდესაც ქართველებს შეუწყვიტეს ულუფის მიცემა და დამდგარა საკითხი ამალის წევრთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ, მაშინ ზოგს მიუცია ამისი დასტური „მაგრამ ჩხეიძემ სეხნიამ არად ინება მოშორება მათი—თავად ლევანის გაზრდილი იყო და მერმე ქაიხოსროსთან შეზდილი. მოხდა სიღარიბე დიდი და გამოხდა ხანი და გამოეგზავნა მეფეს გიორგის—ხემწიფეს შემოხვეწოდა ზურაბიშვილი ზურაბ. რა სცნა ყაენმა მეფის გიორგისა შემოძლევა და ხლება, განიხარა სიხარულითა დიდითა, მაგრამ არ ჯერ იყო, რადგან ისე სახელოვანი კაცი იყო. დიდად უნდოდა ნახვა მისი“... (13 ა).

ამავე გიორგი მეფის საქართველოს მიწა-წყალზე მოღვაწეობის ხანას საკმაო ვრცლად ეხება სეხნია ჩხეიძე და აღნიშნავს დიდ ფეოდალთა განდგომის შემთხვევებსაც, რასაც საბოლოო ანგარიშით მოჰყვა თვით გიორგის ირანში გარდახვეწა. ჯერ იყო და ყაენს „ეთხოვნა ძმა (გიორგისა) ლევან და ძე მისი ბაგრატ. შეიქნა შეჩერება დიდი, ამიტომ აღარც ძე რჩებოდა და აღარც ძმა, მაგრამ თაყის წახდენას ხედავდნენ. რადგან დამწაშავე არასი იყვნენ, სხვა ღონე აღარ იყო, გაგზავნა ორნივე, აახლო ქართველნი არა მცირედი, ხუთასი-ოდენ. აქა შეექნათ რჩევა მეფეს გიორგის, რადგან უკუმდგარი იყო არაგვის ერისთავი იასონ. ესე ერისთავი იასონ თავის სახლის კაცსა დაარჩო. დაუწყეს ლაპარაკი შერიგებისა. აღარ ინება შერიგება. გასწყრა მეფე და შეიყარა ქართველნი და შეუხდა საერისთაოს. გარდაიარა მუადის ჯვარი და დაეებჯინენით ტინსა; დაგეიწყეს სროლა. შეგეექნა ცემა და სროლა. თავმან თქვენმან, ასე მოდიოდის ფინდიხისაგან ფოთოლი, ხშირი წვიმა ყოფილიყო. გაიხტუნა ცხენი მეფემან. მზემან ღუთისამან, ამას ბძანებდით, ამისთანა არა ნახულა რაო... ჩამოაგდის კაცი, ეითარცა კატა... მოეიდა ისპაჰანიდამ ამბავი წყრომა ყაენისა, ძებისა და შვილის დაჰირვა. ბატონიშვილი ლევან და ბაგრატ გაეგზავნათ ერათს და ლუარსაბ ქირმანს. მიეცათ ქართლი მეფის ერეკლესათვის თეიმურაზის შვილიშვილისათვის. რა ეს ანბავი მოვიდა, წამობძანდა მეფე გიორგი კოჯორზე და აიყარა და წაბძ ნდა ზემო ქართლს. დადგა ყორნისს. ამაშიგ ყაფლანიშვილი სარდალი თამაზ საბარათაშვილო (საბარათიანოს ხალხით) უკუმდგარი იყო“... შაჰი ცდილობს გიორგი მეფის ხელში ჩაგდებას. ხვანთქარიც ეპოტინება მას.

დიდ ფეოდალთა უკუდგომისა და ღალატის შემდეგ გიორგი ახალციხეშია, როდესაც „ესმინა ხვანთქარს მოხსენება ყაენისა და მიცემა მეფის გიორგისა. რა სცნა მეფემ. შეეიდა ახალციხის ციხეში და მოუდგნენ ენგიჩარნი და აღარ დაანებეს. წავიდა ელჩი ცარიელი და დაუწყეს ქართველთ ლაპარაკი მეფეს გიორგის, აღარ ინებეს მეფის ერეკლეს ბატონობა. მისცეს პირი და ახსენა ღმერთი, მოიბა წელთა საბელი, ჩამოუშვა ციხიდამე ძირს. ცხენები და კაცნი შემოპირებული ჰყვანდა. ჩამოვიდა, დასხდნენ ცხენებსა"... და სხვა. ქართლი დაიპირა გიორგიმ... „ამაშიგან მიიცვალა ყაენ შაჰსულეიმან, დაჯდა ძე მისი შაჰსულთან ჰუსეინ. თვით ყმაწვილი იყო და მტერნი ამათნი, ავად გამშინჯველნი. იწყინა ძალად დაჰერა ქართლისა, გამოუსია ჯარი და სარდალი ქალბალიხან. ესე იყო განჯის ხანი, ხვანთქართან ელჩიც ეს იყო და კახეთიც იმას მიაბარეს. იბატონა ქართლში მეფემ გიორგიმ წელნი სამნი და მოვიდა ქალბალიხან ურიცხვითა ლაშქრითა. გამოვიდა მეფე ერეკლე ციხიდამე და შემოეყარნენ კახნი და ვინცავინ ქართველნი ციხეში ახლდა".

როდესაც ადგილობრივი ძალებით გიორგის დამარცხება ვერ ხერხდება, მაშინ ებრძანა სარდალ ყალბალიხანს (იხ. აგრეთვე ქვემოთ ფირმანი № 222—1695 წ.) მის წინააღმდეგ გალაშქრება. ფეოდალების ღალატით დაშინებულ გიორგი „მეფეს გარდაჰყვა ერთპირათ ერისთავი გიორგი, ამილახორი გივი... მუხრანის ბატონიშვილი დათუნა, ზურაბიშვილი ზურაბ, სხვანი თავადნი და აზნაურნი მრავალნი... ამაშიგან გარდმოვიდა მეფე ერეკლე და ქალბალიხან გორსა და შემოიყარეს ქართველი და დაიფიცეს. შეექნა რჩევა მეფეს გიორგის, რადგან ძმები ყაენის კარზე ყვანდა, გამოგზავნა ძმის წული ქაიხოსრო, ამ ხერხით ეგება ყაენთან მიეწია და საქმე წარემართა. რა შეიტყო მეფე ერეკლემ და ქალბალიხან ქაიხოსროს მონდობა, პახლეს ციციშვილი ქაიხოსრო და საფიცარი მტკიცე. ჩამობძანდა გორს, დასდვეს პატივი უსაზომო და მოსართმევი მრავალი. გაგზავნეს ყაენთან ჩაფარი. აიყარენ, ქართლს არა ავნეს რა, ჩავიდნენ ქალაქსა ტფილისსა. შემოირიგეს ერისთავი ქსნისა დავით, მუხრანის ბატონი პაპუნა, სარდალი თამაზ. რა ესენი ხელში ჩაიყარეს, სამნიე ისპაჰანს გაგზავნეს, მაგრამ თამაზ სარდალი ორის ვაჟითა და ორის ქალით. რა ისპაჰანს ჩავიდნენ, გაუწყრა ყაენი და ყველა ქირმანს დაატყვევეს. გამოხდა ხანი მცირედი; მოვიდა ყაენისაგან მემანდარი და წყალობის რაყამი ბატონიშვილს ქაიხოსროს". და ამას მოსდევს შემდეგ ზემომოტანილი თხრობა, სეხნიას პირველად გამგზავრების შესახებ ირანში.

ირანის სახელმწიფოებრივი განვითარების მომდევნო ეტაპზე დატრიალებულმა ამბებმა ცხადყვეს სრულიად აშკარად, თუ რა სანუკვარი პიროვნება უნდა ყოფილიყო სეფიანთა პოლიტიკის დასაცავად აქ მოხსენებული მეფე გიორგი, რომელიც, როგორც ჩანს, შაჰის მომხრეთა მახინაციების წყალობით იძულებული გამხდარა ისპაჰანს ჩასულიყო. სეფიანთა დინასტიის მესვეურებს ძალიან კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი, თუ რაოდენ საშიშ ძალას წარმოადგენენ აღორძინებული საქართველოს შვილები, მხნეობითა და სამხედრო ნიჭიერებით აღჭურვილნი, უკეთუ ისინი მტრულად იქნებოდნენ განწყობილნი შაჰის მიმართ. განსაკუთრებით საშიში უნდა ყოფილიყო ასეთი მხედრობა, თუ მას

მიეყვეთ ახლა შესანიშნავი პიროვნების გიორგი მეფის თავგადასავალს კვალდაკვალ ისე, როგორც ეს აქვს მოთხრობილი სეხნია ჩხეიძეს (რომ შემდეგ დავუპირისპიროთ ჰანვეის ცნობებს).

გიორგი როდესაც „ჩაბძანდა ისპაჰანს, ქორონიკონს, ტაე მარტი ე (1697 წ. 5 მარტს), მიეგებნენ ძმანი და ძმისწულნი. რა ნახეს ერომანეთი, შეიქნა სიხარულის ტირილი... (ხოლო) ყაენს მოეწონა სიკეთე მეფის გიორგისა“. ამან კი მიჰყო ხელი ქართველების გაერთიანებას, თავმოყრას. მისი სურვილის თანახმად შაჰმა გამოითხოვა ქირმანიდან ექსორია ქმნილნი „ერისთავი დავით, მუხრანის ბატონი პაპუნა და სარდალი თამაზ“. ამგვარად ისპაჰანში გიორგის თავი მოუყრია ექვსასი კაცისათვის. რასაც, რასაკვირველია, არ შეეძლო ერთგვარი შიში არ გამოეწყია მის საწინააღმდეგოდ განწყობილ ირანის დიდ მოხელეებში და აკი მოუთხოვიათ მათგან რჯულის გამოცვლა—„თუ რჯული არ დაიგდონ, ქართლში წავიდნენო“. რა თქმა უნდა გიორგი კვლავე ირანში რჩებოდა, მის წასვლაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, მხოლოდ განზრახული იყო მისი რაზმის დაქსაქსვა, რაც ჩანს სეხნიას სიტყვებიდან: ქართველებს „შეექმნათ ჰმუნვა დიდი, თავად რჯულის დაგდებისათვინ, მერმე პატრონის გაყრისათვინ“. ზოგი ამ ქართველებიდან უკვე ადრევე იყვნენ გამუსლიმანებული (როგორც, მაგალითად, ზემოხსენებული ზურაბიშვილი ზურაბ), ზოგი სამშობლოში დაბრუნდა, ზოგიც სხვადასხვა პროვინციაში გაიგზავნა. აქვე აღსანიშნავია, რომ ირანის ერთერთ შორეულ პროვინციის დედა-ქალაქ ყანდაჰარში მმართველის პოსტზე ადრევე დანიშნული ყოფილა ქართველი—ყაფლანიშვილი, რომელთანაც გაუგზავნიათ ზოგი ისპაჰანს მყოფი ქართველთაგანი. სეხნია წერს: „თამაზ სარდალი და მისი შვილი კაცია ყანდაჰარს გაატანეს. ყანდაჰარის ხანი ამისავ გვარისა იყო, ყაფლანიშვილი, ამისთვის გამოითხოვა და თან წაიყვანა მამუკა, ამისივე შვილი ქართლში გაისტუმრეს. დარჩნენ მეფის გიორგისთან ეს გათათრებულნი და სხვანი თავადნი ორასიოდენ კაცნი“.

ამგვარად, ქართველთა რიცხვი ძლიერ შემცირებულა. ამ რიცხვშია აგრეთვე ბელუჯთა წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარში შემავალი ქართველები, რომლებშიაც ერია, როგორც აღნიშნული იყო, თვით სეხნია, ჯარის მეთაურთან მხარდამხარ მებრძოლი. ავტორის სიტყვით ამ ექსპედიციაში „არც ოცი ქართველნი გვახლდა“, თუმცა საბრძოლო ამოცანები მაინც ბრწყინვალედ შეუსრულებიათ. აღსანიშნავია უთუოდ, რომ ქართველ მხედართა პოპულარობისა და სიძლიერის დამადასტურებელი ფაქტი (რაც ქვემო მოტანილ უცხოურ წყაროებში ბლომად იქნება ნაჩვენები) სეხნიასაც აქვს მოცემული სწორედ ამ კონტექსტში. ამ შორეული სეისტანისა და ბელუჯისტანის სტეპებში მოქცეულ ქართველებს—„გვესწრა ღამე (ამბობს ავტორი) და მოვადექით, სადა ბელუჯნი ჩამომხდარიყვნენ... (მათ) მრავალჯერ ამოეწყვიტათ და გაექცათ ყიზილბაშნი... რა შემოვადექით გარე და დავაწყევით რაზმი, ღამე იყო. რა შეიტყვეს მისვლა ჩვენი, არად გვახსენეს და არც დაიძრნენ... რიჟრაჟსა ოდენ ჟინსა გამოჴდა ჴმა მათ ყარაულთაგან. უჴმეს ჩვენ ყარაულთა: „თქვენ საბრალოთ აშენებულნო, ეის მოუკითუნებიხართო. თუ კიდევ შამადალიხან მოსულაო, სამჯერ ჩვენგან გაქცეულაო, წამოსულაო, ჯარი მისი ამოგვიწყვეტიაო, საქონელი გაგვიყვიაო. იშალა! (ღეთით) კიდევ აგრე იქნებაო“.—თუ გათენ-

დაო,—მისცა პასუხი ჩვენმა ყარაულმა გინებით,—მოვიდა რისხვა ღთისა თქვენზედაო! მობრძანდა საქართველოს ვალი ლევან, ახლავს ქართველნი..! „შექნეს თურე ჰმუნეა დიდი“, შენიშნავს ისტორიკოსი და ამავე სტილით აგრძელებს ბრძოლის აღწერას. გამარჯვებული ჯარი ქირმანს რომ დაბრუნდა, „გამოხდა ხანი მცირედი, წამობძანდა მეფე გიორგი ისპაჰანით და მობძანდა ქირმანს მაისის (5) ე. შეგვექნა სიხარული დიდი და მოგებება ჯარისა ორისა დღისა საავალსა. შეიყარნენ ძმანი, მოულოცა გამარჯვება“.

რადგანაც ამ მხარეთა მობინადრე ტომები არ ასვენებდნენ სეფიანთა დინასტიის მესვეურებს, ამიტომ, წინააღმდეგ მისი სურვილისა, გიორგი მეფე დაითანხმეს ქირმანის ბეგლარბეგობაზე. სეხნიას სიტყვით შაჰმა „უბოძა ქირმანის ბეგლარბეგობა და დაარქვა სახელი მამისა შაჰნაოზ II. არად ინება მეფემ გიორგიმ ქირმანი, რომ საქართველოს პატრონი იყო და ქირმანი იუკადრისა, მოახსენა უარი, მაგრამ არა მოეშვა ჯემწიფე“ და სხვა.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ გიორგი ლევანთან ერთად ხელჩართულ ბრძოლაშია ირანის იმავე განაპირა სანახებში ბელუჯების ჯართან. „გაჭირდა ომი, გაიყვანა ცხენი მეფემა, დაიგრგვინა ვითარცა ცამან. დაუძახა ქართველთა: აწ ვნახო ჰაბუკობა თქვენიო. ეგრეთვე ბატონის შვილმან“. და შემდეგ მოცემულია ქართველთა გმირული საქციელი, განსაკუთრებით ზურაბიშვილისა. ომიდან დაბრუნების შემდეგ ლევან ისპაჰანს დაიბარეს, ერანის მდივანბეგობა უბოძეს და დაარქვეს სახელი შაჰყულიხან. „გამოხდა ხანი რაოდენიცა,.. უბოძა ყაენმა შაჰსულთან უსეინ მეფეს გიორგის ქართლი და ერანის სპასალარობა, ყანდაჰარის ბეგლარ-ბეგობა... უბძანა ყანდარის გარიგება. იქაც ებრძოდა მირ სამანდარ და აეოხრებინა ყანდაჰარის ქვეყანა და მოეკლა თამაზ სარდალი ომში...“ (24 ა).

შეუდგა გიორგი სამზადისს. დაიბარა ქართლიდან ჯარი. მისმა ძმამ ლევანმა (უკვე ქართლის გამგებელმა) „შეყარა ქართლის დარბაისლის შვილები და უთავა ყაფლანიშვილი ვახუშტი, გაგზავნა ჯარი ათასამდე—ექვენისთვის ი ჩავიდა ჯარი ქირმანს“. აეტორიც მიჰყვება ამ ჯარს, რადგანაც ის „ბევრს გარჯილი იყო და თან იცოდა მოყოლილი ამბავი მის ქვეყანისა“. გაემგზავრა გიორგი თავისი ჯარით ქირმანიდან მაისის ორს ქძნს ტეშ და „ჩაბძანდა ყანდარს თიბათვის კდ“. ამგვარად, ამ სიცხე-პაპანაქებაში გაიარეს შენიშნავი უდაბნო. აეტორი აწერს ამ საშინელებას და გიორგის მისამართით შენიშნავს, რომ „იყო წესი მისი, როცა სამწუხარო საქმე იყვის, მაშინ უფრო გამხიარულდის“.

ამ ომშიათად გამაგრებულ ციხე-ქალაქში მეფე გიორგიმ ერთბაშად დაამყარა წესრიგი—„ვინც ურჩნი ყვნენ დაიმონა და ერთგულს წყალობა უყვის“.

არ გასულა ამის შემდეგ ერთ წელზე მეტი, რომ შაჰი კვლავ იბარებს საქართველოდან შაჰყულიხანს (ბატონიშვილ ლევანს), რომელსაც თან მიყავს ძე თვისი იესე, ხოლო ბატონიშვილი ვახტანგ გამგებლად საქართველოსად დაადგინა (26). „შაჰთან რომ ჩავიდნენ, მცირე ხნის შემდეგ“ ჯემწიფე გაუგზავნა ბიძას, მეფე გიორგის, ბატონიშვილი იესე. რა მიეახლა ყანდაარს, მოეგება ქართ-

ელთ და ყიზილბაშთ ჯარი დიდისა დიდებითა, შეიყვანა, დახუდა მამაშვილურად. რა ნახა, გარდაეხეია: თავმან თქვენმან, ერთი სასიამოვნო მისთანა არ იქნებოდა. ქნა მეჯლიში და ნახა ლხინი. უბოძა საბოძვარი მრავალი. იყო ამ განცხრომასა და სიხარულსა შიგან: სამართლობდის, განისვენებდის და ყოველსა შაფათსა ქნის მეჯლიში ქართველთა, სამშაფათს თათრისა, სხვას დღეებსა გაივიდის სანადიროთ, შეექცეოდის. საითკენაც ურჩნი იყო, გაუსევდის ჯარსა და უყვის ყათლამი: ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგთ კბილები დააძურის და თავზე დაარკვის. შეშინდა ყანდაარის ქვეყანა და შეიქნა უშენთა შენება"... (27 ა).

ამის შემდეგ შეშინებულმა, უკუმდგარმა მირსამანდარმა გამოუჯავნა გიორგის დიდი ფეშქაში და ითხოვა შერიგება. გიორგი შეურიგდა მას. „მოვიდა ჯარითა სრულითა სამანდარხან და ბიძაშვილი მისი ქალახან, კარგ სანახავი, მხნე ვაჟკაცნი. მოართვეს მოსართმევი აურაცხელი" (27). ერთ თვეს იყვნენ ისინი იქ.

„იყო ერთი ქვეყანა ავღანთა უკუმდგარი; არად ინებეს სამსახური მეფისა. გაუსია ძმისწული თვისი იესე და აახლო ქართველთ ჯარი. მიუხდენ ორად: ქვეით თათრის ჯარი და ზეით ქართველნი. შეიქნა ომი ფიცხელი—გამობრუნდნენ გამა-ჯვებულნი... მისცა ვექილობა ძმისწულსა მისსა... იყო სულთანი ყანდაარისა მირვეისი. გაუსია სულთანსა აზარისასა. გაემარჯვა და მოიყვანა ხბარ-შეკრული. იამა მეფეს და უბოძა საბოძვარი და შემოსა სამოსლითა კარგითა. გამოხდა ხანი და შექნა ამავ სულთანმა უარშიობა. გაგზავნა ჩაფრად ყაენთანა და მისწერა სხვის ჩაფრით არზა და მოახსენა: ესე სულთანი უარშეობს, უნდა არევა ამა ქვეყანისა, ნულარ გამოუშვებთ, თვარამ ერთს რასმე მოახდენს. შეინახა ყაენმა".

ამის შემდეგ სეხნია ჩხეიძე იგზავნება ძვირფასი საჩუქრებით ლევანთან, რომელიც თავისი შვილით ქაიხოსროთი თან ახლაეს შაჰს ქ. მაშათში. სეხნიას სწორედ ამ დროს ებოძა ქართლის მოლარეთუხუცესობა. ეს ხდება ქრნს ტჳე (1707).

ამავე წელს თიბათვის 9-ს შაჰს მოსდის ცნობა ისპაჰანში არეულობის შესახებ შიმშილობის ნიადაგზე. იგზავნება დამსჯელი ექსპედიცია ქაიხოსროს მეთაურობით. სეხნია თან მიჰყვება: „ვიარეთ ორმოცისა დღისა საეალი თორმეტს დღეს, მივედით. რა შევიდა ქალაქსა შინა, შეიქნა სიხარული დიდი. რა სცნეს მისელა ქაიხოსროსი წინათ ამისად კიდევ ბევრი ნასაღი ექნა და დაეცათ შიში დიდი. შეიყარა ქალაქი და მოეგებნენ წინა" (28). შვიდი თვის შემდეგ შაჰი უგზავნის იქიდანვე მეფე გიორგის წერილს და თხოვს შეირიგოს მირვეისი, რომელსაც ალბათ მოუხერხებია შაჰის კარზე თავისი საქმის მოგვარება, „შეირიგეო და მიიჩნიე მის მართებულადო". ცხადია, ჩვენი ავტორი ამ დროს ისპაჰანში იმყოფება, სადაც შაჰიც ჩადის! ამის შემდეგ ავტორი საქართველოშია, ვახტანგ მეფესთან და აგვიწერს მის საქმიანობას, როგორც თანადამსწრე.

„ქრნს ტჳე (1708) უანდაარიდამ გამოისტუმრა მეფემ გიორგიმ ძმისწული თვისი იესე. მისცა ნაიბობა ქირმანისა და ძმისწული მისი, ძე ლუარსაბისა, ხარჭა ჩაიყვანა უანდაარს. ქრნს ტჳზ აპრილის კ"ა (1709—21 აპრ.) უღალატ

მეფე გიორგის ყანდაარის სულთანმა მირვეისმა. რადგან გალაშქრებულიყო მეფე გიორგი ყანდაარიდამე ორს მანძილზე და ძმისწული ალექსანდრე და ქართველი ჯარი გაუსია უკუმდგარსა ავღანსა. ჯარი აღარ ახლდა. მოუხდა განთიადსა, დაესხა თავსა. რა სცნა მეფემან, ედგა ქარქაში სარჩისა გვერთსა მისსა, გაიკრა ხელი; თავმან მისმან, სანამდის ისარი ჩონდა, არც ერთი არ დააცდინა. რა ისარი დაელია, გაიკრა ჴმალს ჴელი, როგორც დევი ისე იბრძოდა. ჰკრეს თოფი ამა მორჩმა დიდების პატრონსა და მოკლეს. ვინცაენ ქართველი დარჩომილიყო, ამოსწყვიტეს. შევიდა ციხესა ყანდაარისასა, აიფორიაქეს საქონელი. რაც ქართველი იყო ციხეს შიგან ამოსწყვიტეს. მოუვიდათ ამბავი ალექსანდრეს და ქართველთა. იქ თურე იმათ გამარჯვებოდათ. შეჭნეს თავსა ცემა და წამოვიდნენ. რა ყანდაარს მოვიდნენ, შეექნათ ომი ფიცხელი... ამაშიგან გამოეცალნენ ქართველნი. დაუწყეს უკან დევნა და ომი ფიცხელი"... (32).

მრავალრიცხოვან მტერს ქართველები სასტიკად გაუმკლავდნენ. „იარეს და შევიდნენ ციხესა გირიშკასასა". შემდეგ ამას მოსდევს იმ დიდი გლოვის აღწერა, რასაც ადგილი მიეცა საქართველოში (თბილისში) გიორგის მოკვლის გამო. რაც ზედმეტად ადასტურებს იმას, რომ მისი სახით ქართველებმა დაკარგეს სამხედრო ნიჭითა და ვაჟკაცობით აღჭურვილი პიროვნება.

გიორგის შემდეგ შაჰის კარზე დაწინაურებული ჩანს ქაიხოსრო, რომელსაც შაჰმა უბოძა თჯრმე „ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა". ირანში დარჩენილ ხოსრო ხანს ავღანელებზე გასალაშქრებლად დაუბარებია საქართველოდან ჯარი, რადგანაც მარტო ადგილობრივი ძალების იმედი არ ჰქონდა. „შეყარა ბატონიშვილმა ეახტანგ ჯარი, უთავეა ბუხრანის ბატონი პაპუა და თითო სახლის დარბაისლის შვილები. ჩავიდნენ მაშათსა. იქიდან ჰოპძანდა მეფე ხოსრო. მისცეს ბატონიშვილს იესეს ქირმანის ბეგლარბეგობა. დაარქვეს ალიყულიხან როსტომს. ძესა ლევანისასა, ხარჭას, მისცეს ისპაანის ტარუღობა. იარა მეფემ ხოსრო და ჩავიდა ყანდაარს. ახლდა ქირმანთ ჯარითა ალიყულიხან და ალექსანდრე. მივიდა ციხესა ყანდაარისასა. შემოება მირვეისი. გაემარჯვა მეფესა. ამოსწყვიტეს მრავალი. ქაქნს ტჟმ (1710) გაიქცა მირვეისი და შეეიდა ციხეში. გამოვიდა ციხიდან მირვეისი დაესხა ხოსროს თავს, ბაგრამ ადრე შეუტყვეს და დაემზადნენ. შეჭნეს ომი ძლიერი. მოუკლეს ძმა და ძმისწული. ამოსწყვიტეს, გაიმარჯვეს ქართველთ. მირვეის გაიქცა. ქაქს ტჟმთ ენკენისთვის კჯ (1711 28. IX) დაუმარცხდა ბატონიშვილს ალექსანდრეს, მეწინავედ იდგა. სანამდი აქედამ ჯარი მიესწრებოდა, მოკლეს ბატონიშვილი ალექსანდრე, ჩხეიძე თეიმურაზ, თარხანი და ზოგნი სხვა ვინმე თათარნი. გამოჴდა მცირედი დღენი, გამოვიდა ციხიდამ მირვეისი ჯარითა სრულითა, აქეთ სპასალარი. შეიქნა ომი ფიცხელი. თავმან თქვენმან, (მ) ნახავთათვის საზარო იყო. გამოექცა თათარის ჯარი მეფესა, დარჩნენ ზოგნი ვინმე ქართველნი. მოახსენა ცალქალამიძემ იასემ: ჴელმწიფეო, გაგეცალა ჯარი და აღარცა ჩანს ძმა თქვენი. ნუ მოიკლავ თავსა. უბძანა მეფემ: ჩემისა სიცოცხლისათვის არა მოვაყენო თავი, არცა გვარი ჩემი. მიქუსლა ცხენი, შეერია შიგა, ვითარცა ქორი კაკაბსა გუნდისასა. ჩაშოაგდო შუბითა ორი კაცი; დახვდა ნათხარი რუ, წაექცა ცხენი. რა სცნეს ცხენის წაქ-

ცევა, წამოეხვივნენ, დაჩეხეს ჭლმით. ცალქალამიძე იესე წინ მოუკლეს. გამოიქცა ჯარი და ძმა მეფისა ალიყულიხან მოვიდნენ ფარასა. აცნობეს ყაენსა"...

ამგვარად, მოსწყდა ეს სანახები ირანის სამფლობელოს და აქედანვე ეძლევა სათავე სეფიანთა დინასტიის განადგურებას. სეხნია ჩხეიძეს აუარებელი ფაქტი მოყავს ამის შემდეგაც ქართველთა ირანში გამგზავრებისა და მოღვაწეობის შესახებ. თითონ ავტორი კვლავ ბრუნდება ისპაჰანს მეფე ვახტანგთან ერთად. მას არაფერი აქვს ნათქვამი ქართველი ახალგაზრდების ისპაჰანში სასწავლებლად თავმოყრის შესახებ (რაც ხანგრძლივ მოეპოვება), მაგრამ ერთგან აღნიშნული აქვს, რომ მისი შვილი ისპაჰანიდან იგზავნება საქართველოში (სპეციალური დავალებით). ალბათ სხვებიც იყვნენ ასეთივე ახალგაზრდები.

ამასობაში (ქქნ უი) 1722 წ. თებერვალს 5 გათამამებული ავღანელები შემოადგებიან ისპაჰანს. გაუპირდა შაჰს და ითხოვა დახმარება ჯარით ვახტანგისაგან. მაგრამ ეს უკანასკნელი არ მიეშველება, რადგანაც ლეკთა გასანადგურებლად დაძრული დიდი ჯარი ამ ამბის წინეთ უკან გამოაბრუნებინა შაჰმა, „ეს ეფიქრებინათ-თუ მეფემ ვახტანგ ჯარი დაიპირა, ქვეყანასაც ის დაიპერსო".

აკად. ივ. ჯავახიშვილს თ.აეის ზემოხსენებულ მიმოხილვაში აღნიშნული აქვს ხაზგასმით, თუ რა დადებითი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა სპარსული ფირმანების გამოყენებას საქართველოს ისტორიის დასადგენად იმ მეცნიერთა კომისიის მიერ, რომელიც ვახტანგის ბრძანებით იყო შექმნილი.

ერთერთი ასეთი გამოუყენებელი ფირმანის შესახებ უკვე იყო საუბარი. ახლა მე მინდა შევეხო მეორე ფირმანს სეხნია ჩხეიძის თხრობაში მოხსენებული ყალბალიხანისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ.

ფირმანი 2 (№ 222 საქართველოს სახ. მუზეუმი).

მისი სპარსული ტექსტი ქართული ასოებით ასეთია:

ჰოქმე ჯაჰანმოთაჳ შოდ ან ქე ბენაბარე შაფაყათე შაჰანე დარ ბარჹე რეჴ'ათ ვა მაალი ფანა(ჰ) აბულ ბეგ' ესეარ...(?).

აზ ებთედაჹე შაშმაჰჹე თონგუზ ჹილ მოშარალიერა ჰასაბოლ ესთედ'აჹე აჹალათ ვა შავქათ ფანა ჰაშამათ ვა ჯალალათ დასთგაჰ ალიჯაჰ ამიროლ ომერაჹე ალნეზამ ზიბალილ აჹალა ვა-შშაექა ვალჰაშამა ვალჯალალა ვალ აყბალ ქალბალიხან ზიად ოლლი ყაჯარ მოსაჰებე სარდარე ჯონუდე ზაფარ ვურუდე გორჯესთან ვა ბეგლარბეგიე ყარაბაღ ვა ჰაქემე ქაბეთ დარ სოლუქე ღოლაშანე ხასეჹე შარიფ მონთაზემ ვა მაბლაღ სი თუმან თაბრიზი მავაჯუე ვა ჰამე სალე აზ ბაბათე ვუჯუჰე ზაბთი ვაზირე აზარბაიჯან დარ ვაჯჰე მუმიელა ენიათ ვა მაქრამათ ფარმუდიმ მუსთაფინე ეზამ ვა ქერამ დივანე ალი რაყამე ინ ათთიერ დარ დაფათერე ხულუდ საბთ ნუმუდე აზ შაჹბეჹე თალაიირ ვა თაბდილ მასმუნ ვა მაჰრუს შენასანდ ვა დარ ბაბე ჰამე სალე ფარვანჩეჹე აშრაფ მოსაადე ნომიანდ.

თაჰრირან ფი შაჰრე საფარ ხათამა ბე ალხეირ ვაზზაფარ სანეჹე 1107.

თარგმანი

გამოვიდა საქვეყნოდ პატივსაცემი ფირმანი მასში, რომ შაჰური წყალობის შესაბამისად დიდებულებისა და აღმატებულ ზრახვათა საყუდელმა აბულ ბეგმა... ღორის წლის (თანგუზ || დონღუზ ჲილ) მეექვსე თვის დასაწყისიდან თანახმად თხოვნისა აჲალათ ეა შაექათ ფანა ჰაშამათ ეა ჯალალათ დასთგა ბლიჯა (მაღალხარისხოვან მაღალადგილოვან) ამირ-ოლ ომერაჲე აღ ნეზამ ზიბა ლილ აჲალა ეა შაექა ვალ ჰაშამა ქალბალი ხან ზიად ოღლი ყაჯარისა, საქართველოში მოსული ძლევამოსილი ჯარის მთავარსარდლისა, ყარაბაღის ბეგლარბეგისა და კახეთის მართველისა (ჰაქემე ქახეთ) მომწესრიგებელია (მეთაურია) კეთილშობილი ამალის მოყმეთა რიგებში წლიური ჯამაგირით 30 თავრიზის თუმნით. (ამიტომ) ვბრძანეთ კეთილგანწყობილებითა და სულგრძელობით—ყოველ წელს აზერბაიჯანის ვეზირმა გაიღოს ხსენებული პირისათვის (აღნიშნული თანხა), ხოლო სახელმწიფოს მაღალმა და კეთილშობილმა კონტროლიორებმა უმაღლესმა საფინანსო მოხელეებმა ეს უმაღლესი ბრძანება გაატარონ მუდმივ დაეთარში, დაიცვან და განარინონ ყოველგვარი შეცდისა და გადახვეფერებისაგან და ყოველ წლიურად გადაიღონ პირი (ამა) უკეთილშობილესი ბრძანებულებისა. დაიწერა სახეიროდ და ძლევამოსილად დასამთავრებელ თვესა საფარ 1107 წ. (1695 წლის 12—IX-დან 11—X-მდის).

III

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ეპოქის დასახასიათებლად ირანულ-კავკასიურ, კერძოდ ქართულ-ირანულ ურთიერთობათა ხაზით უცხოურ ენებზე შემონახულ პირველწყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ინგლისელ ჰანვეის თხუზლებას, რომლის სრული სახელწოდებაა[1]:

Hanway Jonas

An historical account of the British trade over the Caspian Sea; with a Journal of travels from London through Russia and Persia; and back again through Russia, Germany and Holland.

ჰანვეის ცნობები ავღანელებისა, მათი მთავარი ქალაქი ყანდაჰარისა და მეფე გიორგის შესახებ.

„ყანდაჰარის მდებარეობა ქმნის მას ერთგვარ გამაგრებულ ბარიერად ირანისა და ინდოეთის იმპერიათა შორის, ხოლო მისი სატახტო ადგილი ითვლება აზიის ერთერთ მთავარ ციხესიმაგრედ. ამ გარემოებებმა მიიქციეს ყურადღება შაჰაბაზისა (მეორესი), რომელმაც ორი თვის გარემოცვის შემდეგ ჩაიგდო ის 1650 წელს ხელში.

ამის შემდეგ ავღანელები ერთგული რჩებოდნენ თავიანთი ახალი ბატონებისადმი (ირანელებისადმი) მისი (შაჰაბაზ II) შვილისშვილის ჰუსეინის მეფობის დასასრულამდის. სხვანაირა ე რომ ითქვას, ისე დიდხანს, ვიდრე მათ თვლიდნენ ქვეშევრდომებად და არა მონებად. მაგრამ ირანელ გუბერნატორთა სისასტიკემ (სიმკაცრემ) და სიძუნწემ აუმღვრიეს აზრი და გონება ხალხს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ავღანელები კლავე ბზად იყვნენ ასაჯანყებლად...

[1] ჰანვეის თხზულება ინგლისურიდან გადმოთარგმნილ იქნა ენიმკი-ს ისტორიის განყოფილების სპეციალური დაკვეთით. რედ.

ამ დროს ისპაჰანში იმყოფებოდა ერთერთი თავადთაგანი ბაგრატიონთა გვარისა, რომლისაგანაც წარმოსდგებოდა ბევრი მეფე საქართველოსი. გურგინ ხან, როგორც უწოდებდნენ მას, ირანელების მიერ აყვანილ იყო თვისი სამშობლო ქვეყნის (საქართველოს) ვალის თანამდებობაზე, ხოლო ის კი ცდილობდა გამოეყენებინა ეს მდგომარეობა თვის სამშობლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ის კიდევაც ცდილობდა ალყაშემორტყმული ტფილისის დაცვას ირანელთა არმიის შესევისაგან, მაგრამ, რაკი განუდგა მას უმრავლესობა ქვეყნის თავადებისა, რომლებიც მოსყიდულ იქნენ ირანის სამეფო კარის მიერ, იძულებული იყო პირადად გამოცხადებოდა და პატიება ეთხოვა შაჰისაგან[1].

უფრო ნაკლები სუსტი ხასიათის შაჰთან ეს ნაბიჯი შეიძლებოდა ყოფილიყო საბედისწერო, მაგრამ შაჰ ჰუსეინი დაკმაყოფილდა მით, რომ მოითხოვა მისგან მაჰმადიანობაში გადასვლა. ხოლო როდესაც ის დათანხმდა, არა თუ აპატია მას ყველა წარსული, არაჩვეულებრივ უხვადაც დააჯილდოვა ის და დაამტკიცა თვის სამფლობელოებში".

სწორედ ამ ხანებში შაჰის წარმომადგენელთა პოლიტიკით შეიწროებულნი და ილაჯგაწყვეტილი ავღანელები აჯანყებას ისპაჰანის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე კი მდგომარეობა ძალიან გართულებულა.

„შაჰის სამეფო კარზე აღარ იცოდნენ რა ზომები მიეღოთ, რომ ისარგებლეს ამ მოულოდნელ შემთხვევით—ასე უცბად რომ გამოტყვრა და გადაწყვიტეს, გაგზავნონ ყანდაჰარში ეს პრინცი, რომლის მხნეობასა, სიმამაცეს და სხვა დადებით სამხედრო თვისებებს შეეძლოთ გაეხადათ ის საშიშ პიროვნებად სხვა პროვინციებში.

მისი ძმა ლევან-ხან გაგზავნეს მის თანაშემწედ საქართველოში, ხოლო გურგინ-ხან, რომელიც, გარდა იმისა რომ იყო ვალი საქართველოსი, ითვლებოდა აგრეთვე ქირმანის გუბერნატორად (ავტორი შენიშნავს:—ეს გარემოება საეჭვოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგანაც საქართველო და ქირმანი შორს მდებარეობენ ურთიერთისაგან, მაგრამ აქას დაბეჯითებით ამტკიცებენ ავტორიტეტული წყაროები), დანიშნეს ყანდაჰარის გუბერნატორად და, როგორც ასეთს, მას ჰქონდა მინდობილი—ჩაეკრო ყოველგვარი შესაძლებელი არეულობანი და თვალყური ედევნებინა საზღვრების უშიშროებისათვის.

ის დაუყოვნებლივ შეუდგა მინდობილი საქმის სისრულეში მოყვანას და აჩქარებული ნაბიჯით გაემგზავრა ყანდაჰარისაკენ ირანელებისაგან შემდგარი 20000-იანი არმიით და ქართველთა რაზმით.

მარტო-ღა მისი მიახლოვების ხმებმა აიძულეს უკმაყოფილონი გაჩუმებულიყვნენ; მაგრამ ასეთმა მოულოდნელმა დაშოშმინებამ ეჭვები აღუძრა გურგინ-ხანს. აღარ დაკმაყოფილდა რა იმით, რომ ქვეყნად დაჰყარდა სიმშვიდე, მას უნდოდა გაეშიშვლებინა აჯანყების ფესვები. ამ მიზნით ის შეეცადა გამოემჟღავნებინა ისინი, რომლებიც ღებულობდნენ მონაწილეობას წინა არეულობებში და თვისი ხასიათის სიმკაცრის შესაბამისად, დარწმუნებულმა იმაში, რომ ასეთი ადამიანები არასოდეს დამორჩილდებიან სავსებით, უკეთუ მათ მიმართ არ იქნება

[1] ხაზგასმა ყველგან ჩემია მ. ხ.

მიღებული უსასტიკესი ზომები—გადასცა ისინი მთლიანად თავისი ჯარისკაცების განკარგულებაში.

ძნელია იმისი წარმოდგენა, თუ ამ ვითარებაში რანაირ „სისასტიკესა და შეუბრალებლობამდის მისულა ჯარის მოქმედებანი“.

ასეთი მეტისმეტი სიმკაცრისა და ჯარისკაცების უსაზღვრო თავაშვებულების გამო უკიდურესობამდის მისულ ავღანელ ტომებს—გიორგი მეფისაგან მალულად—დელეგაცია გაუგზავნიათ შაჰთან ისფაჰანში, სადაც უკვე იმყოფებოდა იმ ხანებში ირანის მთავრობის ერთერთი ყველაზე საშიში მტერთაგანი, ავღანელთა ტომების ერთერთი გამოჩენილ მეთაურთაგანი მირ-ვეის. დელეგაცია იქ შესდგომია ენერგიულ მზადებას, რომ შაჰს დაერთო ნება მათთვის სააუდიენციოდ.

„მაგრამ გუბერნატორის (გიორგი მეფის, მ. ხ.) მეგობრებმა, გაიგეს რა მათი ჩამოსვლის მოტივები, ყოველგვარი ღონე იხმარეს, რაც კი მათ განკარგულებაში იყო, რომ არ დაეშვათ ისინი შაჰთან. ასე რომ, მათ მოუხდათ ლოდინი იმ დროზდის, სანამ მათ არავინ შეუშლიდა ხელს აუდიენციის მისაღებად“.

ასეთი შემთხვევა თითქოს გამოტყვრა კიდევაც ნავრუზობის დღეს—საგაზაფხულო დიდი დღესასწაულის დროს, მაგრამ აქაც, გურგინ-ხანის მეგობრები შეეცადნენ—„მთხოვნელები გამოეყვანათ, როგორც უკმაყოფილონი და არაღირსნი მეფის ყურადღებისა“.

გიორგი მეფეს ძალიან კარგად ესმოდა თურმე შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობა, რომ ავღანელები აგრე ადვილად არ მოუხრიდნენ ქედს ირანის ცენტრალურ მთავრობას, სანამ ისინი არ იქნებოდნენ სასტიკად ალაგმულნი და სანამ მათ შორის მოქმედების თავისუფლება ექნებოდა ავღანელი ტომების წინამძღოლთა ყველაზე უფრო საშიშ პიროვნებას—მირვეისს.

ჰანვეის სიტყვით „მირ-ვეისი, ერთ-ერთი ამ ტომთაგანის წინამძღოლი, იყო ამავე პროვინციის ერთერთი უძლიერეს ადამიანთაგანი. ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ გიორგის სურდა რა თავის მტრებისათვის სამაგიერო მიეზღო და ამასთანავე გადაჭრილი მოქმედებით დაეშინებინა ავღანელები. გაეცა ბრძანება—დაეპირათ მირვეისი და გაეგზავნათ ისფაჰანში სამეფო კარზე. ამავე დროს მან აცნობა სამეფო კარს, რომ მირვეისი წარმოადგენს დაუოგარ ადამიანს, რომლის მიმართ უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ღონისძიება მისი იქ გასაჩერებლად, რომ ის არის გარდასულ უთანხმოებათა და უწესოებათა სულისჩამდგმელი და თავისივე ხასიათით განწყობილია ახალ-ახალ არეულობათა გამომწვევ პიროვნებად... ისეთ არეულობათა, რომლებიც შეიძლება სახიფათონი აღმოჩნდნენ სახელმწიფოსათვის.

ეს გარემოება შეიძლება ჩაითვალოს წინასწარი განჩვრეტის შესანიშნავ შემთხვევად, რაც შემდეგში სავსებით გამართლდა სინამდვილეში.

ამგვარად, გურგინ-ხანმა მოიცილა თავიდან ის ერთადერთი პიროვნება, რომელშიაც მან პოვა პარტიის ბელადის ნიჭიერებანი, ხოლო ამის შემდეგ უკვე

აღარ წუხდა და არ ეშინოდა მოღორლის საქმიანობისა, არც უკმაყოფილო ავღანელების დრტვინვისა. საგარნიზონო ჯარი დატოვა ამის შემდეგ სატახტო ქალაქში, ზოლო ქართველთა რაზმი თავის მცველად დაიყენა. ჯარის დანარჩენი ნაწილი კი დაითხოვა...

ისფაჰანში შაჰის სამეფო კარზე მოქცეული მირ-ვეისი საკმაოდ გონებამახვილი კაცი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შესძლებოდა მდგომარეობის აწონ-დაწონვა და შესაძლებლობის ფარგლებში საესებით გამოეყენებინა ის გარემოებანი, რომელთაც შეეძლოთ მისი ინტერესებისათვის სამსახურის გაწევა.

უპირველეს ყოვლისა ის შეეცადა კარგი განწყობილების დამყარებას იმ პარტიასთან, რომელიც წინააღმდეგი იყო გურგინ-ხანისა. ამ დაჯგუფების სათავეში იდგნენ სამეფო კარის გამრიგე და ბაზიერთა უხუცესი ფათჰ-ალი-ხან, შემდეგში პირველ მინისტრად ქცეული... მირვეისისათვის არ იყო ძნელი, დაემსახურებინა მათი კეთილგანწყობილება საერთო მტრისაგან თავის დასაცავად.

საჩუქრები, რომლებიც მას მიურთმევია მათთვის ამ მიზნით, თავისი ღირებულებით აღწევდა თურმე 30000 თუმნამდის (75.000 გირვ. სტერლინგი).

ბოლოსდაბოლოს მას იმდენი მოუხერხებია, რომ ახლა შეეძლო თავისუფლად შესულიყო მონარქთან, რომელთანაც საუბრის დროს მუდამ პატივისცემით ლაპარაკობდა თავის მტერზე და იჩენდა მორვენებით გულწრფელობას; მაგრამ ამასთანავე ერთად თავის მსმენელებს აძლევდა დროსა და მოცალებას, ეფიქრათ ამ გენერლის ვაჟკაცობისა და ძლიერების შესახებ. ის მოხერხებულად ჩაურთავდა ხოლმე შიგადაშიგ იმის შესახებ, რომ ის, ვინც არის გუბერნატორი საქართველოსი, ქერმანისა და ყანდაჰარისა, ერთსადაიმავე დროს წარმოადგენს უფრო ძლევამოსილ მოქიშპეს, ვიდრე ერთგულ გენერალს. ის მოაგონებდა ირანელებს გურგინ-ხანის მოქმედებებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ტფილისში ირანის ჯარების საწინააღმდეგოდ და სხვ.".

ისე მოეწყო საქმის ვითარება, რომ ეს საშიში ადამიანი აღდგენილ იქნა თავის უფლებებში და დაბრუნდა ყანდაჰარში.

ჰანვეის აქვს კატეგორიული ხასიათის მტკიცებანი იმის შესახებ, თუ ვინ შეუწყო ხელი ყველაზე აქტიურად ამ პროცესის დაჩქარებას და გიორგი მეფის ცხოვრების ტრაღიკულ ფინალს ამ შორეულ ქვეყანაში. ის წერს:

„როდესაც მირვეისი ტყვედ გადმოიგზავნა ისფაჰანში, ფათჰ-ალი-ხანმა აიყვანა ის თავის მფარველობის ქვეშ და გააგზავნა ისევ უკან ყანდაჰარში.

იყო თუ არა ის კეთილად განწყობილი მირვეისისადმი იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი იყო სუნიტი, ანდა თუ ხელმძღვანელობდა თავისი ზიზღით გურგინ-ხანისადმი? თუ არა-და, ბოლოსდაბოლოს იქნებ ის მართლა აცთუნა უხვმა საჩუქარმა, რომელიც მას მიუღია ამ ტყვე ადამიანისაგან და ენდო ამ ცბიერი ავღანელის მოჩვენებით გულწრფელობას და სხ.—ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი, რომლის შედეგები საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეპვი შეეტანათ მის ერთგულებაში...

გურგინ-ხანს ეშვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მისი მოქმედებანი ავღანელების მიმართ ცნობილი იყვნენ სამეფო კარზე, მაგრამ ის განაგრძობდა მათთან ურთიერთობას მისთვის ჩვეული სიმკაცრით".

ყანდაჰარში დაბრუნებისთანავე ეს ცბიერი ავღანელი აბამს მეფე გიორგისათვის საბედისწერო ქსელს, აწყობს ინტრიგებს და იდენს საშინელ ღალატს, რომლის მსხვერპლიც ხდება თვით გიორგი და მთელი მისი, ვაჟკაცობით ქებული, ამალა. და ეს ყველაფერი ისე ოსტატურად, ისე მოხერხებულად მოუწყვია მას, რომ ღალატისა და უკმაყოფილების ყოველგვარი ეშვი გაჰფანტვია მის მიმართ ისეთ სიფრთხილითა და სიფხიზლით აღჭურვილ პიროვნებას, როგორიც იყო გიორგი მეფე. მირვეისს იმდენი მოუხერხებია თავისი მზაკვრებითა და მანქანებით, რომ მიუღწევია მასთან შერიგებისათვის, დათანხმებულა რა მის წინადადებაზე—გაეგზავნა გიორგი მეფის ჰარამხანაში თავისი ქალიშვილი (სინამდვილეში კი მას იქ გაუგზავნია არა საკუთარი ქალიშვილი, არამედ სულ სხვა ვინმე).

როდესაც ყველაფერი მოუმზადებია ტრაღიკული ფინალისათვის და საიმედო ავღანელებისათვის მიუცია სრული ინსტრუქცია მოქმედებისა, მაშინ თურმე მირვეისი, „ეს ფრთხილი ავღანელი, ძალიან მოხერხებული თავის ინტრიგებში. საიდუმლოდ აქეზებს ერთი ტომის წინამძღოლებს, უარი განაცხადონ ჩვეულებრივ გადასახადებზე. როგორც კი გაიგო ხანმა ამის შესახებ, უბრძანა თავისი ქართველი რაზმის უმეტეს ნაწილს გამგზავრებულ იყვნენ იმ ტომთან, მათი დამორჩილების მიზნით".

ამავე დროს მირვეისს გაუცია ბრძანება თავისი ტომისადმი, მოახლოვებოდნენ ყანდაჰარს 2—3 მილის მანძილზე და, როგორც კი გაუგია, რომ გურგინ-ხანს ებრძანა რაზმისათვის გამგზავრებულიყვნენ ურჩი ტომის ფირინების წინააღმდეგ (ხანთან ყოფილა 1000-მდის კაცი), მას თურმე დაუწყია ხმამაღლა ძაგება ამ ხალხის აჯანყებისა და არა თუ ცდილა მათ გამართლებას, არამედ წინადადებას იძლეოდა თურმე მიემართათ სხვადასხვა გაზვიადებულ ზომებისათვის მათ დასასჯელად. ასეთს მის ყოფაქცევას იმდენად მოუდუნებია გუბერნატორის სიფხიზლე, რომ მას ყოველგვარი სიძნელის გარეშე მიუღია მირვეისის მიწვევა—მიეღო მონაწილეობა ზეიმში, რაც მოეწყოთ ორი ავღანელი ბელადის შერიგების გამო, რომლებიც მანამდის არ გამოცხადებულიყვნენ მის წინაშე. ამ საზეიმო დღისათვის მირვეისს ყველაფერი მოემზადებინა თავისი გეგმების სისრულეში მოსაყვანად.

დიდი ხნის ლხინისა და ქეიფის შემდეგ ერთ განცალკევებულ კარავში ხანი მოკლულ იქნა 50 კაცისაგან შემდგარ მირვეისის რაზმის მიერ მისივე წინამძღოლობით; ხოლო მისი ოფიცრები, რომლებიც ქეიფის შემდეგ ავღანელების მიწვევის თანახმად წავიდ-წამოვიდნენ მოსასვენებლად მათსავე კარვებში, სათითაოდ ამოწყვეტილ იქნენ მირვეისის მოხრულთა მიერ.

ყველაფერი ამის შემდეგ მას ცბიერებით ისიც მოუხერხებია, რომ თავისთვის სასარგებლო განწყობილება შეუქმნია ყანდაჰარის მცხოვრებთა შორის. სპეციალურად მოწვეულ კრებაზე მას უთქვამს: „ტირანი გურგინ-ხან უკვე აღარ

არსებობს; ის იყო ერთადერთი კაცი ირანელთა შორის, რომელმაც დაიმსახურა ჯარისკაცის სახელწოდება".

თავიანთ უფროსებისა და ოფიცრების ტრაღიკული ბედი გაიზიარეს აგრეთვე ქართველთა დანარჩენმა რაზმებმაც, რომლებიც იმყოფებოდნენ ყანდაჰარში.

ახლა რაც შეეხება აჯანყებული ტომების დასასჯელად გაგზავნილი რაზმის ბედიღბალს, იმ რაზმის, რომელიც გაგზავნა გიორგიმ და მთლიანად შედგებოდა ქართველებისაგან, ამათ შესახებაც ჰანვეი იძლევა ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს:

„სამი დღე და ღამე გავიდა გუბერნატორის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ბასტიონზე მყოფ გუშაგებმა შენიშნეს კავალერიის რაზმის მოახლოება. ეს იყო ქართველთა რაზმი, რომლებმაც არაფერი იცოდნენ მომხდარი ამბების შესახებ და ნადავლით დატვირთულები ბრუნდებოდნენ ქალაქში... მათ აცალეს მიახლოებოდნენ ქალაქს თოფის სასროლ მანძილზე, რის შემდეგაც ესროლეს მათ ზარბაზნებიდან. ისინი ერთბაშად მიხვდნენ, რომ ქალაქი უკვე სხვა მესვეურს ეკუთვნოდა და დაიხიეს უკან.

მირვეისს სურდა რეპუტაცია მოეხვეჭა თავისი იარაღისათვის და 5000 ცხენოსნის თანხლებით გაემართა მათ წინააღმდეგ იმ ვარაუდით, რომ განზრახული ჰქონდა უკან დასახევი გზები გადაეჭრა ქართველებისათვის. მაგრამ მალე შეიგნო, რომ მას საქმე ჰქონდა ისეთ ჯართან, რომელიც უკეთ დისციპლინირებული და უფრო შეჩვეული ყოფილა ომთან, ვიდრე მისი ავღანელები. ქართველებმა მიატოვეს თავიანთი ნადავლი, ხმლით ხელში გაარღვიეს მისი ჯარების რკალი და გადაიარეს ზებილის გადასავალი. რვა დღის განმავლობაში გასაოცარი სიმამაცით ქართველები ბრძოლით იხევდნენ პროვინციის ტერიტორიაზე და ბოლოს დატოვეს მისი საზღვრები"...

შაჰის სამეფო კარის წარმომადგენლებმა ერთხანს სცადეს თითქოს მოლაპარაკების საშვალებით დაემყარებინათ ავღანელებთან მშვიდობიანობა, მაგრამ უკვე „1710 წელს სამეფო კარზე მიხვდნენ, რომ არავითარი იმედი არ არის მოლაპარაკების გზით ყანდაჰარის დაბრუნებისა და გასცეს ბრძანება ჰერათის ხანის მიმართ—გამგზავრებულიყო სალაშქროდ მეამბოხეთა წინააღმდეგ და წინამძღოლობა გაეწია 15000 კაცისაგან შემდგარ ცხენოსანთა ჯარისათვის.

მირვეისმა კარგად იცოდა. თუ რა განსხვავება არსებობდა ირანელებსა და ქართველებს შორის. ამიტომ ის გაემგზავრა მათ შესახვედრად 5000 ცხენოსნით, რომლებსაც მან მოუყარა თავი, როგორც კი მიიღო ცნობა მტრის მოახლოების შესახებ. საველე ზარბაზნებიდან რამდენიმე გასროლის შემდეგ ირანელები ისეთმა პანიკამ მოიცვა, რომ აღარ დაუცადეს შეტევაზე გადასვლას ისე აჩქარებულად იბრუნეს პირი, რითაც თავიანთი თაები მისცეს მტრებს გასაქცევად".

ირანის ცენტრალურ ხელისუფლებას გადაუწყვეტია კვლავ მრავალრიცხოვანი ჯარის გაგზავნა ავღანელების წინააღმდეგ, რისთვისაც შემდგარა „შაჰის არმია (კვლავ ქართველი გენერლის ხოსრო-ხანის წინამძღოლობით) 30000 ირანელისა და 1200 ქართველისაგან შედგენილი ჯარი საომარი წესებით მიუახლოვდა ზებილის გადასავალს...

ავღანელები გაოცებული დარჩნენ მტრის თავგასულობით, რომელიც უშიშრად ეკვეთა მათ და დაუთმეს გზა, თვითონ კი უწესრიგოდ გაიფანტნენ. ქართველმა თავადმა გამოიყენა თავისი გამარჯვება: როგორც კი დაბრუნდნენ მისი ჯარები მტრის უკუდევნის შემდეგ, მან უბრძანა მათ განეგრძოთ წინსვლა და დაეზვერათ უანდაჰარი. ქალაქის გარნიზონი არ იყო მომზადებული შეტევისათვის და რაც განსაკუთრებით იწვევდა მათში არევდარევას, ეს იყო მირვეისის იქ არ ყოფნა, რომელიც დარჩა ველად თავისი არმიის ნარჩენებთან ერთად. ასეთ მდგომარეობაში მყოფ გარნიზონმა დეპუტატები გაუგზავნა ხოსრო-ხანს და აღუთქვეს მას ქალაქის მიცემა იმ პირობით, თუ ის შეუნარჩუნებდა მათ სიცოცხლეს, თავისუფლებასა და ქონებას. ამ გენერლის განკარგულებაში იყო ახლა ამ დამღუპველი ომის შეწყვეტა, მაგრამ მისთვის ჩვეული სიფრთხილე დაკარგა მან. გამარჯვებით თავბრუდახვეულმა მან თვისი ღირსების შელახვად ცნო მეანგბოხეებთან მოლაპარაკების გამართვა და მოითხოვა, რომ ისინი დანებებოდნენ ყოველგვარი პირობის გარეშე.

რაკი ამაზე ისინი ეელარ წავიდნენ, ამიტომ გადაუწყვეტიათ თავისდაცვა, რის შედეგადაც ყანდაჰარი აღყა შემორტყმული აღმოჩენილა. ამასობაში „მირვეისს გადაუწყვეტია მტრების დატოვება უფურაჟოდ და უპროვიანტოდ. ამ მიზნით მან დაავალა თავის ჯარებს გაენადგურებინათ ქვეყანა ყანდაჰარის გარშემო. და ეს მისი ბრძანება ისე კარგად იქნა სისრულეში მოყვანილი, რომ გარემოცვის მაწარმოებელმა მტრის ჯარმა მალე იგრძნო უხერხულობა სინაკლულისაგან"...

„ძლივს მოასწრო გენერალმა გარემოცვის მოხსნა რომ მირ-ვეისი, რომელიც ქალაქის დასახმარებლად მოდიოდა 16000 ცხენოსნით, თავს დაესხა ირანის ჯარებს, რომლებიც პირველი შეტაკებისთანავე შეუდგნენ გაქცევას. გენერალი ცდილობდა დაებრუნებინა ისინი უკან, მაგრამ შიშისაგან იმდენად დაჩლუნგებულა მათში ყოველგვარი დისციპლინა, რომ მისი ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა და გადაწყვიტა, ასეთ შერცხვენას ცოცხალი აღარ გადარჩენოდა— ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმის სათავეში მოქცეული გაექანა პირისპირ ავღანელებისაკენ და მოკლულ იქნა გასაოცარი სიმამაცით თავისდაცვის პროცესში.

ასეთი იყო ფინალი ამ თავადისა, რომლის სიმხნე, სამხედრო გამოცდილება და სხვა კეთილნიერებანი უქადდენ მას ყოფილიყო ღირსი უკეთესი ბედისა. მანამდის ის იყო ისფაჰანის გუბერნატორი და ატარებდა ტიტულს დივანბეგისას (რაც ნიშნავს „უზენაესი მრჩეველი" და უდრის ჩვენებურ ტიტულს უზენაესი მსაჯულისას), ხოლო თვისი მამის შემდეგ დაინიშნა საქართველოს ვალი-დ (მართველად, მეფედ), მაგრამ სწორედ ამ დროს შაჰმა დააყენა ის თვისი ჯარის სათავეში. მასაც ისევე, როგორც მის ბიძა გურგინ-ხანს, ჰქონდა სისუსტე გაეწირა თვისი რელიგია...

1714 წელს ქართველებმა, გაგულისებულებმა ამდენი დამარცხების გამო, რასაც ისინი მიაწერდნენ ირანის ჯარების სილაჩრესა და გაბოუცდელობას, მიმართეს წინადადებით შაჰ ჰუსეინს, რომ ისინი ჩააქრობენ აჯანყებას იმ პირობით, უკეთუ არმია შედგენილი

იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქართველებისაგან და თანხები, აუცილებელი ამ ექსპედიციის გასანაღდებლად, განსაზღვრულ დროში იქნებოდა გამოგზავნილი; მაგრამ ამ სუსტი ნების მეფეს შეეშინდა იმისა, რომ **ვათ შეეძლოთ საზიანოდ გამოეყენებინათ თვისი წარმატებანი და უარი თქვა ამ წინადადებაზე...**

ამ დროს უკვე პრემიერ-მინისტრი ფათჰ-ალი-ხან კვლავ აქტიური წევრი იყო ქართველთა წინააღმდეგ მიმართული დაჯგუფებისა და როდესაც ხოსრო-ხან გაიგზავნა აღიანელების დასამორჩილებლად, სწორედ ამ დაჯგუფებას ამტყუნებდნენ იმაში, რომ ის იყო მიზეზი არმიის მთლიანად განადგურებისა და ხოსრო-ხანის სიკვდილისა, რადგანაც არ მიიღო ზომები ყველა საჭირო ობიექტებით მათი მომარაგებისათვის.

იმის შემდეგ რაც ხოსრო-ხან მოკლულ იქნა ყანდაჰართან, მის მემკვიდრედ საქართველოს მეფის (ვალი) პოსტზე უნდა დამტკიცებულიყო ოჯახში უფროსი—ვახტანგ. მაგრამ, რადგანაც მან უარი თქვა მაჰმადიანობის მიღებაზე, ამიტომ მისმა უმცროსმა ძმამ, თუმცა ის იყო საქართველოს პატრიარქი, ითხოვა თვისი დანიშვნა ამ პოსტზე... მათი მამა, რომელიც მაშინ დივანბეგი იყო ისფაჰანში, თუმცა თვითონ გამაჰმადიანდა, მაგრამ იმდენად აღშფოთებული იყო ამ წინადადებით, რომ ბრძანა დაეტუქსათ ეს ურწმუნო მღვდელი და დაეტოვებინათ თავის პოსტზე. მაშინ საქართველოს მეფედ დაინიშნა მესამე ძე, მაჰმადიანობა მიღებული.

ვახტანგი, რომელიც ელჩად იყო ჭერმანში, რიგი წლების განმავლობაში ჯიუტობდა თავის გადაწყვეტილებაში (რომ არ მიეღო მაჰმადიანობა. მ. ხ.), მაგრამ ბოლოსდაბოლოს სამეფო კარის კაცთა შთაგონებამ ელჩობაში ყოფნასთან დაკავშირებულ ილაჯგაწყვეტასთან ერთად გასტეხეს მისი შეუდრეკელობა და ის განდგა, ანდა უკეთ, მიიღო პოზა, რომ განუდგა ქრისტიანობას, რის შემდეგაც ის დანიშნულ იქნა საქართველოს მეფედ.

დაბრუნდა ის ტფილისში 1719 წ., სადაც მწუხარებით შენიშნა განადგურებანი, ლეკების მიერ ჩადენილი საქართველოს ტერიტორიაზე და გადასწყვიტა ისე ეძია შური თავის ხალხისათვის, რომ მრავალი წლის მანძილზე უზრუნველეყო ის თავდასხმებისაგან.

მაგრამ ცბიერმა შაჰის კარისკაცებმა იცოდნენ, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიძე იყო ვახტანგის ძმა და ეშინოდათ, რომ ლეკების დამარცხების შემდეგ ვახტანგს შეეძლო გამოეყენებინა თვისი მნიშვნელოვანი ჯარი (60000 კაცი) იმისათვის, რათა აიძულოს სამეფო კარი, დასაჯოს ისინი მათ ძველ ბოროტმოქმედებათა გამო. ამისათვის ისინი სარგებლობენ გავლენით, რომელიც მათ ჰქონდათ სუსტი ნების მეფეზე და მას ისე წარმოუდგინეს საქმის ვითარება, რომ ვახტანგს, თვისი მტრების დამარცხების შემდეგ, თითქოს შეეძლო დიდი დაბრკოლებების შექმნა ირანისათვის; მით უმეტეს, რომ მისთვის ადვილი იქნება დახმარების მიღება რუსეთიდან ზღვით და ამიტომ ამ მოსალოდნელ უბედურებ.თაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად თითქოს ჩანს ლეკებთან ზავის შეკვრა, რისთვისაც უნდა ებრძანოს საქართველოს მეფეს—შეწყვიტოს მხადება საომარ მოქმედებათათვის.

...ფიქრობენ, რომ **ერთადერთი მოტივი, რომელმაც აიძულა თურმე (ვახტანგი) მოეხსნა ლაშქრობა და შეესრულებინა შაჰის სამეფო კარის ბრძანება, იყო შიში იმისა, რომ ქართველ თავადებს შეეძლოთ (თავის თავის ამარა) მიეტოვებინათ ის ისეთი, როგორც ისინი განუდგნენ გურგინ-ხანს და სხ.**

ვახტანგმა მოიხმო თავისთან შაჰის დესპანი, ამოიღო ქარქაშიდან თავისი ხმალი და დაიფიცა, რომ ამიერიდან უკვე აღარ იბრძოლებს შაჰის სამსახურად და ირანის დასაცავად. ამის შემდეგ მან დაშალა თავისი ჯარი და დაიხია ტფილისისაკენ, აღსავსემ რწმენით—არ გაეტეხა თავისი ფიცი".

მაგრამ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი იყო ჯერ კიდევ ირანსა და საქართველოს შორის ოდითგან დამკვიდრებული პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობანი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ასე ერთბაშად ბოლო მოღებოდა ირანის სამეფო კარის პრეტენზიებსა და ლტოლვას ამიერ-კავკასიის შეგაგულისადმი.

ხსენებულ მირვეისის შემდეგ ავღანელთა მეთაურად და ბელადად დაწინაურებული მაჰმუდი ჩაიგდებს ხელში ირანის სატახტო ქალაქს და ქვეყნის მიწაწყლის უმეტეს ნაწილს. მიუხედავად ამისა მისი მდგომარეობა არ იყო ჯერ კიდევ სავსებით უზრუნველყოფილი. ამას მოწმობდა აშკარად ის ხშირი აჯანყებანი, რასაც ადგილი დაურჩა მაშინ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, სხვათა შორის, ყაზვინშიც. ამაზე სპეციალურ ცნობებს იძლევა ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრში მოქცეული პირველწყაროც, სადაც ვკითხულობთ:

„ყაზვინის აჯანყებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მაჰმუდზე, რომ მან დიდ განსაცდელში ჩასთვალა თავისი თავი, რაკი იმყოფებოდა მრავალრიცხოვან მაინცდამაინც არაკეთილ განწყობილ ბრბოს შორის; ხოლო მას თან ახლდა მხოლოდ ერთი მუჭა ჯარისკაცთა; ერთადერთი ღონისძიება, რომელიც მას ჰკუაში დაუჯდა—იყო მკვლელობა...

ამ სიმკაცრის საშინელებანი უმეტესად გაიზარდა იმ გარემოებებით, რომლებიც თან ახლდა ამ სიმხეცეს 12 წლის ბიჭის მკვლელობის დროს. ის იყო ქართველი თავადის როსტომ-მირზას შვილი და რადგანაც ის შვილობილად აეყვანა ერთ ავღანელს, ამიტომ თავშესაფარის ძებნაში ის გაიქცა ავღანელთა არმიის ოფიცრებთან, მაგრამ ვერ იხსნეს ის ვერც მისმა ახალგაზრდა წლებმა. ვერც ამ ოფიცრების ხვეწნა-მუდარამ და მოკლულ იქნა.

მოკლულთა გვამები სასახლის წინ მოედანზე გამოტანილ იქნა საჯაროდ. იმისათვის, რომ შური არ ეძიათ მათ შთამომავლებს, მაჰმუდმა ბრძანა აგრეთვე მოეკლათ მათი შვილები. **ირანისა და საქართველოს ყველაზე უფრო გამოჩენილ ადამიანთა შვილები 200 ყმაწვილი გამოიყვანეს აკადემიიდან, სადაც ისინი სწავლობდნენ,** ტრიალ მინდორზე; იქ მათ უბრძანეს გაქცეულიყვნენ სარბილით, ხოლო ავღანელები ცხენდაცხენ გამოუდგნენ მათ უკან და მისდევდნენ როგორც გარეული მხეცები, სანამ ყველა არ ამოწყვიტეს.

მაჰმუდს გადაწყვეტილი ჰქონდა უზრუნველეყო თავისთვის ტახტი არისტოკრატიის მთლიანად ამოჟლეტით, ხოლო ამის დასაფარავად მან განაცხადა, რომ ამ ახალგაზრდებს ვითომდა შეთქმულება მოეწყოთ მისი სიცოცხლის წინააღმდეგ".

შექმნილ მდგომარეობის გამო შაჰმა დაჰკარგა სატახტო ქალაქი და თავისი სახელმწიფოს მთავარი პროვინციები. საქმის გამოსწორების მიზნით „შაჰი დიდ იმედებს ამყარებდა ქართველებზე, რომელთა ძლევამოსილება ერთნაირადვე კარგად იყო ცნობილი, როგორც ირანელებისათვის, ისე ავღანელებისათვისაც და არავითარი ეჭვი არ არსებობდა იმაში, რომ მტერი დაუყოვნებლივ დაიხევდა უკან, როგორც კი მიიღებდა ცნობას მათი მოახლოების შესახებ.

ასეთ ვითარებაში დარწმუნებულმა შაჰმა ჰუსეინმა გიულნაბადთან გამართული ომის შემდეგ დაუყოვნებლივ მისწერა წერილი ვახტანგს, მაგრამ ამ პატივმოყვარე თავადმა ვერ დასძლია ის წყენა, რომელიც მას მიაყენა შაჰმა ქართველთა შურისძიებისაგან ლეკების გადარჩენის გამო და მტკიცედ იცავდა თავის ფიცს. ხოლო **ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარის თქმით მან (ვახტანგმა) მსხვერპლად მიიტანა მთელი იმპერია** (ირ.ანისა). როგორც კი მიღებულ იქნა ცნობა, რომ აღარ არის მოსალოდნელი დახმარება საქართველოდან, შიში, რამდენიმედ დაშოშმინებული მეამბოხეებზე ერთგვარ უპირატესობათა მოპოების წყალობით, კვლავ გაცოცხლდა მომეტებული სიძლიერით. გაქარწყლდა ყოველგვარი იმედი გამარჯვებისა...

მაჰმუდ მარტო როდი იყო ერთადერთი საშიში მტერი, რომელიც იარაღით ხელში იბრძოდა ირანის წინააღმდეგ. ჰეტრე პირველმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ ვაჭრობა და აღებმიცემობა არის სიმდიდრისა და მაშასადამე სახელმწიფოს წარჩინების საფუძველი, გადაწყვიტა ერთმანეთთან დაეკავშირებინა კასპიისა და ევქსინის ზღვები...

...შემახის აღების დროს ლეკების მიერ რუს ვაჭართა მიმართ ჩადენილმა ბოროტმოქმედებებმა აიძულეს რუსეთის მონარქი გაეგზავნა ელჩი ირანში. ამ ელჩს დავალებული ჰქონდა სარჩელი წარედგინა შაჰ ჰუსეინისათვის, უკეთუ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ იქნებოდა ტახტზე; ხოლო თუ ის უკვე ჩამოგდებული იქნებოდა, მაშინ დაბეჯითებით უნდა მოეთხოვა, რომ უზურპატორს მოეცა დაკმაყოფილება ლეკებისა, უზბეკებისა და სხვა მისი მოკავშირეების მოქმედებათა გამო...

შაჰ ჰუსეინი აღარ აღმოჩნდა ქვეყნის ბატონპატრონი, ხოლო ახალი უზურპატორის მხრით ელჩს ურჩიეს, ქარავანთა უშიშროება თვითონ დაეცვათ გაძლიერებული ცხენოსანი რაზმებით, უკეთუ მეფე არ ინებებდა დაედო შეთანხმება იმ ხალხებთან, რომელთა ტერიტორიაც უნდა გაევლოთ მოქარავნეებს.

მეფე ვერ დააკმაყოფილა ამ პასუხმა. გარემოებანი ხელს უწყობდნენ იმას, რომ პეტრეს შეეძლო ხელში ჩაეგდო კასპიის მთელი დასავლეთი სანაპიროები და ამიტომ მან თავი მოუყარა ასტრახანთან 30000-იან არმიას; არმია შესდგებოდა გამოცდილ და გაწვრთნილ ჯარისკაცებისაგან, რომელთაც მიეღოთ მონაწილეობა შვედებთან წარმოებულ ომებში. ამ ჯარებს შეუერთეს კიდევ რაზმები თათრებისა, ყაზახებისა და კალმიკების. 29 ივლისს ჯარები გავიდნენ კასპიის ზღვაში და აგვისტოს 4-ს დადგნენ იაკორზე (ჩაუშვეს ღუზა) მდინარე თერგის შესართავთან, დაღისტნის საზღვარზე. იქიდან გაიგზავნა ლეიტენანტი ბრძანებით, ჩაებარებინა მანიფესტი ლეკთა ერთერთი მთავრის ალდი გერაისათვის.

მანიფესტში მეფე აცხადებდა რომ: „ის მოვიდა აქ ამოძრავებული არა თავისი სამფლობელოების გაფართოების სურვილით, არამედ იმ ზრახვებით, რომ იხსნას ირანის შაჰი და მისი ერთგული ქვეშევრდომნი აღმანელთა ტირანიისაგან და აგრეთვე იმ მეამბოხეთაგან, რომელთაც ჩაიდინეს ბოროტმოქმედებანი რუს ქვეშევრდომთა მიმართ“.

ეს მანიფესტი თავდებოდა მუქარით—სასტიკად დაისჯებოდნენ ისინი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამიერიდან არეულობებში.

...პირველ სექტემბერს ჯარი დაბანაკდა ბუხანის ნაპირზე, სადაც მიღებულ იქნა ცნობები, რომ ბაქოს მცხოვრებნი გულწრფელად არიან დაინტერესებულნი მეფის მფარველობაზე ლეკებისაგან, რომლებიც ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში არ აძლევდნენ მათ მოსვენებას თავიანთი თარეშით. როდესაც არშია მიუახლოვდა დარუბანდს, გუბერნატორი გამოვიდა ქალაქიდან მთავარ მცხოვრებთა თანხლებით და ჩააბარა გასაღები რუსეთის მონარქს, რომელსაც შეხვდნენ არტილერიის სროლით და ხალხის აღფრთოვანებული ძახილით. ამ ქალაქის მდებარეობა, როგორც მე უკვე ვწერდი პირველ ტომში, წარმოგვიდგენს მას როგორც აზიის ჭიშკარს; მისი დამკვიდრების შემდეგ მეფემ გადაწყვიტა შინ დაბრუნება, ხოლო ადგილობრივი გუბერნატორი განამტკიცა თვის უფლებებში და გარნიზონის სახით დატოვა 2000 რუსი ჯარისკაცი: თავის ჯარის დანარჩენ ნაწილებს უბრძანა ასტრახანში დაბრუნება, სადაც თვითონაც მიეიდა ზღვით ოქტომბრის შუა რიცხვებში. მის მიერ დატოვებული ჯარი საკმარისი იყო იმისათვის, რომ გაედიდებია მისი დასაპყრობი ადგილები მომავალ წელს...

იმ დროს, როდესაც რუსები თანდათან იპყრობდნენ ირანის ჩრდილო პროვინციებს, ამ უიღბლო ქვეყანას დასაღელეთიდანაც დაემუქრა ახალი საშიშროება. გაიგეო რა საბედისწერო მდგომარეობა შაჰ ჰუსეინისა მისი ელჩის საშუალებით ოტომანის პორტამ გადაწყვიტა ესარგებლა ამ მდგომარეობით.

შაჰ ჰუსეინის შემდეგ მისმა მემკვიდრე შაჰ თამაზმა თავრიზში გამაგრებისა და შაჰის ტიტულის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გაგზავნა შიკრიკი ვახტანგთან, საქართველოს მეფესთან, თან გაატანა ბრძანება—დაუყოვნებლივ გაემგზავროს თავრიზს ახალი შაჰის პატივსაცემად. ვინაიდან თამაზ გაბოროტებული იყო იმით, რომ ვახტანგ აღარ წავიდა მათ დასახმარებლად ისფაჰანს, ამიტომ ეს მოთხოვნა ისე იყო ფორმულირებული, რომ მან გამოიწვია მხოლოდ გაგულისება ამ, თავისი ბუნებით, ამაყი კაცისა, რომელიც ძალიან მცირედ თუ იყო ხოლმე განწყობილი სხვის დასაჯერებლად. ვალი გადაირია და ბრძანება აინუნშიაც არ ჩააგდო (ფეხქვეშ გათელა). ის უკვე ადრევე დგამდა ნაბიჯებს, თავისი ტერიტორიის რუსეთისათვის დამორჩილებისაკენ მიმართულს და ახლა კი (თებერვლის ბოლოს), გრძნობდა რა ხალხის ურჩობას თვისადმი, მისწერა წერილი სტამბოლს—წინადადებას იძლეოდა ყოველ წელს პორტას აძლიოს 24 ჭისა ფული (2400 გირ. სტ.), იმ პირობით კი, რომ ის დაეხმარება მას შეინარჩუნოს ხელისუფლება და ის პრივილეგიები, რომლებიც ირანის შაჰებს მიუნიჭებიათ მისი წინაპრებისათვის და მთელი მისი ხალხისათვის მთლიანად.

ვახტანგმა ვერ მოასწრო ამისი სისრულეში მოყვანა, რადგანაც მარტში თამაზმა ის ჩამოაყენა და მის ადგილზე დანიშნა შუჰამედ ყული-ხან კახეთის თავადი. აგრეთვე წარმომადგენელი ქართველ მეფეთა გეარისა. ამის შემდეგ მალე გაჩნდა ახალი მეფე ტფილისთან, რომ შესულიყო თავის სამფლობელოში. მაგრამ რაკი აღარ აღმოაჩნდა საკმარისი ჯარი იმისათვის, რომ გამკლავებოდა ვახტანგს, რომელსაც მოესწრო ხალხის შეიარაღება. იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო თავის საბრძანებელში.

როგორც კი მივიდა იქ, შეკრიბა ყველა თავისი მხედარმთავრები და შეჰკრა პირობა თვის მეზობელ ლეკებთან, რომლებმაც გადასცეს მას რაზმი 7.000 კაცისაგან შემდგარი. ამან იმდენად გაზარდა მისი ძალები, რომ 8 მაისს ის კვლავ გაჩნდა ტფილისთან.

1724 წ. უზურპატორი მაჰმუდი პროვინციიდან დაბრუნდა ისფაჰანს, სადაც ის მივიდა მარტის ბოლოს. როდესაც ის შედიოდა ქალაქში, მასში გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვია განსაკუთრებულმა შემთხვევამ. როგორც კი დაინახა მისი ჯარები, მამაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი ქალი ცხენით გაექანა მათ შესახვედრად. ეცა მათ და მოკლა 20 ავღანელი მანამდის, სანამ დანარჩენებმა მოასწრეს გონს მოსვლა და მისი დაჭერა. ეს ქალი იყო საქართველოში დაბადებული ქართველი და იმ ზომამდის ფლობდა თურმე თავისი ეროვნების სამხედრო მიდრეკილებათა ნიჭს, რომ გადაუწყვეტია შური ეძია თავის ქმრის სიკვდილის გამო. რომელიც მოკლულ იქნა აბასაბადის ხიდზე ისფაჰანის აღების დროს. ამ მიზნით (სამაგიეროს გადახდის მიზნით) თავისი ორი ბავშვი და ქონება მას ჩაუბარებია თავის ძმისთვის და, მიუხედავად მგზავრობის მთელი სიძნელეებისა, ჩამოსულა აქ საქართველოდან. ერთობ დასახიჩრებული ის მიუყვანეს მაჰმუდს. როგორც კი გაიგო, რომ ეს ქალია, ის განცვიფრებული იყო მისი თავგანწირვით და ბრძანა, რათა მას მოეპყრან მთელი ყურადღებით, რომელსაც ის იმსახურებს თავისი სიმამაცის წყალობით".

შაჰ ნადირის დროსაც აქვს ჰანვეის აღნიშნული ქართველთა მოქმედებანი. ქალაქ მაშადის ჩრდილოეთით სულთან-მაიდანის დავაკებაზე. გზის ფსკერზე ნადირმა მოიწვია თავისთან რამდენიმე წინამძღოლი უზბეკთა, თურქმენთა და სხვა თათართა, რაც მისი არმიის უმრავლეს ნაწილს შეადგენდნენ და ჩამოართვა მათ ფიცი დაჯერებასა და საიდუმლოს შენახვაში; რის შემდეგ ამცნო მათ თვისი გეგმა, რაც გამოიხატებოდა იმაში. რომ უნდა ამოეწყვიტათ ყველა ირანელი (სპარსელი) მის ბანაკში და შეუთანხმდა მათ—შუა-ღამეს გაუშვებს მაშხალას, როგორც სიგნალს ჟლეტის დასაწყებად... **ერთმა ქართველმა ნადირის კარავში მყოფმა შენთხვევით მოისმინა ამ მოლაპარაკების ნაწილი** და განსაკუთრებით ის, სადაც ირკვეოდა ეს სისხლისმღერელი განზრახვა. მან **დაუყოვნებლივ გაუმეღავნა საიდუმლო** ყორჩი-ბაშს, რომელმაც, შეღამებისთანავე, მოიხმო თვისთან არმიის მთავარი სპარსი ოფიცრები და ამცნო მათ ეს საზარელი ამბავი.

უშიშარმა ოფიცერმა, ავშართაგან შემდგარი გვარდიის მცველთა პოლკოვნიკმა შალეხ-ბეგმა შესთავაზა მათ თვისი სამსახური და ითხოვა მხოლოდ, მიეცათ მისთვის ოთხი კაცი თანაშემწედ.

რადგანაც დადგა უკვე ჩვეულებრივი დრო შაჰის მოსვენებისა, დასაძინებლად წასელისა და რჩებოდა მხოლოდ რამდენიმე საათი სიგნალის მიცემამდის. შალეხ-ბეგმა თავისი თანამგზავრებით—სასწრაფო საქმის მომიზეზებით—გაიარეს მცველთა გვერდით და როდესაც შეეიდნენ ჰარემის შიდა ტერიტორიაში, შეხვდნენ ევნუხს, რომელიც მათ მოჰკლეს. შემდეგ ჰარამხანაში შესვლისას ნახეს მოხუცი ქალი, რომელიც აგრეთვე მოჰკლეს. მათ მაინც აღარ იცოდნენ, რომელ კარავში ეძინა ნადირს. მაგრამ ბოლოს სანთლის შუქზე მათ შენიშნეს ერთერთ კარავში ძვირფასეულობანი. მაშინ ისინი შეევარდნენ იქა და ნახეს იქ ნადირ. ის ან ჯერ კიდევ არ დაწოლილიყო დასაძინებლად, ანდა გამოაღვიძა მოკლული ქალის ყვირილმა და წამოდგა თავისი საწოლიდან. როდესაც მკვლელები მიუახლოვდნენ მას, ნადირმა იშიშვლა თავისი ხმალი და შეეკითხა: თუ რა უნდათ მათ. შალეხ-ბეგმა ხმა არ გასცა, მხოლოდ დაუყოვნებლივ დასცა მას ხმალი მარცხენა ლავიწზე. ამან ვერ შეუშალა ხელი შაჰს მოეკლა ორი ჯარისკაცი, რომლებიც მიუახლოვდნენ მას შალეხ-ბეგის მიერ დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ამის შემდეგ მან დაიხია კარვის სიღრმისკენ, მაგრამ წაიფორხილა (გაბმულ) ბაწრებზე და მაშინ შალეხ-ბეგმა მიაყენა მას სასიკვდილო ჭრილობა. ნადირმა დაიყვირა: „შემიბრალეთ და მე ყველას ვაპატიებო“, რაზედაც ოფიცერმა უპასუხა:

„შენ არ იჩენდი შებრალებას და არც დაგიმსახურებია იგი“.

ამგვარად, „შალეხ-ბეგმა სისრულეში მოიყვანა ეს მნიშვნელოვანი საქმე - მოჰკვეთა ნადირ შაჰს თავი“.

IV

აქ მოტანილი ცნობები ინგლისელი ჰანვეისა ეხება სწორედ იმავე ეპოქას, რასაც გაეცანით სეხნიას მიხედვით. ამიტომ ბუნებრივია შევადაროთ მათი ცნობები ერთურთს საქმის ობიექტური ვითარების გამოსაცნობად.

ამ ორივე ავტორის მიხედვით მტკიცდება შემდეგი:

1. ეს შესანიშნავი პიროვნება (გურგინხან—ჰანვეით) „იძულებული იყო პირადად გამოცხადებოდა და პატიება ეთხოვა შაჰისაგან—რაკი განუდგა მას უმრავლესობა ქვეყნის თავადებისა. რომლებიც მოსყიდულ იქნენ ირანის სამეფო კარის მიერ“ (ჰანვეი).

2. თუმცა ის გამაჰმადიანდა, მაგრამ მაინც ჰქონდათ მისი შიში, ამიტომ „შაჰის სამეფო კარზე აღარ იცოდნენ რა ზომები მიეღოთ, რომ ისარგებლეს ამ მოულოდნელ შემთხვევით (ავღანელების აჯანყებით)—ასე უცბათ რომ გამოტყუერა და გადაწყვიტეს, გაგზავნონ ყანდაჰარში ეს პრინცი, რომლის მხნეობასა, სიმამაცეს და სხვა დადებით სამხედრო თვისებებს შეეძლოთ გაეხადათ ის საშიშ პიროვნებად სხვა პროვინციებში“ (იგივე).

3. ავღანელი ტომების წინამძღოლთა შორის ირანის ხელისუფლებისათვის ყველაზე უფრო საშიში ყოფილა მირვეისი, რომლის შესახებ გიორგი წერდა თურმე სამეფო კარს, რომ „მირვეისი წარმოადგენს დაუდეგარ ადამიანს, რომლის მიმართ უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ღონისძიება მისი იქ გასაჩერებლად; რომ ის არის გარდასულ უთანხმოებათა და უწესოებათა სულისჩამდგმელი და თავისივე ხასიათით განწყობილია ახალ-ახალ არეულობა-

თა გამომწვევ პიროვნებად... **ისეთ არეულობათა, რომლებიც შეიძლება სახიფათონი აღმოჩნდნენ სახელმწიფოსათვის**" (იგივე). „მას (მირვეისს) უნდა არეცა ამა ქვეყნისა, ნუღარ' გამოუშვებთ, თვარამ ერთს რასმე მოახდენს" (სეხნია).

4. შაჰის კარზე საქმის მოგვარებით მირვეისი უკან იგზავნება გიორგისთან. „როდესაც მირვეისი ტყედ გადმოიგზავნა ისფაჰანში, ფათჰ-ალი-ხანმა აიყვანა ის თავის მფარველობის ქვეშ და გააგზავნა ისევ უკან ყანდაჰარში" (ჰანვეი).

5. უკუმდგარ აღანელებს შეუსია გიორგიმ თავისი ერთგული რაზმი ქართველებისაგან შემდგარი (ჰანვეით ათასამდის იყვნენ ისინი). თვითონ კი მას „ჯარი აღარ ახლდა" (სეხნია).

6. გიორგის მოკვლის შემდეგ ამოხოცეს აგრეთვე ყანდაჰარს დარჩენილი ქართველები. „თავიანთი უფროსებისა და ოფიცრების ტრაღიკული ბედი გაიზიარეს აგრეთვე ქართველთა დანარჩენმა რაზმებმაც, რომლებიც იმყოფებოდნენ ყანდაჰარში" (ჰანვეი). „ვინცავინ ქართველი დარჩომილიყო, ამოსწყვიტეს. შევიდა ციხესა ყანდარისასა; აიფორიაქეს საქონელი. რაც ქართველი იყო ციხეს შიგან ამოსწყვიტეს" (სეხნია).

7. აჯანყებულ აღანელებთან ბრძოლაში გამარჯვებული ქართველი რაზმები უკან დაბრუნებულნი სასტიკ ომს გადაიხდიან მირვეისის ჯართან და ბრძოლით დატოვებენ ამ პროვინციის საზღვრებს—„რეა დღის განმავლობაში გასაოცარი სიმამაცით ქართველები ბრძოლით იხევდნენ პროვინციის ტერიტორიაზე და ბოლოს დატოვეს მისი საზღვრები" (ჰანვეი). „ქართველი რაზმები რა ყანდაარს მოვიდნენ, შეექნათ ომი ფიცხელი... ამაშიგან გამოეცალნენ ქართველნი. დაუწყეს უკან დევნა და ომი ფიცხელი" (სეხნია).

8. მრავალრიცხოვანი ჯარი ქართველი სარდლის ხოსრო ხანის წინამძღოლობით იგზავნება ყანდაჰარისაკენ (ჰანვეით 30000 ირანელი და 1200 ქართველი). ხოსრო ხანის მოთხოვნით „შეყარა ბატონიშვილმა ვახტანგ ჯარი, უთაეა მუხრანის ბატონი პაპუა და თითო სახლის დარბაისლის შვილები. ჩავიდნენ მაშათსა. იქიდან მობრძანდა მეფე ხოსრო... მივიდა ციხესა ყანდაარისასა. შემოეგება მირვეისი. გაემარჯვა მეფესა" (სეხნია).

9. გადამწყვეტი ბრძოლის დროს „გამოექცა თათარის ჯარი მეფესა. დარჩნენ ზოგნი ვინმე ქართველნი" (სეხნია). „მირვეისი 16000 ცხენოსანით თავს დაესხა ირანის ჯარებს, რომლებიც პირველი შეტაკებისთანავე შეუდგნენ გაქცევას. გენერალი ცდილობდა დაებრუნებინა ისინი უკან, მაგრამ შიშისაგან იმდენად დაჩლუნგებულა მათში ყოველგვარი დისციპლინა, რომ მისი ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა და გადასწყვიტა, ასეთ შერცხვენას ცოცხალი აღარ გადარჩენოდა—ქართველთა მცირე რიცხოვანი რაზმის სათავეში მოქცეული გაექანა პირისპირ აღანელებისაკენ და მოკლულ იქნა გასაოცარი სიმამაცით თავის დაცვის პროცესში" (ჰანვეი). —„ჩემისა სიცოცხლისათვის არა მოვაყივნო თავი, არცა გვარი ჩემი.—მიჭესლა ცხენი. შეერია შიგა, ვითარცა ქორი კაკაბსა გუნდისასა..." (სეხნია).

10. შაჰის სამეფო კარს ეშინია საგრძნობი ქართველი ჯარის შემოყვანისა ირანში, ქართველებს წინადადება მიუციათ შაჰ ჰუსეინისთვის „რომ ისინი ჩა-

აქრობენ აჯანყებას იმ პირობით, უკეთუ არმია შედგენილი იქნებოდა მხოლოდ ქართველებისაგან... **მეფეს შეეშინდა იმისა, რომ მათ შეეძლოთ მისდა სახიანოდ გამოეყენებინათ თვისი წარმატებანი და უარი თქვა ამ წინადადებაზე**" (ჰანვეი). „**თუ მეფე ვახტანგ ჯარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო**" (სეხნია).

მოტანილი და სხვა ადგილების შედარებიდან ცხადად ირკვევა ამ ორი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ავტორის ცნობათა იშვიათი იდენტობა. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ვახტანგის მოღვაწეობიდან ასეთი დეტალიც (ორივეს ერთნაირად აქვს): ლეკების გასანადგურებლად შეყარა მრავალრიცხოვანი ჯარი (ჰანვეით--60000 კაცი), მაგრამ შაჰის ჩარევის გამო ლაშქრობა ჩაშალა, რის გამო სამუდამოდ შეაქცია ზურგი ირანთან კეთილგანწყობილებას.

მიუხედავად ასეთი ზუსტი იდენტობისა, ამ ავტორთ შორის არის სხვაობაც. მთავარია მათ შორის გიორგი მეფის სიკვდილის აღწერა. როგორც აღნიშნული იყო თავის ადგილას, სეხნია ჩხეიძე პირადად არ დასწრებია ყანდაჰარში დატრიალებულ ტრაღედიას. მაშინ ის საქართველოში იცყოფებოდა და, მაშასადამე, აღნიშნული ვითარებაც აწერილი ექნება უთუოდ სხვათა ჩვენების მიხედვით. სეხნიას ვერსიით გიორგი მოკლულ იქნა მირვეისის მომხრეთა მიერ და მისვე თანდასწრებით აშკარა შეტაკების დროს. ჰანვეის ცნობით კი ცბიერ ავღანელს მოუდუნებია მისი სიფხიზლე და ღალატით მოუკლავთ, როგორც ის, ისე მისი ოფიცრები კარვებში--ლხინისა და ღრეობის შემდეგ—წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

სიმართლესთან ახლო უკანასკნელი ვითარება უნდა იყოს.

დასასრულ აქვე ვურთავ ხსენებულ წყაროებში აღნიშნულ ვითარებათა მაილუსტრირებელი ფირმანებიდან ორ დოკუმენტს:

ფირმანი 3 (№ 338)

სპარსული ტექსტი

ჰოქმე ალი შოდ ანქე ჩუნ აზ ინ ქაიხოსრო საგინაშული დარ მაჰალე ყაიყალუ ქე ხუდ დარულა ვა ხასადარ მაჰალე მაზქურ ბუდე ჩანდ ნაფარ მოლაზემან... ნავაბე ირანმოდარი ეთემად ოლ დოლე ალიეჲ ალალიერა ქე ბეამრე საედეგარი მაშღულ ბუდე-ანდ დარ ან ჰავალი მაყთულ ნუმუდე ვა ხუდ ფარარ ეხთიარ ქარდა...

ბეთარაფე ოლქაჲე რუმიიდეე შუმიე რაფთა ბენაბარ ხაჲანთი ქე დარ ბარაჲე მო' მენინ ქარდა აზ ებთედაჲე დო მაჰე ლუიიდილ ბე მავჯუნი ქე დარ ზაალ ბეხათე გორჯი ნეეშთა შოდა ხასადარი მაჰალე მაზქურ ვა დარულაგი ყარდაჲე ყეზელ-ქელისია ვა ურთულირა ყათ' ვა ბე ზობდათოლ ეყირან ოთარბეგ ვალადე რეჩ'ათ ფანა(ჰ) ასლანბეგ ბარათაჲლი შაფაყათ ვა მარჰამათ ნუმუდ'არზანი დაშთიმ რაჲაჲ ვა მაზარე ან მაჰალე მაზბურ ვა ქადხოდაჲან ვა რიშსაფიდანე ყორაჲაჲე ვაყყე ოთარბეგ მოშარელეჲრა ხასადარ ვა დარულა მოსთაყელე ხუდ დანისთა

ბეჰარჩე ვა მალუჯაჰათ ვა ეუჯუჰათე დივანიე ხოდრა სუი ყაზაგა აბა'ა ბეუ რაფ' ნომაგანდ ქე მოვაფეყ ჰაყო ჰასაბე ფორსაშ ვა ფარდი (? ...) ნომაგად ვა თარიყეგე ხასადარ ვა დარულაგე შუმიელა ან ქე ჯარიმეგე ფარახურ გუნა(ჰ) მოჯრემ ბაზგაფთ ნომაგად ვა ბა რეაგა ვა მოჯაზა ვა საქინ ნავ'ი სოლუქ ნომაგად ქე ჰამაგი მორაფა ვა ასუდე ბაშანდ ამალ ვა მობაშარინ ვა მოსთავაფი სარქარე ალი ჰასაბ ოლ მასთურ მოყარარ დანესთე დარ დაფთარ საბთ ვა ამალ ნომაგად ვა ჰარ სალე ჰოქმ მოჯადად თალაბ ნადარად დარ ინ მაბ ყადაღან დანესთე დარ აჰდე შენასად.

თაჰრირან ფი შაჰრე რაბი-ოს-სანი სანაგე 1100. № 338

თარგმანი

გამოვიდა უმაღლესი ბრძანება მასში, რომ რადგანაც ამასწინათ ქაიხოსრო საგინაშვილის რაიონ ყაიყოლუში, სადაც თვით არის ტარუღად და რაზმის უფროსად, რამდენიმე მონამ მოკლა ნავაბე ირან მოდარი (ირანის მესვეურთა პატივსაცემი) აღმატებულთა [შორის] აღმატებული ე'თიმად დოვლე, რომელიც სოფდაგრის აქმიანობაში იყო გართული, და თავად არჩიეს გაქცევა უბადრუკ თურქეთის ოლქებისაკენ—[ამიტომ] იმ დანაშაულის შესაბამისად, რაც ხსენებული შემთხვევით იქნა ჩადენილი, ლეკი იდლის (ნიანგის წლის) მეორე თვის დასაწყისიდან, როგორც ეს აღნიშნულია ქვემორე ამისა ქართულ ენაზე, გაუქმებულია ხსენებული რაიონის რაზმის უფროსობა და ტარუღობა სოფლების ყიზილქილისიასი და ურთულისა და გვიწყალობებია უდიდებულესობის საფარველ ასლან ბეგ ბარათაშვილის ძის პატივდებულთა [შორის] რჩეული ოთარბეგისადმი.

აღნიშნული რაიონის გლეხობა, მიწის მუშები, მამასახლისები, ოჯახის უფროსები თავის მართველად და ტარუღად აღიარებდნენ ამიერიდან ოთარბეგს, ყოველგვარ თავის [კუთვნილ] სახელმწიფო გადასახადის და გამოსაღების [ნატურით—ღალის სახით] ერთ მეოთხედს მისთვის გაიღებენ, რათა სიმართლისა და კეთილგონიერების თანახმად რაზმის უფროსობისა და ტარუღობის (ხაზით) საჯოს მან თვის ხელქვეით მყოფი მცხოვრებლები—დანაშაულისა და ბოროტებისათვის მიაყენოს სასჯელი დამნაშავეს, ხოლო [სხვა] გლეხებისა და მცხოვრებთადმი გამოიჩინოს ლმობიერება, რომ ყველანი მყუდროებასა და მოსვენებაში გრძნობდნენ თავს.

უწყოდიან რა ესე სახელმწიფო მოხელეებმა, უმაღლეს კონტროლიორებმა, თანახმად მოხსენებულისა გაატარონ დავთარში და იქცეოდიან [მისივე წესების მიხედვით], ხოლო ბრძანება ყოველწლიურ განახლებას აღარ მოითხოვს [არ საჭიროებს].

ეს ბრძანება მიღებულ იქნეს შესასრულებლად და მითვე იხელმძღვანელონ.

დაიწერა თვესა რაბიოს—სანი 1100 (1689 წლის 24 იანვრიდან 21 თებერვლამდის).

ფირმანი 4 (№ 126. იქიდანვე)

სპარსული ტექსტი ქართული ასოებით

სოლთან ჰუსეინ ყადასა ლ-ლაჰუ სირაჰუ.

ჰოქმე ჯაჰანმოთა შოდ ანქე თავლიათ ვა ადალათ ვა შაექათ ფანა(ჰ) ჰაშამათ ვა ჯალალათ დასთგაჰ ალიჯა(ჰ) ამირ-ოლ ომერაჰე ალ' ეზამ ნეზამან ლილ თაელია ვაშ შაექა ვალ ჯალალა ვალჰაშამა ვალ ეყბალ ალაერდი ხან მოთაელიე მეზარე ქასირ-ოლანგარ სოლთან ალ არეჴაინ ვა ბეგლარ ბეგიე შირვან ბე შააჴე შაჰანქ სარაჴარაზ გაშთ ბედანად ქე ყაბლ აზ ინ ან ალიჯა(ჰ) ნეიშთიე დიდოჴალ ვა თარჯომიჰე ანრა ჴერესთანდ არზი ქარდა ბუდ ქე ქახეთრა ჯამაანთე დაღესთანი თახთა ამვალე გორჯიანრა ბორდაანდ ვა არყამე ყაზაიამაყამ ბე ესმე ან ალიჯა(ჰ) ვა ალიჯაჰე შამხალე შარაჴ სუდურ იაჴთ ქე ბე თანბია ვა ბაზხასთ ვა ესთერდანდე ამვალე მანჰუბე ვა ოსრაჰე გორჯიან ეყდამ ნომაჰანდ ვა დარ ინ ვაყთ რევაზ (რივას) ბეგ ნაიბე ალიჯაჰე ვალი(ჲ) ე ქახეთ არზი ქარდა ბუდ ქე ალი სოლთან ჰაქემ ზახურ ქე ნაიბე ანალიჯა(ჰ) ასთ ჯამ' ი ქასირ აზ ლაზგი ვა დაღესთანი ვა ჯარ (ჭარ) ო მაჰრაჭ (მახრაჯ?) ვა თალალი ვა ჰასჰალრა ჴარაჭამ აეურდა ვა ბე თახთე ქახეთ აყდამ ნუმუდე ვა ბარ სახე რევას ბეგ ნაიბე ალიჯაჰე მოშარელა რიხთა ვა ჯამ'ე ქასირი აზ გორჯიანრა მაყთულ ვა ასირ ვა მოვაზი დაქ ჰაზარ რა'ს ასბ ვა გაე ვა გუსჴანდ ბე თარაჯ ბორდაანდ ვა აქსარე მაჰალე ან სარეჰადრა ხარაბ ქარდა ვა მაჰალე ანისრა (?) მოთასარეჴ შოდა ანდ ვა ბე ალჴე'ლ ჰაქემ ზახურ დარ ანჯა ნეშასთა ვა აზ ინ ყარარ თაყსირ აზ ან ალიჯა ასთ ქე ბე თაღიბ ნაიბ ხუდ აყდამ ნანუმუდა ქე მორთაქებე ჩენინ ჰარაქათ შოდა ვა ბაზ აზ მაყამე ბიჰჯანიდ ჴურუდ ნიამადა მაჰალე ანისრა თასაროჴ ქარდა ვა ნეშასთა ჩუნ ბარ მაზმუნე რაყამე ამრაჴ მოთალე გარდად მო'თამედირა თა'იინ ვა ბე ჯამ'ი აზ მოლაზემანე ხუდ ქე ზორურ დანად ბა რაყამი ქე ბე ესმე უ სადერ შოდა ვა დარ თაი ინ რაყამ ნაზდე ან ალიჯა(ჰ) ჴერესთანდა მიშავად ბე ქახეთ ჴერესთად მოყარარ დარად ქე აზ რუიე დეყათ ვა ეჰთემამე თამამ ბე ჰაყიყათ მარათებე მა'რუზა რასიდა' მორთაქაბინ უმურე მაზბურარა თანბია ვა თაღიბ შაჯასთა ვა ამვალე მანჰუბა ვა ათჴალ ვა ავარათე ასირ შოდა გორჯიანრა გერეჴთა' ბე ნაიბე მაზბურ სეფორდა ელთეზამ აზ მორთაქებინ ბაზჯანჴთ ნომაიად ქე მენ ბა'დ მორთაქებე ჩენინ ბი ჰესაბათ ნაგარდანდ ვა ჰაქემ ზახურრა ნაზლე ან ალიჯა(ჰ) ავარად ქე სოხანჰაჯე ურა ჰამ შანიდა ჰაყიყათრა ბე არზი აყდას რესანად ქე ბე ჰარჩე სანი ალჰალ დარ ბარაჯე მოშარ–(ონ)-ელაჯჰ მოყარარ გარდად ბა ამალ ჯად ვა ნაჰვი ნაშავად ქე მენ ბა'დ რევაზ ბეგ (რევას) მაზბურე შუგუჰ აზ ან ჯამათ არზი ნომაჯად ქე ბაესე ბაზხასთე აზიმ აზ ან ალიჯა(ჰ) ავალან ვა სანიან აზ ჰაქემ ზახურ ვა სარ მორთაქებინ ხელაჴე ჰასაბ ხაჰად შოდ.

თაჰრირან ყი შაჰრე ზი ჰაჯათ-ოლ ჰარამ სანაჯე 1114. (№ 126)

თარგმანი

წმიდა ყავნ ღმერთმან საიდუმლოებაჲ სოლთან ჰოსეინისი!

გამოვიდა უმაღლესი ბრძანებულება:

მზრუნველობისა, მართლა-გამგეობისა და სიდიადის თავშესაფარმა, წარჩინებულებისა და ბრწყინვალების თაიგულმა, ამირთა-ამირებს [შორის] მაღალ ადგილოვანმა, [სახელმწიფო საქმეთა] მოწესრიგების დიდმა [რწმენებულმა], მზრუნველობითა, ცადებითა, სიდიადით, დიდ ბუნებოვნობით და წარჩინებულობით [აღჭურვილმა], წმინდა საფლავთა უხვი სხივოსნობით მოსილმა, შაჰური წყალობით აღმატებულმა, შირვანის საბეგლარბეგოს სულთან არეფანმა— გაბედნიერებულ ალაევრდი ხანმა უწყოდეს, რომ ამას წინეთ ის მაღალადგილოვანი, გამოეგზავნა რა დედოფლის საკეთილმსახურო სიგელი მისი თარგმანითურთ, მოგვახსენებდა—კახეთს დაეცნენ დაღისტნელები, წაიღეს ქართველების ქონება და ადგილობრივი საქმიანი დოკუმენტები იმ მაღალადგილოვნის სახელზე [გამოცემული]. ხოლო მაღალადგილოვანი პატივდებული შამხალი გამოცხადდა [წინადადებით] აანაზღაურონ [ყველა ზარალი] და დააბრუნონ დატაცებული ქონება და ტყვე ქართველები, [რაშიაც] იჩენენ [დიდ] ცადებას. ამჟამად კი კახეთის მართველის ნაიბი რევაზბეგ მოგვახსენებს, რომ მისი უმაღლესობა სულთან ჰაქემ ზახურ, იმ მაღალადგილოვანის ნაიბი, შეყარა რა მრავალრიცხოვანი ბრბო ლეკებისა და დაღისტანელების: ჰარო-მოხრაჰთა, თალალთა და ჰასჰალთა, გაემართა შეტევით კახეთისაკენ და დაეცა რევაზბეგს, ხსენებული მაღალადგილოვანის ნაიბს: დახოცეს მრავალი ქართველი და [დანარჩენი] ტყვედ წაიყვანეს; ამასთანავე (პარალელურად) ჩაიგდეს ათასი ცხენი, ძროხა და ცხვარი, მოსაზღვრე ადგილებში დაანგრიეს ბევრი სოფელი, დაეუფლენ ათნას (ანის?) ოლქს, რომელშიც ამხანად იმყოფება ჰაქემ ზახურ. ამ ნიადაგზე ადგილი მიეცა იმ მაღალადგილოვანის მხრით გულგრილობას, რომ თვისი ნაიბის შთაგონებით ესწრაფის უხეირო საქმეს და არ იღებს ხელს უსირცხვილო მოქმედებაზე—დაეუფლა ოლქს ანისს (?) და დაჯდა [იქ]. როგორც ეს ჩანს კეთილმსახურეული რაყამის შინაარსიდან სრულ ნდობას იმსახურებს, [ებრძანა] საჭირო კაცთა რაოდენობით, რასაც ჩათვლის აუცილებლად, მის სახელზე გამოსულ რაყამითა. რომელიც თანერთვის ამა ბრძანებულებას, გაემართოს იმ მაღალადგილოვანთან კახეთს იმ დადგენილებით, რომ ზედმიწევნითი დაზუსტებით და სრული მონდომებით დადგენილ იქნეს გარემოებათა ნამდვილი ვითარება, გამომჟღავნებულ იქნეს აღნიშნულ მოქმედებათა სიბოროტენი, დასჯანი და წაქეზებანი, ხოლო დატაცებული ქონება, ბავშვები, ქალები და ტყვე ქართველები ჩააბარონ ხსენებულ მაღალადგილოვანს, თან მიიღოს [სრული] გარანტია, რომ ამიერიდან აღარ ექნეს [მათ მიმართ] ადგილი მსგავს უსამართლო მოქმედებებს, ჰაქემ ზახურიც წარდგეს იმ მაღალადგილოვანის წინაშე, რომ მოსმენილ იქნეს აგრეთვე მისი სიტყვები, და ჰეშმარიტება [საქმის ნამდვილი ვითარება] ეცნობოს მის უმაღლესობას. გარემოებათა მიხედვით რაც იქნება დადგენილი აღნიშნულ [ვითარებათა] გამო მოყვანილ იქნეს სისრულეში [და არაეითარ შემთხვევაში] არ მოხ-

დეს, რომ ამიერიდან ხსენებული რევაზბეგი საჩივრით მოდიოდეს (მოგვახსენებდეს) უწყებულ საზოგადოებათა [მოქმედებებზე], რათა არ შეიქმნეს საბაბი სამაგიერო დიდ [დასჯათა] გადახდისა ჯერ ერთი იმ მაღალადგილოვნისაგან და მეორედ —[აცილებულ იქნეს] უკანონო მოქმედებანი [რასაც შეიძლება ექნეს ადგილი] ჰაქემ ზახურისა და სხვებისაგან.

დაიწერა თვესა ზი ჰაჯჯათ-ოლ-ჰარამ 1114 წ. (მაის—ივნისი 1703).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ ორი დოკუმენტის სრული ანალიზი, როგორც სპარსულსა, ისე ქართულ ნაწილში, მოცემული იქნება ცალკე, სხვა ფირმანებთან დაკავშირებით.

ლ. მუსხელიშვილი

დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს.

(მასალები სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის)

წინამდებარე ნაშრომი ამოღებულია ვრცელი სტუდიიდან, რომელსაც ავტორმა ხელი მოჰკიდა აკად. ივ. ჯავახიშვილის დავალებით ჯერ კიდევ 1928 წ. და რომელიც დას. საქართველოს ეკონომიურ ისტორიას შეეხებოდა XVI—XVIII საუკუნეებში.

XVI ს-დან მოყოლებული დას. საქართველო მიდიოდა საკუთარი, მრავალმხრივ თავისებური გზით. მაგრამ ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოსთან მას საერთო წარსული ჰქონდა და აღნიშნულ საუკუნეთა განმავლობაშიც კავშირი ამ ორ მხარეს შორის მჭიდრო იყო, მთელი რიგი ძირითადი საკითხების გასაშუქებლად აუცილებელი შეიქნა აღმოსავლეთი საქართველოს მონაცემის გათვალისწინება. ხოლო აღმ. საქართველოს ეკონომიური ისტორია XVI—XVIII საუკუნეებში ნამდვილ terra incognita-ს წარმოადგენს. ამ გარემოებამ ერთიორად გაზარდა სტუდიის თავდაპირველად განზრახული ზომა. მისი დამთავრება შეფერხდა, მით უმეტეს რომ ავტორს მას უკან თავისი მუშაობის სულ სხვა დარგში გადატანა მოუხდა.

ამ ექსცერპტის გამოქვეყნება ავტორს მაინც მიზანშეწონილად მიაჩნია იმდენად, რამდენადაც ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში თითქმის არა მოგვეპოება რა დას. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის აღნიშნულ ხანაში. ავტორი იმედოვნებს, რომ ეს ნაშრომი, როგორც მასალა, თავის დანიშნულებას შეასრულებს. მეტის პრეტენზია მას არა აქვს.

I

ვიდრე თვით საგანს შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია სამი თვალსაზრისით მისი ნიშანდობლივ განსაზღვრა.

1. ტერიტორიალურად ჩვენი მასალა ვრცელდება დას. საქართველოზე თითქმის მთლიანად. საბუთები შემონახული გვაქვს ამ მხარის თითქმის ყოველი კუთხიდან, აფხაზეთისა და სვანეთის გამოკლებით. ისინი დაახლოებით ერთსა და იმავე სურათს გვიხატავენ როგორც სამეფოში. ისე სადადიანოსა და საგურიელოშიც.

2. საგამოსაველო დავთრები და უმრავლესობა სხვა საბუთებისა, რომლებსაც მე ვემყარები, ეკუთვნის XVI ს-ის დამლევს და XVII-ის შუახანებს. ამგვარად ჩვენი საგნის ქრონოლოგიური მიჯნები უფრო ნიშანდობლივ ესაა. მაგრამ,

რამდენადაც მოგვეპოება, გამოყენებული მაქვს XVI ს-ის პირველი ნახევრის მასალაც. XVII ს-ის მეორე ნახევარიც საკმაო რაოდენობის საბუთებითაა წარმოდგენილი, რომელთაგან ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში დამეხმარა. ზოგიერთი მოვლენის ასახსნელად და საილუსტრაციოდ მიმართავ XVIII ს-ის საბუთებსაც. სამწუხაროდ, XVIII ს-ის საბეგრო ნუსხები, ხონის საგამოსაელო დაეთარს გარდა, არ მოგვეპოება. რადგან XVIII ს-ში ბევრი რამ გამოიცვალა გრიგოლ კათალიკოზის რეფორმების შემდეგ, ამ ხანის საბუთების გამოყენება სიფრთხილეს მოითხოვს.

3. ჩვენი საბუთების დიდი უმრავლესობა საეკლესიო ხასიათისაა[1]. მართალია, ამ საბუთებშიც მოიპოება აქა-იქ ცნობები საერისკაცო (სააზნაურიშვილო და სამეფო) გლეხების შესახებ, მაგრამ ეს მასალა იმდენად ნაკლულოვანია, რომ მაზე დაყრდნობა არ იქნება. მთავარი წყარო საერისკაცო გლეხობის ვითარების შესასწავლად XVII ს-ის შუახანებში ჯერჯერობით ისევ არ ქ. ლამბერტის გადმონაცემია. მაგრამ ლამბერტის ცნობები ზოგად ხასიათს ატარებს და ისიც მხოლოდ ოდიშს შეეხება. ამიტომ მე იძულებული ვიყავი მხოლოდ საეკლესიო გლეხების ვითარება განმეხილა. უნდა კი აღინიშნოს, რომ როგორც ლამბერტის მონათხრობი, ისე ის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც საეკლესიო საბუთებშია გაბნეული, საფიქრებლად ხდის, რომ საერისკაცო გლეხობა ისეთსავე, ან თითქმის ისეთსავე კატეგორიებად იყო დაყოფილი, როგორც საეკლესიო.

II

XVI– XVII სს-ში **„გლეხი“** საკმაოდ რთულ ცნებას წარმოადგენს.

1, „გლეხი“ კრებითი ცნებაა და გამონათქვამი „გლეხი ერთი“ ყოველთვის ერთ კაცს არ აღნიშნავს. როგორც კრებითი ცნება, „გლეხი“ უდრის „კომლს“. 1569 წლ. საბუთში, მაგ., ვკითხულობთ: „შემოგწირეთ... გლეხი გვ(ე)ნცელაძე ღმერთისიაი მისით შვილებით და ძმისწულითა... კვამლი ერთი“ (საეკლ. საბ. 118). 1685 წლ. საბუთში ეს უკეთაა გამოთქმული. აქ სწერია: კათალიკოზმა „ორი გლეხი გვთხოეთ და მოგართვით. ერთი კვამლი კაცი ახალდაბას, კუბლუასშვილი ნასხიდაი და ორი მისი ერ(თ)სახლი ძმები და მეორე გლეხი ხრესილზედ, გიორგა ობოლაძის შვილები, ზაქარია, ხახუტა, გიორგი და ქრისტეშია. ეს ორი მოსახლე... გლეხი მათის ცოლშვილითა, ერ(თ)სახლის ძმითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, ტყითა, ეელითა“ და სხვ. „მოგვირთმევიაო“ (იქვე 80). აქედან ნათლად ჩანს, რომ „გლეხი“ შეიძლება ოთხ კაცსაც აღნიშნავდეს მათი ოჯახებითურთ. ამასთანავე, უპირატეს გლეხად ითვლება უფროსი მამაკაცი კომლში და შემდეგ უმცროსი მამაკაცობა, ხოლო დედაკაცები და წვრილშვილი „გლეხად“ არ ითვლებიან, ამ ცნებაში არ შედიან, ესენი „გლეხთან“, „მისნი“ არიან ისე, როგორც მისი სახლკარი, ჭურ-მარანი და სხვ.

[1] დ. ფურცელაძის «Дворянские» და «Крестьянские грамоты» მხედველობაში მისაღები არაა, რადგან მათი გამოყენება, თუ შეუძლებელი არა, ყოველ შემთხვევაში მეტად საფრთხილოა. სრულიად გამოუყენებელი დამრჩა აგრეთვე სასისხლო სიგელები (რომელთა უმრავლესობა ყალბია), რადგან მათი დათარიღება–სპირს.

2. „გლეხი" მემკვიდრეობით მიწაზე მჯდომს ეთქმის, ის უდრის „მოსახლე კაცს". ასე, მაგ., აფხ. საქ-ზო დიდ იადგარში[1] ეკითხულობთ: „თუ გლეხი იყოს რომელმან ჰკადრა (უპატიება), მისითა მამულითა საყდარს დაეურვოს" (გუჯრები 132—საისტ. მ-ბე 1925 II 184), ე. ი. გლეხი წარმოდგენილია მხოლოდ მისი მამულითურთ. მართლაც, გლეხი ჩვენს საბუთებში ყოველთვის შეიწირება „მისითა სახლ-კარითა, მამულითა" და სხვ. და როდესაც, მაგ., ლევან დადიანის შეწირულობის სიგელში ეკითხულობთ: „შეგვიწირავს... ორი მოსახლე... მესამე და მეოთხე მოსახლე" და ა. შ. (საეკლ. საბ. I 43), ყველგან შეგვიძლია „მოსახლეს" მაგივრად „გლეხი" დავსვათ ისე, რომ წინადადების აზრი არ შეიცვალოს. მართალია, ყოველი „მოსახლე" გლეხი არაა, მაგრამ ყოველი გლეხი მოსახლეა, თუ არა და „აყრილი გლეხი", „უალაგოდ" დარჩენილი (იქვე 55) უნდა იყოს. ტერმინს „კუამლი" ცხოველად შენარჩუნებული ჰქონდა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და ზოგან ასეთ გამონათქვამებს ეხვდებით: „რასაც კუამლი ამოსდიოდეს" ესა და ეს ბეგარა გამოიღოსო (იქვე 23). სრულიად უმიწო, უსახლკარო გლეხი ჩვენს საბუთებში გარკვეულ ხანამდე არა ჩანს.

3. დასასრულ. „გლეხი" დას. საქართველოში, ვიდრე XIX ს-ის შუახანებამდე, არ ნიშნავდა ერთი სოციალურ-ეკონომიური ფენის კაცს, გლეხობა არ წარმოადგენდა ერთ მთლიანს წოდებრივ ფენას. გლეხი რამდენიმე კატეგორიისა იყო და ამ კატეგორიათა შორის დიდი სოციალურ-ეკონომიური სხვაობა არსებობდა.

---

[1] საკათალიკოზო იადგარი ნატყუარი საბუთია, მაგრამ მაინც ვიყენებ აქ და ერთგან ქვემოთაც იმ მოსაზრებით, რომ ყალბისმქნელი იქ, სადაც ამას ნატყუარობის მიზანი არ მოითხოვდა, არ შეიტანდა მოგონილს და სინამდვილესთან შეუფერებელ ცნობებს. ეს იადგარი შეთხზული უნდა იყოს XVI ს-ის დამლევს (პირველი მინაწერი, ეფთვიმი საყვარელიძისა, დაახლ. ამ ხანას ეკუთვნის) და მას მიზნად ჰქონდა საკათალიკოზო მამულების და იურისდიქციის სრული შეუვალობის, ყმების სისხლის ფასის და, როგორც ჩანს, ზოგიერთი შეწირულობის დაყალბება. აი ამ ძეგლის ნატყუარობის ზოგიერთი ნიშნები: 1. რვა კათალიკოზის ხელრთვათაგან 3 პირველი იადგრის ტექსტის ხელითაა დასმული, ხოლო მე-4 და მე-5 სხვა, მაგრამ ორივე ერთი ხელით სწერია (ეჭვის მომგვრელია უკვე ის გარემოება, რომ რვავე ხელრთვა ხუცურია და არა მდივანმწიგნობრული (იხ. საქ. ცენტრარქ. გრაგნილი № 5033), 2. ბაგრატ III თავისავე თავს „დიდად" იხსენიებს, 3. მამია დადიანი (გარდაიცვალა 1532/3) წ. პირველი პირით ლაპარაკობს და დადიანებად იხსენიებს თავის ძეს ლეონს და შვილისშვილებს გიორგის და მამიას (გარდ. 1590 წ.), რომელთა დადიანობას, რასაკვირველია, ვერ მოესწრებოდა, ისე რომ გამოდის, თითქოს ყველა შეწირულებანი ოთხსავე ერთად გაეკეთებინოთ. ასევე იქცევა როსტომ გურიელი, რომელიც გურიელად ასახელებს თავის შვილს გიორგის, 4. გიორგი II სწირავს ხოშტიბელას და ჩუნეშს „ბიქვინტის ღვთისმშობელს", იმ დროს, როდესაც მისივე 1569 წლ. სიგლით მას შეუწირავს ეს ადგილები გელათის საქ-ზო წმ. გ-ის ეკლესიისათვის (საეკლ. საბ. I 17—19), 5. დიდი ნაწილი იადგარში შეწირულად მოხსენებული სოფლებისა აფხ. საქ-ზო დიდ დავთარში შეტანილი არაა (წუგნა, კუებლევი, კუხი, აითარნე, არუხა, რაბიწა და სხვ.), რაც გაუგებარი რჩება, თუ კი, როგორც კაკაბაძე ჰფიქრობს, ეს ძეგლი XVI ს-ის დამლევს შეუსიათ თუ „გადაუწერიათ", 6. სისხლის ფასი არაჩვეულებრივად მაღალია (მაგ. 600.000 თეთრი დასაურვებლად, 300.000 სიცხლად და 15.000 სანახშიროდ), მოგვაგონებს სასისხლო სიგლებს და ამ მხრით საერთო არა აქვს რა „კათალიკოზთა და კრებისა მიერ სამართალთან", რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1543—49 წლ.

ამ ძეგლის ნატყუარობაზე ყურადღება მიმაქცევინა აკად. ივ. ჯავახიშვილმა.

III

გლეხობის სოციალური დანაწილების საკითხს ძველს საქართველოში შეეხნენ, უფრო დაწვრილებით, ალ. ხახანაშვილი[1] და, გაკვრით, ს. კაკაბაძე[2].

ხახანაშვილის მიდგომა საგნისადმი მცდარია: ის არ არჩევს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, მთლიანად საქართველოზე ლაპარაკობს XVI—XVIII სს-ებშიც. რის გამოც შეუძლებელი ხდება გარკვევა იმისა, თუ რა არის სწორი სრულიად საქართველოსათვის და რა შეეხება მხოლოდ ამა თუ იმ მხარეს ჩვენი ქვეყნისას. შემდეგ: ხახანაშვილი ემყარება უცხო (ევროპის და რუსეთის) ისტორიის ფაქტებს და ქართული მოვლენებისათვის მზა-მზარეული სქემა მოაქვს გარედან. ამ ანალოგიის მეთოდის წყალობით მისი სწორი დასკვნებიც კი საეჭვოებენ ხელახალ გაცხრილვასა და დასაბუთებას.

ს. კაკაბაძესაც გლეხობის სოციალურ კატეგორიათა საკითხი XVI XVII სს-ების დას. საქართველოსათვის გადაწყვეტილი აქვს შეუსატყვისი მასალების მიხედვით: ის ეყრდნობა 1864 წლის ცნობებს, რომლებიც ეკუთვნის რუსის მოხელეებს და Борздин-ს. ამათი ცნობებით. ბატონ-ყმობის გადავარდნის დროისათვის, უველგან დას. საქართველოში გლეხები განიყოფებოდნენ ოთხ ფენად: აზატებად, მსახურებად, გლეხებად და მოჯალაბეებად. ამისდა მიხედვით ს. კაკაბაძე ჰფიქრობს, რომ ეს „წინადაც" ასე ყოფილა და სწერს: „გლეხები (დას. საქართველოში) წინადაც დაყოფილი იყვნენ არა ორ ფენად, როგორც ეს იყო ქართლში ვახტანგის კანონების შედგენის დროს და წინა საუკუნეებშიც (მსახურნი და გლეხნი), არამედ 4 ფენად: აზატნი. მსახურნი. გლეხნი და მოჯალაბენი. ასე იყო როგორც იმერეთსა და გურიაში, აგრეთვე სამეგრელოშიც"[3]. ასეთი მსჯელობაც მეთოდოლოგიური შეცდომაა. რომელსაც აუცილებლობით მოჰყვება მცდარი დასკვნები. ქვემოთ ვნახავთ, რომ საკითხი ასე მარტივად არა დგას და რომ აზატებსაც და მოჯალაბეებსაც თავისი ისტორია ჰქონდათ[4].

გლეხობის სოციალური დანაწილების შესახებ საკმაოდ გარკვეული ცნობები მოგვეპოება როგორც XVI ისე XVII საუკუნეებისათვის.

---

[1] იხ. მისი „ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან მეერთებამდის". ქუთ. 1910. გვ. 21—29 და სხვ.

[2] იხ. მისი „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის", საისტ. კრებ. I 5, 7, 8.

[3] იქვე, გვ. 7. შემდეგ კაკაბაძე, როგორცა ჩანს, აიდენტიევებს ზემოხსენებულ „გლეხს" და ძველ „მოისალეს" (იხ. იქვე, გვ. 10 და შემდ.).

[4] ზემონათქვამი, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ XIX ს-ის მასალები და ცნობები ვერ გამოდგება წინა-საუკუნეების მოვლენათა გასარკვევად. პირიქით, ის, რაც შემოგვენახა XIX ს-დან, ჯერ სრულიად არ არის დაფასებული. ამ უშრეტი მასალის დამუშავება და გამოყენება მომავლის საქმეა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მასალებს საერისკაცო გლეხობის ეთარების გასარკვევად. მაგრამ არასოდეს თვალიდან არ უნდა გაეუშვათ ისტორიული პერსპექტივა: მე მგონია, რომ ამ მასალებით დაწყება კვლევისა და მათზე დაყრდნობით მსჯელობა არ შეიძლება, სანამ სავსებით შესწავლილი და დადგენილი არ არის წინა საუკუნეების დოკუმენტალური ჩვენებანი.

აი როგორ ჩამოსთვლის წოდებებს დას. საქართველოში „მცნება სარჯულო", 1470—74 წწ. ძეგლი: „თ(ა)ვადნი, აზნაურნი, გინა აზნაურისშვილნი, მსახურნი გინა გლეხნი" (იხ. მცნება სარჯულო, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ. ტფ. 1913 წ., გვ. 14, შდრ. გვ. 13 და 6). მაღალ წოდებათა გარეშე, აქ წარმოდგენილია ორი დაბალი წოდება: მსახურნი და გლეხნი. მაგრამ „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ", პროფ. კ. კეკელიძის განსაზღვრით, 1543—49 წწ. ძეგლი, მოწინავე წოდებათა გარდა. იცნობს მხოლოდ გლეხებს. აქ დასახელებულია: თავადისშვილი, აზნაურისშვილი და გლეხი (იხ. ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, ტფ. 1913 წ., გვ. 3. 5; კეკელიძე, ქართ. ლიტერატ. ისტ. I. ტფ. 1923, გვ. 617—18. შდრ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია I, ტფ. 1928. გვ. 50-51). ასევეა. მაგ., ბაგრატ III-ის 1527 წწ. წყალობის წიგნში (საეკლ. საბ. I 9), ვახუშტი ბაგრატიონის XVI ს-ის შეწირულობის წიგნში (იქვე 26) და სხვ. ყველგან აქ მსახურთა მოუხსენებლობა გაუგებარი დარჩება, რადგან რიცხვობრივ ესენი აზნაურებზე მაინც გაცილებით უფრო მეტნი იყვნენ, ხოლო უფლებრივ გლეხებზე უფრო მაღლა იდგნენ, თუ არ დაეუშვებთ. რომ მსახურნი სადღაც იგულისხმებიან და რომელიღაც ტერმინის ქვეშ უნდა იმალებოდნენ. მართლაც, ამის შესახებ გარკვეულ ცნობას გვაძლევს გელათის 1545 წწ. დავთარი. აქ, რიონელ ყმათა შორის, ნაცვალი მამრიკისშვილი უდავოდ მსახურია, მას ჰმართებს, ბეგარას გარდა, „ცხენით სამსახური" (ქრონიკები II 337=საკ"ზო დავთ. 62): ბოლოში დავთარი ჩამოსთვლის რამდენსამე ყმას. მათ შორის ხსენებულ ნაცვალს მამრიკისშვილს, და დასძენს: „ესე გლეხნი" ასე და ამრიგად შეეიძინეთო (ქრონიკები 340=საკ"ზო დავთ. 67). აქედან ცხადია. რომ მსახური მამრიკისშვილიც გლეხად ითვლებოდა და რომ ზემომოყვანილ საბუთებში, საცა მსახურთა ხსენება არაა, ისინი გლეხთა შორის იგულისხმებიან. ამგვარადვე, ხოირის საკათალიკოზო ყმები XVI ს-ში მსახურნი არიან, ჰმართებს საკლავი. პურის-ჭამა, ლაშქრობა და სამსახური, მაგრამ ნუსხა მათ გლეხებს უწოდებს: „არის ხო(ი)რს საკათალიკოზო გლეხნი 28 კვამლი" (საკ"ზო დავთ. 56).

მაშასადამე, ტერმინს „გლეხი" კიდევ ორგვარი მნიშვნელობა ჰქონია: ფართო მნიშვნელობით ის აღნიშნავს, აზნაურებს გარდა. მთელს მიწათმომქმედს მოსახლეობას. როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენისას, ხოლო უფრო ვიწროდ, ისე. როგორც ის ნახმარია „მცნება სარჯულოში". ეს ტერმინი აღნიშნავს მხოლოდ დაბალი ფენის მიწის მუშას.

ეს უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის, როდესაც გავითვალისწინებთ XVII ს-ის ცნობებს, რომლებიც უფრო ნიშანდობლივ ხასიათს ატარებენ.

აქ ყველაზე უფრო საინტერესოა არქ. ლამბერტის ცნობა, რომელიც სამეგრელოში ცხოვრობდა 1633-დან 1653-მდე. ლამბერტი ოდიშის მთელს მოსახლეობას ორად ჰყოფს და თვითეული ნაწილი მოსახლეობისა, მეორესთან შედარებით, ერთს მთლიანს წარმოადგენს, მაგრამ როგორც თავად-აზნაურობა თავისი მხრით კიდევ ორად განაწილდება, ისე დაბალი მოსახლეობაც ორი ფენისაგან შედგება, მსახურებისა და მოინალეებისაგან (Saccùr e Moinalli: A. Lamberti, Rellat. della Colchide, Nap. 1654, გვ. 30=ლამბერტი 34). სამეგრე-

ლოში საგლეხო მოსახლეობის დაბალი ფენისათვის, როგორც ეხედავთ, საკუთარი ტერმინიც ყოფილა ხმარებაში, მოინალე. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე საკ'ზო დიდი იადგრის ცნობასაც, სადაც გლეხები აგრეთვე ორად არიან დაყოფილი. სახელდობრ, იქ საცა სისხლის ფასზეა ლაპარაკი, იადგარში ვკითხულობთ: „სხუანი რანიცა აგარანი და სოფელნი, მეტოქი, მონასტერი და ქალაქი სწერია. იმათ შინა მსახლობელნი გლეხნი, მსახურნი და მოინალე. ვინცა მოკლას-, ამდენი და ამდენი სისხლის ფასად დაეურჯოსო (გუჯრები 132—133—საისტ. მ-ბე 1925, II 184). მართალია, აქ მსახურის და მოინალის სისხლი თანაბრადაა შეფასებული, ხოლო იქვე ზემოთ „საყდრის მოინალის" სისხლი უფრო მეტადაც ფასობს, მაგრამ ეს გარემოება მაინც გაუგებარი და ცალკე გასარკვევი დარჩება, როგორც არ უნდა გავხსნათ ზემომოყვანილი წინადადება. და რომ ჩვენი ახსნა სწორია. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ იგივე ძეგლი, წოდებათა ჩამოთვლისას, მხოლოდ დიდებულებს, თავადებს, აზნაურებს და გლეხებს ასახელებს (გუჯრები 127—საისტ. მ-ბე 182), რაც იმის დამადასტურებელია, რომ ზემომოყვანილ წინადადებაში ტერმინი „გლეხი" ნახმარია მისი ზოგადი მნიშვნელობით, ხოლო „მსახური" და „მოინალე" აქაც, როგორც ლამბერტისთან, ორი მისი შემადგენელია. ამგვარად რაკი ეს იადგარი, როგორც საკათალიკოზო, მთელს დას. საქართველოს ეხება. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ტერმინი „მოინალე" დაბალი ფენის გლეხისათვის საყოველთაოდ მიღებული იყო და გურიასა და იმერეთშიც იხმარებოდა; ასე შეიძლებოდა გვეფიქრა. ძეგლი რომ ნატყუარი არ იყოს და „მოინალე" სადმე სხვაგან, ოდიშის გარეთაც, გვხვდებოდეს.

მეგრული ტერმინი „მოინალე" წარმომდგარია სიტყვისაგან „ნინალა", სამსახური (იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка, СПБ, 1914, ლექსიკ. „ნინალა"). „მო-ინალე" ანუ „მო-ნინალე" არის, მაშასადამე, ქართული „მო-სამსახურის" შესატყვისი. აქედან ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს ქართული „მსახურის" შესაფერისი მეგრული ტერმინი იყოს, რომ „მოინალე" და „მსახური" ერთსა და იმასვე აღნიშნავდეს[1]. ასეთ მოსაზრებას ადასტურებს თითქოს არა მარტო საკ'ზო იადგრის ზემომოყვანილი ცნობა, სადაც მსახურის და მოინალის სისხლი თანაბრადაა შეფასებული, არამედ სხვა საბუთებიც. „მოინალე" რამდენჯერმე იხსენიება აფხ. საკ'ზო გლეხების დიდ დავთარში და ორჯერ ისეა მოხსენებული, რომ ადამიანს მართლაც ეკვი შეეპარება - მსახურთან ხომ არა გვაქვს აქ საქმე. „მართებს უჩაიას ბატონისა არაფერი — ვკითხულობთ ერთგან — სამოინალოს ადგილზედ სახლობს და საპურობო მ(ა)რთებს" (გვ. 28). მარტო საპურობო, უბეგროდ, ევალებოდა, როგორც ვნახავთ, „დაუბეგრავ" მსახურს, ხოლო თუ „სამოინალო ადგილსაც" საპურობოს მეტი არა მართებს რა, გამოდის, რომ „მოინალე" მსახური უნდა იყოს. მეორე ადგილას, იმავე დავთარში ვკითხულობთ: „მართებს მოინალეს ბაბაშური ჟვანესკირიას ერთის კვირის ყ'ლის დღის სამსახური" (გვ. 34). აქ ჯერ ისაა გასაკვირველი, რომ მოინალეს მხოლოდ „ერთის კვი-

[1] ასეთი მოსაზრება გამოსთქვა პროფ. არნ. ჩიქობავამ.

რის“ (ცხადია, წელიწადში) სამსახური მართებს და მერე ის, რომ ამას გარდა სხვა არაფერი გადასახადი მას არ ადევს. აქაც, მაშასადამე, იბადება საკითხი. ეს „მოინალე“ მსახური და ისიც სრულიად დაუბეგრავი მსახური ხომ არ არის?

მაგრამ იმავე დავთრის ხოირის ნუსხაში დასახელებულია ორი „მოინალე“, რომელთაგან ერთს მართებს „ტკრთი და ერთი ხმელი თევზი“, ხოლო მეორეს — „ბარგის ზიდვა და ერთი თევზი“ (გვ. 30). ამათი გამოსაღები ძალიან მცირედია, რაც კერძო ხასიათის მიზეზით უნდა აიხსნას. ჩვენთვის საინტერესოა მათი სამსახურებრივი ვალდებულება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ „ტვირთის ზიდვა“ ყველაზე უფრო სათაკილო და დამამცირებელი სამსახური იყო (იხ. ქვემ.). ცხადია, რომ ეს ვალდებულება მოინალეს განსაზღვრავს, როგორც უდაბლესი ფენის გლეხს [1].

ლ ა მ ბ ე რ ტ ი ხომ პირდაპირ გვეუბნება, რომ მოინალენი ოდიშის მოსახლეობის უდაბლეს ფენას შეადგენდნენ და, სხვათა შორის, იმასაც იხსენიებს, რომ ბარგის ზიდვა მართლაც სამოინალო სამსახური იყო (იხ. ქვემ.). ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლ ა მ ბ ე რ ტ ი მ თითქმის 20 წელი დაჰყო სამეგრელოში და მას ენაც სავსებით შეთვისებული უნდა ჰქონოდა და ქვეყნის ეითარებაშიც იგი კარგად ერკვეოდა. ამასთანავე, მისი განათლება სრულს შეძლებას აძლევდა მას ზუსტად და ზედმიწევნით გადმოეცა ნახულიც და გაგონილიც. ყოველ ეჭვს გარეშე უნდა დარჩეს, რომ ორჯერ ეგზომ უცნაურად განსაზღვრული სამოინალო ვალდებულება რაღაცა სხვა, განსაკუთრებული პირობებით უნდა აიხსნებოდეს.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ XVII ს-ის სამეგრელოში ორი სემასიოლოგიურად თითქოს ადექვატი ტერმინი. „მსახური“ და „მოინალე“. ასეთი გარჩევით იხმარება და რომ მათგან ქართული ტერმინი მაღალი ღირსების ყმას აღნიშნავს, ხოლო მეგრული — დაბალი ღირსებისას [2]. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, „მო-ინალე“ უფრო „მო-სამსახურეს“ უნდა უდრიდეს, ხოლო „მოსამსახურე“ და „მსახური“ სრულებითაც ერთი და იგივე არაა.

რას გვეუბნებიან საგლეხო კატეგორიათა შესახებ XVII ს-ის სხვა საბუთები?

ტერმინი „გლეხი“ XVII ს-შიც იხმარება ზოგადი მნიშვნელობით. 1675—80 წწ. ახლო დროის სიგელში დასახელებულია მხოლოდ ორი, ცხადია, მთავარი წოდება—აზნაურები და გლეხები (საეკლ. საბ. I 78); 1700 წწ. ახლო დროის შეწირულობის წიგნი ჩამოსთვლის თავადს, აზნაურისშვილს და გლეხს (იქვე 84). აქ ყველგან მსახური იგულისხმება გლეხთა შორის. ავრეთვე, მაგ., სოფ. ხიბულას ჯუმალი, აფხ. საჯ ზო დავთარში, ხიბულელ ყველა მებეგრეებს

[1] როგორც ვნახავთ, XVII ს-ში ზოგან მსახურსაც დაეკალა ტვირთის ზიდვა, მაგრამ იმავე დროს ის საპატიო სამსახურის, ლაშქრობის შესრულებასაც განაგრძობდა. ხოირელი მოინალეები კი მხოლოდ მდაბიო სამსახურს ასრულებენ.

[2] გავიხსენოთ, ამასთან დაკავშირებით, რომ ზეგრული ტერმინი „მარგალი“-ც = მეგრელი, უმთავრესად გლეხს აღნიშნავს, გლეხს ეწოდება. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ამბობს: «Это слово преимущественно обозначает *Мингрельца-крестьянина* в противоположность другим сословиям», იხ. Н. К и п ш и д з е, დასახელ. შრომა, ლექსიკ., „ინგირი“ და „მარგალი“.

გლეხებად იხსენიებს: „არის ხიბ(უ)ლას კუამლი გლეხი ჯუმლად 58“, ხოლო ნუსხაში ჩანს როგორც დაბალი ფენის გლეხები, მებეგრე-მეტვირთენი და მომუშაენი, ისე მსახურნიც, მხოლოდ გოჭკუმურის და ლაშქრობის ან კიდე მგზავრობის მოვალენი (გვ. 19—24).

მეორე მხრით, XVII ს-შიც გვხვდება ტერმინი „გლეხის“ ხმარება მისი ვიწრო მნიშვნელობით, როდესაც ის აღნიშნავს მხოლოდ დაბალი ფენის გლეხს. სამეგრელოში მოინალეს. ასე, მაგ.. 1684 წლ. კაცხის საბუთში ჩამოთვლილია შემდეგი წოდებანი: თავადნი, აზნაურნი, მსახურნი და გლეხნი (საისტ. კრებ. III 56): მსგავსადვე დავით კ'ზის დაახლ. ამავე ხანის წყალობის წიგნში მოწმეებად დასახელებულნი არიან „აზნაურისშვილნი, მსახურნი და გლეხნი“ (საქ. სიძე. II 89). XVIII ს-ში ხომ წოდებათა ასეთი დანაწილება უფრო ხშირად გვხვდება (იხ., მაგ., საისტ. კრებ. III 59, საეკლ. საბ. I, 94 და სხვ.).

მგონია ზემოთქმული საკმაო უნდა იყოს იმისათვის, რომ „გლეხ“ ტერმინის ორგვარი მნიშვნელობა ცხადი შეიქნეს. ამავე დროს უნდა გაიხაზოს ის გარემოება, რომ ყველგან მხოლოდ ორს საგლეხო სოციალურ კატეგორიას ვხედავთ – მსახურებს და გლეხებს (მოინალეებს).

ქვემოთ მეც იძულებული ვიქნები ტერმინი „გლეხი“ მისი ორივე მნიშვნელობით ვიხმარო, მაგრამ, რათა გაუგებრობა ავიცდინო, ყოველთვის, როდესაც მას ვიწრო აზრით ვიხმარ, გვერდით ფრჩხილებში დავუსვამ მეგრულ შესატყვის ტერმინს „მოინალეს“. ამ უკანასკნელის საყოველთაოდ გამოყენება, თუმცა უფრო მარჯვე იქნებოდა, უმართებულოდ მიმაჩნია, რადგან მას ადგილობრივი ხასიათი აქვს.

XVIII ს-ში, იმერეთში შემოდის ტერმინი „მესეფე კაცი“ (საისტ. კრებ. I 39—40 და 50 შშ.), რომელიც, თუ გავითვალისწინეთ, რომ „სეფეობა“ კვირეულ სამინდვრე მუშაობას ანუ „ნიადაგ მუშაობას“ ნიშნავს (იხ. საისტ. კრებ. III 70, საეკლ. საბ. II 89), უნდა მეგრული „მოინალის“ შესატყვისი იყოს, მაგრამ რადგანაც ეს ნაგვიანევი ტერმინია და შეიძლება მას სპეციალური მნიშვნელობაც ჰქონოდა, ამიტომ მე ის არ გამომიყენებია.

IV

გლეხის **საბატონო ვალდებულება** ორგვარი ხასიათისა იყო: ერთის მხრით მას უნდა გამოეღო ბეგარა, ხოლო მეორე მხრით უნდა გაეწია თავისი ბატონისათვის სამსახური.

ბეგარა ეწოდებოდა ყოველგვარს, ფულადსა თუ სულადს, გადასახადს, რომელიც მიწას ედო და მიწისჭერასთან იყო დაკავშირებული. ეს გადასახადები სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულებისა იყო, მაგრამ ზოგადად ყველას „ბეგარა“ ეწოდებოდა. საბეგრო ნუსხებს ხშირად უწერიათ სათაურად: „ამა და ამ ბეგრის ნუსხა“, ხოლო ნორმებში მოხსენებულია როგორც თავი-ბეგარა, ისე პურის-ჭამაც, ძღვენიც, აღაპიც და სხვ. (იხ., მაგ., ქუთ. დავთ. 4[1]; ცშ.

[1] საქუთათლოს დავთარს ხაზოგადოდ ეწოდება: „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“, ისე რომ აქ ტერმინი „ბეგარა“ თითქოს უფრო ფართოდაც იხმარება და მოიცავს ყმების სამსახურებრივ ვალდებულებასაც.

დავთ. 12; საეკლ. საბ. I 27 და სხვ.). ნივთიერი შემადგენლობის მხრით იყო „თეთრის ბეგარა" (საეკლ. საბ. I 95), „ღორის ბეგარა" (იქვე II 2), „ხორცის ბეგარა" (იქვე I 124), „ღვინის ბეგარა" (იქვე II 10), „სანთლის ბეგარა" (იქვე I 95) და სხვ.

მაგრამ „ბეგარა" ჩვენს საბუთებში ხშირად დაპირისპირებულია სხვა სამამულო გადასახადებს. ასე, მაგ., საცაიშლოს დავთარში ზოგიერთი ყმის ნორმა „ბეგრისა" და „გოჭკუმურისაგან" შედგება, ყმას მართებს განსაზღვრული „ბეგარა" და ცალკე განსაზღვრული „გოჭკუმური" (გვ. 26 და სხვ.). ამ ორი, ცხადია, სხვადასხვა გამოსაღების აშკარა დაპირისპირება გვხვდება იქვე, ჩოხათის ნუსხაში, სადაც ეკითხულობთ: „ჯეგემორდილსა კაცი რომე მიეცით: ბეგარა ჯეგემორდილსა და სხვა გოჭკუმური" ცაიშლესა (გვ. 36); ამ კაცის გამოსაღები პირდაპირ ორადაა განაწილებული — „ბეგარას" ერთ ბატონს აძლევს, ხოლო „გოჭკუმურს" მეორეს. საქუთათლოს დავთარში კიდევ ასეთი დაპირისპირება გვხვდება: „ჩიბურდანიძე, ამათ ხად(ი)ლი მართებს; შაგულიძენი, ესენი მებეგრე არიან" (§ 43ა, შეად. § 225ა); აქ გახაზულია სხვაობა მეხადილეთა და მებეგრეთა შორის, თუმცა ხადილი ან საპურობო, იგივე პურის-ჭამა, ბეგარა იყო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

აქ უველგან ტერმინ „ბეგარას" ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ე. წ. „თავი" ანუ „მთავნი ბეგარა". ეს კარგად ჩანს გაბრიელ ცაგერლის აღაპის წიგნიდან. ცაგერელს მის მიერ შეწირული ყმების ბეგარა განკვეთილი აქვს ორად: ერთია „თავი-ბეგარა" და მეორე „სანაღდგომეო"; გარდა ამისა მათ მართებს „მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური" (ცგ. დავთ. 17). ასეა გაწერილი რამდენიმე ყმის ვალდებულება. მაგრამ ერთი მებეგრის შესახებ ცაგერელი სწერს: „აგრეთვე კაცია ლეწსწვერიძეს მართებს ცაგერლის მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური. სხვა, მისი ბეგარა და გამოსავალი თემისათვის მიმიცემიაო" (იქვე 18). ცხადია, რომ ამისი „ბეგარა" არის სხვა გლეხების „თავი-ბეგარა", ხოლო „გამოსავალის" ქვეშ იგულისხმება სხვების „საანაღდგომეო", ალბათ ძღვენი, რომელიც თავისთავად ბეგრის, როგორც ზოგადი სახელის, შემადგენელი ნაწილია. აგრეთვე, მაგ., ნაგუაზავის და საქუჩულორიოს 1622 წლ. ნუსხებში ერთსა და იმავე ნორმაში ცალკეა ჩამოთვლილი „თავი-ბეგარა" და ცალკე „გოჭკუმური" (საკ-ზო დავთ. 17—19). აქედანაც ცხადი ხდება, რომ, როცა საცაიშლოს დავთარში მებეგრეს „ბეგარა" და „გოჭკუმური" მართებს, „ბეგარა" უნდა გავიგოთ როგორც „თავი-ბეგარა".

მაგრამ ეს არ კმარა. უმეტეს შემთხვევაში თავი-ბეგარა მოთავსებულია ნორმის თავში უსახელოდ. ასე, მაგ., ხევთის ნუსხით (ცშ. დავთ. 5—12) მებეგრეთა უმრავლესობას მართებს უსახელო ბეგარა (საკლავი, ქათამი, პური, ღომი, ღვინო) და გოჭკუმური (ზოგიერთს კიდევ „საყანო", იხ. იქვე, 38—40); ხონის დავთრით ზოგიერთი ყმის ნორმა შედგება უსახელო ბეგრისაგან (პირველ ადგილზე) და საპურობო—საბატკობო—სამაჭრობო—საყველიერო—სამეჯინიბოსაგან; ბაშელ ყმებს (ქუთ. დავთ. §§ 122—150) მართებს უსახელო ბეგარა[1] და სათეთრო, სამარიობო, საჯინიბო, რიკრიკა (პურის-ჭამა) და სხვ. სრუ-

[1] ამ უსახელო ბეგარაში შესაძლებელია რამდენიმე სხვადასხვა ბეგარაც იმალებოდეს.

ლიად ცხადია, რომ ყველგან აქ უსახელო ბეგარა არის სწორედ თავი-ბეგარა. რომელსაც, როგორც საკუთრივ ბეგარას, სახელწოდება არ სჭირია. მაგრამ, მაგ., ოცხანის XVI ს-ს ნუსხაში (საქ. სიძვ. I 56) თავი-ბეგრის საკლავი „სასტუმროიანად“ (შდრ. ბარის ნუსხა, საკ-ზო დაეთ. 1) მოთავსებულია ხადილის შემდეგ და ხადილის პირველობა უნდა აღნიშნავდეს მეხადილეთა წარჩინებულობას დანარჩენ მებეგრეებთან შედარებით.

„თავი-ბეგარა“, ცხადია, ნიშნავს მთავარ ბეგარას, საკუთრივ ბეგარას. მე გვერდს ვუხვევ იმ საკითხს, თუ რატომაა ეს ბეგარა მთავარი[1]. ჩვენთვის საინტერესოა ამჟამად მხოლოდ ის, რომ „ბეგარა“ ეიწრო მნიშვნელობით განირჩევა პურის-ჭამისა და ძღვენისაგან. ეს ორი უკანასკნელი გამოსაღები, თავისი მხრით, სხვადასხვა სახელწოდების ქვეშ გვხვდება. პ უ რ ი ს - ჭ ა მ ა ს ეწოდება ხან „ხადილი“, ხან „საპურობო“, „პურობა“, „ჭამა-სმა“, „გოჭკუმური“ (მეგრული ტერმინია), „რიკრიკა“ და სხვ. ქვემოთ ვნახავთ, რომ ყველა ეს პურის-ჭამა, წვეულება იყო, მაგრამ სხვადასხვა ხარისხისა და ღირსებისა: რაც უფრო საპატიო იყო პურის-ჭამა, ის მით უფრო უხვი და მდიდრული უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვნახავთ აგრეთვე, რომ „პურის-ჭამა“ ზოგჯერ დამოუკიდებელ ნორმას შეადგენდა, „ბეგარასთან“, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, აუცილებლად დაკავშირებული არ იყო, რაც არ ითქმის ძ ღ ვ ე ნ ზ ე (საქრისტეშობო, საყველიერო, სანააღდომეო და სხვ.), რომელიც ცალკე არასოდეს არა გვხვდება, არამედ ზედ ერთვის რაიმე სხვა ბეგარას, იქნება ეს თავი-ბეგარა თუ პურის-ჭამა ან სხვ. თავი-ბეგარა განირჩევა, როგორც ვნახეთ, აგრეთვე ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ბ ე გ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ (მაგ. სამეჯინიბოსაგან). ეს ბეგრებიც დამოუკიდებლად გაწერილი არა გვხვდება, არამედ ზედ-ერთვიან ან თავ-ბეგარას ან პურის-ჭამას.

ტერმინს „ბეგარა“ მეც ორი მნიშვნელობით ვიხმარ: ფართო მნიშვნელობით, ყოველგვარი სამიწო (სამამულო) გამოსაღებისათვის და როგორც საკუთრივ ბეგარას, თავი-ბეგრისათვის[2].

ბეგარაზე კიდევ უფრო საინტერესოა ჩვენთვის ყმების სამსახურებრივი ვალდებულება.

[1] თავი-ბეგარა, ამავე სახელწოდებით ცნობილი იყო სამეგრელოში XIX ს-ის შუახანებშიც. ეს იყო, როგორც რ. ე რ ი ს თ ა ვ ი გადმოგვცემს, „უმთავრესი ანუ ძირითადი გადასახადი“, რომელიც მებეგრეს ევალებოდა (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 89). მაგ., „ქვემო სამეგრელოში იგი შეიცავდა: 1 ღორს 4—5 მანეთიანს, 1—10 კოკა ღვინოს, 15 ჭილა ღომს და ერთ ქათამს“ (იქვე 90). ჩვენი საბეგრო ნუსხების „საკლავი“ სწორედ ღორს უნდა ჰგულისხმობდეს და ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ღორი იყო ძირითადი შემადგენელი თავი-ბეგრისა (იხ. ექსკურსი ახატების შესახებ).

[2] ქართული ბეგარა და მისი კლასიფიკაცია ცალკე მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს. ზემოთ მოკლედ წარმოვადგინე ის, რაც ჩვენი საგნისათვის აუცილებლად საჭირო არის. გზადაგზა, ნუსხების გარჩევისას, ამა თუ იმ მოვლენაზე უფრო დაწვრილებითაც შევჩერდები. საერთო ორიენტაციისათვის შეიძლება დამატებით აღინიშნოს, რომ ბეგარა, ფართო მნიშვნელობით, შემდეგი სახეებისა იყო: 1. თავი-ბეგარა (თითქოს ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში მყოფი მიწის ოდენობასთან), 2. პურის-ჭამა (წოდებრივ ხასიათს ატარებდა), 3. ძღვენი, 4. სპეციალური დანიშნულების ბეგრები (მაგ. „საყანე“, „აღაპი“, „სამეჯინიბო“ და სხვ.), რომელთაგან ზოგი ეგების ძღვენის კატეგორიასაც ეკუთვნოდეს.

ტერმინი **„სამსახური“** ჩვენს ძეგლებში შედარებით იშვიათად იხმარება ზოგადად ყოველგვარი პირადი ვალდებულების აღსანიშნავად, მაგრამ მე მაინც შემოვიღე ეს ტერმინი ამ ზოგადი მნიშვნელობით სხვა უკეთესის უქონლობის გამო. ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ სამგვარი სამსახურებრივი ვალდებულება: ლაშქრობა, საკუთრივ სამსახური და მუშაობა.

ლ ა შ ქ რ ო ბ ა არამც თუ განსაკუთრებით საპატიო სამსახური იყო, რაც იქიდან ჩანს, რომ ის აზნაურსაც ევალებოდა (იხ. მ ა ლ ა ქ ი ა კ ‘ზ ი ს მოლაშქრეთა სია, საკ‘ზო დავთ. 45—46), არამედ, როგორც საქვეყნო სამსახური. განსაკუთრებით მნიშვნელოვანიც იყო: მაგალითად, შეწირულ ყმას ჩვეულებრივ ყოველგვარი სამსახურისაგან ათავისუფლებდნენ, „თვინიერ ლაშქარ-ნადირობის მეტი“ (საისტ. კრებ. III 50). ლ ა მ ბ ე რ ტ ი გადმოგვცემს, რომ ლაშქრობა შეიძლებოდა ცხენითაც და ფეხითაც (ლ ა მ ბ ე რ ტ ი 36; შდრ. ქუთ. დავთ. § 221: „ცხენით ლაშქრობაჲ“).

„ს ა კ უ თ რ ი ვ ს ა მ ს ა ხ უ რ ი“ იყო როგორც საპატიო. ისე სათაკილოც. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საპატიო სამსახურს ასრულებდა, ჩვეულებრივად, მსახური, ხოლო სათაკილოს — გლეხი (მოინალე), თუმცა ზოგჯერ. როგორც ვნახავთ, ამასაც ანდობდნენ ხოლმე საპატიო სამსახურს. საპატიო სამსახურიც შეიძლებოდა „ცხენით სამსახური“ (ქუთ. დავთ. § 512 და სხვ.) ყოფილიყო და, რასაკვირველია, ფეხითაც. პირველი უფრო საპატიოდ ითვლებოდა. სათაკილო სამსახური ფეხით სრულდებოდა: ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს გადმოცემით, მოინალე თავის ბატონს ცხენით, კიდევაც რომ ჰყოლოდა, ვერ ეახლებოდა (ლ ა მ ბ ე რ ტ ი 36). მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი საპატიო სამსახური: „მოურავობა“ (საეკლ. საბ. I 100, 121—123), „ჴელოსნობა“ ანუ „ჴელოსნობით სამსახური“ (ქუთ. დავთ. § 13 და სხვ.), შემდეგ: სახლთხუცესობა, მოლარეობა (ლ ა მ ბ ე რ ტ ი 35) და სხვა მრავალი. დაბალი ღირსების სამსახურად უნდა ჩაითვალოს, მაგ., „მოინალობა“ (საკ‘ზო დავთ. 26 და სხვ.), როგორც თვითონ ტერმინი გვაფიქრებინებს, შემდეგ (თუმცა არა ყოველთვის) „მზარეულობა“ (ლ ა მ ბ ე რ ტ ი 35), ალბათ „სასახლის სამსახურიც“ (საკ‘ზო დავთ. 34 და სხვ.), რომელიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ „სასახლე“ სამოსახლო ადგილს ეწოდებოდა თავისი მიწა-მამულით, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობებით (იხ. საისტ. მ-ბე 1925 II 190—191), უნდა ჰგულისხმობდეს თვით „სასახლის“ მოვლას, მის კარზე საჭირო სამეურნეო სამუშაოს შესრულებას ან, ეგებ, მიწის დამუშავებასაც და რომელიც უნდა უდრიდეს სხვაგვარ ცნობილს „სასახლის მუშაობას“ (ქუთ. დავთ. § 124 და სხვადასხვ.); განსაკუთრებით დამამცირებელ სამსახურად ითვლებოდა „ტ ვ ი რ თ ი ს ზ ი დ ვ ა“ (საკ‘ზო დავთ. 54 და სხვ.), ან „ბარგის ზიდვა“ (იქვე 24 და სხვ.), ან მარტივად „ტჳრთი“ (ქუთ. დავთ. § 21 და სხვ.), „ზიდვა“ (იქვე, § 87 და სხვ.). ეს ჯერ დღესაც ახსოვს ხალხს, მაგ., გურიაში: მსახური არაფრის გულისთვის არ დასთანხმდებოდა ტვირთის ზიდვას და ტვირთის მოვალეს ზიზღით იხსენიებდნენ (გადმომცა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ მ ა); ლ ა მ ბ ე რ ტ ი ც გადმოგვცემს, რომ ბარგის ზიდვა სპეციფიკურ სამოინალო სამსახურს შეადგენდა (ლ ა მ ბ ე რ ტ ი 36) და საბეგრო ნუსხებიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ცნობას ადასტურე-

ბენ. საინტერესოა, რომ „ტვირთის მოკიდება“ უდიერობად ითვლებოდა და ამასთანავე ყველაზე უფრო სათაკილო და საძნელო უდიერობის, ქვრივის გამოგვრისა და ობლის ან ძიძის გამოყვანის გვერდით იხსენიება (ასე, საისტ. კრებ. III 59). საპატიოც შეიძლებოდა ყოფილიყო და სათაკილოც, იმისდა მიხედვით, ალბათ, თუ რა პირობებში სრულდებოდა, მაგ., „მგზავრობა“ (საკ“ზო დავთ. 14, 32 და სხვ.), რომელიც მსახურსაც ევალებოდა ხოლმე და გლეხსაც (მოინალეს).

„სამსახური“ ზოგჯერ გადაკვეთილია, ასე, მაგ., „ერთის კვრის“ (იქვე 35), ან „ყოვლის დღის სამსახური“ (იქვე 34; ქუთ. დავთ. § 355, შდრ. § 121: „ცხენით სამსახური ნიადაგ“), ზოგჯერ კი ბატონის ნებაზეა მიგდებული, განსაზღვრული არაა — „სამსახური... როდესაც მოეკითხავთ“ (საკ“ზო დავთ. 34).

„სამსახური“, ვიწრო მნიშვნელობით, ეწოდებოდა პირადად ბატონისადმი, მის კარზე ან მისი დავალებით გაწეულ სამსახურს, ან კიდევ რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობის შესრულებას, მოხელეობას. ხოლო „მ უ შ ა ო ბ ა“ ჰგულისხმობდა ბატონის სახლ-კარის და მამულის მოვლა-დამუშავებას, უფრო კი სამინდვრე მუშაობას. იგი, თავისი მხრით, განიყოფებოდა საკუთრივ „მუშაობად“ ანუ, მოგვიანო ტერმინით, „ნიადაგ მუშაობად“ და ნადობად. საკუთრივ მუშაობას XVIII ს-მდე სახელი არ უჩანს, პირდაპირ ამბობდნენ: „მუშაობა“. მე შესაძლებლად მიმაჩნია შემოვიღო ნაგვიანევი ტერმინი „ნიადაგი მუშაობა“ (საეკლ. საბ. II 81)[1], ხოლო მარტივად „მუშაობა“ ვიხმარო როგორც ამის აღსანიშნავად, ისე ნადობისაც.

ნ ი ა დ ა გ ი მ უ შ ა ო ბ ა ხან განსაზღვრულია დროისა და შინაარსის მხრით, ხან კიდევ პირდაპირ სწერია: „მუშაობა“; ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მისი რაობა და ხანგრძლივობაც დამოკიდებული იყო ბატონის მოთხოვნილებაზე. სხვაგან ნიადაგი მუშაობა განსაზღვრულია დღიურად: „ორის დღის მუშაობად“ (საკ“ზო დავთ. 9), ან „მესამეს დღეს მუშაობად“ (იქვე 22), „კვრეში ორ-ორის დღის მუშაობა“ (საეკლ. საბ I 23), ანდა „ყოველის დღის მუშაობად“ (ქუთ. დავთ. § 306). გადაკვეთილი მუშაობა მრავალგვარი იყო: „ზურის მუშაობ(ა)დ-, „საყდრისა და სასახლის მუშაობად“ (იქვე § 21 და სხვ.), ზოგჯერ დროგანსაზღვრული: „ყ“ლ დღე ყანის მუშაობად“ (საკ“ზო დავთ. 19), შემდეგ: „ჯურის რეცხა“ (იქვე 34), „მცეხველობა“ (იქვე 51), „ხორის (ე. ი. შეშის) ზიდვა“ (ქუთ. დავთ. § 87) და სხვ.

ნ ა დ ო ბ ა ც გადაკვეთილი იყო, რადგან ცხადია, რომ ნადობა მხოლოდ დიდი, ცხარე მუშაობის დროს თუ იქნებოდა საჭირო, გაზაფხულს ხვნა-თესვისას, ზაფხულს თიბვა-მკისას და შემოდგომაზე ყურძნისა და ხის კრეფისას. „ნადობა“, სამუშაოს ხასიათის მოუხსენებლივ, საკმაოდ ხშირად გვხვდება ჩვენს საბუთებში, მაგრამ უფრო ხშირად სამუშაოს ხასიათიც განსაზღვრულია. ნა-

[1] სოლომონ I შეწირული გლეხების შესახებ სწერს: „სხვა, ამ ზემოთქმულმა კაცებმან, ნ ა დ ა დ თ უ დ ა პ ა ტ ი ჟ ო ს წინამძღვარმან, ყანაშიდ მოეხმარონ, ვენახი სადაც ქონდეს კიდეც დაუმუშაონ და კიდეც მოუკრიფონ საყდარს, როგორათაც დაეჩიროს მუშაობა და წინამძღვარმან უბრძანოს, ისე იმუშაონ. სხვა, ნ ი ა დ ა გ ი მ უ შ ა ო ბ ა არ განგვიწესებია“. „ნიადაგი მუშაობა“ აქ დაპირისპირებულია „ნადობას“.

დობად ჩავთვალე სამუშაოს ხასიათის მიხედვით: „თოხნა“ და „მარგვლა“ (საკ-ზო დავთ. 37), „თივის თიბვა“ (იქვე 17 და სხვ.), „ხის კრება“ (იქვე 41), „ყურძნის კრება“ (იქვე 19, 27) და „იფქლის მკა“ (იქვე 19). „ყანის შე-ლა“ ხან ნიადაგ მუშაობას ჰგულისხმობს და მაშინ უდრის „ყანის მუშაობას“. ხან კიდევ ნადობაა. ასე, მაგ., თილითის ნუსხაში ვკითხულობთ: „კჳრაშიდ ორის დღის ყანის შე(ე)ლა“ (იქვე 35), ან კიდევ ხიბულას ნუსხაში: „კჳრაშიდ ერთის დღის ყანის შე(ე)ლაჲ“ (იქვე 23), რაც, ცხადია, ნიადაგს კვირეულ მუ-შაობას აღნიშნავს, ხოლო მუხურის ნუსხაში მოხსენებულია „სამის დღის ყანის შე(ე)ლაჲ ნადათ“ (იქვე 32) და საფიქრებელია, რომ სამი დღე აქ წლიურადაა განსაზღვრული. ამისი ბადალიეე ტერმინია „ყანობა“ (იქვე 24), რომელიც შე-იძლება უფრო სანადო მუშაობას აღნიშნავდეს.

ნიადაგი მუშაობა, თუ განუსაზღვრელი და მთლად ბატონის ნებაზე არაა მიგდებული, ყოველკვირეულია, პერიოდულ ხასიათს ატარებს, თუმცა შესაძ-ლებელია წლიურადაც ყოფილიყო გაწერილი. სანიადაგო სამუშაოზე თითო კა-ცი გამოდიოდა. ეს კარგადა ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის დაახლ. 1550—70 წწ. შეწირულობის წიგნიდან, სადაც ვკითხულობთ: შეწირულ გლეხებს მარ-თებს „კუამლზედა კვირაშის ორ-ორის დღის მუშაობა“ (საეკლ. საბ. I 23). ცხადია, რომ „კუამლზედა“ აქ ჰგულისხმობს თითო კაცს. ამას გვიდასტურებს ლამბერტი, რომლის სიტყვით ბატონს კომლზე თითო კაცი ემსახურებოდა მორიგეობით (ლამბერტი 34). სანადოდ კი გლეხი გადიოდა მთელი თავისი ოჯახობით, კომლობრივ და საკუთარი იარაღით და საჭონელითაც კი. ესეც ლამბერტის მოწმობაა (იქვე 36) და, უეჭველია, ასე იქნებოდა მიღებული ყველგან და ყოველთვის, თუ გავითვალისწინებთ სანადო სამუშაოს სიცხარეს და მოსწრაფებულობას. სამაგიეროდ, ბატონი ალბათ ჩვენშიც, როგორც ეს სხვაგანაც ცნობილია, ვალდებული იყო თავისი ხარჯით გამასპინძლებოდა მო-ნადეებს. პირდაპირი ცნობა ამის შესახებ არა გვაქვს, მაგრამ სოლომონ I-ის ზემოთ უკვე მოყვანილი სიტყვები: „ნადად თუ დაპატიჟოს წინამძღვარ-მან“ და აქ ხმარებული გამოთქმა „დაპატიჟოს“, გვაფიქრებინებს, რომ მონა-დენი ბატონის სტუმრებად ითვლებოდნენ და მისი მასპინძლობით სარგებლობ-დნენ. მართალია, სოლომონი XVIII ს-ში სწერდა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღეთ ნადობის ხასიათი, გლეხისათვის თავის გამოკვების შეუძლებლობა. თუ კი სამუშაოზე მთელი ჯალაბობით იყო გასული, ცხადი შეიქნება, რომ ეს წინათაც ყოველთვის ასე უნდა ყოფილიყო.

ტერმინი „სამსახური“ ჩვენს საბუთებში ზოგჯერ იხმარება პირდაპირ „მუ-შაობის“ მნიშვნელობითაც. საქუთათლოს დავთარში გვხვდება გამონათქვამი „სამსახური ოჩისა“ (§ 457 შშ.). „ოჩე“ მეგრულად ჰნიშნავს ყანას (იხ. И. Кипшидзе, დასახელ. შრომა, ლექსიკ., „1 ოჩე“) და „სამსახური ოჩისა“ უდ-რის სამინდვრე მუშაობას ანუ საქუთათლოსაეე დავთარში სხვაგან მოხსენებულს „ყანის მუშაობას“ (§ 22 და სხვ.) და ნიადაგ მუშაობას უნდა აღნიშნავდეს. იმავე ნუსხის ქერმინდელი მინაწერი გვიდასტურებს, რომ ეს ასეა: აქ სწერია „ორჩის მუშაობაჲ“ (ქუთ. დავთ., გვ. 70) და არა სამსახური[1]. მუშაობასეე უნ-

[1] შდრ. ს. კაკაბაძე: საისტ. კრებ. III 12 და საისტ. მ-ბე 1925 I 245.

და ჰგულისხმობდეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, „სასახლის სამსახური". ხოლო მე ამ ტერმინს ეხმარობ მხოლოდ ორი პირველი მნიშვნელობით: როგორც ზოგად სახელს ყოველგვარი პირადი ვალდებულებისათვის და როგორც „საკუთრივ სამსახურს".

ის, რაც ზემოთ ითქვა „ბეგრისა" და „სამსახურის" შესახებ, რასაკვირველია, სისრულეს ძალიან დაშორებულია, მაგრამ რადგანაც ეს ჩვენს პირდაპირ საგანს არ შეადგენს. დეტალების გარკვევა გზადაგზა, ნუსხების გარჩევისას ვამჯობინე. საბეგრო ნუსხების დამუშავებისას ჩვენი ყურადღება მიპყრობილი ექნება უმთავრესად სამსახურებრივ ვალდებულებას. ყმები განირჩეოდნენ ერთმანეთში უპირველესად ყოველისა სწორედ ამ ვალდებულების მიხედვით. პატრონყმურ დამოკიდებულებაში მთავარი მნიშვნელობა სამსახურს უნდა ჰქონოდა: დამამცირებელი თუ აღმაზევებელი თავისთავად მხოლოდ საპატიო თუ სათაკილო სამსახური შეიძლებოდა ყოფილიყო და სოციალური მომენტი სამსახურში გამოიხატებოდა. როგორც ვნახავთ, ზოგიერთი ბეგარაც ატარებდა წოდებრივ ხასიათს და ამგვარად ბეგარაც იქნებოდა საპატიო და სათაკილო. მაგრამ მთავარი მომენტი აქ ყოველთვის მაინც ეკონომიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ნართაულად მიეცემოდა ხოლმე მას სოციალური ელფერიც. მაგრამ ჩვენი ძეგლები ხშირად მეტად ლაკონურ ცნობებს იძლევიან. მათი ტერმინოლოგია. განსაკუთრებით მოგვიანო ხანაში, იმდენად ნებისმიერია და ისე უხვად არის. ზოგან მაინც, წარმოდგენილი ნარევი ტიპის ნორმები, რომ ყმების სოციალური სახის გამოსარკვევად საჭირო იქნება არა მარტო ხანგრძლივი დაკვირვება და თვითეული ნორმის გულდასმითი და ყოველმხრივი შესწავლა, არამედ სხვა დავთრების ჩვენებათა მოშველიებაც და სამსახურისა და ბეგრის კომბინაციაც. მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც დავინახავთ, თითქმის ყოველ საბეგრო ნუსხაში დაგვრჩება რამდენიმე „გაურკვეველი ღირსების" ყმა, რომელთა ნამდვილი ვითარებისა და სოციალური კატეგორიის გამოცნობა ჩვენი აწინდელი საშუალებით შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს.

V

დავიწყოთ **საკათალიკოზო ნუსხებით.** ბიჭვინტის საკ˝ზო საყდარს თავისი სახასო, ე. ი. საკუთარი ყმები ჰყავდა. რომელთა ბეგარა და სამსახური კათალიკოზს ეკუთვნოდა. 1622 წლ. ე. წ. „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი" წარმოადგენს კ˝ზის სახასო ყმების ბეგრისა და სამსახურის აღწერას. აქ აღრიცხვაზე აყვანილნი არიან საკ˝ზო ყმები როგორც იმერეთს (რაჭითურთ), ისე ოდიშს და გურიას. ვინც თვით საბეგრო ნუსხებში არ მოჰყვა (უმთავრესად აზნაურები). ის მოხსენებულია ცალკე დართულს მოლაშქრეთა სიაში, ისე რომ, ეჭვი არ არის, ეს დავთარი საკ˝ზო სახასო ყმების სრულს შემადგენლობას შეიცავდა. როგორც ჩანს, XVI ს-შიც აღუწერიათ საკ˝ზო ყმების გამოსავალი, მაგრამ XVI ს-დან შემონახული გვაქვს მხოლოდ 3 სოფლის (ნაჟანეულის, ხოირის, ოცხანის) ნუსხები მთლიანად და სოფ. ბარის ნუსხის

ფრაგმენტი[1]. ამ სოფლების საბეგრო ნუსხები შეტანილია აგრეთვე 1622 წლ. დავთარში. აქვე შეტანილია გელათის საკ'ზო წმ. გიორგის ეკლესიის ზოგიერთი სოფლებიც, შეწირული 1545 წ. ბაგრატ III-ის მიერ. ამ შეწირულობის დავთარიც ჩვენამდე მოაღწია. ამგვარად, აღნიშნული სოფლების საკ'ზო ყმების მდგომარეობა ცნობილია როგორც XVI ს-ის, ისე 1622 წლ. ნუსხებით და ამიტომ ესენი ძვირფას მასალას გვაძლევენ საკ'ზო ყმების ვითარების შესასწავლად XVI — XVII ს-ებში[2].

მას უკან, რაც ბეგარასა და სამსახურს გავეცანით, ადვილად დავადგენთ საბეგრო ნორმათა ზოგიერთს ძირითად სხვაობას. საბეგრო ნუსხებში გაწერილი ნორმები განსხვავდება არა მარტო მათში აღნიშნული სამსახურებრივი ვალდებულების მიხედვით (საპატიო და სათაკილო სამსახური), არამედ ბეგრითაც; ზოგი ნორმა შედგება თავი-ბეგრისა და სხვა ბეგრებისაგან (პ'ერის-ჯამა, სპეც. ბეგარა, ძღვენი), ან მარტო თავი-ბეგრისაგან, ზოგი კი შეიცავს მხოლოდ პ'ერის-ჯამას და ნართაულ ბეგრებს (სპეც. ბეგარა, ძღვენი), ანდა მარტო პ'ერის-ჯამით ამოიწ'ურება. პირველი ტიპის ნორმისათვის პ'ერის-ჯამაც ნართაულია, უმეტეს შემთხვევაში, ან მეორე თუ მესამე ადგილას სწ'ერია, ან ნუსხის ბოლოშია გაწერილი საყოველთაოდ და ძირითადი ბეგარა არის თავი-ბეგარა. მეორე ტიპის ნორმაში კი მთავარი ადგილი უჭირავს პ'ერის-ჯამას. აქ. თუ შეიძლება ითქვას, „თავი-ბეგარა" ეს არის და დანარჩენი ბეგრები ამას ერთვის. ამისდა მიხედვით, შეგვიძლია გავარჩიოთ „ბეგრიანი", ე. ი. თავი-ბეგრიანი ნორმა, და „უბეგრო", ე. ი. უთავ-ბეგრო ნორმა. უკეთუ ყმა „დაბეგრილია" (აღნიშნული აზრით), იგი აუცილებლად და პირველ რიგში ვალდებულია თავი-ბეგარა გამოიღოს, ხოლო დანარჩენი ბეგრები შეიძლება სულაც არ ჰქონდეს გაწერილი. „დაბეგვრა", ამ აზრით, იქნება სწორედ თავი-ბეგრის დადება.

ავიღოთ **ნაჟანეულის** (ოდიში) XVI ს-ის ნუსხა (საკ'ზო დავთ. 53—56). ეს ნუსხა იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ პირდაპირ ცნობას გვაწვდის მსახურთა ვალდებულების შესახებ. აქ, სახელდობრ, ეკითხულობთ: „არის

---

[1] დედნები ინახება საქ. ცენტრარქივში (№№ 3322, 3326, 3828) და პალეოგრაფიულად (შეკეცული „ა" და შეკეცული ოთხკბილიანი „ო"), ს. კაკაბაძის სამართლიანი განსაზღვრით, უდავოდ XVI ს-ს ეკუთვნის. ხელთვა (უცნობი კ'ზის) ყველგან ერთია, ისე რომ ნუსხები ერთსა და იმავე დროს შეუდგენიათ (ან, ეგებ, ერთსა და იმავე დროსაა გადაწერილი).

[2] აკად. ი. ჯავახიშვილს საკათ. დავთრის რაობა სათუოდ, ხოლო შემადგენლობა გაურკვეველად მიაჩნია (იხ. საქ. ეკონომ. ისტორია I, ტფ. 1930, გვ. 77—90). რომ ეს დავთარი საკ'ზოა, ამის ნიშნები ბლომად მოიპოვება (იხ., მაგ., გვ. 1, 13, 14, შენ.*. 15, 18, 40, 47—50 და სხვ.). იგი ხალხის აღწერის დავთარი არაა, მაგრამ რომ მას საკათ. სახასო ყმების აღწერაც ჰქონდა მიზნად, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ნუსხებში ისეთი ყმებიც აღიან მოხსენებული, რომლებსაც არა მართებდათ რა. ხონის და ცაიშის დავთრების საკ'ზო ჩართვა შემთხვევითი გარემოებით აიხსნება—1622 წ. მალაქია კ'ზი ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელიც იყო (გვ: 46); საჯუმათლოს დავთარი კი დედანს, როგორც ჩანს, ჰქვლებია.

ს. კაკაბაძე საკათ. დავთარს ათარიღებს 1621 წლ., მაგრამ, რადგანაც XVII ს-ში წელიწადს 1 იანვრით იწყებდნენ და არა 1 სექტემბრით (ამის შესახ. Е. Тагиев-ის პრდაპირი ცნობა იხ. Чтения в Имп. Обществе Истории и Древностей Российских при Московском Университете, 1887, II 322, შენ. 1), ამიტომ ქორონიკონი 310 1622-ს უნდა უდრიდეს.

კონჯარია ოთხი კვამლი მსახური, მართებს ამათ ლაშკრობა და კარგი პურის-ჰმევნა. არის სამი კვამლი ფიოლია. მართებს ლაშკრობა და სამსახური და კარგი პურის-ჰმევნა, კარგის საკლავებითა, ქათმითა, ნედლის და ხმელის თევზითა, ღომითა, პურითა და ღვინითა, თივითა და ღომითა, ფეტვითა, მარილითა". როგორც ვხედავთ, ღომი ორჯერ სწერია. მართლაც, თივა, ღომი და ფეტვი უნდა ცალკე გამოეყოთ, როგორც სპეც. ბეგარა, სამეჯინიბო. ამას გვიჩვენებს ხოირის 1622 წლ. ნუსხა, სადაც საყოველთაოდაა გაწერილი თივა, ღომი და ფეტვი „სამეჯინიბოდ" (იქვე 31) და აგრეთვე ძაძუების ნორმა ნაჟანეულისავე ნუსხაში, სადაც ეს ბეგარა განკუთვნილია „ცხენისათვის" (იხ. ქვემ.). მაშასადამე, მსახურს ეკალებოდა: 1. პურის-ჰამა, 2. სამეჯინიბო, 3. ლაშქრობა, ან კიდევ 4. სამსახური. თავი-ბეგარა აქ არ ჩანს.

შემდეგ, იქვე ყოფილა „ოთხი კვამლი მსახური ძაძუა", რომელთაც მართებიათ: პურის-ჰამა, სამეჯინიბო („თივა, ღომი და ფეტვი ცხენისათვის"), ლაშქრობა და კიდევ „მეექვსეს წელიწადსა ოთხთ განაყოფთა ორი ზრობა", ე. ი. თითო კომლზე ნახევარი ზრობა ყოველ მე-6 წელს. რას უნდა წარმოადგენდეს ეს ბეგარა? $^1/_2$ ზრობა მე-6 წელს, ან, რაც იგივეა, 1 ზრობა მე-12 წელს, როგორც ვნახავთ, ნაჟანეურ სხვა მებეგრეებსაც მართებდათ და ეს გადასახადი თითქოს თავ-ბეგარაში შედიოდა. საქმე ისაა, რომ ნაჟანეულის 1622 წლ. ნუსხიდან საფიქრებელი ხდება. რომ ამ გადასახადს „საზროხე" ეწოდებოდა. იქ ზოგს „საზროხე" მართებს, ზოგს კი „ზროხა" (იქვე 25). ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს რაიმე სპეც. დანიშნულების ბეგარა ყოფილიყოს და XVI ს-ის ნუსხაში უსახელოდ ჩაეტანათ. ამას თითქოს ადასტურებს ის გარემოება, რომ ძაძუების ნორმაში პირველი ადგილი უჭირავს პურის-ჰამას. ამგვარად, მხოლოდ პირობით შეიძლება ჩაითვალოს ეს გადასახადი თავ-ბეგარად, ისიც შეკვეცილად. თავი-ბეგრის შეკვეცა კი შეიძლება მივაწეროთ გარდამხდელის სოციალურ მდგომარეობას. უკეთუ ზროხა თავ-ბეგარად მივიჩნიეთ, მაშინ ძაძუებს შეიძლება ვუწოდოთ, ვიწრო მნიშვნელობით, „დაბეგრილი", უკეთ, „მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი". მართლაც, სხვა ნუსხები დაგვიდასტურებენ ამ ტერმინოლოგიას (იხ. გურიის საქუთათლო ნუსხა ქვემ.). ხოლო კონჯარია და ფიოლია, რომელთაც თავი-ბეგარა ყოველ ექვს გარეშე არ მართებს, აღნიშნული აზრით „დაუბეგრავნი" იქნებიან. ამ „დაუბეგრავი" მსახურების მდგომარეობაში იყვნენ „აზატნიც" (ამათ შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემ.).

როგორც დაუბეგრავი, ისე მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი (თუ ესენიც დაუბეგრავნი არ არიან), ნაჟანეულის XVI ს-ის ნუსხაში საგანგებოდ ბოლოში არიან მოთავსებული.

დანარჩენ ყმებს მართებს სრული ბეგარა (საკლავი, ღვინო, ღომი, ქათამი, მე-12 წ. 1 ან $^1/_2$ ზროხა), პურის-ჰამა და სამეჯინიბო (ეს ორი გამოსაღები გაწერილია ნუსხის ბოლოში ყველასთვის ერთად, გვ. 56). სრული უსახელო ბეგარა (ზოგიერთს შეკვეცილი აქვს, ან ესა თუ ის გამოსაღები ნაკლები მართებს), როგორც ვიცით, თავი-ბეგარაა. ეს ყმები, მაშასადამე, დაბეგრილები არიან. მაგრამ ესენიც, სამსახურებრივი ვალდებულების მიხედვით, ორ კატეგორიად

უნდა დაეყოთ. – ზოგს მართებს „ლაშქრობა“ ან „სამსახური“, ზოგს — „ტვირთვის ზიდვა“ ან „მუშაობა“. ამათი ერთმანეთში არევა და ზოგადად ერთი წოდებრივი კატეგორიის ქვეშ მოქცევა არ შეიძლება[1]. როგორც უკვე აღვნიშნე, უმთავრესად სამსახური, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, იყო ალმაზეველები და დამამცირებელი. ამიტომ, თუ ერთი ყმა ტვირთს ეზიდება და არ ლაშქრობს, ხოლო მეორე, წინაუკმოდ, ლაშქრობს და ტვირთს კი არ ეზიდება, თუნდაც რომ ორსავე თანაბარი ბეგარა მართებდეს, ერთი დაბალი ღირსებისა უნდა იყოს, სათაკილო სამსახურს ასრულებს, ხოლო მეორე მაღალი ღირსებისაა, რადგან საპატიო სამსახური ევალება. „ლაშქრობა“ მსახურის მოვალეობას შეადგენდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, და ამიტომ ლაშქრობის მოვალე, თუნდაც დაბეგრილი, ყმები მსახურებად უნდა ჩავთვალოთ. ხოლო რომ საზოგადოდ მსახურის დაბეგვრა, ე. ი. თავი-ბეგრის გაწერა, შეიძლებოდა, ეს თუ ნაკანეულისავე ნუსხიდან ნათლად არა ჩანს, სხვა ნუსხებით მაინც უდავოდ მტკიცდება (იხ. ქვემ.). მაგრამ თუ ზემოთ ძაძუებს „მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი“ ვუწოდეთ, ნაკანეურ დანარჩენ მსახურებს (ე. ი. დაუბეგრავებს გარდა) შეიძლება პირდაპირ „დაბეგრილი მსახურნი“ დავარქვათ, რადგან ამათ სრული ბეგარა მართებს და ამ მხრით მოინალეთაგან არ განსხვავდებიან. ამათგან მხოლოდ ერთს მართებს „ყოვლის დღის სამსახური“ და არა ლაშქრობა. ესეც თავისუფალია ტვირთის ზიდვისა და მუშაობისაგან და ესეც მსახურთა შორის უნდა ჩავრიცხოთ, მხოლოდ იგი დანარჩენებზე უფრო დაბალი ღირსებისა უნდა ყოფილიყო, როგორც გვაფიქრებინებს გამონათქვამი „ყოვლის დღის“.

ტვირთის ზიდვის მოვალე გლეხები, როგორც ვიცით, უდაბლესი ფენის მოინალეები არიან. ამათ კატეგორიას უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ის ერთი ყმა, რომელსაც „მუშაობა“ მართებს და არა „ტვირთი“. მაგრამ ამავე დროს ეს მოინალე ღირსებით დანარჩენებზე უფრო მაღლა უნდა მდგარიყო.

ამგვარად, ნაკანეურ ყმათა შორის ასეთი გრადაცია ჩანს: I. მოინალე: 1. მეტვირთე, 2. მომუშავე. II. მსახური: 1. დაბეგრილი. ყოვლის დღის სამსახურის მოვალე, 2. დაბეგრილი—მოლაშქრე, 3. მსუბუქად დაბეგრილი, 4. დაუბეგრავი — მოლაშქრე-მოსამსახურე, 5. დაუბეგრავი—მოლაშქრე.

რიცხვობრივ ეს ყმები განაწილებიან შემდეგნაირად. სულ არის 44 კომლი[2]. აქედან: 7 კ. დაუბეგრავი, 4 კ. მსუბ. დაბეგრილი და 23 კ. დაბეგრილი მსახური, ანუ ერთად 34 კ. მსახურია, 7 კ. მოინალე და 3 კომლიც უსამსახურო (ამათ შესახებ ცალკე ქვემ.). პროცენტულად იქნება: 15,9% დაუბეგრავი, 9% მსუბ. დაბ. და 52% დაბეგრ., სულ 77% მსახური და მხოლოდ 15,9% მოინალე. გასაოცარია მოინალეთა რაოდენობის უმნიშვნელობა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს მარტო ნაკანეულს არ ახასიათებდა. საკ'ზო ყმათა შორის მსგავსი წოდებრივი შეფარდება შედარებით ხშირი მოვლენა იყო და ამის მიზეზი,

[1] ს. კაკაბაძე ჰფიქრობს, რომ ესენი ყველა ერთი კატეგორიისანი, მოინალენი არიან (საისტ. კრებ. III 26).

[2] ნუსხას თავში აკლია, არა უმეტეს 1 ან 2 მეკომურის ნორმისა, ისე რომ მთლიანად ეგებ 45 ან 46 ყმა უნდა ვიანგარიშოთ, მაგრამ ეს ორიოდე ყმა მთელს სურათს ვერ შესცვლის (რომ ნუსხას ერთი ნორმა მაინც უნდა აკლდეს, ეს ჩანს ჯუმლიდან).

შესაძლებელია, უნდა ვეძიოთ ამ ყმათა წარმოშობილობაში: სახელდობრ, დიდი უმრავლესობა საქ-ზო ყმებისა შეწირული და სხვადასხვა უპირატესობით დაჯილდოვებული იყო.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს შემდეგი. ზემოთ ვთქვი, რომ დაბეგრილ მსახურთა ბეგარა არ განირჩევა მოინალეთა ბეგრისაგან. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ ა. ვ. პრინციპულ მხარეს: იგივე თავი-ბეგარაა და ამასთანავე თანაბარი შემადგენლობისა. სამაგიეროდ, რაოდენობრიეი სხვაობა აშკარად ჩანს. სამწუხაროდ, ყველა ბეგარის გამოანგარიშება არ შეგვიძლია, რადგან ზოგიერთი სხვადასხვა საზომითაა გაწერილი (ასე, ღვინო გაწერილია ხან ურმობით, ხან გუდობით, ხან კოკობით; ღომი ატარებით და გობებით), არ შეგვიძლია აგრეთვე ბეგრების გადაყვანა ერთ მთლიან სისტემაზე, მაგ., მათი ფასის გამოანგარიშება (რეალური ოდენობის გამორკვეევაზე ხომ ლაპარაკიც მეტია), რადგან არც საზომთა ოდენობა, არც ფასი ცნობილი არაა, მაგრამ ზოგიერთი გამოსაღებისათვის მაინც შესაძლებელია საშუალო ციფრების გამოანგარიშება. ასე, თითო დაბეგრილ მსახურზე (მსუბ. დაბეგრილთა გამოკლებით) საშუალოდ მოდიოდა 4,68 საკლავი, 2,86 ქათამი და 0,77 ზროხა; თითო მოინალეზე კი — 6,12 საკლ., 3,87 ქათ. და 0,5 ზროხა (თითო საპურობოზე ვანგარიშობ 2 საკლავს და 1 ქათამს, იხ. იქვე, გვ. 56). მართალია, ზროხა მსახურებზე ცოტათი უფრო მეტი მოდიოდა, მაგრამ საკლავების და ქათმების ოდენობიდან კარგადა ჩანს, რომ მსახური უფრო ნაკლებად იყო დაბეგრილი, თუმცა, ვიდრე სხვა ბეგრებიც გამოანგარიშებული არ იქნება, ეს დასკვნა სიზუსტეს მოკლებული დარჩება.

მე განგებ შევჩერდი ნაჟანეულის ნუსხაზე ასე ვრცლად, რათა სრულიად ნათელი გამხდარიყო ჩვენი კვლევის მეთოდი. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ნიშანდობლივ დასაბუთებას თავი დავანებოთ, ყოველი განსახილველი ნუსხისათვის თითქმის ცარიელი ციფრებიდა მოვიყვანოთ და მხოლოდ სრულიად ახალ მოვლენებს შევეხოთ უფრო ვრცლად.

ხოირს (ოდიში) XVI ს-ში ყოფილა სულ 28 კომლი საქ-ზო ყმა (საქ-ზო დავთ. 56; მიწერილი აქვს ნაჟანეულის ნუსხას ბოლოში). თითოს მართებია: 1. პურის-ჭამა, 2. სამეჯინიბო, 3. საკლავი, 4. ლაშქრობა, 5. სამსახური, ე. ი. მსუბუქად დაბეგრილი მსახურნი არიან (თუმცა აქაც „საკლავი" ბოლოში სწერია). არც-ერთი მოინალე კ'ზს ხოირს არ ჰყოლია.

ოცხანის (გურია) XVI ს-ის ნუსხაში (საქ. სიძე. I. 56—57 და საქ-ზო დავთ. 50—51), თუ ორ მცეხველს არ ვიანგარიშებთ, სამსახური სულ არ იხსენიება, მაგრამ მაინც განირჩევა მებეგრეთა ორი კატეგორია: 1. მეხადილენი (სასტუმროც მართებსთ) და 2. მესასტუმრენი (ხადილი არ მართებსთ)[1]. ოცხანის 1622 წ.

[1] აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება. „სასტუმრო", როგორც თვით ტერმინი გვაფიქრებინებს, ძველი ან სპეც. დანიშნულების ბეგარა უნდა იყოს. ზემოთაც აღვნიშნე, რომ საბეგრო საკლავი ზოგიერთ ნორმაში „სასტუმროიანად" არის ჩათვლილი; მაგრამ არის ნორმები, რომლებშიც გაწერილია მხოლოდ „ერთი საკლავი სასტუმროდ, 1 წონა ღომი, 3 სამესხო ღვინო, ჰისი პური, 1 ქათამი" (საქ. სიძე. I 55—57). ისე გამოდის, თითქოს ამ ყმებს სასტუმროს მეტი არა მართებდეს რა, ე. ი. დაბეგრილები არ იყვნენ და ამგვარად მებადალეებზე უფრო მაღლაც კი იდგნენ. მაგრამ სასეენი ნიშნები რომ სხვარიგად დავფსვათ: „ერთი საკლავი, სასტუმროდ: 1 წონა ღომი, 3 სამესხო ღვინო" და სხვ., გამოვა, ოომ საკლავი აქ საბეგროა, ხოლო სასტუმრო უსაკლავოდ იანგარიშება. მართლაც, თუ „სასტუმრო" სპეციალური დანიშნულების ბეგარაა ან ძველია, ტექსტის ასეთი გაგება ეგებ უფრო მართებული იყოს.

ნუსხა (საკ^ზო დავთ. 41 — 42) გვიდასტურებს, რომ მეხადილენი დაბეგრილი მსახურნი არიან, ხოლო მესასტუმრენი- გლეხნი (მოინალენი). სულ ოცხანას XVI ს-ში ყოფილა, განაყოფებითურთ, 19 კომლი საკ^ზო ყმა. აქედან: 10 კ. მეხადილეა, 7 კ. მესასტუმრე და 2 მცეხველია. პროცენტულად: 52,6%„ მეხადილე და 36,8%„ მესასტუმრე. მაგრამ მეხადილე, ანუ, ეჭვს გარეშე, დაბეგრილი მსახური (შდრ. ქვემ. გურიის საქუთათლო მეხადილენი) ოცხანას მდაბიო გლეხზე უფრო მძიმედ ყოფილა დაბეგრილი. თითო მეხადილეზე საშუალოდ მოდის: 0,65 ზროხა, 1,5 საკლავი, 1.9 საწონი თუ წონა ღომი, 6,6 სამესხო ღვინო, 1,9 ქათამი, პური (თავაქრთილაძის ცალკე მოხსენებულ „ღვინო“-ს არ ვანგარიშობ, ხოლო ციცუნაშვილის ბეგარაში კაკაბაძეს შეცდომა შეჰპარვია — „[კ]ორც^-ის მაგივრად უნდა ეწეროს ^ოთკი“ (sic) ქათამი, იხ. ცენტრარქ. № 3322). თითო მესასტუმრეზე კი მოდის: 1,42 საკლავი, 1,71 საწონი თუ წონა ღომი, 4 სამესხო ღვინო, 1,85 ქათამი, პური (2 სამადგანი 2 წონად ჩავაგდე, რაც მცირე სხვაობას მოიცემა). ყველა ბეგრები მესასტუმრეებს დაკლებული აქვსთ, ხოლო „ზროხა“ სულ არ მართებსთ. ეს სწორედ „ხადილი“ ანუ „საპურობო“ ზროხაა (საქ. სიძვ. I 56).

ორი მცეხველის მდგომარეობა, რომელთაც არა მარტებს რა „სამსახურისა და მც(ე)ხველობის მეტი“, გაურკვევლად რჩება[1].

გელათის (იმერეთი) 1545 წლ. დავთარში (ქრონიკები II 336 — 340 — საკ^ზო დავთ. 58—69, შდრ. საქ. სიძვ. I 16—23) სულ 2 დაბეგრილი მსახური ჩანს და ორსავე, სხვებთან შედარებით, ბეგარა ოდნავ დაკლებული აქვს. ერთს უფრო საპატიო სამსახური, „ცხენით სამსახური“, ეეალებოდა, მეორეს —მარტივად „სამსახური“. გელათის დავთარში საინტერესოა მხოლოდ ნაევნახევის ნუსხა. აქ ყველა გლეხი — მეტვირთე ყოფილა, ხოლო „მუშაობა შეალნებული“ (ე. ი. მიტევებული) ჰქონიათ. ცოტა არ იყოს, უადგილო ადგილას, თავშივე კი არა, არამედ პირველი მებეგრის ნორმის შემდეგ, სწერია: „შეგიალნა ბატონმა მუშაობა, მისთჳს თითო კოდი პური, თითო კოდი ქერი, ორი ქათამი, თითო ძღუენი და ქათამი“. ეს ზედმეტი ბეგარაა და მომდევნო ნორმებიდან ჩანს, რომ ეს განკარგულება ყველას ეხება. აქ საინტერესოა, რომ „მუშაობა“ სულადით შეუფასებიათ და ამ სანაცვლო ბეგრის ოდენობა კარგად გვიჩვენებს, თუ რა მძიმე ვალდებულება ყოფილა ეს სამსახური. მაგრამ საქმე ისაა, რომ პირველ მეკომურს გარდა, ყველას მაინც კიდევ ცალკე უწერია „მუშაობა“. ამიტომ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ პირველს ჰქონია მუშაობა შეალნებული, მაგრამ დანარჩენებს ყველას ისე წესიერად მართებს თითო კოდი პური, თითო ქერი, ძღვენი და 3 ქათამი,—რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს 1622 წლის უკეთ დაცული ნუსხიდან (საკ^ზო დავთ. 4—6) — რომ, ეჭვი არ არის, ყველას უნდა გამოელო მუშაობის სანაცვლო ბეგარა. ქვემოთ, საქუთათლოს დავთარში, ასეთსავე მოვლენას შეეხვდებით: „მუშაობა“ შეფასებულია სულადით და ყვე-

[1] რ. ერისთავის ცნობით (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 86), სამეგრელოში ღომის ცეხვა ყველაზედ „ტლანქ და უღირს სამუშაოდ“ ითვლებოდა და მოჯალაბეთა მოვალეობას შეადგენდა. შეიძლება ჩვენი მცეხველებიც მოჯალაბენი იყვნენ. მათი „სამსახურის“ ქვეშ მაშინ უნდა ვიგულისხმოთ ბატონის მომსახურეობა მის სახლში.

ლას ევალება სანაცვლო ბეგრის გამოღება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითეულს მაინც კიდევ ცალკე უწერია „მუშაობა“-ც. შენაცვლებული „მუშაობა“, ალბათ, სპეციალური ხასიათისა ყოფილა, საქუთათლოს დავთრისავე მიხედვით საფიქრებელია, რომ აქ ღომის ყანის დამუშავება იგულისხმებოდა, და მხოლოდ ეს იყო შეალნებული, ხოლო ამას გარდა სხვა მუშაობა ყმას კვლავინდებურად მართებდა. მეორე მხრით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ყმას არჩევანის უფლება ჰქონდა და, თუმცა ნორმაში ორიენ ეწერა, უნდოდა იმუშავებდა, უნდოდა ბეგარას გადაიხდიდა. ხოლო უფრო დასაჯერებელია, რომ არჩევანი ბატონის ნებაზე თუ საპიროებაზე იყო დამოკიდებული: უკეთუ ბატონს ყმის პირადი დახმარება არ სჭიროდა, იგი ართმევდა მას სანაცვლო ბეგარას.

ამ ბეგარას სამეგრელოში, XIX ს-ის შუახანებში, როგორც რ. ერისთავი და მურიე გადმოგვცემენ, საუნადო ეწოდებოდა. უკეთუ ბატონს მუშაობა არა სჭირდებოდა, ან გლეხები ამა თუ იმ მიზეზით სამუშაოზე არ გამოცხადდებოდნენ, ისინი იხდიდნენ წელიწადში 10 ქილა ღომს ან მის საფასურს ფულად (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 93, 95 და 126).

საგენათლო დავთრის დანარჩენ ნუსხებში (სორმონელ 8 მომუშაეეს გარდა) ყველგან მხოლოდ უსამსახურონი იხსენიებიან. როგორც ვხედავთ, თუ უსამსახურო ყმებს არ ჩავთელით, მსახურნი გელათის წშ. გიორგის საკ˘ზო ყმათა შორის ძალიან ცოტანი ყოფილან. მაგრამ საზოგადოდ ეს ყმები შეღავათიან პირობებში იმყოფებოდნენ: სხვებთან შედარებით, ბეგარაც ნაკლები მართებდათ და, როგორც ვნახავთ, მათი მდგომარეობაც უფრო მყარი იყო.

ბარის (რაჭა) XVI ს-ის ნუსხა (საკ˘ზო დავთ. 52) ფრაგმენტს წარმოადგენს, ნორმები ყველა უსამსახუროა და ამიტომ არაფერს იძლევა.

ქუთაისის საეპ˘ზოს, 1578 წლ. დავთრით, სახასო ყმები ჰყავდა როგორც იმერეთს ისე (ერთი ნუსხით) გურიასაც. ჩვენთვის არაა საპირო ყველა ნუსხების განხილვა, საკმაო იქნება, რომ რამდენიმე მთავარი ნუსხა შევისწავლოთ.

თვით ქუთაისში (§§ 1—19) საყდარს არც ერთი გლეხი (მოინალე) არ ჰყოლია: 14 კომლიდან 1 უსამსახუროა (მართებს მხოლოდ პურის-ჭამა) და 13 კომლი დაუბეგრავი მსახურია. პარტახტებიდანაც არც ერთი საგლეხო (სამოინალო) პარტახტი არ არის. დაუბეგრავი მსახური ყველა თანაბარი ღირსებისა არ ყოფილა: ზოგს „ცხენით სამსახური“ მართებს, ზოგს კი უბრალოდ „სამსახური“, ზოგიერთის სამსახურიც გადაკვეთილია — „ომფორის სამსახური“, „საყდრის სამსახური და კელოსნობაჲ“, „საყდრის ჭედა და ჭელოსნობაჲ“, „ჭურჭლის სამსახური“. ამასთანავე, ზოგი სულ უბეგროა, ზოგს პურის-ჭამა მართებს, ერთს კი, ამის მაგივრად, 20 თეთრი უწერია. აქ გვაქვს, მაშასადამე, ხოირის ანალოგია, სადაც აგრეთვე არც ერთი მოინალე კ˘ზს XVI ს-ში არა ჰყოლია.

მაღლაკში (§§ 45—88) სულ 32 კ. ყმაა (ერთს პარტახტი უჭირავს, § 69) და 11 საგლეხო (სამოინალო) პარტახტი. 1 კომლს გარდა (§ 88), ყველას მართებს „ხორის (ე. ი. შეშის) ზიდვა და სადაცა დაეჭირების სამძლავრო საქმე, სახლსა ზედა ხარურმითი სამსახური“ (§ 87), მაგრამ ყველა თანაბრად დაბეგრილი არაა, რაც ქონებრივ სხვაობას უნდა მიეწეროს. სამსახურებრივი ვალდებულება კი 31 კომლს განსაზღვრავს როგორც მდაბიო გლეხებს. ასევე

განისაზღვრებიან პარტახტებიც. „სამძლავრო საქმე“ იგივე „ტვირთის ზიდვა“ უნდა იყოს.

ბაშს (§§ 122—150) 31 კომლია და 1 გაცემული პარტახტი (§ 145). ყველა გლეხია (მოინალე) და, სამს გარდა, ყველას მართებს მუშაობა სასახლისა. თეზობა და „ტჯრთი“. ერთს (§ 143) მართებს „ხელოსნობით სამსახური“, რაც. როგორც ვნახეთ, საპატიო სამსახური იყო და ამიტომ მას საგანგებოდ უწერია „ტჯრთი არაჲ“. აქედან ჩანს, რომ ესეც მდაბიო გლეხი ყოფილა, ოღონდ მისთვის საპატიო სამსახური მიუნდვიათ და საგლეხო (სამოინალო) სამსახურისაგან განუთავისუფლებიათ. საფიქრებელია, რომ მას მუშაობაც არ მართებდა, რადგან ნორმაში ცალკე არ უწერია. ცხადია, რომ ეს დაწინაურებული გლეხი (მოინალე) ყოფილა. ორი უსამსახურო ყოფილა — ერთი „მოსასახლე“ და მეორე „მესაღობე“ (გვ. 22), ბეგარაც ორსავე დაკლებული აქვს, მაგრამ ესენიც მდაბიო გლეხნი არიან, რადგან ამათაც მართებს ე. წ. „რიკრიკა“. აქ სწერია: „საოკტობო პურის-ჭამა, რიკრიკას ეტყჳან, ყოველთჳს დარამად (ე. ი. ყველას უკლებლივ. ლ. მ.) ბაშელთა მართებს“ (გვ. 22). ხოლო „რიკრიკა“ საგლეხო (სამოინალო) პურის-ჭამა იყო, წოდებრივ ხასიათს ატარებდა. შუბანის ნუსხაში ეკითხულობთ: „მართებს კუამლის თავს მუშაზედან თჳთო ჯერი პურის-ჭამა რიკრიკაი“ (§ 300, შდრ. § 373). მუშაობის ვალდებულნი სწორედ მდაბიო გლეხნი იყვნენ. ბაშის ნუსხაში „რიკრიკა“ კიდევ ერთი მხრივთაა განსაზღვრული: ეს პურის-ჭამა ყოფილა თურმე „რითაც შეიძლოს“ (გვ. 21—22). ხადილი, რომელიც მსახურის პურის-ჭამა იყო, ზემოთ ოცხანის ნუსხაში გავიცანით — იგი ზროხას ჰგულისხმობდა, თუმცა, როგორც ვნახავთ, ყოველთვის არა (იხ. ქვემოთ ხონის დავთ.), და მძიმე გადასახადი იყო. ამის შესახებ პირდაპირი ცნობაც გვაქვს შენახული საქუთათლოს დავთარში. აქ ერთი XVIII ს-ის ჩანართი აი რას გვეუბნება: „გიორგობიანები გაღარიბებული იყვნენ და ხადილის გადახდა ვეღარ შეიძლეს. ახლა დავადევით ამათ წელიწადში მოსახლის თავს მარჩილის საკლავი და სამი კასრი ღვინო, თითო კოდი პური და თითო ქათამი“ (§ 255₂). აზნაურის პურის-ჭამა იყო „ზროხიანი კარგი საქმელი თ(ა)ვისთავი... რარიგადცა თავი ესახელებოდეს“ (ცშ. დავთ. 45). ხოლო „რიკრიკა“, ე. ი. რიგ-რიგა, მდაბიო გლეხების რიგ-რიგობით წვეულება „რითაც შეიძლოს“, ცხადია, უფრო დაბალი ღირსების, გაცილებით უფრო ღარიბული საქმელი უნდა ყოფილიყო.

ბაშის ნუსხაში რიკრიკა იმიტომაა გაწერილი „დარამად“, რომ 3 ყმას, როგორც ვნახეთ, „მუშაობა“ არ ევალებოდა და მაშასადამე ამ ნიშნით მათ რიკრიკას ვერ მოსთხოვდნენ. მაგრამ სწორედ ის, რომ ამათაც (ხელოსანს, მოსასახლეს და მესაღობეს) ეს გადასახადი მართებდათ, განსაზღვრავს მათ როგორც მდაბიო გლეხებს. ცალკე გამოსარკვევია, თუ რატომ აქვს მოსასახლეს და მესაღობეს ბეგარა დაკლებული და რატომ არავითარი სამსახური მათ არ მართებს.

როკითს, ქღურულითურთ, (§§ 178—254) სულ მოხსენებულია 71 კომლი ყმა (ჩაუთვლელია ქღურული ყმები § 245-ით, რადგან არ ჩანს თუ რამდენნი იყვნენ) და 10 პარტახტი (§§ 207, 215, 217—19, 254). აქედან, პარტახტებს რომ თავი დავანებოთ, 12 კომლი დაუბეგრავი, 7 კ. დაბეგრილი და 3

კომლი გაურკვეველი ღირსების. ანუ ერთად 22 კ. მსახურია, 40 კ. გლეხია (მოინალე), 1 კომლის ღირსება გაურკვეველად რჩება და 8 კომლიც უსამსახუროდაა მოხსენებული (§§ 216, 225, 236, 244 გაცემულნი არიან, §§ 229, 243. 249, 252). პროცენტულად: 16,9% დაუბეგრავი, 9,85% დაბეგრილი და 4,22% გაურკვეველი ღირსების, ანუ სულ 30.97% მსახური და 56,33% გლეხი (მოინალე)[1].

მდაბიო გლეხებს (§§ 178—206, 208—09, 211—14, 241—42, 246—248) ყველას, ერთს გარდა, მართებს „ტჯრთი და მუშაობაჲ". მხოლოდ ერთი (§ 242) ტვირთისაგან თავისუფალია და ღირსებით დანარჩენებზე უფრო მაღლა დგას, რაც იმითაც მტკიცდება, რომ მუშაობისაგანაც განუთავისუფლებიათ ეს ყმა შემდეგში, სიტყვა „მუშაობაჲ" გადუხაზავთ (იხ. გე. 33, შენ. 3).

დაბეგრილი მსახურების (§§ 215, 230, 232, 237—40) ბეგარა თვალსაჩინოდ დაკლებულია. თითო მსახურზე საშუალოდ მოდის: 118 ლიტრა ღვინო[2] (max. 196, min. 70), 0,57 ნაოთხალი ცეხვილი, 0,85 საკლ., 0,71 გოჯი, 0,85 ქათამი, 0,42 თეთრის ყავარი; თითო გლეხზე (მოინალეზე) კი საშუალოდ მოდის: 367,15 ლიტრა ღვ. (max. 560, min. 70), 1,65 ნაოთხ. ცეხვ., 1 საკლ., 0,975 გოჯი, 0,975 ქათ., 1 თეთრის ყავ., 0,925 ურემი ღომი, 26,25 მკლავი ფეტვი, 0,85 ლიტრა ყველი. როგორც ვხედავთ, ურმეული ღომი, ფეტვი და ყველი მსახურების ბეგარაში სულ არ შედის. ქვემოთ გამოირკვევა, რომ ურმეული ღომი განსაკუთრებული ხასიათის ბეგარა იყო და წოდებრივ ნიშანს ატარებდა. ერთ დაბეგრ. მსახურს მხოლოდ ღვინო, ყავარი და პურის-ჭამა მართებს, სხვებს კი, ისე როგორც გლეხებს, პურის-ჭამა აკლიათ. სამსახურის მხრით დაბეგრ. მსახურებში განირჩევიან „სამსახურის" და „ლაშქრობის" მოვალენი.

გაურკვეველი ღირსების მსახურებს (§§ 250—51, 253) მართებს 1 ცხვარი, ძღვენი და ლაშქრობა, მაგრამ ძნელი სათქმელია, ცხვარი უნდა ჩაითვალოს თავ-ბეგარად, ე. ი. ეს მსახურნი დაბეგრილნი არიან, თუ არა?

დაუბეგრავ მსახურებს (§§ 210, 216, 220—24, 226—28, 234, 235[3]). ჩვეულებისამებრ, მართებს მხოლოდ პურის-ჭამა და სპეც. ბეგარა (ყავარი), ოღონდ განირჩევიან უფრო საპატიონი, „ცხენით სამსახურის" და „ცხენით ლაშქრობის" მოვალენი და უფრო ბდაბიონი, მარტივად „ლაშქრობის" მოვალენი. დაუბეგრავ მსახურთაგან ორი (§ 210, 234) მდაბიო გლეხი ყოფილა და გაუზატებიათ (იხ. ცალკე ქვემოთ).

გაურკვეველი ღირსების ყმა (§ 233) საინტერესოა იმით, რომ მას მართებს მხოლოდ ღვინო და ყავარი და ეკალება მუშაობაც და ლაშქრობაც. შეკვეცილ-დაკლებული ბეგრის მიხედვით საფიქრებელია, რომ ეს ყმა მსახური უნ-

---

[1] აზატებს აქაც და სხვაგანაც დაუბეგრავ მსახურთა შორის ვანგარიშობ.

[2] ერთს (§ 215) ათიანი კოკა მართებს, დანარჩენებისას თოთხმეტლიტრიანად ვანგარიშობ, როგორც საგულისხმებელია პირველი ნორმიდან (§ 178).

[3] გვარის მიხედვით (კარგარეთლისშვილები) ეს ყმა შეიძლებოდა აზნაურადაც მიგველო, მაგრამ აზნაური, ჩვეულებრივად, დასახელებულია როგორც ასეთი, ხოლო ვალდებულების მიხედვით საბუთი არა გვაქვს ეს კომლი დანარჩენებზე უფრო მაღლა დავაყენოთ.

და იყოს, და მაშინ აქ პირველი შემთხვევა გვექნება XVI ს-ისათვის, რომ მსახური მუშაობდეს.

მდაბიო გლეხთათვის საინტერესოა კიდევ აღინიშნოს შემდეგი: ერთი (§ 191) მჭედელია და ცეხვილის, ურმეულის, საკლავის, გოჭ-ქათმის და ყავრის მაგივრად უნდა გამოიღოს „ოთხის ცხენის ნალუსმარი“; ორს (§§ 185, 192) ურმეული არ მართებს; ერთს (§ 198) შეუძლია ირჩიოს ან სრული ბეგარა, ტვირთი და მუშაობა, ან მეჯინიბობა. ეს უნდა გვიჩვენებდეს, რომ „მეჯინიბობა“ საპატიო სამსახური იყო[1] და ამასთანავე სამძიმოც, თუ კი ბეგრისგან სრულიად ათავისუფლებდა კაცს.

შ უ ბ ა ნ ს (§§ 256—300, დაბეჭდ. „ბუბანს“) ყოფილა 40 კომლი ყმა და 4 პარტახტი (§§ 293—95, 299). 40 კომლიდან 2 კ. დაუბეგრავი, 3 კ. დაბეგრილი, ე. ი. სულ 5 კ. მსახურია, 31 კ. გლეხია (მოინალე) და 4 კომლის ღირსება გაურკვეველი რჩება. პროცენტულად: 5% დაუბეგრავი, 7,5% დაბეგრილი, ანუ სულ 12,5% მსახური და 77,5% გლეხი (მოინალე).

მდაბიო გლეხებს (§§ 256, 258—87) მართებს „თივის თიბა, იფქლისა და ქერის მუშაობაჲ“ და „ქუთათის საყდრის მუშაობაჲ“, ე. ი. ნადობა და ნიადაგი მუშაობა. შუბანელი გლეხნი, მაშასადამე, საერთოდ უფრო შეღავათიან პირობებში ყოფილან სამსახურის მხრით, ვიდრე, მაგ., როკითელნი, რომელთაც მუშაობას გარდა ტვირთიც ემართათ. საყდრის მუშაობა, როგორც ჩანს, შეკვეთით ყოფილა განწესებული (იხ., მაგ., §§ 261, 266), შეიძლება რამდენჯერმე წელიწადში, ყავრის მიტანასთან ერთად, „როდისცა შემოგკუ[illegible]თოს“ ქუთათელმა.

დაბეგრილი მსახურების (§§ 288, 289, 297) ბეგარა აქაც შეკვეცილ-შემცირებულია. საშუალოდ თითო მსახურზე მოდის: 700 ლიტრა ღვინო (max. 1000, min. 400)[2], 1 ფურბეწი, 1 ცხვარი, 1 თეთრის ყავარი, 0,66 ურემი ღომი; თითო გლეხზე კი — 394,92 ლ. ღვინო (max. 770, min. 168), 1 ფურბ., 1 ცხვ., 1 თეთრ. ყავ., 1 ურემი ღომი, 12,12 თეთრის საკლავი, 2,67 თეთრი, 20 კვერცხი, 0,96 საბელი, 1 ქათამი. ღვინო ნაკლებია, სამაგიეროდ საკლავი, თეთრი, კვერცხი, საბელი და ქათამი მსახურებს სულ არ მართებს (ერთს დაბეგრ. მსახურს მართებს „ზროხაჲ“, რომელიც არ მიანგარიშია). დაბეგრილი მსახურები მეხადილენი ყოფილან, გლეხებს კი რიკრიკა ევალებოდათ. „საბელი“ სამოინალო ბეგარად ჩანს, აგრეთვე ურმეული. მაგრამ ურმეული ორს დაბეგრ. მსახურსაც მართებს. სამსახურად ამათ უწერიათ „საყდრის საქსახური“ და, ბეგარას გარდა, ამითაც განირჩევიან მდაბიოთაგან, რომლებსაც ყველას „საყდრის მუშოობაჲ“ მართებს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორი მსახური

[1] სახელდობრ, საპატიო იმიტომ, რომ სათაკილო სამსახურისაგან ათავისუფლებს ამ ყმას. ასეთივე არჩევანის უფლება ჰქონდა მუშაობა-ტვირთსა და ცხენით სამსახურს შორის გააზატებულს შალაბერიძეს (§ 210).

[2] ორს მართებს 10-ლიტრიანი კოკა, ერთს კი არაფერი უწერია და, როგორც პირველი ნორმიდანაა (§ 256) საფიქრებელი, საბეგრო კოკა უნდა მართებდეს, ხოლო საბეგრო კოკას 14-ლიტრიანად ვანგარიშობ (ასეა თითქოს ფერსათის ნუსხის მიხედვით იხ. ქვემ.). მდაბიო გლეხებს ყველას საბეჯრო უნდა მართებდეს.

მდაბიოთაგან აღზევებულან და სამოინალო ბეგარა ჯერ-ჯერობით გამოჰყოლიათ. ერთი მათგანი (§ 297) დაუბეგრავი მსახურის ყმა ყოფილა.

დაუბეგრავ მსახურებს მართებს: ერთს (§ 296) ხადილი, ფურბეწი და ცხვარი (აქედან ჩანს, რომ ეს ძღვენი იყო ან სჰეც. ბეგარა — გაწერილიც საყოველთაოდაა, § 298), ყავარი და „ცხენით სამსახური“, მეორეს (§ 298) ხადილი, ყავარი და „ჴელოსნობით სამსახური“. ამათაც მართებს „საყდრის სამსახური“.

გაურკვეველნი (§§ 257, 290—92) ყველანი იმით განირჩევიან, რომ ნიადაგი მუშაობა და ნადობა არ მართებსთ, არ უწერიათ აგრეთვე „საბელი“, ერთს ურმეულიც აკლია, ხოლო სამს ცალკე უწერია პურის-ჭამა და, მაშასადამე, „რიკრიკა“ არ ეკალებოდათ. მაგრამ ყველას მართებს „საყდრის მუშოობაჲ“ და არა „სამსახური“, ხოლო ერთს კიდევ „ჴელოსნობით სამსახური“. საფიქრებელია, რომ ესენი საშუალო მდგომარეობაში ყოფილან, თუმცა, ალბათ, მდაბიოთა შორის ირიცხებოდნენ. „ჴელოსნობის“ მოვალე გლეხი (მოინალე) უკვე ზემოთაც შეგვხვდა, ბაშის ნუსხაში.

საინტერესოა აღინიშნოს კიდევ, რომ ერთ გლეხს (მოინალეს) „საბელი“ არ უწერია (§ 272). მე მგონია, რომ ეს ყმაც ოდნავ უფრო მაღალი ღირსების უნდა ყოფილიყო, ვინემ საბელის გარდამხდელი.

ფ ე რ ს ა თ ს (§§ 304—373) 59 კომლი ყმა (ჩაუთველია მერმინდელი ჩართული §§ 308, 319) და 9 პარტახტი (§§ 320—22, 332, 346—47, 357, 362, 371) ყოფილა. 59 კომლიდან 2 კ. დაუბეგრავი, 8 კ. დაბეგრილი, სულ 10 კ. მსახურია, 33 კ. გლეხია (მოინალე), 9 კ. გაურკვეველად რჩება, 11 კ. უსამსახუროა (§§ 312—13, 356, 358—59, 361, 365, 368 bis—70), ხოლო 2 კ. უარაოდაა ნახსენები: ერთი (§ 372) ნაყიდია და მეორე (§ 373) ნაბოძები (ორნივე გიორგი მამასახლისისანი უნდა იყვნენ). პროცენტულად: 3,38% დაუბეგრავი, 13,55% დაბეგრილი, სულ 16,93% მსახური და 55,93% მდაბიო გლეხი.

მდაბიო გლეხს (§§ 305—07, 310—11, 314—17, 323, 325—27, 330—31, 333—34, 336—37, 339—45, 348—54) აქ იგივე სამსახური მართებს, რაც შუბანს (იხ. § 373). ამათს ბეგარაში აქაც სისტემატურად შედის ურმეული ღომი და საბელი. ურმეულის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული: „ეს ფერსათელნი თუ მუშაობენ, ურმეულს არ გამოიღებენ, თუ არ მუშაობენ, ურმეული უნდა გამოიღონ“ (გვ. 44). მაშასადამე, ეს ბეგარა დაკავშირებული იყო მუშაობის ვალდებულებასთან. მიზეზი ამისა ირკვევა ახალსოფლის ნუსხიდან (§§ 21—35), რომელშიც ვკითხულობთ: „თუ ღომი მუშაოს (მებეგრემ), 2 ნაოთხალი ღომი გამოიღოს, და თუ არ მუშაოს ყანა, 8 ნაოთხალი ღომი გამოიღოს“. ცხადია, რომ ფერსათსაც ურმეული დაწესებული იყო საბატონო ღომის ყანის დამუშავების სანაცვლოდ. ეს ბეგარა გამოიწვია წმინდა ეკონომიურმა მოსაზრებამ: რადგანაც შესაძლებელი იყო, გლეხს საბატონო მიწა არ დაემუშავებია, მას უნდა ეზღო ბატონისათვის ზედმეტი ხარჯი და შეიძლება დანაკლისიც: მაგრამ რაკი ნ ადაგი მუშაობის მოვალე ჩვეულებრივად მდაბიო გლეხი იყო, ამ ბეგარამ წოდებრივი (სამოინალო) ელფერი მიიღო, თუმცა ზემოთ შეგვხვდა ორი დაბეგრილი მსახური, რომელთა ბეგარაში ურმეული შედიოდა. ფერსათის ნუსხის თვითეულ საგლეხო (სამოინალო) ნორმაში ურმეულიც სწერია და „ყოვ-

ლის დღის მუშაობა"-ც; კიდევ ევალებოდათ ფერსათელებს „ქერის მუშაობა" (§ 373). ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ურმეული მხოლოდ ღომის ყანის დამუშავების სანაცვლო იყო და არა საზოგადოდ მუშაობისა. მაგრამ ფერსათელ გლეხს ეგების არჩევანის უფლებაც ჰქონდა. შუბანს და როკითს კი, რადგან იქ ურმეული განმარტებული არაა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მუშაობა შეუფასებიათ და პირდაპირ შესატყვისი გადასახადი მიჰქონდათ (ურმეულისათვის საინტერესოა კიდევ § 272: „ან საფერი შენებაჲ და ან ღომი ურემი ერთი").

დაბეგრილი მსახურის (§§ 324, 328—29, 338, 360. 363—64, 366) ბეგარა აქაც შეკვეცილ-შემცირებულია. თითო მსახურზე საშ. მოდის: 296,25 ლიტრა ღვინო (max. 770, min. 120)[1], 1,37 ზროხა, 1 ცხვარი, 4,5 თეთრის საკლავი, 1,25 თეთრი, 1 თეთრის ყავარი (სულ 6,75 თეთრის ბეგარა), 0,25 ურემი ღომი, 5 კვერცხი, 0,37 ქათამი; ხოლო თითო გლეხზე (მოინალეზე) საშ. მოდის: 420 ლ. ღვ. (max. 1050, min. 168), 1 ზროხა, 1 ცხვ.[2], 12 თეთრ. საკლ.. 3,45 თეთრი, 1 თეთრ. ყავარი (სულ 16,45 თეთრის ბეგარა), 0,94 ურემი ღომი, 20 კვერცხი, 0,96 ქათ., 0,96 საბელი.

ზოგს მართებს „ცხენით სამსახური", ზოგს კი უფრო დაბალი ღირსების სამსახური: „სამსახური" ან „მსახურობაჲ", „ან სოფლის მოხელობაჲ და ან ბატონის სამსახური". ორს ურმეულიც მართებს და ესენი შუბანელი 2 მსახურის ანალოგიას წარმოადგენენ. ცხენით მოსამსახურენი მეხადილენი არიან, ხოლო გლეხებს (მოინალეებს) რიკრიკა ევალებათ.

დაუბეგრავ მსახურთაგან ერთს (§ 335) მართებს პურის-ჭამა, ყავარი და „ყოვლის დღის მსახურობაჲ", ერთსაც (§ 367) —„კარკაცობით პურის-ჭამა" და ყავარი. ეს უკანასკნელი მამასახლისი ყოფილა, ე. ი. ხელოსნობით სამსახურს უწეოდა.

გაურკვეველთაგან (§§ 309, 318, 355) ორს საგლეხო (სამოინალო) ბეგარა მართებს (ურმეული, საბელი) და მუშაობა და სამსახური, ხოლო ერთს „საბელი" აკლია და უწერია: „ღომი ურემი ერთი და ან მსახურობაჲ". ყველა ნიშნებით ესენი მდაბიო გლეხნი უნდა იყვნენ, მაგრამ, რა აზრითაა აქ ნახმარი ტერმინი „სამსახური" თუ „მსახურობა", ძნელი სათქმელია. უფრო სათუოა მესამე ყმის მდგომარეობა.

ფერსათის ნუსხაში § 319 მერმინდელი ჩართულია (იხ. გვ. 47, შენ. 1, შდრ. საქ. მუზ. ხელნაწ. ფონდის № 626, გვ. 53 R), მაგრამ აქ დასახელებული მებეგრის ვალდებულება საინტერესოა და უჩვეულო. ამას მართებს სრული ბეგარა, გარდა „საბელისა" და „ღომი ურემი ერთი და ან მსახურებაჲ ცხენითაა". შესაძლებელია, რომ ცხენით სამსახური მთელი ბეგრის სანაცვლო იყოს და არა მარტო ურმეულისა, მაგრამ შეიძლება აგრეთვე, რომ „მსახურებაჲ ცხენითა" აქ ცხენით ყანის დამუშავებას ჰგულისხმობდეს და ამიტომ ურმეულის კორელატი იყოს, და მაშინ XVI ს-ისათვის პირველი ნიშანი გვექნება იმისა,

[1] ხეთს მართებს 10-ლიტრიანი კოკა, დანარჩენებს „საბეჭრო" უნდა მართებდეს, ისე როგორც მდაბიო გლეხებს (იხ. § 323), რომელიც, როგორც პირველი ნორმიდანაა თითქოს საფიქრებელი (§ 305), 14-ლიტრიანი იყო.

[2] თითო ზროხა და ცხვარი ყველას ემართა (გვ. 45).

რომ სამინდერე მუშაობისათვის ცხენსაც იყენებდნენ (შდრ. ქვემოთ გურიის საქუთათლო მეხადილეთა შესახებ).

ცალკე აღვნიშნავ კიდევ, რომ ფერსათსაც მოიპოება ერთი გლეხი (მოინალე), რომელსაც „საბელი“ არ მართებს (§ 323), მაგრამ ეს პირვანდელი მოელენა არ უნდა იყოს, რადგან სწორედ იმ ადგილას, საცა „საბელი“ უნდა წერებულიყო, ერთი სიტყვა ამოფხეკილია (გვ. 47, შენ. 2).

გ უ რ ი ი ს (გვარების მიხედვით) ს ა ქ უ თ ა თ ლ ო ნ უ ს ხ ა შ ი (§§ 457—518) სულ 59 მეკომურია (პარტახტებს არ ვანგარიშობ; ნუსხიდან ჩანს, რომ დაახლ. 15 მეკომურის ნორმა დაკარგული უნდა იყოს). აქედან 4 კ. მსუბუქად დაბეგრილი და 10 კ. დაბეგრილი, სულ 14 კ. მსახურია, 38 კ. მდაბიო გლეხია, 2 კომლი გაურკვეველად რჩება და 5 კ. უსამსახუროა (§§ 468, 491, 493, 504, 518). პროცენტულად: 6,7% მსუბ. დაბ., 16,9% დაბეგრ., სულ 23,6% მსახური და 64,4% გლეხი (მოინალე).

მდაბიო გლეხს (§§ 457—67, 469—72, 481—87, 489, 490, 492, 495—500, 503, 505—09, 511) მართებს „სამსახური ოჩისა“, ე. ი. სამინდერე მუშაობა, ხოლო დაბეგრილ მსახურს (§§ 473—80, 501, 502) ევალება „სამსახური მეჯინიბობით“, ერთს „ხელოსნობით სამსახური“, ერთს „სამსახური“, რაც უეჭველია, ოჩის სამსახურზე უფრო საპატიო იყო. მაგრამ ბეგრით ესენი მდაბიოთაგან არ განირჩევიან. საშუალოდ თითო მსახურზე მოდის 6,6 ჩითახური (max. 12, min. 5), თითო მდაბიოზე — 7,71 ჩითახ. (max. 30, min. 1), დანარჩენი ბეგრები კი (საკლავი, ქათამი, ღომი, ღვინო, პური) თანაბარია.

სამაგიეროდ მსუბუქად დაბეგრილი მსახური (§§ 488, 510, 512, 515) ორივე ზემოხსენებული კატეგორიისაგან თვალსაჩინოდ განირჩევა: მას მართებს მხოლოდ ჩითახური (საშ. 9,18, max. 20, min. 2½), პურის-ჭამა და ცხენით სამსახური. ჯუმლიდან ჩანს, რომ ამათ „მეხადილენი“ ეწოდებოდათ. „ჩითახური“, როგორც ყველა ნორმა გვიჩვენებს, უდავოდ თავი-ბეგრის ერთი ძირითადი შემადგენელია ამ ნუსხაში.

გაურკვეველი ღირსების ყმებიც (§§ 494, 513) მეხადილენი არიან, ე. ი. მაღალი ღირსების ყმები უნდა იყვნენ, მაგრამ ამათ მართებს „ცხენით სამსახური ოჩისა“. რომ ამ ნუსხაში „ოჩე“ სასახლეს კი არ ჰგულისხმობს, არამედ პირდაპირ ყანას, ეს ჩანს მერმინდელი მინაწერიდან (გვ. 70), რომელშიც „სახლის მუშაობა“ ცალკეა აღნიშნული. მაშასადამე, ორი დასახელებული მეხადილე ემსახურებოდა ცხენით ყანას. ამგვარად, ყანას ზოგჯერ ცხენითაც ამუშაებდნენ. ამისი ნიშანი ზემოთაც შეგვხვდა ფერსათის ნუსხაში.

ამით ვათავებ საქუთათლოს დავთრის განხილვას. დანარჩენი სოფლების ნუსხები ახალს არაფერს შეგვძენს, ხოლო ზოგან მარტო უსამსახურო ყმები არიან ჩამოთვლილი (მაგ., ჩუნეშს, ოფისკვიჯს, კორთხას).

ეს არის სულ ის, რაც XVI ს-დან მოგვეპოება. როგორც ვხედავთ, ძეგლების სიმრავლე არ სჭარბობს, მაგრამ მაინც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გლეხების სოციალურ-ეკონომიურ კატეგორიათა ვითარების ჭაფიო სურათი წარმოვიდგინოთ:

1. ჩვენ გამორკვეული გვქონდა, რომ გლეხობა ორი ფენისაგან შედგებოდა: მსახურებისა და გლეხების ანუ, ოდიშში, მოინალეთაგან. საგამოსაელო დავთრების ნიშანდობლიეი განხილვა გვიჩვენებს, რომ ასეთი დანაწილება საკმარისი არაა, რომ ნამდვილად გლეხობის მასა ასეთი ორფეროვანი კი არა, არამედ გაცილებით უფრო მრავალფეროვანი იყო, რომ ის ორი მთავარი კატეგორია თვითეული თავისი მხრით, დანაწილებული იყო რამდენსამე ქვეკატეგორიად და რომ გარედან, ვთქვათ, აზნაურობის მიმართ, მთლიანი გლეხობა შიგნით წარმოადგენდა უწყვეტელ წოდებრივ კიბეს, დაწყებული უდაბლესი მეტვირთიდან ვიდრე უმაღლეს დაუბეგრავ მსახურამდე.

ასეთი რამ იმთავითვე მოსალოდნელი იყო პატრონ-ყმურ წყობილებაში. პატრონ-ყმური დამოკიდებულება პირადი ხასიათის დამოკიდებულებაა და ამიტომ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ყმის დამსახურებას, ერთგულებას, „სიკეთეს“. ამ ნიადაგზე ხდებოდა ყმის აღზევებაც და დაქვეითებაც და, რასაკვირველია, შესაძლებლობანი აქ განუსაზღვრელი იყო. რამდენადაც მრავალსახოვანი იყო პატრონისა და ყმების პირადი დამოკიდებულება, იმდენადვე სახემრავალი უნდა ყოფილიყო ყმების სოციალური მდგომარეობაც.

რასაკვირველია საერთო განვითარება ძირითადად ეკონომიურ საფუძველზე იყო დამყარებული. მაგრამ თვითეულ კერძო შემთხვევაში პირადი დამოკიდებულება დიდ როლს თამაშობდა და საერთო სურათსაც თავის დაღს ასვამდა.

ამგვარად, XVI ს-ისათვის შეიძლება შემდეგი საგლეხო წოდებრივი სქემა წარმოვადგინოთ, უდაბლესიდან უმაღლესისკენ:

გლეხი: { I. გლეხი (მოინალე): 1. მეტვირთე, 2. მომუშავე.
II. მსახური: a. დაბეგრილი: 1. მოსამსახურე, 2. მოლაშქრე.
b. დაუბეგრავი: 1. მოსამსახურე, 2. მოლაშქრე.

გლეხი (მოინალე) განირჩევა, როგორც ეხედავთ, მარტო სამსახურის მიხედვით, რადგან გლეხი ყველა დაბეგრილი იყო, ყველას ჭართებდა თავი-ბეგარა. მსახურთა ფენა კი განაწილდებოდა ორ მთავარ ქვეკატეგორიად. კიდევ შეიძლებოდა მსახურთა განაწილება ფეხით და ცხენით მოსამსახურეებად, მაგრამ, აქ, ალბათ, უფრო ქონებრივი სხვაობა იყო, თუმცა ცხენით მოსამსახურეს პატივიც მეტი ექნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სქემიდან მაინც ჩანს მსახურთა ფენის მრავალფეროვნება შედარებით გლეხებთან: ესენი ორ ქვეკატეგორიად განაწილდებიან. მსახურნი კი ოთხი კატეგორიისანი არიან. ერთის მხრით ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ მსახურთა დანაწილება ბეგრისა და სამსახურის კომბინაციით ხდება, მხოლოდ ამავე დროს ეს ადასტურებს ზემოგამოთქმულ აზრს პირადი დამოკიდებულების შესახებ პატრონ-ყმურ წყობილებაში: ცხადია, რომ მსახურნი უფრო ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ თავის ბატონთან, მათი დამოკიდებულება უფრო მრავალგვარი იყო და ამიტომ მათი წოდებრივი მდგომარეობაც უფრო მრავალსახოვანი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, არც ეს ჩვენი სქემაა სრული: ჩვენ საკმაოდ მრავლად შეგვხვდა საშუალო მდგომარეობის ყმები, ზოგი გლეხთა (მოინალეთა) კატეგორიიდან გა-

მოსული, მაგრამ, უეჭველია, ჯერ კიდევ ამ კატეგორიაში შემავალი („ჭელოსანი“, მოსასახლე, მესაღობე), ანდა უკვე მსახურთა უდაბლეს ქვეკატეგორიაში შესული (ურმეულის მოვალე მსახურნი), ზოგიც მსახურთა კატეგორიიდან თითქმის აზნაურობამდე აღზევებული („კარკაცობით“ პურის-ჯამის მოვალე მამასახლისი). გარდა ამისა, ჩვენ ვნახეთ დაბალი ფენის გლეხნი (მოინალენი), რომელთაც ესა თუ ის შეღავათი ჰქონდათ მინიჭებული (მაგ. „საბელის“ გარდუხდელობა), შემდეგ, მარტო „სამსახურისა და მცეხველობის“ მოვალე მცეხველნი. მრავალი უსამსახურო, რომელთა შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი, და აგრეთვე მომუშავე-მოლაშქრე და მომუშავე-მოსამსახურე ყმები.

ყველა ეს ფორმა ჩვენს სქემაში არ მოხვდა, იმიტომ რომ თვითეულს საბეგრო ნუსხებში მხოლოდ ერთი-ორი წარმომადგენელი ჰყავს და სრულებით ცხადია, რომ ასეთი ტიპის ყმები გამონაკლისს და იშვიათობას წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ქვეკატეგორია თუ საშუალო ტიპი წოდებრივ ხასიათს ატარებდა, მემკვიდრეობითი იყო. რაც იმ დროისათვის საზოგადო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, ამავე დროს, ყმის სოციალური მდგომარეობა არ იყო ურყევი რამ. ერთი და იგივე ყმა. დღეს მეტვირთე, ხვალ შეიძლება ამ მოვალეობისაგან განთავისუფლებულიყო და სულ სხვა კატეგორიაში მოხვედრილიყო. ხდებოდა როგორც აღზევება (მაგ. გააზატება), ისე დაქვეითებაც (მაგ. დაბეგვრა). ამის შესახებ პირდაპირი ჩვენებანიც მოიპოვება ჩვენს საბუთებში (ზოგიერთი მაგალითი ზემოთაც გზადაგზა მოვიყვანე) და XVII ს-ის საბუთებთან შედარებაც ამას ცხადჰყოფს. უამისოდ წარმოუდგენელიცაა ის წოდებრივი მრავალფეროვნება, რომელიც მე ვეცადე სქემატურად გადმომეცა. წოდებრივ კიბეზე ყველას შეეძლო ასვლაც და ჩამოსვლაც.

2. მართალია, გლეხობა XVI ს-ის დას. საქართველოში, სოციალური თვალსაზრისით, უწყვეტელ წოდებრივ კიბეს წარმოადგენდა, მაგრამ ორ ადგილას ამ კიბის საფეხურები ერთმანეთს უფრო დაშორებული იყო და თანდათანობითი გარდამავლობაც დარღვეული ჩანს.

პირველად იქ, საცა მსახური გამოეყოფოდა გლეხს (მოინალეს). აქ საკითხსა სწყვეტდა სოციალური მომენტი. მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა სამსახურს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: ერთის მხრით დადებული იყო საპატიო სამსახური და ლაშქრობა, მეორე მხრით — მუშაობა, ე. ი. ნიადაგი მუშაობა და ნადობა და ტვირთი. XVI ს-ში თითქმის არ გვხვდება მსახური, რომელიც მუშაობდეს, მაგ. ნადობდეს, და გლეხი (მოინალე), რომელიც ლაშქრობდეს ან „მსახურობდეს“. ეს, უეჭველია, არსებითი სხვაობა იყო და მსახურთა ფენას გარკვეულ მთლიანობას ანიჭებდა გლეხთა (მოინალეთა) ფენის მიმართ. საჭირო იყო ერთგვარი ნახტომი, რომ გლეხი (მოინალე) მსახურთა შორის ჩარიცხულიყო.

მაგრამ მაინც, XVI ს-შიც, გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გლეხი (მოინალე) ფაქტიურად საპატიო სამსახურს ეწევა: საეკვო და სადავო შემთხვევებს რომ თავი დავანებოთ, ვიცით, რომ ბაშს და შუბანს მდაბიო გლეხი

„ქელოსნობდა“ და რომ ფერსათს ორი ყმა მუშაობდა და მსახურობდა ერთდროულად (თუმცა არაა საჭირო, რომ ეს სამსახური მაინცდამაინც საპატიო ყოფილიყო). მეორე მხრით, როკითს ერთ მებეგრეს ევალებოდა მუშაობა და ლაშქრობა. მაგრამ, ეს არის და ეს. რამდენიმე დანარჩენი შემთხვევა ყველა სადავოა და ამიტომ ვერაფერს გვეტყვის.

ამგვარად, ცხადია, რომ მიჯნა გლეხებსა და მსახურებს შორის XVI ს-ში კარგად იყო დაცული. მაგრამ ეს იყო სამსახურებრივი ვალდებულების მხრით, ხოლო ეკონომიურად დაბეგრილი მსახური, როგორც დავინახეთ, ზოგან თითქმის არ განირჩეოდა მდაბიო გლეხისაგან.

3. მეორე ადგილას თანდათანობითი გარდამავლობა დარღვეული იყო იქ, საცა დაუბეგრავი მსახური გამოეყოფოდა დაბეგრილს. სხვაობა აქ უფრო ეკონომიური ხასიათისა იყო, ხოლო რამდენადაც ბეგარა წოდებრივ ელფერს ატარებდა, სოციალურ-ეკონომიურისაც. ჯერ ერთი რომ დაუბეგრავი მსახური, ჩვეულებრივად (თუმც ყოველთვის არა!), ნაკლებს იხდიდა ვიდრე დაბეგრილი. ხოლო, რასაც იხდიდა, ის საპატიოდ ითვლებოდა, საპატიო ბეგარა იყო. იგი თავისუფალი იყო თავი-ბეგრისა და აგრეთვე სხვა მრავალი ბეგრისაგან. რომელიც ევალებოდა დაბეგრილ მსახურს და მდაბიო გლეხს. აქაც ერთგვარი ნახტომი იყო საჭირო, რომ დაბეგრილი მსახური დაუბეგრავთა შორის მოხვედრილიყო. სამსახურის მხრით ამათ შორის განსხვავება არ იყო, მაგრამ რომ ბეგრის სხვაობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას კარგად დავინახავთ ქვემოთ, როდესაც გააზატებას გავეცნობით. ამ გარემოებამ, უეჭველია, დაბეგრილ მსახურთა მერმინდელ ვითარებასთან დაკავშირებით, უფრო გვიან თავისი ნაყოფი მოგვცა და გლეხობის სოციალურ დანაწილებაში თვალსაჩინო ცვლილება შეიტანა.

4. ცალკე უნდა აღინიშნოს. რომ საკათალიკოზო ყმათა შორის, თუ განსაკუთრებულ პირობებში მყოფ საგენათლო წმ. გიორგის ყმებს მხედველობაში არ მივიღებთ. როგორც ეტყობა, საზოგადოდ მსახურთა პროცენტი მეტი იყო. ვიდრე საკუთათლო ყმათა შორის.

ქუთაისის საყდარს მხოლოდ თვით ქუთაისში ჰყავდა განურჩეველად ყველა მსახურნი, რაც სწორედ მათი საცხოვრებელი ადგილით უნდა აიხსნებოდეს. მართალია, საკათალიკოზო ნუსხა სულ სამი მოგვეპოება, მაგრამ, უეჭველია, საზოგადო მოვლენის მომასწავებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ოდიშსაც და გურიასაც მსახურთა პროცენტი ბევრით სჭარბობდა მდაბიო გლეხობისას.

VI

XVII საუკუნისათვის მოკლე, სქემატური. მაგრამ ზუსტი და მხოლოაზროვანი ცნობა საგლეხო ვალდებულებათა შესახებ დაგვიტოვა ა რ ქ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი მ. იგი ჰგულისხმობს საერისკაცო გლეხობას, მაგრამ თითქმის ყველა მის ცნობებს საეკლესიო საბუთებიც ადასტურებენ, თუმცა, როგორც დავინახავთ, ზოგი რამ ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს არ აღუნიშნავს. ლ ა მ ბ ე რ ტ ი არჩევს შემდეგ ბეგრებს: 1. პურის-ჭამას და 2. ყოველწლიურ გამოსაღებს, რომელიც ღალას ანუ ჩვენთვის ცნობილ თავ-ბეგარას უნდა წარმოადგენდეს; ორივე განისაზღვრება

მიწის ოდენობით და, საზოგადოდ, ყმის შეძლებით. 3. სხვადასხვაგვარ ძღვენს: სასტუმროს, სადღესასწაულოს, საშობოს, სამარხოს, 4. მასპინძლობას, რომელიც იგივე პურის-ჭამაა, ოღონდ ჩვეულებრივი, საზეიმო ხასიათს არ ატარებს და 5. ე. წ. შინ ჩადგომას ან ჩაყენებას (ლ ა მ ბ ე რ ტ ი 36). როგორც ვხედავთ, სპეც. დანიშნულების ბეგარას ლ ა მ ბ ე რ ტ ი არ იხსენიებს. იგი არ არჩევს მსახურსა და მოინალეს ბეგრის მიხედვით, ე. ი. არ იცნობს დაუბეგრავ მსახურებს, რაც იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ესენი საერისკაცო ყმათა შორის ან სულ არ მოიპოებოდნენ. ან იმდენად მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი, რომ მათი მოხსენებაც არ ღირდა. სამაგიეროდ, სამსახურებრივი სხვაობა ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს გარკვეულად აქვს აღნიშნული. მსახურს ევალებოდა: 1. მორიგეობით სამსახური ბატონის კარზე. 2. ლაშქრობა, 3. მგზავრობა და 4. ნადობა. მოინალეს კი, გარდა ამისა, 5. შეშის მოტანა და 6. ბარგის ზიდვა. მსახურს შეეძლო, თუ ჰყავდა, ცხენით ემსახურა, მოინალე კი, რომც ჰყოლოდა, ცხენით ვერ ეახლებოდა თავის ბატონს (იქვე 35 –36). ნიადაგ კვირეულ მუშაობას ლ ა მ ბ ე რ ტ ი არ იხსენიებს, (თუ იგი მორიგეობით სამსახურში არ იგულისხმება), რაც სრულიად გაუგებარია. დანარჩენი კი სავსებით ეთანხმება XVI ს-ის დავთრების ჩვენებებს, გარდა იმისა რომ XVI ს-ში ნადობის მოვალე მსახური და ლაშქრობის მოვალე მოინალე არ შეგვხვედრია (მხოლოდ როკითს ენახეთ ერთი ყმა, რომელსაც მუშაობა და ლაშქრობა ევალებოდა). ქვემოთ ვნახავთ, რომ XVII ს-ის დავთრები ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს ამ ცნობასაც ადასტურებენ. „მგზავრობა“ ხშირად შეგვხვდება ქვემოთ და მართლაც ეს სამსახური მსახურსაც ევალებოდა ხოლმე და გლეხსაც. მოინალე, ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს სიტყვით, საკუთრივ სამსახურსაც ასრულებდა ბატონის კარზე — ცხადია, რომ მას მხოლოდ დაბალი ღირსების სამსახურს თუ არგუნებდნენ.

საკ“ზო ნუსხათაგან პირველად გავეცნობით **ხოირის** 1622 წ. ნუსხას (საკ“ზო დავთ. 29—31). XVI ს-ში, როგორც ვნახეთ, აქ იყო 28 კომლი მსუბუქად დაბეგრილი მსახური. XVI ს-ის ნუსხაში, სამწუხაროდ, მებეგრეთა გვარები მოყვანილი არაა, მაგრამ იმ 28 კომლიდან 24 კომლი ყოველ ეჭვს გარეშე შეიძლება მოიძებნოს 1622 წლ. ნუსხაშიც. აქაც ეს 24 კ. მსუბუქადაა დაბეგრილი, სწორედ ისე, როგორც XVI ს-ში: მართებსთ საპურობო, 1 საკლავი და სამეჯინიბო[1]. ამათ შეიძლება დაეუმატოთ 2 კომლი, რომელთაგანაც ერთს $^1/_2$ საკლავი მართებს და არა 1, ხოლო მეორეს, საკლავის მაგივრად, 1 ქანდაკი სამოგვე უწერია, სხვაფრივ კი დანარჩენთაგან არ განირჩევიან (იშამორთა კაკუა და უსკუამ(ია) ლასურია). ამათთვის, მაშასადამე, მხოლოდ თავი-ბეგარა შეუცვლიათ XVI ს-ის შემდგომ. ყველას ძველებურადვე ევალება ლაშქრობა და სამსახური. როგორც ვხედავთ, XVI ს-ის 28 კომლიდან 26 კ. 1622 წლის ნუსხაშიც მოიპოება. მაგრამ თამამად შეგვიძლია ეს რიცხვი შევავსოთ კიდევ ორი

[1] 1. ხახუტა დიდია, 2. კაკაია ჩაგუა, 3. გ“რია ჩაგუა, 4. უკულაში ლასურია, 5. მიხილია შუხურგ“ნია, 6. მ(ა)მულია წებელარა, 7. ჯგეგერშია ჩაგუა, 8. გურმახილა ჩ., 9. ხუხული ჩ., 10. ჭაჭალია ჩ., 11. ბაბადია ქუნია, 12. ჯიტა, 13. ჯუარისა ჯიტა. 14. გრიგოლია ვაჟობა, 15. გამიგონი ბიჭვა, 16. მაშუტია დიდია, 17. თოლოიქრო დიდია, 18. გაკაშელი და მაკოჩია, 19. დაბალა და ჰრაღუნა, 20. ხუხულია ამბალია, 21. ხუცესი ამბ., 22. გამიგონა ჯომნია, 23. მხიარ(უ)ლა კაკუა, 24. კოსტაია.

მებეგრით. ესენი განირჩევიან მხოლოდ იმით, რომ ლაშქრობა არ მართებსთ (გოკურცხია გრიგოლის და სკუამილეი ჯიქია). შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ XVI ს-ის შემდგომ ეს ყმები ლაშქრობის მოვალეობისაგან განუთავისუფლებიათ. ასე მიეიღებთ მსუბუქად დაბეგრილ მსახურთა სრულს შემადგენლობას 1622 წლ. ნუსხით, 28 კომლს, ე. ი. იმდენსავე, რამდენიც იყო XVI ს-ში. როგორც აღვნიშნე, აქელან მხოლოდ 24 კომლი არ იწვევეს არავითარ ეჰვს. მით უფრო საინტერესოა ის ახალი სამსახურებრივი ვალდებულება, რომლითაც დაუტვირთავთ ეს ყმები XVI ს-ის შემდგომ. სახელდობრ, 1622 წლ. ნუსხით მსუბ. დაბეგრილ მსახურებს: ყველას ევალება მუშაობა და ყურძნის კრეფა. ყურძნის კრეფა, ცხადია, ნადობას ჰგულისხმობს (ერთს, სხვათა შორის, უწერია: „ერთის დღის ყურძნის კრეფაჲ"), ხოლო „მუშაობა" უნდა უდრიდეს „ყანის შ(ე)ლას", როგორც საფიქრებელია პირველი მებეგრის ნორმის მიხედვით. „ყანის შველა", როგორც ვიცით, ნიადაგ მუშაობასაც აღნიშნავს და, ზოგჯერ, ნადობასაც ეთქმის. ჩვენ არა გვაქვს საბუთი, რომ ხოირის ნუსხაში ყანის შველა ნადობად ჩავთვალოთ. იგი აქ სრულიად განუსაზღვრელია და ამიტომ ბატონის მოთხოვნილებაზე დამოკიდებულ ნიადაგ მუშაობად უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, XVI ს-ის შემდგომ, ხოირელი დაბეგრილი მსახურნი მომუშავე-მონადენი გამხდარან. გარდა ამისა, საინტერესოა რომ 4 კომლისათვის ახალი ბეგარაც დაუდგიათ: ორს (ხუხულია და ივანე ამბალებს[1]) დაადვეს 7 კოკა ღვინო და 7 ჯამი ღომი, ერთს (გამიგონა ჯომნიას) — 3 კ. ღვ. და 4 ჯ. ღომი, ერთსაც (მხიარ(უ)ლა კაკუას) — 4 კ. ღვ. და 2 ჯ. ღომი. ეს რაღაც სპეც. დანიშნულების ბეგარა უნდა იყოს, რაც იქიდან ჩანს, რომ იგი სრულიად ცალკეა მოხსენებული და თვითეული ყმის ნორმაში არ შედის.

გარდა 28 კ. დაბეგრილი მსახურისა ხოირის 1622 წლ. ნუსხაში 4 კომლი დაუბეგრავი მსახურია და 2 კ. მოინალეა. დაუბეგრავ მსახურებს თავი-ბეგარა (საკლავი) არ მართებს. მაგრამ ამათგან 2 კ. (ვაჟიკოჩა ჯომნია და მოირდინა კაკუა) ყმების ძველ შემადგენლობას უნდა ეკუთვნოდეს, რასაც მათი გვარები ამეღაენებს და აგრეთვე ის გარემოება, რომ ერთს მუშაობაც მართებს, ხოლო მეორეს (ჯომნიას) მუშაობა, ყურძნის კრეფა და ახალი ბეგარის (3 კ. ღვინის და 4 ჯამი ღომის) გამოღება ევალება. XVI ს-ის შემდგომ ესენი გაათავისუფლეს, მაგრამ სამსახურებრივი ვალდებულება ამათაც გაურთულდათ, ხოლო ერთს ბეგარაც ფაქტიურად თუ არ წაემატა, არც დაჰკლებია. 2 კომლი დაუბეგრავი მსახური გამკერვ(ა)ლია კი ახლად შენაძენი ყმები უნდა იყვნენ და უპირატეს მდგომარეობაშიც არიან: მართებსთ მხოლოდ „სმაჲ და ჭამაჲ. ლაშქრობ(ა)ჲ და სამსახური", ე. ი. როგორც თავი-ბეგრის, ისე სამეჯინიბოსგანაც თავისუფალნი ყოფილან.

მოინალეებს (ქურიას და ხუხინია ჯაკობიას) მართებს: ერთს „ტჯრთი და ერთი ხმელი თევზი", ხოლო მეორეს „ბარგის ზიდვაჲ და ერთი თევზი". ორსავე მართებს კიდევ საშეჯინიბო. ერთსაცა და მეორესაც ნუსხა პირდაპირ „მოინალეს" უწოდებს. ამათი ბეგარა სრულიად უმნიშვნელო ყოფილა, რასაც თავისი კერძო ხასიათის მიზეზი ექნებოდა. სამსახურებრივი ვალდებულებაც ამათ

[1] ივანე ამბალია იგივე ხუცესი ამბალია უნდა იყოს.

შეკვეცილი აქვსთ, მაგრამ მსახურთაგან გარკვეული ნიშნით განირჩევიან და ეს ნიშანი (-ტჯრთის- მოვალეობა) ადასტურებს ლამბერტის ზემომოყვანილ ცნობას.

პროცენტულად ხოირელი საკ˝ზო ყმები 1622 წ. განაწილდებიან შემდეგნაირად. სულ არის 34 კ. და აქედან: 11,76% დაუბეგრავი და 82,35% დაბეგრილი, სულ 94,11% მსახურია და მხოლოდ 5,88% მოინალე. XVI ს-ში, როგორც ვიცით, კ˝ზს ხოირს მოინალე სულ არ ჰყოლია, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ უწინ მომუშავე ყმებიც არა ჩანდა, 1622 წელს კი უკვე 88,23% მუშაობს და ნადობს.

ნაჟანეულის 1622 წლ. ნუსხაში (საკ˝ზო დაეთ. 24—28) სულ 58 კომლია მოხსენებული. ამათგან, XVI ს-ის ნუსხასთან შედარებით, ახლად შემატებული არიან (ახალი გვარები): 2 კ. კონტარია და თითო კომლი — აბრამაისშვილი. მჭითანაას ჩარაჩუ, ჭვიტოშია, დაშურიმორთა, კოჩივარა კუატარა, მარკოზია. თოთიბია ჯოჭნია. ბაგუძლა, მესტუმრია, ციკუტია — სულ 12 კომლი. XVI ს-ში. როგორც ვიცით. აქ იყო 44 კ. საკ˝ზო ყმა. აქედან ამოვარდნილან და 1622 წლ. ნუსხაში აღარა ჩანან: 2 კ. ფიოლია და თითო კომლი — გაბელია, მგიშია(?) კაკაურა, ქრისტესშია ქაჯაია, ხუხუშია — სულ 6 კომლი[1]. დანარჩენი სხვაობა ბუნებრივი გამრავლებით აიხსნება. ენახოთ ახლა თვითეული გვარის ყმას რა დაემართა XVI ს-ის შემდგომ.

1. დაუბეგრავი მსახურები. ფიოლია 1622 წ. მხოლოდ 1 კომლიღა ჩანს (იყო 3); ამ 1 კომლს მართებს გოჭკუმუ (XVI ს-ის „პურის-ჭმევის“ შესატყვისი), თიკა (XVI ს-ის, აწ შეკვეცილი, სამეჯინიბო), საბაზიარო ქათამი[2] (ძველნი, ახალი ბეგარა) და ლაშქრობა. „სამსახური“ აღარ უწერია; მაშასადამე. ფიოლიას მდგომარეობა არ შეცვლილა, იგი 1622 წელსაც დაუბეგრავი მსახურია, ვალდებულებათა მცირეოდენი სხვაობით.

კონჯარია 1622 წ. უკვე 5 კომლია (იყო 4) და ორს წაემატა „სამსახური“, ორს კი აღარც შეკვეცილი სამეჯინიბო მართებს, ხოლო ყველას ევალება საბაზიარო ქათმის გამოღება. ესენიც დაუბეგრავ მსახურებადვე დარჩნენ.

2. დაბეგრილი მსახურნი. მსუბუქად დაბეგრილ ძაძუათა (4 კ.) მდგომარეობა არ შეცვლილა, ოღონდ ½ ზროხა ექვსწლიურიდან ყოველწლიურად გამხდარა[3], ხოლო სამეჯინიბო ამათთვისაც შეუკვეციათ (თიკა).

შუშანია 1622 წ. უკვე 4 კომლია (იყო 2) და ამათგან 1 გაურკვეველთაგანია (იხ. ქვემ.), 2 გაზატებულა (გოჭკუმუ, საბაზ. ქათამი, ლაშქრობა), ერთს კი ახლა მართებს „გოჭკუმუ, 20 მწყრია ტილო, ნავტობ(ა)ჲ და მუშაობ(ა)ჲ-. ბეგარა ამას, XVI ს-თან შედარებით, აუცილებლად დაკლებული აქვს, მაგრამ, როგორც ეხედავთ, მომუშავედ გამხდარა, ხოლო წინანდელი „ლაშქრობის“ მაგივრად მისთვის „ნავტეობა“ დაუვალებიათ. ჩვენ უკვე ხოირის ნუსხიდან ვი-

[1] არ ჩანს კიდევ ვინმე „მამასფერი“, რომელიც XVI ს-ის ნუსხაში მამისმამა ღრუბელაიას შემდეგაა ჩოთავსებული და რომელსაც ამიტომ ღრუბელაიად ვთვლი.

[2] „თითო საბაზიარო ქათამი ყ˝ლათ მ(ა)რთებს“, გვეუბნება საყოველთაო მინაწერი ნუსხის ბოლოს.

[3] თუ ვადა საგანგებოდ აღნიშნული არაა, ბეგარა საზოგადოდ წლიურადაა გაწერილი.

ცით, რომ VXII ს-ისათვის დაბეგრილ მსახურებს ნიადაგი მუშაობაც დაევალათ, ხოლო ნავტეობა, რამდენადაც ჩანს, საპატიო სამსახური უნდა ყოფილიყო (ასე, ნაჟანეულსვე, დაუბეგრავ მსახურს დიდიას სამსახურად მხოლოდ ნავტეობა აქვს გადაკვეთილი (გვ. 25), ხოლო ტყავრუს მეთევზე-მენავტენი ყველანი დაუბეგრავი მსახურები არიან (იქვე 39); მეორე მხრით, მეტვირთე ყმა რომ მენავტეც იყოს, ასეთი შემთხვევა არსად არ გვხვდება. ამგვარად, ამ ყმისთვის ერთი საპატიო სამსახური, ლაშქრობა, მეორით შეუნაცვლებიათ, ამიტომ იგი დაბეგრილ მსახურადვე უნდა ჩაითვალოს.

ხუთივე კომლი უჯაია (ანუ უჩაია) 1622 წელსაც წარმოდგენილია და მათგან 1 გაურკვეველთაგანია (იხ. ქვემ.), 4 კი მენავტეებად ქცეულან. სამს მართებს, ნავტეობას გარდა, კიდევ „ყანობა", ერთს კი—„მუშაობა". „ყანობა" ნიადაგი მუშაობაა თუ ნადობა, არ ვიცით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ესენი დაბეგრილ მსახურებადვე დარჩენილან, ხოლო ამა თუ იმ სახით მუშაობაც დაევალებიათ. ამათი ბეგარა შემცირებული არ უნდა იყოს, თუმცა, XVI ს-ის და 1622 წლ. ნუსხების საწყაოთა სხვაობის გამო, დანამდვილებით ამის თქმა არ შეიძლება (იხ. ქვემ.).

დიდია 1622 წ. უკვე 3 კომლია (იყო 1) და ამათგან 1 დაუბეგრავი მსახურია (მეხავტე), 2 კი მენავტე-მომუშავეა.

ჯგუბურიათაგან (2 კ.) ერთი მენავტე-მონადეა, მაშასადამე დაბეგრილ მსახურადვე დარჩენილა, ხოლო მეორე მომუშავე-მონადეა. ამას მართებს ბეგრად მხოლოდ 2 ქათამი და ყანის შველა, თიბვა, ყურძნის კრება. როგორც ვხედავთ, არავითარი საპატიო სამსახური ამას არ უწერია და ამის მიხედვით მსახურად მას ვეღარ ჩავთვლით, მაგრამ ბეგრის სიმცირე (2 ქათამი უფრო ძღვენს წააგავს) სათუოდ ხდის ამ ყმის სოციალურ ვითარებას.

ჯაკობია და სუბუქია 1622 წ. უკვე მენავტეები არიან და, ნავტეობას გარდა, ერთს მართებს კიდევ ყანობა, ხოლო მეორეს მუშაობა და თიბვა.

მატუფიას (ანუ მატოფიას) დაევალა, ლაშქრობას გარდა, ყანობა და თიბვაც.

გურუას კი, ლაშქრობის მაგივრად, მართებს ახლა მგზავრობა და კრება, მომგზავრე-მონადეა და, რადგან მგზავრობა შეიძლება საპატიო სამსახურიც ყოფილიყო, დაუბეგრავ მსახურებსაც მართებდათ ზოგჯერ (იხ., მაგ., ხიბულას ნუსხა, საკ-ზო დავთ. 22, 23), ამიტომ საბუთი არა გვაქვს ეს ყმა მსახურად აღარ ჩავთვალოთ. ამისათვის ერთი საპატიო სამსახური, ლაშქრობა, მეორით, მგზავრობით, შეუნაცვლებიათ და კიდევ ნადობა დაუვალებიათ.

ელიშია 1622 წ. 3 კომლია (იყო 2) და ამათგან 1 დაუბეგრავი მსახურია (გოჭკუმუ, სამსახური. ლაშქრობა), ხოლო ორს, ლაშქრობას გარდა, ახლა მუშაობაც მართებს, ე. ი. მომუშავე მსახურები გამხდარან.

ღრუბელაიათაგან[1] ერთი დაბეგრილ მსახურადვე დარჩენილა, ლაშქრობა მართებს, ოღონდ მონადეც გამხდარა (თიბვა), მეორეს კი საპატიო სამსახური, ლაშქრობა, ჩამოერთვა და ამის სანაცვლოდ ახლა მუშაობა მართებს. ამისდა მიხედვით ცხადია, რომ ეს უკანასკნელი არამცთუ ჩამომცრობილა, არამედ პირ—

[1] როგორც უკვე შევნიშნე, XVI ს-ის „მამასფერი" ღრუბელაიად მიმაჩნია.

დაპირ მოინალეთა ფენაში მოხვედრილა. აქ გვაქვს, მაშასადამე, პირველი მაგალითი მსახურის გამოინალებისა. ჩვენ დავინახავთ, რომ ზოგიერთი მსახური მოინალეთა უდაბლეს ფენაშიც კი მოექცა.

ლოგუას 1622 წ. მართებს „ყანის მუშაობაჲ“, ე. ი. ესეც მოინალეთა ფენაში გადასულა.

რუსაყიას მართებს „მუშაობაჲ“, ლოგუას მდგომარეობაში ყოფილა. ეს რუსაყია საინტერესოა. მას ჰქვიან „მ̈რსალია“, ხოლო XVI ს-ის ნუსხაში რუსაყიას ეწოდებოდა „მარცვალია“ და თუ ეს ერთიდაიგივე პირია. მაშინ ყველა ზემოჩამოთვლილი ცვლილება ერთი თაობის განმავლობაში მომხდარა. ამის ნორმას ბოლოში ერთი სიტყვა წაშლილი ჰქონია (გვ. 27, შენ.) და კონტექსტიდან საფიქრებელია, რომ აქ ან „ტჯრთი“ ან „ლაშქრობაჲ“ უნდა წერებულიყო, ე. ი. ნუსხის შედგენისას ეს გლეხი ან მეტვირთე იყო, ანდა მომუშავე-მოლაშქრე. თუ „ლაშქრობა“ წაუშლიათ, მაშინ აქ გვექნებოდა თანდათანობითი ჩამომცრობის მაგალითი: XVI ს-ის შემდგომ ამ ყმას. ლაშქრობასთან ერთად, დაეკალებია მუშაობაც, ე. ი. ის მომუშავე მსახური გამხდარა, შემდეგ კი ლაშქრობა სულ ამოუკვეთიათ და პირდაპირ მოინალედ ჩარიცხულა. თუ „ტჯრთია“ წაშლილი, მაშინ გამოდის, რომ ეს რუსაყია ჯერ ჩამომცრობილა და შემდეგ ისევ აღზევებულა, თუმცა პირვანდელი მდგომარეობისათვის ვერ მიუღწევია.

ცისტარია 2 კომლია 1622 წლ. ნუსხაში[1] (იყო 1). ერთს მართებს ყანობა, ე. ი. ის მომუშავე-მოინალეა, მეორეს კი—მუშაობა და ტვირთი, ე. ი. ის მომუშავე-მოინალეთა უდაბლეს ფენას ეკუთვნის. ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ მეტვირთე ცისტარია მაინც და მაინც ახლად შენაძენი ყმა იყოს. უფრო წარმოსადგენია, რომ XVI ს-ის შემდგომ ერთი კომლი ცისტარია გაყოფილა, ორივე განაყოფი მოინალეთა ფენაში მოქცეულა, ხოლო ერთი მეტვირთედაც კი გამხდარა.

კოდუა (ანუ კოდია) 1622 წ. 4 კომლია; ყველა მეტვირთე. ხოლო XVI ს-ში იყო 3 კ. კოდუა—ერთი დაბეგრილი მსახური და ორი მეტვირთე. არც აქა გვაქვს საბუთი მაინც და მაინც დაბეგრილი მსახური ამოვარდნილად წარმოვიდგინოთ, უფრო ბუნებრივი იქნება მისი გამოინალება ვიგულისხმოთ (ბეგარა. თუ ზემოთ ცალკე არ ამინიშნავს, ყველგან სრულია).

3. მოინალენი. ორი კომლი კოდუა (ანუ კოდია), რომელთაც XVI ს-ში მხოლოდ ტვირთი—ემართათ, 1622 წ. მუშაობის მოვალენიც გამხდარან.

გოგილავა (ანუ გოგილაა)-თაგან ერთი პირვანდელ მდგომარეობაში დარჩენილა, ხოლო მეორე აღზევებულა: მას, ტვირთის მაგივრად, თიბვა დაეკალებია.

სამელიას კი, ტვირთს გარდა, წაემატა ყანის შველა, ე. ი. ის მომუშავედაც გამხდარა.

4. უსამსახუროთაგან ერთი, ხუხუშია, ამოვარდნილა, ხოლო ორი, ქაჯაია და კოდია, 1622 წლ. ნუსხაშიც უსამსახუროებად გვხვდებიან.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ დაუბეგრავი მსახურების, მოინალეების და უსამსახუროთა სოციალური მდგომარეობა არ შეცვლილა, ხოლო დაბეგრილ

[1] ერთი დაბეჭდილია როგორც „ხისტარია“ (გვ. 27). მაგრამ ცხადია, რომ აქ გამომ ცემელს შეცდომა მოსვლია ხუცური დამწერლობის ნიადაგზე.

მსახურთა მდგომარეობა, პირიქით, დიდ რყევადობას განიცდის. ამ მხრით ნაჟანეულისათვის ორგვარი პროცესია აღსანიშნავი: ერთის მხრით აქაც, როგორც ხოირს, დაბეგრილი მსახურის სამსახურებრივი ვალდებულება გართულდა, ახალი და სამძიმო სამსახური დააკისრეს მას (ნადობა და მუშაობა); იგი დაუახლოვდა მოინალეს, ისე რომ თითქმის უმნიშვნელო ნიუანსითღა განირჩევა მისგან (ტვირთი); ბეგრის შესახებ, სამწუხაროდ, XVII ს-ისათვის არაფერი ითქმის (იხ. ქვემ.), ხოლო XVI ს-ში, როგორც ვიცით, მსახური ნაკლებსაც იხდიდა და სამსახურითაც გარკვევით განირჩეოდა მოინალისაგან (ლაშქრობა და სამსახური — მუშაობა და ტვირთი); ამასთან დაკავშირებით, დაბეგრილი მსახური დაშორდა დაუბეგრავს და ამ უკანასკნელის მდგომარეობა, შეფარდებით, უკეთესი შეიქნა, რადგან უმრავლესობის მდგომარეობა გაუარესდა. მეორე მხრით, ნაჟანეულს ჩვენ ვხედავთ დიფერენციაციის პროცესს დაბეგრილ მსახურთა ფენაში: ერთი ნაწილი (4 კ.) გააზატებულა, მეორე, უდიდესი ნაწილი (6 კ.)[1] გამოინაღებულა. ხოირსაც ვნახეთ 2 კომლის გააზატების შემთხვევა. ესეც იმის ნიშანია, რომ დაბეგრილ მსახურთა ფენა, როგორც სხვა საკ˘ზო ნუსხები გვიდასტურებს, საკ˘ზო ყმათა შორის მაინც, XVII ს-ისათვის იშლებოდა. უცვლელი დარჩა მხოლოდ 4 მსუბუქად დაბეგრილის მდგომარეობა, მაგრამ ესენი ხომ ჯერ XVI ს-შიე კითხვითი ნიშნის ქვეშ დავაყენეთ.

საინტერესოა აგრეთვე, თუ ახლად შემატებულ ყმათაგან 1622 წ. რომელი ნიშანდობლივ რა წოდებისა იყო. ახლად შემატებულია, როგორც აღვნიშნე, სულ 12 კომლი და აქედან: 4 დაუბეგრავი მსახურია — აბრამაისშვილი (გოჭკუმუ და სამსახური), მჭითანაას ჩარაჩუ (გოჭკუმუ და ლაშქრობა), ჭვიტიშია (საპურობო და ლაშქრობა) და დაშურიმორთა (გოჭკ. და ლაშქრ.); 5 მოინალეა — მარკოზია (გოჭკუმუ, ბეგარა, ყურძნის კრება, ყანობა), კოჩივარა კუატარა და თოთიბია ჯომინია (ბეგარა, მოინალობა), მესტუმრია დ˘თია ($^1/_2$ გოჭკუმუ, ბეგარა, მუშაობა, ტვირთი). ბაგუძლა (უბეგრო და უსამსახურო, აღნიშნულია როგორც „მოინალე“); 1 უსამსახუროა — ციკუტია; 2 გაურკვეველი ღირსების კონტარიები (იხ. ქვემ.). არც ერთი დაბეგრილი მსახური ახლად შემატებულთა შორის არაა.

მოინალეთა ფენაშიც 1622 წლისთვის დიფერენციაცია მომხდარა და საერთოდ 1622 წლის ნუსხა გაცილებით უფრო რთული შემადგენლობისაა. XVI ს-ში იყო ორი ტიპის დაუბეგრავი მსახური: მოლაშქრე და მოლაშქრე-მოსამსახურე; 1622 წ. სამი ტიპი უნდა გავარჩიოთ: მოლაშქრე, მოსამსახურე და მოლაშქრე-მოსამსახურე. სრული ბეგრით დაბეგრილი მსახური იყო აგრეთვე 2 ტიპის: მოლაშქრე და მოსამსახურე; ახლა 4 ტიპი ჩანს: მოლაშქრე-მონადე, მოლაშქრე-მომუშავე, მენავტე-მონადე და მენავტე-მომუშავე. მოინალეც ორი ტიპისა იყო: მომუშავე და მეტვირთე; ახლა 5 ტიპისაა: მომუშავე, მომუშავე-მონადე, მომუშავე-მეტვირთე, მეტვირთე, მემოინალე.

[1] ვანგარიშობ გამრავლებულ კომლებს 1622 წლ. ნუსხით და ამიტომ პროცენტული რიცხვები არ მომყავს.

1622 წ. ნუსხაში გაურკვეველი ღირსების ყმებიც მოიპოება, 4 კომლი: ორი კონტარია, რომელთაც „არა მ(ა)რთებს რაჲ“, შეიძლება აზნაურებიც ყოფილყვნენ: სავალდებულო, მართალია, არ იყო, რომ აზნაურს არა მართებოდა რა, მაგრამ აქ ეს გარემოება საგანგებოდაა აღნიშნული. ერთი ყმის შესახებ ნათქვამია მხოლოდ, რომ „არის ს(უ)ლთამა შუშანიაჲ“, ერთსაც, უჩაიას, მართებს „ბატონისა არაფერი, სამოინალოს ადგილზედ სახლობს და საპურობო მ(ა)რთებს“.

ნაჟანეური 58 კ. 1622 წ. რიცხვობრივ შემდეგი შემადგენლობისაა: 14 კ. დაუბეგრაეი, 4 კ. მსუბუქად დაბეგრილი, 15 კ. დაბეგრილი, სულ 33 კ. მსახური, 18 კ. მოინალე, 3 კ. უსამსახურო და 4 კ. გაურკვეველი ღირსების. პროცენტულად: 24% დაუბეგრაეი, 6,89% მსუბ. დაბეგრილი, 25,96% დაბეგრილი, სულ 56,85% მსახური და 31% მოინალე. XVI ს-ში იქვე იყო, როგორც ვიცით, 77% მსახური და მხოლოდ 15,9% მოინალე. სხვაობა ღირსშესანიშნავია. იმ დროს, როდესაც დაუბეგრავ მსახურთა და მოინალეთა პროცენტმა იმატა (დაუბეგრავი მსახურნი XVI ს-ში 15,9%, 1622 წ. 24%; მოინალენი XVI ს. 15,9%, 1622 წ. 31%), დაბეგრილ მსახურთა პროცენტმა მთელი ნახევრით იკლო (XVI ს. 61%, 1622 წ. 32,75%).

მაგრამ, თუ მომუშავე ყმებს დავითვლით, სულ სხვა ციფრებს მივიღებთ: XVI ს-ში მუშაობის მოვალე იყო მხოლოდ 1 ყმა, ე. ი. მებეგრეთა 2,2%; 1622 წელს კი ამა თუ იმ სახით მუშაობის (ე. ი. ნადობის თუ ნიადაგი მუშაობის) მოვალე 29 კომლია, ანუ ყმების 50%. ცხადია, რომ რომელიღაც მიზეზის მეოხებით მუშაობის ბნიშვნელობა გაიზარდა.

ამავე დროს, ლაშქრობის მოვალე კომლთა რიცხვი შემცირდა: XVI ს-ში ლაშქრობის მოვალე იყო 33 კომლი, ე. ი. ყმების 75%, 1622 წელს კი ლაშქრობის მოვალეა მხოლოდ 20 კომლი, ანუ 34,4%[1].

საინტერესოა აგრეთვე, რომ XVI ს-ში არც ერთი მენავტე ნაჟანეულს არ იყო, ხოლო 1622 წ. 11 კომლია ნავტეობის მოვალე, ე. ი. ყმების 18,9%.

ბეგრის შესახებ საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნულ გამონაკლისებს გარდა, მომატებული უნდა იყოს. თუმცა საწყაოთა სხვაობა შედარებას აძნელებს, მაგრამ, თუ 1622 წლ. „ტილო“ XVI ს-ის „საკლავის“ შესატყვისად ჩავთვალეთ, მაშინ სრულიად ახალი გადასახადი იქნება უსახელო „ბეგარა“ და ზოგიერთი ყმის „საყანეც“[2]. კერძო ხასიათის ნიუანსებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, სრული ბეგრით დაბეგრილ მსახურთა და მოინალეთა შორის ბეგრის მხრით (ოდენობრივადაც) სხვაობა არ ჩანს, ხოლო საშუალო ციფრების გაზომვა არ შეიძლება, რადგან გადასახადები სხვადასხვა და უცნობი ოდენობის საზომებითაა გაწერილი.

---

[1] მოლაშქრეთა სია ნაჟანეულს 1622 წ. აღნიშნავს 35 მოლაშქრეს, მაგრამ სრულებით ცხადია, რომ სია „თავებსა“ სთვლის და არა კომლებს, ხოლო რამდენი „თავი“ გამოჰყვედა 33 კომლს XVI ს-ში, არ ვიცით (მოლაშქრეთა სიის შესახებ იხ. ქვემ.).

[2] „ბეგარა“ და „საყანე“ ერთიდაიგივე არაა, იხ. სუბუქიას და აგრეთვე ბაბუტია კოდიას ნორმები. რა არის თვით „ბეგარა“, ზოგან „ორი“ ან „სანი ბეგარა“, თუ თავი-ბეგარა არაა, ჯერ-ჯერობით კითხვადვე რჩება.

ოცხანის 1622 წლ. ნუსხაში (საკ ზო დაეთ. 41—42) 20 კომლია ჩამოთვლილი[1]. აქედან 7 კ. დაბეგრ. მსახურია, 12 კ. გლეხია (მოინალე) და 1 კ., მსახურის ყმა, უსამსახუროდაა მოხსენებული.

დაბეგრილ მსახურს მართებს ბეგარა, საპურობო და ღაშქრობა.

გლეხი (მოინალე) ორი კატეგორიისა განირჩევა: ორი მომუშავეა და მათგან ერთი მონადეცაა (ყურძნის კრება), ათი კომლი კი მეტვირთეა და ამათ, ტვირთს გარდა, ევალებათ ყანის მუშაობა და ყურძნის ან ხის კრება. მეტვირთეთაგან ერთი „სადგომად“ ყოფილა გაცემული, ორისა ბეგარა გაუციათ, მაგრამ ამჟამად ეს ჩვენთვის საინტერესო არაა — ცხადია, რომ ეს გლეხები საკ ზონი არიან. სამსაე ბოლოში მიწერილი აქვს: „სამსახური, მუშაობაჲ, ტკრთი და ხის კრებაჲ მ(ა)რთებს“. ვინაიდან „ტვირთის“ ვალდებულება ამ ყმების სოციალურ ვითარებას განსაზღვრავს[2], უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი „სამსახური“ ან ზოგადი სახელია აქ და მომდევნო „მუშაობით, ტკრთით და ხის კრებით“ განიმარტება, ანდა დაბალი ღირსების საკუთრივ სამსახურს ჰგულისხმობს, მსგავსად სხვაგნით ცნობილი „მოინალობისა“ ან „ხელზედ სამსახურისა“.

თითო მსახურზე საშუალოდ მოდის: 2,28 სამოსელი, 1,14 საკლავი, 1,14 ქათამი, 1,14 გოდორი ღომი, 3 კოკა ღვინო; თითო მდაბიოზე საშუალოდ — 2,12 სამოსელი, 0,91 საკლ., 0,91 ქათ., 11 გოდ. ღომი, 2,75 კოკა ღვ.[3]; XVI ს-ში, როგორც ვიცით, მეხადილე უფრო მძიმედ იყო დაბეგრილი, ვიდრე მესასტუმრე. 1622 წ. კი გლეხი (მოინალე) 10 გოდორი ღომით მსახურზე უფრო მეტს იხდის. ეს არის საქუთათლოს დავთრიდან ცნობილი „ურმეული ღომის“ მსგავსი გადასახადი „საოჩი“, რაც ეტიმოლოგიურად „საყანეს“ ნიშნავს და მეგრული ტერმინის „ოჩე“-საგანაა ნაწარმოები. მე-16 ნორმის შემდეგ ნუსხაში სწერია: „ვისაცაჲ მუშაობაჲ ემართოს, კუამლის თ ვ ზ ა ათ-ათი გოდორი ღომი გ(ა)მოიღოს“, ხოლო ჯუმალში შეტანილია „საოჩის ჯუმალი... ასი გოდორი“ („ბეგრის“ ღომი ცალკეა შეჯამებული[4]. აქაც ეს გადასახადი საბატონო ღომის ყანის დამუშავების სანაცვლოდ უნდა იყოს შემოღებული (თუმცა აქაც „მუშაობა“ თითო ყმას ცალკეც უწერია ნორმაში). გარდა ამისა, ზოგიერთ მდაბიოს 1622 წლ. ნუსხით სამეჯინიბოს გამოღებაც დაეკალა. პირიქით, მსახურის ბეგარამ XVI ს-ის შემდგომ იკლო: სამოსელი თუ უწინდელი ზროხის სანაცვლოდ

[1] ჩათვლილია თაეაკრთილაძის განაყოფი, ორიეე გოგიბერიძე და სესია კალანდაძის ძმა (მამისთვალი ურატაძის ძმა, ხუტუნა, ჩაუთვლელი დარჩა, რადგან ბეგარა ცალკე არ უნდა ჰქონდეს შეწერილი); რაკი XVI ს-ის ნუსხაშიც განაყოფებს ვანგარიშობდი, შედარებისას დაბრკოლება არ იქმნება.

[2] თუმცა XVII ს-ში უკვე აღარც ეს ნიშანია უთუო (იხ. ქვემ.).

[3] შოშიაისშვილს არ ვანგარიშობ; საკლავები და ქათმები ვივარაუდე თითო საპურობოზე 1 საკლ. და 1 ქათ., როგორც ეს განსაკუთრებით 3 გაცემული გლეხის ჯუმლიდან ჩანს; საოჩი ნაანგარიშევია 120 გოდორი (12 მომუშავე ყმა, გაცემულებიც), 60 თეთრი ჩაგდებულია 6 სამოსლად, სამეჯინიბოები არ ჩამირიცხავს.

[4] ნამდვილად, 16 კომლიდან მხოლოდ 8-ს მართებს მუშაობა და საოჩის ჯუმალი 80 გოდ. უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასეეე შეცდომითაა ნაჩეენები, ბეგრის ღომს გარდა, დანარჩენი ჯუმლებიც — თუ რატომ, ამას ცალკე გარკეეევა სჭირდება. ეგების მსახურთაგანაც 2 კომლი ღომის ყანის დამუშავების ვალდებული იყო?

ჩავთვალეთ (ისიც, საფიქრებელია, ზროხაზე უფრო იაფი უნდა ყოფილიყო), საკლავის და ქათმის ბეგარა უეჭველად შემცირებულია (XVI ს. საშუალ. 1,5 საკლ. და 1,9 ქათ., 1622 წ. 1,14 საკლ. და 1,14 ქათ.; დანარჩენი ბეგრების შედარება, საწყაოთა სხვაობის გამო, არ შეიძლება). მართალია, შემცირდა გლეხის (მოინალის) საკლავის და ქათმის ბეგარაც, მაგრამ ამისთვის 1622 წლ. სამოსელიც სრულიად ახალი ბეგარაა და XVI ს-ში შესატყვისი არ უჩანს (საპურობო უწინდელი სასტუმროს ბადალია).

რომ XVI ს-ის მეხადილენი მართლაც მსახურნი არიან და მესასტუმრენი კი მდაბიო გლეხნი, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: ვინც მეხადილე იყო XVI ს-ში და მას უკან არ ამოვარდნილა, 1622 წ. ლაშქრობის მოვალე მსახურია: — 2 თავაქრთილაძე, 2 კალანდაძე. 1 რებიძე; ხოლო ვინც მესასტუმრე იყო, ის 1622 წლ. ნუსხით მუშაობის და ტვირთის მოვალე მდაბიო გლეხია — ორი ურატაძე, ორი კალანდაძე.

მეხადილეთა და მესასტუმრეთა შეფარდება XVI ს-ში იყო: 52,6%, მეხადილე და 36,8% მესასტუმრე; 1622 წ. შეფარდება ასეთია: 35% დაბეგრ. მსახური და 60% გლეხი. ეს ციფრები სავსებით ადასტურებენ ოდიშის ნუსხათა ჩვენებებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: XVI ს-ის ნუსხაში 2 რებიძე იხსენიება (ორი განაყოფი) და ორნივე მეხადილენი არიან. 1622 წლ. ნუსხაში რებიძენი უკვე 3 კომლია, მაგრამ ამათგან შენაწირი რებიძე სულ ახლად, ნუსხის შედგენის შემდეგ შენაძენი ყმა უნდა იყოს, რადგან ის ნუსხის ბოლოშია მოთავსებული, ჯუმლების შემდეგ, და მისი გამოსაღები ჯუმალ'ში შეტანილი არაა, თუმცა არც თვით იგი, არც მისი ბეგარა გაცემული არ ყოფილა. ხოლო ორ დანარჩენთაგან ერთი, მამაგულისშვილი, მსახურია, მეორე კი, გიორგი, გლეხი (მოინალე) არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორი უკანასკნელი რებიძენი იმავე მეხადილე რებიძეების ჩამომავალნი არიან: XVI ს-ის შემდეგ ესენი საბოლოოდ გაყოფილან და ერთი მათგანი მდაბიო გლეხის მდგომარეობაში ჩავარდნილა, „ტჯრთიც“ კი დასდებია. ამგვარად, აქაც, როგორც ნაჟანეულს, მსახურის გამოინალების მაგალითს ვხედავთ [1]. საზოგადოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ოცხანას მეტი სიმყარე ჩანს ყმების მდგომარეობაში, ვიდრე, მაგ., ნაჟანეულს, მაგრამ რომ ტენდენცია. მიმართულება აქ იგივეა, რაც ოდიშს. ეს ცხადია [2].

ეს უფრო აშკარად ჩანს **გურიის საკუთათლო ყმათა** ნუსხის მერმინდელი მინაწერიდან [3]. აი რას გვეუბნება ეს მინაწერი: „ამ(ას) შინაჲ ყ(ო)ვე(ლ)თაჲ ვის-

[1] თავისთავად შესაძლებელია XVI ს-ის რებისძის განაყოფი აჰოვარდნილიყო და 1622 წლ. გლეხი (მოინალე) რებიძე ახლად შეძენილი ყმა ყოფილიყო, მაგრამ ასეთი ჰიპოთეზა ნაძალადევი იქნებოდა.

[2] რადგან XVI ს-ის ნუსხა, თუ მცეხველს არ ვიანგარიშებთ, სამსახურებრივ ვალდებულებას არ აღნიშნავს, ამიტომ ცვლილებათა ნიშანდობლივი გამორკვევა არ შეგვიძლია.

[3] ამ მინაწერის შესახებ ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ იგი „წვრილი ასოებით და მკრალის მელნით სწერია, მერმე უნდა იყოს მიმატებული“ (ქუთ. დაეთ. 70, შენ. 1). მე დაეუმატებ, რომ თუმცა მინაწერის ხუცური, პირველი შეხედვით, დაეთრის ტექსტის ხელს წააგავს, მაგრამ გასხაკუთრებით „ბ“-ისა და „მ“-ის მოხაზულობას ეტყობა, რომ სხვა ხელითაა დაწერილი (იხ. საქ. მუზ. ხელნაწ. ფონდის № 626, გვ, 78 R). ხოლო, რამ იგი მერმინდელი

ცაჲ ცხენით სამსახური არ მართებს, მას სახლისა და ორჩის მუშაობაი მართებს“ [1].

მოვიგონოთ, რომ გურიის საქუთათლო ყმები შემდეგ კატეგორიებად განაწილდებიან: მეხადილეებ, ანუ, ჩვენი ტერმინოლოგიით, მსუბუქად დაბეგრილ მსახურებს მართებდათ ცხენით სამსახური; საშუალო ტიპის ყმებს, ჩვ. ტერმინ., დაბეგრილ მსახურებს — სამსახური, ხელოსნობით სამსახური თუ მეჯინიბობით სამსახური, და დაბალი ღირსების ყმებს, ჩვ. ტერმ., გლეხებს (მოინალეებს) — სამსახური ოჩისა (დანარჩენები ამჟამად არ გვაინტერესებს).

აღნიშნულ მინაწერში საინტერესოა უპირველესად ყოველისა ის გარჩევა, რომელიც გატარებულია „სამსახურსა“ და „მუშაობას“ შორის: ერთის მხრით, ცხენით „სამსახური“, მეორე მხრით კი სახლისა და ორჩის „მუშაობაჲ“. ცხადია, ტერმინი „მუშაობა“ უკეთ გადმოგვცემს ამ სამსახურებრივი ვალდებულების შინაარსს, ვიდრე თვით ნუსხის „სამსახური ოჩისა“ („ოჩე“ და „ორჩე“ რომ ერთი და იგივეა, ამას მტკიცება არ უნდა). ცხადია აგრეთვე, რომ ყველა ზემოაღნიშნული კატეგორიის ყმათა შორის ეს მინაწერი ჰკულისხმობს, ჩემ მიერ წოდებულს, დაბეგრილ მსახურებს, რადგან მხოლოდ ესენი არიან, რომელთაც არ მართებს ცხენით სამსახური და ამასთანავე არ მართებს „სამსახური ოჩისა“-ც. ეს მინაწერი გვიმტკიცებს, რომ მანამდე მართლაც არსებითი სხვაობა ყოფილა ოჩეს დამუშავების მოვალეთა და მეჯინიბობით სამსახურის მოვალეთა შორის და რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როდესაც ეს უკანასკნელნი ცალკე კატეგორიად გამოვყავით და უფრო მაღალი ღირსების ყმებად ვცანით. მაგრამ მას უკან მდგომარეობა შეცვლილა, ამ ყმებსაც დავალებიათ ოჩის, ყანის დამუშავება, ე. ი. ესენიც ნიადაგი მომუშავენი გამხდარან. მინაწერი მეტსაც გვეუბნება: როგორც ამ ყმებს, ისე „ოჩის სამსახურის“ მოვალეებს, მიემატათ კიდევ ახალი სახის სამსახური: „სახლის მუშაობა“, საფიქრებელია, სხვაგვარად ცნობილი „სასახლის სამსახურის“ თუ „მუშაობის“ მსგავსი ვალდებულება, რომელიც მანამდე არც ერთ ყმას არ ემართა.

აქაც, მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ დაბეგრილ მსახურს საგლეხო (სამოინალო) სამსახური დაევალა (თუმცა უდრიდა ეს სრულს გამოინალებას თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია), რომ მდაბიო გლეხის ვალდებულება გართულდა და რომ, პირიქით, მსუბუქად დაბეგრილი მსახურის მდგომარეობა მყარი ჩანს (შდრ. ნაჟანეური მსუბ. დაბეგრ. მსახურნი) [2].

და ისტორიული განვითარების ფაქტს აღნიშნავს, ამას თვით მისივე შინაარსი გვეტყვის. ხელის მიხედვით მინაწერი უნდა მიეკუთვნოს დაახლ. საქუთათლოსავე დავთრის შედგენის ხანას (1578), ე. ი. XVI ს-ის დასასრულს ან XVII ს-ის დამდეგს.

[1] დაბეჭდილ ტექსტში და დედანშიც სწერია: „ამ შ“ჲ ხვეთაჲ ვისცაჲ...“ და სხვ.; მე ქარაგმა გავხსენი, ხოლო დანარჩენი შევაესე და შევასწორე, როგორც წინადადების აზრი მოითხოვდა.

[2] გურიის საქუთათლო ყმათა შორის, როგორც ვიცით, ორს მართებდა „ცხენით სამსახური ოჩისა“. თუ მათი ვითარების ჩვენი გაგება სწორია, მაშინ აღნიშნული მინაწერი ამ ყმებს „ცხენით მუშაობის“ და არა „სამსახურის“ მოვალეებად სთელიდა ალბათ, და ამიტომ „სახლის მუშაობა“ ამათხედაც გავრცელდებოდა.

საგენათლო წმ. გიორგის 1622 წ. ნუსხები (საკ^ზო დათ. 4-6—ნაეენახევი, 7-8— ოხომირა, ნაბოსლევი, კურსები, რიონი, სორმონი, 10-11—ფარსმანაყანევი, მესხეთი), შედარებით 1545 წ. დავთართან, მცირეოდენ ცვლილებას უჩვენებენ, რაც ამ საყდრის და მისი ყმების განსაკუთრებული მდ^ომარეობით უნდა აიხსნებოდეს. არ ჩანს რაიმე ძირითადი ცვლილება აგრეთვე **ბარის** 1622 წლ. ნუსხაში (იქვე 1—3), მით უმეტეს რომ აქაც სამსახური სრულებით აღნიშნული არაა, და XVI ს-ის ნუსხა ხომ ფრაგმენტს წარმოადგენს. ამიტომ აღნიშნულ ნუსხათა გარჩევაზე ხელს ავიღებ.

დანარჩენი საკ^ზო 1622 წლ. ნუსხები (ოდიშიდან და იმერეთიდან) თავისთავად ძალიან საინტერესონი არიან, მაგრამ მათს განხილვაზედაც ამჟამად შეგეიძლია უარი ვთქვათ და მხოლოდ საზოგადოდ აღვნიშნავ, რომ ეს ნუსხები სავსებით ადასტურებენ განხილული ნუსხების ჩვენებებს: აქაც დაუბეგრავი მსახურის მდგომარეობა უფრო მყარი ჩანს, თუმცა მუხურს გეხვდება ერთი დაუბეგრავი მსახური „სამის დღის ყანის შველის“ მოვალე (იქვე 32, მშულია არტონია); აქაც დაბეგრილ მსახურს ევალება ნადობა და ნიადაგი მუშაობა, თუმცა ზოგან არის შენახული დაბეგრ. მსახურის წმინდა ტიპიც (მაგ. ხაუქელს, იქვე 37, გუგურიში წებლარია და სხვ.); აქაც ბეგარა გაცილებით უფრო რთულია და მრავალსახოვანი, ვიდრე XVI ს-ის ნუსხებში და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ორი გარემოება. ერთი რომ ოდიშის ნუსხებში ყველგან ძალიან დიდია ამა თუ იმ სახით მომუშავე ყმათა რაოდენობა. ჩვენ ვნახეთ, რომ 1622 წ. ნაჟანეულს მუშაობდა 50%, ხოლო ხოირს — 76%, ხიბულას მუშაობს 54%, მუხურს — 58%, თილითს — 62%, ხაუქელს — 73%. ამავე დროს იმერეთში მომუშავეთა პროცენტი ძალიან მცირედია: მანთხოჯს მხოლოდ 6,6%, ისიც მონადე, ჯიქთუბანს — არც ერთი, საჩხეურს, ბაკისუბანს, ხონს სულ უსამსახურონი არიან; მხოლოდ ჯიმშიტაროს ეუმაშტაროს მუშაობს 85,71%, მაგრამ აქ კ^ზს სულ 7 კომლი ჰყოლია (იქვე, გვ. 9—10). როგორც ჩანს, კ^ზებს XVI ს-ის შემდგომ დიდძალი მიწები შეუძენიათ სახასოდ ოდიშს. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ზოგიერთ სოფელში მოსასახლეთა („სასახლის სამსახურის“ ვალდებულთა) დიდი რაოდენობა (ხიბულას 14,54%, თილითს 24,32%) — ე. ი. კ^ზებს გაუშენებიათ სასახლეები და ზედ მოსასახლენი დაუსახლებიათ. უნებლიედ გვაგონდება საკ^ზო იადგრის ერთი შესანიშნავი მინაწერი (უტყუარი, თუმცა თვით იადგარი ნატყუარია), რომელიც ეკუთვნის მალაქია გურიელ—კ^ზს და რომელშიც ეს ენერგიული და მეთავისე მებატონე თავის აღმშენებლობითს მოღვაწეობას აგვიწერს (გუჯრები, 140—147=საისტ. მ-ბე 1925. II 189—192). მინაწერი დაწერილია 1625 წლ. შემდეგ, მაგრამ მალაქია ასწერს მთელ თავის მოქმედიანობას მანამდისაც და, სხვათა შორის, 1622 წლ. საკ^ზო დავთრის შედგენამდისაც. ოდიშის საბეგრო ნუსხები გვაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებით კათალიკოზების ცდა წარმოებდა გაცილებით უფრო ადრეც, მალაქიამდისაც, თუმცა ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. იმერეთში კი საკ^ზო დავთრის შედგენის შემდეგ უნდა გადმოეტანათ მათ თავისი მოქმედიანობა. საზოგადოდ იმერეთში (და გურიაშიც), საკ^ზო დავთრის მიხედ-

ვით, საკათალიკოზო სახასო მფლობელობა უმნიშვნელო იყო, შედარებით ოდიშის მფლობელობასთან.

მეორე ცალკე აღსანიშნავი გარემოება შემდეგია: ზოგიერთ სიაში გვხვდებიან მეტვირთე-მოლაშქრე ყმები (ხ-ბულას 16 კომლი, მუხურს 1 კომლი)[1]. როგორ უნდა გვესმოდეს ამ ყმების სოციალური მდგომარეობა?

ორში ერთი: ან მოინალეებიც ასრულებდნენ ზოგან უკვე XVII ს-ში ლაშქრობის სამსახურს, ანდა, პირიქით, ზოგან დაბეგრილ მსახურებს ტვირთიც დაევალებიათ.

ლამბერტის ცნობით, როგორც ვიცით, მოინალეც ლაშქრობდა. მაგრამ ლამბერტი ჰგულისხმობს საერისკაცო ყმებს. პირიქით, კ'ხის მალაქია გურიელისძის 1622 წლ. მოლაშქრეთა სიაში (საკ'ზო დავთ. 45—46) აღრიცხულნი არიან, როგორც მოლაშქრენი, მხოლოდ აზნაურნი და მსახურნი. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სიას არავითარი კავშირი არა ჰქონდეს საბეგრო ნუსხებთან: იგი დართული აქვს საკ'ზო დავთარს ბოლოში. ჩამოსთვლის თითქმის ყველა იმ სოფელს, რომელიც შეტანილია დავთარში (ზოგიერთ სოფელში, მაშასადამე, მოლაშქრენი არ ყოფილან) და წარმოადგენს ამ სოფლების საკ'ზო მოლაშქრეთა ჯუმლებს (ჯუმლები არ ეთანხმება საბეგრო ნუსხებში აღნიშნულ ლაშქრობის მოვალე კომლთა ჯამებს, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ სია „თავებსა" სთელის და არა კომლებს). წარმოუდგენელია, რომ სიაში მოხსენებული მსახურნი კიდევ სხვა ყმები იყვნენ, ვინემ შესატყვისი საბეგრო ნუსხების მსახურნი. ამგვარად, აქ საესებით მხოლოაზროვანი ჩვენება გვაქვს: მდაბიო გლეხი (მოინალე) არ ლაშქრობს. უნდა დავუშვათ, რომ ზოგან, გამონაკლისის სახით, საეკლესიო მსახურები ისე ჩამომცროპილან, რომ ტვირთის ზიდვაც დაევალებიათ და თითქმის აღარაფრით განირჩეოდნენ მოინალეთა უდაბლესი ფენისაგან. ზემოთ, ოცხანაში, 1622 წლ. ნუსხით, ჩვენ შეგვხვდნენ სამსახურისა და ტვირთის მოვალე ყმები და ამ უკანასკნელი ვალდებულების მიხედვით ჩვენ ისინი განვსაზღვრეთ, როგორც მოინალენი. ნამდვილად, შესაძლებელია, აქაც ერთი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ დაბეგრილ მსახურებს ტვირთის ზიდვაც დააკისრეს[2].

იმერეთიდან შემონახული გვაქვს, გარდა საკ'ზო ნუსხებისა, **ხონის ხაყდრის** დაახლ. 1622 წლ. დავთარი[3]. ხონის საყდარს ჰყოლია ხონს, ღანირს, ხუნწს და

---

[1] საცაგერლოს დავთარით, ზოგიერთ მებეგრეს მართებდა თავისი ბატონის ბეგარა და ტვირთი და „მეფის ლაშქრობა" (ცაგ. დავთ., გვ. 7); აქაც, მაშასადამე, მეტვირთე-მოლაშქრე ყმები ყოფილან.

[2] საინტერესოა, რომ ბოროზდინის ცნობით სამეგრელოში, XIX საუკუნის შუახანებში, ყველა მებეგრე მსახურები, მდაბიო გლეხებთან ერთად, ტვირთის ზიდვის მოვალენიც იყვნენ (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 46).

[3] ამ დავთარს ათარიღებს საკ'ზო დავთარი, რომელშიც ის თითქმის მთლიანად ყოფილა შეტანილი. თვითონ ხონის გრაგნილი ამჟამად დაზიანებულია, ბევრი აკლია (იხ. ცენტრარქ. № 5034). მაგრამ საკათ. დავთარში მებეგრეთა რიგი სხვა იყო და რამდენიმე მებეგრე შეტანილი არ ყოფილა—გოორგა წაბრალეისშვილი (ხონ. დავთ. 8, დაბეჭდ. შეად. „აბრალეისშვილი"), კრისტესშია ქაცარავა (იქვე 13) და ხუნწელი ყმების, ჯაველის და მამფორიას, სახელები (იხ. გლეხების ნუსხა საკათ. დავთ., გვ. 44—45). მიუხედავად ამისა, თანხვედრა ცალკე გრაგნილსა და საკათ. დავთრის ნუსხას შორის ისეთი თვალსაჩინოა, რომ ხონის დავთრის შემონახული ტექსტი, ყოველ ეჭვს გარეშე, დაახლ. 1622 წელსვე უნდა ეკუთვნოდეს.

ჭანგას სულ 59 კომლი ყმა და აქედან 7 კომლი მეხადილეა, 17 კ. დაბეგრილი მსახურია, 30 კ. გლეხია (მოინალე), 4 კ. უსამსახუროა და 1 კ. მეხადილეც (ჭანგას, გვ. 16) ამოგდებული ყოფილა და მისი მამული პარტახტად ქცეულა. პროცენტულად; 13,5% მეხადილე (ამოგდებულითურთ), 28,8% დაბეგრ. მსახური, სულ 42,3% მაღალი ღირსების ყმა და 50,8% გლეხი (მოინალე)[1].

მეხადილეებს (გვ. 15) სამსახური არ უწერიათ, მაგრამ უსამსახუროთაგან გამოეყავი, რადგან, როგორც ვიცით, მეხადილენი მაღალი ღირსების ყმები იყვნენ და აქ, ხონის დავთრის მიხედვით, თითქოს დაუბეგრავე მსახურებად უნდა მივიჩნიოთ: ხადილს გარდა (2 საკლ., 2 ქათ., 2 თეთრის თევზი და სხვ.) ამათ არა მართებს რა, ხოლო მათი სამსახურებრივი ვალდებულება „ლაშქრობა“ უნდა იყოს[2]. მო-

[1] ხონის დავთრის გამოცემის მიხედვით ყმათა რაოდენობის გამორკვევა შეუძლებელია. როგორც ეს გამოცემაშიც აღნიშნულია, 2 მეხადილე (ხახუტა სანოძე და მასორდია ფანცულეია) და 2 მსახური (მამფორია ორქოშია და კოჩია კეთილაძე) ხონის დავთრის პირველივე ტექსტში არ უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებული, შემდეგში „სხვა მელნით და ხელით“ მიუწერიათ (იხ. ხონ. დავთ. გვ. 16) და ამიტომ მათ ძირითად ყმათა შორის არ ვანგარიშობ. სხვა დეტალების გასარკვევად უნდა მივმართოთ დედანს (იხ. საქ. ცენტრარქივის საარქ. ფონდის გრაგბილი № ა034): მსახური გიორგა წაბარალეისშვილი (იხ. გამოც. გვ. 8) მოთავსებულია სრულიად ცალკე, ზომით დანარჩენებზე გაცილებით უფრო პატარა, უდაოდ მერმე ჩაკერებულ კეფზე, სულ სხვა ხელით, და მის ზემოთ მოთავსებული თალგამაძის ნორმის უკანასკნელი სამი სიტყვა „ოთხი მთელი ტკაცი“ ამას (წაბარალეისშვილს) ეკუთვნის, ხოლო თალგამაძის ნორმის ბოლო-სტრიქონები წაჭრილია და ამიტომაა იგი ეხლა წარმოდგენილი უსამსახუროდ. ამის გამო წაბარალეისშვილსაც ძირითად ყმათა შორის არ ვანგარიშობ. შემდეგ: გამოცემის მე-12 გვერდზე მამაგულა ღვიცაძის ნორმას რაღაც უცნაურობა ეტყობა. აქ ჩამოთვლილია, ჩვეულებისამებრ, თავი-ბეგარა, საპურობო, საბატკობო, სამაჭრობო და საყველიეროს ნაწილი: „ხუთი კოდი ცეხვილი, 7 მრთელი ღვინო“ და ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო „ერთი ურემი ღომი, ერთის თეთრის საყველიეროო“, სამეჯინიბო და მუშაობა, ანდა პირდაპირ „ერთის თეთრის საყველიეროო“ და სამსახური. ამის მაგივრად, აღნიშნულ სიტყვებს მოსდევს: „ორის თეთრის თეუზი, სამი კოდი ღომი, ორი კოკა ღვინო, ოთხი ქათამი სამაჭრობო“ და სხვ., შემდეგ საყველიეროა ჩამოთვლილი (თუმცა „საყველიეროო“ აღნიშნული არაა), სამეჯინიბო და მუშაობა. ცხადია, რომ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს: ღვიცაძის საყველიეროს ჩამოთვლა ჯერ დასრულებული არაა და მოულოდნელად მეორდება საბატკობოს ნაწილი, სამაჭრობო და ისევ საყველიერო. დედანთან შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ სწორედ იქ, სადაც სწყდება ღვიცაძის საყველიერო, სიტყვების „შვიდი მრთელი ღვინო“-ს შემდეგ, ტექსტი გადადის ახალ კეფზე (იხ. ხელნწ. ქ. 12—13) და თუმცა გადაკერებულზე კეფებს ზიანი არ ეტყობა, მაინც ტექსტის შეუსაბამობა გვაფიქრებინებს, რომ გრაგნილს აქ უნდა რაღაც აკლდეს და, რადგან გადაკერებულს არა ეტყობა რა, უნდა აკლდეს მთელი ერთი კეფი მაინც. ამგვარად, ხონის ძირითად ყმათა რიცხვი 59-ს, ალბათ, ბევრით აღემატებოდა, ხოლო რადგან ღვიცაძეს ან, უკეთ, მის მომდევნო უცნობს ბოლოში „მუშაობა“ უწერია, მე ესეც (ღვიცაძეც) ჩავთვალე გლეხთა (მოინალეთა) შორის. სამწუხაროდ, დაკარგულ კეფზე ხედმეტი კომლების ეარაუდი დაახლოვებითაც არ შეიძლება, რადგან კეფები სხვადასხვა ზომისაა.

[2] ამ ყმებს დაუბეგრავ მსახურებად ვთვლი მხოლოდ პირობით. ოცხანის XVI ს-ის ნუსხიდან და აგრეთვე მანთხოჯის ნუსხებიდან (იხ. ქვემ.) ვიცით, რომ ხადილი ზროხას ჰგულისხმობდა. ამიტომ, შესაძლებელია ხონის მეხადილეების 2 საკლავი და სხვ. ცალკე ბეგარა, თავი-ბეგარა, იყოს და მაშინ ესენი ოცხანელი მეხადილეების მსგავსი მებეგრენი იქნებიან. მაგრამ ხადილის ნივთიერი შემადგენლობა მაინც და მაინც სავსებით გარკვეული არაა. ასე, მაგ., 1730 წლ. შეწირულობის წიგნში ხადილი განსახღვრულია თითქოს თეთრით (2 მარჩილი, ღვინო, ღომი, ქათამი: საეკლ. საბ. I 122).

ლაშქრეთა სიით ხონს ითელებოდა მოლაშქრედ 30 მსახური (სამ. დავთ. 46), ხოლო ხონის დავთარში „ლაშქრობა“ არცერთ მსახურს არ უწერია. ცხადია, რომ იგი აქ ნაგულისხმევია, ისევე როგორც, მაგ., საცაიშლოს დავთარში და სხვ.; როგორც მაღალი ღირსების ყმები, ხონის მეხადილენიც. დაბეგრ. მსახურებთან ერთად. უთუოდ ასრულებდნენ ამ საპატიო სამ-ახურს.

მსახურებს ყველას მართებს „სამსახური“ და, ალბათ, ლაშქრობაც, და სხვადასხვანაირად არიან დაბეგრილი, თუმცა ორი მთავარი ტიპი გაიჩირჩევა.

1. ხონელი მსახურების ბეგარა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: a) თავი-ბეგარა[1]. b) საპურობო. c) საბატკობო, d) სამაჭრობო, e) საყველიერო. ასეა დაბეგრილი სულ 9 კომლი მსახური. მაგრამ ამათგან მხოლოდ 3-ს მართებს სრული ბეგარა[2]. 1-ს აკლია საბატკობო[3], 2-ს—საპურობო[4], 2-ს — საბატკობო და სამაჭრობო[5], ხოლო 1-ს თითქმის ყველა ბეგარა შეკვეცილი აქვს[6]. მაგრამ მაინც ცხადია, რომ ყველა ესენი ერთი სისტემით არიან დაბეგრილი.

2. ჭანგელი მსახურების[7] ბეგარა განაწილდება ამგვარად: a) თავი-ბეგარა და b) რაღაც უცნობი ბეგარა, ალბათ. ძღვენი[8]. ასეა დაბეგრილი სულ 6 კომლი მსახური (გვ. 16).

დეტალებს რომ არ გავყვეთ, ფორმალური შედარებიდანაც ცხადია, რომ ეს უკანასკნელი მსახურები უფრო შეღავათიან პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე ხონელნი. იქ ბეგრების სხვაობა შეიძლება ავხსნათ წმინდა ეკონომიური მიზეზებით — ერთი ყმა ეგების შეტად შეძლებული იყო და მეტი გამოჰქონდა, მეორე ნაკლებად. აქ კი განსხვავება როგორც ეკონომიური, ისე სოციალური ხასიათისაც უნდა იყოს: ის თეთრი, ე. ი. ფულადი გადასახადი, რომელიც ჭანგელების თავ-ბეგარაში შედის, ნაცვლად ხონელების საკლავ ბისა, ე. ი. სულადი გადასახადისა, მაჩვენებელია ჭანგისათვის სხვა სამეურნეო პირობებისა, ხოლო ჭანგელების სისტემატურად უფრო მსუბუქი დაბეგვრა ნიშანი უნდა იყოს მათი უფრო მაღალი ღირსებისა ხონელ მსახურებთან შედარებით (რასაკვირველია ამ მოსაზრებას მაინც პირობითი ხასიათი თუ ექნება).

---

[1] „თავი-ბეგარა“ თვით ტექსტში დასახელებული არაა, უსახელო ბეგარაა; სახელწოდება მე შემოვიღე სხვა, ჩვენთვის უკვე ცნობილი, საბეგრო ნუსხების მიხედვით. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ბეგრის ეს ნაწილი, ჯერ რომ ყველგან პირველ ადგილზეა მოთავსებული და, გარდა ამისა, ყველა ბეგარაზე უფრო მეტ სიმყარეს იჩენს. ყველაზე ნაკლებად იცვლება.

[2] მიდოდა მებუკეს, კაცია მებუკეს და გუგუშა წივწივაძეს.

[3] მიხილია ტაბიძეს.

[4] სულმამა მებუკეს და ნასყიდა ბახტაძეს.

[5] მაზიტა ტაბიძეს და ივანა სანოძეს.

[6] ხუცესს კეთილაძეს, რომლის საკლავი და ქათამი შეკვეცილი თავი-ბეგარაა, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო და 4 ქათამი სამაჭრობოა და 10 მთელი ღვინო შეკვეც. საყველიერ უნდა იყოს.

[7] ესენი შესაძლებელია მართლაც ბაკისუბნელები იყვნენ, როგორც ს. კაკაბაძე ჰფიქრობს (იხ. საისტ. კრებ. I, გვ. 21).

[8] რომ აქ აუცილებლად ორი ბეგარა გვაქვს და არა ერთი, თუმცა არც ერთის სახელი მოხსენებული არაა და პირდაპირაა ჩამოთვლილი სხვადასხვა გადასახადი, ამას გეიჩვენებს ღვინის გამოსაღების გამეორება: თავ-ბეგარაში ღვინო შედის კოკობით, ხოლო უცნობ ბეგარაში— ჭიანჭყერე კოკობით.

ხუნწელ ორ მსახურს თითოს მართებს რამდენიმე საკლავი, ქათამი, თითო ჭური ღვინო, „შინეთ ჩაჯდომა და მას(პ)ინძლობა“ [1].

გლეხის (მოინალის) ბეგარა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: a) თავიბეგარა, b) საპურობო, c) საბატკობო, d) სამაპრობო, e) საყველიერო, f) სამეჯინიბო. ამას გარდა, ყველას მართებს „მუშაობა“. 30 მეკომურიდან სრული ბეგარა მართებს მხოლოდ 17 მებეგრეს [2], სამს აკლია სამაპრობო [3], ორს—სამეჯინიბო [4], 6-ს—საბატკობო და სამაპრობო [5]. 1-ს—საბატკობო და სამეჯინიბო [6] და 1-ს—საბატკობო, სამაპრობო და სამეჯინიბო [7]. მაგრამ ცხადია, რომ ყველა ერთი სისტემითაა დაბეგრილი. ზოგიერთს ესა თუ ის ბეგარა მეტი ან ნაკლები მართებს, სამეჯინიბოდ ზოგს თივა და მჭადი მართებს, ზოგს მხოლოდ თივა ან ურიში ან ფეტვი და სხვ., მაგრამ ყველა ამას ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამ ყმათა ბეგარა, პირველივე შეხედვით, ძალიან წააგავს ხონელი მსახურების ბეგარას. მართლაც, ყველა გლეხები (მოინალენი) ხონელები არიან. მაშასადამე, ხონელი მსახურნი და გლეხნი ერთნაირად ყოფილან დაბეგრილი, ერთი სისტემით, მაგრამ მათ შორის არის ამასთანავე არსებითი სხვაობაც. სახელდობრ. მსახურთა ბეგარას აკლია „სამეჯინიბო“. რა შეადგენს სამეჯინიბოს? სამეჯინიბოში შედის ერთი ურემი თივა ან ურიში და ან ფეტვი და ერთი ურემი შეშა, ან კიდევ ერთი ურემი თივა. ერთი გოდორი მჭადი. ერთი ურემი შეშა. მსახურს რომ „სამეჯინიბო“ არ მართებს, ეს იმას ნიშნავს. რომ მას არ მართებს შეშის, თივის და მჭადის ბეგარა. შეშაც. თივაც და მჭადიც ხონს საგლეხო (სამოინალო) ბეგარა ყოფილა. თივასა და მჭადს რომ თავი დავანებოთ, უნებლიეთ მოგვაგონდება ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს ზემომოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ მას დროს ოდიშსაც შეშის მოტანა მოინალის ვალდებულებას შეადგენდა, მოინალე იყო რომ უნდა ეზრუნა ბატონის სახლში ცეცხლის გაუქრობლობაზე. მოვიგონოთ აგრეთვე, რომ საქუთათლო დაეთარშიც „ხორის ზიდვა“ საგლეხო (სამოინალო) სამსახურს შ„ადგენდა. მაგრამ ხონის დაეთარში მსახურთა ბეგარა კიდევ ერთი ნიშნით განსხვავდება გლეხების ბეგრისაგან: გლეხის (მოინალის) „საყუელიეროში“ შედის „ერთი ურემი ღომი“. ხოლო მსახერთა „საყუელიეროს“ ეს „ურემი ღომიც“ სისტემატურად

---

[1] დაბეჭდილ ტექსტში: „მასიმძლობა“.

[2] 1. მამისთვალა ლაითაძეს, 2. გიორგი ხურციძეს, 3. ნასყიდა ხოხობაძეს, 4. მიქელა გოგეგას. 5. გოჩია (=კაკია) ფენჩაისშვილს, 6. მახარა ფენჩაისშვილს, 7. ცოტნია ბახტაძეს, 8. გიორგისა ბახტაძეს, 9. ყუფარაძეს, 10. ივანა გოფოძეს, 11. გიორგა წივწივაძეს, 12. დათვია სანოძეს, („საყუელიეროს“ პირდაპირ არ უწერია), 13. მიხილია სანოძეს, 14. მაღლაკელიძეს („სამეჯინიბოს“ პირდაპირ არ უწერია), 15. მამაგულა ღუნცაძეს (ამის შესახებ იხ. ზემ. გე. 308 შენ. 1). 16. გაბრიელ ბახტაძეს და 17. გამსაჯა ბა(ხ)ტაძეს.

[3] მახარა ლაითაძეს, ამილადარა კუატუშაძეს და ნატრია ბახტაძეს.

[4] ხუცესს ქაცარავას და ქრისტეშია ქაცარავას.

[5] მახარა ჭამჭიანიძეს, კაკუა სანოძეს, ლომინა ყლარტაისშვილს. ეფრემიძეს. მახარა კოპეშავიძეს, ხოხონა სანოძეს.

[6] ნასყიდა ჩიტის ღულაისშვილს.

[7] ნასყიდა ფარცხელაძეს.

აკლია. ეს ბეჯარაც წოდებრივ საგლეხო (სამოინალო) ხასიათს ატარებს. ესეც ეთანხმება საქუთათლოს დავთრის ჩვენებას.

ამგვარად, სახონო მსახურნი განსხვავდებოდნენ გლეხთაგან ბეგრითაც. ხონს 1622 წელსაც ზოგიერთი ბევარა ატარებდა საგლეხო (სამოინალო) ხასიათს. მაგრამ მსახური მაინც ძნიშვნელოვანი დაბეგრილი. განსაკუთრებით, თუ საქუთათლო XVI ს-ის ნუსხებს შევადარებთ (გურიის ნუსხის გამოკლებით), ამ მხრით ახლო დგას მდაბიო გლეხთან და მეტად დაშორებულია დაუბეგრავ მეხადილეს. სამწუხაროდ, არ ვიცით თუ ნიშანდობლივ რაში გამოიხატებოდა მსახურის „სამსახური" და გლეხის „მუშაობა", მაგრამ ბეგრის მიხედვით შესაძლებელია. თუ სოფელი ხონის ფარგლებში დავრჩებით (მეხადილენიც ხონელები არიან). ერთგვარი წოდებრივი სქემის შედგენა, თუმცა, რაკი ეს ბეგრის მიხედვით ხდება, ამ სქემის რეალობა სათუოდ უნდა დარჩეს: I. გლეხი (მოინალე) — 1. სრული ბეგრის მოვალე, 2. სამაჯრობოსავან. ან საბატკობოსა და სამაჯრობოსაგან თავისუფალი. 3. სამეჯინიბოსა, ან საბატკობოსა და სამეჯინიბოსაგან თავისუფალი. 4. თავისუფალი საბატკობოსა, სამაჯრობოსა და სამეჯინიბოსაგან: II. დაბეგრილი მსახური — 1. სრული ბეგრის მოვალე, 2. საბატკობოსაგან, ან საჯრობოსაგან, ან საბატკობოსა და სამაჯრობოსაგან თავისუფალი. 3. ბეგრებ-შეკვეცილი: III. დაუბეგრავი მსახური (მეხადილე: ხადილი და ლაშქრობა).

ამ სქემიდან ჩანს თანდათანობითი წოდებრივი გარდამავლობა და ამავე დროს დაუბეგრავი მსახურების მდგომარეობის სიმყარე. შედარებით დანარჩენ კატეგორიათა მრავალფეროვნებასთან.

ყველა ეს სხვაობანი შეიძლება აიხსნას წმინდა ეკონომიური მიზეზებით. ყმების მეტ-ნაკლები ქონებრივი შეძლებით. მაგრამ ხონის დავთარში ბეგარას ისეთი სისტემატური ხასიათი აქვს, ისეთის მტკიცე წესით ჩანს შედგენილი, რომ უფრო საფიქრებელია წოდებრივი ხასიათის სხვაობა. ამის დასადასტურებლად ხონის დავთრიდანვე შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ორი ქალაქავა, დავთრის შედგენისას მუშაობის მოვალე მდაბიო გლეხნი. შემდეგში აღზევებულან და დაბეგრილ მსახურთა კატეგორიაში გადასულან. მათ ნორმებს მიწერილი აქვს სხვა ხელით: „სამსახური" (გვ. 13 და 14), მაგრამ „მუშაობა" არ წაუშლიათ. მომუშავე მსახურებად დარჩენილან. და აი საინტერესოა, რომ მანამდისაც. ე. ი. აღზევებამდე, მათ არ მართებდათ სამეჯინიბო, მაშასადამე, უკვე მაშინ გაუპირატესებული მდაბიონი ყოფილან. მათი აღზევება თანდათანობითი იყო.

ბეგრებისათვის საშუალო ციფრების გამოანგარიშება არ შეიძლება, ვიდრე დადგენილი არ იქნება საბოლოოდ თვითეული ბეგრის შემადგენლობა.

VII

საცაიშლოს დავთარზე, თუმცა ბეგრების სისტემა აქ ძალიან საინტერესოა და ყმების წოდებრივად დანაწილებას შესაძლებლად ხდის, ალარ შევჩერდები. მით უმეტეს რომ სამსახურებრივი ვალდებულება არც ერთ ნუსხაში მოხსენებული არაა. არ შევჩერდები აგრეთვე ე. წ. საცაგერლოს გამოსაელის დავთრის

ფრაგმენტზე, რადგან ეს ნაწყვეტი ჯერ-ჯერობით დაუთარიღებელია (შდრ. ი. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომ. ისტ. I 90-91).

მაგრამ ისიც, რაც განვიხილეთ, საკმაოა რათა რამდენიმე ძირითადი დასკვნა გამოვიტანოთ XVII ს-ისათვის.

1. გლეხობის ორი უდაბლესი ფენის მდგომარეობა, XVI ს-სთან შედარებით. საერთოდ შეიძლება ითქვას, გაუარესებულია: ბეგარა წამატებულია (თუმცა არის დაკლების შემთხვევაც), სამსახურებრივი ვალდებულება გართულდა.

2. საკ^ზო და, ნაწილობრივ, საქუთა^ლო მსახურებს დააკისრეს მანამდე მხოლოდ საგლეხო (სამოინალო) სამსახური: ნადობა და ნიადაგი მუშაობა, ხოლო ზოგან ტვირთიც კი, თუმცა აქა-იქ შენახული არის დაბეგრილი მსახურის წმინდა ტიპიც. საკ^ზო დაბეგრილი მსახური იმდენად დაუახლოვდა მდაბიო გლეხს, რომ მათი ერთმანეთში გარჩევა ხშირად სჭირს. სრულებით ცხადია, რომ დაბეგრილ მსახურთა ფენას გაქრობის და ორი საწინააღმდეგო მიმართულებით, მდაბიოთა და დაუბეგრავთა შორის, გათქვეფის ტენდენცია აქვს. ამასთანავე, ძნელი დასაშვებია, რომ ასეთ მოვლენას მხოლოდ საკ^ზო ყმათა შორის ჰქონოდა ადგილი, თუმცა 1622 წელს ზოგან მათ შორისაც ჯერ კიდევ მთლიანად იყო დაცული დაბეგრილი მსახურის წმინდა ტიპი (ოცხანა).

3. დაუბეგრავი მსახურის მდგომარეობა კი, პირიქით, გასაოცარ სიმყარეს იჩენს.

საკ^ზო ნუსხების მიხედვით შეიძლება შემდეგი საგლეხო წოდებრივი სქემა შევადგინოთ XVII საუკუნისათვის (უდაბლესიდან უმაღლესისაკენ):

გლეხი:
- I. გლეხი (მოინალე): 1. მეტვირთე, 2. მომუშავე, 3. მონადე.
- II. მსახური:
  - a. დაბეგრილი: 1. მეტვირთე. 2. მომუშავე, 3. მონადე, 4. მოსამსახურე, 5. მოლაშქრე.
  - b. დაუბეგრავი: 1. მოსამსახურე, 2. მოლაშქრე.

უდაბლესი სამსახურის მოვალეს შეიძლება უმაღლესიც მართებდეს, მაგრამ წინაუკმოდ არა: ასე, მაგ., მეტვირთე შეიძლება მომუშავე-მონადეც და მოლაშქრეც იყოს, ხოლო მომუშავე მეტვირთე არ იქნება, მონადე არ იქნება მომუშავე და ა. შ.

მხედველობაში არ ვიღებ საშუალო ტიპის ყმებს და ცალკეულ მ ^ ნებს, როგორც, მაგ., მონადე თუ მომუშავე რამდენსამე დაუბეგრავ მ ^ ურს და სხვ., ხოლო სქემიდან ჩანს, რომ სწორედ დაბეგრილ მსახურთა ფენაში მძლავრი დიფერენციაცია მოხდა და რომ მათი სამი პირველი ქვეკატეგორიის მდაბიო გლეხთაგან გარჩევა ხშირად მეტად ძნელი უნდა იყოს.

ჩვენ ვნახეთ, რომ დაუბეგრავი მსახურების მდგომარეობა მყარი იყო. ეს გარემოება გასაგებად ხდის მათს გამოყოფას XIX ს-ისათვის ცალკე საგლეხო სოციალურ კატეგორიად, ე. წ. **აზატებად**. XVI—XVII საუკუნეებში კი აზატი მსახურთა შორის ირიცხებოდა. მართლაც, აზატს პირდაპირ ასახელებს მხო-

ლოდ საქუთათლოს 1578 წლ. დავთარი, მანთხოჯის დაახლ. 1700-იანი წლების ნუსხა და საკ'ზო დავთრის დაახლ. 1730 წლ. მინაწერი[1]. მაშასადამე, 1578-იდან 1700-მდე, სრული 120 წლის განმავლობაში, აზატის ხსენება არსად არ არის. საბუთებიდან ვიცნობთ ე. წ. „განთავისუფლებით", ანუ, რაც იგივე უნდა იყოს, „აზატობით" შეწირვას (იხ., მაგ., საეკლ. საბ. I 72—1669 წლ., 74—1660-1670 წლ., II 9—1757 წლ., და სხვ.), მაგრამ ასეთი შეწირვით სრულებითაც ახალი სოციალურ-ეკონომიური ფენა არ იქმნებოდა. ხოლო, თუ კი აზატობა ცალკე ფენას წარმოადგენდა, ე. ი. აზატებს მსახურთაგან მკვეთრად განსხვავებული უფლება-მოვალეობანი ჰქონდათ, ნუთუ დასაჯერებელია, რომ ისინი საბეგრო ნუსხებში, საქუთათლოს დავთარს გარდა, ერთხელაც არის მაინც, არ მოეხსენებიათ. რატომაა, რომ აზნაურებსაც აღნიშნავენ, მსახურებსაც. და აზატებს კი არა? არც ერთი XV-XVI ს-ის ძეგლი, წოდებათა ჩამოთვლისას. არც არქ. ლამბერტი და მალაქია გურიელიძის მოლაშქრეთა სია XVII ს-ში აზატებს, როგორც ცალკე კატეგორიას გლეხებისას, არ იცნობენ. ჩვენ ვიცით, რომ აზატებს ლაშქრობა ევალებოდათ და ნუთუ საკათალიკოზო და აგრეთვე ხონის, ცაიშის და ჯუმათის საეპისკოპოზო ყმათა შორის 1622 წ. არც ერთი აზატი არ იყო, რომ მალაქიას სია მათ არ იხსნიებს? ჩვენ გვაქვს მთელი რიგი XVII-XVIII საუკუნეების საბუთებისა, რომლებშიც მოწმეებად დასახელებულნი არიან აზნაურნი, მსახურნი და ერთხელ გლეხნიც კი. ხოლო აზატნი არასოდეს (საქ. სიძვ. II 89, 522, საეკლ. საბ. I 127, II 21), რაც გაუგებარი იქნებოდა, აზატობა რომ მართლა განთვისებული კატეგორია ყოფილიყო, ვინაიდან საზოგადოებრივ ისინი, ყოველ შემთხვევაში, მსახურებზე დაბლა არ იდგნენ. ყველა ეს ადასტურებს, რომ XVI-XVII საუკუნეებში აზატობა მსახურთა ფენის ერთი შემადგენელი უნდა ყოფილიყო.

ვნახოთ, რას გვეტყვიან ის საბუთები, რომლებშიც აზატი პირდაპირაა დასახელებული.

საქუთათლოს დავთარში ერთხელ ვკითხულობთ (§ 210): შალაბერიძეს მართებს სრული ბეგარა, ტვირთი და მუშაობა, ე. ი. შალაბერიძე მდაბიო გლეხია, მაგრამ ბოლოში მიწერილი აქვს, რომ „ან უნდა იქნას ესე და ან რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის-ჭამა და ცხენით სამსახური". მეორეჯერ ასეთი განმარტებაა (§ 234): როსტევანა მდაბიო გლეხი ყოფილა (სრული ბეგარა, ტვირთი, მუშაობა), მაგრამ გაუზატებიათ და „ამას ნუღარა იქს, რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის-ჭამა და ცხენით სამსახური და ლაშქრობაჲ, ქუთაის საყდრის მუშაობაჲ". აქ საკმაოდაა განსაზღვრული აზატის მოვალეობა. მაგრამ რით განსხვავდება აზატი, მაგ., ნაჟანეური XVI ს-ის დაუბეგრავი მსახურისაგან? ამასაც ხომ პურის-ჭამა, სამსახური და ლაშქრობა მართებს? და თუ ნაჟანეურ მსახურს კიდევ სპეციალური ბეგრის, სამეჯინიბოს, გამოღება ევალებოდა, საქუთათლო აზატი ხომ საყდრის მუშაობის მოვალეცაა? საქუთათლოს დავთარშიც გვხვდება ცხენით სამსახურის მოვალე ყმა, რომელსაც სპეც. ბეგარაც უნ-

[1] საკათ. დავთ. 47; ათარიღებს ალექსანდრე V-ის ცოლის, მარიამ დედოფლის, გარდაცვალების წელი.

და გამოელო (ყავარი, მაგ. § 288). ხოლო ცხენით სამსახური, თავისთავად, ხომ ყველა მსახურების პრივილეგიას შეადგენდა, როგორც ლამბერტი გადმოგვცემს. არც ერთი ნიშნით, მაშასადამე, აზატის გარჩევა მსახურისაგან არ შეიძლება [1].

ახლა მანთხოჯის ნუსხა ერთ შესანიშნავ ცნობას გვაწვდის იმის გასაგებად, თუ რაში გამოიხატებოდა გააზატება. მანთხოჯის ნუსხა ორი სხვადასხვა დროისა მოგვეპოვება: ერთი შეტანილია საკ'ზო დავთარში (გვ. 12—15) და ეკუთვნის 1622 წ., მეორე კი (საისტ. კრებ. I 39—40), როგორც უკვე აღვნიშნე, დაახლ. 1700-იანი წლებისა უნდა იყოს [2]. ამ უკანასკნელში ყმები ძალიან საინტერესოდ არიან დაყოფილი: 1. აზნაური 1 კომლი, 2. მეზროხენი ანუ აზატნი 15 კ., 3. მესეფენი ანუ მეურმეულენი 21 კ., 4. ურმეულ-ამოკვეთილნი 2 კ., 5. ხატის-კაცნი 11 კ., 6. მეთევზენი 3 კომლი.

უკანასკნელი ორი კატეგორიის შესახებ არაფერს ვიტყვი, ხოლო ურმეულ-ამოკვეთილნი ჩვენთვის საინტერესონი არიან, თუ მოეიგონებთ, რომ საქუთათლო და აგრეთვე ხონის დაბეგრილ მსახურებსაც ურმეული ღომი ამოკვეთილი ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, მანთხოჯის ნუსხა მსახურებს პირდაპირ არ ასახელებს. მესეფენი კი, სეფეობის ანუ ნიადაგი მუშაობის მოვალენი, მდაბიო გლეხნი არიან. სხეათა შორის, საინტერესოა ამ მესეფეთა, ე. ი. მოუშაველ ყმათა, დიდი რაოდენობა (39,62%). როგორც ვიცით, 1622 წ. მანთხოჯს სულ 6,6% იყო მომუშავე, ისიც მონადე, ყმა. ეს ადასტურებს ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმულს მოსაზრებას, რომ იმერეთში კათალიკოზებს უფრო გვიან, სახელდობრ XVII ს-ის პირველი მეოთხედის შემდეგ უნდა დაეწყოთ სახასო მიწების შეძენა და სასახლეების გაშენება.

მესეფენი დაპირისპირებულნი არიან აზატებს, რადგან ნუსხაში ასე სწერია: „ეს აზატი კაცი, აწ ამას გარდა მესეფე კაცი". რაში გამოიხატება ამ მეზროხეთა აზატობა? ერთ-ერთ მათგანს, შუშუა ფირცხალავას, მიწერილი აქვს: „ახლად ამოკუეთილი". რადგანაც ურმეულ-ამოკვეთილნი ცალკე სწერია, ამიტომ ამ აზატს ფირცხალავას რაღაც სხვა უნდა ჰქონდეს ამოკვეთილი, რაც მას განასხვავებს როგორც შეურმეულეთაგან ისე ურმეულ-ამოკვეთილთაგანაც. აი ამის შესახებ გარკვეულ ცნობას იძლევა მანთხოჯის 1622 წლ. ნუსხის ერთი მინაწერი. ეს მინაწერი ასე იკითხება: „შუშუა ფიცხელავას და მის შვილებს საკლავი ემრ'თა. ახლა ის ამომიკვეთია და ხადილი დამიც. ყლ'მა ჩ'მა შემდგომმა კ'ზებმა ასე დაუმტკიცეთ" (საკ'ზო დავთ. 13, შენ.*). სრულებით ცხადია, რომ ფაქტების

---

[1] საქუთათლო ყმათაგან ვააზატებულია კიდევ ერთი მელაძე (§ 29), მაგრამ არაა აღნიშნული არც მისი წინაბედელი და არც ახალი ვალდებულება.

[2] თარიღს დაახლოვებით განსაზღვრავს დავით ნემსაძის დროინდელი „მანთხოჯის ანაწერი" (საქ. სიძე. I 54). სახელდობრ, იქ ჩამოთვლილ ყმათაგან 14 კაცი მოხსენებულია 1700-იანი წლების ნუსხაშიც (ბარაბაძენი: მამაგულა, მაშისთვალა, გიორგი; ადამია: მამუკელა, საყვარელა, ხახუტელა; ფიცხალავა: კაცობელა, შუშუა; დოკვირი: ბაჩუნია, მაჭუკა; ჩიმაგაძე სვიმონ, კარსანიძე ხახუტა, ხუროძე ბუჭუელა). ამასთანავე, ჩვენი ნუსხა მერმინდელია: 1622 წ. მაშთხოჯს იყო 30 კომლი, დავით ნემსაძის დროს (კათალიკოზად დაჯდა 1673 წ.) — 48 კ. ანაწერით). ჩვენს ნუსხაში კი უკვე 53 კომლია.

ასეთი შეხვედრა შემთხვევითი ვერ იქნება და რომ ეს შუშუა ფიცხელაძეა იგივეა, რომელიც 1700-იანი წლ. ნუსხაში ახლად-ამოკვეთილადაა მოხსენებული. ამ მინაწერიდან ჩანს, მაშასადამე, თუ სახელდობრ რაში გამოიხატებოდა ამოკვეთა: ამოკვეთილია საკლავი და ამის მაგიერად დადებულია ხადილი, რომელიც, როგორც 1700-იანი წლ. ნუსხიდან ირკვევა, ზროხისაგან შედგებოდა. მაგრამ საქმე ზროხასა და საკლავში არაა. იქ შუშია ფიცხელაური, რომლის ნორმის გასწერიც აშიაზე მოთავსებული ყოფილა აღნიშნული მინაწერი და რომელიც უეჭველია, შუშუა ფიცხელაძის წინაპარი იყო, მართებდა: „ურემი ღომი, 9 მრთელი ღვნო, 2 საკლავი, საპურობო, ცეხკული 3 ნაოთხალი ღომი, ბარგის ზიდვა". ეს უკანასკნელი ვალდებულება მას განსაზღვრავს როგორც მდაბიო გლეხს. საკლავი, როგორც ვხედავთ, შედის თავ-ბეგარაში. საპურობოც. ალბათ, ჰგულისხმობდა საკლავს, მაგრამ ეს პირდაპირ აღნიშნული არაა[1]. მაშასადამე, მინაწერის „საკლავი ეჵართა" ეხება თავ-ბეგარას და ამოკვეთილა სწორედ თავ-ბეგარა, რომლის მთავარი შემადგენელი საკლავი ყოფილა[2]. გააზატება გამოიხატა ბეგრის სახის შეცვლაში: თავი-ბეგრის მაგივრად—ხადილი. საქუთათლოს დაკითარშიც, ბევრების სანაცვლოდ, გააზატებულს უნდა გადაეხადა პურის-ჯამა, მაგრამ მანთხოჯის ნუსხა გვიჩვენებს, რომ საქმე სწორედ თავ-ბეგარაში იყო და არა სხვა რომელსამე ბეგარაში (ფიცხელაძეს ამოკვეთა, რასაკვირველია, ურმეულიც და სხვ., მაგრამ გახაზულია მხოლოდ საკლავი). მეორე მხრით, საქუთათლოს დავთარი გვიჩვენებს, რომ გააზატებულს საგლეხო (სამოინალო) სამსახურის მაგივრად საპატიო სამსახური ევალებოდა. ყველა ეს სწორედ დაუბეგრავი მსახურის ნიშნებია: ამასაც თავი-ბეგარა არ მართებს და საპატიო სამსახური ევალება. ე. ი. აზატი დაუბეგრავი მსახური იყო, ანუ. უკეთ, გააზატებული დაუბეგრავი მსახურის მდგომარეობაში გადადიოდა. მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზემოთმოყვანილ შემთხვევებში ყველგან მდაბიო გლეხია გააზატებული (მანთხოჯის ნუსხაში ხომ, როგორც აღვნიშნე, მესეფენი და აზატნი დაპირისპირებულნი არიან). აქედან საფიქრებელი ხდება, რომ აზატობა შეფარდებითი ცნება იყო და სიტყვა „აზატი" ნახმარია მხოლოდ როგორც ეპითეტი, „გააზატებულის" მაგივრად.

უეჭველია, დაბეგრილ მსახურთა გააზატებაც ხდებოდა. როგორც ვთქვი, დაბეგრილ მსახურთა ისტორია XVI—XVII საუკუნეებში გასაკვებად ხდის, თუ რატომ უნდა გამოყოფილიყვნენ აზატნი, როგორც ცალკე სოც.-ეკონომიური კატეგორია. უკვე XVII ს-ში დაბეგრილი მსახური ისე დაეტვირთა, იმდენად დაუახლოვდა თავისი მდგომარეობით მდაბიო გლეხს და იმავე დროს დაშორდა დაუბეგრავ მსახურს, რომ ეს უკანასკნელი უკვე მაშინ მსახურთა მასაში საგანგებოდ გამოირჩეოდა, როგორც პრივილეგირებული ყმა. ეს პროცესი დას-

[1] რომ აღნიშნული საკლავები საპურობოსი არაა, იხ., მაგ., იქვე. იმედისა ღუჭაძის და მამისბედა კაისარიძის ნორმები, სადაც საპურობოს ან თავისი ციფრი უწერია ანდა იგი სულ ბოლოშია გადასმული.

[2] შდრ. „თავი" ანუ „მთავი საკლავი" და, როგორც ჩანს, ამას დაპირისპირებული „სასტუმრო [საკლავი]" ბარის 1622 წლ. ნუსხაში (საქ-ზო დავთ. 1).

რულდა მხოლოდ XIX ს-ისათვის. მანამდე კი მსახურთა ფენა, შიგნით რამდენსამე ქვეკატეგორიად დაყოფილი, მდაბიო გლეხთა მიმართ ერთ მთლიანს წარმოადგენდა[1].

რაც შეეხება დაუბეგრავი მსახურის მდგომარეობის სიძყარეს, აქ არა მცირედი როლი მიეკუთვნება იმ გარემოებას, რომ ყოველი გააზატება, როგორც ინდივიდუალური ნებისყოფის აქტი, წერილობით მტკიცდებოდა, რომ აზატნი ყოველთვის სიგლოსანნი იყვნენ, ხოლო სიგლის გაცუდება ძალმოძრეობით თუ შეიძლებოდა, უკანონობა იყო—იგი ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრავდა აზატის უფლება-მოვალეობას.

გარდა აზატებისა, XIX ს-ში ცალკე საგლეხო კატეგორიად გვხვდებიან **მოჯალაბენი**. მოჯალაბე ისეთი ყმაა, რომელიც ბატონის სასლში. ან მის კარ-მიდამოში ცხოვრობს, მიწა ჩვეულებრივად არა აქვს და მთელის თავისი ჯალაბით მუდმივ ბატონის განკარგულებაშია (ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 41, 86—87, 124). რუსის მოხელენი 1864 წ. პირდაპირ სწერენ: «Моджалабы находятся целым семейством и полном распоряжении помещика» (საისტ. კრებ. I 5). XIX ს-ში მოჯალაბე მონა იყო.

ჩვენ ვნახეთ, რომ განხილულ საბუთებში მოჯალაბე არსად არა გვხვდება. მართლაც, იგი იხსენიება პირველად 1637 წლ. საბუთში, რომელშიც განკუთვნილია გელათისადმი „ბაჯს სასახლე მისის მოჯალაბით და სახასოს ალაგებით“ (ქრონიკები II 451—52). მეორედ, უკვე „მოსახლე“ მოჯალაბე გვხვდება 1696—1704 წ. საბუთში (საქკლ. საბ. I 88). მაგრამ საზოგადოდ მოჯალაბე უმოსახლო, უმიწო იყო და მისი „დასახლება“ დამოკიდებული იყო ბატონის ნებაყოფლობაზე. ეს კარგად ჩანს დაახლ. 1750 წლ. საბუთიდან, სადაც ეკითხულობთ: „შენგელია ქუემოთგან მოვიყვანეთ და მოჯალაბეთ დავაყენეთ წინამძღურისთვის და თუ წინამძღუარმა ინებოს და მამული მისცეს, ბეგარა როგორც სხუას გლეხს ხდებოდეს, ისე გარდაახდევინოს და იმსახუროს“ (იქვე 160, შდრ. 141 და II 31, 80). აქედანვე ცხადი ხდება, რომ, დასახლდებოდა თუ არა მოჯალაბე, ის ბეგარით დანარჩენი გლეხებისაგან არ განირჩეოდა. საინტერესოა აგრეთვე ერთი დაპირისპირება, რომელიც გვხვდება 1774—75 წლ. გურულ სიგელში: ერკეთის ეკლესიას უდაბნოსათვის დროებით უთხოვებია თავისი „კომლი კაცი“, იმ პირობით, რომ „ოდესაც მაგიერი შესაბამი კომლი კაცი ანუ სამოჯალაბო კაცი მიეცეს უდაბნოს, მთავარ ნგზ (ერკეთისას) მისი კომლი კაცი ის(ევე) დანებდეს უდაბნოსაგან“ (საქ. ცენტარაქ. № 6/14). აქ, ცხადია, „კომლი კაცის“ ქვეშ იგულისხმება მოსახლე გლეხი, ხოლო ამისაგან განირ-

[1] მესამე საბუთი, რომელშიც „აზატი“ იხსენიება, გრიგოლ კზის დაახლ. 1730 წლ. მინაწერი, არსებითად არაფერს გვეუბნება და ამიტომ მას ვრცლად არ შევეხე. აქ იხსენიება ერთი „გლეხი“ და ერთი „აზატი“. „გლეხი“ უნდა უდრიდეს „მოინალე“-ს.

რაფ. ერისთავისა და მურიეს გადმოცემით, გლეხობა XIX ს-ის შუახანების სამეგრელოში სამ კატეგორიად იყოფებოდა: მოჯალაბეებად, მებეგრეებად და აზატებად (იხ. ბატ.-ყმ. სამეგრელოში, გვ. 86 და 124). საინტერესოა, რომ რ ერისთავის ცნობით, გაზატება, პირველ ყოვლისა, ღორის (ე. ი. ჩვენი ნუსხების საკლაიის) ამოკვეთაში გამოიხატებოდა (იხ. იქვე, გვ. 102).

ჩვეა „სამოჯალაბო კაცი“, რომელიც თავისთავად მოსახლე არ არის. კაცია დადიანის 1766 წლ. შეწირულობის წიგნიდან ჩანს, რომ მოსახლე მოჯალაბესაც სამსახური მაინც სხვაზე უფრო დამამცირებელი და სათაკილო მართებდა. დადიანი სწერს: ჩემ დედ-მამას კახიძისეულ სასახლეზე „მოჯალაბე დაეხლებინათ... და უდაბნოსათვის შეეწირათ მოსამსახურეთ, საფქვავ-საცეხვათ და პირუტყვის მოსავლელათ და ჰურის მრჩეველათ“-ო (საეკლ. საბ. II 31). ხოლო, როგორც უკვე ვიცით, XIX ს-ის ცნობები გვაქვს, რომ ღომის ცეხვა ყველაზედ უფრო სათაკილო სამსახურად ითვლებოდა სამეგრელოში (ბატ-ყმ. სამეგრელოში, გვ. 86, 124). სოციალურ კიბეზე, როგორც უმიწო და მონა, მოჯალაბე ერთი საფეხურით მდაბიო გლეხზე (მოინალეზე) დაბლა იდგა. ჩვენს საბუთებში იმისი ნიშნებიც მოიპოვება, რომ მოჯალაბე „გლეხად“ არც კი ითვლებოდა. გრიგოლ კ'ზის 1733 წლ. გუჯარში, მაგალითად, ყველა ყმას ანმარტივად „მოსახლე კაცები“, ან „მოსახლე გლეხები“ ეწოდება. ხოლო მოჯალაბე საგანგებოდ აღნიშნულია, როგორც „მოსახლე მოჯალაბე“ (საეკლ. საბ. I 142—143).

ის გარემოება, რომ მოჯალაბე XVII ს-მდე, უკეთ, XVII ს-ის შუახანებამდე, არსად არ იხსენიება, შეიძლება ორი მიზეზით აიხსნას:

1. ან მოჯალაბეობა მანამდეც არსებობდა, ოღონდ მოჯალაბეობა დასახლება და შეწირვა მიღებული არ იყო, რის გამოც ისინი ჩვენს საბუთებში, რომლებიც მეტწილად შეწირულობის წიგნებს წარმოადგენენ, ვერც მოხვდებოდნენ. XVIII ს-ისათვის, ქვეყნის გაუკაცურების გამო, დაიწყო მოჯალაბეთა დასახლება და ამის შემდეგ ისინი ჩვენს საბუთებშიც საკმაოდ ხშირად იხსენიებიან. შესაძლებელია ავგრეთვე, რომ, მაგ., ოცხანელი XVI ს-ის მცეხველნი მოჯალაბენი ყოფილიყვნენ (შდრ. ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ. III 16—17), ე. ი. რომ თვითონ ტერმინი „მოჯალაბე“ მოგვიანო იყოს, ხოლო შესატყვისი სოციალური ფენა მანამდეც არსებულიყო.

2. ანდა მათი მოუხსენებლობა, რომელსაც ზემომოყვანილი მოსაზრება საკმაოდ ვერ ახსნის, ნიშნავს იმას, რომ მოჯალაბენი, როგორც ასეთნი, ე. ი. უმიწო, მთელი თავისი ოჯახით ბატონის კმაყოფაზე მყოფი ყმები, მანამდე არც მოიპოვებოდნენ (ან შეიძლება მხოლოდ გამონაკლისის სახით არსებობდნენ—არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლამბერტიც მოჯალაბეებს არ იცნობს!), რომ ყოველგვარ შინაურ სამსახურს ბატონის სახლში მხოლოდ მსახურთა და მდაბიო გლეხთაგან მორიგეობით გამოსული მოსამსახურენი ასრულებდნენ, და რომ მოჯალაბეთა გაჩენა XVII ს-ის განმავლობაში უნდა აიხსნებოდეს ახალი ეკონომიური პირობებით. მოჯალაბეთა გაჩენას XVII ს-ში არ შეიძლება არ დაეუკავშიროთ მოსახლეთა გამრავლება საკათალიკოზო სოფლებში 1622 წლისათვის, „ამოკდებული“ გლეხის მოხსენიება ხონის დავთარში (გვ. 16) და „აყრილ“ გლეხზე ლაპარაკი 1656 წლ. საბუთში (საეკლ. საბ. I 55) და სხვ. ყველა ეს ერთი კატეგორიის მოვლენა უნდა იყოს.

ჩემს ზემოწარმოდგენილ სქემაში მოჯალაბე დაიჭერს მაშასადამე, პირველ ადგილს.

ცალკე შევჩერდები **უსამსახურო და უბეგრო ყმებზე.** უსამსახურო და უბეგრო ნორმების მიხედვით ყმები, უპეტეს შემთხვევაში, არ განსაზღვრავს და აი რატომ. ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ჩვენება იმისა, რომ ერთი ყმა შეიძლებოდა ორი ბატონის მოვალე ყოფილიყო და რომ ასეთ შემთხვევაში მისი ვალდებულება შეიძლებოდა სწორედ ბეგარად და სამსახურად განაწილებულიყო. ს. კაკაბაძის განსაზღვრით, 1660—85 წლებში გელოანნი სწერენ გაბრიელ ჯყონდიდელ-ცაგერელს: „თუ თქ(ვე)ნ თქ(ვე)ნი ყმა ფოჩიანი ჩვენს ალაგზედ დაასახლოთ, ბეგრის მეტს სხვას ჩვენ იმ კაცისას არას შემოგეცილოთ. მუშაობა, მგზავრობა და სამსახური ყველა თქ(ვე)ნი იყოს და ბეგარას ჩვენ მოგვცემდეს“ (საეკლ. საბ. I 81, შდრ. იქვე 78, საისტ. მ-ბე 1925, II 191). აქედან ცხადი ხდება, რომ, როდესაც საბეგრო ნუსხებში უსამსახურო ყმა გვხვდება, ჩვენ უფლება არა გვაქვს ვიკ. მაგ., გაუპირატესებულ ყმად მივიჩნიოთ—შესაძლებელია, რომ ასეთი ყმა „მკვიდრი“ არ იყოს, საეკლესიო მიწაზე სახლობდეს, როგორც ხიზანი თუ თავისი მკვიდრი ბატონისაგან ნასესხები, ხოლო სამსახურს თავის ბატონს უწევდეს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ზოგიერთი, განსაკუთრებით დამახასიათებელი ბეგარა თუ გვეჩვენებს ყმის ნამდვილ წოდებრივ მდგომარეობას. მეორე ხერით, ბეგრისაგან მრავალი სხვადასხვა მიზეზით ათავისუფლებდნენ ხოლმე ყმას, მაგ., რაიმე მოხელეობის შესრულებისათვის, ან სამსახურისათვის, ან უსახსრობისათვის და სხვ. (იხ. საისტ. კრებ. I 69, 72, 77, 94—ეს ცნობები XIX ს-ს ეკუთვნის). თბილითის ნუსხაში, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, გვხვდება „მოინალე“, რომელსაც „ერთის კვირის ყლის დღის სამსახურის“ მეტი არა მართებს რა (საქ. დაით., გვ. 34). მაშასადამე, უბეგრო ყმასაც ხშირად, თუ მისი სამსახური დამახასიათებელი არაა, ვერ განვსაზღვრავთ.

საბუთებში გვხვდება ბევრი სხვა, განსაკუთრებული ხელობის თუ ვალდებულების ყმა, როგორც „მესაღობე“, „მეახორე“, „მეთევზე“, „მესანთლე“ და მრ. სხვ., მაგრამ ყველა ესენი ან მსახურები არიან, ან მდაბიო გლეხები.

შემოკლებათა სია

ბატ.-ყმ. სამეგრელოში=კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონ-ყმობა სამეგრელოში, თარგმანი თ. საბოკიასი, ტფ. 1927.

გუჯრები=აღ. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთ. 1891.

ლამბერტი=არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, აღ. ჯყონიას თარგმანი, ტფ. 1901.

საეკლ. საბ.=დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, I და II, ტფ. 1921.

საისტ. კრებ. I და III=საისტორიო კრებული, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, წიგნი I, ტფ. 1928, წიგნი III, ტფ. 1928.

საისტ. მ-ბე, 1925, I და II=საისტორიო მოამბე, საქ. ცენტრარქივის გამოც., ტფ. 1925, წიგნი I და II.

საქ. დაით.=აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დაუთარი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, ტფ. 1914.

საჯ. იადგ.=აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ: საისტ. მ-ბე, 1925, II 177—185.

საქ. სიძვ. I და II=საქართველოს სიძველენი, საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ბის გამოც., ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, გამოც. მეორე. წიგნი I, ტფ. 1920 და ტ. II, ტფ. 1909.

ქრონიკები II=ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, გამოც. თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფ. 1897.

ქუთ. დავთ.=დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს. გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ: ძველი საქართველო, საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ბის გამოც., ტ. IV, ტფ. 1914—1915, გვ. 1—72.

ცგ. დავთ.=საცაგერლოს გამოსაელის დავთარი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, ტფ. 1914.

ცშ. დავთ.=საცაიშლოს გამოსაელის დავთარი, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, ტფ. 1913.

ხონ. დავთ.=ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, ტფ. 1913.

3. დღნდუა

თამარ მეფის და რუსუდანი

„გიორგი III [-ს] სხვა ძე არ ესვა მართ ოდენ მარტო ასული—თამარი",—ამ რუსთველის სტილზე გამართული სიტყვებით იწყებდა განსვენებული პროფ. მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ერთს თავის შრომაში თამარის ისტორიის პოპულარულ თხრობას („საქართველოს მოკლე ისტორია", თბილისი, 1884, გვ. 105). ამრიგად, ავტორის მიერ მკაფიოდ ითქვა, რომ თამარს, თითქო, არ გააჩნდა არც ძმა, არც და. ეგევე აზრი, რა თქმა უნდა ჯანაშვილის უწინ გამოთქმულა, მაგალითად, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ; თამარი, ამის მტკიცებითაც, ვითომ, გიორგის ერთადერთი ქალი იყო, „и была единственною дочерью" იმავე, ვით ფარსადანის ასული ნესტანდარეჯანიო („ქართული ქრისტომატია", ნაწ. II, სანკტპეტერბურგი, 1846, გვ. VII).

ამავე აზრს ადასტურებდა დიმიტრი ბაქრაძეც, როგორც ამას მოწმობს მის მიერ შედგენილი ქართველ მეფეთა შთამომავლობითი შტო („ვახუშტი. საქართველოს ისტორია. განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ". ნაწილი პირველი, ტფილისი, 1885, გვ. 332). იგულისხმება, რომ ბაქრაძეს ამ მხრივ შემასწორებლად ვერ გამოადგებოდა მისი რედაქტორობითვე გამოცემული ვახუშტის დასახელებული შრომაც, რადგან ვახუშტიც თამარს გიორგი III-ის მხოლოდშობილად სთვლიდა, მაინცდამაინც იგი გიორგის „შვილებზე" არას ამბობდა. ამრიგად, თამარ მეფე ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე შეიქმა, როგორც მ ხ ო ლ ო დ შ ო ბ ი ლ ი, და, რაც უფრო საგულისხმოა, იგი იქ, ს ა ე რ თ ო დ, მხოლოდშობილადვე დარჩა „მოდღეინდელად დღედმდე".

ს ა ე რ თ ო დ ო—ეს იმიტომ ითქმის, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში აქა-იქ და ყრუდ უკვე კარგა ხნის წინ გაისმა ხმა იმის თაობაზე, რომ თამარი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო გვირგვინოსანი მამის ერთადერთი ქალი; რომ ამ ქალს დ აც უნდა ყოლოდა. ჩვენ აქ ვგულისხმობთ, პირველად, დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ს. ხარჭისგან ნაშობი ვინმე დედაკაცი, რომელიც თამარის კარზე მოსულ „მუტაფრადინს" შერთეს, კარიჭაშვილის სიტყვით, „შეიძლება თვით თამარის უკანონო დაც" ყოფილიყოს („თამარ მეფე", ტფილისი, 1893, გვ. 15). მაგრამ ეს სიტყვა კარიჭაშვილს თითქოს შემთხვევით წამოსცდენოდეს; იგი სხვაგან აღარ ღალატობს ერთხელვე მიჩნეულ აზრს. მისი თხრობით, მაგალითად, გიორგი III-ს თავის დროზე „აზრად დაებადა თავის ერთად-ერთის ასულის თამარის გაძეფება"

(„საქართველო მეთორმეტე საუკუნეში“, ტფილისი, 1902, გვ. 100); გარდა ამისა, კარიჭაშვილი, ჩუბინაშვილის მსგავსად, სათანადო შემთხვევაში ამოწმებდა, რომ ნესტანდარეჯანიც და თამარიც „ერთად-ერთი შვილები“ იყვნენ მამისა („ვეფხის-ტყაოსანი“, ტფილისი, 1903, გვ. XXI).

კარიჭაშვილზე მთელი ათეული წლებით ადრე აკადემიკოსი მარი ბროსე თამარის ისტორიაში უშუალოდ წაწყდა თამარის დის სახსენებელს, სახელდობრ იქ, სადაც აღბეჭდილია, რომ გიორგი ლაშას დაბადების პატივსადებად „თჳთ დედოფალ-მან რუსუდან და გაზრდილ-მან მის-მან მეფემან დავით, და დ ა-მ ა ნ თ ა მ ა რ ი ს ა-მ ა ნ“ და სხვათა, ბიბლიური მოგვების მსგავსად, „იწყეს ძღნობად“ (თამარის ისტორიკოსი—„ქართლის ცხოვრება“, გამოც. ბროსეს მიერ, ნაწ. I, ნაკვ. II, სანკტპეტერბურღს, 1850, 270, გვ. 298). ციტებული ადგილი ბროსემ თავის თარგმანში სქოლიოთი აღნიშნა ამ სიტყვით: „C'est ici le seul lieu où il soit fait mention d'une soeur de Thamar“ («Histoire de la Géorgie», I, p. 431, n. 4). იქნებ სწორედ იმავე ციტებულმა ადგილმა, სადაც მოხსენებულია თ ა მ ა რ ი ს და, მისცა საბაბი სარგის კაკაბაძეს აღენიშნა თავის დროზე ბროსეზე უფრო გაბედულად: „თამარი იყო, როგორც ცნობილია, ასული გიორგი მეფისა, მაგრამ არა ერთად-ერთი, როგორც ერთი ცნობიდან ჩანს, მას ჰყოლია და, რომლის სახელი არაა მოხსენებული“ („თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. ლექცია, წაკითხული ტფილისში... 1912 წ.“, ტფილისი, 1912, გვ. 4).

ასეთია ზოგადად თამარის დის შესახები საკითხის ისტორია. მაგრამ ახლა ეგ ისტორია უკვე მეტად უსისხლხორცოდ მოჩანს. დღეს აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა-ხ ი შ ვ ი ლ ი ს ღვაწლით მოპოებული და შესწავლილი ახალი მშვენიერი ძეგლები ხელთ გვაქვს, და ამ ძეგლებზე დაბრჯენით შეგვიძლია თამარის დის ცხოვრების გათვალისწინება და ამასთან ერთად თვით თამარ მეფის, ამ შესანიშნავი მოღვაწის, ცხოვრების აღწერილობაში ზოგი ცნობის შესწორებაც. სახელდობრ, ამ ძეგლებზე დამყარებული მკვლევარი უკვე დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ა) თამარს უთუოდ ჰყავდა და, ბ) თამარის დის არსებობა არა მარტო „ერთი ცნობიდან“ ჩანს, გ) თამარის დის სახელი რუსუდანი იყო, დ) მცდარია ვახუშტი ბატონიშვილის ჩვენება, ვითომ თამარ მეფეს ორი მამიდა ჰყოლოდეს და ისიც ორივე ერთმანეთის სეხნა, ორივე რუსუდანი, ე) თამარის ისტორიაში ცნობილ ორ რუსუდანთაგან ერთი—კარგად ცნობილი, თამარის მამიდა, პოლიტიკური მოღვაწე დედოფალი რუსუდანი იყო, მეორე-კი თამარ მეფის და რუსუდანი, ამ მოკლე წერილის საბაბი.

კერძოდ, ორი აღნიშნული რუსუდანის ნამდვილი ნათესაური ურთიერთობა თამარ მეფესთან (და და მამიდა) ჩვენს მიერ უკვე განმარტებულ იქნა ამ ცოტა ხნის წინ, მხოლოდ მოკლედ („Памятники эпохи Руставели“, изд. Государственного Эрмитажа, Ленинград, 1938, стр. 332, s. v. Русудана). იმ მოკლე განმარტებისათვის უშუალო საფუძველი მოპოებულ იქნა ბ ა ს ი ლ ი ს მიერ XIII ს. დამდეგს შედგენილს თამარის „ცხორებაში“ („ცხორების“ აღდგენილი დედნის რუსულ ენაზე გადათარგმნა ხელნაწერიდან და ერმიტაჟის დასახელებულს სა-შოთარუსთველო საიუბილეო გამოცემაში გამოქვეყნება მოხერხდა თვით ძეგლის

დედნის აღმდგენელის და გამოსაცემად შემმზადებელის აკად. ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს თავაზიანი ნებართვით).

აღძრული საკითხის უფრო განწყლილვით განსახილველად აქაც პირველად ყოველისა გამოგვადგება იგივე ძეგლი, ბასილის შედგენილი „ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი“, სახელდობრ ხელნაწერის ერთი ადგილი, სადაც იკითხება:

„გარდაიცვალა მეფე გიორგი და იქმნა გლოვა და მწუხარება უზომო უფროსღა დასა თუისსა რუსუდანს. ესე იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამელთა და დედოფალი ყოველისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი სიქურივისათუის თუისადვე მამულად მოყვანებული, დედოფლად დაჯდა ქართველთად უფროსღა დიდებად სახლისა თუისისად და ყოველისა ამის სამეფოსა. ამას წინაშე იყო თამარ მაშინ[1], ვითარცა თუისსა მამიდასა თანა, დ ი თ ურ თ თ უ ი ს ი თ, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად, რომლისათუის აწ დამაკლებს წინამდებარე ესე[2] მითხრობად, თუ რაოდენ შეუნიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა. ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული“ (რვ. 33, ფ. 2 b)[3].

ამრიგად აქ არა მარტო დასახელებულია თამარის და რუსუდანი, ერთ დროს თამართან ერთად მყოფი მამიდა რუსუდანის, თავის სეხნას სასახლეში; აქ თამარის დის შესახებ ორიოდე საგულისხმო ცნობაც შემონახულა. რაკი ავტორს უშუალოდ თამარის ცხოვრება ჰქონდა აღსაწერი, ამიტომ ორსავე რუსუდანს გაკვრით შეეხო, კერძოდ თამარის დის შესახებაც მხოლოდ „იკადრა რამე“, მოკრძალებით და მოკლედ დაახასიათა იგი, ვით სათნო ადამიანი. აქვე ითქვას, რომ ასე იცნობს თამარის დას ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანეც. ამას თამარის და მოხსნებული ჰყავს, ვით თ ა მ ა რ ი ს მ ა მ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა ს უ ლ ი, „ასული მამის მისისა გიორგისი, რუსუდან დედოფალი“ (ი ე. ჯ ა ვ ა-

---

[1] NB «ხოლო დაჲ მეფისა რუსუდან, გამზრდელი თამარისი, იყოფოდა სამშაილდეს» (შეესებული „ქართლის ცხოვრება“, გამოც. ბროსეს მიერ, I, II, გვ. 276).

[2] „წინამდებარე ესე“ გულისხმობს თამარის მეფობის აღწერას.

[3] ეს წერილი უკვე მზად გვქონდა დასაბეჭდად, როდესაც პროფ. ს. ჯანაშიამ თავაზიანად გაგვაცნო ახალს მნიშვნელოვან ლიტერატურას. იგულისხმება კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე „რუსთველოლოგიური შტუდიები“, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, პირველი სერია, სპეც. გვ. 118—120. აღნიშნულ ადგილზე პატივცემულ მკვლევარს, კ. კეკელიძეს, რუსთველოლოგიურ ძიებასთან დაკავშირებით მოყვანილი აქვს სწორედ იგივე ციტატი ბ ა ს ი ლ ი ს დასახელებული შრომიდან, რომელიც ახლა ჩვენ ვისარგებლეთ, და ამ ციტატის მიხედვით გაკეთებული აქვს იგივე დასკვნა, რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს, სახელდობრ დასკვნა, რომ ქალწულობის შემყვარე „მამიდა“ თამარისა ნამდვილად „არის არა მამიდა თამარისა, არამედ დაი მისი“(კ. კეკელიძე, გვ. 118). „და მართლაც,—ნათქვამია იქვე,—რაღაც არაბუნებრივია, რომ ორ დას, ერთი დედ-მამის შვილს, ერთს ოჯახში მყოფს, ერთი და იგივე სახელი რქმეოდა. იხ. აგრეთვე იმავე ავტორის ი ს ტ ო რ ი ი ნ ი და ა ხ ზ მ ა ნ ი შ ა რ ა ვ ა ნ დ ე დ თ ა ნ ი როგორც ლიტერატურული წყარო“, რუსთველის კრებული, ტფილისი, 1938, გვ. 134, შენ. I. აქაც ავტორი იმეორებს ჩვენთვის საინტერესო დებულებას იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თამარის დას რუსუდანს ასახელებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც. თვით ამ მემატიანის შრომის სათანადო ჰოველი აბზაცი, ჩვენს მიერ ციტატად გამოყენებული, იხ. კეკელიძე.

ხიშვილი. „ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე.—ქართული ძეგლები. III—საისტორიო მწერლობა. № 2, გვ. 16). აქ თამარის დას დათმობილი აქვს შემდეგი აბზაცი:

„და ასული მამის მისისა[1] გიორგისი, რუსუდან დედოფალი იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინის-მცემელი და შემხუეწელი დაჭირვებულთა და მზრდელი ჩუილთა და ობოლთა, რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნაშობთა მათთა წინაშე მიუსხმიდიან. ჴელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზავნებოდა".

ვით ამ ამონაწერში, ისე თამარის „ცხორებიდან" მოტანილ ციტატაშიც არა ერთი საგულისხმო დეტალი ჩანს. ჩვენის საკითხისათვის, კერძოდ, მნიშვნელოვანია „ცხორების" ავტორის მოწმობა, რომ თამარის დამ რუსუდანმა „ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული". ეგ მოწმობა, აგრეთვე თვით ფაქტი, რომ „ცხორებაში" ორი რუსუდანი ერთი მეორის გვერდით ჩნდებიან, და კიდევ ზოგი სხვა გარემოებანი, „ცხორებაში" აღნუსხულნი, აკად. ივ. ჯავახიშვილმა სამართლიანად გამოიყენა ვით საბუთი, რომლის ძალითაც პატივცემულმა მეცნიერმა, სხვათა შორის, გადაწყვიტა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი საკითხი, სახელდობრ თუ რა წყაროდან უნდა შეეტანა ბატონიშვილ ვახუშტის თავის საისტორიო შრომაში, კერძოდ, იგივე ცნობების შესახებ ორი რუსუდანისა და ერთი ამ ორთაგანის „ქალწულებისა". ეგ ცნობები (ზოგ სხვა ცნობებთან ერთად), აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ვახუშტის შეეძლო ამოეკითხა თამარის „ცხორებაში" („ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება".—ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფილისი, 1923, გვ. 214—215). ამ-რიგად, აკად. ივ. ჯავახიშვილმა პირველმა გასცა პასუხი ჯერ კიდევ ბროსეს მიერ აღძრულს და შემდეგ ბაქრაძის მიერ განმეორებულ საკითხს, თუ „d'où Wakhoucht a-t-il pris cette seconde Rousoudan, vierge jusqu'à 80 ans...?" (Histoire de la Géorgie, I, S.-Pétersbourg, 1849, p. 421, n. 1).

ბაქრაძით, „მეორე რუსუდან სრულებით არ არის ცნობილი და არა ჩანს, სად ჰპოვა ეს ცნობა ვახუშტიმ" („ვახუშტი. საქართველოს ისტორია", გვ. 202, შ. 1). მაშინ, ოთხმოციან წლებში, როდესაც ბაქრაძე ვახუშტს არედაქტირებდა, მისი დამაინტერესებელი ცნობა „მართლაც,—შენიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი,—გაუგებარი იყო, ეხლა კი ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ იგი თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებითგან აქვს ბატონიშვილს ვახუშტს ამოღებული" („ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება" etc., გვ. 215). თუ, ამრიგად, კითხვაზე პასუხი მიცემულია და ვახუშტის წყარო მოპოებულია, eo ipso გადაწყვეტილია, თუ რა სავალდებულო კორექტივია შესატანი ვახუშტის იმავე ისტორიაში,—მომენტი, რომელიც აღუნიშნელი დარჩა აკად. ივ. ჯავახიშვილის დასახელებულ შრომაში. როგორც დავინახეთ, თამარის „ცხორებაში" ორთაგან ერთი რუსუდანი თამარის და არის. ვახუშტის კი, რაღაც მი-

[1] მისისა, ე. ი. თამარისა.

ზეზით, შეცდომა მოსულია. მას ორივე რუსუდანი ერთი მეორის დებად და ისიც სეხნა დებად უცვნია, თამარის მამიდებად მიუჩნევია, მაშინ როდესაც ვახუშტის ეს თეზისი ვერ ეგუება ვერც ერთს ზემორე მოხსენებულ წყაროს.

სახელოვან მეისტორიეს, ჰგავს, გული ეუბნებოდა, რომ ორი სეხნა დის საკითხი არ იყო მთლად მარტივი ან უმნიშვნელო; კიდეც ამიტომ რიტორიკულის კილოთი მიმართავდა მკითხველებს: „ესე ნუ გიკვირნ, რამეთუ ორნი ესე რუსუდან დანი იყვნენ“ (იქვე, გვ. 202). როგორც ზევით ნაჩვენებია, ასეთი განმარტება სრულიად არ ნიშნავდა საკითხის გაძაწყვეტას, ვთქვათ, არც ბროსესათვის, არც ბაქრაძისათვის.

მაგრამ აქ აღიძვრის საკითხი: ყველა ამით ამოიწყვის თუ არა მთელი ის მასალა, რომელიც, ასე ვთქვათ, რუსუდანის სახელზეა შემონახული? თითქო არა. რადგან თვით ეპოქის ნაშთები ჯერ არა თუ საკმაოდ არ შესწავლილა, არამედ, საერთოდ, გამოელინებულიც არ არის ჯეროვნად, ამიტომ საჭიროა ყურადღება იქნეს გამახვილებული თვითეულს ისეთ ძეგლზეც, რომელიც თავისთავად იქნებ არც თუ ისე მკაფიოდ ჟღერდეს, ჩვენს შემთხვევაში, თამარ მეფის დის შესახებ. მაგალითად, ჩვენ მოგვეპოება ერთი საგულისხმო ეპიგრაფიული ძეგლი, სადაც თითქო არა თუ რუსუდანის შ ე ს ა ხ ებ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ თვით რუსუდანიე უნდა ლაპარაკობდეს პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ი თ. აქ ჩვენ ვგულისხმობთ ფხოტერერის (სვანეთი) მაცხოვრის ხატის ჩარჩოზე გაკეთებულ წარწერას, რომელშიც ერთად გვხვდება თამარ მეფის ვით მამიდის, ისე დ ი ს, წარწერის „ავტორის“, სახელი რუსუდანი. რადგან თვით წარწერის წამკითხველს წინ ხვდება ზოგი რამე ტექსტუალური ხასიათის სიძნელე და კიდევაც ამიტომ დებულება მისი „ავტორის“ ვინაობის შესახებ მაინცდამაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სრულიად უდავოდ, ამიტომ, რაც შეიძლება მოკლედ, აქვე უნდა განვიხილოთ მთელი ეს წარწერაც.

წარწერა დღესდღეობით წაკითხული აქვთ ნიკოლოზ ქუთათელაძეს (წარსული საუკუნის შუა წლებში), აკადემიკოსი ბროსესთვის ზოგი ეპიგრაფიკული მასალების მიმწოდებელს (ტექსტი იხ. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. St.-P., 1851, Rap. X-e, p. 61; აგრეთვე თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 254) და ახლა—პროფ. შ. ამირანაშვილს (ბექა ოპიზარი, ტფილისი, 1937, გვ. 32, შენ. 2)[1]. ადვილად გასაგები მიზეზით, ჩვენთვის უპირატესია პროფ. შ. ამირანაშვილის წანაკითხი. ამ წანაკითხით, ფხოტერერის წარწერა ღაღადებს შემდეგს:

„არსო თჳთებით მყოფობისთჳს[2] ღო[3] სჯულთა შენთა მტკიცედ მპყრობელისა[4] მეფეთ მეფისა დიმიტრის ასულისა[5] მფისა და მეფეთა მჴისა გის დისა სულტნთა სძლისა[6] რსდნ დედოფლისა სამსახურებლად შენდა შემზადებჯლნი

[1] სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვქონდა წარწერას გავცნობოდით თუნდაც ხეირიანი ფოტოგრაფიის საშუალებით.

[2] ქ. (= ქუთათელაძე). მყოფობისათა.

[3] ქ. ქრისტე ღმერთო.

[4] ა. (=ამირანაშვილი). სჯულთა შენთა მპყრობელისა,

[5] ა. დიმიტრისა სჯლისა.

[6] ქ. ასულისა.

ნივთნი ვინათგან ჟმნრ სცნა[1] სრულებად ჩემ გაზრდილის[2] მათის და ლმბთ[3] მგნებლისა[4] გის ასულის დედოფლისა რუსდანისგან სრულ ქმნილნი[5] მითჯალენ მეოხმნ მათმნ ყუფად[6] სუფევისა".

ამ წარწერის ძირითადი შინაარსი, ჩვენი გაგებით, ასეთია: გიორგი III-ის ასული დედოფალი რუსუდანი ეუედრება „ერთარსს" მიიღოთვალოს (შეიწიროს) მისგან ამ „ერთარსისათვის" „შემზადებულნი ნივთნი", ეგ „ნივთნი" ყოფილა უფლისდა „სამსახურებელად" „შემზადებული" გიორგი III-ის დის, ჩვენი რუსუდანის მამიდის და გამზრდელის, მიერ; მაგრამ „შემმზადებელს" ამ „ნივთთა" შეწირვა ანუ, ალბათ, ბოლომდე „შემზადება" არ დასცლია, წარწერით, „ჟმნრ სცნა სრულებად" (?); ის, რაც ბოლომდე ვერ მიუყვანია გიორგის დას, შეუსრულებია („სრულ ქმნილნი") გიორგის ასულს, თამარის დას, გიორგის დის „გაზრდილს" და აი, „შემზადებულნი ნივთნი" (იგულისხმება თვით ხატი, ამ წარწერით შემკული, და იქნებ კიდევ სხვა საეკლესიო სამსახურებელნიც) შეუწირავს კიდეც „ერთარსისათვის". აქ, სასხვათაშორისოდ, შეიძლება მკითხველმა მოიგონოს ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის შემდეგი ცნობა გიორგის ამ ასულის შესახებ: „ჴელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზაენებოდა" (იხ. ზევით).

წარწერის სიტყვები—„ლმობთ მგნებლისა გიორგის („გის") ასულის დედოფლისა რუსდანისგან" ქუთათელაძეს წაუკითხავს ასე: „ლმობით განმანათლებელი გიორგის ასულის დედოფლის რუსუდანის-გან". ქუთათელაძის წანაკითხის გამომცემელს, ბროსეს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით, თამარის ძის გიორგის სახელსართაული ლაშა „განმანათლებელად სოფლისა ითარგმანების აფსართა ენითა"[7] და რომ, ამრიგად, „განმანათლებელი" საისტორიო მწერლობაში გამოყენებულია, ვით გიორგი თამარის ძის ეპითეტი; ვახუშტის განმარტებითაც ლაშა „არს განმანათლებელი" (ბაქრაძის გამოც., გვ. 204).

ბუნებრივია, რომ ქუთათელაძის წანაკითხ სიტყვებში—„ლმობით განმანათლებელი გიორგის"—ბროსემ, თავის მხრივ, შეიცნაურა სწორედ ლაშა-გიორგის ეპითეტი „განმანათლებელი" და გადაწყვიტა კიდეც, რომ „განმანათლებელი" სიტყვის წინ მჯდომი „ლმობით" სიტყვიდან აღედგინა „ლაშობით" სიტყვა. ამრიგად ბროსემ წარწერას გარკვეული ინტერპრეტაცია მისცა: ის გიორგი, რომელიც, როგორც ნაჩვენებია, ჩვენ მიგვაჩნია გიორგი III-დ, თამარის მამად, ბროსემ მიიჩნია ლაშა-გიორგიდ, და, მაშასადამე, ის რუსუდანიც, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია გიორგი III-ის ასულად და თამარ მეფის დად, ბროსემ მიიჩნია ლაშა-გიორგის ასულად. ბროსემ ამის შესაფერისად გადათარგმნა კიდეც ქუთათელაძის წანაკითხი წარწერა (იხ. Rap. X-e, p. 61) და იქვე სქოლიოშიც აღ-

[1] ჭ. ჟამ-მან დასცა.
[2] ა. გაზრდილსა.
[3] ჭ. ლმობით.
[4] ჭ. განმანათლებელი.
[5] ჭ. მსმენელმან.
[6] ჭ. მკჳდრ ყოფად.
[7] ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, გამოც. ბროსეს მიერ, სანკტპეტერბურღს, 1849, გვ. 298.

ნიშნა თავისი შესწორება. ჩვენი საკითხისათვის საგულისხმოა, რომ სამართლიანი სიფრთხილის ძალით ამ სქოლიოს შესახებ ბროსემ თვითონვე დასძინა, რომ „les deux mots soulignes sont des corrections que je propose afin de trouver un sens raisonnable“ (იქვე). ისიც საგულისხმოა, რომ თ. ჟორდანიამ, მთელი წარწერის მსესხებელმა ბროსეს ნაჩვენები შრომიდან, სათანადო ადგილი კითხვის ნიშნით აღნიშნა ამ სახით: „ლმობით განმანათლებელი გიორგის ასულის (?) დედოფლის რუსუდანისაგან“ (ქრონიკები, I, გვ. 254). შეიძლება, თ. ჟორდანიამაც ბროსეს თარგმანის მიხედვით მაინც, ეგ გიორგი ლაშა გიორგიდ ჩასთვალა; თუ ეს ასეა, მაშინ მისი კითხვის ნიშანიც კანონიერია, რაკი არსად ჩანს, რომ ლაშა გიორგის ასული ჰყოლოდეს. მეორე მხრივ, თ. ჟორდანიასათვის მაშინაც ბუნებრივი იქნებოდა ამ ნიშნის ხმარება, თუ იგი ჩვენსავით, ხსენებულ გიორგის გიორგი III-დ შეიცნობდა, რაკი საერთოდ სამეცნიერო ძიებებში გიორგი III-ის ასული რუსუდანიც აკი შეუმჩნეველი რჩებოდა.

მაინცადამაინც, ჩვენთვის აქ ბროსეს მიერ ნაკეთები თარგმანია ასახსნელი. როგორც პროფ. შ. ამირანაშვილის წანაკითხი წარწერა ამქღავნებს, „ლმობით განმანათლებელი გიორგის“ სიტყვებიდან „განმანათლებელი“ სიტყვა მახინჯად ჩანს წაკითხული და, მაშასადამე, მთელი ლაშა-გიორგის—შესახები კონცეფციაც უადგილოდ რჩება, მით უფრო, რომ ლაშას, როგორც ვიცით, არც ერთი წყარო ასულის მშობელ მამად არ იცნობს. ნამდვილად, შ. ამირანაშვილის მიხედვით, სათანადო ადგილზე ჩვენ გვრჩება გამოთქმა: „ჩემ გაზრდილ[ი]სა მათის და ლმობ[ი]თ მ გ ნ ე ბ ლ ი ს ა გ[იორგ]ის ასჯლის დედოფლისა რჳს[უ]დანისაგან“. „მგნებლისა“ სიტყვა წაკითხულ უნდა იქნეს ვით მ გ ო ნ ე ბ ე ლ ი ს ა ანუ მ ო ს ა გ ო ნ ე ბ ე ლ ი ს ა. გამოდის, დედოფალი რუსუდანი (თამარის და) წარწერაში თავს აცხადებს, ვით გამზრდელის, მამიდა-რუსუდანის „ლმობით მგონებელად“, ე. ი. გულისტკივილით მომგონებელად, რაკი იგულისხმება, ხსოვნის საგანი უკვე გარდაცვალებული პირი იყო; ანუ, უკეთ, რუსუდანი მამა-მისს გიორგი III-ს (გარდაიცვალა 1184) იხსენიებს, ვით „ლმობით მოსაგონებელს“.

შემდეგმა ძიებებმა მომავალში უნდა გამოარკვიოს რამდენად სწორია აქ მოყვანილი ჩვენი მოსაზრება ფხოტერის წარწერისა და შიგ მოხსენებულის გიორგის ასულის შესახებ.

საერთოდ, სათანადო ძეგლების ზედმიწევნით შესწავლამ უნდა გამოარკვიოს საკითხების მთელი რიგი, რომელნიც რუსუდანის ეინაობას ეხებიან და რომელთა გათვალისწინებაც ამ მოკლე წერილის ჩარჩოებში არ გვეხერხება. მაგალითად, აღიძვრის საკითხი, თუ რა ტრადიციას ემყარებოდა აკადემიკოსი პ. ბუტკოვი, რომელიც ჩანს, სადაოდ არ თვლიდა, რომ თამარ მეფეს და ჰყავდა. როგორც ვიცით, მისი მტკიცებით, „Обезский царь, тесть... Изяслава, был не кто другой, как Георгий III, царь грузино-апхазийский»; «Тесть Изяслава был подлинно царь Георгий III... Провидение послало в супруги, и другой дочери георгиевой [თამარ მეფეს] русского же князя [გიორგი ანდრია ბოგოლუბსკის ძე], внутчатного племянника Изяслава“ (იხ. О браках князей русских с грузинками и ясыпями, в XII в. Северпый архив, 1825,

ნაწ. XIII, № IV, ს.-პეტერბურგი, 1825, გვ. 320—321 და 323; იხ. აგრეთვე Brosset, Additions, St.-P., 1851, p. 295, n. 1).

თავის განმარტებას მოითხოვს აგრეთვე ცნობაც, რომ რუსუდანმა „ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული“ [1]. ნიშნავს თუ არა ეს ცნობა ქალწულების შესახებ, რომ რუსუდანი შემონაზვნებულა? აღიძვრის საკითხი, საერთოდ, იმის შესახებ, თუ რა ნამდვილი ადგილი ეჭირა ამ ქალს თამარ მეფის მამისა და მერმე თვით თამარის კარზე ან სხვა დინასტთა კარზე. ეს და მსგავსი საკითხები რუსუდანის შესახებ მათი ძიების დროს, იქნება, ჩვენის ისტორიის და ლიტერატურის სხვა, ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელ, პრობლემებსაც გადაესკვნას.

24.I.39. ლენინგრადს

[1] პროფ. კ. კეკელიძის დასკვნით, რუსუდანი „საფიქრებელია მოლოზნად ყოფილა შემდგარი“ (რესთველოლოგიური შტუდიები, გვ. 118); მეორე შემთხვევაშიც ავტორი იმეორებს: „თამარს უნდა ჰყოლოდა დაი, შემდეგში შემონოზნებული“ (ისტორიანი და აზმანი..., გვ. 134, შენ. 1).

ქ. დოლიძე

მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში [1]

ენათმეცნიერებაში დღეს უკვე გაბატონებულია დებულება, რომლის მიხედვითაც პარატაქსი, ე. ი. რთული „შეთხზული“ ან რთული შეკავშირებული წინადადება ისტორიულად წინ უსწრებს ჰიპოტაქსს, ე. ი. რთულ დამოკიდებულ წინადადებას [2].

წინადადების ამ ორი ფორმის ისტორიული ურთიერთობის გათვალისწინებისას სპეციალისტები ეყრდნობიან უმთავრესად იმ უცილობელ ფაქტს, რომ რთული დამოკიდებული წინადადება პირველად ყოველისა დამახასიათებელი და ტიპურია წერილობითი მეტყველებისათვის ზოგადად, კერძოდ კი სამეცნიერო და საქმიანი მეტყველებისათვის, ხოლო რთული „შეთხზული“ წინადადება დამახასიათებელი და ტიპურია პირველად ყოველისა სასაუბრო მეტყველებისათვის ზოგადად, კერძოდ ფოლკლორული მეტყველებისათვისაც.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს მეორე დებულება: რთული დამოკიდებული წინადადება ყალიბდება და ერთგვარ სინტაქსურ ნორმად იქცევა ენის განვითარების უმაღლეს საფეხურზე. სინტაქსური ნორმა აქ იმიტომაა გასაგულვებელი, რომ, ემბრიონის სახით, რთული დამოკიდებული წინადადება ე. წ. «პრიმიტიულ» ენებისთვისაც არ წარმოადგენს იშვიათობას. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით იმ საგულისხმო მოვლენაზე, რომ უძველეს მწერლობიან ენებშიც დამოკიდებული წინადადების როლს ხშირად სხვადასხვა სახის ნომინალური ფორმები ასრულებენ [3], და, მაშასადამე, შინაარსით ჰიპოტაქსური წინადადება ფორმით მარტივი წინადადებისაგან სრულიად არ განირჩევა.

---

[1] ტერმინი „მიმართებითი ნაცვალსახელი“ გულისხმობს რუსულ относительное местоимение-ს, გერმანულ Relativpronomen-ს; „მისამართი სიტყვა“ აღნიშნავს მთავარი წინადადების ქვემდებარეს ან, საერთოდ, იმ სასაზღვრო სიტყვას, რომლის მსაზღვრელიც მიმართებითი ნაცვალსახელითაა გამოხატული; გერმანულად ამ სახელწოდებას ტერმინი Bezugswort-ი შეესატყვისება.

[2] K. Brugmann. Griechische Grammatik (Handbuch der klass. Altertumswissenschaft. II. 2. Aufl., erste Hälfte. Nördlingen. 1889), S. 226—227 და, განსაკუთრებით, მისივე: Kurze vergleichende Grammatik der indogermanischen Sprachen. Strassburg. 1904, S. 650.

[3] შესატყვისი მაგალითები ბერძნულიდან იხ. A. Meillet. Introduction à l'étude comparative des langues indo-européennes[7], p. 373 (=Введение в сравн. грамм. индо-европейских языков. Ред. Р. Шор. Москва-Ленинград 1938, стр. 376).

საკითხი, არსებითად, დამოკიდებული ან დაქვემდებარებული წინადადების გრამატიკულ გამოსახვას ეხება. პარატაქსისა და ჰიპოტაქსის გრამატიკული დაპირისპირება საშუალებას გვაძლევს ზოგადად დავათარიღოთ წინადადების ეს ორივე ფორმა: პარატაქსი, როგორც ვთქვით, შედარებით უფრო ადრინდელი მოვლენაა, ჰიპოტაქსი—შედარებით უფრო მერმინდელი. ასეთი ზოგადი დათარიღებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ გარკვეულ ენებში (მათ რიცხვში ინდოევროპულ ენებშიც)[1] მიმართებითობის (რელატიურობის) გამოხატვა გარკვეული სიტყვისათვის მეორადსა და, მაშასადამე, მერმინდელი დროის ფუნქციას წარმოადგენს.

ჰიპოტაქსის სინტაქსურ ნორმად ჩამოყალიბება ენის განვითარების უმაღლეს საფეხურზე თავისთავად გულისხმობს, რომ წინადადების ეგ ფორმა განვითარებული აზროვნების კუთვნილებაა, განსაკუთრებით მტკიცე და მიუცილებელი სამეცნიერო და, ზოგადად, საქმიანი, თუ შეიძლება ითქვას, „მსჯელობითი“ ლიტერატურისათვის. მართლაც, რთული წინადადების ჰიპოტაქსური ფორმა სრულყოფილად წარმოგვიდგენს სინთეზურ მსჯელობას, ჰიპოტაქსში აღბეჭდილია რთული სინთეზი, პარატაქსული ფორმა კი უფრო მეტად და უფრო შესატყვისად ანალიზურ მსჯელობას გადმოგვცემს; პირველი უფრო წინადადებათა აბსტრაქტული ურთიერთობის გამომხატველია, მეორე — უფრო წინადადებათა კონკრეტული ურთიერთობისა.

ჩვენ არავითარი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჰიპოტაქსური წინადადების სათავე მწერლობა იყოს; სამაგიეროდ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ჰიპოტაქსის სამუდამოდ განმტკიცებასა და მის რთული „შეთხზული“ ან რთული შეკავშირებული წინადადებისაგან მკვეთრად გამოყოფას სწორედ მწერლობამ შეუწყო ხელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰიპოტაქსს თავისი ისტორია აქვს, მდიდარი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი. ვგულისხმობთ განვითარებისა და ჩამოყალიბების ისტორიას.

ჩვენთვის აქ პირველად ყოვლისა საყურადღებოა რთული დამოკიდებული წინადადების ერთი სახე, სახელდობრ კონსტრუქცია, რომელსაც ჩვეულებრივად «ასიმილაცია» ან «ატრაქცია» ეწოდება (რამდენად მართებულია ასეთი სახელწოდება, ამის შესახებ ქვემოთ). ჰიპოტაქსის ეს ფორმა ცნობილია სხვადასხვა ენებში; განსაკუთრებით ნათლადაა იგი წარმოდგენილი ბერძნულსა და ლათინურში. მშვენიერ მაგალითებს გვაძლევს ამ მხრივ ძველი ქართულიც.

საკითხი ეხება მიმართებითი ნაცვალსახელისა (Relativpronomen) და მისამართი სიტყვის (Bezugswort) ვითომდა—ასიმილაციას, მათს ვითომდა—დამსგავსებას ბრუნვაში. კლასიკური ენებისათვის უფრო ხშირი ე. წ. „პროგრესული ასიმილაციის“ შემთხვევებია: მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია არა იმ ბრუნვით, რომელსაც დამოკიდებული წინადადების ზმნა მოითხოვს, არამედ მთავარი წინადადების იმ სიტყვის ბრუნვით, რომელსაც მიმართებითი ნაცვალ-

[1] A. Meillet, o. c., p. 376 (=რუსული თარგმანი, გვ. 379).

სახელი განეკუთვნება: მთლიანი შთაბეჭდილებისათვის გავიხსენოთ რამდენიმე შემთხვევა [1].

1. "Εσεσθε ἄνδρες ἄξιοι τῆς ἐλευθερίας, ἧς (ἣν-ის მაგიერ!) κεκτησθε... ღირს იყვენით თავისუფლებისა, რომლისა (უნდა იყოს «რომელი») შეიძინეთ;

2. Φοβοίμην δ' ἂν τῷ ἡγεμόνι ᾧ (ὅν-ის მაგიერ!) δοίη ἕπεσθαι ვერ გავყვები იმ წინამძღოლს (სიტყვა-სიტყვით: «შემეშინდებოდა გაყოლა იმ წინამძღოლის»), რომელსაც (აქ ბერძნულში უნდა იყოს აკუზატივი, არის კი მიცემითი) იგი მოგვცემდა ჩვენ;

3. Nos tamen hoc confirmamus illo augurio, quo (quod-ის მაგიერ!) diximus.

ასიმილაციის მეორე ტიპს «რეგრესული ასიმილაცია» ეწოდება. ამ კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ აქ მთავარი წინადადების არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი მის უშუალოდ მომდევნო მიმართებითს ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში. აქაც გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი:

1. Νῆες (νῆας-ის მაგიერ!), ὅσαι πρῶται εἰρύαται ἀγχι θαλάσσης, ἕλκωμεν ნავნი (აქ ბერძნულში უნდა იყოს აკუზატივი, არის კი სახელობითი), რაოდენნი...;

2. Ἀλλὰ τὴν οὐσίαν (ἡ οὐσία-ს მაგიერ!), ἣν κατέλιπε τῷ υἱεῖ, οὐ πλείονος ἀξία ἐστὶν ἢ... ხოლო მონაგები (აქ ბერძნულში უნდა იყოს სახელობითი, არის კი აკუზატივი), რომელი დაუტევა ძესა და სხვ.;

3. Ἀνεῖλεν αὐτῷ ὁ Ἀπόλλων θεοὺς (θεούς-ის მაგიერ!), οἷς ἔδει θύειν აპოლონმა უჩვენა მას ღმერთებსა (უნდა იყოს «ღმერთები»), რომლებსაც მან უნდა შეწიროს მსხვერპლი [ძველი ქართულით: «აპოლონ უჩუენნა მას ღმერთთა» (უნდა იყოს «ღმერთნი»), რომელთა-მცა შეწირნა მან მსხუერპლნი];

4. Naucratem (naucrates-ის მაგიერ!), quem convenire volui, in navem non erat;

5. Istum (istes-ის მაგიერ!), quem quaeris, ego sum;

6. Urbem (urbs-ის მაგიერ!), quam statuo, vestra est,—და სხვ.

სათანადო მასალები ჯერ კიდევ ისე კარგად არაა გათვალისწინებული, რომ გადაჭრილი სიტყვა ითქვას «პროგრესული ასიმილაციის» ხმარების შესახებ ძველ ქართულში. აღვნიშნოთ ერთი დამაფიქრებელი შემთხვევა, სახელდობრ შემდეგი: ხანმეტურ მწერლობაში მათეს სახარების მეშვიდე თავის მე-9-ე მუხლი ასე იკითხვის:

[1] ბერძნული მაგალითები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, მოგვყავს Brugmann-ის Kurze vergleichende Grammatik'ის მიხედვით (გვ. 698).

«ხიყოს მე ვინ თქუენგანი კაცი, რომელი ხთხოვდეს ძℳ მისი პურსა» და სხვ.[1].

პროფ. ა. შანიძე სიტყვა «რომელის» (ხელთნაწერში «რ˘ლი») კითხვითი ნიშნით აღნიშნავს[2], რადგანაც სხვა დანარჩენ რედაქციებში ეს ადგილი ჩვეულებრივი კონსტრუქციითაა გადმოცემული. მაგალითად, ადიშის ოთხთავში (=ად.):

«ხოლო იყოს[3] მე ვინ თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძℳ თოჯსი (ასეა!) პურსა...»

ჩვენ დარწმუნებით არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიცემითი ბრუნვის მაგიერ სახელობითი ბრუნვით გამოხატვა მიმართებითი ნაცვალსახელისა ხანმეტ ტექსტში მაინცადამაინც ჩვეულებრივი lapsus-ი იყოს. წინააღმდეგ, „სინტაქსური ასიმილაციის“ სხვა შემთხვევები ხანმეტ ტექსტებში (იხ. ქვემოთ) საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული „ანომალიაც“ იმავე „სინტაქსური ასიმილაციის“ გამომხატველია, ოღონდ «პროგრესული» და არა «რეგრესული ასიმილაციისა».

ძველ ტექსტებში სწორედ ეს უკანასკნელი ფორმაა გავრცელებული. „რეგრესული ასიმილაციის“ ნიმუშები ბლომად მოგვეპოვება როგორც თარგმნილ. ისე ორიგინალურ ძეგლებშიც. საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ მსგავსი სინტაქსური მოვლენა განსაკუთრებით ძველი ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი: «რეგრესული ასიმილაციის» შემთხვევები ჰაემეტსა და ხანმეტ ტექსტებშიცაა დადასტურებული. მკითხველს მოვაგონებ რამდენიმე მაგალითს:

1. სიტყუათა, რომელთა გეტყოდე თქუენ, სულ არიან და ცხორება (იოანე, VI, 63)[4]=ად.: სიტყუასა, რომელსა გეტყოჯდე (ასეა!) მე თქუენ, სული არს და ცხორება არს (შდრ.: τὰ ῥήματα, ἃ ἐγὼ λελάληκα ὑμῖν, πνεῦμα ἐστιν καὶ ζωή ἐστιν);

2. ყოველი, რომელი ხითხოვს, მიიღის (მათე, VII, 8)[5]; შდრ.: ყოველი, რომელი ხითხოვნ, მოიღინ[6] =ად.: ყოველი, რომელი ითხოვნ, მოიღოს („უატრაქციოდ“ გვექნებოდა: «ყოველმან, რომელი ითხოვნ, მოიღოს»);

3. ყოველივე, რაჲცა გნებავს რაჲცა გიყონ თქუენ კაცთა, ეგრეცა თქუენ ხყოფდით მათა მიმართ (მათე, VII, 12)[7] =ად.: ყოველივე ( ), რაჲცა გნებავს რაჲმცა გიყუეს თქუენ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყოფდით მათდა მიმართ;

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და სხვ. ტფილ. უნივ. მოამბე II, გვ. 379.—აქაც და ქვევითაც პატივი ყველგან გახსნილი გვაქვს; ოჯ-ს მაგიერ ვხმარობთ უ-ს (თუ რაიმე იშვიათი შემთხვევა არაა).

[2] ა. შანიძე. უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. ტფ. უნივ. მოამბე II, გვ. 413.

[3] ხელთნაწერში: «ხ˘ იყოს»; აქ «ხ» კავშირია («ხოლო») და არა ხანმეტური პრეფიქსი; შდრ. ἢ τίς ἐστιν=ანუ ვინ არს.

[4] ა. შანიძე. ჰაემეტი ტექსტები და სხვ., ტფ. უნივ. მოამბე III, გვ. 387.

[5] ივ. ჯავახიშვილი, იქვე გვ. 379.

[6] იქვე, გვ. 377.

[7] იქვე, გვ. 380.

4. ყოველმან წულმან, რომელმან (ხელნაწ.: «რ» [ ]) განხაღოს საშოჲ, წ[მი]და უფლისა ხეწოდოს (ლუკა, II, 23)[1] =ად.: ყოველმან წულმან, რომელმან განაღოს საშოჲ, წმიდა უფლისა ეწოდოს.

საკითხის მთლიანი გაშუქება მოითხოვს შემდეგი მაგალითების გათვალისწინებასაც. მაგალითები მომყავს სხვადასხვა დროისა და შინაარსის ძეგლებიდან:

1. ნათესავსა მას, რომელსა ჰმონებდენ, ვსაჯო მე (შექმნათაჲ[2] XV, 14)=მოსკ.[3]: ნათესავი, რომელსაცა მონონ, ვსაჯო მე;

2. იყოს ქალწულსა, რომელსა ვჰრქუა... (შექმნათაჲ, XXIV, 14) =მოსკ.; იყავნ ქალწულსა, რომელსაცა ვრქვა (ასეა!);

3. გარნა ღმერთსა, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრებაჲ..., მიანიჭა მას შვილი (სიბრძნე ბალაჰვარისი, ტფ. 1937, გვ. 3_{20-22});

4. დიდებასა, რომელსა მიიწევის ყრმაჲ ესე, არა არს ამის სოფლისაჲ (იქვე გვ: 4_{11-13} საქ. მუზ. ხელნაწ. № 300-ის მიხედვით; იხ. გვ. 87: «ვარიანტები»; სხვა ხელნაწერებში: «დიდებაჲ, რომელსა მიიწევის ყრმაჲ ესე» და სხვ.);

5. ეშმაკი, რომელი მარადის ჰბრძავს სიკუდილად კაცთა ნათესავსა, აღძრა ნათესავი... (არსენ კათალიკოზის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, თ. ჟორდანიას «ქრონიკები» I, გვ. 315) და მრ. სხვ.

მოყვანილ მაგალითებში ყველგან უკლებლივ მთავარი წინადადების ქვემდებარე ეთანხმება არა თავის შემასმენელს, არამედ უშუალოდ მომდევნო დამოკიდებული წინადადების მიმართებითს ნაცვალსახელს. ამიტომ გვაქვს: „ყოველი... მიიღის“ და არა «ყოველმან... მიიღის», «ყოველმან წულმან... ხეწოდოს» და არა «ყოველსა წულსა... ხეწოდოს», «სიტყუათა... სულ არიან» და არა «სიტყუანი... სულ არიან» და ა. შ.

მაგრამ ტექსტებში ვნახულობთ აგრეთვე კომპრომისულ ფორმებსაც,—და ეს ფაქტი უთუოდ მნიშვნელოვანია «სინტაქსური ასიმილაციის» ისტორიისათვის ძველ ქართულში. აი კომპრომისული ფორმების რამდენიმე ნიმუში:

1. ყოველსა ქუეყანასა, რომელსა შენ ჰხედავ, შენ მიგცე იგი (შექმნათაჲ, XIII, 15); აქ «უატრაქციოდ» უნდა გვქონოდა: «ყოველი ქუეყანაჲ, რომელსა შენ ჰხედავ, შენ მიგცე»; მოყვანილი მაგალითი «ატრაქციით» იწყება („ქუეყანასა, რომელსა...“), მაგრამ თავდება მარტივი წინადადების ნორმის მიხედვით («შენ მიგცე იგი», ე. ი. «ყოველი ქუეყანაჲ»);

2. სული, რომელი აქა განისწაელოს, მან პოოს წყალობაჲ საუკუნესა (წარტყუენეაჲ იერუსალჵმისაჲ, ნ. მარის მიერ გამოცემული. Тексты и разыскания по арм.-груз. филологии, кн. IX, СПб. 1909 г., გვ. კგ, 6—7); აქ „უატრაქციოდ“ უნდა გვქონოდა: «სულმან, რომელი აქა განისწაელოს, პოოს

[1] იქვე, გვ. 382.

[2] ათონის მეათე საუკუნის ხელნაწერის მიხედვით. ვსარგებლობ მისი ფოტოგრაფიით, რომელიც ეკუთვნის სსრკ-ის აღმოსავლეთისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწ. განყოფილებას.

[3] მოსკ.=ბაქარისეული ბიბლია, მოსკოვში დაბეჭდილი 1743 წ.

წყალობაჲ საუკუნესა». ამ შემთხვევაშიც წინადადება «ატრაქციით» იწყება (სული, რომელი...), მაგრამ თავდება ჩვეულებრივი ნორმის მიხედვით («მან ჰოოს წყალობაჲ»), ასეთივე შემთხვევა გვაქვს ადიშის ოთხთავში;

3. მამაჲ იგი შენი, რომელი ხედავს დაფარულსა, მოგაგოს მან შენ ცხადად (ად. მათე, VI, 7); შდრ. ციტატად გამოყენებული: «მამაჲ იგი შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მან მოგაგოს შენ ცხადად» (იოანე ბოლნელ ეპისკოპოზის ქადაგებანი. ტფ. 1911, გვ. 18). უკომპრომისოდ: «მამაჲ შენი, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად» (სახარებაჲ ოთხთავი ორთა ჴელთნაწერთაგან და სხვ. ს.-პეტერბ. 1909), თუმცა იქვე: «მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად»; შდრ. ციტატი ბოლნელის «ქადაგებანში»: «მამაჲ იგი შენი, რომელი ჰხედავს (მეორეჯერ: «ხედავს») დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად (იოანე ბოლნელ ეპისკოპოზის «ქადაგებანი», იქვე). საგულისხმოა, რომ ადიშის ოთხთავში სხვა ადგილს ეს წინადადება აგრეთვე უკომპრომისოდაა გადმოცემული, სახელდობრ ასე: «მამაჲ შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად» (მათე, VI, 4).

როგორ უნდა გავიგოთ მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ასეთი ურთიერთობა? ჩვენ ტრადიციულად ამ ურთიერთობას „ასიმილაცია“ ანუ „ატრაქცია“ ვუწოდეთ. ასეთი სახელწოდება გაბატონებულია ლიტერატურაში. Brugmann-ი ამბობს: «ისე, როგორც ბგერათმწკრივების [Lautreihe] (სიტყვების, წინადადებების) წარმოთქმისას ხშირად ერთი ბგერითი წარმოდგენა (lautliche Vorstellung) ერთსა და იმავე ცნობიერებამდე მიმწვდომ ბგერათმასაში (Lautmasse) მეორე, მისგან განსხვავებულს, ბგერითს წარმოდგენას აღემატება, და ამიტომ მისი შესატყვისი არტიკულაციური მოძრაობა ამ მეორე ბგერითი წარმოდგენისაკენ გადაიწევა (ეგ ის მოვლენაა, რომელსაც ფონეტიკაში ასიმილაციად მიეიჩნევთ)...,—სწორედ ასევე შეიძლება წინადადების ერთი რომელიმე ნაწილი გარკვეულ კონსტრუქციაში წინადადების მეორე, გრამატიკულად განსხვავებულს, ნაწილს დაემსგავსოს» [1].

Brugmann-ის აზრით, მაშასადამე, ფონეტიკური ასიმილაციის ანალოგიურად არსებობს აგრეთვე სინტაქსური ასიმილაციაც. ამით აიხსნება, რომ თავისი შრომის შესაფერ ნაწილს ავტორი ასე ასათაურებს: „Assimilation von Satzteilen im einfachen und im Zusammengesetzten Satze“ [2]. წინადადების ნაწილთა ცვლილების შესახებ ავტორი სწერს: «Wie bei der Lautassimilation, ist die Änderung teils regressiv, teils progressiv» [3].

რამდენად მართალია ეგ ლიტერატურაში (პოპულარულ ლიტერატურაშიც, მაგალითად—სახელმძღვანელოებში) განმტკიცებული შეხედულება?

Brugmann-ის შრომიდან ამონაწერი სიტყვები ნათლად მოწმობენ, რომ მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობა ავტორს

[1] K. Brugmann, Vergleichende Gramm., S. 697.
[2] Ib., S. 697.
[3] Ib., S. 697.

ფსიქოლოგიურად ესმის. მართლაც, თუ ანალოგიას ფონეტიკურ ცვალებადობასა და სინტაქსურ ცვალებადობას შორის ჩვენც ისე წარმოვიდგენთ, როგორც ფსიქოლოგისტებს წარმოუდგენიათ, მაშინ სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი დასკვნებიც: 1. მისამართი სიტყვის წარმოთქმას წინ უსწრებს მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოდგენა,—და აქიდან გამომდინარეობს რეგრესული ასიმილაცია, ან პირუკუ: 2. მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოთქმას წინ უსწრებს მისამართი სიტყვის წარმოდგენა,—და აქიდან გამომდინარეობს პროგრესული ასიმილაცია.

მართალია კი ასეთი დასკვნები? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. დასკვნები მართალი არაა იმიტომ, რომ თვითონ მთავარი დებულება აღნიშნულ ფონეტიკურ და სინტაქსურ მოვლენათა ანალოგიურობის შესახებ, ჩვენის აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება.

თავი დავანებოთ იმას, რომ ასეთი დებულება სრულიად უგულებელყოფს ფონეტიკური ასიმილაციის ერთი მხრივ სოციალურსა და მეორე მხრივ წმინდა ფიზიოლოგიურ მომენტებს,—აღნიშნული დებულება ვერ ხსნის თვით ჩვენ მიერ განხილული ორი ტიპის კონსტრუქციის სიმყარეს, მათ სრულუფლებიანობას მწერლობიან ენაში და, რაც უმთავრესია, მათ ისტორიულობას: ჩვენ ვიცით, რომ „პროგრესული“ და „რეგრესული ასიმილაცია“ წინადადებაში—ისტორიული მოვლენაა; იგი დამახასიათებელია, როგორც თავისებური სინტაქსური ნორმა, მხოლოდ გარკვეული ისტორიული პერიოდისათვის.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ვითომდა—„რეგრესული ასიმილაციის“ მაჩვენებელი კონსტრუქცია. ეს კონსტრუქცია წარმოადგენს ისეთ რთულ დამოკიდებულ წინადადებას, სადაც საკუთრივ დამოკიდებული წინადადება შეკრილია მთავარ წინადადებაში: პირველი აღგილი ჩვეულებრივ მთავარი წინადადების ქვემდებარეს უპირავს, მას უშუალოდ მისდევს მიმართებითი ნაცვალსახელით («რომელი» შესატყვის ბრუნვაში) დაწყებული დამოკიდებული წინადადება, რომელიც თავის მხრივ აღგილს უთმობს ისევ მთავარი წინადადების შემასმენელს. ჩვეულებრივი («უატრაქციო») ნორმის მიხედვით, მთავარი წინადადების ქვემდებარე „ანგარიშს უწევს“ მარტოოდენ თავის შემასმენელს; ჩვენს შემთხვევაში კი მდგომარეობა სხვაგვარია: მთავარი წინადადების ქვემდებარე «ანგარიშს უწევს» და უთანხმდება მის უშუალოდ მომდევნო მიმართებითს ნაცვალსახელს.

სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თავდაპირველად, როცა ასეთი რთული დამოკიდებული წინადადება ყალიბდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, მიმართებითი ნაცვალსახელი ერთსა და იმავე დროს მისამართს სიტყვასაც უნდა კუთვნებოდა და საკუთრივ — დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის (Bezugswort) ატრიბუტს. ამ წინადადებაში: «სიტყუათა, რომელთა გეტყოდე თქუენ, სულ არიან და ცხოვრება» (იხ. ზემოთ) სიტყვა «რომელთა» არა მარტო გარეგნულად (აკუსტიკურად ან გრაფიკულად) მოსდევს სიტყვა «სიტყუათა»-ს, არამედ შინაარსობლივადაც უშუალოდ ეკუთვნის მას. პირველი მძიმე (,) რომ

ამოვიღოთ ამ წინადადებიდან, ადრინდელი შინაარსის შესატყვის ფორმას მივიღებთ, სახელდობრ: «სიტყუათა რომელთა (=რომელთა სიტყუათა) გეტყოდე თქუენ, [და სიტყუანი ესე] სულ არიან და ცხოვრება». ან კიდევ: ლათინური urbem, quam statuo, vestra est ქართულად ასე უნდა გადმოგვეღო: «ქალაქსა რომელსა (უმძიმოდ!) ვაშენებ, [და] თქუენი არს [ქალაქი ესე]», რაც შემდეგს ნიშნავს: «ამ (გარკვეულ) ქალაქს ვაშენებ, და ეს ქალაქი თქვენია». ასეთი უნდა ყოფილიყო მიმართებითი ნაცვალსახელის ადრინდელი ფუნქცია.

მაშასადამე, ჩვენს წინაშე არის გარდამავალი საფეხური რთულ შეკავშირებულსა და რთულ დამოკიდებულ წინადადებას შორის. ასეთი გარდამავლობაა, სხვათა შორის, იმის მიზეზი, რომ „რეგრესულისა“ და „პროგრესული ასიმილაციის“ გვერდით ჩნდება კომპრომისული ფორმები, რის შესახებაც უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი: რთული დამოკიდებული წინადადება არ ჩამოყალიბებულა სამუდამოდ, რთული შეკავშირებული წინადადების თვისებები აქაც საგრძნობია. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის შეთანხმება ბრუნვაში ირიბი მაჩვენებელია იმისა, რომ მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა გამოყოფის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. თავისთავად ეს მდგომარეობაც ხელს შეუწყობდა წინადადების ისეთ კონსტრუქციის გამომუშავებას, რომელიც დღემდე (ჩვენის აზრით, უმართებულოდ) ხან პროგრესულისა და ხან რეგრესული ასიმილაციის შედეგადაა ცნობილი.

თუ მოვიგონებთ ამასთან ერთად იმ ფაქტსაც, რომ მიმართებითობის გამოხატვა ზოგ ენებში მეორადი მოვლენაა, რომ მიმართებითი ნაცვალსახელი ამ ენებში დამოუკიდებელი ჩვენებითი (resp. კითხვითი) ნაცვალსახელისგანაა განვითარებული[1], მაშინ უფრო მეტი საფუძველი გვექნება უარვყოთ ფსიქოლოგისტური დებულება მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობის შესახებ.

თავისთავად იგულისხმება, რომ ტერმინებს: «რეგრესული ასიმილაცია», «პროგრესული ასიმილაცია», «attractio», «attractio inversa» და სხვ.—არაეითარი გამართლება არა აქვს საკითხის ისტორიულად შესწავლის თვალსაზრისით.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ განხილული სინტაქსური მოვლენის ფილოლოგიურად შესწავლა ხელს შეუწყობს ჩვენი ძეგლების დათარიღების ზოგიერთი ბნელი საკითხის გაშუქებასაც.

ლენინგრადი.
იანვარი 1939 წ.

---

[1] იხ. A. Meillet, o. c., p. 376 (=რუს. თარგმ. გვ. 379).

იასე ციცაძე

ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში

1934 წ. ზაფხულში, მოსკოვში ფეოდალური ეპოქის არქივთსაცავში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მე-16 საუკუნის მასალებზე სამუშაოდ გამგზავრების წინ, ტფილისში აკად. ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ მცირე დავალება მიეიღე: დედანთან შემემოწმებინა პროფ. ალ. ცაგარლის მიერ გამოცემული ერთი ქართული დოკუმენტი, რომელიც მოსკოვში „Дела Грузинские"-ს ფონდშია დაცული. ამ დავალების შესრულების დროს, იმის გამო რომ პროფ. ალ. ცაგარელს წესიერად არ აქვს აღნუსხული თავის გამოცემაში საქმის საარქივო ნომერი, შეცთომით სამეცადინო დარბაზმა 1770—1771 წლის საქმე გადმოგვცა სამუშაოდ. რაკი არქივის სამეცადინო დარბაზი მასალებზე შეკვეთას წინდღით ღებულობს, მხოლოდ ჩვენდა უნებურად 1770—1771 წლის საქმის გადასინჯვა მოგვიხდა. გადავწყვიტე შემემოწმებინა, თუ როგორ გამოსცა ცაგარელმა ჩემს წინ მდებარე საქმეში დაცული ქართული საბუთები. საქმე, რომელიც ჩვენი დაკვირვების ობიექტს შეადგენდა, არქივის საინვენტარო დავთარში შეტანილია შემდეგი სახით: „К—76. Грузинская война 1770—1771 г. Донесения императрице Екатерине II от командующего в Грузии войсками ген. м. Сухотина № 24". ეს საქმე ეკუთვნის „Дела Грузинские"-ს ფონდს. საქმე შეიცავს სამას დანომრილ ფურცელს.

გადასინჯვისას აღმოჩნდა 29 ქართული საბუთი 1771 წლისა. ამათგან ექვსი საბუთი უმნიშვნელოა, მოკითხვის ბარათებია გენ. სუხოტინისადმი, ქართველ ეპისკოპოსებისაგან მიწერილი. დანარჩენი 23 საბუთი კი მეტის-მეტად საყურადღებო ცნობების შემცველია. ამათგან ცაგარელს მხოლოდ ორი გამოუცია ქართულ საბუთების კრებულში. ერთი საბუთის მხოლოდ რუსული თარგმანი დაუბეჭდავს, ერეკლე II წერილი გენ. სუხოტინისადმი[1]. მაშასადამე, ერთი საქმიდან 20 ფრიად საყურადღებო ქართული საბუთი სრულებით არ გამოუცია.

როგორც პროფ. ალ. ცაგარლის ქართული საბუთების კრებულის წინასიტყვაობიდან ჩანს, მას სახსრები არ ჰქონია ქრონოლოგიურის თანმიმდევრობით ყველა ქართული საბუთი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას

[1] Цагарели. Грамоты и др. ист. д.. том I, გვ. 486.

შეეხება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გამოეცა[1]. ამიტომ ქართული საბუთები მას შეურჩევია და ისე გამოუცია. უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა საქმეებში დაცული ქართული საბუთებიც შერჩევით გამოუცია. ჩვენ უდროობის გამო მხოლოდ ზემოთხსენებულ საქმის გადასინჯვა მოვახსწარით.

ცნობილია, რომ სახელმწიფოთა შორის ოფიციალური მიწერ-მოწერა ყოველთვის არ გამოხატავს ამა თუ იმ მთავრობის ნამდვილ ზრახვებს. ოფიციალურ მიწერ-მოწერის ნამდვილ მიზნების გარკვევას ადვილებს ამ ოფიციალურ მიმოწერის უკან აღმოცენებული საიდუმლო საბუთები. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ გამოქვეყნებულ მასალების მარტო ოფიციალურ წერილებით რომ იხელმძღვანელოს მკვლევარმა, იმ დასკვნამდე მივა, რომ მე-16 საუკუნიდან დაწყებული რუსეთის მეფეებს საქართველოს სამეფოების სიბრალულით მე-18 საუკუნის დასასრულამდე ცრემლი არ შეუშრიათ თვალებზე. ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით იოანე IV მრისხანეც-კი ატირებულა საქართველოს უბედურებით: „**Два года тому учинилась весть государю нашему, что Иверскую землю кизылбаш воевал, и государь наш вельми о том скорбел и до слез**“, აცხადებენ რუსი ელჩები, თავის მთავრობის ინსტრუქციის თანახმად, პოლონეთის სამეფო კარზე 1558 წელს[2]. მაგრამ რუსეთის არქივებში დაცული საიდუმლო საბუთები საკვირველ რუსეთის პოლიტიკის ნამდვილ მიზნებს საქართველოში.

ქართული ოფიციალური მიწერ-მოწერის საბუთები რუსეთის მთავრობისადმი, ერთის შეხედვით, გულწრფელობით აღსავსე შთაბეჭდილებას სტოვებენ. სამწუხაროდ, ქართული საიდუმლო საბუთები, რომელნიც რუსეთთან ურთიერთობას შეეხებოდა, საქართველოს სამეფოს არქივის დაღუპვის გამო, მოსპობილი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ცნობილი არ არის. მაგრამ a priori შეგვიძლია ვთქვათ. რომ არც საქართველოს სამეფოები იყვნენ გულწრფელნი რუსეთის მიმართ. და მათი ოფიციალური წერილების უკან დაფარული იყო ნამდვილი მათი ზრახვები. და რადგანაც ქართული საიდუმლო საბუთები ჯერჯერობით არ ჩანს, ყოველგვარი დოკუმენტი, რომელიც ასე თუ ისე ქართველ მეფეთა დიპლომატიურ ნაბიჯების საიდუმლო მხარეს ფარდას ხდის, უაღრესად მიმზიდველია მკვლევარისათვის. მოსკოვში დაცულ საარქივო მასალებიდან ერთი საქმის გადასინჯვამ დაგვარწმუნა იმაში, რომ უკვე გამოქვეყნებულ საბუთებს გარდა, რუსეთში არა ერთი საბუთი მოიპოვება ისეთი, რომელიც ქართველ მეფეთა საგარეო პოლიტიკის არაოფიციალურ მხარეს შუქს მოჰფენს, იმას გარდა რომ ამ საბუთებს სხვა მხრივაც თავისებური მნიშვნელობა ექნება საქართველოს ისტორიისათვის.

ქვემოთ დაბეჭდილი ორი საბუთი, ზემოხსენებულ საარქივო საქმეში ნაპოვნი, შეიძლება იმ საბუთების რიცხვს მივაკუთვნოთ, რომლებშიაც ქართველ მეფეთა პოლიტიკის არაოფიციალური მხარე უფრო რელიეფურად მოჩანს. კერძოდ-კი ამ ორ საბუთში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II ერთი ღონის-

[1] Нагарели. Грамоты и др. ист. д... том II, вып. I, გვ. VII.

[2] Белокуров. Сношения России с Кавказом. 1891 г. გვ. LIV.

ძიებათაგანია მოცემული, რომლითაც მას სურდა რუსეთიდან საქართველოში გამოგზავნილი გენერალი სუხოტინი და მისი კორპუსი თავის სამფლობელოს ინტერესებისათვის გამოეყენებინა. ეს ორი დოკუმენტი ამ მხრივ სანიმუშოა აქამდე გამოქვეყნებულ და ცნობილ საბუთებს შორის.

პირველი საბუთი წარმოადგენს სამხედრო-ოპერაციულ გეგმას. დედანში იგი წარმოდგენილია ქართულად და რუსულადაც. საბუთი ისე არის შედგენილი, რომ ერთსა და იმავე გვერდზე რუსული ტექსტის გასწვრივ ქართული შესატყვისი ტექსტი მისდევს. როგორც შინაარსიდან ირკვევა გეგმა შედგენილია ჯერ რუსულად, შემდეგ ქართულად უთარგმნიათ. გეგმის ავტორი საქართველოში 1771 წელს გამოგზავნილი რუსი გენერალი სუხოტინია. გეგმა შედგენილი ყოფილა ორ ცალად, ერთი—დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართათვის და მეორე—ქართლ-კახეთის მეფისათვის. ორივე ცალი ზემოხსენებულ საქმეშია დაცული. ორივე საბუთს თან ერთვის ფიცის „წიგნებიც". როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულ შემოწმებით გამოირკვა, ამ ოპერაციულ გეგმის მიხედვით შეუდგენიათ საქართველოში მყოფ რუსებს 1771 წელს რუკა. ეს რუკა პროფ. ალ. ცაგარელს დაუბეჭდავს და თან ერთვის "მის მიერვე გამოცემულ „Грамоты и другие ист. документы"-ს I ტომს. ამ რუკის სრულ განმარტებას იძლევა სწორედ ხსენებული საბუთი.

საბუთი დათარიღებულია, იგი შეუდგენიათ ხელთუბანში იმერთა მეფის სოლომონ I და ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II თანდასწრებით 1771 წლის 15 ივნისს.

მეორე საბუთი, რომელიც აგრეთვე ქვემოთ იბეჭდება, წარმოადგენს ერეკლე II საპასუხო წერილს გენერალ სუხოტინისადმი. ეს დოკუმენტიც იმავე საქმეშია ჩაკერებული. წერილი 1771 წლის 21 აგვისტოს დაუწერია ერეკლე II-ს.

ორივე საბუთი ერეკლე II საგარეო პოლიტიკის ერთ მომენტს გვისურათებს. და ეს მომენტი რომ ნათელი შეიქნეს ამ დოკუმენტების ტექსტის სავსებით დაბეჭდვა აუცილებლად მიგვაჩნია. ოპერაციულ გეგმის მხოლოდ ქართული ტექსტი იბეჭდება ქვემოთ, რადგანაც რუსულ ტექსტს ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელობა არ აქვს.

რა პირობებში წარმოიქმნა ეს ორი დოკუმენტი? ამ კითხვაზე გაცემული პასუხი ერეკლე II საგარეო პოლიტიკის იმ ერთ მომენტსაც გაარკვევს, რომელზედაც გაკვრით ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

მე-18 საუკუნის სამოციან წლებიდან აღმოსავლეთ ევროპის საკითხი საფრანგეთის, პრუსიის, ავსტრიის და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრად იქცა. რუსეთის აქტივობის შესაჩერებლად საფრანგეთის დიპლომატიამ შესძლო თურქეთის ამ საკითხში ჩარევა და თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ აამხედრა. თურქეთს არსებითად რუსეთის შაჲი ზღვის ჩრდილო ნაპირებზე გაბატონება აშინებდა და ამასთანავე თურქეთის ბალკანეთზე მყოფი სამფლობელოებიც დაზღვეული არ იყო. ამდენად რუსეთის საწინააღმდეგოდ ომის დაწყება თურქეთის ხელისუფლებამ მარტივად გადაწყვიტა. თუმცა მე-18 საუკუნის თურქეთი იმ ძალას არ წარმოადგენდა, როგორც მას წინა საუკუ-

ნეებში იცნობდა ევროპა, მაგრამ იმ ხანად რუსეთის ხელისუფალთათვის ეს სავსებით ნათელი არ იყო.

თურქეთი ჯერ კიდევ დიდი ძლიერების მქონე სახელმწიფოდ იყო მიჩნეული და რუსეთი საფუძვლიან სამზადისში იყო. აღმოსავლეთ ევროპის საკითხი ეხლა საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში იმდენად იდგა, რამდენადაც დასავლეთის საზღვრების მხრიდან მტრის თავდამსხმელ ლაშქარს მოელოდნენ. რუსეთი, გარდა იმისა რომ ჯარს ამზადებდა მტრის საზღვრებში შესაკრელად, ფიქრობდა ესარგებლა თურქეთის სამფლობელოში მყოფ ქრისტიანულ მოსახლეობის და არა თურქულ მოდგმის ტომების თურქეთის მიმართ მტრული განწყობილებით, და თურქეთის წინააღმდეგ მათი აჯანყებისა და გამოსვლების მოწყობასაც შეუდგა, ამ გზით რუსეთს სურდა თურქეთის ძლიერების შემუსვრა გაეადვილებინა. ამ მიზნით საქართველოს სამეფოებთან ურთიერთობის გაცხოველებას იწყებს რუსეთი. 1768—1774 წლებში, საქართველოს სამეფო-სამთავროების თურქეთის წინააღმდეგ ომში გამოყენება ძირითადი ამოცანაა რუსეთის პოლიტიკისა ამიერ-კავკასიაში. ეკატერინე II წერდა: „Я подпалила Турцию с четырех сторон: с Дуная, с Крыма, Мореи и даже с Грузии“[1].

1768 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას, სანამ თურქეთთან ომი ფაქტიურად დაიწყებოდა, საგანგებო მოხსენებაც დაუმზადებია, რომელშიაც გათვალისწინებულია, თუ რამდენად სასარგებლოა და იმავე დროს, რამდენად შესაძლებელი ქართველების თურქეთის საწინააღმდეგოდ ომში ჩათრევა. ამ მოხსენების სათაურის აქ მოყვანა საკმარისია ზემოთქმულის დასამტკიცებლად: „Разсуждение о способах, какими грузинцы преклонены быть могут к восприятию участия в настоящей с Портою Отоманскою войне“ [2]. საგარეო საქმეთა კოლეგიას იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ამ ომში ჩათრევა უფრო მარტივად ესახება, ვინემ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა. მაგრამ კოლეგიას გადაუწყვეტია როგორმე მაინც ქართლ-კახეთის მფლობელიც ამ ომში გამოეყენებინა. სხვა მიზნები საქართველოს მიმართ ხსენებულ წლებში რუსეთს არ აქვს. ეკატერინე II-ის მიერ ხელმოწერილ გენერალ სუხოტინისათვის შედგენილ ინსტრუქციაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ რუსეთი საქართველოს ხელში ჩაგდებას ამ ხანად მიზნად არ ისახავსო: „не ищется присовокупить грузинских земель, как отдаленных и совсем не подручных, к нашей империи“ [3]. იქვე ზემოთ გენერალ სუხოტინს ხაზგასმით მიუთითებენ: „наше намерение было и есть самых грузинцов на диверсию против неприятеля употреблять“. როდესაც საქართველოში, გენერალ სუხოტინზე წინ 1769 წელს, რუსეთის ხელისუფლებამ გენ. ტოტლებენი გამოგზავნა და ამ უკანასკნელმა უთავბოლო მოქმედებით ქართველი ხელისუფალნი თავის წინააღმდეგ

[1] ეკატერინე II წერილის ეს ადგილი ჩვენ ამოვიღეთ პროფ. კლიუჩევსკის თხზულებიდან: „Курс русской истории“, часть V. 1937 წ. გამოც. გვ. 40.

[2] Цагарели. Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии. том. I, გვ. 1.

[3] იქვე, გვ. 471.

აიხსნება, ხოლო თვითონ კი ერეკლე მეორეს ტახტიდან გადაყენება მოინდომა და ქართლის მცხოვრებთ რუსეთის ერთგულებაზე ძალით ფიცს ადებინებდა, რუსეთის მთავრობამ ტოტლებენის ნაცვლად საქართველოში გამოგზავნილ სუხოტინს მიუთითა: „ежели начатое графом Тотлебеном и еще продолжаемое приведение грузинцов к присяге в верности к нам... будет служить к лутчему грузинцов совокуплению в единомыслие в разсуждении поисков против неприятеля, то и вам сие средство при подающихся случаях употреблять останется, а без того оной обряд совсем излишним почитается, не проча мы, как выше сказано, Грузии в непосредственную собственность империи нашей“ [1]. მაშასადამე, როგორც ამ ამონაწერიდანაც ჩანს, პირველ რიგში რუსეთს საქართველოს მიმდინარე ომში გამოყენება დაუსახავს მიზნად და არა საქართველოს ანექსია. ტოტლებენის ღონისძიების გაგრძელებას სუხოტინს იმ შემთხვევაში ურჩევენ, თუ კი ამ გზით უფრო ადვილად და მიზანშეწონილად მოხდება ქართლ-კახეთის თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა, თუ არა და სუხოტინს ეკრძალება ტოტლებენის ღონისძიებათა გაგრძელება და მას განმეორებით მიუთითებენ რომ არ არის ამჟამად რუსეთის მიზანი საქართველო დაიპყროს. ამ გეგმებით და მიზნებით იყო რუსეთი გამსჭვალული საქართველოს მიმართ 1768 წელს თურქეთთან ომის დაწყების წინ და თვით ომის პროცესშიაც. ამ დროს საქართველოს სამეფოებს, იმერეთის და ქართლ-კახეთს, ერთნაირი საგარეო მდგომარეობა არ ჰქონდათ. იმერეთის სამეფო მეტის-მეტად რთულ და გაჭირვებულ პირობებში იყო მოქცეული. ქართლ-კახეთი შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა. იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს თურქეთის ვასალურ დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა უცდია, ხრესილთან მომხდარ ბრძოლაში კიდეც გაუმარჯვია, მაგრამ თურქეთი ასე ადვილად არ სთმობდა იმერთა მეფის ურჩობას, და დასავლეთ საქართველოს დიდგვარიან ფეოდალებთან კავშირით, თურქეთმა იმერეთი განუწყვეტელ ბრძოლის არენად აქცია. განსაკუთრებით თავი ისახელეს ამ მხრივ სამეგრელოსა და რაჭის მფლობელებმა კაცია დადიანმა და როსტომ ერისთავმა. თურქეთის დახმარებით, ურჩ ფეოდალების სოლომონ I-ის წინააღმდეგ ბრძოლა იმ ზომამდე გამწვავდა, რომ რამდენიმე ხანს სოლომონი იძულებული გამხდარა ტახტი მიეტოვებინა და მცირე ამალით ქაიხოსრო წერეთელს შეჰფარებოდა მის ციხეში. ამ დროს იმერეთის სამეფო ტახტზე სოლომონ I-ის ბიძაშვილი თეიმურაზი გაუმეფებიათ. სოლომონ I-ს რამდენიმე ხნის შემდეგ დაჭირავებულ ლეკების მცირე რაზმის დახმარებით რაჭის ერისთავი როსტომი დაუმარცხებია, თურქთა შემწეობით გამეფებული თეიმურაზიც ტყვედ ჩაუგდია და სამეფო ტახტი კვლავ დაუბრუნებია, მაგრამ იმერეთის ყველა ციხეში თურქთა მეციხოვნენი იდგნენ და ქვეყანა მათი ძალმომრეობით აკლებული იყო [2].

[1] იქვე, გვ. 471.

[2] შედეგი კახეთის ცხოვრებისა. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 285. აგრეთვე Шагарели. Грамоты и др... том I, გვ. 14—15. აგრეთვე სოლომონ II წერილებისადმი ბოძებული სიგელი, ს. კაკაბაძის გამოც., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 92.

1766 წელს სოლომონ პირველს ყიზლარის კომენდანტისათვის წერილი გაუგზავნია, რომელშიაც კომენდანტ პოტაპოვისათვის შუამდგომლობა უთხოვია რუსეთის მეფის წინაშე, თუ თურქების წინააღმდეგ ბრძოლას ვერ შესძლებდა, თავისი ამალით რუსეთში დასახლების ნება მიეცათ [1]. სოლომონ I-ის თხოვნა ეცნობა რუსეთის სამეფო კარს, მაგრამ საგარეო საქმეთა კოლეგია სიფრთხილით მოპყრობია ამ საკითხს და ასე უანგარიშნია: „Дозволение владетелю Соломону, как турецкому васалу, с народом его здешней протекции, моглоб привесть Порту в крайную досаду, а раздражение ея дороже сталоб, нежели приобретение ненадежных грузинцов" [2]. მაგრამ იმერთა მეფისათვის ცივი უარის თქმა მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ, და ყიზლარის კომენდანტს პოტაპოვს დაევალა აცნობოს სოლომონ I-ს, რომ მისი თხოვნა დიდი სიამოვნებით მიიღო უმაღლესმა კარმა, მაგრამ ეხლა თურქები ალბათ მოღლილი იქნებიან იმერეთთან გამუდმებულ ბრძოლით, და ამიტომ იქნებ საჭირო აღარ იყოს სოლომონის რუსეთში გადმოსახლებაო [3].

ამ პასუხში არც „ჰო" არის და არც „არა", უფრო მეტად „არა" მოჩანს, მაგრამ იმერთა მეფეს რუსეთის ძლიერების თავის ქვეყნის დასაფარავად გამოყენება მაინც კვლავ უცდია, და ამ საქმის იურიდიულად გასაფორმებლად 1768 წელს ელჩები გაუგზავნია რუსეთში მაქსიმე ქუთათლის მეთაურობით. როგორც ამ წელს სოლომონ პირველის მიერ ეკატერინე II-ისადმი გაგზავნილ წერილიდან ჩანს, მის ელჩებს უნდა მოეგვარებინა: რუსეთის მფარველობა იმერეთის სამეფოზე ვასალიტეტის საფუძველზე; თუ ეს არ მოხერხდებოდა იარაღი და ფულით დახმარება უნდა გამოეთხოვა, და თუ არც ეს მოხერხდებოდა და თურქეთთან ბრძოლის გაგრძელებას იმერთა მეფე ვეღარ შესძლებდა, ნებართვა გამოეთხოვა მეფის და მისი ოჯახის რუსეთში გადასახლებისა [4]. მაქსიმე ქუთათლის წერილობითი მოხსენებიდან ჩანს, რომ იმერთა მეფეს მშვენივრად ჰქონია გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ქველმოქმედების მიზნით რუსეთი იმერეთს არ დაეხმარებოდა, და ამიტომ იმერთა ელჩს, მაქსიმე ქუთათელს, იმერეთის ბუნებრივი სიმდიდრე აღუწერია, რათა იმერეთის ქვეყანა ისე გაეცნო რუსეთისათვის, რომ უკანასკნელს იმერთა მეფის „ყმად" მიღებაზე ყოყმანი არ დაეწყო: „იმერეთში მოდის თეთრი პური, შავი პური, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, სამარხო, წამლის ბალახები, ყურძენი და სხვ. ხილი; ამაების დიდი სიმრავლე არის ყოველს ფერში და ასეთი ნაყოფიერი ქვეყანაა, რომ ტყეებშიაც მრავალი ყურძენი და სხვა კარგი ხილი არის; შავი ზღვის პირზედა ნარინჯი და ზეთის ხილი მოდის; აბრაშუმი, ბამბა და დიახ წმინდა სელი არის ამდენი რომ ვაპრებს სხვა ქვეყნებშიაც მიაქვთ დიახ იაფათ ჰყიდულობენ... ზოგიერთს ალაგას იმერეთში ოქროსი და ვერცხლის და სხვების ქანი არის, მაგრამ ესენი იმერეთს. არაოდეს არ მოუხმარია ერთი რკინის მეტი ამიტომ რომ მეტი მტერი არ

[1] Цагарели. Грамоты и др. ист. докум., том I, გვ. 1—2.
[2] იქვე, გვ. 3.
[3] იქვე, გვ. 3.
[4] Цагарели. Грамоты... том II, вып. I, გვ. 1—2.

აუჩნდეს-[1]. ერთის სიტყვით 1768 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის შედეგად, იმერთა მეფე რუსეთიდან მოელოდა: ან მფარველობას, რასაც სათანადოდ -გაწყობილი“ ჯარის გამოგზავნა უნდა მოჰყოლოდა, ან იარაღსა და ფულს, ან არა და მოსალოდნელ თურქეთთან ბრძოლაში დამარცხების შემდგომ რუსეთში გადასახლების ნებართვას. 1768 წლის ოქტომბერში რუსეთი, როგორც აღვნიშნეთ, თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების სამზადისში იყო და საქართველოს სამეფოების თურქეთის წინააღმდეგ გამოსაყენებლადაც ემზადებოდნენ. ამიტომ იმერეთის ელჩების 1768 წლის შემოდგომაზე რუსეთის საზღვრებში მისვლის ამბავი მეტის-მეტად სასიამოვნოდ დარჩათ. იმავე წლის ნოემბერში საგარეო საქმეთა კოლეგიის უმაღლესი ბრძანებით ყიზლარის კომენდანტს პოტაპოვს მაქსიმე ქუთათლის სასწრაფოდ პეტერბურგში გამგზავრება დაევალა: „**приезд сего митрополита весма кстати и ко времяни... отправить сюда немедленно удовольствовав его и всех при нем быть имеющих в дорогу кормовыми деньгами**“[2]. მაქსიმე ქუთათლის თანამგზავრი არქიმანდრიტი კი დასაჩუქრებული ყიზლარიდანვე იმერეთში გამოისტუმრეს, რათა სოლომონ მეფისთვის რუსეთ-თურქეთს შორის დაწყებულ ომის ამბავი ეცნობებინა და დაუხანებლივ რუსეთის მოშველების მოლოდინში იმერთა ჯარი თურქეთს დასცემოდა. არქიმანდრიტს პეტერბურგიდან სოლომონისადმი გამოგზავნილი პანინის წერილიც გამოატანეს. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ და საქმისათვის თავიანთი კაცის გამოგზავნაც საჭიროდ მიიჩნიეს, რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველი „პორუჩიკი“ ხვაბულოვი (ქობულაშვილი) იმერეთში გამოისტუმრეს[3]. პეტერბურგში მაქსიმე ქუთათლის წერილობითი მოხსენება და სოლომონ მეფის წერილები განიხილეს, და შეეცადნენ თავი ისე მოეჩვენებინათ იმერთა ელჩებისათვის, თითქოს სოლომონ მეფის განზრახვის დიდი მოხარული იყვნენ, და რუსეთის თურქთა წინააღმდეგ ომით გამოწვეული იმერეთთან დროებით დაახლოების ფაქტი სოლომონის სურვილების გამარჯვებად გასაღება მოინდომეს. ნამდვილად რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ მფარველობის გაწევა იმერეთზე უაზრობად მიაჩნდათ. საგარეო საქმეთა კოლეგია საქართველოში საგანგებოდ გამოგზავნილ „მოურავოვისადმი“ ინსტრუქციაში ასე მსჯელობდა: „**Довольствуясь только славою иметь Имеретию в протекции и истощать на защищение ея и иждивение силы, совсем здравой политике противно**“[4].

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, რუსეთის პოლიტიკოსები სავსებით დარწმუნებული არ იყვნენ, რომ ქართველები ადვილად ამ ომში ჩაერეოდნენ, ამიტომ საგარეო საქმეთა კოლეგიას საქართველოში ტომით ქართველი რუსეთის მოხელის გამოგზავნა ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ქართველ მეფეებთან საქმე სასურველად გარიგებულიყო. 1769 წელს საქართველოში რუსეთის

[1] იქვე, გვ. 3.
[2] Шагарели. Грамоты... том I გვ. 20.
[3] იქვე, გვ. 26.
[4] იქვე, გვ. 41.

რწმუნებულად მოურავოვი (თარხან-მოურავი) გამოიგზავნა სათანადო ინსტრუქციით [1]. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგია ჰგრძნობდა, რომ ქართველების მიერ თურქთა წინააღმდეგ ომის დაწყება და მტრისთვის საგრძნობი ზარალის მიყენება ისე, რომ თურქეთი იძულებული გამხდარიყო თავისი ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერ-კავკასიაში, საქართველოს საზღვრებთან თავდაცვისათვის დაებანდებინა, საქართველოს სამეფოებს მარტო საკუთარი ძალებით არ შეეძლო, და ამიტომ კოლეგიას გადაწყვეტილი ჰქონდა რუსეთის მცირე ჯარის ნაწილი ექვსი ზარბაზნით და 50.000 მანეთი ფულად გამოეგზავნა. ამ ფულის და ჯარის რაციონალურად მოხმარა, სოლომონ I-ის ყველა ქართველ მეზობელ მეფე-მთავართა ძალების გაერთიანება და საერთო ძალით თურქეთის საზღვრებში შესევის მოგვარება ჰქონდა დავალებული მოურავოვს [2].

რუსეთში ჯარის მცირე ნაწილის საქართველოში გამოგზავნა გადასწყვიტეს, მაგრამ ამ ჯარის უფროს გენერალ ტოტლებენს ასე არიგებდა გამომგზავრების წინ ეკატერინე II: „Чтоб грузинцы поступили на диверсию собственными их силами, так и оставалось присовокупить к тому здешнего войска такое только число, какое послужилоб в пример и в поощрение и составлялоб будто некоторой подвижной город для убежища и опоры при нужных случаях“ [3]. უფრო გარკვევით პანინის სიტყვები გვისურათებენ რუსეთის ზრახვებს: „была бы душа здешняя, а тело грузинское“ [4]. ამ სახით, რუსეთი ჯერ იმერეთის გამოყენებას ფიქრობდა მარტო, და წერილები და თავისი რწმუნებულები იმერთა მეფესთან იგზავნებოდა 1769 წლის ზაფხულამდე. რუსეთში ძალიან კარგად იცოდნენ, რომ იმერთა პოლიტიკოსები თურქეთთან ომის დასრულების შემდეგაც რუსეთისაგან დახმარებასა და მფარველობას მოითხოვდნენ და ამიტომაც ეკატერინე II 1769 წელს იმერთა მეფეს სოლომონ I-ს წინასწარ აიმედებდა: „поколику нашему ожиданию соответствовать будете и в пользу общего благого дела себя употребите и впредь в чем будет нужно пособствовать вам не оставим“ [5]. იმავე 1769 წელს შედგენილ ინსტრუქციაში აღნიშნულია: „Соломон оказывая здешней империи услугу не может быть уже при тесных для него обстоятельствах здешным призрением и пособствованием оставлен“ [6].

ასე ამგვარი მიზნებითა და დავალებებით რუსეთის ჯარი, 3767 კაცის შემადგენლობით, გენ. ტოტლებენის მეთაურობით, 1769 წელს დარიალის გზით იმერეთისაკენ დაიძრა.

ზემოთ ჩვენ გაკვრით აღნიშნული გვქონდა, რომ რუსეთი იმერეთის სამეფოს გამოყენებას უფრო იოლად იმედოვნებდა, რადგანაც იმერთა მეფე სოლომონს თურქეთის ვასალად სთვლიდნენ, და, რაც მთავარია, თურქეთის მოწინა-

[1] იქვე, გვ. 39.
[2] იქვე, გვ. 39—50.
[3] იქვე, გვ. 87.
[4] იქვე, გვ. 156.
[5] იქვე, გვ. 54.
[6] იქვე, გვ. 46.

აღმდეგე ეასალად. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორის შესახებ სხვა რიგად მსჯელობდნენ.

საგარეო საქმეთა კოლეგიას საკმაო ცნობები ჰქონია 1768 წლისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო მდგომარეობის შესახებ. საგარეო საქმეთა კოლეგიის 1768 წელს შედგენილს მოხსენებით ბარათში მეტის-მეტად საეჭვოდ არის მიჩნეული ერეკლე II-ის თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევის შესაძლებლობა. იმიტომ რომ რუსეთში ცნობა ჰქონიათ, ერეკლე II თურქეთის მხრივ იმ ხანად შევიწროებას არ განიცდიდა: „Ираклий... совсем не чувствует тягости турецкого соседства“[1]. შემდეგ წლებში თვით ერეკლე II მართლაც არა ერთგან აღნიშნავს თავის წერილებში, რომ თურქეთთან მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა 1769 წლამდე და მას საფრთხე არ მოელოდა. ერთ-ერთ წერილში ნიკიტა პანინს იგი, სხვათა შორის, სწერს: „იუწყოს თქუენმან მაღ. ღრ. ბრწყინე... თურქთა, თუ არ სპარსეთის აშლის მიზეზით, ჩუენთან მტერობა არა ჰქონებიათ მოქმედებითა, თუ არ გონებითა. რა შაჰნადირმა ისინი საქართველოდამ ძალით გაყარა, ეგების რომ ჩუენთვის ლეკებს ტყუე მოეტაცოს ქურდობით მცირეს კაცსა და ის ახალციხეს გაეყიდნოს, ისიც დაფარვითა, თვარემ სხვა მტერობა არ გამოუჩენიათ ჩუენდა მომართ“-ო[2]. და მართლაც, როგორც სხვა წყაროებიდანაც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანების შემდეგ, სამოციანი წლებიდან, ერეკლე II-ს საგარეო საქმეები შედარებით მოწესრიგებული ჰქონდა, სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე მეზობელი სახანოები მისი მოხარკეები იყვნენ.

იჭვობდნენ ამიტომ რუსი პოლიტიკოსები ერეკლე მეორის უშუალოდ თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას და საქართველოში გამოგზავნილ თავიანთ მოხელეს მოურავოვს სათანადო ინსტრუქციაში ავალებდნენ, ერეკლეს შეძლება აქვს და აშკარად თუ არა, ფარულად იმერეთისათვის იქნებ დახმარება აღმოაჩენინო თურქეთთან ბრძოლაშიო: „Ираклий... конечно в состоянии... пособствовать и имеретийцам в предприятиях против турок, ежели неявным образом, то по крайней мере скрытно, особливо когда лезгинцами занят не будет“[3]. მაგრამ როგორც მასალებიდან ჩანს, ერეკლე II-ს მიზანშეწონილად მიუჩნევია თურქეთის წინააღმდეგ ომში თავისი სამფლობელოს ჩაბმა, როდესაც რუსეთიდან წინასწარ გამოგზავნილი ოფიცერი „ხვაბულოვი“ იმერეთში მისულა და იმერთა მეფე დაუიმედებია, შემდეგ ერეკლე II და სოლომონ I ტფილისში ერთად შეუყრია და თურქთა წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედება გადაუწყვეტიათ[4].

1769 წელს ივნისში პანინისადმი გაგზავნილ წერილში ერეკლე II სწერდა: „თქუენი ღრაფობის ბრწყინვალების წიგნში მეფის სოლომონისათვის და ჩუენ ყოელის საქართველოებისათვის ყოველად მოწყალის ხელმწიფის იმედი და დაუგდებლობა, და ყოველს ჟამს ჴუნუენა აღგეთქვათ, ამისთვის მადლობელნი

[1] იქვე, გვ. 6—7.
[2] Цагарели. Грамоты... том II, вып. I, გვ. 93.
[3] Цагарели. Грамоты... том I, გვ. 47.
[4] Цагарели. Грамоты... том II, вып. I, გვ. 56.

ვართ... და რომელიც ჩუენი დიდი სასურველი არის ოსმალთა თანა ბრძოლა, და ამას ზედ უწუევივართ თ. ღ. ბ. შეწევნითა ღვთისათა ამაზედ განმზადებული ვართ"-ო [1]. ამრიგად, ერეკლე II-ც ომში ჩაერია, მაგრამ იმავე დროს იგი რუსეთთან დაკავშირების იურიდიულ ვალდებულებების გაფორმებას შედგომია. ჯერ წინასწარ წერილებში რუსეთის იმპერატრიცას მოაგონებს, რომ თურქეთის წინააღმდეგ იბრძვის იმ ხნის განმავლობაში, სანამ რუსეთი თურქეთთან ზავს არ დასდებს, მაგრამ ზავის დადების შემდეგ რუსეთი უნდა იცავდეს მის სამფლობელოს: „და როდესაც კუალად მშუიდობას ინებებდეს თქუენი ყოვლად მოწყალება—ჩუენ მშვიდობით თანადაცულნი ვიყუნენთ საუკუნოდო" [2]. 1771 წელს კათალიკოსი ანტონი და ლევან ბატონიშვილი გაგზავნა ერეკლე II-ემ რუსეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, თუ რა პირობებში სურდა ქართლ-კახეთს რუსეთის „მფარველობა"-ში ყოფნა [3].

ერეკლე II ამ ომში მონაწილეობით თურქეთის გართულებულ მდგომარეობით სარგებლობას და ახალციხის თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას ფიქრობდა, და რუსეთიდან მოსულ ჯარის ნაწილებს ამიტომ ახალციხისაკენ ლაშქრობას სთხოვდა: „Ничего так не хотел царь Ираклий с своею фамилиею и с князьями как чтоб нынешнюю компанию зделал я на Ахалцых. Когда же их воле не последовал, весьма то их оскорбила" [4]. ასე სწერდა თავის მთავრობას საქართველოში გამოგზავნილი რუსი გენერალი. მოკლედ რომ ვსთქვათ, ერეკლე II თვალსაზრისი ამ ომში მონაწილეობის მიღებაზე ჩვენ ასე წარმოგვიდგება: რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობის მიღებით ქართლ-კახეთი ახალციხეს შემოიერთებდა, რუსეთის მფარველობაშიაც შევიდოდა და უზრუნველჰყოფდა თავის სამფლობელოს ზრდას და მშვიდობიანობას. როგორც ვხედავთ რუსეთს სხვა მიზნები ამოძრავებდა, ქართველებს სხვა. ამ ინტერესთა სხვადასხვაობის საფუძველზე, მოტყუილებით დაიმედებული ქართველი მეფეები რუსეთ-თურქეთის ომში ჩაებენ. გენერალ ტოტლებენის მეთაურობით საქართველოში გადმოსული რუსეთის რამდენიმე ბათალიონი ხან იმერეთში იყო, ხან ქართლში, უნდოდა ეჩვენებინა, რომ ორივეს ვითომ ეხმარებოდა, სინამდვილეში არც ერთს შველოდა, არც მეორეს. ტოტლებენს გარდა იმისა, რომ სამხედრო ნიჭი არ ჰქონდა, დიპლომატიური მოქნილებაც ჰკლებია, მისმა უთავბოლო მოქმედებამ ქართველ მეფე-მთავრებს შორის უკმაყოფილებაც ჩამოაგდო; ამ გარემოებამ თურქეთზე გაერთიანებულ ძალებით გალაშქრება დააბრკოლა. ტოტლებენის წინააღმდეგ რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილმა ქართველ მეფეთა წერილებმა საგარეო საქმეთა კოლეგია აიძულა საქმის გამოსაძიებლად სპეციალურად კაპიტანი იაზიკოვი გამოეგზავნა. იაზიკოვის მოხსენებითმა ბარათმა, რომელიც მან საქართველოში შექმნილ მდგომარეობის გაცნობის შემდეგ გაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას, დაარწმუნა

[1] იქვე, გვ. 6.
[2] იქვე, გვ. 14.
[3] იქვე, გვ. 90—91.
[4] Цагарели, Грамоты... том I, გვ. 482.

რუსეთის მთავრობა იმაში, რომ ტოტლებენი უხეიროდ ატარებდა რუსეთის პოლიტიკას საქართველოში: „Он (Тотлебен) способнее в Грузии наши дела испортить, нежели оныя привести в полезное состояние, надлежит определить кого другого, я чаю"[1], ასეთ განკარგულებას იძლეოდა საქართველოს ამბების გაცნობის შემდეგ ეკატერინე II.

1771 წელს, ეკატერინე II-ის დასტურით, ტოტლებენის ნაცვლად გენერალი სუხოტინი გამოიგზავნა საქართველოში. სუხოტინსაც ივივე ამოცანა ჰქონდა საქართველოში, რაც გენერალ ტოტლებენს: ქართველ მეფე-მთავართა ძალების გაერთიანება და მათი თურქეთის საზღვრებში შესევა, საქართველოში მყოფ რუსის ჯარის ნაწილების ისე გამოყენება, რომ ბრძოლის სიმძიმე ამ ჯარს არ დასწოლოდა. ამას გარდა გენ. სუხოტინის საქართველოსაკენ გამომგზავრების პერიოდში, ვინაიდან რუსეთ-თურქეთის ომს ადრე დასრულების პირი არ უჩანდა, პეტერბურგში ფოთის ნავთსადგურის დროებით ხელში ჩაგდებისა და მისი რუსეთის შაჲი ზღვის ფლოტის ბაზად გამოყენება გადაუწყვეტიათ. სუხოტინს პირადად ეკატერინე II სწერდა: „За нужное нахожу вам сказать, что есть-ли, по приезде вашем в Грузию, найдете, что граф Тотлебен действительно завладел городом, крепостью и портом Поти, то старайтесь оной удержать,—ибо сие место для того, что тут порт служить может в случае продолжения войны, для заводимых нами на черном море и на реках, в падающих в оное, кораблей убежищем и пристанищем до тех пор что бог даст лутчего"[2]. ფოთის თურქთა ჯარებისაგან განთავისუფლება და გამოყენება, როგორც ნავთსადგურისა, ახალი ამოცანაა რუსეთის ჯარებისათვის საქართველოში. ამ ფაქტის აღნიშვნას აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვემოთ მოყვანილ საბუთების გასაგებად.

ასეთი დავალებით 1771 წლის გაზაფხულზე გენ. სუხოტინი საქართველოში ჩამოვიდა და ტოტლებენი შესცვალა. პირველ რიგში სუხოტინმა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები დააიმედა და დროებით მაინც ისინი ერთმანეთს შორის მოარიგა. იმავე წლის ივნისში იმერთა მეფე სოლომონ I და ერეკლე II, თავისი თანადასწრებით,, ხელთუბანში შეუყრია და თათბირი ჰქონიათ, თუ როგორ და რა საშუალებით ემოქმედნათ იმ წელს თურქეთის წინააღმდეგ: „Во время короткого моего пребывания в Грузии" имели мы собрание: цари Ираклий, Соломон и я, в Хелтубане для военного совета, на котором как поступать нынешнюю компанию положили"[3], ასე სწერდა თავის მოხსენებაში გენ. სუხოტინი პეტერბურგს. ქვემოთ დაბეჭდილი პირველი საბუთი სწორედ იმ გეგმებს შეეხება, რომელიც ხელთუბანში შეუმუშავებიათ 1771 წლის ივნისში. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში თურქეთის საწინააღმდეგო ოპერაციული სამხედრო გეგმა თავიდან ბოლომდე შემუშავებულია

[1] იქვე, გვ. XXIV, იხ. შენიშვნაში.
[2] იქვე, გვ. 469.
[3] „Грузия"-ს ეძახის გენერალი სუხოტინი აღმოსავლეთ საქართველოს.
[4] Цагарели. Грамоты... том I, გვ. 482.

გენ. სუხოტინის მიერ, იმ მითითების საფუძველზე, რომელიც რუსეთის იმპერატრიცამ მისცა გენ. სუხოტინს საქართველოში გამომგზავრებამდე და რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. ქვემოთ მოყვანილ პირველ საბუთიდან აშკარად ჩანს, რომ მთ.ელი ოპერაციული გეგმა ძირითად ამოცანად ფოთის აღებას ისახავს. ოპერაციულ გეგმის პირველ მუხლში ნათქვამია: „უწინარეს არა თუ დაპყრობისა სხვათა ადგილთასა ვიგულსხმოთ რათა განვიშოროთ ჩვენგან და განვაძოთ იგინი ციხისაგან ფოთისა“. ამის შემდეგ გეგმის ყველა პუნქტი ითვალისწინებს ქართველ და რუსი ლაშქრის ისეთ მოქმედებას, რომელმაც ფოთის აღება უნდა უზრუნველჰყოს. გენ. სუხოტინის მიერ შედგენილ ამ ოპერაციულ გეგმის მიხედვით როლები ასე არის განაწილებული: თვით სუხოტინი რუსის ჯარით ალყას შემოარტყამს ფოთს ხმელეთიდან: „განზრახვასა ამას ზედა მოქმედობად ვგონებ მე სახითა წინდადებულისათა რუსეთის იმპერატორობის ყოველად მოწყალის რომელი მრწმუნებია მყოფნი ჯარნი რეღულისა კორპუსით მიეიღო შემოზღუდვა“ [1]. ქართველ მეფე-მთავართა ჯარებისათვის კი გენ. სუხოტინს ამოცანად დაუსახავს ფოთის ციხეზე ალყად შემორტყმულ რუსეთის ჯარის დაცვა, ისე რომ უკანიდან თურქებმა არა ავნონ-რა: „და მას ჟამს სულ ძალმან ქრისტიანეთამან მიიღოს და იმოქმედოს ესრეთ რომ ეს კორპუსი იმათგან დაფარული იყოს“ [2].

ფოთთან მყოფ რუსეთის კორპუსის დაცვა გეგმაში შემდეგი სახით აქვს გენ. სუხოტინს გათვალისწინებული: ერეკლე II 14.300 კაცი უნდა გამოიყვანოს. ამათგან ორ-ათასიანი კორპუსი კახეთს უნდა დააყენოს, ორ-ათასიანი კორპუსი — ბორჩალოს და სამასი კაცი — გორს. დანარჩენი ათ-ათასიანი კორპუსი თვითონ ერეკლე II-ის წინამძღოლობით უნდა შეიჭრეს ახალქალაქ-ახალციხის მიმართულებით და თარეშებით თურქები უნდა შეავიწროვოს, ისე რომ არ დაუშვას თურქთა მთავარ ძალებთან შეტაკება, და როგორც კი გაიგებს, რომ თურქთა ჯარები მოდიან მასზე, სწრაფად უკან უნდა გამობრუნდეს თავის საზღვრებში, როცა თურქთა ჯარები დამშვიდდებიან და უკან წაეღენ, ერეკლე II ისევ უნდა შეიჭრეს თურქთა საზღვრებში და გაიმეოროს იგივე. სუხოტინის აზრით ასეთი მოქმედებით თურქები: „ეგების.... მოუცლელ და უღონო შეიქნენ და შემოდგომილს ციხეს ვერ მოეშველენ გამოსავსნელად“ (აქ იგულისხმება ფოთის ციხე). იმერთა მეფე სოლომონ პირველს ექვსი ათასი კაცის გამოყვანა ევალება ამ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად. სოლომონმა ახალციხისაკენ მიმავალი ხეობები და გადმოსავალი მთები უნდა გაამაგროს: „უკვირიტონ ვინ იცის ჩემზე ან ჩემს სურსათზე და ან ჯიდებზე წამოვიდნენ როგორც იქმნებოდეს მტერი შეაყენონ და დააბრკოლონ“ [3].

გურიელს ევალება დაიცვას და შეკრას ტრაპიზონის მხრიდან ზღვის პირით მომავალი გზები.

დადიანმა უნდა დაიცვას სუხოტინის კორპუსი აფხაზეთის მხრიდან და უზრუნველჰყოს ქუთაისისაკენ მისავალ-მოსავალი გზა.

[1] იხ. ქვემოთ დაბეჭდილი პირველი საბუთი, მუხლი მე-2.

[2] იქვე.

[3] იქვე, მუხლი მე-4.

ასეთია გენ. სუხოტინის მიერ 1771 წელს შემუშავებულ ოპერაციულ გეგმის ძირითადი შინაარსი, ფოთის აღება უმთავრესი საზრუნავი საქმეა 1771 წლის ზაფხულის განმავლობაში. ფოთი კი, როგორც ზემოთ გარკვეული გექონდა, რუსეთს მიმდინარე თურქეთთან ომში სჭირდებოდა, მაგრამ ქართველ მეფე-მთავრებს ფოთის აღების მნიშვნელობას სუხოტინი ისე უსახავდა, თითქოს იგი საქართველოს კეთილდღეობისათვის იყო საჭირო: „რუსეთის იმპერია შესამატსა თვისსა არასფერსა აქ არ ეძებს"-ო, აღნიშნულია იმავე საბუთში.

1771 წლის ივნისში ხელთუბანში ჩატარებული თათბირი, სადაც ზემოხსენებული ოპერაციული გეგმა შემუშავდა, ერთსულოვანი არ ყოფილა. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის, ტოტლებენის საქართველოში მოღვაწეობის შედეგად, უთანხმოება ჩამოვარდნილა[1]. თუმცა შემდეგ ისევ მორიგებულან, მაგრამ ამ მორიგებას ფორმალური ხასიათი აქვს. აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო იმ ხანად დამოუკიდებელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა და იმდენად ძლიერი იყო ადგილობრივი ინტერესები, რომ საერთო საქართველოს ინტერესები იჩრდილებოდა. ასეთი მდგომარეობის დროს რუსეთი ამ ორ სამეფოს ძალთა გაერთიანებასა და მათი ძალების რუსეთის ინტერესებისათვის გამოყენებაზე ოცნებობს. ამ მიზნის განხორციელება რუსეთმა ერთი რაზმის საქართველოში გამოგზავნით მოინდომა, და ამ რაზმსაც ისეთი დავალება მისცა, რომ მაინცდამაინც ომში თავი არ გამოედო. რუსეთის რაზმი საცილობელ საგნად იქცა იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. თითოეული მათგანი რუსეთის რაზმის საკუთარ სამფლობელოს ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდა, და როდესაც გენ. ტოტლებენი თავის რაზმს იმერეთსა და ქართლში უთავბოლოდ დაახეტებდა, ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის უთანხმოებას ერთი ორად აძლიერებდა. იმერეთის პოლიტიკურ მესვეურებს ქართლ-კახეთის სამეფოს ამ ომში მონაწილეობიდან ჩამოცილებაც კი განუზრახავთ: „ჩუენ და ღრაფ ტოტლებენ რომ შეეყარენით მაშინ იქ იმერეთის კათოლიკოზიც მოსულ იყო, და იმერელ მეფის თანაგანმზრახი აბულაძე ქაიხოსრო თანა ახლდა იმერეთის კათოლიკოზსა; და ჩემთან მოსულმან ამ მეფის თანაგანმზრახმან აბულაძემ ორგზის და სამგზის ლაპარაკში ასე მითხრა გაკვირვებითა: შენგან არ მიკვირსო ასე ცოტას რუსეთის ხელმწიფის ჯარს როგორ აჰყეიო და ხვანთქარს აეშალეო, ამით ხვანთქარს რა უნდა დააკლო შენაო? ხვანთქარმა რომ ერთი სერასკირი წარმოაყენოსო და იქიდამ დაღესტანს უბძანოსო—მასუკან რიღათი შეიძლებო იმათს წინააღდგომასაო?"[2]. ასე სწერს ერეკლე II-ს ერთ-ერთ წერილში. სხვა შემთხვევაში იმერეთის დიპლომატები ერეკლე II-ის თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობას სიხარულით შეხვდებოდნენ, მაგრამ ეხლა რაკი ერეკლე II საქართველოში გადმოსულ რუსეთის ჯარის ნაწილებით ფიქრობდა თურქეთის წინააღმდეგ გალაშქრებას, ხოლო იმერეთის მთავრობა კი ამ ჯარს რუსეთიდან მისთვის გამოგზავნილად გულისხმობდა, ერეკლე მეორეს თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობაზე ხელის აღებას

[1] Цагарели. Грамоты... том II, вып. I, გვ. 55, 64.
[2] Цагарели. Грамоты... том II, вып. I, გვ. 64.

ურჩევენ. დღეს, რაკი ჩვენთვის რუსეთის პოლიტიკის საიდუმლო მხარე ცნობილია, ქაიხოსრო აბულაძის რჩევა სამართლიანად გვესახება, მაგრამ მაშინ აბულაძე ქართლ-კახეთის ინტერესებით არ ხელმძღვანელობდა, მას ის აწუხებდა, რომ ერეკლე დაეცილა იმერეთის მეფეს რუსთა კორპუსის გამოყენებაში. ტოტლებენი მართალია, რუსეთის პოლიტიკის უხეირო გამტარებელი იყო საქართველოში, მაგრამ ძირითადად მაინც თავის მთავრობის ინსტრუქციას ატარებდა; საქართველოს ორიენე სამეფო ომში უნდა ჩაება, და როცა იმერეთს ომი დააწყებინა, მოულოდნელად ომის პროცესში აიყარა და ქართლში გადავიდა. ერეკლე ახალციხისაკენ თურქეთის ჯარის წინააღმდეგ გაიტყუა მცირე რაზმით. იმერეთში კი ტოტლებენის იმერეთიდან ანაზდეულად წასვლა ერეკლეს დააბრალეს: „ღრაფი ტოტლებენი რომ იმერეთიდან ქართლად გამოვიდა იმის გარდმოსელას იმერეთის მეფე სოლომონ და მისი ძმა კათალიკოსი და მათნი განმზრახნი ასე სდებენ ეითამ ჩუენ ერთის ნივთით და მისაცემელით რითმე მოგვებიროს და დაგვეჯერებინოს [1]". ასეთი ჰიდილი რუსეთის ჯარისათვის ბუნებრივია, სანამ ცალკე რაზმები არ გამოიგზავნებოდა იმერეთისათვის და ქართლ-კახეთისათვის, ცხადია უნიჭო ტოტლებენის გადაყენება და გენ. სუხოტინის გამოგზავნა ქართულ სამეფოებს შორის არსებულ ინტერესთა სხვადასხვაობას ვერ წაშლიდა. ხელთუბანშიაც 1771 წელს თათბირზე საქართველოს სამეფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობას თავი უჩენია. ამიტომაც არის, ხელთუბანში შედგენილ სამხედრო ოპერაციულ გეგმის დოკუმენტს თავისებური დაღი აზის და ეს დაღი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის დიპლომატიური საქმიანობის ერთერთი ნიმუშია.

როგორც აღნიშნული გვქონდა, სუხოტინის ინიციატივით ხელთუბანში თათბირი შესდგა. ამ თათბირზე შემუშავებულ სამხედრო ოპერაციულ გეგმის შინაარსი ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ და დავინახეთ, რომ ფოთი არის ყურადღების ცენტრში. როგორც ერეკლე II-ეს სუხოტინისადმი გაგზავნილ წერილის რუსული თარგმანიდან ჩანს, ერეკლე ხელთუბანში წინააღმდეგი ყოფილა ფოთზე ლაშქრობისა. ამ წერილში ერთ ადგილას ერეკლე II წერს „по соединении общем нашем в Хелтубане, протчие присудили вам ехать к Поте, а я, по верности своей, письменно изъяснял и предудерживал, чтоб не ехать в тогдашнее время, и какия корпусу вашему болезни приключится должны—обо всем словесно дал я вам знать [2]". როგორც ჩანს, ერეკლე II ფოთზე გალაშქრებას არ ურჩევდა იმ ზაფხულს და თავის წინადადებას იმით ასაბუთებდა, რომ ჰაობის გამო ჯარი დასნეულდებაო. მაგრამ სხვებს მხარი დაუჭერიათ სუხოტინის წინადადებისათვის. ვინ არიან ეს სხვები? რა თქმა უნდა იმერეთის მეფე და მისი მრჩეველნი. კითხვა იბადება, ნუ თუ იმერეთის წარმომადგენლებმა ერეკლე მეორეზე უფრო კარგად არ იცოდნენ, რომ ზაფხულში ფოთის მიდამოებში ჯარის დაბანაკება და ალყის შემორტყმა საშინელ მალარიის პირობებში არ შეიძლებოდა? რა თქმა უნდა, იცოდნენ. მაგრამ იმერეთის

[1] იქვე, გვ. 64.
[2] Цагарели. Грамоты... том I, გვ. 486.

შესვეურთ აწუხებდათ შემდეგი გარემოება: ერეკლე მეორემ ფოთის ასაღებად ლაშქრობა დაუშალა სუხოტინს და სამაგიეროდ ახალციხეზე გალაშქრებას ურჩევდა: „Ничего так не хотел царь Ираклий с своею фамилиею и с князьями, как штоб нынешнюю компанию зделал я на Ахалцих. Когда же их воле не последовал, весьма то их оскорбила, для чего после его светлость, как человек с просвещением, в угождение своих подданных, просил у меня, что я по окончании Поти приду к Ахалцыху, утешительного письма, а Языкова и Львова поруками по мне подписатца[1].

იმერეთის მეფე სწორედ ერეკლე მეორის წინადადებას უნდა შეეშინებინა, რომ ფოთზე ლაშქრობას დათანხმდა და სუხოტინს მხარი დაუჭირა. სუხოტინი, სოლომონით კმაყოფილი, სხვა რიგად ხსნის სოლომონ I სოლიდარობას: „Соломон... горя усердием к ея и. в. на все без размышления соглашался, а тем самым позбуждал себе следовать и Ираклия“ [2].

სინამდვილეში არც სოლომონი იყო ფოთზე ზაფხულში გალაშქრების მომხრე, მაგრამ რაკი რუსეთის ჯარის თავის ქვეყანაში ყოფნა და გამოყენება სურდა, ხელთუბანში ფოთზე გალაშქრებას მხარი დაუჭირა და ერეკლე II ხელცარიელი დატოვა ეგონა. როდესაც კი სუხოტინი თავის კორპუსით იმერეთში მოკალათდა და ფოთისაკენ გასალაშქრებლად განემზადა, სოლომონ პირველს დაუშლია სუხოტინისათვის ეს ლაშქრობა: „მე დიდის ქენებით და ხვეწნით მოუშალე და ვაუწყე: ზაფხული არის და ფოთი დიდათ დამცდელი და შხამიანი ადგილი არის, როდესაც დრო იქნება და სნეულების ჟამი დასცხრება, გაუწყებ. მეც თან გამოგყვები, მივიდეთ, მოვადგეთ და რისაც ღონისძიებით იყოს ავიღოთ მეთქი“ [3], ასე სწერდა სოლომონ I ეკატირინე II-ს, მას შემდეგ, როცა სუხოტინმა ხელთუბანში შემუშავებულ გეგმის სისრულეში მოყვანის დროს ფოთის მიდამოებში, უნაყოფოდ, მალარიით რამდენიმე ასეული რუსი ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოასალმა.

ფოთზე გალაშქრება სოლომონისა და ერეკლეს ნება-სურვილებზე დამოკიდებული არ ყოფილა, იგი პეტერბურგის ინსტრუქციით წინასწარ გარდაწყვეტილი იყო და ძალაუნებურად ქართველი ხელისუფალნი სუხოტინის მიერ შემუშავებულ გეგმის აღსრულებას შესდგომიან. როგორც ზემოთმოყვანილ გენ. სუხოტინის მოხსენების ერთი ადგილიდან ჩანს, ერეკლე II მოუთხოვია ფოთის აღების შემდეგ ახალციხის დასაპყრობად დახმარება აღმოეჩინა მისთვის სუხოტინს. ერეკლე II-ის მხრით ასეთი მოთხოვნის წამოყენება ბუნებრივია, რადგანაც მას უაზრობად უნდა მოსჩვენებოდა 1771 წლის ზაფხულის „კამპანიაში“ ფოთის დასაპყრობად მონაწილეობის მიღება.

სუხოტინი ხელთუბანში მიმხვდარა, რომ ქართლ-კახეთის მეფე თავის სამფლობელოსათვის უფრო ზრუნავდა, ვინემ რუსეთისა და იმერეთის ინტერესებისათვის და, ზემოთხსენებულ თავის მოხსენებაში პეტერბურგს ატყობინებდა:

[1] იქვე, გვ. 482.

[2] იქვე, გვ. 482.

[3] Цагарели, Грамоты... том II, вып. I, გვ. 75.

„При разсуждениях, которыя в совете имели, я на все мои примечании находил, что царь Ираклий, будучи с просвещением, разбирал все пользы, клонящиясия к своим интересам" [1], ამიტომაც სუხოტინი სიფრთხილეს იჩენს, საბუთების საგანგებო გაფორმებით ცდილობს ქართველი ხელისუფალნი ჩაიჭიროს და რუსეთის ინტერესები უზრუნველჰყოს საქართველოში. ხელთუბანში მიღებულ სამხედრო ოპერაციულ გეგმას სუხოტინი ადგენს რუსულ-ქართულ ენაზე ორ ცალად, ერთი ცალი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართათვის, მეორე ცალი ქართლ-კახეთის მეფისათვის. გეგმის რუსული ტექსტის ქვეშ თვით სუხოტინი აწერს ხელს, ქართულ ტექსტის ქვეშ—ქართველი მეფე-მთავრები, სახელდობრ, იმერეთისათვის შედგენილ ეგზემპლარზე სოლომონ I, დადიანი და გურიელი, ქართლ-კახეთის სამეფოსათვის განკუთვნილ ეგზემპლარზე ქართული ტექსტის ქვეშ ერეკლე II. ამას გარდა სუხოტინს ცალკე ჩამოურთმევია ქართველ მეფე-მთავართათვის ფიცის „წიგნები". ამითაც არ დაკმაყოფილებულა გენ. სუხოტინი, ფოთის „კაპპანიის" უზრუნველსაყოფად მძევალი მოუთხოვია ქართველ მფლობელთაგან. ასეთი ხელშეკრულებების და ვალდებულებების იურიდიულად გაფორმების შემდეგ გენ. სუხოტინს ეგონა პეტერბურგის დავალებას რამდენიმე კვირაში სისრულეში მოიყვანდა და თავის მთავრობას, წინასწარ, ქართველ მეფეებისთვის ჯილდოს გამოგზავნას სთხოვდა. მაგრამ იმავე 1771 წლის აგვისტოში სუხოტინისათვის ნათელი გამხდარა რომ ერეკლე მეორეს, მიუხედავად წინასწარ მიღებულ ღონისძიებებისა და სიფრთხილისა, იგი გაუცურებია, და რაც მთავარია, სწორედ იმ საბუთებზე ხელის მოწერის დროს, რომლებითაც სუხოტინს ერეკლე II ჩაჰქერილი ჰყავდა ეგონა.

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ სამხედრო-ოპერაციული გეგმა რუსულ-ქართულ ენებზე იყო შედგენილი. რუსული ტექსტის ქვეშ, სადაც უკანასკნელი, მე-13 მუხლი თავდება ხელს აწერს სუხოტინი. მოსალოდნელი იყო, რომ ასევე ქართული ტექსტის მე-13 მუხლის დასასრულს, ე. ი. საბუთის დასასრულს, ხელი უნდა მოეწერა ერეკლე II-ს, ისევე, როგორც ეს დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროებისათვის ასეთივე საბუთზე გაუკეთებიათ სუხოტინს, სოლომონ I-ს, დადიანსა და გურიელს, მაგრამ ერეკლე II ასე არ მოქცეულა. გეგმის ქართული ტექსტის დასასრულს მას მიუწერია: „დამტკიცდა პლანი ჩემ მიერ რომელი შემძლებელობანიცა ცხადდებიან" [2], ამ სიტყვების შემდეგ, როგორც მკითხველი ამ დოკუმენტის სრულ ქართულ ტექსტიდან დაინახავს, ერეკლე II საკუთარი ხელით შვიდ მუხლად ჩამოუყალიბებია, ან დაუზუსტებია, თუ როგორ ესმის მას ამ საბუთში გათვალისწინებული ქართლ-კახეთისათვის სავალდებულო მუხლები. ერთის შეხედვით ადამიანს გაუკვირდება კიდეც, რა საჭირო იყო ერეკლეს მხრივ ზედმეტად შვიდ მუხლად ჩამოყალიბება იმავე ვალდებულებებისა, რომელნიც გეგმაში ისედაც გარკვევით მოცემული იყო. მაგრამ ერეკლე II-ის მინაწერის გულდასმით გადასინჯვა და აქ მოთავსებული მეორე საბუთის შინაარსი ცხადჰყოფს ერეკლეს საქციელს. ოპერაციულ გეგმის მიხედვით, რო-

[1] Шагарели. Грамоты... том. I, გვ. 482.

[2] იხ. აქვე, საბუთი № 1.

გორც დავინახეთ, ერეკლე II-ს 14300 ჯარის კაცი უნდა გამოეყვანა ფოთის „კამპანიისათვის“.

ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ამ რაოდენობის ლაშქრის გამოყვანა და თურქთა საზღვრებში თარეში არაეითარი ანგარიში არ იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. იგი მხოლოდ ხელს უწყობდა ფოთის აღებას, ქართლ-კახეთის სამეფოს ამ თარეშებიდან ზარალის მეტი არაფერი შეეძინებოდა. ამიტომ, ერეკლე II თავის შვიდ-მუხლოვან მინაწერში, სწორედ ამ თოთხმეტ-ათასიანი ლაშქრის შეყრას ოსტატურად ჩქმალავს. ერეკლეს მინაწერიდან ერთის შეხედვით ისე გამოდის, რომ თითქოს იგი ყველაფერზე თანახმაა, მოქმედების ისეთ პირობას იძლევა თითქოს, როგორც გეგმაშია გათვალისწინებული, მაგრამ იქ, სადაც ჯარის რაოდენობა უნდა მოიხსენიოს: „შეძლებისამებრ ჩემისა“ ან „ძალითა ჩემითა“-ო, ამბობს. მაგალითად მინაწერის მეორე მუხლში: „ფოთსა ზედა შესაწევნელად თუ მტერი წარვიდეს ძალითა ჩემითა მიეშველო იარანალს სუხოტინს და იმის კორპუსს“. მე-5 მუხლში წერს: „უკეთუ ჯიდებზე და პრავანტსა ზედა მტერი მოვიდეს შეძლებისამებრ ჩემისა არა უტეო წასაჴდენელად“. ფიცის წიგნზე ერეკლეს მიუწერია: „ვიდრე შესრულებამდე ფოთის კამპანიისა რომელიცა დადებულ არს პაემანი ვითარცა აღმიწერია პლანსა შინა და დამიბეჭდავს ეგრედ შეურყეველად ვეგო შეძლებისამებრ ჩემისა“-ო[1]. ამ ფიცის წიგნის მინაწერიდან ცხადი ხდება რომ ერეკლე II სავალდებულოდ სთვლის თავისთვის „პლანის“ იმ მუხლებს, რომელნიც მას იქ „აღუწერია“ და დაუბეჭდავს. ოპერაციულ გეგმის დედანზე, ერეკლეს მიერ მიწერილ შვიდ მუხლში ჯარის რიცხვი კი არსად მოხსენებული არ არის, ამიტომ სუხოტინის გეგმიდან ერეკლეს თავისთვის სავალდებულოდ მარტო სამხედრო მოქმედების ის სახე მიაჩნია, რომელსაც თარეში ეწოდება. თუ რა ძალებით ჩაატარებდა ამ თარეშს, ეს იმის ნება იქნებოდა.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ჩვენ იმ აზრს ვადგივართ რომ ერეკლე II-მ თავის მინაწერებში ისეთი გამოთქმები იხმარა, რომ ჯარის რიცხვი განზრახ არ განსაზღვრა, რიცხვის ნაცვლად „შეძლებისამებრ ჩემისა“ ჩაურთო. ამ მოსაზრებას დასაბუთება ესაჭიროება.

უპირველეს ყოვლისა თვით ამ გამოთქმის „შეძლებისამებრ ჩემისა“-ს შესახებ უნდა ითქვას რომ იგი ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულია და ოფიციალურ ხელშეკრულებებში დიპლომატებისათვის რაიმე ნაკისრ ვალდებულებისაგან თავის დასაძვრენად მეტის-მეტად ხელსაყრელია. რომ ერეკლე II-ს განზრახ უხმარია ასეთი გამოთქმა თავის მინაწერებში, ამას ადასტურებს მე-2 საბუთი, რომელიც აქვე იბეჭდება. ეს საბუთი წარმოადგენს ერეკლე მეფის სა-პასუხო წერილს სუხოტინისადმი. როგორც მკითხველი ამ წერილის შინაარსიდან დაინახავს, სუხოტინს საყვედურით აღსავსე წერილი გაუგზავნია ერეკლესათვის 1771 წლის აგვისტოში იმის გამო, რომ ერეკლეს ძალიან მცირე რაზმი გაუყვანია თურქეთის საზღვრებში სათარეშოდ. ერეკლე ამაზე, ქვემო დაბეჭდილ წერილით, პასუხს აძლევს.

[1] ფიცის წიგნი ცალკე არის შედგენილი და დაცულია იმავე საქმეში.

აი სწორედ ამ საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ როდესაც სუხოტინი ხელთუბანში ერეკლე II-ს საბუთებზე ხელს აწერინებდა და ერეკლე კი ამ საბუთებს ორაზროვან მინაწერებს უკეთებდა, სუხოტინისათვის მაშინ ერეკლეს ზრახვები გაუგებარი ყოფილა. ამ საპასუხო წერილში ერეკლე წერს: „მეორეს წიგნში ვსცან ვითამ მე რომელიც თქვენის მაღალ მსვლელობისაგან პირობა მივიღე და მეც ჩემი კერძი ჩემისავ შეძლებით პირობა მოგართვი ახლანდელის ლაშქრობისა ვითამ მე ჯარის რიცხვი ვისთვისმე ყოველთვის და ყოველგან აღმეთქვას ან ცხრა ათასობით და ან ერთ ათასობით და ან რომლისამე მეტ-ნაკლები რიცხვით რომლისათვისცა თქვენი მაღალმსვლელობა ამაზე ჩემგან ნუ შესწუხდება რომ პასუხი მოგახსენო“. მაშასადამე ერეკლე უარყოფს, რომ მას ჯარის რიცხვი აღეთქვას. მართალია იმ საბუთში, რომელზედაც ერეკლემ ხელი მოაწერა ჯარის რიცხვი სუხოტინის მიერ განსაზღვრულია 14 ათას სამასით, მაგრამ აშკარაა ერეკლე ხელთუბანში შემუშავებულ საბუთს თავისთვის სავალდებულოდ სთვლის მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც მისი შენიშვნებია გაკეთებული. ერეკლე II ამ წერილში ამტკიცებს. რომ მას სუხოტინისათვის ათასობით ჯარის შეყრა არ აღუთქვამს, იგი წერს, რომ ხელთუბანში მას სხვებმა მოუგონეს და სუხოტინიც დაარწმუნეს რომ თითქოს ერეკლეს ათასობით ლაშქრის გამოყვანა შეეძლო, თორემ პირადად მას ათასებიანი ლაშქრის შეყრა არ აღუთქვამს: „თუ გახსოვთ ხელთუბანს სხვათ დამიჟინეს ამ კანპანიისათვის ცხრა ათასი კაცის შეყრა და თქვენც გარწმუნეს და ამისთვის ჩემი პასუხი ეს იყო მე რომელსაც ვერ შევძლებ პირობას ვერ დავდებ და რომელსაც შევძლებ ფიცით დაგიმტკიცეთ რომ არ დაეზოგო ჩემი შეძლება და ჯარი მეთქი. ჯარისა რიცხვით აღთქმა თუ ან წიგნით და ან ისტრუქციით ან რომელსამე ჩემის წერილით იპოვით იმისი პასუხი მე უნდა გაცეს“-ო. ამ ამონაწერიდან უკვე აშკარად ჩანს. რა მოსაზრებით უხმარია ერეკლეს გამოთქმა „შეძლებისაებრ ჩემისა“. შემდეგ საპასუხო წერილში ერეკლე II შესდგომია იმის მტკიცებას რომ ფოთის „კამპანიაში“ მან მონაწილეობა მიიღო და რაც ძალა და შესაძლებლობა ჰქონდა არ დამიზოგავსო, ე. ი. ამტკიცებს, რომ პირობა და ფიცი სავსებით შეასრულა მან. როგორც ჩანს სუხოტინისათვის ხელთუბანში სრულებით გაუგებარი ყოფილა ერეკლეს მინაწერების შინაარსი. ერეკლე, მართალია, წერილში სწერს სუხოტინს, რომ თითქოს ჯარის რიცხვზე თავის დროზე ხელთუბანშივე განვაცხადე უარიო და პირობაც ასეთი მოგეცირო, მაგრამ, როგორც ჩანს, ერეკლეს ხელრთვამ და მოხერხებულად შედგენილმა მინაწერებმა სუხოტინი შეცდომაში შეიყვანა. თორემ შემდეგ საყვედურით ერეკლეს ეეღარ მიმართავდა და ათეულათასიან კორპუსის გამოყვანას ვეღარ მოთხოვდა და, რაც მთავარია, პირობის განაღდებას ამ ნაწილში მაინც ვეღარ მოსთხოვდა ერეკლეს. სუხოტინი რომ გვიან მიმხვდარა ერეკლეს მინაწერების მნიშვნელობას, ეს ერეკლეს წერილის ერთი ადგილიდან უფრო გარკვევით მოჩანს: „კიდევ მოგეწერათ რომ... მითამ მე ამ საქმეში ოსტატობით და პოლეტიკის ხმარების მოქმედებით მოექცეულიყო ჩემი შემოქმედი არის გონების მხილველი რომ მე ამ საქმეში სულ სიმართლით ვიმყოფები“-ო.

ამაზე ვამთავრებთ ქვემოთ მოთავსებულ ორი საბუთის წარმოშობის ისტორიას. ამ საბუთების მნიშვნელობა ჩვენ მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით მოვხაზეთ მოკლედ. სხვა მხრივ ამ საბუთების განხილვა ჩვენ მიზნად არ გვქონია ამ წერილში.

1. გენერალ სუხოტინის მიერ ხელთუბანში შედგენილი სამხედრო ოპერაციული გეგმა. ივნისის 15, 1771 წ.

პ ლ ა ნ ი

კამპანია აზიაში ჩლოა წელსა რუსეთის იმპერატორობის კორპუსისა ძალითა ქრისტეანეთათა რომელნიც იმყოფებიან საფარველსა ქვეშე მათისათა შებრძოლეთა წინაშე თურქთასა წინა დაედგა სამოქმედებელად საქართველოს ივნისს იე დღესა დადებულს ადგილს ხელთუბანს ორთა მეფეთა შორის საქართველოსა და კახეთისა ირაკლისა და იმერეთისა სოლომონისა იანარალ მაიორი სუხატინისაგან.

*

უწინარეს არა თუ დაპყრობისა სხვათა ადგილთასა ვიგულსჴმოთ რათა განვიშოროთ ჩვენგან და განვაძოთ იგინი ციხისაგან ფოთისა რომლისა მიერ დაუჴშავთ მათ შემოსავალსა წავართმევთ ორსა სათავადოსა მეგრელიას და ვურიას განვყოფთ მათ შესაწევნელად კავკასთა ზედა და შევაერთებთ სწორესა მას ხაზსა ჩვენსა და მტკიცესა ნავთსაყუდელსა მჴარესა და ვიქნებით მპყრობელნი პირისა შავისა ზღვისასა.

**

განზრახვასა ამას ზედა მოქმედობად ვჴონებ მე სახითა წინადადებულისათა რუსეთის იმპერატორობის ყოვლად მოწყალისა რომელი მრწმუნებია მყოფნი ჯარნი რეღულისა კორპუსით მივიღო შემოზღუდვა და მას ჟამს სულ ძალმან ქრისტიანეთამან მიიღოს და იმოქმედოს ესრეთ რომ ეს კორპუსი იმათგან დაფარული იყოს.

***

მათი განათლებულება მეფე ირაკლი უნდა წარემართოს ტფილისის ქალაქიდამ კ რიცხვს ამ იელისს ათი ათასის კაცის რიცხვით რვის ზარბაზნით და მიაბაროს მიცემულთა შესაწევნელად თხუთმეტს კანანერს და უნდა განშორდეს თვისსა სამძღვარსა და შევიდეს მტრისსა მამულსა შინა როგორც შეიძლებოდეს მოშორებით მოუკვეთოს გზა და შეერთება ლეკთა. და იმოქმედოს მან ახალქალაქსა ზედა ყარსსა და ახალციხეზე უდიდებულესისა ძალითა თვისითა გაუშირვოს ტაცვით ცარცვით და წვითა სოფლებისათა და გარეშემო მათსა და წვითა პურისათა და ტაცვითა პირუტყვისათა დატყვევებითა კაცებისათა არა დაზოგოს თვისი ძალი ყოველისფრით რაც კი შეიძლება ოდეს იგინი მაზე წა-

ძოვიდენ იმ დროს უკუბრუნდეს თვისსა სამძღვრისაკენ და რასაც ჟამს იგინი მოშორდენ გაუბრუნდეს უკანვე მათ და ძალიანის რიგით შეაწუხოს ეგების ამისთანას შეწუხებისა და მოუშორებლობით და მოძრაობისა მათის განათლებულებისაგან იგინი მოუცლელ და უღონო შეიქნენ და შემოდგომილს ციხეს ვერ მოეშველნენ გამოსაკსნელად და ამა მოქმედებასა შინა რომ მათს უგანათლებულების ადგილებს ლეკმან არ ავნოს რა უკანით არა ჴელშეებულ იყვნენ მტერნი და მიზეზი არ მისცენ თვით მათისა ადგილების დასაფარავად გაბრუნდეს განაწესოს კორპუსი სამი ორი ოროლის ათასის კაცით და მესამე სამასის კაცისა ათი ათასის ჯარის გარდა კარგის წინამძღვრის თაჳკაცებით რომელთა უნდა ყოველი გამოსავალი და ჴეობა ეპირვოსთ ერთი უნდა ადგეს კახეთს მეორე ბორჩალოს და მესამე იყოს გორს.

****

მეფე იმერეთისა სოლომონ უნდა წარმოდგეს ბაღდადიდამ იმავ რიცხვს ექვსი ათასის კაცის რიცხვით და დაიპირვოს მთა და ჴეობები ახალციხისკენ და მიიღოს თვისსა შემაგრებასა შინა ქვეითის კაცით და სწორესა მოქმედებასა შინა უნდა მეფემ ირაკლიმ შეაწუხოს ახალციხე და ამაზდა გარდა უნდა უპვრიტონ ვინ იცის ჩემზე ან ჩემს სურსათზე და ან ჴიდებზე წამოვიდნენ როგორც იქმნებოდეს მტერი შეაყენონ და დააბრკოლონ და იმ ჟამს ან ერთად და ან რომელსამე ნაწილის ჯარით უკანიდამ დაეცემოდენ ხოლმე.

*****

გურიელმან თვისსა ადგილში უნდა დაიპიროს სულ შესაჯალნი გზანი ტრაპიზონიდამ ზღვიდამ და ახალციხიდამ რომ შემდგომილს ციხეს არას გზით არავინ მოეშველოს და ყოველთვის მე მაცოდინებდეს ხოლმე და თუ დაატყოს და სამჯობინარო იყოს შეებას ნება არ წაერთმევის მაგრამ ყოველთვის მე დაფარებული ვიყო იმისაგან რომ გამოსავალნი ადგილები მარადის შეკრული ჰქონდეს და დაუგდებელი.

******

დადიანმა მებატონემან მენგრელიისამან უნდა შეიყაროს თვისი ჯარი იმანაც სწორეთ ამ კ რიცხვს დაიცვას რომელსამე ნაწილით თვისი ადგილი იმერეთს და ჴიდებიცა ჩემნი აფხაზთაგან და თითო კორპუსით ჩემთან უნდა იყოს თვისისა წესით მარჯვენა წყლის პირი რიონისა ცელის კარამდის უნდა ჯალჯით შეამაგროს ასე რომ შევძლო ჴიდების გაკეთება სიახლოვესა ფოთისასა და მჭონდეს მარჯვენა წყლის პირიდამ ქუთაისისაკენ მისავალ მოსავალი გზა ამისთვის რომ აწცა არს იქა ჭანჭრობი და უიმისობა არ იქნება.

****

ყოველთა ამ ჯართა უნდა ჰქონდეს თან აზუღა ექვსის კვირისა რომ მტრის მამულში შოვნის იმედი არა ჰქონდეს ამისთვის რომ ამა მიზეზით თავის რიგი და ადგილი არ დააგდონ და არა გააცუდონ სულ ეს ჩემი პლანი ამა ჟამისა ჯარიანობისა.

****

ოდესაც ღმერთი შეგვეწევის და ჩვენ ფერჯთა თანა წინადაუდებთ კლიტესა ციხისა ფოთისასა მათს იმპერატორობის დიდებულებას მაშინ განეღებიან თვით ჩამომავლობისა მტრის ადგილებში უფიქრებელნი გზანი და მაშინ როცორც ჩვენ შეგვეძლების ვიმოქმედებთ ერთისა ძალით ამისთვის რომ წინააღმდეგი შეყრისათვის ერთად აღარავინ გვეყოლების და მივაყენებთ მათ უდიდესსა შეწუხებასა და ძლევასა.

****

როგორც ყოველი მოქმედებს რომელთა აქვსთ თვისი მამული და თანამდებობს შეწევნასა და დაფარვასა არა ჯერ არს არცა ერთი არაფერსა შიშსა და არცა არს დასაკლისსა რასამე არამედ ეთხოვების მას სწორე უარის უთქმელობით აღსრულება.

****

როგორც მათი იმპერატორობის დიდებულობის კორპუსი განათლებულ იქნების მათის სამსახურობით ამისთვის რომ რუსეთის იმპერია შესამატსა თვისსა არასფერსა აქ არ ეძიებს ამისთვის თანამდებნი არიან ყოველისფრით ამ კორპუსს თუ ჯარს ერთის სულით ყოველითურთ ფრიადის მოსწრაფეობით უჩვენონ შეწევნა მხოლოსა ამით მრავლად თავსა თვისსა უჩვენებს და იქმნებიანცა ჰაღლისა მოწყალებისა ღირსნი.

****

უკეთუ მტერმან მოინდომოს და ახალციხეს შესამაგრებლად მარტო დაუტევოს მცველად მეციხოვნენი ამა გასინჯულობით რომ ძალი საქართველოსი კედელსა ციხისასა ეერას დააკლებსო და თვითონ ჯარი სულ ჩემზე წამოვიდეს მაშინ მეფეთა ირაკლიმ და სოლომონმან ის მეციხოვნენი დამჭირნოსა და უფიქრებელის ძალით წარმოვიდნენ ჩემთან იმათ უკან მოსაშველებლად ჩემდა.

****

ეს პლანი (გინა განწესებულება) უნდა უთუოთ ყოველთა აღასრულონ ჭელი მოაწერონ და თვისი ბეჭედი ამაზე დასხან აღსრულებისათვის ფიცისა და სვინიდისისა თვისისა.

****

ვითარცა რუსეთის კორპუსის პირობა დამტკიცებული არის სწორესა ამა განწესებისა აღსრულებასა ზედა ძალითა ქრისტიანობისათა ვინცა უნდა იყვნენ მპყრობელნი არ შეზდეას თავი თვისი რომელსამე საფიქრებელსა ეშვსა ფიცს გარდა ვითხოვ ამანათათ თუ მძევლათ ახლოთა ნათესავთაგან[1].

---

[1] აქ თავდება „პლანი". ამის შემდეგ მომდევნო ტექსტი დედანში ერეკლე II საკუთარი ხელით არის მიწერილი.

ქ. დამტკიცდა პლანი ჩემ მიერ რომელი შემძლებელობანიცა ცხადდებიან:

ა. ქ. პაემნამდის. ახალციხის საზღვრიდამ არ დავაცადო მტრისა მტერობად.

ბ. ქ. ფოთსა ზედა შესაწევნელად თუ მტერი წარვიდეს ძალითა ჩემითა მივეშველო იარანალს სუხატინს და იმის კორპუსს.

გ. ქ. და რომელიც იარანალს სუხოტინს და იმის კორპუსს უჯობდეს მას ეჰვრეტდე და ვმეცადინობდე.

დ. ქ. თვინიერ სნეულებისა ჩემისა ქართლსა თუ კახეთს მტერი მოვიდეს არ გამოვბრუნდე უკან ამა კამპანიიდამ პაემნამდის.

ე. ქ. უკეთუ ჯიდებზე და პრაეანტსა ზედა მტერი მოვიდეს შეძლებისაებრ ჩემისა არა უტეო წასაჯდენელად.

ვ. ქ. მივართმევ ამანათად მახლობელსა ნათესავსა ჩემსა პაემნამდის მის მაღალმსელელობას იარანალს სუხოტინს კნიაზ აბაშიძეს ნიკოლოზის ძეს გიორგის.

ზ. ქ. დაკლეტასა ამას სიტყვიერსა ეემთხვევი სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისსა ჩვენისასა ამინ.

მეფე ქართლისა და კახეთისა ერეკლე[1].

ГАФКЭ. ფონდი „Грузинские дела“ К—76, ფურც. 100—103.

2. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II წერილი გენ. მაიორ ალექსი ნიკოლოზის-ძე სუხოტინისადმი, აგვისტოს 21, 1771 წ.

ქ. მაღლადმსველელს უფალს ღენერალ მაიორს ალექსი ნიკოლაევიჩს ჩემს მწყალობელს მეგობარს.

მეორეს წიგნში ვსცან ვითამ მე რომელიც თქვენის მაღალ მსველელობისაგან პირობა მივიღე და მეც ჩემი კერძი ჩემისავე შეძლებით პირობა მოგართვი ახლანდელის ლაშქრობისა ვითამ მე ჯარის რიცხვი ვისთვისმე ყოველთვის და ყოველგან აღმეთქვას ან ცხრა ათასობით და ან ერთ ათასობით და ან რომლისამე მეტნაკლები რიცხვით რომლისათვისცა თქვენი მაღალმსველელობა ამაზე ჩემგან ნუ შესწუხდება რომ პასუხი მოგახსენო. ღთი მემოწმება თქვენს წყენას დიდათ უფრთხილდები მაგრამ ეს ასეთი საქმე არის მართალი რომ არ ვთქვა ბოლოს თქვენს მეგობრობასაც დავკარგავ და უმაღლეს კარზედ მტყუანად გამოვსჩნდები და ისევ სიმართლით მოგაგონებ და მოგართმევ ამის პასუხს. ჩემმა მტრებმა ამ გვარები ბევრჯერ მომიგონეს და თქვენთანაც ეცადნენ თუ გახსოვთ ხელთუბანს სხვათ დამიჟინეს ამ კანპანიისათვის ცხრა ათასის კაცის შეყრა და თქვენც გარწმენეს და ამისთვის ჩემი პასუხი ეს იყო მე რომელსაც ვერ შევძლებ პირობას ვერ დავდებ და რომელსაც შევძლებ ფიცით დაგიმტკიცებთ რომ არ დავზოგო ჩემი შეძლება და ჯარი მეთქი. ჯარისა რიცხვით აღთქმა თუ ან წიგნით და ან ისტუქციით ან რომელსამე ჩემის წერილით იპოვით იმისი პასუხი მე უნდა გაცეც თუ არა მოგეხსენება ჩვენის ქვეყნის საქმე მტრისაგან როგორ,

[1] ერეკლეს საკუთარი ხელრთვა და ბეჭედია დასმული.

შეწუხებულნი არიან. მე ყოველთვის ერთსა და იმავ რიცხვით ჯარის გამოყვანა არ შემიძლია. მოგეხსენება თუ სახელის მაძებარი კაცი ვარ და კიდევ მტერზე მისული ვარ და პირის პირ უდგავარ რაც ბევრი ჯარი მეყოლება რასაკვირველია რომ ის მენდომება მაშ ამას მონახვა არ უნდა. ახლა რაც აქ ჯარი მყავს ამას გარდა ნახევარი ჯარი თუშეთსა მყვანდა გაგზავნილი რომ ღთით კიდევ გაემარჯვათ ლეკზე რომლისაც იმ ლეკების სიმრავლე ჩვენს ჯარზე ორზომათ და კიდევ მეტად ყოფილიყო და ისევ ის ჩვენი გაგზავნილი ჯარი თუშეთიდამ ჯერ არ დაბრუნებულა. აქეთ კიდევ იაღლუჯისაკენ ტფილის ქვემოთ აქეთ მომდინარეს ლეკებს ჩვენგან გაგზავნილი და დაყენებული ჯარი დაუხვდათ დაამარცხეს ოთხმოცდაშვიდი ლეკი მოკლეს და ზოგი წყალში ჩაარჩვეს. სამჯერ კიდევ ტფილისის სიახლოვეს მოუხდენ იქიდამაც პირუტყვი წაიღეს ორჯერ ჩვენმა ჯარმა გააყრევინა და ერთხელ მოპარვით გაასწრეს და ამას გარდა ქართლსა და კახეთს რამდენის ქურდობის გზით სოფლებს და ხეობაებს სცემენ და ამისთანას ქვეყნის პატრონსა და შემძლების მქონებელს არ ვიცი რაც აქ ახლა ჯარი მახლავს ამისთანას მუშაობის და მტრისაგან უნამეტნავესის მტერობის დროში რაღა მეტი ჯარი მეთხოვება. ჩემზე აქ რომ ყარსიდამ და ახალციხიდამ და ბაიაზეთიდამ და ლეკიც ამათთან რომ აერიოს და მოვიდნენ ჩემზე თქვენი მაღალმსვლელობა ხომ დიახ შორს ბრძანდება და დადიანი და გურიელი მანდედამ და მეფე სოლომონ რომ დღესაც ბაღდადსვე ბძანდება არც ერთისაგან არ შეიძლება რომ მე ისინი მომეშველონ. არც ჩვეულება მაქვს ვისიმე მოშველებისა თუ არ ღთისა იმედი და ყ'დ მოწყალის ჯელმწიფისა და მაშ ჩემთან რაც კი შეძლება მექნება ჯარისა რაღღა დავზოგავ. ამანათის მორთმევა რადგან ინებეთ ჩემის ნათესავებისა მაგისაგან უმახლობელესი არვინა მყავს ჩვენს ქვეყნებში და დიაღ პატრა ჩემთან არს გაზრდილი და მოგართვი. მაგრამ ამანათის მთხოველი ვისაცა სთხოეს ან მტერი იქნება ის კაცი რომელსაც ეთხოვება და ან მოყვარე და მიზეზსაც გამოუცხადებენ. თუ ამ კანპანიისათვის იყო ეს თხოვნა ამისი პასუხი ხომ მოგახსენეთ წიგნით და თუ სხვა მიზეზი რამ არს უნდა გამოგეცხადებინათ. ფიცისას რომ ბრძანებ მე მისი სიხარულ'დ მიმღებელი ვარ. კიდევ მოგეწერათ რომ როგორათაც კურიელი აქედამ მოვიდეს ისე უმაღლეს კარს წარგზავნოთ და მითამ მე ამ საქმეში ოსტატობით და პოლეტიკის ხმარების მოქმედებით მოვქცეულიყო ჩემი შემოქმედი არის გონების მხილველი რომ მე ამ საქმეში სულ სიმართლით ვიმყოფები თუ არ დამიჯერებ და მტრის ხელში ჩამაგდებ თქვენის სიმართლის მეგობრობითის გულის ნებასა ეს ხომ მეგობრობის შეუფერებელი იქნება. მე მაშინც სიმართლის სიმტკიცეზე ღ'თით მარადის ვეგები. დღეს კიდევ ამბავი მოგვივიდა კახეთის სოფლებს ახმეტას და მანავს აქეთკენ მომავალი ლეკის ჯარი მიხდომიათ რომ ამ ორსავ სოფელზე ლეკის მოსასვლელი გზა არს. ამათი პირუტყვი საქონელი დაუტაცნიათ ჩვენი კაცნი გამოდგომიან ორთავ ცალ-ცალკე გამარჯვებიათ ახმეტელთ მოუკლავთ ლეკი ორმოცდა ხუთი ლეკის ცხენი უშოვნიათ ორმოცდაცამეტი, მანაველთ მოუკლავსთ ლეკი ოცდათხუთმეტი ლეკის ცხენი უშოვნიათ ორმოცი. თუშთ ჩვენი ჯარი რომ მივაშველეთ და ლეკის დიდ ჯარზე ძალიან გამარჯვებოდათ

ლეკი მოუკლავთ ცხრაას სამოცი ლეკის ცხენი უშოვნიათ ათას ორასი ერთი პატარა ზარბაზანი ცხრა კარავი და მრავალი ბაირახი დარჩომიათ. იმ ომში თუში მომკედარა თხუთმეტი დაჭრილა თუში ოცი ფშაველი მომკედარა სამი კახი კაცი მომკედარა და დაჭრილა თორმეტი. მე თქვენის მაღალმსვლელობის კეთილბედნიერად წარმატების სურვილსა შინა ვგიე მეფე ქართლისა და კახეთისა ერეკლე[1]. აგვისტოს კა წელსა ჩღოა.

ГАФКЭ. ფონდი „Грузинские дела". К—76. ფურც. 267—268.

[1] მეფე ერეკლეს საკუთარი ხელრთვა.

აბელ ჯიქვიძე

«შუა-სახლი» რაჭა-ლეჩხუმში

ქვემო რაჭაში და ლეჩხუმში ეხლაც შეხვდება კაცი „ორსარტყლიან სახლს"—შუა-სახლს. სახელწოდება „შუა-სახლი" თავის შინაარსით შეიძლება მომდინარეობდეს ტერმინ „შუა ცეცხლისაგან". რაჭაში რომ იტყვიან „შუაცეცხლი უნთიაო", ეს იმას ნიშნავს, რომ შუა-სახლი ჰქონია მას, ვისაც ეს შუა-ცეცხლი უნთია[1]. მართლაც ცეცხლი ამ შემთხვევაში სახლის შუა ადგილას ანთია.

თუ რატომ იწოდება შუა-სახლი იმავე დროს ორსარტყლიან სახლად, ამაზე ქვემოთ. ეხლა შუა-სახლის აღწერილობას შევუდგეთ.

შუა-სახლი ხისაა, თელის ან ცაცხვის ფიცრებისაგან ნაშენი. ნარინჯისფრად ბოჩანს ხშირად ცაცხვის ფიცრებისაგან ნაშენი დაძველებული შუა-სახლი. კედლის შემადგენელი ფიცარი სქელია (ხშირად 10 სმ სისქისა). შუა-სახლი დიდია. მისი ჩვეულებრივი ფართობი 60 კვ. მეტრს აღწევს, სიმაღლე—4½ მ. „სიგრძისა და განის საძირკვლები" ოთხსავე კუთხეში და შუაში ეყრდნობა „მიწაზე მორგებულ" დიდ ქვებს. საძირკვლების მთელ სიგრძეზე ჩასმულია კედლის ქვედა ფიცრის დასამაგრებელი „კოტეები"[2]. კედლის ყოველ ფიცარს ცალ კიდურზე „ამოყუანილი აქვს ჭდე", ხოლო ცალზე, რომელიც ამოჭრილი კი არ არის, პირიქით, წაგლეჯულია, ჩასმულია კოტეები. კედლის შემადგენელი ყოველი ფიცრის თავი ნახევრამდეა შეჭრილი.

ამრიგად, კედლის ფიცრები კოტეებისა და ჭდის საშუალებით ერთმანეთშია მჭიდროდ ჩაკრული, ხოლო ფიცრის ჩაჭრილ თაებში ერთი მეორეზე მიყოლებით სიგრძისა და განის კედლები „ერთმანეთს ეწვნება" და ასე შეიკვრება ყურე, რომელსაც ქილიქს[3] უწოდებენ.

---

[1] აღსანიშნავია, რომ რაჭაში „ცეცხლი" სახლის სინონიმადაც გვხვდება: 1. „ცეცხლი უნთია"—სახლი უდგას, ცხოვრობს; 2. „ცეცხლი დააფსო"—მოსახლობა მოსპო; 3. „დაიფსო"—დაზარალდა, ამოწყდა, მოისპო როგორც მოსახლე.

[2] კოტა—უღლის რიკი, გინა კრმლის ხე-ტარი (ს ა ბ ა). დაახლოებით რიკის მნიშვნელობით იხმარება კოტა რაჭაში, მხოლოდ რიკი უფრო პატარა ნაწილების შემაერთებელია, ვინემ კედლის და საძირკველის ან კედლის ცალკე ნაწილებისა.

[3] ქილიკი—ფიცარი დაჭდობილი ერთმანეთში გასაწყობლად (ს ა ბ ა). „ქილუქი, ქილიკი ფიცრების ნასკვი სახლის კუთხისა..." (სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა).

შუა-სახლის შუა ნაწილებში „საძირკვლიდან აყვანილია“ აფრები[1] და ამ აფრებშია მოქცეული ფიცრების ბოლო. აფრა უსწორდება ყურეს და წარმოქმნის გამაგრებულ კედელს. „განის კედელი“ გამაგრებულია ერთი აფრით, „სიგრძის კედელი“ კი — ორი აფრით, რომელთა შუა წარმოქმნილია კარი.

„სამი ცულის ტარს რომ მიაღწევდა კედელი, შემდეგ დავსარტყლავდით ოთხივე მხარეზე, ისე, რომ აფრებს დაემცობოდა სარტყელი“ — უთქვამს რაჰველ ძველ ხუროს.

აფრა სარტყელში გადის, სარტყელი ჰკეტავს კედელს. სარტყელი საძირკვლისებურია, ღრმა ჭდეებით, უფრო თხელი და მოქნილი. სარტყლებზე $1^1/_2$ მ სიმაღლეზე დაშენებულია კედლები. ეს ზედა კედლები იმგვარადეა დასარტყლული, როგორც ქვედა კედლები. აქედანაა რომ შუა-სახლი ორსარტყლიანია. მას ორსარტყლიან სახლს უწოდებენ.

ორი მოპირდაპირე „განის კედლის აფრა“ გაიელახა რა სარტყლებს, ასცილდება მათ 1 მ სიმაღლეზე და ამ ორ „თავ ამოჭრილ აფრაში მოერგება სათავე“. სათავიდან გადმოშვებიან მარწუხები[2] და თავსარტყლებს ზე ეკვრიან. მარწუხებს ადგილ-ადგილ, თანასწორი ხანებით დაცილებულ ამოჭრილ ნაწილებში ჩასმული აქვთ კოტეები. კოტეებზე დამაგრებულია „ლოფინები“[3]. შუა-სახლის სახურავი „განის თავსარტყლისაგან“ წარმოქმნის ლირსს. ლირსი ირიბ კედლადაა დაშენებული სარტყელზე[4].

მიწის პირიდან საძირკვლებამდე $^1/_2$ მ სიმაღლეზე კუთხის საყრდენ ქვებს შუა „გამოუშენებდნენ“ ქვითა და ალიზით[5], ან ქვა-კირით. ამის შემდეგ სახლის მთელ ფართობს საძირკვლის პირამდე ამოავსებდნენ „ფშვნილი მიწით“ ან თიხით, მოასხამდნენ წყალს და მოსტკეპნიდნენ. წარმოიქმნებოდა სოხანე. შუა-სახლს იატაკი არა აქვს, მის მაგიერობას გამაგრებული მიწის პირი — სოხანე სწევს, რომელიც ცოცხით იწმინდება.

სოხანის შუა ადგილას დადგმულია კერა. კერა გრძელია და იმდენად ამაღლებული, რომ ზედ გაუჭრელად წამოუდებენ მსხვილ შეშებს. შეშა იწვის და თანდათან წინ წამოსწევენ. ასე რომ დაჩეხვა შეშისა მაინც და მაინც საჭირო არ არის.

კერას ზემოდან დასცქერის არწკლის ან კვიდოს ხის გამირებით[6] შეკრული კაჩა[7]. კაჩას დასაყრდენი სვეტი ან რაიმე საფეხური არ აქვს. იგი ეყრდნობა მისგან თანასწორად დაცილებულ ორ დირეს, რომელნიც თავის მხრით ქვედა სარტყლებს ეყრდნობიან.

---

[1] შდრ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი და სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა.

[2] შდრ. დაბადების ცნობას: „კელსა შინა აჭუნდა ნაკუჩრცხალი, რომელი მარწუხითა მოღო საკურთხეველისაგან“ (ესაია 6, 6).

[3] ლოფინი — ბრტყლად გათლილი გრძელი, წვრილი ხე.

[4] შდრ. საბას განმარტებას.

[5] „გამოვხიელნეთ ალიზნი“ (დ-ბა, წ. ა. მოსესი, 11, 3); ალიზი — მოზელილი ერთნაირი მიწა.

[6] გამირი — ბრტყელი რკინა აქეთ-იქით მოხრილი... (საბა); კაჩის გამირიც ბრტყელი, მაგრამ არა თავმოხრილი.

[7] კაჩა — კაჩხა, ოჯინჯალა, რაზედაც ნაჯა (საქვაბე) ჰკიდია (სიტყვის კონა — იმერულ და რაჭულ თქმათა) „კაჩა — მუჯლის ძირის (ძირი B.) სადრეკი“ (საბა).

კაჩიდან კერამდე ეშვება საქვაბური. კაჩა წარმოადგენს ხორცეული და მცენარეული საკვების სახმობს. კაჩაზე ჩამოჰკიდებენ ღორის შაშხებს. შაშხი თუ მორჩილია, ფელიკად იწოდება. ხშირად ამ კაჩაზე მინახავს ხმელი სურნელი (შეჯამადის სანელებელი გამხმარი ბოსტნეული) კონებად შეკრული, ხშირად კვახის წელა (წვრილად დაჭრილი გოგრა), ხშირად „გასხლიპული ხარის ტყავიც" (მსხვილი წნელებით გამართული ნედლი ტყავი).

კაჩაში გატარდება კვამლი და გადის საკვამურში, რომელიც კაჩას პირდაპირ დაჰყურებს. საკვამური სახურავის ირიბად ახდილი შუა პატარა ნაწილია. ეს არის ერთად ერთი სასინათლოც. თუმცა საკვამურის სინათლე არ კმარა და ამის გამო ხშირად სინათლისათვის ზამთრობითაც კარებს ვაღებდით-ო—იტყვიან მოხუცები.

კარი გათლილია სქელი ფიცრისაგან. ხშირად იგი ორ ნაწილედია და ზოგ შემთხვევაში მთლიანი. ორსავე შემთხვევაში კარი აფრაზეა ჩამოკიდებული. კარს შუა ადგილას „ამოყვანილი აქვს ურდული". ურდულს ეყრება საგდულა და ამით კარი იკეტება[1].

კარისაგან ცალ მხარეზე გადებული დირე უსწორდება „განის კედლის" ქვედა სარტყელს. ამ დირესა და სარტყელზე დაგებულია „გამწვდენი" სქელი ფიცრები და ამრიგად წარმოქმნილია ქორეთი[2]. ქორეთზე ინახავდნენ „წლის მოსავალს": კვახს, მუხუდოს, ცერცვს, ცულისპირას, ხილს, სხვადასხვა ბოსტნეულს, ხშირად სიმინდის ტაროსაც, თუ მოსახლეს ნალია არ ედგა.

შუა-სახლის ავეჯის ეროვნულ უძველეს ძეგლს წარმოადგენს კოჩაბანდი. კოჩაბანდი წარმოადგენს ხის სვეტებიან საწოლს, რომელიც გასდევს კედლის სამ მეოთხედ ნაწილს. სვეტები ეყრდნობა „ძირაკოჭებს"[3], ძირა კოჭებზე დაგებულია კოჩაბანდის იატაკი, ხოლო „თავკოჭებზე"—ჭერი. კოჩაბანდის წინა სვეტები თაღებიანია, ისე რომ თაღები უწყვეტად ერთიმეორეს აგრძელებს. როგორც თაღები, იმგვარადვე სვეტების ზედა ნაწილი მთლიანად ჩუქურთმებითაა შემკული. ქართულ სტილზეა ამოკვეთილი კოჩაბანდის ჩუქურთმები. წაბლის ხისაგან გამოკვეთილი კოჩაბანდი ეხლაც დაცულია სოფ. ქვედა შავრაში, გრიგოლ კიკვიძის სახლში. კოჩაბანდი უკეთებიათ ურთხველისაგანაც. ურთხველა დიდი ხანია მოისპო რაჭა-ლეჩხუმში. წაბლი იშვიათად მოიპოვება.

როგორც ჩანს, კოჩაბანდში იძინებდა მთელი ოჯახი. შედარებით შეძლებულ ოჯახს კოჩაბანდის სვეტებს მიხედვით ჰქონია განსაზღვრული ქვეშსაგები ოჯახის ერთის ან ორი წევრისათვის.

ღარიბ ოჯახს ასეთი განსაზღვრა არ უნდა ჰქონოდა. არც არის წარმოსადგენი მაინც და მაინც კოჩაბანდი ჰქონოდეს მას საწოლად. ამ შემთხვევაში

---

[1] საბას ურდული რაჭული საგდულას მნიშვნელობით აქვს განმარტებული. სწორედ საგდულაა ის „კართ გასაყრელი კეტი", რასაც ურდულს უწოდებს საბა. ხოლო ურდული ნახევარწრისებურად გათლილი შუა ნაწილია კარისა. შუა ადგილას ურდულს აქვს ჭრილი (გაკვეთილია), რომელშიდაც საგდულა ეყრება.

[2] ქორეთი (რჭ.) სხვენი; შდრ. ჩუბ. „ქორედი".

[3] კოჭი—საძირკვლისებურად გათლილი ხე, მეტად უფრო წვრილი და მოკლე.

კოჩაბანდის შემცველი უნდა ყოფილიყო სკამლოგინი, რომელიც მთელ კედელს გასდევს და რომელიც ხშირად გეხვედება ეხლაც დაცულ შუა-სახლში.

გადმოცემა გვითვალისწინებს, რომ კოჩაბანდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია გაუყოფელი დიდი ოჯახისათვის.

კოჩაბანდის სვეტების მიხედვით „მონიშნული გექონდა ჩვენ ჩვენი დასაწოლიო"—უთქვამთ 80—90 წლის მოხუცებს. მათი ნათქვამი შეეხება მათ ბავშვობას, როცა ცოლშვილიანი ძმები—ბიძა-ძმისწულები, ბიძაშვილები ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრობდნენ და კოჩაბანდში დასაკუთრებული ჰქონდათ თავ-თავიანთი საწოლი ადგილები.

შუა-სახლში კოჩაბანდის გვერდით გვხვედება სალარო. სალარო წარმოადგენს ჭურჭლეულობის შესანახს და მიშენებულია კედლის კუთხეზე. სალაროს მარტო წინა ნაწილი, თავი და ბოლო აქვს საკუთარი, ორი კედელი კი ნასესხები და ამრიგად შიგნით ის სამკუთხედად იშლება. სალარო დატიხრულია შიგნით და ამით ცალცალკე განყოფილებებადაა ის წარმოდგენილი. წინა ნაწილი ოთხ-ხუთ კარად ხურავს სალაროს. თვითეული ეს კარი დაჩუქურთმებულია და ამრიგად სალარო მთლიანად ჩუქურთმებითაა შემკული.

აღსანიშნავია, რომ სალაროში ყველა სახის ჭურჭელი არ ინახება. აქ უმთავრესად უფრო ძვირფასი ჭურჭელი ინახება: მოვერცხლილი ყანწები, ორნამენტიანი კათხები, კულა, კვანჩხულა, „სასტუმრო" ძვირფასი „საინები" და სხვა სახის ჭურჭლეულობა, რომელთაც არა ყოველდღიურად, არამედ განსაკუთრებულ შემთხვევაში—„სტუმრიანობისა" თუ დღესასწაულის დროს ხმარობენ[1].

შუა-სახლში კაჩის პირდაპირ „გასავალი უკანა კარის" გვერდიდ კედელზე მიდგმულია ბუჯერი.

ბუჯერი ოთხკუთხი მაღალი მაგიდაა. მეტად სქელია მისი ზედაპირი. ბუჯერზე აწყობენ: გობს, საცერს, კეცებს, ქვასანაყ-როდინს. აქვე ძევს თიხის ქოთნები, სპილენძის ქვაბები, თუჯია[2], ხის ჩოგანი, გრძელი ხის კოვზი, ლაფერთხა[3], სატუკი[4] და სხვა... ბუჯერის ქვეშ „ბოკონებზე გაწყობილ ფიცრებზე"—ჩაფი, დორა, საღვინე და სარწყული დოქები.

შუა-სახლის აქ მოცემულ აღწერილობიდან ჩანს, რომ იგი წარმოადგენდა ოჯახისათვის საჭირო ჭირნახულის შესანახს, სამზარეულოს, საცხოვრებელ სახლს—საწოლს.

შუა-სახლი ამასთანავე გაჭირვებული გლეხისაგან ხშირად ყოფილა გამოყენებული საქონლის სადგომად. ქორეთის ქვეშ შუა-სახლში ეხლაც შეხვდებით ბაგის ნაშთს, თუმცა, იშვიათად. ამ ოციოდე წლის წინათ ქორეთის ქვეშ სა-

---

[1] საგულისხმოა, რომ შუა-სახლში ჩვენ მიერ ნახულ სალაროს შენახული აქვს მისი ძველი მნიშვნელობა. შდრ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ქართ. სამართლის ისტორია, IIა, 174.

[2] თუჯია—თუჯის მრგვალი ჭურჭელი.

[3] ლაფერთხა—წვნიანი ლობიოს გასაკნელი, ფქვილის გასაკნელი უაფის კეთების დროს.

[4] ლობიოს სახელი.

ქონლის ბაგა ყოფილა გამართული. შუა-სახლის ორსავე მხარეზე სახურავი დიდადაა გადაცილებული კედლებს და ამრიგად სახურავის ქვეშ წარმოქმნილია დერეფანი. ერთ ამ დერეფანში დადგმულია საწნახლები—ხორგოები. მეორე დერეფანი სამუშაო იარაღების შესანახადაა განკუთვნილი. აქვე ზამთრობით შეუნახავთ ხოლმე თიეა და საქონლის სხვა საკვები.

შუა-სახლის განის კედელს ხშირად თან ახლავს ყავრის სახურავი, რომელიც ეყრდნობა ქვედა სარტყელზე და ბოჯგებზე დაგებულ მარწუხებს და ფარავს მიწის საკმაოდ დიდ ფართობს კედლის გვერდით. ქვემო რაჭაში და ლეჩხუმში ამ დახურულს უწოდებენ ფარდულს. ფარდულში ზაფხულობით სიცხისა და წვიმის დროს თავს აფარებს საქონელი.

ჩანს რომ შუა-სახლი მრავალმხრივ ყოფილა გამოყენებული და მეტადრე ღარიბი გლეხკაცის მიერ, ისე რომ ხშირად შუა-სახლი გლეხის კარმიდამოს ერთად-ერთ შენობად ჩნდა.

„შუა-სახლს გრძელ მარწუხებს ეუტოვებდით, რომ სახურავი დიდზე გადმოსცილებოდა კედელს. გლეხიკაცისათვის, რაც დიდი იქნებოდა დერეფანი უკეთესი იყო. მიალაგებდა წლის მოსავალს"—უთქვამთ ჩემთვის 110 წლის მოხუცს მიხეილს და მის შვილს (85 წლ.) ნასყიდა მღვდელაძეებს. ჩვენს ხუთქვს სოფელში[1] ხნიერებით თითით საჩვენებელ მიხეილ მღვდელაძის ეს სიტყვები ხომ პირდაპირ მიუთითებს შუა-სახლის მრავალმხრივ დანიშნულებაზე, რომელიც გაჰირვებული გლეხის ყოფამ მას დააკისრა.

შუა-სახლს ეხლა იქ, სადაც ის კიდევ არის დარჩენილი, რასაკვირველია, ჩამოცილებული აქვს ბოსლისა, ნალიისა და საბძლის ფუნქციები. ბეღლისა და მარნის ფუნქციებს ნაწილობრივად ის ეხლაც ეწევა, მაგრამ ეს სულ სხვა გარემოებით აიხსნება. შუა-სახლი იქ, სადაც ის დატოვებულია, მიჩნეულია საპატიო „შრამელად" ლამაზ ოდების გვერდით კოლმეურნის ეზოში. უპირველესად იგი სამზარეულოდაა გამოყენებული, ამასთან ერთად ჰირნახულის შესანახად. შუა-სახლში ეხლა აღარავინ იძინებს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ და კარგად გამართულ შუა-სახლში გეხვდება ავეჯის ძველი ძეგლები—კოჩაბანდი და სალარო, მაინც თავის ნაგებობით და სტილით შუა-სახლი ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის ყოფაცხოვრების ისტორიისათვის საეჭვოა რომ უძველესი სახის ძეგლად ჩაითვალოს.

თვით XI საუკუნეშიც იგი ქვემო რაჭის მოსახლის კარმიდამოში არ ჩანს.

„ზნაკუას შევქმენ სასაწნახელოჲ ქვითკირი ა და შიგან ყურძნის საწნეხი ბ და შეშისა საწნეხელი ა, ქვითკირი ბოსელი ა და ზედა ხერხული ბეღელი ა, ქვითკირი ფარეხი ა და ზედა ქორეთი სახლი ა" (ნიკორწმინდის სიგელი, ქრონიკები II, გვ. 46).

როგორც ნიკორწმინდის სიგლის ამ ცნობიდან ჩანს, XI საუკუნეში ქვემო რაჭის მოსახლის კარმიდამოში არა თუ ცალკე განსაკუთრებული შენობაა ბოსელი, არამედ თვით უკანასკნელი მხოლოდ მსხვილფეხა საქონლისათვისაა გან-

[1] ამბროლაურის რაიონის დასავლეთ ნიწილში.

კუთვნილი, ხოლო წვრილფეხა საქონლისათვის (ცხვრისათვის) ფარეხია აშენებული. აღსანიშნავია რომ ბოსელი მთელ სართულს წარმოადგენს და ამგვარადვე ერთ სართულადაა საბძელი. უეჭველია რომ ეს უკანასკნელი ის ქორეთია, რომელიც თავზე ადგას ფარეხს [1].

მაგრამ ქორეთი ამასთანავე მეორე სართულ სახლსაც წარმოადგენდა. ამას ამტკიცებს ნიკორწმინდის სიგლის ცნობა:

„შევქმენ სახლი მუხისა და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი".

ზედა სართული სახლი, როგორც აქედან ჩანს, ქორეთს ანუ ღია ნაწილს და ოთახსაც (სენაკსაც—სენიანი-სენაკიანი) შეიცავდა.

ამრიგად, ნიკორწმინდის სიგლის ცნობების მიხედვით საუცხოოდ მტკიცდება, რომ ქვემო რაჭაში XI საუკუნეში ორსართულიანი სახლი ყოფილა ჩვეულებრივად გავრცელებული.

ამ სახლის ქვედა სართული შესაძლებელია ყოფილიყო ქვიტკირი: „შევქმენ სახლი ქვიტკირი და ზედა სახლი მუხისა კარგი" (იქვე). შესაძლებელია ორივე სართული ხისა ყოფილიყო:

„შევქმენ სახლი მუხისა და ზედა სახლი ქორედიანი"...

ნიკორწმინდის სიგლიდან ზემოწევნით შეიძლება იმის გათვალისწინება, რომ ქორედი სახლი ორსართულიანი სახლია [2].

ორსართულიანი სახლები ამ ბოლო დროსაც დიდ პატივშია და ფრიად დაფახასიათებელია მოსახლეობისათვის.

„კარგ მოსახლეს იმას ვეტყვით. ჰალატზე რომ ოდა აქვს წარმოდგმული"—გაიგონებთ მოსახლეობაში.

— „სიმინდი ბევრი აქვს—ღვინო და პური და მეტი რაღა გინდა?"—ეტყოდა სასიმამროს მაჭანკალი (რაჭულად—მაშვალი) სასიძოს შესახებ.

— „შენ ეს მითხარი—სახლი თუ აქვს, ან რაღარი სახლი აქვს. თვარა მარტო პურ-ღვინით მოსახლე არ დაფასდება"—ხშირად იყო ასეთი პასუხი.

ქვითკირის სახლის მაგივრად ეხლა ხმარობენ ჰალატს (ქვის ჰალატი), ხოლო ქორედს სცვლის ოდა.

როგორც ეხლა, ისე წინანდელ ორსართულიან სახლს თან უნდა ჰხლებოდა ბუხარი.

ოდა ფრიად გავრცელებულია ეხლა ქვემო რაჭაში და ლეჩხუმში. საგულისხმოა, რომ ძველებურ სახლს ოდისაგან გამოარჩევენ სახურავით და დერეფნით.

---

[1] თუმცა ნიკორწმინდის სიგლის ცნობები ამ ნაგებობათა შესახებ ეხება ნიკორწმინდის მონასტრის მამულებს და ეს თითქოს უტყუარ სურათს არ უნდა იძლეოდეს ჩვეულებრივ მოსახლის კარმიდამოს შესახებ, მაგრამ საფიქრებელია, რომ მარტო მსხვილი მამულების დამახასიათებელი არ იყო აღნიშნული ნაგებობანი თავიანთი სახელწოდებით, არამედ ეს სახელწოდებანი ხალხიდან იყო შესული მსხვილ მემამულის ნაგებობათა აღსანიშნავად.

[2] შუხის სახლსა ზედა „სახლი ქორედიანი" იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ შემთხვევაში სახლზე კიდევ ორსართულიანი სახლია დაშენებული. შესაძლებელია ეს ასედაც ყოფილიყო, მაგრამ, ქორედიანი სახლი ორსართულიან სახლად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ქორედი—მეორე სართულად—ზედა სართულად ჩანს ნიკორწმინდის სიგელში. შდრ. საბა: „ქორი—სახლზედ სახლი აგებული; ქორედ—ქორედი ოთხი-ხუთი სახლი-სახლზედ შენებული (1 ნეშტ. 28, 20)".

„სახლი ოდურად აქვს დახურულიო"—რომ იტყვიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთსართულიანი სახლი აქვს მოსახლეს; ხოლო იგი არ იწოდება ოდად იმიტომ, რომ ერთსართულიანია. ოდას ამასთანავე დერეფანი ორ მხრივად აქვს, ისე რომ უკანასკნელი კუთხურად იშლება. შუასახლისებურად დახურულ სახლს ასეთი დერეფანი არ უხერხდება.

საყურადღებოა, რომ ოდისებურ სახურავს სახლისას სიონს უწოდებენ ლეჩხუმში. საფიქრებელია, რომ „სიონი"-დან იყოს შეთვისებული არა მარტო სახელწოდება, თვით სახლის სახურავის აღნაგობაც.

ქვემო რაჭაში და ლეჩხუმში იციან აგრეთვე „თავ-სახლი".

დიდი განსხვავება შუა-სახლსა და თავ-სახლს შორის არ არის, მხოლოდ თავ-სახლი უფრო დაბალია, იგი ორსარტყლიანი არაა ჩვეულებრივად. ამასთანავე თავ-სახლს გვერდით თან ახლავს „სასტუმრო"—ოთახი ლამაზი კარით და ფანჯრებით.

ეს ოთახი, რომელიც დარბაზს უფრო ჰგავს, ვინემ ოთახს, გარდა იმისა, რომ „სასტუმროა"—სტუმრის მისაღები, აგრეთვე შეიცავს ოჯახის საცხოვრებელი სახლის საწოლის და საკუჭნაოს ფუნქციებს. აქედანაა რომ საცხოვრებელი მთავარი სახლი იწოდება თავ-სახლად. დიდ სახლს საზოგადოდ დარბაზს ეძახიან რაჭა-ლეჩხუმში. ამას მშვენიერად რაჭული მაყრულის პირველი თქმა მოწმობს:

„ქალი მოგვყავს ლამაზი
დაგვიცალეთ დარბაზი".

მაყრიონი ხშირად ორმოცი კაცისაგან შესდგებოდა. ამდენივე დამხდური იყო.

ნამდვილი დარბაზი, რომელიც ახლაცაა დაცული სოფ. ჭყვიშში (ამბროლაურის, რაიონი), ერთსართულიან ხის სახლს წარმოადგენს. იგი შუა-სახლზე ეფრო მაღალ „ნაშენზე" დგას. შესავალი მისი წარმოადგენს ღრმა დერეფანს, რომელიც შეკრულია ირგვლივ ჩუქურთმიანი სვეტებით. სვეტებს ზემოდან ჰკეტავს ჩუქურთმიანი თაღი. ეს უკანასკნელი წინიდან ჰფარავს სახურავს.

ამ დარბაზს ისეთივე სახურავი აქვს, როგორც ძველ ორსართულიან სახლს და შუა-სახლს. ფანჯრები—ოთხკუთხი, ძლიერ პატარა, ჩუქურთმიანი ჩარჩოებით.

ისე როგორც შუა-სახლს არავითარი ბოძი და არც მაშასადამე დედა-ბოძი არა აქვს, ამგვარადვე დარბაზს რაჭა-ლეჩხუმში ბოძები არ აქვს. მის სიმაგრეს წარმოადგენს სარტყლები, რომლებიც იმგვარადვე ჩუქურთმიანია, როგორც შესავლის თავი და სვეტები.

არის თუ არა ეს დარბაზი იგივე დარბაზი, რომელიც რაჭა-ლეჩხუმში და იმერეთში ძველად ყოფილა („მუნვე საწირეს ნადარბაზევსა ძუ[ე]ლსა უკანაჲთ მოვიეე მიწაჲ...", ნ-წმინდის სიგელი, ქრონიკები, II, გვ. 48), ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში დარბაზის შესავალი თავისი ჩუქურთმიანი თაღით და სვეტებით მისი სიძველისათვის ფრიად დამახასიათებელია, მაგრამ აქ დასკვნები ნაადრევი იქნებოდა. ჯერჯერობით, სანამ აღმოსავლეთ საქართველოს დარბაზი არაა სათანადოდ შესწავლილი, მანამ ჩვენს

განკარგულებაში მყოფი მასალებით საკითხის გადაწყვეტა გაუმართლებელი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ დარბაზს სპეციალურად აქ არ ვეხებით.

ეხლა თუ შუა-სახლის ხნიერების საკითხს დაუბრუნდებით, დავვრჩენია აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ შუაცეცხლი და ამასთან ერთად შინაური საქონლის ადამიანთან თანაბინადრობა ხდის შუა-სახლს უძველეს საცხოვრებელ სახლად ქვემო რაჭისა და ლეჩხუმისათვის.

მაგრამ, რაკი არც ძველ ძეგლებში და არც სხვა წყაროებში „შუა-სახლი“ არ გვხვდება, ხოლო თანადროულობაში მას არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ჩკუასთან უფრო ახლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ შუა-სახლი ნაგვიანევი ხანის საყოფაცხოვრებო ძეგლია, რომელსაც შეუთვისებია ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის დარბაზის სტილი და რომელთანაც მას შეუთავსებია უპირველესად სამზარეულოსა და საწოლის დანიშნულება.

ბევრგან ამ სახით შუა-სახლი მოსახლის კარმიდამოში დარჩენილა სხვა ნაგებობასთან ერთად ჩვეულებრივ საცხოვრებელ შენობად. ბევრგან ეკონომიური სივიწროვის ნიადაგზე შუა-სახლში შეხიზნულა არა მარტო ნალია, ბეღელი და საბძელი ქორედის სახით, ბოსელიც კი, და ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შუა-სახლის დერეფანი მარნის დანიშნულებასაც ეწეოდა, შუა-სახლი რჩებოდა მოსახლე-გლეხის კარმიდამოს ერთერთ შენობად. ამ სახით ის, როგორც ძეგლი, არც თუ იშვიათად გვხვდება და ამასვე მოწმობს დროული ხალხის გადმოცემა.

ხ. ჯიძია

იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ

თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი დაიბადა 1574 წელს ფჟუნფკირხენში (Fünfkirchen—უნგრეთშია, უნგრულად Pecs پچ, აქედან پچوی ფეჩევი=ქართ. ფეჩ-ელი-ს [1]; ასეთ ფორმას ზოგჯერ კიდევ ემატება წარმოშობის აღმნიშვნელი თურქული აფიქსი لی—და پچوی (ფეჩევილი)ც გვხვდება [2].

ფეჩევის მამა, რომლის სახელიც ცნობილი არაა, იყო თურქი, ფჟუნფკირხენელი ფეოდალი [3]. მისი დედა ოსმალთა ისტორიაში კარგად ცნობილი სოკოლოვიჩების [4] გვარეულობიდან იყო გამოთხოვილი. მისი წარჩინებული ნათესავების (ფერჰად-ფაშა, ლალა მეჰმედ-ფაშა და მრავალი სხვა გაელენიანი სამხედრო პირების) დახმარებით ი. ფეჩევი ახალგაზრდობიდანვე (1593 წლიდან) სამხედრო სამსახურში შევიდა და ოსმალთა ჯარის მრავალ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ მან დიდხანს დაჰყო ზემოხსენებული ლალა მეჰმედ-ფაშას ამალაში, რომელიც 1604 წლიდან დიდი ვეზირის თანამდებობას ასრულებდა [5]. 1615 წლიდან ი. ფეჩევს ეხედავთ სხვადასხვა მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე: მას ევალება ანატოლიაში რამდენიმე სანჯაყის აღწერა. იგი ინიშნება თოკათში დეფთერდარად (საფინანსო ნაწილის უფროსად), შემდეგ ამავე თანამდებობაზე გადაყავთ რუმელიაში და, ბოლოს, ასრულებს მთლიანად ანატოლიის პროვინციის დეფთერდარის თანამდებობას. სიცოცხლის ბოლო ხანებს ი. ფეჩევი ატარებს თავის სამშობლოს ახლო ადგილებში ჯერ ისევ სამსახურში, ხოლო შემდეგ, 1641 წელს იგი სამსახურს თავს ანებებს და, უმთავრესად, თავის ცნობილ „ისტორიას“ წერს. ი. ფეჩევი გარდაიცვალა 1650 წლის ახლო ხანებში [6].

ი. ფეჩევს თურქულ ისტორიოგრაფიაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მისი შრომა, რომელიც შეიცავს 1520—1640 წლების (ე. ი., სულთან

---

[1] იხ. ფეჩევის შესახებ EI-ში Fr. Babinger-ის წერილი, ტ. III. 1936, გვ. 1120.

[2] იხ., მაგალითად, უფრო გვიანდელი ისტორიკოსის لطفی-ს „ისტორიაში“ (تاریخ لطفی), ტ. III, გვ. 281.

[3] იხ. J. Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, ტ. II, გვ. 4 და EI, იქვე.

[4] თურქულად صوقولی — (იხ. تاریخ جودی, II, გვ. 41).

[5] იხ. EI, იქვე.

[6] იხ. EI, იქვე.

სულეიმან I-ის ტახტზე ასვლიდან—სულთან მურად IV-ის გარდაცვალებამდე) ამბებს, თურქეთისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის „საუკეთესო ოსმალურ წყაროდ“ [1] ითვლება. სპეციალურს ლიტერატურაში განსაკუთრებულად აღნიშნავენ, რომ ი. ფეჩევის თავისი ისტორიის უფრო ადრინდელი პერიოდის ამბებისათვის გამოყენებული აქვს თურქული მატიანეები და უნგრული წყაროებიც-კი [2]. ეს მისი დროისათვის იშვიათი გარემოება მის „ისტორიას“ დიდ ღირსებას ჰმატებს და სავსებით დამსახურებულად აყენებს მას თურქულ საისტორიო ძეგლთა პირველ რიგებში.

მის თანამედროვე ამბებს ი. ფეჩევი აგვიწერს თავისი მეტად მარტივი და მკაფიო ენით, როგორც თვითმხილველი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფეჩევი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ოსმალთა სხვადასხვა ლაშქრობაში. როდესაც, მაგალითად, დიდი მოურავი საქართველოდან ოსმალეთს მივიდა და ოსმალთა სამხედრო ბანაკში გამოცხადდა, ფეჩევი ამ დროს მთავარსარდლის ჰაფიზ-ფაშას ამალაში იყო. ის აქ ნახულობს მოურავს, ესწრება მის შეხვედრას მთავარსარდალთან და პირადად იღებს მონაწილეობას მოურავისა და მისი მხლებლების ოსმალთა ჯარის სარდლობასთან მოლაპარაკებაში. ამ მოლაპარაკებისას მთელი მისი თანაგრძნობა მოურავის მხარეზეა და, რამდენადაც შეუძლია, ქომაგობასაც-კი უწევს მას (იხ. აქვე, გვ. 385—386).

როგორც თურქეთის, ისე ევროპის სიძველეთსაცავებში დაცულია ი. ფეჩევის „ისტორიის“ მრავალი ხელნაწერი [3]. მიუხედავათ ამისა, მისი შრომის კრიტიკული გამოცემა ჯერ არ არსებობს. 1866 წელს სტამბოლში გამოიცა მისი „ისტორიის“ ორი ტომი: جلد اول، تاریخ پچوی გვ. 10+504 და جلد ثانی გვ. 12+487, რომელიც ძლიერ შორს დგას მეცნიერული გამოცემისაგან და ტექნიკური ხასიათის შეცთომებს რომ თავი დავანებოთ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი დამახინჯებებით, განსაკუთრებით არათურქული საკუთარი სახელების გადმოცემისას. წინამდებარე ცნობები ჩვენ ამ გამოცემიდან გვაქვს ამოკრეფილი და თარგმნილი ჯერ კიდევ 1929 წელს სტამბოლის წიგნთსაცავებში ჩვენი ძველ ოსმალურზე შტუდიების დროს [4].

თარგმანის გამოსაცემად დამზადებისას ჩვენ ძნელად გადასალახავ სიძნელეებს წავაწყდით. ვერ დაურთეთ თარგმანს ვერც თურქული ტექსტი და ვერც კომენტარიები საჭირო რაოდენობით. რადგანაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფეჩევის „ისტორიის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი არ არსებობს, ხოლო მისი შრომის არც ერთი ხელნაწერი ჩვენს განკარგულებაში არ არის,

---

[1] იქვე.

[2] იქვე. იხ. ამის შესახებ აგრეთვე პროფ. Н. К. Дмитриев-ის რეცენზია Fr. Kraelitz-ის შრომაზე: Osmanische Urkunden in türkischer Sprache....., Записки Коллегии Востоковедов, ტ. II, გვ. 221.

[3] იხ. EI, იქვე. ამავე წერილში ნაჩვენებია Fr. Babinger-ის შრომა: Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, Leipzig, 1927, რომელშიაც დაწვრილებით ყოფილა განხილული ფეჩევის შრომის ხელნაწერები.

[4] სტამბოლში შესრულებული თარგმანები ეხლა შესწორებული და შევსებული სახით იბეჭდება.

შეუსწორებელი ტექსტის დართვა-კი მიზანშეწონილად არ ესაჭიროებით. ნაწილობრივ ამითვე აიხსნება ზემოხსენებულ დაბეჭდილ „ისტორიაში“ ძლიერ შერყვნილად გადმოცემულ გეოგრაფიულ სახელთა უკომენტარიოდ დატოვება. სხვა ხასიათის კომენტარიებისათვის-კი საჭირო იყო ფეჩევის ცნობების შეწყობა დანარჩენ თურქ ისტორიკოსთა მიერ მოყვანილ ცნობებთან, თურქულ წყაროებში დაცული ქრონოლოგიურ თუ სხვა მონაცემთა შეჯამება-დადგენა და ამგვარად მიღებული შედეგების შედარება ქართული წყაროების ცნობებთან, რაც ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება.

მეორე დაბრკოლება ტექნიკური ხასიათისაა. არც მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და არც სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბებს არაბული შრიფტი და სათანადო ცოდნით აღჭურვილი ასოთამწყობთა კადრი არ გააჩნიათ. ასეთი მოცულობის ტექსტებზე რომ არაფერი ვთქვათ, უბრალო ციტატების მოყვანაც გაძნელებულია.

მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვაქვეყნოთ მაინც თარგმანი ი. ფეჩევის ზემოხსენებულ თხზულებაში დაცული მეტად საყურადღებო ცნობებისა საქართველოს შესახებ, ვინაიდან ეს ცნობები, ამგვარი სახითაც, ეფიქრობთ, ერთგვარ სამსახურს გაუწევს ჩვენს ისტორიკოსებს აღნიშნული ეპოქის თურქულ-ქართული ისტორიული ურთიერთობის კვლევისას.

თავდასხმა საქართველოს ვილაეთზე[1]

წლინდა მეჰარრემის 15-ს, 943 წელს[2], ბაიბურთის მმართებელმა სახელოვანმა ემირმა მეჰმედ-ხანმა მაგ მხარეში მყოფი ძლევამოსილი ჯარი თავდასხმელთა რაზმებში გაიწვია და ჯარი რომ შეაგროვა, შეესია საქართველოს და მის აოხრებას მიჰყო ხელი. [ქართველი] ქმაფირებიც[3] მომზადებულად შეხვდნენ და ისლამის ლაშქარს წინააღმდეგობა გაუწიეს. დიდი ომისა და ბრძოლის შემდეგ გამარჯვების ნიაღი ისლამის [ლაშქრისაკენ] გადმოიხარა და ურიცხვი დასამიწებელი ქმაფირი გაწყდა. ხოლო როდესაც გადარჩენილნი დაიფანტნენ, ასქერები[4] ნადავლის აღებას შეუდგნენ და იმდენი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში, რომ გადმოცემა შეუძლებელია. ასეთი გაკვეთილის შემდეგ სამმა-ოთხმა სასანჯაყო[5] აღგილმა მორჩილება გამოაცხადა და ფადიშაჰს[1] ვალისა[2] და მმართებლის დანიშვნა სთხოვა.

(I, გვ. 191)[3].

---

[1] ولا (არ.)—პროვინცია, ადმინისტრაციული ერთეული.

[2] ე. ი. 1536 წლის 4.VII.

[3] قاز (არ.—მრავ. غزاة)—ურწმუნო, ურჯულო, გმაური, არამაჰმადიანი (დედანში მრავლობითის ფორმაშია).

[4] عسكر (არ.)—ასქერი, ჯარისკაცი.

[5] چاغ (თ.)—დროშა, სანჯაყი; چاغجاغ—სადროშო, სასანჯაყო; სამხედრო ერთეული უკვე ოსმალეთში, შემდეგში რეფორმამდე ადმინისტრაციული ერთეული (ვილაეთი, სანჯაყი, ყაზა).

მეორე ვეზირის ახმედ-ფაშას საქართველოსაკენ გამგზავრება და ამ ომში დაპყრობათა და ნადავლის შესახებ

955 წელი[4]. ამ ხანებში საქართველოს ქმაფირები აჯანყებასა და არეულობას აწყობდნენ და როდესაც მაღალღირსეულმა ფადიშაჰმა გაიგო მათი არასასიამოვნო საქციელის შესახებ, [საქართველოში გასაგზავნად] დაინიშნა მეორე ვეზირი მისი აღმატებულება ახმედ-ფაშა, არზრუმის, ყარამანის, ზულყადირლისა და სივასის ბეგლარ-ბეგებთან, სანჯაყ-ბეგებთან[5] და დენიჩერის[6] ქეთხუდასთან[7] ერთად, რამდენიმე ათასი დენიჩერისა და ღურებას[8] ბოლუქის აღათა[9] თანხლებით. მას შემდეგ, რაც მათ მიიღეს ფადიშაჰის ფერხთა მთხვევის პატივი, დიდებული შა'ბანის [თვის] პირველ დღეს[10] გაუდგნენ გზას. პირველად დიდი ბრძოლით დაპყრობილ იქნა თორთუმის ციხე. ნიჯაჰის (?) (نجاه)[11] და ამირახორის (اخور امیر) ციხეებმა პატიება ითხოვეს. ახჩა-ყალა (قلعه آچه) ბრძოლით იქნა აღებული. ბერკე-ისა[12] და ბერს-ის [ციხეები] და მეორე ახჩა-ყალა და ამათ გარდა [კიდევ] თხუთმეტი ციხე დანებდა. დივან-ად (دیوان) წოდებულ რაიონში შესევის შემდეგ ურიცხვი შაავარდნის თვალებიანი და კაკაბიით მოგოგმანე ყმაწვილები და ქალწულები მუსლიმან გმირთა ხელში ჩაცვივდა. შემდეგ برکری-ის ციხის და მისდამი კუთვნილი ორი ციხის დაპყრობაც სხვა გამარჯვებათ ზედ დაემატა. და დად-ელის (دادیلی)[13] რაიონი თავისი დასახლებუ-

---

[1] ოსმალეთის სულთანი აქ ყველგან ფადიშაჰად იხსენიება.

[2] ვალი (არ.)—ვილაეთის მმართველი.

[3] თვითეული ცნობის ქვეშ ნაჩვენები რომაული ციფრი ფ ე ჩ ე ვ ი ს „ისტორიის“ ზემოაღნიშნული გამოცემის ტომზე მიუთითებს, ხოლო არაბული—გვერდს აღნიშნავს.

[4] ე. ი., 1549 წელი.

[5] سنجق بکی—სანჯაყის მხედართმთავარი.

[6] اوجاق (თ.) „ახალი ჯარი“, ჯარის ერთი სახეობა ძველ ოსმალეთში, ორგანიზებული სულთან ორხანის მიერ 1330 წელს და გაუქმებული სულთან მაჰმუდ II-ის მიერ 1826 წელს.

[7] چخه (სპ.-თ.) —მნე, ინტენდანტი (ჯარში).

[8] غرب (არ. მრ.; მხ. غریب) — ცხენოსანი ჯარი, რომელიც უცხოელთაგან (غرب), უმთავრესად, არაბებისა და სპარსელთაგან შედგებოდა (იხ. J. Hanimer, Des osmanischen Reichs Staatsverfassung und Staatsverwaltung..... ტ. II, ვენა, 1815, გვ. 241.

[9] اغا (თ.)—აღა, (ჯარის ნაწილის) უფროსი; اوبه (თ.)—ასეული; اغالر اوبه — ასეულის უფროსები.

[10] ე. ი., აგვისტოს 25.

[11] ორმოცევერსტიან რუკაზე თორთუმიდან აღმოსავლეთით, თორთუმსა და ოლთისს შუა აღნიშნულია Huxax; შესაძლებელია აქ خ-ში ج-ს ქ-დ წაკითხვისაგან გამომდინარე დამახინჯება იყოს.

[12] შესაძლებელია ეს ფანასკერტის ციხე იყოს.

[13] ایلی (თ.)—ქვეყანა, მხარე; ایلی داد—დად-ელი—შეიძლება გავიგოთ „დად-ის ქვეყანა“-დ (შდრ. რუმ-ელი—რუმთა ქვეყანა).

ლი სოფლებით ოსმალეთის სახელმწიფოს შეუერთდა. ხსენებულ რაიონში მდებარე ციხეებიდან თხუთმეტი ციხე იქნა დატოვებული. დანარჩენი მიწასთან გაასწორეს. შემდეგ თორთუმი და თალხისი (طخيلر) და ახჩა-ყალა (და) დიევანას ხეობა (كسيره ديوان)[1] ერთ სანჯაყად გამოცხადდა და ერთ-ერთ ემირს ებოძა. იქიდან მშვიდობიანად და გამდიდრებულნი დაბრუნდნენ და პატიოსანი შეევალის თვის მეორე დღეს[2] كلوج-ად წოდებულ ადგილას უაევუსტოეს ლაშქარს შეუერთდნენ. ისინი ღირსნი გახდნენ ფადიშაჰისაგან მრავალგვარი სამსახურში წარმატებისა, საპატიო ტანსაცმლებისა, მოწყალებისა და კეთილგანწყობილებისა. თავიანთ ტოლებში დაწინაურდნენ და გამოირჩეოდნენ.

(I, გვ. 283—284)

ძლევამოსილი ჯარის ზოგიერთი (ნაწილისათვის) უკან დაბრუნებაზე უაევუსტოესი ნებართვის გაცემისა და დიდი ვეზირის საქართველოსაკენ გაგზავნის შესახებ[3]

როცა ჩობან-ქრფრუ (چوبان كوپريسي) გაიარეს და ჰასან-ყალასთან ახლო დაბანაკდნენ, დიარბეკირის ბეგლარბეგს, ქურთისტანის ბეგებს და ვანის ბეგლარბეგს ფერჰად-ფაშას და ამირებს საპატიო ტანსაცმელი ჩააცვეს. [ესენი] ფადიშაჰის ხელზე მთხვევით გაბედნიერდნენ და [ამის შემდეგ] მათ ებოძათ თავიანთ ადგილებში დაბრუნების ნებართვა. 'უმადიეს (عماديه)[4] ბეგი სულთან ჰუსეინ-ბეგი ზემოხსენებული თახთი-სულეიმან-ად (تخت سليمان) წოდებულ ადგილას მოვიდა უაევუსტოესი ლაშქრის ბანაკში, მას თან მოჰქონდა მოკვეთილი თავებით შემკული შუბები და უკუღმა შებრუნებული ალმები და შემკობილი გვირგვინები. ისინი ფადიშაჰის მრავალგვარ წყალობას ეღირსნენ. ამ ბანაკში მათ დაუდგათ დიდებული დღესასწაული და ფადიშაჰის კეთილი ჩვეულებისამებრ შესრულებულ იქნა სადღესასწაულო ცერემონია. აქედან გაემგზავრნენ და დაბანაკდნენ საზღვრად (سازلق) წოდებულ ადგილას. აქ ქვეყანათა დამპყრობელ ფადიშაჰს მოხსენდა, რომ გზადაბნეულ შაჰს[5] ფადიშაჰის ზოგი ციხე დაუპყრია

---

[1] მართალი უნდა იყოს პროფ. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ, შეიძლება, ديوان (დივანა) „ლივანა"-ს დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენდეს. ლივანა თურქულ წყაროებში ديوان-დაა ცნობილი და გეოგრაფიულად ამ ცნობაში მოხსენებულ ადგილებთან ახლოსაა.

[2] ე. ი. 24.X.

[3] ამ ცნობისათვის თარიღი უშუალოდ ნაჩვენები არ არის, მაგრამ მისი წინა და მომდევნო ამბებისათვის ნაჩვენებია 961 წელი და, ცხადია, რომ ეს თარიღი ამ ცნობისთვისაცაა ნაგულისხმევი. ჰიჯრის 961 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით უდრის—1553 წელს.

[4] عماديه — ვანის ვილაეთში სამაზრო დაბა იყო. ქ. ვანიდან სამხრეთით 150 კილომეტრის, ხოლო ქ. მოსულიდან ჩრდილოეთით 80 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს (იხ. سامي .ش-ს قاموس, ტ. V, გვ. 3206).

[5] შაჰი—ყველგან ქვემოთ ირანის შაჰს ნიშნავს.

საქართველოში. სახელოვანი დიდი ვეზირი დაინიშნა ოთხი ათასი ჯენიჩერისა და საერთოდ რუმელიისა, ანატოლიისა და ყარამანის ლაშქრისა და ყველა ბოლუქ-აღათა[1] და ბოლუქის ხალხის სარდალ-სპასალარად და გაიგზავნა [საქართველოში]. როდესაც ოლთისის ციხეს მიაღწიეს შაჰის შესახებ ამბავი მოვიდა, რომ მის საბრძანებლო სახელმწიფოში [მოსახლეობის] ნაწილი განადგურებულა, ნაწილი-კი სიმშილობას მოუცავს და ამ მხარეში წამოსულან სარჩოსაცხოვრებლის საშოვნელად; [მათ უფიქრიათ] ეგების შემთხვევა მოგვეცეს და ფადიშაჰის ზოგი ციხე ხელში ჩავიგდოთო. როდესაც შეიტყვეს, რომ დიდი ვეზირი ისლამის ლაშქრით მოვიდა და თავისი ძლევამოსილი ჯარით იმ მხარეს [საქართველოს] მფარველობა გაუწიაო, ორი [დღის] მანძილი ერთ [დღისად] აქციეს და გაკურცხლეს. დიდი ვეზირი-კი მისდამი რწმუნებული ლაშქრით უავგუსტოეს ჯარს შეუერთდა.

(I, გვ. 325—326)

დიდი ბრძოლა ჩალდირის ველზე

ჯემადი-ულ-ახირის 5-ს, 986 წელს[2], [ისლამის ლაშქარი] არტაანიდან დაიძრა და ველე-ს (ﻭﻟﻪ)[3] ციხის მახლობლად დაბანაკდა. შესაძლებელი გახდა ამ [ციხის] ადვილად დაპყრობა. მეორე დღეს [ჯარი] იენი-ყალას მთა-გორიან მიდამოებში დაბანაკდა; [ეს ციხე] მდებარეობს ორ მთას შუა, მაღალი გორაკის მწვერვალზე. მაღალი ალლაჰის შემწეობით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ (ციხე) აღებულ იქნა შუადღემდე. თურმე მოსულან გზადაბნეულ [ყიზილბაშთა] სარდლები: თოკმაკ-ხანი[4], იმამ-ყული-ხანი და ყარა-ხანი ყიზილბაშთა ოცდაათი ათასი რჩეული ჯარისკაცით და დაბანაკებულან ისე, რომ ჩალდირის ციხე და [კიდევ] ერთი მთა ზურგს უკან მოუქცევიათ. როდესაც ისლამის ორმოცი-ორმოცდაათი გმირი ჯარის დასაზვერავად გავიდა, ისინი ხვდებიან ყიზილბაშთა რაზმებს და ებმებიან მამაცურ ბრძოლაში. როდესაც ეს გარემოება სარდალს მოახსენდა, ის აგზავნის მათთან დიარბექირის ბეგლარბეგს დერვიშ-ფაშას, რო-

---

[1] بولو (თ.)—ასეული سپاه بولو—ასეულის უფროსი.

[2] ე. ი., 1578 წლის 9.VIII-ს.

[3] აქ დაბეჭდილია ﻭﻟﻪ, მაგრამ ამ სახელით ციხე არტაანის ახლო არ არის და ეს კორექტურული შეცთომა უნდა იყოს. სავსებით იმაშია, რომ Hammer-ის Geschichte...-ს თურქულ თარგმანში სათანადო ადგილას სქოლიოში მთარგმნელს მოყავს შემოკლებულად ფეჩევის ისტორიიდან მოთხრობა ჩალდირის ბრძოლის შესახებ და აქ ﻭﻟﻪ გასწორებულია ﻭﻥ-დ. როგორც ჩანს მთარგმნელს محمد-ს ფეჩევის ისტორიის ეს ადგილი შეუმოწმებია რომელიღაც ხელნაწერთან (იხ. 'حامه—تاريخى عشاء دلوه ტ. VII, გვ. 62). ﻭﻟﻪ უნდა იყოს დაახლოვებით არტაანსა და ჩალდირის ტბას შუა რუსულ რუკაზე Вель, ხოლო ქართულებზე ველი-ს სახელით ნაჩვენები ადგილი.

[4] თურქულ საისტორიო მწერლობაში ირანელთა ჯარი ცნობილია ან ყიზილბაშის (თ. قزلباش), ანაარადა სურხისერ (ს. سرخر)-ის სახელით, რაც წითელ თავს ნიშნავს.

[5] თოკმაკ-ხანი ყიზილბაშთა ჯარის მთავარსარდალია (იხ. Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, ტ. II, გვ. 480).

მელიც მზვერავთა (ნაწილის) მეთაური იყო. ეს [ფაშა] მამაცი, გმირი და მარდი ვაჟკაცი იყო. ის [არ იკითხავს] მტერი ცოტაა თუ ბევრი, დაედევნება და [სხვა] ჯარის კაცებს არ უყურებს და, საერთოდ, [ასეთ შემთხვევებში] ვერ მოისვენებს. ახლაც მასთან მყოფი სამას-ოთხასი კაცით ისე დაესხმება [მტერს], რომ ყიზილბაშის ორიოდე რაზმს გაიგდებს წინ და უკუაქცევს. მაგრამ ყიზილბაში ძალ-ღონეს იკრებს და ერთბაშად ესხმის თავს რამდენიმე რაზმით. ოცდაათზე მეტი სახელოვანი აღა[1] იხოცება და თვით მას ცხენიდან ჩამოაგდებენ და თავზე დაეცემიან. [შემდეგ] მისი კაცები კვლავ დაესხმიან თავს ყიზილბაშს და ერთ ორას ყიზილბაშს მიწაზე დაანარცხებენ და მას [დერვიშ-ფაშას] ცხენზე შესვამენ. იმავე ადგილას საკუთარი ხელით სამ ყიზილბაშს მოჰკლავს. კვლავ გამოუდგება ყიზილბაშის ნაწილებს და ახლა-კი დაიჭრება და დავარდება. [მაგრამ] რადგანაც კარგი ცხენოსანი იყო, კვლავ ცხენზე შეჯდება და მტკიცედ დაიკავებს თავის პოზიციას.

(ლექსი განსვენებული ლამი'ისა[2])

„რა ქნას ერთმა კაცმა, რაზომ მარდიც არ უნდა იყოს ის,
[რა ქნას] განმარტოებულმა ლომმა სისხლისმღვრელთა [მთელი] ბრბოს წინაშე".

სარდალი 'ოსმან-ფაშასაც[3] აგზავნის მასთან და მიაშველებს. 'ოსმან-ფაშაც ამ ადგილას არაჩვეულებრივ სიმამაცეს იჩენს. შემდეგ არზრუმის ბეგლარ-ბეგი ბაჰრამ-ფაშა და აჰმედ-ფაშა მეკითაბის-ძეც მიუსწრებენ. შეადღეზე ადრე იწყება და მზის ჩასვლამდე ისეთი ომი და ბრძოლა ხდება, რომ ცაში ანგელოზები ქება-დიდებას ამბობენ. ღვთის განგებისგანაა [ალბათ], რომ წვიმაც სრულებით თვალს ვერ აღებინებს [კაცს] და ჯარბაზნისა და თოფისათვის საესებით არ აკარებინებს ხელს. ომი წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ხმლით. დასასრულ, მზის ჩასვლისას ყიზილბაშს წელი[4] მოსწყდა; მაშინვე ხუთი-ექვსი ათასი თავი ლატანზე წამოაცვეს და მათი [ყიზილბაშის] უწმინდური ლეშები მოედანზე დაყარეს. ამოდენა ლაგამჩამოკიდებული ცხენი და ჯორი და [ამოდენა] აღვირიანი აქლემების ქარავანი და ამოდენა კარავი და სხვა ბარგი ისლამის გმირებს ხვდა წილად. მისი ზღვარი და რაოდენობა მხოლოდ მაღალმა ალლაჰმა უწყის. მეორე დღეს, როდესაც გაიცა ფერმანი[5] დაეთვალათ უძლიერესი სარდლის დივანში მოტანილი გასისხლიანებული წითელ-წითელი თავები, ხუთი ათასი თავი დათვალეს. ხუთასი კიდევ ცოცხლად დაჭერილი და დატყვევებული სახელოვანი ყიზილბაში მოიყვანეს. და ვინაიდან ფერმანი გაიცა მათთვისაც მოეკვეთათ თავები, [მოკვეთეს] და მათი უბედური თავებიც წინეთ მოტანილ თავებს შეუერთეს[6].

(II, გვ. 39—41)

---

[1] ჯანიჩერთა ნაწილის (ასეულის) უფროსი.

[2] ლამი'ი (ლამი'ი) ცნობილი ბურსელი სუფი მწერალი და პოეტი, გარდაიცვალა 1532 წელს (იხ. EI, ტ. III, გვ. 15)

[3] 'ოსმან-ფაშა (933—993 = 1526—1585) სულთან მურად მესამის დროს მოღვაწეობდა.

[4] ბრძანება.

[5] შდრ. Hammer, Gesch. des Osm. Reiches, II, გვ. 480—481.

მანუჩარ ქაიხოსროს ძის მორჩილება

ხსენებული მთავარი ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის კალთიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა[1]. იდგა აქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას აპატიებდა. და როგორც-კი გაიგო, თუ რა ბედი ეწვია თოკმაკ-ხანს, წამოვიდა [მანუჩარი] დილას და ღირსეული სარდლის კარავში მოვიდა. ამ დროს ყველა მირ-მირანი[2] და მირლივა[3] თავიანთი ლაშქრით სარდლის ბანაკში მოვიდნენ. ჯარს თან მოჰქონდა [მტრის მოკრილი] თავები და მოჰყავდა ჯაჭვით შებორკილი ყიზილბაშები; მათი [ყიზილბაშების] ალმები თავქვე გადაბრუნებული [იყო] და მათი დაფებისა და საყვირების ხმა დამარცხების მაჩვენებელი [იყო]. ცოცხლად მოყვანილ ყიზილბაშს კვლავ მისი მომყვანი აჩრიდა თავს. და მოსულმა აზნაურებმა სულ რაღაც ერთ წამს მიწაზე ამოდენა მტრის გაგორებული თავები დაინახეს [და ეს გარემოება] მათთვის დიდი მაგალითის მიმცემი და ჩამაგონებელი შეიქნა.

(II, გვ. 41)

ჩალდირის, თმოგვის[4], ხერთვისის[5] და ახალქალაქის[6] ციხეთა დაპყრობა

მას შემდეგ, რაც უძლიერესი სარდლის მიერ ზემოხსენებული ციხეების დასამორჩილებლად გაგზავნილ იქნა არტაანის სანჯაყის მირლივად დანიშნული 'აბდუ-რ-რაჰმან-ბეგი, მცხოვრებლებმა მორჩილება გამოაცხადეს. ფადიშაჰმა დაიკავა მხარე და თავისი მმართებლები დანიშნა[7].

(II, გვ. 42)

ტფილისის ციხის დაპყრობა

წელსა მასვე, ჯუმადი-ულ-ახირ-ის 20-ს[8]. ხსენებულ დღეს ისლამის ლაშქარი აღნიშნული ციხის პირდაპირ გაჩერდა. მისი მფლობელი დავით-ხანი საქართველოს მელიქებს შორის სახელოვანი მთავარი იყო. ის წინეთ შაჰის ქვე-

---

[1] აქ ლაპარაკია ზემოთ აღწერილი ჩალდირის ბრძოლის მონაწილეებზე (1578 წ.).

[2] მირმირანი (امیرامیر)—იგივეა, რაც ბეგლარ-ბეგი.

[3] მირლივა (امیرلوا)—იგივეა, რაც სანჯაყ-ბეგი სადროშოს მეთაური.

[4] თმოგვი თურქულ წყაროებში ყველგან ტრანსკრიბირებულია طومق (თუმექ)-ის სახით.

[5] ხერთვისი—قرتوس.

[6] آلكا ახ-ის ნაცვლად შეცთომით დაბეჭდილია آلكا ახა.

[7] ეს ცნობა ჰიჯრის 986 წლის ამბებთანაა მოყვანილი, რაც ჩვ. წელთაღრიცხვით 1578 წელს უდრის.

[8] ე. ი., 1578 წლის 24.VIII-ს.

შევრდომი გამხდარიყო, გვირგვინი დაედგა და [ეხლა] როგორც წინეთ, თავისი ქვეყნის მპყრობელი ყოფილა. ეინაიდან მან იცოდა, რომ ისლამის ლაშქრის თავდასხმას ვეღარ გაუძლებდა, ციხიდან გაიქცა, დატოვა ქვეყანა და სახლკარი და მთელი თავისი ხალხით გაუვალ მთებს შეაფარა თავი და იქ გაჩერდა. ზემოხსენებული ციხე და მისი მიდამოები ცარიელი და განადგურებული დატოვეს. შემდეგ ღირსეულმა სარდალმა [ეს] პროვინცია კასტამონიის სანჯაყ-ბეგ სოლაკ ფერჰად-ფაშას-ძეს მეჰმედ-ფაშას უბოძა. ჩაწერეს საკმაო რაოდენობის ციხის მცველები, მთელი საჭურველი სრულჰყვეს და [ეს ქვეყანა], როგორც რიგი და წესია, დაიკავეს[1].

(II, გვ. 42—43)

ლევან-მეფის ძის ალექსანდრე-მეფის[2] მორჩილება

იმავე წელს[3] [ისლამის ლაშქარი] ტფილისიდან დაიძრა, გადავიდა მდინარე მტკვარზე და დაბანაკდა მესამე მანძილზე ყაფურწყლის (قپور صوی) ნაპირას. ამ დროს ზაგემ და გრემად[4] წოდებული ორი დიდი ქალაქისა და საქართველოს რამდენიმე პროვინციის სახელოვან ემირს, საქართველოს მეფეებში სახელგანთქმულ და რჩეულ ზემოხსენებულ ალექსანდრე მეფესთან ამას წინეთ სარდლისაგან გაგზავნილი რწმუნებულები მივიდნენ და [თან მიიტანეს] გადმოსაბირებელი წერილები. მოვიდა ამბავი, რომ [ალექსანდრე მეფემ] ამასთან დაკავშირებით თავისი ქვეყნის წარჩინებულები მოიხმო და სახელოვანი აზნაურებისაგან[5] შეადგინა ამალა და უკვეგუსტოეს ბანაკში წამოსასვლელად მოემზადაო. თანახმად საფადიშაჰო წესისა, მთელი ისლამის ჯარი თავისი ძლიერებითა და დიდებით შემოეგება მათ. და ძლევამოსილი სარდლის ბანაკში რომ მოვიდნენ, თვით მას [ალექსანდრეს] რამდენიმე ხელი საპატიო ტანისამოსი მიეცა და სხვა მის ამალაში მყოფთ, მათი თანამდებობრივი მდგომარეობისდა-მიხედვით, პატივი აღმოეჩინათ. შემდეგ მას [ალექსანდრეს] ებოძა უზენაესი სიგელი მასში, რომ ის იღებს თავის თავზე იხადოს ხარაჯა წელიწადში: ოცდაათი დუქი[6] აბრეშუმი, 10 ჭაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა[7]

---

[1] შედრ. H a m m e r, Geschichte..... ტ. II, გვ. 482—483.

[2] თურქულად ხან (ხანი) წერია.

[3] ე. ი., 1578 წელს.

[4] ზაგემი თურქულ წყაროებში كرى ფორმით გვხვდება; H a m m e r-ი შეცთომით ხან Sagum-ად ხან კიდევ Sakuni-დ კითხულობს (იხ. Geschichte.... ტ. III, გვ. 43 და ტ. II, გვ. 483). გრემის სახელი გამომცემელს ძლიერ დაუმახინჯებია და كوكر-ად გადმოუცია; თუ აქ კორექტურული შეცთომა არ არის, მაშინ, საფიქრებელია, რომ გადამწერს ر ასო არეული ჭონდეს ك-ში. H a m m e r-ს გრემი Kerum-ად აქვს გადმოცემული (იხ. Geschichte... ტ. II, გვ. 483).

[5] „აზნაურ“ სიტყვა შესულია თურქულ საისტორიო მწერლობაში და ازناوز-დაა გადმოცემული.

[6] دك (თ. ტვირთი; არზრუმის სანჯაყის კანუნნამე-ში დუქი, როგორც წონის ერთეული, ასეა განმარტებული; ბათმანი-12 დუქს; დუქი=200 დრახმს (დრამა), იხ. H a m m e r, Des osmanischen Beichs Staatsverfas. u. Staatsverwalt. I, გვ. 250.

[7] چپ (არ.)—ფრთა; აქ ნახმარია როგორც ნუმერატიული სიტყვა.

ისპირის შავარდენი[1] და ათი ფრთა კიდევ ჰიჯიზის(?)[2] ბალაბანი[3] და [აგრეთვე მასში], რომ ის იქნება თავის ქვეყანაში მმართებლად ბეგლარ-ბეგის სახელწოდებით. (II, გვ. 43)

საქართველოს მეფეების ჩამომავლობის შესახებ მათივე რწმენათა მიხედვით[4]

ქართველი მეფეები ჩემულობენ, რომ მათი გვარი ქექაუს-ამდე (كاوس) და მის შემდეგ დავით წინასწარმეტყველამდე,—კურთხევა მაღალი ალლაჰისა იყოს ჩვენს წინასწარმეტყველსა და მასზედაც,—აღწევს. და ამბობენ, რომ უწინდელ დროში იყო ერთი სახელოვანი მეფე, სრულიად საქართველოს მპყრობელი და ამ ქვეყანაში სამართლიანობისა და ჭეშმარიტების მიმდევარი. როდესაც [მეფე] უეცრად მოკვდა, მას არ დარჩა ვაჟიშვილი, რომ მის ადგილზე დამჯდარიყო. მას დარჩა მხოლოდ თამარ დედოფალად[5] წოდებული ერთი ლა-

---

[1] شاهین طوغری — ვფიქრობთ, რომ ისპირის შავარდნის სახელით მაშინ ცნობილი იქნებოდა შავარდენთა გარკვეული ჯიში.

[2] ჰიჯიზ-ს მნიშვნელობა ჩვენთვის გაურკვეველია. საფიქრებელია, რომ „ჰიჯიზ", ისევე როგორც „ისპირ", დამახინჯებულად გადმოცემული გეოგრაფიული სახელი იყოს და ბოლო კიდური ა-კი სპარსული წარმოშობის აღმნიშვნელი აფიქსი.

[3] بلبان-ი ერთგვარი დიდთავიანი ჯიშ შავარდენია. (قاموس اعلام ترکی, I, გვ. 189), ხოლო بلبان ჯიშ დიდ და ბასრ ბრძყალებიანი შავარდენი (იხ. سامی ش. قاموس ترکی,—გვ. 429). თვით სიტყვა بلبان-ს سامی ش. ბულგარულიდან ნასესხებად მიიჩნევს და დასძენს, რომ თავდაპირველი მისი მნიშვნელობა როგორც ბულგარულში, ისე თურქულში „დათვი" არისო (იხ. დასახ. ლექსიკონი, გვ. 273).

[4] ასეთივე შინაარსის ლეგენდა საქართველოს მეფეთა შესახებ მოეპოვება XVI საუკუნის მეორე ცნობილ თურქ ისტორიკოსს 'ალი-ჩელებს (جلی عالی). პროფ. ვ. დ. სმირნოვმა, თავის ცნობილ ქრესტომათიაში „ Образцовые произведения османской литературы в извлечениях и отрывках" (С.-Пб., 1903 г.) მოათავსა ზოგიერთი ნაწყვეტი 'ალი-ჩელების تاریخ-ის სახელით ცნობილი თხზულებიდან და, სხვათა შორის, ეს ლეგენდაც აქაა დაბეჭდილი (იხ. გვ. 25—27; ვ. სმირნოვს ეს ნაწყვეტები ამოუღია 'ალი-ჩელების თხზულების ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერ ნუსხიდან). ადგილის სიმცირის გამო ჩვენ აქ არ შევეხებით ამ ლეგენდის ორივე ვარიანტის დაწვრილებით შედარებას, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ დეტალებში არსებული განსხვავებები (მაგ., 'ალი-ჩელების მიხედვით თამარს დაებადება ვაჟი და არა ქალი; თამარი და „თაედი" დაქორწინებიან და „თაედის" დაღუპვაზე მას არაფერი აქვს ნათქვამი) მოწმობენ, რომ ფეჩევის და 'ალის ამ ლეგენდისათვის სხვადასხვა წყარო აქვთ გამოყენებული.

[5] დაბეჭდილია كاوردوز, ძლიერ დამახინჯებულია, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია „თამარ დედოფალ"-ად წაკითხვა, რადგანაც: 1) დამახინჯება შემდეგ ნიადაგზე უნდა იყოს მოხდარი—პირველ ასოზე საჭირო ორი წერტილი გამომცემელს ერთ წერტილად მიუღია. მეშვიდე ასო ა უნდა იყოს და არეულია ა-ში, მერვე ასოს 3 წერტილიც ორ წერტილად არის გაგებული. ყველა ეს ლაფსუსი თურქულ ხელნაწერებში მოულოდნელი არ არის. ასეთი შესწორების შემდეგ ჩვენ მივიღებთ كاوردوز „თამაროდდოფალ" და ფეჩევის ხელნაწერში ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენს მიერ ადიგენის რაიონში ჩაწერილ თურქულ დიალექტოლოგიურ მასალებში თამარ-მეფე „თამარ დოდოფალ"-ად იხსენიება და არა დედოფალად. 2) 'ალი-ჩელების მიერ მოყვანილ ანალოგიურ ლეგენდაშიც სწორედ თამარ-დედოფალია (كاوردوز) ლაპარაკი და უშეცთომოდაა დაბეჭდილი (იხ. პროფ. სმირნოვის „Образцовые произведения.. გვ. 25).

მაზი ასული. და ამ სახელმწიფოში გამეფდა იგი მამამისის მსგავსად. და გაუვარდა სახელი, რომ მას გათხოვება არ ეწადა და ამბობდა, რომ მე მამაკაცი არ მხამსო. შემდეგ, მასთან მირახორის სამსახურის შესრულებასთან დაკავშირებით, მას დაუახლოვდა ერთი ლამაზი, მოხდენილი ყმაწვილი. ღვინოს თუ დალეედა მასთან ერთად დალეედა, თუ სასეირნოდ წავიდოდა, მასთან წავიდოდა და მას სრულებით არ შორდებოდა. მას სახელად თავადს (تاوات[1]) უწოდებდნენ. ერთხელ ზემოხსენებული ყმაწვილი მიუხტება, ტურფას მარტო დაიგულვებს და ნახავს მას ზედმეტად ღვინო დალეულს, შეძრწუნებულად მწოლარეს. მაშინვე ისარგებლებს მოხერხებული შემთხვევით, ტურფა ასულის სარეცელში შევა და, თავისი სურვილის მიხედვით, პირად წადილს დაიკმაყოფილებს. თუმცა ამ დროს ტურფა ასულიც გამოიღვიძებს, მაგრამ უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე თავს მოიმძინარებს. ამ სიავისა და მუხანათობისათვის მეორე დღეს მოინდომებს მის მოკვლას, მაგრამ [ჯერ ერთი] ხმა გავარდებოდა და [მეორე] ასეთი მცირე დანაშაულისათვის კაცის მოკვლა სამართლიანობა არ იქნებოდა. [ამიტომ უშუალოდ] არ ჰკლავს. მაგრამ მიზნად დაისახავს გააგზავნოს სადმე ისეთ ადგილას, სადაც ის დაიღუპება. ერთ დღეს ქორს გაუშვებს გაყინულ წყალზე და იხვს დააპერინებს. თავადს ეტყვის: უსათუოდ წადი და ქორი და იხვი მომგვარეო და გააგზავნის. ყინული არ იყო ისეთი [სქელი], რომ კაცი დაემაგრებინა. თავადის ცდამ ამაოდ ჩაიარა და დაიხრჩო. ტურფა ასული-კი დაორსულდება და, სათანადო დროის გასვლის შემდეგ, დაებადება ქალიშვილი. იმ დროს ვან-ის (وان) სოფლებში بشيرو-ად[2] წოდებული სოფელი ჭვებერთელა ქალაქი ყოფილა და მეფის ჩამომავალი ბაგრატოვანად (بكراوان) წოდებული უფლისწულის მამული ყოფილა. ამ ქალიშვილს ამ უფლისწულზე] დააქორწინებს. მას დაებადება სამი ვაჟიშვილი. საქართველოს სახელმწიფოს ამ სამ ვაჟიშვილს დაუნაწილებს: უფროს შვილს ქუთაშის (كوتاش) სამეფოს მისცემს. [ეს ქუთაში] ბაშიაჩიკის[3] ქვეყანაა. და ბაშიაჩიკის [მეფეთა?] გენეალოგია აქედან იწყება. შუათანა ვაჟს ტფილისს მისცემს და სიმონის გვარი მანამდე აღწევს. ისინი ლუარსაბის[4] შვილებად არიან ცნობილნი. უმცროს

[1] ‘ვლა-ჩელებს (პროფ. სმირნოვის ზემოხსენებული გამოცემის მიხედვით) ეს სახელი თავ-ის სახით აქვს გადმოცემული. აქ უფრო მოსალოდნელი იყო სახელი „დავით“, მაგრამ ფეჩევის თავ-ის „დავით“-ად წაკითხვა არ ხერხდება, თუ, რაღაქაუნდა, გამომცემელს ეს სიტყვა დამახინჯებული არა აქვს. ფეჩევის ეს სახელი ამ ფორმით სამჯერ აქვს მოყვანილი. საერთოდ თურქულ წყაროებში „დავით“ ყველგან داو-ად არის გადმოცემული და ამიტომ არც ‘ვლა-ჩელებს თავ, „დავით“ არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ ამავე ლეგენდაში ის იხსენიებს داو-ად ორ დაითს: ლუარსაბის შვილებს სიმონს და داو (დავით)-ხანს და داو (დავით) წინასწარმეტყველს, ისევე, როგორც ფეჩევის ამ უკანასკნელის სახელად داو-ი აქვს მოყვანილი ლეგენდის დასაწყისშივე. Hammer-ს მოჰყავს შემოკლებით ორიე ისტორიკოსის ლეგენდა და ამ სახელს კითხულობს David (Bagration)-ად (იხ. მისი Geschichte..... ტ. II, გვ. 481), რაც, ჩვენის აზრით სწორი არ უნდა იყოს. უფრო საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში თურქმა ისტორიკოსებმა სიტყვა „თავადი“, რომელიც ამ დროის თურქულ წყაროებში საკმაოდ ცნობილია, საკუთარ სახელად მიიღეს.

[2] Hammer-ით „...das Dorf Bagraschin bei Wan“. იქვე.

[3] იმერეთი თურქულ წყაროებში ბაშიაჩიკადაა ცნობილი.

[4] გამომცემლის ან გადამწერის შეცთომით لوارسا-ის მაგივრად تورلوا წერია.

შვილს კახეთის[1] პროვინციას მისცემს. [ეს პროვინცია] ლევან[2] მეფის ქვეყანაა. მაგრამ ვინაიდან უფროსი შვილის გვარი ბაშიაჩიკის მეფეებიდან იწყება, ყველა მის პატივისცემასა და დიდებაში ერთსულოვანნი არიან. მაგალითად, მისგან დაწყევლას ერიდებიან, ხმალს მას შემოარტყმევინებენ და გაპირვების დროს რჩევა-დარიგებისათვის მას მიჰმართავენ. განსვენებული სულთანი სელიმ პირველი, თავისი ბატონიშვილობის დროს, მათ სატახტო ქალაქ ქუთაშში[3] ჩავიდა. მათ მორჩილება გამოუცხადეს და ბატონიშვილმა ხარაჯები აპატია. ახლაც მათ ხარაჯა არ მოეთხოვებათ. ვინაიდან სხვა ვითარებათა შესახებ მოთხრობა [ძლიერ] გაჰიანურდებოდა, ამოდენათი ეკმაყოფილდები.

(II, გვ. 44—45)

ტფილისის ციხისათვის ალყის შემორტყმა და ალყაშემორტყმულთა გაპირვება

მას შემდეგ რაც ისლამის ლაშქარი არზრუმში ჩავიდა[4], ტფილისის ბეგლარ-ბეგისაგან მიღებულ იქნა რამდენიმე წერილი, რომელშიაც ის წერდა თავიანთ გაპირვებაზე და შველას ითხოვდა. მაგრამ მრავალი ცდილობისდა მიუხედავად სურსათის მიწვდენა მაინც შეუძლებელი გახდა. და ვინაიდან ყიზილბაშებმაც იცოდნენ მათი ასეთი გაპირვებული მდგომარეობა, იმამყული ხანი წამოვიდა ათი ათასი ჯარით და სრული ოთხი თვე ციხეს ალყა შემოარტყა. ციხეში ალყაშემორტყმულთა შორის ხორბლის ქილა ათას ახჩად[5] იყიდებოდა, ქერისა კი რვა ასად, და, ბოლოს, ისიც არ დარჩა. ერთი აქლემი ოცი ათას ახჩად გაიყიდა. ბოლოს ძაღლისა და კატის ხორციც ჭამეს. ისე რომ თითო ძაღლიც გაიყიდა ორ-ორ ათასად. ამ გაპირვება-უბედურებაში მყოფ ალყაშემორტყმულ მეციხოვნეებში მხოლოდ შეიდასი კაცი გადარჩა.

---

[1] აქაც გამომცემლის დაუდევრობით ახს-ის მაგივრად ახს-ია დაბეჭდილი.

[2] ლევან მეფე თურქულ საისტორიო წყაროებში ყველგან ليوند-ად (ლეევენდ-ხან) იხსენიება.

[3] აღსანიშნავია, რომ „ქუთაისი“ ფენჩენკერ „ქუთაშ“-ად აქვს ნახსენები. შესაძლებელია გრძელი ა თ-ს შემდეგ იმალეს აღნიშნავდეს. ამ შემოხვევაში სიტყვა წაკითხულ უნდა იქნეს ამგვარად: „ქუთეშ“ (შდრ. მეგრული „ქუთეში“).

[4] ცოტათი ზემოთ, 56 გვერდზე, ნათქვამია, რომ არზრუმში ჯარის შეგროვების შესახებ ფირმანი გაიცა 987 წლის გაზაფხულს, ჯუმადი-ულ-ევველ-ის თვეს, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით=1579 წლის 26.VI—25.VII-ს. მოყვანილი ცნობის თარიღად ეს უნდა იქნეს მიჩნეული, ეს ამბავი Hammer-ს აღწერილი აქვს თავის Geschichte-ს (II ტომი) მე-489 გვერდზე და ათარიღებს 1579 წლის 17 მაისით.

[5] ახჩა (თ.)—მოთეთრო; ფულის მნიშვნელობით (შდრ. ქართული „თეთრი“); სულთან ორხანის დროს (1326—1359 წ.) მოჭრილი პირველი ოსმალური მონეტა. შემდეგი დროის ფულის ერთეულებთან შეფარდებით ახჩა, რომელსაც ევროპიელები ასპრ (ბერძნ. asper)-ს ეძახიან, ოსმალური ფარას $^1/_3$-ია, ხოლო ფარა ყურუშის (ევროპულ ენებში=piaster) $^1/_{40}$-ია; ასე რომ 120 ახჩა=1 ყურუშს.

საქმე ამ ზომამდე რო მივიდა, [ყიზილბაშებმა] ათასი მცდელობითა და დაპირებებით დაყინებით მოითხოვეს ციხე, მაგრამ არ მისცეს. შემდეგ ბედნიერებამოსილმა სარდალმა მუსტაფა-ფაშას ხელით საკმარისი სურსათი გააგზავნა. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ გააგზავნა სურსათი და მაგ საწყლებს სიცოცხლე შეუნარჩუნა. თუმცა ამდენი სურსათის ნაწილი ქართველ ქაფირებს შეხვდა, მაგრამ რამდენიმე ნაწილი მაინც მუსლიმებს ერგოთ. კვლავ დამზადებულ იქნა უამრავი სურსათ-სანოვაგე და გაიგზავნა დიდი ვეზირის თვალის-ჩინისა და მისი მეტად საყვარელი ჰასან-ფაშას ხელით. [ამ უკანასკნელს] სერასქერობა მისცა. მან გამოიჩინა არაჩვეულებრივი გმირობა და თექვსმეტი დღის განმავლობაში მიაღწია [დანიშნულ ადგილს]. აქ უცნაური ის არის, რომ ხსენებულ ფაშას ორი დღის წინეთ თავისი მამისაგან მოუვა წერილი, რომელშიაც [მამა] სწერს: ვიცი რომ შენ მოგეცემა ფირმანი ტფილისისათვის სურსათის მისაწოდებლად, წინააღმდეგობა არ გასწიო, კარგად მოემზადე და ისე გაემგზავრე და ეს სამსახური ბედნიერების წინწამძღვრად მიიჩნიე-ო. [ამ წერილის შინაარსი] თვითონ მას გაუზიარებინა ზოგი თავისი ახლობლისათვის[1].

(II, გვ. 57—58)

ღირსეული სარდლის ტფილისისაკენ გამგზავრების ამბავი[2]

როცა ბედნიერებამოსილი სერასქერი ღირსი გახდა უავგუსტოესი ბეჭდის ჩაბარებისა[3], ის დაიძრა წინანდელი ბანაკიდან, მანძილ-მანძილ იარა და ტფილისის ახლო დაბანაკდა. საქართველოს ბეგებში-კი ყველაზე უფრო გამჩრიახი გიორგი-ბეგი (كورجي) იყო. რომელსაც მორჩილება უწინდელი სარდლისათვის გამოეცხადებინა; ეხლა მოვიდა, ისლამი მიიღო, სერასქერის სენაია გახდა და, ვინაიდან ტფილისის ბეგლარ-ბეგზე[4] რამდენიმე მომჩივანი გამოცხადდა, ტფილისის პროვინცია ებოძა მას [გიორგის] ჯუსუფ-ფაშას სახელით[5]. ზემოხსე-

[1] შდრ. H a m m e r, იქვე.

[2] ეს ცნობა მიჰყვება 988 წლის შემდეგ მოთავსებულ ამბებს, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით=1580 წელს.

[3] აქ ლაპარაკია სინან-ფაშაზე, რომელიც დმანისის (جانسي) გზით ტფილისს მიემგზავრება და გზაში დაეწევიან და ბეჭედს ჩააბარებენ. ამის შესახებ მე-65 გვერდზე ფეჩევი ამბობს: „ხსენებული წლის [ე. ი. 988—1580 წ. ხ. ჯ.] ჯუმადი-ულ-ახირის შუა რიცხვებში (ე. ი. დაახლოვებით ივლისის დასასრულს. ხ. ჯ.) დმანისის უღელტეხილზე მივიდნენ. თუმცა აქ ბრძახება იქნა გაცემული ციხის [ალბათ დმანისის ციხის. ხ. ჯ.] შეკეთებისა და აღდგენის შესახებ, მაგრამ უზომო წვიმებმა ხელი შეუშალა ციხის შეკეთებას და ამ განზრახვაზე ხელი აიღეს. [აქ] რამდენიმე დღე გაჩერდნენ და შემდეგ [დაიძრნენ] და დაბანაკდნენ ისეთ ადგილას, სადაც მრავალი წყალი და ბალახი მოიპოვებოდა“. შემდეგ ფეჩევი ამბობს, რომ რეჯების თვის მე-14 დღეს (=25 აგვისტოს) ქეთხუდა ჰასან-აღამ მოუტანა და ჩააბარა სინან-ფაშას დიდი ვეზირის ბეჭედი (შდრ. H a m m e r, ტ. II, გვ. 492).

[4] H a m m e r-ის მიხედვით, ეს ბეგლარ-ბეგი ჰაჯი-ბეგის-ძე ახმედ-ფაშა იყო (იხ. იქვე).

[5] H a m m e r-ს გიორგის მაგივრად Gregor ლუარსაბის-ძე ყავს დასახელებული (იქვე).

ნებულ ბანაკში ხშირად ყიზილბაშის ასქერები ზოგ (ჩვენს) მესურსათეებსა და მეალაფეებს უხვდებოდნენ და ისლამის ლაშქრის გარშემო დახეტიალობდნენ. სწორედ ამ ხანებში გავარდა ხმა, რომ გზადაბნეული შაჰი თავისი სამოციათასი ბოროტი ლაშქრით ემზადება თავს დაეცეს [ჩვენს] ჯარს და ისლამის ლაშქრის ძლიერება შეანელოსო. ამ მიზეზის გამო დიდებამოსილი სარდალი ხშირად ცხენზედ შეჯდებოდა და უავგუსტოეს ჯარს გარშემო უელიდა-ხოლმე. აბა, ყიზილბაში საიდან გამოყოფს თავსო, ამბობდნენ, და რამდენ მშიშარას უსკდებოდა გული. ზაგემის მფლობელი ლევან-მეფის შვილი ალექსანდრე-მეფე უწინდელ სარდალს ამ ადგილას შეხვედროდა. ესენი [ქართველები?] კვლავ მოდიოდნენ და [ყველაფერს] აკვირდებოდნენ. ამასთანავე ერთად ხმა გავარდა, რომ წინანდელი სარდალი, რომელიც ძლიერ დინჯი მოხუცი იყო, ამბობდაო რომ [მათ] მიეენდე, მაგრამ ესენი გადაბირებულნი არიან, ახალგაზრდებია და მათ ვერ დავუჯერებო. და შაჰს ერთი ორი წერილი უნდა ჰქონოდა ალექსანდრე მეფისათვის გაგზავნილი. გაიძვერა რე'აჲათაგანს[1] წერილი რომ მიქონდათ რამდენიმე [ჩვენი] ასქერი შემოხვდა წინ და [წერილი] უავგუსტოეს ბანაკში წაიკითხეს. [წერილი] დაკავშირებული იყო ისლამის ლაშქრისათვის ოინების მოწყობასთან. [წერილი] ძლევამოსილ სარდალს წაუღეს. თუმცა მან გარეგნულად ყურადღება არ მიაქცია და ლაშქარი ადგილიდან არ დასძრა, მაგრამ სიფრთხილისათვის იმ ადგილზე დგომა მიუღებლად სცნო. მეორე დღეს ბაჰრამ-ფაშა მზვერავთა [ნაწილის] უფროსად დანიშნა და კარავთან ერთად ერთი მანძილით წინ გააგზავნა. ხოლო თვითონ სხვა მიმართულებით წავიდა. ამით მან სიფრთხილეს მიმართა და იმ მთავარ გზაზე [მტერს] თავისი კვალი დაუბნია. ბაჰრამ-ფაშასთან მიმაელებმა სარდლის ამბავი მხოლოდ მეორე დღეს ორ სალათს[2] შუა გაიგეს, სრული სიჩქარით დაედევნენ და ათასი გაჰირვებით იპოვეს მისი კარავი. მაგ ბნელ ღამეში ბევრი იქნა გაძარცული და ზარალი ნახეს. და რამდენიმე გამოჩენილი ზა'იმი[3] და ჩავუში[4] ჩაუვარდა ტყვედ საქართველოს ქმაფირებს და რამდენიმე კიდევ ამავე მიზეზით გამოესალმნენ წუთისოფელს. ხსენებული მანძილი გაიარეს და მანუჩარის ქვეყნისაკენ გაემგზავრნენ. მათი მიზანი იყო ერთი დღით ადრე დაბანაკებულიყვნენ ყარსის უდაბნოში და იქიდან ცდილიყვნენ ირანის სახელმწიფოს საძარცვავად გაეგზავნათ ჯარი. შემდეგ დაბანაკდნენ ერთ ტყეში. [აქ] ქართველ ყაჩაღთა [და] ქურდთა თვალებს ძილი არ მიეკარა და [ამის გამო] არც ერთ კაცს ერთი საათითაც არ დაუსვენია. დასასრულ, ყარსის მიდამოებში დაბანაკებიდან ორი დღის შემდეგ, თანახმად მისი სტამბოლში დასახული [მიზნისა], მან გადასწყვიტა გამგზავრება

---

[1] ხსნ (არ.)—სამწყსო, ქვეშევრდომი.

[2] საათ (არ.)—მაჰმადიანთა რიტუალური ლოცვა. აქ წყვილობით ფორმაშია (صلاتين) მოცემული და იგულისხმება (მეორე დღის) პირველი ორი (დილისა და შუადღის) ლოცვის შუა დრო.

[3] გაზი (არ. მრ. ხაზ)—მსხვილი მიწათმფლობელი—ფეოდალი, რომელიც ვალდებული იყო გარკვეული რაოდენობის ჯარი გამოეყვანა ომის შემთხვევაში.

[4] ჩავუშები ოსმალთა ძველ ჯარში ადიუტანტებისა და სხვა მნიშვნელოვან თანამდებობის პირთა მოვალეობას ასრულებდნენ.

თაერიზის დასაპყრობად და, ამის მიხედვით, ყველამ სანოვაგე მოამზადა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჯაშუში მოვიდა და მოიტანა ამბავი, რომ შაჰი არფა-ჩაირად წოდებულ ადგილამდე მოსულიყო, მაგრამ რომ გაიგო [ამბავი] ისლამის სარდლის გულადობაზე, მის შორსმჭვრეტელობასა და მოფიქრებულ მოქმედებებზე, უკან დაბრუნდაო. და, დიდებამოსილი სარდალი ამ ამბავმა უსაზღვროდ გაახარა. ჩვენგან რამდენიმე მანძილით დაშორებული მტრის გაქცევაც საკმარისიაო [თქვა] და ამ განზრახვას თავი დაანება.

(II, გვ. 66—63)

ზემოხსენებული სარდლის [სარდლობის] მეორე წლის ამბები და ლორისა და გორის დაპყრობა

993 წელს [1], როდესაც გაზაფხულმა მოაღწია, ისლამის ლაშქარი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა უკანასკნელი ლაშქრობის [ჩატარება], ჯარის შემადგენლობისადმი სრული მზრუნველობის გამოჩენით, უკანასკნელს ბანაკში მოვიდნენ. შემდეგ მაღალღირსეულმა სარდალმა დაიპყრო და შეაკეთა ლორის ციხე, დანიშნა მისი ბეგლარბეგი და შეავსო სხვა სამხედრო საჭურველიც. შემდეგ გორის ციხისათვისაც მოამარაგა სამხედრო მასალა, როგორც საჭირო იყო. იმ ჰხარეს, ე. ი. საქართველოს საზღვარზე რაც ციხეები იყო, საჭიროებისდა მიხედვით, ზოგ [ციხეში] მეტი ჯარი ჩააყენა, ზოგში-კი შესაკეთებელი ადგილები შეაკეთა და არავითარი დეფექტი [ციხეებში] არ დაუტოვებია.

(II, გვ. 87—88)

დიდი ვეზირის მეჰმედ-ფაშას ძის ჰასან-ფაშას [საქართველოში] შესევა და ნადავლის ხელში ჩაგდება

იმავე წელს [2], როდესაც გორის ციხეში მივიდნენ, ზემოხსენებულ ჰასან-ფაშას თაეიანთი ლაშქრით შეუერთდნენ სივასისა და რუმის ბეგლარ-ბეგი დიდი ვეზირის სინან-ფაშას-ძე მეჰმედ-ფაშა და ყარამანის ბეგლარ-ბეგი, მეორე მეჰმედ-ფაშა. უკანასკნელს ჯარში ღამით მოულოდნელი თავდასხმის მსურველნი გმირები იყვნენ. მათ [ამის] ნება მიეცათ და გაიგზავნენ. შეესივნენ საქართველოს გორიდან სამი-ოთხი მანძილის სიშორეზე. უამრავი და უსაზღვრო ნადავლი იშოვეს და ტყვეებიც წამოასხეს. ისე რომ ხუთი ათასი კომლი, [მთელი] ტომის მოსახლეობა, გამოირეკეს და თან წამოიყვანეს. სხვა ძვირფას ნივთებს კი დასასრული არ უჩანდა.

(II, გვ. 88)

[1] ე. ი. 1585 წელს.
[2] ე. ი., 1585 წელს.

ისლამის ლაშქრის ტფილისში ჩასვლა და ალექსანდრე მეფისაგან[1] ხარაჯის აღება[2]

როცა ისლამის ლაშქარი ქონებითა და ნადავლით აღივსო და დაკმაყოფილდა, ზემოხსენებული მანძილიდან[3] ტფილისს მოვიდნენ და [აქ], როგორც საჭირო იყო, მომარაგდნენ სამხედრო საჭურველითა და ტყვია-წამლით. ლევან-ხანის შვილს ალექსანდრე-ხანზე დაკისრებული იყო [ხარაჯა]: ოცდაათი ჯუჭი აბრეშუმი და რამდენიმე ყმაწვილი და უბადლო [სილამაზის] მხევალი; [აიღეს და] წაიტანეს. და კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე კიდევ ბალაბანი წაიყვანეს. ეს ალექსანდრე მეფე, თავისი აზრით, მცოდნე და გაგებული კაცი იყო; ისე რომ თავის ბეჭედზე გამოსახული ჰქონდა ჰაფიზ შირაზელის ლექსის შემდეგი ხანა:

„არც ხიზირის[4] სიცოცხლე დარჩენილა და არც
ისქენდერის [ალექსანდრე მაკედონელი] სამფლობელო,
[ამიტომ] ნუ ემდური უმსგავსო ქვეყნიერებას, დერვიშო![5]

ქაჯაფირთა ენაზე ისქენდერს უმთავრესად ალექსანდრეს ეტყვიან. ამოდენა ეჭვებით იყო შეპყრობილი.

(II, გვ. 88—89)

საქართველოს მელიქ[6] მოურავის (یاور)[7] მიერ კარჩიკაის მოკვლა და საქართველოს დამორჩილება, 1034 წელი[8]

ხსენებული, მოურავად წოდებული, მელიქი დიდი მელიქი იყო, რომელიც სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ქეთხუდად[9] და შაჰაბასის მეგობრად

---

[1] ლევან და ალექსანდრე მეფეები ხან (خان)-ებად იხსენიებიან.

[2] ეს ცნობაც ზემოხსენებულ წელს (1585) ეკუთვნის.

[3] ე. ი. გორიდან.

[4] ხიზირი (خضر) მეტსახელია ილია წინასწარმეტყველისა, რომელზედაც არსებობს ლეგენდა, რომ მან დალია უკვდაების წყალი.

[5] ეს ლექსი სპარსულადაა მოყვანილი. მისი თარგმანი ეკუთვნის დოც. ვლ. ფუთურიძეს.

[6] ملك (არ.)—მეფე, ხელმწიფე; შემდეგ: მმართველი, მელიქი.

[7] დიდი მოურავი გ. საყაძე თურქულ საისტორიო წყაროებში ცნობილია „მაურავ"-ის, ან „მაურავ-ხანის" სახელით, რომელიც თურქულ ტრანსკრიფციაში უმთავრესად ამგვარადაა წარმოდგენილი: یاوری (მაურავ), ან კიდევ خان یاوری (მაურავ-ხან). მაგრამ ზოგ წყაროებში, მაგალითად, მე-XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის ხაჭ-ს დაბეჭდილ შრომაში, یاغی (მაღრავ)-ი გვაქვს (იხ. خاچ چیلر, ტ. II, გვ. 344 და შემდეგი). ალბათ აქედან გამომდინარეობს Hammer-ის გერმანული ტრანსკრიფცია Maghraw ან Maghrawchan (იხ. მისი Geschichte..... ტ. III, გვ. 43 და შემდეგი). ზოგს ხელნაწერში და აგრეთვე გამოცემულ ძეგლებში ამ სახელს უფრო მეტი დამახინჯება განუცდია. ასე, მაგალითად, სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში დაცული ნაʻიმა-ს ისტორიის ხელნაწერ ნუსხაში (№ 2323/59, გვ. 227 და შემდეგი) یاغی (მაღრად)-ი გვაქვს, ხოლო სულთნის მიერ მოურავისადმი გამოგზავნილ ფერმანში, რომელიც გამოცემულია كتب وديعة-ის მიერ, გვხვდება ამაზე უფრო შერყვნილი ფორმა—وغلى (მაღზეე) (იხ. كتب وديعة تاشى, ტ. II, გვ. 311).

[8] ე. ი., 1624 წელი.

[9] خدمتكار (სპ.)—მოურავი, მმართველი, მამასახლისი.

იყო ცნობილი. ზოგ საჭიროებათა გამო ზემოხსენებულ მოურავს ორი-სამი ხანისა და მათი ჯარის თანხლებით შაჰი საქართველოში აგზავნის. თურმე საქართველოს მიერ შაჰის საწინააღმდეგოდ [გაწეული] ერთგვარი ურჩობა მოურავსვე მოუწყვია ყიზილბაშზე შურის საძიებლად. მოხერხებული შემთხვევა რომ მიეცა, კარჩიკაი და მასთან მყოფი ხანები დახოცა და ერთი-ორი ათასი ყიზილბაშის ჯარს თავი მოსჭრა[1]. ზემოხსენებული წლის რამაზანის მე-27 დღეს[2] ოსმალთა ჯარის [ბანაკში] მოვიდნენ [მოურავი] მისი შვილითურთ და საქართველოს ზოგი მელიქთაგანი კარჩიკას და სხვა ყიზილბაშთა თავებითა და მოენე ტყვეებით, საყვირებითა და დიდი დაფებით და ორას-სამასი ბაირაღით.

[მოურავმა] სიტყვა-სიტყვით ასე მოახსენა: ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა დინასტიას არ მისცემია და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიიღეთ ზომა და ისწრაფეთ, რომ ისლამის ჯარითურთ ამ ქვეყნისაკენ გაემგზავროთ. უეჭველია, რომ, როგორც კი ყარაბაღს, განჯას, ერევან-ს[3] და შირვანს ჩახვალთ, ყველა ეს [ქვეყნები] მაშინვე დაგმორჩილდებიან. არ არის საჭირო ლაპარაკი იმაზე, რომ ესენი ყიზილბაშთან მწყრალად არიან, [რადგანაც] თვითონ სუნიტ-მუსლიმებს ეკუთვნიან. ამის შემდეგ სულ ადვილია ერდებილისა და მეშჰედის იოლად აღება და ყიზილბაშის ქვეყნისათვის ცეცხლის წაკიდება. და თქვენ სრულებით ნუ გაფიქრებთ აქლემები და ჯორები, და სურსათ-სანოვაგისა, ზარბაზნებისა და სხვა საჭურველთა გადატანისათვის საჭირო მზრუნველობა. [რადგანაც ასეთები] აქ მოიპოვება, რამდენიც მოგესურვებათ. მაღალი ალლაჰის მადლით ისლამის ჯარი იმდენ სიმდიდრესა და ნადავლს ჩაიგდებს ხელში, რომ ქვეყნის დასასრულამდე სალაპარაკო დესტანად[4] გადაიქცესო. როცა ისინი ჰაფიზ-ფაშასთან ამოვიდნენ, მეც იმასთან ვიჯექი. მოურავის წერილობითი პატაკი მიაწოდეს და მისი შინაარსი ვრცელი ახსნა-განმარტებებით მოახსენეს. განსვენებული ჰაფიზ-ფაშა უცნაური ხასიათის ვეზირი იყო. მისგან ბევრი მოწყალება მიმიღია და ურიცხვი კეთილი საქმე მახსოვს, მაგრამ რასაც ვწერ, ესეც სიმართლეა და ბოროტება და ცილისწამება არ არის. მაღალი ალლაჰია ამის მოწმე. ამათ არავითარი გადაჭრილი პასუხი არ მისცა. რამდენიმეჯერ მოვიდნენ და წავიდნენ, გარკვეული პასუხი ითხოვეს, მაგრამ გამგზავრებაზე არც „ჰო"-ს და არც „არა"-ს არ ამბობდა. მეც ძალიან დაბეჯითებით უთხარი [ფაშას], რომ ასეთი მოხერხებული შემთხვევა მეორედ ხელში არ ჩაგვიეარდება მეთქი[5]. ჩვენო, ბედნიერებით მოსილმა ფადიშაჰმა ბაღდადის დაპყ-

[1] ზემოხსენებული ისტორიკოსი ნა'ი მა-კი თავის ისტორიაში წერს, რომ ქართველები დაერივნენ და იმდენი ყიზილბაში გაუწყვიტეს, რომ ოცდაათი ათასიდან მხოლოდ სამმა ათასმა ძლივს უშველა თავსო (იხ. ზემოდასახელებული ხელნაწერი ისტორიის იგივე ადგილი). შდრ. აგრეთვე H a m m e r, Geschichte... ტ. III, გვ. 44).

[2] ე. ი., 3.VII-ს.

[3] H a m m e r-ს ამის ადგილას ერდებილი აქვს მოყვანილი (იქვე).

[4] داستان (სპ. داستا)—ეპიური მოთხრობა, თქმულება.

[5] შეადარე Hammer, ტ. III, გვ. 44. ფეჩევის ეს ცნობა, როგორც თანადამსწრესი, ამ ადგილიდან სიტყვა-სიტყვით მოყავს XVII საუკუნის უფრო გვიანდელ ისტორიკოსს نجیا (ნა'ჯია)-ს (იხ. تاریخ نجیا. ტ. II, გვ. 347).

რობა დაგვინიშნა და საქართველოსა და შირვანს გამგზავრება ნაბრძანები არა გვაქვსო. ჩვენმა ბედნიერებით მოსილმა ფადიშაჰმა რომ იცოდეს, რომ მოურავი მოგვეველინა და, რომ შესაძლებლობა არის მტრებს შორის ასეთი დიდი განხეთქილება ჩამოვარდეს, მაშინ [ფადიშაჰი] თქვენ, უპირველესად ყოვლისა, იქ გაგგზავნიდათ და, შეიძლება, გადაეწყვიტა და თვითონ თავის თავზე აეღო ომის წარმოების სიძნელეები-მეთქი. ჩვენ ამნაირი პრეცედენტი გვაქვს: ვიდრე ენგრუსის (انكروس)[1] ბრძოლებში მტრებს შორის ფოჩკაი (بوچقای)[2] არ გამოჩნდა, ჩვენ ქმაფირები ვერ დავამარცხეთ და მათ ქვეყანაში ერთი ნაბიჯით წინ ვერ წავიწიეთ. თუ ამ შემთხვევას ხელიდან გავუშვებთ სულ მუდამ სინანულში იქნებით-მეთქი—უთხარი. არაფერი არ გამოვიდა. უკანასკნელი მისი პასუხი ეს შეიქნა, რომ თქვენ ჯერ ჩემი ხასიათი არ გცოდნიათ. მე ვიდრე რომელიმე [წამოწყების] წარმატებით შესრულებაში არ დავრწმუნდები, ამ მიმართულებით ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამო. მაშ, როგორც დიდებულ სულთნებს, ისე პატიოსან ვეზირებს, რომელთაც ამოდენა ბრძოლები და დაპყრობანი წარმატებით ჩაატარეს, [წინდაწინ] ცოდნიათ რომ გაიმარჯვებდნენ და იმიტომ წასულან? ომში გამგზავრებისას სარდლისათვის სიმამაცე და მაღალ ალლაჰზე სრული მინდობა არის საჭირო. ან ეხლა ბაღდადში რომ ჩახვალთ, ნამდვილად იცით, რომ დაიპყრობთ და გაიმარჯვებთ-მეთქი?—უთხარი. თუ მაღალმა ალლაჰმა ინება, ასეც იქნება, ჩემი მტკიცე რწმენა ასეთია და, შეიძლება, [ამაში] ეჭვი სრულიადაც არ მეპარებოდესო—მითხრა. საქმე იმაშია, რომ ბრძოლებს მუდამ ისე ადვილად და წარმატებით ვაწარმოებდით, რომ ჩვენც ასეთი რწმენა გვქონდა ჩანერგილი. ამის გამო იყო, რომ მან დაიჩემა [ამ საქმის] გადადება. შემდეგ ჯენიჩერის აღა, ხუსრევ-აღასთან[2] შევეცადე და უთხარი, რომ, თუ თქვენ თვითონ არ წახვალთ, იზრუნეთ და კარგად მომზადებული და მრავალრიცხოვანი ჯარი მაინც გააგზავნეთ-მეთქი. ჩვენო სარდლის ხელქვეითები ვართო და რასაც [სარდალი] გვიბრძანებს, იმას შევასრულებთო. ჩემთვის უექველი გახდა, რომ მას [ხუსრევ-აღას] ჰაფიზის გამარჯვება [და წარმატება] არ უნდოდა. ამაღე მიზეზით მაღალმა ალლაჰმა თვით მასაც არ გაუმარჯვა. საოცარია, რომ თავისი სარდლობის დროს, მან [ხუსრევმა], მოურავი, მისი შვილი და [მოურავის მხლებლები] ორმოცამდე კაცი ერთბაშად დახოცა. შაჰს რომ ათასი ჯუჭი[3] ახჩა მიეცა ან რომელიმე შემოსავლიანი პროვინცია რომ ებოძა, არ იზამდა; [ხოლო აქ] არც ალლაჰის შეეშინდა და არც სისხლს მოერიდა და ასეთი აშ-

[1] ცნობილი თურქი ლექსიკოგრაფი ა. ვეფიკ-ფაშა انكروس-ის უფრო სწორ ფორმად انقروس-ს მიიჩნევს და ამბობს, რომ ეს არის მაჯართა (ან მადიართა) სახელიო. (იხ. شمس الدين سامى: قاموس تركى، ج. 1، ق. 81). ამისდა მიხედვით აქ ლაპარაკი უნდა იყოს უნგრელებზე და მათ სამხედრო პირზე—ფოჩკაიზე.

[2] ხუსრევმა შემდეგში ფაშობა მიიღო და (სულთან მურად IV-ის დროს) დანიშნულ იქნა დიდ-ვეზირად. ძლიერ მტარვალი და მრისხანე ვეზირი იყო. როგორც ცნობილია, შემდეგში მან მოაკვლევინა დიდი მოურავი თავისი შვილითა და ორმოცამდე მხლებლებით. ბოლოს თვით ხუსრევ-ფაშას ბრალი დაედვა სახელმწიფოსადმი ორგულობაში, რის გამო სულთნის ბრძანებით მოკლულ იქნა ჭ. თოკათში, ხოლო მისი მოკვეთილი თავი სტამბოლს გაიგზავნა.

[3] كوز (თ.) — ტვირთი, საპალნე; აქ ნიშნავს თანხას 100.000 პიასტრის (ყურუშის) რაოდენობით.

კარა უსამართლობა ჩაიდინა. იმ დროს შაჰ-აბასის გაწეფებიდან ორმოცი წელიწადი შესრულდა. საქმე ის არის, რომ ამ ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი [შაჰს] არ მოსელია. მოურავის მეოხებით და მოურავთანვე ბრძოლაში დაიღუპა და განშორდა წუთისოფელს შვიდი სახელოვანი ხანი, რომელთა ტოლები ყიზილბაშის ქვეყნებში არ მოიძებნებოდა. მათ შორის იყვნენ ერთი კარჩიკაი, ერთი შირვანის ხანი—ჲუსუფ-ხანი, ერთი ემირგუნე[1] და სხვები.

(II. გვ. 403—406)

დიშლენ ჰუსეინ-ფაშას ჯარითურთ [ჯერ] სარდალთან და იქიდან აბაზასთან მისვლა და შემდეგ მისი მოკვლა[2]

ვინაიდან მაღალღირსეულ სარდალს სჰირდებოდა ერთი წარჩინებული ვეზირი, რომელიც ჯარს გაუძღვებოდა წინ და ვინაიდან [დიდი ვეზირის] მოადგილეს გურჯ[3] მეჰმედ ფაშას არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა, რომ ეს სამსახური მას დაკისრებოდა და თავს არიდებდა, [ამიტომ სარდალმა] მოიყვანა დიშლენ ჰუსეინ-ფაშა და [ეს სამსახური] მას დაავალა: [ეს უკანასკნელი] გამოცდილი და დამსახურებული კაცი იყო. მისმა საკმაო რაოდენობის ჯარით ალაბს[4] მოსვლამ სახელოვან სარდალში უსაზღვრო სიხარული გამოიწვია. თვითონ [სარდალი] კარავში გამოვიდა და ბაღდადში გამგზავრების შესახებ თათბირი გამართა. მაგრამ [ამ დროს] საზღვარზე მყოფი ამირებისაგან წერილები მოვიდა, სადაც დახმარებას თხოულობდნენ და იწერებოდნენ, რომ ყიზილბაშმა ახალციხეს ალყა შემოარტყა და, დახმარება თუ არ აღმოგვეჩინა, საქმე გართულდებაო. შემდეგ მან მაშველ ძალად გამოყო შვიდი, ვილაეთის მფლობელი სახელოვანი ბეგლარ-ბეგი თავიანთ ვილაეთში მყოფი ჯარითურთ. ეს ბეგლარ-ბეგები მასზე [სარდალზე] უფრო ახლოს იყვნენ [ახალციხესთან] და ზემოხსენებული ჰუსეინ-ფაშა დანიშნა მათ ძლევამოსილ სარდლად და გაამგზავრა. [სარდალმა] აბაზა-ფაშასაც გაუგზავნა პატიოსანი ჰუქმი[5] იმის შესახებ, რომ, როცა [ჰუსეინ-ფაშა] არზრუმს ჩავიდოდა, აბაზაც არზრუმის ჯარით თან გაყოლოდა მას. როცა არზრუმში მივიდნენ აბაზამ—„ბატონი ბრძანდებითო“ თქვა და ვითომ ლაშქრობისათვის მზადება დაიწყო. [აბაზა-ფაშას] უფიქრია, რომ ესენი ახალციხეში კი არ მიდიან, არზრუმში მოვიდნენ იმისათვის რომ რაიმე ხრიკი მოუწყონ მას და მოაშორონ ამ ქვეყანას. მან გამართა წეწულება და მოსული მეთაურები და

[1] ემირგუნე კარჩიკაის შვილია (იხ. H a m m e r, იქვე).

[2] ამ ცნობას თარიღი არა აქვს და თუმცა ის მისდევს 1036 წლის ამბავს (იხ. გვ. 407), მაგრამ თავისი შინაარსით ის უფრო დაკავშირებულია მომდევნო ამბავთან (იხ. აქვე, გვ. 389), რომელიც 1038 წლითაა დათარიღებული (ჩვ. წელთაღ-ით=1628 წელს). ამისდა მიხედვით ეს ცნობაც ამ წლით უნდა დათარიღდეს.

[3] გურჯი—ქართველს ნიშნავს.

[4] ალაბი (حلب, Aleppo), ქალაქი ჩრდილოეთ სირიაში.

[5] رسم (არ.)—ბრძანება.

ბეგლარ-ბეგები დაპატიჟა, ხოლო მთელ რიგ ჯარს უბრძანა შეიარაღებულიყვნენ და მზად ყოფილიყვნენ მისი განკარგულებისათვის. ჩვენს ჯარს ასეთი გაიძვერობისაგან უზრუნველყოფილად მიაჩნდა თავი და როდესაც თითოეული მათგანი [ანჯ ქუჩაში დადიოდა [და ან] თავისი საქმით იყო გართული, უცბად ციხის ერთი კარიდან გამოვიდნენ და ჩვენი ჯარის დარბევას მიჰყვეს ხელი. ერთი საათის ვანმავლობაში ყველაფერი გაანიავეს და რაც მათ გააჩნდათ, ყველაფერი მოჯანყეთა ნადავლად გადაიქცა. მოულოდნელი [თავდასხმისაგან] შეშფოთებულ ასკერთაგან, ზოგი უუნაგირო ცხენს შეახტა, ზოგი [იქვე] მყოფ აქლემს შეაჯდა და სარდალთან გაიქცნენ. ორი დღის შემდეგ მივიდნენ და მომხდარი ამბავი შეატყობინეს. და სარდალმა გაიგო ეს მემაძრწუნებელი ამბავი. რა გაეწყობა, უკვე მომხდარი ფაქტია, რაღა ქნას; მოვიდა და ციხის აღება მოიწადინა და იმ ყაჩაღების ძირ-ფესვიანად აღმოფხვრასა და დამორჩილებას შეეცადა. მაგრამ ზარბაზანი არაა და არც სხვა საჭირო საჭურველთაგან ერთი წვილიც არაა; მხოლოდ ქართველი შელიქ მოურავის მიერ მოტანილი ზარბაზნით დაიწყო სროლა. ზამთარი დადგა, [ამდენი] დრო ტყუილად დაკარგა. შემდეგ უმწეო, სასოწარკვეთილი და შეწუხებული აღგა და წამოსვლა არჩია. და აი, ამ გალაშქრების შედეგი და შინაარსი ეგ იყო.

(II, გვ. 408—409)

ხუსრევ-ფაშას დიდ-ვეზირად და სარდლად დანიშვნა და არზრუმისა და ახალციხის ციხეების დაპყრობა 1038 წელს[1]

როცა ეს არასასიამოვნო ამბავი ზღვისა და ხმელეთის ფადიშაჰის ყურამდე მივიდა, [მან] მაშინვე გადაწყვიტა დიდ-ვეზირად და სარდლად დაენიშნა სახელოვანი ხუსრევ-ფაშა, რადგანაც დარწმუნებული იყო მის გულადობასა და [აგრეთვე] იმაში, რომ ის [კარგად] უხელმძღვანელებდა ძლევამოსილ ჯარს. შემდეგ [დიდი ვეზირის] მოადგილის რეჯებ-ფაშას დასტურით გაიცა ფერმანი, რათა სტამბოლიდან დიარბექირის მიმართულებით დაუყოვნებლივ გაეგზავნოს უავგუსტოესი ბეჭედი. შემდეგ თოკათში ჩავიდნენ და საჭირო საქმეთა გამო მრავალი შრომა გასწიეს. ამ დროს ცნობა მოვიდა, რომ აბაზა მისგან [სარდლისგან] ძალიან დაშინებულია და განზრახვა აქვს შაჰს მორჩილება გამოუცხადოს და [არზრუმის] ციხე გადასცეს. რადგანაც ძნელი იყო ზარბაზნის, ტყვიაწამლის და სხვა საჭირო მასალათა [სასწრაფოდ] გადატანა, ამიტომ ესენი უკან მოიტოვა [რომ შემდეგ უკან დაედევნებინათ], ხოლო თვითონ დაუყოვნებლივ ტვირთშემსუბუქებული ძლიერ სასწრაფოდ გაემგზავრა. რამდენიმე ათასი ჯენიჩერი კიდევ ჩქარმავალ ცხენებზე შესვა და მშვენიერებამოსილი არზრუმის ახლო ჩამოხტა. 1038 წლის წმინდა მუჰარრემის მეშვიდე დღეს[2] ციხეს ალყა შემოარტყეს და ჯენიჩერები იმავე დღეს სანგრებში ჩასვეს. მეორე დღისათვის,

[1] ე. ი., 1628 წელს.

[2] ე. ი., 1628 წლის, 7. IX-ს.

ზარბაზნებიც მოაწოდეს. ზარბაზნები წაიღეს და სხვა მრავალგვარი ღონისძიებაც იხმარეს. სხვათა შორის დაიწყეს გადმობირება, ვითომ კარგი გულით, ყაჩაღებისა და იმათი, ვინც სეგბანების[1] [ნიღაბ] ქვეშ მცდარ გზაზე იყვნენ შემდგარნი. ამ [ღონისძიების] წყალობით, შიგ ციხიდან გამორბოდნენ ხუთობით და ათობით და მორჩილებას აცხადებდნენ. ვინაიდან ყოველ მათგანს აკმაყოფილებდნენ ისე, როგორც ეს [მათთვის] მოსალოდნელი იყო და ვინაიდან [ამგვარად] მათ უმრავლესობას ჰქონდა შესაძლებლობა მორჩილების გამოცხადებისა, ამიტომ აბაზა იძულებული გახდა არზრუმის წარჩინებულ [პირთა], 'ულემასა[2] და შეჱხებიდან[3] ექვსი კაცი გამოეგზავნა და პატიება ეთხოვა. პატიოსანმა სარდალმა აპატივა, თანახმად თქმულებისა, რომ „პატიება გამარჯვების მოვალეობაა“-ო და ხსენებული თვის მეცხრამეტე დღეს [აბაზა] გამოიყვანა ციხიდან და ციხე, უწინდებურად, ისლამის ლაშქრის ხელქვეშ დარჩა. იქიდან ახალციხეში გაგზავნეს კაცი და ისიც დაიპყრეს.

(II, გვ. 409—410)

შეუდარებელი ვეზირის, მისი აღმატებულების ქენ'ან-ფაშას მიერ ახალციხის დაპყრობა

გულადი ვეზირი, მისი აღმატებულება ქენ'ან-ფაშა ბედნიერებამოსილი და ქეთილშობილი ადამიანია, რომელსაც ღვთისნიერებასა და კრძალულებაში მსგავსი არა ყავს. [ამ] დაპყრობათა[4] შემდეგ მას დაევალა ახალციხის აღება და საკმარისი რაოდენობის ჯარი მიეცა. მაღალი ალლაჰის შემწეობით მან ვაიმარჯვა და აიღო ციხე დაქვემდებარებული ადგილებით და განიხარა.

(II, გვ. 439)

---

[1] ﺳﻜﺒﺎﻥ — მსახური, რომელიც სანადირო ძაღლებს უვლის; აქ ჯენიჩერთა სპეციალური ნაწილის ჯარისკაცი.

[2] ﻋﻠﻤﺎ (არ.) მეცნიერები.

[3] ﺷﻴﺦ (არ.)—საკუთრივ „მოხუცი“, „უხუცესი“, შემდეგ: რელიგიურ სახოგადოებათა (ჯამაათთა) მეთაურები.

[4] ზემოთ (გვ. 430—439) მოთხრობილია ერევნის, თებრიზისა და ანის დაპყრობათა შესახებ, რომელიც 1044 წელს ხდება. ეს ცნობაც ამ თარიღს მოსდევს (ჩვენი წელთაღრიცხვით=1634 წელს).

ნ. ბერძენიშვილი

სავაზირო ფეოდალურ საქართველოში

ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართლის არც ერთს ინსტიტუტში კლასთა ბრძოლა ისე თვალნათლივ არ მოჩანს, როგორც ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობაში. ამასთან ერთად დღეს შეგვიძლია გამორკვეულად ჩავთვალოთ [1], რომ ხსენებული ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ფეოდ. საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულს საფეხურზე, რომ ეს „ველი" ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვების მწვავე პროცესთან დაკავშირებული კლასთა ბრძოლის უშუალო ნაყოფია. ამდენადვე ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა ქართული ფეოდალური სახელმწიფო სამართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია.

როგორც ეს აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში [2], ამ „ველის" სრულს ანალოგიას არც ერთს მეზობელ ხალხთა სახელმწიფო წყობილებაში არა აქვს ადგილი. მისი ნაწილობრივი მსგავსება მეზობელ სახელმწიფოთა სხვადასხვა „ველთან" კიდევ უფრო საინტერესოს ჰხდის ჰყ.-მწიგნობართუხუცესობის არსებით განსხვავებას თითოეულ მათთაგან: ხაზს უსვამს ქართული სახელმწიფო სამართლის თავისებურ მხარეს. ამასთანავე ის მოვლენა, რომ ჰყ.-მწიგნ.-უხუცესობა მისი საბოლოოდ გამოკვეთილი სახით ქრონოლოგიურად ემთხვევა ფეოდალურ საქართველოს სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნაყოფიერეს გამოვლენას [როცა სხვა ასევე საინტერესო თავისებურობებმაც იჩინეს თავი], საკითხს სვამს ორგანული კავშირის შესახებ ამ ველისა და ჩვენი სახელმწიფო მშენებლობის ისტორიული განვითარების შორის. ამიტომ ისტორიულად შესწავლა მწიგნობართუხუცესობისა: მისი წარმოშობა-აღზევებისა, საბოლოოდ ჩამოყალიბების, დაცემა-გადაგვარებისა და გაქრობისა, — მნიშვნელოვანი ამოცანაა ქართული ფეოდალური სახელმწიფო სამართლის შესწავლის საქმეში.

---

[1] ეს საკითხი ჩვენ შესწავლილი გვაქვს ამ ათიოდე წლის წინ დაწერილს შრომაში: „ქართული სავაზირო". ამ შრომის ნაწილი მოხსენების სახით წაკითხული იყო ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო სახ-ბის საჯარო სხდომაზე 1929 წ. მაისში. წინამდებარე წერილი ამ შრომის ერთი მონაკვეთია.

[2] აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია წ. II, ნაკვ. I.

ნაწილობრივ ეს საკითხი კარგა ხანია შესწავლილია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ[1]. ამდენადვე ჩვენი ამოცანა გაადვილებულია.

ჩვენი მიზანია სახელმწიფო სამართლის ამ ინსტიტუტის ისტორიული შესწავლა, ე. ი. შესწავლა მისი წარმოშობა-განვითარებისა ფეოდ. საქართველოს სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივს განვითარებასთან კავშირში.

ჩვენ დავიწყებთ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთა ქრონოლოგიის დადგენით.

როგორც ცნობილია[2], მწიგნობართუხუცესობა ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსობას მხოლოდ გარკვეულ დროიდან დაუკავშირდა [და ეს დაკავშირება მოხდა, როგორც დავრწმუნდებით, არა შემთხვევით, არამედ საამისო საკმაო საფუძველზე]. აქამდის ორივე ეს თანამდებობანი ცალკ-ცალკე წარმოშობილნი ასევე ვითარდებოდნენ. ჩვენი ქრონოლოგიური ძიება, ამიტომ, დასაწყისში ორმხრივი იქნება: ჭყონდიდელთა და მწიგნობართუხუცესთა.

ზემოთდასახელებულ ნაშრომში პ-ლ მკლელეარს უკვე აღნიშნული აქვს, რომ მწიგნობართუხუცესი პირველად მოიხსენიება ღრტილას კრებაზე XI ს-ში. ეს იყო პაექრობა სომეხ (ანტიქალკედონელ) სოსთენსა და ქართველ (ქალკედონელ) ეფთვმე გრძელს შორის ბაგრატ მეფის კარზე. „მაშინ“-ო, მოთხრობილია ცნობის შემცველ წყაროში, „იყო ვინმე მწიგნობართუხუცესი მეფისა სახელით ეფთვმე იგიცა თანაზიარ ბოროტისა მის წუალებისა მათისა და შინაგან განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა“. [„მწიგნობართუხუცესი ლიპარიტისი“ მოიხსენიება ქ-ცაში[3], საითგანაც ჩანს. რომ ამ დროს მწიგნობართუხუცესი ჰყოლია არა მარტო მეფეს, არამედ დიდ ფეოდალსაც კი].

ამის შემდეგ მწ.-უხუცესი მოიხსენიება 1085 წელს მოსე ხანცოელის [ხანძთელის? ნ. ბ.] მიერ გადაწერილი საწელიწადო საწინასწარმეტყველოის ეგნატისეულ ანდერძში: „მე სულითა საწყალობელმან ეგნატი დაეწერე წ- ესე წიგნი ...სალოცველად ღმრთივ გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა ...და კ-დ სალოცველად ძმათა ჩემთა იოანე ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსისა და სჳნგელოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართუხუცესისა და ჩემ ცოდვილისაცა ეგნატისათჳს ლოცვა ყავთ. ღ-ნ დაგაჯეროს. ქ-ნი იყო ტ:· და ე:· დაიწერა ჴელითა მოსე ხუცისა ხანცოელისა“[4]. ქრონოლოგიური რიგით მწ.-უხუცესის შემდგომ მოხსენებას რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერაში ვხვდებით: „ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა უხუცესისა მრავალმცა:“[5] ამის შემდგომი ცნობებით მწ.-უხუცესობა ჭყონდიდლობასთან არის განუწყვეტლივ დაკავშირებული ერთადერთ გამონაკლისს გარდა, რომლის შესახებ ჩვენ ქვემორე გვექნება საუბარი.

[1—2] ივ. ჯავახიშვილი, op. cit.

[3] „საქ. სამოთხე“ მ. საბინინის გამოცემა, გვ. 616.

[4] მ-მ დ-ფლსი ქ-ცა, 268° 496.

[5] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 232; პ. კარბელაშვილი, „ივერია“, 1889 წ. № 28.

[6] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 71.

ჰყონდიდლობისა და მწ.-უხუცესობის შეერთება აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოკვლევით 1103—1110 წლებს შორის უნდა მომხდარიყოს [1].

ზემომოყვანილი პირველი ორი ცნობა არას გვეუბნება იმის შესახებ, ერის კაცი იყო მწიგნობართა უხუცესი, თუ მოწესე. მესამე ცნობაში, როგორც ვხედავთ, გარკვევით არის ნათქვამი, რომ გიორგი მწ.-უხუცესი მონაზონი იყო.

1085 წლის ეგნატისეულ ანდერძში მოხსენებული „პეტრე ვესტისა და მწ.-უხუცესის“ შესახებ ჩვენ მეტი ცნობებიც მოგვეპოება. ამ ანდერძის მიხედვით პეტრე ვესტი ძმაა იოანე ჰყონდიდელ მთ.-ეპისკოპოსისა. იოანე ჰყონდიდელი ჰთ.-ეპისკოპოსი კი ცნობილია გიორგი მთაწმიდელის ცხორებიდან. ის არის ერთერთი მაიძულებელი გიორგი ხუცეს-მონაზონისა, რათა უკანასკნელმა მთაწმიდელი მამის ცხორება აღწეროს. „იოანეს ეიტყვი ჰყონდიდელსა, ძმასა ნეტარისა პატრიკისასა“-ო [2], ამბობს ცხორების ავტორი. ეს იოანე ჰყონდიდელი გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებას „თანადახუედრებული“ ყოფილა. დაბოლოს, იგივე იოანე და ძმა მისი „ნეტარი პეტრე“ განუწესებენ საალაპე დღეს ახლადგარდაცვალებულ გიორგი მთაწმიდელს:... „რამეთუ ნეტარმან პეტრე და ძმამან მისმან იოანე ჰყონდიდელმან ესრეთ განაწესეს“ [3]. ცხადია, „ნეტარი პატრიკი“ იგივე „ნეტარი პეტრე“ ყოფილა. პეტრე პატრიკი კი მრავალ გზის არის მოხსენიებული იმავე თხზულებაში. აქ ის იწოდება „მამა პეტრე“, „პატიოსანი ბერი პეტრე“, „ნეტარი ბერი პეტრე პატრიკი, პეტრიკ ყოფილი“ [4] და სხვ. აქედან ცხადია, რომ ეს პეტრე პატრიკი, ძმა იოანე ჰყონდიდლისა, შემონაზონებულია. ის ამ დროს ნეტარი ბერია, რომლის საერისკაცო სახელი პეტრიკი ყოფილა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მოხსენებული იოანე ჰყონდიდელი მთ.-ეპისკოპოსი და მისი ძმა პეტრე პატრიკი იგივენი არიან, რაც 1085 წლის ანდერძში მოხსენებული ძმანი: „იოანე ჰყონდიდელი მთ.-ეპისკოპოსი და სჳნგელოზი და პეტრე ვესტი და მწ.-უხუცესი“. დაბრკოლება თითქოს ის არის, რომ აქ იოანე სჳნგელოზის, ხოლო პეტრე ვესტის პატივით არის მოხსენებული. მაგრამ ასეთი დაბრკოლება ადვილად დასაძლევია. იოანე ჰყონდიდელ მთ.-ეპისკოპოსს, რომელიც საქართველოს მეფის დავალებით მნიშვნელოვან საელჩო საქმეებს ასრულებს ბიზანტიის სამეფო კარზე, ადვილად შეეძლო ეს მაღალი საეკლესიო პატივი მიეღო [5] [ასეთსავე პატივს ატარებს იმავ „ცხორების“ ცნობით ბედიელი მთ.-ეპისკოპოსი იოანე [6]], ხოლო პეტრე პ ა ტ რ ი კ ი ს ეს საერო პატივი უახლოესი საფეხური იყო ვესტობამდის [თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ მონაზონი პეტრე საერისკაცო პატივს ატარებს, კიდევ მეტი: მონაზონობაში ახალი საერისკაცო პატივით—ვესტობით იქმნა დაჯილდოვებული, — ჩვენთვის

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I.

[2] ათონის კრებული, 280.

[3] იქვე, 347.

[4] იქვე, 343, 344, 331.

[5] ბერძნული საეკლესიო პატივის ტარებას უცხო არ იყვნენ ქართული ეკლესიის მოწვეულნი. კერძოდ, სჳნგელოზის პატივით XI ს-ში ჩვენ რამდენიმე ქართველ ეპისკოპოსს ვიცნობთ:— (ხაჭარია ბანაელი, იოანე ბედიელი, იოანე ჰყონდიდელი...).

[6] ათ. კრებული, 331.

გარკვეული არ არის. ჩვეულებრივ, როდესაც საერო პატივის მქონე ერისკაცი შემონაზონდებოდა ხოლმე, ის სათანადო საეკლესიო პატივზე სცვლიდა ხოლმე ნაქონეე საერო პატივს. როგორც, მაგალითად, თორნიკ პატრიკი შემონაზონების შემდგომ სჳნგელოზი იქმნა. ჩვენი პეტრიკი კი პეტრედ ქცეული ისევ პატრიკად დარჩა და მეტიც: მან ახალი საერო პატივი — ვესტობა მიიღო. ხომ არ მიგვითითებს ეს გარემოება პეტრე პეტრიკ ყოფილის სახელმწიფო თანამდებობის საერო ხასიათზე?|.

პატრიკოსობა პეტრეს ერისკაცობაშივე უნდა ჰქონდეს მიღებული, სახელდობ, 1054 წელს, როცა ისა და მისი ძმა იოანე ჯერ კიდევ ერისკაცნი ბაგრატ IV-სთან და მარიამ დედოფალთან ერთად ბიზანტიის სამეფო კარზე იყვნენ და ათონის ქართველთა მონასტრის დიდ მოამაგეებად გამოდიოდნენ. ამ მონასტრის № 15 აღაპში ეკითხულობთ: „თუესა დეკენბერსა: ი´გ: წმიდათა ევსტრატეთ დღესასწაული პეტრიკისდა და ძმისა მისისა იოანესდა აღაპად განგჳწესებიეს: ოდეს დედოფალმან ბაგრატის დედამან ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგჳმნა და ბაგრატ დიმოსი მოგჳწყჳდა, ორიეე ესე დიდი საქმე მათითა თანადგომითა და მოღვაწებითა სრულ იქმნა“ [1]. თავის ადგილას ჩვენ დამტკიცებული გვაქვს, რომ ეს აღაპი გაჩენილია არაუგვიანეს 1054 წლისა. მაშ ამ დროს ძმანი პეტრიკი და იოანე ერისკაცნი ყოფილან. თუ იოანეზე კიდევ შეიძლება შეეპჳება (მისი სახელი „იოანე“ ამ მხრით მეტყველი არ არის), პეტრიკის შესახებ გადაჭრით ითქმის, რომ ის ამ დროს ერის კაცია: შემონაზონების შემდგომ ის პეტრე პეტრიკ ყოფილად იწოდებოდა. 1065 წელს ის უკვე მონაზონია. ამრიგად მისი შემონაზონება 1054—1065 წლებს შორის მომხდარა.

მწ.-უხუცესობაც პეტრე პატრიკს 1065 წლის შემდეგ ხანაში აქვს მიღებული. უეჭველია გიორგი ხუცეს-მონაზონი პეტრეს ასეთ თანამდებობას მოიხსენიებდა, თუ უკანასკნელი ამ დროს [და, საფიქრებელია, ცხორების დაწერის დროსაც — ე. ი. 1066—1067 წლებში] მწ.-უხუცესი ყოფილიყო.

ამრიგად, ნეტარმა ბერმა პეტრე პატრიკმა პეტრიკ ყოფილმა 1067—1085 წლებს შორის მწ.-უხუცესობა და ვესტის პატივი მიიღო.

ეხლა როცა დავრწმუნდით, რომ XI ს-ის მიწურულში პეტრე მწ.-უხუცესი მონაზონი იყო, ჩვენ საბუთი გვეძლევა შევეპჳდეთ ეფთჳმე მწ.-უხუცესის ერისკაცობაში. მართლაც, თუ სათანადო ცნობას ჩაუკვირდებით, თითქოს იქ ჩვენი ეპვების დამადასტურებელ ხაზებსაც ვიპოვით. ცნობა ასეთია: სოსთენისა და ეფთჳმე გრძელის პაექრობის დროს — „...იყო ვინმე მწ.-უხუცესი მეფისა სახელით ეფთჳმე. იგიცა თანაზიარ ბოროტისა მის წუალებისა მათისა და შინაგან განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა“... [2] გამოთქმა „შინაგან განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა“ პირველყოვლისა ჰგულისხმობს, რომ ეფთჳმე მწ.-უხუცესი ქართველი და გარეგნულად ქალკედონელი პაექრობის დროს ანტიქალკედონელი აღმოჩენილა. მაგრამ შეიძლება თუ არა ეფთჳმე მწ.-უხუცესი ერისკაცი ყოფილიყო და მისთვის „შინაგან განმცემელი სარწმუნოებისა ჩუენისა“ ეწოდებინათ?

[1] ათ. კრებული, გვ. 220, *370.

[2] „საჭ. სამოთხე“, მ. საბინინის გამოცემა, გვ. 616.

აკი ეფთჳმესთან ერთად მისი დისწული იორამიც ანტიქალკედონელ სოსთენის მომხრეა[1], რატომ ისიც არ იწოდება „შინაგან განმცემლად"? სარწმუნოების საქმეში „შინაგან განმცემელის" სახელი უფრო სამღვდელო პირს შეეფერება, როგორიც, ეფიქრობთ, უნდა ყოფილიყო ეფთჳმე მწ.-უხუცესი. ჩვენს ეჭვს თითქო მხარს უჭერს ხსენებულ მწ.-უხუცესის სახელი —ეფთჳმი. პირადად ჩვენ ძეგლებში არ შეგვხვედრიეართ ასეთი სახელის მქონე არც ერთ ერისკაცს.

ამრიგად მწ.-უხუცესთა ვინაობა მათ ჭყონდიდლობასთან შეერთებამდის გამოკვლეული გვაქვს. ესენი იყვნენ: ეფთჳმე XI ს-ში, პეტრე XI ს-ის მესამე მესამედში და გიორგი, უნდა ვიფიქროთ, უშუალოდ პეტრეს შემდეგ. სამივე ისინი მონაზვნები უნდა იყვნენ. პეტრე და გიორგი ამ მხრით ეჭვს არ იწვევენ. ეფთჳმეს შესახებ კი არა გვაქვს საბუთი ვამტკიცოთ, რომ ის ერისკაცი იყო.

ეხლა ჭყონდიდელთა შესახებ. ცნობილია, რომ ჭყონდიდის საეპისკოპოზო კათედრა დააარსა გიორგი აფხაზთა მეფემ X ს-ის პირველ ნახევარში[2]. საფიქრებელია, რომ მანვე შეუწყო ხელი ამ კათედრის აღზევებას სხვა კათედრათა შორის. ყოველ შემთხვევაში ბაგრატ IV დროს ის უწარჩინებულეს კათედრად ჩანს დას. საქართველოში[3].

პირველად ჭყონდიდელი მოხსენებულია X ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. ეს არის სტეფანე სანანოჲსძე ჰიმნოგრაფი და თარგმანი[4]. ის იწოდება ეპისკოპოზად[5]. შემდგომი ცნობა ჭყონდიდელის შესახებ გ[ა] ხუცეს-მონაზონის თხზულებაშია დაცული. მის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა გაკვრით საუბარი: ეს არის მთავარეპისკოპოსი იოანე, 1054 წელს ჯერ კიდევ ერისკაცი. 1065 წელს უკვე მთ.-ეპ-სი ის მართა უფლისწულს ახლავს კონსტანტინეპოლს თავის ძმასთან პეტრე პატრიკთან და ბედიელ მთ.-ეპ-ს იოანესთან ერთად. ამის შემდეგ ის კიდევ მისულა კონსტანტინეპოლს 1066—1067 წლებში ბაგრატის „მოციქულად" ბიზანტიის იმპერატორთან. 1085 წელს იოანე ჭყონდიდელი უკვე სჳნგელოზის პატივითაა დაჯილდოვებული*. იოანეს შემდეგ ვინ ჭყონდიდლობდა, არა ჩანს. ვიცით, რომ გიორგი მონაზონი მწ.-უხუცესი 1103—1110 წლებს შორის ჭყონდიდელი იქმნა. თუმცა შეუძლებელი არაფერია ისეთ მოსაზრებაშიაც, რომ იოანე XI ს-ის 60-იანი წლებიდან XII ს-ის 10-ან წლებამდის ჭყონდიდლობდა. ასე რომ მისი უშუალოდ შემდგომი შეიძლება სწორედ გიორგი იყო.

მაშ, ჩვენი ქრონოლოგიური სია მწ.-უხუცესთა და ჭყონდიდელთა ამ ორი „ჴელის" შეერთებამდის შემდეგია:

---

[1] იქვე.

[2] მ[ა]მ დ[ა]ფსი კ[ა]ც 229, *453; პროფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ერის ისტორია II, 405—406.

[3] ათ. კრებ., გვ. 305.

[4] პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტორია 176—180; საბინინი, საქ. სამოთხე, 433; ძველი ქართ. სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოც., გვ. რნა.

[5] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, 83.

* გიორგი ხუცეს-მონაზონს მოპოვება ცნობა, რომლიდანაც საფიქრებელი ხდება, რომ იოანემ ჭყონდიდლობა 1061—1065 წლებში მიიღო. ავტორი მოგვითხრობს, რომ მისი მოძღვარი — გიორგი მთაწმიდელი საქართველოში მისელის შემდეგ 1061 წლის ზამთარში მეფემ ქართლიდან ლიხთიმერეთს წაიყვანა; თვით მეფე საკუთრივ აფხაზეთს გაემგზავრა, ხოლო

მწ.-უხუცესნი:
ეფთჳმი — XI ს.
პეტრე — XI ს-ის მესამე მეოთხედი
გიორგი — XII ს-ის დამდეგი

ჭყონდიდელნი:
სტეფანე სანანოჲსძე „ეპისკოპოსი“ X ს.
უცნობი — გიორგის მოწაფე, „მთ.-ეპისკოპოსი“ 1054 წლიდან
იოანე — ძმა პეტრესი, „მთ.-ეპისკოპოსი“ 1060-ანი წლებიდან
გიორგი — 1103/4 წლიდან.

გიორგი ჭყონდიდელ მწ.-უხუცესი გარდაიცვალა 1118 წელს[1]. მის შემდეგ მწ.-უხუცესობა დავით აღმაშენებელმა გიორგის დისწულს მისცა — სჳმონ ბედიელ-ალავერდელ მთ.-ეპისკოპოსს[2]. 1123 წელს სჳმონი ჯერ კიდევ ბედიელ-ალავერდელია და მწ.-უხუცესი[3], ხოლო 1125 წელს ის უკვე ჭყონდიდელ-მწ.-უხუცესია[4]. გამოდის, რომ 1118 — 1125 წლებში ჭყონდიდელი ვიღაც უცნობი პირი ყოფილა და არც თუ სასურველი დავითისათვის. თუ ეს არა, მწ.-უხუცესად ის იქნებოდა. ამ უცნობის შემდეგ დაეითს ჭყონდიდლობა თავისი ერთგული და გამოცდილი მწ.-უხუცესი სჳმეონისათვის მიუბოძებია და სჳმეონსაც ამიერიდან ბედიელ-ალავერდელობისათვის თავი დაუნებებია*. ამრიგად 1118—1125 წლებს შორის მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა ურთიერთისაგან გაყრილან. 1125 წლიდან კი XIII ს-ის პირველი ნახევრის გასელამდის მაინც ეს ორი ჴელი განუყრელნი არიან**.

1141 წელს ჭყ.-მწ.-უხუცესად ისევ სჳმეონი ჩანს. ამას ამტკიცებს უბისის „სოჳშტის“ თარიღიანი წარწერა: „მე საწყალობელსა: სულითა: ს[ნ] ჯ[ს]ა მომემადლა ღ[ისა]გან აღშენებად მონასტერი ესე და სოჳშტიცა ესე მეფობასა: ღ[ისა] მიერ გ[ურგ]ნისია დიმიტრი მეფეთა მეფისა ძისა დიდისა მეფისა დავითისა: ქრონიკონი იყო: ტჲჲ: ზედა წელი სარკინოზთაჲ: ფლჳ:“[5] ამის შემდეგ რამდენ

გიორგი ჭყონდიდს დარჩა, რათგან „ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან არა განგჳჯევნა, რამეთუ მოწაფე იყო ბერისა“ (ათ. კრ. 320). ამ დროს გიორგის ამ ცხორების ავტორი თან ახლდა. საფიქრებელია, რომ გიორგი ხუცეს-მონაზონი, რომელიც კარგად იცნობს იოანე ჭყონდიდელს და თვით მას სთვლის ამ თხზულების დაწერის ერთერთ მიზეზად, მას სახელდობ მოიხსენიებდა, თუ კი იოანე ყოფილიყო ამ დროს ჭყონდიდის მთ.-ეპისკოპოსი. 1054 წელს ჭყონდიდის კათედრა ცალიერი იყო (ათ. კრ. 305). ამიტომ: 1054—1064 (დაახლოებით) წლებში უცნობი ჭყონდიდელი მჯდარა—გიორგის მოწაფე. იოანე კი ჯერ კიდევ 1060 წელს უნდა წარევლინოს ბაგრატს გიორგის „მწოდებლად“ ანტიოქიაში. ბაგრატმაო „წარმოავლინა საკუთარი თჳისი იოანე“-ო (ათ. კრ. 317).

[1] მ[ა]მ დ[ა]ფლისი ქ[რ]ცა, 301—302, *536; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია, II, გვ. 515.

[2] მ[ა]მ დ[ა]ფლისი ქ[რ]ცა, 311, *545.

[3] ისტორ. საბ-ბი შიომღვიმის მონ-სა. გამ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ი, გვ. 18, 19.

[4] მ[ა]მ დფ[ა]ლისი ქ[რ]ცა, 311, *545.

* ჩანს ჭყონდიდლობა უმაღლესი საეკლესიო პატივი იყო ბედიელ-ალავერდელობასთან შედარებით.

** ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ მწ.-უხუცესობა მიტაცებული ჰქონდათ ხოლმე კათალიკოზებს ან კიდევ სხვა ეპისკოპოზს ჰქონდა ის, მაგრამ მწ.-უხუცესობასთან ერთად ისინი ყოველთვის ჭყონდიდლებიც იყვნენ ხოლმე, ასე რომ ჭყონდიდლობა მწ.-უხუცესობისაგან მაინც განუყრელი რჩებოდა.

[5] Е. Такайшвили, Арх. экскурсии... вып. V, გვ. 10, ფოტ. სურათიდან.

ხანს დარჩა სჯმეონი ჭყ.-მწ.-უხუცესად, არ ვიცით. საფიქრებელია, რომ სჯმეონი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში კ'ზი გახდა. იბადება საკითხი, ხომ არ შეუთავსებია სჯმეონს კათალიკოზობასთან მწ.-უხუცესობა? ჯერჯერობით, სანამ კათალიკოზთა სია და მათი ქრონოლოგია აღნიშნული ხანისათვის შესწაელილი არა გვაქვს, ამ საკითხზე გადაჭრით რისამე თქმა შეუძლებელია.

სჯმეონის შემდეგ უშუალოდ იოანე იქმნა ჭყ. მწ.-უხუცესად, თუ სხვა ვინმე იყო, არა ჩანს. 1161 წელს კი ანისის აღების დროს გიორგი III-ს „თანა: ვაზირობდეს: იოვანე: მწიგნობართ: უხუცესი: და: სუმბატ: სჯმონ: ქმნილი:“[1] მწ.-უხუცესია იოვანე 1178—1179 წელსაც[2]. როდემდის დარჩა იოვანე ამის შემდეგ მწ.-უხუცესად, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში 1184 წელს გიორგი III გარდაცვალების დროს მწ.-უხუცესი არის ანტონი. გიორგის გარდაცვალებისას რუსუდანმა და თამარმა მიმოიხილეს „გარემოს: და: იხილეს: მიქელ: პატრიარქი:... და: ვაზირი: ანტონი: და: ამირ: სპასალარი: ყუბასარ: და: სხუანი: ჴელის: უფალნი:“[3]. ჩქარა ამის შემდეგ (და შეიძლება სწორედ ამავე წელს) ანტონ გნოლის თავისძეს მწ.-უხუცესობა მიქაელ ქ. კათალიკოზმა მისტაცა და გარდაცვალებამდის ჰქონდა[4]. მიქაელის შემდგომ მწ.-უხუცესად ისევ ანტონი იქმნა[5], რომელიც ჩანს შანქორის ომის დროს[6] და თამარის მეფობის მეოცე წელს, ე. ი. 1204 წელსაც[7]. ანტონის შემდგომი მწ.-უხუცესი თეოდორე უნდა იყოს. ის ჩანს 1205—1207 წლებში[8]. ვინ იყო ეს თეოდორე ან სანამ გაგრძელდა მისი მწ.-უხუცესობა, ამის შესახებ აქამდის ცნობილი წყაროები არას გვეუბნებიან.

თეოდორეს გარდა XIII ს-ის მწ.-უხუცესთაგან მხოლოდ ორია ცნობილი: არსენი და ბასილი.

გამოსარკვევია მათი მწ.-უხუცესობის ხანა.

არსენი მწ.-უხუცესის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აქვთ მოსაზრებანი განსვ. თ. ჟორდანიას, პროფ. კ. კეკელიძეს და ს. ჯაჯანიძეს.

---

[1] მ'ამ დ'ფლისი ქ'ცა, 370, °601.

[2] ეს უდავოდ მტკიცდება ათონის აღაპთა დათარიღებიდან, რაიც ამ სტრიქონების ავტორს ცალკე ნაშრომში აქვს განხილული.

[3] მ'ამ დ'ფლსი ქ'ცა, 396, °623.

[4] იქვე, 405 შენიშვნა 7, და გვ. 433 შენიშვნა 9.

[5] იქვე, 433 შენ. 9.

[6] იქვე, გვ. 462 შენ. 1; ისტ. საბ. შიომღ. მონასტრისა გამ. თ. ჟორდანია, 25—27.

[7] ვაჭანის მონასტრის (ჯავახეთში) მცირე ეკლესიის შესავალის მარჯვენა მხარეს ქვა ასო-მთავრული წარწერით 6 სტრიქონად: I ქე-------[ორ]თავე II შა ს[უფევათა მე]ფე III თა [შეფე დ]ა დდ[ფ]ლ[ი] IV თმრ; წე[ლსა]მფბისა: მა V თისასა: კ: ანტნ: [ჭ]სა: მ'რ VI აღეშენა ხღდე: ესე...

[8] თეოდორე ჭყონდიდელს მოიხსენიებს სოფრომ მწიგნობარი მის მიერ ნასყიდ სახარების ანდერძში; ეს ანდერძი შესრულებულია თამარის, დავითის და მათი ძის ლაშას თანამეფობის ჟამს, ე. ი. არა უადრეს 1205 წლისა და არა უგვიანეს 1207 წლისა. იხ. თ. ჟორდანია ქრონიკ. I 292; და ხელნაწერი № 323 საქ. ცენტრარქივისა. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. II, 617, 618, 599 და სხ.; ს. ჯაჯანიძე, Год смерти груз. царицы Тамары Великой, Извест. Тиф. высш. женск. курсов, т. I, вып. I.

თ. ჟორდანიას აზრით არსენი კათალიკოზობდა (და მწ.-უხუცესობდა? ნ. ბ.) 1218—1227 წლებში, ხოლო ამის შემდეგ 1240 წლამდის (დაახლოებით) ის უბრალო მონაზონია შიომღვიმის ლავრაში[1]. ასეთი თარიღის მისაღებად მკვლევარის მსჯელობა შემდეგია: მისი აზრით ვაჭანის მონასტრის ცნობილი ტიპიკონი დადებულია ივანე სარგისის ძე მხარგრძელის მიერ, და, მაშასადამე 1227 წლამდის (მისი აზრით ივანე ამ წელს გარდაიცვალა). ამ ტიპიკონში მოხსენებულია კ'ზი გიორგი, რომელიც თ. ჟორდანიას მიერვე ნაპოვნი ზატიკის ცნობის მიხედვით არსენის შემდგომი კათალიკოზი იყო[2]. და, რათგან 1218 წელს ეპიფანე მესაპეობდა ქართლის ეკლესიას, ამიტომ არსენის კათალიკოზობა 1218—1227 წლის ახლო დროს მოდის. 1227 წელს კი, თუ ცოტა უფრო ადრეც არა, უკვე გიორგი კათალიკოზობს.

თ. ჟორდანიას ეს არსენი მიაჩნია იმ კ'ზად, რომელსაც „არსენი ყოვლად განთქმულისა საღმრთოთა წიგნთა თარგმანისა და საქართველოთა (sic) ეკლესიათა მნათობისაჲ"-ს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი[3]. ამავე დროს სწორედ იმ ცნობის მიხედვით, რომელსაც თვით მკვლევარი ემყარება, ეს არსენი თარგმანი სრულიად სხვაა და ის არსენი კ'ზი კიდევ სხვა. მათ შორის გიორგი კათალიკოზობს[4]. შეიძლება თ. ჟორდანია არსენი კ'ზის დროებით გადადგომასა და გიორგის შემდეგ კვლავ გაკათალიკოზებას ჰგონებს, მაგრამ ამის შესახებ ის არას ამბობს. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ სწორედ იმ სიგელს, რომელშიაც არსენი მწ.-უხუცესი და კ'ზი შიომღვიმის მონაზვნად იხსენიება, ამტკიცებს „ქ. კ'ზი არსენი"[5]. საკვირველია, რომ ამ გარემოებისათვის მას ყურადღება არ მიუქცევია და არ აღუნიშნავს ეს.

არსებობს მესამე დამოუკიდებელი ცნობა არსენი კ'ზის შესახებ. ეს არის კ'ზი არსენი ბულმაისიმისძე[6]. თ ე დო ჟორდანია გარკვევით არ ლაპარაკობს ამ ერთი მეორის მოსახელე კათალიკოზთა ურთიერთშორის დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი სჯნქრონიზმი და ამ კ-ზთა მოღვაწეობის მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ განსვ. მკვლევარს ესენიც ერთ პირად მიაჩნია. თ. ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი სქემის დაწვრილებით განხილვას ჩვენ არ შეუდგებით იმ იმედით, რომ სხვა მკვლევართა აზრების მოყვანის შემდგომ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება საკმაოდ ცხადყოფს წარმოდგენილი სქემის შეუწყნარებლობას.

ს. კაკაბაძე თავის გამოკვლევაში „მე-XIII საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები" ამბობდა: არსენი IV, რომელიც 1224 წელს საქართველოს ეკლესიას განაგებდა, ბულმაისისძე... ყოფილა იმავე დროს მწიგნობართ-უხუცესიც ალბათ ისე, როგორც თამარის გამეფების (1184 წ.) მიქელ

---

[1] თ. ჟორდანია კ'ქები I, 79, 81; II, 91—92, 94, 97.

[2] op. cit. I, 80—81.

[3] იქვე, 81; შიომღვიმის ისტ. საბ-ბი, 52.

[4] კ'ქები I, 81.

[5] უნ. სიძვ. საც. ხელწ. № 86 ფ. 233 r. ც. 287 v. შდრ. კრონიკ. II, 103.; ხელნაწერში არსენი კ'ზი იხსენიება ბულმაისიმის-ძედ და არა ბულმაისისძედ ან ბულმაისიძედ.

[6] თ. ჟორდანია, შ. მღ. ისტ. საბ., 56, კ'ქები II, 101.

კათალიკოზი მწ.-უხუცესად ითვლებოდა“ [1]. კ ა კ ა ბ ა ძ ე აქვე შენიშნავს: რასაკვირველია, ისიც შესაძლებელია, რომ არსენი ბულმაისიძე მწიგნობართ-უხუცესად კათალიკოზად დადგინებამდის ყოფილიყო [1]. ეს არსენი, ავტორის აზრით, 1233 წელს ჯერ ისევ კათალიკოზია; 1236 წლის ახლო ხანში კათალიკოზობისათვის თავგანებებულია და შიომღვიმეში უბრალო მწირია. მწირადვე რჩება ის შემდეგაც და ჩანს 1249 წელს [2].

პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე არსენი ბულმაისიმის-ძის საკითხში სარგის კაკაბაძის ზემორე დასახელებულ გამოკვლევას ემყარება და მას იმეორებს [3]. არსენი ჭყონდიდლის სიგლის აღმოჩენასთან დაკავშირებით ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე იძულებული შეიქმნა ზემოდასახელებული მისივე გამოკვლევის დებულებანი საგრძნობლად შეეცვალა. აქ ის ამბობს [4]: „1224 წ. და 1233 წ. გარკვეით ცნობილია ქართლის კათალიკოზი არსენი ბულმაისისძე“. ქვემოთ: „...შესაძლებელია მივიღოთ, რომ არსენი ბულმაისისძის შემდეგ საკათალიკოზო ტახტზე დამჯდარა მწ.-უხუცესი არსენი ჭყონდიდელი, ამ არსენს ჭყონდიდელყოფილს შესდგომია კვლავ ახალი არსენი (თუ ის იგივე არსენი ბულმაისისძე არ არის, დროებით, შესაძლებელია, ტახტიდან გადამდგარი). ამისდა მიხედვით აბულხოტრიძეთა ჩვენი სიგელის დამამტკიცებელი არსენი კათალიკოზი უნდა იყო(ს) არსენი ბულმაისისძე, რომელიც ამგვარად ცოცხალი ყოფილა 1242—1245 წლების ახლო ხანშიც. ჩვენი სიგლის მიმცემი არსენი ჭყონდიდელი და მწ.-უხუცესი კათალიკოზად შემდეგ, როგორც ჩანს, ძლიერ ცოტა ხანს დარჩენილა და მწირად შიომღვიმეში წარსულა, საკათალიკოზო ტახტზე დამჯდარა სხვა არსენი (იგივე ბულმაისისძე?) რომლის კათალიკოზობა აგრეთვე ფრიად ხანმოკლე ყოფილა. არსენი მწ.-უხუცეს ყოფილი და შიომღვიმის მწირი მოსწრებია ამ არსენის სიკვდილს და მისი მოადგილის მიქაელ კათალიკოზის მოსაყდრეობასაც“ [5].

ამგვარად, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიერ წარმოდგენილი სია საქ. კათალიკოზებისა XIII საუკუნის პირველ ნახევრისათვის შემდეგია:

იოანე თამარის დროს მე-XIII საუკ. დასაწყისში.

ეპიფანე — ჩანს 1218 წელს (ანისის ქართული წარწერით).

არსენი, გიორგი — 1218—1224 წ. (შიომღვიმის „ზატიკის“ ცნობით).

არსენი ბულმაისიმისძე ჩანს 1224 წ. და 1233 წ. (შიომღვიმის „ზატიკისა“ და უნ. სიძვ. საც. № 85 ხელნაწერის ცნობებით).

არსენი ჭყონდიდელ კ'ზი. შიომღვიმეში შემონაზონებული. ცოცხალია 1242—1245 წ. (ქართლის ე'ვის გრიგოლ სურამელის სიგლის მიხედვით (და 1249 წ.) გვარამასძეთა სიგელით).

არსენ ბულმაისისძე (აბულახტარისძეთა და გრ. სურამელის სიგელების მიხედვით) 1240, 1242—45 წ. ახლო ხანებში.

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „მე-XIII საუკუნის პირველნახევრის საქართველოს კათალიკოზები“, გვ. 4, 5.

[2] იქვე, გვ. 7.

[3] პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 343.

[4] საისტორიო მოამბე, წიგნი II, გვ. 130.

[5] იქვე, გვ. 131.

მიქელ — 1249 წელს (გვარამასძეთა სიგელით).

ნიკოლოზი — 1250 წლიდან (მსახურთუხუცესი გრიგოლ სურამელის სიგელით).

ამ სიის თავიდან ბოლომდის დაწვრილებითი განხილვა ჩვენი ამოცანის საზღვრებს სცილდება. ამიტომ მას შევეხებით მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არსენი მწ.-უხუცესთან არის დაკავშირებული.

სიის ავტორი ერთ პირად აღიარებს უნ. სიძ. საც. № 85 ხელნაწერით ცნობილ არსენი კათალიკოზს ბულმაისიმისძეს[1] და შიომღვიმის „ზატიკით“ ცნობილ არსენის[2].

ვფიქრობთ, ცთება ს. კაკაბაძე. საიდან არის ცხადი, რომ არსენი ბულმაისიმისძე „1224 წ. საქართველოს ეკლესიას განაგებდა“? შიომღვიმის „ზატიკში“ მოთავსებული ქართლის კათალიკოზთა სია, რომელიც კაკაბაძის აზრით 1224 წელს უნდა იყოს შედგენილი, უკანასკნელ კათალიკოზად გიორგის ასახელებს, არსენის შემდგომს, ხოლო რაც შეეხება მეორე არსენის მოხსენიებას, ის აშიაზედაა მიწერილი ამ ზატიკის გადამწერის მიერ 1270 წელს[3] და საფიქრებელია, რომ სწორედ მისი ჩანართი ცნობაა (რომ ეს მინაწერი დედანში ყოფილიყო, გადამწერი მას აშიაზე კი არ დატოვებდა, არამედ ტექსტშივე მოათავსებდა). ამიტომ ამ მინაწერის მიჩნევა 1224 წელს შესრულებულად, ვფიქრობთ, შეცთომაა. გარდა ამისა ეს მინაწერი საუკუნო მოსახსენებელს წარმოადგენს[4] და, მაშასადამე, დაწერილია იმ დროს, როცა მასში მოხსენებული არსენი უკვე გარდაცვლილია. ამიტომ თუნდაც ს. კაკაბაძის თანახმად დაგვეშვა, ვითომც ეს მინაწერი 1224 წელს არის შესრულებული, მაშინაც კი შეუძლებელი იქნებოდა ამ მინაწერში მოხსენიებული არსენისა და არსენი ბულმაისიმის-ძის ერთ პირად მიჩნევა, რადგანაც ერთი მათგანი უკვე ცხრა წელია საუკუნო მოსახსენებელს საჭიროებს იმ დროს, როცა მეორე ჯერ კიდევ ჯანსაღადაა და მხოლოდ მრავალჟამეულობა შეშვენის (ს. კაკაბაძის აზრით ის 1245 წელსაც კი ქართლის კათალიკოზია).

ამ ორი არსენის გაიგივებას ზემოთქმულის გარდა ისიც კი აფერხებს, რომ ერთი მათგანი განთქმულია როგორც „საღმრთოთა წიგნთა თარგმანი“, ხოლო არსენი ბულმაისიმის-ძის თარგმანობის შესახებ რაიმე ცნობა ჯერჯერობით არა ჩანს. № 85 ხელნაწერის მიხედვით ის მხოლოდ ჰიმნოგრაფია[5].

ამრიგად, ს. კაკაბაძის დებულება: „1224 წ. და 1233 წელს გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოზი არსენი ბულმაისისძე იმავე დროს

---

[1] უნ. სიძ. საც. (საეკ. მუზ.) № 85 ფ. 293 v., 287 v., 233 r.; ქრონიკები, II, 107—108.

[2] ქრონ. I, 80—81.

[3] ს. კაკაბაძე „მე-XIII საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები“, გვ. 4

[4] ქრონიკ. II, 157; I, 79.

[5] „არშიაზე იმავ ხელით: არსენი ყოვლად განთქმულისა საღმრთოთა წიგნთა თარგმანისა და საქართველოთა ეკლესიათა მნათობისაჲ საუკუნო იყავნ კსენება; მართლმადიდებელთა, კზ-თა საუკუნო იყავნ კსენება“, ქრონიკ. I, 81.

[6] პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 343—346.

საეკლესიო მწერალი“—დაუსაბუთებელია. სახელთა იგივეობის გარდა საერთო არაფერია ამ ორ არსენის შორის.

ს. კაკაბაძის ამ პირველი დებულებიდან გასარჩევი დაგვრჩა ხელნაწერი № 85 ცნობა. აქ მოხსენებული „არსენი კათალიკოზი“ [1] მას 1233 წელს მოღვაწე ქართლის კათალიკოზად მიაჩნია. თ. ჟორდანიას მიერ დაბეჭდილი ცნობების მიხედვით ეს მართლაც ასეა [2]. მაგრამ განსვ. ისტორიკოსს ხსენებული ცნობების გამოქვეყნებისას ძეგლის გარეგანი აღწერილობისათვის, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ მიუქცევია, შენიშვნის ღირსი მოვლენები უყურადღებოდ დაუტოვებია და მისგან დამოკიდებული ს. კაკაბაძეც უეჭველუყოფა არსენი ბულმაისიმის-ძის 1233 წელს ქართლის კათალიკოზობაში.

ხსენებულ ხელნაწერში არსენი ბულმაისიმის-ძე ორგან იხსენიება ქართლის კათალიკოზად. პირველი მათგანი იკითხვის შემდეგნაირად: „ესე იამბიკონნი. ხუთთა თუ̈თა მეტნი არ იყუნეს: ენასა ზ̾ა ქართულსა და ოთხთა თუ̈თანი არსენი ბულმაისიმისძემ (თქმ) ქართლისა კათალიკოზმან. ჩი̾თა შეხუ̈წითა“ [3]: ეს ცნობა აშიაზეა მინაწერი. ის შესრულებულია სინგურით. ხელი ჰგავს ტექსტის ხელს. იგივეობა არ ითქმის. მაგრამ თავი და თავი აქ ისაა, რომ მთელი ეს მინაწერი რაღაც ანაფხეკის ადგილზეა მოთავსებული. ამიტომაც ამ მინაწერის ცნობა საეჭვოა მიუხედავად მისი დამაჯერებელი შინაარსისა და პირველ ყოვლისა საეჭვოა მისი 1233 წლისადმი მიკუთვნება.

მეორე ცნობა თვით ტექსტშია მოთავსებული და იკითხვის: „ო̾რ ღ̾ღუ̈ ხ̾ტისა უხილ̾ვისაჲ ამაჲ გ̾ლბითა თქ̾ლი არ̾სნი ბულმაისიმის ძისა განქართლისა კ̾თკ̾ზისა“ [4]. ეს ცნობა უდავოდ ტექსტის ხელითაა ნაწერი. ის სინგურითაა შესრულებული, მაგრამ გამოთქმა — „ქართლისა კათ̾ზისა“-ს ნაწილი: „ქართლისა კათ̾“ ანაფხეკზეა დაწერილი. ხელი ამ გამოთქმის ნაწილისა საერთოდ ჰგავს მთელი ცნობის ხელს, მაგრამ კიდევ უფრო ჰგავს პირველი ცნობის ხელს. რომ ეს გამოთქმა შემდეგ არის ჩაწერილი ეს იქიდანაც ცხადია, რომ ჩამწერი იძულებული გამხდარა ასო „ქ“-ანი ხაზს ქვედა ასოდ ექცია (მაშინ როცა სხვაგან ამ ხელნაწერში ეს ასო სიტყვის დასაწყისში სამხაზოვანია) და ეს იმიტომ, რომ ადგილის სიმცირის გამო და ჩასაწერის მთლიანად მოთავსების მიზნით ეს ასო ზემო სტრიქონის ერთი ხაზს ქვედა ასოს („გ“-ანის) ქვეშ დაუწერია. ამავე მიზეზით აიხსნება ის მოვლენაც, რომ სიტყვა „ქართლისა“-ს ასოები უფრო წვრილია, ვიდრე ცნობის დანარჩენი სიტყვებისა, უფრო წვრილია ისინი აგრეთვე „კთკ“ ასოებზედაც. ჩანს, ჩამწერს ადგილის სიმცირის შიშით ერთობ წვრილი ასოებით დაუწყია და როცა საკმაო ადგილი მორჩენია „ქართლისა“-ს დაწერის შემდეგ, „კთკ“ ასოებიც გაუმსხვილებია. (თუმცა უნდა ითქვას, რომ „კთკ(ზისა)“ უხეირო დაქარაგმებაა სიტყვის „კათალიკოზისა“ და ეს მოვლენაც იმავე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული). თუ რა უნდა წერებულიყო იმ მცირე ადგილზე, სადაც „ქართლისა კთკ“ ასეთი

[1] უნ. სიძ. საც. (ყოფ. საეკ. მუზ.) ხელნაწ. № 85, ფ. 293 ვ. ქრონიკ. II, 108.

[2] ქრონიკ. II, 103—111.

[3] უნ. სიძ. საც. № 85, ფ. 233 რ.

[4] იქვე, ფ. 287 ვ.

გაპირებით მოათავსა ჩამრთველმა, ამის გადაჭრით თქმა შეუძლებელია[1]. ცხადია, ვფიქრობთ, ერთი (ორივე მოყვანილ ცნობათა დაკავშირებით): არსენი ბულმაისიმის-ძის „ქართლის კათალიკოზობა“ 1233 წელს არ ეკუთვნის[2]. სადაოა, როგორც ვხედავთ, მისი „ქართლის კათალიკოზობაც“. მაგრამ ამავე დროს მისი კათალიკოზობა სადაო არაა: ამაზე ხელნაწერის 293 ფ. v. სწერია არა აშიაზე ან ანაფხეკზე, არამედ ტექსტში და ტექსტისავე ხელით: „თ᷾ა აგუსტოსა: ივ: თაყუანის ცემაჲ ცხოველს მყოფელისა და საუფლოჲსა ხატისა ჴელით უქმნელისაჲ, ოდეს მიყვანებულ იქმნა ედესაჲთ კოსტანტინეპოლედ, ხოლო მეორედ ვინაითგან მოემადლა ნათესავსაცა ჩუენსა... ანტონი მარტყოფელისა მიერ და დღესა ფერისცუალებისასა ეემთხუ᷾ვით კეცსა ზედა გარდამოტუფრულისა ტილოჲსა მიერ: ამისთჳს ესე ო᷾რ ღ᷾ვ᷾ჳ თქუა არსენის მიერ კათალიკოზისა ესე რომელი ამას ზემოჲთ წერილარს“... რომ აქ მოხსენებული არსენი კ᷾ზი იგივე არსენი ბულმაისიმის-ძეა, ეს, ვფიქრობთ, საეჭვო არაა: სწორედ ანტონ მარტყოფელის მიერ მოტანილი „ხატისა უხილაესაჲ“-ს შესახებ აქვს მას „გალობანი“[3]. ამიტომ დაშვება იმისა, თითქო „ქართლისა კოკ᷾ზისა“ ადგილას აფხეკამდის სხვა რაიმე პატივი (არა კ-ზობა) ეწერა, დაუშვებელი ხდება. მაშ, „კათალიკოზისა“ უნდა წერებულიყო. და თუ მარტივად „კათალიკოზისა“ ეწერა (თუმცა უშნო იქნებოდა გამოთქმა „არსენი ბულმაისიმის ძისაგან კათალიკოზისა“) რამ აიძულა ჩამრთველი საგანგებოდ ამოეშალა და „ქართლისა“ ჩაემატებინა? ხომ არ ეწერა იქ „ქართლისა“-ს მაგივრად „აფხაზთა“ ან „იმერთა“?

როგორც არ უნდა აიხსნას ეს ამოცანა, ს. კაკაბაძის დებულების მეორე ნაწილი: — „1233 წელს გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოზი არსენი ბულმაისისძე“ დღესდღეობით მაინც საეჭვოა. საეჭვოა არა მარტო ქრონოლოგიის მხრივ, არამედ ნივთიერადაც: დასამტკიცებელია, არსენი ბულმაისიმის-ძე „ქართლის კ᷾ზი“ იყო, თუ „აფხაზეთის კ᷾ზი“. ამის გამო ს. კაკაბაძის სქემის ის დანარჩენი ნაწილიც, რომელიც არსენი ბულმაისიმის-ძეს აღიარებს მეორედ გაკათალიკოზებულად 1242—1245 წ. ახლო, აგრეთვე სადაო და საეჭვოა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფ. ქ. კეკელიძე არსენი ბულმაისიმის-ძის კათალიკოზობისა, მწ.-უხუცესობისა და მწერლობის საკითხში ს. კაკაბა-

---

[1] თუ ჩვენ გვცოდნოდა, რომ ამ გამოთქმის ბოლო „ხისა“ ტექსტის დამწერს ეკუთვნის და არა ამ გამოთქმის ჩამრთველს, მაშინ მეტის გაბედულობით ვივარაუდებდით... საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ, თუმცა ეს „ხი᷾ა“ ანაფხეკზედ არაა მოთავსებული, მაგრამ ეს ჩანართი გამოთქმა სტრიქონს აბოლოებს და უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალი „სა“ გვერდის აშიაზე გადადის. ამიტომ იმის თქმა, თითქო ეს ნაწილი „ხისა“ „ქართლისა კოკ᷾-ს ჩართვამდისაც აქ იყო, ძნელია (ტექსტის პირველი მწერალი აშიაზე წერის მოვალე არ იყო). პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ეს „ხისა“-ც ჩამრთველს ეკუთვნოდეს. მაშინ უფრო გასაგებია მარცვალი „სა“-ს აშიაზედ მოთავსებულობა.

[2] საერთოდ საეჭვოა, თითქოს ეს ხელნაწერი 1233 წელს იყოს დაწერილი. 1233 წელს აბუსერიძე ტბელმა დაწერა „ქორონიკონი სრული მი᷾ითა საუწყებელითა და განჯებითა“, რაც შესაძლოა შემდეგ უცვლელად გადაიწერეს. სამწუხაროდ, ეს ძეგლი ვერ არის ჯერ სათანადოდ შესწავლილ-აღწერილი. ხელნაწერში არის ცნობა, რომ ის (თუ მისი ნაწილი?) გადაწერილია არა უადრეს 1278 წლისა.

[3] ქრონ. II, 107—108.

ძის გამოკვლევით სარგებლობს. მაგრამ მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა თვით უარყო ამ არსენის მწ.-უხუცესობა და შიომღვიმის მწირობა, პ-ლი პროფესორის საპასუხოდ ჩვენ აღარა დაგვრჩენია.

ს. კაკაბაძის აწინდელი აზრი არსენი ჭყონდიდლის შესახებ შემდეგია: ის მწ.-უხუცესია 1242—1245 წ. (დაახლოებით). შემდეგ იგი შიომღვიმის მწირია კ"ზ მწ.-უხუცესყოფილი[1]. ცოცხალია ის 1249 წელს. ამ არსენის კათალიკოზობა კაკაბაძის სქემის მიხედვით 1245—1247 წლებს შორის უნდა მოდიოდეს დაახლოებით, რათგან მის შემდეგ სხვა არსენი კათალიკოზობდა და 1249 წელს კი საკ"ზო ტახტი მიქაელს ეპყრა.

ამ სქემის პირველი დებულება აბულახტარისძეთა[2] სიგლის დათარიღებას ემყარება. ეფიქრობთ წლები: 1242—1245 შესწორებას მოითხოვს. 1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. ის კარგა ხანია „ტკბილისა შვილისა თვისისა ნაღვლითა და ტკივილითა მწარითა იღეოდა დასნეულებული“[3]. შვილი მისი მეფე დავით ნარინი უკვე რამდენიმე წლის წინ ყარაყორუმს იყო წარგზავნილი. ცხადია, ამ წლებში სიგლის მიცემა, რომელსაც მეფენი რუსუდანი და დავითი ამტკიცებენ, ვერ მოხდებოდა. საფიქრებელი არაა, რომ დავით ნარინი 1242—1243 წელზე უფრო გვიან წასულიყოს, რადგანაც ყარაყორუმს წარგზავნამდის ბათო ყაენმა „ნარინ: დავით: მეფე: ორის: წლისა: ჟამთა: თვის: თანა: იპყრა:“ და მხოლოდ მერმე წარავლინა „ჩინმაჩინს და ყარაყორუმს“. და თუ 1245 წელს ის უკვე ყარაყორუმს იყო გამგზავრებული, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოდან ის 1242 წლის ბოლოს ან 1243 წლის დასაწყისს გამგზავრებულა. ჭყონდიდლის ელჩობა კი ბათო ყაენთან, რა თქმა უნდა, ამაზე უფრო ადრე უნდა ყოფილიყო[4]. 1238—1239 წელს რუსუდანი ჯერ კიდევ არ დაჰმორჩილებოდა მონღოლთ. ამ დროს ის ჯერ კიდევ მათ განდევნას ცდილობდა. ამას მოწმობს მისი წერილი რომის პაპის გრიგოლ IX-სადმი. 1240 წელს მას პასუხი მოდის. შველის იმედი არსაიდან ჩანს[5] და რუსუდანიც ბედს მორჩილდება. აი ამ დროს უნდა წასულიყვნენ ელჩები მისდა „სამსახურად“ ბათო ყაენთან. სიგელი დაწერილია არსენ მწ.-უხუცესის ელჩობიდან დაბრუნების შემდგომ. ამიტომ უფრო მართებულია, ეფიქრობთ, ამ სიგლის მიცემის დათარიღება 1241—1242 წლით[6].

---

[1] სამწუხაროდ, კორექტორული შეცთომის გაუსწორებლობის გამო გაუგებარია, რა წლებით ათარიღებს ხსენებული ავტორი გრიგოლ სურამელის სიგელს (1245—1245?). უნდა ვიფიქროთ რომ 1245 წლის შემდგომი დროით, რადგან ამ წლამდის მას შესაძლებლად მიაჩნია არსენი ჭყონდიდლობდეს, ხოლო ბულმაისიმის-ძე კათალიკოზობდეს.

[2] და არა აბულხოტრისძეთა. იხ. ი. ცინცაძის შესწორება; საქართველოს არქივი, წიგნი II, 24.

[3] მ"ამ დ"ფლსი ქ"ცა, 622, შენიშ. 6.

[4] ს. კაკაბაძეს მისდაუნებლიეთ არ შეეძლო მხედველობაში მიეღო ეს გარემოება, რადგან უმართებულო წაკითხვის შედეგად ჭყონდიდლის ელჩობას ის ჭონებდა არა „ბათოისსა“, არამედ „ბათლისსა“ (=ბითლისს). იხ. ი. ცინცაძის შესწორება: საქართველოს არქივი, წიგნი II, 24.

[5] მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 14—17

[6] ამ თარიღის მეტი საფუძვლიანობით და ზედმიწევნილობით გამოკვლევა მთელი ეპოქის ქრონოლოგიის კრიტიკულ შესწავლას მოითხოვდა, რაც ამჟამად ჩვენთვის შეუძლებელია.

ს. კაკაბაძის საბუთიანობა ასეთია: „სიგელის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საბუთს რუსუდან მეფის გარდა ხელს აწერს დავით მეფეც, რომელიც ცხადია ნარინ დავითი უნდა იყოს. ნარინ დავითი დაიბადა 1230 წელს და 1236 წელს ექვსი წლის ის უკვე მეფედ აკურთხეს. თუ ხელის მოწერა სიგელზე თვით დავით მეფეს ეკუთვნის (?sic ნ. ბ.), მაშინ საფიქრებელია, რომ სიგელი მიცემული იქნებოდა რუსუდანის მეფობის უკანასკნელ წლებში, როდესაც დავით უკვე მთლად მცირე არ იქნებოდა. დაახლოებით მაშასადამე, 1242—1245 წლებში“ [1]. მკვლევარის მიერ აქ მიღებული თარიღი ნარინ დავითის დაბადებისა, „აფხაზთ ქრონიკიდან“ ამოღებული, ეფიქრობთ, ვერ არის მართებული. საქმე ის არის, რომ დავით ნარინი როცა მეფედ აკურთხეს „ვითარცა წლისა ხუთისა“ [2], ეს მოხდაო ქუთაისში, სადაც რუსუდან მეფე ლტოლვილ იყო ჯალალედდინის მიერ ლიხთ-აქეთი საქართველოს დაპყრობის გამო. ამიტომ „ამიერი: ესე: სამეფო: უცალო: იყო: ხვარაზმელთაგან:... ყოველნი: სამაგრეთა: შინა: ციხოვნობდენ: თვითეულნი: მორჩილებასა: შინა: (ქ-ცა: ზედა) მეფისა: რუსუდანისასა: და: უცალოებისა: ძალითა ვერ დაუხვდეს: დალოცვასა: მეფისა: დავითისასა:“ [3] ამრიგად, ჯალალედდინი ჯერ კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობდა, როცა დავით ნარინი მეფედ აკურთხეს [4]. ამიტომ ეს კურთხევა არ შეიძლებოდა 1230 წელზედ უფრო გვიან მომხდარიყო: ჯალალედდინი 1231 წელს მოჰკლეს. და თუ 1230 წელს დავითი იყო 5 წლის, ის უნდა დაბადებულიყოს 1225 წელში. ასე რომ დავით ნარინის თითქოს-და წლოვანობითი სიმცირის გამო მის მიერ ხელმოწერილი სიგლის 1245 წელში გადატანა სრულიად საჭირო არაა: ის 1240 წელშიაც საამისოდ სრულჰასაკოვანი იყო. ამრიგად, ჩვენი კვლევის თანახმად, არსენი 1240—1242 წლებში მწ.-უხუცესია. თუ როდის მიიღო მან ეს ჯელი, ჩვენ ამის ცნობა არ მოგვეპოვება. მაგრამ არის საბუთი ვიფიქროთ, რომ ის 1240 წელს დიდი ხნის მწ.-უხუცესი არ შეიძლება ყოფილიყოს. აბულახტარის-ძეთადმი მიცემულ სიგელში ის თავის თავს რუსუდანის „გაზრდილს“ უწოდებს [5]. რუსუდანი 1240 წელს 45 წლის უნდა ყოფილიყოს. მისი „გაზრდილი“ არსენ მწ.-უხუცესი სულ ცოტა 8—5 წლით უფრო ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. საქართველოში მაშინ მოქმედი საეკ. კანონის თანახმად ეპისკოპოსად კურთხევისათვის საჭირო იყო 35 წელი. არსენი 35 წლისა იქმნებოდა 1235—1238 წლებში (დაახლ.) და მაშ მხოლოდ ამ დროიდან შეიძლებოდა ის მწ.-უხუცესი ყოფილიყო.

---

[1] საისტორიო მოამბე, II, 123.

[2] მ-ამ დ-ფლსი ქ-ცა, 582, *757.

[3] იქვე, 584, *759.

[4] არ არის უმართებულო ვიფიქროთ, რომ ასეთი ნაადრევი კურთხევა სწორედ ჯალალ ედდინის პოლიტიკის საწინააღმდეგო ზომა იყო. ლაშასძე დავითი აქ რაიმე პიზეზად მოსატანი არ უნდა იყოს. ჯალალისათვის ორიეე უფლისწული ერთნაირად მიუღებელი იყო: მას თვით სურდა გამეფება.

[5] საისტორიო მოამბე II, 132.

მწ.-უხუცესი არსენი როდის იქმნა კ"ზი არ ვიცით. ცხადია მხოლოდ, რომ შიომღვიმეში შემონაზონებამდის ის კ"ზი ყოფილა. ამას ამტკიცებს გრიგოლ სურამელის სიგელი შიომღვიმისადმი [1].

ს. კაკაბაძე ამ სიგლის გამო ამბობს: „გრიგოლის მეოთხედ წასვლა თათრებში დიპლომატიური დავალებით უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1245—124(?) წლების ახლო ხანებში" და ამ წლებითვე ათარიღებს თვით სიგელსაც [2]. თარიღი დაახლოებით სწორია, მაგრამ მისი მიღების გზა კი მცთარი. გრიგოლ სურამელი თათრებში „დიპლომატიური დავალებით" კი არ მიდიოდა, არც მათ წინააღმდეგ სალაშქროდ, როგორც ამას თ. ჟორდანია ჰგონებდა [3], არამედ „თათართა შიგან" მიდიოდა „ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათუის" [4]. თუ რას ჰნიშნავს ეს, თათართა შიგან წასვლა, ამას არსენი მწ.-უხუცეს—კ"ზ ყოფილი გვამცნობს ამავე სიგელში. მეო, ამბობს ის, გრიგოლ სურამელსო „ერთსა ჯერსა ლაშქარს წარმავალსა" მოვახსენე ესა და ესო, რომ სოფელი ვავაზელნი უკან დაებრუნებინა შიომღვიმისათვისო [5]. ეხლა, თუ ჩვენ ჩაუკვირდებით გამოთქმას: „ერთსა ჯერსა ლაშქარს წარმავალსა" და დაუკავშირებთ მას გრიგოლის გამოთქმას: „მიმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან"..., ადვილად მივხვდებით რომ აქ ლაპარაკია ქართველთა იმ იძულებითს ლაშქრობაზე, რომლის შესახებ ჟამთააღმწერელი გვამცნობს:

რუსუდანის დამორჩილებისა და ნარინ დავითის მონღოლეთში გამგზავრების შემდეგ „თათართა: მათ: ოთხთა: ნოინთა: მოვჴსენა: ბოროტი: ალმუთელთა: რომელი: შეამთხვიეს: მომავალთა: და: აღიმჴედრეს: მათ: ალმუთსა: ზედა: და: თანა: მბრძოლობა: განაჩინეს: ქართველთა: და: წარმოუგზავნეს: მოციქული: მეფესა: რუსუდანს: რათა: მისცენ: საყოფი: საქართველოსა: ლაშქრად: ალმუთს:" [6] ამ ხანებში რუსუდანი გარდაიცვალა, საქართველო უმეფოდ დარჩა და „თჳთეული: ერის: მთავარი: თჳთოსა (კ"ცა: მათ ხვედრსა) ნოინსა: შეუდგა: (კ"ცა უმატებს: რამეთუ პირველვე გაყოფილ იყუნეს ნოინთა მიერ) და: განაჩინეს: თათართა: ბეერისა: მთავარნი: [7] (და ჩამოთვლილია შვიდი მთავარი, მათ შორის გრიგოლ სურამელიც) და... წარვიდეს: ბრძოლად ალმუთს: და: ქართველნი: თანა: წაიტანეს: რომელნი განყუეს: ორად: ნახევარნი: ერთსა: წელსა: და: ნახევარნი: ერთსა წელსა: იყუნიან: ალმუთს: რამეთუ: შვიდ: წელ: განგრძელდა: ბრძოლა: ალმუთისი: [8]... ხოლო: ქართველნი: განყოფილი: თჳთეული: მისსა წელიწადსა: ხვედს: და: იყჳს: ალმუთს და: კუალად: წარვიდიან: სხჳანი: ხვედრსა: მისსა: წელიწად: ერთ: იყჳს: ალმუთს: და: კუალად: სხჳა მხვედრსა: მათსა: და: ესრეთ: შვიდისა: წლისა: ჟამთა: განგრძელდა: ყოფა" [9]. აი სწორედ ამ ჯერით ლაშქარს წასვლაზეა ლაპარაკი გრიგოლ სურამელის სიგელში.

[1] თ. ჟორდანია, შიომღვიმის ისტ. საბუთები, 52—58; ქრონ. II, 97—102.
[2] საისტორიო მოამბე II, 131.
[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 99, შენიშვნა 1.
[4] ქრონიკები II, 99, შიომღვ. მონ. ისტ. საბ-ბი 54.
[5] იქვე, 102. იქვე 58.
[6] მ"მ დუ"ლისი კ"ცა, 622 *788.
[7] იქვე, 623, *788.
[8] იქვე, 624, *787.
[9] იქვე, 624, *787.

ბრძოლა ალამუთის წინააღმდეგ მონღოლებმა განაახლეს ყიასედდინის დამარცხების შემდეგ და რუსუდანის სიცოცხლეში, საფიქრებელია—1244 წელში. მაგრამ გრიგოლ ქართლისა ე˘ევ˘ი მოვალე არ იყო მარტო ის ლაშქრობანი დაეთვალა და მოეხსენებინა თავის სიგელში, რომელიც მას ალამუთს შეხვდა ჯერით. ის, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ერთი მთავართაგანი, მონღოლთ, უეჭველია, სხვა ლაშქრობებშიც ახლდა.

ამ სიგლის მიხედვით ჩვენი არსენი უკვე შიომღვიმის მწირია ქ. კ˘ზ მწ.-უხუცეს-ყოფილი. მაშ 1242 წლის შემდეგ არსენი მწ.-უხუცესი კ˘ზად კურთხეულა და გადამდგარა კიდეც. 1248 წელს კ˘ზად ვიღაც არსენი ჩანს. არის ეს იგივე არსენი, რომელიც 1242 წელს კათალიკოზობდა თუ, ეს სხვაა — ძნელი სათქმელია.

ს. კაკაბაძის აზრით არსენი კ˘ზ — მწ.-უხუცეს-ყოფილი 1249 წელსაც ჩანს[1]. ამის საბუთს მკვლევარს ვაჩე გუარამისძისადმი მიქაელ ქ. კ˘ზისგან მიცემული სიგელი აძლევს. ეს სიგელი მართლაც საინტერესოა, მაგრამ ჩვენამდის მოღწეული და ყოფ. პეტ. აზ. მუზ. დაცული პირი, როგორც ჩანს, მეტად საეჭვო ღირსებისაა. ამიტომ ამ სიგლის ცნობებით სარგებლობას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს მათი კრიტიკული შეფასება. სამწუხაროდ, ს. კაკაბაძეს ასეთი შრომა არ მიუღია თავის თავზე და ამავე დროს აქ მოცემული ცნობებით უხვად და სრულის ნდობით უსარგებლნია.

ეს სიგელი გამოცემულია ორჯერ და, როგორც ჩანს, სხვადასხვა პირის მიხედვით — თ. ჟორდანიასა[2] და ს. კაკაბაძის მიერ[3]. ორივე გამოცემა შეუწყნარებელია. გარდა ტექსტის კრიტიკული დაუმუშავებლობისა, არც ერთ გამომცემელს არ დავიწყნია ერთი მეტად სამწუხარო ჩვეულება — ტექსტის შემოკლება.

სამწუხაროდ, თითოეულ გამომცემელს სხვადასხვა ადგილი უცვნიათ გამოცემის ღირსად. თ. ჟორდანიას ს. კაკაბაძისათვის (და ამ შემთხვევაში ჩვენთვისაც) საინტერესო ნაწილი (სიგლის დამტკიცებანი) არ გამოუცია, რომ ადამიანს შეეძლოს ამ მოწმობათა შეჯერება და ამით რამდენადმე პირმშო დედნისადმი მიახლოება...

ორივე გამოცემაში დაცული საერთო ადგილების შეწამებიდან ირკვევა, რომ ს. კაკაბაძის გამოცემის დედანი განსხვავდება თ. ჟორდანიას გამოცემის დედნისაგან არა მარტო ორთოგრაფიისა და ენის მხრით, არამედ ნივთიერადაც.

ამიტომ აღმოჩენა თ. ჟორდანიას გამოცემის დედნისა (თუ ის იმიერკავკასიაში დაღუპულ სიგელთა რიცხვში არ არის მოყოლილი) და მისი კრიტიკული გამოცემა (ყოფ. პეტ. აზ. მუზ. დაცულ პირთან შეჯერებით) საბოლოოდ გაარკვევს ს. კაკაბაძის გამოცემით აღძრულ საცილობელ საკითხებს. ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული სიგლის შინაარსი ასეთია: მიქელ

[1] საქ. მოამბე II, 131. XIII საუკ. პირვ. ნახევრის საქ. კ˘ზები 7.

[2] ქრონიკ. II, 176.

[3] ს. კაკაბაძე, op. cit. 5—6.

ქართლისა კ'ზი სამამულოდ აძლევს საკ'ზო კარის მსახურთუხუცესს ეაჩე გუარამასძეს სოფელ ორომაშენს./ სიგელში მოიხსენიება „პირველ ხუარაზმელთაგან და მერმე თათართაგან" საქართველოს მოოხრება. სიგელს სწერს კ'ზის დისწული საპურჭლის შწიგნობარი იოანე. სიგელს ამტკიცებენ: 1. მეფე („ჩუენ დავით მეფეს დამინიშნაეს"); 2. კათალიკოზი (რომელიც დამტკიცების ტექსტში არც თავის სახელს და არც თანამდებობას არ ამჟღავნებს); 3. „გლახაკი არსენ" („კირიელეისონ. ესე ვითა სანატრელსა ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზს მიქაილს გურამასძე ეაჩე შეუწყალებია... მტკიცე ყოს ღ'ნ ნაქმარი და ბრძანება მათი. მე მრწემი სიწმიდისა მათისა გლახაკი არსენ ნებითა ღმრთისათა ჩემითაც ჴელითა დავამტკიცებ"...); 4. ამირსპასალარი („ამის ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულის მოწამე ვარ და დაწერილისა დამამტკიცებელი ამისი გამთაეებელი ამირსპასალარი" — სახელი არაა); 5. ვიღაც სასულიერო პირი („ამის ღმრთის მიერ ქართლის კათალიკოზებთა დაწერილისა და ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებულისა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ მიწა და მღცეელი წ'ისა მეფობისა მათისა"... სახელი არაა).

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს აზრით ვინმე სასულიერო პირის მიერ ნახმარ გამოთქმაში: „ამის ღმრთისა მიერ ქართლის კათალიკოზებთა დაწერილისა და ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებულისა" — „კათალიკოზებათ ნაგულისხმეევია თვით მიქაელ და ეს „გლახაკი არსენ", ხოლო ღმრთის სწორთა პატრონებად დავით ლაშასძე და დავით რუსუდანისძე, რომელნიც რამოდენიმე ხანს ერთად განაგებდენ საქართველოს" [1]. ავტორი ჰხედავს, რომ მის მიერ გაკეთებულ დასკვნას მეფეთა შესახებ არ ამართლებს მის მიერვე გამოცემული ძეგლის ტექსტი და ცდილობს სძლიოს სიძნელე: „თუმცა კოპიოს მიხედეით სიგელში მარტო ერთი დავითის ხელის მოწერა ჩანს, მაგრამ შესაძლებელია დედანში მეორე დავითის ხელის მოწერაც ყოფილიყოს — მინაწერში ღმრთის სწორთა პატრონების მოხსენება ამას უნდა გვიჩვენებდეს" [2]. ავრიგად, გამომცემელმა მის მიერვე გამოცემული ტექსტის ერთი ადგილი გაბოცემის უმალვე შეასწორა. მოსალოდნელი იყო, რომ ახლა მაინც აღძეროდა სურვილი მთელი ტექსტის კრიტიკულად შესწავლისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ეს არ მოისურვა და სხვა ცნობები ხალას ჴეშმარიტებად მიიღო.

მეორე საინტერესო დასკვნა ავტორს გამოჰყავს იმავე უცნობი სასულიერო პირის მინაწერიდან. „ამის ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზებთა დაწერილისა"-ში ის ორი კათალიკოზის მოხსენებას ჰხედავს, ხოლო, რადგან სხვა მინაწერთაგან მხოლოდ ერთი კ'ზი ჩანს, ავტორი დაასკვნის, რომ „კათალიკოზებად აქ ნაგულისხმეევია თვით მიქაელ და ეს „გლახაკი არსენ", რომელიც, ჩემის აზრით, კათალიკოზად ნამყოფი ბულმაისისძე უნდა იყოს" [3].

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, op. cit. 7.

[2] op. cit. 7, შენიშვნა 9.

[3] იქვე, მართალია, ავტორმა ამის შემდეგ შესცვალა თავისი აზრი ბულმაისიმისძეზე, თითქოს ის მწ.-უხუცესიც ყოფილიყოს, ხოლო კ'ზობის შემდეგ შიომღვიმეში შემონაზონებული,— მაგრამ ეს ჩვენთვის საინტერესო „გლახაკი არსენ" მას ეხლაც კ'ზ—მწ.-უხუცეს ყოფილ მწირად მიაჩნია — იხ. მოამბე II, 131 — ასე რომ მოყვანილი აზრი ბულმაისი[მი]სძის შეცვლით ავტორის მიერ დღესაც შეწყნარებულია.

განვიხილოთ ეს მინაწერი. უპირველეს ყოვლისა „ღმრთისა მიერ“ კ̇ზი უცნაურია. კ̇ზი „ქრისტეს მიერი“ იყო, მისი, როგორც „პირმეტყველ ცხოვართა მწყემსის“ მოადგილე და მის მიერ დადგენილი. სასულიერო პირის მიერ ასეთი შეცთომა და ისიც კ̇ზის მიერ ბოძებულ სიგელზე მოსალოდნელი არაა. ამიტომ ეს ადგილი უნდა შესწორებულ იქმნას.

მეორე: „კათალიკოზებთა“ ასეთივე უცნაურობაა იმ დროისათვის, მხოლოდ გრამატიკულად: gen. pl. „თა“ ნაწარმოები უნდა იყოს nom. pl. „ნი“-დან და nom. pl. „ები“ მოითხოვს gen. pl. „ების“ და არა „ებთა“-ს. ამიტომ ფორმა „კათალიკოზებთა“ გრამატიკულად მიუღებელია და ამდენადვე საეჭვო. ისიც უნდა შესწორდეს.

მესამე: ეს უცნობი სასულიერო პირი სწერს: „ამის ღმრთისა მიერ ქართლის კათალიკოზებთა დაწერილისა და ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებულისა მოწამე ვარ“... თუ აქ სიტყვა „კათალიკოზებთა“ უცელელად დაეტოვეთ და ამ სიტყვაში ორი ქართლის კ̇ზი ვიგულისხმეთ, წინააღმდეგობის ალმოსაჩენად დიდი ფიქრი არ დაგვჭირდება. ამ მინაწერიდან ისე გამოდის, რომ სიგელი მიუცია ორ ქართლის კათალიკოზთ და დაუმტკიცებიათ ორ მეფეს. თუ აქ ორი ქართლის კ̇ზია, მაშინ ერთი მათგანი მართლაც „გლახაკი არსენია“, როგორც ამას ს. კაკაბაძეც ჰგონებს. მაგრამ თავის მინაწერში „გლახაკი არსენ“ ამბობს: ესე ვითა სანატრელსა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზს მიქაილს (sic) გუარამასძე ვაჩე შეუწყალებია... მტკიცე ყოს ღმერთმან ნაქმარი და ბრძანება მათი, მე... გლახაკი არსენ ნებითა ღმრთისაჲთა ჩემითაც ჴელითა დავამტკიცებ“... აქედან აშკარაა, რომ ეს სიგელი მართო კ̇ზ მიქაელის „ნაქმარი და ბრძანებაა“ და „გლახაკი არსენ“ მხოლოდ ამტკიცებს მას ისევე, როგორც სხვები. (ან კი რა წარმოსადგენია, რომ შიომღვიმის მწირი თანამონაწილეობდეს ქ̇. კ̇ზის საბეურნეო საქმიანობაში). გამოდის, რომ „გლახაკი არსენ“ უარყოფს იმას, რასაც მას უცნობ სასულიერო პირის მოწმობაზე დაყრდნობით ს. კაკაბაძე მიაკუთვნებს. ასეთ შეცთომას, რა თქმა უნდა, თანამედროვე მოწამე და ისეთი პირი, რომელიც მოწოდებულია კ̇ზის მიერ მიცემული და მეფეთა მიერ დამტკიცებული სიგელი ამტკიცოს, არ დაუშვებდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა „კათალიკოზებთა“ გარდა თავისი გრამატიკული შეუწყნარებლობისა ნივთიერადაც შეუწყნარებელია და ამდენადვე სათანადო შესწორებას მოითხოვს.

ეხლა განვიხილოთ ვინაა ეს „გლახაკი არსენ“?

უდავოა, რომ ის მაღალი სასულიერო პირია: ის სიგელს ამტკიცებს კ̇ზის შემდგომ და ამირსპასალარის უწინ. შეიძლება თუ არა, რომ ის შიომღვიმის მწირი არსენ კ̇ზ—მწ̇.-უხუცეს-ყოფილი იყოს? ვფიქრობთ, არ შეიძლება. ჯერ ერთი, გაუგებარი იქნებოდა მისი ჩარევა კ̇ზის სამეურნეო საქმიანობაში და მეორე, შეუძლებელია არსენ კ̇ზ—ყოფილს თავისი თავისათვის ეწოდებინა „მრწემი სიწმიდისა მათისა“ — ე. ი. უმცროსი კათალიკოზი. თუ მიქაელზე უფროსი არა, არსენ კ̇ზ-ყოფილი მისი სწორი მაინც იყო. მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, როგორ შეეძლო ყოველივე ამ სოფლის დამტოვებელს და შიომღვიმის მწირს თავისი თავისათვის ქ̇. კ̇ზის მრწემი ეწოდებინა? ამავე დროს არა-

ვის გარდა კათალიკოზისა არ შეეძლო თავისი თავისათვის ეწოდებინა „მრწემი სიწმიდისა მათისა“ (ე. ი. კათალიკოზისა). გამოდის, რომ „გლახაკი არსენ“ კ˘ზ ყოფილი კი არა, ნამდვილი კ˘ზია, მაგრამ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი, ვიდრე მიქაელ ქართლისა კ˘ზი. ასეთი კი, როგორც ერთ ჩვენს წერილში ვეცადეთ ცხად გვეყო[1], აფხაზეთის კ˘ზი იყო. ერთადერთს მას შეშვენოდა ასეთი წოდება. სიგლის დამტკიცებაც მის მიერ უფრო გასაგები და ბუნებრივია. უნდა ვიფიქროთ, რომ არსენ აფხაზთა კ˘ზი რაღაც მიზეზის გამო აღმ. საქ-ში ყოფილა ამ სიგლის მიცემის დროს[2]. ამ შემთხვევაშიაც მის მიერ მცხეთის საკ˘ზო ტახტის სამეურნეო ცხოვრების შესახებ სიგლის დამტკიცება ფ-დ საყურადღებოა.

ზემოდ ჩვენ არსენი ბულმაისიმის-ძეზე საუბრის დროს ეპვი შევიტანეთ მის ქართლის კათალიკოზობაში. ეხლა შეგვიძლია ჩვენი ეპვი კიდევ უფრო საფუძვლიანად მივიჩნიოთ და არსენ ბულმაისიმის-ძე იმ „მათისა სიწმიდისა მრწემი არსენი“-დ ვაღიაროთ, რომლის „აფხაზთა კ˘ზობა“, ვფიქრობთ, ნაკლებ სადაოა.

რაც შეეხება ჩვენი სიგლის თარიღს, აქ ს. კაკაბაძე შეიძლება მართალი იყოს[3]. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს სიგლის შინაარსიც. ამრიგად, 1249 წელს ჩანს არა კ˘ზ ყოფილი არსენ, არამედ აფხ-ზთა კ˘ზი არსენ ბულმაისიმის-ძე.

ვინ იქნა მწ.-უხუცესი არსენის შემდეგ, ამის პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება, მაგრამ არსენ ნწ.-უხუცესის მიერ აბულახტარისძისადმი ბოძებული სიგლის აღმოჩენის შემდეგ ადვილად შეგვიძლია ეს საკითხიც გავარკვიოთ. ხსენებული სიგელი, როგორც ეხლა გამორკვეული გვაქვს, ბოძებულია 1241—1242 წელში. ამ სიგელს ამტკიცებს ბასილი მწ.-უხუცესიც. ამ ძეგლს გამომცემელმა ს. კაკაბაძემ ბასილის ხელისმოწერა სიგლის ბოძების დროისად აღიარა და ორი მწ.-უხუცესის თანადროულობის საკითხი წამოაყენა. ის ამბობს: „ხელის მოწერის ადგილი და ხასიათი თითქმის უეჭველად ყოფს, რომ ბასილი ჰყონდიდელს ხელი მოუწერია სიგელზე საბუთის შესრულებისთანავე. მაშასადამე, საბუთის დაწერისას, საგულისხმებელია, იყო ორი მწიგნ.-უხუცესი თვით არსენი და ბასილიც“. ამხ. ი. ცინცაძემ სრული დამაჯერებლობით უარყო ს. კაკაბაძის ნაჩქარევი ჰიპოთეზი. მან დაამტკიცა, რომ ბასილი ჰყონდიდელს ხსენებულ საბუთზე ხელი მოწერილი აქვს ყოველ შემთხვევაში არა სიგლის ბოძებისას, არამედ შემდეგ[4].

[1] „მიმომხილველი“ № 1, ნ. ბერძენიშვილი „დას. საქ. საეკ. წესწყობილება“.

[2] შესაძლებელია, რომ აფხ. კ˘ზი არსენ მეფე დავით ლაშასძის კურთხევაზე იყო ჩამოსული. „მეფის კურთხევის წესი“, რომელიც სწორედ ულუ დავითის კურთხევისათვის უნდა იყოს შედგენილი, მართლაც ითვალისწინებს აფხაზეთის კ˘ზის დასწრებას მეფის კურთხევაზე.

[3] მეფენიც, საფიქრებელია, ორნი აწერდნენ ხელს, როგორც ამას გამომცემელიც ჰგონებს. ეს ჩანს როგორც უცნობი სასულიერო პირის მოწმობიდან: „ღმრთისა სწორთა პატრონთაგან“, აგრეთვე ამირსპასალარის მოწმობიდანაც: „ამისი ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულის მოწამე ვარ“. „ღმრთისა სწორნი“ დამამტკიცებელნი აქ მხოლოდ მეფეები შეიძლება ვიგულისხმებოდნენ.

[4] საისტორიო მოამბე II, 124.

[1] საქართველოს არქივი II, 27—28.

ასე რომ უარყოფილ უნდა იქნას შესაძლებლობა, თითქო ბასილი 1242 წელს (უკეთ: არსენის მწ.-უხუცესობის დროს) მწ.-უხუცესი იყო. მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, რომ 1250 წელს ბასილი უკვე მწ.-უხუცესია. ამას იგივე არსენ მწ.-უხუცესის სიგელი არკვევს. ამ სიგელს სხვათაშორის ავაგ ათაბაგიც ამტკიცებს. ხელრთვის რიგიდან ცხადია რომ ავაგი სიგელს ამტკიცებს ან ბასილთან ერთად, ან ბასილის შემდეგ და ყოველ შემთხვევაში არა უწინარეს მისა. ავაგი, როგორც ცნობილია, 1250 წელს გარდაიცვალა. მაშ 1250 წელს მაინც, თუ უწინ არა, ბასილი უკვე მწ.-უხუცესი ყოფილა.

აღნიშნული სიგლის გარეგანი შესწავლიდან ისიც ირკვევა, რომ მისი მესამე და მეოთხე კეფი ერთი ხელის მიერაა (და შეიძლება ვიფიქროთ — ერთად) სიგელზე მიკერებული. მესამე კეფზე ამტკიცებენ: კ"ზი არსენი, ბასილი ჴ"ლ — მწ.-უხუცესი და „დიდისა მონასტრისა (უნდა ვიფიქროთ გელათის) წინამძღვარი“ ნიკოლოზ. სამივე ეს დამტკიცებანი ერთ დროს უნდა მიეკუთვნოს. და თუ ეს ასეა, მივიღებთ, რომ ბასილი ჭყონდიდლობს, მაშინ როცა ჯერ კიდევ არსენი კათალიკოზობს. სიგლის მბოძებელი არსენი კი ამ დროს უნდა ყოფილიყო ან შიომღვიმის მწირი (კ"ზ — მწ.-უხუცეს-ყოფილი) ან უკვე გარდაცვლილი. არც კ"ზი და არც მწ.-უხუცესი ის ამ დროს არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ეხლა თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ხსენებულ სიგელს ჭყონდიდელთაგან არსენის შემდეგ სწორედ ბასილი ამტკიცებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსენის შემდგომი მწ.-უხუცესი უშუალოდ ბასილი იყო. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1248 წელს არსენი უკვე შიომღვიმის მწირი იყო. ხოლო მეორე არსენი კი 1249 წელს კ"ზი აღარ არის. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ 1248 წლიდან ბასილი უკვე ჭყონდიდლობს.

მართალია, ჩვენ ისიც ვიცით, რომ არსენი მწ.-უხუცესი კათალიკოზიც იქმნა, მაგრამ არ ვიცით, კათალიკოზობის მიღებისას მან მწ.-უხუცესობა დატოვა, თუ ორივე ეს ჯელი შეათავსა? ამიტომ ბასილის მწ.-უხუცესობის დასაწყისს ამაზე უფრო ადრინდელ წლებს ჯერჯერობით ვერ მივაკუთვნებთ. ბასილი მწ.-უხუცესის მოღვაწეობის დასასრული კარგად ცნობილია.

ამ ფ-დ საინტერესო პიროვნების შესახებ ქ"ცა გვამცნობს:... „განდიდნა: ჭყონდიდელი: ბასილი: და: უჯარმელი: და: იწყო: საურავთაცა: ქმნად: თჳნიერ: მეფისა: კიოხვისა: და: მეფისა: იმერით: ყოფასა: შინა: დიადი: აწყინა: სეფეთა: ქვეყანათა: ვითარ: თჳსთა: ხედვიდა: და სიტუაცა: იყო: [ვითარმედ]. ესუქანს: თანა: ეყო: ამისთჳს შესმენილ: იქმნა: ბასილი: წინაშე: მეფისა: რომელმან: მსწრაფლ: მოიყუანა: და: ბრძანა: ძელსა: დამოკიდება: დაპოჰკიდეს: ძელსა: შუა: ქალაქსა:“[1].

ბასილ მწ.-უხუცესის სიკვდილად დასჯა უნდა მომხდარიყოს 1265 წელს. როგორც სამართლიანად ეჭვობს აკად. ი. ჯავახიშვილი, ბასილი ჭყონდიდელის ტრაღიკულ დასასრულში ეკლესიის მესვეურნიც არ უნდა იყვნენ სრულიად უბრალონი. მათი ასეთი გაბოროტება კი შედეგი უნდა იყოს ბასილი მწ.-

[1] მ"მ დ"ფსი ქ"ცა, 691.

უხუცესის საეკლესიო პოლიტიკისა, რასაც 1263 წლის ახლო დროში ამ პოლიტიკის საპროტესტოდ მოწვეული საეკლესიო კრება მოჰყვა.

ბასილ ჯყ.-მწ.-უხუცესის შემდეგ არც ერთი „მწ.-უხუცესი“ სახელდობ არ იხსენიება. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ წყაროთა ნაკლებობით აიხსნება და არა იმით, თითქოს ამ ხანის შემდეგ მწ.-უხუცესობა მოსპობილიყოს. პირიქით, ჩვენ მოგვეპოება სწორედ ამ ხანის შემდეგ დროში შედგენილ-დაწერილი ძეგლი „გარიგება ჴელმწიფის კარისა“, რომელიც უმთავრესი წყაროა ჯყ.-მწ.-უხუცესის ჴელის შესასწავლად.

ერთად ერთი ჯყონდიდელი, რომელიც ამავე დროს მწ.-უხუცესიც უნდა ყოფილიყოს, მოიხსენიება ჯვარის მონასტრის აღაპებში[1] და უნდა იყოს XIV-ე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე[2]. ამის შემდეგ ჯყონდიდელნი ჩვენ მხოლოდ XVI საუკუნიდან და შემდეგ გვხვდებიან. აქ ისინი მხოლოდ ჯყონდიდის ეპისკოპოსნი არიან და მწ.-უხუცესობასთან საერთო აღარა აქვთ რა. ამდენადვე ისინი ჩვენი ქრონოლოგიური ძიების ინტერესის გარეშე რჩებიან.

ამრიგად, არსებული ცნობების მიხედვით ჩვენ ვეცადეთ აღგვედგინა ჯყონდიდელ-მწ.-უხუცესთა სია XII საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე XIV საუკ. გასელამდის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქრონოლოგიური ძიების XIV საუკ. გასულით განსაზღვრა იძულებითია; ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ამ საუკუნის გასულიდან ჯყ.-მწ.-უხუცესობა ქრება. პირიქით, არის საფუძველი ვამტკიცოთ, რომ XV საუკუნის პირველი ნახევრის გასელამდის, ე. ი. დიდი ალექსანდრეს მეფობაში მწ.-უხუცესობა ჯყონდიდლობისაგან ჯერ კიდევ განუყრელი იყო. მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო საბოლოო დაყოფის შემდეგ გვეძლევა საბუთი ვიფიქროთ ამ რთული ჴელის დაშლა-დანაწილებისა და საბოლოო გადაგვარების შესახებ. და თუ მიუხედავად ამისა ჩვენი ქრონ. ძიება XIV საუკუნის გასულზე შევწყვიტეთ, ეს იმიტომ, რომ წყაროები ჯერჯერობით არავითარ ცნობას XV საუკუნის ჯყ.—მწ.-უხუცესთა შესახებ არ გვაწვდიან.

ჩვენი სია ასეთია:

გიორგი		1103/4	წლიდან—	1118 წლამდის
სჳმეონ		1118	„ ჩანს	1141 წ.
. . . . .				
იოანე	ჩანს	1161 წ.	—	1178 წლამდის
ანტონ		1178/9	—	1184 —
მიქაელ		1184	—	1190 —
ანტონ		1190	— ჩანს	1204 წ.

[1] „აღაპნი ჯუარის მონასტრისანი“ — ნ. მარის გამოცემა. აღაპ. №№ 93, 107, 292.

[2] ს. კაკაბაძე. წვრილი შტუდიები საქ. ისტ. საკითხების შესახებ, 4-6. ზედმიწევნილობას რომ თავი დავანებოთ, აქ ს. კაკაბაძე მართალი უნდა იყოს. სცთება ის მხოლოდ, როცა ამბობს, თითქოს ამ „გიორგი ჯყონდიდელს იერუსალიმს გამგზავრების წინ შიომღვიმეში თავისთვის მწირველი დაუყენებია“. 1376 წლის სიგელში მოხსენებული გიორგი ჯყონდიდლის მწირველი არის არა ამის, არამედ დავით აღმაშენებლის თანამედროვის, დიდი გიორგი ჯყონდიდლის მწირველი. ამას ადასტურებს შიომღვიმის ერთი XIII საუკუნის სიგელი, რომელშიაც გიორგი ჯყონდიდლის მწირველი ნიკოლოზ მოიხსენიება. იხ. თ. ჟორდ. შიომღ. საბ.. 62.

თეოდორე — 1205/6 წ.

. . . . . .

არსენი — 1235 — 1248 (წლები დაახლოებითია)
ბასილი — 1248(?) 1265

. . . . . .

გიორგი — XIV ს-ის მეორე ნახევარში.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენი სია, თუნდაც ბასილი მწ.-უხუცესის გარდაცვალებამდის აღებული, სრული არ არის. მაგალითად, სჳმეონსა და იოანეს შორის, ჳგრეთვე თეოდორესა და არსენის შორის მწ.-უხუცესნი უნდა ყოფილიყვნენ. სამწუხაროდ, არსებულ წყაროებს მათზე ცნობა არ შემოუნახავთ. ამათ გარდა აღნიშნულ პერიოდში სხვა მწ.-უხუცესი ჩვენს სიას არ უნდა აკლდეს. მათი თანმიმდევრობაც, ვფიქრობთ, სწორია. ხოლო თარიღების აქა-იქ გამოურკვევლობას შემდგომი კვლევა-ძიება შეასწორებს.

გ. ახვლედიანი

კომპოზიტის მეორე წევრის მჟღერი აფლაუტის საკითხისათვის ოსურ ენაში[1]

1. შემჩნეულია, რომ ოსურ ენაში ყრუთავკიდურიანი სიტყვები (მაგ.: ქსრონ „ბოლო“, თქხ „ძალა“, ცაფ „დარტყმა“, ფარსთ „კითხვა“ და სხვა) ხშირად გვეკლინება ხოლმე მჟღერი თავკიდურით, როცა ისინი მოხვდებიან კომპოზიტის მეორე წევრად.

მაგ.: ყსვგსრონ „სოფლის ბოლო“<ყსვ+ქსრონ; ლსგდქხ „კაცის ძალა“<ლსგ+თქხ; სრვძსფ „მეხდაცემული“<არვ+ცსფ; ყსვგარსთ „სოფლის კითხვა“<ყსვ+ფარსთ; ლსკძრსნ „მწყემსი, რომელიც გასამრჯელოს იღებს მონაგებიდან“<ლსკ+ცრსნ და მრავალი სხვა.

ამ მოვლენის ახსნის ცდა მოეპოება, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ვს. მილლერს (Grundriss der iranischen Philologie: Die sprache der Osseten, 1903, გვ. 27 და შემდ.): „...ჭ გადადის გ-დ კომპოზიტებში მჟღერების შემდეგ, მაგ.: სგად... ასეთი შემთხვევების მიხედვით გ გვეკლინება ჭ-ს მაგიერ ხშირად სხვაგანაც“ (§ 26 Anm.). ასეთსავე ახსნას გულისხმობს მილლერი თ-ს და ფ-ს გამჟღერებისას ამგვარსავე პირობებში (§§ 32, 39) და, ალბათ, სხვა ყრუ თანხმოვნებისასაც (შდრ. აგრეთვე მისივე Ossetica 1904, გვ. 1 და შმდ.). მილლერის ახსნა უმართებულოდ მიგვაჩნია, რადგანაც 1. ოსურში იშვიათია საერთოდ ასიმილაცია მჟღერობა-სიყრუის მიხედვით, ხოლო პროგრესული—კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება, და 2. უამრავი შემთხვევებია, როცა კომპოზიტში წინაწევრის ბოლოკიდური მჟღერია, მაგრამ მომდევნო წევრის თავკიდურს ვერ ამჟღერებს, მაგ.: გალცსთ „ხარის თვალებიანი“=გალ+ცსთ, დარდცსთ „შორსმხედველი“=დარდ+ცსთ და მრავალი სხვა (იხ. 2).

ამიტომ საძიებელია ის ფაქტორი, რომლის ძალითაც მჟღერდება კომპოზიტის მეორე წევრის ყრუ თავკიდური.

2. უპირველესად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ა-, ბა- და რა- პრევერბებმა, რომელთა შემდეგ ყრუ თანხმოვანი არ მჟღერდება; მაგ.:

---

[1] წაკითხულია მოპსენების სახით ენიმკი-ს კავკას. ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 1936 წ. 29—XII.

აქსყნ „შეხედვა“=ა+ქსყნ,
ათასყნ „დაღუნვა, დახრა“=ა+თასყნ,
აფარსუნ „შეკედლება“=ა+ფარს უნ,
ბაქსყნ „მოცლა, წაკითხვა“...=ბა+ქსყნ,
ბათხყნ „შეფრენა, შერბენა“=ბა+თხყნ,
ბაფადყნ „გაპობა“=ბა+ფადინ,
რაქსყნ „გამოხედვა“=რა+ქსყნ,
რათასყნ „გამოღუნვა“=რა+თასყნ,
რაცღდყნ „დარტყმა“...=რა+ცაღდყნ და მრავალი სხვა.

არ მჟღერდება მომდევნო ყრუ თანხმოვანი აგრეთვე უარყოფითი ნნ-ნაწილაკის შემდეგ, მაგრამ მჟღერდება იმავე მნიშვნელობის ს- ნაწილაკის შემდეგ:

ნნაქსრონ, მაგრამ სგსრონ „უბოლოო“,
ნნათას, მაგრამ სდას „უშიშარი“,
ნნაცახ მაგრამ ძძახ „უმარილო“ და სხვა.

მეორე მხრივ ყურადღება მივაქციე, რომ მომდევნო ყრუ თანხმოვანი მჟღერდება ისეთი წინსართების შემდეგ, როგორიცაა: სმ-, სრ-, სვ-, ფსლ- და რს-:

სმგსრონ „მიდამო“=სმ+ქსრონ (სიტყვა-სიტყვით „თანაბოლო“). სმგჯსთ „თანამომუშავე“=სმ+ქჯსთ, სმვარს „მოკავშირე“=სმფარს, სმდზხ „თანაბარ-ძალიანი“=სმ+თზხ; სრგსრდყნ „ჩამოკრა (ზემოდან“)=სრ+ქსრდყნ, სრგომ „ღია, ცხადი“=არ+ქომ; ავგნყნ „წყლის დასხმა...“=სვ+ქანნ, სვგსრდუნ (დიგორულად) „დაკვლა“=სვ+ქსრდუნ; ფსლგსყნ „მიმოხედვა, დაკვირვება“=ფსლ+ქსყნ; ფსლგსრონ „გარემო“=ფსლ+ქსრონ; ფსლვზხ „ნახევრადშემწვარი“=ფსლ+ფზხ; ფსლძღდნ „ქარბუქი“=ფსლ+ცაღდნ; ფსლდხყნ „წაქცევა, გადაბრუნება“ (=ფსლ+თხყნ); რსდძუნ „წვეთება, სხმა“=რს+თძუნ; რსდხსუნ „ზევით აცოცება“=რს+თხსუნ და სხვა.

3. მაშასადამე, გვაქვს წინსართთა ორი წყება: 1. ა- ბა-, რა- და 2. სმ-, სრ-, სვ-, ფსლ-, რს-. პირველ წყებაში შემავალ წინსართთა მომდევნო ყრუ თანხმოვანი უმეტესად დაცულია, ხოლო მეორეში შემავალთა მომდევნო ყრუ თანხმოვანი ხშირად იცვლება მჟღერად. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის მიზეზია პირველი წყების მახვილიანობა და მეორე წყების უმახვილობა.

მართლაც: ა-, ბა- და რა- წინსართები მუდამ მახვილიანებია[1], ხოლო: სმ-, სრ-, სვ-, ფსლ, რს- — მუდამ უმახვილოები: აქსყნ, ბათხყნ, რათასყნ; სმგსრონ, სრგომ, სვგნყნ, ფალგსყნ, რსდძუნ და მრ. სხვა.

ამიტომ შესაძლებელია დადგენილად ჩაითვალოს, რომ მახვილიანი წინსართების მომდევნო ყრუ თანხმოვანი დაცულია, ხოლო უმახვილო წინსართების მომდევნო ყრუ თანხმოვანი იცვლება მჟღერად.

---

[1] В. Абаев, Об ударении в осетинском языке, ДАН, 1924. ამ გამოკვლევაში ძირითადად გადაბრილია ოსური მახვილის ადგილი სიტყვაში.

შეიძლებოდა ეფიქრა კაცს, რომ პირველი წყების წინსართების შემდეგ არ მჟღერდება ყრუ თანხმოვანი იმიტომ, რომ მათი ა- გრძელი ხმოვნის ჩამოშავალია ისტორიულადო; ხოლო მეორე წყების წინსართების ს- —მოკლე ხმოვნის ჩამომავალიო. ეს მართალია იმდენად, რამდენადაც ხმოვნის ისტორიული სიგრძე-სიმოკლე ერთგვარად განსაზღვრავს მახვილის ქონა-არქონას:

„...განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში მახვილი ოსურში წარმოადგენდა ფუნქციას ერთი დამოუკიდებელი ცვლადისას, სიგრძისას“ (ვ. აბაევი, იქვე). ისტორიულად მოკლე ხმოვნებთან (ს ე) შედარებით მახვილიანობის მხრივ უპირატესობით სარგებლობს ისტორიულად გრძელი ხმოვნები (ა ი უ ო). რომ მახვილის წინძღოლას აქვს გადამწყვეტი ძალა ყრუ თანხმოვნის გამჟღერებისათვის, ეს ჩანს ნ ნ ჯ- და ს- ნაწილაკების შედარებიდან სიტყვაში: გვაქვს ნ ნ ჯ-ქ ს რ ო ნ, მაგრამ ნ გ ჯ რ ო ნ; ნ ნ ჯ თ ა ს, მაგრამ ნ დ ა ს; ა ნ ნ ც ხ, მაგრამ ნ ძ ჯ ხ და სხვა; მიუხედავად იმისა, რომ ნ წ ჯ-ში ისტორიულად მოკლე ხმოვანი გვაქვს, მის შემდეგ დაცულია ყრუ თანხმოვანი იმიტომ, რომ იგი მახვილიანია.

4. რით უნდა აიხსნას ისეთი შემთხვევები, როცა პირველი ჯგუფის წინსართების (ა-, ბა- და რა-) შემდეგ გეხვდება ყრუ თანხმოვნის გამჟღერება, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე ჯგუფის წინსართების (ნ მ-, ნ რ-...) შემდეგ გამჟღერება არა გვაქვს?—რათქმა უნდა, ეს აიხსნება ანალოგიის მოვლენებით. მაგ.: გვაქვს ა ვ ი დ ა ჯ ც = ა+ფ ი დ ა ჯ ც (ა ვ ი დ ა ჯ ც უნ „დაუშნოება“) არა კანონზომიერად, მაგრამ იხმარება ზედსართავი ნ ვ ი დ ა ჯ ც „უშნო, შეუფერებელი“ კანონზომიერი გამჟღერებული ვ-თი<ფ მახვილის წინ. უეჭველია, რომ ამ უკანასკნელის გავლენით გვაქვს ა ვ ი დ ა უ ც; გვაქვს ფ ე გ ა დ ქ ნ ე ნ „სახელის გატეხა“ (ფ ნ+ნ გ ა დ ქ ა ნ ე ნ) არა კანონზომიერად, მაგრამ გ<ქ კანონზომიერად ნ გ ა დ „სახელის არ ქონა, საძულველი“<ნ+ქ ა დ; აგრეთვე უეჭველია, რომ ფ ე გ ა დ გვაქვს ნ გ ა დ-ის გავლენით.

კერძოდ, არაა მოსალოდნელი გამჟღერება ნ ნ ჯ-ს შემდეგ, მაგრამ გვაქვს ნ ნ ჯ ძ რ ო ნ „შეუგუებელი“ <ნ ნ ჯ+ც რ ო ნ. ძ გვაქვს აქ ისეთი სიტყვების გავლენით, როგორიცაა ნ ძ ჯ რ ო ნ ან ნ ძ ჯ რ ო ნ. (ამ ორ სიტყვას იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ნ ნ ძ ჯ რ ო ნ-ს).

საყურადღებოა, რომ პირველი ჯგუფის წინსართების შემდეგ უფრო იშვიათად ირღვევა კანონზომიერება, ვიდრე მეორე ჯგუფის წინსართებისა, ე. ი.: ნ მ-, ნ რ-, ნ ვ-, ფ ლ-, რ ნ- წინსართების შემდეგ უფრო ხშირად გვაქვს ყრუ თანხმოვნები, ვიდრე ა-, ბა- და რა- წინსართების შემდეგ მჟღერი თანხმოვნები (ბა-ს შემდეგ თითქოს არასოდეს!): გვაქვს ნ რ თ ნ რ ნ „მოდენა, მორგება“ (უნდა გექონდეს ნ რ დ ნ რ ნ); ნ რ თ ნ ხ ნ „მოფრენა“ (უნდა იყოს ნ რ დ ნ ხ ნ) და სხვა, მაგრამ გაუმჟღერებელია ისეთი შემთხვევების გავლენით, როცა მახვილი წინ უსწრებს თავკიდურის ყრუ თანხმოვანს, მაგ.: რ ა თ ნ რ ნ „გამოდენა, გამოგდება“; რ ა თ ნ ხ ნ „გამოფრენა“ და სხვა.

5. მახვილის ასეთივე გავლენა მოსალოდნელია საკუთრივ კომპოზიტებში, ე. ი. ორი ფუძის შეერთებისას: როცა მთავარი მახვილი პირველ წევრსა აქვს, მაშინ მეორე წევრის თავკიდური ყრუ თანხმოვანი უცვლელი უნდა იყოს; ხოლო როცა მახვილი მეორე წევრს ხვდება, მაშინ ამისი თავკიდური ყრუ თანხმოვანი

უნდა გვეველინებოდეს მეღერის სახით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მართლაც ასე იყო. მაგ.: გალცასთ (გალ+ცასთ), მაგრამ წხძსთ (წხ+ცსთ); ლაჯგთხ (ლჯგ+თხ), მაგრამ ლგდგხ; ხრზფნდონ (ხრზ+ფნდონ). მაგრამ ხრზვნდონ (ხრზ+ფნდონ) და მრავალი სხვა. უნდა აღინიშნოს კი, რომ ეს კანონზომიერება უფრო ხშირადაა დარღვეული საკუთრივ კომპოზიტებში, ვიდრე წინსართიანებში, რადგანაც საკუთრივ კომპოზიტებში უფრო რთულია საკენტუაციო ურთიერთობა: ე. წ. ფრაზეოლოგიური მახვილი ხშირად იცვლის ხოლმე ადგილს. ანალოგიის გავლენა საკუთრივ კომპოზიტებში აგრეთვე აშკარად ჩანს: მსდგდ<მსდ+ცგდ „ერთი თვისა“—კანონზომიერადაა, მაგრამ ზძვდ „ერთი წლისა“. უეჭველია, რომ ამაში ძ გვაქვს კანონზომიერი ც-ს ნაცვლად მსდგდ-ის გავლენით.

. მომყავს ნიმუშები: I. კანონზომიერი და II. არაკანონზომიერი (ე. ი. ანალოგიის გავლენისა).

I. ა) **კომპოზიტის მეორე წევრის თავკიდური მეღერია კანონზომიერად:**

ვრვგვრონ<არვ+ქვრონ
ვრვძვფ<არვ+ცვფ
ბვხდვრვგ<ბვხ+თვრვგ
ბვხგვრდვგ<ბვხ+ქვრდვგ
ბვხგვს<ბვხ+ქვს
ცვლხვვნდაგ<ცვლხ+ფვნდაგ
დვრღძსგომ<დვრღ+ცვსგომ
დვლვვნდაგ<დვლ+ფვნდაგ
დვძძსგომ<დვ+ცვსგომ
დვვვნდ<დვ+ფვნდ
დვვვნდაგ<დვ+ფვნდაგ
ფვდვვდ<ფვდ+ფვდ
ფვდვვნდ<ფვდ+ფვნდ
ფვდვვნდაგ<ფვდ+ფვნდაგ
ფვდძვრინ<ფვდ+ცვრინ
ფვდძვსთ<ფვდ+ცვსთ
ფვრგვისთ<ფვრ+ქვისთ
ფვრვვგდ<ფვრ+ფვდ
ქვვძვვდვგ<ქვვძ+ფვდვგ
ღვგდგხ<ღვგ+თხ
ღვგძვრმ<ღვგ+ცვრმ
ღვსკძვრვნ<ღვსკ+ცვრვნ
მილძვსთვგ<მილ+ცვსთვგ
მსდძვდ<მსდ+ცვდ
სვგძვრმ<საგ+ცვრმ
სვღძვრმ<სვღ+ცვრმ

სვღგვს<საღ+ქვს
საღგვისთ<სვღ+ქვისთ
სვრგვხც<სვრ+ქვხც
სვრვვსვნ<სვრ+ფვსვნ
სვლვვზ<სვლ+ფვზ
ყვდგვრონ<ყვდ+ქვრონ
ყვდგვს<ყვდ+ქვს
ყვვგვრონ<ყვვ+ქვრონ
ყვვვვვრისთ<ყვვ+ფვრისთ
ყვვვვდის<ყვვ+ფვდის
ხვდძვ<ხვდ+ცვ
ხვრზგვნვგ<ხვრზ+ქვნვგ
ხვსგვრდ<ხვს+ქვრდ
ხოსძვვ<ხოს+*ცვვ (Nom. propr.)
ხვვგვს<ხვვ+ქვს
ხვვმგვრისთ<ხვვმ+ქვრისთ
ხვვმგვრდვგ<ხვვმ+ქვრდვგ
ხვვრგვრქ<ხვვრ+ქვრქ
ხვვმძვვ<ხვვმ+*ცვვ
ხვვრხგვს<ხვვრხ+ქვს
ხვვძვდ<ხვვ+ცვდ
ხვვძვრმ<ხვვ+ცვრმ
წვხძვსთ<წვხ+ცვსთ
კვმძვსთვგ<კვმ+*ცვსთვგ
კვხძვრმ<კვხ+ცვრმ
ჯვლდვფ<ჯვლ+თვფ

ჯალვნდაგ<ჯალ+ფნდაგ ჯალძარმ<ჯალ+ცარმ
ჯალვაზ<ჯალ+ფაზ ჯალძამ<ჯალ+ცამ.

I. ბ) **კომპოზიტის მეორე წევრის თავკიდური ყრუა კანონზომიერად:**

ჯხსტფარს დარდცასთ ფუნძგფარს
გაღცასთ ლუჯძთეხ საჯცასთ
სყაღფუნძ ხორზფუნდაგ ხორზფუნდონ

II. ა) **კომპოზიტის მეორე წევრის თავკიდური მჟღერია არაკანონზომიერად:**

ართძასთ<ართ+ცასთ ქუძძმგად<ქუძ+სმგად<—სმ+ქად
აზძუდ<აზ+ცუდ რაჯძდგას<რაჯდ+ქას
სგასგუნზგ<სგას+ქუნზგ საგძარმ<საგ+ცარმ
სგასგონდ<სგას+ქონდ საჯდალენგ<საჯ+თალენგ
ცასთძნგას<ცასთუნ+*ქას საჯგუჯრმ<საჯ+ქუჯრმ
ფესგუჯხენ<ფს+სგუჯხენ||დიგ. ფესკუჯზნხუნ სუჯკთძარ<სუჯკთ+ცარ
გაღდარგ<გალ+თარძგ ხოსგარსთ<ხოს+ქარსთ
გაღგას<გალ+ქას ხოსძაჯ<ხოს+*ცაჯ
გაღძარმ<გალ+ცარმ ხურვარს<ხურ+ფარს
ირჯვარს<იჯ+ფარს კახჯდ<კახ+ფდ
ირჯგონდ<იჯ+გონდ კახძარმ<კახ+ცარმ.

II. ბ) **კომპოზიტის მეორე წევრის თავკიდური ყრუა არაკანონზომიერად:**

დარდცასთ ფსსფდ ფუდფენ ფუდქრი
ფუდქონდ ფურთენსთ ლაგქად
ლაგქონდ ლაგქუენფ ყადთეხ
ხარზცაღდ ხარზქონდ ხარზფენ.

ზოგიერთი ამათგანი (ლაგქად, ლაგქონდ, ყადთეხ) შეიძლება აიხსნას იმით, რომ გქ, დთ წარმოადგენენ „გემონატებს“, ე. ი. მეოთხე რიგის თანხმოვნებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან გამჟღერებას.

Г. АХВЛЕДИАНИ

К ВОПРОСУ О ЗВОНКОМ АНЛАУТЕ ВТОРОГО ЧЛЕНА КОМПОЗИТА В ОСЕТИНСКОМ ЯЗЫКЕ

(Р Е З Ю М Е)

Глухой анлаут слова в осетинском языке очень часто является в озвонченном виде, когда оно служит вторым членом композита. Объяснение этого явления, данное Вс. Миллером, не удовлетворительно. Автор предлагаемой статьи думает, что это явление объяснимо на основе акцентуационных отношений, а именно: анлаут остается глухим в том случае, когда главное ударение композита предшествует ему, и переходит в звонкий, когда главное ударение композита следует за ним: например: gàlcäst, но ҫäxʒäst; äxsärfars, но qäyvàrst и др.

Случаи, противоречащие этой закономерности, объяснимы влиянием аналогии; напр.: azʒəd имеем под влиянием mäiʒəd; ḳàxʒarm имеем под влиянием ḳäxʒzàrm, rävädgäs—bäxgäs и. т. п.

გიორგი წერეთელი

მცხეთის ახლადაღმოჩენილი ებრაული წარწერა

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ბებრისციხისაკენ მდებარე მიდამოში, მცხეთა-სამთავროს ჩრდილოეთით, იპოვეს ორი წარწერიანი ქვა: ერთი ბერძნული და ერთიც ებრაული. წარწერები ნაპოვნია საბეითლო პუნქტისათვის შენობის საძირკვლის ჩასაყრელად მუშაობის დროს [1]. ებრაული წარწერის პირვანდელი ადგილსაყოფელი გამორკვეული არ არის. ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით თუ რომელ საფლავს ეკუთვნოდა იგი. როგორც ჩანს იგი არ იყო განკუთვნილი იმ საფლავისათვის, რომლის მახლობლადაცაა ნაპოვნი, არამედ მიტანილია რომელიმე სხვა ადგილიდან, მაგრამ ისევ ახლო-მახლო მიდამოებიდან.

წარწერა მოთავსებულია საფლავის ქვაზე, რომლის სიგრძე 82 სანტიმეტრს აღწევს. სიგანე ქვისა ზევით, შედარებით უფრო ფართო ნაწილში, 46 სანტიმეტრია; ქვევით, ვიწრო ნაწილში—36 სანტიმეტრი. ქვის სისქე დაახლოებით 12 სანტიმეტრს უდრის. ქვა, რომელზედაც წარწერა არის მოთავსებული, თავის ზედა ნაწილში წააგავს სამკუთხედს, რომელიც ბოლოვდება ზევით აშვერილი, დაახლოებით 2 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე წაწვეტილი თავებით.

ქვაზე ქვევით, მარცხენა მხარეს, ამოკვეთილია გამოსახულება პურისა (21×21 სანტიმ. სივრცეზე), თასისა (რომლის სიმაღლე 10 სანტიმეტრს აღწევს) და სურისა [2] (19 სანტიმეტრის სიმაღლისა). ქვის ზედა ნაწილში გამოსახული უნდა იყოს ხონჩა, რომლის ფარგლებშიაც მოთავსებულია წარწერა.

წარწერა, რომელსაც 28×21 სანტიმეტრის სივრცე უჭირავს, ხუთი სტრიქონისაგან შედგება. სტრიქონების სიგრძე თანაბარი არ არის. მაშინ, როდესაც პირველი ორი სტრიქონის სიგრძე 24—23 სანტიმეტრს უდრის, მესამე სტრიქონის სიგრძე 22 სანტიმეტრს არ აღემატება, ხოლო მეოთხისა—16-ს. ყველაზე მოკლეა უკანასკნელი (მეხუთე) სტრიქონი, რომლის სიგრძე 12 სანტიმეტრს უდრის. სტრიქონების უთანასწორობა იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა სტრი-

---

[1] ამ წარწერათა აღმოჩენის შესახებ იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილის წერილი მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა (გაზ. „კომუნისტი", 1938 წლის 23 დეკემბრის № 292 [5393], გვ. 2). ამ წერილში მოთხრობილია აგრეთვე იმ დიდი არქეოლოგიური მუშაობის შესახებ, რომელიც სწარმოებს ამჟამად მცხეთა-სამთავროს მიდამოებში აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

[2] როგორც დოც. გ. ჩიტაიამ მიგვითითა, ამგვარი გამოსახულებანი საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა მიდამოებში მოპოებულს საფლავის ქვებზე.

ქონში სხვადასხვა რაოდენობაა სიტყვებისა და ასოების. პირველ სტრიქონში, რომელიც ოთხი სიტყვისაგან შედგება, თორმეტი ასოა მოთავსებული, მაგრამ უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელი ך ასო ადგილის უქონლობის გამო ცოტა ძირს არის ჩამოტანილი და მოთავსებულია პირველსა და მეორე სტრიქონს შუა. მთლიანადაა აგრეთვე შევსებული მეორე სტრიქონი, რომე ლიც სამი სიტყვისაგან (ათი ასოსაგან) შედგება. შედარებით მოკლეა მესამე სტრიქონი, თუმცა ამ სტრიქონში სიტყვების ყველაზე მეტი რაოდენობაა: ხუთი სიტყვა (=ათი ასო). ეს იმით აიხსნება, რომ პირველი ოთხი სიტყვა ამ სტრიქონისა თითო და ორ-ორი ასოსაგან შედგება; მეოთხე სტრიქონის დასაწყისი ასოები ცოტა დაზიანებულია და ძნელად იკითხება. ამ სტრიქონში ამჟამად რვა ასოა უდაოდ დადასტურებული. ტექსტს უჭირავს მხოლოდ ნახევარი ადგილი სტრიქონისა, ისე, რომ სტრიქონის ბოლომდის დატოვებულია ცარიელი ადგილი დაახლოებით 9 სანტიმეტრის სიგრძისა. დასასრულ, უკანასკნელს, მეხუთე სტრიქონში, მოთავსებულია ორი სიტყვა, რომლებიც ხუთი ასოსაგან შედგება, ისე რომ ცარიელი ადგილი სტრიქონის ბოლომდის $13^1/_2$ სანტიმეტრს აღწევს. სტრიქონების სიმაღლე დაახლოებით 2—4 სანტიმეტრს უდრის. ყველაზე გრძელი ასოს (ך, ן, ל) სიმაღლეა 4 სანტიმეტრი; ყველაზე მოკლე ასოებისა (ר, ו) $1^1/_2$ სანტიმეტრი.

წარწერას შემდეგი სახე აქვს:

1	הדן קברה ריוסף
2	בר האזן (?) רכור
3	לטב ואף שכום
4	אחהו רכור
5	בשלמה

1. ეს საფლავი (არის) იოსებ
2. ბარ ჰაზანისა (?). ხსენებულ (იყავნ იგი)
3. ნეტარად; და აგრეთვე შალლუმ[1],
4. ძმა მისი[1], ხსენებულ (იყავნ)
5. მშვიდობით.

პირველი სტრიქონი შედარებით თავისუფლად იკითხება და რაიმე გაუგებრობას არ იწვევს. აღსანიშნავია მხოლოდ პირველი სიტყვის დაწერილობა הדן (=הדין) უჯრედად, განსხვავებით ფ. ბაიერნის მიერ წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მცხეთაშივე ნაპოვნი ებრაული წარწერისაგან, რომელშიაც იგივე სიტყვა „სრულადაა“ დაწერილი: הדין[2]; ამ სტრიქონში აღსანიშ-

[1] კონიექტურა აკად. პ. კოკოვცოვისა.

[2] იხ. Д. А. Хвольсон. Сборник еврейских надписей, содержащий надгробные надписи из Крыма и надгробные и другие надписи из иных мест, в древнем еврейском квадратном шрифте, также и образцы шрифтов из рукописей от IX—XV столетия— СПБ., 1884, გვ. 130 შმდ. აგრეთვე, ტაბ. I, № 36. თვით წარწერა, ჩვენ წარწერასთან ერთად, ამჟამად მოთავსებულია საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ნავია აგრეთვე დაწერილობა קברה სიტყვისა, რომელშიაც უკანასკნელ ასოდ მცხეთის ძველი წარწერის א-ს (ალეფის) ნაცვლად ה გველინება, თუმცა ეს ორი ასო იმდენად ძნელად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ შეუძლებელი არაა ხსენებული სიტყვის უკანასკნელ ასოდ ალეფი მიეიჩნიოთ; საკუთარი სახელი მამაკაცისა, „იოსებ“ გადმოცემულია შემოკლებული ფორმით: יוסף, როგორც ეს ჩვეულებრივ იხმარება ებრაულს ტექსტებში (როგორც ბიბლიაში, ისე წარწერებში) და არა უძველესი სახით יהוסף, რომელიც გვხვდება 81,6 ფსალმუნში და აგრეთვე ზოგიერთს ძველს წარწერაში [1].

მეორე სტრიქონში სრულებით გარკვევით იკითხება პირველი (בר) და უკანასკნელი (רכור) სიტყვები. არაა მთლიანად ნათელი ამ სტრიქონის მეორე სიტყვა, რომელიც „იოსების“ ქუნდას (მამობის აღმნიშვნელს სახელს) წარმოადგენს და რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ ამგვარად: האזן („ჰაზან“). საქმე ისაა, რომ ה და ה ასოები, როგორც ცნობილია, ძველს ძეგლებში, კერძოდ ჩვენ წარწერაში, ძალიან ძნელად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისე, რომ შესაძლებელია იგივე სიტყვა האזן-ად იქნეს წაკითხული. სავსებით ნათელი არ არის აგრეთვე უკანასკნელი ასო. შესაძლებელია იგი ך იყოს, ან ך ისე, რომ შეგვეძლო ხსენებული სიტყვის კიდევ ამგვარად წაკითხვა: האוך, חאוך, ან კიდევ חאזך, האזך. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონდეს საკმაოდ გავრცელებული ებრაული საკუთარი სახელის חנן-ის არა სწორ დაწერილობასთან: חאנן („ზედმეტი“ ალეფით, რომელიც ებრაულს ეპიგრაფიკაში იშვიათი არ არის). ყველა ამ შესაძლებლობიდან ჩვენ მხარს ვუჭერთ האזן დაწერილობას და უფრო მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, გამოთქმული აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ, რომ ებრაული საფლავის ქვაზე მოხსენებული პირის ქუნდა არა ებრაული, ადგილობრივი წარმოშობის უნდა იყოს. სამწუხაროდ ჩვენთვის ჯერჯერობით არაა გარკვეული თუ სახელდობრ რომელი ენობრივი სინამდვილიდან უნდა მოდიოდეს ხსენებული სახელი.

მესამე სტრიქონი თავისუფლად იკითხება და რაიმე გაუგებრობას არ იწვევს; მეოთხე სტრიქონში ძნელი გასარჩევია დასაწყისი სიტყვა, ვინაიდან ამ ადგილას წარწერა დაზიანებულია. აკადემიკოსმა კოკოვცოვმა, რომელსაც ჩვენ ვთხოვეთ შეემოწმებინა ჩვენ მიერ წაკითხული ტექსტი და რომელმაც მთლიანად დაადასტურა ჩვენი წაკითხვები, საეჭვოდ მიიჩნია მხოლოდ ამ სიტყვის წაკითხვა. უკანასკნელად მან წარმოადგინა ვარიანტი אחוהו („ძმა მისი“). დეფექტურად დაწერილი, אחוהו-ს ნაცვლად, რაც სრულიად ბუნებრივია, მით უმეტეს, რომ ამავე წარწერის პირველი სიტყვა חרן, აგრეთვე დეფექტურადაა დაწერილი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული [2].

[1] იხ., მაგალითად, იერუსალიმის მახლობლად ნაპოვნი ერთი ოსუარიუმის (საძვალის) წარწერა. Д. А. Хвольсон, ხს. შდრ., გვ. 72 შმდ. (№ 11).

[2] გარდა ამისა შეუძლებელი არაა ხსენებულ ადგილას შემდეგი ასოები ამოვიკითხოთ: אחהו, ე. ი. მეორე პირის ნაცვალსახელი მამრობითი სქესისა და ך კაშირი. ამ შემთხვევაში שלום სიტყვა გაგებული უნდა იქნეს როგორც ვნებითის მიმღეობა და მომდევნო სიტყვასთან ერთად გადმოითარგმნოს ამგვარად: „მშვიდობა შენ“: რაც შეეხება ך-ს, იგი მიეკუთვნებოდა רכור სიტყვას („და ხსენებულ [იყავ]...); მართალია ეს გამოთქმა ცოტა უხეირო იქნებოდა, მაგ-

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცხეთაში ჯერ კიდევ წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში იპოვეს ამგვარივე ხასიათის წარწერა და ბუნებრივი იქნება, თუ ახლად მოპოვებული ძეგლის დასახასიათებლად ძველად აღმოჩენილ წარწერას მოვიშველიებთ. ამ შედარებით, პირველყოვლისა, აშკარა ხდება სრული იგივეობა ენისა. ჩვენი ძეგლიც, ისე როგორც ფ. ბაიერნის მიერ ნაპოვნი წარწერა, დაწერილია თალმუდის არამეულზე, ანუ რაბინულზე, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, როგორიცაა მესამე პირის მამრ. სქესის ნაცვალსახელოვანი ך נ‌Აწილაკი, ან רכוך სიტყვის ფორმა და სხ. სამწუხაროდ ენა და. შინაარსი წარწერისა არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ეს ძეგლი. წარწერაში მოხსენებული სახელები არ იძლევა საკმაო მასალას გამოვარკვიოთ, ებრაელია თუ არა ის პირი (ან პირები), რომლისთვისაც საფლავის ქვა იყო განკუთვნილი. არა ებრაული ქუნძა საკუთარი სახელისა[1] არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ იგი რომელიმე ადგილობრივი ტომის წარმომადგენელი (მაგრამ ებრაელთა სარწმუნოების მიმდევარი) იყო. თუმცა მეორე მხრივ ჩვენ ვიცით, რომ ბაბილონის ტყვეობიდან მოყოლებული, ებრაელებს ჩვეულება ჰქონდათ ებრაული საკუთარი სახელების გვერდით არა ებრაული, ადგილობრივი წარმოშობის, სახელების ხმარებისა[2].

ჩვენი ძეგლის დათარიღებისათვისაც აუცილებელი იქნება მისი შედარება მცხეთის უკვე ხსენებულს ძველად ნაპოვნ წარწერასთან, თუმცა დანამდვილებითი თარიღი არც მისთვის არის გამორკვეული. ერთადერთი დასაყრდენი თარიღის გამოსარკვევად არის ამ ძეგლების პალეოგრაფიული ანალიზი. მცხეთის ძველად ნაპოვნი წარწერის გამომცემელი პროფ. დ. ხვოლსონი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ წარწერაში მთელს რიგს ასოებს ძალიან ძველი სახე აქვს[3]. ასე მაგალითად ב, כ და ך ასოებს ახასიათებს ზევით აწეული საკმაოდ გრძელი ბუნი, როგორც ეს ძველს წარწერებშია მიღებული. ך-ს, პალმირული ך-ს მსგავსად, ახასიათებს ორი ბუნი, აწეული ვერტიკალური ხაზის ზევით. ვერტიკალური ხაზი ამ ასოსი საგრძნობლადაა მარჯვნით მოხრილი; מ მარცხნით სრულებით გახსნილია; ך-ს ძირს დახრილი თავი ახასიათებს. ძალიან ძველი, შემდეგში იშვიათად ხმარებული სახე აქვს י ასოს. ყველა ამ ნიშნების მიხედვით დ. ხვოლსონი ხსენებულს ძეგლს IV—V[4] საუკ. (ჩვ. წ. აღრიცხვით) მიაკუთვნებს.

რამ როგორც სხვა ადგილებიდანაც ჩანს, ტექსტის ავტორი მაინცდამაინც ბრწყინვალე მცოდნე ენისა არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ზემოხსენებული ორი ვარიანტის გარდა (რომელთაგან პირველს მეტი უპირატესობა აქვს), სხვა შესაძლებლობა ამ ადგილის წაკითხვისათვის არ არსებობს.

[1] საყურადღებოა, რომ ბაიერნის მიერ ნაპოვნ წარწერაშიაც გვხვდება არა ებრაული სახელი, რომელსაც განსჯენებული პროფ. დ. ხვოლსონი גורך „გურკ“-ად ჰკითხულობს (იხ. ხს. ნაშრ., გვ. 130).

[2] ამის შესახებ იხ: Zunz, Namen der Juden, გვ. 27; Д. А. Хвольсон, ibid., გვ. 132.

[3] Д. А. Хвольсон, ibid., გვ. 132.

[4] Д. А. Хвольсон, ibid., გვ. 133.



მცხეთის ახლადაღმოჩენილი წარწერა

ჩვენი ძეგლი პალეოგრაფიულადაც ძალიან ახლოს დგას მცხეთის ძველად ნაპოვნ წარწერასთან. ასე მაგ., ב,כ,ר ასოებს სრულებით იგივე სახე აქვთ, როგორც დ. ხვოლსონის მიერ გამოცემულ ძეგლში, ჰორიზონტალური ხაზის ზევით აწეული ბუნით. ამგვარადვე არის დაწერილი ר ასო. ორი ვერტიკალური ბუნით ჰორიზონტალური ხაზის ზევით. სრულებით გახსნილია აგრეთვე מ მარცხნით. ך-ს ჩვენ წარწერაშიაც ძირსა აქვს თავი დახრილი, მაგრამ გარდა ამისა ჩვენს ძეგლს ახასიათებს ძალიან ძველი სახე ה, ח და ט ასოებისა. მხოლოდ א-სა აქვს შედარებით გვიანდელი მოხაზულობა (ოდნავ მოხრილი ბოლო მარცხენა ვერტიკალური ხაზისა), თუმცა ამგვარივე სახე ახასიათებს ამ ასოს ერთს ებრაულს წარწერაში (ბაბილონში ნაპოვნს თიხის ფირფიტაზე), რომელსაც I. Euting-იცა და ხვოლსონიც [1] სწორედ IV—V საუკ. მიაკუთვნებენ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ალეფს მცხეთის ძველად ნაპოვნ წარწერაშიაც იგივე სახე უნდა ჰქონოდა, რაც ჩვენს ძეგლში, თუმცა ამჟამად იქ ეს ასო ძალიან გადაშლილია და ძნელად იკითხება. არა ჩანს ეს ალეფი ნათლად არც ხვოლსონის მიერ გამოქვეყნებულ ლითოგრაფიაში, რომელიც მხატვრის მიერ ხელით გადმოღებული ნახაზიდან არის შესრულებული.

ყველა ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი წარწერაც შესრულებულია იმავე ხანებში (ან შეიძლება უფრო ადრეც), რომელსაც ეკუთვნის წინათ აღმოჩენილი ძეგლი. ყოველ შემთხვევაში დიდი განსხვავება ქრონოლოგიური მხრით ამ ორ წარწერას შორის არ უნდა იყოს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზუსტი თარიღი წინათ ნაპოვნი ძეგლისათვისაც არ არის გამორკვეული და ვიდრე ახალი მასალები არ მოგვეპოვებია, ამ ძეგლების უფრო დაახლოებით დათარიღება ძნელი იქნება.

ჩვენი ძეგლის დასახასიათებლად ზედმეტი არ იქნება აგრეთვე, თუ ორიოდე სიტყვას ვიტყვით ეკლოგიაზე, რომელიც ჩვენს წარწერაში გვხვდება და რომელიც სრულებით განსხვავდება ძველად ნაპოვნი წარწერის ეკლოგიისაგან. ძველად აღმოჩენილს წარწერაში გვხვდება ეკლოგია „הצריקים עם [2] משכבה הבשירים [2] עמירחה עם“ „(იყავნ) განსასვენებელი მისი კეთილმსახურთა თანა, აღდგომაჲ მისი—მართალთა თანა“ [3]. არაეითარი ამის მსგავსი ჩვენ წარწერაში არაა. სამაგიეროდ ჩვენი წარწერის ეკლოგიას სხვაგან მოეპოვება საკმაოდ ძველი პარალელები. ასე, მაგალითად, გამოთქმა רכור לטוב „(იყავნ) სახსენებელი (მისი) სანეტაროდ“, რომელიც ჩვენ წარწერაშია ნახმარი და რომელიც მსგავსად სხვა ეკლოგიებისა, ნასესხებია ბიბლიიდან, გვხვდება ებრაული (და არა არამეული) ფორმით და შემოკლებული სახით (זכור לטוב=זל) ჯერ კიდევ უძველესს დროს, სახელდობრ ჩუფუთ-ყალას ერთს წარწერაში, რომლის თარიღია שנת תשנא „756 წელი“ לנלוחנו ე. ი. לנלוחנו „ჩვენი ტყვეობის შემდეგ“, რაც უდრის 206 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით [3]. გარდა ამისა, იგივე ეკლოგია სა-

[1] ხს. ნაშრ., გვ. 109, შმდ., № 21.

[2] დედანშია עים.

[3] დ. ხვოლსონი, ხს. ნაშრ. გვ. 130.

[4] იქვე, გვ. 249, C, შმდ. აგრეთვე გვ. 412 შმდ.

მაოდ გავრცელებულია ცოტა უფრო გვიანდელს ძეგლებში. ასე, მაგალითად, იგი გვხვდება 550 წლის ერთ წარწერაში ჩუფუთ-ყალადან და 983—1175 წწ. რამდენსამე იმავე წარმოშობის ძეგლში [1]. ამგვარად, წარწერაში ხმარებული ეკლოგია შეუძლებელს არ ხდის მისი საკმაოდ ძველი ხანით დათარიღების საქმეს, თუმცა ეს რათქმაუნდა არც იმას უშლის ხელს, რომ თარიღი ცოტა უფრო აქეთ გადმოიწიოს.

ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ეს ორი ებრაული ძეგლი მოგვეპოება მცხეთიდან, სამწუხაროდ ორივე უთარიღო და შინაარსის მხრივ ორივე ღარიბი. ამიტომ ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად გამოვიტანოთ უფრო შორს მიმავალი დასკვნები, ვიდრე ამის ნებას გვაძლევს ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული მცირეოდენი მასალა. ზუსტი თარიღი წარწერებისა და აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნოდა ის სასაფლაო, სადაც ეს წარწერები იყო მოთავსებული, გამოირკვევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალი ძეგლები აღმოჩნდება. ამჟამად მცხეთა-სამთავროს მიდამოებში წარმოებს დიდი არქეოლოგიური მუშაობა ჩვენი სახელოვანი მეცნიერის აკადემიკოს ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით და იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ამ მუშაობის შედეგად მოპოებული იქნება ახალი მასალა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ ზემოთაღძრული საკითხები.

თბილისი, 1938, XII.

[1] იქვე, გვ, 234. № 59; 368, № 122; 235—242 №№ XV, XIX, XXIII, XXVI, XXX XXXI, XXXIII, XXXV, XXXVII, XXXVIII.

გ. ჩუგინაშვილი

რუისის ტაძრის ისტორიისათვის

ქართლის შუაგულში, გორიდან დასავლეთით სულ რაღაც 15 კმ მანძილზე, მტკვრის ნაპირიდან ცოტათი დაშორებით, ველზე, ფართოდ გადაჭიმულ სოფელ რუისში დგას ტაძარი — მროველ ეპისკოპოსთა სახელგანთქმული კათედრა.

რუისის ტაძარი წარმოადგენს დიდ ნაგებობას გეგმით დაგრძელებული ფორმისა და ცენტრში აღმართული გუმბათის ყელით. გუმბათი დგას ოთხს თავისუფლად მდგარ ბურჯზე. ამის გამო გეგმის ჯვრის ოთხი ამაღლებული მკლავიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავი შესამჩნევად დაგრძელებულია— აღმოსავლეთით დამატებულია საკურთხევლის აფსიდი, დასავლეთით კი არის სვეტების დამატებითი წყვილი. შენობის ეს დაგრძელება აღმოსავლეთიდან დასავლეთით, რომელიც, თუ დასავლეთ ნაწილში წარმოსდგება მაყურებლის წინაშე გაშიშვლებული სახით, აღმოსავლეთ ნაწილში შემოშენებულია სიგრძივ ფასადებზე. და ბოლოს, დასავლეთის შესასვლელის წინ ტაძარს აქვს საშუალო ზომის, ყოველ მხრივ ღია კარიბჭე. კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასასვლელად ნახმარია ოთხი პანდანტივი (აფრა). გუმბათის ყელი გარედან დაყოფილია 12 წახნაგად ფანჯრებით; ორმაგ ნახევარსვეტებში მოქცეული თითოეული წახნაგის ჩარჩო ჰარბადაა დაფარული ორნამენტული ჩუქურთმით. შენობის კორპუსის ქვეითა ნაწილის ფასადზედაც ყველა სამივე შესასვლელი კარი ტაძარში მორთულია ორნამენტული ჩუქურთმით, ფანჯრის ხერეტიც მოჩარჩოებულია მით და, გარდა ამისა, საკმარისად დიდი რაოდენობითაა ცალკეული მოჩუქურთმებული ქვები. ამგვარად, ძეგლი ქართულ საშუალო საუკუნეთა ხელოვნების ნიმუშად გვეელინება.

მაგრამ, თუ ახლოს განვიხილავთ შენობას, ჩანს ამ ძეგლის ცხოვრების სირთულე, მჭლავნდება დისონირებული ხაზები, ვგრძნობთ რაღაცა შეუთანხმებლობას. კორპუსის ქვეითა ნაწილისა და გუმბათის ყელის პროპორციების ურთიერთ თანაფარდობა არ უპასუხებს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ამათუიმ პერიოდში გამომუშავებულ ნორმებს: გუმბათის ყელი მეტად მაღალია და შენობის გაბრტყელებულ კორპუსზეა ამოყვანილი, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ,—შენობის ქვეითა ნაწილი არა საკმაოდ მაღალი და მოხდენილი ჩანს თავისუფლად და მტკიცედ აღმართულ, ჰარბად მორთულ, საზეიმო (მიუხედავად დიდ დაზიანებათა და დამახინჯებისა) თორმეტწახნაგოვანი გუმ-

ბათის ყელისა და ოდესღაც მის დამაგვირგვინებელი სახურავის კარავთან შედარებით, რადგან ტაძრისაგან მიღებულ შთაბეჭდილებაში დომინირებული როლი სწორედ გუმბათის დაგვირგვინებას უჭირავს. ფასადების გულდასმით გასინჯვა



1. რუისის ტაძარი ჩრდილო-დასავლეთიდან (ოთხმოციანი წლების ფოტოსურათით)

ამჟღავნებს არა მარტო ოსტატურად შესრულებულ დეკორაციულ ნაწილებისა და სრულიად ტლანქად და დამახინჯებულად გამოჭრილ ფრაგმენტების თანაარსებობას, ან მოჩუქურთმებული ქვების დაქსაქსულობას და შემთხვევით განწყობას ამათუიმ სიბრტყეზე, ან დახვეწილ ოსტატობის მრავალ დეკორაციულ

ელემენტთა ფრაგმენტალობას, არამედ ამ დახვეწილი მორთულობის სრულიად არ არსებობას აღმოსავლეთ ფასადზე, სადაც მდარე ხარისხის მორთულობა წარმოდგენილია ძალიან ღარიბად, მაშინ როდესაც დანარჩენმა ფასადებმა იმდენად სრულად შეინარჩუნეს თავისი საუცხოო მორთულობა, რომ კომპოზიციის აღდგენა საკმაოდ შესაძლებელი ხდება. გეგმის მიმართაც ასევე ჩვეულებრივი ნორმების გარეშე დგას აფსიდის გვერდითი ოთახების ფორმათაშექმნა, და ნაწილობრივ მათი აგების ელემენტებიც. ბოლოს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ზოგიერთ ხუროთმოძღვრულ ფორმათა ფრაგმენტალობა და შენობის ცალკეული შეკეთებანი. ამნაირად, რუისის ტაძარი წარმოგვიდგება, როგორც ხუროთმოძღვრული კომპოზიცია, რომელიც შექმნილია არა რომელიმე გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ერთბაშად და მთლიანად, არამედ შემაერთებელია თავისთავში სხვადასხვა ეპოქათა ნაწილებისა და ელემენტებისა, რომელთაგანაც ჰქმნის რაღაცნაირად ერთმანეთში გადაბმულსა და ერთგვარად დამორჩილებულს ამ გვიანი ეპოქის კომპოზიციურ მიდგომას. აქ დამახასიათებელია სწორედ ის, რომ ჩვენ წინ არის არა სხვადასხვა ეპოქათა ფორმების დაზვინვა ერთი მეორეზე, არამედ შეგუება, ჩაბმა, ჩართვა წინათ არსებულ ნაწილებისა ან ელემენტებისა თითოეულ შემდგომ ეპოქათა ახალ—და აქ იგი არა ერთია—მხატვრულ კომპოზიციაში.

რუისის ტაძრის შესახებ არსებულ—რასაკვირველია მცირე, მაგრამ მაინც შესამჩნევად უფრო ფართო, ვიდრო იმნაირივე და უფრო მნიშვნელოვანი ქართული ხელოვნების ძეგლების უმრავლესობის შესახებ არსებულ—ლიტერატურაში არსად გაკვრითაც კი არ იხსენიება მისი ისტორიული წარსულის ასეთი სირთულე. არც აკად. ბროსეს, არც პროფ. თაყაიშვილს, რომელნიც აქვეყნებდნენ ტაძრის წარწერებსა და გრაფიტოებს, არ შეუქცევთ მათ მიმართაც კი არავითარი, ცოტად თუ ბევრად მკაფიო, ქრონოლოგიური დაყოფა[1]. რაც შეეხება ა. ნ. მურავიოვს, ნ. პ. კონდაკოვს, დ. ბაქრაძეს, და ამდენადვე გრ. პ. ს. უვაროვას[2], ყველა ისინი იხსენიებენ ისევე, როგორც ბატონიშვილი ვახუშტიც, ტაძრის საშინელ დანგრევას თემურლენგის მიერ, და მის სრულ აღდგენას XV საუკუნის პირველ ნახევარში მეფე ალექსანდრე I-ის მიერ, და პირდაპირ ამბობენ რუისის ტაძარზე, როგორც ალექსანდრე I-ის მიერ აშენებულ ნაგებობაზე. მაგრამ ეს მდგომარეობა მაინც არ შეიძლება საფუძველი გახდეს საყვედურისათვის ყველა ამ მკვლევარის მიმართ, არამედ იგი არის მჭევრმეტყველური ანარეკლი ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერების ვითარებისა; ასეთი სახის პრობლემები მაშინ არ ისმებოდა, და არც შეიძლება დასმულიყო. მხოლოდ ჩვენი მეც-

[1] Rapports sur un Voyage archéologique, VI, 6 სექ. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907, გვ. 105 შმდ.

[2] А. Н. Муравьев, Грузия и Армения. СПБ. 1848, т. III, стр. 112—113; Н. П. Кондаков, Древняя архитектура Грузии, М. 1873. стр. 14, 32, 42, 46, 59 და И. И. Толстой и Н. П. Кондаков, Русские древности, IV. СПБ. 1891, стр. 39, 44, 74, 76. Дм. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, М. 1875, стр. 108—109. П. С. Уварова. Материалы по археологии Кавказа. т. IV. М. 1894, стр. 145—147.

ნიერების განვითარება, ამ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, მივიდა ზემოთ დასახული პრობლემის დასმის შესაძლებლობამდე.

რუისის ტაძრის პირველი შესწავლა დაკავშირებულია მის გაზომვასთან, რომელსაც სქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით აწარმოებდა ხუროთმოძ. ნ. სეეროვი. გაზომვა არამც თუ არ იყო დასრულებული, არამედ დაწყებულ ნაწილებშიც კი არ იყო თანაბრად და მთლიანად შესრულებული. ეს შეწყვეტა დაპირობებული იყო არა მარტო გარეგანი მიზეზებით, არამედ არსებითითაც — მაშინ კიდევ ვერ ხერხდებოდა ცალკეულ ისტორიულ ფენათა დანაწევრება, თუმცა მათი არსებობა იგრძნობოდა: წინასწარ (უკვე შემდეგში) გამოხაზულ გეგმაზე, სადაც ზოგიერთი ნაწილი მხოლოდ პირობითად იყო დაკავშირებული, ურთიერთ-შეთანხმებით არ იყო დაშტრიხული. რუისის ტაძრის პირველი, იძულებით ხანმოკლე ნახვის შემდეგ, ამ თხუთმეტი წლის წინათ (1923 წ. ნოემბერში) შევძელი, ამგვარად, მხოლოდ აღმენიშნა, რომ ტაძარი შეიცავს სხვსდასხვა დროის ელემენტებს, რომ თავისი მაღალი მხატვრული კონცეპციით ის არის მაღალ საშუალო საუკუნეთა ნაწარმოები, და არა XV საუკუნის პირველი ნახევრისა, როგორც ფიქრობდნენ უვაროვა და სხვები, როდესაც ის მხოლოდ მთლიანად იყო შეკეთებული, მაგრამ ცალკეულ ნაწილთა გამოყოფა და მათი დროის განსაზღვრა არ შემეძლო: ამისთვის მე მაკლდა შედარებათა მონაცემები. მხოლოდ ეხლა, 15 წლის შემდეგ, როცა ჩვენმა მეცნიერებამ იმდენად წინ წაიწია, რომ შემიძლია ვცადო ზღვარის დადება ცალკეულ ეპოქათა და ფენათა შორის, შემოვხაზო ცალკეულ ეპოქათა რესტავრაციის ფორმათა მთავარი ხაზები, დარწმუნებული ვარ, ეს წინასწარი, დაწყებითი სამუშაო. ძეგლის განსაზღვრისა შედარებით ძიებათა შემდეგი გაღრმავებით, მოცემულ ელემენტთა სრულიად ზუსტი ქრონოლოგიური განაწილების საშუალებას მოგვცემს. რუისის ტაძრის, როგორც ქართული ხელოვნების ძეგლის, ისტორიის გაშუქება, უკვე ეხლა, როცა შესაძლებელია განსაზღვრა მისი დეკორის მხოლოდ მეტად დამახასიათებელი ნაწილებისა და ელემენტებისა, წარმომიდგება საჭიროდ ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარების და გაღრმავების მიზნით, და იქნებ საქართველოს ისტორიისაც ზოგადად, თუ კი გავითვალისწინებთ, რომ რუისი იყო ერთი თვალსაჩინო პუნქტთაგანი საქართველოს წარსულში [1].

1


გუმბათის ყელის პროპორცია მთელი შენობის მიმართ, როგორც ითქვა, არ უპასუხებს განვითარებულ საშუალო საუკუნეთა გამომუშავებულ ნორმებს. შენობის ქვეითა ნაწილი მეტად დაბალია გუმბათის ყელთან შედარებით [2]. ეს მეტად საგრძნობია აღმოსავლეთის მხრიდან, რადგან აქ ფასადი შესამჩნევად

[1] რუისის ტაძრის სრული გაზომვა ორგანიზებული იყო ჩემ მიერ ხელოვნების მუზეუმ „მეტეხისათვის" უკვე ამ წლის ნოემბერში, ჩრდილოეთ ფასადის გარეთ საცდელი შურფებით. გაზომვას აწარმოებდნენ ხუროთმ. ლ. რჩეულიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი. ქვემოთ გამოყენებულია გაზომვიდან შესრულებული ორი ნახაზი.


[2] შდრ. სიგანეზე განაკვეთი, სადაც გუმბათის სიმაღლე სრულიად თვალსაჩინოა (სურ. 3).

ფართოა, ვიდრე ნაკარნახევია ჩვეულებრივი ფორმებით, და გარდა ამისა იგი სადაა და თითქმის მოურთველი. რუისის ტაძრის გეგმის განხილვა არკვევს აღმოსავლეთ ფასადის სიგანის მიზეზს და ამასთანავე აღნიშნავს შენობის იმ უძველეს ნაწილსაც, რომელიც გამოყენებული იყო შემდეგ შეკეთებებში და რომელმაც განსაზღვრა შედარებით საშუალო სიმაღლე შენობის მთელი ქვეითა ნაწილისა. ეს უძველესი ნაწილი შეიცავს საკურთხევლის აფსიდს და ორ მომიჯნავე, კვადრატული ფორმის და გუმბათოვანი კამარით გადახურულ (ოთხი დიდი ტრომპით კუთხეებში) ოთახს; და რასაკვირველია, ამ გეერდითი ოთახების, ჩრდილოეთით და სამხრეთით, დამატებითი სივრცეები იმავე უძველეს ნაგებობას ეკუთვნიან. ამგვარად, შენობის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი წარმოადგენს ძველი ნაგებობის მთლიან ფრაგმენტს. უეჭველია, რომ ის შემოინახა ჩრდილოეთ მხრიდან ცალკე მიშენებულ ეკვდერამდე; ხოლო ტაძრის შინაგანი ჩრდილოეთი კედლის ნაწილი მაინც (კარებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის კვადრატულ ოთახამდე) ეკუთვნის თუ არა უძველეს ნაგებობას—ამის თქმა არ შეიძლია, რადგან იგი დაფარულია შელესვის ახალი სქელი ფენით. მაგრამ აფსიდის ორივე კუთხის ბურჯი და მათგან დასავლეთ მიმართულებით გადაყვანილი კამარების დასაწყისი უძველეს ნაგებობას მიეკუთვნება. ეს კამარები ზემოთ-დასახელებულ აღმოსავლეთის ბურჯებზე არ შეიცავენ ქუსლების იმპოსტებს, მაშინ როდესაც დასავლეთის ქუსლებზე ასეთები მოიპოვება (ტაძრის დანარჩენ იმპოსტების პროფილთა საერთო ტიპისა). და მართლაც, ხუროთმოძ. სეეროვი გეგმაზე აღნიშნავდა ჩრდილოეთ კამარის გარდატეხას, მის დავიწროებას აღმოსავლეთ ბურჯიდან გამოსვლის შემდეგ [1]. ამ კამარების ფორმა, თუ დარჩენილი სამხრეთის კამარის აღმოსავლეთი ნაწილის მიხედვით ვიმსჯელებთ, ნალისებრი იყო ისევე, როგორც კონქის აფსიდალური კამარა, რომელმაც სავსებით შეინარჩუნა ეს ფორმა (თუმცა აფსიდი გეგმაშიც ნალისებრია). აფსიდალური კამარის ქუსლებს აქვთ უბრალო თაროსებრი ფორმა, რაც, მიუხედავად ახალი შელესვისა, კარგად ჩანს. სამხრეთ ნაწილში, როგორც ჩანს, უძველესი ნაგებობიდან შემოინახა ტაძრის სამხრეთი შიგნითა კედლის ნაწილი. აქ გეგმაზე არის კედლის არა სწორი ჩაღრმავება, რომელიც სამწუხაროდ, სქლადაა შელესილი; სამაგიეროდ იმავე კედლის მეორე მხრიდან შემონახულია კედლის სიბრტყეში წირთხლის ნაწილები (აღმოსავლეთის მხრიდან) და ამოქოლილი კარის ხვრეტის კამარის ნაწილები. კამარას აქაც ნალისებრი ფორმა ჰქონდა და მორთული იყო ბრტყელი ღილების მთლიანი ჯაჭვით. კამარის ასეთი მორთულობის უახლოეს პარალელად ქსნის ხეობის VIII საუკუნის წირქოლის ნაგებობის დასავლეთი შესასვლელის მორთულობა გვეელინება. როგორც ჩრდილოეთი კვადრატი დასავლეთით ეკლესიასთან გასასვლელით იყო შეერთებული, ისევე სწორედ შეერთებული იყო მასთან სამხრეთიც. ეხლა სამხრეთ კვადრატის კარი ამოქოლილია, მაგრამ ორივე მხრიდან ჩანს: სადგომის შიგნით ტიმპანის ქვა, ეკლესიიდან კი—ნალისებრი თაღი. ამ ორივე კარის თავზედ შემოინახა ძველი ფანჯრები, რომელთაც გარედან ძველივე ზედანი აქვთ.

[1] შდრ. გეგმა: სურ. 2.



2. რუისის ტაძრის გეგმა



3. რუისის ტაძრის სიგანეზე განაკვეთი

28. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული

ნაგებობის ამ მთელი უძველესი ნაწილის წყობის შესახებ ზუსტი და სრული წარმოდგენა არა გვაქვს, რადგან იგი შიგნიდან სქლადაა შელესილი, ფასადებზე კი გვიანდელი დროის მოპირკეთებაა. მაგრამ 1920 წლის თებერვლის მიწისძვრის გამო, როცა მთელმა ტაძარმა ზოგან დიდი ბზარი მიიღო, უკანასკნელთა ადგილებში შენალესიც ჩამოცვივდა. ასე მაგალითად, აფსიდსა და მის კონქში ჩანს, რომ რიყისქვისაა გამოყენებული როგორც მთავარი საშენი მასალა, აფსიდის კუთხეებისა და პილასტრებისათვის კი თლილი ქვებია ნახმარი, ნაწილობრივ შირიმიც. მაღალთა მსგავსი შეერთება გვხვდება სამხრეთის კვადრატულ ოთახში, სადაც შირიმი გამოყენებულია კამარებსა და ნაწილობრივ ტრომპებში, კედლები—რიყისქვისაა; ქვეითა ნაწილში კი ტლანქად თლილი კვადრების რიგია—ორი განიერი და ერთი ვიწრო. აფსიდი, კუთხეების გარდა, მარცხენა ნახევარში რიყისქვისაა, დანარჩენი — კონქი და კამარა—აგურისაა (შეკეთებულია)[1].

ხუროთმოძღვრული ფორმები, ისევე როგორც შენობის ამ ნაწილის გეგმიანი კომპოზიცია, როგორც ვთქვით, უძველესია რუისის ამჟამად ხსენებულ ტაძარში, და იმაზე დროს მიეკუთვნება ქართული ხუროთმოძღვრების ძველ პერიოდს. ისეთი კვადრატული გუმბათიანი ოთახების გამოყენება, რომელთაც კუთხის ტრომპები აქვთ და რომლებიც ორგანულადაა დაკავშირებული ტაძრის აღმოსავლეთ, საკურთხევლის ნაწილის გეგმასთან, ჩვენ გვხვდება საქართველოს ძველ ტაძრებში; ეს, უპირველესად ყოვლისა, რუისის ტაძართან ახლოს მყოფი VII საუკუნის დასაწყისის წრომის ტაძარია[2], სადაც ასეთსავე კვადრატებს აქვთ დამატებითი სივრცეები; შემდეგ, ორგუმბათიანი ტაძარი გურჯაანის ახლოს, რომელსაც VIII საუკუნეს მიეკუთვნებ[3], სადაც საკურთხევლის ჩრდილოეთ ოთახს ასეთივე ფორმა აქვს; ბოლოს, სამშვილდის კათედრალური ტაძარი, VIII (და არა X) საუკუნის ნაგებობა. ამასთანავე, საერთოდ, საკურთხევლის გვერდით ნაგებობათა ხუროთმოძღვრული დამუშავება, როგორც დამოუკიდებლისა და სრულფასიანისა, და ამიტომ საინტერესო და ხაზისგამსმელი, ელემენტების გამოყენებით, არა ერთხელ გვხვდება ძველ პერიოდში (შდრ. მაგალითად: მცხეთის ჯვარი. ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, ქსნის ხეობის VIII და IX საუკუნის ნაგებობანი წირქოლსა, არმაზსა და კაბენში); საშუალო საუკუნეთა ნაგებობებში კი სრულებით არა გვხვდება—მათში ეს ოთახები სრულიად მეორეხარისხოვან მნიშვნელობამდეა დაყვანილი და მხოლოდ როგორც დამხმარე, საკურთხევლის სა-

[1] არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო, რომ ამ შელესვის მოცილება მიმაჩნია ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად სიძველეთა დაცვის საქმეში, რომელიც სრულებით აუცილებელია არა მარტო ძეგლის მეცნიერული შესწავლის ინტერესებისათვის, არამედ მხატვრულ შთაბეჭდილებისათვისაც. ცხადია, მის მოცილებამდე წინასწარ უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის სადმე ძველი მხატვრობის ნარჩენები, რაც ამ შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელია. (უკანასკნელი გაზომვის დროს, ზოგიერთ მეტად მნიშველოვან ადგილას, დიდი ხანია კედელს მოცილებული ნალესობა ჩამონგრეული იყო).

[2] იხ. ჩემი Georgische Baukunst, Bd. II, Tiflis 1934. Taf. 1, 10, 36 და Abb. 12 და 13, და ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფ. 1936. სურ. 104 და 110.

[3] იხ. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი ექ. თაყაიშვილის მიერ, ტფ. 1924, ტაბ. 69.

სამსახურო ოთახებადაა ქცეული [1]. ტრომპების, ნალისებრი ფორმის კამარისა და ტაძრის აფსიდშიც ნალისებრი ფორმის გამოყენება, როგორც ეს რუისში გვაქვს, აგრეთვე ძველ დროს, უფრო კი მის აყვავების ხანას, უახლოვდება.


ძველი დროის რუისის დიდი საეპისკოპოსო ტაძრის რთულმა და გეგმით თავისებურმა აღმოსავლეთის ნაწილმა საუკუნეები განვლო და ასე მოაღწია ჩვენამდე. ამგვარად ერთადერთ ლიტერატურულ ცნობას რუისის ეპისკოპოსთა, ძველ პერიოდში, ეგრეთ წოდებულ მროველთა კათედრის არსებობის შესახებ, ჯერ კიდევ VI საუკუნის დასაწყისში [2]—ეხლა ნივთიერი საბუთიც ერთვის ტაძრის არსებული ფრაგმენტის სახით.

ძველი ეპოქის დიდი ტაძრის ამ გადარჩენილ ნაწილში შემოინახა ტიმპანი თავის ძველსავე ადგილზე, დიდი რელიეფური ჯგუფით. სწორედ დასავლეთის შესასვლელთან სამხრეთ კვადრატის სწორკუთხოვან დამატებით ოთახში, ტიმპანის ნახევარწრეში არის სამი ოდნავ ჩაღრმავებული სწორკუთხოვანი არე, და თვითეულ მათგანში დამოუკიდებელი ფიგურული კომპოზიციაა მოთავსებული [3]. ყველა ისინი მეტად დაზიანებულია დროით, განსაკუთრებით შუა, მეტად მაღალი და ფართო არე, რომელსაც აქვს, როგორც ჩანს, en-face-ში მდგარი ცენტრალური დიდი ფიგურა ქრისტესი, გვერდებში გაშლილი ხელებით; მის გვერდით პატარა, ნაწილობრივ პროფილში, ანგელოზთა მდგარი ფრთოსანი ფიგურები; ქრისტეს ფიგურის ზემოთ ჰაერში ლიელიებენ ანგელოზები. ყველაფერი ძლიერ დაზიანებულია და კონტურებშიც ძლივს განირჩევა. გვერდით არეებზე სამ-სამი ფიგურაა. მარჯვენა არეში მარცხნივ მდგარი ღვთისმშობლის (?) ჩჩვილედი ფიგურა en-face-შია, მარჯვენა, მუხლ-მოდრეკილი კი—პროფილში. მარცხენა რელიეფი, სხვებზედ უფრო კარგად შემონახული, მარჯვენასთან ასიმეტრიულადაა შედგენილი. მარცხნივ მუხლმოდრეკილი ფიგურა პროფილშია (rsp. სამმეოთხედში), მარჯვნივ მდგარი კი en-face-ში. მათ შორის უფრო მსხვილი, ფრონტალურად მდგარი ფიგურა შარავანდედითაა მოსილი და გულხელდაკრეფილია, როგორც ორანტსა აქვს. მარჯვენა ფიგურაზე შედარებით კარგად ჩანს მუხლებამდე ქამარშემორტყმული ტანისამოსი და გაწიერი, კოჭებთან შემოპერილი შარვალი, აგრეთვე მოკლე წამოსასხამიც; მარცხენას კი მცხეთის ჯვრის ერისმთავართა მსგავსად დიდი და ხშირი თმა აქვს. საერთოდ ყველა რელიეფური გამოსახულება ძალიან შემოქერცლილია; ქვა

[1] საკურთხევლის ორივე გვერდით ოთახში, რასაკვირველია, საუკუნეთა განმავლობაში ცვლილებები მოხდა, ასე მაგ., უკვე ეხლაც ჩანს, რომ ჩრდილოეთ კვადრატის დამატებით სივრცეს, რომელიც მთლიანად შელესილი და შეღებილია, აქვს თაღოვანი გადახურვა, ნაწილობრივ ისრის ფორმისა. სამხრეთ კვადრატში კი აფსიდის უკუქელად გვიანდელი გაფართოებაა სამხრეთი მიმართულებით, რის გამოც ჩამოჭრილია სამხრეთ-აღმოსავლეთი ტრომპის ნაწილი. ჩრდილო კვადრატის ფანჯარა, ალბათ, ისევე იყო განლაგებული, როგორც სამხრეთ კვადრატისა, და მაშინ კვადრატის გვერდის ცენტრში მოდიოდა: სამწუხაროდ ამის გამორკვევა შეუძლებელია უკვე აღნიშნული მიზეზების გამო.


[2] 22 ქართველ ეპისკოპოსთა რიცხვში, რომელნიც 506 წელს მონაწილეობას იღებდნენ ქართულ, სომხურ და ალბანურ ეკლესიათა ადგილობრივ კრებაში, მეათე ადგილზე დასახელებულია „მროველი“-ც.

[3] სურ. 4. 1938 წლის რემონტის დროს კარის შესასვლელის გვერდები ამოშენებული იყო. გეგმაზე (სურ. 2) კარი ნაჩვენებია ძველი ფორმით.



4. სამხრეთის ეკვდერის შესასვლელის ტიმპანი

ეხლაც იბურცება და იცირცნება, რადგან მთელი ოთახი ნესტიანია და ნახევრადბნელი და შეიძლება ითქვას—თითქმის არც კი ნიავდება. ტანისამოსზე ეხლა სახეები არა ჩანს, და იმის თქმაც ძნელია—იყო მასზე ასეთი სახეები თუ არა. ამ რელიეფთა მდგომარეობა, ამგვარად, არ გვაძლევს საშუალებას ეიმსჯელოთ მხატვრულ მხარეზე და ამიტომ მათი ზუსტი დათარიღების კითხვის დასმაც შეუძლებელია. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საერო პირთა გამოსახულებანი (შეიძლება ქტიტორები ვიგულისხმოთ) მოცემულია ისეთივე



5. ტიმპანის რელიეფის ნაწთი

ეხი ხშირი თმით, როგორც ამას მცხეთის ჯვრის ერისმთავართა გამოსახულებაზე ვხედავთ, (ე. ი. VI და VII საუკუნის მიჯნაზე), მსგავს ტანისამოსითაც კი (ან წამოსასხამით, ანდა ჩამოკიდებული სახელოებით?), ისეთივე განიერი, კოპებთან შემოპერილი შარელით და უქუსლო ფეხსაცმლით. რელიეფი შესრულებულია რბილი მოდელირებით, ისევე, როგორც ჯვარში. საერთოდ კი შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს რელიეფები სტილისტურად საეხებით განსხვავდება გრიგოლ ჯპატოსის ძეგლისა და უსანეთისა და გველდესის რელიეფთაგან, ხოლო ახლო დგას, გარდა ჯვარისა, აგრეთვე წირქოლის რელიეფებთანაც[1].

ტიმპანის თაზე ნაწილობრივ შემოინახა ძველი მორთული კამარა (რომლის ერთი ქვა შეკეთებულია, ნაწილი კი ძალიანაა დაზიანებული). კამარის აბრისზე—ზემოთა და ქვემოთაზე,—გამოყოფილია ნახევარლილვაკი, თვით არეზე

[1] შდრ. ქართული ხელოვნების ისტორია, I, სურ. 162 და 165—167.—რელიეფი საგანგებოდ ჩემთვის შემოწმებულია ადგილზე და შესრულებულია ნახატში არქ. ვ. ცინცაძის მიერ (სურ. 5).

კი წრეების უწყვეტელი რიგია, რომლის დამუშავებაში—დარჩენილი ნაწილების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ—გამოყენებულია ორი სადა და ორი მორთული მრავალფოთლიანი როზეტის რიტმული ცვლა (წრეებიც და როზეტებიც თაღის სიბრტყეშია ჩაკრილი)[1]. კამარის სიგანე 34 სანტიმეტრს უდრის, წრეების (შინაგანი) დიამეტრი კი 12 სანტიმეტრს. კამარის ამ სახეებისა და მორთულობის კომპო-



6. სამხრეთი ფასადის ფანჯრის ზედანი

ზიციის პარალელად შეიძლება მოვიყვანოთ ბიეთის (მეჯვრისხევისა და იკორთას ახლოს)[2] შესასვლელი კამარა, რომლის ეკლესია VII (არა უგვიანეს VIII) საუკუნეს ეკუთვნის[3].

მეორე ფიგურული რელიეფი, რომელიც ჩემის აზრით ძველ შენობიდანაა დარჩენილი, სამხრეთი ფასადის გვერდითი ფანჯრის ზედანზე იმყოფება, სწორედ იმ ფანჯრის თავზე, რომელიც ბოთავსებული იყო ძველადვე მთლად განადგურებული ძველი კარის ზემოთ, რომლის შესახებ უკვე იყო თქმული—ე. ი. ალბად ძველი ფანჯრის თავზე[4]. აქ წარმოდგენილია ორი ფიგურა ტანისამოსში, რომელიც ჯვარის, და უფრო მეტად კი ატენის სიონის რელიეფებს მოგვაგო-

[1] სურ. 4 და 5.

[2] იხ. ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 197, სურ. 154 (ერმაკოვის ფოტოგრაფიით).

[3] სამწუხაროდ 1938 წლის ტლანქმა რემონტმა რეისში ნაწილობრივ გააფუჭა როგორც ეს თაღი, ასევე ტიმპანის რელიეფიც, და გარდა ამისა, შეცდომით ამოაშენა ტიმპანის ქვა ზურგიდან.

[4] სურ. 6.


ნებს. მარჯვენა ფიგურას მარჯვენა ხელში ჩაქუჩი (წერაქვი) აქვს, მარცხენაში კი გონიო. მარცხენა ფიგურას, რომელსაც მხრებზე წამოსასხამი აქვს, ერთ ხელში რაღაცა საგანი უჭირავს (შენობის პროექტი?), მეორე ხელში კი იმგვარადვე ჩაქუჩი (წერაქვი) აქვს. ფეხსაცმელი ოდნავ აწეულ ცხვირებიანია. თუმცა ორივე ფიგურა en face-შია დაყენებული, მაგრამ ხელების და ნაწილობრივ სხეულის მოძრაობით ერთმანეთისკენაა მიმართული, და ამ მოძრაობით ივსება ის ცარიელი არე, რომელიც მათ შორის არის დატოვებული. ქვეით, მათ შუა ფანჯრის ხვრეტის ნახევრად-წრიული ნაწილის ზემოთ, მიდის დეკორაციული კამარა რელიეფით, რომლის მოტივი ნალისებრი კამარების ან, უფრო სწორედ — კონქების ჯაჭვს ჰგავს; მათი მსგავსია ქსნის ხეობის VIII საუკუნის წირქოლის შენობის ორმაგი ფანჯრის მორთულობა. ეს ფიგურები ტლანქად და პრიმიტიულადაა შესრულებული, განსაკუთრებით ეს მოძრაობისა და პროპორციათა გადმოცემის შესახებ ითქმის. ხარისხითაც ისინი ტიპპანის რელიეფებზე უფრო დაბლა დგანან. მარჯვენა ფიგურასთან არის ოთხი ასო ՇՈՒՆՁ (წვრილი ასოებით ორ თანაბარ სტრიქონად დაწერილი).

გარდა დასახელებულ ფიგურულ რელიეფებისა, რომელნიც, როგორც ვფიქრობ, ძველი საამშენებლო პერიოდიდან არის გადარჩენილი, აღმოსავლეთის მხარეზე ორი პატარა ფანჯრის (სამხრეთ კვადრატიდან და მის სახურავზედ ეკლესიიდან) და ძველი სამხრეთ ეკედერის ერთი ფანჯრის ზედანია შემონახული თავის ძველ ადგილებზე. აქ არის — გამოშვერილი თაღოვანი ზედანი ჰორიზონტალური გადანაკეცით (ნაწილობრივ — მორთულობით) და პატარა რელიეფური ჯვარი კამარის თავზე — სადა ან მცენარეული მორთულობით [1].

რუისის ტაძრის ძველი ეპოქიდან გადარჩენილი ნაწილები, როგორც ეს აქ მოყვანილი პარალელებიდან და ანალოგიებიდან ჩანს, არ შეიცავენ ისეთ მკვეთრ და განსაზღვრულ თვისებებს ან ელემენტებს, რომ შესაძლებელი გახდეს ძველი ტაძრის ხუროთმოძღვრული ფორმების ზედმიწევნითი აღნიშვნა და მათი სრულიად გარკვეული დათარიღების მოცემა. მაგრამ მაინც, შენობის გადარჩენილი აღმოსავლეთი ნაწილის განხილვა დანაწევრებული სამნაწილიანი საკურთხეველით და ამასთან ერთად სამხრეთ სადგომში ალბათ ეკედერის არსებობა, და აგრეთვე აფსიდის თაღზე შესამჩნევად უფრო დაბლა განლაგებული კამარები დასავლეთისაკენ, — გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ ძველ ტაძარს ჰქონდა დიდი ზომის და რთული ფორმის გუმბათოვანი კომპოზიცია, როგორც ამას დარჩენილი ნაწილები გვიჩვენებენ, ე. ი. არა უადრეს VII საუკუნის პირველი ნახევრისა. დახვეწილ ხუროთმოძღვრულ გადაწყვეტილებათაგან განდგომა, როგორც მაგალითად, აღმოსავლეთი ფასადის სამკუთხოვანი ნიშის უგულებელყოფა, შემდეგ რიყისქვის საამშენებლო მასალად მოხმარება და მხოლოდ კუთხეებზე, თაღებზე და მისთ. შირიმის დაჩრილ კვადრების გამოყენება — ყველაფერი ეს ახალ ძიებათა ხანაზე მიგვითითებს, ე. ი. VII საუკუნის დასასრულიდან IX საუკუნემდე. შემდეგ, რადგან რელიეფურ ფიგურათა შესრულება და მათი კომპოზიციაც არ გვაძლევს უკვე შემუშავებულ, ჩამოყალიბებულ გადაწყვე-

[1] სურ. 7—9.







7—9. ფანჯრების ძველი მორთულობა

ტილებათა საფუძველზე აღმოცენებულს და დამთავრებულს მხატვრულ მონაფიქრს, და, პირიქით, ისევ რაღაც ახალი იმპულსებით ხელმძღვანელობს (ხუროთმოძღვრის, ოსტატის გამოსახულება, რამდენიმე ჯგუფის ერთად შეერთება), ამიტომ უფრო ბუნებრივია მათი შესრულების დროდ ჩავთვალოთ არა ჩამოყალიბებული სტილის მწვერვალები, ე. ი. VI ს. ბ.ლო VII საუკუნის შუამდე, არამედ ახალ ძიებათა დაწყების პერიოდი, ე. ი. VIII—IX საუკუნე. როგორც ითქვა, ამ დროისათვის სავსებით გამოსადეგია ცალკეული დეტალებიც და მიდგომათა საერთო მიზანდასახულობაც.

2

არსებული ფრაგმენტების მიხედვით რუისის ტაძრის შემდეგი ისტორიის აღდგენის დროს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ X საუკუნეში, გარდა ზემოთ აღნიშნული ნაწილებისა, მთელი ძველი შენობა გამოუსადეგი გამხდარა, ე. ი. ის ალბათ დაინგრა ან ნაძალადევი დანგრევით, ან უყურადღებობით გაეერანების გამო. ორივე ეს მიზეზი, თუ გავიხსენებთ საქართველოს ისტორიის ვითარებას VII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის შუამდე ქართლის ამ პუნქტისათვის, რომელიც მდებარეობს გაშლილ ადგილზე, ქვეყნის ერთერთ მთავარ გზაზე — სრულიად მოსალოდნელია. მაგრამ რუისის, როგორც ქვეყნის სასულიერო მართველობის მსხვილი ცენ-

ტრისა და ამასთან დაკავშირებით სასულიერო ფეოდალის ხელისუფლების მსხვილი ცენტრის მნიშვნელობის გამო, ასეთი დროებითი დაცემა სიტუაციის შეცვლით, მით უფრო ძლიერ სურვილს გაძოიწვევდა ადგილობრივ ფეოდალში ხელახლა ხაზი გაესვა თავის ძლიერებისათვის და ეჩვენებინა ის ნიეთიერი სახით კათედრალური ტაძრის ახალ ნაგებობაში [1].

ეს მეორე ქრონოლოგიური ფენა წარმოდგენილია, უპირველესად ყოვლისა, ეხლაც არსებული რუისის ტაძრის გეგმით. ეს გეგმა, ე. ი. ტაძრის კომპოზიციის დამახასიათებელი თავისებურება, მდგომარეობს გუმბათისქვეშა კვადრატის განკერძოებაში, მისი ოთხი თავისუფლად მდგარი ბურჯით; კომპოზიციის ამ ცენტრალური ელემენტის შესაბამისად გამოყოფილია ჯვრის ოთხი სწორკუთხოვანი მკლავი და აღმოსავლეთ მკლავზე დამატებულია აფსიდის ნახევარწრე, ხოლო შენობა სათანადოდ დაგრძელებულია აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთის მკლავიც წაგრძელებულია კიდევ ერთი წყვილი ბურჯით [2]. აღმოსავლეთი ნაწილის აფსიდი ყველა თავისი დამატებითი ნაგებობით, როგორც ნათქვამი იყო, ადრინდელ ნაგებობიდანაა გამოყენებული მზა სახით. ტაძრის ძველი ნაგებობის ამ ნაწილის დამუშავების თავისებურობის გამო, მისი X საუკუნეში გამოყენების დროს ხუროთმოძღვარი შებოჭილი იყო არა მარტო გეგმით, არამედ უმთავრესად ძველი ეპოქის პროპორციებით, მისი შუა ნაწილის (აღმოსავლეთ მკლავის) უმნიშვნელო ამაღლებით, ცალფერდა სახურავის გვერდითი ნაწილებთან შედარებით. გეგმის ეს ძირითადი ხაზები და შენობის აგების თავისებურობანი შემონახულია რუისის ტაძრის ყველა შემდეგ საამშენებლო ეპოქებში, მიუხედავად იმისა, რომ ფორმებმა, მრავალ შეკეთებათა გამო, მნიშვნელოვანი დამახინჯებანი განიცადეს, როგორც ეს გეგმის განაზომზეც ჩანს [3].

რუისის ტაძრის შინაგანი ასახულება, დღევანდელი სახით, ძალიან ცოტას ამბობს მისი შექმნის საუკუნეზე. ტაძარი შიგნით სრულიად შელესილი, ისე რომ ძველი ფორმების წარმოდგენა და გამოკვლევა შეუძლებელია. მხოლოდ, ზემოთხსენებულ 1920 წლის გორის მიწისძვრისაგან გაჩენილ შენობის ნაბზარებში ჩანს წყობა: ამ ადგილების მიხედვით გუმბათისქვეშა კვადრატში გუმბათის

[1] რუისის მნიშვნელობა ცხადია ძველიდანვე აქ კათედრის დაარსებიდანაც და გეოგრაფიულ მდებარეობიდანაც და ის მკვეთრად აღინიშნება შემდეგ ეპოქებშიც ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანი შვილის 1054 წელს ქართლის ფეოდალის ლიპარიტის მიერ ქართლის მეფედ კურთხევით (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 443—445), როცა რუისი ასრულებს დედაქალაქის როლს, და შემდეგ 1103 წელს დავით აღმაშენებლის სურვილით მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტორია, II, გვ. 531—533 და ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 39—46). ალბათ შენდეგშიც რუისის მნიშვნელობა არ დაცემულა, რადგან ნიკოლოზ კათალიკოსს შემონახული აქვს ცნობა თამარ მეფის დედის „ხრუნვათა" შესახებ („ხრუნვა და საურავი ხელეყო დედოფალსა ბურდუხანს") რუისის ეპისკოპოსთა კათედრის მიმართ. (ქრონ. I, 268: მინაწერი სიძე. მუზ. № 170 ხელთნაწ., გვ. 425) ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, რომ რუისის ეპისკოპოსთა გამგებლობას ექვემდებარებოდა ქართლის მთელი დასავლეთი ნაწილი ბორჯომის ხეობამდე, შემდეგ ეპოქებში კი ამ უკანასკნელის ჩართვითაც (გეოგრაფია, ბროსეს გამოც., გვ. 260 და დავთარი რუისის სამწყსოისა— ეკ. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. და შენ., I, 1907, გვ. 127 შმდ.).

[2] სურ. 2.

[3] იხ. გეგმა და სიგანეზე განაკვეთი; სურ. 2 და 3.

ყელითურთ, სართავი კამარებისა და გუმბათისქვეშა ბოძების პილასტრებში, იგი მთლად ნაცრისფერ-შავი ტონის, ნაწილობრივ კი ღია ფერის საპირე ფილისაა. გვერდითი ნაწილების თაღში კი, ისევე როგორც დასავლეთ მკლავის კედლებზე, ჩანს გვიანი შერევა შირიმის უსწორო ფილებისა და აგრეთვე აგურის ნაკერებიც; კამარებში იგივე ნაცრისფერ-შავი ქვაა, რომელიც, როგორც ეტყობა, ერთერთ მთავარ შეკეთებათა ფენას წარმოადგენს. კამარების იმპოსტებს აქვთ ერთნაირი ხასიათის პროფილები, ხშირად საკმარისად რთული. მათი დროის შესახებ მსჯელობისათვის საკმარისი მასალა არ მოგვეპოვება.

ეხლანდელი ტაძრის გუმბათი გარედან გადმოგვცემს არა X, არამედ XI საუკუნის ფორმებს, როგორც ქვემოთ იქნება მოხსენებული. მაგრამ 12 წახნაგად დაყოფა, რომლის 6 ფანჯარა შიგნიდან ჩანს (დანარჩენი ექვსი ამოშენებულია), შეიძლება X საუკუნესაც მიეკუთვნოს. გუმბათის ყელის ფუძის მორთული ლაგვარდანი, რომელიც ორ ხვეულ ლილვაკისა, ხლართისა და ფესტონებით მოჩუქურთმებულ თაროსაგან შესდგება—ალბათ XI საუკუნის ხუროთმოძღვრის მიდგომას გვისურათებს; ის გაკეთებულია ნაცრისფერ-შავი ქვისაგან (ნაწილი, რასაკვირველია, შეკეთებულია)[1]. ჩრდილო-დასავლეთ აფრის ზედაპირზე ჩუქურთმიანი ფრაგმენტებია (დეკორაციული პატარა თაღი და სხვა); ისინი, ისევე როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრაშიც, სულ გვიანდელია (ეს ალბათ ალექსანდრე I-ის რესტავრაციის ნაწილებია), და, რასაკვირველია, აქ, ასე ვთქვათ, შემთხვევით, მომხვდარა, უკვე რომელიმე გვიანდელი რესტავრაციის დროს—შემთხვევით კი არ აქვს მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრას, მიუხედავად შელესვისა, სრულიად სწორი ფორმა. გუმბათის ყელის ჩრდილო-დასავლეთ ნახევრის ფანჯრების ქვეითა ნაწილებში შიგნიდან ჩანს ორმაგი საწელურიანი ლილვაკების და ჩუქურთმის მორთულობა; მაგრამ აქაც ყველაფერი შელესილია და არსებითად არა ჩანს[2].

ტაძარში ფანჯრების განლაგება ძნელია მივაკუთვნოთ ერთ რომელიმე გარკვეულ საამშენებლო პერიოდს. ასევე, დათარიღებისათვის არ აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას, რომ სამხრეთ მკლავში არის ფანჯარა, ხოლო ჩრდილოეთ მკლავში კი ასეთი არ არსებობს. ძველი შენობის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთი კარი (რომელიც გვიანდელ ხანაში ამოშენებულ სამხრეთ კვადრატის კარის გვერდით იმყოფება) X საუკუნის ხუროთმოძღვრული კომპოზიციის შექმნის დროს სრულიად ამოუღიათ ამ კომპოზიციიდან[3].

---

[1] აქ თაროზე (ფრაგმენტში) არის ხვეულის ის მოტივი, რომლის შესახებ ქვემოთ, ჩრდილოეთ ეკვდერის გარჩევის დროს გვექნება საუბარი.

[2] შესაძლებელია იგივე ქმორთულობა შემოინახა ჰორიზონტალური ნაბზარის ზემოთაც, მაგრამ შელესვის გამო არა ჩანს.—საინტერესოა, რომ შენობის შიგნითა ფანჯრების მორთულობისათვის პარალელი სწორედ X საუკუნის მთელ რიგ გუმბათებში გვხვდება—დოლის-ყანა, ენი-რაბათი, ოპიზა, ჩანგლო, გოგჲუბა, ხაკი (შდრ. МАК, III; XII და ალბომი).

[3] აუცილებელია ამ კედლის შელესვისაგან გაწმენდა და მაშინ, ალბათ, მისი ჩაღრმავების ახსნაც შესაძლებელი გახდება.

სამხრეთი მკლავის გასასვლელი აღმოსავლეთისაკენ შეიწროებულია შიგ ჩაშენებული კედლით (კედელი თაღის თავს არ აღწევს), რომელზედაც შემოინახა ეფაშაპისა და ცხენზე მჯდომარე წმ. გიორგის კედლის მხატვრობა—იმავე დროისა, რომელსაც კედლის მხატვრობის სხვა ნარჩენებიც ეკუთვნის.

ტაძრის ასეთი ჯვარისებრ-გუმბათიანი აგებულება დამახასიათებელია ქართული ხუროთმოძღვრების გარკვეულ ეპოქისათვის. ისეთი ძეგლები, როგორც აფხაზეთში შემონახული ბიჭვინთა, ლიხნე, ანაკოფია (ეხლანდელი ფსირცხა, ყოფილი ახალი ათონი), მოქვი და ჩრდილოეთ კაეკასიის შენობათა ჯგუფი, ქართულ-აფხაზური კოლონიზაციურ-მისიონერული მოღვაწეობით შექმნილი, შემდეგ კახეთის მონასტრის იყალთოს მთავარი ტაძარი, ტაო-კლარჯეთის ტაძრები სინკოთი და ხახული—რუისის ტაძრის გეგმის უახლოეს პარალელს წარმოადგენენ [1]. ამ ტაძრებისათვის, როგორც დათარიღებულისა, ისევე დაუთარიღებელთათვის, დამახასიათებელია ჩუქურთმის სახის დეკორაციული მორთულობის თითქმის სრული უქონლობა; ყოველთვის არაა გამოყენებული გუმბათის ყელის დეკორაციული არკატურით მორთვაც. ყველაფერი ეს სწორედ X საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ X საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ჩუქურთმით მორთულ შენობათა ცალკეული მაგალითები, რაც საუკუნის დამლეგსფართოდ ვითარდება და ერცელდება [2].

X საუკუნის ტაძართა შესასვლელები, გარდა დასავლეთისა, კეთდება უმთავრესად გუმბათისქვეშა სივრცის პირდაპირ, სამხრეთით და ჩრდილოეთით, ე. ი. უშუალოდ გეგმის ჯვრის გეერდით მკლავებში. რუისის X საუკუნის ნაგებობასაც ჰქონდა ეს გვერდითი შესასვლელები უშუალოდ მკლავებში, მაგრამ მერმინდელმა საამშენებლო ფენებმა დაჰფარეს ისინი და სხვით შეცვალეს, როგორც ქვემოთ ვნახავთ. მართლაც, ჩრდილოეთ ფასადზე, დაახლოებით ჩრდილოეთ მკლავის ცენტრში გადარჩენილია კარის თაღის მარცხენა ნახევარი [3], ე. ი. აშკარა მაჩვენებელი სამხრეთ და ჩრდილოეთ შესასვლელების არსებობისა, უშუალოდ გეერდითს მკლავებში. უკანასკნელი გაზომვის დროს, შელესვის ნაწილი ამ კედელზე ჩამომტვრეულ იქნა და გამომეღავნდა შესასვლელის აღმოსავლეთი წირთხლი.


სამწუხაროდ, ტაძრის X საუკუნის მოპირკეთების უეჭველი ნაწილები იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ შეგვიძლია მის შესახებ საერთო დასკვნის გამოტანა. შესაძლებელია, რომ უფრო ამ ეპოქას, ვინემ ძველ ფენას, უნდა მივაკუთვნოთ ოთხი მშვენიერი, ჩუქურთმიანი ფილა, შემდეგი ეპოქებით შემონახული

---

[1] აფხაზეთის ტაძრების შესახებ მასალები იხ. *МАК*, т. III და IV (და აგრეთვე *„Русские Древности“* вып. IV (1891) და *Dubois de Montpereux*, Voyage autour du Caucase, 1838 sqq.); ტაო-კლარჯეთის შესახებ იხ. *Н. Марр*, Житие Григория Хандзтийского, СПБ. 1911, *ТР*, т. VII, Дневник поездки; ქართული ხუროთმოძღვრების ალბომში, შედგენილი ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტფ. 1924 და Указатель выставки груз. архитектуры, устроенной в 1920 году Груз. Общ. Истор. и Этнографии.

[2] ჯერ კიდევ ქუთაისის ბაგრატ III-ის ტაძარში, რომელიც 1003 წელს არის დამთავრებული, გარკვეით ჩანს X საუკუნის კომპოზიციური მიდგომის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისებები.

[3] იხ. სურ. 10, შდრ. გეგმა: სურ. 2. (ამ თაღზე გამობურცული რამდენიმე წრე არის ქვის დაზიანება ან გამოყენება, და არა რომელიმე დაუმთავრებელი მორთულობა, როგორც შეიძლება გეეჩვენოს).



10. ჩრდილოეთის ფასადის შუა ნაწილი ამოშენებული კარით და ეკვდერის ნაწილები

სამხრეთისა და ჩრდილოეთ ფასადის მოპირკეთებაში[1]. ეს დიდი ჩუქურთმიანი ფილები განირჩევიან სახეების თავისებურებით, რომელნიც მთლად ავსებენ ქვის ზედაპირს ცენტრალურ ღერძზე აგებული ერთი კომპოზიციით. ეს ფილები ამჟამად იმყოფება სრულიად შემთხვევით ადგილებზე, მაგრამ მათი სახეები არ გვაძლევენ საშუალებას ვივარაუდოთ მათი პირვანდელი ადგილი. მათი მორთულობა არ უდგება ჩვენი საშუალო საუკუნეთა შენობების მორთულობათა ხასიათს. ამ რელიეფთა ჩუქურთმა ოდნავ ამოწეულია ზედაპირიდან და მოდელი-



11. რელიეფები სამხრეთ ფასადზე კარის მარჯვენივ

რებულია სახეების ყველა მოხაზულობათა რბილი დამრგვალებით. ორ ფილაზე, რომელნიც. სამწუხაროდ ორ დანარჩენზე უფრო ცუდადაა შეძონახული, გამოსახულია ხე ორ წყვილ დამრგვალებულ ღეროთი, რომლებსაც ნაყოფი და ფოთლები ასხია[2]. ორ დანარჩენზე კი სადა, ტოლფერდა ჯვრებია, რომელთა აყვავებული განტოტებანი ავსებენ არის მთელს თავისუფალ ადგილს[*]. ფილები დიდის გამომხატველობით, ოსტატურადაა ამოჭრილი და რელიეფის სიმცირის მიუხედავად ცოცხალ-ლაზათიან შთაბეჭდილებას სტოვებენ. მათი დათარიღება, როგორც ვთქვი, არ შემიძლია მტკიცედ დადგენილად ჩავთვალო. მაგრამ რომ ეს XI ან შემდეგ საუკუნეთა კარგად ცნობილ ქართულ ჩუქურთმის ნაწარმოები

[1] სურ. 11.

[2] ერთი ამ ქვათაჯანი, რომელზედაც კარგად შემოინახა მარჯვენა ნახევარი (ზომით 81×102 სანტიმეტრი) სამხრეთ ფასადზე, ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთი კარის მარჯვენივ არის მოთავსებული დაახლოებით 60 სანტიმეტრ სიმაღლეზე მიწიდან (სურ. 11. მარცხნივ). მეორე ქვა ჩადგმულია ჩრდილოეთ ფასადის კედელში, სწორედ ჩრდილოეთ კვადრატის კედელში. ფილის ზომა 80×150 სანტიმეტრს ეღრის (შდრ. სურ. 19 მარცხნივ ნაპირზე).

[*] ერთი ჯვარი სამხრეთ ფასადის მარჯვნივაა (სურ. 11 მარჯვნივ), მეორე კი იმავე სამხრეთ ფასადის კარის მარცხნივ. ზომა: 81×85 სანტიმეტრი და 67×87 სანტიმეტრი.

არაა — ეს ცხადი ხდება პირველ შეხედვითაც. მეორე მხრით არ ვიცნობ მათ პარალელებს არც შინაარსობრივ და არც ჩუქურთმის სტილის მხრივ.

3

რუისის ტაძრის ამ მეორე ქრონოლოგიურ ფენას, რომელიც X საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება, XI საუკუნის დასაწყისში მოჰყვა შესრულების მხრივ არაჩვეულებრივად დახვეწილი, მდიდარი და დეკორაციულად დამუშავებული მესამე, ახალი ფენა. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ის არ იყო გამოწვეული, როგორც მეორე ფენა, შენობის წინასწარი დანგრევით, არამედ მხოლოდ იმ მისწრაფებით, რომ გამოესახათ, ეჩვენებინათ სიძლიერე ამ ფეოდალურ ცენტრისა, რომელიც აღარ კმაყოფილდებოდა ხელოვნების გაგების მთლიანად შეცვლისას, რომლითაც ხასიათდება ქართული ხელოვნება და კერძოდ ხუროთმოძღვრება XI საუკუნის ოციან წლებიდან—უბრალო, მაგრამ დიდი შენობით, დეკორაციულ-ორნამენტული ჩუქურთმისა და მორთულობის გარეშე. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ახალ ეპოქასთან, რომელიც გაცილებით უფრო მკვეთრად განსხვავდება მთელი თავისი მხატვრული მიზანდასახულობით X საუკუნის ძეგლებისაგან, ვიდრე ეს უკანასკნელნი წინა საუკუნეებისაგან. ქართული ხელოვნება საშუალო საუკუნეთა ეპოქაში გადავიდა თავისი მხატვრული სტილის უკვე მოწიფულ ფაზაში.

თუ კი პირველი და მეორე ფენის შესახებ ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ პოსტულირება, რომ ტაძარი აგებულია სასულიერო ფეოდალის, ე. ი. მროველ ეპისკოპოსის მიერ, მესამე ფენისათვის ეს დებულება უკვე მტკიცდება მედალიონის წარწერით მისი დიდი, ორსტრიქონიანი, როგორც ეტყობა საამშენებლო, წარწერის გვერდით, რომელიც სამწუხაროდ თითქმის მთლად დაზიანებულია. მედალიონში იკითხება: „ქრისტე შეიწყალე სული გიორგი ეპისკოპოსისაჲ, ამინ“[1]. იმავე ლამაზი ასოებით დაწერილს, ორსტრიქონიან დაზიანებულ გრძელ წარწერაში, პირველი სტრიქონის დასაწყისში ჯერ კიდევ შეიძლება წაიკითხოთ **ᲡᲔᲖᲘᲪᲮ ᲘᲪᲮ ᲒᲘ ᲢᲘ ᲗᲔᲡᲘ** და მის ბოლოში **ᲮᲨᲨᲤᲔᲜᲔᲮ**, ე. ი. წარწერაში ალბათ მარიამ დედოფალია მოხსენებული[2]. XI საუკუნის პირველი ნახევრის მიხედვით, რომელსაც ხუროთმოძღვრული დეტალები აკუთვნებენ ამ ფენას, ეს უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში ცნობილი ბაგრატ IV-ის დედა, რომელიც მისი მცირეწლოვანების დროს განაგებდა ქვეყანას[3]. სწორედ მაშინ

[1] სურ. 12. (წარწერის მოხაზულობა). ეკ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (არხ. მოჯ. და შენ. I, 1907, გვ. 107 № 7 ქვეშ) მოჰყავს ეს წარწერა. მაგრამ საბელი იოანე (ი-ე) არასწორად აქვს აღნიშნული მართლაც ცუდი სინათლის გამო შეიძლება გ-ი-ის მაგიერ ი-ე ამოვიკითხოთ. საინტერესო იქნებოდა დაგვედგინა—იმავე მროველ ეპისკოპოს გიორგის მიერ ხომ არ იყო აშენებული პატარა ეკლესია სოფელ თიღვას გარეთ, ორი შესასვლელით და აღმოსავლეთ ფანჯრის ორნამენტაციით, რომლის შესახებ მოხსენებულია MAK, IV, გვ. 166-ში და რომელიც, როგორც ჩანს, ეხლა აღარ არსებობს.

[2] სურ. 13 (წარწერის მოხაზულობა). შდრ. სურ. 16.


[3] თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იქვე გვ. 107, № 8 ქვეშ) სწორედ არ მოჰყავს ეს ნაწყვეტებად დარჩენილი წარწერა, და, რაც მთავარია, „დდფლისა“-ს წინ ასო რ-ს კითხულობს არსებულ შ-ს მაგიერ.



12. გიორგი ეპისკოპოსის წარწერა თაღის მედალიონში

გიორგი ეპისკოპოსმა მოახდინა X საუკუნის შენობის ის რადიკალური გადაკეთება და მორთვა, რომლის შესახებ ეხლა დაწვრილებით ვიტყვით.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, გიორგი ეპისკოპოსის მიერ წამოყენებული მხატვრული ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ არსებული შენობა სტილისტურად გადაეკეთებინა, რომ მისთვის მიეცა განვითარებული მხატვრული სტილის ხასიათი, რომელსაც დასავლეთ ევროპის ხელოვნების ანალოგიით ბაროკულ სტილს ეუწოდებ. ამის გამო თვითონ შენობამაც განიცადა ზოგიერთი გადაკეთება, რომელიც საჭირო გახდა ამ დროისათვის გამომუშავებულ კომპოზიციურ მიდგომისათვის, სახელდობრ—ცდილობდნენ კომპოზიციის კანონზომიერების მიჩქმალვას. ასე, მაგალითად, ამოქოლილი იყო მკლავების გარეთა კედლებში გვერდითი კარები და გაჭრილი იყო სხვა კარები დასავლეთით, მკლავების შუა



13. კონქის წარწერის ბოლო ნაწილი


დადაბლებული კუთხის ადგილებში (შდრ. მცხეთის ტაძრის სვეტი-ცხოველის გვერდითი შესასვლელების განლაგება ქუთაისის ბაგრატის ტაძართან). შენობის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეზე კი ამოყვანილი იყო ეკვდერისა და სტოას დამატებითი დაბალი ნაგებობანი. და ბოლოს, გუმბათიც შეცვლილი იყო დროის გემოვნებისდა მიხედვით—გუმბათის ყელი თორმეტწახნაგოვანია და, პირვანდელთან შედარებით უეჭველად უფრო მაღალია. გუმბათის ყელის ამაღლებამ გამოიწვია, რასაკვირველია, რამდენადაც შესაძლებელი იყო, შენობის გარეგანი ქვეითა ნაწილის და უმთავრესად ჯვრის მკლავების ამაღლებაც, რაც ნაწილობრივ სახურავის ქვეშ გაკეთებულ კამარის ზედა სივრცეზედაც ჩანს[1]. მაგრამ ამ „ნაკლის" მთლიანად მოსპობა XI საუკუნის ხუროთმოძღვრისათვის შეუძლებელი იყო; მას შეეძლო მხოლოდ მისი შერბილება[2]. ამ მიზნით ხუროთმოძღვარმა შემოაშენა ორიენ სიგრძის ფასადი—სამხრეთი და ჩრდილოეთი,—რომელნიც უფრო მოკლენი იყვნენ და ამის გამო უფრო მკვეთრად გვაგრძნობინებდნენ მაღალი გუმბათის პროპორციის დაშორებას შენობის ქვეითა ნაწილთან. აქ გაკეთებული ეკვდერები, რომელიც ნაკარნახევი იყო, ალბათ, ფასადის ხაზს გადაცილებული ტაძრის ძველი საკურთხევლის ნაწილის ბოლოებით, ახალ, უფრო დაბალ საფეხურს ჰქმნიდნენ და ამით გუმბათს აშორებდნენ მაყურებლისაგან. გარდა ამისა, ამ მინაშენთა დეკორაციულ მორთულობაში შეიძლებოდა შექმნილიყო რიტმული დანაწევრება და ორნამენტული მორთულობა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა გუმბათის მორთულობასთან. ამ გვერდით მინაშენთაგან ჩრდილოეთ ფასადზე გადარჩა პატარა ნაწილი. ეს არის ეკვდერი და კარიბჭის ის ნაწილი, რომელიც ეკვდერს ეკვრის. სწორედ ამ ეკვდერში შემოინახა ზემოთხსენებული წარწერები გიორგი ეპისკოპოსისა—მოსახსენებელი წარწერა იმყოფება კამარის სამხრეთ მედალიონში[3], დიდი წარწერა კი მოთავსებულია კონქის ქუსლზე[4]. ეს ეკვდერი შიგნიდან ძალიან კარგადაა შემონახული, და არავითარი შეცვლა და დანგრევა არ განუცდია. ეს არის ბრწყინვალე მაგალითი ქართული ხელოვნების აყვავებისა აღნიშნულ დროში. როგორც მასალის შერჩევა, ფერისა და წყობის რიგთა სიდიდის მიხედვით, ისე კამარის მოხაზულობა და ჩუქურთმის შესრულება ხუროთმოძღვრის დახვეწილ გემოვნებას და დიდ ოსტატობას ააშკარავებს. ეკვდერის შიგნიდან კედელთა წყობა შესრულებულია ორი ტონით; აქ ჰარმონიულად შეხამებულია: ფართო ბაცი-მწვანე და

[1] სურ. 3 და 25. ეს სივრცეები არის ტაძრის დასავლეთ ნაწილში, შენობის გვერდითი ნაწილების თავზე, სახელდობრ: ჩრდილოეთ მხარეს მოხვედრა შეიძლება ტაძრის ჩრდილოეთ მკლავიდან, სამხრეთ მხარეს კი—ტაძრის დასავლეთ კედელთან თაღის ხვრეტით. ტაძრის აღმოსავლეთი მკლავის ამნაირივე სივრცეში გასასვლელი არის სამხვერპლოს გუმბათის ხვრეტით, სადაც კა ფრონტონის გარეკუთხემდე ოთხ მეტროს უდრის. ტაძრის სამხრეთ მკლავის სივრცეში მოხვედრა შეიძლება სახურავიდან მკლავის აღმოსავლეთი კედლის ხვრეტით.

[2] ანალოგიური შემთხვევა იყო მანგლისის ძველი ტაძრის საშუალო საუკუნეთა ტაძრად გადაკეთების დროს, როგორც ვცდილობდი ჯამომერკვია „Заметки о Манглисском храме"-ში (იხ. საქართ. მუზეუმის მოამბე, I, 1922—23.).

[3] ქვეიდან ჩანს, თითქოს დასავლეთ მედალიონსაც აქვს წარწერა, მაგრამ ზუსტი შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს მხოლოდ ქვის ხორკლებია.


[4] შდრ. სურ. 15 და 16.



14. ჩრდილოეთი ეკვდერის კამარა

29. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული

ეიწრო ბაცი-იისფერი ზოლები კუთხეთა სვეტების დანაწევრების საპასუხოდ [1]. ეკვდერის კამარა კი მუქი ფერისაა. იგი გუმბათქვეშა რკალზე დაყრდნობილ ჰორიზონტალურ შუალაზოლებიან რვა გაერდანის საშუალებით თითქოს რვა სხივს ჰქმნის [2]. გუმბათის წრის ქვემოთ კვადრატის კუთხეებში პანდანტივებია.



15. ჩრდილოეთი ეკვდერის კონქის ნაწილი

ვაერდანთა შუალა ზოლები მორთულია ფართო ორნამენტული ჩუქურთმით, რომელთა ოთხი მოტივი ერთმანეთში იხლართება კამარის ცენტრში და ამ ხლართვით ჰქმნიან ჯვარს დამატებითი ხვეულებით. გაერდანთა დანარჩენი ზედაპირი სადაა და შეერთების ადგილებში წვინდა წიბოსა ჰქმნის.

[1] სამხრეთი კედელი დეკორაციულ თაღის სიღრმეში მრუდეა, უსწოროა რემონტის გამო; ნაღესობის გამო არა ჩანს მისი პირვანდელი ხასიათი. ამის გამორკვევა, რასაკვირველია, მორიგი ამოცანაა ძეგლის შესწავლა-დაცვისათვის.

[2] სურ. 15, შდრ. გეგმა—სურ. 2.

თითოეულ გაერდანის სიღრმეში გამოყოფილია ორნამენტული შეუკვრელი წრის ზოლით მოარშიებული მედალიონი, რომელიც მეზობელ მედალიონებთან იმავე მოტივის ჰორიზონტალური გაგრძელებით[1] არის შეერთებული. ამგვარად მოტივების რაოდენობისა და სახეების აგებით ჩუქურთმა საკმარისად მრავალფეროვანი, მდიდარი და შესრულებით მაღალხარისხოვანია. ამ კვადრატული ოთახის კუთხეებში არის თევზისფხის სახით და მარყუჟებით მორთული, თავსა



16. კონქის ორნამენტალური ზოლის და წარწერის დასაწყისი ნაწილი


და ბოლოში შემოსარტყლული სვეტები. აღმოსავლეთისაკენ კვადრატი ფართოვდება აფსიდით, რომელსაც გეგმაში ზუსტი ნახევარწრე აქვს; აფსიდის გამოყოფილ კონქის ქუსლზე მოთავსებულია მეტად დაზიანებული წარწერის ორი სტრიქონი და მის ქვემოთ კი ორნამენტის ზოლი, ხლართისა და სამჯერ პროფირებულ ლილვაკის (ჩალიჩის) მოტივით[2]. ამ ეკვდერის აფსიდაში შემოინახა ძველი იატაკი, რომელიც ფერადი (სამი ფერის) ქვის ორნამენტული ფიგურით არის დამუშავებული[3].

---

[1] სურ. 15. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მედალიონებში გაკეთებულია პატარა სარკმელები.—იგივე ორნამენტული მოტივი გვხვდება: სავანეში (1046 წ.) დასავლეთ ფასადის ფანჯრის თავზე, მანგლისის ტაძრის გუმბათზე, კაცბის გარშემოსაველეში, სამთავროში, სამხრეთ ფასადის მარცხენა გვერდით ნიშში. გაერდანის შუალახოლის მოტივებიდან ერთი (O-W) თავისებური ხლართის მოტივი გვხვდება აგრეთვე კაცხში, გარშემოსაველის ჩრდილოეთ აფსიდზე.

[2] სურ. 16.

[3] სურ. 2 (გეგმაზე).



17. ჩრდილოეთი ეკვდერი დასავლეთიდან

ამ ეკვდერის დასავლეთით მოსაზღვრე შენობიდან დარჩა მხოლოდ პატარა ჯვარისებრი თაღის ნაგლეჯი და საყრდენის კუთხის გარეთა ჯგუფი, რომელიც როგორც ფასადზე, ისე შესასვლელის კამარის ქვეშაც, საგანგებოდ იყო დამუშავებული[1]. ეს ნაწილი საშუალებას გვაძლევს სრული დამაჯერებლობით დავადგინოთ ორივე ნაწილის შორის არსებული კავშირი და ერთობლიობა და ფაქტი ეკლესიის ძველი კარის წინასწარი ამოშენებისა, ვინაიდან ჯვარისებრი თაღის საყრდენი კარებს აჯდება და მისი კამარა ნაწილობრივ კამარით იფარება[2]. ჯვარისებრი თაღის ორივე საყრდენის იმპოსტებს დეკორაციული მორთულობა აქვთ: სამხრეთით—ფესტონები, ჩრდილოეთით—ორნამენტული მოტივი, რომელიც გამოყენებული იყო აქვე კოზმიდზე. ამ კარიბჭის აღმოსავლეთი კედელი ამოყვანილია მშვენივრად თლილი და მორგებული მწვანე ტონის დიდი კვადრებისაგან. ამ კედელში არის ეკვდერში გასასვლელი კარი და კარის თავზე კი ვიწრო ფანჯარაა მოთავსებული. კარიც და ფანჯარაც სადაა, მაგრამ განსაკუთრებული სიზუსტითაა გაკეთებული, კიდის ოდნავი ხაზის გასმით. ხუროთმოძღვარი ამ ხერხით და ქვის ფერების შერჩევით (ფანჯარა და მისი ქვეითა წყობის რიგი გაკეთებულია ყვითელი ქვისაგან, ხოლო დანარჩენი კედელი მწვანე ქვისაა) ჰქმნის განსაკუთრებულ მხატვრულ შთაბეჭდილებას[3]. ჯვარისებრი კამარის არსებობა განსაზღვრავს ამ ეკვდერის მონაკვეთის დახშულობას დასავლეთით, ხოლო ჩრდილოეთიდან მთელი სიგანით გახსნილი შესასვლელის მალი კი, რომელიც ეკვდერში მოხვედრის შესაძლებლობას ჰქმნიდა, ლაპარაკობს იმაზე, რომ ეს სწორედ ეკვდერთან დაკავშირებული და მისი მოსამსახურებელი ნაწილი იყო.

ამ ორნაწილიანი ეკვდერის გარეთა ფასადის (ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის) ნაწილებმა შეინარჩუნეს პირვანდელი სახის აღდგენისათვის მნიშვნელობის მქონე ფრაგმენტები. როგორც ეტყობა თვითონ წყობაც ნაწილობრივ დაუზიანებელი დარჩენილა: ეს ჩრდილოეთ ფასადის ქვეითა ნაწილებში იისფერი ქვის დიდი კვადრებია (ნაწილობრივ სამი რიგი), და ზემოთა ნაწილში მარჯვნივ კი იისფერიდან დაწყებული კოზმიდამდე ყვითელი და მწვანე[4]. აქვე შემოინახა ეკვდერის ფანჯრის ისეთივე დამუშავება, როგორც კარის თავზე ფანჯრისა. მხოლოდ აქ იგი არა ყვითელი, არამედ მწვანე ქვისაა[5]. ამ მინაშენის ფასადის

[1] სურ. 10. ის შემდეგში აგურით შეუკეთებიათ.


[2] სურ. 10.

[3] იხ. სურ. 17 და 3.—აქ შემოინახა უამრავი მინაწერი, რომელთა შორის მაღლა ორი შესრულებულია მელნით—ერთი მხედრულია და დაწერილია ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელის მსგავსი ხელით, რაც პროფ. აკ. შანიძემაც დამიდასტურა (იხ. სურ. 18, ტექსტი—ეკ. თაყაიშვილი. არხ. მოგზ. და შენიშვნ., I, გვ. 107, № V), და მეორე ამის ზემოთ ასომთავრულია (№ VI). ამათ გარდა, ბევრია გვიანდელი ასომთავრული მინაწერი. აქ მრავალი ხელია და მოხაზულობანი, მეტად გართულებულიც კი; ნაწილობრივ ერთი მეორის ზემოთ არის განლაგებული. ამგვარად აქ მეტად საინტერესო და ქართული ძეგლებისათვის იშვიათი კომპლექსია წარმოდგენილი. თვით ჩრდილოეთ ფასადზედაც არის მსგავსი წარწერები, ისევე როგორც სხვა ფასადებზეც.


[4] რამდენიმე ძველი იისფერი კვადრი გამოყენებულია აღმოსავლეთ ფასადზე და სალაროში (ჩრდილოეთ მხარეს), მაგრამ გადაკეთებით.

[5] სურ. 19.

გაფორმებაში ხუროთმოძღვარი მისდევდა ეპოქის გემოვნებას, რასაც მისი ფორმათა დინამიკურად განლაგება ამჟღავნებს: ეკვდერის დასავლეთ ნაწილს ჩრდილოეთიდან ფართო შესასვლელი თაღის თავზე დაბლად გაწყობილი ფრონტონი ჰქონდა, რომლისაგან, საბედნიეროდ, გადარჩა ქვეითა განაპირა ერთი ქვა იმავე სახეებით, რაც მის ქვეითა გარეთა იმპოსტზეა, მხოლოდ გართულებული წვეტიანი, ქვეიდან ამოსული, ფოთლით[1]. ამ ორნამენტის სახე განსაკუთრებით დამახასიათებელია და XI საუკუნის დასაწყისის შემდეგ იგი აღარ არის ცნობილი. ჩვენ გვხვდება ის 1006 წლის იშხანის პატარა ეკლე-



18. მდივან-მწიგნობრული მინაწერი ეკვდერის კედელზე



19. ჩრდილოეთი ეკვდერი ჩრდილოეთიდან

სიაში ისევე, როგორც იშხანის დიდ ტაძარშიც (XI საუკუნის დასაწყისის ნაწილებში—გუმბათისქვეშა ბოძები, ფანჯარა), ტბეთის აშოტ კუხის (†918 წ.)

[1] სურ. 20. ამ კოხმიდის ფრაგმენტი აგრეთვე აღმოსავლეთ ფასადის (სალაროს სიბრტყის) მოპირკეთებაშიც გვაქვს; კოხმიდის სიმაღლე 45 სანტიმეტრს. უდრის, ჩუქურთმის ზოლის სიგანე კი 31 სანტიმეტრს.

მიერ აშენებულ კათედრალურ ტაძარში, ქუთაისის 1003 წლისათვის დამთავრებულ ბაგრატის ტაძრის სამხრეთ ფასადის მორთულობაში (ეხლა ფრაგმენტების სახით ტაძრის შიგნით), ზედა-თმოგვის ეკლესიაში (ბაგრატ IV-ისა და მარიამის ეპოქის). თვითონ ეკვდერზე კი იყო ცალფერდა სახურავი ტაძრიდან ჩრდილოეთისკენ, ე. ი. სახურავის ქვეშ გადიოდა ჰორიზონტალური კოზმიდი, რომლის ორი ნაწილი უშუალოდ ფრონტონთან (დამუშავებული კუთხით) შემოინახა in situ. ის მოთავსებულია მომიჯნავე ფრონტონს ზემოთ, ე. ი. იმ ფორმის განსასხვავებლად, რომელიც ამ ეპოქაში უკვე ყალიბდებოდა (შეადარე მანგლისი) და რომელიც მტკიცედ დადგინდა შემდეგ ეპოქებში, როცა ფრონტონი გვერდითი, ცალფერდა სახურავებზეა ამაღლებული. ეს კოზმიდი უფრო მძიმეა, ვიდრე ფრონტონის კოზმიდი, და დაფარულია მსუბუქ პროფილიან ფორმაზე გამოხატული ხშირი და მკაფიო ფოთლოვან წნულის სახეებით; ზემოდან და ქვემოდან გადაჰიმულია მსხვილი ჩალიჩი, და ბოლოს, ზემოთ გამოშვერილი თაროც მკაფიო ფოთლოვანი სახის ჩუქურთმით არის დაფარული[1]. ამ კოზმიდის ქვაც იისფერია[2].



20. ჩრდილოეთი ეკვდერის ძველი კოზმიდების ნაწილები

ამ ჩრდილოეთ მინაშენის დასავლეთ ნაწილებიდან სხვა ნაწილები აღარ შემონახულა—ტაძრის ფასადის მთელი კედელი აღდგენილია ჯერ კიდევ ძველ დროში, ხოლო მიწაში შემონახული შესაძლებელი საძირკვლების მოძებნა ძეგლის დაცვის მიმდინარე მუშაობის დროს ნაწარმოები არ ყოფილა[3]. მაგრამ მაინც XI საუკუნის ხუროთმოძღვრის კონცეპციით ამ ეკვდერის დასავლეთით სხვა ნაწილების არსებობაში არ შეიძლება ეჭვის შეტანა. სამწუხაროდ, მათი ფორმების შესახებ შეიძლება მხოლოდ ზოგადი დასკვნა გამოვიტანოთ. დასავლეთით მდებარე მონაკვეთი შიგნიდან ალბათ ორნაწილიანი იყო, თანაც

[1] სურ. 20.

[2] თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეკვდერის ორივე ნაწილი დაკავშირებულია ერთმანეთთან და მათი დაყოფა ორ საამშენებლო ეპოქად შეუძლებელია, მაგრამ შეუძლებელია ხაზი არ გაესვას ფრონტონის და ჰორიზონტალურ კოზმიდების ჩუქურთმათა შესრულების სხვაობას და მათ მკვეთრ განსხვავებას ტაძრის ამ დროის ყველა დანარჩენ ჩუქურთმისაგან. და აქ უნებლიეთ იპყრობს ყურადღებას ეკვდერის ჩრდილოეთ ფასადის კიდის ფუგა, რომელიც თითქოს წყობაში უნდა იყოს (იხ. სურ. 19).

[3] ეს სამუშაოები, რომელზედაც თავის დროზე მიეუთითებდი, რასაკვირველია, უნდა შესრულდეს.


ახლად გაპრილი კარის პირდაპირ ჩრდილოეთ მხრიდან მთელ სიგანეზე შესაძლებელია თაღოვანი მალი და სახურავი ფრონტონული დაძთავრებით ყოფილიყო; ასეთივე სახურავი შესაძლებელია დასავლეთის ბოლო მონაკვეთზედაც იყო (შდრ. ოშკის სამხრეთი სტოა). თუ დაუშვებთ აქ ცალფერდა სახურავის არსებობას, მაშინ ის შესასვლელი თაღების სიმაღლის უფრო ზევით უნდა დაწყებულიყო და, მაშასადამე, ტაძრის კედელთან მისი შეხების ადგილიც შესამჩნევად აიწეოდა—ამისათვის კი ტაძრის კედლის არსებული სიმაღლე საკმარისი არ არის[1]. ასეთი მინაშენი—ჰფარავდა ახლომდგომთა ხედვისაგან შენობის ნაწილებსა და გუმბათს შორის არსებულ ნამდვილ შეფარდებას, მით უფრო, რომ ამ მინაშენს კლაკნილი სახურავი ჰქონდა.

როგორც ჩრდილოეთ ფასადზე XI საუკუნის კომპოზიციით შექმნილი იყო საკმარისად მოძრავ ფორმათა დაბალი ეკვდერი, ასევე სამხრეთ ფასადზე იყო აგებული მსგავსივე ნაგებობა, რომლისაგან მხოლოდ უმნიშვნელო კვალია დარჩენილი. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ისინი შენობის ასეთ გაგანიერებას დასავლეთ ფასადის ხაზიდან გვიჩვენებენ, ე. ი. სწორედ იმ ხაზამდე, რომელიც უკვე ვივარაუდეთ ჩრდილოეთ ფასადზე. სამხრეთ მხარეს მიწაზე ჩანს კედლის ნაწყვეტი, როგორც დასავლეთ ფასადის გაგრძელება სამხრეთისკენ. ეს ნაწყვეტი შემდეგ სწორი კუთხით უხვევს და გრძელდება რამდენიმე მანძილზე ტაძრის სამხრეთ ფასადის პარალელურად; კედლის უკანასკნელი ნაწყვეტის ზემო ამოყვანილია ტაძრის გვიანდელი ზღუდის კედელი (რიყისქვისა); გარედან აქ ორსაფეხურიანი ცოკოლია შემონახული. ეკვდერის სიგანე შიგნით უფრო დიდია (დაახლოებით 130 სანტიმეტრით) დასავლეთ ბოლოში, ვიდრე ჯერ კიდევ ეხლაც შერჩენილ ეკვდრის აღმოსავლეთ ბოლოში[2]. იმ მითითებათა გარდა, რომელთაც კედლის ქვეითა ნაწილების ნაგლეჯები და ცოკოლი შეიცავენ, საინტერესოა აგრეთვე სამხრეთ ფასადის კუთხე, სადაც ოდესღაც ეკვდრის დასავლეთი კედელი ეკვროდა. აქ (დაახლოებით 1 მეტრის სიგანეზე) თლილი ქვების მოპირკეთების მაგიერ ყორული მასის უსწორო ზედაპირი ჩანს, ე. ი. კედელი ისე იყო შეწყვეტილი, რომ გვიანდელი შეკეთების დროს აღარსად აღარ შეიძლებოდა მოპირკეთება[3]. ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში დაცულია შენობის ნაწილი, რასაკვირველია, XV საუკუნეში და უფრო გვიანაც შეკეთებული, მაგრამ რომელიც ნაწილობრივ, ალბათ, ეკუთვნოდა ჯერ კიდევ ძველ პერიოდებს და ჩართული იყო XI საუკუნის კომპოზიციაში. დასავლედ შესასვლელიდან ეს დერეფანივით დაგრძელებული ოთახია, რომელიც ცუდად განათებულია კარითა და ერთი ფანჯრით სამხრეთიდან. მას აქვს ცილინდრული თაღი ერთ სართავ კამარაზე; ეს კამარა ებჯინება ტაძრის კედლის გასწვრივ ორ კამარას, რომელნიც კედელს კონსოლით ეყრდნობა. თაღი, კამარები და კედლის წყობა შიგნიდან, ძირითადად, შირიმის ქვისაა. გარედან აქაც ორ

[1] შდრ. სურ. 1.


[2] შდრ. გეგმა, სურ. 2.

[3] სურ. 21—ტაძრის იმავე კუთხემ, დასავლეთ ფასადზე, ქვემოთ შემოინახა მოპირკეთების რამდენიმე მუქი ფილა ყვითელი ტონისა, რომელიც როგორც ეტყობა იმავე დროისა უნდა იყოს.



21. ტაძარი სამხრეთ-დასავლეთი კუთხე

საფეხურიანი ცოკოლია შემონახული[1]. შემდეგ აღმოსავლეთისკენ ძველი ტიმპანით და რელიეფებით მორთულ კარიდან არის გასასვლელი ძველ გუმბათიან ოთახში, რომელსაც სამხრეთიდანაც დამოუკიდებელი შესასვლელი ჰქონდა[2]. სამხრეთ ფასადზე ჩვენ გვაქვს, როგორც ჩანს, სხვადასხვა ეპოქის ეკვდერის დაცალკევებული ნაწილები, რომელთაც არ აქვთ ერთმანეთთან უშუალო კავშირი.



22. სამხრეთი ეკვდერი 1938 წლის რესტავრაციის წინ

შენობის ამ ხერხით გარშემოშენება დაბალი, ფორმით მოძრავი და ჩუქურთმით მორთული ეკვდერებით არ ამოწურავს იმ ცვლილებებს, რომელიც შეტანილი იყო შენობაში, რათა ის ეპოქის მოთხოვნილებათა დონემდე აეყვანათ. უეჭველია, რომ X საუკუნეში მდგარ შენობის თვით ფასადებზედაც ახალმა დრომ მოითხოვა ხელოვნების ახალი მოთხოვნილების გამოხატვა,—და ჩვენ არ შეგვიძლია არ ვცნათ, რომ ამის შემსრულებელი დიდი ხელოვანი და ამასთან უმთავრესად (თუ მოვიგონებთ მანგლისს) დიდი დეკორატორი ყოფილა. მისი მხატვრული განზრახვის უფრო სრულად დანახვა (ჩრდილოეთ ეკვდერის შემდეგ), მიუხედავად დიდი დამახინჯებისა, რესტავრაციისა და შეკეთებისა, შეიძლება გუმბათის ყელის მორთულობაში. იმ სახით, რა სახითაც ვხედავთ დღეს გუმბათის ყელს, არ შეიძლება ის, მთელი მისი კომპოზიციის მიხედვით არ ჩაითვალოს სწორედ XI საუკუნის ნაწარმოებად. უპირველესად ყოვლისა, მისი ფორ-

[1] სურ. 22 და 2.

[2] 1938 წლის რესტავრაციის დროს ეს შესასვლელი, რომელსაც დამოუკიდებელი ბალავარი ჰქონდა, რატომღაც ყრუდ ამოუშენებიათ. გეგმაში (სურ. 2) იგი აღნიშნულია 1922 წლის დაზომვის მიხედვით.


მებია: სიმაღლის მნიშვნელოვანი ხაზის გასმა და 12 ფანჯარა 12 წახნაგში[1]. ამასში გამომჟღავნდა არა მარტო ახალი ეპოქის ტენდენცია, არამედ მისი მიზანდასახულობის შესაძლებელი მიღწევანი ქვეყნის შუაგულში. თორმეტწახნაგოვანი გუმბათი გვხვდება X და XI საუკუნის ძეგლებში, როგორიც არის—ნიკორწმინდა, მანგლისი, მოქვი, ბედია, დოლის-ყანა (X საუკ. შუა), ენი-რაბათი, გოგიუბა, ბოპორმა, საავანე და IX საუკუნის ოპიზა და შატბერდიც. ე. ი. აქ პირველ ხანებში ბაროკულ-მხატვრული ტენდენციების სრულ გამომჟღავნებაში და გუმბათის ყელის დაწახნაგებაში შემოიტანეს ვარიაცია, რომელიც გადაუდგა ჩვეულებრივ (ადრეც და შემდეგშიც) ჯერად (8 ან 16 წახნაგად) დანაწევრების წესს. შემდეგ დეკორაციული მორთვაც, აგრეთვე ბუნებრივად, სწორედ XI საუკუნის პირველ ნახევრისათვის დამახასიათებელ ხერხებს უპირისპირდება: ეს არის დიდი გატაცება ხუროთმოძღვრულად გამოყოფილი ნაწილების ან შენობის ადგილების მორთვით, დეკორის არა ერთი ელემენტით, არამედ რამდენიმეთი და ნაირნაირად გამომჟღავნებული ფორმით. თითოეული ფანჯრის მოჩარჩოება შესდგება არა მარტო მჭიდროდ მიკრული ორნამენტული ზოლისა (ოდნავ ამოზნექილ ზედაპირზე) და თევზისფხისებურ და მარყუჟის სახეებიან წყვილ ლილვაკებისაგან (ქვემოთა და ზემოთა სარტყელით), არამედ მას ქვეითა ჰორიზონტალზე კიდევ მეორე ორნამენტული ზოლიც აქვს (ბრტყელ ზედაპირზე)[2] და ისევ ორმაგი ლილვაკები სარტყელით, რომელთა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ლილვაკები ცალკე კვადრატებს ებჯინება[3]. როგორც ყველა ლილვაკის სარტყელები, ისევე მათ შორის კვადრატებიც, დაფარულია ორნამენტული ჩუქურთმით, რომელთა სახეები ყოველთვის იცვლება. ამგვარად, ჩვენ აქა გვაქვს 24 სხვადასხვა მოტივის ზოლი, კვადრატების 24 სხვადასხვა შევსება, ე. ი. თავისთავში ჩაკეტილი, ცენტრიდან სიმეტრიულად გამოსული სახეები და ბოლოს სარტყელის 72 სხვადასხვა მოკლე ზოლი, ზოგჯერ ისევე სიმეტრიულად აგებული შუა ღერძიდან. მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა გუმბათის მორთულობა. ფანჯრების ხაზის ზემოთ, წახნაგების წიბოებზე, პატარა თაღებს შორის მონაკვეთებში მოთავსებული იყო ჩუქურთმიანი (რამდენადმე აჟურიანი) ძალიან გამოწეული ნახევარსფეროები, ხვეული ჩალიჩით და დამატებითი მარყუჟებით მოჩარჩოებული (ამ ნახევარსფეროთაგან გადარჩა მხოლოდ რამდენიმე), ე. ი. კიდევ 12 მოტივი; ზემოთ გადიოდა ორმაგი ჩალიჩის სარტყელი, შემდეგ, როგორც ეტყობა, ჩუქურთმიანი თორმეტწახნაგოვანი სარტყელი (მისი ნაწილის დადგენა, ალბათ, ჯერ კიდევ შეიძლება ტაძრის ფრაგმენტებით) და, ბოლოს, მოჩუქურთმებული კოზმიდი. ფანჯრის ხაზის ქვემოთ მოთავსებულია წრეზე მიმაყალი კოზმიდი, სტილიზირებულ მცენარეული სახის თაროთი, და მის ქვემოთ ორი ხვეული ჩალიჩით, ე. ი. სახეთა კრებული კიდევ ივსება.

[1] პირვანდელი სახით თითოეულ წახნაგში თითო-თითო ფანჯარა იყო, მოგვიანებით კი—ალბათ ალექსანდრეს დროს—ექვსი ფანჯარა პირდაპირ ამოაშენეს (თითო ფანჯრის გამოშვებით).

[2] შდრ. მსგავსივე ხერხი ნიკორწმინდის გუმბათის ფანჯრებში და იშხანის დიდი ტაძრის ზოგიერთ ფანჯრებში, ე. ი. XI საუკუნის ძეგლებში.

[3] სურ. 23.

ამ ძველ მორთულობიდან შემოინახა მხოლოდ მცირე ნაწილი, როგორც ეტყობა, შემდეგ შევსებული სწორედ ალექსანდრე I-ის მიერ ტაძრის აღდგენის დროს. გუმბათის ყელის მორთულობაში, მოჩარჩოების დანარჩენ ნაწილებისაგან ძალიან განსხვავდება ფანჯრების რამდენიმე ზემოთა თაღის თაესართაეი და მოჩარჩოების ქვეითა ნაწილები, რომელსაც თითქმის ყველგან, ერთ ქვაზე ამო-



23. გუმბათის ყელის დეტალი (სამხრეთის მხარე)

ჰრილი ორნამენტის დამატებითი ჰორიზონტალური ზოლი აქვს. მოჩარჩოების ეს ქვეითა ნაწილები XI საუკუნის ნამუშევარია, დანარჩენები კი—გვიანდელია[1]. ამასთანავე ჩანს, რომ ძველ ნაწილებში ყველა 12 ფანჯარას ღია ხვრეტი ჰქონდა; ეხლანდელი ექვსი ყრუ ფანჯარა კი შეკეთების შედეგია[2]. ასევე, დეკორის სხვა ნაწილებიდანაც ყველა ძველი კი არ არის, მაგრამ ყველა ნაირსახეობისათვის მაინც მრავლადაა დარჩენილი ძველი ფრაგმენტები, რომელთაგან ახლები ძალიან მკვეთრად განსხვავდებიან. მეტად დამახასიათებელია, რომ შეკეთების ხაზი გადის თითქმის ერთ დონეზე და მიწისძვრამ სწორედ აქ მოახდინა გუმბათის ყელის ქვეითა ჰორიზონტალური გარღვევა. იმავე ხაზამდე შიგ-

[1] ამ ნაწილების განსხვავება კარგად ჩანს სურ. 23-ზე.

[2] შდრ. ანალოგიური ხერხი ჰულეში (1381 წ. ახლო) და ხარხმაში, ე. ი. დაახლოებით იმავე ეპოქის ძეგლებში.

ნიდან აღწევენ ფანჯრის მორთულობის ნაწილები[1]. უნდა აღინიშნოს, რომ რაღაც „განახლება“, გაკეთებული გუმბათის ჩუქურთმის გათეთრების გზით (XIX საუკუნის დასაწყისში ხომ არა?), რომელიც სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივადაა ჩამორეცხილი, ძალიან უშლის მის სწორ შეფასებას.

ასეთია გუმბათის მორთულობის სისტემა. ცხადია, რომ ის მთელი შენობის ცენტრალურ მომხიბლავ პუნქტს შეადგენდა მაყურებლისათვის. მისი სახეების განხილვაზე, ლაკუნებსა და გაფუქებულ ადგილებში გვიანდელი დანამატების გამოყოფაზე, შედარებასა და ანალიზზე არ შევჩერდები—ეს არის დიდი და მომხიბლავი, მაგრამ სპეციალური ამოცანა[2]. ამ ცენტრალურ პუნქტს უკავშირდებოდა ძველი შენობის ფასადის ნაწილების, მინაშენებით დაუფარავი, ზოგიერთი მორთულობა. მისგან ცოტა რამ გადარჩა, მაგრამ მათი საშუალებით, თითქოს, შეიძლება მთავარი ხაზების დადგენა. ჯვრის მკლავების ფრონტონების ქვეშ მოთავსებული იყო დეკორაციული, ჩუქურთმიანი ჯვრები, სხვა შენობის ჯვრებთან შედარებით უფრო პატარა ზომისა. ძირითადად ისინი შემოინახა სამხრეთსა და დასავლეთ ფასადებზე. შემდეგ, ვფიქრობ, მორთული იყო კიდევ მხოლოდ ფანჯრების ხერეტები და კარები. ზოგიერთი რამ ამ პირვანდელი მორთულობიდანაა დარჩენილი, მაგრამ დიდი ნაწილები XV საუკუნეში ჩატარებულ განახლებას ეკუთვნის. შეკეთების მოპირკეთებაში შესული ჩუქურთმის ფრაგმენტები მეტწილად იმავე XI საუკუნისაა, და მხოლოდ ნაწილობრივ უფრო გვიანდელია; ცალკე დამოუკიდებელ აქცენტების სახით მათ არ ექნებოდათ ადგილი ფასადებზე—ისინი წარმოიშობიან, უნდა ვიფიქროთ, კარიბჭისა და გუმბათის მორთულობიდან[3]. ამგვარად XI საუკუნის დასაწყისის გადაკეთების პროექტი, როგორც ჩანს, შენობის მთელ გარეგან კომპოზიციას შეიცავდა[4]. მაგრამ ამ ბრწყინვალე და ოსტატურ ნამუშევრიდან თემურლენგის შემოსევისა და დარბევის შემდეგ XIV საუკუნის დამლევს, ცოტა რამ გადარჩა, უმთავრესად ფრაგმენტების სახით.

---

[1] გუმბათის ყელის ძველი ფანჯრების მოჩარჩოების ნაწილები ჩადგმულია ჩრდილოეთ ეკვდერის ჩრდილოეთ ფასადის წყობაში (იხ. სურ. 19): ეს არის სამი მკაფიო ფრაგმენტი—ყველა იისფერი ქვისა, როგორც გუმბათის ჩუქურთმა.

[2] გუმბათის ყელის მორთულობის ფრაგმენტები მიწაზე გდია ტაძართან ახლოს; ერთი დიდი ფრაგმენტი კი წყაროს წინ დევს.

[3] დამოუკიდებელ ფრაგმენტებიდან უფრო საინტერესოა: მწვანე ქვის ფანტასტიკურ მხეცთა გამოსახულება წნულის რგოლში, საკურთხევლის ფანჯრის გვერდით; ერთი ფრაგმენტირებული ნახევარფიგურა, დასავლეთ ფასადის მარჯვენა მხარეს, მწვანე ქვისა; ყვითელი მედალიონი, ნახევრად დაფარული დასავლეთი კარიბჭის ჩრდილოეთი ფერდობით; მოტეხილი, აყვავებული, იმავე მწვანე ქვის, წმინდა ნამუშევრის ჯვარი ჩრდილოეთ ფასადზე და სხვა,—ჩემის აზრით, ყველა ეს ფრაგმენტი (რასაკვირველია, აგრეთვე ისინიც, რომელნიც მიწაზე ჰყრია) დაცული უნდა იქნეს შენობის შიგნით სამუზეუმო ექსპოზიციის სახით.

[4] ძველი მოპირკეთება გაკეთებული იყო მსხვილ სწორ კვადრებისაგან ყვითელი, მწვანე და იისფერის რბილი ტონის ქვებისაგან; წყობის შედარებით დიდი ნაწილები—გარდა უკვე ზემოთხსენებულისა— შემოინახა ჩრდილოეთ ეკვდერის აღმოსავლეთ და ღასავლეთ კედლებზე, რომელნიც აღიმართებიან მოსახღვრე სახურავების ზევით და რომლებმაც შემოინახეს ძველი სადა კოჭმიდები.

4

თემურლენგის შემოსევანი, როგორც ცნობილია, წარმოადგენენ მკვეთრ ზღვარს ქართული კულტურის განვითარებაშიც. ქვეყნის საშინელმა დარბევამ და გაოხრებამ შეაჩერა არამარტო ნორმალური წინსვლითი განვითარება ქართული ხელოვნებისა, არამედ მისი ამოცანა მრავალი წლით დაიყვანა მანამდე არსებულის—და იმ მომენტში გაძარცულ, განადგურებულ და გაოხრებულის უბრალო აღდგენასა და შეკოწიწებამდე.

რუისის ტაძარი იმდენად დაზიანდა, რომ მეფე ალექსანდრე I (1412—1442) იძულებული იყო იგი მთლიანად აღედგინა[1]. ამის შესახებ ლაპარაკობს წარწერაც, ტაძრის დასავლეთ შესასვლელის თავზედ:

ჩ ხუ ქთშთჩ ი-ჩ ჯიფ-ცქ ჯიფ-ყქ თშთხქ ქხჭსჩშჯჰუს ჰხუ-ხქ ჯ-ჟ ყ-თ ქიიუჩჩქ ს-ყბქჟჰუ უსუ ქთ-ქთჩ ი-ჩ თქ ს-ზუ ჯ-ცუ ყ-ჭჭზ ყ-ს

ე. ი. ქ. ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისა მიერ კვალად აღეშენა საყდარი ესე. ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყოს![2]

უპირველესად ყოვლისა ვცადოთ წარმოვიდგინოთ, რა იყო და რა შეიძლება დანგრეულიყო თემურლენგის მიერ რუისის ტაძარში.

ჯერ ერთი—რუისის ტაძარი, ცხადია, გაძარცული იყო. ჩვენამდე, მართლაც, რუისიდან არ მოღწეულა არც ერთი ძველი ნაწარმოები ქართველ ოქრომჭედელთა და დაცული ნაქარგობაც XVII საუკუნეზე ადრინდელი არ არის[3]. ტაძარი ასევე გაძარცული დარჩა (უკანასკნელად იგი გაძარცული იყო მეფის რუსეთის ბატონობის დროს) და ამაყობდა მხოლოდ წმინდათა ნაწილების სიმრავლით დიდ კარედ ხატში. ამ გაძარცვას თან დაერთო ტაძრის შინაგანი გაოხრება, კედლის მხატვრობის გაფუჭება, თავისი ფიგურული გამოსახულებებით. გარდა იმისა რომ ჩეხდნენ და თოფს ესროდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ცეცხლით განადგურებასაც ცდილობდნენ. შემდეგ, შენობის გარედან იყო დანგრეული, რასაკვირველია, გარეთა და ამასთან ადვილად დასანგრევი ნაწილები, ე. ი. აღმოსავლეთი ფასადი, ეკვდერი სამხრეთსა და ჩრდილოეთ ფასადებზე და დასავლეთი ფასადი შესასვლელის წინ არსებული კარიბჭით. ამგვარად აღდგენა დასჭირდა მთელ ნაგებობას. ეს აღდგენა XV საუკუნის მეორე მეოთხედს ხვდება[4].

---

[1] ვახუშტი, ღეოღრაფიული აღწერა საქართველოსა (ბროსეს გამოც.), სპბ. 1842, გვ. 260.

[2] თაყაიშვილს (I, გვ. 10, №-I) წარწერა მოყვანილი აქვს ზოგიერთი ნაკლით. *Brosset*-ს (VI, 7) და პლ. იოსელიანს (ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის გამოცემაში 1852, გვ. 43) ქარაგმები გახსნილი აქვთ. წარწერა გაურკვეველად იკითხება შეთეთრების გამო, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივაა ჩამოცილებული (სურ. 24).

[3] სალაროს შესახებ ნაწყვეტი ცნობები მოეპოვებათ: *Муравьев*, Грузия и Армения, III, გვ. 112; *Brosset*, VI, 10—13. უფრო სრული ცნობები: *Дм. Бакрадзе*, Кавк. в др. пам., стр. 108—109; *Уваровa*, *МАК*, IV, 146—147 და განსაკუთრებით თაყაიშვილი, არხ. მოგზ., I, 109—123.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1, ტფ. 1924, გვ. 31.

შიგნით მოუხდათ წყობის, მოპირკეთების, თაღების და კამარების შეკეთება და სვეტისთავების ახლად გაკეთება. უეჭველია, რომ სამი აფრა გუმბათის



24. დასავლეთის შესასვლელი კარი ალექსანდრე I-ის წარწერით

ქვეშ ძალიან იყო დაზიანებული, რის გამოც დღესაც აქვთ მეტად დამახინჯებული ფორმები. ამგვარად ეკლესიის შიგნითა სახე ალექსანდრე I-ის შეკეთების შედეგს წარმოადგენს [1].

ფასადების განხილვისას, უპირველესად ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინ (XV საუკუნეში) უარყვეს ეკვდერის აღდგენა სამხრეთ და ჩრდილოეთ

[1] კედლების და კამარების გასუფთავება რუსეთის დროის შელესვისაგან აუცილებელია, რათა გამოაშკარავდეს დანაფუნების სურათი.


ფასადებზე, და დაკმაყოფილდნენ იმით, როგორცა ჩანს, რომ აღმოსავლეთ ნაწილში ეკვდერის დარჩენილი სადგომები შეამაგრეს, მოაპირკეთეს და გამოიყენეს. დანარჩენი კი, ალბათ, სულ მთლად აიღეს. შემდეგ, გამაგრებული იყო ყველა ფასადი, ე. ი. გაფუჭებული და ჩამოვარდნილი მოპირკეთება ხელახლა იყო გაკეთებული, ალბათ ძველი, ხელმეორედ თლილი ფილებისა და დამატებული ახალი, შემთხვევითი ფილებისაგან. ამის გამო წყობა გამოვიდა ჭრელი. უსწორ-მასწორო; და მხოლოდ პატარა კუნძულებად მასში გადარჩენილი, როგორც ეტყობა, სრულიად მაგარი ნაწილები, ამ საერთო შთაბეჭდილებიდან გაირჩევა თავისი მნიშვნელოვანი და მაღალხარისხოვანი შესრულებით. ოსტატებმა მოპირკეთებაში გამოიყენეს ძველი შენობის ყველა მოჩუქურთმებული ნაწილი და ამიტომ ეს გამოყენება იძლევა ისეთ ჭრელსა და შემთხვევითი ხასიათის სურათს. იგი ზოგან უსიამოვნო, მახინჯ სახესაც კი ღებულობს, რადგან ისინი სცდილობდნენ საკუთარი გემოვნებით გაეკეთებინათ ფიგურული რელიეფები ან ორნამენტული ჩუქურთმა. ასე, განსაკუთრებით მახინჯია, ჩრდილოეთ ფასადის შუა არის რელიეფზე, სამივე ფიგურა, რომელთაგან ერთს გონიო უჭირავს ხელში; მთელ რელიეფს არ აქვს არავითარი კომპოზიცია—ეს არის პრიმიტიული „ბავშური“ ნახატი[1]. მხოლოდ კომპოზიციის მხრივ ოდნავ უკეთესია დასავლეთ ფასადზე შუა ფანჯარასთან მყოფი რელიეფი, სადაც ჯვრის აქეთ-იქით ასეთივე მახინჯი სახეები თითო-თითოდაა განლაგებული—ზემოთ ანგელოზები, ქვემოთ კი ხალხი. ფანჯრების და კარების მოჩარჩოების აღდგენილი ორნამენტული ნაწილები აგრეთვე განსხვავდება ოსტატურად შესრულებულ ძველ ნაწილებისაგან თავისი მოდუნებულობით, არეული და დაუდევარი ნახატით და დაქსაქსული ნაწილების ტლანქი შეერთებით. გუმბათის გადაკეთებაზე კი ზემოთ იყო თქმული.

ეპოქის მხატვრული დაცემა აქ გარკვევითა ჩანს მთელი თავის სიძლიერით. ამ მხრივ თვალსაჩინოა შესასვლელი კარების მორთულობის შედგენა. თუმცა ტაძრის სამივე შესასვლელს აქვს ძველი მორთულობის ფრაგმენტები, მაგრამ ისინი ძლივს განირჩევა, მთლიანად კი გამოყენებულია XV საუკუნის კომპოზიციაში: ეს არის მხოლოდ ზოლი კუთხით მიმაყალი ორნამენტაციისა და ლილვაკებისა, რომელთაც (ლილვაკებს) საფუძველთან გამოყოფილი რგოლები აქვთ[2]. პირველი შეხედვით ეს იგივე გადაწყვეტაა, რომელიც X საუკუნის ბედიის ნაგებობაში გვაქვს, რომელშიაც მეტად საყურადღებოა ახალი გზების ძიება, პირველი ფრთხილი და გაუბედავი ცდა; მაგრამ რა განსხვავებაა შესრულების ხარისხში, დამუშავებაში და დეტალების მონაფიქრში. რუისის ტაძარში კი ნაჩქარევად გაკეთებული, პირდაპირ ხელოსნური ნამუშევარია. ასეთივე მდგომარეობაა აღმოსავლეთ ფასადზეც, სადაც, შეიძლება ითქვას, ძველ

[1] იმავე ქვაზე დარჩა ფიგურათა მწკრივის ქვემოთა ნაწილი, სამი ფიგურის ზემოთ განლაგებული.

[2] სურ. 24—ასეთივეა სამხრეთ ეკვდერის დასავლეთ შესასვლელის მოჩარჩოება (შდრ. სურ. 3). ეს კარი ქვეითა ნაწილში შეკეთებულია, ალბათ, XVII საუკუნის შუა წლებში როსტომ მეფის ცოლის, მარიამის მიერ (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 260), როგორც ზოგიერთი მსგავსიც შეკეთებანიც.

მორთულობიდან არაფერი დარჩენილა, რის გამოც ფანჯრისა და დეკორაციული ჯვრის ორნამენტაციაც კი ხელახლადაა გაკეთებული[1]. ამ ფასადის ჩამოგლეჯილი კედელი, ალბათ, იმდენად უსწორო იყო, რომ მისი მოპირკეთების შემდეგ იგი უცნაური ფორმისა და არამოტივირებული გამონაშვერითაც კი გამო-



25. რუისის ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან 1920 წლის მიწისძვრის შემდგომ (1927 წლ. ფოტო)

სულა. სამწუხაროდ, მიმდინარე წელს ჩატარებული ძეგლის შეკეთება არ ყოფილა გამოყენებული ძეგლის ისტორიისათვის საინტერესო მომენტების დადგენისათვის, ახალი შეკეთებით კი ასეთი შესაძლებლობა მგონი უფრო მოსპობილია.

[1] ამ ფასადზე მსჯელობისას იძულებული ვართ ვისარგებლოთ ძველი ფოტოთი ერმაკოვის კოლექციიდან № 5636 და კიდევ ბალტრუშაიტისის სურათით მის წიგნში Etudes sur l'art médieval en Géorgie et en Arménie. Paris, Leroux, 1929, pl. (იხ. სურ. 25), რადგან ტაძრის წრევანდელი რესტავრაციის სამუშაოების დროს მოპირკეთების მნიშვნელოვანი ნაწილი ზევით ააგლიჯეს, ქვეით კი ამტვრევდნენ მთელ ქვებს და ქვების გაფუჭებულ ნაწილებს და ახლებით სცვლიდნენ მათ. ალბათ, აღმოსავლეთი ფასადი შეკეთებული იყო მარიამ დედოფლის მიერაც, რომლის მიერ ტაძრის შეკეთებას ბატონიშვილი ვახუშტიც იხსენიებს (იხ. გეოგრაფია, გვ. 260).

30. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული.

დასავლეთ ფასადზე, გარდა ამისა, აშენებულია პატარა, სამიეე მხრიდან გახსნილი კარიბჭე [1]. ის, ალბათ, მასებით ასახავს დასავლეთ შესასვლელის ძველ კარიბჭეს[2]. რასაკვირველია, მთელი შენობა ხელახლა იყო გადახურული, სამწუხაროდ არ შეგვიძლია ვთქვათ როგორი სახურავით, რადგან XIX საუკუნეში რუსეთის სასულიერო მმართველობამ რამდენჯერმე აღადგინა ტაძარი [3]. ასევე ტაძრის კოზმიდებიც—ტლანჩი აღდგენაა ჩვეულებრივი საშუალო საუკუნეებიდან მოყოლებული ფორმისა.

მთელი ეს საამშენებლო სამუშაო, მეფე ალექსანდრე I-ის ბრძანებით ჩატარებული, შესრულებული იყო არა პროექტის მიხედვით, არამედ ხუროთმოძღვრის მეთვალყურეობის ქვეშ უბრალო ხელოსან-კალატოზების მიერ. აქედან გამომდინარეობს სამუშაოს დაბალი ღირსება ყველა მიმართულებით, ზემოთმოყვანილი წარწერის შესრულებაშიც კი [4]. ეს კალატოზები, ალბათ, მუშაობდნენ დიდის გულმოდგინებით; და ისინივე ითხოვდნენ ოსტატის (?), თუ ხუროთმოძღვრის (?) სულის შენდობას წარწერაში, რომელიც, როგორც ჩანს, იმავე ხელითაა შესრულებული, როგორითაც შესრულებულია წარწერა ალექსანდრეს მიერ ტაძრის აღდგენის შესახებ. ის იმყოფება ტაძრის სამხრეთ შესასვლელის მარცხნივ: ⴗⴆⴔⴀⴆⴓⴚ| ⴆⴚ ⴔⴀⴗⴗⴖⴆⴚ| ⴟⴆⴆⴕⴝⴆ ⴟ⁻ⴝⴝ| ⴗ⁻ⴆ ⴝⴝⴕ[5], ე. ი. გალატოზთა ზედა მომგესა შალვას შეუნდვეს ღმერთმან, ამინ. წარწერა ცუდადაა შენახული (ოთხსტრიქონიანი).

5

რუისის ტაძრის შემდეგს ისტორიას, როგორცა ჩანს, არაეითარი მნიშვნელოვანი მომენტი აღარ განუცდია [6]. ეპისკოპოზთა კათედრა, სინოდისადმი და-

[1] იხ. სურ. 1.—შდრ. მას XVII საუკუნეში აშენებული იკორთის დასავლეთი კარიბჭე. განსაცვიფრებელია ერთნაირი ფორმების არსებობის დროს შესრულების ასეთი განსხვავება.

[2] დასავლეთი კარიბჭის ამაღლებულ ძირში ძევს დიდი თეთრი ქვის ჩალიჩები (შდრ. სურ. 2), ეს უეჭველად ძველი კარიბჭის ნარჩენებია, ე. ი. აქაც მხოლოდ ძველი ფორმებით მშენებლობაა.

[3] ბ რ ო ს ე (VI, 7) ამბობს, რომ ეკლესია „უწინ გადახურული იყო მწვანე ფერის მოჭიქული კრამიტით“-ო; რამდენიმე მოჭიქული ლურჯი ნაპერი გამოშვერილია სახურავის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. საკმარისად ბევრი ცალკეული ფილა და აგრეთვე მრუდთარგა კრამიტი გამოყენებულია რომელიღაც საფლავის მორთულობაზე, ტაძრის შიგნით სამხრეთ კედელთან. დამახასიათებელია, რომ ძველი სახურავის გადახურვიდან (X—XI საუკუნისა) XV საუკუნის ოსტატებმა წყობაში ჩაატანეს რელიეფურად მორთული კრამიტები: ერთი მოჭიქული, მუქ იისფერისა არის აღმოსავლეთ ფასადზე ფანჯრის მარჯვნივ (შდრ. ერმაკოვის ფოტო № 5636), მეორე კი, მოუჭიქავი, ასომთავრული ასოებით, ჩადგმულია შესასვლელის მარჯვნივ სამხრეთ ფასადზე.

[4] სურ. 24.

[5] იხ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, გვ. 107, № IX; Brosset (VI, 7) „მოეგსა“ კითხულობს როგორც „მომგესა“, რაც უფროსს ან ხელოსანს ნიშნავს-ო. ვფიქრობ, რომ სწერია ⴆⴀⴗⴚⴝⴆ და არა ⴆⴀⴗ⁻ⴚⴝⴆ.

[6] უკანასკნელ ეპოქებიდან შემოინახა მხოლოდ: კედლის მხატვრობის ნარჩენები ქვის კანკელზე, მის გვერდით ჩრდილოეთ პილასტრზე და სამხრეთ მხარის ამოშენებულ გასასვლელ-

შორჩილებისას, გაუქმებულ იქნა, მაგრამ მართლმადიდებლობის დაცვისა და გაძლიერების მიზნით ეკლესია შეაკეთეს და გულმოდგინედაც შიგნიდან შელესეს და შეღებეს. გორის მიწისძვრის დროს, 1920 წ. თებერვალში, რუისის ტაძარი განსაკუთრებით ძლიერ დაზიანდა. ნაწილთა შენადუღი გაიბზარა ყველა ნაკერზე. საკურთხეველის აფსიდში შიგნიდან ორ ადგილას მთელ სიმაღლეზე ბზარი გაჩნდა; აღმოსავლეთ ფასადის სამხრეთ ნახევრის ფრონტონის ნაწილი ჩამოიშალა[1]; გუმბათი მთლად შეიჯღრა და დასკდა მთელი კედლის სისქეზე, ხოლო შიგნით იქიდან ჩამოვარდნილმა კვადრებმა, რომელიც 1923 წელს ჯერ კიდევ ტაძარში ეყარა, ჩაანგრიეს ცენტრში აგურის იატაკი. გუმბათის ყელის ფანჯრების ერთი შუაკედლისი სულ მთლად გადმოხრილია ეკლესიის შიგნით, რადგან მიწისძვრის გამო მთელი გუმბათის ყელი ორ ადგილას ჰორიზონტალურადაა დაყოფილი სამ ნაწილად. გარეთა მოპირკეთებიდან, რასაკვირველია, ჩამოვარდა ზოგიერთი ნაპერი, რომელმაც ძალიან დააზიანა აღმოსავლეთი ნაწილის სახურავი.

მაშინვე დახურული ღვთისმსახურებისათვის, მისი სახიფათო მდგომარეობის გამო, 1923—24 წელში ანტირელიგიური მოძრაობის დროს ტაძარი საბო-

---

ზე; ხის აფურიანი ხუთსართულიანი კანკელი, ხატებით ტილოზე (უკანასკნელ ანტირელიგიურ ტალღამდე), XVIII საუკუნისა (წარწერის მიხედვით—1781 წლისაა. იხ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, I, გვ. 107—108 № XI, 124—125 გვ.; Brosset, VI, 8; ეხლა ამ ორიენ კანკელზე წარწერები აღარ დარჩენილა). ბატონიშვილი ვახუშტის მიერ მოხსენებული მარიამ დედოფლის რესტავრაცია XVII საუკუნის შუა წლებში ისევე, როგორც ა. ნ. მურავიოვის მიერ მოხსენებული „მეორე განახლება", რომელიც მეფე სიმონს უწარმოებია, არავითარი მკვეთრი ხაზებით არ ხასიათდება; ზოგიერთ შეკეთებებზე აღმოსავლეთსა და სამხრეთ ფასადებზე, შესაძლებელია ამავე დროისაც, ზემოთ იყო ნათქვამი. ძველი კოშკ-სამრეკლო მროველ ეპისკოპოზ დიონისი ლარაძის მიერ სწორედ ასევე, მხოლოდ შეკეთებულია. დიონისი ლარაძე მოხსენებულია 1717 წლის განმანახლებელის წარწერაში მის მიერ შეკვეთილ ხატზე, ე. ი. თვითონ ის უფრო ადრე ცხოვრობდა. შდრ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, I, 125—126, 108, 113; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონ. I, 209 გვ., მას XVII საუკუნის მოღვაწეს უწოდებს; ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, МАК, VII, 1898, გვ. 19, 1537 — 1577 წლებს უჩვენებს; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე კი, Кавказ в древ. пам., გვ. 108, წერდა, რომ მან განაახლა სამრეკლო 1803 წელს, რაც აშკარა შეცდომაა, რადგან იმ დროს რუისის „მიტროპოლიტად" იყო იუსტინე მაღალაშვილი, „ამშენებელი" ტაძრის ტრაპეზ-ამბიონისა (ქვისაგან აგებულის და გაჯით შელესილისა), როგორც ლაპარაკობს ამის შესახებ მელნით დაწერილი წარწერა ტრაპეზის შენალესზე, უცა (1803 წ.) თარიღით:

ⵒⵄⵊⵑⵙⵏⵗⵒ: ⵇⵑⵇ: ⵒⵅⵇⵏⵒ	მოიხსენე უფალო მროველი
]:ⵒⵊⵑⵅⵇⵇⵙⵄⵊⵑⵊ[	მიტროპოლიტი [მაღა]ლაშვილი
ⵛ ⵍⵏⵛⵇⵏⵏⵏⵒ: ⵍⵇⵙⵑⵇ[	იუსტ[ინე] აღმაშენებელი წმიდისა
ⵛⵀⵅⵛⵇⵏⵗⵍⵇⵒⵏ	ამის ტრაა[ეზი]სა ამბიონებისა.
ⵒ:ⵓ⁻ⵀⵙⵛ: ⵛⵅⵀⵙ ⵓⵅⵛⵛ[	თვესა დეკემბერსა ცამეტსა.
ⵙⵛ ⵛⵅⵍⵇⵇⵗⵍⵇⵙⵛ	ქორონიკონი უქ[ა]=491.
ⵇ[ⵍⵇⵙⵛ ⵛⵏⵍⵇⵅⵍⵇⵅⵙⵛ ⵍⵍ	
ⵒ⁻ⵏⵒ ⵇⵅⵍⵇ[ⵛ]	

[1] სურ. 25. (ბალტრუშაიტისის ზემოთმოხსენებული 1927 წელს გადაღებული სურათის მიხედვით).

ლოოდ იქნა დაკეტილი, მაგრამ ინახებოდა როგორც კულტურულ-ისტორიული და მხატვრული ძეგლი.

ბოლოს, პირველად 1936 წელს რუისის ტაძრის გამაგრებისათვის სრულიად საქართველოს ცაკთან არსებულმა ხელოვნებისა და სიძველეთა დაცვის კომიტეტმა გამოჰყო განსაზღვრული თანხა, რომლითაც შეკეთებულ იქნა განსაკუთრებით დაზიანებული ადგილები გუმბათის ყელში და სფეროში. მხოლოდ მიმდინარე წელს რეორგანიზებულმა, ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულმა, კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ ფართო მასშტაბით გაშალა მუშაობა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ არა მარტო შეკეთებული იქნება შენობა, მისი შენჯღრეული ნაწილების შეკეთებით, და მოწესრიგდება მთელი უბანი, პირველ რიგში თვითონ ტაძარი და სამრეკლოს კოშკი, არამედ ჩატარდება ის სამეცნიერო კვლევა-ძიებაც, რომლის შესახებ გზადაგზა ზემოთ იყო თქმული, და რომელიც, სამწუხაროდ, აქამდე არ უსწრებდა წინ საამშენებლო და სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოებს. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ საფუძველი ჩაეყრება ადგილობრივ მუზეუმსაც.

VIII. 1938.

ზ. გოცჯალიშვილი

კასპიის კარი

ბიზანტია-ირანს შორის ამიერ-კავკასიაში გაბატონებისათვის მეტოქეობის გამო VI საუკუნეში წარმოებული ხანგრძლივი ომის დროს ე. წ. კასპიის კარის საკითხი მრავალჯერ იჩენს თავს, ხან როგორც ომის დაწყების უშუალო საბაბი, ხან როგორც მებრძოლ მხარეთა შორის ზავის შეკერის ერთი მთავარი პირობათაგანი.

ამის გამო საჭიროა ვიცოდეთ რას წარმოადგენდა ამ დროისთვის ხსენებული კარი (ანუ პიშკარი) და თვითეულ შემთხვევაში რა წონა და მნიშვნელობა ჰქონდა მას მოქიშპე იმპერიათა შორის ურთიერთობაში. ამის გათვალისწინება კი საშუალებას მოგვცემს მოქმედ მხარეთა მიზანმოტივები გამოვარკვიოთ და როგორც ბიზანტიისა და ირანის ისტორიის, ისე ძველ საქართველოს ტერიტორიაზე დატრიალებული ამბების ზოგიერთი მხარე განვმარტოთ — ეს უკანასკნელი გარემოება კი იძლევა შესაძლებლობას ბიზანტია-ირანის ურთიერთობის მოვლენები დღევანდელთან შედარებით სხვანაირად და უფრო სინამდვილესთან მიახლოებულად გავიგოთ.

პირველ ყოვლისა ჩვენ მოგვეპოება ფრიად საინტერესო ცნობა, რომელიც უყოყმანოდ სწყვეტს კასპიის კარის ლოკალიზაციის საკითხს.

ცნობა პლინი უმცროსს ეკუთვნის.

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ კასპიის (დარიალის) კარი დიდი ხანია მიჩნეული ყოფილა როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი და იგი სამხედრო რუქებზეც ყოფილა აღნიშნული. ამასთანავე ეს ცნობა ერთხელ კიდევ გვაძლევს საშუალებას დავადასტუროთ, რომ პროკოპი კესარიელი ნამდვილი ისტორიული წყაროებით სარგებლობდა და რომ თვით პლინისაც ჩვენი ქვეყნის შესახებ ოფიციალური წერილობითი წყაროები ჰქონდა ხელთ.

პლინი შემდეგს მოგვითხრობს:

«Corrigendus est in hoc loco error multorum, etiam qui in Armenia res proxime cum Corbulone gessere, namque ü Caspias appellavere Portas Hiberiae, quas Caucasias diximus vocari, situsque depicti et inde missi hoc nomen inscriptum habent, et Neronis principis comminatio ad Caspias portas tendere dicebatur cum peteret illas, quae per Hiberiam in Sarmatos tendunt» [1].

[1] C. Plinii Secundi—Naturalis historia, VI, 36.

[აქ უნდა გასწორდეს შეცდომა მრავალთა, აგრეთვე იმათიც, ვინც უკანასკნელ დროს მონაწილეობას იღებდა კორბულონის არმენიაზე გალაშქრებაში. ისინი უწოდებენ კასპიისად იბერიის კარს, რომელიც, როგორც ვთქვით [1], კავკასიის კარად იწოდება. ესევე სახელწოდებაა აღნიშნული აგრეთვე იქიდან გამოგზავნილ სიტუაციის რუკებზე და იმპერატორ ნერონის მუქარა თითქოს შეეხებოდა კასპიის ჰიშკარს, მაშინ როდესაც მასში იგულისხმება ის (კარი), რომელსაც იბერიიდან სარმატებში შევყავართ].

ამგვარად, ცნობაში გარკვევით არის ხაზგასმული, რომ ეს კარი იბერიიდან სარმატთა ქვეყანაში მიმყვანი კარია და ამდენად აღარ სტოვებს აღარავითარ იქვს მისსა და დარიალის კარის იგივეობისათვის.

ზედმეტი არ იქნება განვიხილოთ ძველ მწერალთა ის ცნობები, რომლებშიც კასპიის კარის სახელით დარიალის კარზეა ლაპარაკი; მით უმეტეს ეს საჭიროა, რადგან საისტორიო წყაროებში ხშირად არის მოხსენებული ჩრდილოეთიდან კავკასიონზე გადმომავალი გზის ჰიშკარი კავკასიის კარის სახელწოდებით, ხოლო ამ სახელწოდებით კი ორი კარი აღინიშნებოდა: იგი ხან დარიალს, ხან კი დარუბანდს გულისხმობდა; საჭიროა ყველა ცნობის კრიტიკულად განხილვის ნიადაგზე დადგენა იმისა, თუ თვითეულ შემთხვევაში ამ სახელწოდებით ორ მოხსენებულ კართაგან რომელი იგულისხმება.

პროკოპი კესარიელი, რამდენადაც ჩვენ მიერ შესწავლილია, ამ სახელწოდებით ყოველთვის დარიალის კარს აღნიშნავდა.

განვიხილოთ ძველ მწერალთა ის ცნობები, რომლებიც ჩვენი აზრით დარიალის კარს უნდა ეხებოდეს.

Tacitus-ს კასპიის კარი ორჯერა აქვს მოხსენებული. ამ ცნობათაგან ერთ შემთხვევაში (Annal, 6,33) დარიალის კარი, მეორეში კი (Hist. 1,6) დარუბანდის კარი იგულისხმება. ამ ცნობაში ვკითხულობთ: «Iberi locos. potentes, Caspia via Sarmatam in Armenias raptim effundunt». სარმატელების სომხებისათვის მისევა იბერიელებს ყველაზე ადვილად დარიალის გზით შეეძლოთ, რომელიც პლინის სიტყვით სარმატთა ქვეყანაში მიმყვანებელი კარი იყო, როგორც ზემოთმოყვანილი ცნობიდან ვიცით.

კასპიის კართან არის დაკავშირებული პრისკე პანიელის საინტერესო ცნობა სარაგურების ამიერ-კავკასიაში შემოსევის შესახებ.

ამ ცნობის თანახმად სარაგურები ჯერ კასპიის ჰიშკარს მისდგომიან, რომლის ციხეშიც მათ ირანელი დარაჯები დაჰხვედრიან; მათ ამ ჰიშკრისთვის გვერდი აუვლიათ და სხვა გზით იბერიაში შესულან, აქედან კი სომხების სოფლებს მისწვდომიან. ამის შემდეგ შეშინებული ირანელები რომაელებისაგან მოითხოვენ კასპიის კარის დასაცავად ან ფულს ან კაცებს [2].

ამ ცნობაში მოხსენებული კარი აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გაგებულია დარიალის კარად [3], ზოგიერთების აზრით კი კასპიის კარით ამ შემთხვე-

[1] იხ. მისივე op. c. VI, 30.

[2] Histor. Gr. Minores. ed. Dindorfivs, გვ. 346.

[3] ივ. ჯავახიშვილი — ქართველი ერის ისტორია, წ. 3, გვ. 220.

ვაში დარუბანდია აღნიშნული, დარიალისად კი ის კარი მიაჩნიათ, რომლითაც ამ ცნობის თანახმად სარაგურები იბერიაში შემოვიდნენ.

იმის გადასაწყვეტად, თუ პრისკე რომელ შემთხვევაში რომელ გზას გულისხმობს, ჩვენ გვეხმარება ამავე ცნობაში მოთხრობილი ამბავი, რომ ირანელებმა — იშოვეს რა საბაბი, — ბიზანტიელებს კვლავ განუახლეს ჩრდილოეთის კარის დაცვისათვის თანხის მოთხოვნა. ვიცით, რომ ირანელებს ბიზანტიელთათვის ასეთი მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ დარიალის კარის მიმართ შეეძლოთ, რადგან 363 წლის ზავის თანახმად ეს კარი ორივე იმპერიას ზიარად უნდა დაეცვა. სხვა რომელიმე კარის მიმართ ასეთი პრეტენზიები ირანელთაგან უადგილო უნდა ყოფილიყო და რომ სიტყვა მართლაც დარიალის კარს ეხება, ამას ამავე ცნობის ის სიტყვები ამტკიცებს, რომ ირანელმა ელჩებმა იგივე სთქვეს, რაზედაც უწინაც ულაპარაკნიათო, — ე. ი. ჩრდილოეთის კარის დაცვისა და ამასთან დაკავშირებულ ბიზანტიელთა ფულად ვალდებულებაზე.

მაგრამ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ კასპიის კარი ამ შემთხვევაში სწორედ დარუბანდის კარს აღნიშნავს, რომელსაც ირანელები იცავდნენ, ხოლო სარაგურები მართლაც დარიალის გზით შემოვიდნენ, რომელიც ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის შეუთანხმებლობის გამო დაუცველი იყო, რამაც სარაგურების შემოსევა შესაძლებელი გაჰხადა და მსგავსი მოვლენის განმეორების აღკვეთის მიზნით ირანელებმა ბიზანტიელებს წინადადება მისცეს საერთო ძალით დაეცვათ ეს კარი... შეიძლებოდა ასე ეფიქრა ადამიანს, მაგრამ იმავე ავტორის მეორე ცნობით, ირანელები ბიზანტიელთაგან ხარჯის გაღებას მოითხოვენ ციხის დასაცავად «φρουρίου ἐπὶ τῶν Κασπίων κειμένου πυλῶν».

ამ ციხის სახელი ყოფილა Ἰουροειπάχ. რადგანაც ბიზანტიელთათვის წარდგენილი მოთხოვნის ორივე შემთხვევაში ამ ციხის დაცვაზეა ლაპარაკი, რომელიც საკუთარი სახელით არის ორივეჯერ მოხსენებული[1] და რომელიც თურმე კასპიის კართან მდებარეობს, ხოლო ჩვენ კი ვთქვით, რომ ირანელებს დარიალის კარის გარდა სხვა გზის დასაცავად ბიზანტიელთაგან რისიმე მოთხოვნის საფუძველი არა ჰქონდათ, — უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე ცნობაში ერთსა და იმავე კარზეა ლაპარაკი და ეს კარია დარიალის კარი, რომელსაც სარაგურებმა გვერდი აუქციეს და იბერიაში რომელიმე სხვა გზით შემოვიდნენ. ეს კი სრულიად მოსახერხებელი იყო, რადგან როგორც ცნობილია, დარიალს გარდა რამდენიმე სხვა გზაც არსებობდა. ასეთები იყო, მაგ., «გზაჲ დჳალეთისაჲ»[2] და «გზაჲ ლეკეთისაჲ»[3].

VI საუკუნის აეტორის იოანე ლიდეს ცნობითაც იგივე ციხე დარიალის კართან მდებარეობს, რომელიც მისი სიტყვით ირანელებს აუგიათ: «...οἱ πέρσαι ἔσχον ὑναγκὴν ἀντοικοδομειν φρούριον Βιραπαράχ πατρίως ἀυτὸ καλέσαντες»[4].

რაც შეეხება პრისკე პანიელსა და იოანე ლიდეს ცნობათა შემონახულ კარის სახელწოდებებს — ესენი ერთი და იმავე სახელის სხვადასხვანაირ გრაფი-

[1] Histor. Gr. Min., გვ. 342.
[2] ცხ. მუ̈თა, გვ. 40.
[3] მტ̈ნე ქ̈ა, გვ. 319.
[4] De magistratibus populi romani libri tres, ed. Wuensch, III, 52, Lipsiae, 1903.

კულ გამოხატულებას წარმოადგენს[1] და ამ ციხის სახელწოდება იბერიასთან უნდა იყოს დაკავშირებული, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პლინის ზემოთმოყვანილ ცნობაში დარიალის (კასპიის) კარს იბერთა კარიც რქმევია.

ამგვარად, პრისკე პანიელის ორივე ცნობაში ერთი და იგივე, სახელდობრ — დარიალის კარი უნდა ვიგულისხმოთ და აქედან გამომდინარე დასკვნები ისტორიის სხვა ამბებს სათანადოდ შეუფარდოთ.

ამ ჰიშკართან ციხე როგორც ჩანს მუდმივ ყოფილა. ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავს, რომ დარიალის კარს ციხე უდარაჯებდა[2].

მოქცევაი ქართლისაის ცნობით VI საუკუნეში იბერიაში გამაგრებულმა ირანელებმა: «კარნი ოვსეთისანი აიგნეს», რომლის დარაჯობაც თურმე მთიელთ ჩააბარეს[3]. ხოლო ვახუშტი დარიალზე ამბობს, რომ იგი აგებულია «მეფის მირვანის მიერ» და რომ მან «შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოთ ვერღარა ვიდოდნენ»[4].

ამავე საგანზე XIX საუკუნის ცნობებიც მოგვეპოება. საქართველოს მთავარმმართველს პ. ციციანოვს შეუდგენია პროექტი ჩრდილოეთიდან საქართველოში — თბილისისაკენ მიმავალი ტრაქტისა, რომელშიც ნათქვამია:...

«Ущелье известное в древности под названием „Кавказских ворот" начинается от Владикавказа или древней Кумании и продолжается до самого Душета, по течению двух источниками своими противоположных рек Терека и Арагви, совокуплению которых положила непреодолимую преграду снеговая Каишаурская гора, оные реки разделяющая» [5].

ამ პროექტით განზრახული იყო: «В Дариале возобновить замок и содержать пост из 40 чел. пехоты, сменяющейся по двенедельно из кр. Владикавказской отстоящей от оной в 8 верстах и 20 казаков» [6].

დარიალის კარს უნდა შეეხებოდეს აგრეთვე ერთი ლიტერატურული ცნობა, რომელიც მეოთხე საუკუნის კონსტანტინოპოლელ მოღვაწის თემისტეს სიტყვაშია შემონახული. იქ ვკითხულობთ: «...διέβαινον μὲν στρατηγοὶ Ῥωμαίων Ιούλας Καππίας ἐξηλαύνον δὲ Ἀλανούς ἐς Ἀρμένιας, ἔσαττον δὲ Ἴβηρσιν ὄρος καὶ Ἀλβανοῦς»[7].

ქართულ წყაროებში დარიალის (კასპიის) კარი სხვადასხვა სახელით არის ცნობილი.

კასპიის კარის ისტორია იმ ეპოქაში, რომელიც ამჟამად გვაინტერესებს, მოკლედ ასეთია: ჰუნების ბატონი ამბაძუკი (Ἀμβαζοῦκης) თაეახობს კარს ბი-

[1] Georgica, II, გვ. 44.

[2] Strabon, Geographia Lib., X III, 5.

[3] ე. თაყაიშვილი — Описание рукописей Общества распростр. грамотности среди груз. населения II, 724.

[4] გეოგრაფია — გვ. 228.

[5] და [6] Акты Кавказской Археограф. Комиссии, т. II, გვ. 224.

[7] „... რომაელთა სარდლები გადიოდნენ კასპიის ჭიშკარში,სომხეთიდან ალანებს სდევნიდნენ და უწესებდნენ საზღვრებს იბერიელებსა და ალბანელებს". იხ. Латышев — Известия... ტ. I, вып. 3, გვ. 697.

ზანტიის კეისარს ანასტასის, რომლისგანაც საკომპენსაციო თანხას მოითხოვს. ანასტასი კეისარი შეთავაზებულზე უარს ამბობს. ამბაძუკის სიკვდილის შემდეგ ირანელები კასპიის კარს ძალით ჩაიგდებენ ხელში. ამის შემდეგ ირანელები მოითხოვენ ბიზანტიელებისაგან 363 წლის ზავის თანახმად უკანასკნელთა მიერ ნაკისრი ყოველწლიური თანხის გადახდას კასპიის კარის დაცვაში მონაწილეობისათვის. ბიზანტიელები ამ თანხის გადახდაზე უარს აცხადებენ. ამის გამო მეფე კავადი ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობას იწყებს (502 წ.). კასპიის კარის საკითხის სამარ ოპერაციებთან უშუალოდ დაკავშირებამ და შემდგომშიაც ირანელებსა და ბიზანტიელთა შორის წარმოებულ საზავო მოლაპარაკებათა დროს ამ კარის რამდენიმეჯერ დავის თვალსაჩინო საკითხად გადაქცევამ, შექმნა მკვლევართა შორის შთაბეჭდილება ამ კარის გადაჭარბებული მნიშვნელობის შესახებ ამ პერიოდში.

502 წ. ატეხილი ომის მიზეზის შესახებ გერმანელი მკვლევარი კარლ გიუტერბოკი ამბობს: «Die nächste Ursache der neuen Perserkriege war eine Geldfrage» [1]. შემდეგ მოუთხრობს რა კასპიის კარის დაცვაში ბიზანტიელების მიერ ირანელებისათვის ყოველწლიურად ფულადი გადასახადის ძღევას, რაც ბიზანტიელებს უღირს სარკად (unwürdige Tributbezhlung) მიაჩნდათ, რის გამოც ისინი განიზრახავდნენ მის გადახდაზე ხელის აღებასო, განაგრძობს, რომ კავადმა «...forderte von Kaiser Anastasios eine Geldunterstützung, offenbar als Ersatz für jene rückständigen Litungen, und als dieser sie verweigerte, kam es 502 zum Kriege» [2] მოითხოვა ანასტასი კეისრისაგან ფულადი დახმარება (?), ალბათ ამ შრომის დავალიანებაში და როდესაც ამან უარით უპასუხა, ამას მოჰყვა 502 წლ. ომი [3].

იგივე აქვს მას განმეორებული 532 წლის ზავის შესახებ ლაპარაკის დროს: «War dereinst die Veranlassung zum Kriege die Weigerung des Anastasios gewesen die Zuschüsse für die Kaspischen Pässe zu leisten... და სხვა (თუ ოდესღაც ომის მიზეზი გახდა ანასტასი კეისრის უარი კასპიის კარისთვის გადასახადზე»...).

მართალია კასპიის კარის საკითხი ბიზანტია-ირანის ურთიერთობის დროს მთელი VI საუკუნის 70 წლებამდე დღის წესრიგიდან არ იხსნება, მაგრამ ეს მხოლოდ ამ კარის მნიშვნელობით არ აიხსნება. ამის საფუძვლები ჩვენ სხვა მოვლენებში უნდა ვეძიოთ. როგორც დავინახეთ, იმპერიათა შორის ომის ატეხის მიზეზად ბიზანტიელების მიერ კასპიის კარის დაცვისთვის სავალდებულო გადასახადზე უარის თქმაა აღიარებული.

გავსინჯოთ, რამდენად ეს მართლა ასეა.

პირველ ყოვლისა ისმის კითხვა, ხომ არ შეიძლება მოიძებნოს, თუ რა მოსაზრებით ანუ საბუთით აცხადებენ ბიზანტიელები უარს ნაკისრი თანხის გადახდაზე?

---

[1] Dr. Karl Güterbock: Byzanz und Persien in ihren diplomatisch-Völkerrechtlichen Beziehungen im Zeitalter Iustinians, Berlin, 1906, გვ. 38.

[2] ib.

[3] გვ. 43.

საქმე ის არის, რომ როგორც ვიცით, ანასტასი კეისარმა უგულებელჰყო ამბაძუკის შეთავაზება იმ მოსაზრებით, რომ ბიზანტია სიშორის გამო ვერ მოახერხებდა კასპიის კარის ფაქტიურად თავის ხელში ჩაგდებას, ამიტომ ის მოერიდა ასეთი უსარგებლო და უპერსპექტივო ნაბიჯით ირანელთა უკმაყოფილება დაემსახურებინა... მაგრამ რაც ვერ გაბედეს ბიზანტიელებმა, გაბედეს ირანელებმა — მათ ეს კარი ძალით ჩაიგდეს ხელში. ირანელებმა ეს გაბედეს, რადგან კარის ფაქტიური მფლობელობის პერსპექტივები ამ უკანასკნელთ უფრო გააჩნდათ, მისი ირანის სამფლობელოსთან ტერიტორიული სიახლოვის გამო. განსაკუთრებით კი მათ ამის საშუალებას იბერიის მათი გავლენის ქვეშ ყოფნა აძლევდა.

ამ ფაქტმა საფუძვლიანად შეცვალა ორიენ მხარის დამოკიდებულება ამ კარისადმი: თუ აქამდე ორიენ მათგანი მასზე თანაბარი უფლებით სარგებლობდა, ამიერიდან ეს თანასწორუფლებიანობა მძაფრად იყო დარღვეული ბიზანტიელთა საზიანოდ და ირანელთა სასარგებლოდ.

მაშასადამე, 363 წლის ზავის პირობა, ცხადია გადათვალიერებას მოითხოვდა. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს მოტივი გამოიყენა ანასტასიმ ხსენებულ გადასახადზე უარისთვის და კასპიის კარის ირგვლივ დავა აღებულ მომენტში სწორედ ამ მოვლენით იწყება. ამგვარად დაისვა საკითხი კარის ფაქტიური და იურიდიული მფლობელობის შესახებ. ბიზანტია იძულებული იყო, ერთის მხრით, შეჰკიოხებოდა თავის თავს, რამდენად მიზანშეწონილი და თანაც საჭიროებულო იყო მისთვის 363 წ. ნაკისრი გადასახადის შეტანა, ხოლო, მეორე მხრით, საქმის ვითარების ამგვარად შეცვლა, როდესაც ირანი ხდებოდა ერთადერთი ფაქტიური მფლობელი კარისა—ბიზანტიისათვის კი ამგვარი შესაძლებლობა გამორიცხული იყო, აიძულებდა ბიზანტიას, თავისთვის ამ კარის იურიდიულად მფლობელობის უფლება მაინც უზრუნველეყო. ყველაფერი ეს კი არსებული ზავის პირობების გადათვალიერებას მოითხოვდა.

კარის შესახებ დავის ეს დასაწყისი მომენტები კარგად უნდა გექონდეს გათვალისწინებული, რადგან ამაზე ბევრად არის დამოკიდებული შემდგომი ამბების გაგება.

502 წლის ომის დაწყების მიზეზად არ შეიძლება კასპიის კარის გამო გადასახადის საკითხი გამხდარიყო. დასახელებულ გარემოებათა საფუძველზე ჩვენ ეს უნდა აღვიაროთ.

მართლაც, როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, იმპერიათა შორის ომი სულ სხვა პირობებით იყო მომზადებული და გამოწვეული.

საკითხის ამნაირად გადაწყვეტა რამდენიმე ახალ გარემოებას გვამცნებს: 1. გვიხსნის ბიზანტიის მიერ გადასახადზე უარის მოტივს; 2. კასპიის კარის საკითხი არ ყოფილა იმპერიათა შორის ბრძოლის დაწყების მიზეზი, ის მხოლოდ საბაბი გახდა ომისათვის; 3. ომის ნამდვილი მიზეზი უმთავრესად ლაზიკა და იბერიაში ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის შედეგად შექმნილი მდგომარეობა იყო.

ეს სამივე გარემოება მნიშვნელოვანია.

მას შემდეგ, რაც 520 წ. იმპერიათა შორის მოლაპარაკება, რომლის დროსაც სწორედ გამოირკვა, რომ ომის ნამდვილი მიზეზი ლაზიკა იყო მართლაც (რადგან სწორედ ლაზიკის საკითხმა შეუძლებელი გახადა ზავის შეკვრა), უშედეგოდ დამთავრდა, კასპიის კარის საკითხიც გადაუწყვეტელი დარჩა, მაგრამ ის დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

530 წ. ბიზანტიელი დესპანი რუფინე კავადთან კვლავ აწარმოებს ზავის შესახებ მოლაპარაკებას[1], იგი უსაყვედურებს ირანელებს ომის ატეხას. კავადი დანაშაულს პირიქით, ბიზანტიელებს ადებს, რომლებმაც, ერთის მხრით, კასპიის კარის დაცვაში მონაწილეობაზე უარის თქმით და მეორე მხრით ირანის წინააღმდეგ მიმართული სიმაგრე დარას აგებით, შექმნეს ომის ატეხის პირობები... და აქვე დასძენს, რომ თუ ბიზანტიელებს სურთ ომი შეწყდეს, ამისთვის მათ ან უნდა მონაწილეობა მიიღონ კასპიის კარის დაცვაში, ან ქ. დარა უნდა დაანგრიონ[2].

აქ ჩვენ კასპიის კარის საკითხი თითქოს ძლიერ აქტიურად გვევლინება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კარის ფიზიკურად დაცვა ძალიან უძნელდებოდათ ირანელებს, რადგან ისინი ამ საქმეში ბიზანტიელთა მონაწილეობას დაჟინებით მოითხოვენ. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ჩვენი ყურადღება უნდა იქითკენ მივმართოთ, რომ გამოვარკვიოთ ის სიძნელეები, რომლებიც აქ ირანელებს ხვდებოდათ და ამით კასპიის კარის მნიშვნელობა მოცემულ ეპოქაში გავითვალისწინოთ... მაგრამ ისტორიული წყაროს ცნობა ჩვენ სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში, როგორც ეს პროკოპი კესარიელის რუსულად კომენტატორს გაბრიელ დესტუნისს დამართნია ნაწილობრივ. გ. დესტუნისი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, თუ ირანელები ასეთს არჩევანს რად უყენებენ ბიზანტიელებს, რომ მათ ან კასპიის კარის დაცვა ეკისრათ ან ქ. დარა დაენგრიათ... «Почему не опасались они, что в случае принятия на себя византийцами обороны Дариальского прохода, эти последние постоянно имели бы возможность уговариваться против них с массами готовых на вторжение племен, населявших Кубаньский, Воложский и Донской бассейны. Сознаемся, что весь вопрос этот ждет объяснителя»[3].

აქ აშკარა გაუგებრობას აქვს ადგილი: ირანელები ბიზანტიელებს როდი ეუბნებიან, წაიღეთ კასპიის კარი და რაც გინდათ ის უყავითო; ისინი მათ მხოლოდ თანადამცველებად იწვევენ და ამას სწორედ ყოველთვის ხაზს უსვამენ. აი თუნდაც კავადის უკანასკნელი სიტყვა, რომლის გამოც დაწერილია დესტუნისის ხსენებული კომენტარი «οὐ γὰς τὰ ὅπλα καταθήσουσι πρότερον περσαι, πρὶν ὃ γὸτοὶς Ῥωμαῖοι ἢ τας πύλας δικαίως καὶ ὀρθῶς ξουμφουλάζουσιν» და სხვა[4]. «სპარსელები მანამდე არ დაჰყრიან იარაღს, სანამ რომაელები ან კარებს მათთან ერთად არ დაიცავენ, რაც სამართლიანი და სწორი იქნებოდა»...).

---

[1] B. P. I. 16.

[2] იქვე.

[3] Прокопия Кесарийского История войн Римлян с Персами, Вандалами и Готами: Перевод с греческого Спиридона Дестуниса. Комментарий Гавриила Дестуниса, кн. 1, стр. 203, прим. 10 СПБ — 1876.

ამასთანავე არც ეს უკანასკნელი — თანადამცველობა — გულისხმობდა უეჭველად ბიზანტიელი ჯარის გაგზავნას, აქ მხოლოდ ბიზანტიელებისაგან ფულადი თანხის გადახდა იყო ნავარაუდევი. ამ საკითხის დაყენებას და ისიც ასეთ აქტიურ ფორმაში — ბიზანტიელებისაგან ფულის წაგლეჯა ჰქონდა მიზნად.

რომ ირანელების მიზანი რომაელებისაგან ფულის მიღება იყო, ამას თვით პროკოპი კესარიელის ცნობა ადასტურებს. კავადის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიელები უკვე ხოსროსთან ხელახლად აწარმოებენ საზავო მოლაპარაკებას (531) და ხოსრო აქ მათ პირდაპირ ეუბნება, რომ თუ მათ უნდათ ქ. დარას დანგრევა არ მოუხდეთ და კასპიის კარის დაცვაში მონაწილეობაც თავიდან აიცილონ, — ხოსროს უნდა გადაუხადონ 110 კენტინარი: «...Χοσροής... τὴν μέν ἐρήνην πέρας οὐκ ἔχουσαν δέκα καὶ ἑκατὸν κεντεναρίων ὡμολόγει πρὸς αὐτοὺς θησέσθαι... τοῦτο δέ οἱ δίδοσθαι τὸ χρυσίον ἢξ ἴου, ὡς μήτε πόλιν Δαρας Ῥωμαίοις καθελεῖν ἀναγκαζωντας μήτε φυλακτήριου τοῦ ἐν πύλαις κασπίαις μεταλαχεῖν πέρσαις». (ხოსრო თანახმა კი იყო ას ათ კენტინარად უვადო ზავი დაედვა მათთან... მისთვის ამ ოქროს მიცემას ის მოითხოვდა, რათა არც ქ. დარას დანგრევა დასჭირებოდათ რომაელებს, არც კასპიის კარის დაცვაში მონაწილეობა სპარსელებთან ერთად)[1]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, აქ ფულადი გადასახადი მხოლოდ კასპიის კართან არ არის დაკავშირებული.

კასპიის კარის საკითხი ბიზანტია-ირანს შორის ურთიერთობაში არც შემდეგში ყოფილა დავიწყებული. 532 წლის უვადო ზავის პირობებშიც ჰპოვა მან გამოძახილი.

«Die Bewachung und Sicherstellung der Kaukasischen Pässe (ავტორის მიერ არის ხაზგასმული) verblieb auch nach Abtretung von Lazica, bei Persien, ohne dass Ost-Rom einen besonderen Beitrag zu den Kosten zu zahlen hatte, die stipulierte Geldentschädigung[2] deckte auch diese Kosten mit. Persien übernahm... die verpflichtung das römische Gebiet gegen Einfälle der Hunnen, Alanen und anderen Barbaren zu schützen»[3].

კასპიის კარის ისტორია VI საუკუნეში ცხადჰყოფს, რომ მას ის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, წინა ხანაში რომ გააჩნდა, ამჟამად აღარ მოეპოება. ამ კარისადმი ის გულგრილობა, რომელსაც ბიზანტიელები იჩენენ და გამუდმებული უარი მის დაცვაში მონაწილეობაზე, ირანელების მხრივ კი ბიზანტიელების მიმართ ამ მოთხოვნის დასაბუთების განელება მარტო იმით არ უნდა აიხსნებოდეს, რომ ბიზანტიელებისთვის ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო კარის ფაქტიურ დამცველად გამოსულიყვნენ, რაც განსაკუთრებით მოუხერხებელი გახდა მათთვის 532 წლის შემდეგ, როდესაც იბერიაში ირანი საბოლოოდ იქნა გაბატონებული. აქ უსათუოდ სხვა რამ გარემოებასაც უნდა ჰქონოდა ადგილი, რასაც თავისთავად უნდა შეემცირებინა კასპიის კარის ოდესღაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა... და ეს გარემოება კასპიის კარის გადაღმა, ჩრდილოეთში უნდა ვეძებოთ.

[1] B. P. I, 22, გვ. 115.
[2] იგულისხმება 110 კენტინარი.
[3] იხ. Güterbock. op. c. გვ. 69.

საერთოდ ის გარემოება, რომ ჰუნთა ბატონი ამბაძუკე თვითონ სთავაზობს კარს ბიზანტიას და რომ შესაძლებელი ხდება ირანელების მიერ კარის ხელში ჩაგდება, უსათუოდ ლაპარაკობს იმ ცვლილებებზე, რომლებსაც კასპიის კარის იქით მცხოვრებ ტომთა შორის ადგილი ჰქონდა იმ დროისათვის, რის შედეგადაც მათი ექსპანსია ამ მიმართულებით შენელებულა.

ამგვარად, კასპიის კარის საკითხის განხილვამ ჩვენს წინაშე საინტერესო პრობლემა წამოაყენა, რომლის გამორკვევაც საინტერესო და თანაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს VI საუკუნის ისტორიულ მოვლენათა ჯაჭვში.

ამნაირად, ირკვევა, რომ კასპიის (დარიალის) კარის სტრატეგიული მნიშვნელობა VI საუკუნეში მცირდება, რაც დიდად უნდა იყოს დამოკიდებული მის გადაღმა მომხდარ პოლიტიკურ თუ ეთნიკურ ცვლილებებთან... და რომ VI საუკუნეში ბიზანტია-ირანის შორის დავის დროს კასპიის კარის საკითხი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში პრიმატულ მოვლენად შეიძლება გვეჩვენოს, ნამდვილად არსებით საკითხს არ წარმოადგენს და იგი ყოველთვის სხვა საკითხებთან არის დაკავშირებული; თვითონ დამოუკიდებელი აქტიური საკითხი ამ ურთიერთობის დროს იგი უკვე აღარ ყოფილა.

ამ გარემოების გათვალისწინება კი საჭირო და სასარგებლოა ბიზანტია-ირანისა და ამიერ-კავკასიის ამ ქვეყნებთან ურთიერთობის განხილვის დროს.

მაშ კასპიის კარი გახდა მხოლოდ საბაბი იმპერიათა შორის 502 წ. ატეხილი ომისა.

გ. ჩიტაია

ქსნური მთის-გუთანი

ენიმკი-ს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს ქსნის ხეობის შთიან ზოლში[1], 1938 წ. შემოდგომაზე, ჩვენ დავადასტურეთ სახვნელი იარაღის ერთი სახე, რომელიც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დღემდე გარკვეული არ არის. ამ სახვნელ იარაღს აქ სხვადასხვა სახელი ეწოდება, სახელდობრ: „აჩაჩა-გუთანი“ (ს. ლარგვისი, ს. ხარბალი), „მთის-გუთანი“ (ს. დადიანეთი—ხადილაანი, რევაზიაანი, შალიანთ-კარი, წინა-დადიანეთი)[2] და „გუთონ“ (ს. ხრომის წყარო—ოსებში)[3].

სოფლელებში სახელწოდება „აჩაჩა-გუთანი“ ამ მიწისმოქმედების იარაღს განეკუთვნება იმდენად, რამდენადაც მას ჩვეულებრივი აჩაჩის, განსაკუთრებით ეგრეთწოდებული „ფშაური აჩაჩის“ (სურ. 1)[4], ქუსლის მსგავსი ქუსლი აქვს. საგულისხმოა, რომ ქსნის ხეობის ზოგიერთ სოფლებში „აჩაჩა-გუთნის“ ქუსლს „გუთანი“ და „გუთონ“ (ოსებში) ეწოდება. ეს სახვნელი იარაღი ჩვეულებრივს, ბარულს გუთანს მიემსგავსება თავისი მოკლე მხარით. „მთის-გუთანი“ მას ეწოდება განსხვავებით ბარული, დიდი გუთნისაგან, რადგანაც სოფლელების

---

[1] შდრ. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ჯანაშვ. გამოც., ტფ. 1904, გვ. 100; ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ., ტ. I[2], ტფ. 1930, გვ. 27 შმდ., ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერის დავთრების მიხედვით.

[2] საყურადღებოა, რომ აქ სოფლები უმეტეს წილად ხეობებს აღნიშნავენ, რომლებსაც აქვთ საკუთარი უბნები. მაგ. ცხავატურას ხევზე გაშლილ მოსახლეობას ს. ცხაოტი ‖ ცხავატი ეწოდება. ის შვიდი, ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებული, უბნისაგან შესდგება: 1. წინაუბანი, 2. გოგიაანი, 3. ჩუმაანი, 4. ქიეტკარი, 5. გოგიჩაანი, 6. სუხაანი და 7. ღარუეთი. ასევეა დადიანეთი: 1. წინა-დადიანეთი, 2. რევაზიაანი, 3. შალიანთ-კარი და 4. ხადილაანი. ხეობის უბნები ურთიერთშორის ეკზოგამურობის წესს იცავენ.


[3] ქსნის ხეობის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ იხ. გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის 1938 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის მოკლე ანგარიში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. IV, ნაკვ. 3.

[4] აჩაჩის სურათები იხ. გ. ჩიტაია, მოგ. აღმ., საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV.

განმარტებით: „მთის გუთანი საცალკვლიე“ სახვნელია, ხოლო დიდი გუთანი „საორკვლიე“[1].

რაც შეეხება ოსებში დამოწმებულ სახელწოდება „გუთონ“-ს, ის ქართულში მოცემული ტერმინის გუთნის შესატყვისია.

ზემოდასახელებული სახვნელი იარაღი—„აჩაჩა-გუთანი“, „მთის-გუთანი“, „გუთონ“—გაბატონებულია ქსნის ხეობის მთიან ზოლში; ის, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, თავისი კონსტრუქციით პირველ რიგში მთის ზოლის მიწის-მოქმედებასთანაა შეფარდებული და ამდენად მას უფრო მეტად შეეფერება სახელწოდება—„მთის-გუთანი“. ხოლო იმ მიზნით, რომ ეს სახვნელი იარაღი თავისი სახელწოდებით განსხვავედებოდეს რაჭული სახვნელი იარაღისაგან, რომელიც, როგორც ერთ ჩვენს ადრინდელ ნაშრომში[2] დავრწმუნდით, აგრეთ-



1. „ფშაური აჩაჩა“ (საქ. მუზეუმის კოლექცია)

ვე „მთის-გუთანია, შეფარდებული ფერდობის ნიადაგთან, რელიეფთან და სპეციფიკურ პირობებთან“,—მას ქსნური მთის-გუთანი უნდა ეწოდოს.

ქსნური მთის-გუთნის ტიპიური ეკზემპლარი ჩვენ მიერ შესწავლილი იყო ს. დადიანეთის ერთ-ერთ უბანში, სახელდობრ—ხადილაანში (შდრ. სურ. 2 და 3). ამ სახვნელ იარაღს აქვს:


1. **მხარი** || **მკარი**, იფნისა, ოთხკუთხედად გათლილი, მოხრილი ხე, რომელიც ბოლოში ოდნავ განიერია, ხოლო თავში ვიწრო. მხარის სიგრძე—130 სმ, უდიდესი სისქე 10×10 სმ; მოხრილ კუთხესთან ქუსლში გაყრილი მხარის ნა-

[1] К. Шаликов-ის აღწერილობაში, Описание Ксанского участка, Записки Кавк. Отд. Рус. Геогр. Об-ва, ნაკ. XVI, 1894, მოხსენებული малыми плугами-ს—ქვეშ („пашется земля двухпарными малыми плугами и только в нижних частях ущелья—8-парными грузинскими“, გვ. 255) ეგების მთის გუთანი იგულისხმება.

[2] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 291.

წილი 35 სმ სიგრძით. მხარისათვის მასალა მოიპოება ტყეში ბუნებრივად მოხრილი ხეების სახით. მხარი თავის ბოლოთი ქუსლშია ჩამჯდარი. მას შუაში წელზე აქვს ნაჩვრეტი „სასაკეთლე“, რომელშიც „საკეთელი“ გაეყრება ხოლმე. გარდა ამისა მხარს თავთან აქვს მეორე ნაჩვრეტი, რომელშიც „საცორავი“-ა გაყრილი. მხარის თავზე „ჩხირებით“ მიმაგრებულია „წრწენა“.

2. **წრწენა**, ხისგან გამოთლილი კაკუჭია, რომლის სიგრძეა 40 სმ. წრწენა თავისი ჰორიზონტალური ნაწილით მხარის თავზეა მიმაგრებული ქვემოდან



2. ქსნური მთის-გუთანი (ს. დადიანეთი—ხადილაანი)

ორი „ჩხირით“. მის წინა ნაწილს აქვს ნაჩვრეტი, ¦რომელშიაც ჩვეულებრივად გაყრილია წნელის რგოლი მასზე ჯამბარას გამოსაბმელად. ზოგჯერ ეს რგოლი რკინისაა ხოლმე.

გარდა ამისა წრწენას ქვემოთ დაკრული აქვს ბრტყელი რკინა, ეგრეთწოდებული „მხარის რკინა“ ანუ „საცვეთი“. საცვეთი უკეთდება წრწენას იმ მიზნით, რომ წრწენა მიწაზე ცურვით არ გაცვდეს. წრწენას დანიშნულებაა ხელი შეუწყოს სახვნელის მხარის მოძრაობას იმ მხრივ, რომ მხარის თავი ადვილად ჩაყვეს და ამოკვეს მიწის უსწორ-მასწორო რელიეფს. წრწენა მიწაზე მიცურავს მაშინ, როდესაც სახვნელი თავდაღმართზე მიდის და არ აძლევს საშუალებას მხარის თავს ჩაერჭოს მიწაში. ეს გარემოება საგრძნობლად უმსუბუქებს მუშაობას სახვნელი იარაღის გამწევ ძალას და მგუთნავს. ამ შემთხვევაში წრწენა არსებითად იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორც რაჭული სახვნელის „წეწენა“ ‖ „წინმავალა“[1]. ქსნური მთის-გუთნის მხარის თავის საყრდენს მუშაობის დროს წრწენა წარმოადგენს.

3. **საცორავი**, მოკაკული ტოტია, რომელიც მხარშია გაყრილი მხარის თავთან. საცორავის დანიშნულებას შეადგენს ის, რომ მისი აწევ-დაწევით ხელი შეეწყოს ხნულის გაღრმავებას და გავაკებას (შდრ. სურ. 3).

[1] გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მ ო ა მ ბ ე, ტ. I, გვ. 251.

4. **გუთანი**, „გუთანს“ ამ სოფელში სახვნელი იარაღის ქუსლს უწოდებენ. ის შერჩეული ბუნებრივი ორკაპა ხეა, რომლის სიგრძე 102 სმ. მას აქვს წაწვეტილი წვერი, რომელზედაც სახნისია წამოცმული. „გუთანს“ ანუ ქუსლს აქვს „ს ა შ რ უ ე“ (ცხვირი), რომლის დანიშნულებაა სახნისით აჭრილი ბელტი გაგლიჯოს. გარდა ამისა ქუსლს ბოლოში აქვს „ფ თ ე“-ები, ორკაპა სახისა ქუსლთან მთლიანი. ამ ფთეების დანიშნულებაა სახნისის მიერ გაკეთებული კვალი გააგანიეროს, აჭრილი ბელტი „ააგდოს“ და „მიწა გათხუროს“. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად „გუთანს“ აქვს ნაჩერეტი, რომელშიც ჩამჯდარია მხარისა და ხელნას ბოლოები.

5. **ჯელნები**, „ჯელნა“ მთლიანი ორტოტიანი ხის კეტია, რომლის ტანი ოთხკუთხედადაა გათლილი და თავისი ბოლოთი ჩამჯდარია ქუსლის ნაჩერეტში. ჯელნის ტოტები გვერდებისკენაა გადაშვერილი იმ მიზნით, რომ გუთნისდედას კარგად მოუვიდეს ხელში. ხელნას ტანის სიმაღლე 30 სმ, ტოტების სიგრძე 112 სმ. ჯელნების შესახებ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჯელნების ტანი მოკლეა და ტოტებიც შესაფერისად დაბალი. ეს გამოწვეულია იმით, რომ მგუთნავმა ადვილად შესძლოს სახვნელის აწევა და დაწევა ხელნების შემწეობით, სახვნელი იარაღის შესაფარდებლად რელიეფთან.

6. **სოლი**—ხისა, გაყრილია ქუსლის („გუთნის“) ნაჩერეტში მხარისა და ხელნის შუა. მისი აწევ-დაწევით რეგულირდება ღრმად და პირად ხვნა. „გუთანს“ სოლი აქვს ქვემოთაც. ეს უკანასკნელი უფრო პატარაა, ვიდრე ზემო სოლი.

ამგვარ სოლს, რომელიც მხარსა და ხელნას შუაა გაყრილი, მ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი უწოდებს „კოკოშას“ (ყ. გორის მაზრის მასალების მიხედვით)[1]. ჩვენ მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით სახვნელი იარაღის ამ ნაწილს „სოლი“, „დიდი სოლი“ ეწოდება. „კოკოშა“ სახვნელი იარაღის სხვა ნაწილს, სხვა სახისა და სხვა ფუნქციისას აღნიშნავს. მაგრამ ამაზე ქვემოთ მოვისაუბრებთ.

7. **სახნისი**, რკინისაა, პირზე ფოლადდაკრული, სამკუთხა, აქვს—„წვერი“, „ყურები“ და „ყბა“. წამოეცმის ყბით ქუსლის წვერს (აღწერილია სოფელში ნახული ეკზემპლარების მიხედვით).

8. **საკვეთელი**, რკინისაა, პირზე ფოლადდაკრული, დანისებრი, გრძელტარიანი. ტარით გაყრილია მხარის ნაჩერეტში, სადაც დამაგრებულია ხის სოლებით (აღწერილია სოფელში ნახული ეკზემპლარების მიხედვით).

9. **ჯაჭვის გამოსაბმელი**—ჩვეულებრივად წნელის რგოლია, რომელზედაც გამოებმება ჯამბარა. ზოგჯერ ეს რგოლი რკინისაა (წინა-დადიანეთი) და სახელად „წერწენა“ ეწოდება.

ზემოთ ჩვენ მიერ აღწერილი ქსნური მთის-გუთნის ნაწილებს ქსნის ხეობის ზოგიერთ სოფლებში სხვადასხვა სახელი ჰქვიან.

---

[1] С. Мачабели, Описание экономического быта госуд. крестьян Горийск. уезда, Тифл. губ. МИЭБГКЗК, VI, გვ. 208.

ქსნური მთის-გუთნის ნაწილების სახელები სოფლობრივად

ლარგვისი	ხარბალი	ხადილაანი (დადიანეთი)	წინა-დადიანეთი	ხრომის წყარო
მხარი	მხარი	მხარი ‖ მჯარი	მხარი	გუნონ
ხენნები	ხელნები	ქელნები	ხელნა	ხელნა
სოლი	სოლი	სოლი	სოლი	ცურკ
ქუსლი: წვერი	ქუსლი	გუთანი: საშრუე	გუთანი: სასახნისე, სასახნის ყელი ‖ საშრუვე	გუთონ
ფთე	ფთე	ფთე	ფთე	ბაზკრ
სახნისი	სახნისი	სახნისი: წვერი ყურები ყბა	სახნისი: ყურები ყელი წვერი	ვსან
საკვეთელი	საკვეთელი	საკვეთელი: სასაკვეთლე	საკვეთელი: სასაკვეთლე	ძრლა
წერწენა	რწენა ‖ წრწენა	წრწენა		წრწენა
	საცური ‖ საცორავი	საცორავი		
		მხარის რკინა ‖ საცვეთი		
		ჯაჭვის გამოსაბმელი ‖ წერწენა		კვანტე

II

ზემოთაღწერილი ქსნური მთის-გუთანი ყურადღებას იპყრობს პირველ რიგში თავისი მხარით. მას აქვს მოკლე მხარი, რომელიც არ სწვდება ხარების უღელს, არამედ უღელთან დაკავშირებულია წრწენას თავზე გამობმული გრძელი ჯამბარას შემწეობით. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

აქ იციან „ანეული“ (ზაფხულში—ივლისი, აგვისტო). ანეულად ხნავენ მეტწილად „ზვარეში“. ზვარე იმ ადგილ-მამულს, ტყეს ეწოდება, რომელიც სამხრეთით მდებარეობს და რომელსაც მზე დასცქერის. იციან აგრეთვე „ნაოში“ (სექტემბერში; ნაოშსაც მეტწილად ზვარეში ხნავენ) და „ახალთესლი“ (გაზაფხულზე)—იხვნება მეტწილად „ჩრდილებში“ (ჩრდილოეთის მხარე).

აქვე მიღებული იყო „ახოს აღება“[1]. წინასწარ დიდ ხეებს „შემოყვერავდენ“, შემდეგ „გასხლავდენ“; „ახალ ტყეს“ მოჰრიდნენ, ძირებზე ფიჩხს დააწყობდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ. ახლადაღებულ ახოზე სახვნელი იარაღი არ გაიელებოდა. ჯერ ფიჩხის შესაგროვებელ იარაღს გაავლებდნენ და შემდეგ „დაქორჩავდნენ“ ქორჩით[2].

უმთავრესად აქ ითესებოდა „ქერი“, „დიკა“, „ჭოი“ და „ახალთესლი“. ერთ წელიწადს დასვენებულ მიწას უწოდებენ „ყამირს“, ხოლო ორს—„ახალნატეხი“. საყანე მიწები აქ უმთავრესად ფერდობებზეა. საყანე მიწები მწირია და მეტად მძიმე სამუშაოდ იმის გამოც, რომ ფერდობის რელიეფი უსწორ-მასწოროა. ეს მხარე ტიპიური მთის ზოლია, სადაც წამყვანი როლი მეურნეობაში მესაქონლეობას ეკუთვნის[3], ამიტომ მიწისმოქმედება აქ მეორე რიგის მეურნეობაა.

ვახუშტის გეოგრაფიაში ეს რაიონი ასეა დახასიათებული: „ზებე ყურის მთა არის თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლედამ და აღმოსავლედამ ალევის მთის ცხვირი და დაავიწროებს კსანს კლდითა. ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე, კსანი არის ვენახოვანი, ხილიანი, მოსაელიანი, ვითარცა აღვსწერეთ და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსაელითა, ტყიან-კლდიანობითა“[4]. საყანე მიწების ზედაპირის მეტისმეტად უსწორ-მასწორობისა და ვაკე ადგილების მეტისმეტი სიმცირის გამო აქ ბარული გუთანი მუშაობას, ცხადია, ვერ შესძლებს.

ქსნის ხეობის მთის ზოლში ტიპიური ალპიური ლანდშაფტის მეურნეობა იყო. მთის ზოლის პირობებში სახნავი მიწის მეტისმეტად სიმცირის გამო მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისგან გამოეგლიჯა საყანედ გამოსადეგი მიწის თითოეული ნაკუწი: მას წინასწარ უნდა აეკრიფა ქვები, მოეხიდა მიწა, პატიენი და შემოეყორა. ასეთ პირობებში მიწის ღრმად მოხვნას

[1] შდრ. გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 274.

[2] შდრ. ხევსურული „ქარჩი“.

[3] ამ მხარის მეცხვარეებმა ორი წლის წინათ სოც. შეჯიბრებაში მიიღეს გარდამავალი დროშა და მას დღემდე ინარჩუნებენ.

[4] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც., ტფ. 1904, გვ. 100.

შეეძლო გამოეწვია ნიადაგის ჩამოწოლა და „დედო-მიწის“ (ამ შემთხვევაში კლდის) გაშიშვლება. როგორც ირკვევა ძველი ნაშთების მიხედვით, ნიადაგის ჩამოწოლის წინააღმდეგ აქ ზომები ჰქონიათ მიღებული. ცხავატურას ხეობის ზვარეებში დღესაც ჩანს ტერასებურად აგებული ყორეები, რომელნიც ფერდობებში ნიადაგის დაქანების წინააღმდეგ ყოფილა გამოყენებული.

მეორე მხრით აღსანიშნავია ისიც, რომ, მოსახლეობის ჩვენების მიხედვით, აქ გვალვა და ქარი შედარებით ნაკლებია. ეს გარემოებაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ხვნის პროცედურებზე და შესაფერის წესების დაცვას მოითხოვს ხვნის დროს.

ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ქსნის ხეობის მთიან ზოლში ლეწვა საქონლის ფეხით წარმოებს. გადახურულ კალოს შუაში დგმული ბოძის გარშემო მიწაზე დაგებულ ძნებზე ტრიალებს პირუტყვი, რომელიც ფეხით „ჩალავს“ ძნას. ამ წესით კალოობის ჩვეულებას მოსახლეობა იმით ხსნის, რომ აქ ავდარი ხშირია, ხოლო გასანიავებლად გამოსაყენებელი ქარი იშვიათად იცისო.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ცხადია, რომ აქ ისეთი სახვნელი იარაღი იყო საჭირო, რომელიც შეფარდებული იქნებოდა ფერდობის (ქალთეგის) ნიადაგთან, რელიეფთან და მეურნეობის სპეციფიკურ პირობებთან. ამ პირობებთან კარგადაა შეგუებული ის სახვნელი იარაღი, რომელსაც ქსნური მთის-გუთანი ეწოდება.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ქსნურ მთის-გუთანს ახასიათებს მოკლე მხარი, რომელსაც თავზე წრწენა აქვს მიმაგრებული. მუშაობის დროს ამ სახვნელი იარაღის ეს ნაწილი მიწაზე მიფოფხავს. ეს გარემოება უადვილებს მუშაობას როგორც გამწევ ძალას, ისევე გუთნის-დედას, ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით, საშუალებას აძლევს გუთნის-დედას უსწორ-მასწორო ფერდობის მოხვნის დროს თანაბრად გაატაროს კვალი და ორნატი თანაბარი სიღრმისა გააელოს.

ამ სახვნელის ეფექტურად გამოყენებას ასეთ პირობებში ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ სახვნელს აქვს გრძელტოტებიანი ხელნები. მუშაობის დროს გუთნის-დედას ხელნებზე ორივე ხელი აქვს ჩაჰიდებული; ეს მგუთნავს აძლევს საშუალებას სახვნელის ქუსლი და, მაშასადამე, სახნისიც, ზომაზე ასწიოს და დასწიოს იმასთან შეფარდებით, თუ როგორია მიწის ზედაპირი. ამგვარი ოპერაცია მგუთნავისათვის აუცილებელია, რამდენადაც თუ მან არ ასწია და დასწია ქუსლი ხელნების შემწეობით—მოხვნა, მიწის უსწორ-მასწორო რელიეფის პირობებში, მეტისმეტად გაძნელდებოდა. მხვნელს ამ ოპერაციის შესრულებას უადვილებს მხარის თავზე მიმაგრებული წრწენა, რომელზედაც მხვნელი სახვნელს თავს დაუჭერს ხოლმე. მთის ძირში და ბარში ასეთი რთული ოპერაციის წარმოება გუთნის-დედას არ სჭირდება.

რაჭულ სახვნელს, რომელიც აგრეთვე მთის (ფერდობის) გუთანია, ბრტყელი ქუსლის და გრძელტოტებიანი ხელნას ნაცვლად ოვალური ქუსლი აქვს, რომელიც არეგულირებს სახვნელის მუშაობას ფერდობის უსწორ-მასწორი რელიეფის პირობებში. აქ მხვნელს მხოლოდ ცალი ხელით უჭირავს ხელნას

ტოტი, რადგანაც ქსნურ მთის-გუთანთან შედარებით, ეს სახვნელი იარაღი კონსტრუქციულად დაწინაურებული სახვნელი იარაღია.

ჩვენ მიერ ქსნის ხეობაში ფიქსირებული წრწენა || რწენა ორი სახისაა (იხ. სურ. 2 და 3). როგორც ერთი, ისე მეორე მოკლებულია ჰდეებს, იმ ატრიბუტს, რომელიც რაჭული სახვნელი იარაღის წეწენა || წინმავალას აქვს. როგორც ვიცით, ზემოთმოხსენებულ წეწენის ჰდეებს რაჭაში იყენებენ როგორც ერთ-ერთ საშუალებას კვალის დასაღრმავებლად და დასაეკებლად.

მაგრამ რაჭული სახვნელისაგან ქსნური მთის-გუთანი არა მარტო წეწენის ჰდეებით განსხვავდება. განსხვავება უფრო შორსაც მიდის. მათ აქვთ განსხვავებული ქუსლი და ხელნა. იმ დროს, როდესაც ქსნურ მთის-გუთანს ქუსლი („გუთანი") ჰორიზონტალურად აქვს მოცემული, სწორია და ფრთიანი, რაჭული სახვნელის ქუსლი ოვალურია და ფარფლიანი. რაჭული სახვნელის ხელნა ერთტოტიანია, ხოლო ქსნური მთის-გუთნისა—ორტოტიანი. მიუხედავად ამისა რაჭულ სახვნელს ქსნურ მთის-გუთანთან ანათესაებს მოკლე მხარი და წეწენა.

III

ქსნური მთის-გუთნის ფუნქციის კიდევ უფრო მეტად გარკვევის მიზნით უნდა ყურადღება მიექცეს ამ სახვნელ იარაღის ქვე-სახეებს. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ქსნის ხეობის მთიან ზოლში არსებითად სახვნელი იარაღის ერთი ტიპია გაბატონებული, სახელდობრ ზემოთაღწერილი ქსნური მთის-გუთანი.

მხოლოდ იქ, სადაც მთის ზოლი მთის ძირში გადადის, სადაც ვაკე ადგილი ბევრია, სადაც უსწორ-მასწორო რელიეფი ნაკლებადაა მოცემული,—სახვნელ იარაღად ქსნური მთის-გუთნის ქვე-სახეა მიღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე), მთის-ძირის (დაახლოებით ლარგვისამდე—предгорие, Vorberge) და მთის ზოლისა (ლარგვისს ზევით)[1]. ამასთან შეფარდებით წამყვანი სახვნელი იარაღებიც გარკვეული სახისანი არიან თითოეულ ზოლში. ასე, მთის ზოლში—„მთის-გუთანი"-ა, მთის ძირში—ქსნური მთის გუთნის ქვე-სახე—„ორხელა გუთანი" და ბარის ზოლში—„ბარული გუთანი"[2].

ქსნური მთის-გუთნის ქვე-სახე არსებითად იგივე მთის-გუთანია, მხოლოდ მას არა აქვს წრწენა. ამ იარაღის მხარს აქვს საცორავი და საცვეთი ან ერთ-ერთი მათგანი. ზოგიერთ შემთხვევაში სახვნელი იარაღის ამ ქვე-სახეს არც

[1] შდრ. მეგრულში: „რხენი", „დოვბერი", „ლაკადა" და „გოლა".

[2] იმერეთის ვაკეში სახმარ სახვნელ იარაღს „მაღალი კავი" ეწოდება, ხოლო გურდაში—„დაბალი კავი". განსხვავებულია სახნისიც: ა. „საბილარი" და ბ. „საქვე". იხ. 1938 წლის იმერეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

საცორავი და არც საცეთი არა აქვს, მაგრამ მხარის თავი ისეა მოყვანილი, რომ დროდადრო, საჭიროების მიხედვით, მიწაზე ფოფხვა შეუძლია.

მართლაც, მთის-ძირის რელიეფის პირობებში საჭიროებას არ წარმოადგენს სახვნელი იარაღის თავის მუდმივად მიწაზე ფოფხვა, როგორც ამას მოითხოვს მთის ზოლის უსწორ-მასწორო რელიეფი. საგულისხმოა, რომ სახვნელი იარაღის ამ ქვე-სახეში წრწენა-ს მაგიერ ზოგიერთ შემთხვევაში „რკინის გამოსაბმელია“ მოცემული და ამ გამოსაბმელს ტერმინი „წერწენა“-ც-კი მიუსაკუთრებია (სოფ. წინა-დღდიანეთი). მთის გუთანთან მას საერთო აქვს — მოკლე მხარი, ორკაპა ქუსლი და ხელნები.

არსებითად ქსნური მთის-გუთნის ეს ქვე-სახე, ორხელა გუთანი (იხ. სურ. 4 და 5)—ის სახვნელი იარაღია, რომელიც „ორხელას“ და „ორხელა-გუთნის“ სახელწოდებით ჩვენ მიერ დამოწმებული იყო მთის-ძირის ზოლის მეურნეობებში — ს. ყორნისი (ქართლი), ს. ჰატარა-ტუსრები (ს. რეხასთან, ოსებში) და რაჭაში (ს. მთის-ძირი, ს. შქმერი)[1]. იგი უმთავრესად ქართლში გავრცელებული იარაღი ყოფილა, ამას ადასტურებს ეხლახან მოპოვებული ცნობებიც. ასპ. ნ. რეხვიაშვილის (ექსკურსია ზემო-რაჭაში 1938 წ.) მიერ დამოწმებულია, რომ სოფ. წედისის კარგად ცნობილ სამჭედლოებში საგანგებოდ უკეთებიათ ორხელების სახნისები ქართლში გასასყიდად[2].

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ორხელას სახელწოდებით ისეთი სახვნელი იარაღია აღწერილი, რომლის ნიშანდობლივი ელემენტები აჩაჩას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ნამდვილ ორხელას.

ქ. ვერმიშევი „ორხელას“ შესახებ სწერს ასე: „Орхели, употребляемая в Горийском уезде при второй весенней вспашке, а также для разрыхления почвы после уборки кукурузы, представляет ту же ачачу, которая описана нами выше, с тою разницею, что в орхели имеется особое приспособление—кокоша, с помощью которого можно увеличивать или уменьшать глубину борозды“[3].

იმისათვის, რომ ასე თუ ისე გავერკვეთ ზემომყვანილ აღწერილობაში, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ წარმოიდგენდა ვერმიშევი აჩაჩას. იმავე ვერმიშევის მიხედვით: „Ачача тот-же арор, который употребляется в Александропольском уезде“[4]; ხოლო არორის შესახებ იგივე ავტორი სწერს, რომ „арор, употребляемый армянами в Александропольском, Ахалкалакском и др. уездах, состоит из короткого заостренного обрубка какого-нибудь крепкого дерева и длинного грядиля, которые, скрепляясь, образуют род крюка под углом 45°“[5].

---

[1] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, გვ. 265 და შემდ. სურ. 15 და 16.

[2] ნ. რეხვიაშვილი, ზემო-რაჭაში მიელინების ანგარიში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. IV, ნაკ. 3.

[3] Х. Вермишев, Земледелие государственных крестьян Закавказского края, СМИЭБГКЗК, IV, 261—262.

[4] Вермишев, op. cit., გვ. 261—62.

[5] Вермишев, op. cit., გვ. 256.

აქ მოტანილი ამონაწერებიდან ორხელას შესახებ არაეითარი გარკვეული აზრის გამოტანა არ შეიძლება. ამდენად ამაეე ამონაწერების მიხედვით შეუძლებელია აჩაჩის სახეობის დადგენა. ქართული აჩაჩა სავსებით გარკვეული სახის სახვნელ იარაღს წარმოადგენს, რომელიც ორი ქვე-სახითაა მოცემული: ხევსურული და ფშაური[1]. ხევსურული აჩაჩის მხარის ბოლო გაყრილია ქუსლში, ხოლო ფშაური აჩაჩის მხარი ხელნაშია გაყრილი. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია მხარისა და ქუსლის რეგულაცია კვალის დასაღრმავებლად და დასავაკებლად. სხვა სახითაა არორას მხარი ქუსლთან დაკავშირებული. ისინი თავიანთი ბოლოებითაა ურთიერთზე მიმაგრებული იმდაგვარად, რომ მათი აწევ-დაწევა არ შეიძლება (გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, საქ. მუზ. მოამბე, ტ. V. გვ. 274, სურ. 5). ამიტომ აჩაჩის განსაზღვრა როგორც არორის, სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული. აქედან ჩანს, რომ ვერმიშევს სრულიად ყალბი წარმოდგენა ჰქონია აჩაჩის აგებულებაზე.

უფრო მეტი შეუსაბამობა ახასიათებს ვერმიშევის მიერ ორხელას განსაზღვრას. ვერმიშევის მიხედვით უკეთუ ორხელა იმგვარი აჩაჩაა, რომელიც იგივე არორაა, ხოლო არორს კვალის დაღრმავება და დავაკება თავისი კონსტრუქციის მიხედვით არ შეუძლია, როგორ უნდა იყოს ამ ტიპის სახვნელ იარაღში გამოყენებული სახვნელი იარაღის ის ელემენტი, რომელსაც ვერმიშევი „კოკოშა“-ს უწოდებს.

ვერმიშევი კოკოშას განმარტებისას ასახელებს ს. მაჩაბლის ნაშრომს და მისგან მოაქვს ამონაწერი. ჩვენც მაჩაბელს მივმართოთ. კოკოშას შესახებ მაჩაბელი სწერს: „кокоша—небольшая прямоугольная толстая доска, вколачиваемая в нижнюю, основную часть орхели, между рукояткой и изогнутым дышлом сохи. Когда кокоша вынута из доски, тогда последняя волочится по земле, и укрепленный в ней лемех пашет глубоко; когда же нужно пахать неглубоко, то вкалачивают кокошу в доску, которая с лемехом поднимается над уровнем земли, и кокоша, высовываясь наружу, волочится по земле. Очевидно, чем глубже кокоша вкалачивается в доску, тем более уменьшается глубина вспашки и обратно“[2].


აქ მოყვანილი აღწერილობის მიხედვით კოკოშა სახვნელი იარაღის ის ნაწილი ჩანს, რომელიც ხელნასა და მხარს შორის ჩაედგმის ხოლმე და რომელსაც ჩვეულებრივად „დიდი სოლი“ ეწოდება[3]. ამ სოლის დანიშნულებაა როგორც მხარისა და ხელნას დამაგრება ქუსლში, ისევე კვალის დავაკება და დაღრმავების მოწესრიგება. ასეთი „სოლი“ მართლაც აქვს ორხელას, თუმცა

[1] გ. ჩიტაია, ეთნოგრაფ. მოგზაურობა, საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, გვ. 271.

[2] С. Мачабели, Описание экономического быта государственных крестьян Горийского уезда, Тифл. губ., МИЭБГКЗК, т. VI, გვ. 208.

[3] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 261.

ის აქვს აგრეთვე ხევსურული ტიპის აჩაჩას და რაჭულ სახვნელსაც. ზოგიერთ შემთხვევაში ხელნასა და მხარის ქუსლში გასაყრელ ნაჩვრეტში ერთი სოლი ზემოდან და ერთი ქვემოდან (ეწოდება „ჩოჩიალა“) უკეთდება[1]. სახვნელი



3. ქსნური მთის-გუთანი (ს. ხრომის წყარო)

იარაღის ზემოხსენებული ორი სოლის აწევ-დაწევით რეგულირდება ღრმად და პირად ხვნა. ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს ისეთ მდგომარეობას, რომ სოლი სრულიად ამოღებული იყოს, როგორც მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ამბობს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მხარსა და ხელნას ქუსლში არაფერი არ დაამაგრებდა და სახვნელიც მუშაობას ვეღარ შესძლებდა. ყოველ შემთხვევაში სახვნელი იარაღის ამ ნაწილს „სოლი“ ან „დიდი სოლი“ ეწოდება, ხოლო კოკოშა || კოკოსა, ჩვენ მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით, სახვნელი იარაღის ის ნაწილია, რომელსაც ქსნის ხეობაში „საცორავი“ ეწოდება. როგორც კოკოშა || კოკოსა, ისე საცორავი ქსნური მთის-გუთნის და მისი ქვესახის (ორხელა-გუთანის) ნაწილს შეადგენს. სახვნელი იარაღის ამ ნაწილს მის კონსტრუქციაში სავსებით გარკვეული ადგილი უჭირავს და სავსებით გარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული[2].


მაგრამ, თუ ერთის მხრით, მ ა ჩ ა ბ ე ლ მ ა და ე ე რ მ ი შ ე ვ მ ა ასეთი არა სწორი განმარტება და სახელწოდება მოგვცეს ორხელას იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც გარკვეული სახელი და ფუნქცია აქვს, მეორე მხრით, მათ გვერდი აუხვიეს ორხელას არსებით ნაწილებს. არ დაასახელეს არც ერთი ელემენტი (მოკლე მხარი, ორკაპიანი ქუსლი, ორტოტიანი განიერი ხელნა), რომლებიც ამ სახვნელ იარაღს ნიშანდობლივად ახასიათებს და რომლის მიხედვითაც ეს იარაღი გამოიყოფა სხვა სახის სახვნელ იარაღებიდან.

სამწუხაროდ ზემოთქმულით არ ამოიწურება გაურკვევლობა ორხელას აღწერის საკითხში. ვერმიშევის აღწერის მიხედვით ორხელა საგაზაფხულო მეორე ხვნისა და სიმინდის აღების შემდეგ მიწის გასაფხვიერებლად სახმარი

[1] გ. ჩ ი ტ ა ი ა, op. cit. გვ. 251.
[2] იხ. ზემოთ გვ. 471.

იარაღია, ნამდვილად კი იგი იხმარება ცთისა და მთის ძირის ზოლში როგორც ანეულის, აოშვის ისე ახალთესლის ხვნის დროს.

ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში[1], ციტირებული ავტორები ამ შემთხვევაშიც ვერ ერკვევიან სახვნელი იარაღების სახეებში და არ აქვთ რეალური წარმოდგენა მათ ფუნქციონალურ დანიშნულებაზე, ამიტომ ოთხმოციანი წლების სოფლის მეურნეობის აღმწერებს სრულიად შეუმჩნეველი და აღუწერავი დარჩათ სახვნელი იარაღის ის ტიპი, რომელმაც რაჭული სახვნელის, ქსნური



4. ორხელა გუთანი (ს. ლარგვისი—საქ. მუზ. კოლ.)

მთის-გუთნის და ორხელა გუთნის სახით ჩვენამდე მოაღწია და რომლის შესახებ მართალია არა ზუსტი, ბუნდოვანი და გაურკვეველი ცნობები ლიტერატურაში მოიპოვებოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

IV

Parrot-ის მიერ თავის მოგზაურობაში[2] მოყვანილი კახური სახვნელი იარაღის საკმაოდ ბუნდოვანი სურათი ყოველ შემთხვევაში წარმოგვიდგენს სახვნელი იარაღის იმ ტიპს, რომელსაც მოკლე მხარი აქვს და რომელიც ჯამბარას შემწეობით გამოებმის უღელს, როგორც ამას ადგილი აქვს რაჭულ

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომ. ისტორია, ტ. I[2], გვ. 137.

[2] F. Parrot, Reise zum Ararat, Brl. 1834, გვ. 34, მისივე, Journey to Ararat, London 1845.

სახვნელში, ქსნურ მთის-გუთანში და ორხელა გუთანში[1]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ სახვნელ იარაღს წრფენა მხარის თავზე აქვს მიმაგრებული.

Haxthausen-ს, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა 1843 წელს და რომელმაც თავისი მოგზაურობის შედეგები დაბეჭდა ჯერ ინგლისურად (1848), შემდეგ ფრანგულად (1852) და გერმანულად (1856) (არსებობს ამ უკანასკნელის შემოკლებული, არაზუსტი და მეფის ცენზურის მიერ დამახინჯებული რუსული თარგმანი) - აქვს მოყვანილი სახვნელი იარაღის სურათი (იხ. სურ. 6)[2], რომელიც მას ოსებში ჩაუხატვინებია და რომელსაც Haxthausen-ი „Sibir"-ს უწოდებს.

Haxthausen-ის მიერ მოცემული სურათი სიზუსტის მხრივ ეჭვს ბადებს. ჩვენი აზრით არ უნდა იყოს ზუსტად ჩახატული ამ სახვნელი იარაღის ხელნები. სურათზე ხელნა წარმოდგენილია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქუსლში ჩასმული ტოტების სახით, რომლებიც ამავე დროს საკმაო მანძილით არიან დაშორებული მხარისაგან. ამ სახით ხელნების გამოყენება მუშაობის პროცესში წარმოუდგენელია, რამდენადაც მუშაობის პროცესში როგორც ერთი ისე მეორე ტოტი ქუსლში ვერ დამაგრდება. გარდა ამისა, სურათზე ბუნდოვანად ჩანს მხარის ძირთან სამი სოლი, რომლებიც როგორც მხარს ისევე ხელნას ქუსლის ნაჩვრეტში უნდა ამაგრებდნენ, ნამდვილათ კი სოლები ხელნებიდან არა მცირე მანძილით არიან დაცილებული.

გაუგებარია აგრეთვე მხარის თავში გაყრილი რგოლი. შეიძლება მხატვარს უნდოდა ქსნური მთის-გუთნის წრფენა დაეხატა, მაგრამ სახვნელი იარაღის კორასებრი ნაწილაკი გამოუვიდა. მასზე ჯამბარა უცნაურად არის გამობმული. საერთოდ სურათი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ის ადგილზე, ნატურიდან დახატული არ უნდა იყოს, არამედ სიტყვიერი გადაცემის მიხედვით შეთხზული.

სამწუხაროდ გაუგებრობა ამ სურათთან დაკავშირებით ამით არ ამოიწურება. Haxthausen-ს ამ სახვნელი იარაღის შესახებ ნათქვამი აქვს:


„Von den Ackerwerkzeugen fiel mir der Pflug (Sibir) auf, der ganz abweichend von denen der übrigen kaukasischen Völker construirt ist. Seine Konstruktion ist dem des mecklenburgischen Hakenpflugs ähnlich"[3].

---

[1] Parrot-ის წიგნში მოცემული სახვნელი იარაღის სურათი გადაბეჭდა ჯერ K. Rau-მ (Geschichte des Pfluges, Heidelberg 1845), ხოლო ამ უკანასკნელის მიხედვით A. Byhan-მა გამოაქვეყნა თავის ნაშრომში: Kaukasus, Ost und Nord-russland, Fienland — Buschan-ის Illustrierte Völkerkunde, Stuttgart 1925 და ფრანგულად La civilisation Caucasienne, Preface et traduction du D-r G. Montandon, Paris 1936. Byhan-ის მიერ მოცემული ამ სახვნელი იარაღის აღწერილობა სრულ გაუგებრობაზეა აგებული, რასაც Montandon-იც შენიშნავს (იხ. ფრანგული ტექსტი, გვ. 50, შენ. 1 და შდრ. G. Montandon, Traité d'ethnologie culturelle, Paris 1934, გვ. 256—57). Byhan-ის ნაშრომში ამ სახვნელი იარაღის დეტალები სურათზე დამახინჯებულია. ზემოხსენებული კახური სახვნელის სურათი იხ. გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 266, სურ. 17. Byhan-ის ნაშრომის გერმანულ გამოცემაზე იხ. რეცენზია—გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, მიმომხილველი, ტ. I, ტუ. 1926, გვ. 276.

[2] A. Haxthausen, Transkaukasia, Lpz. 1856, 2 ტ., გვ, 3.

[3] Haxthausen, op. cit., გვ. 11.



5. ორხელა (აჩაჩა) გუთანი (ს. ზემობოლი)

აქ მოტანილი ამონაწერის შესახებ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეს არ შეეფერება ავტორის მოსაზრება, თითქოს ასეთი სახვნელი ოსებს გარდა არც ერთ სხვა ხალხს კავკასიაში არ მოეპოება. იმდენად, რამდენადაც მოცემული სურათი სახვნელის ტიპის დადგენის საშუალებას გვაძლევს (მოკლე მხარი)—ამ სახის სახვნელი პირველ ყოვლისა ქართველ ტომებში მოიპოებოდა და მოიპოება (შდრ. ზემომოყვანილი მასალა). ჩვენი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ამ ტიპის სახვნელ იარაღს ჩრდილო-კავკასიის ოსები რაკველებისგან იძენდნენ ხოლმე[1]. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. ლიახვისა და ქსნის ხეობის ოსები სახვნელი იარაღის ამ ტიპს გუთონ-ს და ორხელას უწოდებენ, ხოლო Haxthausen-ის მიერ მოხსენებული „Sibir"-ი (ირონული ძებრ და დიგორული ძუბურ) სხვა სახის სახვნელ იარაღს განეკუთვნება[2], მაგრამ ამაზე ქვემოთ.

გასაოცარ შეუსაბამობას წარმოადგენს ამ სახვნელი იარაღის მეკლენბურგის Haken-თან დამსგავსება. მათ შორის მსგავსება თითქმის რომ არაფერში არ არის (შდრ. სურ. 6 და სურ. 7). სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეკლენბურგის სახვნელი იარაღის მხარი უღლამდე აღწევს, მაშინ როდესაც Haxthausen-ის მიერ მოყვანილი სახვნელი იარაღის ისევე, როგორც საერთოდ ქსნურ მთის-გუთნისა და ორხელა გუთნის მხარი, მოკლეა და უღელს ჯამბარას მეშვეობით გადაებმის ხოლმე. ასევე განსხვავებულია ამ ორი იარაღის ქუსლი და ხელნა. ამასთანავე სახნისი მეკლენბურგის სახვნელს რუსული „სოხას" ტიპის სახნისის კვალობაზე აქვს დამაგრებული; სახვნელი ქუსლის ეშზე როდია წამოცმული, არამედ მხარზეა მიმაგრებული ნახევრადვერტიკალური სახით.

ეტყობა, რომ Haxthausen-ი ვერ გარკვეულა სახვნელის ტიპებში და სავსებით განსხვავებული სახვნელი იარაღების სახეები ერთიმეორისათვის მიუმსგავსებია. ტენდენციურობა, რომელიც ამ შედარებას ახასიათებს, Haxthausen-ის ნაშრომში შემთხვევითი არ არის. იგი მომდინარეობს ავტორის იმ შეხედულებიდან, რომ ოსებში შემონახული მატერიალური კულტურის ობიექტები გერმანული წარმოშობისაა. მაგ. სადღვებელი, ფორცხი, მერხი და სხვა ისევე, როგორც სახვნელი იარაღიც. ნამდვილად კი, როგორც დავრწმუნდით, მეკლენბურგის სახვნელსა და ჩვენებურ სახვნელ შორის არც ტიპოლოგიურად და არც დეტალებში მსგავსება არ არსებობს. ამიტომ ამ უკანასკნელის მეკლენბურგის სახვნელიდან მომდინარეობა ყოველად მიუღებელი აზრია.

Haxthausen-ის მიერ წამოყენებული დამსგავსების ხელოვნურობა Braungart-საც უგრძნია და თავის მხრივ ახალი აზრი წამოუყენებია[3]. Braungart-ის შეხედულებით Haxthausen-ის მიერ მოყვანილი სახვნელი იარაღი გუთურია. მაგრამ ეს შეხედულებაც მიუღებელია, ვინაიდან ერთის მხრით Haxthausen-ის მიერ მოცემული სახვნელი იარაღის ჩანახატი დაზუსტებას საჭიროებს, ხოლო

[1] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 247.

[2] გ. ჩიტაია, op. cit., გვ. 169, სურ. 19.


[3] R. Braungart, Die Urheimat der Landwirtschaft aller indogermanischen Völker, an der Geschichte der Kulturpflanzen und Ackerbaugeräte in Mittel-und Nord-europa nachgewiesen, Heidelberg 1912, გვ. 265.

მეორე მხრით, ეს სახვნელი იარაღი ტიპოლოგიურად რაჭული სახვნელი იარაღის ტიპს განეკუთვნება. ხოლო რაჭული სახვნელი, როგორც ვიცით, იმავე Braungart-ს წარმოშობილობით ჯერ გერმანულად, შემდეგ სპარსულად ჰქონდა გამოცხადებული. ამის შემდეგ Haxthausen-ის მიერ ჩახატული სახვნელის გუთურ სახვნელად აღიარება, რომელიც ტიპოლოგიურად თვით საჭიროებს დადგენას, მიუღებელია.

ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ გუთურში მოხვნის პროცესის აღსანიშნავად გამოყენებული ყოფილა სიტყვა arjan, რომელსაც უკავშირებენ ბერძნულ სიტყვას ἀρόω. ამ უკანასკნელიდან გამოჰყავთ სომხური *արաւր*-იც[1]. *Արաւր*-ი, როგორც ზემოთ დავინახეთ, არსებითად განსხვავდება ქსნური მთის-გუთნისა და ორხელა გუთნისაგან.

რაც შეეხება გუთურად ცნობილ haha სახვნელ იარაღს, იგი რუსულ „სოხა"-ს სახის სახვნელი ყოფილა; ეს უკანასკნელი ტიპოლოგიურად სავსებით განსხვავებული იარაღია ორხელა გუთნისგან[2].

კერძოდ, რაჭული სახვნელის შესახებ ჩვენ დადგენილი გვქონდა, რომ ის არც ირანულ და არც გერმანულ სახვნელებისაგან დამოკიდებული არ არის, არამედ მიღებულია ქართველი ტომების სახვნელი იარაღების ძირათადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით და უძველესი სახვნელი იარაღის ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს[3]. რამდენადაც ქსნური მთის-გუთანი და ორხელა გუთანი, ისევე როგორც Haxthausen-ის „Sibir"-ი, რაჭული სახვნელის ქვე-ტიპს ეკუთვნიან, ისინი რაჭული სახვნელის ქვე-საფეხურს წარმოადგენენ და ამდენად ქართველი ტომების უძველესი ხანის კულტურის მონაპოვარს ეკუთვნიან.



6. «Sibir»-ი Haxthausen-ით

რაც შეეხება ტერმინ „Sibir"-ს, რომელიც Haxthausen-ს სახვნელის სახელწოდებად მოჰყავს,—ის არა ზუსტი ტრანსკრიპციაა ოსური ძებერ (ირონულად) || ძუბურ (დიგორულად)-ისა"[4]. ეს უკანასკნელი ძებერ || ძუბურ ისეთ

[1] Em. Boisacq, Diction. etymologique de la langue gr. Heid.-Patis 1937², s. v: ἀρόω, გვ. 80; Feist, Vergleichende Wörterbuch Gotischen Sprache etc., Leiden 1936, s. v. arjan.


[2] V. Hehn, Kulturflanzen und Haustieren⁸, გვ. 565, J. Hoops, Waldbaume und Kulturpflanzen in germ. Altertum, Strassburg 1905, გვ. 499 შმდ; Feist, op. cit., s. v. hoha.

[3] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 290.

[4] W. Miller, Ossetisch-russisch- deutsches Wörterbuch. Herausgegeben und ergentzt von Freiman, Ленинград 1927, წ. I, გვ. 539.

სახვნელს აღნიშნავს, რომელსაც გადაბმული მხარი აქვს, უსაკეთლოა, ხოლო ხელნა ერთტოტიანია[1].

ამგვარი სახვნელი ინგუშებსაც მოეპოებათ იმ განსხვავებით, რომ ინგუშურ სახვნელს საცორავი აქვს[2]. სახვნელი შედგენილი მხარით დამოწმებულია მოხევეებსა და ინგილოებშიც[3]. ხრისტინოვიჩის მიხედვით მოხევური სახვნელიდან უნდა წარმოსდგებოდეს ინგუშებში ხმარებული „плуг грузинского типа". სპორადულად ეს სახვნელი იარაღი ქართლსა და სომხეთშიც მოიპოება[4]. აგრეთვე ამ ტიპის მხარს პარალელები აქვს სირიაში[5], პალესტინაში, არაბეთში და უძველესი ხანის სახვნელ იარაღებში — ბაბილონში, ხეთაში და ეტრუსკებში[6]. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, რამდენადაც ცნობილია ლი-



7. მეკლენბურგის Hakenpflug-ი Leser-ით

ტერატურაში, გრძელი და მოკლემხრიანი სახვნელის გავრცელების არე აქ დართულ კარტოგრამაზეა მოცემული (იხ. კარტოგრამა, გვ. 498, სურ. 6, კარტოგრამაზე გათვალისწინებული არ არის ბარული გუთნის გავრცელება).

V

ზემოთ ჩვენ გავარკვიეთ, რომ ორხელა გუთანი ქსნური მთის-გუთნის ერთ-ერთი სახეა. ამავე ორხელა გუთნის ნაირ-ნაირი ვარიანტები გვხვდება მთის-ძირის ზოლის მეურნეობაში.

ცნობილია, რომ მთასთან შედარებით მთის-ძირის ზოლში მეურნეობის განვითარებისათვის უკეთესი პირობებია შექმნილი. ამით აიხსნება ისიც, რომ

[1] ამ სახვნელის სურათი (ჩრდილოეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციის მიხედვით) იხ. გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 269.

[2] სახვნელის სურ. იხ. გ. ჩიტაია, op. cit., გვ. 298; შდრ. В. Христиновичъ, Нагорная Ингушетия, Труды С-Кавк. Ассоциации НИИ. № 36. Институт местной экономики и культуры. Ростов п/Д. 1928. სურ. 18. „Деревянный плуг грузинского типа" და იქვე სურ. 19 და 20 („Ламинхох").

[3] მოხევეებში ამ ტიპის სახვნელი იარაღის შემადგენელი მხარის წინა ნაწილს „წერწენი", ხოლო ინგილოებში „ულამა" (შდრ.: „ულამა—მრავალტვირთული გრძლად მომავალი" (საბა),—ეწოდება. ინგილოური სახვნელის აღწერილობა და სურათი გადმოგვცა მასწავლებელმა მ. ქიქოძემ. ამისათვის მას მადლობას მოვახსენებთ.

[4] შდრ. გ. ჩიტაია, ეთნოგ. მოგზაურობა, საქართვ. მუზ. მოამბე, ტ. IV.

[5] P. Leser, West-ostliche Landwirtschaft. Kulturbeziehungen zwischen Europa, dem Vorderen Orient und dem Fernen Osten, Schmidt's-Festschrift, Wien 1928, გვ. 434.

[6] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 281. გადაბმული მხარის ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ, იხ. იქვე, გვ. 269.

ამ ზოლის სოფლის მოსახლეობა მთელს მსოფლიოში მეტად შემჭიდროებულია. საწარმოო ძალთა განვითარებისათვის აქ მეტი შესაძლებლობაა. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ჩვენ ამ ზოლის მეურნეობაში ორხელა გუთნის ნაირნაირ ვარიანტებს ვამოწმებთ. აქ დადასტურებული იყო შემდეგი ორხელები: უწეწენო, უსაცორავო, საცორავიანი, უსაკვეთლო და სხვა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ქსნურ მთის-გუთანში მხოლოდ ერთი უღელი ხარი შეებმის—მთის-ძირის ზოლის სახვნელებში ორს, სამს, ოთხს და მეტს უღელ ხარს შეუბამენ ხოლმე. მაგალითისათვის ვასახელებთ ზემობოლის ორხელა გუთანს (იხ. სურ. 5).

ორხელა გუთნის ეს ვარიანტი არა მარტო მასში შებმული ხარების რაოდენობით უახლოვდება ბარულ გუთანს, არამედ კონსტრუქციულადაც ახლო დგას მასთან: მოკლე მხარი„ მხარი ხელნაში გაყრილი, ხმალა, შოლტა და სხვა. ბარულ გუთანთან შედარებით მას ღერძ-გოგორები და ფრთა აკლია, ხოლო მესხური ჯიღღისაგან მხოლოდ ღერძ-გოგორები განასხვავებს. ყველა მონაცემის მიხედვით ირკვევა, რომ ზემობოლის ორხელა გუთანი ბარულ გუთანში გადასელის ერთერთი საფეხური უნდა იყოს.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ტერმინი გუთანი დიფერენცირებულად ბარის, მთის ზოლისა და მთის სახვნელს აღნიშნავს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ტერმინი „გუთანი“, შეიძლება, სახვნელი იარაღის ზოგადი სახელწოდება იყოს. ამ გაგებით ეს სახელწოდება ს ა ბ ა ს განმარტებას ემთხვევა. როგორც ვიცით საბას მიხედვით: „გუთანი... ერქვანსა ჰქვიან“, ხოლო „ერქვანი არის ყოველივე (სახვნელის) სახელი“. ცნება „გუთნის“ შესახებ ზემომოყვანილი აზრი რომ სწორი უნდა იყოს, სხვა მხრითაც მტკიცდება.

ცნობილია, რომ ტერმინი „გუთანი“ მრავალ კავკასიურ ენაში მოიპოება, მაგ. აფხაზურში, ინგუშურში, ჩაჩნურში, კვირულში, ლაკურში[1]. ეგეევე სახელწოდება არის სომხურში, ოსურში, აზერბაიჯანულში და თურქულში. ამ უკანასკნელთ ეს ტერმინი ნასესხები აქვთ, ვინაიდან არც ინდო-ევროპულ და არც თურქულ (ისევე როგორც სემიტურ) ენებში ამ სიტყვის ძირს ახსნა არ მოეპოება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი გუთანი მხოლოდ ფამფალაკიან-ფრთიან სახვნელს როდი აღნიშნავს, არამედ ის სხვადასხვა სახის სახვნელს ასახელებს. კერძოდ ინგუშებსა, ჩაჩნებსა და დაღისტნის ზოგიერთ ტომებში „გუით-თონ“, „გუთონ“—ხევსურული აჩაჩის ტიპის სახვნელ იარაღს ეწოდება. ჩვენ გამორკვეული გვქონდა[2] რომ ეს სახვნელი იარაღის უძველესი სახეა, რომელიც წინააზიაშია წარმოშობილი და რომლის განვითარების უმაღლეს საფეხურს ქართველ ტომების მიერ შექმნილი რაჭული სახვნელი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი თავისი ფარფლიანი ქუსლით და წეწენა || წინმავალათი მთის პირობებში იმავე ფუნ-

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქ. ეკონ. ისტ., ტ. I[2], ტფ. 1930, გვ. 233—34

[2] გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე ტ. I, გვ. 290—91.

ქციას ასრულებს, რასაც ბარში რთული სახვნელი იარაღი—გუთანი, თავისი ფრთითა და ფამფალაკით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართველ ტომებში გუთანი ზოგადი ტერმინია,—რომელიც მთის-გუთანს, ორხელა გუთანს და ბარულ გუთანს აღნიშნავს. ზოგადად ამ სახვნელებს მოკლე მხარი ახასიათებს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მოკლე მხარი გადაბმულ მხარიდან მიღებული ელემენტია, ხოლო გადაბმული მხარი აგრეთვე უძველესი წინააზიური სახვნელი იარაღების დამახასიათებელი ნაწილია (რაჭული სახვნელი, გვ. 269 შმდ).

ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ შემდეგი. ქართველ ტომებში ტერმინ გუთნით აღინიშნება არა მარტო სახვნელი იარაღი, არამედ სახვნელი იარაღის ქუსლიც (ქსნის ხეობა, ჭობულეთში—ს. ბობოყვათი, სადაც ჯილღის ქუსლს „გუთანი“ ჰქვიან). ეს გარემოება ანგარიშგასაწევი ფაქტია, რამდენადაც ერთი და იგივე ტერმინი „გუთანი“ სახვნელ იარაღს აღნიშნავს მთლიანად და კერძოდ მის ნაწილსაც—„ქუსლს“. ეს ფაქტი შეიძლება ტერმინის სიძველის ნიშნად მივიჩნიოთ. ამგვარი მოვლენა დადასტურებულია ხელნას მიმართაც. ქართული ტერმინი ერქვანი სახვნელსაც აღნიშნავს მთლიანად და მის ერთერთ ნაწილს ხელნას.

ტერმინი გუთნის სიძველე შეიძლება სხვა გარემოებითაც დადასტურდეს. შედარებით ძველი წარმოშობილობის ხალხურ ზღაპრებში სახვნელი იარაღის აღსანიშნავად „გუთანია“ ნახმარი (მაგ. მეგრულ ზღაპრებში Кишидзе, МГ). ასევე ქართველი მთიელების ძველებური წარმოშობილობის ტექსტებში ტერმინი გუთანი და მის პარალელურად სახვნელი გეხვდება. მაგალითად:

1. „ჯარ-გუთან გამსელელსა, ნაჯნავ-ნათესსა—ხეავ-ბარაქა მიეცი“ (ს. ჯვარბოსელა, თუშეთი).

2. „ჯარ-გუთან წაღმ წაღგავარიდი“ (ს. ჯვარბოსელა, თუშეთი).

3. „მეგუთნე იყოს, ხარ-გუთანი გაუმართე“ (ფშაური).


4. „შენ სწყალობდი ჩვენის გამკვლევისას—ფურსა, გუთანსა, ჯარის ნაჯნავსა, ფურის ნაწველსა“ (ს. ახიელი, ხევსურეთი).

5. „ჯარისად დადებულ უღელი-დ გატანილ საკვნიელი მშვიდობით დაამთავრებიეთ“[1].

მოყვანილი მასალების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „გუთანი“ ძველი ტერმინია, რომელიც ზოგად კავკასიური კუთვნილების სიტყვაა და რომელიც თავდაპირველად პრიმიტიული (ხევსურული აჩაჩის ტიპი) სახვნელ იარაღს აღნიშნავდა. შემდეგში ამ იარაღის დაწინაურებასთან ერთად ტერმინი გუთანი დიფერენცირებულად მთის-გუთანს, ორხელა გუთანს და ბარულ გუთანს განეკუთვნა (სურ. 9).

ის გარემოება, რომ სახელწოდება „გუთანი“ სომხებს, აზერბაიჯანელებს და თურქებს ფამფალაკიანი სახვნელი იარაღის აღსანიშნავად აქვთ ნასესხები, ადასტურებს, რომ სესხება მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც „გუთანი“ უკვე ფამფალაკიან სახვნელ იარაღს აღნიშნავდა. ამ დროს პრიმიტიულ, ხევსურულ

[1] ვ. ბარდაველიძე, აღმ. საქ. მთიელების სასულ. ტექსტები, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. I, გვ. 18, 22, 23, 26.



8. მოკლე და გრძელმხარიანი სახვნელების გავრცელების კარტოგრამა

აჩაჩას ტიპის სახვნელ იარაღს უკვე გაელილი ჰქონდა გზა ხევსურულ აჩაჩადან—რაჭულ სახვნელამდე, პრიმიტიულ სახვნელიდან—ბარულ გუთნამდე (შდრ. სურ. 10).

რამდენადაც ფამფალაკიანი სახვნელი სომხებს, თურქებს, აზერბაიჯანელებს და სხვებს ქართველ ტომებიდან მიუღიათ—აშკარაა, ფამფალაკის წარმოშობა ამ უკანასკნელებში უნდა ვეძებოთ.

საკითხის ამგვარი დასმა მართებულია, რამდენადაც ქართველ ტომებს სახვნელი იარაღის გაუმჯობესების საქმეში არა მცირედი წვლილი აქვთ შეტანილი. ეს შეეხება როგორც სახვნელი იარაღების ტიპებს მთლიანად ისე, კერძოდ, სახვნელი იარაღების შემადგენელ ცალკეულ ნაწილებს: ქუსლი, მხარი, საკეეთელი, ყურები და სხვ. ამის ერთერთ საბუთს საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული სახვნელი იარაღების მეტად მდიდარი ნაირ-სახეობა წარმოადგენს.

მართლაც, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ წეწენიანი და შოლტიანი სახვნელი იარაღის არსებობის ფაქტს (რაჭული სახვნელი, ქსნური მთის-გუთანი, ზემობოლის ორხელა გუთანი) და ბარის პირობებს, სადაც წეწენა რბილ ყამირზე ვერ იმუშაებს, ღერძ-გოგორების გამოყენება სახვნელი იარაღის კომპლექსში აუცილებელი იყო. ეს მით უფრო გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ წეწენიანი სახვნელის წარმოშობის საფუძველი მეგრული ფრჩხილიანი სახვნელი და იმერული ფრჩხილებიან-გოგორებიანი ურემი უნდა ყოფილიყო. ამ ურმის ღერძისა და თვლების (გოგორების) გამოყენება ბარული ტიპის გუთანში უკვე არსებულ წეწენიანი, მოკლემხრიანი (ქსნური მთის გუთანი, ორხელა გუთანი, რაჭული სახვნელი) და შოლტიანი (ზემობოლის ორხელა გუთანი) სახვნელების არსებობის პირობებში—სახვნელი იარაღების განვითარების ერთად-ერთ შესაძლებელ გზას წარმოადგენდა. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველი ტომების გარეშე ფრჩხილებიან-თვლებიანი ურემი სხვაგან დამოწმებული არ არის. ეს ურემი ქართველი ტომების ერთერთი კულტურული მონაპოვარია.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გუთნის ფამფალაკის ისევე, როგორც მთლიანად ბარული გუთნის წარმოშობისათვის ქართველ ტომებში ყველა წინაპირობა მოცემული იყო. ამიტომ რეტიის გალიიდან რომაელების მეშვეობით ფამფალაკის (თუნდაც ტოლთველებიანისა) მომდინარეობა დამაჯერებელი არ არის. ეს წინაპირობაა, სათანადო სამეურნეო ვითარებასთან ერთად, შუალედი. რგოლის არსებობა რაჭული სახვნელის, ქსნური მთის-გუთნის და ორხელა გუთნის სახით, ერთის მხრით, ხოლო ფრჩხილებიანი სახვნელის და ფრჩხილებიან-გოგორებიანი ურმის არსებობა მეორე მხრით.


ზემომოყვანილი და განხილული მასალა შემდეგ დასკვნებს გვაძლევს:

ქსნური მთის-გუთანი სახვნელი იარაღის ის სახეა, რომელიც დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში არ ყოფილა გარკვეული და მისი მნიშვნელობა სახვნელი იარაღების ისტორიისათვის დადგენილი.

ქსნის ხეობაში ამ იარაღს ეწოდება მთის-გუთანი (ს. დადიანეთი—ხადილაანი, რევაზიანი, შალიანთ-კარი, წინა-დადიანეთი), აჩაჩა გუთანი (ს.ს. ლარგვისი, ხარბალი) და გუთონ (ს. ხრომის წყარო).

ქსნური მთის-გუთნის ტიპიური ეკზემპლარი (იხ. სურ. 2) შესდგება მხარისა, წრწენისა, საცრავისა, გუთნისა, ჭელნებისა, სოლისა, სახნისისა, საკვეთლისა და ჯაჭვის გამოსაბმელისაგან. ნაწილების სახელები ქსნის ხეობის მთიან ზოლში სხვადასხვა ვარიანტებით გვხვდება.

ქსნური მთის-გუთნის კონსტრუქცია ყურადღებას იპყრობს პირველ რიგში თავისი მოკლე მხარით, რომელიც არ სწვდება უღელს. მხარს თავზე წრწენა აქვს მიმაგრებული. ეს უკანასკნელი სახვნელის მუშაობის დროს მიწაზე მიფოფხავს. ამ სახვნელის თავისებურობას აგრეთვე შეადგენს გრძელტოტებიანი და მოკლეტანიანი ხელნა. გრძელტოტებიანი ხელნა გუთნის-დედას საშუალებას აძლევს სახვნელის ქუსლი და მასთან ერთად სახნისიც სახნავის ზედაპირთან შეფარდებით ზომაზე ასწიოს და დასწიოს. მთის ზოლის მიწის უსწორ-მასწორო რელიეფის პირობებში ამგვარი ოპერაცია მგუთნავისათვის აუცილებელია. ამ ოპერაციის შესრულებას მას უადვილებს მარჯვე ხელნებთან ერთად მოკლე მხარი თავისი წრწენით.



9. ბარული გუთანი (XVI—XVIII ს. საფლავის ქვა. დელი სარაბა, წალკა)


სახვნელი იარაღის ნაწილების ზემონაჩვენები ფუნქციონალური თავისებურობები შეფარდებულია მთის ზოლის მეურნეობის მოთხოვნილებებთან.

ქსნის ხეობაში მეტად თვალსაჩინოდაა მოცემული მთის, მთის ძირის და ბარის (სამეგრელოში — გოლა, ლაკადა, რზენი) მეურნეობის პირობებთან შეფარდებული სახვნელი იარაღების ტიპები: როდესაც მთის ზოლში ქსნური მთის-გუთანია ხმარებაში, მთის ძირში ორხელა გუთანია დამოწმებული, ხოლო ბარში—კომპლექსური სახვნელი, ბარული გუთანი გვხვდება.

ორხელა გუთანი არსებითად ქსნური მთის-გუთანია, რომელსაც არა აქვს წრწენი. მთის ძირის ზოლში ეს სახვნელი იარაღი მრავლად გვხვდება. ლიახვზე, რიონზე, ხრამზე და სხვა. ამ იარაღის სახნისი სპეციალურად მზადდებოდა და საორხელე ეწოდებოდა.

სპეციალურ ლიტერატურაში (მ. მაჩაბელი, ქ. ვერმიშევი, Haxthausen-ი) ამ სახის სახვნელი იარაღის მეტად ბუნდოვანი აღწერილობაა მოცემული.

ვერმიშევი ორხელა გუთანს აჩაჩისაგან ანსხვავებს მხოლოდ კოკოშით. ხოლო აჩაჩი, ვერმიშევის თქმით, იგივე არორია. ამ უკანასკნელს ორხელასგან



10. სახვნელი იარაღების განვითარების სქემა

არსებითი განსხვავება აქვს. მაჩაბელი და ვერმიშევი ორხელას „კოკოშას" უმართებულოდ იმ სოლს უწოდებენ, რომელიც ამაგრებს ხელნას ქუსლში. ორივე ავტორს ორხელას ძირითადი მახასიათებელი ელემენტები (მოკლე მხარი, განიერტოტებიანი ხელნა) დასახელებული და აღწერილი არა აქვთ.

Haxthausen-ის ნაშრომში მოცემული ორხელას ჩანახატი დეტალებში შესწორებას მოითხოვს. გარდა ამისა არ არის მართებული Haxthausen-ის მოსაზრება თითქოს ორხელა კავკასიის ხალხებიდან მხოლოდ ოსებს მოეპოებოდეს (შდრ. კარტოგრამა) და რომ ეს სახვნელი («Sibir») კონსტრუქციულად მეკლენბურგის Hakenpflug-ის მსგავსია («ähnlich»). ავტორის ეს უკანასკნელი შეხედულება შეუწყნარებელია რამდენადაც Hakenpflug-ი განსხვავდება ორხელა გუთნისაგან მხარით, ქუსლით და ხელნებით (შდრ. სურ. 6 და სურ. 7).

Braungart-ი Haxthausen-ის ორხელას («Sibir») გუთურ სახვნელად მიიჩნევს. Braungart-ის შეხედულებაც მიუღებელია, ვინაიდან გუთური სახვნელი (გუთურად hoha) რუსული „სოხა"-ს სახის სახვნელი ყოფილა. ხოლო რუსული „სოხა" კონსტრუქციულად ორხელა გუთნისგან სავსებით განსხვავებული იარაღია.

ორხელა გუთნის შესანიშნავ ვარიანტს ზემობოლის სახვნელი წარმოადგენს. ის თავისი მოკლე და ხელნაში გაყრილი მხარით, ხმალათი, შოლტათი და მასში შესაბმელ ხართა რაოდენობით ბარულ გუთანს და მის ვარიანტს მესხურ ჯიღლას ემსგავსება. ყველა მონაცემის მიხედვით ის ბარულ გუთანში გადასვლის ერთერთი რგოლი უნდა ყოფილიყო.

ტერმინით „გუთანი" ქართლში აღნიშნება ბარის, მთის ძირის და მთის სახვნელი იარაღები. ზოგიერთ ქართველ ტომებში გუთანი სახვნელის ქუსლსაც ეწოდება. ეგეთე ტერმინი მოიპოება კავკასიელ ხალხებში,—სადაც ის ხევსურული აჩაჩის ტიპის სახვნელს აღნიშნავს. ის აქვთ სესხების გზით მიღებული სომხებს, თურქებს, აზერბაიჯანელებს, რომლებშიაც ის კომპლექსურ სახვნელს აღნიშნავს. მეგრულ ზღაპრებსა და ქართველ მთიელების უძველესი ხანის ტექსტებში ეს ტერმინი პრიმიტიულ სახვნელს ეწოდება, რაც ამ სახელის სიძველეს ამტკიცებს. ის გარემოება, რომ სომხებს, აზერბაიჯანელებსა და თურქებს გუთანი ნასესხები აქვთ ფამფალაკიანი სახვნელის აღსანიშნავად — ადასტურებს, რომ სესხება მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც „გუთანი" ფამფალაკიან სახვნელ იარაღსაც ეწოდებოდა. ამ დროს ხევსურულ აჩაჩას გავლილი ჰქონდა გზა პრიმიტიულ სახვნელიდან ბარულ გუთნამდე.

ქართველ ტომებს სახვნელი იარაღების გამოგონება-დაწინაურებაში არა მცირედი წვლილი აქვთ შეტანილი. ეს ეხება როგორც სახვნელი იარაღების სახეებს მთლიანად, ისე მათ შემადგენელ ნაწილებს, კერძოდ: ქუსლს, მხარს, საკვეთელს, ყურებს და სხვას.

დამტკიცებულია, რომ ქართული სახვნელის წრწენას წარმოშობა მეგრულ ფრჩხილიან სახვნელს და იმერულ ფრჩხილებიან-თვლებიან ურემს უკავშირდება, ხოლო ფამფალაკიან გუთანში მოცემული ღირღიტა იმერულ ფრჩხილებიან თვალს იმეორებს. წრწენიანი, მოკლე მხარიანი და შოლტიანი სახვნელების (რაჭული სახვნელი, ქსნური მთის-გუთანი, ზემობოლის ორხელა გუ-

თანი) არსებობის პირობებში ფრჩხილებიანი ურმის თვლების გამოყენება ბარული გუთნის მისაღებად—სახვნელი იარაღების შინაგანი განვითარების ერთადერთი შესაძლებელი გზა იყო.

ჩვენებური ბარული გუთნის ღერძ-თვლების რეტიის გალიიდან რომაელების მეშვეობით მომდინარეობა, მას შემდეგ რაც ჩვენი სახვნელი იარაღების შინაგანი განვითარების ფაქტი დადასტურდა, მიღებელია და უნდა მოიხსნას.

ქსნური მთის-გუთანი ზემოდასახული სახვნელი იარაღების განვითარების (პრიმიტიულ აჩაჩიდან—ბარულ გუთნამდე) ერთერთი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი შუალედი რგოლია.

Г. ЧИТАЯ

КСАНСКОЕ ГОРНОЕ ПАХОТНОЕ ОРУДИЕ

(РЕЗЮМЕ)

В специальной литературе до настоящего времени не выяснена конструкция Ксанского пахотного орудия и не установлено его место в истории развития пахотных орудий.

В Ксанском ущелье это орудие носит названия: mtis gutani (с. Дадианети—Хадилаани, Ревазиаани, Шалиант-кари, Цина-Дадианети), ačača gutani [с.с. Ларгвиси (Монастери), Харбали] и guton (с. Хромисцкаро).

Типичный экземпляр Ксанского горного пахотного орудия (см. рис. 2 и 3) состоит из следующих компонентов: mxari (грядиль), ǯǯčna (деревянный крючок), sacoravi („волокушка"), gutani (подошва), qelnebi (рукоятка), saxvneli (сошник), soli (клин) и gamosabmeli (подвязка). В горной полосе Ксанского ущелья эти названия встречаются в различных вариантах.

В конструкции Ксанского горного пахотного орудия в первую очередь обращает на себя внимание короткий грядиль, к головке которого прикреплен деревянный крючок. В процессе работы деревянный крючок ползет по земле. Другую особенность этого орудия составляет длинноветвистая, но с коротким стволом, рукоятка. Рукоятка такой конструкции дает возможность пахарю в процессе пахания поднимать и опускать рабочую часть пахотного орудия, подошву с сошником, сообразуясь с рельефом пашни. В условиях горного рельефа эта операция имеет существенное значение. Выполнение этой трудной процедуры, помимо своеобразной рукоятки, облегчается также коротким грядилем и деревянным крючком пахотного орудия.

Вышеуказанные функциональные особенности Ксанского горного пахотного орудия соответствуют тем требованиям, которые предъявляются к пахотным орудиям горным земледелием.

В Ксанском ущелье весьма наглядно представлены типы пахотных орудий, которые соответствуют требованиям условий не только горного, но и предгорного и долинного земледелия. Если в горной полосе мы имеем Ксанское горное пахотное орудие, то в предгории находим orxela gutani, а в долине фиксируем сложный тип орудия—baruli gutani (плуг).

Orxela gutani по существу есть то же, что и Ксанское горное пахотное орудие, у которого отсутствует лишь деревянный крючок. В предгориях Грузии это пахотное орудие имеем на Лиахве, Рионе, Храме и др. Сошники этого орудия специально заготовлялись и носили название saorxle.

В специальной литературе (М. Мачабели, Х. Вермишев, Haxthausen) этот вид пахотного орудия описан весьма туманно.

По Вермишеву orxela gutani от ačača отличает лишь ḳoḳoša. По его же мнению ačača есть ағог. Между тем, хорошо известно, что ағог по конструкции существенно отличается от ačača. Помимо этого и Мачабели и Вермишев ошибочно термином ḳoḳoša называют тот клин, который укрепляет рукоятку в подошве. У обоих авторов не названы и не описаны основные, существенные элементы пахотного орудия (короткий грядиль и длиноветвистая рукоятка).

Приведенный у Haxthausen'а рисунок orxela gutani в деталях требует уточнений. Кроме того, ошибочно утверждение Haxthausen'а будто бы orxela gutani из кавказских народов имеется только у осетин (см. картограмму). По Haxthausen-у это пахотное орудие («Sibir») по своей конструкции подобно (ähnlich) Мекленбургской сохе (Hakenpflug). Между тем Мекленбургская соха отличается от orxela gutani по форме грядиля, подошвы и рукоятки (см. рис. 6 и 7). Braungart orxela gutani «Sibir» считает готским пахотным орудием. Как известно, готское пахотное орудие (по готски hoha) должно было быть типа русской сохи. Русская соха по своей конструкции совершенно отлична от orxela gutani («Sibir»).

Интересным вариантом orxela gutani является Земобольское пахотное орудие. Последнее по своему короткому, одним концом закрепленному в рукоятке, грядилю, xmalai, šoltai, и количеством впрягаемых в нем волов—подобно комплексному пахотному орудию baruli gutani и его варианту месхийскому ǯilγa. По имеющимся данным можно предполагать, что это пахотное орудие является переходным звеном от примитивного пахотного орудия к комплексному.

Термином gutani в Карталинии обозначаются горное, предгорное и долинное пахотные орудия. У некоторых картвельских племен этим термином называют также подошву пахотного орудия. Этот же термин бытует и у других кавказских народов, в качестве названия пахотно-

го орудия хевсурского типа. У армян, азербайджанцев, турок он является заимствованным словом, которым обозначается комплексное пахотное орудие (baruli gutani). В мегрельских сказках и древних ритуальных текстах горцев-грузин термином gutani называется примитивное пахотное орудие, что указывает на древность этого слова. Употребление армянами, азербайджанцами и турками заимствованного слова в качестве названия плуга (пахотного орудия с передком) показывает, что заимствование произошло тогда, когда этим термином уже называлось комплексное пахотное орудие. К этому времени был пройден путь развития от xevsuruli ačači до baruli gutani.

Грузинские племена внесли свою лепту в дело изобретения и улучшения пахотных орудий. Сказанное относится как к отдельным видам пахотных орудий (см. Г. Читая, Рачинское похотное орудие, Известия ИЯИМК, т. I), так и к их отдельным частям, каковы подошва, грядиль, резак и др. (см. И. Джавахишвили, Экономическая История Грузии, т. I², Тбилиси 1930, Г. Читая, К истории пахотных орудий Грузии, Бюлл. Муз. Грузии, т. V, его-же, Рачинское пахотное орудие, Изв. ИЯИМК, т. I).

Нами приведено достаточно оснований для доказательства того, что происхождение деревянного крючка (ცეცეპა) имеет связь с мегрельским „полозным" пахотным орудием. С другой стороны, очевидно и то, что имеющееся в передковом плуге γiγita (колесо из цельного дерева) повторяет колесо имеретинской „полозной" арбы. Учитывая существование пахотных орудий с деревянным крючком (ცეცეპა), коротким грядилем и передком, šolṭa (рачинское пахотное орудие, кϵанское горное пахотное орудие и Земобольское пахотное орудие), можем констатировать, что использование колеса имеретинской „полозной" арбы для передкового комплексного орудия, являлось единственным путем внутреннего развития пахотных орудий.

Засвидетельствованный факт внутреннего развития пахотных орудий заставляет нас отклонить высказанное в научной литературе предположение о происхождении передка грузинского плуга из Ретийской Галии через посредство римлян.

На пути установленного развития пахотных орудий (от примитивного ačači—до комплексного плуга baruli gutani) Ксанское горное пахотное орудие и его варианты являются значительным связующим звеном.

G. ČITAIA

L'INSTRUMENT ARATOIRE DE MONTAGNE DE KSANI

(RÉSUMÉ)

La construction de l'instrument aratoire de Ksani n'est pas élucidée jusqu'à présent et sa place dans l'histoire du développement des instruments de labour n'est pas établie.

Dans le défilé de Ksani cet instrument porte les désignations: «mtis gutani» (Dadianeti-Khadilaani, Révasiani, Chaliante-Kari, Tsina-Dadianeti), «ačača gutani» (Largvissi [Monasteri], Kharbali) et «guton» (Khromis-Tskaro).

Un exemplaire typique de l'instrument en question se compose de: «mxari» (timon), «çrçeni» (crochet de bois), sacoravi («trainoir»), «gutani» (semelle), «qelnebi» (manche), «saxvneli» (soc), «soli» (coin) et «gamo sabmeli» (jarretière). Dans la zone montagneuse du défilé de Ksani ces noms se trouvent en diverses variantes.

Dans la construction de notre instrument c'est en premier lieu le court timon qui attire notre attention, à la tête duquel un crochet en bois «recen» est attaché. Au cours du travail le crochet traine par terre. Une autre particularité de l'instrument est le manche à longs rameaux, à tronc court. Un tel manche donne au laboureur la possibilité de relever, au cours du labour, et d'abaisser la partie ouvrière de l'instrument — semelle et soc — en se conformant au relief du champ labouré. Dans les conditions d'un relief montueux cette opération a une importance essentielle. L'exécution de cette procédure ardue est facilitée, à part le manche original, encore par le court timon ainsi que par le crochet de l'instrument.

Les susdites particularités fonctionnelles de l'instrument de Ksani correspondent aux exigences que l'agriculture des montagnards présente aux instruments aratoires.

Tous les types qui correspondent aux conditions de l'agriculture dans les montagnes, dans les vallées et au pied des monts, sont représentés clairement dans le défilé de Ksani. Gi dans la zone montagneuse nous avons l'instrument de montagne, nous trouvons au pied des monts «orxela gutani», et dans la vallée nous fixons le type compliqué «baruli gutani» (charrue).

Au fond, «orxela gutani» est la même chose que l'instrument de montagne de Ksani, si le manche manque. Au pied des monts nous l'avons sur la Liakva, sur le Rion, sur le Khrame. Les socs furent fabriqués spécialement et se nommaient «saorxle».

Dans la littérature spéciale (M. Matchabéli, Kh. Vermichev, Haxthausen) cette espèce est décrite d'une manière obscure.

D'après Vermichev ce n'est que «Kokoša» qui distingue «orxela gutani» de «ačača». D'après lui encore «ačača» est «aror». Cependant il est bien connu que «aror» et «ačača» sont essentiellement différents quant à leur construction. En outre Matchabéli ainsi que Vermichev ont tort quand ils nomment ačača le coin qui attache le manche à la semelle. Tous les deux ne nomment ni ne décrivent les éléments essentiels et fondamentaux de l'instrument (court timon et manche à longs rameaux).

Il faut préciser quelques détails du dessin de «orxela gutani», donné par Haxthausen. Erronée est aussi l'assertion de Haxthausen que «orxela gutani» n'existe que chez les Ossètes parmi les peuples du Caucase (cf. le cartogramme). D'après lui cet instrument («sibir») ressemble («ähnlich») dans sa construction à l'araire de Mecklembourg (Hakenpflug). Cependant celle-ci se distingue de «orxela gutani» dans la forme du timon de la semelle et du manche (voir fig. 2 et 8). Braungart tient «orxela gutani» et «sibir» pour l'instrument aratoire de Goths. Comme on sait, l'instrument gothique (en goth «hoha») devait appartenir au type de l'araire russe, et celle-ci diffère totalement de «orxela gutani» («sibir»).

Une variante intéressante de «orxela gutani» est l'instrument de Zemoboli. Celui-ci, avec son court timon «xmalai šoltai» dont un bout est fixé dans le manche de même qu' avec le nombre de boeufs attelés, ressemble à l'instrument complexe «baruli gutani» et à sa variante meskh «ǯilva». D'après les données dont nous disposons, ont peut supposer qu'il constitue une transition du primitif au complexe.

En Kharthalinie on se sert du terme «gutani» en parlant de l'instrument pour montagnes, pour collines et pour vallées sans distinction. Quelques tribus Kharthvéliennes l'adoptent aussi pour désigner la semelle de l'instrument. Le terme existe pareillement chez d'autres peuples du Caucase comme nom de l'instrument du type khevsour. Chez les Arméniens, les Azerbaïdjanis, les Turcs c'est un mot emprunté pour marquer l'instrument complexe (barili gutani). Dans les comptes mégréliens et dans les textes rituels d'avant l'ère chrétienne chez les montagnards géorgiens «gutani» marque l'instrument primitif, ce qui montre l'antiquité du mot. L'emploi par les Arméniens, les Azerbaïdjanis et les Turcs d'un mot emprunté comme nom de charrue (instrument aratoire avec avant-train) montre que l'emprunt a eu lieu, quand ce terme désignait déjà l'instrument complexe. Vers cette époque toute la voie du développement entre «xevsuruli ačači» et «baruli gutani» avait été accomplie.

Les tribus géorgiennes apportèrent leur obole en matière d'invention et d'amélioration des instruments aratoires. Cela concerne les espèces particulières des instruments (voir G. Tchitaia, L'instrument aratoire de Ratcha, Bulletin IJAIMK, vol. I) tout aussi que leurs parties séparées telles que: semelle, timon, coutre etc. (voir I. Djavakhichvili, Histoire économique de Géorgie, Thbilissi 1931; G. Tchitaia, A propos de l'histoire des instruments aratoires de Géorgie, Bull. du Musée de Géorgie, vol. V).

Nous avons amené assez d'arguments pour prouver que l'origine du crochet de bois (çeçena) a rapport avec l'instrument mégrélien «à patins». D'autre part il est évident que «γiγita» dont on dispose dans la charrue à l'avant-train (roue en bois tout d'une pièce), répète la roue de l'arba imérétien «à patins». En considération de l'existence des instruments aratoires ayant un crochet de bois, un court timon et un avant-train «šolta» (l'instrument de Ratcha, celui de Ksani et celui de Zemoboli), on peut constater que l'utilisation de la roue de l'arba imérétien «à patins» pour un instrument complexe à l'avant-train fut la seule voie possible pour le développement intérieur des instruments aratoires.

Le fait avéré du développement intrinsèque des instruments aratoires nous oblige de décliner la supposition énoncée dans la littérature scientifique sur l'avant-train de la charrue géorgienne comme provenant de la Gaule Rhétique par l'intermédiare des Romains.

Dans la voie du développement constaté des instruments aratoires (de «ačači» primitif à la charrue complexe—baruli gutani) l'instrument aratoire de montagne de Ksani et ses variantes se présentent au rôle d'un lien important.

რ. ხარაძე

ნათესაობის სისტემის საკითხისათვის ხევსურეთში

ხევსურეთში ნათესაობის სისტემის შესწავლის დროს, ჩვენი ყურადღება ტერმინ შინში-ს განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ მიიპყრო. თითონ ეს ტერმინი კარგა ხანია რაც ცნობილია ხევსურეთისა და ფშავის შესახებ არსებულს ლიტერატურაში. პროფ. აკაკი შანიძეს ის ახსნილი აქვს, როგორც „დეიდაშვილი, ზოგგან აგრეთვე ბიძაშვილიც“-ო[1]. ბეს. გაბურს შინში განმარტებული აქვს, როგორც „ბიძაშვილი“[2], ს. მაკალათიას, როგორც „ძმათა შვილი“[3], თედო რაზიკაშვილს—ფშაურისათვის, როგორც „დეიდაშვილი“[4], ხოლო ძველი ქართველი ლექსიკოგრაფის საბას მიერ ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „დეიდაშვილი და მამიდაშვილი“[5].

ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი ხევსურული სახელების სპეციალურმა შესწავლამ გამოარკვია, რომ ტერმინი შინში უპირველესად ყოვლისა ორგვარ — დედით და მამით მიმართულ—ნათესაობას გულისხმობს: ერთნი — დედით შინშებს, ე. ი. ღვიძლ და კოლატერალურ დათა შვილებს ანუ— დეიდაშვილებს წარმოადგენენ. მეორენი—მამით შინშებს, ე. ი. ღვიძლ და კოლატერალურ ძმათა შვილებს ანუ ბიძაშვილებს.

შინშებად ორივე სქესის შთამომავლობა ითვლება და ნათესაობა რამდენიმე თაობაზე გადადის. ნათესაური მუხლების მიხედვით შინშები შემდეგნაირად იყოფიან: პირველ-შინშნი ანუ წინა-შინშნი, მეორენ-შინშნი და მესამენ-შინშნი. ამგვარად, პირველ-შინშნი წარმოადგენენ ღვიძლ და კოლატერალურ დათა ან ძმათა შთამომავლობას, მეორენ-შინშნი მათ შვილებს, მესამენ-შინშნი მათ შვილიშვილებს და ასე შემდეგ. მაგრამ, აქ უკვე ერთგვარ დიფერენციაციასთან გვაქვს საქმე, რადგანაც დედით-შინშობაში, მხოლოდ ქალი შინშის შვილები შედიან, ე. ი. ნათესაობა მხოლოდ ქალით გადადის. მამით შინშობაში კი მხოლოდ ვაჟი შინშის შვილები შედიან და ნათესაობა უკვე მამაკაცით გადადის. არც დედის ძმის შთამომავლობა და არც მამის დის შთამომავლობა ამგვარ ნათესაობას არ ეკუთვნის.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, პოემები. ტფილისი, 1930, ტ. III. ლექსიკონი.

[2] ხევსურული მასალები, ბეს. გაბურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ. წელიწდეული, I—II. 1923 — 24, გვ. 312.

[3] ხევსურეთი. ტფილისი, 1935. გვ. 76.

[4] ივერია. 1900. № 151.

[5] ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1928.

სწორედ აქ იჩენს თავს აღნიშნული ნათესაური ჯგუფის თავისებურება და ის სპეციფიკურობა, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს. როგორც ვთქვით, შინშებად ორივე სქესის შთამომავლობა ითვლება, ხოლო ამგვარი ნათესაობის გამგრძელებლად კი ერთი ან მეორე გარკვეული სქესის შთამომავლობა. გენეალოგიური შტო აქ ზუსტად იცავს მატრილოკალურსა ან პატრილოკალურ ხაზს იმისდა მიხედვით თუ რომელ შინშობასთან გვაქვს საქმე: დედით-შინშებთან თუ მამით-შინშებთან. დედით-შინშების სამივე მუხლში შედიან როგორც ქალები ისე ვაჟები, მაგრამ ნათესაობის გამგრძელებლად ითვლება მხოლოდ ქალი, ისევე როგორც მამით-შინშობაში შტოს გამგრძელებლად მხოლოდ მამაკაცია წარმოდგენილი. სქემატური ნახაზი ამგვარი მატრილოკალური და პატრილოკალური ჯგუფების არსებობას კიდევ უფრო ცხადჰყოფს (იხ. სქემა).

ნახაზის ცენტრში წარმოდგენილია სუბიექტი, მარცხნივ და მარჯვნივ მისი შინშნი — დედით-შინშნი და მამით-შინშნი, როგორც ერთ ისე მეორე ნაწილში პირობითი ნიშნითაა წარმოდგენილი ქალი შინში (♀) და ვაჟი შინში (♂). მარცხენა — მატრილოკალურ შტოში ქალი შინშის შთამომავლობა შინშობის ხაზს მეორენ-შინშისა და მესამენ-შინშის სახით აგრძელებს, ვაჟი შინშის შთამომავლობა კი წყდება, რადგანაც მატრილოკალურ შტოში მოწინააღმდეგე — მამრობითი სქესი შინშობას ვეღარ აგრძელებს, რაც ნახაზზე ნოლით აღინიშნება. მარჯვენა ნაწილი, რომელიც პატრილოკალური შტოს ხაზით განვითარებული შინშობის სურათს იძლევა, მარცხენა ნაწილთან უკუღმა პროპორციონალურ დამოკიდებულებაშია, აქ შინშობას მამაკაცის შთამომავლობა აგრძელებს, ქალის შთამომავლობა კი გამორიცხულია, რაც სქემატურად ნოლებით გამოიხატება.

შინშობის ნათესაობითი ხაზის ასეთი ზუსტი ლოკალიზაციით აიხსნება სწორედ ის გარემოებაც, რომ არც დედის ძმის შვილები და არც მამის დის შვილები შინშებად აღარ ითვლებიან, რადგანაც თავისი ნათესაური დამოკიდებულებით დედის ძმის შთამომავლობა პატრილოკალურ გენეალოგიას ეკუთვნის, ხოლო მამის დის შთამომავლობა მატრილოკალურ გენეალოგიაში შედის. ამგვარ ნათესაობას აღწერითი ხასიათის ტერმინებით აღნიშნავენ. პირველ შემთხვევაში მათ დ ე დ ი ძ მ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს უწოდებენ, რაც სქემის მატრილოკალურ ჯგუფშია წარმოდგენილი, ხოლო მეორე შემთხვევაში — მ ა მ ი დ ა ი შ ვ ი ლ ე ბ ს, რაც სქემის პატრილოკალურ ჯგუფში შედის.

ამგვარი მატრილოკალური და პატრილოკალური ჯგუფები, როგორიცაა დედით-შინშები და მამით-შინშები, განსხვავდება აგნატიკური და კოგნატიკური სისტემის ნათესაობისაგან, რომელშიც განსაზღვრულია ნათესაობის განვითარების მხოლოდ პირველი მომენტი, რის გამოც კოგნატიკურ ნათესაობაში შედიან როგორც დედის დის შვილები, აგრეთვე დედის ძმის შვილებიც.

როგორც დავინახეთ, სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე დედით-შინშობისა და მამით-შინშობის განსაზღვრის დროს: დედით-შინშებს დედის ძმის შვილები არ ეკუთვნიან ისევე, როგორც მამით-შინშებს მამის დის შვილები არ წარმოადგენენ. აქ ნათესაური ხაზის ლოკალიზაცია ზუსტადაა ბოლომდე დაცული და ნათესაობის განვითარებას პარტო პირველი მოშენტი კი არ

ზინვალის მანათლებელი სქემა
დედის ძინძა
მამის ძინძა
დედიძა
დედა
მამა
მამიდა
(ლეკური და კოლატერალური)
(ლეკური და კოლატერალური)
(ლეკური და კოლატერალური)
(ლეკური და კოლატერალური)
დედიძაშვილები
პირველ ძინძანი
მეორენ ძინძანი
მესამენ ძინძანი
მამიდაშვილები
პირველ ძინძანი
მეორენ ძინძანი
მესამენ ძინძანი
Ego
♀ მდედრობითი სქესის ნიშანი
♂ მამრობითი სქესის ნიშანი

განსაზღვრავს, არამედ ნათესაობის მთელი სისტემა არის აგებული ქალისა ან მამაკაცის ხაზით ნათესაობის გავრცელების პრინციპზე, რასაც კოგნატიკური ნათესაობის ჩვეულებრივი სახე არ იცავს. ამ მხრივ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს სისხლის აღების სვანურ წესებში დადგენილი კოგნატიკური ნათესაობის გარდმონაშთები. წორ-ის განაწილება ქალის ხაზით მიმართულ ნათესაობაში იქ შემდეგნაირად ხდებოდა: მოკლულის დას აძლევდნენ ერთ ხარს, მისი შვილებიდან კი ვაჟებს მეტი ერგებოდათ ქალებზე, თუ ჰასუიშ-ს ვაჟები არ ჰყავდა, ნათესაობა ამ ხაზით უკვე II თაობაზე წყდებოდა, რადგან III თაობაზე ჰასუიშ-ნიბაშინ-ობა მხოლოდ ვაჟის ხაზით გადადიოდა და ქალის შვილები მემკვიდრეებად აღარ ითვლებოდნენ. მათზე წორ-ის განაწილება აღარ ვრცელდებოდა და აქ წყდებოდა უკვე ქალის ხაზით მიმართული ნათესაობა[1].

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში კოგნატიკური ნათესაობა თავის შიგნით ისევ აგნატიკურ ხასიათს ატარებს და ნათესაობის განვითარებაში პირველი მუხლის შემდეგ გენეალოგიურ ხაზს მამაკაცი განაგრძობს, რაც კოგნატიკური ნათესაობის ჩვეულებრივ სახედ ითვლება.

შინშობაში კი ნათესაური ხაზი არ იცვლება და, როგორც ვთქვით, დედით შინშობას მხოლოდ ქალის ხაზი აგრძელებს, მამით შინშობას კი ვაჟის ხაზი.

ამგვარად, აქ საერთო დასკვნად ის შეიძლება მივიღოთ, რომ შინშობა წარმოადგენს ორგვარი ხასიათის ნათესაობას, ერთის მხრივ დების შვილებს — დედით-შინშებს, ხოლო, მეორე მხრივ, ძმების შვილებს — მამით-შინშებს. არც დედის ძმის შვილები და არც მამის დის შვილები შინშებად არ ითვლებიან.

თითონ ტერმინი შინში ეტიმოლოგიურადაც არის საყურადღებო. ენიმკი-ს უფრ. მეცნ. თანამშრომლის თინათინ გონიაშვილის აზრით, ის ჩაჩნურ შიჩა-სა და ინგუშურ — შუჩა-ს პარალელი უნდა იყოს, რომელიც იქ ბიძაშვილის ცნების ზოგადი მნიშვნელობითაა დადასტურებული. მისივე აღნიშვნით, განსხვავებულია ამ ტერმინის სემანტიკა წოვურში: წოვური — შიჩლაც[2] შიჩა ნიშნავს 'დეიდაშვილს' და საერთოდ ერთი გვარის დათა ყოველგვარ შთამომავლობას (რომელიც რამდენიმე თაობამდე შეიძლება ადიოდეს) და არასოდეს — 'ბიძაშვილს'. ჩვენთვის ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საგულისხმოა. ში || შუ ძირი, რომელიც საერთოა ორივე ტერმინისათვის, ძმისა და დის ცნების გამომხატველი ძირია კავკასიურ ენებში, როგორც, მაგალითად, ჩაჩნურსა (და ინგუშურში) ჲ-ი-შა — და უ-ჲ-შა — ძმა[3]. ორივე შემთხვევაში ძირეული შა წარმოადგენს ძმისა და დის აღმნიშვნელ ზოგად სახელს, რომელსაც თავსართის სახით ემატება კლას-კატეგორიის კლას-ნიშანი: მდედრობითობის გამომხატველი ჲ — დისათვის და მამრობითობის გამომხატველი ვ (უ) — ძმისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის ანალიზის მიხედვით ამ ძირს ბგერითად სახეცვლილს ეხედებით ძმისა და დის აღმნიშვნელ თაბასარანულ და აღულურ სახელწოდებაში ჩი, დის აღმნიშვნელ წახურულ სახელში ჲი-ჩი; ძმის აღმნიშვნელ უდურ

[1] იხ. ჩვენი, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, ტფილისი 1939, გვ. 35.

[2] ლა || ლა' აქ სუფიქსია, რომელიც ჩაჩნ. ლუო-ს უდრის და მნიშვნელობით დაახლოებით ქართული ელ-ი-ს შესაბამისია.

[3] იხ. П. Услар. Чеченский язык. Этнография Кавказа II, ლექსიკონი. ტფილისი, 1888.

სახელში ვი-ჩი და დის აღმნიშვნელ ხუნ-ჩი-ში[1], რაც ცხადჰყოფს ჩი — ძირის ზემოთ ნაგულისხმევ მნიშვნელობას, როგორც ძმისა და დის ზოგადი ცნების გამომხატველისას, სადაც, ვიმეორებთ, დისა და ძმის აღმნიშვნელი სახელები სქესის გამომხატველი თავკიდური ბგერის მიხედვით არის დიფერენცირებული.

ხევსურული ტერმინი შინში, რომელშიაც, დაჩრდილულია, დისა და ძმის ცნება, მეორე ნაწილში ბგერითად განსხვავდება ჩაჩნურ-ინგუშურ-წოვურ შიჩა || შუჩა-საგან. თ. გონიაშვილის მიერ მოცემული ანალიზის მიხედვით ინგუშური ჩა გარკვეული სუფიქსია (სხვა სიტყვებშიაც იხმარება) და ან ელი || სეულის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ან და ზოგ შემთხვევაში ის უსქესო მიმართების ზოგადი სახელის მატარებელი უნდა იყოს, რომელიც ქართ. კაც-ბერ (კახაბერი) შვილს გააჩნია. დაღისტნის ენათა ზოგს დიალექტში ჩი ზოგადად კაცს აღნიშნავს.

ამგვარად შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ მსგავსად სხვა მოყვანილ კავკასიურ ენებისა ხევსურულ შინშ-შიაც ძირეული ში წარმოადგენს ძმისა და დის აღმნიშვნელ ზოგად სახელს, რაც შეეხება მეორე ნაწილის ეტიმოლოგიურ ამოხსნას, სათანადო დასაბუთების უქონლობის გამო ჯერჯერობით თავს ვიკავებთ რაიმე მოსაზრების წამოყენებისაგან.

რადგანაც ქართველურ ენებში შ ძირის მქონე სიტყვები 'დისა' და 'ძმის' მნიშვნელობით არ არის შემონახული და რადგანაც ხევსურული შინში-ს ძირითადი მნიშვნელობის მატარებელი ში კავკასიურ ენათა ენობრივი მასალის ნიადაგზე უნდა იხსნებოდეს, ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ხევსურული შინში-ს ძირითადი ელემენტი ში კავკასიურ და კერძოდ ჩაჩნურ-ინგუშურ-წოვეურ ენათა საერთო ძირის მქონე სიტყვას წარმოადგენს.

ტერმინის შესახებ წამოყენებული მოსაზრება თუ სწორი აღმოჩნდა, მაშინ შესაძლებლობა გვექნება დავასკვნათ, რომ სახელი შინში ინგუშურ-ჩაჩნური ტერმინების მსგავსად და || ძმის ცნების გამომხატველ ძირს შეიცავს.

აქ ჩვენთვის ორი რამ არის საყურადღებო:

I. რომ ტერმინი შინში სემანტიურად დისა და ძმის ზოგადი ცნების გამომხატველია.

II. რომ ტერმინი შინში შეიცავს ქართველურ და სხვა კავკასიურ ენებისათვის საერთო ძირს ში || ჩი-ს და ამდენად ქართველურ-კავკასიური ენების თავდაპირველი ნათესაობის ფენას ეკუთვნის, რაც თავისთავად ამ ტერმინის არქაულობას ამტკიცებს.

ხევსურული რჯული, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების არქაული საფეხურებისა და კერძოდ დედათა უფლებებზე დამყარებული ინსტიტუტის გარდმონაშთების გამოვლინების შესაძლებლობას იძლევა, შინშობის საყურადღებო ფაქტებს ადასტურებს.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი, 1937. გვ. 241 — 42.

მოსისხლეთა შერიგების დროს მოკლულის, როგორც დედით ისე მამით ნათესავები მკვლელისა და მათი ნათესავებისაგან „რიგის დაყენებას“, ე. ი. გარკვეული ნივთიერი სასყიდლის გადახდას მოითხოვენ. ამ მხრივ თითქმის არავითარი განსხვავება არ ჩანს აგნატიკური და კოგნატიკური ნათესაობის უფლებათა ნორმებში.

მკვლელის გვარს მოკლულის გვარისათვის უნდა დაეყენებინა „საგვარო“ ანუ „სალაშქრო რიგი“ და შემდეგ დედის გვარისათვის „სადედო რიგი“. ამას „საძმო“ ანუ „სამამით შინშო რიგი“ მოჰყვებოდა, რომელსაც მკვლელის საძმო იხდიდა და „სახლის რიგი“, რომელსაც მკვლელის სახლი იხდიდა. თითოეული „რიგის“ დროს გადასახდელი ჰქონდათ „დრამა“: 3 წლის მოზვერი, 3 ჩარექი სპილენძი (ქვაბით) და ორი საკლავი. ამასთან ერთად მკვლელის სახლი იხდიდა „სადო“ და „სამამიდო რიგს“, თითოეული ამ ნათესაური ჯგუფისათვის განკუთვნილი იყო ცხრა ცხვარი.

ამრიგად, „სადედო“ და „სადო რიგის“ არსებობა დედის ინსტიტუტის უფლებებზეა დაფუძნებული.

მიცვალებულთან დაკავშირებული ზოგიერთი წესი ასევე ააშკარავებს უძველესი ნათესაობის ცალკეულ მომენტს.

მიცვალებულის დოღში აუცილებელ მონაწილეებად წარმოდგენილი იყო: „დედი ძმის ცხენი“, „ნარევთა ცხენი“, „მამით-შინშთა ცხენი“, „დედით-შინშთა ცხენი“, „სოფლის ცხენი“, „ძმობილის ცხენი“, „დების ცხენი“, დანარჩენი კი „სამეტო ცხენებს“ შეადგენდა და მათი „გარევა“ „მკვდრის პატრონი“-ს სურვილზე იყო დამოკიდებული. დოღის დაწყებისას, მხედრები მიდიოდნენ მიცვალებულის სახლიდან დედი ძმებთან, დედით-შინშებთან, თუ მიცვალებული ვაჟი იყო — „ცოლეულებთან“, თუ მიცვალებული გათხოვილი ქალი იყო — „მამისახლში“. ყველგან მიცვალებულის შესანდობლად იყო დადგმული წინასწარ მომზადებული „ტაბლები“.

კოგნატიკური ნათესაობის სრულიად განსაკუთრებულ უფლებებზე მიუთითებს მიცვალებულის ტანისამოსთან დაკავშირებული წესი: მიცვალებულის „ტალავარი“ დასაფლავების მეორე დღეს — „პირი ჯსნისას“ იშლებოდა. ერთი წლის შემდეგ, როდესაც მიცვალებულთან დაკავშირებულ ყველა წესს შეასრულებდნენ, როცა „საქნარებ გადაიყრებოდ“-ა, აიღებდნენ „ტალავარს“, ერთ ხელს წაიღებდნენ „დედულთას“, ხოლო თუ ცოლიანი ვაჟკაცი იყო, მეორე ხელს „ცოლეურთას“, დედაკაცის „ტალავარი“ კი მარტო „დედულთას“ მიჰქონდათ. იქ არაყს დაამზადებდნენ, მიცვალებულს შენდობას ეტყოდნენ და „ტალავარს“ მოიხმარდნენ. ამას „ტალავართ წაღებაჲ“ ერქვა. ნათესაური ურთიერთობისა და უფლება-მოვალეობათა ნაწილობრივი მიმოხილვაც კი უკვე ცხადჰყოფს ხევსურეთში დედით ნათესაობისა და მასთან ერთად როგორც დედით, ისე მამით შინშების განსაკუთრებული მნიშვნელობით არსებობის ფაქტს.

როგორც პროფ. ს. ჯანაშიამ მიგვითითა[1], საყურადღებოა ისიც, რომ სხვა კულტურულად მონათესავე კავკასიელ ტომებში და კერძოდ, ინგუშებში

[1] ცნობის მოწოდებისათვის პროფ. ს. ჯანაშიას მადლობას მოვახსენებთ.

ნათესაობას ანგარიშობენ, მამის ხაზის გარდა „დედის დედის“ ხაზითაც; უკანასკნელი ხაზის ნათესავები ინგუშის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობენ[1].

შინშები რომ მხოლოდ მამის ძმათა შვილებს წარმოადგენდნენ, მაშინ ზემოთ მოყვანილი უფლება-მოვალეობანი აგნატიკური გვარის სპეციფიკურ მოვლენად ჩაითვლებოდა და არავითარ ახალ ახსნას აღარ მოითხოვდა, მაგრამ როდესაც შინშებად დედის დების შვილებიც ითვლებიან, საკითხს უკვე სხვაგვარი ახსნა ესაჭიროება. ამ მხრივ მამის გვარის დადგენასთან ერთად მატრიარქატის გარდმონაშთების დამოწმებაც ვერ სწყვეტს საკითხს. საჭირო ხდება იმ მიზეზებისა და პირველ რიგში იმ საოჯახო ფორმის გამორკვევა, რომლის დროსაც ამგვარი ნათესაობა უნდა ჩასახულიყო.

როგორც ზემოთ ვნახეთ, შინშობაში გაერთიანებულია ერთი მხრივ ღვიძლ და კოლატერალურ დათა შთამომავლობა და მეორე მხრივ—ღვიძლ და კოლატერალურ ძმათა შთამომავლობა.

ამგვარად, აქაც, მსგავსად სვანური „ლამხუბ“-ისა და „ლაუდილა“-სი, მოცემულია ერთის მხრივ დების, ხოლო მეორე მხრივ ძმების გაერთიანება, იმ განსხვავებით, რომ სვანურში ეს შენარჩუნებულია დებისა და ძმების დიფერენცირებული ჯგუფების გამომხატველი ტერმინებით[2], ხოლო ხევსურეთში კი ამ დიფერენცირებულ ჯგუფთა შთამომავლობის სახით.

ცნობილია, რომ ამგვარი ჯგუფობრივი ნათესაობის განვითარების საფეხურზე, ინდივიდუალური შეუღლების ნაცვლად ჯგუფობრივ შეუღლებასთან გვქონდა საქმე, როდესაც მონათესავე ქალების ერთი ჯგუფი წარმოადგენდა მეორე ჯგუფის მამაკაცთა ცოლებს; ამგვარად, ყოველი ქალი ამ გარკვეული ჯგუფისა იყო მეორე ჯგუფის მამაკაცთა ცოლი, ამიტომ ყველა ამ ქალების შვილები იყვნენ მთელი ჯგუფისა და არა ინდივიდის შვილები, ხოლო ერთმანეთისათვის ყველანი დები || ძმები.

ოჯახის აღნიშნული ფორმა წარმოადგენს გვაროვნული წყობილების უძველესი ხანისათვის (კოგნატიკური გვარისათვის) დამახასიათებელ სახეს — punalua-ს, რომლისაგანაც სრულიად ბუნებრივად განვითარდა თურანულ-ჰანოვანური ნათესაობის სისტემა.

მ ო რ გ ა ნ ი ს მიერ მოცემული თურანულ-ჰანოვანური ნათესაობის სისტემის სქემიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ორი მომენტი, რომელიც აქვე მოგვყავს:

I. მამა ჩემის ღვიძლ თუ კოლატერალურ ძმათა ყველა შვილი, ისევე, როგორც დედა ჩემის ღვიძლ თუ კოლატერალურ დათა შვილები არიან ჩემი ძმები და დები. ახსნა ამ შემთხვევაში ასეთია: ყველა ძმა მთელი ამ შთამომავლობის საერთო მამაა, თუმცა დედის მხრივ ისინი განსხვავდებიან, მაგრამ იმდენად, რამდენადაც დედის დები არიან ამავე დროს მამისა და მისი ძმების ცოლები, ამდენად დედის დის შვილებიც არიან მამით გაერთიანებული და-ძმანი.

[1] Н. Ф. Яковлев, Ингуши, 1925, გვ. 44.

[2] იხ. ჩვენი, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, ტფილისი 1939, გვ. 80.

II. ყველა შვილი ჩემი ღეიძლი თუ კოლატერალური ბიძისა (ბიძა აქ იგულისხმება მხოლოდ როგორც დედის ძმა. რ. ხ.) არის ჩემი ბიძაშვილი, ისევე როგორც მამიდების ყველა შვილი არის ჩემი მამიდაშვილი[1]. ახსნა აქ ასეთია: თურანულ-ჰანოვანური ნათესაობის სისტემა წარმოშვა გვაროვნული წყობილების დროს გაჩენილმა ოჯახმა, რომლის დროსაც არსებული ექსოგამიის გამო და-ძმანი მალაიური სისტემის მსგავსად ვეღარ შეუღღდებოდნენ და და-ძმის შთამომავლობა ერთის მხრივ დედისა და დედიძმის შვილების, ხოლო მეორე მხრივ მამისა და მამის დის შვილების სახით ვეღარ გაერთიანდებოდა.

ამგვარად, თურანულ-ჰანოვანური სისტემა, რომელიც წარმოშვა საოჯახო ფორმის სრულიად გარკვეულმა სახემ — punalua-მ, აერთიანებდა, და-ძმათა სახით, ერთის მხრივ დათა, ხოლო მეორე მხრივ ძმათა შვილებს. ვერც დედის ძმის შთამომავლობა და ვერც მამის დის შთამომავლობა ამ გაერთიანებაში ვერ შევიდოდა. ზემოთ განხილული სახე ხევსურული ნათესაობისა ასევე აერთიანებს ერთის მხრივ დედისა და მის დათა შთამომავლობას, ხოლო მეორე მხრივ — მამისა და მის ძმათა შთამომავლობას დედით-შინშებისა და მამით-შინშების სახით.

ამგვარად, შინშები წარმოადგენენ ერთის მხრივ ქალთა ნათესაური ჯგუფისა, ხოლო მეორე მხრივ მამაკაცთა ნათესაური ჯგუფის შთამომავლობას, რომლებიც დებისა და ძმების დამოკიდებულებაში იმყოფებიან. მაგრამ, სანამ ამგვარ დებულებას საბოლოო დასკვნად მივიღებდეთ, საჭიროა ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობის გარდმონაშთების პოვნა ხევსურეთში.

საბუთი იმისა, რომ ძველად ხევსურებში ჯგუფობრივი და არა ინდივიდუალური ცოლ-ქმრობა არსებობდა, უპირველესად ყოვლისა ისტორიულ წყაროებში მოგვეპოვება. თამარ მეფის ისტორიკოსი აღნიშნავს დიდოელებისა და ფხოველების შესახებ, რომ „მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყუანებენ ცოლად“-ო[2]. პროფ. ს. ჯანაშია, რომელიც ამ ცნობას იყენებს თავის შრომაში: „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, შენიშნავს, რომ „ფხოველები დღევანდელი ფშაველები და, განსაკუთრებით, ხევსურებია“[3]. ეს უეჭველად ფრიად საყურადღებო საბუთია იმისა, რომ ძმათა ჯგუფი თანასწორი უფლებებით სარგებლობდა ცოლად მოყვანილ ქალზე. მარტო ამ ცნობის მიხედვით ძმათა შვილები, რომლებიც ამავე დროს ერთი დედის შვილები იქნებოდნენ, ერთიმეორესთან ძმებისა და დების დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ.

გარდმონაშთის სახით ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობის ცალკეული მომენტების არსებობას ხევსურეთში სწორფრობის ზოგიერთი წესიც ააშკარავებს. სწორფრობის საკითხი ცალკე დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ხევსურეთში არსებული უძველესი საოჯახო ფორმის საკითხის გარკვევასთან, მისი ნაწილობრივი განხილვა ამ შემთხვევაში მაინც აუცილებლად მიგვაჩნია.

---

[1] Л. Морган, Древнее общество, Ленинград, 1934, გვ. 255.

[2] ქართ. ცხ. მარიამისეული ვარიანტი, გვ. 527.

[3] იხ. მისი, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. ტფილისი, 1937, გვ. 99.

ხევსურული სწორფრობა უპირველესად ყოველისა ორ ძირითად მომენტს შეიცავდა: ერთი მათგანი მოყვრობითი ნათესაობის გარკვეული ჯგუფებისათვის „წოლა-დგომას“ სავალდებულოდ ხდიდა. იძულებითი სწორფრობის ცალკეულ შემთხვევებს კი „ხალ-ქმრეულობა“ და „სიძე-ცოლისდობა“ წარმოადგენდა. დანიშვნის შემდეგ ქალი უკვე „ზლად“ ითვლებოდა, ვაჟის სოფლისა და გვარისათვის. პატარაობიდანვე „ზალს“ „ქმრეულები“ განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ. თუ მას სადმე სმაში შეხვდებოდნენ, არაყიან ყანწს ან ლუდიან თასს მიართმევდნენ, რასაც „პატივი“ ეწოდებოდა — „პატივი მიართვეს ზალსა“-ო.

თუ ქალი თავისი მხრიდან „ქმრეულებს“ ყურადღებით არ მოექცეოდა, ეს უკვე ქმრის დაწუნებას უდრიდა. ასეთ ქალზე იტყოდნენ: „უხათროთ იქცევა, ალბათ მწუნობარია“-ო. რაიმე შემთხვევის გამო „ზლის“ ოჯახში რომ „ქმრეულები“ მივიდოდნენ, მაგალითად, „მთიბელ-მამკალში“, „მჩეჩელში“, „ქორწილში“, „მკვდრის ხარჯებზე“ ან არაყით — თითონ ქალთან „საქმრეულოდ“, „ზალი“ „ნაკლები“ ქალიც რომ ყოფილიყო, „ქმრეული“ ვერ ეტყოდა უარს „წოლა-დგომაზე“, ასევე „ზალიც“, რაც უნდა კარგი ქალი ყოფილიყო — „დღიანი“, „სწორფრიანი“ და „თავმომწონე“, „ქმრეულთან“ დაწოლაზე უარს ვერ იტყოდა. თუ ქალი მაინც გაბედავდა უარის თქმას, მას მშობლები რისხვით ეტყოდნენ: „შენ გეტყობის რო ეშმაკზე ხარ შემჯდარი; ის გირჩევ საქანათ არ გაგიგდან — ციგამ არ გაგაცუროსო[1] — ქალ მძიმედ უნდა იყვას; ქმრეულებ ზალთან ზლის ხალიზით დიან, შენ რაით მეტი ხარ მაგაზედ, თუნდა მეტიც იყე, თავის სიავ-სიკეთეს ეგ შენ არ მაგაკრავს. მაგასთან რო არ დასწე, მაგას თავისობას დააკსონდების. ღამითაც დაღონდ, დილა ქვე აზდგებიდ, დაგცილდების, სიკეთე ქვე დაგრჩების. ქალ-ზალს ყველასთან კარგად მაქცეა ხვდების. ვის გაუგონავ ქრმეულების რჩევაი, მინდოდ არ მინდავ, განა სწორფერი ას. ისიც ქმრეულობით წვების შენაც — ზლობით დაწევი“-ო[2]. ასეთი დატუქსვის შემდეგ ქალი იძულებული იყო დათანხმებულიყო. თუ „ქმრეულები“ „ზლის“ სახლში იყვნენ, მაშინ ქალს „ელჩი“ არ სჭირდებოდა, ქმრის სახლში კი „წოლა-დგომა“ „ელჩის“ შუალობით ხდებოდა. „ქმრეულთან“ მისული ქალი მას მორიდებით შეეკითხებოდა: „შენ იქნება ჩემთან დაწოლა არ გწადისად, ხათრით სწვები. მე არ მეწყინების თუ მეტყვი, წაოლად' სხვა ქალს მავიყონ. ჩემთან ხათრით ნუ დასწვები“. ვაჟიც თავისი მხრიდან ასევე ეკითხებოდა[3].

როდესაც ქორწილის დროს ქალს ვაჟის სახლში მიიყვანდნენ, მას სოფლელებთან, გვარელებთან და ქმრის ძმა-შინშთან მორიგეობით აწვენდნენ. ყველაზე მეტად სოფლელებს იხათრებდნენ და ამიტომ „ზალ-ქმრეულობა“ ჯერ სოფლელებთან ხდებოდა და შემდეგ უკვე ახლო ნათესავებთან.

აქვე მოგვაგონდება ჰეროდოტეს ცნობა ნასამონების შესახებ. მისი გადმოცემით, ნასამონებს ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობა ჰქონიათ. თუ რომელიმე ნასა-

[1] ე. ი. არ ამჩატდეო—რ. ხ.

[2] ნათელა ბალიაური, „სწორფრობა არხოტსა და პირაქეთ ხევსურეთში“. ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების მასალებიდან.

[3] იქვე.

მონი ქალს ირთავდა, მის საცოლეს უნდა შემოეცლო სტუმრები და თვითეულ მამაკაცთან სქესობრივი კავშირი დაეჭირა, რაშიაც ეს უკანასკნელნი სახლიდან წამოღებულ საჩუქრებს სთავაზობდნენ ქალს[1].

„სიძე-ცოლისდობა“, რომელიც ხევსურეთში „ელჩის“ შუალობით ხდებოდა, ასევე ეკუთვნოდა სწორფრობის იძულებით მხარეს. „ზალ-ქმრეულობის“ მსგავსად ეს უკანასკნელიც ქორწილისა და სხვა შეკრებილობის დროს სრულდებოდა, და სიძისა და მისი ცოლის ან საცოლეს შინშთა, „განაყოთა“[2] და სოფლის ქალებთან „წოლა-დგომაში“ მდგომარეობდა.

ქორწილი ვაჟის სახლში შვიდი დღე და ღამე გრძელდებოდა, რომლის განმავლობაში შეიძლებოდა რომ ქმართანაც ჰქონოდა ქალს „წოლა-დგომა“; მაგრამ სავალდებულოდ ეს არ ითვლებოდა. ქორწილის შემდეგ ე. წ. „ახალ-უხალს შაჰყრიდეს“.

„ახალ-უხალი“ მეტად საყურადღებო წესს წარმოადგენს, რომელსაც ბევრი პარალელი მოეძებნა როგორც ქართველ ისე სხვა კავკასიელ ტომთა ცხოვრებიდან (იხ. მაგ., მ. კოვალევსკის მიერ მოცემული ფშაველის აღწერა: „Законъ и обычай на Кавказе“. მოსკოვი, 1890, ტ. II, გვ. 98; ჩარდენის აღწერა პოტოცკის მიერ: Voyage dans les steps d'Astrakhan et du Caucase. კლაპროთის გამოცემა. პარიზი, 1829, ტ. II, გვ. 164).

საყურადღებოა ამ მხრივ თითონ ტერმინიც, რომელიც უპირველესად ყოველისა ახალგაზრდებს ნიშნავს და ამ შემთხვევაში ახალგაზრდობის შეყრას გულისხმობს. ბეს. გაბური ამ ტერმინს განმარტავს, როგორც: „ახალ ვაჟები, ტოლ ამხანაგები“[3]. პროფ. აკ. შანიძე, როგორც „ახლები — ახალგაზრდები“[4]. ამგვარად, ორივე შემთხვევაში განმარტებულია ამ ტერმინის მხოლოდ ერთი ძირითადი ცნება. ს. მაკალათია წერს: „ახალ-უხალი — ლხინია“-ო[5]. ამგვარი განმარტება სიზუსტეს არის მოკლებული, რადგან „ახალ-უხალი“ ახალგაზრდობის სრულიად გარკვეულ პირობებში შეყრას გულისხმობს, რომლის დროსაც გართობა-მხიარულებასაც აქვს ადგილი, მაგრამ მისი არსებითი მხარე ლხინში-კი არ მდგომარეობს, არამედ უმთავრესად „ზალ-ქმრეულებისა“, „სიძე-ცოლისდების“-ა და ძმობილების[6] შეხვედრას შეიცავს.

„ახალ-უხალი“ იკრიბებოდა ქორწილის გარეშეც, განსაკუთრებით, „ახალ-ზლისათვის“, მისი მოყვანის შემდგომ, ერთი ან ორი წლის განმავლობაში. „ახალ-ზალთან“ გროვდებოდა მთელი სოფლის ახალგაზრდობა, სადაც განსაკუთრებულ მხიარულებაში ატარებდნენ დროს: მღეროდნენ, ლექსაობდნენ ფანდურზე, მართავდნენ „ფერჯისას“ და სხვა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ამ დროს საკუთარი არჩევით ერთიმეორეს გვერდით სხდებოდა, ამის შესახებაა ნათქვამი:

[1] Геродот, История в девяти книгах (ფ. მიშენკოს თარგმანის მიხედვით) 1885, IV. § 172. გვ. 373 — 374.

[2] განაყოს უწოდებენ ერთმანეთს ერთი გვარის ქალები. ერთი გვარის კაცებზე კი სახლისკაცები ითქმის.

[3] ხევსურული მასალები. წელიწდეული, I—II; 1923—24, გვ. 262.

[4] ვაჟა-ფშაველა ტ. III, პოემები, ტფილისი, 1930. ლექსიკონი.

[5] ხევსურეთი, 1935, გვ. 271.

[6] ძმობილად იწოდება, როგორც სწორფერი ვაჟი ისე ქალი.

„შაყრილა ახალ-უხალი, ვის ხყავის კაი ქალია, გარმოანათეს სანთელი, ყველას მავალი თვალია, ყველას გვერდ ეჯდა ძმობილი თავ-თავის შასადარია!“[1].

„ახალ-ზალი“ თავის ქმრეულებთან ჯდებოდა, ხოლო მისი ქმარი სულ ვერ მიიღებდა „ახალ-უხალში“ მონაწილეობას.

მოლხენის შემდეგ „ახალ-უხალი“ იშლებოდა, მასპინძლებს თითონ მიჰყავდათ სტუმრები თავიანთ სახლებში, ელჩები „წოლა-დგომის“ საქმეს აწესრიგებდნენ. ამგვარად, „ახალ-უხალში“ „ზალ-ქმრეულობის“ გარდა ძმობილების „წოლა-დგომა“-ც ხდებოდა.

რით უნდა აიხსნებოდეს მოყვანილი წესი დამოყვრებისა თუ არ საოჯახო ფორმის უძველესი საფეხურის მომენტების შემონახვით, როდესაც მთელი ჯგუფი ქალებისა მეორე ჯგუფის მამაკაცთა ცოლებს წარმოადგენდა, რაც უკვე შემდეგში სიმბოლურად იქმნა შემონახული თვით ქორწინების წესში — „ზალ-ქმრეულობისა“ და „სიძე-ცოლისდობის“ სახით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხევსურეთში სწორფრობის ცალკეულ მომენტებში გარდმონაშთის სახით არის ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობის ცალკეული ელემენტები შენარჩუნებული.

ჯგუფობრივმა ცოლ-ქმრობამ ნათესაობის სრულიად გარკვეული სისტემა წარმოქმნა, რომლის მიხედვითაც ერთის მხრივ დებისა, ხოლო მეორე მხრივ ძმების შვილები უახლოეს ნათესავებს დედით-შინშებსა და მამით-შინშებს წარმოადგენენ.

ამგვარად, დავასკვნით, ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი ტერმინი შინში უძველესი ნათესაობის ერთ-ერთი გამოსახულებაა, როდესაც ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობა თავისი შთამომავლობის სახით უახლოეს ნათესაურ ჯგუფებს — „ძმათა“ და „დათა“ სახით—ჰქმნიდა.

ნათესაობის აღნიშნული კატეგორია ყველა იმ თავისებურების დაცვით, რომელიც მას ხევსურეთში ახასიათებს, თურანულ-ჰანოვანური ნათესაობის სისტემის მსგავსია.

Р. Л. ХАРАДЗЕ

К ВОПРОСУ СИСТЕМЫ РОДСТВА У ХЕВСУР

(РЕЗЮМЕ)

В хевсурской номенклатуре родства термин «šinši» выражает недифференцированное понятие коллатерального брата || сестры.

Имея как матрилокальный, так и патрилокальный характер, «šinšni» делятся на «dedit šinšni» и «mamit šinšni». Представляя таким образом с одной стороны детей родных или коллатеральных сестер, а с другой стороны детей родных или коллатеральных братьев, указанная форма родства исключает детей брата матери и детей сестры отца.

[1] ჩაწერილია 1938 წ. არხოტის საზოგადოებაში, სოფ. ახიელაში, გარსია ოჩიაურისაგან.

Все это родство, называемое «šinšoba», доходит до III — IV колена, переходя в матрилокальной части только через женщин, в патрилокальной же—только через мужчин.

Термин «šinši» имеет параллели в некоторых кавказских языках: чеченское — šiča, ингушское — šučä, бацбийское — šičə и т. д. В указанных языках семантическая сущность этого общего корня ši выражает понятие брата ‖ сестры.

Пережитки кровной мести, обряды, связанные с покойником, и т. д. выявляют отдельные моменты когнатического родства у хевсур, а наравне с этим и правовое значение — «šinšoba».

Существование у хевсур указанной системы родства ставит вопрос о необходимости разъяснения соответствующей ей формы семьи.

Допущение в данном случае генетической связи указанной системы родства с особой формою группового брака подтверждается, с одной стороны, исторической справкой об общности жен между братьями у древних хевсур-пховелов, с другой же стороны чрезвычайно любопытным этнографическим материалом, выявляющим нормы древнейшего брака. По обычаю хевсур, после помолвки молодые обязаны были осуществлять т. н. «zal-kmreuloba» и «size-colisdoba», заключающееся в символически выраженном половом общении невесты с группой родственников жениха или мужа и жениха с группой родственниц невесты или жены. Встречи эти осуществлялись, как до свадьбы, так во время свадьбы и после нее, главным образом, на специально устроенных „посиделках“, называемых у хевсур «axal-uxali».

Возможно такого рода пережитки указывают на существование особого вида группового брака, подобного типу семьи punalua.

Эта форма семьи, в свою очередь, могла создать родство, объединяющее детей сестер — общим отцом, а также детей братьев — общей матерью, в виде однокровных или одноутробных братьев ‖ сестер, подобно Турано-Ганованской системе родства.

R. L. KHARADZE

A PROPOS DU SYSTÈME DE PARENTÉ CHEZ LES KHEVSOURS

(*RÉSUMÉ*)

Dans la nomenclature Khevsoure de parenté le terme «šinši» exprime une notion non-différenciée de frère ‖ soeur collatéraux.

Ayant un caractère matrilocal ainsi que patrilocal, „šinšni“ se divisent en «dedit šinšni» et „mamit šinšni“. La susdite forme de parenté exclue les enfants du frère de la mère et ceux de la soeur du père, tandis qu'elle représente

d'une part les enfants des soeurs germaines ou collatérale et d'autre part ceux des frères germains ou collatéraux.

Toute cette parenté, nommée „šinšoba", remonte au III — IV degré, passant dans la partie matrilocale seulement par les femmes et dans la partie patrilocale seulement par les hommes.

Le terme «šinši» a ses parallèles dans certaines langues caucasiennes: le tchetchène — „šiča", l'inngouche — „šuča", le batsbi — „šičə" ete. L'essence sémantique de la racine commune „ — ši" exprime la notion de frère || soeur.

Les survivances de la vendetta, les cérémonies autour d'un défunt etc sont des moments isolés de «cognat» chez les Khevsours; en même temps elles montrent la valeur juridique de l'institution „šinšoba".

La présence de ce système de parenté chez les Khevsours pose la question de la nécessité d'élucider la forme de famille qui lui correspond.

L'admission, dans ce cas, du lien génétique entre le susdit système de parenté et la forme particuliere du mariage par groupes se trouve corroborée d'une part par des informations historiques sur la communauté des femmes entre les frères chez les anciens Khevsours-Pkhovels et d'autre part par des matériaux ethnographiques bien curieux qui éclaircissent les normes du mariage ancien. Selon l'usage des Khevsours, après les fiançailles les futurs devaient remplir le „zal-kmreuloba" et le „size-colisdoba", c'est-à-dire l'expression symbolique du coitus de la fiancée avec le groupe de parents du fiancé ou du mari et de la part du fiancé avec le groupe de parents de la fiancée ou de l'épouse. On accomplissait ces rencontres avant, durant et après le mariage, surtout pendant les veillées spécialement arrangées et nommées „axal-uxali".

Il est possible que ces survivances témoignent l'existence d'une forme particulière du mariage par groupes, semblable au type de famille „punalua".

Cette forme de famille pouvait à son tour créer une affinité qui unifiait les enfants des soeurs par un père commun et ceux des frères par une mère commune, comme frères || soeurs consanguins ce qui ressemble, dans son type, au système de parenté existant chez les Touranes-Hanovanes.

М. ПОЛИЕВКТОВ

К ВОПРОСУ О СНОШЕНИЯХ РОСТОМА КАРТАЛИНСКОГО С МОСКВОЮ

Завязавшиеся в последней четверти XVI в. регулярные московско-грузинские дипломатические взаимоотношения, сосредоточивавшиеся первые десятилетия почти исключительно на сношениях Москвы с Кахетией, в XVII в. перерастают в сношения почти со всеми главными политическими центрами Грузии того времени. Такому усложнению московско-грузинских взаимоотношений не мало способствовала та политика, какую вел в это время Теймураз I кахетинский. Утесняемый Ираном, он всячески старался о создании общегрузинского военного соглашения для борьбы, при активной помощи Москвы, с обоими внешними врагами Грузии—и Ираном, и Турцией. Теймураз находил в этом сочувствие и поддержку у своего зятя, Александра имеретинского, давшего ему убежище в годы его изгнания шахом из кахетинских владений. Одним из первых шагов такого соглашения должно было быть, по программе Теймураза, воссоединение под его властью Кахетии с Карталинией и изгнание из Карталинии шахского ставленника, принявшего магометанство царя Ростома. Никогда не упускавшая случая упрочить свое влияние в Грузии, Москва не хотела, однако, из-за грузинского вопроса обострять, до поры до времени, свои добрососедские отношения с Ираном и потому относилась к такой определенно антииранской программе Теймураза более чем сдержанно. Самое большее, на что она шла, это был путь мирного посредничества между Теймуразом и шахом, да и то при условии предварительного его «учинения в верности» московскому царю в форме так называемой «крестоцеловальной записи» и присылки в Москву одного из кахетинских царевичей [1].

Какую позицию во всей этой дипломатической борьбе занимал сам Ростом карталинский?—документальные источники по истории грузино-рус-

[1] Подробнее о всем этом см. в публикациях Тбилисского Государственного Университета имени Сталина: Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640. Тбил. 1937; Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию; 1640—1643, Тиф. 1928, и Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию; 1650—1652, там же 1926.

ских дипломатических взаимоотношений, какими для XVI и XVII вв. являются так называемые «грузинские дела» Посольского приказа, ничего об этом не говорят, но в «персидских делах» того же приказа сохранилось дело об отправлении им в 1652 г. посольства в Москву.

Дело о прибытии в Москву «шаховы области тефлисского Урустон [Урустан, Аростап]—ханова послапника Магмет-хан-бека» дошло до нас, к сожалению, в отрывке. Сохранилось только несколько донесений, «отписок» городовых воевод, кн. Михаила Пронского и его брата Ивана из Астрахани и Алексея Чирикова из Саратова, в порядке получения этих отписок в Москве, о пути следования посольства от Терека до Саратова, и переписка некоторых московских центральных учреждений (судя по именам адресатов—Приказа Большого прихода, Земского и Стрелецкого) об испомещении посольства в Москве.

На основании всех этих документов весь путь посольства от Терека до Москвы прослеживается весьма точно. Прибыв на Терек в июле 1652 г., посольство Магмет-хан-бека, в составе 12 человек (сам посол, 1 толмач и 10 человек свиты), было отправлено отсюда в Астрахань, куда и прибыло к 21 августа, и двинулось отсюда дальше водою 21 сентября. На пути между Царицыном и Саратовым против Даниловского острова, не доезжая до Саратова верст с полтораста, посольство вынуждено было выгрузиться на правом берегу, на пустынном месте; очевидно произошла какая-то авария. Здесь ему угрожало зазимовать, если бы саратовский воевода не оказал ему помощи. Посольство было доставлено в Саратов 3 декабря и в ожидании ледостава (Саратов в то время лежал на левом берегу Волги) и открытия зимнего пути на Темников—Москву оставалось здесь до конца декабря. Оно прибыло в Москву к 30 января 1653 г.[1].

Чем руководствовался Ростом, отправляя в 1652 г. своего посла в Москву? Об этом дошедшие до нас обрывки означенного дела нам ничего не говорят. Некоторые данные для ответа на этот вопрос мы находим у Толочанова и в известном «Проскинитарии» Арсения Суханова[2].

В бытность Толочанова в Кутаиси, с ним завязал сношения через тбилисского «торгового человека армянина Шешу», русский иконописец («иконник») Иван Данилов, работавший в это время в Тбилиси у жены

[1] Интересно сопоставить с этими датами маршрута посольства Магмет-хан-бека даты обратного пути из Имеретии посольства Толочанова, с которым вместе шли имеретинские послы Ломкаци Джапаридзе и архим. Евдемон, и с которым посольства Магмет-хан-бек имело, повидимому, какую-то связанность. Оставив Имеретию (Кутаиси) 10 октября 1651 г., посольство Толочанова прибыло на Терек к 30 ноября и оставалось здесь до 7 марта 1652 г., когда двинулось дальше, тем же путем на Астрахань, и прибыло в Москву к 19 сентября т. г. (См. назв. в примечании 1 Посольство стольника Толочанова... стр. 104, 110 и 199). Посольство Магмет-хан-бека следовало за ним по пятам

[2] Проскинитарий Арсения Суханова; 1649—1653, под ред. Н. Ивановского. Православный Палестинский Сборник, вып. 21. СПБ. 1889.

Ростома, христианки царицы Мариам, известной своим церковным строительством. Данилов, весьма вероятно—инспирированный Ростомом, сообщил Толочанову протокол тайных переговоров князя Ивана Борисовича Черкасского с грузинским послом митрополитом Никифором, ревностным поборником интересов Теймураза, в Москве в 1635 г., и обещал еще сообщить «государево... великое дело про царя Теймураза и про царя Александра [имеретинского] и про державу их»[1].

Того же «иконника Ивана», но уже в роли «толмача» встречаем мы и в окружении Арсения Суханова, когда этот последний, на своем обратном пути с Востока, посетил Ростома—уже после отправления посольства Магмет-хан-бека, о чем Суханов был осведомлен. А в этом окружении католикос говорил такие речи: «хан-де наш, аще и бусурман, а к нам-де милостив, от него к нам никакой обиды нет. Если бы-де государь изволил нашу землю взять, и наш-бы хан рад был тому»; а тбилисский епископ Елисей («Рустем-хановой жене отец духовной»), интересуясь кумыцким вопросом, добавлял: «как бы государь взял кумыков, и Кахеть бы его государства была; а как Кахеть возьмет, и Тифлис его же государев будет»[2]. Насколько все это было искренно, и как далеко шел Ростом в своих планах (все та же теймуразовская программа, только переписанная на имя Ростома!), или это была просто дипломатическая провокация, инспирированная тем же шахским правительством?—сказать, конечно, трудно. Не мешает, все же, отметить, что когда Суханов ехал дальше, то в Ганже и Шемахе его усердно расспрашивали про Ростома: «пронеслась молва, будто Рустем-хан от шаха отложился»[3].

Заслуживающее внимания, в историко-дипломатическом отношении, дело о прибытии Магмет-хан-бека интересно и с точки зрения истории материальной культуры: здесь, в приложении к отписке из Астрахани Михаила Пронского мы находим инвентарь тех подарков, которые посол привез для московского царя: 3 аргамака и набор роскошного азиатского вооружения.

Публикуемый здесь документ хранится в «Делах персидских» бывш. Московского Главного архива Министерства иностранных дел, в настоящее время—в Государственном Архиве Феодальной и Крепостнической Эпохи (ГАФКЭ) в Москве, и имеет архивный заголовок: «1652 сентябрь—1653 генварь, № 3. Приезд персидской области тефлисского Урустоп-хана посланника Мегмет-хан-бека». В настоящее время он представляет собою рас-

[1] Посольство стольника Толочанова... стр. 44 и 45; сравн. назв. в прим. 1. Материалы по истории груз.-русск. взаимоотношений... стр. 121 и 123—124.

[2] Проскинитарий... стр. 105—107.

[3] Там же, стр. 112—113.

клеенный на отдельные листы («ссставы») столбец, правильнее сказать—фрагмент столбца (лл. 1—31 по современной архивной нумерации), сильно пострадавший от сырости; особенно загнили лл. 28—31. В настоящей публикации лакуны обозначаются...; коньектурно восстановляемые буквы и слова заключаются в [ ]. Титулование московского царя «государь царь и великий царь Алексей Михайлович всеа Русии» обозначается сокращенно: «г. ц. (т.) А. М». Хронология документа—от сотворения мира (цифра тысяч 7 обычно отброшена); для перевода на современное летоисчисление надо вычесть 5508; для месяцев: сентябрь, октябрь, ноябрь и декабрь—5509 и для месяцев: январь, февраль и март—5507.

1652—1653 гг. ПРИЕЗД В МОСКВУ ПОСЛА ЦАРЯ РОСТОМА МАГМЕТ-ХАН-БЕКА

Г. ц. (т) А. М. холопп твои Мишка Проиской, Илюшка Безобразов, 1
Микишка Вальцов, Васка Гарасимов челом бьют. В нынешнем, государь, во 160-м году июля в 18 ден писали ко мне холопу твоему Мишке с Терка стольник и воеводы Василей Волынской с товарыщи: приехал-де в Терской город тефл[и]сского Урустап-хана послапник Магомет-хан-бек, а с ним толмачь (1) да людей ево десять человек, а сказал, что послал-де ево тефлинской Урустап-хан к тебе государю к Москве, а шлет-де он Урустап-хан с ним тебе государю челом ударить три жеребца аргамачьи (2) и иные дары. А что к тебе государю челом ударить тефлинской хан шлет, и тому к тебе государю мы холопи твои послали под сею отпискою роспись с астараханским станичником, с сотником стрелецким з Григорьем Есиповым. А как тефлинского хана послапник в Астарахань приедет, и мы холопи твои к тебе государю ево отпустим, примерясь к прежним таким отпуском. ||

Роспись, что шлет к г. ц. (т) А. М. челом ударить теф- 2
лисской Урустап-хан с посланником своим с Магметь-хан-беком.

Жеребец аргамачей светлосер, 7 лет, грива направо, на правом окороку (3) петно, а по скаске послапникова толмача, что на том окороку пятно—ханово имя; жеребец аргамачей гнед, 6 лет, грива направо, задняя левая нога по щотку бела, на левом окороку петно—теврисского Алагулы-ханово имя, на правом окороку петно—Урустам-ханово же имя; жеребец аргамачей сер, грива направо, 7 лет, на правом окороку петно—Урустам-ханово ж имя, на левом окороку тавра (4) ♁ ||.

2 ковра розными цветы, длина по 10 аршин; 2 полсти (5) белые, 3
керманское дело (6), длина по 9 аршин; 2 попонки (7) белые, накищены (8), цареградские, длина по 3 аршина, 2 покрова добрые; 2 барса большие; чапрак (9) цареградцкой, шитой; сайдак (10), шит золотом, индейское дело; лук, писан золотом, индейское дело; паручи (12), булат красной, навожен (13) золотом да серебром, испоганское дело; шестопер (14) булатной, навожен золотом да серебром, индейское дело; топорок булат-

ной, испоганское дело, навожен золотом да серебром; чекан (15) булатной, испоганское дело, навожен золотом да серебром; 3 полосы сабельные булатные, испоганское дело; пищаль струйстая (16), тевриское дело; 6 дараг (17) червчатых (18) ездцких ||.

4 Да хапов посланник Магомет-хан-бек ведет ко государю челом ударить:

Жеребец светлогпед, 5 лет, грива направо, па левом окороку тавра ♁, па правом окороку тавра ж Sω; три дороги ездцкое дело; три тулумбаса (19), вызолочены, с каменем; четыре нашивки золотные (20) з бирюзами.

Да от хана ж патриарху катырь (21) карь 7 лет, грива стрижена, на правом окороку тавра *F* ||.

На обороте: 1. г. ц. (т) А. М.; 2. 161 г. сентября в 9 ден, с астараханским стрелцом в Ывашкою Степановым; 3. чтена ||.

---

5 Г. ц. (т) А. М. холоп твой Алешка Чириков челом бьет. В нынешнем, государь, во 161-м году ноября в 1 ден писали ко мне холопу твоему на Саратов из Астарахани боярин и воеводы князь Иван Петровичь Пронской с товарыщи, что отпустили они из Астарахани к тебе к г. ц. (т) А. М. водяным путем в вятцком струге (22) шах Аббасовы области тефлинского Арастап-ханова посланника Магометь-хан-бека а с ним *дальше идет упоминание о свите посла и подарках, какие он везет царю (см. выше л. 1)*; *за этим на том же л. 5 следует* А в приставех с ним послан астраханец Иван Суслов. И тот шах Аб
6 || басовы области тефлинского Арастап-ханов посланник Магомет с приставом и с толмачем и с людми и лошедми и с ними дары, которые посланы с тебе г. ц. (т) А. М. к Москве от Арастап-хана челом ударить, едучи из Астарахани, не доехав до Саратова, на дороге на Волге зазимовали совсем на пустом плесе (23) меж Саратова и Царицына против Даниловского острова на нагорной стороне, от Саратова верст с полтораста. И тот Арастап-ханов посланник Магометь
7 з дороги || присылал на Саратов бити челом тебе г. ц. (т) А. М. толмача да человека своего с пустоплесья, чтоб-де, государь, над ним па пустом плесе от каких воинских людей каково дурна и порухи (24) не учиплось. А которой-де ему и людем ево корм и питье и твоим государевым жеребцом и катырю корм же овес и сено дано было из Астарахани до Саратова-де, у него исшел. И я холоп твой, по твоему государеву указу, по сво Магометову челобитью, послал к нему на встречю и поднять ево с пустоплесья совсем на Саратов степью по нагорной стороне сартовца сына боярскова Петра Климова, а с ним саратовских копных стрельцов с ружьем на подводах, да для обереганья ото всяких воинских людей пеших стрельцов пятьдесят человек. Да с ним же с Петром послал я холоп твой посланни-
8 ку Магометю || и толмачю и людем ево и твоим государевым жеребцом и катырю корму. И декабря, государь, в 3 ден саратовец сын боярской Петр

Климов с служилыми людьми приехал, а с собою он привез на Саратов шах-Аббасовы области тефлинского Арастап-ханова посланника Магометя-хан-бека и твоих государевых жеребцов и катыря совсем на Саратов. И я холоп твой велел тому посланнику Магомету и людем ево и приставу и толмачю дать на Саратове дворы и против астараханские отписки ему и людем ево и толмачю корм и питье и твоим государевым жеребцом и катырю корм же овес и сено. И тот тефлинской посланник Магометь с твоими государевыми жеребцы и катырем и с людьми своими совсем декабря по 20 число живет на Саратове. А ехать ему с Саратова через степь к тебе государю к Москве нелзе, потому что на Саратове, государь, и по се число Волга не стала, и снегов нет, и зимней путь не уставился, и через Волгу реку перевести ево за льдом с подводами отнють нелзе никоими мерами (25). А как, государь, Волга станет, и зимней путь уставитца, и я холоп твой, по твоему государеву указу, дав ему и приставу и толмачю и людем его против астараханские отписки и подорожной в дорогу через степь до Темникова корм и питье и подводы и провожатых, сколько пригоже, смотря по вестем, отпущу ево и о корму ево отпишу и роспись пришлю с Саратова к тебе г. ц. (т) А. М. к Москве тотчас.

На обороте: 1. г. ц. (т) А. М.; 2. 161 г. генваря в 6 ден подал саратовец сын боярской Климов ||.

Г. ц. (т) А. М. холопи твои Ивашко Пронской, Васка Волконской, 9
Гришка Лукин, Васка Гарасимов челом бьют. В прошлом, государь, во 160-м году июля в 28 ден писали к тебе г. ц. (т) А. М. боярин и воеводы князь Михайло Петровичь Пронской с товарыщи, что *следует потеряние отписки М. Пронского (см. выше л. 1)*. И в прошлом же, государь, во 160-ом году августа в 21 ден тефлинского Урустоп-хана посланник Магометь-хан || бек да с ним толмачь да людей десять человек в Астарахань 10
приехали. И мы холопи твои тому тефлинскому Урустан-ханову посланнику с людьми, дав струг и кормщика и гребцов, примерясь к прежним отпуском, отпустили к тебе государю к Москве в нынешнем во 161 году сентября в 21 ден. А в приставех послали мы холопи твои с тем посланником астараханца Ивана Суслова да толмача Лукашку Тимофеева и велели им, не доезжая до Москвы, с последнего стану о приезде тефлинского посланника отписать к тебе государю к Москве в Посольский приказ (26); а без твоего государева указу с последнего стану к Москве с посланником ездить не велели. А твоего государева жалованья поденного корму в дорогу тому посланнику и толмачю и людем велели дать в Астарахани до Казани сентября с 21-го числа на шесть недель по тому ж, по чему им на Терке давано; посланнику Магомет-хан-беку по три алтына (27) по две денги, по пяти чарок вина, по полуведра меду, да толмачю и людем его десяти человеком по шести денег да по три чарки вина человеку да вопче

37. აქად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული.

всем по полутора ведра меду расхожево на день. А лошедем по осмине овса да по острамку (28) сена на неделю на лошедь.

На обороте: 1. г. ц. (т) А. М.; 2. генваря в 19 ден с астраханским толмачем с Лукою Тимофеевым; 3. о тефлинском посланнике; 4 (в докладе). ||

12 *На лл. 11 и 12—повторение предыдущей отписки до конца; за этим в самом конце л. 12 следует* А в Посольский приказ к тебе государю мы холопи твои о том и в Казань к твоему государеву боярину и воеводам ко князю Никите Ивановичю Одоевскому с товарыщи писали.

На обороте: 1. г. ц. (т) А. М.; 2. о тефлинском посланнике, 3. в Казанской (29). ||

13 Написано в доклад

В пынешнем в 161-м году сентября в 9 ден писали ко г. ц. (т) А. М. из Астарахани боярин и воеводы князь Михайло Петровичь Пронской с товарыщи, что идет ко государю шаховы области Урустоп-ханов посланник Магомет-хан-бек, а с ним толмачь да людей ево 10 человек. А с тем посланником шлет ко государю тефлинской Урустоп-хан в дарех *далее на лл. 13, 14 и 15 следует выше помещенный перечень подарков (см. лл. 3 и 4), но без описания примет аргамаков и катера, и после это-*
15 *го, в конце л. 15* И генваря в 6 ден о том тефлинском посланнике пи-
16 сал ко государю || с Саратова воевода Олексей Чириков, что тот тефлинской Урустоп-ханов посланник Магомет-хан-бек пришол на Саратов декабря в 3 ден, а с Саратова его отпустить нелзе, потому что декабря по 20 число зимней путь не уставился. А как Волга станет и зимней путь поставитца, и он того тефлинского Урустоп-ханова посланника ко государю к Москве отпустит и роспись о дорожном ево корму пришлет.

А наперед сево тефлинского Урустоп-хановы ж посланники к Москве не приходили, и на пример ему о государеве жалованье выписать некого. ||

Следующие за этим лл. 17—16 заняты выписками о приемах и даче корму приходившим в Москву при царе Михаиле и также приводившим в подарок аргамаков посланникам от „шемахейских воевод". За этим в конце л. 26

26 И ныне тефлинского Урустоп-ханову посланнику что послать государева жалованья в стола место, что на приезд... и поденной корм и питье
27 ему давать ли, и о том, как г. ц. (т) М. А. укажет? || А в приставех у купчин (30) наперед сего было по дворянину да по 2 человека толмачей да из Земского двора (31) по 2 человека сторожей да из Большого приходу (32) водовоз с лощ[едью] да по 2 воза дров на клеть (33). ||

За этим на лл. 28—31 следуют указы „за приписью" дьяка Посольского приказа, известного государственного деятеля того времени Алмаза Иванова: 1. 7161 г. января 30 на имя окольничего Богдана Матвеевича Хитрово и дьяков Федора Иванова и Игнатия Матвеева о выдаче посольству „с приезду января 30-го числа" поденного питья; 2. того же года и числа на имя боярина князя Федора Федоровича Волконского и дьяка Герасима Дохтурова о выдаче посольству поденного корму деньгами; 3. Того же года января 29 на имя Богдана Матвеевича Хитрово, Андрея Васильевича Сонина и дьяков Максима Лихачева и Ивана Микитина о назначении к посольству „на старый денежный двор" двух человек сторожей (за приписью Алмаза Иванова и дьяка Федота Елчина), и 4. того же года января на имя боярина Ильи Даниловича Милославского и дьяков Григория Кунакова и Ивана Семенова об учреждении на дворе посольства „для бережения" стражи—девяти человек стрельцов, на чем и обрывается настоящий документ.

Примечания

1. Толмачь—переводчик, преимущественно—устный. 2. От «аргамак»—высокоценная лошадь кавказских и азиатских пород, под верх. 3. Окорок—ляжка с ягодицею. 4. Тавро—клеймо. 5. Полсть—ковер для подстилки. 6. Дело—в данном контексте—производство. 7. Попона—покрывало на лошадь. 8. Накищен—с кистями. 9. Ча(е)прак—подстилка под седло. 10. Сай(а)дак—чехол для лука. 11. Булат—азиатская, преимущественно узорчатая сталь. 12. Наручи—полуперчатки. 13. Навожен—с наведенным узором. 14. Шестопер—шестигранный жезл; ударное оружие. 15. Чекан—топорик с молотком на длинной рукояти. 16. Пищаль струйстая—ружье с переливчатой отделкой ствола. 17. Дарага, дорога—восточная полосатая шелковая ткань. 18. Червчатый—ярко-малиновый. 19. Тулумбас—большой турецкий барабан. 20. Золотный—златотканный, парчевый. 21. Каты(е)рь—помесь осла и кобылы; лошак. 22. Струг—гребное или парусное речное судно. 23. Плес—изгиб, колено реки; пустоплесье (несколько ниже)—плес, где нет жилья. 24. Поруха—врел, убыток. 25. После пожара 1613/14 г. и до последней четверти XVII стол. Саратов стоял на левом берегу Волги; см. А. Гераклитов, История Саратовского края в XVI—XVIII вв., стр. 197, 201 и 264. Саратов, М. 1923. 26. Посольский приказ—учреждение, ведавшее в Московском государстве международные сношения. 27. Алтын—в московский период счетная денежная единица, равная 6 деньгам, или 3 копейкам. 28. Остромок—охабка, вязанка, вьюк. 29. Казанский (дворец)—территориальное ведомство в Московском государстве, управлявшее всем Поволжьем от границ Нижегородского уезда до Астрахани и Терека. 30. Купчина—первостатейный купец, негоциант, исполнявший иногда в Иране правительственные поручения. 31. Земский двор (приказ)—ведомство городской полиции в Москве. 32. Большой приход—одно из главных финансовых учреждений в Московском государстве XVII в., ведавшее также снабжение иностранных посольств. 33. Клеть—небольшая комната.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲣᲠ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲤᲐᲠᲛᲝᲪᲔᲑᲘᲓᲐᲜ

II

-ედ, -ურ, რ- აფიქსებისათვის

ლაპარაკია ისეთ აფიქსებზე, რომელნიც ამჟამად ძირს არიან შეხორცებულნი; მათი გამოყოფით ხერხდება როგორც ძირის პირვანდელი მნიშვნელობის მიკვლევა, ისე აფიქსთა დადგენა და მათი ფუნქციის გაგება. აქ მოცემული სათაურით პირველი წერილი დაიბეჭდა „თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომების“ VII ტომში: I. ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის.

* * *

1. -ედ ბოლოსართი ზმნაში

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სახელებისაგან ვნებითი გვარის ზმნებს აწარმოებენ -ნ და -დ ბოლოსართები. -დ გვხვდება -რ, -ლ ან -ნ თანხმოვნით დასრულებულ ფუძეებთან, -ნ კი დანარჩენ შემთხვევებში. მაგ.:

წუხ: შეწუხ-ნ-ა (საბა[1], 9_2) იწრ: დაიწრ-დ-ენ (საბა, 7_{15})
მტკიც: განმტკიც-ნ-ა (იქვე, 8_{16}) ბრწყინ: განბრწყინ-დ-ა (იქვე, 11_{29})
გლახაკ: დაგლახაკ-ნ-ა (ძვ. სას. პ., ნა)... მაღალ: აღმაღლ-დ-ებიან (ძვ. სას. პ. კე)...

მართალია, ნარიანი ფორმები დროთა პირველ სერიაში შედარებით იშვიათად გვხვდება, ვიდრე დონიანები, მაგრამ ეს შემთხვევითია. შდრ. მაგ.: დაგლახაკნების (ძვ. სას. პ., ჲ), განდიდნების (TP, III, ჲ8_{65}) — ცხოვნდებოდა (ხანძთ. 8_{61}), აღორძნდებოდეს ($ზ_{49}$)[2]... გამორკვეულია აგრეთვე, რომ -ნ, -დ'ს პირვანდელი სახე იყო -ენ, -ედ. ამის საბუთია ერთი ის, რომ -ენ დაცულია ნამყო წყვეტილის I და II პირის ფორმებში (განვკაც-ენ, განჰკაც-ენ)[3], და მეორე: ფუძე იკუმშება (განმრავლდებოდეს — *გან-მრავალ-ედ-ებოდეს. არნ.

---

[1] მაგალითები ამოღებულია ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს მიერ გამოცემული ძეგლიდან: „ცხორებაჲ საბა ასურისაჲ“.

[2] დაწვრილებით: ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში (ტფ. უნივ. მოამბე, I, გვ. 87 და სხ.), შდრ. ნ. მ ა რ ი, Грам. древнелит. груз. яз., გვ. 140.

[3] „კაცთმოყუარებისათჳს განჰკაც-ენ“ (ხანძთ. $8Ე_{10}$), „დუმ-ენ, შვილო!“ (იქვე, ნ ა) და სხ.

ჩიქობავა). ახალ ქართულში ყველგან -დ- არის გაბატონებული (შეწუხდა, დაგლახაკდა და სხვა მრავალი). -ნ და -დ'ს ურთიერთობის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირველადია -ნ, რომელიც -ნ, -რ, -ლ'სთან დისიმილაციის წესით -დ'დ იქცა (*დაცალიერ-ნ-ა → დაცალიერ-დ-ა) და შემდეგში ხშირი ხმარების გამო ყველგან დამკვიდრდა (ა. შანიძე, op. c., 95—6).

ისმის კითხვები: 1. შემონახულია თუ არა სადმე -ედ ფორმანტი და 2. იგი მართლა მეორეული წარმოშობისაა, თუ იხმარებოდა თავიდანვე?

-დ, როგორც ენებითის საწარმოებელი ფორმანტი, ზმნაშიც გეხვდება. ამის სამი მაგალითი უკვე მოყვანილია ლიტერატურაში:

მოქმ. გან-ტეხა	ენებითი: გან-ტყდა [1]
გან-ხეთქა	გან-სთქდა
და-ჰკსნა	და-ჰკსნდა (ნასახ. ზმნები, 89)

ცხადია, ამგვარსავე მიმართებაში არიან ერთმანეთთან: ბრწყინ-ავს—განბრწყინ-დ-ების, დაა-კლ-ო—დაა-კლ-დ-ა, შეი-ყუარ-ა—შეუ-ყუარ-დ-ა, ჰ-შეენ-ის—გან-შეენ-დ-ა [2], ჩან-ს—გამო-ჩნ-დ-ა [3], აღმოა-ცენ-ა—აღმო-ცენ-დ-ა და სხვა. ყველა ამ დონიან ენებითს აწმყოში ჩვეულებისამებრ -ებ-ი სუფიქსები დაერთვის: დააკლდების, გამოჩნდების, შეუყვარდების და სხვა.

ამათ მიხედვით საფიქრებელია, რომ -დ-ებ-ი'ანი ზმნები ანალოგიური წარმოებისაა: ამჟამად ძირისეულად გამოცხადებული -დ (← -ედ) ისტორიულად ენებითის ფორმანტი უნდა იყოს. მართლაც:

1. ჯდ-ა („ჯდა მტირალი"), ე-ჯედ („ე-ჯედ რაჲ სენაკსა ჩემსა": კიმენი, 28$_4$), ჯდ-ების, და-ჯდ-ა, და-ე-ჯედ, „და-შ-ჯედ (მაღალთა შინა": ძვ. სას. ჰ., ტი $_{73}$), „მჯდომი... გამოაჯდა" (ხანძთ. გვ. ჲგ $_2$), ჯდომა და სხვებში ძირია ჯედ. მაგრამ -ედ რომ ენებითის ნიშანია და ჯ პირვანდელი ძირი, ამას ამტკიცებს შემდეგი: 1. ჯ'ს შემცველი საშუალი ზმნა ჯ-ის ან მისი ადრინდელი სახე ჟ-ის დღესაც ხმარებაშია გურულში, განსაკუთრებით უკანასკნელი ფორმა. იგი (ჟ) მეგრულ-ჭანური წარმოშობისა ჩანს (და არა ხალხური) და მისი ფარდია შ-ის. ე ი ს'ისაგან ნაწარმოებია მოქმედებითი გვარის ზმნა ა-ე-ე ნ-ს ისე, როგორც დ გ ა ს'ისაგან—ა-დ გ-ე ნ-ს, ჩა-ს'ისაგან—ა-ჩ-ე ნ-ს... ენებითის წარმოებისას ჟ ← ჯ ძირს დაერთო -ედ და მივიღეთ: ჯ ე დ, *ჯ ე დ ე ბ ის → ჯ დ ე ბ ის. მაშასადამე, ჟ არაა ნაშთი ჟდ || ჟდ'სი (ნ. მარი, Грам. груз. яз., გვ. 208).

2. სხდ-ა, სხდ-ების, და-სხდ-ა, და-სხდ-ომაჲ, და-სხედ-ით... (ითქმის ბეერზე) ფორმებში ძირად გამოიყოფა სხედ. აქაც რომ -ედ ენებითის ფორმანტი უნდა იყოს და ძირი ხ, ამაზე მიგვითითებს 1. მეგრულ-ჭანური ხ: ხ-ე-ნ 'ზის' [4];

---

[1] განტყდა ← *გან-ტეხ-ედ-ა. კარგი მაგალითია 1. იმისა, რომ ერთ ფუძეში ორი ხმოვნის ამოღების შემთხვევაა გვაქვს, 2. -ედ ფორმანტის აღსადგენად და 3. ბგერათა კომპლექსების დასადგენად: მოსალოდნელი უჩვეულო კომპლექსი ტხდ (← *ტეხედ) იქცა ჩვეულებრივ კომპლექსად ტყდ. ტეხ ძირისაგან უნდა იყოს მიღებული აღ-ტყ-ინ-ება.

[2] ნაწარმოებია სახელისაგან შუენ (შდრ. შუენ-იერი, მეგრ. სქვამი).

[3] საინტერესოა იმ მხრივ, რომ მესამე პირის ნიშანი -ნ (ე-ჩა, შ-ჩა, ჩა-ნ) ფუძეს შეუხორცდა და მისგან მივიღეთ ჩნ-დ-ების—გამო-ჩნ-დ-ა („ჲეშმარიტად გამოშჩნდი": ძვ. სას. ჰ., ლ0).

[4] არნ. ჩიქობავა, ჰან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკონი, 421—422.

2. -ენ და -ედ'ის მონაცვლეობა ძველ ქართულშიევე (**სხედ**-ან და **სხენ**-ედ, შდრ. დადუმ-**ნ**-ა და დადუმ-**დ**-ა) და 3. საერთო ელემენტი **სხ**—და-**სხ**-**დ**-ა და და-**სხ**-ა (და-სხ-ნ-ა იგინი) ზმნებში. ამ ფორმათა დაკავშირება ერთმანეთთან დასაშვებია მორფოლოგიურადაც და სემანტიკურადაც: დ ა ს ხ ა მოქმედებითი გვარის ზმნაა, დ ა ს ხ დ ა კი მისი ვნებითია (შდრ. გ ა ნ ტ ე ხ ა და გ ა ნ ტ ყ დ ა), ხოლო მნიშვნელობის მხრივ ორივე ითქმის ბევრზე და დ ა ს ხ დ ა გამოხატავს 'დაჯდა'ს და დასხა—'დასვას', „დააჯდინა"ს.

3. **წუდ**-ომა||**წდ**-ომა, მის-წვდ-ება, მისა-წვდ-ომი, მიუ-წვდ-ომელი და სხვები შეიცავენ ძირს წვდ, რომელიც შეკუმშული სახეა **წუედ**'ისა: „მ ი ს წ უ ე დ, ღირსო, მიუწდომელსა სიღრმესა" (ძვ. სას. პ., უა$_{28}$). შეკუმშული წუდ უმარცვლო უ'ს კარგავს ო'ს მეზობლობაში: „მიუ**წდ**ომელ არს" (იქვე, მვ$_5$)... პირვანდელი ძირია **წუ**, რომელსაც რედუქცია მოუვიდა -ედ'ის დართვისას: წუდ. მისი შესატყვისია მეგრულში ჭ(ვ): მიან-ჭ-უ 'მისწვდა'.

4. ჰ-**ხუდ**-ა, შე-ჰ-**ხუდ**-ა, და-ჰ-ხუდ-ა, ჰ-ხუდ-ების... „არავინ დახუდა მათ" (კომენი, 30$_8$) და სხვებში ამოღებულია -ე-: ხუედ-ა → ხუდ-ა. -ე- მოგვეპოვება შე-**ხვედ**-რა, შე-ხვედ-რია და მათგან ნაწარმოებ ფორმებში. ძველი ქართულით ცნობილია შეუკუმშავი შემთხვევა ნამყო წყვეტილის III პირში: „რ᷾ მრავალი ჭირი შ ე მ ხ უ ე დ ა მე" (ადიშის ოთხთავი, ტაბ. 61 b$_1$)[1], რაც მოსალოდნელი არ იყო. ძირი რომ **ხუ**'ა და -ედ ვნებითის საწარმოებელი, ამას ნათელყოფს ერთი მხრით სვანური, სადაც გვაქვს: ლი-**ხვ**-ჲე 'შეხვედრა', ხე-**ხვ**-ა 'ხვდება', ხჳ-**ხვ**-ინა 'შეხვედრია' და სხვა, და მეორე მხრით, მეგრული: შე-**ხვ**-ალამა 'შეხვედრა', მე-**ხვ**-ალამა 'მიხვედრა' და სხ.[2]

5. **კუედ**'ის შემცველია: „მო-ჰ-კუედ ჴორცითა" (ძვ. სას. პ., ტიი$_{45}$), „სი-კუდილით მო-**კუედ**-ინ" (მარკ. 7, $_{10}$)... -ე- აქაც ამოღებულია: მო-კუდ-ა (მათე 22, $_{25}$), მო-ვ-კუდ-ები (ხანძთ. ზ $_{57}$), სი-კუდ-ილი, მ-კუდ-არი და სხვა. კუედ'იც უნდა იშლებოდეს **კუ** ძირად და -ედ ფორმანტად. ამაზე მიგვითითებს მისი აღნაგობა: კუედ—კუ[ე]დ-ებ-ის (შდრ. ჯედ—ჯ[ე]დ-ებ-ი-ს).

6. **ჯედ** გვაქვს ზმნასა და ნაზმარ სახელებში: „გარდამო-ჯედ მაგიერ ჯუარით" (მარკ. 15, $_{30}$), „მთასა მაღალსა... აჰ-ჯედ-ით" (ძვ. სას. პ., რლზ $_{39}$)... ფუძის შეკუმშვით: „მაშინ მოუ-ჯდ-ა" (მათე 20, $_{20}$)... ჯედ ნიშნავს 'სელა'ს და ის დღესაც ცოცხალია სვანურსა (ჯედ-ნი 'მოდის', ან-ჯად 'მოვიდა') და ჰანურში, ოღონდ აქ შეკუმშვის შემდეგ დ დამსგავსებია ხ'ს (ეშა-ხთ-უ 'ამოვიდა', მენდა-ხტ-უ 'წავიდა': ჰან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკ. 426). მიუხედავად იმისა, რომ სვან.-ჰანურშიც ჯედ დაცულია, მისი დაშლა ჯ-ედ'ად შეცდომა არ უნდა იყოს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს: ჯედ—ჯდ-ებ-ი-ს[3] (შდრ. კუედ).

---

[1] ჰან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკ., გვ. 424.

[2] შდრ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, მეგრ.-რუს. ლექსიკ., 401.

[3] ეგების კედ'ისგან იყოს წარმომდგარი მ-კედ-არი და სა-კედ-არი და მ-კედ-არი ნიშნავდეს 'მაცალს, მოარულს, მოსიარულეს' და სა-კედ-არი—'სავალს, სასიარულოს' და არა 'მჯდომელს' და 'საჯდომს'.

7. ამავე ჯგუფში შემოვა ხლდ-ების, ცთ-ების (← *ცედ-ების), შთ-ების (← *შედ-ების) [1] ზმნები. ორ უკანასკნელ მაგალითში პირველად ცედ და შედ უნდა ყოფილიყო და არა ცეთ და შეთ, ეს იმითაც მტკიცდება, რომ ესენი ვნებითი გვარის ზმნებია (ცთ-ების, შთ-ების) და ამდენად უნდა ჰქონოდათ საწარმოებელი ფორმანტი -ედ.

ყურადღებას იქცევენ სვანური ზმნები—ხეწდენი ← ხე-წედ-ენი 'ნახავს', სედ-ნი 'რჩება', კედ-ნი 'მოდის', ხო-ჩდ-ენი ← ხო-ჩედ-ენი 'გაურბის', ხე-შყდ-ენი ← ხე-შყედ-ენი 'ეხსომება'—იმით, რომ 1. ყველას ქართულისებრი -ედ გააჩნია და ვნებითი გვარისაა, 2. ჯედნი'ს გარდა არც ერთს საპირისპირო მოქმედებითი გვარის ფორმები არ მოეპოვება, 3. კავშირებით II-ში -დ- არ ჩანს (ხე-წ-ე-ს 'ნახოს', ა-ჩ-ე-ს 'წავიდეს'...) და 4. მეგრულ-ქართულთან შედარებისას ირკვევა, რომ -ედ ძირისეული არ არის (ნ. ჯედ; ლი-წ-ედ'ს შდრ. მეგრ. ორ-წუ-ე 'ხედავს' [2]). ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სვანურშიც ვნებითის ფორმანტი -ედ შემოუნახავს წრამდენიმე ზმნას.

დასკვნა. 1. ვნებითის საწარმოებლად -(ე)ნ ბოლოსართთან ერთად (ე)დიც იყო გამოყენებული ძველ ქართულში. -(ე)ნ გვხვდებოდა უპირატესად სახელებთან, ხოლო -(ე)დ ზმნის ფუძეებთან. უკანასკნელი ადრიდანვე ძირისეულადაა ქცეული: ჯედ, სხედ, წუედ და სხ.

2. შეუკუმშავი სახე ამ ფორმანტებისა იყო -ენ და -ედ. მათ შეუბღალავად ვხედავთ დიდ წილ შემთხვევებში ნამყო წყვეტილის I და II პირში: დავდუმ-ენ, დასდუმ-ენ; ვ-ჯედ, ს-ჯედ.

3. -ედ იწვევდა ფუძის შეკუმშვას და თვითონაც განიცდიდა რედუქციას მომდევნო ხმოვნისაგან: ტეხ: გან-ტყდ-ა ← *გან-ტეხ-ედ-ა. ასევე გაუმარცვლოებული ჩანს უ ხმოვანი წუ, ხუ, კუ ძირებში -ედ ნიშნის დართვის შემდეგ: *მის-წუ-ედ-ა, *შე-ხუ-ედ-ა, *მო-კუ-ედა იქცა: მის-წუდ-ა, შე-ხუდ-ა, მო-კუდ-ა (მისწვდა, შეხვდა, მოკვდა). ეს შემთხვევები მნიშვნელოვანია უმარცვლო უ'ს გენეზისის გასარკვევად.

4. ვნებითის -ედ'ის არსებობა ქართულ და სვანურ ზმნებში გვიჩვენებს, რომ ის ახალი წარმონაქმი არ არის. ამდენად უნდა გადაისინჯოს საკითხი -ედ'ის მეორეული წარმოშობის შესახებ. ამას მოითხოვს ისეთი ფორმების არსებობაც, როგორიცაა: „დადუმ-დ-ენ" (საბა, 17_{12}), „დაუმძიმ-დ-ა" (იქვე, 9_1... ნაცვლად: დადუმ-ნ-ენ, დაუმძიმ-ნ-ა); „დღეს აღუაგილ-ნ-ა კუერთხი იგი" (ძვ. სას. პ., პა $_{149}$, ნაცვლად: აღუაგილ-დ-ა); სხედ-ან და სხენ-ედ... ადვილმოსალოდნელია ვნებითის -ენ და -ედ ისეთსავე მიმართებაში იყვნენ ერთმანეთთან, როგორც III პირის მრაველობითი რიცხვის -ენ და -ედ (არი-ან—არი-ედ). ეს ახლო მომავალში გაირკვევა.

[1] ავტორის „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართვ. ენებში" (ტფ. უნივ. მ., X, გვ. 303).

[2] ჰან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკ., გვ. 398.

2. უქონლობის -ურ ბოლოსართი

მოსე ჯანაშვილი ჯერ კიდევ 1906 წელს შენიშნავდა[1]: „სვანურში უარყოფითი უ, ურ (=ქარ. უ, არა) დაისმის სიტყვის თავშიაც და ბოლოშიაც... ნიც-ურ—უწყლო (ნიც=ლიც—წყალი), ტოტ-ურ—უტოტო, ჯან-ურ—უჯანო, ჰერ-ურ—უხმო, ში-ურ—უხელო (ში—ხელი). იგივე ქართულში: კუდა (ინგ. კუდ-ურ)=უკუდო (ალბად ყრუ-ც=ყურ-უ, აგრეთვე წყურვა). მეგრ. ჩხე—ცხელი, ჩხ-ური — ცივი=უცხელო), ჩე (=თერთი) — თეთრი, უჩა — შავი (=უთეთრო)". ეგეცე გაიმეორა მან „საინგილოში"[2] 1913 წელს, მაგრამ „წყურვა" გამოტოვა, ალბათ როგორც საეჭვო მაგალითი. ვფიქრობთ, მისი „გარიცხვა" უსაფუძვლოა.

მართლაც, საგნის უქონლობის გამოხატვაში სვანური და ქართულ-ზანური საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი სუფიქსს იყენებს, უკანასკნელნი კი პრეფიქს-სუფიქსს მიმართავენ. მაგ.:

ქართ.	მეგრ.	ჭან.	სვან.
უ-ცოლ-ო	უ-ჩილ-ე	უ-ჩილ-უ	ხეხ-ურ, ჲეხ-ურ (← ხ/ჲეხვ-ურ)
უ-დედ-ო	უ-დიდ-ე/ო	უ-ნან-ელ-ი	დი-ურ
უ-გუნ-ურ-ი (← უ-გონ-ურ-ი)	უ-მინჯ-ურ-ი	'უპატრონო'	
უ-ფსკრ-ულ-ი (← *უ-ფსკერ-ურ-ი)	უ-ხუჯ-ურ-ი	'უმხრო', 'მიუმხარი' და სხვა	

უარყოფით მიმღეობაშიც ეგეცე აფიქსებია ხმარებული. დამატებით გეევლინება რამდენიმე ახალიც. მაგ.:

ქართ.	მეგრ.	ჭან.	სვან.	
უ-ტყვი	უ-ჭარ-უ	უ-ჭარ-უ	უ-ირ-ა	'დაუწერელი'
უ-ჴმ-ელ-ი	უ-ჭკომ-ურ-ი		უმ-ა	
ა-უ-დულ-არ-ი	უ-ღურ-ალ-ი (←*უ-ღურ-არ-ი)		უ-დგარ-ა	'უკვდავი'...

ამგვარად, უქონლობის აფიქსებია სახელებში		უარყოფითობის აფიქსებია მიმღეობაში	
ქართ.-ში:	უ- — -ო, უ- — -ურ		უ- —, უ- — -ელ, უ- — -არ
მეგრ.-ში:	უ- — -ო, უ- — -ე, უ- — -ურ, უ- — -ოლ		უ- — -უ, უ- — -ელ, უ- — -არ
ჭან.-ში:	უ- — -უ, უ- — -ე		უ- — -უ[3]
სვან.-ში:	— -ურ		უ- — -ა[4]

---

[1] ქართული გრამატიკა, გვ. 28, შნშ.

[2] „ძველი საქართველო", ტ. II, გვ. 251, შნშ.

[3] აფიქსების ამომწურავად წარმოდგენა აქ მიზნად არა გვაქვს დასახული.

[4] სვანურში არის შემთხვევები, რომ მიმღეობის უ—ა ჯაფიქსები სახელებთანაცაა გამოყენებული; მაგ.: უ-გზელ-ა 'უშვილო ქალი'—გეზლურ 'უშვილო', უ-თხემ-ა 'უმეთაურო'—თხუმ-ურ 'უთავო'... მათ შორის განსხვავებაა, როგორც დანიშნულების მხრივ, ისე გავრცელებულობის მხრივაც.

სვანურისებრ ბოლოსართული წარმოება და -ურ სუფიქსი რომ თავის დროზე ქართულ-მეგრულსაც ახასიათებდა, ამას ამტკიცებენ ზემოხსენებული გარდმონაშთები, სახელდობრ:

1. მეგრული **ჩხურუ** 'სიცივე'. იგი შესულია, ი. ყ ი ფ შ ი ძ ის აზრით, სოფლის სახელებში; ინჩხური (ინჩხირი) და წაჩხური (მეგრ.-რუს. ლექსიკონი). მისი **ჩხ** ძირის კანონზომიერი შესატყვისია ქართულში **ცხ** და გვაქვს დაცული შესაფარდ სიტყვებში: სინ-ჩხ-ე—სი-ცხ-ე, ჩხ-ანა—ცხ-უნება ('მზე, солнце, жар'), და-ჩხ-ირი—ცე-ცხ-ლი, ჩხ-ე—ცხ-ელი... აშკარაა, ჩხურუ მიღებულია ჩხ-ე'საგან -ურ ბოლოსართის მეშვეობით (ჩხ-ურ-უ) და ნიშნავს 'უცხელო'ს, 'ცივს, სიცივეს'. უარყოფითობის აფიქსები რომ საპირისპირო მნიშვნელობათა მისაღებად გამოიყენება, ამის ილუსტრაციას წარმოადგენს ზანური უ-ჩ-ა 'უთეთრო, შავი', ნაწარმოები ჩ-ე'საგან ('თეთრი').

2. ინგილოური **კუდურ** 'კუდა'. იგი ანალიზებულია სწორად: კუდ-ურ 'უკუდო'.

3. მეგრული **უურუ** — ქართ. ყრუ. უკანასკნელი ყურუ'ს ნარედუქციალი ფორმაა და ბოლოკიდური -უ ნაშთია -ურ სუფიქსისა (თუ ეს ასე არ იწლება: უ-ურ-უ, შდრ. ჩხ-ურ-უ). ამის შესახებ ნ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 47.

4. მეგრული **ფური** 'ცუდი, ავი'. ამ სიტყვაში -ურ თუ უარყოფითობის სუფიქსია, მაშინ დარჩენილი ფ ძირი 'კარგს' უნდა გამოხატავდეს. ეგების ეს **ფ** იყოს შემონახული ჭანურ ზმნაში: ი-ფ-ელენ 'ვარგა'.

5. **წყურილი, წყურიელი.** ამ სახით ეს სიტყვები გეხვდება ძველ ქართულში: „იწყო... მოკლებად წ ყ უ რ ი ლ ი ს ა გ'ნ" (საბა, 9_{38}); „აღმოუცენა წყალი ერსა მას წყურიელსა" (იქვე, 10_{33})... საერთო ნაწილი წ ყ უ რ გვაქვს ზმნაშიც „მ-წყურ-ის, გ-წყურ-ის, ს-წყურ-ის: „რომელთა გწყურის" (ძვ. სას. 3., რიბ$_{387}$). წ ყ უ რ შესდგება წყლ'ის წყ ძირისა და -ურ სუფიქსისაგან და ნიშნავს 'უწყლო'ს. ამ მეორეული ძირისაგან არის წარმოებული ფორმები: ს-წყურ-ის, წყურ-ილი/წყურ-ვილი, წყურ-იელი, მ-წყურ-ვალი, მ-წყურ-ნები 'წყალმრავალი' (საბა)... წ ყ ა ლ სიტყვის ძირი რომ წყ არის (— წ+განვითარებული ყ), ეს მრავალჯერ იყო აღნიშნული ლიტერატურაში (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნ. მ ა რ ი ადრინდელ ნაწერებში და სხვ.) და ნათელიცაა ასეთი შეპირისპირებიდან: წყ-ალი, წყ-არო, მე-წყ-ერი, რ-წყ-ვა, ნერ-წყ-ვი, სარ-წყ-ული და სხვა მრავალი.

დასკვნა. 1. ქართველურ ენებში საგნის უქონლობა გადმოიცემოდა სუფიქსური წარმოებით და 2. უქონლობის გამომხატველი იყო საერთო ბოლოსართი -ურ.

3. ზმნის საწარმოებელი რ- თავსართი ქართულში

ქართულში -ევ და -ენ ბოლოსართები სახელისაგან აწარმოებენ მოქმედებითი გვარის ზმნებს, გარდაუვალს აქცევენ გარდამავლად და გარდამავალ ორპირიანს ხდიან სამპირიანად. მაგ.:

-**ევ**: ქვამ-ლი (ქვამ-ს)—უ-ქმ-**ევ**-ს -**ენ**: რქა—ურქ-**ენ**-ს
რბ-ის—ა-რბ-**ევ**-ს წევ-ს—ა-წვ-**ენ**-ს
ჰამ-ს —აჰმ-**ევ**-ს [1].

საშუალ ზმნაშიც შეიძლება იყოს -ევ: **ევ**-ს, შდრ. მი-ძ-ს: ძალმიძს (→ძალ-მიც)... -ევ და -ენ'ის ფუნქციას ასრულებს აფხაზურში რ- თავსართი, მაგ.:

აკაჰ	'მოკლე, დაბალი'	—ა-რ-კაჰრა	'დამოკლება, დადაბლება'
აცქია	'წმინდა, სუფთა'	—ა-რ-ცქიარა	'გაწმენდა, გასუფთავება'
აბარა	'ნახვა'	—ა-რ-ბარა	'დანახება, ჩვენება'
აწარა	'სწავლა, учить, учиться'	—ა-რ-წარა	'სწავლება, учить, обучать'
აგჳლარა	'დგომა'	—ა-რ-გჳლარა	'დაყენება, დადგენა'... [2]

რიგი მაგალითებით ირკვევა, რომ აფხაზურისებრი რ- პრეფიქსი ქართულშიც გვაქვს. იგი აწარმოებს სახელისაგან ზმნას... საამისო მაგალითებია:

1. **ცხვირი**—ა-რ-**ცხვ**-ენს. გარდაუვალი ფორმებია: ჰ-რ-ცხვ-ენია, შეჰ-რ-ცხვ-ა... ძველი ქართულით: „არცხჳნე მწვალებელთა კრებულსა" (ძვ. სას. ჰ., რლა$_{100}$), „სირცხჳლეულ იქმნეს" (საბა, 19$_{4}$)... მო-რ-ცხვ, უ-რ-ცხვ, სი-რ-ცხვ-ილ, ჰ-რ-ცხვ-ენია'ს რომ სემანტიკური კავშირი აქვს ცხვირ'თან და უკანასკნელისაგან არის ნაწარმოები, ამას თითქოს ადასტურებს თქმა: შეურცხვა ცხვირი [3].

2. **წამ**-ება [4]—ჰ-რ-წამ-ს, ჰ-რ-წმ-ენა, ა-რ-წმ-უნებს... ძირად ქცეული რ-წმ მოგვეპოვება სიტყვებში: მრწამ-ს → მრწამ-სი, რწმ-ენა, მო-რწმ-უნე, უ-რწმ-უნო, სა-რწმ-უნოება და სხვა მრავალი. ჰ-რ-წამ-ს ნიშნავს 'საწამია, საწამებელია მისთვის', ა-რ-წმ-უნებს—'საწამს ხდის'...

3. **წყ-ალი**—**რ-წყ-ავს**: „მოჰრწყავს იგი" (კიმენი, 32$_{1}$); „ირწყვებოდა... მოძღურებითა მისითა" (საბა, 11$_{21}$)... რ-წყ ძირისაგანაა წარმომდგარი: რ-წყ-ვა,

---

[1] დაწვრილებით ავტორის „ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის": ტფ. უნივ. შრომები, III, გვ. 229—230.

[2] ვსარგებლობ დიმიტრი გ უ ლ ი ა ს ა და ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ი ს მაგალითებით.

[3] შდრ. სვანური: „ნებგვაჲი ნჴჲ სვინდის ნუღუა"—შუბლზე ჩვენ სინდისი გვაქვს („სვანური პოეზია", I, გვ. 80$_{33}$).

[4] აქედანაა: წმ-ედა, წმ-იდა.

სა-რ-წყ-ავი, უ-რ-წყ-ავი, უ-რ-წყ-ული, ნე-რ-წყ-ევი ('სარწყავი'), სა-რ-წყ-ული, რ-წყ-ევა და სხვადასხვა [1].

ჰ-რქვია (ე-რქვ-ა, დაა-რქვ-ა...), რხ-ევ-ა, ა-რტყ-ია და ზოგ სხვაშიც შეუძლებელი არ უნდა იყოს რ-ს პრეფიქსად მიჩნევა, მაგრამ პირვანდელი ძირის გააზრიანებისაგან ჯერჯერობით თავის შეკავება ჯობს.

ამგვარად, ქართულში მოიპოვება მაზმნავებელი რ-, ბადალი აფხაზური რ- პრეფიქსისა.

---

[1] რწყვა, სარწყავ'ში ძირად წყ მიაჩნდა და რ- გამოყოფილი ჰქონდა მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს თავის გრამატიკაში (1906 წ., გვ. 64), ხოლო ა. შ ა ნ ი ძ ე წერდა: „შეიძლება... რაე ჩამომავლობით პრეფიქსიც იყოს (რადგანაც მ ო - რ წ ყ ვ ა - ს წ ყ ა ლ თ ა ნ უნდა ჰქონდეს ეტიმოლოგიური კავშირი), მაგრამ იგი უკვე ძველს ქართულში ძირის ბგერებთან არის შეხორცებული და გაგებულია, როგორც ძირეული..." (S_2 და O_3, გვ. 121, შნშ. 1). აღსანიშნავია, რომ ხანდახან პირიელი ნიშანი ამ უკვე ძირეული რ'ს შემდეგ გვეელინება. „მორწყუნ მორწშენეთა გულნი" (ძვ. სას. პ, რლა $_{78}$).

3. ბარდაველიძე

სვანური საგალობელი „ბარბალ დოლაში"

„ბარბალ დოლაშის" საგალობელი სრულდებოდა გაზაფხულის ერთ-ერთ სვანურ დღეობაზე, რომელსაც სახელად ლიქჭრეში ანუ ლიქჭრაში ეწოდება. შედარებით ხანგრძლივი (ხუთდღიანი—უშგულის თემში) დღეობა ლიქჭრეში[1] ქართველ ტომთა უძველესი მზის ქალ-ღვთაება ბარბალეს[2] სახელზე იყო განკუთვნილი. ჩვენ საგანგებოდ ვჩერდებით ამ საგალობლის შინაარსის განხილვაზე, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება დადგენა ბარბალეს კულტის ისეთი მხარეებისა, რომლებიც სვანების სარწმუნოების შესახებ არსებულ სხვა წყაროებში და ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარ მოწმდება.

თ ა ე ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი მიუთითებს რაიმაზე, რომ „ბარბალ დოლაშის" საგალობელი დღეობა ლიქჭრეში სრულდებაო, დასძენს, „დიდება ბარბალ დოლაშის" სასიძღეროში მაცხოვრის ხატის დოლიდან უშგულში მოგზაურობა არის აღწერილიო[3]. მაგრამ მკვლევრის ეს აზრი მცდარია. თ ა ე ი ს უ ფ ა ლ ს ვ ა ნ ს, როგორც ეტყობა, არ გაუთვალისწინებია თვით საგალობლის შინაარსი და აღნიშნული აზრის შემუშავებისას დაყრდნობია ერთ-ერთ ხალხურ გადმოცემას, რომელშიც მოთხრობილია მაცხოვრის ხატის გატაცების ამბავი ბეჩოს თემის სოფელ დოლის ბარბალეს სახელობის ეკლესიიდან უშგულში. ეს გადმოცემა თვით თ ა ე ი ს უ ფ ა ლ ს ვ ა ნ ს ა აქვს მოყვანილი[4].

სვანეთში მუშაობის დროს ჩვენ ვერ დავამოწმეთ მაცხოვრის ხატის გატაცების ლეგენდა. სამაგიეროდ, ფიქსირებული გვაქვს ხალხში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ სოფელ დოლის (ბეჩოს თემი) ბარბოლ-ის ეკლესიის დანგრევის შემდგომ[5] ამ ეკლესიაში მოთავსებული ხატები ყველა უშგულში გადაიტანესო. შესაძლებელია ამ ხატებს შორის მაცხოვრის ხატიც იყო და და-

---

[1] ლიქჭრეშის ანუ ლიქჭრაშის აღწერილობა იხ. ჩვენ ნაშრომში „ქართული ღვთაება ბარბალე" (იბეჭდება).

[2] იხ. ჩვენი „ქართული ღვთაება ბარბალე".

[3] თ ა ე ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, ხალხური დღესასწაულები სვანეთში, ზ რ ო მ ა 1883 წ., № 24.

[4] თ ა ე ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, დასახელ. ნაშრომი.

[5] სოფელ დოლში მეზრას მთის ძირში ბარბოლ-ის ნაეკლესიარ ადგილზე ამჟამად პატარა მოედანია „წმინდა" ხითურთ, რომელსაც სტიფი ეწოდება. უკანასკნელ წლებამდე ეს სტიფი ბარბალეს სალოცავ ადგილად იყო მიჩნეული.

ნარჩენ ხატებთან ერთად ისიც უშგულში იქნა გადატანილი. მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ თავისუფალი სვანის მიერ მოყვანილი ლეგენდა რეალურ ამბებსაც შეიცავს და დოლის ეკლესიიდან ხატების გადატანის ფაქტისაგან დამოუკიდებლად მართლაც ოდესმე მომხდარიყო მაცხოვრის ხატის იქიდან უშგულში გატაცება. ყოველ შემთხვევაში დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ბარბალ დოლაშის“ საგალობელი არავითარ ცნობას მაცხოვრის ხატის მოგზაურობის შესახებ არ იძლევა და საზოგადოდ ამ საგალობელში მაცხოვრის ხსენებაც კი არ არის.

„ბარბალ დოლაშის“ საგალობელი განკუთვნილია ბარბალეს სადიდებლად, მოგვითხრობს მის (და არა მაცხოვრის ხატის) მოგზაურობას და, რაც ჩვენთვის ამჟამად ყველაზე საყურადღებოა, ბარბალეს ზოგ თვისება-ფუნქციასა და მისი მსახურების შედარებით ძველ ფორმებს ასახავს.

ლიტერატურაში მოიპოვება ამ საგალობლის სამი ვარიანტი, რომელთაგან ერთი ა. სტოიანოვის, მეორე ივ. ნიჟარაძის და მესამე ა. შანიძის, ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის ნაშრომებშია გამოქვეყნებული[1]. ამას გარდა ჩვენ ხელთა გვაქვს ორი ხელნაწერი ტექსტი, რომელთაგან ერთი პროფ. ვ. თოფურიამ გადმოგვცა[2] და მეორე ჩვენ მიერ სვანეთში მუშაობის დროს არის ფიქსირებული[3]. ყველა ვარიანტი მეტად ნაკლულევანი და დამახინჯებული შინაარსისაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შედარებითი მასალის გათვალისწინების გზით შესაძლებელი ხდება ამ ვარიანტების აზრის გაგება და ჩვენთვის საყურადღებო საკითხის გარკვევა. ქვემოთ მოგვყავს „ბარბალ დოლაშის“ სვანური ტექსტები და მათი ქართული თარგმანი[4].

---

[1] А. Стояновъ, Образцы сванетской поэзии, СМОМПК, вып. X, отд. II, стр. 32—33; И. Нижарадзе, Сванетские тексты, СМОМПК, вып. XXX, отд. IV, стр. 7—9; ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანი, სვანური პოეზია I, ტფ. 1939 წ., გვ. 318—319.

[2] ამ ტექსტის მოწოდებისათვის პროფ. ვ. თოფურიას მადლობას მოვახსენებ.

[3] ჩვენი ტექსტი ჩაწერილია 1936 წ. ზაფხულს უშგულში, სოფ. ჟიბიანის მცხოვრებ 80 წლის ივანე ხაჭვანისაგან.

[4] „სვანურ პოეზიაში“ საგალობელი ‘ქართული თარგმანითურთ არის გამოქვეყნებული; პროფ. ვ. თოფურიას მიერ გადმოცემულ ტექსტს ქართული თარგმანი თან ახლდა. დანარჩენი ვარიანტების ტექსტები სვანურიდან ქართულად სთარგმნეს ენიმკი-ს ლექსიკოლოგიის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომლებმა არსენ ონიანმა და ალი დავითიანმა განყოფილების გამგის პროფ. ვარლამ თოფურიას მონაწილეობით. პროფ. ვ. თოფურიამ ამას გარდა, სტოიანოვის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში დამახინჯებულად მოცემული სიტყვები შეასწორა და ტექსტს სასვენი ნიშნები დაურთო. აღნიშნული მუშაობისათვის, რომელიც ჩემი თხოვნით იქნა შესრულებული, პროფ. ვ. თოფურიას, ა. ონიანს და ა. დავითიანს ულრმეს მადლობას მოვახსენებ.

ქვემოთ აღნიშნავთ რომაული ციფრებით: I—სტოიანოვის, II—ნიჟარაძის, III—„სვანურ პოეზიაში“ გამოქვეყნებულს, IV—პროფ. ვ. თოფურიას მიერ მოწოდებულსა და V—ჩვენ მიერ ფიქსირებულ ტექსტებს. ორი უკანასკნელი ტექსტი პირველად იბეჭდება.

I. ბ ა რ ბ ო ლ

დიდება ბარბოლს დოლაშს!
ათხე სგოჯი ლაშხრაში,
ლაშხრაში დიდი სოფელი;
ჩეგულთას ჟიბენ ახსგოჯნი,
ხემა[1] ემგიშ ლუზორ ლაფს-
ყალდაშ.
ჟიბენ ახსგოჯნი ლაცუ-
ლახემარალოში, სგობინხან[2]
ლახვენა მთაში[3] ღვაქ ი
სიმაქარს[4], ტაბლაშ ისგვა
მუნაყად. ბარბალ[5], ისგვა
კამშაშ შვანეს ლეჟა ხათა-
რაში;
ჯევიშ ლეჟა ანსგოჯნი,
ჟიჰი ანსგოჯნი;
ქვინი ლამჯანდა სარჯიში,
ლამარია ხარჯილს ხაშდაბა[6],
ლექვა ლახზაზა[7] ლჯაბაში.
ჯანარეს[8] ხეფანთუნალე,
სუფილ
მეტყვეფე ხეროლე ნაძჰანიელ[9]
ჯანარეშ[10], ლჯლგენს მიჩა
ჯანარს[11].
დიდება ბარბოლს დოლაშის!
ჰადიშს ხაბიშა მეზრას კეც,
უშდიხა წყილიან ზედაშინ
გეშია.

დიდება ბარბალეს დოლისას!
ახლა ბრძანდება ლაშხრაშში,
ლაშხრაში დიდი სოფელი;
ჩეგულთის ზემოთ მობრძანდები,
როგორც ხალხის შეკრება ლაფსყალდში.
ზემოთ მობრძანდები სიცილ-
ხუმრობით, წინ
შეხვედრიხარ მთაში რჩეულ ვაჟებსა და
ქალიშვილებს, შენი ტაბლების
გამომცხობლებად. ბარბალე, შენი
ძალით სვანეთს ზემოთ ათარეშებ;
ხევზე მობრძანდები,
ზემოთ მობრძანდები;
სუნი მეცა სარაჯისა,
ლამარია ხარჯს აკეთებს (ამზადებს),
ჩამოჰგებებია ლიცბაშში (sic!).
ხარებს არჩევს (სინჯავს), მოედანი
გადათხრილი ჰქონდა (ექნებოდა) და-
ნაკლავი
ხარებისა, შეწირულ მის ხარებს.
დიდება ბარბალე დოლისას!
ჰადიშისთვის გამოგირთმევია სალოკავი
ქვევრი,
გამოულეველი წშინდა ზედაშით სავსე.

---

[1] დაბეჭდილია: ჯემა.
[2] დაბეჭდილია: სგობინ ბან.
[3] დაბეჭდილია: მტაში.
[4] დაბეჭდილია: ღვაჟი სიმაჭარს.
[5] დაბეჭდილია: ბარბარ.
[6] დაბეჭდილია: ხაშთაბა.
[7] დაბეჭდილია: ლახზოზა.
[8] დაბეჭდილია: ხანარეს.
[9] დაბეჭდილია: ნაწჰანიელ.
[10] დაბეჭდილია: ხანარეშ.
[11] დაბეჭდილია: ხანარს.

II. ბარბალ დოლაში

დიდება ბარბალ დოლაშის!
ლიმზირ ჯაგადი ძღდაში!
გეგულდაშს ჟიბენ ონსგვეჯი;
ბარბალ, ისგვა ჯამშაშუღვი
ქვეს ლეჟა ხვათარაშე,
ხვითჯში ენგი ლუზორის;
სიმაქარეს ხველგაცალე,
ბარბალ, ისგვა ჯამშაშუღვი
ჯიფერის[1] ისგა ონღური;
ქუნილდ დამჯანდა სარჯაში,
ლამრია ხარჯის ხაშდაბა,
ლაქვა ლამზაზა მაცებაში[2];
ბარბალ, ისგვა ჯამშაშუღვი
ჯანარს ლამრია ხეფანფუნალე;
ისგან ტაბჭლაში მჭნაყა,
ისგა ხაბიშა გვიდამიშა
ლუვერ მიჩა ღდელარშუვი

დიდება ბარბალე დოლისას!
შესაწირი (შეწირვა) გემართებს დიდისა!
გეგულდაშის ზემოთ მოვბრძანდები;
ბარბალე, შენი ძლიერებით
ხვეს ზემოთ ვათარეშებ,
ვირჩევ შეკრებიღ ხალხს;
ქალიშვილებს ვეხუმრები,
ბარბალე, შენი ძლიერებით
ჯიფერში შემოვდივარ;
სუნი მეცა სარაჯისა,
ლამარია ხარჯს ამზადებს,
შემომგებებია ქვემოთ მაცებაშში;
ბარბალე, შენი ძლიერებით
ხარებს ლამარია არჩევს (სინჯავს)[3];
შიგნით ტაბლების მცხობლები
იმათ მიართმევდა საკურთხეველში
თაყის წვერიან მღვდლებით (sic!)

III. ბარბალ დოლაში

დიდება ბარბალ დოლაშის!
ლიმზირ ჯაგადი ძღდაში.
ლაფსყალდაშ ჟიბენ ანსგვეჯნი,
გეგულდა[შ]ს ისგა ანსგვეჯნი.
ბარბალ, ისგვა ჯამშოშუღვი
ლაშხრაში ჟიბენ ანსგვეჯნი;
ბარბალ, ისგვა ჯამშოშუღვი
ქვეიას ლეჟა ხათარაში[4];

დიდება ბარბალე დოლისას!
შესაწირი გმართებს დიდისა.
ლაბსყალდს ზემოთ მობრძანდება,
გეგულდაშში მობრძადება.
ბარბალე, შენი ძალით
ლაშხრაშს ზემოთ მობრძანდები;
ბარბალე, შენი ძალით
ხვეს ზემოთ ათარეშებ[4];

---

[1] დაბეჭდილია: ჯიჟერის.
[2] დაბეჭდილია: მაცებაში
[3] სასწრაფოდ არჩევს.
[4] დაბეჭდილ ტექსტში და პროფ. ვ. თოფურიას მიერ გადმოცემულ ვარიანტში სვანური სიტყვა „ხათარაში“ თარგმნილია, როგორც „დიდებით მოდიხარ“. ამისდა შესაფერისად დაბეჭდილი საგალობლის (III) მე-8 სტრიქონის „ქვეიას ლეჟა ხათარაში“ თარგმნილია: „სვანეთში („ხვეს ზემოთ“) დიდებით მოდიხარ“, ხოლო ხელნაწერი ვარიანტის მე-3 სტრიქონი „სვანეთს ლეჟა ხათარაში“ თარგმნილია: „სვანეთს ზემოთ (დიდებით) მოდიხარ“. ნამდვილად კი მოყვანილი სტრიქონები არავითარ „სვანეთში სიარულს“ და ისიც „დიდებით სიარულს“ არ აღნიშნავს. სვანური ზმნა „ლითრაშ (ქვ.-სვ. ლითრეში)“ ნიშნავს თარეშს, აქედან ხათარაში — ათარეშებ, ხოლო ზუსტი თარგმანი იქნება დაბეჭდილი მე-8 სტრიქონისა: „ხვეს ზემოთ ათარეშებ“ და ხელნაწერის მე-3 სტრიქონისა: „სვანეთს ზემოთ ათარეშებ“.

ხითჳში ვაჟილ-სიმჳქას, ირჩევ ვაჟ-ქალიშვილებს,
ტაბლაში ისგ[ა]ს მჳნაყას. შენი ტაბლის გამომცხობლებს.
ჯ[ე]ჰიერისგა ასგეჯნი, ჯვეჰიერში მობრძანდები,
ქუნილდ ლაჯჯანდა სარჯაში, სუნი გეცა სარაჯისა,
ლამჱრია ხარჯილს ხაშდაბა. ლამარია[1] ხარჯს ამზადებს.
ლალგჱნა მიჩა ჯანარე, შეწირული მისი ხარები,
სუფილ მეტყვეფილ ხეროლე მოედანი გადატყაული აქვს
ნჱძჰანჱერუ ჯანარეში. ხარების დაკვლით.
ლაქვა ლახზაზა მაცებაში, ქვემოთ შეჰგებებია მაცვბაში,
ბარბალ ხარჯილსუ ხაბიშა, ბარბალე ხარჯს ართმევდა თურმე,
წყილიან ზადაშინ გოშია წმინდა ზედაშით სავსეა
მეზრაში კეცილ უშდიხა. სალოცავი ქვევრი ამოულეველი.

IV. დიდება ბარბალსა[2]

დიდება ბარბალსა დოლაში! დიდება ბარბალეს დოლისას!
ჟიბენი ახსგვეჯნი ლაშხრაში. ზემოთ მობრძანდები ლაშხრაშში.
სვანე[თ]ს ლეჟა ხათარაში. სვანეთს ზემოთ ათარეშებ.
ხითჳში ვაჟი[ლ]-სიმაქას, ირჩევ ვაჟ-ქალიშვილებს,
ტაბლაში ისგვა მჳნაყეს. შენი ტაბლის გამომცხობლებს.
ლამარია ლექვაე ხაზაზა. ლამარია ქვევით შეჰგებებია.
ჯე[ი]ჰიერისგა ანღრდას, ჯვეჰიერში მოდიოდი,
ქვინილდ დაჯჯანდა სარჯაში[3]. სუნი გეცა სარაჯისა.
ლამარია ხარჯის ხეშდაბ- ლამარია ხარჯს ამზადებდა.
[დ]ა.
ბარბალუ სადილს ხაბიშა. ბარბალე სადილს ართმევდა თურმე.
ჯანაჲრეს ხეფანფუნალე[4]. ხარებს არჩევს (სინჯავს).
ლეჟაე ლაშჯედხი დაბარსი. ზემოთ შემოხულხარ ყანებში.
ბარბალ მჳმზჳრინ გოში ლი, ბარბალე მლოცველით სავსეა.
ბარბალს ნამზურუნ ხოჲახ. ბარბალე(სთვის)? შესაწირავი წაულიათ.
ბარბალ ნაჲ ჭურუ ლოგვ- ბარბალე ჩვენ თურმე შეგვწევია,
შედა,
ლიმზირ ღირსიშუ[ნ]გვერრლე! ლოცვა ღირსიმც გვექნება (ღირსი გვქონოდეს)!

---

[1] დაბეჭდილ თარგმანშია: ღვთისმშობელი.

[2] ტექსტი ჩაწერილია მულახელ მ. ნიგურიანის მიერ უშგულში 22.8.1937 წ. ი ნ. ღვაჩლიანის თქმით.

[3] ვარიანტი: ჯვიდიშ—სანთლისა.

[4] ვარიანტი: აშდბუნე—ამუშავებს (დაკლულს წმენდს, ატყავებს და სხვა).

V. ბარბალ დოლაში

დიდება ბარბალ დოლაშის!
ათხე ანსგუეჯნი ლაშხრაშუ,
ლაფსყალდაშისგა ანსგუეჯნი,
გეგულთას ჟიბენ ანსგუეჯნი.
ბარბალ, ისგუა ჯამშოშუღუი
ჯეუიას ლეჟა ხათარაში.
ხათჯშა უაჟილ-სიმჭქას
ტაბლაში მიჩა ჱნაყას.
ჯუიჰიერისგა ანსგუეჯნი
ქუნილდ ლაჯჯანდა სარჯაში.
ლამჭრია ხარჯილს ხაშდაბა,
ჯანარეს ხეფანფუნალე,
ლალგანა მიჩა ჯანარეშ
სუფილ მეტყუეფი ხეროლე
ნჯძჰანიჰალუ ჯანარეში;
ლექეა ლახზაზა მაცუბაშუ,
ბარბალ ხარჯილს ხაბიშა.
წყილიან ზადაშინ გოშია
მეზრაში კეცილ უშდიხა.

დიდება ბარბალე დოლისას!
ახლა მობრძანდება ლაშხრაშში,
ლაფსყალდში მობრძანდება,
გეგულთის ზემოთ მობრძანდება.
ბარბალე, შენი ძლიერებით
ხევს ზემოთ ათარეშებ.
ირჩევ ვაჟებს [და] ქალიშვილებს
მისი ტაბლების გამომცხობთ.
ჯვიჰიერში მობრძანდება,
სუნი გეცა სარაჯისა.
ლამარია ხარჯს ამზადებს,
ხარებს არჩევს (სინჯავს),
შეწირული მისი ხარებისაგან
მოედანი გადათხრილი ჰქონდა
დანაკლავი ხარებისა;
ქვეშოთ შეჰგებებია მაცხებაშში,
ბარბალეს ხარჯი გამოურთმევია.
წმინდა ზედაშით საესეა
სალოცავი ქვევრი ამოულეველი.

როგორც ვხედავთ, საგალობლის ყველა ვარიანტში პირველი სტრიქონიდანვე დოლის ბარბალეს დიდება მოიხსენება. ამას გარდა, თუ ჩვენ ამ საგალობლის შინაარსს ჩაუკვირდებით, ამოვიკითხავთ გარკვეულ ცნობებს ბარბალეს ორ სხვადასხვაგვარი თვისება-ფუნქციის შესახებ. ღვთაების ერთ-ერთი ფუნქცია შემდეგ სიტყვებშია ასახული:

I 7–10	სგობინხან ლახვენა მთაში ღვაე ი სიმაქარს, ტაბლაშ ისგვა მუნაყად.	წინ შეხვედრიხარ მთაში რჩეულ ვაჟებსა და ქალიშვილებს, შენი ტაბლების გამომცხობლებად.
III 9–10	ხითჯში ვაჟილ სიმჭქას, ტაბლაში ისგვა მჱნაყას	ირჩევ ვაჟ-ქალიშვილებს, შენი ტაბლის გამომცხობლებს
IV 4–5	ხითჯში ვაჟი[ლ] - სიმაქას, ტაბლაში ისგვა მჱნაყეს.	ირჩევ ვაჟ-ქალიშვილებს, შენი ტაბლის გამომცხობლებს.
V 7–8	ხათჯშა უაჟილ-სიმჭქას ტაბლაში მიჩა მჱნაყას.	ირჩევ ვაჟებს [და] ქალიშვილებს მისი ტაბლების გამომცხობთ.

მოყვანილ ვარიანტებში ყურადღებას იპყრობს ცნობა, რომლის თანახმად ბარბალე თვით ირჩევს ვაჟებსა და ქალიშვილებს თავის ტაბლების გამომცხობლებად, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, თავის მსახურთა ამრჩევი თვით ბარბალეა.

ეს ცნობა საესებით ეთანხმება ქართველი ხალხის წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ღვთაებათა ფუნქციების შესახებ. ღვთაება, „ჯვარი“ ანუ „ხატი“

თავის მსახურებს რომ თვითვე ირჩევს და აყენებს, ამის შესახებ რწმენა-წარმოდგენები განსაკუთრებით კარგად არის გამოვლინებული აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სარწმუნოებაში. მაგალითად, ივრის ფშაველებს ღრმად სწამდათ, რომ მათი სალოცავი (სოფ. ჟებოტაში მოთავსებული) „ფუნრების ხატი“ თავის ხევისბერ დედაკაცებს თვითვე ირჩევდა. „ის დაიპერდა“ დედაკაცს, „აუძღვებოდა მას, აუხევდა(!) ან გველს, ან სხვა მავნეს. ყველაზე მეტად კი ასეთ დედაკაცს გველები ეესეოდა, დღისითაც ტანჯავდნენ, ღამითაც. დაპერილი დედაკაცი ხატს შეევედრებოდა—შეება მომეცი და სიკვდილამდე გემსახურებიო. აღთქმის შემდგომ ის ხევისბერად დგებოდა და მართლაც ხატს სიკვდილამდე ემსახურებოდაო“ [1].

ხევსურების რწმენითაც „ჯვარის“ ანუ „ხატის“ მთავარ მსახურს, ხუცს ანუ ზუცესს „ჯვარი“ აყენებდა. ხევსურს სიზმარში „ჯვარი“ გამოეცხადებოდა და აუწყებდა—ჩემი დაპერილი ხარ და უნდა მემსახუროო, ან ამის შესახებ ქადაგის პირით აცნობებდა [2] და ან თვით დაპერილს ააქადაგებდა და თავისი პირით ათქმევინებდა—ესადაეს „ჯვარი“ თხოულობს მისი მსახური ვიყოო [3]. ამას გარდა „ხატის“ მსახურების დაყენება დღეობის დროს ხდებოდა. დღეობაზე ხუცესს „ჯვარი“ მოუვიდოდა და თავის მსახურებს დაასახელებინებდა.

„ბარბალ დოლაშის“ საგალობლის ზემომოყვანილი სტრიქონებიც ამგვარ რწმენის გადმონაშთს შეიცავს, რამდენადაც იგი (საგალობელი) იუწყება, რომ თავის ტაბლების გამომცხობლებად ვაჟებსა და ქალიშვილებს თვით ბარბალე ირჩევსო. მაშასადამე, ბარბალეს ახასიათებდა ისეთივე ფუნქცია, როგორსაც ქართველი ხალხი მრავალს სხვა თავის ღვთაებას მიაწერდა. ამასთანავე საფიქრებელია, რომ „ბარბალ დოლაშის“ საგალობელში ნაგულისხმევია ბარბალეს მიერ თავის მსახურების არჩევა მის სახელზე განკუთვნილი დ ღ ე ობ ი ს დროს.

ღვთაება ბარბალეს მეორე გვარი თვისება-ფუნქცია, რომელსაც საგალობელი ამტკიცებს, გადმოცემულია შემდეგი სიტყვებით:

I 10–11	ბარბალ, ისგეა ჯამშაშ შვანეს ლეჟა ხათარაში	ბარბალე, შენი ძალით სვანეთს ზემოთ ათარეშებ
II 4–5	ბარბალ, ისგეა ჯამშაშუღვი ჯევს ლეჟა ხვათარაშე	ბარბალე, შენი ძლიერებით ხევს ზემოთ ვათარეშებ
III 7–8	ბარბალ, ისგეა ჯამშოშუღვი ჯევიას ლეჟა ხათარაში	ბარბალე, შენი ძალით ხევს ზემოთ ათარეშებ
IV 3	სვან[თ]ს ლეჟა ხათარაში	სვანეთს ზემოთ ათარეშებ
V 5–6	ბარბალ, ისგუა ჯამშოშუღუი ჯეუიას ლეჟა ხათარაში.	ბარბალე, შენი ძლიერებით ხევს ზემოთ ათარეშებ.

[1] ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში. ექსპედიციის დღიური. ხელნაწერი გადაცემულია დასაბეჭდად.

[2] В. Бардавелидзе, Опыт соц. изуч. хевсур. верований, გვ. 16—17.

[3] ა. ოჩიაური, თქმულებები ხევსურების ღვთაებათა და „ხთიშვილთა“ შესახებ, ხელნაწერი, დაცულია ენიმკი-ს ეთნოგრ. განყ. არქივში.

ვარიანტების ეს ადგილი ერთსადაიმავე აზრს შეიცავს და მცირედი განსხვავების გარდა, რომელიც დეტალებს შეეხება, ეს აზრი ერთიდაიმავე სიტყვებით არის გადმოცემული ყველა ვარიანტში. განსხვავებული დეტალებია: I და IV ვარიანტებში სვანეთია (შვანეს, სვანეთს) დასახელებული, დანარჩენ ვარიანტებში კი—ჴევი; ამას გარდა IV ვარიანტში ამოვარდნილია ბარბალესადმი მიმართვა და მისი ძალის ანუ ძლიერების ხსენება, და, ბოლოს, II ვარიანტში, დანარჩენ ვარიანტებისაგან განსხვავებით, ზმნა პირველ პირშია დასმული—ხვათარაშე 'ვათარეშებ' და არა ხათარაში 'ათარეშებ'. სიტყვები „შვანეს ლეჟა"—სვანეთს ზემოთ და „ჴევს ‖ ჴევიას ლეჟა"—ხევის ზემოთ ან სვანეთს ზემოთ, სვანების ტერიტორიის ზემოთ მდებარე ადგილებზე უნდა მიუთითებდეს და მთლიანად ტექსტის ეს ადგილი შემდეგი აზრის აღმნიშვნელი უნდა იყოს: ღვთაება ბარბალე თავისი ძალით ანუ ძლიერებით სვანებს ათარეშებს მათი ქვეყნის ზემოთ მცხოვრებ ხალხებზე.

ღვთაების თარეშის მოტივი მეტად თვალსაჩინოდ არის შემონახული კვლავ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების, განსაკუთრებით—ხევსურების და ფშავლების, სარწმუნოებაში. ხევსურებს, ფშავლებს და სხვა ქართველ მთიელებს ღრმად სწამდათ, რომ, როდესაც ისინი მტერზე ილაშქრებდნენ, ლაშქარს წინ „ჯვარი" ანუ „ხატი" მიუძღვებოდა და მტერზე ამარჯვებინებდა. ფშავლებში ამგვარ მოლაშქრე „ხატად" ყველაზე მეტად ცნობილი იყო ლაშარის ჯვარი[1]. ხალხის რწმენით „ლაშარის გიორგის ლურჯა ცხენი ჰყოლია. ამ ცხენს მხრებზე მტრედივით ფრთები სხმია და გიორგის თავისი ლურჯათი ხშირად ჰაერში უფრენია. ურჯულოებთან ლაშქრობის დროს კი ის ამ ცხენზე შეჯდებოდა ხოლმე და ლაშქარს წინ მიუძღოდა. ამეებს თურმე მარტო წმინდა კაცები ხედავდნენო"[2]. შეხედულება ლაშარის ჯვარზე როგორც ლაშქრის უზენაეს წინამძღოლზე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ფშაურ „ფერჯისულის" საგალობელშიც არის ასახული:

„...გაიგო ლაშარის ჯვარმა ქისტეთს გაბევრდა ცხვარია,
გადაიკიდა მათრახი, წელზე შაირტყა ჴმალია,
შაჰკმაზა თავის ლურჯაი, ზედ თითონ შაჯდა ჩქარია,
შამაუარა საყმოსა, ცხენ მოდის როგორც ქარია.
დალაღდნენ ფშაველი შვილები, იყრება მძიმე ჯარია,
შამოჯდნენ ლაშრის გორზედა ქვეითნი, ცხენოსანია" და სხვ.[3].

ამგვარი წინამძღოლობით ხევსურებში ყველაზე მეტად ცნობილი იყო მთელი ხევსურეთის სახელგანთქმული გუდანის ჯვარი. რეალურ ყოფაში ეს რწმენა გამოხატული იყო სათაყვანებელი ზეციური არსების ატრიბუტების, პირველ რიგში მისი სალაშქრო დროშის ანუ ბორაყის, ლაშქრის წინ წარმძღვანებით. გუდანის ხატსო, მოგვითხრობს ნ. ხიზანაშვილი, „საღმრთოს უწოდებდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე უფროსი საღმრთო ლაშქრის სარდალია და წინათ, როცა

[1] ნ. ხიზანაშვილი, კიდევ ლაშარობაზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. II, თბ. 1939 წ., გვ., 102—106.

[2] ვ. ბარდაველიძე, იერის ფშაველებში.

[3] ვ. ბარდაველიძე, იქვე.

ხევსურეთი გაილაშქრებდა ხოლმე მტერზე, გუდანის დროშა, „ბორაყი“ წინ მიუძღოდა ჯარსა. თუმცა მოლაშქრედ სხვა ხატებიც არიან (კოპალა კარატის-წვერისა, სოფ. ლიქოკში; გიორგი-მშვენიერი, ხახმატში; სანება ცროლის-წვერისა, უკანა-ხადოში), მაგრამ გუდანისა უპირველესად ითვლებოდა, მტერზე გამარჯვება უამისოდ არ შეიძლებაო“ [1].

შეიძლება დადგენილ იქნას ორი ძირითადი მოტივი, რომელიც იწვევდა ხევსურული მასალების მიხედვით ღვთაებათა მტერზე გალაშქრებას. ეს ხდებოდა, ერთის მხრივ, მეკობრობის მიზნით, ღვთაების ანუ „ჯვარის“ წინამძღოლობით ლაშქარი ესხმოდა მტერს ნადავლის წამოსაღებად და, მეორეს მხრივ, ღვთაება მტერზე ილაშქრებდა მის დასამორჩილებლად და ბეგარის დასადებად. პირველი მოტივი თვალნათლივ მჟღავნდება სხვათა შორის ერთ-ერთ ხევსურულ თქმულებაში გუდანის ჯვარის მითხოზე გალაშქრების შესახებ. თქმულებით გუდანის ჯვარს ერთი სახელგანთქმული „მკადრე“ ანუ „გამძღრო“ ჰყოლია [2], თოთია გაიდაური. ერთხელ წელწად დილას (ახალწელიწადს დილით) გაიდაურმა დაინახა ნისლის კოტორი (კორიანტელი), რომელიც მთიდან მოდიოდა. გაიდაური მაშინვე მიხვდა, რომ მასთან „სახმთო“ (გუდანის ჯვარი) მოდიოდა, მან საჩქაროდ ჯიბიდან „სამკადრეო“ [3] ამოიღო და ხელზე გადაიფინა. მოვიდა მზესავით გაბრწყინვებული „სახმთო“ და თოთიას ხელზე დაუჯდა მტრედის სახით. თოთიამ თავი გვერდზე დაიჭირა და რაღაცას ელაპარაკებოდა. კარგა ხანს ასე ილაპარაკეს და შემდეგ „სახმთო“ გაქრა. თოთია რომ გონს მოვიდა, გამოაცხადა—„სახმთომ“ ლაშქარი სამითხოოდ გაითხოვა, ზაფხულს ლაშქარი უნდა გავიდეს, გუდანის ჯვარი წინ გაგვიძღვება და დავლით ავიყვანთო. ხევსურები სიხარულით ემზადებოდნენ ლაშქარში წასასვლელად. ზამთარმა განვლო და ზაფხულში, დღეობა ათენგენა დილას, ხევსურთა ლაშქარი გუდანის ჯვარში შეიკრიბა. ხალხი შეიარაღებული მივიდა და გაიდაურიც გუდანის ჯვარის დროშით მათ წინ წარუძღვა. გადავიდა ხევსურების მძიმე ლაშქარი პირიქით ხევსურეთში და კისტნის ე. წ. „სალაშქრო ჭალაზე“ შეისვენა. ამ დროს გაიდაურს გუდანის ჯვარი მოუვიდა. მან შორიდანვე დაინახა რომ ცაზე კორიანტელი მოდიოდა, პირჯვარი დაიწერა და ხელზე „სამკადრეო“ გადაიფინა. რადგან იქ ბევრი ხალხი იყოო, ამბობენ ხევსურები, „სახმთო“ გამოცხადებით არ მოუვიდა ხელზე თოთიას, მას მხოლოდ გაიდაური ხედავდა და ხმამაღლა ქადაგობდა—გუდანის ჯვარი ლაშქრის დაბრუნებას ბრძანებს, რადგან ქისტებში აქედან „მაცნე“ გასულა, ქისტებს ჩვენი ლაშქრობის ამბავი გაუგიათ, ემზადებიან, საქმე ცუდათ წაგვივაო. თოთიას ქადაგობაზე ხალხს სიცილი დაუწყია და უთქვამს—თოთიავ, შენ გეშინიან და იმიტომ ქადაგობ, „ჯვარი“ არ გაქადაგებს, ჩვენ კი აქ ჩამოსული ლაშქარი უკან აღარ დავბრუნდებით და შიშით დაბრუნებულები ხევსურ ქალებს არ ვეჩვენე-

[1] ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. II, გვ. 69.

[2] „მკადრე“ ანუ „გამძღრო“ იგივე ხუცესია იმ განსხვავებით, რომ პირველს „ჯვარი“ ხელზე მოუდის და მას ისე ებაასება.

[3] „სამკადრეო“ წმინდა ხელსახოცს ეწოდება, რომელსაც „მკადრე“ მხოლოდ „ჯვარის“ ხელზე მობრძანების დროს ხმარობდა.

ბითო. რადგან ხალხმა არ დაიშალა და გაიდაურს შიშიც დასწვამეს, თოთიამ გამოუცხადა ხალხს—მე კი წამოვალ, მაგრამ ვიზარალებთო და „სახმთოს“ დროშით ლაშქარს კვლავ წინ წარუძღვა. ამ ლაშქრობის დროს ხევსურები სასტიკად დამარცხებულან. პირველად მათ ხელთ უგდიათ და წამოურეკიათ მთელი ცხვარი და ძროხა რაც მითხოში იყო, მაგრამ ქისტებს მათთვის გზები შეუკრავთ, ზურგიდანაც წამოსწევიან, საქონელი დაუყრევინებიათ და დიდძალი ხალხიც ამოუხოციათ. ერთი წლის შემდგომ გაიდაურს კიდევ გამოუცხადებია მითხოში ლაშქრობა. მას უთქვამს—გუდანის ჯვარი ბრძანებს, რომ მისი საყმო უნდა წავიდეთ, მითხო დავლაშქროთ, ჩვენი სისხლიც ავიღოთ და დავლაც წამოვიღოთო. ამ ლაშქრობის დროს გუდანის ჯვარის დროშა ხევსურებს კვლავ წინ უძღოდა. ეხლა კი ხევსურებს უჯობნიათ ქისტებისათვის, დიდძალი ცხვარ-ძროხა წაურეკიათ მითხოდან და ნადავლის საუკეთესო ნაწილი გუდანის ჯვარისათვის შეუწირავთ[1].

მეორე რიგის თქმულებები, როგორც აღვნიშნეთ, მტრის ან მეზობელი ხალხის დამორჩილებისა და დაბეგვრის მიზნით ღვთაებების გალაშქრების შესახებ მოგვითხრობს. ასეთია, მაგალითად, თქმულება კარატის წვერის კოპალას დაღისტნელებზე და თუშებზე გალაშქრების შესახებ. თქმულებაში ნათქვამია: ერთხელ კოპალა თუშების მეკოპარს მიეშველა და მტერს გადაარჩინა. მეორედ თუშებს ლეკების ლაშქარი დაესხა; მაშინაც კოპალა მიეშველა და ისევ თუშებმა გაიმარჯვეს. ამაზე თუშებს გადაუწყვეტიათ კოპალასათვის ყოველწლიური ბეგარა მიერთმიათ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ შეუსრულებიათ. კოპალას ჰყოლია წმინდანად აყვანილი ერთი ლიქოკელი ქალი, სახელად მინანი[2]. კოპალამ მინანს საფარველი დასდო და საომრად დიდოეთში წაიყვანა. მას დიდოეთის დაპყრობა უნდოდა. გზად მიმავლები თუშეთში მივიდნენ, სადაც კოპალა მწყემსის სახით გამოეცხადა ვინმე თუშ მიქას, რომელიც სახლს აშენებდა, და სთხოვა მას, სახლში წილი ჩამიდევი და თქვენი მეცხვარე ვიქნებიო. მიქა დაპირდა სახლშიც და ადგილშიც წილის ჩადებას. სხვა თუშებს კოპალა ირმის სახით მოჩვენებია. დიკლო-შენაქოში მინანს ჰედილა დაუპერია და მას და კოპალას თუშებისათვის ცხვარი ბეგარის სახით წაურთმევიათ. მაშინ გაუტეხიათ მათ თუშეთი, მანამდე თუშეთი კოპალას არ ემორჩილებოდაო. იმ ხანად კოპალას თან ხლებია აგრეთვე თავისი მოძმე შუბნური, ჯაჰმატის ჯვარი გიორგი და სამძიმარ ყელ-ღილიანი. ხევსურები ამბობენ, მაშინ ხთიშვილთ დიდი ბრძოლა დასჭირდათ რომ თუშეთი დაემორჩილებინათ და ეყმოთო. ხთიშვილებმა თუშებს ხან წყალი მოუხიბლეს, ხან ბალახი და, ბოლოს, წყაროები სულ ამოუშრეს და ისე დაიმორჩილესო. ეს თქმულება ასახულია შემდეგ ხალხურ ლექსში, რომელსაც „კოპალა“ ეწოდება:

---

[1] ა. ოჩიაური, თქმულებები ხევსურთ ხთიშვილთა შესახებ.

[2] როგორც ამ თქმულების შინაარსიდან ირკვევა, მინანი კოპალას „მკადრე“ უნდა ყოფილიყო.

— „ფანდურ დამიკარ ბერჯუნდო, მაგწონდა სამძალიანი!
კამალა ჰეშმარიტისა, ხთისგან ას გუნებიანი.
ჰერო მიმიცავ ყმათადა, მამწონან ულეაშიანნი!
მორიგემ მე მამილოცა, საგმირო ას ლიტრიანი.
დალიენ დევ-დედაბერნი, დადიან პირმზორიანნი,
სახმთოს უნდოდა აელა, ვერ იყვა იმედიანი.
ამოვხკარ მარჯვენა ჴელი, მჴარზე გადიღა პრიალი.
მაღალს კარატეს ჩამავედ, იქ ქალ მავჴელე თმიანი.
ჴელი მე მკადრა მინანმა ზალტიან, სათითიანი,
სადიდოეთოდ წამავედ, გორ აციარე კლდიანი,
თაე მაციბრუნე, მამყვების მინანი საჟარულიანი.
ხიდოტან გადაციარე ყინულიან, მარახვლიანი,
ვეშაგურთის-გორ ვესტუმრე, წყემსი ვეგონე ცხვრიანი.
სახლს აგებიებდ მიქაი, ზედ ხურო ედგა ხთიანი,
„წილი ჩამიდევ მიქაო, წყემსი ორ თექაიანი“.
წილი ჩამიდვა მიქამა, წყემსი ვეგონე ცხვრიანი,
ერთან ქვან მიაც დავასხენ, მკლავთით ორ იმედიანი!
წყალზე წამლალა მიქამა, ჴელთ მამცნა ვეშრაპიანნი.
ჩიღოს-გორ ჩამამავალი ირემ ვეგონე რქიანი,
წამამაყარეს ისარი, ფოცხ-მაკრატელი თბიანი!
სიმურში ამაციჩქვიფე, რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი,
ტუტარიკ ამაციარე, დამიხვდა ნარ-ეკლიანი,
ომალოს კიდურ შამაჴვედ, მაშინ გავიღი ბრიალი.
ჩავხენე დიკლო-შენაქოს ვაც-ვერძი ძოვდა რქიანი,
ჴელი გააბა მინანმა, დაუხვდა რქა-ჯანგიანი.
ჰანჰახთას ამაციარე, გველ-მყვართ დაუდგა ღრიალი,
გიორგე გარმამიჩინდა, სამძიმარ ყელ-ღილიანი!
— საით მასულხარ კოპალავ, მასულხარ პირ-ოფლიანი,
მიაცალ გადამიყოლე, ენა მაქვ ლაქარდიანი.
გველს მედგა ჩემი მოძმეი შუბნური მათრაჯიანი,
ჴელჩი ეჰირნეს კოპობნი, სავსენი ნავთის წყლიანნი,
შამცოდვეთ საცოდვებლადა მათრაჯი ცხრა ფევსვიანი“ [1].

ამ შედარებითი მასალის შემწეობით გასაგები ხდება „ბარბალ დოლაშის“ საგალობლის ცნობა ბარბალეს ძალით თარეშის შესახებ. ქართველი ტომების სხვა ღვთაებათა მსგავსად, ოდესღაც ღვთაება ბარბალეც მოლაშქრე „ხატად“ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი [2]. მაგრამ ჯერხნო-

[1] ალ. ოჩიაური, დასახელ. ნაშრომი.

[2] ქალ-ღვთაება ბარბალეს ლაშქრობასთან დაკავშირება იქვს არ უნდა ბადებდეს, რამდენადაც ძველი რელიგიებიდან კარგად ცნობილია მეომარი ქალ-ღვთაებების არსებობა. მაგალითად, ძველ-ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ათენა ომიანობისა და მძლეოსნობის ქალ-ღვთაება იყო, რომლის გამოსახულებას ჯავშანი, ჩაფხუტი, ფარი და შუბი ამკობდა. ამას-

ბით ძნელი გასარკვევია, მის სახელთან რა დანიშნულების ლაშქრობა იყო დაკავშირებული—მეკობრობა, თუ მეზობელი ხალხების დამორჩილება მათზე გადასახადის დადების მიზნით, ან, შესაძლებელია, ორივე ხასიათის ლაშქრობაც კი.


ჩვენთვის საგულისხმიერო საგალობელში ყველაზე მეტი ადგილი აქვს დათმობილი ბარბალეს მოგზაურობის საკითხს, ან უკეთ, მითითებას ბარბალეს მოგზაურობის შესახებ და იმ ადგილების ჩამოთვლას, სადაც ეს ღვთაება „დაბრძანდებოდა". საყურადღებოა, რომ საგალობლის თითქმის ყველა ვარიანტში მეტნაკლები სისრულით მოგზაურობის ერთიდაიგივე ადგილებია დასახელებული, თითქოს ბარბალეს მოგზაურობის მარშრუტი კარგად ცნობილი და სავსებით ჩამოყალიბებული იყო. მოგვყავს ვარიანტების სათანადო სტრიქონები:

I	2 ათხე სგოჯი ლაშხრაში,	ახლა ბრძანდება ლაშხრაშში,
	3 ლაშხრაში დიდი სოფელი;	ლაშხრაში დიდი სოფელი;
	4 ჩეგულთას ჟიბენ ახსგოჯნი,	ჩეგულთის ზემოთ მობრძანდები,
	6 ჟიბენ ახსგოჯნი	ზემოთ მობრძანდები
	7 ლაცე-ლახემარალოში,	სიცილ-ხუმრობით,
	12 ჴევიშ ლეჟა ანსგოჯნი,	ხევზე მობრძანდები,
	13 ჟიჰი ანსგოჯნი	ზემოთ მობრძანდები
II	3 გეგულდაშს ჟიბენ ონსგეჯი;	გეგულდაშის ზემოთ მობრძანდები;
	8 ბარბალ, ისგეა ჭამშაშუღი	ბარბალე, შენი ძლიერებით
	9 ჯიფერის ისგა ონღური	ჯიფერში შემოვდივარ
III	3 ლაფსყალდაშ ჟიბენ ანსგეჯნი,	ლაფსყალდს ზემოთ მობრძანდება,
	4 გეგულდა[შ]ს[1] ისგა ანსგეჯნი.	გეგულდაშში მობრძანდება.
	5 ბარბალ, ისგეა ჭამშოშუღი	ბარბალე, შენი ძალით
	6 ლაშხრაში ჟიბენ ანსგეჯნი;	ლაშხრაშს ზემოთ მობრძანდები;
	11 ჯჟიჰიერისგა ანსგეჯნი	ჯჟიჰიერში მობრძანდები
IV	2 ჟიბენი ახსგეჯნი ლაშხრაში.	ზემოთ მობრძანდები ლაშხრაშში.
	7 ჯჟ[ი]ჰიერისგა ანღჯრდას.	ჯჟიჰიერში მოდიოდი.
	12 ლეჟაე ლაშჭედხი დაბარსი.	ზემოთ შემოსულხარ ყანებში.
V	2 ათხე ანსგუეჯნი ლაშხრაშუ,	ახლა მობრძანდება ლაშხრაშში,
	3 ლაფსყალდაშისგა ანსგუეჯნი,	ლაფსყალდში მობრძანდება,
	4 გეგულთას ჟიბენ ანსგუეჯნი,	გეგულთის ზემოთ მობრძანდება,
	9 ჯჟიჰიერისგა ანსგუეჯნი.	ჯჟიჰიერში მობრძანდება.

ვარიანტებში მოხსენებული ჩეგულთა (I_4), გეგულდაშ (II_3, III_4) და გეგულთა (V_4) ერთიდაიგივე ადგილის სახელწოდებაა, I და V ვარიანტებში დამახინჯე-

თანაეე უნდა აღინიშნოს, რომ სვანურ კულტში საომარი ატრიბუტებით მეორე სვანური ქალ-ღვთაება ლამარიაც იყო წარმოდგენილი. ერთერთ გაზაფხულის დღეობა „აღბა-ლაღრანლზე" (მულახის თ.) ლამარიას ხის გამოსახულებას აკეთებდნენ და მას ხის დაშნას და მშვილდ-ისარს ხელში აჭერინებდნენ (იხ. საქ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. კოლექცია № 26—31/20).

[1] დედანშია: გეგულთას.


ზემო სვანეთი
ქვემო სვანეთი
ნიშნების ახსნა
სოფელი
მთა
უკლესია
ჰრომცესიები:
ბარბაღეს სახელობისა
ჯგზნაგის ,,
თარიჭელის ,,
მასშტაბი 1:400 000

ბულად მოცემული[1]. ეს არის ბეჩოს თემის საზღვრებში მდებარე ადგილი გეგულდაში. ასევე ჯვიჰიერის (III_{11}, IV_7, V_9) დამახინჯებულ ფორმას ჯიფერი (II_9) წარმოადგენს. ჯვიჰიერი ეწოდება კალას თემიდან უშგულში ასავალ გზაზე მდებარე დიდ ფართობს, რომელიც ვაკეს, ფერდობებს და ტყეს შეიცავს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ვარიანტებში მოხსენებული ლაშხრაში (I_2, III_6, IV_2, V_2) სვანეთში ორია—ერთი ჩუბეხევის თემის სოფელი და იგივე სახელი (ლაშხრაში) ეწოდება ადგილს ფარის თემის ფარგლებში. საგალობელში ჩუბეხევის თემის სოფელი ლაშხრაში უნდა იგულისხმებოდეს, რამდენადაც ერთერთ ვარიანტში ამაზე პირდაპირი მითითება არსებობს: „ათხე სგოჯი ლაშხრაში, ლაშხრაში დიდი სოფელი“—ახლა ბრძანდება ლაშხრაშში, ლაშხრაში დიდი სოფელი-აო, განმარტავს ქართული სიტყვებით („ლაშხრაში დიდი სოფელი“) ვარიანტი I_3. ლაფსყალდი სამ ვარიანტშია (I, III, V) მოხსენებული და ამათგან I_3 ვარიანტში ფრაზა, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება, აშკარად ნაკლულევანი და დამახინჯებული ჩანს.

ამგვარად ირკვევა, რომ ბარბალეს უმოგზაურია ბეჩოს თემის სოფელ დოლიდან გიგულდაშში, ჩუბეხევის თემის სოფელ ლაშხრაშში, ცხუმარის თემის ლაფსყალდში, იქიდან ბალს ზემოთ („ჯევიშ ლეჟა“) გადასულა, ჰადიშზე გაუვლია (რადგან „ჰადიშს ხაბიშა მეზრას კეც“—ჰადიშისათვის გამოგირთმევია სალოცავი ქვევრიო, აღნიშნავს ვარიანტი I_{21}), ჯვიჰიერში მისულა და, ბოლოს, უშგულში აბრძანებულა (იხ. ტაბ. I, ბარბალეს სახელობის პროცესია).

ბარბალეს მოგზაურობის ამგვარი მარშრუტი საესებით ცხადყოფს, რომ „ბარბალ დოლაშის“ საგალობელს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი ს მიერ მოყვანილ ლეგენდასთან მაცხოვრის ხატის გატაცების შესახებ არავითარი კავშირი არა აქვს. ლეგენდის მიხედვით ხატი გაიტაცეს ვინმე ქალდანმა და ჭელიძემ ბეჩოს თემის სოფელ დოლის ბარბალეს სახელობის ეკლესიიდან და უშგულში მიიტანეს. ბარბალეს საგალობელში კი საუბარია იმის შესახებ, რომ ბარბალე სვანეთის სხვადასხვა ადგილებში „დაბრძანდებოდა“ და ბოლოს უშგულს ეწვია.

შეიძლება გადაწყვეტით ითქვას, რომ ბ ა რ ბ ა ლ ე მაინცდამაინც ს ა ლ ო ც ა ე ე ბ შ ი „დ ა ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ო დ ა“, რომ ზემოაღნიშნულ ადგილებში ყველგან სამლოცველოები უნდა ყოფილიყო გაშენებული. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ეს ასეა ლაფსყალდში, სადაც ძლიერი ხატის ლაფსყალდშ თბრგლეზერ-ის ეკლესია დგას, ჩუბეხევის თემის ლაშხრაშში, სადაც ბარბოლ-ის სახელობის ეკლესია არის მოთავსებული, ასევე ბარბოლ-ის ეკლესია არის ფარის თემის ლაშხრაშშიც; ჯვიჰიერიც წმინდა და სალოცავი ადგილი უნდა ყოფილიყო[2]. ამას გარდა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ღვთაებების მოგზაურობის ამსახველი პროცესიები ქვემო-სვანეთში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოწმდება და ყველგან ეს პრო-

[1] აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მთხრობელმა ი ვ ა ნ ე ხ ა ჭ ვ ა ნ მ ა არ იცოდა, თუ რა ადგილს ეწოდებოდა გეგულდაშ და გეგულთა. ამიტომ გასაგებია, რომ მას შეეძლო უცნობი გეოგრაფიული სახელი დამახინჯებულად გადმოეცა.

[2] ტერმინის მნიშვნელობის საფუძველზე ეს მოსაზრება ჯვიჰიერის შესახებ დამიდასტურეს ა რ ს ე ნ ო ნ ი ა ნ მ ა, დ ა რ ი ს პ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ მ ა და ა ლ ი დ ა ვ ი თ ი ა ნ მ ა მათთან პირადი საუბრის დროს.

ცესიები სამლოცველო ადგილებში ხდებოდა. ამასთანავე საფიქრებელია, რომ ბარბალეს მოგზაურობის ჩამოთვლილ პუნქტებში ქრისტიანული საკულტო ძეგლების ნაცვლად ოდესღაც წარმართული სალოცავები იდგა და ღვთაება ამგვარ სალოცავებში „დაბრძანდებოდა“. აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელებში ჯვარ-ხატების პროცესიები ბოლო ხანამდე წარმართული ხასიათის სალოცავებში იმართებოდა. გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე ყველასათვის ცნობილი ფაქტი, რომ საქართველოში ეკლესიები ძველ წარმართულ სალოცავების ადგილებზე იყო გაშენებული.

„ბარბალ დოლაშის“ საგალობელში ბარბალეს მოგზაურობასთან დაკავშირებული რიტუალის შესახებ თითქმის არავითარი ცნობა არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდეგს მეტად ნაკლულევანსა და დამახინჯებულ ფრაზებს:

I_5	ხემა ემგიშ ლუზორ დაფსყალდაშ.	როგორც ხალხის შეკრება ლაფსყალდში.
II_6	ხვითჳში ენგი ლუზორს	ვირჩევ შეკრებილ ხალხს
IV_{13}	ბარბალ მჳმზჳრინ გოში ლი	ბარბალე[1] მლოცველით სავსეა.

ძნელია ამ ნაწყვეტებიდან თავდაპირველი მთლიანი ფრაზისა და აზრის აღდგენა, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ხალხის შეკრება ბარბალეს დღეობასთან და სადღეობო ცერემონიალთან (მოგზაურობასთან) უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მიუხედავად ცნობების ამგვარი სიმცირისა, აღნიშნული ცერემონიალის დაახლოებით აღდგენა მაინც შესაძლებელია ზოგიერთი პარალელური მასალის გათვალისწინების საშუალებით.

თუ ღვთაებათა მოგზაურობის საკითხს დიაქრონიკულ ჭრილში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ეს მოტივი ქართველების რელიგიის განვითარების სხვადასხვა საფეხურზეა მოცემული. უძველესი წარმოდგენებით ღვთაებები ანუ ხატჯვრები მოგზაურობდნენ ფრინველის (მტრედის) და ადამიანის სახით, ან, როგორც უკანასკნელის შესახებ ხევსურები ამბობენ, „ხატის აღით“. ამგვარი წარმოდგენები ყველაზე უკეთ ხევსურების სარწმუნოებაშია დაცული[2]. ხევსურებს შემოუნახავთ ძველი თქმულებები მათ ხთიშვილთა სისტემატური ხასიათის მოგზაურობის შესახებ. აქვე მოგვყავს ამ თქმულებების ორიოდე ნიმუში.

---

[1] იგულისხმება: ბარბალეს სალოცავი.

[2] მართალია, სვანების ძველი რწმენის გადმონაშთებშიც მოიპოვება ცნობები ხატ-ჯვრების მოგზაურობის შესახებ, მაგ., სინათლის ზოლის სახით ერთი ხიდან მეორე ხეზე მათი გადაფრენა, არასასურველ სალოცავიდან სხვა ადგილზე წაყვანა და იქ დამკვიდრება და მრავ. სხვა. ხატების ამგვარ მოგზაურობის რწმენასთან დამყარებული ხატების ჯაჭვით დაბმის ჩვეულება. ჯაჭვით დაბმული ხატები ჩვენ დავადგინეთ 1931 წელს ზემო-სვანეთში, ფარის ჯგერშგ-ის ეკლესიაში და სახელგანთქმულ ლაფსყალდის თპრგლეხერ-ის სალოცავში (ცხუმარის თემში). მაგრამ ეს გადმონაშთები სხვა რიგის სარწმუნოებრივი ელემენტებია, ეგების უფრო არქაული ხანიდან მომდინარე, ვიდრე აქ განსახილველი ღვთაებათა მოგზაურობის მოტივი.

ერთერთი ხევსურული ლეგენდის თანახმად, გუდანის ჯვარი გერგეტის თავიდან, სადაც ბეთლემის სახლი ყოფილა გაშენებული, ხევსურეთში „წაბრძანებულა“ და გუდანში დამკვიდრებულა. გზად მომავალს თან ჰყოლია თავისი „მკადრე“ ჰორმეშიონი კაცი, სახელად გახუა. გახუას თქმით: „ეს ხატი ნაწილიანი ყოფილ, ღამითაე შუქ უშობდისავ. რო მავიდოდ, ხატი თავის-თავად წინ მაჰიძღვებოდისავ. ყორის წყალზე რო მაველითავე, იცოდის გახუამ, ბიბინ რაიმ დადგაო-დ ხატიც კლდის თავზე შაჯდავ. მოვიდესავ ტრედის აღითავ რეებიმაო-დ შუქთ კი უტევედესავ, ოქრო-ქსოილ მაიტანესაო-დ რომელნიც გახუას მახყევებოდ იმ ხატს ჩააცვეს თუა-დ გამახყე გზას; უკენ გახუა მახყევებოდ. იქით წამასულთ დღე-და-ღამ ვიარეთაო-დ გათენებისად გუდან მავედითავ. გუდანის ჯვარის ბეღელსთან რო მიველითავე, ის ბეღელში შევიდაო-დ მე კარჩი დავრჩივ. ერთხენ გაქადაგებულ გახუაი-დ მაუტანებიებავ გუდანის ჯვარს რო მიავ ღილღოს ვემზადებიო-დ ჩემ მკადრეიო-დ ორ დასტურ გამამყევითავ. გახუასა-დ დასტურებს სამთავ მაუყვანავა-დ თითო სანათლავი დაუკლავ. მეორეს დილას დასტურები-დ გახუა მისულან გუდანის ჯვარის კარზე; გახუას სამკადრეო ხჭონივას, გადაუფენავ ჴელზე სამკადრეიო-დ მასელივ გუდანის ჯვარი,—ხან ტრედის სახით იქნისაო-დ ხან ხატივით იყვისავ. გახყოლივ დასტურებიცა-დ გახუაიც ხატს. ხატივ წინ მიგვიძღვებოდისაო-დ ღამითავ გზასაც მიგვინათებდისავ. უველივა-დ ღილღოს მისულან. ღილღოს ერთ სოფელი ას, ტარგამეი; იქ მისულან“. შემდეგ მოთხრობილია თუ როგორ დაატყევეა ტარგამეის ხალხმა გუდანის ჯვარი და მათმა, მკითხავმა ის გაანთავისუფლებინა. „როსაც ღილღველნი შაყრილან, თავის მკითხავიც თან მოუყვახავ. ამ დროს მასელივ იმათ მკითხავს „იარდა“ (იარდა იყვ ღილღველთ სალოცავი)[1]. იარდამ თავის მეენეს ატანებივ რო გუდანის ჯვარ მესტუმრაო-დ თქვენავ მასხარად იგდებთავ ჯვარ-კაცსავ. დაუთხოვეე მუქარა ღილღველთად იარდას—თქვენავ ჩემს სტუმრებსავ პატივს არ სცემთაო-დ გაგანადგურებთავ. ის რო ქადაგობდავ, გახუამ თქვისავ, გადმავხენეო-დ ერთიანად ღილღველნივ მუქლის კეერზე ისხდეაო-დ თავები დახრილები ხქონდავ. გაიქცესავ, მაიყვანესავ მაშინავ საკლავიო-დ დაკლესავ, სადაც გუდანის ჯვარის მფრინავ ხატი ხყვანდავ დამწყვდეულივ. აუქდავ კიდობნისად თავი-დ კიდობანშიით ამამხტარ ხატი-დ დამჯდარ კიდობნის თავზე ტრედის აღით, რო დაჯდავ ისე შუქთ უტევედისავ, რო კაცივ თეალთ ეერ შააყრიდავ.

---

[1] ხევსურული „იარდა“ ჩაჩნურ-ინგუშურ ერდას (ან ჲერდას) უნდა უდრიდეს. ერდა ან ჲერდა ჩაჩნურ-ინგუშურში საერთოდ „ხატს“ ანუ „ჯვარს“ ნიშნავს (იხ. Проф. Б. А. Алборов, Ингушское „Гальерды“ и осетинское „Аларды“, Изв. Ингушск. н.-иссл. инст. краевед., I, Владикавк. 1928, გვ. 349). როგორც ხევსურული ლეგენდიდან ჩანს, ეს სალოცავი სოფელ ტარგამეში (=ტარკიმ) ან ამ სოფლის მახლობლად უნდა მდგარიყო. აღნიშნულ სოფლის ფარგლებში და მის ძახლობლად ამჟამად რამდენიმე სალოცავია ცნობილი: ქართულ არქიტექტურულ სტილზე აგებული ალბიერდის ტაძარი, აუშასელის „ხატი“ და თვით სოფელ ტარგიმში სალოცავი ნიში, რომლის სახელი ლიტერატურაში ცნობილი არ არის (იხ. И. П. Шеблыкин, Архитектура древних ингушских святилищ, Изв. Ингушск. н.-иссл. инст. краеведения, II—III Владикав. 1930, გვ. 413—414, 438—439 440—441).

ახლა როდესაც ამ სახით უნახავ ღილღვლებს, ისენი სრულაოდ შაშინებულანაო-დ დაუწყაე ხვეწნაი — დალოცვილო გუდანის ჯვარო, გვაპატივიეეო-დ კვამლზე თითო საკლავს დავკლავთაო-დ შამაგწირავთავ. მაუყვანავისა-დ თითო საკლავი ყველას დაუკლავ. გაუმართებავ ღილღვლებს დიდ ლხინი, უდუღებავ ჯორცი-დ კაცსა, დიაცს ყველას უჭამავ. ტყავები კი გუდანის ჯვარის ჯვარიონთად მიუცავ სრუ. ამ დღიდან დამეჯობრებულან გუდანის ჯვარი-დ ღილღველთ იარდაი. გუდანის ჯვარს სრუ წლისთაოდ უვლავ იქ. გუდანის ჯვარ რო ესტუმრებოდ დიდი ამბავით დახვდებოდეს ღილღველნი და უჴოცდეს საკლავებს“[1] (იხ. ტაბ. II, გუდანის ჯვრის პროცესია).

ასევე უძველეს წარმოდგენებს შეიცავს ლეგენდა გუდანის ხატის მოგზაურობისა გუდანიდან არხოტში. „ერთხან არხოტ წასულ გახუაი თავის მფრინავ ხატთან ერთად. გზაზე დახკარგვივ ხატი-დ გახუა ხოშურაულთას მისულ. გამაუხენებავა-დ იფნზე იჯდავ ტრედის აღითაო-დ შუქთ უშობდავ. მიუყვანავ სანათლავი-დ აფნის ძირში დაუკლავ. გასძღოლივ მემრ იქავა-დ მისულ არხოტ. არხოტივნებს გუდანის ჯვარ არ ხუვარებივ. მისულებისად ვერა ბევრ პატივ უცავა-დ დაბრუნეილან იქავ გახუაი-დ იმის ხატი. ეს ხატის ან ტრედის აღით თაოდ გუდანის ჯვარი ყოფილ ას“[2] (იხ. ტაბ. II, გუდანის ჯვრის პროცესია).

ხევსურული ლეგენდებით მტრედის ან ხატის სახითვე ჯაჯმატის ჯვარიც მოგზაურობდა. „გაუძღვებოდ მფრინავ ხატი შიშიასა-დ[3] უკენ შიშია უნდა გახყოლიყვ. უვლავ ბეგრის ასაღებლად ხან სადა-დ ხან სად. ერთხან უთქომ შიშიაისად ჯაჯმატის ჯვარს, რო წაედიო-დ უკენამშავ მამიცადეო-დ მიაც იქ მაოლავ; იქავ ერთ საქმეი გოქვავ გასაკეთებელიო-დ ის გავაკეთათავ. წამასულ შიშიაი-დ მასულ უკენამშავ. უცდავ აქ ორ დღესა-დ არცად მასვლივ ჯვარი, მესამეს დღეს ჭელზე მისვლივ ტრედის აღით. უნახავ უკენამშავლებსაცა-დ მაუყვანავ კვამლის საკლავი. საკლაევებ რო დაუჴოცავ შიშიასად გაუწევავ წყაროსთავისვე ჯვარს“. იქიდან მოუვლიათ ფშავის სხვა სალოცავებიც და, ბოლოს, „გამაუძღვ შიშიას თავის ხატი-დ წამავიდ ჯაჯმატ. წამასაღებიც კი ბლომად მაუგროდ, საკლაევების ტყავები-დ წამაიღ შინ. მას აქეთ დაიწყეს მშავლებმაც ჯაჯმატის ჯვარის ლოცვაი-დ დაუდიოდ საკლავები ჯაჯმატ“[4] (იხ. ტაბ. III).

შედარებით უფრო გვიანი ხანის წარმოდგენები ხატ-ჯვრების მოგზაურობის შესახებ სადღეობო რიტუალშია შემონახული. ეს მოგზაურობა ერთი სალოცავიდან მეორე სალოცავში ღვთაებების სიმბოლურ გამოსახულებათა ან რელიკვიების გადასვენების სახით არის წარმოდგენილი. ამგვარ პროცესიებში მონაწილეობას იღებდნენ ხატის მსახურნი, ე. წ. „ხატის ყმები“ და საზოგადოდ მლოცველები. ჩვეულებრივ ეს პროცესიები დღეობების დროს იმართებოდა. საყურადღებოა, რომ, როგორც მტრედის თუ ხატის სახით ღვთაების მოგზაუ-


---

[1] ა. ოჩიაური, დასახელ. ნაშრომი.

[2] ა. ოჩიაური, იქვე.

[3] შიშია ჯაჯმატის ჯვარის „მკადრე“ იყო.

[4] ა. ოჩიაური, იქვე.


ინგუშეთი
ჩეჩნეთი
ხევი
ხევსურეთი
ფშავი
თიანეთი
ნიშნების ახსნა
სოფელი
ქალაქი
ციხე
არტერიები
ბეღვრის ყანის საბრძოლო
მაჭესრის
არაგვის

რობის, ისე სადღესასწაულო პროცესიების დროს ღვთაების სახელით შესაწირავებისა და ბეგრის აკრეფა ხდებოდა. მოგვყავს ამგვარი პროცესიების რამდენიმე მაგალითი[1].

ქვემო-სვანეთში, ჩოლურის თემში დღეობა აღბა თახაშ-ს (აღების სამშაბათს) 30—40 მულზონ-ი სალოცავიდან ჯგერაგ-ის ხატს გამოასვენებდნენ და პროცესია ჩოლურის თემის სოფლებს შემოივლიდა. თითოეულ სოფელში პროცესიას შესაწირავი არაყითა და ტაბლებით ეგებებოდნენ. თემის შემოვლის შემდგომ პროცესია უკანვე ბრუნდებოდა და ხატს კვლავ ეკლესიაში დაასვენებდნენ[2] (იხ. ტაბ. I, ჯგერაგ-ის სახელობის პროცესია).

დღეობა ქვიშობ-ს (ახალკვირის ორშაბათს) დიდი ზეიმი იმართებოდა ლაშხეთის თემის სამ სოფელში—სასაშში, მებეცში და ლეკოსანდში. დღეობაზე მთელი ლაშხეთისა და ჩოლურის თემების მცხოვრებნი ამ სამი სოფლის სტუმრები იყვნენ. ქვიშობ-ს დილით მულზონ-ების თანხლებით მლოცველები სასაშის ეკლესიიდან თარიძელ-ის ხატსა და საჯურუმო დროშას გაასვენებდნენ და ხატის სადიდებელი „დიდებ, დიდებ თარიძელს, დიდებ მიჩა ჩუოგუმარჯუა, ჯაჲ სგოჯი გუშგუე მაშედ...“-ის გალობით „მიაბრძანებდნენ“ მაღალ გორაკზე მდებარე ძველ საყდარში. იქ, ამ სამლოცველოს კარის წინ, მულზონ-ები ლიღულაჲ-ს (დაჩოქილად ლოცვას და სამსხვერპლოს შეწირვას) შეასრულებდნენ, შემდეგ საკლავს დაკლავდნენ, სკარ-ად დასხდომამდე თარიძელ-ის ხატით ხელში კვლავ მიწაზე დაიჩოქებდნენ და „კვირიას“ საგალობელს იგალობებდნენ. შემდგომ ხდებოდა ხატის და ხალხის წინაშე დამნაშავე პირების შერისხება. სკარობ-ასაც რომ მოათავებდნენ, თარიძელ-ის ხატს ისევ სოფლისკენ წაასვენებდნენ. გზადაგზა პროცესიის მონაწილენი ხატის სადიდებელს ან ზოგჯერ „უოჲ ლილეს“ გალობდნენ. ამ დროს ხატს ეგებებოდა მოსახლეობა შეწირული ცოცხალი ცხვრით (რომელსაც ეწოდებოდა „ქუშარაჲ“) და ხბოთი, რომლებსაც მულზონ-ები ჩამოართმევდნენ, ლოცვა-ვედრებით და დიდებით მათ სანთლით შუბლზე და ბეჭზე ბალანს შეუტრუსავდნენ და შემდეგ სამსხვერპლოს პატრონს უბრუნებდნენ მომავალ ქვიშობ-ისათვის გასასუქებლად და დასაკლავად[3] (იხ. ტაბ. I).

დღეობა ულიშ-ს (||უილიშ || ულშობ) ლაშხელები დღესასწაულობდნენ პეტრე-პავლობის მარხვის დაურწყვების წინა ხუთშაბათიდან მომდევნო ორშაბათამდე. ამ დღეობის პირველ დღეს სოფელ მახაშის მცხოვრებნი გამოასვენებდნენ თავის სოფლიდან თარიძელ-ის ხატს და წაასვენებდნენ მაღალ შიშველ მთაზე, რომლის მიდამოს ულიშ და მთას-კი ლაკაჲ ეწოდება. ამ მთაზე მდგარა

---

[1] სვანეთში ეს პროცესიები უკანასკნელ წლებამდე რელიგიური სინკრეტიზმის საფუძველზე იყო დაცული. ამიტომ მათში უძველესი რწმენისა და კულტის ნაშთები ქრისტიანულ ელემენტებთან არის შერწყმული. ქრისტიანული ელემენტები წარმოდგენილია უმთავრესად ეკლესიების სახით, რომლებითაც ძველი დროიდანვე მდიდარია სვანების ტერიტორია, და ქრისტიანული ჯვრებისა და ხატების სახით, რომლებსაც წარმართულ ღვთაებათა სიმბოლოს ადგილი უჭირავს.

[2] არსენ ონიანი, ქვემოსვანური ხალხური დღეობები, ხელნაწერი, დაცულია ენიმ-ის ეთნოგრაფ. განყ. არქივში.

[3] ა. ონიანი, იქვე.

ქვის ძველი ეკლესია, რომლის აგებას სვანები თამარ მეფეს მიაწერენ. თარიძელ-ის ხატს ამ ეკლესიაში დაასვენებდნენ. ამის შემდგომ იწყებდნენ ლაშხელები ულიშ-ის სალოცავში მთაზე შესაწირავებით ასვლას. სხვადასხვა რიტუალის შესრულებისა და სკარობ-ის დამთავრების შემდგომ კვირა საღამოს მლოცველი ხალხი იშლებოდა. მხოლოდ მულზონ-ები რჩებოდნენ ულიშ-ის ხატთან ორშაბათამდე. ისინი ორშაბათს თარიძელ-ის ხატს კვლავ მახაშში მიასვენებდნენ და ამ სოფლის ეკლესიაში ათავსებდნენ. მულზონ-ების პროცესია გზაში გალობით მიდიოდა. ამ დროს მათ ხვდებოდნენ სხვადასხვა სოფლების მცხოვრებნი მომავალი წლის ულიშ-ისათვის განკუთვნილი ცხვრებით, სანთლით და ტაბლებით, რომლებსაც მულზონ-ები უკურთხებდნენ ხოლმე, თავის ხვედრ შესაწირავებს (ტაბლებს, სანთელს) თვით იტოვებდნენ, ხოლო ცხვრებს პატრონებს უბრუნებდნენ[1] (იხ. ტაბ. I, თარიძელ-ის სახელობის პროცესია).

მსგავსი სადღესასწაულო პროცესიები, როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელებშიაც არის დამოწმებული. ფშაველების სათაყვანებელი „თამარ აქიმ-დედუფალის“ ხატობაზე ამ წმინდანის მთავარი ხატიდან —ღელედან, რომელიც არაგვის ფშავში მდებარეობს, ხევის-ბერების წინამძღოლობით მლოცველთა პროცესია მიემგზავრებოდა ივრის ხეობით კახეთში, სოფელ ახმეტაში, სადაც ფშავ-ხევსურეთის მთავარი ხატების ნიშები და ზერები იყო მოთავსებული. „ხატიონი“ ამ ნიშებს მოილოცავდა, დაიტვირთებოდა თამარის ხატის ღვინით, რომელსაც „თამარ მეფის კულუხი“ ეწოდებოდა, და უკანვე მიემგზავრებოდა. არტნის ხეობაზე მიმავალი პროცესია ჯატ-ჯევში, ჯატჯეურხის გორაზე მოთავსებულ თამარ დედოფლის ხატს მოილოცავდა და შემდეგ კვლავ განაგრძობდა სვლას არაგვის ფშავისაკენ. ამ პროცესიას ნ. ხიზანაშვილი შემდეგნაირად აღწერს: „რამდენიმე ფშაველს წინ მიუძღვის ხევის-ბერი; სოფლებში გზის პირად მოგროვილი ხალხი ელოდება ბერის მობრძანებას. აგერა გამოჩნდა ხევის-ბერიც თავის ამალით. ხალხში ჩოჩქოლია, ყველას სახეზედ მხიარულება და კმაყოფილება ეტყობა. ხევის-ბერი წყნარად და ლმობიერად ლოცავს ხალხსა, ამწყალობლებს, „დიდს დედოფალს“ ავედრებს; მსმენელნი მოწიწებით და კრძალვით ისმენენ ლოცვა-კურთხევას. შემდეგ ღვინოს დაალევინებენ, ვისაცა სურს“[2] (იხ. ტაბ. III).

თამარის ხატის მეორე პროცესიას ჯატ-ჯევის თამარის ხატიდან ლაშარის ხატში, პროცესიას, რომელიც დღეობა ლაშარობას მოეწყო, აღვწერთ პირადად ნახულის მიხედვით. ლაშარობის კვირას, ნაშუადღევს თამარის ხატის მსახურმა ზარი დარეკა. ზარის ხმაზე ხატის კარის წინ მყისვე შეიკრიბნენ ხატის „მსახურნი“ და „ფერჯისული“ დაბეს. ამ დროს მედროშემ ხატიდან თამარის დროშა „გამოაბრძანა“. დროშას წინ ხევის-ბერი მოუძღოდა. დროშა შეაჩერეს გალავნის კართან და ხევის-ბერმა მის გარშემო შეკრებილი ხალხი დაამწყალობა. დამწყალობების შემდგომ ხატიონი დაიძრა ლაშარის ჯვარისაკენ, რო-

[1] ა. ონიანი, იქვე.

[2] ნ. ხიზანაშვილი, ჩემის დღიურიდგან, მასალ. საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. II, გვ. 101.

მელიც თამარის ხატს ერთი კილომეტრით შორავს. პროცესიის თავში მიერეკებოდნენ სამსხვერპლო საკლავებს—ცხვრებს, შემდეგ მოდიოდა ხევის-ბერი, რომელსაც უშუალოდ მისდევდა მედროშე დროშით ხელში; დროშის უკან სიგანეზე გამწკრივებული იყვნენ ხატის მსახურნი და ხატის მიერ „დამიზეზებული“ პირები (კაცები), რომლებიც მთელი გზა ფერჯისულის საგალობელს გალობდნენ; პროცესიის ბოლოს მოქცეული იყო მლოცველი ხალხი, რომელიც ხატიონს ცხენებით და ბარგით დატვირთული მისდევდა. როდესაც პროცესია ლაშარის ხატს მიუახლოვდა, ხევის-ბერი საჩქაროდ დაწინაურდა, ლაშარის ხატში შევიდა და პროცესიას ზარის რეკვით შეეგება. დროშის წინამძღოლობით და ფერჯისულის გალობით პროცესიამ სამგზის ლაშარის ხატის გალავანს შემოუარა და შემდეგ ხატის კარის წინ შეჩერდა. ხატიონი ფერჯისულის გალობას განაგრძობდა ხატის პირდაპირ ნახევარ წრედ გაჩერებული. ამ დროს ხატიონის წინ, ზურგით ხატის შენობისაკენ, მედროშე იდგა დროშით ხელში. ერთ-ერთი დასტური მომღერლებს გარს უვლიდა და ყველას სათითაოდ პირში არაყს ასხამდა. ფერჯისულის დამთავრების შემდეგ ყველამ ერთხმად დაიძახა—ვაშა, ვაშაო, მედროშემ დროშა საზარე ნიშზე „აებრძანა“, ხატიონი დაიშალა, მლოცველები ხის ძირებში დაბანაკდნენ, სუფრები გაშალეს და სმა-ჭამასა და მხიარულებას მიეცნენ. ასე დამთავრდა თამარის ხატის პროცესია ჭატ-ჭევის ლაშარობაზე[1] (იხ. ტაბ. III, თამარის სახელობის პროცესია).

თამარის ხატის პროცესიების გარდა ფშავში ცნობილი იყო კოპალას სახელობის სადღესასწაულო პროცესიაც, რომელიც ამ ხატის დღეობაზე იმართებოდა. კოპალას მთავარი ხატიდან, რომელიც არაგვის ფშავში მდებარეობს, ცხენოსანი ხატის მსახურები ხატის დროშის ფრიალით მიემგზავრებოდნენ ივრის ხეობით კახეთში, სოფელ ახმეტაში კოპალას ხატის ზვრიდან კულუხის წამოსაღებად. პროცესია ჩერდებოდა გზადაგზა ყველგან, სადაც კოპალას ანუ კოპალეს სალოცავი ნიში იდგა, დროშის ზარებს აზრიალებდნენ და ამწყალობებდნენ მორწმუნეებს, რომლებიც ხატიონს გზაში ეგებებოდნენ, ან ზარის ხმის გაგონებაზე ნიშთან იკრიბებოდნენ. ახმეტაში მიმავალ ხატიონს უერთდებოდნენ ხატის მიერ „დამიზეზებული“ პირები და ისეთები, რომელთაც შეთქმული ჰქონდათ კულუხის მოტანაში მონაწილეობის მიღება. ამგვარად გაზრდილი პროცესია განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ხდებოდა ახმეტიდან დაბრუნებისას, ვინაიდან კულუხის წამღებთ ივრის ფშაველების ერთერთ დიდ დღეობა იხინჭობაზე მიმავალი ხალხი უერთდებოდა. ახმეტაში ჩასული პროცესია მოილოცავდა და ღამეს ათევდა იქაურ კოპალეს ნიშთან, შემდეგ კულუხით დატვირთული გაბრუნდებოდა უკან და მიემგზავრებოდა სოფელ ჟებოტისაკენ და დღეობა იხინჭობის წინა საღამოს ამ სოფლის კოპალეს ნიშთან ჩერდებოდა, ღამეს იქ ათევდა, ხოლო მეორე დილით მზის ამოსელის ხანს იხინჭის კოპალეს ხატში მიმავალ მედღეობე ხალხს წინ მიუძღვებოდა და მათთან ერთად დღეობა იხინჭობაზე კულუხის ღვინოს სვამდა და დროს ატარებდა. საღამოს,

[1] ამ პროცესიის დაწვრილებითი აღწერილობა იხ. ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში.

დღეობის დასასრულს გადარჩენილი ღვინო კოპალეს პროცესიის მონაწილეებს არაგვის ფშავში მიჰქონდათ და იქაც ამ ხატის დღეობაზე მლოცველებს ამ ღვინით უმასპინძლდებოდნენ. იხინვის გორიდან არაგვის ფშავისკენ კოპალეს სახელობის პროცესია არტნის ხეობით მიემგზავრებოდა. პირველად შეჩერდებოდნენ სოფელ ბაჩალში, სადაც ბაჩლის ორ ხატს ეწვეოდნენ, შემდეგ ბეღელთანაში ადიოდნენ, იქაურ სალოცავ „დევის სკამს“ მოილოცავდნენ და ღამეს ათევდნენ; მეორე დილას აჰყვებოდნენ გზას ფადლაურას მწვერვალისაკენ, ამ მწვერვალს გადალახავდნენ, არაგვის ფშავში ჭიჩოსა და მათურას სოფლებზე გაივლიდნენ და, ბოლოს, მიაღწევდნენ უძელაურთ-კარს, სადაც კოპალას მთავარი ხატი სუფევდა. პროცესიის მონაწილე ივრის ფშაველები შესაფერისი შესაწირავების მიძღვნისა და ლოცვა-ვედრების შესრულების შემდგომ თავის სამოსახლო კუთხეს უბრუნდებოდნენ, ხოლო პროცესიის დანარჩენი მონაწილენი კი აქედან ხევსურეთში გადადიოდნენ, ხევსურეთის კოპალეს ნიშებსა და სალოცავებს მოინახულებდნენ და შემდეგ კვლავ არაგვის ფშავში ბრუნდებოდნენ. ამით მთავრდებოდა ფშაველების კოპალეს ხატის სახელობის მოგზაურობა[1] (იხ. ტაბ. III).


არსებობდა აგრეთვე ხევსურეთის კოპალას სახელობის პროცესიაც, რომელიც იმართებოდა ერთერთი ძლიერი ხატის ლიქოკის კოპალას ანუ კარატის ჯვარის დღეობაზე. ამ დროს კარატის ჯვარის ხატიონი კოპალას დროშით თუშეთში გადადიოდა და იქ არსებულ კოპალას ნიშებს მოივლიდა და მოილოცავდა. ხევსურების ხატიონის პროცესიას ყოველ სალოცავთან მახლობლად მოსახლე თუშები ეგებებოდნენ და შესაწირავებს მიართმევდნენ, ხოლო ხატიონი მათ კოპალას სახელით ამწყალობებდა[2] (იხ. ტაბ. III).

მეორე რიტუალური პროცესია იმავე ლიქოკის ხატისა დღეობა ციხე-გორობას იმართებოდა (ციხე-გორობა დღეობა ათენგენობას ხვდებოდა). სოფელ აკუშოდან დროშის წინამძღოლობით „ჯვარიონი“ „მეზღვნე“ ხალხის თანხლებით ციხე-გორის სალოცავში მიემგზავრებოდნენ. მისვლის შემდგომ მედროშე დროშას სალოცავ კოშკზე „დააბრძანებდა“. ამ დროს იქ ახალი დასტურების არჩევა და დაყენება ხდებოდა. დასტურებს კოპალას ჯვარი აყენებდა თავისი ხუცესის საშუალებით. აქადაგებდა ხუცესს და მისი პირით გამოუცხადებდა ხალხს—„მე გმირ კოპალაი ორ, აისივ ძალი-დ შაძლებაი მაქვ“-ო და სხვა. შემდეგ დასტურებს დაასახელებდა--„მე მავითხოვ მემსახურონ დასტურებად“ ესადაეს პირებიო. დასტურების დაყენების შემდგომ ხუცესი ლუდსა და სუფრას გაადიდებდა და, ბოლოს, „სარიგოებისა“ და „საბეგროების“ დახოცვა ხდებოდა. ხუცესი პირველად სარიგოებს მოითხოვდა—„ვინაც საქვაბისეოს საბეგრო მთებს სთიბთ, სარიგოებ მაიყვანეთ, უნდა დავკოცათო“ და ხალხსაც მოყავდა სარიგოები და საბეგროები. ცხვრების დაკვლის შემდგომ ჯვარიონი და ხალხი დროშას უკანვე „წააბრძანებდნენ“ და ამით თავდებოდა კოპალას სახელობის პროცესია[3] (იხ. ტაბ. III, კოპალას სახელობის პროცესია).

[1] ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში.

[2] ცნობები ამოღებულია ხევსურეთში 1929 წ. და თუშეთში 1932 წ. ჩვენი მოგზაურობის დღიურებიდან.

[3] მელ. ბალიაური დანიკ. მაკალათია, ხევსურების დღესასწაულები, ხელნაწერი, დაცულია ენიმკი-ს ეთნოგრ. განყ. არქივში.


ნიშნების ახსნა
სოფელი
გმა
საღორცავი
პრობლემები:
თბილისის სახელობისა
კოპალის "
ჯუბგის ჯუბის "

ხანგრძლივ დღეობა ათენგენობას ხევსურეთში რამდენიმე „ჯვარის“ სახელობის პროცესია იმართებოდა. ამ დროს ჯაჭმატის ჯვარის ჯვარიონი „გიორგი ნაღვარ მშვენიერის“ ბორაყის წინამძღოლობით თუშეთში მიემგზავრებოდა და იქ ჯაჭმატის სახელობის ნიშ-სალოცავებს მოილოცავდა იმავე წესით, როგორითაც კარატის ჯვარის ჯვარიონი. ვინაიდან კარატისა და ჯაჭმატის ჯვრების ნიშები თუშეთში მრავლად იყო, ამ ჯვრების პროცესია თითქმის მთელ თუშეთს შემოიელდა ხოლმე[1]. ვაჟა-ფშაველა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხევსურების თავი ხევის-ბერი და დასტურები ამ დროს თუშებში შესაწირავებს ფულითა და საქონლით ჰკრებდნენო[2] (იხ. ტაბ. III).

ამავე დღეობაზე გუდანში, არხოტის ჯვარში და იაჯსრის ჯვარში ამავე ჯვრების სახელწოდების პროცესიები კახეთიდან, სოფელ ახმეტიდან მიდიოდა. პროცესიის მონაწილენი ერწოსა და კახეთში გადასახლებული ხევსურები და ფშაველნი იყვნენ. ახმეტიდან მათ კულუხი მიჰქონდათ ჩამოთვლილ ჯვრების სახელობის ზვრებიდან და მარნებიდან, რომლებიც ამ ჯვრებს ძველად ახმეტაში ჰქონიათ[3] (იხ. ტაბ. II).

ხევსურეთის შიგნით პროცესიები იმართებოდა ათენგენობას და ამაღლებას გუდანის ჯვარის სახელობისა ბარისახოს ჯვარში[4], ამავე ათენგენობას სოფელ ამღის იაჯსრის ჯვარის სახელობისა ზეთუკის მთის სალოცავში[5] და ამავე დღეობაზე სოფელ ახიელიდან არხოტის ჯვარის დროშის წინამძღოლობით ამ ჯვარის მოძმის „მთიშეშაქის“ (ანუ „მთის ეშაგის“ || „მთის ევშაგის“) ხატში, რომელიც ახიელის ზემოთ მთაზე იყო მოთავსებული[6]. ამ პროცესიების დროსაც ჯვრების სახელით შესაწირავებისა და ბეგრის აკრება ხდებოდა (იხ. ტაბ. II).

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელებისა და ქვემოსვანური მასალის მოკლე აღწერილობიდან ირკვევა, რომ ქართველების სარწმუნოებასა და კულტში არსებობდა ღვთაებათა მოგზაურობის ორი სახეობა: უფრო ძველი, როდესაც ღვთაება მტრედისა და ხატის (ე. ი. ადამიანის) სახით წარმოდგენილი თავისი მკაძრეს და ხატიონის თანხლებით მოგზაურობდა, და, ქრონოლოგიურად შემდგომი საფეხურისა—ღვთაების სახელობის სადღესასწაულო პროცესიები. ამასთან დაკავშირებით საფიქრებელია, რომ „ბარბალ დოლაშის“ საგალობლის ცნობა ბარბალეს მოგზაურობის შესახებ ამ ღვთაების სადღესასწაულო პროცესიას გულისხმობდეს. როგორც საგალობელი, ისე ზემოგანხილული სადღეობო პროცესიები ღვთაების თუ ხატ-ჯვარის სალოცავიდან სალოცავში მოგზაურობას ასახავს. ამას გარდა „ბარბალ დოლაშის“ საგალობელში, რო-

[1] ხევსურეთში და თუშეთში ჩვენი მოგზაურობის დღიურებიდან.

[2] ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გ. ჭიჭოძის რედაქციით, ტფ. 1937 წ., გვ. 120.

[3] ა. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი.

[4] მელ. ბალიაური და ნიკ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი.

[5] ა. ოჩიაური, იქვე.

[6] ა. ოჩიაური, იქვე.

გორც ზემოთ იყო გარკვეული, მოცემულია ცნობა ბარბალეს მოგზაურობასთან დაკავშირებული ხალხის შეკრების შესახებ; აღწერილ დღეობების მიხედვითაც ხატ-ჯვრების მოგზაურობას თან სდევდა ხატის მსახურთა და მღოცველი ხალხის პროცესია ხშირ შემთხვევაში დიდების გალობით. მოგზაურობის დროს ბარბალე თავის ტაბლების გამომცხობლებს ირჩევდა მსგავსად კარატის ჯვარისა, რომელიც ციხე-გორობის პროცესიის დროს თავის დასტურებს ირჩევდა და აყენებდა. ამ ელემენტების შეხვედრის გარდა ბარბალეს პროცესიასა და სადღეობო პროცესიებს შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მსგავსება არსებობს. სადღეობო პროცესიებს ქვემო-სვანეთის მოსახლეობა შესაწირავი ცხვრებითა და სანთელ-ტაბლებით ეგებებოდა, თუშები შესაწირავის სახით ფულსა და საქონელს მიართმევდნენ და ფშაველთა და ხევსურთა ხატების პროცესიებს ახმეტას ზვრებიდან კულუხი მიქონდათ; ხოლო „ბარბალ დოლაშის“ საგალობლის I (21—22) ვარიანტში ნათქვამია: „ჰადიშს ხაბიშა მეზრას კეც, უშდიხა წყილიან ზედაშინ გეშია“ — ჰადიშისათვის გამოგირთმევია სალოცავი ქვევრი, გამოულეველი წმინდა ზედაშით სავსე. დანარჩენი ვარიანტებიდან II და IV-ში ეს ცნობა სრულიად აღარ არის დაცული, III (19—20) და V (18—19) ვარიანტებში კი მას ნაკლულევანი ფრაზით ეხვდებით—„წყილიან ზადაშინ გოშია მეზრაში კეცილ უშდიხა“—წმინდა ზედაშით სავსეა სალოცავი ქვევრი ამოულეველი.

უნდა აღინიშნოს, რომ, დანარჩენ ქართველ მთიელების მსგავსად, სვანების სარწმუნოებისათვისაც მეტად დამახასიათებელია ამათუიმ ღვთაების სახელით დაბეგვრის წესჩვეულების არსებობა. სვანს, რომელიც ხატის წინაშე რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა, ჰიბარ-ს ანუ ბეგარ-ს, 'ბეგარას', დაადებდნენ. იმისდა მიხედვით, დანაშაული მსუბუქი თუ მძიმე იყო (ლისგურეშ-ის 'ჯდომის' დღის, ე. ი. უქმის გატეხვა, ხატის გაჭურდვა და სხვა), დამნაშავეს ჰიბარი რამდენიმე წლით, ან საშვილიშვილოდ ედებოდა. ჩვეულებრივ ამ სახის გადასახადი იყო არაყი, რომელიც დამნაშავის ოჯახს ხატის დღეობებზე მიქონდა და ხატის მსახურებს მიართმევდა. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში სპეციალური დღეობაც-კი არსებობდა, რომელსაც ჰიბრობ ანუ ბეგრობ ეწოდებოდა[1]. „ბარბალ დოლაშის“ საგალობლის ზემომოყვანილი ფრაზიდან ირკვევა, რომ ამგვარი დაბეგვრა ბარბალეს სახელითაც ხდებოდა და რომ ოდესღაც ამ ღვთაების „მეგბარი“ მთელი ჰადიში ყოფილა, რომლისთვისაც ბარბალეს წმინდა ზედაშით სავსე ქვევრი გამოურთმევია. ამასთანავე ჰადიშისათვის ბეგარის გამორთმევა ბარბალეს სახელობის პროცესიასთან დაკავშირებით არის მოხსენებული და, მაშასადამე, ნაგულისხმევი უნდა იყოს, რომ ბეგარის გამორთმევა ამ ღვთაების სახელობის პროცესიის დროს მომხდარა, ისევე, როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში არსებულ და ზემოთაღწერილ რიტუალური პროცესიების დროს ხდებოდა საგანგებოდ შესაწირავების აკრება, სარიგოებისა და საბეგროების დახოცვა და ახმეტიდან კულუხის გატანა. მეორეს მხრივ, სვანური მაგა-

[1] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ხელნაწერი, დაცულია ენიმკი-ს ეთნოგრ. განყ. არქივში.

ლითი, ხელსურულ თქმულებებში დაცულ ცნობებთან ერთად, საკმაოდ ნათელ-ყოფს იმას, რომ კახელების კულუხი და თუშების საგანგებო შესაწირავები (ფული, საქონელი) ოდესღაც კახელებზე (სოფელ ახმეტის მოსახლეობაზე) და თუშებზე აგრეთვე ხატების სახელით დადებული გადასახადი ანუ ბეგარა უნდა ყოფილიყო. ამის მაუწყებელია თვით ტერმინიც კულუხი, რომელიც საბა ორბელიანის განმარტებით ღვინის ღალას აღნიშნავს[1].

დაბოლოს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ბარბალ დოლაშის“ საგალობელში ასახული ბარბალეს სახელობის პროცესია, ზემომყვანილი ანალოგიური პროცესიების მსგავსად, დღეობის დროს იმართებოდა. ეს დღეობა უთუოდ ბარბალესადმი განკუთვნილი ხანგრძლივი დღეობა ლიქურში იყო, რომლის დროს თვით ეს საგალობელიც სრულდებოდა.

განსახილველი დაგვრჩა „ბარბალ დოლაშის“ საგალობლის კიდევ ერთი ადგილი, რომელიც სვანების ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ლამარიას მზადებისა და მის ბარბალესთან შეხვედრის ამბავს მოგვითხრობს[2]. ეს ამბავი საგალობლის ვარიანტებში მეტად ნაკლულევანად და დამახინჯებულად არის შემონახული. მოგვყავს ვარიანტების სათანადო სტრიქონები:

I 15–19 ლამარია ხარჯილს ხაშდაბა, ლამარია ხარჯს ამზადებს (აკეთებს),
ლექვა ლახზაზა ღუცბაში. ჩამოჰგებებია ლიცბაშში.
ჯანარეს ხეფანთუნალე, სუფილ ხარებს არჩევს (სინჯავს), მოედანი
მეტყუფე ხეროლე ნაძჰანიელ გადათხრილი ჰქონდა დანაკლავი
ჯანარეშ, ღუღგენს მიჩა ხარებისა, შეწირულ მის ხარებს.
ჯანარს.

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ. 1928 წ., გვ. 179; ივ. ჯავახიშვილის განმარტებით: „კულუხი ღვინის გადასახადია, ხოლო ღალა პურისა“ იხ. მისი, საქ. ეკონომიური ისტორია, თბ. 1907, გვ. 47.

[2] XIX—XX სს. სვანურ ეთნოგრაფიულ მასალებში ბარბალ||ბარბოლი აღარ მოიხსენება ღვთაებათა პანთეონის პირველ რიგებში, სადაც ამ მასალების თანახმად შემდეგი უმთავრესი ღმერთები სუფევდნენ: ფუსნაბუსდია (|| ფუსნაბუსდია) ანუ ხოშა ღერბეთ (|| ღერმეთ)—დიდი ღმერთი, დიდი ღმერთის ვაზირი თარიძელ (თარინგზელ || თარგლეზერ), ადამიანთა მცველი და მფარველი ჯგჯრაგ (|| ჯგჯრაგ) და ქალ-ღვთაება ლამარია (ლამარია || ლამარია). საფიქრებელია, რომ ეს პანთეონი შედარებით გვიანი დროის შემუშავებული იყო, ხოლო უძველეს პანთეონში ღვთაებათა სახელწოდებანი და მათი (ღმერთების) თანამიმდევრობა სხვაგვარი ყოფილიყო. მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობაც, რომ არსებულ პანთეონში მოცემული ერთ-ერთი ღვთაების ეპითეტი უძველეს მზის ქალ-ღვთაება ბარბალეს ჰგულისხმობდეს.

„ბარბალ დოლაშის“ საგალობელში ასახული ბარბალესთან ლამარიას შეგებების მოტივი შესაძლებელია აღმოცენებული იყოს ხალხის უძველეს შეხედულებასა და რწმენაზე ამ ორ ღვთაებათა შესახებ—ბარბალესი, როგორც მზის ღვთაების და ლამარიასი, როგორც ცისკრის ვარსკვლავისა. ცისკრის ვარსკვლავი განთიადის წინამორბედია. ყველაზე მეტად ის დილის გარიჟრაჟზე კიაფობს და ამომავალ მზის პირველ სხივებს ყველაზე უმალ ის ეგებება. ეგების ამ უძველეს რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე ყოფილიყო აგრეთვე შემუშავებული ის მდიდარი რიტუალიც, რომელიც აღნიშნულ საგალობელმა მეტად ნაკლულევანი სახით შემოინახა, მაგრამ რომლის აღდგენა ნაწილობრივ მაინც შესაძლებელი ხდება.

II	11–14	ლამრია ხარჯის ხაშდაბა,	ლამარია ხარჯს ამზადებს,
		ლაქვა ლამზაზა მაცვბაში;	შემომგებებია ქვემოთ მაცებაშში;
		ბარბალ, ისგვა ჯამშაშულვი	ბარბალე, შენი ძლიერებით
		ჯანარს ლამრია ხეფანფუნალე	ხარებს ლამარია არჩევს (სინჯავს).
III	13–18	ლამწრია ხარჯილს ხაშდაბა.	ლამარია ხარჯს ამზადებს.
		ლალგანა მიჩა ჯანარე,	შეწირული მისი ხარები,
		სუფილ მეტყუეფილ ხეროლე	მოედანი გადატყაული აქვს
		ნაძჰანჯერუ ჯანარეში.	ხარების დაკვლით.
		ლაქვა ლახზაზა მაცვბაში,	ქვემოთ შეჰგებებია მაცვბაში,
		ბარბალ ხარჯილსუ ხაბიშა	ბარბალე ხარჯს ართმევდა თურმე
IV	6	ლამარია ლექვაე ხაზაზა.	ლამარია ქვევით შეჰგებებია.
	9	ლამარია ხარჯის ხეშდაბ[დ]ა.	ლამარია ხარჯს ამზადებდა.
	10	ბარბალე სადილს ხაბიშა.	ბარბალე სადილს ართმევდა თურმე.
	11	ჯანაჯრეს ხეფანფუნალე.	ხარებს არჩევს (სინჯავს).
	14	ბარბალს ნამზურუნ ხოჯახ.	ბარბალე(სთვის) შესაწირავი წაუღიათ.
V	11–17	ლამწრია ხარჯილს ხაშდაბა,	ლამარია ხარჯს ამზადებს,
		ჯანარეს ხეფანფუნალე,	ხარებს არჩევს (სინჯავს),
		ლალგანა მიჩა ჯანარეშ	შეწირული მისი ხარებისაგან
		სუფილ მეტყუეფი ხეროლე	მოედანი გადათხრილი ჰქონდა
		ნაძჰანიალუ ჯანარეში;	დანაკლავი ხარებისა;
		ლექუა ლახზაზა მაცუბაშუ,	ქვემოთ შეჰგებებია მაცვბაშში,
		ბარბალ ხარჯილს ხაბიშა.	ბარბალეს ხარჯი გამოურთმევია.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ „ბარბალ დოლაშის“ საგალობელი საკმაოდ გარკვეულად მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც ღვთაება ბარბალესათვის ხარჯის მზადება და ამ ღვთაებასთან ლამარიას შეხვედრა მომხდარა. (I_{16}) ვარიანტში ასეთ ადგილად დასახელებულია ლკუბაში, ხოლო დანარჩენი სამი ვარიანტის (II_{12}, III_{17}, V_{16}) მიხედვით ეს ადგილი მაცვბაშია. ლკუბაში აშკარად დამახინჯებული ფორმა არის გეოგრაფიული ადგილის, მაცვბაშის, სახელისა. მაცვბაში უშგულის თემის სოფელ მურყმელის მახლობლად მდებარე ადგილს ეწოდება. ამგვარად, საგალობლის შინაარსის თანახმად, ბარბალესათვის ხარჯის მზადება უშგულში წარმოებდა და, საფიქრებელია, რომ ამ რიტუალის შემსრულებლად უშგულის ძლიერი ხატი ლამარია იგულისხმებოდა. ამასთანავე უშგულის ლამარიას მზადებისა და მისი ბარბალესთან შეხვედრის რეალური გამოსახულება უნდა ყოფილიყო უშგულელების მზადება და მათი მაცვ-

ბაშში შეხვედრა უშგულისაკენ მიმავალი ბარბალეს სახელობის პროცესიისა[1]. მაშასადამე, საგალობლის ამ სტრიქონებშიც დღეობა ლიქურაშ-ის უძველესი რიტუალი უნდა იგულისხმებოდეს.

საგალობელში არ არის პირდაპირ დასახელებული ის, თუ სახელდობრ რა სახის შესაწირავებს შეიცავდა „ხარჯი“, რომელსაც ლამარია ამზადებდა. მაგრამ სარაჯი, რომლის სუნიც საგალობლის ვარიანტების (I_{14}, II_{10}, III_{12}, IV_8, V_{10}) მიხედვით ბარბალეს მისცია, შესაძლებელია ამ ღვთაების შესაწირავი ყოფილიყო. ამას გარდა, უთუოდ ბარბალეს „ხარჯისათვის“ ხდებოდა ლამარიას მიერ ხარების გასინჯვა და შერჩევა და დაკლული ხარების ხორციც, ალბათ, შედიოდა იმ „ხარჯში“, რომელიც მაცებაშში შეგებების დროს ბარბალემ ლამარიას გამოართვა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საგალობელში მოცემული ფრაზა: „სუფილ მეტყუფე ხეროლე... ლელგენს მიჩა ჯანარს“—მოედანი გადათხრილი ჰქონდა... შეწირულ მის ხარებს (I_{17-19}), ან „ლალგანა მიჩა ჯანარეშ სუფილ მეტყუეფი ხეროლე“—შეწირული მისი ხარებისაგან მოედანი გადათხრილი ჰქონდა (V_{13-14})[2]. ამ ფრაზის გასაგებად საჭიროა გათვალისწინებული იქნას ერთი თავისი წარმოშობით მეტად არქაული წესჩვეულება, რომელიც დიდ დღეობებში, განსაკუთრებით დღეობა უფლიშიერ-ში ანუ ხოშა-თანფიერ-ში[3] სრულდებოდა. უფლიშიერი სალასკარო დღეობას წარმოადგენდა. თითოეულ ლასკარ-ს[4] ამ დღეობისათვის გამოყოფილი ჰყავდა საუკეთესო ხარი „ლეუფალიში“ (საუფლიშიერო), რომელსაც წლის განმავლობაში განსაკუთრებით უვლიდნენ, სახლიდან გარეთ არ გაჰყავდათ—ავი თვალი არ ეცესო, ხშირად ბანდნენ, ასუფთავებდნენ, აპატივებდნენ და მეტის-მეტად ასუქებდნენ. უფლიშიერ-ის წინ დღეს, შაბათს ნასადილევს მეუფალიშ-ის[5] ოჯახში თავს იყრიდნენ ლასკარ-ის წევრები, დიდი და პატარა, ყველა სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი. მეუფალიშე სისუქნისაგან დამძიმებულ ხარს გაიყვანდა და ლასკარ-ის უხუცეს წევრს ჩააბარებდა. უკანასკნელი ლეუფალიშის წინ წარუძღვებოდა, მათ მთელი ლასკარი დაედევნებოდა და პროცესია სოფლის მოედნისკენ (სუფრ-ისაკენ) გაე-

---

[1] ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი ჩანს რწმენის საფუძველზე გარკვეული ფრაზეოლოგიის აგება, ვთქვათ, ამათუმ მოსახლეობის შესახებ ლაპარაკი იმ ხატის თუ ჯვარის სახელით, რომლის „ყმებადაც“ ეს მოსახლეობა ითვლებოდა. მაგალითად, ფრაზა „გუდანმა ბრძანა“ რეალურად გუდანლების, გუდანის ხატის „ყმების“ ბრძანებას გულისხმობდა, ან კიდევ ხახმატის გიორგის და ხევსურთ სხვა ჯვრების „ქაჯაეთზე“ დასალაშქრავად წასელის ლეგენდა (იხ. ა. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული ლეგენდები; ჩვენი, ხევსურეთის ექსპედიციის დღიური) ხევსურების მიერ ქაჯების ქვეყნის ასაოხრებლად წასვლის ლეგენდას გადმოსცემს და ასე სხვა მრავ.

[2] III ვარიანტის შესაფერის სტრიქონებში (სტრ. 14—16) ფრაზა ვერ არის სწორად აგებული.

[3] უფლიშიერი ანუ ხოშა-თანფიერი ერთი უდიდესი დღეობათაგანი იყო სვანეთში. იგი ამბალკვირას იწყებოდა და 5—6 კვირას გრძელდებოდა.

[4] ლასკარი ერთი ან რამდენიმე გვარის ოჯახებისაგან შემდგარ სადღეობო გაერთიანებას ეწოდება.

[5] ლასკარ-ის მორიგე მასპინძელი დღეობის განმავლობაში.

მართებოდა. იქ იმ დროს გროვდებოდა ხოფლის ან თემის ყველა ლასკარი თავისი ლეუფალიშ-ებით. სუფ-ში ხარებს ცოტა არაყს შეასმევდნენ—ძალა მოემატებათ და გამოცოცხლდებიანო, შემდეგ შეკრავდნენ წრეს, რომლის შიგნით ხარებს მოაქცევდნენ, რამდენიმე კაცი საქონელს გაღიზიანებას დაუწყებდა, ერთმანეთს მიუსევდა, დააჯახებდა და ამგვარად იწყებოდა ხარების ბეღრაობა. ამ ბეღრაობის დროს, ვისი ხარიც მეტ ღონესა და სიმამაცეს გამოიჩენდა, სხვა ხარებს აჯობებდა და გააქცევდა, იმ ლასკარ-ისათვის ეს მეტად სასახელო იყო. მხოლოდ ამ წესჩვეულების შესრულების შემდგომ ხდებოდა ლეუფალიშის დაკვლა გარკვეულ ადგილზე და შესაფერისი ცერემონიალით[1].

საკმარისია ეს წესჩვეულება გაითვალისწინოს კაცმა, რომ საგალობლის ზემომოყვანილი ფრაზის აზრი და მნიშვნელობა სავსებით ცხადი და გასაგები გახდეს. ლამარიას ხარებისაგან მოედანი (სუფი) გადათხრილი იყო უთუოდ იმის გამო, რომ ამ მოედანზე ხარების ბეღრაობა უნდა ყოფილიყო მათი დაკვლის უმალ მოწყობილი. ამრიგად, თუმცა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ბარბალეს სახელობის დღეობებში შეწირული ხარების ბეღრაობის მოწყობის წესჩვეულება დამოწმებული არ არის, მაგრამ „ბარბალ დოლაშის“ საგალობელი ააშკარავებს, რომ ოდესღაც იგი ყოფილა ბარბალეს მსახურების ერთ-ერთი მომენტი, რომელიც დღეობა ლიქურეშს სრულდებოდა. ეს ფაქტი სრულიად უდაოდ უნდა იქნას მიჩნეული მით უფრო, რომ სვანების ეთნოგრაფიულ ყოფაში უფლიშიერის და ლიქურეშის რიტუალის სხვა ძირითადი ელემენტებიც ერთმანეთს ხვდება: უფლიშიერის მსგავსად, ლიქურეშიც სალასკარო დღეობა იყო, რომლისთვისაც თითოეული ლასკარი საგანგებოდ სამსხვერპლო ხარს ასუქებდა[2]. ეს ფაქტი განსაკუთრებით საგულისხმოა ბარბალესი და ღვთაება ფუსნაბუსდიას კულტების შედარებისა და ამ ღვთაებათა ურთიერთმიმართების გარკვევის თვალსაზრისით—საკითხი, რომლის განხილვა ამჟამად შეუძლებელია.

ეჭვს გარეშეა, რომ ბარბალეს სახელობის საგალობელში და ქვემოსვანურ, ფშაურ და ხევსურულ დღეობებში დამოწმებული ღვთაებათა მოგზაურობა და მასთან დაკავშირებული პროცესიები, რომელთაც თან ახლდა მდიდარი რიტუალი, ძველთა-ძველი სარწმუნოებრივი გადმონაშთია. ღმერთების მოგზაურობა, მათი ერთი სალოცავიდან სხვა სალოცავებში წასვლა ასახულია წინა-აზიის უძველეს კულტურულ ხალხების რელიგიებში. მაგალითად, ბაბილონელების ახალწლის დღეობა აკიტუზე, ანუ ზაგმუკზე ღვთაება მარდუკის ტაძარში თავს იყრიდნენ სხვადასხვა ღმერთები. ამ დროს სადღესასწაულო გალობით ქალ. ბაბილონის ტაძარში მიემგზავრებოდნენ ბორსიპიდან მარდუკის შვილი ნაბუ, სიპარიდან—შამაში, კუფიდან—ნერგალი და ასე სხვა[3]. ღვთაებათა პროცესიები ასახულია

[1] ვ. ბარდაველიძე, სვანური ხალხური დღეობათა კალენდარი, ხელნაწერი.

[2] იხ. ჩვენი, „ქართული ღვთაება ბარბალე“.

[3] Ф. Иеремиас, Семитические народы Северной части Передней Азии. მოთავსებულია კრებულში: История религии Д. П. Шантепи де ля Соссей, ტ. I. გვ. 199; სპეციალური მონოგრაფია აკიტუს შესახებ იხ. Svend Aage Pallis, The Babylonian Akitu festival, Det Kgl. Danske Videnskabernes Selskab. Historisk-filologiske Meddelelser XII, 1, 1926.

აგრეთვე ხეთურ ხელოვნებაში. იაზილკაიში კლდეზე გამოკვეთილია დიდი რელიეფი, რომელიც გამოხატავს ორ გრძელ პროცესიას, ურთიერთისაკენ მიმართულს, ქალ-ღვთაებათა და კაც-ღმერთებისას [1]. ქარ თველი ტომების ხატ-ჯვრებთან დაკავშირებული კულუხისა და რიტუალური სასმელით (ზედაშით) სავსე ქვევრების არსებობასთან ანალოგიის თვალსაზრისითაც საყურადღებოა Büyükkale-სთან ხეთების I ტაძრის საწყობებში უამრავი მიწაში დაფლული ქვევრების აღმოჩენა [2].

ამგვარად, „ბარბალ დოლაშის“ საგალობელის ვარიანტების შესწავლამ საყურადღებო შედეგები მოგვცა: გაირკვა ღვთაება ბარბალეს ზოგი ჩვენთვის აქამდე უცნობი ფუნქციები და მსახურების ელემენტები. კერძოდ, ცხადი შეიქნა ისიც, რომ, ერთის მხრივ, ეთნოგრაფიული მასალის დამუშავება შეიძლება ფილოლოგიური მეთოდით და რომ ამ მეთოდის გამოყენება დადებით შედეგებს იძლევა, უკეთუ შესაფერისი ფაქტები ზუსტადაა ფიქსირებული; ხოლო მეორეს მხრივ, ფილოლოგიური კვლევის დროს აუცილებელია ეთნოგრაფიული მასალებით სარგებლობა ეფექტიური შედეგების მისაღებად. მეცნიერული კვლევა-ძიების დროს ამგვარი ხერხების გამოყენებას დღემდე არც ჩვენში და არც სხვაგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

В. БАРДАВЕЛИДЗЕ

СВАНСКОЕ ПЕСНОПЕНИЕ „БАРБАЛ ДОЛАШИ“

(РЕЗЮМЕ)

Автору известны пять вариантов песнопения «Барбал долаши» (три из литературы и два по рукописям). Все они весьма отрывочны и частично искажены, благодаря чему зачастую трудно улавливается смысл отдельных фраз и отчасти всего песнопения в целом.

Анализ данного песнопения на основе широкого использования сравнительных материалов из религиозных верований грузинских племен дал автору возможность восстановить его первоначальный смысл. «Барбал долаши» представляет собой славословие древне-грузинской богини солнца Барбале, по-свански называемой Барбал ‖ Барбол, и повествует о фактах, возвеличивающих ее имя.

Сравнение смысла отрывков I_{7-10}, II_{9-10}, IV_{4-5}, V_{7-8} вариантов с соответствующими верованиями пшавов и хевсуров выявляет представление

[1] A. Moortgat, Bildwerk und Volkstum Vorderasiens zur Hethiterzeit, Leipz. 1934, სურ. 21, 22; პროცესიების აღწერილობა იხ. იქვე, გვ. 22—26; Kurt Bittel, Die Felsbilder von Yazilikaya. Neue Aufnahmen der deutschen Boğazköy—Expedition 1931, Bamberg 1934.

[2] K. Bittel und R. Naumann, Boğazköy. II. Neue Untersuchungen hethitischer Architektur, Berlin 1938, გვ. 30—33, აგრეთვე ტაბ. 17.

о Барбале, как о богине, которая сама избирает служителей своего культа. Надо полагать, что это избранничество в реальной действительности представлялось в формах подобных пшавским и хевсурским: a) в заболевании избранника, болезнь которого приписывалась божеству (больной «поправлялся» после того, как давал обет сделаться служителем данного божества и выполнял установленный обряд жертвоприношения), b) в явлениях божества во сне лицам, которых оно намечало себе в служители, c) в форме непосредственного вселения божества в своего избранника, который через него (избранника) изрекал о своем желании, d) в извещении божеством о своем желании через прорицателя и, наконец, e) в избрании божеством того или иного лица, или нескольких лиц для служения себе во время праздника через своего верховного жреца. Автор предполагает, что в песнопении разумеется последняя из названных форм избрания божеством Барбале своих служителей.

Отрывки фраз в I_{10-11}, II_{4-5}, III_{7-8}, IV_3, V_{5-6} вариантах песнопения вскрывают воинственную природу богини солнца. Подобно пшавским и хевсурским Лашарис джвари, Гуданис-джвари и другим «хати» (или «джвари») Барбале возглавляет воинство против соседних народов. Под руководством и высочайшим покровительством хевсурских и пшавских «хати» происходили набеги с целью ограбления и временной наживы, или на продолжительное время покорялись и подчинялись враги, на которых налагалась дань. Содержание «Барбал долаши» не дает возможности точно установить, какими формами борьбы с врагами (набегами или походами для покорения) руководила богиня солнца.

В параллель богине Барбале, автор указывает и на другое божество женской природы, которое было наделено воинственным характером. Такова сванская богиня Ламариа, деревянное изображение которой украшалось палашом, шлемом, луком и стрелой.

В песнопении наибольшее место уделено вопросу о путешествии Барбал по разным местам Сванетии. Установив географические пункты путешествия богини (см. таб. I), автор полагает, что Барбале посещала в названных пунктах культовые места, которые некогда должны были быть языческого характера. Это мнение подкрепляется указанием на то, что в местах путешествия Барбале по настоящее время стоят культовые здания, в их числе молельни в честь Барбале; хотя они христианского характера, но, как известно из свидетельств исторических источников, христианские храмы в древней Грузии воздвигались на местах древних капищ. Кроме того, автор приводит сравнительный материал о путешествиях других грузинских божеств именно к языческим капищам.

О характере процессии божества в песнопении сохранились слишком отрывочные и скудные сведения. По ним можно уловить лишь общее указание на сборище народа, очевидно имеющее отношение к празднику и

праздничному церемониалу (к процессии). Однако, привлечение сравнительных материалов, которыми изобилуют верования грузинских племен, дает автору возможность воспроизвести характер процессии, связанный с именем богини солнца.

Автор разбирает в диахроническом разрезе хевсурские легенды о путешествии богов и процессии, засвидетельствованные в хевсурской и пшавской действительности, и устанавливает два вида процессий богов. Из них наиболее древним является путешествие божества в образе голубя или человека, которого сопровождают жрец и другие священнослужители. Подобные процессии свидетельствуются в хевсурских преданиях в отношении всесильного Гуданис-джвари, который пропутешествовал с вершины горы Гергети (в Хеви) и обосновался в хевсурском селении Гудани, откуда он совершает ежегодные процессии в страну галгаев (ღალ-ღა) к их божеству (по-хевсурски нарда—чечен.-ингушск. эрда, или ерда), обитающему в ауле, или в окрестности аула «Таргамен» (=Таргим). Существуют также легенды, повествующие о его путешествии внутри Хевсуретии к Архотис-джвари (святилище в Архотском ущелье, в сел. Ахиели). Помимо Гуданис-джвари в образе голубя в сопровождении жреца совершает хождение по разным местам, в том числе в Пшавию, Хахматис-джвари (см. таб. процессии Гуданис-джвари и Хахматис-джвари).

Вторым, сравнительно более поздним, видом путешествия богов являются праздничные процессии, во главе которых носились реликвии божества, заменяющие самое божество, в сопровождении священнослужителей и народа и с исполнением песнопения в честь данного божества. Из числа подобных процессий автор останавливается на описании процессий пшавских, хевсурских и нижне-сванских богов (см. таб. праздничных процессий сванских Тарипдзел'а и Джгэраг'а, пшавских Тамар-дедупали и Копале, хевсурских Копала, Хахматис-джвари, Гуданис-джвари, Архотис-джвари, Мтишешаги, Иахсрис-джвари).

Как во время путешествия богов в образе голубя или человека, так и во время праздничного церемониала процессии получали от населения приношения или подати—священный напиток («зедаши», «кулухи»), жертвенных животных, ритуальные хлеба и т. п.

Сравнение сведения песнопения «Барбал долаши» о путешествии богини солнца с вышеназванными видами путешествий сванских, пшавских и хевсурских богов привело автора к заключению, что путешествие Барбал представляет праздничную процессию в честь данной богини и что подобные процессии совершались во время весеннего сванского народного праздника «Ликвреши».

В песнопении «Барбал долаши» автор далее расшифровывает весьма запутанный и отрывочный текст о приготовлениях и встрече сванской богини утренней звезды (Венеры) Ламарии с процессией богини солнца. Ус-

тавливается место этой встречи (Мацвбаш, расположенное в Ушгульском обществе, где находилось главное святилище Ламарии) и элементы ритуала, связанного с этой встречей. Из этих элементов автор уделяет особое внимание восстановлению (посредством сравнения с соответствующим важным элементом обряда сванского праздника Уплиипер) древнейшего ритуала состязаний жертвенных быков, которые устраивались на священной площади перед закланием этих животных. Аналогично моменту избрания богиней своих служителей и времени устройства процессий, и этот ритуал, связанный с встречей двух богинь, был приурочен к празднику в честь богини Барбале, известному под названием «Ликвреши».

Наконец, останавливаясь на вопросе о древности мотивов песнопения «Барбал долаши» и соответствующих религиозных пережитков грузинских племен, автор приводит передне-азиатские параллели процессий богов (напр. устраиваемые во время новогоднего праздника Загмук или Акиту в древне-вавилонский храм Мардука процессии богов из Борсиппы—Набу, из Сиппары—Шамаша, из Куфы—Нергала и др., воспроизведенные в хетском искусстве процессии богов—рельеф изображений женских и мужских богов на скале в Язиликая), а также параллель к ритуальным напиткам и глиняным сосудам, которые связаны с именами древне-грузинских богов (глиняные сосуды, найденные в огромном количестве в складах хетского I храма близ Büyükkalé).

Таким образом, установив неизвестные до сего времени функции богини Барбале и некоторые формы служения ей, автор на конкретном примере проработки этнографического материала филологическим методом показала положительные результаты такого подхода к исследуемым материалам и, с другой стороны, сделала очевидною необходимость привлечения этнографических данных во время филологических изысканий. Этот прием исследования в указанных научных областях до настоящего времени не находил должного применения.

V. BARDAVÉLIDZÉ

CHANT SACRÉ SVANE «BARBAL DOLASCHI»

RÉSUMÉ

L'auteur connait cinq variantes du chant sacré «Barbal Dolaschi» (trois—tirées de la littérature, deux—des manuscrits). Toutes sont en style coupé, en partie altérées, ce qui rend souvent fort difficile de saisir le sens de certaines phrases en particulier et parfois du Chant sacré en entier.

L'analyse de ce chant sacré, basée sur l'emploi très large des matériaux comparatifs des croyances des peuplades géorgiennes, a donné à l'auteur la

possibilité de le restaurer dans son sens primitif. «Barbal Dolaschi» est une glorification de la déesse du soleil de l'ancienne Géorgie—Barbalé, nommée en svane Barbal || Barbol, et narre des faits, qui honorent son nom.

De la comparaison du sens des fragments des variantes I_{7-10}, II_{9-10}, IV_{4-5}, V_{7-8} avec les croyances conformes des Pschavs et des Khevsours se dégage l'image de Barbalé, comme d'une déesse, qui choisit elle-même les serviteurs de son culte. Il faut croire, que cette élection se présentait en réalité dans des formes pareilles à celles des Pschavs et des Khevsours: a) dans la maladie de l'élu, attribuée à la divinité (le malade se rétablissait après avoir fait voeu de servir ladite divinité et avoir offert le sacrifice selon les exigences de la cérémonie religieuse); b) dans l'apparition de la divinité en rêve à ceux qu'elle avait marqués soi-disant pour son service; c) dans l'incarnation immédiate de la divinité en son élu, par lequel elle exprimait son désir; d) dans l'expression de son désir à l'aide d'un devin, et, enfin, e) dans le choix par la divinité, à l'aide de son sacrificateur suprême, de l'une ou l'autre personne, ou de plusieurs, pour la servir pendant la fête. L'auteur suppose, que dans le chant sacré s'entend la dernière des formes ci-dessus nommées de l'élection par la divinité Barbalé de ses serviteurs.

Les fragments des phrases dans les variantes I_{10-11}, II_{4-5}, III_{7-8}, IV_3, V_{5-6} du chant sacré révèlent la nature martiale de la déesse du soleil. Ainsi que les Lascharis-djvari, Goudanis-djvari et autres «khati» (ou «djvari») pschavs et khevsours, Barbalé est à la tête des troupes contre les peuples voisins. Sous la conduite et la souveraine protection des «Khati» khevsours et pschavs avaient lieu des invasions dans le but de piller afin de s'enrichir temporairement, ou bien les ennemis vaincus se soumettaient pour longtemps et un tribut leur était imposé. Le contenu de «Barbal Dolaschi» ne permet pas de fixer exactement les formes de lutte avec les ennemis (invasions, ou campagnes pour asservissement), dont se servait la déesse du soleil.

En parallèle avec la déesse Barbalé l'auteur désigne une autre divinité de nature féminine, douée d'un caractère martial. C'est la déesse svane Lamaria, qu'on reproduisait en bois ornée d'une latte, d'un casque, d'un arc et d'une flèche.

La plus grande partie du chant sacré est consacrée à la question du voyage de Barbal dans différents endroits de la Svanétie. Ayant fixé les points géographiques du voyage de la déesse v. (Tabl. I), l'auteur croit que Barbalé, visitait dans les endroits désignés les places consacrées au culte, qui jadis devaient avoir été de caractère païen. L'auteur fortifie cet avis en indiquant, que dans les endroits où voyageait Barbalé on trouve jusqu'à présent, des édifices du culte y compris les oratoires en l'honneur de Barbalé; quoiqu, ils soient de caractère chrétien, il est avéré par les témoignages de sources historiques, que les églises chrétiennes s'élevaient, dans l'ancienne Géorgie, sur les emplacements des temples anciens. En outre l'auteur allègue les matériaux

comparatifs sur les voyages des autres divinités géorgiennes justement vers les temples païens.

Le chant n'a conservé que des connaissances trop fragmentaires et exiguës du caractère de la procession de la divinité. On n'en peut tirer qu'une indication générale des réunions du peuple, ayant évidemment un rapport avec la fête et son cérémonial (la procession). Cependant, l'allégation des matériaux comparatifs, dont abondent les croyances des peuplades géorgiennes, donne à l'auteur la possibilité de reproduire le caractère de la procession, liée au nom de la déesse du soleil.

L'auteur déchiffre au point de vue diachronique les légendes khevsoures des voyages des dieux et les processions, dont témoigne la réalité khevsoure et pschave, et il constate deux sortes de processions des dieux. La plus ancienne d'entre elles est le voyage de la divinité, sous la forme d'un pigeon ou d'un être humain, escortés par le sacrificateur et autres serviteurs du culte. De telles processions sont attestées dans les traditions khevsoures à propos du tout-puissant Goudanis-djvari, qui a voyagé du sommet du mont Guerguéti (en Khévi) et s'est fixé dans le village khevsour Goudani d'où il fait annuellement des processions dans la contrée des Galgas (ღალღა) chez leur divinité (en khevsour Iarda-en tschetschen-ingousch Airda ou Erda), qui habitait l'aoul ou dans les environs de l'aoul Targamé (=Targuime). Il existe de même des légendes, qui racontent son voyage à l'intérieur de la Khevsourétie à l'Arkhotis-djvari (sanctuaire dans la vallée d'Arkhoti, au village Akhiéli). Outre Goudanis-djvari, sous forme d'un pigeon, accompagné du sacrificateur, c'est aussi Khakhmatis-djvari qui accomplit sa marche par différents endroits, dans le nombre—en Pschavie (v. la carte des processions Goudanis-djvari et Khakhmatis-djvari).

La seconde forme, relativement plus récente, du voyage des dieux consiste en processions de fête, à la tête desquelles on portait les reliques de la divinité, remplaçant la divinité même, escortées par les serviteurs du culte et par le peuple en exécutant un chant sacré en l'honneur de ladite divinité. Dans le nombre de semblables processions l'auteur s'arrête sur la description des processions des dieux pschavs, khevsours et de ceux de la basse-Svanétie (v. les cartes des processions de fête: svanes — «Tarindzel» et «Djgarag», pschaves—Thamar-dédoupali et Kopalé, khevsoures—Kopala, Khakhmatis-djvari, Goudanis-djvari, Arkhotis-djvari, Mtischeschagui, Iakhsris-djvari).

Comme pendant le voyage des dieux sous forme de pigeon ou d'être humain, de même pendant le cérémonial de fête, les processions recevaient des habitants des offrandes ou prélevaient des tributs—boisson sacrée («zédaschi», «kouloukhi»), bêtes sacrificatoires, pains rituels etc.

La comparaison du renseignement du chant sacré «Barbal Dolaschi» concernant le voyage de la déesse du soleil avec les formes précitées des voyages des dieux svanes, pschavs et khevsours permet de conclure à l'auteur, que le

voyage de Barbal· représente une procession de fête en l'honneur de ladite divinité et que de semblables processions avaient lieu pendant la fête populaire svane du printemps, «Likvreschi».

Dans le chant sacré «Barbal Dolaschi» l'auteur déchiffre plus loin le texte extrêmement embrouillé et fragmentaire touchant les préparatifs et la rencontre de la déesse svane de l'étoile du matin (Vénus) Lamaria avec la procession de la déesse du soleil. On fixe l'endroit de cette rencontre (Matzvbasch, dans la société d'Ouschgoul, où se trouve le principal sanctuaire de Lamaria) et les éléments du rituel, rattaché à cette rencontre. Parmi ces éléments l'auteur accorde une attention particulière au rétablissement (à l'aide de comparaison avec l'élément essentiel correspondant du rite de la fête svane Ouplichière) du rituel antique des combats des boeufs sacrificatoires, qu'on organisait sur la place sacrée avant l'immolation de ces bêtes.

Analogiquement au moment du choix par la déesse de ses serviteurs et au temps de l'organisation de la procession, ce rituel, concernant la rencontre de deux déesses, était adapté à la fête, connue sous le nom de «Likvreschi», en l'honneur de la déesse Barbalé.

Enfin, s'arrêtant sur la question de l'ancienneté des motifs du chant sacré «Barbal Dolaschi» et des survivances religieuses correspondantes des peuplades géorgiennes, l'auteur cite les parallèles de l'Asie antérieure des processions des dieux (par ex., les processions des dieux de Borsippe—Nabou, de Sippar—Schamasch, de Kouf—Nergal, organisées pendant la fête du nouvel an Zagmouk vers le temple de Mardouk en ancienne Babylone et d'autres processions de dieux, représentées dans l'art hittite—relief des images de dieux et de déesses sur le rocher Iazilikaia) de même le parallèle des boissons rituelles et des vases d'argile, rattachés aux noms des dieux de l'ancienne Géorgie (vases en terre glaise, trouvés en grand nombre dans les entrepôts du I temple près de Büyükkalé).

Ainsi, ayant établi les fonctions de la déesse Barbalé, inconnues jusqu'à présent, et certaines formes du service qu'on lui rendait, l'auteur a démontré, par un exemple concret de l'étude du matériel ethnographique à l'aide de la méthode philologique qu'elle a obtenu des résultats positifs des matériaux étudiés de ce point de vue, et d'un autre côté elle a rendu évidente la nécessité de se guider des données éthnographiques pendant les recherches philologiques.

Ce procédé de recherche n'a pas été jusqu' aujourd'hui dûment appliqué dans les domaines scientifiques désignés.

თ. გოგნიაშვილი

ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან

ორი ენის ლექსიკურ შეხვედრათა რკვევა ძიების ერთი საინტერესო თემათაგანია. ჩაჩნურ-ქართველური ენათა ლექსიკურ შეხვედრებზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს, ერთის მხრივ, დამოუკიდებელი შემოქმედებითი გზები, რომელთა შეჯვარებამ წარმოქმნა ენათა ამ ორი ჯგუფის სიახლოე, მეორე მხრივ მათი ერთიანობის ის მომენტები, რომლებიც სხვა კავკასიურ ენებთან ერთად მათ გენეზისურ კავშირსაც გვაფიქრებინებს. ერთიცა და მეორეც გვავალებს უფრო ღრმად ჩავეძიოთ ამ რთული ვითარების ყოველ მხარეს. ერთერთი მათგანი ენობრივი მოვლენის ბგერითს მხარეში მდგომარეობს. არსებობს ობიექტური შესაძლებლობა მიახლოებით მაინც აღინუსხოს ამ შეხვედრის ჩასახვისა და გავრცელების გარემო; სიტყვის ენობრივი ანალიზი ხშირად მოითხოვს ძირითად ფონეტიკურ მოვლენათა გათვალისწინებას და არა იშვიათად ეს ის ელემენტარული პირობაა, რომელსაც ამ სახის ძიება არ ასცდება.

ჩაჩნურის მეცნიერული შესწავლა ამხანად არ დგას იმ საფეხურზე, რომ ეს ძირითადი და უმარტივესი პირობა მზამზარეულად იყოს მოცემული, ამიტომ ფონეტიკურ შესატყვისობათა ერთობლივი განხილვა ჩვენი კვლევის წინაპირობა ვერ იქნება. მხოლოდ ზოგ შემთხვევაში, როდესაც ესათუის ფონეტიკური მოჯლენა (შესატყვისობის რიგისა თუ თვით ენის შიგნით აღმოცენებული) დაფასების მხრივ სრულიად ნათელია, ჩვენ ასეთს ამოსავალ წერტილად ვიყენებთ. ზოგი და მრავალი წინამდებარე წერილში სავარაუდო ფონეტიკური შენიშვნებია. ამდენად ჩვენს მსჯელობაში ამ საჭირო წინაპირობის დაცვა სრულიად არ არის საკმარისი ლექსიკურ შეხვედრათა ვინაობის გასარკვევად. ამდენადვე ეტიმოლოგიურ-სემანტიკურ საკითხთა რკვევის ქვემოთმოყვანილი ცდები ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც ცდა ჩაჩნურ-ქართველურ ენათა შორის არსებულ ლექსიკურ შეხვედრათა შესაძლებლობის ფარგლებში მითითებისა. ამათუიმ სიტყვაზე ჩვენი გამონათქვამი წინასწარი ხასიათისაა, მრავალი მათგანი სპეციალური ძიების საგანს შეადგენს და ეტიმოლოგიური მისი ამოხსნა მრავალ საინტერესო მხარეს გაარკვევს. დაბოლოს, არც პრინციპულადაა სწორი შესადარებელი სიტყვის ნიშნადობის გარეგანი მხარის გათვალისწინებით დავკმაყოფილდეთ. ეს განსაკუთრებით მწვავედ ნივთის ცნების აღმნიშნელ სიტყვებს ეხება, მაგ., რომელიმე ცნება ხულა-ს განხილვისას უნდა ამოვდიოდეთ არამხოლოდ მნიშვნელობის ზოგადი მომენტიდან, არამედ ყოველ შესადარებელ ენაში ამ ცნების

ადგილობრივ, შინაგან შინაარსსაც უნდა ეწვდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მსჯელობა ფორმალურ საფუძველზე დაყრდნობილი აღმოჩნდება.

დღევანდელს პირობებში, როდესაც ენათმეცნიერების მომიჯნავე დისციპლინები ასეთი ცნებების შინაგან და კონკრეტულ მნიშვნელობათა დაზუსტებულ ცნობებს ვერ მოგვაწვდიან, ამ საშიშროების აცილება მეტად ჭირს.

შედარებისას საჭიროდ ვცანით ჩაჩნური სიტყვები კლასნიშანთა დართვით მოგვეყვანა, თანაც მრავლობითის ფორმით. კლას-ნიშანი ხშირად ნათელს ფენს სიტყვის თავკიდური თანხმოვნის (ან ხმოვნის) რაობას იმ შემთხვევაში, როდესაც იგი კლას-კატეგორიული კუთვნილებისად ჩანს და ძირის გამოვლენაში გვეხმარება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლექსიკური შეხვედრა ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან უკანასკნელში ხმოვნით დაწყებულ სიტყვასთანაა თანხვდენილი. მეორე პირობაზე (სახელის მრავლობითის ფუძის შედარება მხოლობითთან) დაყრდნობით-კი შესაძლო ხდება ფუძე-ძირის უფრო სრული სახეობის დადგენა.

ამას გარდა, სადაც მიგვიწვდებოდა, ვცდილობდით ჩაჩნურ სიტყვებთან ერთად ინგუშურ-წოვურის პარალელებიც დაგვერთო. ჩაჩნურ-ინგუშურ-წოვური ერთ ენობრივ საბუდარს ქმნის, მაგრამ მიმართება მათ შორის როდია თანაბარ-პროპორციული. ჩაჩნურ-ინგუშურის ურთიერთ დამოკიდებულება დაახლოებით ისეთივეა, როგორც ჭანურ-მეგრულისა. წოვური ამ ორის მიმართ სრულიად გარკვევით ენას წარმოადგენს.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სათანადო პარალელები აფხაზურიდან, უდურიდან და ქვემო-ადიღეურიდან ჩვენის თხოვნით მოგვაწოდეს ენიმკის კავკასიურ ენათა განყოფილების უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა ქ ე თ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე მ, ვ ლ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე მ და გ. რ ო გ ა ვ ა მ; დავალებისათვის ამხანაგებს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ. მადლობას ვწირავთ აგრეთვე ენიმკი-ში გარიგებით მომუშავე ნ ი კ ო ქ ა დ ა გ ი ძ ეს პარალელების მოწოდებისთვის წოვურიდან. ანდიურ-დიდოურ ენათა მასალები მოგვყავს ა. დ ი რ ი ს „Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы“ (Тифл. 1909)—მიხედვით, ხუნძურისა პ. უ ს ლ ა რ ი ს „Аварский язык“ (Этнография Кавказа, III, 1889)—მიხედვით, ჩაჩნურის ენობრივი მასალები მოგვყავს ჩვენი ჩანაწერების მიხედვით, ინგუშურის პარალელებით ვსარგებლობთ ზ. მ ა ლ ს ა გ ო ვ ი ს „Ингушская грамматика“-ს დართული ლექსიკონიდან, ლაკურის—პ. უ ს ლ ა რ ი ს „Лакский язык“ (ЭК, IV, 1890)-იდან [1].

---

[1] აქვე საჭიროდ მიგვაჩნია დავურთოთ სატრანსკრიფციო ნიშნები ქართული ანბანის რიგზე:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ' ი კ ლ მ ნ ჲ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ'
a b g d e v z t' i ķ l m n j o p ž r s ţ u p'
ქ' ღ ყ შ ჩ ც ძ ძ' წ ჭ ხ ჴ ჯ ჯ' ჰ ჰ₀ ჰ̄ ჵ ჶ ʾ
k' γ q š č c ʒ ʒ' ç ç̌ x q ǯ ǯ' h h₀ S w ɛ ʾ

ხმოვანთა სისუსტე ◡
ʾ სიგრძე —

ჩაჩნურ-ქართველურ ენათა ლექსიკური ურთიერთობისათვის ყურადღება მიუქცევია ისტორიკოსს მოსე ჯანაშვილსაც, რომლის აზრით ჩაჩან-ღლიღვთ ქართველთაგან შემდეგი შეუთვისებიათ: „ორშაბათი—ორშუთ, პარასკევი—პერისკა, შაბათი—შოთ, კვირა—კირინდე; ბზა—ბაზა, ხევი—ხი, ხე—ხენ, მახათი—მახა, მანგალი (ნამგალი)—მანგალ, ქათამი (მეგრ. ქოთომი)—კოთამ, დედა (ნენა)—ნანა (ლეკ. ნინო), ვირი—ვირ, არე—არი, ცეცხლი (წვა)—წე. ყბა (ბაგა)—ბაგა, სპილო (პილო)—პილა, ძაღლი (სვან. ჟეღ)—ჟალი, რემა (ჯოგი, ნახირი)—რემა, ძუ—ძუდ, ჩოხა—ჩოა, ქუდი—ქუდ, გურგალი—გორგან, ცალი—ცად, ათი (მეგრ. ვითი)—ით, ვინ (მეგრ. და ინგ. მინ)—მილა, ისთე—იშტი“ (იხ. მ. ჯანაშვილის მიერ გამოცემული ვახუშტისეული „საქართველოს გეოგრაფიის“ ტექსტის 320 შენიშვნა, 173 გვ-ზე).

I

1. ჩაჩნ. **ახ** (ა)—**ახქ'იშ** (ა)—ნახევარი; **ეხიგ**—ნაწილი (**იგ** სუფიქსია, თავკიდური **ა ე**-დ დაეიწროვდა **იგ** სუფიქსის **ი**-ს გამო). მრავლობითის **ახქიშ** ფორმას დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს და ნიშნავს ნაჭრებს (куски).

ინგ. **ახ**—ნახევარი
წოვ. **ახ**—ნახევარი; **ახი** || **ახ-უხი**—ნახევრები.

ჩაჩნ. **ახ** მთლიანად თუ არა ძირითადად (**ხ** ძირით) უნდა იმეორებდეს ქართული ნახევარის **ხ**-ს (და ნაწარმოებია, როგორც ნა-წ-ევ-არ-ი ან ყ-ევ-არ-ი)[1]. გასარკვევია: **ნა** პრეფიქსმა შთანთქა ის ხმოვანი ქართულ ნახევარ-ში, რომელიც ჩაჩნ. **ახ**-ს უნდა შეესაბამებოდეს, თუ იგი არც არის მასში საგულვებელი? როგორც ამ ცნების გადმომცემი სვანური სიტყვიდან **ხჳნსგა** ჩანს, თავკიდური ხმოვანი ქართველურ ენათათვის მოსალოდნელი არ არის. სვან. **ხჳნსგა** ორნაწილედი სიტყვაა და უნდა იშლებოდეს **ხჳ**—ნახევარი (?) და **ნესგა**—შუა (ე. ი., თითქმის სინონიმური შედგენილობისაა); ზანურში ნახევრის ცნების გადმომცემი ეს ძირი არ არის დაცული (!). დაბოლოს, ხუნძურად **ცახალ** ნიშნავს სანახევროდ (пополам).

ხმოვანთა ნაზალობა ნ
▪ უმლაუტი
თ' ფ' ქ'—სუსტ-მფშვინავი თ ფ ქ
ძ' ჯ'—რბილი ძ ჯ აფრიკატები
ჰ₀—ძლიერი ხორხისმიერი ჰ სპირანტი
ჳ—ხორხის მიერი მყლერი სპირანტი (ხოგი თანხმოვნის შემდგომ)
ც—ხორხის მიერი ყრუ ხშული (ხმოვნის წინ, სიტყვის თავში).
'—ხმის წყვეტა (ხმოვანთა შუა, ხმოვნის შემდგომ).

[1] ამ სიტყვის ანალიზებისას აკად. ივ. ჯავახიშვილი ნა-ს პრეფიქსად, ხოლო არ-ს სუფიქსად თვლის, მაგრამ ძირად ხევ-ს გამოყოფს, რომელიც მისი ეტიმოლოგიის თანახმად, ორს აღნიშნავს, ამ ცნების ერთერთი უძველეს ფორმათაგანია და უძველესი ყევ (ყევ-არ-ში) ძირი ფონეტიკურ სახენაცვალს წარმოადგენს (იხ. „ქართული და კავკას. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937, გვ. 403).

37. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული.

2. ჩაჩნ. **ағъ** (დ) **ъағънаш** (დ)—აკვანი
ინგ. **ағъ** (დ)—**ағаш** (დ)—აკვანი
წოვ. **акъан** (დ)—**акъни** (დ)—აკვანი (ქართულით შესულია).

ჩაჩნ. **ъағъ** ის მარტივი სიტყვა-ძირი უნდა იყოს, რომელიც გავრცობილი სახით ქართულ **აკ-ე-ან-შია** წარმოდგენილი. თუ გავიხსენებთ აკვანი-ს დიალექტურ სრულხმოვნიან ფორმას აკავანა-ს, მაშინ ჩაჩნურში **ъағ**-ს **ъ**-საც დაეძებნება თავისი გამართლება, იმ **ъ**-ს, რომელიც სრული **а**-ს აშკარა ნარედუქციალია. **ғ**-ან (აკვან-ში) ფუძის დეტერმინანტი სუფიქსია. ამ ტერმინის სიტყვიერი გამოხატულება ერთი უძველესთაგანია და კავკას. ენათა ზიარი ენობრივი სალაროს განძეულია. აქიდანაა ამოღებული აფხაზ. **ағъра**—აკვანი (რა სუფიქსია?!). თუ სწორია ზ. მალსაგოვის ეტიმოლოგია [1], რომლის თანახმად ინგუშური (და, მაშასადამე, ჩაჩნურიც) **аға** სიტყვასიტყვით სარწევი-ა, რომელიც **ағъ** ზმნიდანაა წარმომდგარი (უკანასკნელი ნიშნავს რწევას, ქანაობას) [2], მაშინ აკვანი-ც ჩაჩნურის (და მის მონათესავე ენათა) ენობრივი მასალის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას და ქართულში შეთვისებულად იქნეს ცნობილი. წოვ. **акъан** ქართულით შესული სიტყვაა.

3. ჩაჩნ. **барц** || **барҳ**(б) **бъарҳаш** || **бъарҳънаш**(დ)—გორაკი, შემაღლებული ადგილი, ბორცვი, ვალ, насыпь
ინგ. **бъарҳ**-ყორღანი, საფლავის გორაკი (надмогильный холм)
წოვ. **борц** (б)—**борци** (დ)—გორაკი (მხოლოდ ბუნებრივია და არა ხელოვნური)

ჩაჩნ. **барц** || **барҳ** დამოუკიდებლად იშვიათად იხმარება [3], მაგრამ მეტად გავრცელებულია ტოპონიმიკურ სახელთა წყებაში მოყვანილ მნიშვნელობათაგან ხელოვნურად შემაღლებული ადგილის—ყორღანის გაგებით. არღუნისა და შარ-არღუნის ხეობათა გაყოლებაზე ვხვდებით ისეთ ტოპონიმიკ. სახელებს, როგორიცაა ბართხანა-ბარც [4], გესენ-ბარც, ბარცეროჲ-ბარც (ეს უკანასკნელი ორივე ნაწილში **барц** სიტყვას შეიცავს, ხოლო პირველ მათგანს-კი დართვია **рӀу** [მრ. რიცხვი-**роьг**] სუფიქსი, რომელიც მნიშვნელობით ზოგჯერ ქართ. ელ-ი-ს უდრის), ვანერ-ბარც, ძუკუმ-ბარც, ხოჟაშ-ბარც, ჩეჩენხოჲ-ბარც (სიტყვასიტყვით ჩაჩანთა სიმაგრე-ს ნიშნავს), ხარიბუზდეჩუბარც და ა. შ. ეს ის რაიონია, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელის—შამილის სტრატეგიულ ზონაში შედიოდა. აქ ჩასაფრებული შამილი შლიდა თავის

[1] იხ. З. Мальсагов—Ингушская грамматика,—ლექსიკონი.

[2] სემასიურ ანალოგიას ვხედავთ მეგრ. **ონწე**-სა და ჭანური **ონწელი**-ს სახით—ორივე სარწევს ნიშნავს.

[3] ასეთი მნიშვნელობით ხმარებაშია **ғӀу**(б)—**ғӀунаш**(დ) ბორცვი, გორაკი (насыпь, холм) და **арх** (დ)—**ъарсънаш**(დ) იგივე.

[4] ამა და სხვა სახელწოდებათა სიზუსტისთვის პასუხს ვერ ვაგებთ, რადგან რუსული ხუთვერსიანი რუკიდან ამოკრებილი მასალით ეხელმძღვანელობთ; მოყვანილ კომპოზიტებში ჩვენთვის საინტერესო **барц** კომპონენტი გადმოცემის მხრივ, ყოველ შემთხვევაში, უდავო უნდა იყოს.

ბანაკს და აგებდა ფორპოსტებსა და სიმაგრეებს. მოყვანილ სახელებში **ბარც**-ის უცვლელად კომპონირება ამდენად სრულიად ბუნებრივია. ამას გარდა, გუდერმესის რაიონში რუკის მიხედვით ერთერთი მწვერვალი გაჲრაკ-ბარც-ადაა სახელდებული; ოდნავ ქვემოთ სიმაგრე ხალბონ-ბარცია მოთავსებული. გუდერმესიდან სამხრეთისაკენ ხამუ-ჲურტსა და ძვ. აქსაჲ-მდე რკინისგზის ლიანდაგის გაყოლებაზე გამწკრივებულია: ბეჟენ-ბარც, პეტენ-ბარც, ელენ-ბარც, ხიმოლომ-ბარც, ქოურნეკ-ბარც და ა. შ. ჩაჩნ. **ბარც** ბუნებრივად მოგვაგონებს ქართ. **ბორცვ**-ს, სადაც ვ ძირეული კი არ არის, არამედ არის ის ვ (ძვ. ქართ. ჳ), რომელიც ეგოდენ გავრცელებულია ქართულ ტოპონიმიკაში (თმოგვი, მოქვი...) ერთის მხრივ, და საზოგადოდ სახელებში (არჩვი, მაჩვი, ჯიხვი, ნაძვი) მეორეს მხრივ. პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ამ ვ-ს (ძველი ქართულის ჳ) დეტერმინანტ-სუფიქსად თვლის[1]. ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ბორცვის განმარტებისას[2] წყაროდ დაბადების ერთერთ წიგნს უჩვენებს. სხვა ძეგლთა მიხედვითაც ბორცვი საკმაოდ ძველი სიტყვა ჩანს ქართულში. ამ ძირიდანვეა ნაწარმოები ზმნა ა-ბურც-ებ-ა და ზედსართავი ა-ბურც-ულ-ი, სადაც ბუნებრივად დეტერმინანტ-სუფიქს ვ-ს ადგილი აღარა აქვს, მაგრამ ბორცვი-ს ო აქ უკვე უ-დაა წარმოდგენილი, რატომ—ნათელი არ არის. ყოველ შემთხვევაში ბორცვი-სა და **ბურც**-ძირის ეტიმოლოგიური და სემანტიკური იდენტობა უდაოა; სხვაც რომ არა იყოსრა, შემთხვევითი არ არის, რომ ერთ ქართულ ხელნაწერში (ასეთი სხვაგანაც დაიძებნება) „ბურცუის ჯუარია“ მოყვანილი[3]. ქართული ბორცვი-ს სემანტიკური მრავალფეროვნება თითქოს მისი ქართულისათვის ორგანულობის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ეს ვარაუდია, რომელიც ჩაჩნური **ბარც**-ის შეთვისებულობის საკითხს ჯერხნობით ღიად სტოვებს.

4. ჩაჩნ. გუორგა—მრგვალი (ან გუორგანიგ).
წოვ. გოგრი—მრგვალი.

ჩაჩნ. გუორგა იგივე უნდა იყოს, რაც ქართული გურგუალი, სადაც ალ სუფიქსია ატრიბუტივობის მაწარმოებელი. როგორც ჩაჩნურში, ისე ქართულში მიუხედავად გუ || გო და გოგ (შდრ. მაგ., გოგორა) ძირთა არსებობისა, რ არც ფონეტიკურად განვითარებული ერთეული, და არც რაიმე ფორმანტია. ზოგ შემთხვევაში იგი როგორც ჩაჩნურში, ისე ქართულში, არ არის დაცული.

მაშასადამე, ძირად გრ და გამარტივებული გო || გუ რჩება, რომელიც ძირია აგრეთვე ჩაჩნურ-წოვურისთვისაც. უკანასკნელებში ამ ძირის ურაეო სიტყვებიცაა ნაწარმოები, როგორიცაა გუორგა-ის ცალმაგი ფუძე (იგი გაორმაგებითაა ნაწარმოები, როგორც ყოველგვარი ამ ტიპის გაორმაგება, ალბათ, მნიშვ-

[1] ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, სიტყვა, ლუღი, გვ. 122. ქვემოთ შემოკლებით ვიხმართ: შედარ. ლექსიკონი

[2] „ბორცკ—გორა (148,9 ფსალ.)—„ქართული ლექსიკონი (ქვემოთ ყველგან შემოკლებით აღვნიშნავთ: ქართ. ლექსიკონი).

[3] იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა—„ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა“—ტფილისი, 1896.

ნელობის ინტენსიობის მიზნით) ჩაჩნურში **გუო**—მრგვალი, რგოლი, წრე (ბე-რიშა გუო ბინა—ბავშვები რგოლად, წრედ, დგანან). ნასახელარი ზმნა **გუობარ**—წრის (შემო)ვლება. ასეთივეა (**რ** არ ახლავს) წოვური **გოგ**(ბ)—წრე, ბეჭედი, რგოლი და ნასახელარი ზმნა **გოგბარ**—გარსვლება (окружать). **რ** დაცულია ამ კომპოზიტის მეორე ნაწილში ჩაჩნურშიცა და ქართულშიც და ცალკე ბუდედაა გამოსაყოფი; ასეთია ქ. მ-რგ-ვ-ალ-ი (ან მგრგუალი), რგოლ-ი, ჭან. მუ-რგ-ვ-ალ-ი, მეგრ. რგ-ვ-ალ-ი, ქართ.-მეგრ. მო-რგ-ვ-ი და ა. შ. **რ**-დანართი **გ** ძირი გაუორ-მაგებელი სახით ჩაჩნურში არ არის წარმოდგენილი (თუ დაცული). ეს სიტყვა მეტად საინტერესოა და ერთი უძველესთაგანი უნდა იყოს კავკასიურ ენებში. დაღისტნის ენათა ჯგუფიდან შეიძლება დავასახელოთ ანდიური **გურგუმა**—მრგვალი, ხუნძ. **გორ**—რგოლი, გვირგვინი, **გურგინლ'იზე**—დამრგვალება, **გურ-გინ**, **გურგინაბ**—მრგვალი, **გური**—ბრბო, ხროვა. ქართულ **გორგალ**-თან პარა-ლელის თვალსაზრისით საინტერესოა ჩაჩნ. **გუორგლრ**(ბ) — **გუორგლიეშ**(დ) — ზარი (საკუთრივ გორგლის გაგებით კი იხმარება სიტყვა **ურიგ**(ბ)—**რრგრშ**(დ)).

5. ჩაჩნ. **გუოთ'ა**(ჲ)—**გუოთ'ანაშ**(ჲ)—გუთანი

ინგ. **გუოთ'ა**—სახნავი იარაღთა კომპლექსი.

გუთანი საზოგადოდ განვითარებული მიწათმოქმედების საფეხურზე ხმარე-ბული იარაღია, მაგრამ საკმაოდ ძველი[1]. იგი კავკასიის გადალმა და გადმოლმა მოსახლე ტომთა სამეურნეო მოსაქმეობის ორგანული კუთვნილებაა და მრავალ მათგანში თითქმის ერთნაირი სიტყვიერი გამოხატულება აქვს: ქართ. **გუთანი**, ოსური **გუ̈ტონ**, სომხური *գութան* || *գութան*, უდური **ქ'ოთა̈ნ**, აფხაზ. **აკუთან** და ა. შ. ეს გარემოება იმის მაუწყებელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სამე-ურნეო იარაღის თავდაპირველი ერთიანი კონსტრუქციული ტიპიც, რომელმაც შემდგომ თავისებური ვარიანტები მოგვცა ეთნური განშტოების მიხედვით. უფრო მეტი: თუ ქართული გუთნის ზონალური გავრცელების ხაზს თვალს გა-ვაყოლებთ, დავინახავთ, რომ ამ შედარებით ვიწრო გარემოცვაშიც-კი იგი განსხვავებულ დეტალებს იძლევა. ჩაჩნური გუთნისა და ამავე სახელწოდების ქართული გუთნის ტიპოლოგიურ დაზუსტებას ჩვენ ვერ გამოვუდგებით ამჟამად და მხოლოდ უნდა დავასკვნათ, რომ თუ ქართ. **გუთან**-ს სომხ. *գութան*-ის დუბ-ლეტად არ მივიჩნევთ და მას აკად. ივ. ჯავახიშვილის დებულების თანახ-მად ქართულის ენობრივ კუთვნილებად ვცნობთ[2], მაშინ **ან გუთ** ძირის მა-წარმოებელ სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ჩაჩნ. **გუოთ'ა** მისი უამნაწილაკო-ბისდროინდელი ზუსტი პარალელი იქნება[3]. როდესაც კავკას. ენათა წიაღი-დან ამოწვდილი რომელიმე სიტყვა არაკავკასიური აგებულების მეზობელ ენა-შიც იპოვება და მისი მკვიდრ-კავკასიურობა ეჭვის ქვეშ დგება, მაშინ ერთად-

[1] იხ. გ. ჩიტაია: „რაჭული სახვნელი", ენიმკი-ს მოამბე, I, 1937 წ.

[2] იხ. მისი „საქართველოს ეკონომიური ისტორია", I, გვ. 188 და შემდ..

[3] თუმცა გულდენშტედტისა და კლაპროთის ლექსიკურ ჩანაწერებში ვკითხულობთ არა **გუოთ'ა**-ს, არამედ „გოტან"-ს (იხ. J. Güldenstädt—Beschreibung der Kaukasischen Länder, 1834 და l. Klaproth—Uoyage au Mont Caucase et en Georgie, II ტ.

ერთი, უტყუარი შესამოწმებელი საშუალებაა დავძებნოთ რომელ ენაშია შესაძლებელი მისი ეტიმოლოგიური ამოხსნა. ამ შემთხვევაში საკითხი დგას: გუთანი კავკასიელ ტომთა ნივთიერ და ენობრივ კუთვნილებას შეადგენს, თუ იგი არაკავკასიურ (ძირითადად) შედგენილობის სხვა ენებშია წარმოქმნილი? გუთანის ეტიმოლოგიური ამოხსნა ამჟამად არც ერთი ენის მიხედვით არ ხერხდება, თუმცა ქართ. **გუთანი** იმ **ან** სუფიქსითაა ნაწარმოები, რომელიც აწარმოებს აგრეთვე უძველეს სასოფ.-სამ. იარაღს **ერქვან**-ს და შინა ყოფაში ფართოდ გავრცელებულ ტერმინს ქოთან-ს. წინასწარი ვარაუდის სახით, ვფიქრობთ, გუთანი კავკასიურ და კერძოდ, ქართველურ ენათა ორგანული ენობრივი შენაძენი უნდა იყოს. სომხურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში[1] ძველი ფორმით *կուրայ* და ახლით *կուրան* მიჩნეულია კავკასიურ ენათა სამყაროდან შემოსულ სიტყვად, კერძოდ, სამხრულ კავკასიურიდან.

6. ჩაჩნ. **დუყ** (დ)—**დუყაშ** (დ)—უღელი.
ინგ. **დუყ** (დ)—უღელი.
წოვ. **დუყ** (დ)—**დუყი** (დ)—უღელი.

როგორც ჩაჩნ. **დუყ**-ის თანმხლები **დ** კლას-ნიშნის მქონე მეშველი ზმნიდან ირკვევა, თავკიდური **დ** მასში ფუძეს შეყინული კლას-ნიშნური ელემენტია, ხოლო ძირეული **ყ** (თუ **უყ**) ეტიმოლოგიურად მონათესავე იმ **ყ**-სი, რომელიც რიცხვითი სახელის ორის ცნების მატარებელია თუნდაც ამავე ქართ. ყ-ევ-არ-ში, იმავე ჩაჩნ. ტ-ყ-ა-ში (ოცს რომ აღნიშნავს) და ა. შ.

მეორე მხრივ, ქართულში იპოვება საკმაოდ ღარიბი წყება ისეთ სიტყვათა, რომელთა დასაწყისი ხმოვნურია, რაც არ შეესაბამება ქართულ სიტყვათა აღნაგობის ზოგადს—თანხმოვნით შემართულ ტიპს. მათი შედარება სხვა კავკას. ენათა მონათესავე სიტყვებთან თითქოს იმას გვაფიქრებინებს, რომ მათ ოდესღაც წინ კლას-კატეგორიული კუთვნილების გამომხატველი ნიშანი უნდა ჰქონოდა. თუ სწორია ეს მოსაზრება, მაშინ ჩაჩნ. **დუყ**-ს ბუნებრივად გვერდით ამოვუყენებდით ქ. უ-ღ-ელ-ს და სვან. უ-ღ-უ-ა-ს, სადაც **ღ** ძირი **დუყ**-ის **ყ**-ს ფონეტიკური და სემანტიკური ვარიანტი და იგივეობაა, ელ ‖ უ—ფუძის დეტერმინანტი სუფიქსი, ხოლო თავკიდური **უ** ის, ჯერხნობით გამოურკვეველი ფუნქციის ფორმანტი-ხმოვანი, ურომლისოდ კლას-ნიშანი წარმოუდგენელია. **ყ**-ს ნაცვლად **კ**-თი წარმოდგენილი ძირი იპოვება კიურულში ჯიკ-ის (უღელი) და ხიურკილ. **დუკ**-ის (უღელი) სახით. საყურადღებოა აკად. ნ. მ ა რ ი ს ეტიმოლოგია ქართული **ტყუბი**-სა, რომელთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესო ტერმინიცაა მოხსენებული: „...Таков еще более, чем сванский, тушинский язык. В нем 1. duk пара—*dku из 2. ტყუბი tkub-i 'близнецы', 'пара', или из так н.:..“ (იხ. Яфетич. элем. в яз. Армении—ИИАН, 1913, № 9, 420).

ამ ძირთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ ინდურ-ევროპული ენებიც, სადაც ეხვდებით: რუს. **иго**-ს, სამწერლო ინდურის **juga**-ს, ლათინ. **jug**-um-ს,

[1] „ჩაყսերէն արմատական բառարան“ 1926 (შემოკლებისათვის კვემოთ ყველგან აღნიშნავთ: ეტიმ. ლექსიკ.).

ბერძნ. ζυγ-ον || δυγ-ον-ს (ζ და δ ჲ-საგანაა წარმომავალი) და ა. შ. მკვდარ ენათაგან აღსანიშნავია ხეთური iuc-as. ინდურ-ევროპულშივეა შედგენილი (ჩვენის აზრით) სიტყვა დუგა (**ду-га** два иго); ეგეთე ძირი გვაქვს ურალ-ალტაურ ენებში: უნგრ. **იგა**, ფინური **ჯუკო**. ჩაჩნურ **დუჲ**-თან უნდა იყოს დაკავშირებული ტაბიკის ჩაჩნურივე სახელწოდება **დუჲურც** (ბ)—**დუჲურცᲨ** (დ) (შედგენილია სიტყვებიდან **დუჲ** და **ურც**).

7. ჩაჩნ. **დუ͡ოგ** (დ)—**დეგ**ნიᲨ (დ)—გული
ინგ. **დუ͡ოგ** (დ)—გული
წოვ. **დოკ** (დ)—**დაკ**მი (დ)—გული

ცნება **გული**-ს გადმომცემი სიტყვა რიგ კავკას. ენებში იდენტურ ძირს ავლენს, რომელიც ფონეტიკურად მერყეობს **გ**-კ-ს შორის და მეტ წილად პრეფიქსული კლას-ნიშნითაა წარმოდგენილი; ამგვარად, სხვადასხვა ენის მიხედვით **დ** ან **რ** გვეელინება: ჩაჩნ. **დუ͡ოგ**, ხუნძ., **რაკ**. ამ ორ სიტყვაში **დ** და **რ**-ს კლასნიშნობა ჯერ კიდევ პ. კ. უსლარს აღუნიშნავს[1]. სამაგიეროდ, აფხაზურშია **ა-გუ**, უდურშია **უკ**, ყაბარდოულშია **გგუ**—გული (შდრ. გული—იმედი; ლოპატინსკი, „ყაბარდოული გრამატიკა“, ლექსიკონი), ქვემო-ადიღეურშია **გუ||ქუ||Ქუ**, კიურულში—**რიკ**, **ხიურკილურში—ურკი**, ხოლო ქართველურ ენებში დეტერმინანტ-სუფიქსის დართვით ქართულშია **გ**-ულ-ი, ჰანურ-მეგრულში—**ჲგ**-ურ-ი, სვანურში—**გ**-უ-ი. ქართველურ ენათა მონაცემი, ამგვარად, იმ კავკას. ენებს უახლოვდება, სადაც უკლასნიშნო სახეობაა მოცემული, თუმცა ნივთიერი ნაწილით ჩაჩნ. **დუ͡ოგ**-ის იგივეობაა. ჩაჩნ. **დუ͡ოგ**-იდან ნაწარმოები უნდა იყოს ზმნა **დაგა** დუოღარა—ხსოვნება (помнить; შდრ. წოვ. **დაკიდარკი**—ყურადღება, მეხსიერება, და **დაგა** დუოხარ—გულით ყვარება).

აღსანიშნავია, რომ ჩაჩნურში არის სიტყვა **ჭ'ირა** (ბ)—**ჭ'ირანაᲨ** (ბ), რაც ნიშნავს **გულ**-ს, მაგრამ არა ანატომიურ ორგანოს, არამედ გულის განყენებულად აღებულ ცნებას, მაგ., ისეთ გამონათქვამში, როგორიცაა: **ჭ'ირახ** ბაღლაᲨნაᲨ ბუ—გულში ნაღველია. აღსანიშნავია, რომ ქართულშია **კ** ძირის (შდრ. წოვური **დოკ** და უდ. **უკ**) შემცველი ერთი საინტერესო სიტყვა, რომელიც გულის ანატომიური მდებარეობის არეს გამოხატავს. მხედველობაში გვაქვს **მკერდი**, რომლის **კ** ძირი იმავე გულის ცნებას უნდა მოიცავდეს და **გ**-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, მაგრამ იგი გართულებულია **ერ** სუფიქსით, რომელიც ამჟამად ძირისეულად აღიქმის. იგი უცნაურად მოგვაგონებს ინდურ-

[1] „Дуог чеченск., рак аварск., дак лакск. значит **сердце** и, очевидно, одного происхождения“—П. Услар, Лакский язык (ЭК, IV, გვ. 234.)

ამ ტიპის შესატყვისობაა აგრეთვე ჩაჩნ. **დოგ** (ცული) და ლაკ. **რიკ** (id.) და სხვ. საგულისხმოა, რომ სახელს დართული მეშველი ზმნის კლას-ნიშნის მიხედვით ზოგგან შესაძლოა გაირკვეს მისი შესაბამი სიტყვის ფუძე-ძირის შედგენილობა იმ შემთხვევაში, როდესაც თავკიდური თანხმოვანი (ან ნახევარხმოვანი ჲ) ძირეულობის მხრივ საეჭვოდ გამოიყურება და წარმოშობით კლას-ნიშანი შეიძლება იყოს. რათქმაუნდა, შემთხვევითი არ არის, რომ წოვ. **დოკ**-ისა და ჩაჩნ. **დუ͡ოგ**-ისთვის მეშველი ზმნა ორივე რიცხვში **და** || **დუ** არის და არა რომელიმე სხვა ფორმა. პარალელები სხვა კავკას. ენათაგან ამ იჭვს უფრო მეტ საფუძველს უქმნის.

ევროპულში კარგად ცნობილს ბერძნ. κάρδ-ία-ს, ლათ. cor(d-is)-ს დაბოლოს, ხეთურ **kardi**-ს[1], რომლებიც აგრეთვე გულს ნიშნავს.

8. ჩაჩნ. -ᲔᲧᲘᲜ—ხმელი, მხმარი. იმისდამიხედვით, თუ რა არის ხმელად განსაზღვრული, ჩაჩნ. -ᲔᲧᲘᲜ დაირთავს ჲ, ვ, დ, ბ კლას-ნიშნებს. აქედანვეა ნაწარმოები ზმნა ᲰᲐᲧᲐ ჲალარ (ᲕᲐᲧᲐ ვალარ, ᲓᲐᲧᲐ დალარ, ᲑᲐᲧᲐ ბალარ), რომელიც ნიშნავს შრობას, ხმობას (сохнуть, высыхать).

წოვ. -ᲐᲧᲘᲜ—ხმელი, მხმარი; იგიც ჲ, ვ, დ, ბ კლასნიშნებს ირთავს, ხოლო, ზმნური ფორმა, როგორც ეს ჩაჩნურსა და წოვურს სჩვევია, ჩვეულებრივ ნეიტრალური კლას-კატეგორიითაა წარმოდგენილი: ᲓᲐᲧᲓᲐᲚᲐᲠ-ᲮᲛᲝᲑᲐ (сохнуть).

ჩაჩნ. -ᲔᲧᲘᲜ-ში ძირა ყ ქართული ხ-მ-ობ-ა || ხ-მ-ელ-ი-ს და ჭან.-მეგრ. ხ-ომ-ულ-ა-ს ხ ძირის ფონეტიკური და სემანტიკური პარალელი უნდა იყოს. ამასთან უნდა დავსძინოთ, რომ ძვ. ქართულშია ჯ-მ-ელ-ი (აქედან ჯმ-ელ-ეთ-ი, ჯმ-იად-ი და სხ.), ე. ი. ჯ ძირია, რაც უფრო ამარტივებს ჩაჩნ. ყ-სა და ქართ. ხ || ჯ-ს ფონეტიკური გადასვლის ახსნის შესაძლებლობას. ჩვენი დაშლის თანახმად ქ. ხმ-ელ-ში მ ძირისეულად არ მიგვაჩნია. პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ობ ა ვ ა ქართულ-ჭანურ-მეგრულ ხმ || ხომ-ში მ-ს ძირს აკუთვნებს (შედარ. ლექსიკ., გვ. 245). ჩაჩნ. -ᲔᲧᲘᲜ ერთეული არ არის კავკას. ენებში; ხუნძურად ჲ, ვ, ბ, რ-ᲐᲧᲝᲐ ნიშნავს ხმელად (сухо), ხოლო ᲐᲧᲝᲐᲖᲔ—ხმობა (сохнуть), ყაბარდ. ლუნ—ხმობა (сохнуть; Лопатин., ყაბარდ. გრამ., ლექსიკონი).

9. ჩაჩნ. ᲮᲐᲐᲮ || ხა'აᲮ —დაჯდომა (садиться), ულუო-ᲮᲐᲐᲮ—მიჯდომა, ახლოს დაჯდომა (садиться подле). ᲣᲮᲐᲐ ხაᲮ—(და)ჯდომა (сесть).

წოვ. ხა' არ—ჯდომა; ან უფრო ხშირია ჩუხა'არ—ჩაჯდომა (ფუძეა ხა'ა. ას ჩუხა'ეᲮ || ას ჩუხი'ას—მე [ჩა]ვჯდები).

ჩაჩნურ ᲮᲐᲐᲮ-ში ხ (+v.)—ძირია. ამავე ძირს ვხვდებით ქართველურ ენებშიც: ს-ხ-დ-ომ-ა, სადაც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ს ქართულის (კერძოდ, ძვ. ქართულის) მასდარის ერთერთი იშვიათი მაწარმოებელი ფორმანტთაგანიაო, რომ ამას ერთი რამ არ უშლიდეს ხელს: ს აქ კრებითობის, მრავლობის ნიუანსის მატარებელი ჩანს; ხ ძირია, მომდევნო თანხმოვანი კი ის ელემენტი, რომელიც ძირეული არ არის და გარკვეულ შემთხვევაში ნ-ს ენაცვლება (შდრ. ს-ხ-ედ || ს-ხ-ენ), ხოლო ომ—ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი. ქართველურ ენებში ამ რთული ფუძის მარტივი ძირიცაა დაცული, მაგ., ჰადიშის ძეგლშია მე-ო-ხ-ნე[2], რაც მჯდომარეს, თანამეინავეს ნიშნავს, მეგრულშია ხ-უნ-ა || ხ-ვ-ენ-ა—ჯდომა, ჭანურშია გე-ხ-ენ (მეგრ. ხ-ენ)—ზის. პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ობ ა ვ ა ძირეულად მათში ხ-ს მიიჩნევს: „ედ || უნ სუფიქსებია; უკანასკნელი კაუზატივისაა. ქართულში ეს ძირი -ედ -სუფიქსით მრავლობითში იხმარება“ (შედარ. ლექსიკ., გვ. 422).

---

[1] ხეთური *kardi* მიცემით-ლოკატიური ბრუნვაა, ნათესაობითის ბრუნვაში კი *kardi*-as იქნება; იხ. E. H. S t u r t e v a n t—„Hittite Glossary“, გვ. 34.

[2] იხ. Материалы по Археологии Кавказа, ნაკვ. XIV, 1916 წ., მარკ. 6 ₃₉–₄₀, 6 ₃₆.

10. ჩაჩნ. ჲ, ე, დ, ბ-ი-თ-აწ—დატოვება, დარჩენა.
წოვ. ჲ, ე, დ, ბ-ი-თ-აწ— „ „ დაგდება.

ჩაჩნურ ი-თ-აწ-ში ი შემაერთებელი ხმოვანია (კლას-ნიშნისა და ფუძისა), აწ ინფინიტივის აფიქსი, თ—ძირი, რომელიც ქართველურ ენათა ტ-ოვ-ებ-ა სიტყვის ძირის თანხვედნილი უნდა იყოს (შდრ. „ჭან. ტ-ალ, მეგრ. ტ-ალ||ტ-ევ, ქართ. ტ-ევ“—შედარებითი ლექსიკონი, გვ. 320).

11. ჩაჩნ. ᲔᲙა(დ)—ᲔᲙიჲ(დ)—ნადირი, მხეცი; Აკარუო (დ) Აკარუოჲ (დ)—გარეული, ველური, ტყიური (ადამიანზედაც და მაშინ კლას-ნიშნებია ვ—ბ ან ჲ—ბ).

ინგ. ᲐკᲐ(დ)—ᲐკᲐშ(დ)—ნადირი, მხეცი, გარეული ცხოველი; ოაკᲐრი იგივეა, რაც ჩაჩნ. Აკარუო.

წოვ. ᲐკᲐ(დ)—Აკი(დ)—ნადირი, მხეცი.

თუ დავუშვებთ, რომ ქართ. ვ-ეცი შესაძლოა დაიშალოს, როგორც მ-კ-ეც-ი, ე. ი., მ მიეიჩნიოთ მაწარმოებელ სუფიქსად, კ—ძირად, ხოლო ც (ან ეც).—იმავე ელემენტად, რომელიც მაწარმოებელია აგრეთვე სიტყვა კა-ც-ი-სთვის (შდრ. ვა-ც-ი), მაშინ ᲔᲙა-ს კ დაუპირისპირდება ქართ. მ-კ-ეც-ი-ს კ-ს. ამ ძირის დერივატული წარმოება უნდა იყოს ქართ. ო-კ-ერ-ი, რომელიც სწორედ მოიცავს გარეულის, ველურის (უპატრონოს) ცნებას (შდრ. ინგ. ოაკᲐრი). საყურადღებოა, რომ, ალბათ, ქართულით შესული, სვანური ᲔᲔც ნიშნავს чудовище, див.

12. ჩაჩნ. Ერზუო (ჲ)—Ერზუონიშ (ჲ)—არწივი.

ინგ. Არზიჲ (ჲ)—Არზიეშ (ჲ) — არწივი (შდრ. ინგუშეთის ერთერთი აულის სახელწოდება Ერზი).

ჩაჩნ. Ერზუო-ში უო მაწარმოებელი სუფიქსია, ძირად (?) Ერზ რჩება, რომელიც ქართ. არწივ-ში არწ-ს უნდა ეტოლებოდეს,—ივ დეტერმინანტი სუფიქსია. ქართ. არწივ-თან მოდის წოვ. არწივ(დ)—არწვი(დ). შენიშნულია, რომ ჩაჩნურის ზ-ს წოვურში ზოგჯერ წ შეესატყვისება ბგერითად (მოყვანილის გარდა შდრ. ჩაჩნ. Ეუოზ—თაფლი და წოვ. Ეოწ—თაფლი). ჩაჩნ. Ერზუო-ს უდეტერმინაციო ფორმით არსებობის ფაქტი თაეისებურ სიბრტყეში სვამს ქართ. არწივი-სა და სომხ. արծուի-ს ურთიერთ მიმართების საკითხსაც, რადგან Ერზუო კავკას. ენათა წიაღში ნაზარდი სიტყვა ჩანს. შემთხვევითი არ არის, რომ ლაკურად არწივი გადმოცემულია სიტყვით Ბარზუ, სადაც თავკიდური ბ ის კლას-ნიშნური პრეფიქსი უნდა იყოს (შდრ. Ბარზუ—ბ), რომელიც ჩაჩნურს არ ახლავს. სომხურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში სომხ. արծուի → արծիւ ინდურ-ევროპულ ძირადაა მიჩნეული, სახელდობრ, მითითებულია rgipyo-ზე და იქვე ლაკური Ბარზუ შემთხვევით წარმონაქმადაა (?!) მიჩნეული (ეტიმ. ლექსიკ.). ქართ. არწივი და მისი სხვა კავკას. ენათა პარალელები უნებურად სვამს ამ სიტყვის ინდურ-ევროპული ვარიანტის საკითხსაც და კავკას. არწივ || Ერზუო || Ბარზუ-ს შედგენილ სიტყვად მიჩნევის შესაძლებლობასაც აყენებს: თუ გაეითვალისწინებთ

რუს. ор-ел-ს (ел სუფიქსი უნდა იყოს, შდრ. ос-ел, кот-ел და სხ.), ბერძნ. ᾰρ-ζ-ιπ-ος-ს, ხომ არა გვაქვს კავკასიურში: **არ-წ-იე-ი**, **ერ-ზ-უო**, **ბ-არ-ზ-უ**? ენათა რომელ სამყაროში ამოიხსნება ეს ტერმინი, ჯერხნობით ნათელი არ არის.

13. ჩაჩნ. **კ̌არა** (ჲ)—**კ̌არანაშ** (ჲ)—მოლობილი, ან მოჩარდახული ადგილი ბოსელში ხბოსათვის. ინგუშურ-წოვურში ეს ტერმინი არ უნდა იყოს შემონახული (?).

ჩაჩნ. **კ̌არა** ის სიტყვა უნდა იყოს, რომელიც **ავ** სუფიქსის დართვით ქართულში **კარავ**-ს წარმოგვიდგენს (შდრ. კარაბაკი—სახლი, ეზო, კარავი; ლეჩხუმურ-ქვემო-სვანური **კარაპანი**—მოჩარდახული უკედლო მინაშენი სახლზე თივისა და ჩალისთვის). უადგილო არ იქნება აქვე მოვიყვანოთ აფხაზ. **აჳ̀ꙋდა**, რომელიც აგრეთვე კარავს აღნიშნავს, დაბოლოს, კიურული **კარ**—მოლობილი ადგილი საქონლისათვის. სვან. კარ̌ავ ქართულით შესული სიტყვაა. ჩვენის აზრით, თვით ქართ. **კარ**-ავ-ი **კარ** ძირის სახით ეტიმოლოგიურად ქართულისავე კარ-ს უნდა ენათესაებოდეს.

14. ჩაჩნ. **ქ'უ̄ჲ**(ბ)—**ქ'უ̄ნაშ** (ბ)—ქუდი.
ინგ. ქ'იჲ (ჲ)—ქუდი.

ჩაჩნ. ქ'უ̄ჲ-ში ძირეულია ქ'(უ), ე. ი. იგივე მასალაა, რასაც ქართ. **ქუ**-დ-ი და ჭან.-მეგრ. **ქუ**-დ-ი შეიცავს, სადაც **დ** ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი ჩანს (შდრ. მრუდი, კუდი...). ქართ. **ქუდი**-ს **ქუ** ძირი უნდა ენათესაებოდეს ეტიმოლოგიურად ქართ. სა-რ-**ქუ**-ელ-ს, რომელსაც სვანურისათვის ტანსაცმელის, სამოსის მნიშვნელობა სრულიად ბუნებრივად უტევირთავს, შდრ. სვან. ლი-**ქუ**-ემ—ჩაცმა და ლე-რე-**ქუ**—ტანსაცმელი; მათში ასახსნელია თავკიდური **რ** (სა-რ-**ქუ**-ელ-ი, სვან. ლე-რე-**ქუ**). ხომ არ არის იგი იმ უცნობფუნქციური წარმოშობისა, როგორც რ-წყ-ვა-ში? ეგეგე ძირი ჭანურ-მეგრულშიც იპოვება: ჭან. დოლო—**ქუ** -ნუ—ტანისამოსი და მეგრ. მიკა-**ქუ**-ნალი—(იგივე). სომხურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში სომხ. *ղդակ*-ისთვის (ქუდს ნიშნავს) ავტორს შეცთომით მოყვანილი ჩაჩნ. ქუდე (*քուդէ*; ასეთი ფორმა ჩაჩნურმა არ იცის) შეუპირისპირებია. *ղդակ*-ის *ակ* სუფიქსს ავტორი კავკასიურიდან შეთვისებულად მიიჩნევს, ხოლო ქართულ-ჩაჩნურ-სომხურ **ქუდ** ძირს ხალდურიდან შეთვისებულად აღიარებს. ეს საკითხი, რათქმაუნდა, ასე ადვილად არ წყდება. ამოსავლად ასაღებია, არა **ქუდ** ფუძე, არამედ **ქუ** ძირი, როგორც ეს სიტყვის მოყვანილი ანალიზიდან დავინახეთ.

15. ჩაჩნ. **მაგარ**—[შე]ძლება (мочь); მეგერ დუ—შეიძლება; **მოგუშ** ეუ(დუ)—ჯანმრთელია, ცომგუშ ეუ (დუ)—ავადმყოფია[1].
ინგ. **მ̌აგ̌არ**—[შე]ძლება (мочь).
წოვ. **მაკარ**—იგივე; მაკეშ—ძალუმად, ღონივრად.

[1] მაგარ -ის მნიშვნელობა ამჟამად ყველასთვის როდია ცნობილი და საერთოდ ცოცხალ მეტყველებაში იშვიათად გაიგონება და ისეთ სტერეოტიპულ გამოთქმებშიღაა დაცული, როგორიცაა: მეგაშ ბაც—შეუძლებელია და ცა მეგ—არ უდგება, არ ხამს (не подходит).

ჩაჩნ. **მაგარ** იშლება: **მაგ**-არ, სადაც **არ** არის მასდარის მაწარმოებელი აფიქსი; მაშასადამე, ძირად **მაგ** რჩება, რომელ ძირსაც ჩვენ ეუახლოვებთ ქართ. **მაგარ**-ს. თუ ჩავუკვირდებით უკანასკნელის შინაარსს, დავრწმუნდებით, რომ **მაგარი** სწორედ ის არის, რაც შემძლე, ან გამძლე, ე. ი. მაგარია. რათქმაუნდა, ქ. **მაგ**-არ-ში **არ** ფუძის მაწარმოებელი სუფიქსია. გაპირდებოდა აქვე დაგეგსახელებინა სვან. **მედ**- ძირი ლი-**მედ**-ე-ში (რაც შეძლებას ნიშნავს), რომელიც უდგება ზემომოყვანილს მნიშვნელობით, მაგრამ აჩენს **მაგ** ძირის **გ**-ს მონაცვლე აუხსნელ **დ** ელემენტს; თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანური სხვა შემთხვევებშიაც აჩენს ამ **დ**-ს, შდრ. მეგრ.-ქართული სი-**ხარ**-ულ-ი, მეგრ. სა-**ხიოლ**-ო—სახარი, მაგრამ სვან. ლი-**ხი**-ა-**დ**-ე, ქართ. შველა და სვან. მე-**შედ**—მშველელი და ლენტეხ. სვანური მა-**შად**—მრგებელი, მშველელი.

16. ჩაჩნ. **მოკუ** (დ)—**მოკურჩ** (დ)—სამართებელი (бритвенный нож).

ინგ. **მუკ** (დ)—**მუკარჩ** (დ)—დანა, სამართებელი.

ჩაჩნ. **მოკუ**, შესაძლებლად მიგვაჩნია, შეეუდაროთ ქართ. ბახვილს, სადაც **ილ** ფუძის სუფიქსი დეტერმინანტია (შდრ. მახ-ვა).

17. ჩაჩნ. **ნიყ** (ბ)—**ნიეყაშ** (დ)—გზა.

ინგ. **ნიყ** (ბ)—გზა.

წოვ. **ნიყ** (ბ)—**ნაყიშ** (დ)--გზა.

ჩაჩნური **ნიყ**-ის ხელშესახებ პარალელს ქართველურ ენათაგან ამჟამად ვერ დავასახელებთ. მავრამ გავიხსენებთ, რომ სულხან ორბელიანის ლექსიკონში ერთი მეტად საინტერესო სიტყვა შემდეგნაირადაა განმარტებული: „ნოქვი ძველსავალი გზა“. მასზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ „ნოქვი“, რომელსაც მნიშვნელობა უცვლია და გადმოგვცემს არა ზოგადად გზის ცნებას (ამ მნიშვნელობით ტერმინი „გზა“ არის ხმარებაში), არამედ ძნელად სავალ გზას, საკმაოდ ძველი, ან გადავარდნილი სიტყვა უნდა ყოფილიყო ქართველურ ენებში, რომელიც ამ დავიწროებული მნიშვნელობითაც-კი **გზა**-მ განდევნა სამწერლო ქართულის ხმარებიდან (დასაძებნია ამ მხრივ კილოური ვითარება ამ სიტყვისათვის). ნოქვი ისეთივე ვ სუფიქსითაა გართულებული, როგორც ზემოთგანხილული ბორცვი.

დაბოლოს, გზა-ცნების გადმომცემი სიტყვა ჩაჩნ. **ნიყ**-ის შესატყვისი ძირის სახით არსებობს სხვა კავკას. ენებშიც: ხუნძურშია **ნუხ**—გზა, უდურშია **ჲაყ**—გზა, ანდიურშია **მიკი**—გზა, არაა გამორიცხული შესაძლებლობა აქვე დავასახელოთ აფხაზ. **ამჯა**—გზა და უბიხ. **ამღა** (id)[1].

18. ჩაჩნ. **ხშ** (დ)—**სინოშ** (დ; უფრო სწორად მრაელობითის ფორმად უნდა გვქონოდა **სინუოშ**)—სული, გული (უკანასკნელი იშვიათად თუ გვხვდება ხმარებაში), სინათლე (**სშ** თესნა—გათენდა).

ინგ. **სშ** (დ)—**სინოშ** (დ)—უფრო მდიდარია მნიშვნელობებით და სულის გარდა სინათლესაც აღნიშნავს.

---

[1] ამ ერთიანობისათვის ყურადღება მიუქცევია ჯერ კიდევ აკად. ა. შიფნერს: «пѣть, der Weg (აფხაზურში—თ. გ.) im Thusch niq, Stamm naq, udisch jaq...» (იხ. Abchasische Studien, Mémoires de l'Académie... ტ. VI, № 12, 1863, გვ. V).

წოვ. **სა**(დ)—მხოლოობითის ფორმით აღნიშნავს სულს, სინათლის მომენტი-კი დაუცავს ისეთ სპეციფიკურ გამონათქვამში, როგორიცაა **სახილეი**—გათენდა (სიტყვასიტყვით—ნათელი იქმნა). რაც შეეხება ამ სიტყვის მრავლობითის **სინბუი** (და) სულები ფორმას, მასში **ბუი** დანართია ასახსნელი (იგი სხვაგანაც ამოტივტივდება ხოლმე).

ძირითადი მნიშვნელობის გარდა (სული) ჩაჩნურ **სპ**-ს ნაწარმოებ სიტყვაში დაუცავს სინათლის მნიშვნელობაც, ისეთ გამონათქვამში, როგორიცაა მოყვანილის გარდა **ბჯპარსპ**—თვალხილული (зрячий), სადაც პირველი ნაწილი **ბჯპარ** თვალ სიტყვის—**ბჯპარგ**-ის კვეცილი ფორმაა, **სპ** კი სინათლეს აღნიშნავს (შდრ. **ბჯპარზიეი**—ბრმა, უსინათლო).

ქართულში სიტყვა სული ძირად **ს**-ს გამოყოფს, **ულ** მასში ფუძის დეტერმინანტია (ქართულისათვის, ხოლო ქართველ. ენათა **ჯგუფის** სხვა წევრთაგან სვანურშია **ქუინ**—სული, სუნი, ჰანურ-მეგრულშია შიშინა აგებულების **შუ**-რი). ამ **ს** ძირის პარალელია ჩაჩნ. **სპ**. ამავე რიგისაა ლაკური **სეჭ**—სული, სუნთქვა, ყაბარდ. **ფსე**—სული (ლოპატინ., ყაბარდ. გრამ., ლექსიკ.). ამას გარდა, ჩაჩნ. **სპ**-სთან ეტიმოლოგიურ კავშირში უნდა იყოს სინათლის ჩაჩნ. სახელწოდება **სერლო**(ჲ)—**სერლონაშ**(ჲ)—სინათლე, ნათელი (свет, светло); შდრ. აქიდანვე ნაწარმოები ზედსართავი **სირლიი**—ნათელი (светлый). აქ ძირი რომ **სა** არის, ჩანს იქიდანაც, რომ **სა** ხილლა ნიშნავს—ინათებს, განთიადია (შდრ. წოვ. **სახილეი**—გათენდა), რომ აღარაფერი ვთქვათ ზემოთმოყვანილ **ბჯპარსპ**-ზე.

19. ჩაჩნ. **უორ** || **ორ**(დ)—**ორნიშ**(დ)—თხრილი, ხარო (ров).

ინგ. ლაჩაშ—ორმო, საკუჭნაო (погреб). ინგუშურში ძირეულ **რ**-ს (**ჭ** ჩაჩნურ-ინგუშური სუფიქსია. შდრ. ბიეზამ—სიყვარული და მისთ.) ის **ლ** პრეფიქსი ახლავს, რომელზედაც სათანადო სიტყვასთან დაკავშირებით ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. იგი, როგორც სხვაგან, ისე აქ ფუძეს შეჰყინვია.

ჩაჩნ. **უორ** || **ორ**-ის პარალელად ქართულში ეგულისხმობთ **ორმო**-ს, სადაც **მ** ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს (რომლის სემანტიკური ურთიერთობა ჩაჩნ.-ინგუშ. **ამ** სუფიქსთან—განყენებითობას რომ აწარმოებს—უთუოდ გასათვალისწინებელია). სხვადასხვა ვარიანტით მოყვანილი ფუძე სხვა კავკას. ენებშიც არსებობს: ხუნძ. **ორ**—თხრილი და რაღაც უცნობი **ქ** ელემენტის შემცველი სიტყვა უდურში **ქურ** (ნათესაობითია **ქურნაჲ**) ორმო, რომელიც, ჩვენის აზრით, უნდა დაიშალოს **ქ-ურ**-ად. ამ მხრივ საყურადღებოა წოვურის მონაცემი ამავე სიტყვისათვის: **ჰორმ**(ჲ)—**ჰორმუი**(ჲ)—ორმო. საინტერესოა აგრეთვე სვანურში დაცული ტერმინი გიმი ქურუ, რომელიც აღნიშნავს მიწის ქვეშეთს, ხაროს (შდრ. სვან. ფათქ—ორმო და ქართულიდან შესული უორმ(ო)—ორმო). ოსური ყარმ—ხარო (яма) ქართულის გზით შესული ორმოა. მოყვანილი შედარებითი მასალიდან ირკვევა, რომ თვით ქართულ ორმო-ს წინ რაღაც უკანაენისმიერი ბგერა უძღოდა, რომელიც დაიკარგა.

20. ჩაჩნ. **ხვრა**(ჲ) **ხვრანაშ**(ჲ)—მარცვლეულის შესანახი ორმო მიწაში (выгребная яма для хранения зерна)

ინგ. —
წოვ. —

ჩაჩნ. **ხარა** სემანტიკური და ეტიმოლოგიური იგივეობა ჩანს ქართულში კილოურად (ქართლური) გავრცელებული **ხარო**-სი. ამ შეხვედრის ეტიმოლოგიური გასაღები თითქოს ქართულში უნდა ვეძიოთ.

21. ჩან. **ცაე** (ბ)—**ცეე** (ბ ‖ დ)—ვაშლი.

ინგ. **ცაჳ** (ბ)—ვაშლი.

წოვურს ეს საერთო კავკასიური (როგორც ქვემოთ დავინახავთ), ძირი ვაშლ-ცნებისა დაუკარგავს და ჩაჩნ. მსხლის აღმნიშვნელი სიტყვა ჯორ გამოუყენებია (შეცთომით?) ვაშლისთვის.

ჩაჩნ. **ცაჟ**-ს ჩვენ ვუკავშირებთ ქართ. **ვაშლ**-ს, ჭან. მეგრ. **უშქური**-სა და სვან. **ჭისგჭ**-ს. მათი იდენტობა უდავოა, თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ, რომ პროფ. არნ. ჩიქობავა უკანასკნელთათვის ძირად **ვაშ, უშქ** და **ჭისგ**-ს თვლის, **ქ** და **გ**-ს განვითარებულად, ხოლო **ლ, ურ** და **ჭ**-ს—დეტერმინანტ სუფიქსებად (შედარებ. ლექსიკ., გვ. 122). ჩაჩნურ **ცაჟ**-ში თავკიდური **ც** სპირანტი ქართველურ ენათა **ვ, უ, ჭ**-ს (ამ სიტყვაში) სუსტი შესატყვისია, რაც სხვა მაგალითებითაც მოწმდება. ეს ძირი ფართოდ გავრცელებულია სხვა კავკას. ენებში, შდრ. უდ. **ეშ** ‖ **ეშ**—ვაშლი, ღოდობერ. **იჩუ**--ვაშლი, კარატ.-ახვახ. ბჩე—ვაშლი, კუანად.—**ეჩ**, ჩამალ.—**ეში**, ტინდური—**ეჩი**, ხვარშ. **ებ**, დიდოური **ჰენეშ**, ყაფუჩ.—**ებ**, კიურ. და ლაკური—**იჩ**, ხუნძ. **ცეჩ**, ხიურკილ.—**ცინც** და სხვა აგრეთვე ვაშლს ნიშნავს.

22. ჩაჩნ. **ჩაჴ** (დ)—**ჩეშ** (დ)—პურის ჩალა (მხოლოდ).

ინგ. **ჩაჴ** (დ)—**ჩაჴშ** (დ)—ჩალა (საზოგადოდ).

თუ ქართ. **ჩალა**-ში **ლ** ფუძეს (თუ ძირს) ადეტერმინირებს, მაშინ **ჩ** ქართულისა იქნებ ჩაჩნურის იგივეობად მიგვეჩნია. წოვ. **ჩალ**(დ)—**ჩალი**(დ) და სვან. **ჩალ** ქართული **ჩალა**-ს დუბლეტს წარმოადგენს.

23. ჩაჩნ. **ცაჰი**—ერთი, ცალი.

ინგ. **ცჰია**—ერთი.

წოვ. **ცჰია**—ერთი; **წყე**—ერთხელ; **ცჰიაც**—თითო-თითოდ.

ჩაჩნ. **ცა**'-ს ქართ. **ცალი** უნდა უდგებოდეს (**ლ** ფუძის დეტერმინანტი სუფიქსია), აქიდანაა ნაწარმოები: **ცალ**-იერ-ი, მო-**ცალ**-ა, და-**ცალ**-ა და ა. შ.

ჩაჩნურს აქვს ერთხელი-ს აღმნიშვნელი საინტერესო სახელწოდება, რომელიც აგრეთვე ერთთან უნდა იყოს დაკავშირებული, **წყ**.

ეგევე ძირი იპოვება სხვა კავკას. ენებშიც: ლაკ. **ცა**—ერთი, კიურ. **სა** და უდ. **ხა**—ერთი, ხიურკილ. **ცა**—ერთი, არჭ. **ოს**—ერთი, აფხაზ. **ზა, *ს(ა), ც(ა)**[1]—ერთი, ქვემოადიღ. **ზგ**—ერთი, ხუნძ. **ცʼო**—ერთი და **ცაცʼალა**—ერთი ერთზე, ერთიმეორეზე) (друг на друга)[2], ყაბარდ. **ზზგ**—ერთი, **ზზე**—ერთხელ (раз), **ზეგო**—ერთბამად, ერთბაშად (сразу; лопатин., ყაბარდ. грам., ლექსიკონი)[3].

[1] ვეყრდნობით ქეთ. ლომთათიძის მოხსენებას—„ერთეულის კატეგორია აფხაზურში“ (წაკითხულია მოხსენებად ენიმკი-ს კავკას. ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 1938 წ.).

[2] იხ. არნ. ჩიქობავა—„სიტყვა ზოგის ეტიმოლოგიისათვის“ (ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 52).

[3] დაწვრილებით ტერმინ **ცა**', **ცალ**-ზე იხ. ივ. ჯავახიშვილი—ქართ. და კავკას. ენების თავდაპირვ. ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 419.

24. ჩაჩნ. **ათ'თ'აე** || **ᾱთ'თ'აᲔ** — ადვილად, ადვილი; **ᾱთ'თ'უო** (ბ)—**ᾱთ'თ'უონაშ** (ბ)— მოხერხებულობა, მოწყობილობა (удобство).

ინგ. **დეჲ**—ადვილი (მაგრამ **დეჲ** თავისი აგებულებით არ ეფარდება ჩაჩნ. ათთა-ს, არამედ სხვა წარმოშობის ჩაჩნურსავე **დაჲნ**-ს ან **ჲეჲნ**-ს, რომელიც მსუბუქს, ადვილს ნიშნავს და თავკიდური **დ** კლასნიშნის პრეფიქსია).

წოვ. **ატტაᲔ**—ადვილი; **ატტაᲔშ**—ადვილად.

თუ მაწარმოებელ ფორმანტებს (ნაზალი ხმოვანი) ჩამოვაცილებთ, ინგუშურის გარდა ამ ენებში **ათ'თ'** ძირი რჩება და, ალბათ, საბოლოოდ **ათ'** უნდა ვივარაუდოთ, რომელიც შემდგომ გაორმაგდა. ბუნებრივად, აქვე მოგვეგონება ქართ. **ადვილი** მით უფრო, რომ იგი სავსებით ნათლად იშლება როგორც **ად-ვ-ილ-ი**, უკანასკნელის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია სვან. **ჰაშთ**—ადვილი (სვანურს **ჰ** დაურთავს, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო).

25. ჩაჩნ. **ახაᲔ**—ხვნა (**ᾱხნა**—მოხნა; ბერ დალა დრლლუ **ᾱ** ხ ნ ა—ბავშვმა გაათავა ხვნა); **ᾱხუნუ**(დ)—**ᾱხუნაშ** (დ)—ყანა, ყანობირი (пашня), **ᾱხარ** (დ)—**ᾱხუნაშ** (დ)— იგივე; როგორც ვხედავთ, **ხუნ** ფორმაც არის **ახ**-ის გვერდით (**ახ-აᲔ-**ში **აᲔ** ინფინიტივის სუფიქსია); უკანასკნელი უნდა იყოს ძირითადი, მარტივი ფორმა ამ ზმნისა. აწმყო დროის მიმღეობას ჩვეულებრივ იგი აწარმოებს: **ᾱხუშ**—მხვნელი (მა(ჰ)მუდ ᾱ ხ უ შ ვუ—მამუდი ხნავს, სიტყვასიტყვით: მა(ჰ)მუდი მხვნელი არის). ასეთივე მარტივი ძირია **ახᲨ** || **ოახ** || **ახა**—ხვნა, უანობირი, ნახნავი და nom. agentis-ის ტიპის არსებითი სახელი **ᾱხარუო**(ვ)—**ᾱხარუოჲ** (ბ)—გლეხი (სიტყვასიტყვით—მხვნელი). თეორიულადაც ძირეული ოდენ **ხ** უნდა იყოს; ეს ჩანს თუნდაც ინგუშურის **ოახᲨ**-იდან[1] ხვნა (пахота), სადაც **Შ** სუფიქსი განყენებითობის მაწარმოებელია. ჩანს ეს აგრეთვე ხ ნ უ ლ ი ს ანუ ო რ ნ ა ტ ი ს ჩაჩნური სახელწოდებიდან **ხᲨრᲨ**(დ)—**ხერᲨნიᲨ**-(დ) და **ხირ**—id. ამავე ძირიდან უნდა წარმოშდინარეობდეს ს ა ხ ნ ი ს ი ს ჩაჩნ. სახელწოდება (თუ **ნუ** || **ნა**-ს პრეფიქსად ვივარაუდებთ) **ნუოხ**(დ)—**ნᲨხარაᲨ**(დ) (რკინის სახნისი).

ინგ. **ოახᲨ**—ხვნა (пахота).

წოვ. **ახარ**—ხვნა (ას ა ხ ო ს || ᾱ ხ რ—მე ვხნავ); **ᾱხტიᲔ**—(მო)სახნავი.

თუ უდავოა პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს მოსაზრება, რომ ქართ. **ხვნა** (ძვ. ქართ. **ხუნა**) და მეგრ. **ხონუა** წარმოშობით ნასახელარი—**ხარ** (ძვ. ქართ. **ჯარ**) სიტყვიდან მომდინარე ზმნაა, მაშინ ჩაჩნ. **ახარ**-ის და ქართ. **ხვნა**-ს დაახლოება მეტად შორეული წარსულის ურთიერთობას უნდა ჰგულისხმობდეს, რადგან ცოცხალ ჩაჩნურში ხ ა რ ი სულ სხვა სიტყვით—**სთუ**-თი გადმოიცემა. თუ ქართ. **ხვნა**-ს კავშირი **ჯარ**-თან ბგერითად მაინც იქნეს ბადებს, სვან. **ლიჟნი** (ხვნა) ამას უდაოდ ხდის. ჩაჩნ. **ახაᲔ** ქართველურ ენებთან მჭიდროდაა შემტკიცებული, კერძოდ, ქართულთან, რადგან სვანურშია **ლიჟნი**, ხოლო მეგრ. **ხონუა** ქართული **ხუნა**-ს შესატყვისობა უნდა იყოს.

[1] ამა და სხვა მაგალითიდან ჩანს, რომ ინგუშურის **ოა**-ს ჩაჩნურის **ა** შეეტყვება.

ამას გარდა, აფხაზურშია საინტერესო აგებულების ა-ცია̯ლტა-რა; იგი იშლება როგორც ა-ცია-ლტა-რა, სადაც ქეთ. ლომთათიძის აზრით ცი ხარს უნდა აღნიშნავდეს და მაშინ ძირად ლტა დარჩება, რომლის მიკედლება ჩ. ახთანა და ქართველ. ენათა ხვ || ხო || კ-სთან შესაძლებელია. დაბოლოს, გასარკვევია მეგრ. ხონუა-სა, ქართ. ხვნა-სა და სვან. ლიკნი-ში ნ-ს ფუნქცია, რომელიც ჩაჩნ. ახარ-ის მარტივ ფუძეში არ არის წარმოდგენილი.

26. ჩაჩნ. წი̯ე—წითელი.

ინგ. წე—წითელი (ზედსართავის მაწარმოებელ ნაზალ ხმოვანს ჩაჩნურისა ინგუშურში მარტივი ხმოვანი შეესაბამება).

წოვ. წეგე—წითელი. ეს უკანასკნელი გართულებულია გე დანართით—უფრო სწორად გ ელემენტით (რადგან ე მაზედსართავებელი სუფიქსია), რომელიც ძირს არ უნდა განეკუთვნებოდეს.

ჩაჩნ. წი̯ე-ში ძირეულია წი (ე მაზედსართავებელი სუფიქსია), რომელიც ქართული წი-თ-ელ-ი-ს წი-ს იგივეობას უნდა წარმოადგენდეს; თ უკანასკნელში ფუძის მაწარმოებელი სუფიქსია; ამგვარივე აგებულებისაა ქ. წითელი-ს შესატყვისი ჰან.-მეგრ. ჰი-თ-ა. ეს ბუდე ერთი წევრითაც შეიძლებოდა გაგვეზარდა, რომ სვან. წჷრნი (წითელი) სომხ. *ბჷլուն*-თან რაღაც შინაგანი კავშირის ძაფებს არ აელენდეს, თუმც ძირეული წჷ (წი) აქაც ჩაჩნ.-ქართ. წი-სთან უდავო კავშირის მაუწყებელია. ჩაჩნ. წი̯ე ქართულთან მოდის, ე. ი. ან ჰანურ-მეგრულ-ქართულ-სვანურის დაშორების შემდეგაა წარმოქმნილი, ანდა მანამდე, მაგრამ იმ მასალითაა შედგენილი, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულსა და სვანურს. ჩაჩნ. წი̯ე არ არის ქართველურ ენათაგან შეთვისებული სიტყვა, იგი საერთო ფონდიდანაა აღებული და პირველში გაცილებით მკვიდრი საყრდენი ეპოვება, რადგან, როგორც მომდევნო სიტყვის ანალიზი დაგვარწმუნებს, იგი დერივატული განაშტოებია სხვა (ეტიმოლოგიურად ამავე სიტყვის) ცნებისა.

27. ჩაჩნ. წიჲ (დ)—წი̯ეშ (დ)—სისხლი.

ინგ. წიჲ—სისხლი.

წოვ. წიგ(დ)—წეგუი(დ)—სისხლი. წოვური აქ იმავე გ-ს წარმოგვიდგენს, რაც წინამავალ წეგე-ში იყო და ზიარ ახსნას საჭიროებს (ყოველ შემთხვევაში არც აქა და არც იქ ძირისეული ნაწევარი არ არის).

ჩაჩნ. წი ის ძირითადი ცნებაა, რომლის დერივატულ გადახრას ჩაჩნურივე წი̯ე (წითელი) წარმოადგენს. წითელი ფერის სახელდება სისხლის მიხედვით ენობრივი აზროვნების „პრიმიტიულ“ ფსიქოლოგიაში პრინციპულად საკმაოდ ბუნებრივად გამოიყურება. ჩაჩნ. წი-ს ქართულ-ჰანურ-მეგრულში პარალელი არ გააჩნია (სისხლის ცნებისათვის აქ სხვა ძირია გამოყენებული); უშუალოდ ქართველურ ენათა ჯგუფის არც მეოთხე წევრს—სვანურს შეუძლია რაიმე მოგვაწოდოს (ასეთად ქართ. სისხლი-ს, ჰან.-მეგრ. ზისხირ || დიცხირ-ის შესატყვისად სვანურს აქვს ზისხ), თუ არ მივმართავთ სვანეთის საზოგადოებრივ ცხოვრებიდან ცნობილს მეტად საგულისხმო ტერმინს, გვაროვნული წყობილებისათვის უაღრესად ნიშანდობლივი რომაა, წორ-ს, რომელიც სისხლის აღებას ნიშნავს

(შდრ.ი-**ჭერი**—სისხლს იღებს). სწორედ იგი უნდა მოიცავდეს სისხლის ან სისხლობის იმ ცნებას, რომლის სემანტიკამ საზოგადოების სოციალურ ძვრებთან ერთად ზოგ მომენტში აითვისა არასისხლობის ელემენტებიც. ჩაჩნურშიც სისხლობის ცნების გამოსახატად მხოლოდ ეს სიტყვა იხმარება (შდრ. **წიენა** უირხუ ვიეზა-სისხლი უნდა ავიღო)[1]. გარეგნულად ჩ. **წი**-სა და სვან. **ჭორ**-ს **რ** ელემენტი სთიშავს; ეს ის (არაძირეული) **რ** უნდა იყოს, რომელიც წითელი-ს აღმნიშვნელ სვან. **წგრნი**-შია დაცული, და რომელიც ამჟამად აუხსნელი რჩება.

28. ჩაჩნ. **წაე** || **წიე**(ჲ)—**წერიშ**(ჲ)—სახელი.

წოვ. **წე**[2] (ჲ)—**წარიშ**(ჲ)—სახელი (**წე** ებღარ—სახელის დარქმევა, სახელდება—(наименование).

ჩაჩნ. **წაე** || **წიე** შეიძლება შევუდაროთ იმ ძირეულ **წ**-ს, რომელიც ქართველ. ენათაგან შემდეგ სიტყვებში ჩაჩნური **წაე**-ს მონათესავე სემანტიკას ავლენს: ქართ. **წ-ოდ-ებ-ა**, **წ-ვ-ევ-ა**, ძვ. ქართულის **მო-წ-ეს-ვ-ა** (მოპატიჟება)[3]. ამავე ძირს ამეღავნებს მეგრ. **უ-წ-უ** (უთხრა) და სვან. **ლი-წ-ჭ-ი** (მოწვევა; **ლიწჭობ**—წვეულება, შდრ. ბზ. მჳ-**წჭი**, ბქვ. მჳ-**წსი** და ლენტ. მჳ-**წიი**—მპატიჟებელი). **წ**-ძირის შემცველი ამავე მნიშვნელობის სიტყვა სხვა კავკას. ენებშიცაა: ხუნძ. **წიარ**—სახელი, ლაკ. **წა**—სახელი, სახელგანთქმა (შდრ. **წადიზან**—სახელდება), უდ. **წი**—სახელი, დაბოლოს, ჩერქეზ. **წე, წაჲ**—სახელი. ჩაჩნ. **წაე** || **წიე** ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც კავკას. ენათა წიაღში მეტად ღრმა ენობრივი ჩანაფენის შთაბეჭდილებას სტოვებს.

29. ჩაჩნ. **წაე** || **წიე**(ჲ)—**წერიშ**(ჲ)—ცეცხლი.

წოვ. **წე**(ჲ)—**წარიშ**(ჲ)—ცეცხლი.

ჩაჩნ. **წიე** ქართულ **წვ-ა**-სთან უნდა იყოს კავშირში. სხვა კავკას. ენათაგან შემდეგი პარალელების მოყვანა შეიძლება: ხუნძ. **წა**—ცეცხლი, ლაკ. **წუ**—ცეცხლი, ხიურკილ. **წა**—ცეცხლი, ბოთლ.-გოდობერ.-კუანად.-კარატ. **წაჲ**—ცეცხლი, ლეზგ. **წაჲ**—ცეცხლი, ანდიურ-ჩამალ. **წა**—ცეცხლი (შდრ. ანდ. **წათ**.—წვა, гореть) და იქნებ ამ ბუდეს ეკუთვნოდეს აფხაზ. **ჰმცა**—ცეცხლი, სვან. **ლე-მეხგ** (ცეცხლი) სხვა აგებულების სიტყვაა (შდრ. ყაბარდ. **მასკე**—ნაპერწკალი—Лопатинский, СМОМПК, ნაკვ. XII, ლექსიკონი).

30. ჩაჩნ. **წენი**—ახალი, სუფთა, წმინდა; **წენა**(ჲ)—სისუფთავე; **წანაერ**—წმენდა (ას წ ა ნ ჲ ო—ვწმენდ—ბარის კილოზე და ას წ ა ჲ ო—ვწმენდ შატოის [3]თის კილოზე).

წოვ. **წიი**—ახალი; **წაჲი**—სუფთა, წმინდა (შდრ. **წემდარ** || **წამდარ**—გაწმენდა).

---

[1] შდრ. აგრეთვე აფხაზ. ა-შ ჲ ა—სისხლი და—ა შ ჲ ა-უ რ ა—სისხლის აღება, სისხლობა.

[2] დიფთონგები და კერძოდ იე დიფთონგი ჩაჩნურში მეორეული წარმოშობისაა: ჩაჩნ. ჲე||იე-ს სანაცვლო წოვური ე საესებით კანონზომიერი და უკანასკნელისათვის უფრო არქაული ფორმაა.

[3] სახელისა და წოდებისთვის სწორედ წ ძირის შემცველი ხმნა და სახელი უნდა იყოს უძველესი; ს ა ხ ე ლ ი შედარებით ახალია და, თითქოს, სახედან (ს ა ხ-ე ლ-ი) წარმომავალი.

ჩაჩნ. **წენი**, როგორც წოვურთან შედარებიდან დავრწმუნდებით, ძირად წე-ს უნდა იტოვებდეს (**ნი** მაზედსართავებელი სუფიქსი უნდა იყოს), რომელიც ქართულში თითქოს **წმ-იდ-ა-ს** პარალელი ჩანს (**მ**-ს საკითხია გასარკვევი). -**იდ**-სუფიქსი (შდრ. ზმნური ფორმა **წმ-ედ-ა**) ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს. ქართველური ენებისათვის ეს ძირი უძველესია (სუფთა შედარებით გვიან შემოდის ხმარებაში), თუმცა ყველგან არ არის დაცული. საფიქრებელია, რომ ჩაჩნურში **მ** (ქართ. **წმ**-) იყო და ცვლილება ჩაჩნურშივე მოხდა.

31. ჩაჩნ. **ხა'ა**ნ || **ხაან**—ცოდნა (знать; იხმარება როგორც ცალკე მაგ., **ხაა** ვაც—არ ვიცი, ისე რთული შედგენილობის შემასმენლის სახით: **ხაან** დიეზა—ცოდნა უნდა—надо знать, **ხაამ** ბიე!—აცნობე, აუწყე, сообщи!).

ინგ. **ხარ**—ცოდნა (знание).

წოვ. **ხა'არ**—ცოდნა (сно ხე'—მე ვიცი).

ჩაჩნურში ძირია **ხ**(ა), რომლის პარალელს ქართველურ ენათაგან ვხვდებით სვანურში: **მა-ხ-ალ**—ცოდნა, ცბიერება (**მა** სვანურისთვის ჩვეულებრივი პრეფიქსია სახელზმნისა—შდრ. პირიელი ფორმები: მი -**ხ**-ალ, ჯი-**ხ**-ალ, ხო-**ხ**-ალ—მიცი, გიცი, უცის, მნიშვნელობით ფარავს ქართ. ვიცი, იცი, იცი-ს—ხოლო **ალ** ძირის კუთვნილებისა არ უნდა იყოს, და თუმცა იგი ზმნურ ფორმებშიც გადაჰყვება, მაგრამ **მახალ** ზმნას აწმყოში მოყვანილის გარდა ბ. ზ.-ში ასეთი ფორმებიც აქვს: მი-**ხა**, ჯი-**ხა**, ხო-**ხა**...). სხვა კავკას. ენათაგან აღსანიშნავია ძირად ლატერალი ბგერის შემცველი ხუნძ. **ლ'აზე**--ცოდნა, რომლის **ლ'** ჩაჩნ. **ხა**-სა და სვან. **ხ**-ს იგივეობად შეგვეძლო მიგვეჩნია, კავკას. ენათა ლატერალი ბგერების ბუნება და ხასიათი შესწავლილი რომ იყოს და დადგენილი.

32. ჩაჩნ. **ხუოხ**(ბ) — **ხუოხაშ**(ბ)—ხახვი.

წოვ. **ხახრ** (ბ)—**ხახუი**(დ)—ხახვი

ჩაჩნ. **ხუოხ**-ის პარალელია ქართ. **ხახვი**; უკანასკნელში **ვ** ფუძის დეტერმინანტი სუფიქსია. სვან. ხახუ გასვანურებული ქართული **ხახვი**-ა. როგორც აჟად. ივ, **ჯავახიშვილმა** დაადგინა, **ხახვი** ქართველ ტომებში ერთი უძველეს კულტურულ მცენარეთაგანია[1].

33. ჩაჩნ. **კუო**(დ)—**კოშ**(დ)—ნაკელი; **კილლი**(ჲ)—**კილლანაშ**(ჲ)—ნაკელი.

წოვ. **კუ**(ბ)—**კუი**(დ)—აწ იშვიათად (ყოველ შემთხვევაში ბარის წოვებისათვის) ხმარებადი სიტყვაა, რომელიც აღნიშნავს წივას (იყენებენ სათბობად მეცხვარეები), ხოლო საკუთრივ ნაკელის მნიშვნელობით წოვური იხმარს ჩვეულებრივ **ლახ**-ს.

ჩაჩნ. **კუო**-ს ჩვენ ვუკავშირებთ ქართ. **ხვ** ძირს, რომელიც სიტყვა **ნე-ხ-ვ**-შია (**ნე** პრეფიქსია, **ვ**—სუფიქსი დეტერმინანტი). ქართ. **ხ** და ჩაჩნ. **კ** ერთმანეთს დაუკავშირდება, თუ გამოვალთ იმ მდგომარეობიდან, რომ ჩაჩნურში **კ** და **ყ**-ს ბუნება სხვა კავკას. და ქართველ. ენებთან შედარების შედეგად მეტად მერყეევი ხასიათისა ჩანს (შდრ. ძვ. და ახალი ქართულის მიმართება **კ** ბგერის

[1] იხ. მისი „საქართველოს ეკონომიური ისტორია", 1935 წ., ნ. II, გვ. 214—223.

მხრივ და მეგრულ-ქართულისა ყ-ს მხრივ). საინტერესოა, რომ აფხაზ. **აყ'ჳ** ყოველგვარი ექსკრემენტის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამას გარდა, სომხურად ზმნა **ՆՀԽՀԼ** ნიშნავს ლპობას, ხოლო **ՆՀԽ**—ნაკელს. საფიქრებელია, უკანასკნელი ქართულით შესული სიტყვა იყოს. წივას მნიშვნელობით ჩაჩნურში სხვა სიტყვა იხმარება, ესაა ღ̄(ბ) **ღ̄ინ̄ნ̄შ**(დ)—წივა.

II

მოყვანილის გარდა, სადაც ჩაჩნურის მარტივი ფუძის მქონე ლექსიკას ქართველურ ენებში დეტერმინირებული ფუძეები ხვდებოდა, ქვემოთ უნდა შეეჩერდეთ ისეთ შეხვედრებზე, რომლებიც ასახულა საერთო კუთვნილების მქონე მარაგში, ანდა რომელიმე მათგანისათვის (ჩაჩნურისათვის ან ქართველ. ენათათვის) სესხებით შეძენილს მასალას წარმოადგენს. შეხვედრათა ორივე სახეობა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისითაა საინტერესო, პირველი-კი—ნაწილობრივ ამ ურთიერთობის გენეზისური ვითარების გასარკვევადაც; ასეთებია:

34. ჩაჩნ. **ალარდ**(ჲ) **ალარდაშ**(ჲ)—თივის ზვინი (ქვემოთ ზვინის აღმნიშვნელ სხვა ტერმინზეც ვჩერდებით).

წოვურს ეს ტერმინი არ დაუცავს. ოდნავი ფონეტიკური სახეცვლით იგი ქართულის კილოებში მყოფობს. მაგ., ხევსურულში **ალერდი** თივისაგან დაგრეხილ თოკს აღნიშნავს. სულხან ორბელიანის განმარტებით „ალერდი ნედლი თივაა“ არის (ქართ. ლექსიკონი). ენათა ერთერთი ჯგუფის მიერ ეს ტერმინი ნასესხები უნდა იყოს.

35. ჩაჩნ. **ჰჳ** (ბ) **ჰჳრაშ** (დ)—შამფური, ხიშტი (шомпол). ჰჳ ეწოდება აგრეთვე ხელისა და წვივის სწორ ძვლებს (ფ'ჰაარსაჲ **ჰჳ**, ნასთარაჲ **ჰჳ**).

ჩაჩნ. **ჰჳ** თითქოს ქართულ სა-მ-ს-**ჰჳ**-ალ-თან შეიძლება იქნეს დაკავშირებული.

36. ჩაჩნ. **თახანა**—დღეს; **თხაუსუ**—ამაღამ (სიტყვა სიტყვით: „დღეს ღამ“).

წოვ. **თხა** დღეს.

ჩაჩნური **თახანა** *__თახა__ (ასეთი ცალკე არ გვხვდება) სიტყვის მიცემითი ბრუნვა უნდა იყოს ზმნისართად გაქვავებული. წოვური **თხა** თავის მხრივ მოწმობს ჩაჩნურ **თახანა**-ში **ნა**-ს აფიქსურობას და არაძირეულობას. **თახა**- რედუცირებული სახით მეორდება, როგორც ვფიქრობთ, შედგენილ ჩაჩნ. **თხაუსუ**-ში, ქართველურ ენათაგან **თხა** || **თახა**-სთან თითქოს სვანური ა-**თხე** (!) შეიძლება გავიხსენოთ.

37. ჩაჩნ. **ცი͡ეცვა̄ლაჲ**—გაოცება, გაკვირვება (поразиться). **ცი͡ეცვაჭჭაჲ**—ვინმეს გაოცება, გაკვირვება (поразить к. л.). ორსავე სიტყვაში ვ-ა̄ლარ (ჲ, ბ, დ) და ვ-აჭჭარ (ჲ, ბ, დ) მეშველი ზმნებია. **ცი͡ეც** უდაოდ ძირი ჩანს, რომელიც ქართულ გა-**ცეც**-ება-ს შეიძლება დაეუკავშიროთ.

38. ჩაჩნ. **ღუ͡ო** (დ) **ღა̄ნაშ** || **ღონაშ** (დ)—შველა, დახმარება (ირიბ ბრუნვებში **ნ** გაყვება); **ღოდაჲ** (ვ, ბ, ჲ)—помогать.

ვფიქრობთ ჩაჩნ. **ღუ͡ო** ქართულ ღო-ნე სიტყვასთან უნდა იყოს სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ კავშირში.

38. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული.

39. ჩაჩნ. **ბუსი** (ჲ)—**ბუისინაშ** (ჲ)—ღამე.
წოვ. **ბუისა** (ჲ)—**ბუისაჲშ** (ჲ)—ღამე.

ჩაჩნ. **ბუსი**-სთან გაგვახსენდება სვან. **ბაზ** || **ბაზიჲ**—ღამე, ამაღამ, და თავსართიანი **ნა-ბოზ**, რომელიც ქართ. **სა-ღამ-ო**-ს მსგავსადაა აგებული (და იგივე მნიშვნელობაც აქვს) და სხვა ქართველურ ენებში პარალელს ვერ პოულობს და უდაოდ თავისებურად იმეორებს და ხვდება ჩაჩნ. **ბუსი**-ს. მეტიც შეიძლება ითქვას: სვანურის **ბაზ** ძირი ჩაჩნურიდან ნასესხები უნდა იყოს, რადგან მისი შემხვედრი ჩაჩნური **ბუსი** ჩაჩნურის ნიადაგზევე იხსნება. უკანასკნელში **ბ** კლასნიშანი უნდა იყოს, ძირად-კი **ს** უნდა ვიეარაუდოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩაჩნურში არსებობს სიტყვა **თ'ხოსა**, რომელიც ა მ ა ღ ა მ-ს ნიშნავს და შემდეგნაირად უნდა დაიშალოს: **თ'ხო-სა**-ა ხ ლ ა ღ ა მ. **თხო** ცოცხალ ჩაჩნურში დამოუკიდებლად ხმარებადი სიტყვაა და თავისი შინაარსითა და ეტიმოლოგიით იმეორებს სვანურსავე **ათხე**-ს (ა ხ ლ ა-ს რომ ნიშნავს).

40. ჩაჩნ. **ბერგ**(ჲ)—**ბერგიშ**(ჲ)—თათი (копыто)
ინგ. **ბარგ**(ბ)—**ბარგაშ** (დ)—ჩლიქი (копыто)

წოვურში ეს სიტყვა ამჟამად გადაშენებულია (?), ჩაჩნურ-წოვურის ბგერით შესატყვისობის ერთერთი წესის მიხედვით-კი მასში ***ბერკ** ფორმაა სავარაუდებელი.

ჩაჩნ. **ბერგ** ერთი უძველეს სიტყვათაგანი უნდა იყოს და რაღაც საერთო უნდა ჰქონდეს მეგრ. **ბორკ**-თან, ფეხს რომ ნიშნავს. როგორც ცნობილია, მეგრ. **ბორკი** ძვ. ქართულშიც მკვიდრობდა კუარცხლ**ბერკი**-ს კომპოზიტში; არის აგრეთვე ძვ. ქართულის ისეთ გამონათქვამში, როგორიცაა „საბრკედ უ**ბრკ**უმია“, რომ აღარაფერი ვთქვათ ძვ. და ახ. ქართულის **ბორკვა** || **ბორკ**ილზე და **ბრკ**ოლ-ებ-ა-ზე. ძირითადი მნიშვნელობა ფეხისა ქართველურ ენებშია დაცული. საფიქრებელია, ეს ძირი ქართველურ ენათათვის მკვიდრი იყოს, მით უმეტეს, რომ ჩაჩნურში ფეხის მნიშვნელობით სხვა სიტყვა იხმარება.

41. ჩაჩნ. **გიეზიგ**(ჲ)—**გიეზგიშ**(ჲ)—ობობა. მაგრამ ობობას და აბლაბუდის ცნება დღევანდელ ჩაჩნურში ხშირად არ არის გარჩეული. თუმცა აბლაბუდა გადმოიცემა სიტყვით **მაშა**(ბ)—**მაშინაშ**(დ) და მათი შენაერთი იძლევა გამონათქვამს, როგორიცაა **გიეზგი** მაშა, რაც აღნიშნავს ობობას ქსელითურთ (მა დუჭკა **გიეზგი** მაშანაშ ბუ—რა ბევრი აბლაბუდაა).

ჩაჩნ. **გიეზიგ**-ში **იგ** მააგენტივებელი ფორმანტი და ამავე დროს აწმყოს მიმღეობის სუფიქსია, ე. ი. ძირად **გიეზ** (**გეზ**) რჩება და თვით ეს ძირი უნდა იტევდეს, ჩვენის აზრით, ქსოვის, მქსოველის ცნებას. ქართულში **ქს-ოვ-ა** ზმნაში ძირად **ქს** გამოიყოფა. სვან. **ლიჯშარ**-იდან (ქსოვა) ირკვევა, რომ **ქს**-ს ნაცვლად **გს** უნდა გვქონოდა. **ქს** || **გს** ხმოვანკვეცილი ფორმაა. ერთიცა და მეორეც უნიადაგო დაშვება რომ არ არის, ჩანს თუნდაც ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ის ლექსიკონში მოყვანილი სათანადო სიტყვის განმარტებიდანაც: „საქსალი—ქსელი საქსოვი, სადამე საგუსალი აღუწერიათ, სადამე სავაღალი“, ე. ი. აქ **ქუს** || **გუს** სახეობაა მოცემული. ობობას გადმომცემი სიტყვა ქართულში ორია: 1. ობობა, რომელიც ქართველ. ენებისათვის ორგანული ან უძველესი არ უნდა იყოს და

2. დედაზარდლი, რომელიც მეორე ნაწილით სომხ. *աղջիկ*-ს ენათესაებაა. ობობას ნაწარმს ობობას ქსელი ჰქვია (შდრ. სვან. ოფდუად ლაჯშარ) და ძველად თვით ობობას ქსვა ძირიდან წარმომდგარი სახელწოდება უნდა ჰქონოდა, ისეთი, რომელიც ჩვენი აზრით, ჩაჩნ. **გიეშ** ძირშია (შდრ. ქართ. **ქუს** || **გუს**) შემორჩენილი [1].

42. ჩაჩნ. **გუოლა** (ბ)—**გუოლაშ** (ბ)—იდაყვი, მუხლი.

წოვეურში ეს ორი ცნება სხვადასხვა სიტყვით გამოიხატება: ოლოკ (ჲ)—ოლკი (ჲ)—იდაყვი, ხოლო **გოუგა** (ბ)—**გოუგნი** (დ) — მუხლი (შდრ. **გოუგნი** ქორთ—მუხლი, სიტყვა სიტყვით მუხლის თავი). არც ერთსა და არც მეორეს ჩაჩნ. **გუოლა**-სთან ძირეული კავშირი არ უნდა ჰქონდეს (*ოლოკ*-ისათვის უფრო რუს. *локоть* შეიძლება გავიხსენოთ).

ჩაჩნ. **გუოლა** ქართველურ ენათაგან რთული შედგენილობის ჰანურ **ბურგული**-სა და მეგრ. **ბირგული**-შია დაცული; ერთიცა და მეორეც მუხლს აღნიშნავს. პროფ. არნ. ჩიქობავას **-ბუ** და **ბი** კავკას. ენათაგან შეთვისებულ კლას-კატეგორიის ნიშნად მიაჩნია, რ ფონეტიკურ მინაზარდად (შედარ. ლექსიკ., გვ. 64). იქვე სვან. **ღულა**-ს (მუხლი) შესახებ ავტორი შენიშნავს, რომ იგი „ინდოევროპულ ენებში ცნობილი გულა || კულა-ს უნდა უკავშირდებოდეს“ (დასახ. ნაშრ., იქვე); უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენ ენათა სამყაროდან ჩაჩნ. **გუოლა** გაცილებით ახლოს მდგომი პარალელია. საყურადღებოა, რომ **ღულაჲ**-ს გარდა სვანურშია სხვა სიტყვაც—**გულაჲ**, რომელიც დამოუკიდებლად აღარ იხმარება და ჩვეულებრივია ისეთ გამონათქვამში, როგორიცაა ბეჟშე მისგურ გულაჲი—ბავშვი მიზის მუხლ(ებ)ზე. სვანური **გულაჲ** || **ღულაჲ**, ჰან. მეგრ.—**-გულ-** და ჩაჩნ. **გუოლა** ერთ სემანტიკურ ბუდეს ქმნის.

43. ჩაჩნ. **კენერე** (ჲ)—**კენერაშ** (ჲ)—კისრის ორმო (вымка на шее; შდრ. კენერიი ქ'აგ—ჩაღრმავებული ადგილი კისერზე). საკუთრივ კისერს ან ყელს ჩაჩნურად ეწოდება **ლაჳ** (დ).

წოვეურში ჩაჩნ. **კენერე**-ს მნიშვნელობით იხმარება მეტათეზებული ფორმა მისი (თუ ქართული კისერი-სა **საკრეი**—კისრის ორმო), ხოლო კისერი აღინიშნება სიტყვით **საკერ** (ჲ)—**საკრი** (ჲ).

ჩაჩნ. **კენერე** ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები; კერძოდ ქართ. **კისერი**-ს თავისებურ ბგერითად ცვლილ სახეობასთან და მნიშვნელობის მხრივ მთე-

[1] საგულისხმოა, რომ სულ სხვა საკითხის გამო კერძო საუბარში დოც. ილ. აბულაძემ სომხურ-ქართულად პარალელურად არსებული ერთი ქართულ ძეგლის — თეკლას წამების ვერსიაში ნახმარი ტერმინი „საქსუსალი“ ახსენა, რომელიც სომხ. შესატყვისის მიხედვით საქსოვ იარაღს უნდა ნიშნავდესო. მართლაც, სა-ქს-უს-ალ-ი ანუ ის რაც უნდა მოიქსოვოს ბუნებრივად ობობას ცნებას უნდა დამთხვეოდა შემდეგში (იხ. ეტიმოლოგიაში გვაქვს შემდეგი ადგილი თეკლას წამებისა: „მოეხუევის მას ვითარცა საქსულსალი ქსელსა“, სადაც ტერმინი საქსუსალი საქსოვი დაზგის სწორედ ის ვერტიკალური ნაწილია, რომელიც ობობას ნაქსელის შთაბეჭდილებას ქმნის; სომხური ვერსიის შესატყვისი ადგილი საესებით თანხვდენილია ქართულისა: *և սկսաւ դնովաւ իբրև սասկն գուստայնի*“. ქართული და სომხური ციტატის მოწოდებისათვის დოც. ი ლ. აბულაძეს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ლეულის მიხედვით ნაწილის სახელდებასთან უნდა გვქონდეს საქმე (მთელისათვის სათანადო ადგილობრივი სახელწოდება უკვე დახვედრია ქართ. კისერს ჩაჩნურში). შემთხვევითი არ არის ის, რომ ჩაჩნ. **კესერე**-ს დართულ მეშველ ზმნას კლას-ნიშნად ⁴ ახლავს ორსავე რიცხვში. **კესერე**-ს მდედრის კატეგორიის განკუთვნისათვის არავითარი საბუთი არ არსებობს; მისი (⁴-ს) მყოფობა ბუნებრივად იმით უნდა აიხსნას, რომ იგი ჩაჩნურისათვის უცხოდ შემოტანილი სიტყვაა; შეთვისებულ სიტყვებს ჩაჩნური ჩვეულებრივ ⁴ კლას-ნიშნით გადმოსცემს, როგორც მხოლოობითში, ისე მრავლობითში.

44. ჩაჩნ. **ბაგა**(ᲓᲐ)—**ბაგნიშ**(ᲓᲐ)—პირი (рот); გაიგონება აგრეთვე **ბაგუო**(ᲓᲐ) **ბაგუონაშ**(ᲓᲐ)

ინგ. **ბაგა**—პირი

წოვ. **ბაქ**(ბ)—**ბაქი**(ᲓᲐ)—პირი.

ჩაჩნ. **ბაგა** ქართ. **ბაგე**-ს განმეორება უნდა იყოს. მნიშვნელობა მათი ერთიმეორეს დაცილებულია: **ბაგე** ხომ ტუჩს აღნიშნავს, **ბაგა**—პირს. ვფიქრობთ, ძირითადი ტუჩების ანუ მომრგვალებულის, მოღრუებულის მნიშვნელობა უნდა იყოს, რომელიც შემდგომ პირის ცნებაში გადაიზარდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სიტყვა ясли ქართულად **ბაგა**-დ არის სახელდებული. შინაგანი ეტიმოლოგიური კავშირი ქართ. **ბაგე** და **ბაგა**-ს შორის არ უნდა იყოს გამორიცხული.

45. ჩაჩნ. **ტარა**(ᲓᲐ)—ხელის გული, ხუთი თითი (пятерня), მრავლ. არა აქვს. ეს სიტყვა იხმარება ისეთ გამონათქვამში, როგორიცაა: **ტარა თ'უეხნა**—სილის გარტყმა. ამას გარდა **ტარა**(ბ) ნიშნავს სათითეს.

ინგ. **ტოარა**(ᲓᲐ)—სილის გარტყმა (оплеуха), ხელის გული; ინგუშურშივეა სიტყვა **ტორა**(ბ)—სათითე, რომელიც **ტოპრა** ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული.

წოვ. **ტარა**(ᲓᲐ) — **ტარუი**(ᲓᲐ) — ხელის გული; **ტარ** დიშდარ—სილის გარტყმა; **ტარდ**(ᲓᲐ)—**ტარდი**(ᲓᲐ)—ბეჭედი.

ჩაჩნ. **ტარა** დაკავშირებული უნდა იყოს ქართ. **ტარ**-თან, ერთი მხრით, და **ტორ**-თან, მეორე მხრით. საყურადღებოა, რომ **ტორი**-ს შინაგანი შინაარსობრივი კავშირი **ტარ**-თან სავსებით მოსალოდნელია. **სულხან ორბელიანის** განმარტებით „**ტორი**“ მეცხვარის კომბალს ეწოდება (იხ. ქართ. ლექსიკონი). აღსანიშნავია, რომ კომბლის მნიშვნელობით ეს სიტყვა სომხურშიც არის და ბგერს როგორც *ттпп*. სომხურის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში *ттпп* ინდურ-ევროპულ ენათა სათანადო ძირებთანაა დაკავშირებული. სახელდობრ, დასახელებულია Ბერძნ. θάρσι, სამწერლო ინდურის dṛuni და სხვა. შემთხვევითი არ არის, რომ **ტარ**—ძირიდან ჩაჩნ.-ინგ.-წოვურს რიგი ნაწარმოები ცნებებისა აქვს, როგორიცაა სათითე, ბეჭედი და სხ. ჩაჩნ. **ტარა**-სთან ერთი ფონეტიკური წესია დაკავშირებული, რომლის თანახმად გარკვეული ბგერითი მიმართებაა **თ|ტ პ|ფ ქ|ჭ**-ს შორის, რაც შესაძლებელს ხდის მათს ერთიმეორეში გადასვლას.

ეს ნათელყოფილია შემდგომ სიტყვაზე:

46. ჩაჩნ. **ტიელგ**||**პიელგ**—თითი;

ჩაჩნ. **ქუგ** (***ქულგ**)—ხელი; მოყვანილ წესზე დაყრდნობით ქუგ წარმოშობით იგივეა, რაც **ტიელგ** || **პიელგ**.

ინგ. **კულგ**(დ)—ხელი.

წოვ. **ქოლთ**(დ)—**ქოლთი**(დ)—ტარი (ручка), სახელური.

თუ ჩაჩნ. **ქუგ**-ში **ქულ** || **კულ**-ს ვივარაუდებთ ძირად, მაშინ ასეთი შეიძლება მიეუახლოოთ ქართ. მ-**კლ**-ავ-ს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროფ. არნ. ჩიქობავა მკლავში **ავ**-ს ფუძის დეტერმინანტ სუფიქსად თვლის (შედარ. ლექსიკ., გვ. 44).

47. ჩაჩნ. **ნაბ**(ჲ)—**ნაბარაშ** || **ნაბაშ**(ჲ)—ძილი (сон); **ნაბჲარ**—ძილი (спать); **ნაბ ჲრღუ**—მეძინება, (хочется спать, აგრეთვე გეძინება, ეძინება).

ინგ. **ნაბ**(დ)—**ნაბარაშ**(ჲ)=ძილი (сонье, сон), **ნაბჲარ**—ძილი (спать)

წოვ. **ნჭაპ** (ჲ) — **ნჭაპი** (ჲ) — ძილი (ჩაჩნურის მეღერ **ბ**-ს წოვურში ყრუ **პ** შესაბამია). მეშველი ზმნის დართვით ამ სახელიდან ზმნური ფორმაც იწარმოება, მაგ., ინგ. **ნაბჲე**—ძილი (спать). ჩაჩნ. **ნაბ** ის ძირია, რომელიც წარმოდგენილია ქართულ (გა)-**ნაბ**-ვა-ში.. ქ. **ნაბვა** დაძინებას აღარ ნიშნავს, მას მნიშვნელობა უცვლია და გამოხატავს სულის გაკმედას, გაჩუმებას (притаиться). არც ჩაჩნურსა და არც ქართულში ეს ძირი არ იხსნება და მათი ურთიერთ მიმართების ვითარებაც გაურკვეველია. საკუთრივ ძილისათვის ჩაჩნურში, როგორც შემდეგი სიტყვის გარჩევით დავრწმუნდებით, სხვა სიტყვა იხმარება, ასეთია:

48. ჩაჩნ. **დიჟაჲ**—წოლა (спать, лежать). ამ სიტყვაში **დ** ერთერთ კლასნიშანთაგანია, რომელსაც სხვა კლას-ნიშნები ენაცვლება (სუბიექტის მიხედვით, მაგ., სუო ჲიჟინა ჰუნცი — მე დამეძინა ახლა). მაშასადამე, ძირად -**ჟ**-გვრჩება, რომელიც ფონეტიკურ ნიადაგზე **შ**-დ ყრუედება (მაგ., მესამე პირის მრავლობითში: **უშ ბიშინა** ბუ-მათ ეძინებათ), როგორც ეს უკვე შესატყვისობის ნიადაგზე წოვურშია.

წოვ. **ვ, დ, ჲ, ბ-ი-შ-აჲ**—წოლა.

ჩაჩნ. **ი-ჟ**- ძირის პარალელად ქართველურ ენათაგან პირველ რიგში სვანური უნდა გავიხსენოთ, სადაც—**უჟ** ძირი ამოტივტივდება: **უჟ**—ძილი, **უჟნჰა**—ძილისგუდა, **ლი-ჟჟე** — ძილი .(спать; შდრ. **ლა-მ-უჟუ-და** — დამეძინა). სვან. **უჟ**-ში თავკიდურად **უ**-ს ყოფნა გვაფიქრებინებს დაკარგული კლას-ნიშნის არსებობას, ან უკეთ, ეს ის ძირია, რომელიც სხვა კავკას. ენებში სათანადო პრეფიქსული კლას-ნიშნით დეტერმინირდება., თუმცა ყაბარდოულადაა **ჟეჲ**—ძილი (сон), **ჟჲაშ**—ძილი (спать; Лопатинский, ყაბარდ. გრამ., ლექსიკ.). ქვ. ადიღეური **ჩიჟაშ-ნ**—დაძინება გვაფიქრებინებს, რომ ჰან.-მეგრ.-ქართული და ადიღეურ-ყაბარდოული იმავე ძირს იძლევა, რასაც ჩაჩნ.-სვანური, მაგრამ ისეთ ძირს, რომელიც იმთავითვე უკლასნიშნო უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჩაჩნურ-სვანური ერთ სწერივზე დგას, თუმცა სვანურის ის ლექსიკა, რომელიც ქართველურ ენათაგან გამოირჩევა და სხვა არის, ხშირად ყაბარდოულ-ჩერქეზულში ჰპოვებს ახსნას, როგორც უკანასკნელის სპეციალისტები ვარაუდობენ.

49. ჩაჩნ. **წუბდარ**(დ)—**წუბდარაშ**(დ)—წურბელა. ჩაჩნურს ინფინიტივი გაა-ჩნია, მაგრამ მასში ქართულისებური ბუნების სახელზმნაც გვაქვს, ამდენად აგებულებით ზმნური ფორმის მატარებელი **წუბდარ** (ძირია **წუბ** და ნეიტრალური **დ** კლასნიშნით წარმოდგენილი მეშველი ზმნა **დარ** აქვს დართული და თავდაპირველი მისი მნიშვნელობა წ ო ე ბ ა || წ ო ვ ი ს ქმნა უნდა იყოს) არსებით სახელადაც გვეელინება (ზმნურობის მომენტი დღეს მასში წაშლილია, მაგრამ, რომ უნდა ჰქონოდა, ჩანს არა მარტო თეორიულად, არამედ მისი ინგუშური მნიშვნელობიდანაც).

ინგ. **წიბდარ**(დ)—წოვება, წოვა.

ჩაჩნ. **წუბ**—ქართ. **წოვ** ფუძეს უნდა ხედებოდეს (**ბ** || **ვ**-ს ფონეტიკური მონაცვალეობა საკმაოდ საკამათოა; შდრ. მეგრ.-ქართულის ეითარება I სუბიექტ. პირის მიმართების მხრივ). როგორც ჩაჩნურში **ბ**, ისე ქართულში **ოვ** სუფიქსი (შდრ. ძოვა, თოვა) ძირეული არ არის. ეს ძირი ქართულში ერთეული არ არის და სხვა მნიშვნელობით გვხვდება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა წველა. წუწნა. სხვა კავკას. ენათაგან აღსანიშნავია ხუნძ. **წუჲზე**—წოვა (сосать).

50. ჩაჩნ. **ჯ, ბ, დ, ჲ-ი-ეყაჲ**—გაყოფა (делиться); აქედანაა ნაწარმოები არსებითი სახელი დ ა ყ ა—ნაწილი (თავკიდური **დ** ნეიტრალურად აღებული კლასნიშანია).

ინგ. **ეყარ**—გაყოფა (деление, делить)

წოვ. **ayaჲ**—გაყოფა (უკლასნიშნოდ); მაგრამ გვაქვს ამ ზმნის კლას-ნიშნიანი წარმოება ჩაჩნურის მსგავსად, მაგ., ჯორ აყოს—ვაშლს ვყოფ (საზოგადოდ, სხვასთან მიმართების გარეშე), ას ვაშენ ჯორ ბიყნას—მე ძმას ვაშლი გაუყავი.

ჩაჩნ. (-იე)**ყ**—ძირს ჩვენ ვუკავშირებთ ქართ. გა-ყ-ოფ-ა სიტყვაში მოცემულ **ყ** ძირს (შდრ. გა-ი-ყ-ო).

51. ჩაჩნ. **ლიეფ'აშ** ჲუ—პრიალებს (**აშ** აბსოლუტივის მაწარმოებელია). ბ ო ს ლ ი ე ფ ' ა—პრიალი (блеск, სიტყვასიტყვით ფერის პრიალი—цвета блеск). მოსალოდნელია მასდარად ლიეფ'არ, და არის კიდეც ასეთი: ც ი მ ც ი მ ს ნიშნავს.

ინგ. **ლეფარ** || **ლეფარ** || **ლიჲფა**— ფერის კიაფი (переливаться, перелив)

წოვ. **ლაპლაპდარ**—ლაპლაპება, სხივოსნება.

ჩაჩნ. **ლიეფ'**-ას გაორმაგებული სახეობა ქართულშიც გვაქვს ლ ა პ ლ ა პ-ს სახით (რომელიც წოვურშიც გადანერგულა).

52. ჩაჩნ. **მარშა ოჲლა**—გამარჯობა; მ ა რ შ ა ვ ო ლ უ—გამარჯობა (სიტყვა სიტყვით-ჯანმრთელობა [მო]დის—მამაკაცისათვის, მ ა რ შ ა ჲ ო ლ უ—ქალისათვის); მ ა რ შ ა ლ ლ ა ხილლა—კარგადამც ყოფილხარ.

ინგ. **მარუშ**—ჯანმრთელობა, კეთილობა (здоровье, благополучие).

წოვ. **მარშ**—მარჯვედ; მ ა რ შ იხვალო! — მშვიდად(მცა) გევლოს! ამგვარად, ჩაჩნურისთვის ძირად **მარშ**—რჩება, რომელიც ქართული **მარჯვ**—ძირს (**მარჯვა** და **გამარჯვება**-ში რომ არის) უნდა დავუკავშიროთ და ქართულიდან ნასესხებად უნდა მივიჩნიოთ (**მარჯვა**-ს ეტიმოლოგიური ახსნა ქართულის ნიადაგზე ხერხდება).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩაჩნ. **მარშა** ან **მარშალლა** არაბული მ ა შ ა' ლ ლ ა ჰ-ის (არაბ. الله يعطيك الصحة—რა ინება ალაჰმა!) თავისებური ჩაჩნური გადმოცემაო, მაგრამ დაბრკოლებას ქმნის ერთი ის, რომ ჩაჩნური ამ სიტყვას მხოლოდ **რ** ბგერით იცნობს და მეორე—**მარშალლა**-ს გვერდით (სადაც **ალლა** განყენებითობის მაწარმოებელი სუფიქსია) **მარშა**-ც არსებობს, რომლის ხმარება პირველთან შედარებით უფრო ხშირია. ჩაჩნურის ფონეტიკური მოვლენებისათვის ბგერის განვითარება (მაგ. **რ**-სი) მაინცდამაინც არ არის დამახასიათებელი. ამას გარდა ინგუშურის **მარჟალ** იმდენად პირწავარდნილი მარჯვაა, რომ უდავოდ უკანასკნელის სახენაცვალს წარმოადგენს (ინგუშურს ქართულიდან შეთვისებული სიტყვები ჩაჩნურთან უფრო ახლომდგომი სახეობით დაუცავს, ვიდრე ჩაჩნურს).

ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთაგან რამდენიმე იპყრობს ყურადღებას. ზოგი მათგანი ლიტერატურაში უკვეა მოხსენიებული და წინამდებარე წერილში მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით. ერთი მათგანია:

53. ჩაჩნ. **ნანა** (ჲ)—**ნანუოშ** (ბ)—დედა.
ინგ. **ნანა** (ჲ)—**ნანი** (ბ)—დედა.
წოვ. **ნან** (ჲ)—**ნანი** (დ)—დედა.

ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები საერთოდ მეტად მოქნილი ხასიათისაა. სრულიად სხვადასხვა აგებულების ენები ზოგჯერ გასაოცარ თანხვედნილობას ავლენენ და არაფერია გასაკვირი, რომ ისეთი ტერმინი, როგორიცაა დ ე დ ა ეტიმოლოგიურად და სემანტიკურად ერთსადაიმავე სახეობას იძლეოდეს რიგ კავკას. ენებში. როგორც პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მ აღნიშნა, ჭან.-მეგრ. **ნანა**—დედა და ქართ. **ნანა, ნანინა** (ნ ა ნ ა-ბატონების ცნობილს საგალობელში რომ გვესმის) და გურულ-კილოური **ნენა** უთუოდ ჩაჩნ. **ნანა**-სთანაა დაკავშირებული (შედარ. ლექსიკ., გვ. 18). საფიქრებელია თვით ქართველური ენებისათვის (და კერძოდ, ქართულისათვის) ეს სიტყვა ოდესღაც საკმაოდ არსებითი უნდა ყოფილიყო. ორგანულ კუთვნილებაზე ძნელია რაიმეს თქმა, რადგან ეს ფუძე დაახლოებით მოცემული სახით (გაორმაგებული **ნ** ძირი+ v) მრავალ სხვა ენაში მყოფობს. კავკასიურ ენათაგან უნდა აღვნიშნოთ ლაკური **ნინუ** — დედა, დედის საალერსო სახელწოდება ყაბარდოულში **ნანე** — დედიკო (Лопат., ყაბარდოული გრამატ. ლექსიკონი), რომლის უკანასკნელი **ნე** ნაწილი დედის აღმნიშვნელ ყაბარდოულ სახელწოდებაში მეორდება: **ჰანე**—დედა, ძიძა (იქვე; შდრ. **ჰადე**—მამა) და აფხაზურის ბზიფური კილოს **ნან**—დედა (შდრ. აბეჟური **ან**—დედა), უდური **ნანა**—დედა და რუთულური **ნინ**—დედა (..... Агульский язык, გვ. 157).

54. ჩაჩნ. **შიჩა**—დეიდაშვილი,—ბიძაშვილი (განსხვავებულია კლასებით: შიჩა ვუ—კუზენ, შიჩა დუ—кузина). აღწერითად სხვა ნათესაურ ტერმინებსაც აწარმოებს (**დეშიჩა**—двоюродный брат отца).
ინგ. **შუჩა**—დეიდაშვილი, ბიძაშვილი.
წოვ. **შიჩლა'** || **შიჩ**—დეიდაშვილი და საერთოდ ერთი გვარის დების ყოველგვარი შთამომავლობა (ადის რამდენიმე თაობამდის); **შიჩლა'** || **შიჩ** წო-

ეურში არასოდეს არ ნიშნავს მამიდაშვილს; უკანასკნელისთვის ხმარებაშია აღწერითი ხასიათის ტერმინი განყოფ (შდრ. ქართ. განაყოფი; იგი ბიძაშვილსაც აღნიშნავს).

ტერმინი **შიჩა** უაღრესად საყურადღებოა თავისი შინაარსით. მისი ქართული პარალელის ეთნოგრაფიული არსის დადგენა ენიმკი-ს უფ. მეცნ. თანამშრომლის რ. ხარაძის სპეციალური ძიების საგანია და მისი დებულების თანახმად იგი ჯგუფობრივი ნათესაობის ერთერთ სახეობას წარმოადგენს[1]. მაშასადამე, აქ სოციალური ურთიერთობის ერთ უძველეს გარდმონაშთთან გვაქვს საქმე. ქართველური ენებიდან ჩაჩნ. **შიჩა**-ს პარალელი მარტოოდენ ქართულში, ისიც კილოურადაა დაცული. მხედველობაში გვაქვს ხევსურული **შინში**, რომელიც დეიდაშვილს, დათა შვილებს და ძმათაშვილებს ნიშნავს, თუშური **შინში** ამავე გაგებით და სულხან ორბელიანის მიერ განმარტებული „**შნიში**—დეიდაშვილი, მამიდაშვილი“ (ქართ. ლექსიკონი).

რას გვაუწყებს ამ ფრიად საგულისხმო ტერმინის ანალიზი? ჩვენის აზრით, როგორც ჩაჩნ. **შიჩა**, ისე ხევს.-თუშური **შინში** || ა ორნაწილედი სიტყვაა. ამისდამიხედვით მათი ახსნა მეორე ნაწილში სხვადასხვანაირია. ჩაჩნ. **შიჩა**-ში პირველი **ში** ნაწილი (შდრ. ინგ. **შუ**) ის ძირია, რომელიც კავკას. ენათა რიგში დისა და ძმის გამომხატველ ზიარ ძირშია დადასტურებული; დისა და ძმისთვის ერთი, გაუდიფერენცირებელი სიტყვის არსებობა თავისდათავად სოციალური ურთიერთობის უაღრესად ძველი საფეხურის მონაცემია და მხოლოდ ეს ფაქტიც-კი ღირსია საგანგებო ძიებისა. ასე, მაგ., აფხაზ. **ა-ჟაშა**—ძმა, **ა-ჟაჰიშა**—და; აღულ. **ჩუ**—ძმა, **ჩი**—და; თაბასარან. **ჩი**—ძმა, **ჩი**—და; ხუნძ. **ვაც**—ძმა. **ჟაც**—და; უდურად **ვიჩი**—ძმა (და სხვა აგებულების სიტყვით გადმოიცემა); წახურ. **ჩი**—ძმა; ჩაჩნ. **ტაშა**—ძმა, **ჟიშა**—და, და ა. შ. აძა და სხვა მაგალითებზე საუსებით ნათელია, რომ დისა და ძმის ცნებას ეტიმოლოგიურად ერთიდაიგივე ფუძე გადმოსცემს და მხოლოდ იმ ენებში, სადაც ნიეთისა და ადამიანის კატეგორიის კლას-ნიშნურ დეტერმინაციას აქვს ადგილი, მათი დიფერენციაცია მდედრობითისა და მამრობითის კლასნიშანთა პრეფიქსული წამძღვარებით ხერხდება.

ამგვარად, საუსებით ბუნებრივია, რომ ჩაჩნ. **შიჩა**-ს პირველ **ში** ნაწილში, თუ ტერმინის მნიშვნელობიდან ამოვალთ, დისა და ძმის შინაარსი ამოვიკითხოთ. ამ შინაარსის მატარებლად უნდა მივიჩნიოთ ხევს.-თუშური **შინში**|ა-ს პირველი **ში** ნაწილიც. ჩაჩნ.-ქართულისათვის პირველი და ძირითადი ნაწილის სემანტიკა ამ მხრივ თანხვედილია და ჩაჩნურ-ინგუშური ჯგუფის ენათა¦ მასალიდანაა შემდგარი.

რაღას გადმოსცემს მეორე ნაწილი? აქ ახსნა გაცილებით რთულია და დანასკვში—ნაკლებ დამაჯერებელი, რადგან ჩაჩნურის ენობრივი მონაცემით მოყვანილი ტერმინის მეორე ნაწილი არ იხსნება. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ **ჩა** უნდა აღნიშნავდეს იმ განმმარტავ ნაწილაკს (წარმოშობით დამოუკიდებელი სიტ-

[1] ვეყრდნობით რ. ხარაძის წერილს: „ნათესაობის სისტემის საკითხისათვის ხევსურეთში“, აქვე, გვ. 509—521.

უკიდან მომდინარეს), რომელიც განსაზღვრავს ტერმინის პირველ ნაწილს; იგი ზოგადი სახელის მნიშვნელობის მატარებელი უნდა იყოს და მიახლოებით ქართული უსქესო მიმართების კაც-სიტყვის ცნებას უნდა უდრიდეს. როგორც ითქვა, ამ შესაძლებლობის ნათელყოფა ჩაჩნურის ნიადაგზე ამჟამად არ ხერხდება, მაგრამ საყურადღებოა, რომ დაღისტნის რიცხვმრავალ ენებში და, კერძოდ, ხუნძურის ანწუხურსა და ჭარულ კილოებში **ჩი** ზოგადად კაცს აღნიშნავს, ე. ი. იმას, რაც ერთერთ მნიშვნელობად ჩაჩნ. **შიჩა**-ს **ჩა**—ნაწილშიცაა ჩამარხული. ამას გარდა, ჩაჩნურ-ინგუშურშია ერთი იშვიათი და მეტად საყურადღებო სუფიქსი—**ჩჴ** || **ჩო**: პირველი დამოწმებულია ერთერთ ნათესაურ ტერმინში **მოხჩჴ**(ვ|ბ)—**მოხჩი**(ა|ბ), რომელიც ნიშნავს ერთი გვარის დების შვილიშვილს, ანუ ორ **შუჩა**-ს შვილებს[1]. ეს ტერმინი იხმარება ისეთ კომპოზიტში, როგორიცაა ჩაჩნ. **შიჩა-მჴხჩ**, რომელიც საზოგადოდ ნათესავებს და ზუსტად двоюродные და троюродные ძმებს აღნიშნავს, ამასვე ნიშნავს ინგ. **შუჩა-მოხჩა**-ც. ამავე აგებულებისაა ჩაჩნ. **დიენმჴხჩა**—троюродный брат отца. ჩვენთვის ნათელია, რომ **მოხჩჴ**-ს **ჩჴ** დაბოლოება ფუნქციითა და წარმოშობით იგივეა რაც ჩაჩნ. **შიჩა**-ს და ინგ. **შუჩჴ**-ს **ჩა**-სი. მეორე **ჩო** სუფიქსი, რომელიც აგრეთვე თანხედნილი ჩანს მოყვანილი **ჩჴ**-სი, დამოწმებულია ინგუშურ-ყარაბულახურ გვართა ზოგს დაბოლოებაში. მაგ., ცნობილია ყარაბულახური გვარი **წეჩო** (მრაელ. **წეჩოა**) და სხ. ორი უკანასკნელის მიხედვით **ჩა** || **ჩჴ** სუფიქსში შვილის, -ელი-ს, -იან-ის, -სეული-ს გაგებაც უნდა ვიგულისხმოთ.

არ იქნებოდა სწორი ქართული შინშის **ში** დაბოლოებაც ამგვარადვე გაგვეგო. ფონეტიკური სახეცვლით ამის გამართლება გაჭირდებოდა, რადგან საამისო საფუძველი არ არსებობს. მაშასადამე, ეს **ში** ჩაჩნ. **ჩა**-ს ეტიმოლოგიურ გაგრძელებად არ მიიჩნევა და ჩაჩნურ სუფიქსთან ამმხრივ არავითარი კავშირი არა აქვს. **შინში**-ს დაბოლოება მოგვაგონებს იმას, რომელიც არის მეგრ. **ბადიშ**-ში და სვან. **ნიბჴშინ**-ში; ეს **იში** || **ში** **შინში**-ს **ში**-სთან ერთად უნდა მივიჩნიოთ იმ ზანურ-სვანური წარმოშობის სუფიქსად, რომელიც წარმომაელობას და ნაწილობრივ კუთვნილებითობას აღნიშნავს. ამგვარად, ჩაჩნ. **შიჩა** და ქართ. **შინში** პირველ ნაწილში (რომელიც ტერმინის შინაარსის ძირითად და განმსაზღვრავ მომენტს შეიცავს) ეტიმოლოგიურად და სემანტიკურად თანხედნილია და ქართული აქ ჩაჩნურს დასესხებია, მეორე ნაწილში თითქმის იდენტური მნიშვნელობისათვის სხვადასხვა წარმოშობის სიტყვათა შერჩევით მიუღწეიათ.

55. ჩაჩნ. **მჴრ**(ვ)—ქმარი. ამ ძირითადი მნიშვნელობიდანაა განშტოებული ჩაჩნ. **მჴარ**(ვ)—**მჴარანა**(ბ)—ვაჟკაცი, მამაცი. ორივე წარმოშობით ერთიდაიგივე სიტყვაა, მნიშვნელობის დიფერენციაცია მეორეულია. ასეთივეა **ნიგ** სუფიქსდართული **მაარანიგ** და გაარსებითებული **მაარალლა**—ვაჟკაცობა, მამაცობა.

---

[1] ვემყარებით ზ. მალსაგოვის განმარტებას, რომელიც მას მოცემული აქვს ინგუშურ გრამატიკას დართულ ლექსიკონში (ავტორის სიტყვით მოხჩი არის „**внуки родовых или фамильных сестер, дети двух** šuči“) ინგ. **მოხჩა**, ამგვარად, დაახლოებით იგივეა, რაც სვან. **ლანბაშნა ან ნიბჴშინ**.

ინგ. **მარ**(ვ)—**მოაროჲ**(ბ)—ქმარი; **მჳჸრჳ**—მამაცი, გულადი, **მეჸრალ**—ვაჟკაცობა, მამაცობა.

წოვ. **მარ**(ვ) **მარი**(ბ)—ქმარი, **მაროლ**—ვაჟკაცობა, სიმამაცე.

ჩაჩნ. **მჳრ** და **მჳჸრ** იგივე უნდა იყოს, რაც სვან. **მჳრე**, რომელიც კაცს აღნიშნავს და ლი-**მჳრჳ** სიმამაცეს, მამაცობას რომ ნიშნავს. სხვა ქართველურ ენათაგან მას პარალელი არ დაეძებნება, სამაგიეროდ სხვა კავკასიურ ენებში აღსანიშნავია ხიურკილ. **მურ'ულ**—ქმარი, სადაც **მურ** ჩაჩნ. **მჳრ**-ს, სვან. **მჳრე**-ს უახლოვდება. არაკავკასიური აგებულების სომხური იცნობს სიტყვას *մարդ*-ს; იგიც უდავოდ *ար*-ის სახით უახლოვდება მოყვანილთ.

56. ჩაჩნ. **ძ'უდჳ**(ჲ)—ქალი.

ინგ. **ზუდ**(ჲ)—ძუკნა ძაღლი

წოვურში ეს სიტყვა ცალკე აღარ იხ˘არება. მაგრამ მისი ძირი (ასეთი უნდა იყოს უდონო ელემენტი, როგორც ქვემოთ დავინახავთ) დაცულია თითქოს წოვ. ერთერთ ნათესაურ ტერმინში **ბიძზაჲ**, რომელიც მაჳიძმის ცოლის აღსანიშნავად იხმარება და რომელიც თითქოს იშლება ბიძ+**ზაჲ**.

ჩაჩნ. ძუდჳ-ში თავკიდური ბგერა ძ'(სუსტ აფრიკატ) ზ-სგან უნდა წარმომდინარეობდეს და მთლიანად **ძუდჳ** შედგენილი სიტყვა უნდა იყოს: **ძუ-დჳ**; უკანასკნელი (დჳ) წეერის ფუნქცია გაურკვეველია, ხოლო პირველი **ძუ** იგივე უნდა იყოს, რაც ქართული სიტყვა **ძუ**, რომელიც მდედრობითი სქესის გამომხატველია და საშუალო სქესის თვისების სიტყვებს დაერთვის. ქართულ **ძუ**-სა და ჩაჩნურ **ძ'უდჳ**-ს გვერდით უნდა გავიხსენოთ სვან. **ზუ-რ-ალ** (ქალი), სადაც ძირა **ზუ** არის; ასეთივეა ჰანური **ზუ-რა**—დედალი საქონელი და მეგრ. **ზურა**—მხდალი. ეს ძირი სხვა ქართველურ ენებში თავსართოვანი ნაწილაკითაცაა მოცემული. მაგ., ჰან. **ბო-ზო**—გოგო, ქალი და ქართ. ნე-**ზვ**-ი—დედალი თხა. მოყვანილი პარალელების ერთიანობის მტკიცებაზე აქ აღარ შევჩერდებით; ამ საკითხს ღრმად ჩასწვდა და სათანადო დასაბუთებით მსჯელობს აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის უკანასკნელ მონოგრაფიაში[1]. მხოლოდ ერთს დავსძენთ: ჩაჩნ. ძუდჳ-ს და ქართ. ძუ-ს შეპირისპირება მნიშვნელობათა განსხვავების მიუხედავად უმართებულო რომ არ არის, ჩანს იქიდანაც, რომ ჩაჩნურად ძუდჳ თუ ქალს აღნიშნავს, **ძ'უდ**(დ)—**ძ'ჳდიშ**(დ)—ძუ ძაღლია იმავე ჩაჩნურში. წოვურს სიტყვა **ძ'უდ** არ დაუცავს.

57. ჩაჩნ. **ჭჳშა** (ვ) **ჭეჭარ** ‖ **ვეჭარ** (ბ)—ძმა.

ინგ. **ვოშა** (ვ)—ძმა.

წოვ. **ვაშრ** (ვ) **ვაჭარ** (ბ)—ძმა.

ჩაჩნ. **ჭჳშა**-სთან მოგვეგონება ქართ. ვაჟი, რომელიც საკმაოდ ძველ სიტყვად ითვლება. ქართ. ვაჟი კავკას. ენათაგან უნდა იყოს ნასესხები. ჟ-ს მყოფობა მასში მიგვითითებს იმაზე, რომ იგი ნასესხებია ისეთი სახეობიდან, სადაც ძირად აგრეთვე არის **ჟ**; ასეთად შეიძლებოდა მიგვეჩნია დიდოური ვაჟი, რომ იგი შვილს არ აღნიშნავდეს. მართალია ქართ. ვაჟი რამდენადმე შვი-

[1] იხ. მისი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", 1937. გვ. 194—195.

ლ ი ს, ძ ი ს მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ ძირითადად და არსებითად იგი გარკვეული ასაკის მამრობითი სქესის ინდივიდს აღნიშნავს ენაში. ჩაჩნ. **ჭაშა**-ს ძმის მნიშვნელობა, სავსებით შესაძლებელია, საფუძვლად დასდებოდა ქართ. ვაჟი-ს სემანტიკასაც, ხოლო ფორმის მხრივ ჩაჩნ. **ჭაშა**-ს მრავლობითი **ჭეჭრი**-ს კვეცილი სახეობიდან უნდა წარმომდინარეობდეს. აქედანვე წარმომავლობს მთის ქართველ ტომებში საკუთარ სახელად დამკვიდრებული **ვაჟა** (შდრ. წოვ. **ვაჟარ** ძმები). კავკას. ენათათვის ამ ფუძეს ნათესაურ ნომენკლატურაში, თუ სწორია ჩვენი ვარაუდი, მტკიცედ გაუდგამს ფეხი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტის სახით: ხუნძ. **ვაც**—ძმა, უდ. **ვიჩი**—ძმა, აფხ. **აჲეშჳ||აშა**—ძმა, ქვემოადიღ. **შჲა**—ძმა, ანდ.-დიდ. **ვაჟი**—შვილი. ანდ. **ვოშო**—ძმა, ბოთლ.-კუანად.-გოდობერ.-ყარატ.-ახვახ. **ვაშა**—ძმა, ტინდ. **ჭაჰა**, ყაფუჩ. **ოხეო**, ხვარშ. **უშე**, დი დიდოური **უში**—აგრეთვე ძ მ ა[1].

58. ჩაჩნ. **ბერ**(დ)—**ბერიშ**(დ)—ბავშვი (дитя)

ინგ. **ბარე** || **ბარი**(დ)—**ბარეშ**(დ)[2]—ვაჟი, ვაჟკაცი.

წოვ. **ბადერ**(დ)—**ბადრი**(დ)—ბავშვი (дитя). წოვური აქ რთულ შენადგენს წარმოადგენს: მასში **დ** ინფიქსურად ჩანართი საშუალო სქესის კლასნიშანი უნდა იყოს (შდრ. ბადერ და—ბავშვია, ბავშვი).

ჩაჩნ. **ბერ** იგივეა, რაც ქართველურ ენებში მარტოოდენ ჭანურში შემორჩენილი **ბერე**—ბიჭი, ბავშვი, შვილი, ხოლო სხვა სიტყვასთან შენაერთის სახით ეს ფუძე, როგორც პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს აქვს მითითებული, **-ბერ** მეგრულში გვართა დაბოლოებებში, ხოლო ქართულში გვარებში და სახელებშია დაცული (**ბერაია**. გიგი**ბერია**; ჭია**ბერი**, კახა**ბერი** და სხვ. იხ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 19—20). იგივე ავტორი ჭან. **ბერე**-ს უცხო (კავკასიური) წარმოშობის სიტყვად თვლის და ჩაჩნ. **ბერ**-საც ასახელებს (დასახ. ნაშრ., იქვე). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ინგ. **ბარე**-ს ექვივალენტი სიტყვა რუსულში ბგერს როგორც п а р - с н ь სადაც е н ь მაწარმოებელი სუფიქსია, ხოლო п а р- (შდრ. რუსულ-კილოური п а р - я და საზოგადოდ ამ ძირის ნაირსახეობანი ინდურ-ევროპელში, როგორიცაა ლათ. p a r - i o — ებადებ, შუა ზემო-გერმანული b a r - n—ბავშვი, შვილი და სხვა.) იმავე კავკას. **ბერ** || **ბარ**-ის თანხვედნილი უნდა იყოს და ენათა ამ წიაღიდანვე გატანილი, ისე, როგორც ჭან. **ბერე** და ამ ფუძის მეგრულ-ქართულ გვართა და სახელთა დაბოლოებაში ფრაგმენტული ჩანარჩენი, როგორც პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მ მართებულად შენიშნა, კავკასიურიდან და კერძოდ, ჩაჩნურის ჯგუფის ენათაგანაა შეთვისებული.

ეს შესაძლებლობა მტკიცდება ერთი იმითაც, რომ თვით ჩაჩნურშივე მყოფობს მარტივი **ბერ**-იდან ნაწარმოები ბერიე (ვ)-ბერიეშ || ბერიენაშ (ბ), რომლის მნიშვნელობა მამაცი, „ჯიგიტი“, ცხენოსანი ვაჟკაცი, შემთხვევით არ

---

[1] ამათი იგივეობის შესახებ იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი—„ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. 1937.

[2] ინგუშურს გრძელი ხმოვნები არ გააჩნია (თუ არც გააჩნდა!?). ამდენად მარტივი უმლაუტიანი ə ხმოვანი ჩაჩნ. ე-ს შესატყვისად თითქოს სავსებით ბუნებრივია.

არის წარმოქმნილი და მეორე იმით რომ აგრეთვე ჩაჩნურში **ბერ** უსქესო მიმართების წულის ან შვილის ცნებასაც გადმოსცემს ისეთ გამოთქმაში, როგორიცაა **ძ'უდ ბერაშ** — ქალიშვილები და ბუნოჟ **ბერაშ** — ვაჟიშვილები.

59. ჩაჩნ. **ძ'ახალუო** (ვ|ჲ), **ძ'ახალუოჲ** (ბ|ჲ) — ასე უწოდებენ ახლად დაქორწინებულ ცოლ-ქმარს. ამას გარდა „ძ'ახ ლ უო“-ს თქმა (ჩაჩნ. ძ'ახალუო დიცაა) საცოლქმრო გარიგებასაც (сосватать) ნიშნავს.

მოყვანილ ტერმინში **ლუო** მორფოლოგიური სუფიქსია (მოქმედ სახელს აწარმოებს) და ძირეულ კუთვნილებად არ მიიჩნევა. მაშასადამე, **ძ'ახ**(ა) ელემენტი გვრჩება, რომელიც იქნებ ქართულ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ტერმინ **მძახალ||მზახალ**თან მოდიოდეს. უკანასკნელში ძირი-**ძახ**-, resp. -**ზახ**-ჩანს (იხ. შედარებითი ლექსიკ., გვ. 39) და ამ სიტყვის ისტორიის ჭეშმარიტი ვითარების უცოდინარობა რომ არ გვაბრკოლებდეს, მისი სემანტიკური პირველწყაროო იქნებ ქართულსავე **ზახება||ძახება** ზმნაში გვეძია, რასაც ტერმინის სოციალური შინაარსი არ უნდა გამორიცხავდეს არც ქართულის და არც, მით უფრო, ჩაჩნურის მიმართ. (შდრ. რუსული „нареченный“ და „нареченная“ სიძე-რძლის მიმართ).

60. ჩაჩნ. **ბუო** (დ) **ბუოჲ** (დ)—ობოლი. ეს სიტყვა კომპოზიტურ შენაერთშიცაა გამოყენებული: **ბუობაჩ** (დ) **ბუობერაშ** (დ)—ობოლი, სიტყვა სიტყვით—ობოლი ბავშვი.

ინგ. **ბო** (დ) **ბოჲ** (დ) — ობოლი.

წოვ. **ბაღო** (ვ, ჲ, დ) — ობოლი (ბადრლ—ობლობა). წოვურ **ბაღო**-ში **დ** ისეთივე კლასის აღმნიშვნელ ელემენტად უნდა ვივარაუდოთ, როგორც ზემოთ მოყვანილ **ბადერ**-ში (ბავშვი).

ჩაჩნურ **ბუო**-ში ძირად **ბ**-ს ველით (**უო** მოქმედი სახელის მაწარმოებელი სუფიქსია); ეგეც **ბ** ჩანს ძირად ქართულ **ობოლ**-ში, რამდენადაც **ოლ** მაწარმოებელია, ხოლო თავკიდური **ო**, როგორც ზეპირ გაგვიგონია, მაუარყოფითებელ ნაწილაკადაა მიჩნეული.

61. ჩაჩნ. **ძ'ამუო**(ვ)—**ძ'ამოჲ**(ბ)—მაყარი (свадебный дружка).

ინგ. **ძამოჲ**—მაყარი (კრებითად).

წოვ. **მაყარ**(დ)—**მაყრი**(დ)—მაყარი (ქართულითაა შესული).

ჩაჩნ. **ძ'ამუო** ქართული **ძამა**-დან უნდა მომდინარეობდეს. შეხვედრის გარდა ყურადღებას იპყრობს ის გარეშოებაც, რომ ჩაჩნ. აქ ეყრდნობა ამ სიტყვის არა კვეცილ სახეობას, არამედ სრულხმოვნიან ძამა-ს, რომლისთვისაც ჩაჩნურს დაურთავს ეგოდენ გავრცელებული **უო** სუფიქსი (წოვურში რომ **გ** შეე'აბამება) და რადგანაც ძმის მნიშვნელობით იგი უკვე იხმარდა მკვიდრ ჩაჩნურ სიტყვას (**ეაშა**), ამიტომ **ძ'ამუო** ქართულისაგან განსხვავებული მნიშვნელობით შეუთვისებია.

62. ჩაჩნ. **სარაგ**(ბ)—**სერგიე**(დ) სამწერლო (ბარის) ჩაჩნურში, ხოლო მთის კილოებში **სარა**(ბ) **სერი**(დ)—ფიჩხი (хворост).

ინგ. **სარგ**(ბ) **სარგიშ**(დ)—წკნელი (хворостяна).

წოვ. **სარ**—სარი (აშკარად ქართულით შესული სიტყვაა).

ჩაჩნურის მოყვანილი ორი სახეობიდან ძირად **სᲓრ**(ა) რჩება, **აგ** სუფიქსია (აწმყოს მიმღეობისა და ამდენადვე სახელთა მაარსებითებელიც). ქართველურ ენათაგან ამ ფუძის პარალელად უნდა დავასახელოთ ქართ. **სარი**. ქართ. **სარი**-ს შესახებ აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი საინტერესო მოსაზრებას იძლევა; მისი აზრით **სარი მე** პრეფიქსის დართვით ქართულშივე გვაძლევს **მესერ**-ს, სვანურში—**მესერა**-ს (ქართულიდან შესულს იმავე მნიშვნელობით), ხოლო ჭანურ-მეგრული **მასარი**-ს სახით ქართ. **სარი**-ს ცნებას გადმოგვცემს. იგი ამოსავლად მიიჩნევს **სვარ** || **სრვა** ძირს (ამ ბუდეში ათავსებს ქართ. **ისარ**-საც), თავის რიგად იგი **ფსვალ** || **სალ** || **სოლ**-თან გარკვეულს კავშირში იმყოფება და თავდაპირველი მნიშვნელობით სარჭობთან, მარგილთან უნდა ადიიდეს (საქ. ეკონ. ისტორია, II, გვ. 324). ამგვარად, ქართ. **სარი სობა** || **სმა** ზმნის მიმღეობაა და ჩასასმელს ანუ აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვახმარებით სარჭობს უნდა ნიშნავდეს. თუ სარი მთლიანად ქართულ ნიადაგზე იხსნება, მაშინ. ჩაჩნ. **სᲓრა**-ს **-აგ** სუფიქსიანი **სᲓრაგ** შემთხვევითი არ არის და ჩაჩნურ-ქართულის ეს შეხვედრა იმდროინდელია, როდესაც ქართული სარი-ს აგებულების გაგება იმდენად არ იყო დაბინდული, რომ ჩაჩნურმა შეთვისებულ სარ-ს აწმყოს მიმღეობის **აგ** სუფიქსიც-კი დაურთო. ამდენადვე **სᲓრა** || **სᲓრაგ**-ისათვის აწ წაშლილი, უფრო ძველი მნიშვნელობაც უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ფიჩხის მეორეულ გაგებას წინ უსწრებდა.

63. ჩაჩნ. **კირ**(ბ)—**კირაშ**(ბ)—კირისებრი თეთრი მიწა; **ქ'ირ**(ბ)—**ქ'ირᲔშ**(ბ)—кирий (известь женая).

ინგ. **კირ**(ჲ)—კირი.

წოვ. **კირ**(ჲ)—**კირი**(ჲ)—კირი.

ჩაჩნ. **კირ** || **ქ'ირ** იგივეა, რაც ქართული კირი თანხვდენილი მნიშვნელობით. კირი ერთი უძველეს სიტყვათაგანია ქართულში. გასარკვევია მისი დამოკიდებულება გენეზისურად სომხ. **կիր**-თან.

64. ჩაჩნ. **ლᲔთ'თ'ა**(დ) **ლᲔთ'თ'ანაშ**(დ)—მიწა.

ინგ. **ლᲔთთა**—მიწა.

წოვ. **ლᲔთთᲔ** (დ)—**ლᲔთთიშ** (დ)-ს საგრძნობლად უცვლია მნიშვნელობა და იქ უკვე ნაგავს აღნიშნავს.

პროფ. არნ. ჩიქობავა თავის უკანასკნელ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ანალოგიური ძირი იპოვება ჭანურში **ლეტა**-ს სახით და მიწას ნიშნავს, ხოლო მეგრულში იგივე **ლეტა** ტალახის მნიშვნელობით იხმარება (შედარ. ლექსიკ., გვ. 186—187). მკვლევარი ჭანურ-მეგრულ **ლეტა**-ს ამ ენათა სინამდვილისათვის ყოფს: **ლე-ტა**, ე. ი. **ლე**-ს თავსართად მიიჩნევს, ხოლო **ტა**-ს უნათესავებს ქართ. ტალახ-ს (და სვან. ტალᲔხ-ს). ჩაჩნ. **ლᲔთ'თ'ა**-ში **ლᲔ**-ს თავსართობა არ არის გამორიცხული: იგი უთუოდ ამ წარმოშობისა უნდა იყოს (და ზედმიწევნით რომ ვთქვათ, რომელიღაც კლასკატეგორიის ნიშანი ჩანს). **-თ'თ'ა**-ს ზუსტი ნიშნადობის დადგენა ჩაჩნურის ნიადაგზე ამჟამად არ ხერხდება; ვვარაუდობთ, რომ იგი დაახლოვებით ნიადაგის, მიწის ცნებას მოიცავდა. ამმხრივ საყურადღებოა, რომ ყაბარდოულად **ჲატე** აღნიშნავს თიხას, წუმპეს (ლოპატინსკი, ყაბარდ. გრამატ., ლექსიკონი) და აფხაზურად **ა-ტიჲლა**—ქვეყანას, სამყაროს. საფიქრე-

ბელია ხუნძ. **ცოდო(ბ)**-ქვე, მიწაზე, **ცოდოვ** ვუკინე-ჯდომა, **ცოდოსებ**-ქვედაგრეთვე ამ ბუდისა უნდა იყოს (თუ ამასთანავე ც-ს ფონეტიკურ მინაზარდად მივიჩნევთ). ჭანურ-მეგრული **ლეტა** ჩაჩნურის ენობრივი წრიდან (და საზოგადოდ კავკასიურიდან) ჩანს შემოსული. მნიშვნელობის გარდა ამას ჭანურ-მეგრულში წამძღვარებული **ლე** სუფიქსიც გვაფიქრებინებს, რომელიც, როგორც ითქვა, ჩაჩნურში შეყინულ კლასნიშნად გვესახება. ჩაჩნ. **ლათ'თ'ა**-სთან თითქოს დაკავშირებული ჩანს ერთის მხრით **ლათ'თ'აჲ**—დგომა (стоять, სოლ ლ ა თ' თ' ი ლ ა თ' თ' ა—მაგიდა [რუს. стол] მიწაზე დგას, შდრ. წოვ. **ლათთაჲ**—დგომა, стоять, შდრ. ავრეთვე ქართ. ა-დგ-ილ-ი და **დგ**-ომ-ა) და მეორე მხრით **მეთ'თ'იგ(ა)**—**მეთ'თ'იგიშ(ა)**—ადგილი (მე თითქოს პრეფიქსია, **იგ**—სუფიქსი).

65. ჩაჩნ. **შუო(დ)**—**შერანაშ(დ)**—წელი, წელიწადი.
ინგ. **შუ** (დ) **შარაშ(დ)** წელიწადი
წოვ. **შო(დ)**—**შარიშ(დ)**—წელი, წელიწადი.

ქართულში გვაქვს ერთი საინტერესო, ეტიმოლოგიურად ჯერხნობით ამოუცნობი სიტყვა **შარშან**, რომელიც გასულ წელს აღნიშნავს. აშკარაა რომ იგი წელიწადის ცნების რაღაც მომენტიდანაა ამოსული; ასეთად-კი ქართული ხმარობს მეტად ძველ სიტყვას წელიწად-ს ან წელ-ს, რომელსაც **შარშ** ფუძე (**ან** დაბოლოება ზმნისზედასია, შდრ. **წელ-ან** და მისთ.) სრულიად არ წააგავს და ქართულის ნიადაგზე სხვა პარალელიც არ გააჩნია. მაშასადამე, იგი შეთვისებული უნდა იყოს და შეთვისებული კავკას. ენათაგან.

სულხან ორბელიანს შარშან-ის საყურადღებო ფორმა მოჰყავს: „**შარან**—შარშან **A**“ (იხ. მისი ქართ. ლექსიკონი) და „**შრანდელი** — შარშანდელი (2 კორ. 8,10)“ (იქვე). შარშან-ის პარალელურად ხმარებული სარშან გვაუწყებს, რომ პირველი ასიმილებული სახეობაა, ხოლო მორფოლოგიური დანიშნულება **შა**←**სა**-სი მყოფადის მიმღეობის თანხედნილია და, მაშასადამე, **რშ** რძება ძირად, რომელიც **შრ**-ს მეტათეზებულ სახეობას უნდა წარმოგვიდგენდეს. ამას გვიჩვენებს საბას მიერ ფიქსირებული მარტივი „შარან“ და „შრანდელი“. ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩაჩნურისათვის სიტყვის მრავლობითის ფორმა ზოგჯერ ფუძე-ძირის თავდაპირველ სრულ სახეობას წარმოადგენს. ამმხრივ საყურადღებოა ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნისზედა ჩაჩნურში **შარ-შარაჰა** და ინგუშურში **შერ-შერა**, ორივე ნიშნავს წლიურად, ყოველ წელს (ежегодно). მართლაც, ამ სიტყვის მრავლობითის ფორმა ჩაჩნურ-წოვურში, **შერ** და **შარ** გვაფიქრებინებს, რომ ქართ. **შარშან** ამ ფორმიდან უნდა იყოს შეთვისებული და ჩაჩნ.-წოვ. აწინდელ **შუო** || **შო**-სთან შედარებით მას ეს სიტყვა უძველესი ფორმით დაუცავს. ჩაჩნ. **შუო**-ს პარალელები სხვა კავკას. ენებშიცაა; ასეთია, მაგ., ხუნძ. **სონ**—წელი, წელიწადი, ლაკ. **შინ(დ)**—წელიწადი, კიურ. **ჲის**—წელიწადი (ერგატივ.-მოქმედებითის ბრუნვაშია **სა**, სახელობ. მრავლობ.—**სარ**), **შიშან**—შარშანდელი წარმომდგარია **შაჲი სუშ**-იდან, ზმნისზედა **შაჲ** ნიშნავს გასულ წელს, ხუნძ. ის'ანა—ამ წელს და ა. შ.

66. ჩაჩნ. **ბრდა(ბ)**—**ბრდაშ(ბ)**—სიბნელე (მაბრდუბუ—რა ბნელია, რა სიბნელეა!), უკუნი; **ბრდანიგ**—ბნელი (мрачный, темный; **ნიგ** მაზედსართავებელი სუფიქსია).

ჩაჩნ. **ბრდუ** იგივე უნდა იყოს, რაც ქართული **ბინდი** (შდრ. **ბინდ-ბუნდი**), სადაც **ნ** ჩვეულებრივი წესით **დ**-სთან ფონეტიკურად განვითარებულა, სამაგიეროდ, უამმინაზარდო ძირი დაუცავს სვანურს, რომელშიც **ბიტუ** ბინდს ნიშნავს (სიბნელე კი სვანურში გადმოიცემა სიტყვით **მუბჭრ**). აღსანიშნავია, რომ წოვურში ჩაჩნ. **ბრდუ**-ს პარალელი არ შემონახულა; სიბნელის ცნებას იქ გამოხატავს სიტყვა **უჩიი**. სხვა კავკას. ენათაგან აღსანიშნავია ანდიური **ბოტ'ი**—ბნელი (темный).

67. ჩაჩნ. **სუ̈რიე**(ჲ)—საღამო.
ინგ. **სა̈ჲრე**(ჲ) || **სა̈რა̈ჲი**—საღამოს.
წოვ. **ფსარლო**(ჲ)—**ფსარლუ̈შ**(ჲ)—საღამო.

ჩაჩნ. მარტიე **ს**-ს **ფს** ან **ბს**-დ წარმოდგენა წოვურში შესატყვისობის ერთერთი მომენტთაგანია. **ლო** (ფსარლო-ში) მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც ჩაჩნურში სხვა სიტყვებში **ლუ̈**-ს სახით გვხვდება. ჩაჩნური **სუ̈რიე** მშვენივრად უდგება ჰანურ-მეგრულ **სერი**-ს, რომელიც ღამეს ნიშნავს (შდრ. მეგრ. **სერიშ** ტახვა—ღამის ტეხვა) და ქართ. **სერობა**-ს, რომლის შესახებ პროფ. არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ **იგი** ზანურიდან უნდა იყოს შეთვისებული, ხოლო თვით ზანურში — სხვა ენობრივი წრიდან შესული — დაღისტნურიდან; მაგალითად მოყვანილია ხუნძ. **სორდო**—ღამე (**დო** სუფიქსია; შედარ. ლექსიკ. გვ. 195), ზანური სერი იმდენადვე ხუნძურიდან შესულად უნდა ეიცვალებოთ, რამდენადაც, და კიდეე უფრო, ჩაჩნური ენიდან.

68. ჩაჩნ. **ტუ̈ნი**(ჲ)—სინესტე (**ტუ̈ნ დე ჰარა წა დუ**—ეს სახლი ნესტიანია); **ტუნლო**—სველება (мокнуть).
ინგ. **ტა̈ძა̈** სველი; **ტუგ**—ნაფურთხი (плевок); **ტუუნა̈ლ**(ჲ)—სინესტე.
წოვ. **თუი**(დ)—**თუერჩ**(დ)—ფურთხი; **თუითელ'არ** || **თუიელქდარ**—ფურთხება (плевать; ორივე შემთხვევაში **თუი** შედგენილი შემასმენელის პირველი ნაწილია). წოვურშივეა **ტატეი**—სველი, **ტატოლ**—სისველე, სინესტე.

ჩაჩნ. **ტუ̈ნი**-ს პარალელად შეიძლება დავასახელოთ ქართ. „**ტენი**—მც. სისველე, ნამი“ (სულხ. ორბ., ქართ. ლექსიკ.) და „**ტენიანი** (ნესტიანი) ადგილი“ (იქვე). ქართულ **ტენ**-ში **ნ** არ უნდა იყოს ძირეული; ეგეეე ითქმის ჩაჩნურზეც (შდრ. ჩაჩნური სუო **ტა̈დინა**—მე დამასველა, **ტიედა**—სველი, **ტა̈დამ** (ბ), **ტა̈დმაშ** (ბ)—წვეთი და ა. შ.). ამას გარდა ჩაჩნურში არის სხვა ძირიც **თ'უი**—ნერწყვი (შდრ. წოვ. **თუიი** ფურთხი), **თუიი** თასსარ—დაფურთხება (плюнуть), **თუნულლა**(ჲ)—**თუნულლაშ**(ჲ)—სინესტე, **თუელი**—უმი, ნედლი (сырой) და ა. შ. მოყვანილს სხვა კავკასიური ენებიც ეხმაურება: ხუნძ. **ტუი**—ფურთხება (плевание) და ზმნა **ტუიზუ**—ფურთხება (плевать; შდრ. ინგ. **ტა̈ძა̈**—სველი).

69. ჩაჩნ. **ჰაონულლა** (ჲ)—ქონი; **ჰაუნაი**—მსუქანი, ნოყიერი.
ინგ. **ჰაოანალ**—ქონი; **ჰაა̈ნა̈**—მსუქანი, ნოყიერი.

ჩაჩნურში ძირეულია **ჰაონ-**, **ულლა** სახელის განყენებითობის მაწარმოებელი სუფიქსია. **ჰაონ-** იგივეა, რაც ქართული **ქონი** და ეტყობა ქართულიდანვე უნდა იყოს ჩაჩნურში შესული.

70. ჩაჩნ. **ჩიჩ** (ჲ) **ჩიჩიშ**(ჲ)—ქერტლი (шелуха, шелушение).

ჩაჩნ. **ჩიჩ** შეიძლება დაეუკავშიროთ ქართულ **ჩეჩვა**-ს, სადაც ძირად **ჩეჩ** არის სავარაუდებელი. ზმნური ფორმის გარდა ქართულში ამ ძირიდან სახელიც არის ნაწარმოები—**ჩენჩო**, სადაც **ჩ**-ს წინ **ნ** ფონეტიკურად განვითარებულა. მეგრულად **ჩიჩ-ოლ** სიმინდის დაფშვნას ეწოდება (**ოლ** ფუძის მაწარმოებელი სუფიქსია). წოვ. **ჩეჩდარ** (ჩეჩვა) ქართულით შესული ჩეჩვაა. წოვურში ამ ცნებისათვის მკვიდრი სიტყვაც იპოვება; ასეთია **დეჭარ**; მასში **დე** ნეიტრალური კლასნიშნის მაწარმოებელი პრეფიქსია, თუმცა სხვა კლასნიშნები ამ ზმნას არა აქვს, მაგრამ პარალელური **ლიჭარ** ფორმიდან, რომელიც გაფცქვნას ნიშნავს და სრულიად უკლასნიშნო სახეობიდან ჩანს, რომ **დე** (**დეჭარ**-ში) უთუოდ პრეფიქსული ელემენტია (შდრ. უკანასკნელისათვის **ჭარ**—გველის პერანგი; **ჭარ** ეწოდება აგრეთვე ყოველგვარ გადასაკრავს, მაგ., ლიბეჲ ჭ ა რ, ლეიბის პირი, საბნეჲ ჭ ა რ—საბნის პირი და ა. შ.) აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაჩნურ **ჩ**-ს წოვურში სწორედ **ჭ** შეეტყვება ფონეტიკურად, მაგალითების სხვა მწკრივის მიხედვითაც.

71. ჩაჩნ. **ნოტყა**(ჲ)—ბალღამი, თხამლი (არსებობს პარალელური ფორმა: **ნოტ**(ჲ)—**ნოტაშ**(ჲ)—ჩირქი: **ნოტა** დინა—ჩირქი ჩადგა, დაჩირქდა).

ინგ. **ნოდ** || **ნოდყურ**(ჲ)—**ნოდღურშ**(ჲ)—ჩირქი.

წოვ. **ნოტყ**—ჩირქი.

როგორც დავინახეთ ინგუშური **ნოდყურ**-ს პარალელური **ნოდ** ფორმიდან ჩაჩნურისთვისაც მარტივი ფუძე(!) **ნოტ** უნდა იყოს, რომელიც ქართულ **ნოტიო**-შიცაა წარმოდგენილი. სისველის დაკავშირება თხამლთან საკმაოდ მოსალოდნელია, რადგან ორივე შემთხვევაში სითხის სხვადასხვა კომპაქტობის მასასთან გვაქვს საქმე. ამმხრივ საგულისხმოა ზემო-იმერულში დაცული გამონათქვამი: „წყალი ჩადგა“, დაჩირქების გაგებით და ს ულხან ორბელიანის „**ტუტყუ** ნაბანი მწიკული“ (ქართ. ლექსიკ.). უკანასკნელში **უ** იგივე ელემენტი უნდა იყოს, როგორიც ჩაჩნ. **ნოტყა**-ში.

72. ჩაჩნ. **ყურყუმიე**(ჲ)—**ყურყუმიეშ**(ჲ)—ხელოვნური ტბორე, ღრმა, საბანაოდ მოსახერხებელი ადგილი წყალში.

წოვ. **ყურყურ ბაჰარ**—ჩაყვინთვა.

ჩაჩნური **ყურყუმიე** იგივე უნდა იყოს, რაც ქართული ჩა-**ყურყუმ**-ელავება. გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ჩაჩნურშიცა და ქართულშიც ფუძე **ყურყუმ** ბგერითმიბაძვის ნიადაგზე წარმოქმნილიყო (შდრ. ანალოგიური წარმოშობის სვანური ლ იტყუპუნე—ჩაყვინთვა, нырнуть) ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ამ ბგერითმიბაძვის ელემენტი **ყურყ**-ს მოუდის, **უმ** ჩაჩნურსა და ქართულში რაღაც მაწარმოებელი სუფიქსია და მისი იდენტური სახით არსებობა ორივე ენაში გვაფიქრებინებს რომ ერთერთ მათგანში იგი შეთვისებულია. **უმ** სუფიქსის ფუნქცია ქართულის ნიადაგზე დაბინდულია და იგი მაინცდამაინც არ არის გაერცელებული. სახელთა განყენებითობის მაწარმოებელი ჩაჩნურში არის **ამ**, ამავე ფუნქციით **უმ** არ გვეგულება (!).

73. ჩაჩნ. **რაღ**(ჲ)—**რაღიშ**(ჲ)—რიგი, ჯერი (თახანა ჰაუონა ტაჭა რ ა ღ დუ—დღეს შენზეა რიგი).

ჩაჩნ. **რაღ** გამონაკლისს წარმოადგენს იმ წესიდან, რომლის თანახმად ჩაჩნურში **რ**-თი დაწყებული სიტყვა ვერ ძლებს გარდა შეთვისებულისა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ სიტყვის ინგუშურ ფორმას **ƶრღƶ**—რიგი, ჯერი, დაეინახავთ, რომ ჩაჩნური **რაღ** თავხმოვან დაკარგულ ფორმად შეიძლება ვივარაუდოთ, თუმცა წოვურშია აგრეთვე **რაღ** (ჲ)—**რაღი** (ჲ)—რიგი, ჯერი. ეს სიტყვა საინტერესოა არამხოლოდ იმით, რომ ქართულ რიგ-თან მოდის, არამედ იმიტომაც, რომ ჩაჩნურის აწ გამქრალი მნიშვნელობით მიცვალებულისთვის წესის აგებისა ხვდება ქართულში კილოურად დაცულ ანალოგიურ გაგებას ამ სიტყვისას: ხევსურულად **რიგის** დაყენება მიცვალებულისათვის გარკვეული დროის შემდეგ მაგ., წლისთავზე—წესის აგებას ნიშნავს (ქელეხის გადახდა, დატირება) დღესაც. ასევეა თუშურად. ამას გარდა, წოვურად **რაღ ჲაჴარ**—(მიცვალებულზე) რიგის ამოღებაა. ამგვარად, შეხვედრის გარდა, როგორც ჩაჩნურში, ისე ქართულის მთის კილოებში ტერმინის უძველესი საწესო გაგებაცაა დაცული.

ჩაჩნურ-ქართველურ ენათა შეხვედრებში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე წყება ზედსართავებისა, რომელთაგან აღსანიშნავია:

74. ჩაჩნ. **ა, ბ, დ, ვ-ოვხუ**—თბილი, ცხელი (ეს ორი ცნება არაა გარჩეული; შდრ. **დოხდალარ** [ადმაშ], **ბოხბალარ** [ნახ], **ვოხვალარ** [საგ], **ჲოხჲალარ** [ძ'უდა]—გათბობა согреваться).

წოვ. **ჲაფხეᲧ**—ცხელი; ან **ა, ბ, დ, ვ-ჲაფხეᲧ**—ცხელი.

მარტივი ჩაჩნური **-ოვხ**-ის (**უ** მაზედსართავებელი სუფიქსია) წოვურში **ჲაფხ**-ად წარმოდგენა, როგორც უკვე ითქვა, შესატყვისობის ერთერთი მომენტთაგანია, ე. ი. ძირად **-ოვხ** || **-ჲაფხ** რჩება; აქედან ჩაჩნური **ვ**-ს შესატყვისი წოვურში ხშირად **ფ** არის (შდრ. ჩაჩნ. **ჰოუსარ**—ყურება смотреть на ч. л.—ქვემდებარეს მრავლობითში თხოულობს, ამ ტიპისა რამდენიმე ზმნაა—და წოვური **ჰაბსარ**—ყურება, ცქერა). ჩაჩნური **-ოვხ** და კიდევ უფრო წოვური **-ჲაფხ** ის ძირია, რომელიც სიტყვა **ზა-ფხ-ულ-ის** შედგენილობაში მონაწილეობს. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ სიტყვა ზაფხულის აკად. ნ. მარისეულ ეტიმოლოგიას, რომლის თანახმად იგი ნიშნავს „წელიწადი" (შდრ. სვან. **ზჲა** — წელიწადი, ზაფხული)—თბილი, ცხელი[1], მაშინ სავსებით დამაჯერებელი უნდა იყოს ჩაჩნ. **-ოვხ**-ის და ქართ. **-ფხ**-ს გაიგივება მნიშვნელობით. ამას გარდა ჰანურად **მა-ფხ-ა** ნიშნავს დარს, ხოლო სვან. **მა-ფხ-ა**—მოწმენდილ ცას. პროფ. არნ. ჩიქობავა ტერმინ ზაფხული-ს გარჩევისას წერს: „საინტერესოა, რომ ჩაჩნურში «ოეხუნ» თბილს ნიშნავს" (შედარ. ლექსიკ., გვ. 189) და ამგვარად, მათი დაახლოების შესაძლებლობა უკვეა მითითებული. **-ოვხ||-ჲაფხ** ძირს სხვა კავკასიურ ენებშიც ეხვდებით: ხუნძ. **ხინ**—სითბო, აფხ. **ა-ფხა**—თბილი, **ა-ფხ-ჳნ**—ზაფხული, **ა-ფხა-რა**—გათბობა.

---

[1] იხ. Н. Я. Марр — 'Зима'||'смерть' (из палеонтологии речи), რჩეული შრომები, ტ. II, გვ. 222.

75. ჩაჩნ. **ყორუ**—ყრუ (ყ ო რ უ სთჳგ ეუ—ყრუ კაცია).
ინგ. **ყორჴ**—ყრუ.
წოვ. **ყურუ**ᵒ—ყრუ.

ჩაჩნური **ყორუ** ქართულ **ყრუ**-ს ხედება, როგორც ეტიმოლოგიურად, ისე ლექსიკურად. პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს აღუნიშნავს, რომ „ქართ. ყ რ უ უნდა იყოს მიღებული ყ ურ-უ-საგან, სადაც ბოლოკიდური უ უარყოფითი ნაწილაკია (სვ. **ურ**)“ (ავტორი, ალბათ, ჰგულისხმობს სახელთა ისეთ ნეგაციურ წარმოებას, როგორიცაა სვან. თხუმ**უურ**—უთავო; შედარ. ლექსიკ., გვ. 47). უდავოდ სწორია ავტორის დებულება, რომ ყ რ უ სრულხმოვნიანი ფორმის მქონე უნდა იყოს (შდრ. ყ უ რ ი, რამდენადაც უთუოა ყ რ უ-ს ყურისგან წარმომაელობა), მაგრამ ყ რ უ-ს ბოლოკიდური უ ხომ არ არის ჩვეულებრივი მაზედსართავებელი სუფიქსი ადამიანის შეგრძნების უნარიანობისა და მორალურ-ფიზიკური ანომალიის გადმომცემი სიტყვებისათვის, როგორიცაა ც რ უ, ბ ლ უ და სხ.?

რაც შეეხება ჩაჩნურ ყ ო რ უ-ს, მასში **უ** ნაშთია იმ ნაზალი **უ**-სი, რომელიც არსებითების მაზედსართავებელია ჩაჩნურში და ამ სიტყვაში მარტივ ხმოვნადაა წარმოდგენილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაჩნ. ყ ო რ უ ცოცხალს მეტყველებაში თითქმის არსებით სახელადაა გაგებული (ანალოგიური შემთხვევა სხვაცა გვაქვს) და რომელიც წოვურს ბუნებრივად შეურჩენია (შდრ. ყ უ რ უᵒ). აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველურ ენათათვის ყ უ რ ი შედარებით ახალი შენაძენი უნდა იყოს. სამწერლო ქართულის უძველეს ძეგლებში ყ უ რ ი ს ნაცვლად ს ა ს მ ე ნ ე ლ ი გვაქვს; საგულისხმოა ისიც, რომ ჩაჩნურში ყურის ცნებას ყ ო რ უ ფუძის სიტყვა-კი არ გამოხატავს, არამედ სხვა: ლ ე რ ი გ, სადაც **ლე** პრეფიქსული კლას-ნიშანი შეიძლება იყოს (შდრ. წოვური ლ ა რ კ(დ)—ლ ა რ კ ი(ჲ)—ყური). ჩაჩნ. **ყორუ**-ს და ქართ. **ყრუ**-ს გენეზისური ურთიერთ მიმართების ანალიზი მხოლოდ იმას გვათქმევინებს, რომ ყ ო რ უ შეთვისებულია ქართულიდან, რამდენადაც ამ უარყოფითი წარმოების ამოსავალი სახეობა ქართულს დაუცავს, ხოლო ჩაჩნურს—არა, და შეთვისებულია ქართული ყრუს იმ ხმოვანსრული ფორმიდან, რომელსაც ჩვენამდე არც წერილობით და არც ცოცხალ ქართულ მეტყველებაში არ მოუღწევია.

76. ჩაჩნ. **მელლიი** — მშვიდი, წყნარი, განელებული.
ინგ.
წოვ.

ჩაჩნ. **მელლიი**-ში ძირად **მელლ** (resp. **მელ**) უნდა ვივარაუდოთ (**იი** ზედსართავის დაბოლოებაა); იგი, თუ გარკვეულ ფონეტიკურ მიმართებას ვივარაუდებთ, ქართულ **ნელი**-ს შეიძლება შევუფარდოთ.

77. ჩაჩნ. **ით'თ'**(დ)—ათი.
ინგ. **ი'თთ'** (დ)—ათი.
წოვ. **იტტ**(დ)—ათი.

ჩაჩნ. **ით'თ'** გაორმაგებული ძირია და ძირითად ნაწილს უნდა შეადგენდეს *ით (!). ჩაჩნ. *ით უნდა ხედებოდეს ქართულ რიცხვით სახელს ათ-ს (შდრ. მეგრ. **ვითი**, ჭან. და სვან. **ჲეშდ**). აღსანიშნავია უდური **ვიწ**—ათი[1].

78. ჩაჩნ. **ჲ-უყიჲ**=სქელი, ხშირი (густой); იგი კლას-ნიშნებს დაირთავს და მაშასადამე, ეხვდებით ჲ, დ, ბ-**უყიჲ** შემთხვევებს.

ინგ. ჲ-**უყ**—შუა, საშუალი (середина), **ჲუყეჲ**—შუაში.

წოვ. ჲ, ბ, დ-**უყიჲ** — სქელი (густой; **ჲ-უყიჲ ბეჯ ჲა**—ხშირი თმა).

ჩაჩნური უკლასნიშნო **-უყ-** უნდა მეორდებოდეს თითქოს ქართულ **უყი**-ში (вязкий-ს გაგებით ეს სიტყვა სამწერლო ქართულშიცაა დამოწმებული). **სულხან ორბელიანს** თავის ლექსიკონში შეუტანია საინტერესო სიტყვა ნოყა: „**ნოყა** ლია“ (ქართ. ლექსიკ., სიტყვა „საფლობი“), სადაც **ნო** თავსართული მაწარმოებელია (ზანური წარმოშობისა?!). შემთხვევითი არ არის, რომ ქართული **უყი** ხმოვნით შემართული სიტყვაა. ამდენად ეს გარემოება არ გამორიცხავს შესაძლებლობას იგი კავკასიურ ენათაგან და, კერძოდ, ჩაჩნურიდან შეთვისებულად მივიჩნიოთ.

79. ჩაჩნ. **შურიჲ** ფართო (**შუ რიჲ** ნიყ—ფართო გზა); **შუორთ'ა** — ფართო, საკმაო, ბევრი (**თ'ა** გაურკვეველი ფუნქციის დაბოლოებაა; იგი სხვა სიტყვებშიც არის). სამწერლო ჩაჩნურშია **შუორთ'უო** (ჲ), **შუორთ'უონაშ** (ჲ) — გასაქანი, შესაძლებლობა.

ინგ. **შჳრჴ**—სწორი (ровный, гладкий); **შორჴ** (უდრის **შჳრჴ**)—ფართო, **შორთა**—ნელი, წყნარი (медленный, тихий).

წოვ. **შორიჲ**—ფართო (ზმნაც არის: **შორდარ**—გაფართოება).

ჩაჩნ. **შუჳრ** || **შუორ** ფუძე უნებურად მოგვაგონებს სვანურ სიტყვას **მა-შრ-ი**—ფართო, სადაც **მა** პრეფიქსია, ძირა **შრ**-კი სრულხმოვნიან ფუძეს გვაფიქრებინებს. შესაძლებლად მიგვაჩნია აგრეთვე ქართ. **შორი**-ს (ძირია **შორ**) ჩაჩნ. **შუჳრ** || **შუორ**-თან ეტიმოლოგიური და სემანტიკური დაკავშირება. არც სვან. **მაშრი** და არც ქართ. **შორი** || **შორ**-ს არ უნდა იყოს მკვიდრი ენათა ამ ჯგუფისათვის და კავკასიური წარმომავლობისა უფროა. სხვა კავკასიურ ენათაგან აღსანიშნავია ისეთი სიტყვა უაბარდოულში, როგორიცაა **პშერ** სწორი (гладкий; ლოპატინსკი, უაბარდოულის გრამატიკა, ლექსიკონი).

80. ჩაჩნ. **სულა**(დ)—**სულანაშ**(დ)—ჭვავი (овес).

წოვ. **სვილ**(ჲ) **სვილი**(ჲ)—პურეულის მარცვლეულის ერთერთი სახეობა (იხმარება ჩაღმა თუშებში; საკუთრივ წოვები მას არ ხმარობენ; ქართულის გზითა ჩანს შესული).

პურეულის ამ კულტურის ჩაჩნური **სულა**-ს მაგვარი სახეობა ქართულშიც არის დადასტურებული. მხედველობაში გვაქვს ერთი მხრივ **სულხან ორბელიანის** „**სვილი** ჭვავი (ბალ.)“ (ქართ. ლექსიკონი) და, მეორე მხრივ, მთიუ-

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. აკად. ივ. **ჯავახიშვილი**: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937 წ., გვ. 422—423, რომელმაც პირველად წამოაყენა მათი დაახლოების შესაძლებლობა და სადაც ეს შეხვედრა ორგანიულ მოვლენადაა მიჩნეული ზოგადად ქართველურ და კავკას. ენათათვის.

ლური და ხევსურული **სვილი** და თუშური **სვილა**, ორივე ჰგავს რომ ნიშნავს.

არანაკლებ საინტერესო ლექსიკურ შეხვედრებს წავაწყდებით სამეურნეო და შინაყოფაში სახმარი საგნების სფეროდან ამოწვდილ სიტყვებში. აქ ყურადღებას იპყრობს:

81. ჩაჩნ. **გ̌ალი**(დ) **გ̌ალიე̌შ**(დ)—ტომარა.
ინგ. **გალი**(დ) **გალე̌შ**(დ)—ტომარა

ჩაჩნური **გ̌ალი**-ს ქართულ პარალელად მოგვაგონდება სიტყვა **გვალაგი**, რომლის შესახებ სულხან ორბელიანი ვრცელ განმარტებას გვაძლევს: „**გუალაგი** გვალაგი...“ „**გვალაგი** მაფრაშა“, დაბოლოს, „**ბულაგი** «ნუთუ ტომარა იყოს» თანავე ეწერა წიგნში“ (იხ. მისი ქართ. ლექსიკ.). ჩაჩნ. **გ̌ალი**-სა და ქართ. **გვალაგი**-ს შეხვედრაზე მსჯელობისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **აგ** უკანასკნელში სუფიქსია და ასეთის მქონე ქართული სიტყვა ხშირად სომხურ-სპარსული გზითაა შემოსული. გვალაგი—ტომარა ამხანად სპარსულში არ არის, მაგრამ არის საკმაოდ დამაფიქრებელი ზმნა ﺟﺎﻟﻴﺪﻥ (გოვალიდან), რომელიც ნიშნავს შეკრებას, შეგროვებას. ჩაჩნ. **გ̌ალი** კავკასიურ ენათა წიაღში ერთეული არ არის; ანდიურ ენაშია **გუ̌ალა**=ტომარა.

82. ჩაჩნ. **შ̌ალთ'** (ჲ)—**შ̌ალთ'ანაშ** (ჲ)—ხანჯალი.
წოვ. **შალთ**(ჲ)შალთი(ჲ)—ხანჯალი.

ამ ციცი იარაღის გაღმოსაცემად ჩაჩნურში რამდენიმე სიტყვაა, მათ შორის უცხო წარმოშობის **თ'ურ**(დ), რომელიც ხანჯლის გარდა ხმალსაც აღნიშნავს. ჩაჩნ. **შ̌ალთ'** უნდა ხვდებოდეს ქართულ სიტყვას—**შოლტი**. მათი მნიშვნელობა დაცილებულია: რომელიღაც მათგანში იგი მეორეული უნდა იყოს. მათი გენეზისური მიმართება ბუნდოვანია[1].

83. ჩაჩნ. **ციელ**(ჲ)—**ციელაშ**(დ)—თოხი.
ინგ. **ციელ**—სიმინდის თოხი
წოვ. **ცელ**(ბ)—**ცელი**(დ)—ცელი.

ჩაჩნ. **ციელ**, ბუნებრივად, მოგვაგონებს ქართ. **ცელ**-ს, ოღონდ მნიშვნელობის მხრივ **ცელ**-ს არაფერი აქვს საერთო თოხთან, იგი коса-ს აღნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ იმ საინტერესო ცნობას ქართული სასოფლო-სამეურნეო იარაღების განვითარების ისტორიიდან, რომელსაც აკად. ი. ჯავახიშვილი გვაწვდის, მაშინ ეს შეპირისპირება არც ისე შეუსაბამოდ მოგვეჩვენება. სახელდობრ, მკვლევრის აზრით, ძველად საქართველოში თიბვის მაგიერ მკა ყოფილა (საქ. ეკონომ. ისტორია, II, გვ. 90). ამ ცნობაში ჩაჩნური ტერმინის თვალსაზრისით ის მომენტია საყურადღებო, რომ თავისდათავად თიბვის პროცესი უფრო გვიანდელი შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო მოსაქ-

[1] აკად. ი. ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიური ისტორია“-ში მოხსენებული აქვს ტერმინი შოლტა, რომელიც სახვნელი იარაღის ღერძ-გოგორას ერთერთი ნაწილია (მასზეა უღელი დამაგრებული) და ამგვარად, თვით ქართულშივე იძლევა მნიშვნელობითს ვარიანტებს (იხ. დასახ. ნაშრ., წ. I, გვ. 187—188).

მეობაში, და ის ტერმინი, რომელიც ახლა ჩაჩნურში ცელს აღნიშნავს (ამაზე ქვემოთ) არ არის მკვიდრი ჩაჩნური და ცელობის მისი მნიშვნელობაც მეორეული უნდა იყოს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართ. „ცელის სადაურობა ჯერ კიდევ გასარკვევია“ (დასახ. ნაშრ., გვ. 90—91); იმასაც დასძენს, რომ ქართულში და საქართველოში ცელი თავდაპირველად არ იხმარებოდა. საფიქრებელია, რომ ცელი მკვიდრი ქართული სიტყვაა და ძირი მასში უნდა იყოს ც, ხოლო ელ—სუფიქსი-დეტერმინანტი. ჩაჩნური ციელ ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული ხანგრძლივი და უმჭიდროესი კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე. იგივე უნდა გავიმეოროთ ლაკური **ცულუნ** ზმნის შესახებ, რომელიც თიბვას აღნიშნავს. ქართ. ცელს რაღაც ეტიმოლოგიური ერთიანობა უნდა ჰქონდეს ქართულსავე ცულ-თან (სხვადასხვა სუფიქს-დეტერმინანტი აწარმოებს ფუძეს!). ცელსა და ნამგალს შორის გარკვეული ფუნქციონალური მონაცვალეობა ჩანს, რომელიც შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. ამმხრივ კავკასიურ ენათა, და კერძოდ, ჩაჩნურის გარდა, ყურადღება მისაქცევია თუშური **ცელი**, ნამგლის გაგებით რომ იხმარება და თუშურივე მანგალი—ცელს რომ აღნიშნავს.

84. ჩაჩნ. **ძ'ჯაძალ** (ბ) **ძჯა'ძლაშ** (დ) — სოლი, ხის გასაყარი ნაწილი ურდულში.

ინგ.

წოვ.

ჩაჩნ. **ძ'ჯაძალ**, რომელსაც საკმაოდ (და არა არსებითად) განსხვავებული სემანტიკა აქვს ქართულ (ძველ ქართულ) **ძელ**-თან შედარებით, მაინც არ გამორიცხავს მათი შეტოლების შესაძლებლობას.

85. ჩაჩნ. **ბიელ** (ჲ) **ბიელაშ** (ჲ) — ბარი.

ინგ.

წოვ.

ჩაჩნ. **ბიელ** არ უნდა იყოს მოკლებული სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ ერთიანობას ქართ. სიტყვასთან **ბელ**-ტი, სადაც ძირად **ბელ**- ჩანს (**ტი** მაწარმოებელი სუფიქსი) და რომელიც შინაარსებრივად იმ იარაღთან უნდა ადიოდეს, რომელსაც ქართულში სიტყვა ბარი გადმოსცემს.

86. ჩაჩნ. **ბჯალ** (ბ) **ბჯალშ** (დ) — ხნული, ორნატი (борозда).

ინგ.

წოვ.

ჩაჩნ. **ბჯალ** შესაძლებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ ქართულ შე-ბღალ-ვაში მოცემულ **ბღალ** ძირს.

87. ჩაჩნ. **ჩერთ'**(ჲ)—**ჩერთ'აშ**(ჲ)—ჭილოფი.

ეს შინასამომხმარებლო საგანი ისევე გავრცელებულია ჩაჩნეთში, როგორც ქართველ ტომებში და თითქმის ერთნაირად ბგერას, განსაკუთრებით თუ პირველ რიგში მეგრ. **ჩერტი**-ს დავასახელებთ. აშკარაა, რომ ჩ. **ჩერთ'** ხვდება ქართ. **ჩელტ**-საც. სულხან ორბელიანის განმარტებით „**ლასტი** დაწნული იღეკრო, თუ წკებლი (ჩელტი დაწნული ვრცელი B)“ (ქართ. ლექსიკ.). სვან. **ჩელტ**

ლასტის გარდა ნიშნავს ფარცხსაც (борона); აფხაზ ა-ჩალტ ქართულით შესული ჩელტია. ქ. ჩელტი-ში ტი მაწარმოებელი სუფიქსია (იგი სხვა სიტყვებშიც იჩენს თავს, მაგ., წყურტი, ლუყურტი, წკიპურტი, ქარქვეტი და ა. შ.); იმავე ფუნქციისაა ქართულისაგან დამოუკიდებლად ჩაჩნ. თ'-ც. შესაძლოა დავუშვათ, რომ მოყვანილი ტერმინი კავკას. ენათათვის და განსაკუთრებით ჩაჩნურ-ქართველურ ენათათვის საერთო კუთვნილებისაა.

88. ჩაჩნ. ძ̌ჯარ(დ)—ძ̌ჯარშ(დ)—წნელის ან ფიჩხის წნული, რომელსაც სახლს სახურავად წამოაცვამენ, ან მისი ნაწილებისაგან ღობეს სდგამენ (ზოგჯერ ხიდის ასაგებადაც იყენებენ, თუ წყალი ან ღელე პატარაა).

ვფიქრობთ, ჩაჩნ. ძ̌ჯარ უკავშირდება ქართულ ძარს, რომელიც მოწნულ სასიმინდეს აღნიშნავს, ან ურმის წნულ კედლებს, რათა ტვირთი (მაგ., სიმინდი) არ გადმოცვივდეს. სულხან ორბელიანის განმარტებით „ელძარი ჭელის ჯინი საზიდარი“ (ქართ. ლექსიკ.) და „ძარი ქორის საჯდომი გოდორი“ (იქვე). ჩაჩნ. ძ̌ჯარ ქართ. ძარი-ს იგივეობად კი არა—შესატყვისობად შეიძლება მიგვეღო, რომ ჯ მჟღერი სპირანტი ჩაჩნურის ნიადაგზე ძ̌-ს შემდგომ არ იყოს განვითარებული (რაც ჩაჩნურისათვის კანონზომიერია).

89. ჩაჩნ. ხ̆ულშ(ბ)—ხ̆ულნიშ(დ)—ზვინი (скирда).

ჩაჩნური ხ̆ულშ ეტიმოლოგიურად და სემანტიკურად იმეორებს ქართ. ხულა-ს (ბეღელს რომ ნიშნავს) ერთის მხრივ და ხუხულა-ს — მეორეს მხრივ (*ხულხულა)[1]. ჩაჩნ. ხ̆ულა-ს და ქართ. ხულა-ს ეტიმოლოგიისთვის საჭირო მასალებს ამჟამად არც ერთი მათგანი არ იძლევა. აფხაზურში, როგორც ქ ე თ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ფიქრობს, ხულ-ფუძე თითქოს ყუა-თია წარმოდგენილი შემდგომ ორ კომპოზიტში: აფშ̌აი-ყუა—ჩალის ზვინი და ათიპ̌-ყუა—თივის ზვინი.

90. ჩაჩნ. კუდალ(ჲ)—კუდალაშ(ჲ)—სპილენძის პატარა წყლის ჭურჭელი.
წოვ. კუტალ (ჲ)—კუტალი (ჲ)—წყლის პატარა ჭურჭელი თიხისა (ეს სიტყვა აწინდელ წოვეურში ი̆შვიათად იხმარება).

ჩაჩნ. კუდალ-ს პარალელი ქართულში და სახელდობრ, ქართლურში დაეძებნება. ქართლურად კუტალი (მრავლ. კუტლები) ხის წყლის კოკას აღნიშნავს. სულხან ორბელიანის განმარტებით „კუტალი ხის წურწუმა“ არის (ქართ. ლექსიკ.). ამგვარად, ერთიდაიმავე სახელწოდების ჭურჭელი ჩაჩნურ-ქართულში სხვადასხვა მასალისაგანაა გაკეთებული. ქართულ კუტალ-ში ფუძე (თუ ძირი!) კუტ უნდა იყოს (ალ—ფუძის სუფიქსი-დეტერმინანტი). თუ ეს ასეა, მაშინ ჩაჩნ. კუდალ ქართულიდანაა შეთვისებული. შესაძლებელია ქართ. სიტყვა კოდი, რომელიც აგრეთვე საწყაოს აღნიშნავს, კუტალი-ს კუტ-თან იყოს დაკავშირებული.

91. ჩაჩნ. მ̌ურზუხუ(ბ)—მ̌ურზუხაშ(დ)—მარწუხი. ამ კონკრეტი მნიშვნელობის გარდა გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება, მაგალითად, ში ქ'უგ

[1] სულხან ორბელიანის განმარტებით „ხუხულა არს ყრმათა მიერ ბედითი ნამუშაკარი, რეცა სახლაკი“—ქართ. ლექსიკ.

გ̌ლმრზუხ დეჭჭნა ბელლშტე დიელლინა — გულზე ხელი დაიკრიფა რა, მხრებზე დაადო; თუეფიშ გ̌ლმრზუხ ჯრხუ—თოფების შეჯვარედინება (скрестить ружья).

ინგ. **მორზ̌ალა**(ბ)—მარწუხი.

ჩაჩნ. **მრზუხუ** იგივე უნდა იყოს, რაც ქართული **მარწუხი** და ქართულიდანვე შეთვისებული, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული **ა** ჩაჩნურში **ო**-დ შეიძლებოდა გადასულიყო, წ—ხ-დ და ა. შ. ქართული რომ ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ენაა, ჩანს იქიდანაც, რომ თვით **მარწუხი** ქართულისავე ნიადაგზე ამოიხსნება. სვან. **მარწ̌იხ** ქართულიდან შესული სიტყვაა.

92. ჩაჩნ. **ხიერხ**(ბ)—**ხიერხაშ** (დ)—ხერხი.

ინგ. **ხიერხ**—ხერხი.

ჩაჩნ. **ხიერხ** იგივეა, რაც ქართული **ხერხი** და უკანასკნელიდანაა მასში შესული. **ხერხი** ქართულის ნიადაგზევე უნდა იხსნებოდეს (ამაზე სხვაგან). სვან. **ხერხ** და აფხაზ **ახაჰრხ** აგრეთვე ქართ. ხერხის თავისებური გადმოცემაა.

93. ჩაჩნ. **ქუორ**(დ)—**ქუერაშ**(დ)—ფანჯარა, სხვენი.

ინგ. **ქუორ**(დ)—ფანჯარა.

წოვ. **ქორ**(დ)—**ქორი**(დ)—ფანჯარა.

ჩაჩნ. **ქუორ** ქართულის გზით შეთვისებული **ქორი** უნდა იყოს, რომელიც ძველ ქართულში (სახლს) ოთახს აღნიშნავდა (მხედველობაში გვაქვს თვით **ქორი**-ს გარდა ისეთი შედგენილი კომპოზიტები, როგორიცაა ქორედქორედი—სართულიანი). სვანურად **ქორ** სახლია, რაშულად **ქორეთი** სხვენს აღნიშნავს. წარმოშობით ქართული **ქორი** არ უნდა იყოს ქართული და თითქოს ბერძნული მისი წარმომდინარეობის უშუალო წყარო უნდა იყოს. ჩაჩნური **ქუორ**-ისათვის ეს დეტალი წარმომავლობის მხრივ არაფერს სცვლის.

94. ჩაჩნ. **ერდ̌**—სვეტი, რომელიც შუაცეცხლის ბოძს წარმოადგენს და რომელიც ამასთანავე სახურავის ბურჯიცაა.

ჩაჩნ. **ერდ̌** იგივეა, რაც ქართ. **ერდო** და უკანასკნელისაგან შეთვისებულიც. ქართ. **ერდო**-ს მკვიდრობის ამბავი საეჭვოა; მისი პირველწყარო თითქოს სომხ. **ʟրդ** (სახურავი, სახლი, სახურავის სარკმელი—слуховое окно) ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ჩაჩნ. **ერდ̌** ქართულის გზითაა ჩაჩნურში შესული; ამას სხვა რამის გარდა გვეფიქრებინებს რედუცირებული **ერ**, რომელიც ქართ. ერდო-ს სრული **ო** ხმოვნის ფონეტიკურად შესუსტებული სახეობაა.

95. ჩაჩნ. **ნ̌არს**(ჲ)—**ნარსიშ**(ჲ)—კიტრი.

ჩაჩნ. **ნ̌არს**-ში **რ** შემდეგაა განვითარებული, როგორც ეს მტკიცდება ერთერთი გამოკვლევიდან[1]. მაშასადამე, ძირია **ნ̌ას** (ან ***ნას**), რომელთანაც, თუ ფუძის დეტერმინანტ **ვ** სუფიქსს აღვადგენთ, მივიღებთ ქართულ სიტყვა **ნესვ**-ს. აკად. ი. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ნესვის კულტურა ერთი უძვე-

[1] იხ. „Об инфиксе „р" в вейнахском языке"—Изв. Инг. Научно-Исследоват. Инст. Краеведения, 1930, გვ. 472.

ლესთაგანია საქართველოში. თვით ტერმინი **ნესვი**, მისი აზრით, მკვიდრ-ქართულია და მეზობელ ენათა სამყაროში თვისი არ გააჩნია. თუ გავითვალისწინებთ მკვლევრის მეორე დებულებას, რომლის თანახმად, როგორც ქართულში ისე ჰანურ-მეგრულში კიტრ-ნესვისა და გოგრისთვის ერთიდაიგივე (ნესვი) სიტყვა უნდა ყოფილიყო (საქ. ეკონომ. ისტ., II, გვ. 261), მაშინ ჩაჩნ. **ნჳრს**-ისა და ქართ. **ნესვი**-ს დაკავშირება ძნელი არ იქნება (შდრ. ჰან. **შურკა**—კიტრი და მეგრ. **შინკა**—ნესვი).

96. ჩაჩნ. **ჭ'ემსი**(ჲ)—**ჭ'ემსიშ**(ჲ)—ყურძენი.

ყურძნის ამ ჩაჩნურ სახელწოდებას ჩვენ ვუკავშირებთ ყურძნისავე ჯიშის ერთერთ სახელწოდებას გურულში **კამუშა**-ს. აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით, მჭიდრო მტევანს ქართულად ეწოდება **კუმსი** || **კუმში** || **კუმუშა** (შდრ. ზმნური ფორმა კუმშვა და მოკუმვა). ეს ამასთანავე ყურძნის თავისებური ჯიშიც ყოფილა. ტერმინის მოყვანილ სახეობას აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი **კუმშვა** ზმნას უკავშირებს (საქ. ეკონომ. ისტ., II, გვ. 306). მევენახეობის კულტურა ამჟამად ჩაჩნეთში სრულიად წარხოცილია. ჩაჩნ. **კემსი** ქართულიდან შედარებით ადრე შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს.

97. ჩაჩნ. **ხიე**ჲ(ბ)—**ხანნაშ**(დ)—მოჭრილი ხე (ძვ. ქართ. ძელი).

ინგ. **ხი**—ხე.

წოვ. **ხეჲ**(ბ)—**ხენი**(დ)—ხე.

თავის უკანასკნელ ნაშრომში პროფ. არნ. ჩიქობავა წერს: „ხე—ფუძეს შესატყვისი ჰანურში და მეგრულში არა აქვს; ეს ფუძე გვხვდება ჩაჩნურსა და ინგუშურში. ჩაჩნ. ხიე—ხე, ინგუშ. ხი—ხე... მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ხე ჯერ კიდევ დაბადების ტექსტშია დამოწმებული: თუ ეს სახელი შეთვისებულია ჩაჩნურ-ინგუშურიდან, ეს უნდა მომხდარიყო თხუთმეტიოდე საუკუნის წინ“ (შედარ. ლექსიკ., გვ. 120). მართლაც, ქართველურ ენებში ამ ცნებისათვის (ხე) სულ სხვადასხვა სიტყვებია გამოყენებული: ჰანურ-მეგრული ჯალი, ქართ. ხე და სვან. მეგშ (ძირეულია გშ!). ამას გარდა პატივცემ. ავტორის შენიშვნისა არ იყოს (ხე ჩაჩნურ-ინგუშურიდან უნდა იყოს შეთვისებული), ხეს თვისი კავკას. ენათა წიაღში უფრო ეპოვება, ვიდრე ქართველურ ენებში (ქართ. ხე-ს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) შდრ. მაგ., უდ. **ხოდ**—ხე და ანდიური **ლ'უდი**—ხე, ტყე (როგორც უდურში, ისე ანდიურში **დ** ელემენტია ასახსნელი; ანდიურის **ლ'** ლატერალი მარტივი **ხ**-ს შესატყვისად საესებით მოსალოდნელია). ამ სიტყვის ქართულიდან შემოსულობის ეჭვს ისიც აქარწყლებს, რომ ჩაჩნურ ხიენ-ს ბოლოში ნაზალი ხმოვანი აქვს, რომელიც მხოლოდ ნორმალური **ნ** ფონემიდან უნდა იყოს მიღებული, რის საბუთს ქართ. ხე სიტყვა არ იძლევა (და პირუკუ, ნაზალი ხმოვანი ჩაჩნურისა სხვა ენის სინამდვილეში წმიდა ხმოვნად უფრო იქცეოდა). ოღონდ, დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ თვით ხე ჩაჩნურში ხე-ს კი არ ნიშნავს, არამედ მოჭრილ ხეს, ძელს, ხოლო ხის ცნება იქ გადმოცემულია სიტყვით **დით'თ'**.

98. ჩაჩნ. **თ'ალ**(დ)—**თ'ელიშ**(დ)—ჭადარი.

ჩაჩნ. **თ'ალ** იგივე უნდა იყოს, რაც ქართ. თელა; ამ ენაში ერთიდაიგივე ძირი სხვადასხვა მცენარეულ ობიექტს აღნიშნავს. ძირითადი მნიშვნელობის

განშტოება ამ შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ჩაჩნ. **თ'ალ** ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები, რამდენადაც ეს სიტყვა ქართულში შეიძლება ამოიხსნას ეტიმოლოგიურად.

99. ჩაჩნ. ლორდ—ყლორტი (стебель).

ინგ. **ლოარდ**—ყლორტი.

ჩაჩნ. **ლორდ**-ს რაღაც ერთიანობა უნდა ჰქონდეს ქართ. **ყლორტ**-თან, თუ დავუშვებთ, რომ ჩაჩნ. **ლორდ**-სა და ქართ. **ყლორტ**-ს შორის რომელიღაც ლატერალი ბგერის მქონე სიტყვა უნდა ვივარაუდოთ გარდამავალ საფეხურად. ყლორტი ქართველურ ენათა ნიადაგზე უნდა იხსნებოდეს და წარმომდგარი ჩანს ჰანურ **ყა** და მეგრულ **ღა**-დან (შტო—ветвь), რომლის მრავლობითის ფორმა **ყალ** || **ღალ** მოცემული უნდა იყოს ყლორტ-ში **რტ** სუფიქსის (დანიშნულება?!) დართვით. ქართულში ყლორტის სხვა სახეობაცაა დაცული; სულხან ორბელიანის განმარტებით „**კლერტი** ყურძნის ღერო“ (ქართ. ლექსიკ.). კლერტი ქართლურ კილოში ცოცხალი სიტყვაა და აღნიშნავს არა მხოლოდ ყურძნის ღეროს, არამედ ღეროს, ყლორტს საზოგადოდ. წოვური **ყლორტ**(ჲ) ქართულიდანაა შეთვისებული. სხვა ქართველურ ენათაგან შეიძლება აღინიშნოს ხუნძ. **ცარტ**ᵊ**ელ**—შტო.

ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან განსაკუთრებით ცხოველია ორნიტოლოგიურ და ზოოლოგიურ ობიექტთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შინაური ფრინველთა სამყაროდან ისეთი ცნობილი ფრინველი, როგორიცაა

100. ჩაჩნ. **ქ'ო͡თ'ამ**(ჲ)—**ქ'ო͡თ'ამაშ**(ჲ)—ქათამი.

ინგ. **ქ'ოთ'ამ**(ჲ)—ქათამი.

წოვ. **ქ'ოთ'ამ**(დ)—**ქოთმი**(დ)—ქათამი.

ეჭვს გარეა, რომ ქართული **ქათამი**, ჰანური **ქოთუმე**, მეგრული **ქოთომი** და ჩაჩნური **ქ'ო͡თ'ამ** ერთიდაიგივე ენობრივი მონაცემია. მათში ძირეულად **ქ'ოთ** || **ქ'ათ** უნდა ვივარაუდოთ, **უმ** || **ომ** || **ამ** რაღაც უცნობი მაწარმოებელი ელემენტია, იმდენადვე ქართველურ (და უფრო სწორად ზანურ) ნიადაგზე წარმოქმნილი, რამდენადაც ჩაჩნურისაზე. ამ სიტყვაში ჩაჩნურ-ქართველურისათვის ძირეული რომ **ქოთ** || **ქათ** || **ქ'ო͡თ** არის, ამას შედარებითი პარალელებიც ცხადყოფს; შდრ., მაგ., სვან. **ქათ-ალ**—ქათამი, აფხაზ. **აკუტგ**—ქათამი, ქვემო-ადიღეური **ჩაშე** || **ქათგ**—იგივე, ყაბარდ. **ჭაჲდ** || **გედ**—იგივე და სხვა. თუ ჩაჩნური ამ სიტყვაში ქართველურ ენებს დასესხებია, ეს საკმაოდ გვიან უნდა მომხდარიყო, ყოველ შემთხვევაში ძველი სამწერლო ქართულის მიჯნას ეს ამბავი უკვე იყო გადმოცილებული, რადგან, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ქათამი ამ შინაური ფრინველის ზოგად (სქესის მიხედვით გაუდიფერენცირებელ) სახელწოდებად იხმარებოდა და მისი დავიწროება მოგვიანებით მოხდა. უფრო სწორია ვიფიქროთ, რომ იგი საერთო ფონდიდანაა აღებული[1].

[1] აკად. ი. ჯავახიშვილი ქათამ-ს შედგენილ, ორნაწილედ სიტყვად სთვლის—**ქა-თამ-ი**, საიდანაც **თომი** || **თუმე** და სხ. თმას აღნიშნავსო (იხ. მისი „ქართული და კავკას. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, გვ. 613—617).

101. ჩაჩნ. **ქ'ურა**(დ)—**ქ'ურინაშ**(დ)—ქორი.
ინგ. **ქურ**(დ)—ქორი.
წოვ. **ქუჲრ**(დ)—**ქორაწლჩ**(დ)—ქორი.
ჩაჩნ. **ქ'ური** იგივეა, რაც ქართული **ქორი**, ჰანური **ქური**, მეგრული **ქორი**.

102. ჩაჩნ. **ჰუ͡პ**(დ)—**ჰუებიშ**(დ)—ჭოტი.

ჩაჩნ. **ჰუ͡პ** იგივე უნდა იყოს, რაც ქართული ჭოტი. **ჰ** და **ტ**-ს მონაცვლეობა თვით ჩაჩნურსა და ქართულშიც საკმაოდ ხშირია და ამის ნათელმყოფი მაგალითებიც არა ერთია.

103. ჩაჩნ. **მოზუ**(ბ)—**მოზიშ** || **მოზი**(დ)—ბუზი (მრავლობითში თანაბრად იტყვიან, როგორც მ ო ზ ი შ ყიზა დუ სუ͡ო—ბუზები მკბენენ მე, ისე მ ო ზ ი ლიელაშ დუ—ბუზები ფრენენ).
ინგ. **მოზ**(ბ)—**მოზი**(დ)—ბუზი.
ჩაჩნ. **მოზუ** იგივე უნდა იყოს, რაც ქართ. **ბუზი** და **ბზიკი** (**მ** და **ბ**-ს შენაცვლება სხვა მაგალითებითაცაა ნათელყოფილი). ჩაჩნ. **მოზუ** და ქ. **ბუზი**-ს მეტნაკლებად განსხვავებული ვარიანტები მრავალ სხვა კავკას. ენაშიც არის და ერთი უძველესთაგანიც უნდა იყოს მათში. ამდენად ეს სიტყვა საერთო კუთვნილებაა მათთვის. აღსანიშნავია ქვემო-ადიღეური **ბაძ**—ბუზი, ყაბარდოული **ბზე**—ფუტკარი, **ბავე**—ქინქლა (мошка; ლოპატინსკი, ყაბარდ. გრამატ., ლექსიკონი).

104. ჩაჩნ. **ჯ'ალი**(დ)—**ჯ'ალიეშ**(დ)—ძაღლი.
ინგ. **ჟწელი**(დ)—ძაღლი.

ჩაჩნ. **ჯ'ალი** ქართ. **ძაღლი**-ს, ჰანურ-მეგრული **ჯოლორი**-ს და სვან. **ჟელუ**-ის შესატყვისი ჩანს. პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ქართველურ ენებში **ძაღ** || **ჯოლ** || **ჟელ**-ს გამოჰყოფს ძირად, **ლ, ორ, უ** ფუძის დეტერმინანტ-სუფიქსებად მიაჩნია (შედარ. ლექსიკ., გვ. 83). ჩაჩნ. **ჯ'ალი**-ში **ჯ'** **ე**-საგან უნდა მომდინარეობდეს და ამდენად სვანურთან უნდა იდგეს უფრო ახლოს. ამ სიტყვის ჩაჩნური ფორმა (**ლი** დაბოლოება რომ აქვს) გვაფიქრებინებს, რომ იგი ქართველურ ენათაგან შეიძლება იყოს შეთვისებული.

105. ჩაჩნ. **ფოლლა**(ბ)—**ფოლლარჩიჲ**(დ)—პეპელა.

ჩაჩნ. **ფოლლა** ის სიტყვა უნდა იყოს, რომელიც მეორდება ქართული პეპელა-ს მეორე **-პელა** ნაწილში, თუ უკანასკნელს შედგენილ, ორნაწილედ სიტყვად მივიჩნევთ (*პელპელა). სვანური **პარპრლდ** || **პარპჳლდ** ქართ. **პეპელა**-ს სვანური ნაირსახეობაა. სვანურს შედარებით მიახლოებია ქვემო-ადიღეური **ჰაპრაპ** (**ჰ** ასახსნელია). ჩაჩნ. **ფოლლა**-ს და ქართ. **პეპელა**-ს ეტიმოლოგია ნათელი არ არის, ამდენად ამ ორი ოდენობის გენეზისური მიმართებაც დაბინდულია. ამავე ბუდისა უნდა იყოს აფხაზ. **ა-ბარბალგ**—პეპელა

106. ჩაჩნ. **ციციგ**(დ)—ცისკიშ(დ)—კატა
ინგ. **ციხკ**—კატა.

ჩაჩნურში ძირია **ციც, იგ** მაწარმოებელი სუფიქსია (თუნდაც ჩაჩნ. სთ'აგ-ის —კაცი—ტიპისა). ძირა **ციც**=ქართული **ციცა**-ს განმეორებაა. როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა ფიქრობს, ქართ. **კატ** ფუძე შეთვისებული უნდა იყოს და ქართველურ ენათათვის **ციც** ძირია დამახასიათებელი და ოდინდელი (შედარ. ლექსიკ., გვ. 83). მართლაც, ეს ძირი მყოფობს ქართველურ ენებში; ასეთია სვან. **ციც**, ხევსურული **ციცაჲ**, ქართ. **ციცა** || **ციცუნია**. ამ სიტყვაში ჩაჩნურის შეხვედრა ქართველურ ენებთან მათი საერთო ენობრივი საგანძურის ერთერთი სადემონსტრაციო ნიმუში უნდა იყოს და არა რომელიმე მათგანის მეორესგან შეთვისებული. სხვა კავკას. ენათაგან აღსანიშნავია ხუნძ. **იციქო**—კატუნია

107. ჩაჩნ. **ფჰიიდ**(ჲ)—**ფჰიიდაშ** || **ფჰიადარჩ**(ჲ)—ბაყაყი.

ინგ. **შხიდ**—ბაყაყი.

წოვ. **ფჰიიტ**(ბ)—**ფჰიიტი**(დ)—ბაყაყი.

ჩაჩნ. **ფჰიიდ**-ისათვის პარალელის დაძებნა ქართველურ ენებში მხოლოდ სვანურიდან ხერხდება; მხედველობაში გვაქვს სვან. **აფხუ** || **ამფხუ** (უკანასკნელი—ხალდურად), რომელიც ბაყაყს ნიშნავს (ქართულით შესული ეს უკანასკნელი სიტყვაც მკვიდრობს მასში). რათქმაუნდა, სვან. აფხუ ჩაჩნურის ზუსტ პარალელად ვერ გამოდგება, რადგანაც მასშია თავკიდური ა, რომელიც არ არის ჩაჩნურში, ხოლო ჩაჩნური **ფჰიიდ**-ის **დ** არ ასახულა სვან. **აფხუ**-ში. შესაძლებელია **იდ** (შდრ. წოვურის **იტ**) ჩაჩნურში წარმოშობით სუფიქსური ელემენტი იყოს. სვანურ-ჩაჩნურში ძირად **ფხ** უნდა ვიფარაუდოთ. ამრიგად, აქ მხოლოდ ნაწილობრივ სიახლოეს უნდა შევჯერდეთ და ამ ორი სიტყვის დაახლოებაში ზოგი მომენტის გარკვევა შემდგომისათვის შემოვინახოთ.

III

დაბოლოს, რამდენიმე შენიშვნა უკვე არა შეხვედრებზე (ძველსა და შედარებით ახალზე), არამედ იმ აშკარად შეთვისებულ სიტყვებზე ჩაჩნურში, რომლებიც შესძინა მას საქრისტიანო საქართველომ. ჩაჩნურის ენობრივი ურთიერთობა ზემომოყვანილის მიხედვით თუ ზოგ შემთხვევაში მეტად ღრმაა და როგორც ითქვა, სხვა დროსა და სივრცეშია საძებარი მისი სათავე, სამაგიეროდ, ქვემოთმოსაყვანი უთუოდ შედარებით ახალი დროის ამბავია. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩაჩნეთი საქართველოს წარმართად შეხვდა. საქართველო საქრისტიანო აღმოსავლეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოებრივი წარმონაქმია საშუალო საუკუნეებში და უფრო ადრეც. ისტორიულ ცნობათა თანახმად მისი სარწმუნოებრივი ექსპანსია კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე მთის კავკასიელ ტომებს მისწვდა და მრავალი მათგანი თავისი სახელმწიფოებრივი სარწმუნოების პროზელიტადაც აქცია. უდავოა ისიც, რომ წარმართი ნოხჩის ტომებიც საქართველომ მოაქცია თავის დროზე (ეს მოქცევა არც მტკიცე იყო და არც ხანგრძლივი). ქრისტიანობა კავკასიის მთიანეთის ამ ნაწილისათვის ისეთივე იძულებითი კულტი იყო, როგორც მოგვიანებით ისლამი. მიუხედავად ამისა, ჩაჩნურში მაინც ვხვდებით ქრისტიანული კულტის

ისეთ ძირითად სიმბოლიურ გაᲐხატულებას, როგორიცაა სიტყვა **ჯვარი**, რომელიც მას შემორჩა არამხოლოდ ენაში, არამედ იგი დაცულია ნივთიერად ქვაჯვარებისა და ჯვარხატულების სახით. ტერმინის ანალიზი შემდეგ სურათს შლის:

108. ჩაჩნ. **ჯ'ჰარ**(დ)—**ჯ'ჰარაშ**(დ)—ჯვარი.
ინგ. **ჯჰარ**—ჯვარი.

ჩაჩნური **ჯ'ჰარ** იგივეა, რაც ქართული ჯვარი. ჩაჩნური ჰ ბგერა ამ სიტყვაში ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ქართულ ვ-სი (ჯვარი; შდრ. ჩაჩნ. **ლაე**-ვაშლი და ქართული **ვაშლი**: ლ=ვ). მეტნაკლებად ცვლილი სახით ტერმინი ჯვარი სხვა კავკასიურ ენებშიც შეჰრილა[1].

109. აგრეთვე ამ ისტორიული ქარტეხილის მონაკროლია ჩაჩნური ტერმინი **მარხა**(დ) — **მარხანაშ** || **მარხაშ** (დ) — მარხვა (სუო მარხა კრბუშ ვუ—მე [masc.] ვმარხულობ). იგი ზედსართავ სახელადაცაა გამოყენებული და, მაგ., მარხე ბუთ' ნიშნავს მარხვის თვეს (месяц заговения).

ინგ. **მარხაშ** (დ)—მარხვა.
წოვ. **მარხუ**(დ)—**მარხუი**(დ)—მარხვა (შდრ. სვან. მარხუ—id).

ჩაჩნური **მარხა** იგივეა, რაც ქართული **მარხვა** (იგი მთლიანად უკანასკნელიდანაა შესული და როგორც ჩაჩნურის ფონეტიკურ ჩვევათათვის მოველოდით, პირველი ა ხმოვანი დასუსტებულა და ა-დ ქცეულა).

ქართულიდანვე შესულა (შაბათის სისტემაზე გაწყობილი) შვიდეულის ზოგი დღის სახელწოდებაც. თუ გავითვალისწინებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის დებულებას, რომლის თანახმად „შაბათის სისტემის შვიდეულის დღის სახელები ქართულში უკვე IV—V ს. ქ. შ. გაბატონებული ყოფილა“ (ქართვ. ერის ისტორია, წ. I, გვ. 110), მაშინ ასეთის მყოფობა ჩაჩნურში ნოხჩისა და ქართველ ტომთა ურთიერთობის საკმაოდ შორეულ წარსულს ხდის ფარდას. ასეთია:

110. ჩაჩნ. **ქ'ირა**(დ)—კვირა (მსგეფსის გაგებით; კვირა დღეს-კი ქ'ირე დი ეწოდება).
ინგ. **კირაშ**(დ)—კვირა (მსგეფსი; კირი დე—კვირა დღე).

წოვ. **კვირა**—მსგეფსი და კვირა დე—კვირა დღე (ქართულიდან).

სრულიად უეჭვოა ჩაჩნ. **ქ'ირა**-ს და ქართ. **კვირა**-ს იგივეობა (პირველი ნასესხებია ქართულიდან).

111. ჩაჩნ. **ორშუთ** (ჲ)—ორშაბათი.
ინგ. **ორშოთ** (დ)—ორშაბათი.

ჩაჩნ. **ორშუთ** იგივეა, რაც ქართული ორშაბათი. წოვურს ამ დღისათვის მკვიდრი სიტყვა აქვს გამოყენებული: ცჰიან'ა, რომელიც სიტყვა-სიტყვით პირ-

[1] იხ. სიმონ ჯანაშია — „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, ტფილისი, 1937, გვ. 110 და შემდ.

ველს ნიშნავს, ე. ი. იმ სისტემაზეა აგებული, რაგვარზედაც შვიდეულის სხვა დღეების (სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი) ჩაჩნური სახელწოდებანი.

112. ჩაჩნ. **პერისკ'ა(ჲ)**—პარასკევი (პერისკ'ადი [დ]=პარასკევი დღე).

ჩაჩნ. **პერისკა** იგივეა, რაც ქართული **პარასკევი**. ქართულიდანვეა შესული წოვ. **პარასკ(დ)**. უდური **ფარასკი** აგრეთვე პარასკევს აღნიშნავს.

თუ სწორია, რომ ჩაჩნური **ბჯარგ**-ის (ბ; **ბჯარგიშ**—ბ) ძირი—თვალს რომ ნიშნავს (შდრ. ინგ. **ბარკ**, წოვ. **ბჯარკ**) ხეთურ ბერბერთან (თვალი; გაორმაგებულია მრაველობითის საწარმოებლად, რადგან თვალი წყვილია), ჩაჩნ. **ბურშ** მგელს რომ ნიშნავს, სუმერული ლურსმული წარწერების **ბერ**-თან (მგელი)[1], ხოლო ჩაჩნების ლეგენდარული გმირის ტურპალის სახელწოდება ასურულ-ხეთურ-ქართულ ტაბალთან რაღაც უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული, თუ სწორია, რომ ქართულისთვის უდეტერმინაციო ფუძეებია უძველესი მდგომარეობა, როგორც ეს პროფ. არ. ჩიქობავამ ქართულის (და ქართველური ენების) საკითხებით მკვიდრ მასალაზე აღმოაჩინა, თუ სწორია, რომ კავკას. ენებს (ასეთია ჩაჩნურიც) ქართულ-ქართველურ ენებთან ორგანული, ოდინდელი ნათესაობა აქვთ, როგორც ეს ფაქტების წყებით მტკიცდება აკად. ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიაში[2], მაშინ ის წყება მაგალითთა ჩაჩნურ-ქართველურ ენათა ლექსიკური შეხვედრებისა, რომელიც წინამდებარე წერილის მსჯელობის საგანს შეადგენს, არც შემთხვევითია და არც უმნიშვნელო, არამედ მოწმობს მათ ორგანულ ენობრივ-კულტურულ კავშირს, იმ კავშირს, რომლის სათავე სულ სხვა დროსა და სივრცეშია საძიები, ვინემ ამის შესაძლებლობას ისტორიული პერიოდის ქართული იძლევა.

თუ სწორია, რომ ჩაჩან-ინგუშთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვლილ ეტაპებზე დასტურდება დიდი ოჯახის ყველა ნიშანი, გვაროვნული წყობილების ელემენტები, ხოლო ამ ეტაპებზე თავისდათავად დიდმნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტის ის ტიპი, რომელიც წინაგვაროვნული და გვაროვნული დროის თავისუფალი საძმოებისა—თ'ა ჲ ფ'-ების სახით იმეორებს სვანების ცნობილ ლამხუბის ინსტიტუტს, თუ სწორია, რომ ჩაჩნების დ ე ლ ა (ინგ. დ ა ლ ა) წოვების დ ა ლ ა ჲ, სვან. ღვთაება დ ა ლ-ის ხორციელი და სულიერი მონათესავეა, ხოლო ამ ტოტებში საყოველთაოდ გავრცელებული მფარველი ღვთაება ერდა იქნებ თავისებურ სემანტიკურ გამონაშუქად მიგვეჩნია ხალდური Ardini-სა და იმ არდი-სა (თუ არდა-სი), რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილს მზის ქართულ სახელწოდებამდე აჰყავს, თუ სწორია, რომ ჩაჩან-ინგუშთა აწ მიმქრალი წარმართული პანთეონი იმეორებს ქართულ-ქართველურ პანთეონს არსებითად და ძირითადად—ყაშყალ-ის ჩაჩნური კულტი და ქართული ლაზარეობა,

[1] „Barbaru Wolf bar-ba-ru ša-a-na li-ki-e pu-ha-di šu-lu-ku «ein Wolf, den man hat hingehen lassen, umein Lämmlein wegzunehmen» (Jensen): Ištar Sm 954, 12 (KB VI, 2, 118 f.)" იხ. Knut Tallqvist', „Akkadische Götterepitheta" 1938, გვ. 72. ამას გარდა, შდრ. წოვ. **ბჰორშ**—მგელი, ხუნძ. **ბაშ**—id., ანდიური **ბიცი**—ჯიხვი, დარგ. **ბაწ**—მგელი და ლაკ. **ბარწ**—მგელი, მამაცი.

[2] ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937 წ.

სხვა წარმართულ სალოცავებზე რომ აღარა ვთქვათ რა, მთელი სერია ჩაჩნური ელგიწ-ებისა, სვანური მეზირ-ის ტიპს რომ ჩამოგვავს, ნანა-ს და კერძოდ, ხი ნანა-ს (სიტყვა-სიტყვით წყლის დედა) ის აწ შენელებული კულტი, რომელიც ეგოდენ შესაგრძნობია ქართულ ნანა-ბატონებში დღესაც,—მაშინ პირველ აბზაცში ნათქვამი შეიძლება გადაიზარდოს წარსულში ამ ტომთა კიდევ უფრო ორგანული და მრავალმხრივი კულტურულ-ენობრივი ურთიერთობის უტყუარ ვარაუდში.

ჩაჩნური უმწერლო ენაა. ისტორიული ცნობები ჩაჩნეთზე მწირია. ჩაჩნურის ლექსიკაზე რომ ვმსჯელობთ, ვეყრდნობით ცოცხალი ჩაჩნურის მონაცემს. აწინდელი ჩაჩნურის მკვიდრი მასალაა ეს მონაცემი, თუ რამდენიმე ენობრივი ფენის შენატანი, ამჟამად ძიების ბუნდოვანი საგანია. ჩაჩნურის დღევანდელი კილოური დიფერენციაცია საგრძნობლად წაშლილია. ჩაჩან-ინგუშთა ტომობრივი დაჯგუფება წარსულში გაცილებით უფრო ხშირი უნდა ყოფილიყო და მისი ამსახველი ეთნონიმები უფრო მრავალფეროვანი. თუ ამჟამად ჩვენ მხოლოდ ღალღაჲ-სა და ნოხჩი-ს ვიცნობთ, რომელთაგან პირველი შედარებით ახალი შენარქმევი უნდა იყოს, ხოლო მეორე ჯერ კიდევ პტოლემაოსიდან და სომხურ უსახელო გეოგრაფიიდან მომდინარეობს. აწ დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ რამდენიმე სხვა ეთნონიმიც. მაგ., ყარაბულახების ტომი (თუ ტომობრივი განაშტოები), რომელიც არსტხოჲ-ს სახელწოდებითაა ცნობილი, ისტორიას თვალთა წინ შემოეკარგა.

თვით ეთნონიმი ჩაჩანი (და ნაწარმოები ჩაჩნური ქართულის ნიადაგზე) ისტორიის მხედველობის არეშია წარმოქმნილი სულ უკანასკნელ ხანებში. ასე უწოდებენ ნოხჩიებს ანდიელები, ყაბარდოელები, ოსები და ქართველები (განსხვავება ფონეტიკურ ნაირსახეობაშია). პ. უსლარი ამ ეთნონიმს ხუნძური წარმოშობის სალანძღავ სიტყვად სთვლის[1]. რაც შეეხება ნოხჩი-ს, რომელიც სომხური უსახელო გეოგრაფიის (მოსე ხორენელს რომ მიეწერება) *ნახჭამათեան*-ს უდრის[2], იგი უნდა ფარავდეს რამდენიმეს თუ არა, ორ ტომობრივ ერთეულს მაინც. გარკვეული ისტორიული ვითარების ამსახველია, რომ ჩაჩნები დღეს განასხვავებენ ჩენტი-ორგუ-ს—ჩენტების არღუნს (იგივე ქართ. ორაგვი || არაგვი) და შარ-ორგუ-ს—შარების არღუნს. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის უკანასკნელ ნაშრომში ჩრდილო-კავკასიელ ტომთა ზოგად ეთნურ-ლინგვისტურ სახელად სარმატ || შარმატს მიიჩნევს[3]. თუ ეს ასეა, მაშინ ისიც შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სახელწოდების უკანასკნელი რეალური ტომობრივი ნამსხვრევი ისტორიის ქარტეხილმა სწორედ ჩაჩნეთში—არღუნის ერთერთი ტოტის, ვიწრო შარ-არღუნის ხეობაში გამოკეტა, თუმცა იქ მობინადრე ტომი დღეს თავის თავს ნოხჩის უწოდებს.

---

[1] Э. К., IV, გვ. 25.

[2] იხ. К. П. Патканов—Армянская география VII века по Р. Х. (приписывавшаяся Моисею Хоренскому)—1877 წ., სომხური ტექსტი, გვ. 16.

[3] ივ. ჯავახიშვილი—ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. 1937, დასკვნა.

ამ რთულ ვითარებაში გზის გაკვალვა მხოლოდ ძიების კომბინირებული მეთოდითაა შესაძლებელი. მანამდე კი უნდა კმაყოფილდეთ იმისა, რასაც ცოცხალი ჩაჩნური მეტყველება გვაწვდის. როგორც ვნახეთ, ჩაჩნურის ლექსიკური შეხვედრები ქართველურ ენებთან სხვადასხვა თვალსაზრისით თხოულობს განხილვას. ნაწილი მათგანისა მეტად ძველია და სიღრმიდან ამოწვდილი. ეს ის დანალექია, რომელიც ენათა შორის ორგანული კავშირის მაუწყებელია. მართალია, აქ არა გვაქვს ეგზომ მკვეთრად გამოსახული ერთიანობა „აგებულების პრინციპებისა და აგებულების მასალის მხრივ“[1], რაც ქართველურ ენებში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ენობრივი ურთიერთობის მეტად ჰაღარა წარსულია, მაშინ ის მცირედიც, რაც ზემოთ წარმოვადგინეთ, არ უნდა იყოს ინტერესსა და მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული. თუ ქართველურ ენებში სიტყვათა ჰარბი უმრავლესობა აგებულია ძირისა და პრეფიქს-სუფიქსთა შეხამების პრინციპზე, რაც პროფ. არნ. ჩიქობავას უაღრესად მნიშვნელოვანი დებულების თანახმად ფუძის დეტერმინანტადაა სახელდებული[2], მაშინ, ქართველურ ენათათვის უძველესად უდეტერმინაციო ფუძეები უნდა ვივარაუდოთ. ისტორიულად დაცული ქართული სიტყვათა დეტერმინირებულ ფუძეებს წარმოგვიდგენს; მაშინაც-კი, როდესაც იგი უცხოენობრივ მარტივ ფუძეთა მქონე ლექსიკას ითვისებს, ადეტერმინირებს მას სათანადო სუფიქს-დეტერმინანტით. ასეთი ვითარება V საუკუნემდე თუ არა, VII—VIII საუკუნემდე მაინც ადის და, მაშასადამე, ჩაჩნურ-ქართველურ ენათა ლექსიკური შეხვედრების ერთი ნაწილი, რომელიც სწორედ ამ ციკლის ნიშუშებს იძლევა, VI საუკუნეზე ადრინდელი უნდა იყოს. დათარიღების სხვა მომენტებზეც შეიძლებოდა შევმდგარიყავით, მაგრამ ამაზე სხვა დროს და სხვაგან.

T. ГОНИАШВИЛИ

СЛОВАРНЫЕ СХОЖДЕНИЯ ЧЕЧЕНСКОГО И КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

(РЕЗЮМЕ)

В предлежащей статье автор задается целью, не вдаваясь в глубинный анализ, указать на некоторые лексические схождения чеченского и картвельской группы языков. Исходя из имеющегося в литературе достаточно обоснованного положения об исконном родстве северо-кавказских языков с южной группой, часть приводимых лексических схождений толкуется,

[1] იხ. არნ. ჩიქობავა—„მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის“—ენიმკი-ს მოამბე, I, 1937, გვ. 27 (ხაზი ავტორისაა).

[2] ეგულისხმობთ პროფ. არნ. ჩიქობავას ნაშრომს: „ სახელთა ფუძის უძველესი შედგენილობა ქართველურ ენებში“—წაკითხულია მოხსენებად კავკასიურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 1937 წ. და ამ ნაშრომში წამოყენებულ დებულებათა უკვე სამუშაო წესით გამოყენებას ამავე ავტორის ჭან.-მეგრ.-ქართ. შედარებითს ლექსიკონში.

как следствие генетической общности чеченского и картвельских языков, а другая—как следствие их длительного культурного общения в прошлом.

Выделен тот чеченский, сравнительно несложный, корнеслов, который в картвельских языках предстает в виде простых основ с наращением т. н. суффиксов-детерминантов (ссылка на проф. А. С. Чикобава, впервые выдвинувшего положение, имеющее крупную научную ценность—особенно в приложении к картвельской группе языков—о специфических по характеру суффиксах, детерминирующих основы слов).

Из наиболее вероятных схождений выделяются:

Чечен. **ах** *ax*—половина, гр. ნა-ხ-ევ-არ-ი na-*x*-ev-ar-i, сван. ხე-ნსგა *xe*-nsga тоже.

Чечен. ӑгӑ ăgə—колыбель, гр. აკ-ვ-ან-ი *aḳ*-vani—тоже.

Чечен. ბარც barc—холмик, насыпной вал, возвышенность, гр. ბორც-ვ-ი *borc*-v-i—холмик; ა-ბურც-ებ-ა a-*burc*-eb-a—припухать, вздуваться пузырями (тесто, ожог на теле).

Чечен. გუოთ'ӑ guot'ă—плуг, гр. გუთ-ან-ი *gut*-an-i—тоже.

Чечен. დ-უоგ d-*uog*—сердце, гр. გ-ულ-ი *g*-ულ-ი, запское (=чано-мегрельское) გ-ურ-ი *g*-ur-i, сван. გ-უ-ი *g*-w-i—сердце.

Чечен. ӗрзуо ĕrzuo—орел, гр. არ-წ-ივ-ი *arc*-iv-i—орел.

Чечен. ქ'ӱа k'üj—шапка (головной убор вообще), гр. ჯუ-დ-ი *ku*-d-i—тоже, სა-რ-ჯუ-ელ-ი sa-r-*ku*-el-i—крышка, сван. ლი-ჭ-ემ li-*ku*-em—одеваться, сван. ლე-რე-ჭუ le-re-kw—одежда, чан. დოლო-ჯუ-ნუ dolo-*ku*-nu, мегр. მიჯა-ჯუ-ნალი miǯa-*ku*-nali—одежда.

Чечен. **маг** *mag*-ar—мочь, гр. **მაგ**-არ-ი *mag*-ar-i—твердый, крепкий.

Чечен. **моцу** moqu—бритвенный нож, гр. **მახვ**-ილ-ი maxv-il-i—меч.

Чечен. **мӑха** măxa—иголка, гр. **მახ**-ათ-ი max-at-i—большая игла.

Чечен. **ниц** niq—дорога, гр. **ნოკ**-ვ-ი nok-v-i—трудно проходимая дорога (по словарю С. Орбелиани).

Чечен. **ӏа** sa—душа, свет, гр. **სუ**-ლ-ი *su*-l-i (сравн. запск. **შუ**-რ-ი *šu*-r-i, сван. **ჭკ**-ინ *kw*-in)—душа.

Чечен. **цаж** caž—яблоко, гр. **ვაშ**-ლ-ი vaš-l-i, зан. **უშკ**-ურ-ი *uškur*-i, сван. **ცისგ** wisg—яблоко

Чечен. **ӏӑ** ča—пшеничная солома, гр. **ჩა**-ლ-ა *ča*-l-a—солома вообще.

Чечен. **цаъа** caha—один (одна, одно), штука, гр. **ც**-ალ-ი *c*-al-i—тоже.

Чечен. **ах**-ар *ax*-ar—пахание, пахота, гр. **ხვ**-ნა *xv*-na (др. гр. **ხუ**-ნა *xu*-na) мегр. **ხო**-ნ-უა *xo*-n-ua—тоже.

Чечен. **ӏиеъ** çiəs—красный, гр. **წ**-ით-ელ-ი ç-it-el-i—тоже.

Чечен. **ӏи** çi—кровь, сван. **წ**-ორ ç-or—кровная месть.

Чечен. წაე ċje—имя, название, гр. წ-ოდ-ებ-ა ċ-od-eb-a—называть, именовать, წვ-ევ-ა ċv-ev-a, др. груз. მო-წ-ეს-ვ-ა mo-ċ-es-v-a—приглашать, мегр. უ-წ-უ u-ċ-u—сказал, სვან. ლი-წ-ჰ-ი li-ċ-h-i—приглашать.

Чечен. წაე ċje—огонь, гр. წვ-ა ċv-a—гореть, горение

Чечен. ааѳ хаѳ—знать, сван. მა-ხ-ალ ma-x-al—знание, лукавство.

Чечен. бӀоъ хиох—лук, гр. ხახ-ვ-ი xax-v-i—то же и т. д.

Более спорны такие сопоставления, как:

Чечен. гӀоргаѳ guorgaѳ—круглый, гр. მრგუ-ალ-ი mrgu-al-i—то же.

Чечен. д-уу d-uq—иго, ярмо, гр. უღ-ელ-ი uγ-el-i, сван. უღ-უ-ა uγ-w-a—иго, ярмо.

Чечен. кӀира k'ira—сердце (в отвлеченном понимании), гр. მ-კერ-დ-ი m-ḳer-d-i—грудная клетка.

Чечен. ӯу-иѳ ūq-iѳ—сухой, высохший, гр. ხმ-ელ-ი xm-el-i (др. гр. ჴმ-ელ-ი qm-el-i)—сухой.

Чечен. ааар хаат—сидение, гр. ს-ხ-დ-ომ-ა s-x-d-om-a—заседание, заседать (основа ს-ხ-ენ s-x-en ‖ ს-ხ-ედ s-x-ed), мегр. ხ-უნ-ა x-un-a ‖ ხ-ვ-ენ-ა x-v-en-a—сидеть, чан. გე-ხ-ენ ge-x-en—сидит.

Чечен. ӯӀа ūqa—зверь, дикий, гр. მ-ჯ-ეც-ი m-q-ec-i—то же.

Чечен. кӑра ḳāra—закуток для теленка в хлеву, гр. კარ-ავ-ი ḳar-av-i—шатер, კარ-ი ḳar-i—дверь.

Чечен. аттʻа ‖ ӑттʻаѳ āttʻaѳ—легкий, легко (ср. дӑаѳ däjѳ—легкий), гр. ად-ვ-ილ-ი ad-v-il-i (сван. ჰ-აშთ h-ašt)—легкий.

Чечен. ӷе-нӀ ġe-nI повый, чистый, свежий, гр. წმ-იდა ċm-id-a—чистый, святой,

Чечен. кӯо quo—навоз, гр. ნე-ხვ-ი ne-xv-i—тожс.

Весьма древние культурно-исторические связи вскрывают такие лексические схождения (частью являющиеся отражением общего языкового достояния, частью обычным в таких случаях усвоснием), как:

чечен. алард alard—стог сена, хевсур. ალერდი alerdi—веревка, витая из сена и ალერდი alerdi (по словарю С. Орбелиани)—сырое сено.

Чечеп. бӱси büsi—ночь, сван. ბაზ baz ‖ ბაზიჲ bazij—ночь, этой ночью, нӑ-боъ nä-boʒ—вечер.

Чечен. берг berg—копыто, мегр. ბორკი borḳi—нога, гр. ბრკ-ოლ-ებ-ა brḳ-ol-eb-a—препятствовать, ბორკ-ილ-ი borḳ-il-i—кандалы.

Чечеп. гӀоӀа gIola—колено, локоть, чан. ბურ-გულ-ი bur-gul-i, мегр. ბირ-გულ-ი bir-gul-i, сван. ღუ-ლა γu-la—колено.

Чечен. кӀӯсере ḳēsere—выемка на шее, гр. კისერი ḳiseri—шея.

Чечен. бӑга baga—рот, гр. ბაგე bage—уста, губы.

Чечен. тӑра ṭāra—ладонь, пятерня, гр. ტარი ṭari—рукоять, ручка.

Чечен. ნაბ nab—сон, гр. გა-ნაბ-ე-ა *ga-nab-v-a*—притаиться.

Чечн. (დ, ვ, ჲ, ბ)-იჟაჲ (d, v, j, b)—*iža*ჲ—спать, сван. უქ už—сон, ლი-უჟე li-*wže*—спать.

Чечен. წუბ დარ *ċub*dar—пиявка, гр. წ-ოვ-ა *ċ*-ov-a, წუ-წ-ნ-ა *ċu*-*ċ*-n-a—сосать.

Чечен. (ვ, ბ, დ, ჲ)-იეჭ-აჲ (v, b, d, j)-*ieq*-aჲ—делить(ся), гр. გა-ყ-ოფ-ა *ga*-*q*-op-a—делить, გა-ყ-რა *ga*-*q*-ra—разгонять, отделяться.

Чечен. ლიეფ'-აშ დუ lie͡p'-aš ju—блестит, гр. ლაპ-ლაპ-ი lap-lap-i—блеск.

Чечен. ნ̄ნა nāna—мать, занское ნანა nana, гурийское ნენა nena—мать, груз. ნანა-ნანინა nana-nanina—припев ритуальной песни, поющейся при заболевании в доме ребенка корью.

Чечен. მ̄არ mār—муж и მ̄ჲარ majr—мужчина, мужественный, сван. მ̄არე māre—человек.

Чечен. ბ̄ურ būr—дитя, чан. ბერე bere—мальчик.

Чечен. ძ'ამი͡უ ʒ'amu͡o—свадебный дружка, гр. ძმა ʒma ‖ ძამა ʒama—брат.

Чечен. ლ̆ა-თ'თ'ა la-*ṭ'ṭ'a*—земля, чан. ლეტა leṭa—земля, мегр. ლეტა leṭa—грязь.

Чечен. შუ͡ო šu͡o—год, гр. შარშან šaršan—в прошлом году.

Чечен. სურიე sürie—вечер, занск. სერი seri—ночь, гр. ხერ-ობ-ა *ser*-ob-a—вечеря.

Чечен. ტ̈ნი ṭünі—сырость, гр. ტენი ṭeni—то же.

Чечен. (ჲ, ბ, დ, ვ)-ოხ-უ (j, b, d, v)-*ovx*-uჲ—теплый, горячий, гр. ზა-ფხ-ულ-ი za-*px*-ul-i—лето, чан. მა-ფხ-ა ma-*px*-a—вёдро, сван. მა-ფხ-ა ma-*px*-a—ясное, безоблачное небо.

Чечен. ყორუ qoru—глухой, гр. ყრუ qru—то же.

Чечен. ით'თ' it'ṭ'—десять, гр. ათი ati, мегр. ვითი viti—то же.

Чечен. შ̈ური šüri—широкий, сван. მა-შრ-ი ma-*šr*-i—то же, гр. შორ-ი šor-i—далекий.

Чечен. სულა sula—овес, мтиульско-хевсурск. სვილი svili, тушинск. სვილა svila—то же.

Чечен. გალიჲ galij—мешок, гр. გვალაგი gvalagi

Чечен. ცი͡ელ ciel—мотыга, гр. ცელი celi—коса.

Чечен. ჩერთ' čert'—цыновка, гр. ჩელტი čelṭi, мегр. ჩერტი čerṭi—то же, сван. ჩელტ čelṭ—цыновка, борона.

Чечен. ძ'ჭარ ʒ'sar—плетенка из прутьев, гр. ძარი ʒari—кукурузник (плетенный), высокие стены арбы из плетенных прутьев.

Чечен. მ̄არზუხუ mārzuxu—клещи, гр. მარწუხი marc̣uxi—то же.

Чечен. ხი͡ერხ xierx—пила, гр. ხერხი xerxi—то же.

Чечен. ნ̄არს närs—огурец, гр. ნესვი nesvi—дыня

Чечен. ხი-ე *xie*ჲ—бревно, гр. ხე xé—дерево.

Чечен. თ'ალ t'al—кипарис, гр. თელა tela—ольха

Чечен. ქ'ურთ'ამ k'uot'am—курица, гр. ქათამი katami, чап. ქოთუმე kotume, мегр. ქოთომი kotomi, сван. ქათალ katal—курица.

Чечен. ქ'ორი kūri—ястреб, гр. ქორი kori—то же.

Чечен. მოზუ mozu—муха, гр. ბუზი buzi—то же.

Чечен. ჯ'ჟალი ǯ'ǯali—собака, гр. ძაღ-ლ-ი ʒaγ-l-i (ср. занск. ჯოლ-ორ-ი ǯoγ-or-i, сван. ჟეღ-უ žeγ-w)—собака.

Чечен. ფ'ოლლა p'olla—бабочка, гр. პეპელა pepela—то же.

Чечен. ციცig cicig—кошка, гр. ციცი cica, хевсур. ციცაჲ cicaj, свн. ციც cic—кошка.

На более спорных схождениях мы не останавливаемся. По мере возможности кроме ссылок на ингушско-бацбийские (цовские) языковые параллели, при наличии таковых, имеются ссылки и на другие кавказские языки. При анализе тех простых чеченских основ, которые сходятся с основами, осложненными наращением суффиксов-детерминантов в картвельских языках, автор руководствуется единственной предельной датой их схождения—предположительной датой возникновения грузинской письменности—в древнейших памятниках которой засвидетельствованы те же детерминированные основы слов, следовательно, схождение корнеслова чеченско-картвельских языков этого порядка перебрасывается далеко до возникновения грузинской письменности. Остальные схождения разновременного и разнородного по типу характера.

Предложенный автором анализ требует, по всей вероятности, более тщательной проработки и более всестороннего охвата материала, как основного, так и подсобного. Поэтому, специалистам по вопросу эта статья рекомендуется, как одна из рабочих попыток сближения одного из кавказских языков—чеченского с группой картвельских.

TH. GONIAŠVILI

RENCONTRES DES VOCABULAIRES DES]LANGUES TCHETCHENE ET KHARTHVÈLIENNES

(RÈSUMÉ)

Dans le présent article l'auteur se pose le but d'indiquer, sans approfondir l'analyse, certaines rencotres lexiques des langues tchetchéne et kharthvélienne. En partant du principe bien fondé dans la littérature concernant le parenté immémoriale des langues du Nord du Caucase evec celles du Sud, on interprète une partie des rencontres citées, comme suite de la communauté génétique des susdites langues et l'autre partie comme résultat de leur longue association dans le passé.

Une sélection est faite des mots-racines tchetchènes, peu compliqués dans leur ensemble qui, dans les langues kharthvéliennes se présentent sous la forme de raidcaux simples augmentés de suffixes, nommés déterminants (prof. A. S. Tchikobava a le premier avancé une thèse ayant une grosse, valeur scientifique—surtout pour le groupe des langues kharthvéliennes—sur les srffixes spécifiques déterminant les thèmes des mots).

Parmi les rapprochements les plus probables se détachent:

tch. ახ *ax*—moitié, grg. ნა-ხ-ევ-არ-ი na-*x*-ev-ar-i, sv. ხე-ნსგა *xe*-nsga—même

tch. აგა აga—berceau, grg. აკ-ვ-ან-ი ak-v-an-i—même

tch. ბარც barc—coteau, remblai, monticule, grg. ბორც-ვ-ი borc-v-i—coteau, ა-ბურც-ებ-ა a-*burc*-eb-a—s'enflere, coquiller (pâte, brûlure).

tch. გუოთ'ა guot'a—charrue, grg. გუთ-ან-ი *gut*-an-i même.

tch. დ-უოგ d-*uog*—coeur, grg. გ-ულ-ი *g*-ul-i—zane (=tchano-mègrèlien) გ-ურ-ი *g*-ur-i, svane გ-უ-ი *g*-w-i—coeur.

tch. ერზუო erzuo—aigle, grg. არ-წ-ივ-ი *ar*-ç-iv-i—aigle.

tch. კ'უჲ k'üj—chapeau (et toute coiffure), grg. კუ-დ-ი *ku*-d-i—même, სა-რ-კუ-ელ-ი sa-r-ku-el-i—couvercle, sv. ლი-კუ-ემ li-*kw*-em—s'habiller, sv. ლე-რე-კუ le-re-*kw*, tchane დოლო-კუ-ნუ dolo-*ku*-nu, mégr. მიკა-კუ-ნალი mika-*ku*-nali—vêtement.

tch. მაგ-არ *mag*-ar—pouvoir, grg. მაგ-არ-ი *mag*-ar-i—dur, ferme.

tch. მოკუ moqu—rasoir, grg. მახვ-ილ-ი maxv-il-i—lance.

tch. მაxა māxa—aiguille, grg. მახ-ათ-ი *max*-at-i—grosse aiguille

tch. ნიყ niq—route, grg. ნოქ-ვ-ი *nok*-v-i—route peu praticable (d'après le dictionnaire de S. Orbéliani).

tch. სჴ sa—âme, lumière; grg. სუ-ლ-ი *su*-l-i (cf. sv. კუ-ინ *kw*-in, zane შუ-რი *šu*-ri)—âme.

tch. ყაე až pomme, grg. ვაშ-ლ-ი *vaš*-li-i, zane უშკ-ურ-ი uškur-i, sv. ჭიხგ *wisg*—pomme.

tch. ჩჴ čā paille de froment, gr. ჩა-ლ-ა *ča*-l-a poille en général.

tch. ცაჰა caha—un (une), une pièce, gr. ც-ალ-ი *c*-al-i—même.

tcb. ახ-არ *ax*-ar labour, labourage; gr. ხვ-ნა *xv*-na (ancien grg. ხუ-ნა *xu*-na), mégr. ხო-ნ-უა *xo*-n-ua—même.

tch. წიეი çieo—rouge, grg. წ-ით-ე-ლ-ი ç-it-el-i—même.

tch. წი-çi—sang, sv. წ-ორ ç-or—vendetta.

tch. წაე çje—nom, dénomination, gr. წ-ოდ-ებ-ა ç-od-eb-a—appeler, nommer, წვ-ევ-ა çv-ev-a—inviter, ancien grg. მო-წ-ეს-ვ-ა mo-ç-es-v-a—même, mégr. უ-წ-უ u-ç-u—a dit, sv. ლი-წ-ჰ-ი li-ç-h-i—inviter.

tch. წაე çje—feu, gr. წვ-ა çv-a—brûler, combustion.

tch. ხჴნ(ა) *xān*(a)—savoir, sv. მა-ხ-ალ ma-*x*-al—connaissance, astuce.

tch. ხუოხ xuox—o(i)gnon, gr. ხახ-ვ-ი *xax*-v-i—même.

Moins sûres sont les juxtapositions comme:

tch. გუორგაⴰ guorgaⴰ—rond, gr. მრგუ-ალ-ი mrgu-al-i—même.

tch. დ-უყ d-uq—joug, gr. უღ-ელ-ი *uγ*-el-i, sv. უღ-უ-ა *uγ*-w-a—même.

tch. ქ̇ირა k'ira—coeur (sens abstrait), gr. მ-კერ-დ-ი m-*ker*-d-i—thorax.

tch. ეყ-იⴰ ēq-iⴰ—sec, desséché; gr. ხმ-ელ-ი *xm*-el-i (ancien gr. კმ-ელ-ი *qm*-el-i)—sec.

tch. ხაარ xaar—être assis gr. ს-ხ-დ-ომ-ა s-*x*-dom-a — séance. être assis (rd. ს-ხ-ენ s-*x*-en || ს-ხ-ედ s-*x*-ed), mègr. ხ-უნ-ა *x*-un-a || ხ-ვ-ენ-ა *x*-v-en-a être assis, tchane გე-ხ-ენ ge-*x*-en—est assis.

tch. ეჴი ēqi—bête féroce, gr. მ-კ-ეც-ი m-*q*-ec-i—même.

tch. კარა ḳāra—coin d'étable pour un veau, gr. კარ-ა-ვი *ḳar*-av-i—tente, კარი ḳari—porte.

tch. ათ'თ'ა at't'a || ათ'თ'აⴰ āt't'aⴰ—léger (cf. დიაⴰ däjⴰ même) gr. ად-ვ-ილ-ი *ad*-v-il-i (sv. ჰ-აშთ h-*ašt*)—léger.

tch. წე-ნი ṭse-ni—neuf, pure, frais, gr. წმ-იდ-ა *ṭsm*-id-a—pur' saint.

tch. ჴუო quo—fumier; gr. ნე-ხვ-ი ne-*xv*-i—même

Il y a des rapprochements qui dévoilent des liens de culture de très ancienne date. En partie elles réfléchissent le patrimoire lingual commun en partie c'est l'appropriation proprement dite et habituelle dans ce cas — la. Ce sont:

tch. ალარდ alard—meule de foin; khevsour ალერდი alerdi—corde tordue de foin et ალერდი alerdi (d'après L. Orbéliani) foin brut.

tch. ბუსი büsi—nuit; sv. ბაზ baz || ბაზიჲ bazij—nuit, dans cette nuit, ნა-ბოზ nä-boz—soir.

tch. ბერგ berg—corne du pied, mégr. ბორკი borḳi—pied. gr. ბრკ-ოლ-ებ-ა *brḳ*-ol-eb-a—empêcher, ბორკ-ილ-ი borḳ-il-i—les fers aux pieds.

tch. გუოლა guola—genou, coude; tchane ბურ-გულ-ი bur-*gul*-i, mégr. ბირ-გულ-ი bir-*gul*-i sv. ღუ-ლა *γu*-la—genou.

tch. კესერე ḳēsere—échancrure au cou; gr. კისერი ḳiseri—cou.

tch. ბაგა bāga—bouche, gr. ბაგე bage—bouche, lèores.

tch. ტარა ṭāra—paume, gr. ტარი ṭari—manche, poignée.

tch. ნაბ nab—dormir, gr. გა-ნაბ-ვ-ა ga-*nab*-v-a—demeurer coi.

tch. (დ, ვ, ჲ, ბ)-იჟაⴰ (d, v, j, b)-*iža*ⴰ—dormir, sv. უჟ už — sommeil, ლი-ჟჟე li-*wže*—dormir.

tch. წუბდარ *ṭub*dar—sangsue, gr. წ-ოვ-ა *ṭ*-ov-a, წუ-წ-ნ-ა *ṭu*-*ṭ*-n-a—sucer.

tch. (ვ, ბ, დ, ჲ)-იეყ-არ (v, b, d, j)-*ieq*-ar—diviser, partager; gr. გა-ყ-ოფ-ა ga-q-op-a—diviser, გა-ყ-რა ga-q-ra—dissiper, se séparer.

tch. ლი-ეპ-აშ ჲუ liep-aš ju—luit, gr. ლაბ-ლაბ-ი lap-lap-i —splendeur, briller.

tch. ნანა nāna—mère; zane ნანა nana, gourien ნენა nena—mère, gr. ნანა-ნანინა nana-nanina—refrain d'une chanson qu'on chante quand l'enfant tombe malade de la rougeole.

tch. მარ mār—preux et მაჯარ mājr — homme, mâle, vaillant; sv. მარე māre—homme.

tch. ბერ bēr—enfant, tchane ბერე bere—garçon.

tch. ძ'ამუო ʒ'amuo—garçon de la noce; gr. ძმა ʒma ‖ ძამა ʒama—frere.

tch. ლა-თ'თ'ა la-*t't'a*—terre, tchane ლეტა leṭa même mégr. ლეტა leṭa—boue.

tch. შუო šuo—année; gr. შარშან šaršan—l'année dernière.

tch. სურიე sürie—soir; zane სერი seri—nuit, gr. **ხერ-ობ-ა** *ser*-ob-a—soir.

tch. ტუნი ṭüni—humidité; gr. ტენი ṭeni—même.

tch. (ჲ, ბ, დ, ვ)-**ოვხ-უ**ნ (j, b, d, v)-*ovx*-un—tiède, chaud; gr. ზა-**ფხ**-ულ-ი za-*px*-ul-i—été; tchane მა-**ფხ**-ა ma-px-a—beau temps; sv. მა-**ფხ**-ა ma-*px*-a—ciel clair.

tch. ყორუ qoru—sourd. gr. ყრუ qru—même

tch. ით'თ' it't'—dix; gr. ათი ati, megr. ვითი viti—même.

tch. შური šüri—large; gr. **შორ**-ი *šor*-i—lointain, sv. მა-**შრ**-ი ma--šr-i—large.

tch. სულა sula—avoine, mtioul-khevsour. სვილი svili, touchine სვილა svila—même.

tch. გალიჲ galij—sac, gr. გვალაგი gvalagi—sac, sachet

tch. ციელ ciel—pioche; gr. ცელი celi—faux.

tch. ჩერთ' čert'—natte; gr. ჩელტი čelṭi—même, mégr. **ჩერტი** čerti—même, sv. ჩელტ čelṭ—natte, herse.

tch. ძ'ჭარ ʒ'ǰar—corbeille tressée, gr. ძარი ʒari—parois d'un chariot tressées de saules.

tch. მორზუხუ mōrzuxu—tenailles, gr. მარწუხი marçuxi—même.

tch. ხიერხ xierx—scie, gr. ხერხი xerxi—même,

tch. ნარს närs—concombre, gr. ნესვი nesvi—melon.

tch' **ხი-ეჲ** *xi*-eǰ—bûche, gr. ხე xe—arbre.

tch. თ'ალ t'al—cyprès, gr. თელა tela—aulne.

tch. ქ'უოთ'ამ k'uotam—poule, gr. ქათამი katami, tchane ქოთუმე kotume, mégr. ქოთომი kotomi, sv. ქათალ katal—même.

tch. ქ'ური kūri—vautour, gr. ქორი kori—même.

tch. მოზუ mozu—mouche, gr. ბუზი buzi—même.

tch. ჯ'ჭალი ʒ'ǰali—chien, gr. **ძალ-ლ**-ი ʒaγ-l-i (cf. zane **ჯოლ-ორ**-ი ǯoγ-or-i et sv. **ჟეღ-უ** žeγ-w)—même.

tch. ციციგ cicig—chat, gr. ციცა cica, khewsour. ციცაჲ cicaj, sv. ციც cic—chat etc.

Nous ne nous arrêtons pas à des choses moins sûres. Dans la mesure du possible à part les renvois aux parallèles dans les langues inngouches—bacbis (tsoves) on recourt à d'autres langues caucasiennes, si l'on est dans le cas de le faire. En analysant les simples thèmes (bases?) tchetchènes qui coïn-

cident avec les thèmes (bases?) augmentés ds suffixes déterminants, dans les langues kharthvéliennes, l'auteur se laisse guider par la date unique qui soit possible comme limite de leur rapprochement, quand la langue écrite géorgienne est supposée avoir fait son apparition, période durant laquelle les mêmes thèmes déterminés se trouvent attestés. Aussi les rapprochements des mots—racines des langues tchetcheno-kharthvéliennes de ce groupe sont renvoyés loin avant les origines de la littérature géorgienne. Les autres rencontres se rapportent à diverses époques et ont un caractère divers.

L'analyse proposée par l'auteur exige sans doute que les matières fondamentales et auxiliaires soient élaborées plus en détail et embrassées plus complètement. Aussi recommandons-nous aux spécialistes cet article comme une des tentatives de rapprocher l'une des langues caucasiennes, la langue tchetchène avec le groupe des langues kharthvéliennes.

გარჩეულ ჩაჩნურ სიტყვათა საძიებელი

ბგა̄ — 578
ბთ'თ'ა6 || ბთ'თ'ა6 — 589
ალარდ — 593
ახ — 577
ბხარ — 589
ახარ — 589
ბხარუო — 589
ბჯარუ͡о — 584
ბჭალ — 613
ბიელ — 613
ბარც — 578
ბე̄რ — 603
ბერგ — 594
ბრდა — 606
бу͡о — 604
ბუსი — 594
ბჭარსა̄ — 586
ბა̄გა — 596
გალი — 612
გეზგი მა̄შა — 594
გ ი͡ეზიგ — 594
გუობარ — 579
გუ͡о — 579
გუ͡от'а̄ — 580
გუ͡ола — 595
გუ͡оргаб — 579
დბა̄ყა — 598
დიქаб — 597
დუ͡ог — 582
დუჯ — 581
ერდრ̄ — 615
ე̄რზუ͡о — 584
-ე̄ყიб — 583
ეხიგ — 577
ე̄ჯა̄ — 584
თ'ალ — 616
თახანა — 593
თ'უი — 607
თ'ხოუსა — 593
-იეყаб (ვ, ბ, დ, ჲ) — 598
-иთаб — 584
ით'თ' — 610
კარა — 585
კე̄სერე — 595
კე̄სერიб ქ'აგ — 595

კირ—605
ქ'ირ—605
კუნდაღ—614
ლათ'თ'ა—605
ლიეფ'აშ—598
ლორდ—617
მახა—586
მაგარ—585
მარ—601
მარდ—601
მარშა ოდლა—598
მარშალლა—598
მელლიი—610
მოზუ—618
მორზუხ—614
მოკუ—586
მარხა—620
ნაბ—597
ნანა—599
ნარს—615
ნიყ—586
ნოტყა—608
ჲუყიი—611
ოვხუი (ჲ, ბ, დ, ვ)—609
ორშუოთ—620
პ'ერისქ'ა—621
რაღ—608
სა—586
სარაგ ‖ სარა—604
სულა—611
სურიე—607
ტარა—596
ტარა თ'ეეხნა—596
ტიელგ ‖ პიელგ—597
ტუნი—607
უშშა—602
უორ—587
ფოლლა—618
ფჰიიდ—619
ქ'ემსი—616
ქ'ირა—620
ქ'ირა—583
ქ'უდ—585
ქუორ—615
ქ'უოთ'ამ—617
ქ'ურა—618
ღუო—593
ყორუ—610
ყურყუმიე—608
შალთ—612
შიჩა—599
შუო—606
შუორთ'ა—611
შური—611
ჩა—588
ჩერთ'—613
ჩიჩ—608
ცაჰი—588
ციელ—612
ციეცვალაი—593
ციციგ—618
ძ'ამუო—604
ძ'ახალუო—604
ძ'უდ—602
ძ'უდა—602
ძ'ჭარ—614
ძ'ჭაალ—613
წენი—591
წიდ—590
წიეი—590
წად ‖ წიე—591
წად ‖ წიე—591
წუბდარ—598
ჭუ—593
ჭუპ—618
ხარა—587
ხაი—592
ხიეი—616
ხიერხ—615
ხაი—583
ჰაონულლა—607
ხულა—614
ხუხ—592
კუო—592
ჯ'ჭალი—618
ჯღარ—620
ცაე—588

სიმონ ჯანაშია

უძველესი ერთვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე[1]

აქ ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ყველა იმ ჩვენების განხილვა, რომელიც, აღებული თვალსაზრისით, მეცნიერულმა ანალიზმა შეიძლება აღმოაჩინოს წყაროების სხვადასხვა კატეგორიაში. განხილვის გარეშე ვსტოვებთ, კერძოდ, იმ საყურადღებო გარდმონაშთებს, რომლებიც ონომასტიკონშია დაცული და რომელთა შესახებაც თავის დროზე აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ერთი ცხადი და შეურყეველი სამეცნიერო საბუთი... გვიჩვენებს, რომ კავკასია ქართველ ერის თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა, რომ უძველეს დროს ქართველებს კავკასიაში არ უცხოვრიათ. სად იყო ქართველ ერის თავდაპირველი სამშობლო, ამის შესახებ საისტორიო საბუთებში, რასაკვირველია, ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ამ საყურადღებო საგნის გამორკვევას თვით ენა გვშველის. ჩვენი ეროვნების სხვადასხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უუძველესს ბინადრობისა და სამშობლოს სახელია შენახული. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა „ქართუელი“... [მორფოლოგიური ანალიზი მისგან გამოჰყოფს „სადაურობის ანუ ჩამომავლობის საკვეცს“—ელ'ს; ამის შედეგად], „სიტყვა „ქართველის“ პირველი ნაწილიც „ქართუ“ ქვეყნის სახელი უნდა იყოს“... „ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა რომ ქართ-მეგრულ შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთიდაიგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოის ტომების სახელ-წოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო. ამ სამშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადგენელს სვანებსაცა აქვთ შერჩენილი. სვანეთში ეხლა მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „ჭალდე“ ანუ ხალდე ჰქვიან. ერთი სიტყვით ხალდე ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კარდუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის“[2]...

ისტორიული გარდმონაშთების ყოველმხრივი და მკაცრი შესწავლა უთუოდ მომავალშიაც გაამდიდრებს საქართველოს ისტორიას. ამის საწინდარია ის დიდად

---

[1] იბეჭდება შემოკლებით.

[2] ივ. ა. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, ტფ. 1913, გვ. 34—35.

საგულისხმო შედეგები, რომელნიც ამ სფეროში აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის დაუღალავმა მოღვაწეობამ შესძინა მეცნიერებას.

წინამდებარე წერილში ეროვნული წყაროებიდან ჩვენ ისტორიული გარდმოცემებით ვზღუდავთ ჩვენს თემას. ამასთან ერთად თავისთავად ცხადია რომ ესოდენ შორეული, ამჟამად ჩვენ მიერ აღებული, ისტორიული ხანის შესახებ მეცნიერული ინტერესი შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ ისეთს გარდმოცემას, რომელმაც ადრევე განიცადა ლიტერატურული ფიქსაცია. ამგვარ ლიტერატურულ გარდმოცემებიდან ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში ორს ცნობას ექცეოდა და ექცევა ყურადღება. ერთი მათგანი ე. წ. „ქართლის მოქცევაშია“ დაცული, მეორე—ძველ ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს ეკუთვნის.

ლეონტი მროველისათვის ცნობა ქართველთა თავდაპირველი განსახლების შესახებ ელემენტია მისი უფრო რთული კონცეპციისა ქართველ-კავკასიელ ტომთა უძველესი ისტორიის თაობაზე. ამ კონცეპციით, ქართველები, სხვა მოძმე კავკასიელ ტომებთან ერთად, ნოეს ძის, იაფეტის, შვილისშვილის თარგამოსის შთამომავალნი არიან. მას შემდეგ რაც ნებროთმა ბაბილონს გოდოლი ააშენა, იქ ენები გაიყვნენ და გაიბნივნენ მთელს ქვეყანაზე, თარგამოსი თავისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობით წამოვიდა და ორ მთას, არარატ-მასისს, შუა დაემკვიდრა. თარგამოსის ამ სამკვიდრებელის საზღვრები იყო: აღმოსავლეთით—გურგანის (კასპიის) ზღვა, დასავლეთით—პონტოს (შავი) ზღვა, ჩრდილოეთით—მთა კავკასია და სამხრეთით—„მთა ორეთისა, რომელ არს ქურთთა ქუყანასა, პირის-პირ მიდიისა“ (შევსებული ქართლის ცხოვრება) თუ „ზღვა თერისა“ (მარიამისეული ქართლის ცხოვრება). შემდეგში, რაკი არარატისა და მასისის ქვეყანა ვეღარ იტევდა თარგამოსის გამრავლებულ მოდგმას, თარგამოსმა გაუყო შვილებს თავისი სამკვიდრებელი. ქართველების (აღმოსავლური შტოის) წინაპარს, ქართლოსს, ერგო ქვეყანა, რომელიც ისაზღვრებოდა: აღმოსავლეთიდან—ჰერეთითა და მდინარე ბერდუჯით, დასავლეთიდან—პონტოს ზღვით, ჩრდილოეთიდან—მთა ღადოთი და სამხრეთიდან—(რომ გეოგრაფიულად გავააზრიანოთ ლეონტის რთული, ან იქნებ მნუსხველთა მიერ რამდენადმე შერყვნილი, მითითება) მდ. ბერდუჯის სათავეებიდან მოყოლებული და ტაო-კლარჯეთის გასწვრივ შავ ზღვამდე განფენილი მთების სისტემით, რომელიც, სათანადო სექტორში, მტკვრის სამხრეთის შენაკადებს გაჰყოფს არაქსის აუზისაგან. მეგრელების (ქართველთა დასავლური შტოის) წინაპარს ეგროსს-კი წილად ჰხვდომია „ზღვის ყურის“ ქვეყანა, რომელსაც საზღვრავდა: აღმოსავლეთიდან—მცირე მთა ლიხი, დასავლეთიდან—ზღვა (შავი, ცხადია) და (ჩრდილოეთიდან; ტექსტში, ეს სიტყვა გამოტოვებულია)—„მდინარე მცირისა ხაზარეთისა, საძა წასწუდების წვერი კავკასიისა“ [1]. ამრიგად დაიმკვიდრეს, ლეონ-

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1906 წ., გვ. 1—3; ქართლის ცხოვრება, დასაბამით-გან მუათცხრამეტე საუკუნემდის, გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე, წევრისა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა. ნაწილი პირველი. ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ: ა. რჱველი. ჴელმეორედ დაბეჭდილი აკადემიკოს ნიკო მარის თვალმიდევნით. დასაწყისი ნაწყვეტი. პეტროგრადს, 1923, გვ. 15—17.

ტის მტკიცებით, ქართველმა ტომებმა თაეიანთი მერმინდელი (და ახლანდელი) მიწა-წყალი, გამოიარეს რა საკმაოდ გრძელი გზა ბაბილონიდან სომხეთის ზეგანზე ვიდრე „ჩრდილომდე", ე. ი., ამიერ-კავკასიის ჩრდილოეთის ზონამდე.

ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში ლეონტი მროველის ზემოთგადმოცემულ აღნაგობას მკაცრი და სამართლიანი მსჯავრი აქვს დადებული. პირველი სიტყვა აქაც აკადემიკოსს ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, რომელმაც უჩვენა რომ ლეონტი მროველის კონსტრუქცია ხელოვნური და მწიგნობრული წარმოშობისაა[1]. აკადემიკოს ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ დაუშვას რომ „იქნებ ხალხში გარდმოცემით მაინც რაიმე ბუნდოვანი თქმულება არსებობდა ქართველთა და ზემოჩამოთვლილ ტომთა მონათესაობაზე"[2]. პატივცემული მეცნიერის დასკვნით, „ლეონტი მროველმა იმ საკითხს, რომლის გამორკვევაც იკისრა, ვერ სძლია, ვერც საკმაო ცოდნა გამოიჩინა"[3]... ამრიგად, მიუღწეველი დარჩა „ჩვენი ისტორიკოსის პირველი და უმთავრესი მიზანი..., გამოერკვია კავკასიაში მცხოვრებ ერთა საზოგადოდ და განსაკუთრებით-კი ქართველების ჩამომავლობა და ნათესაობა"[4], და ამდენადვე, ლეონტი მროველის ცნობა ქართველ ტომთა უძველესი ბინადრობის ისტორიისათვის მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია.

ესევე არ ითქმის „ქართლის მოქცევის" ქრონიკაზე. ამ ქრონიკის მნიშვნელობა ჩვენი საკითხებისათვის აკადემიკოსს ივ. ჯავახიშვილს ზოგადად შემდეგნაირად აქვს გამოთქმული: „მეტად საყურადღებოა რომ ჩვენმა ძველმა მატიანემ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-მაც კარგად იცის რომ ქართველები კავკასიის თავდაპირველი მცხოვრებნი არ იყვნენ. იგი თვით მოგვითხრობს, როგორ და როდის მოვიდნენ ქართველები კავკასიაში და დასახლდნენ. „ქართლი" და ქართველთა სამეფო მაშინ, მემატიანის აზრით, კავკასიაში-კი არ იყო, არამედ სამხრეთით. იგი ამტკიცებს, ვითომც ქართველები ალექსანდრე მაკედონელს შემოჰყოლოდნენ და იმ დროიდან მოეკიდებინოთ აქ ბინა. ცნობილია რომ ალექსანდრე მაკედონელი ამიერ-კავკასიაში არას დროს არა ყოფილა, მაშასადამე ქართებს არც შეეძლოთ მას მიჰკედლებოდნენ, მაგრამ მაინც დაახლოებით მართლაც V—IV ს. ქ. წ. უნდა შემოსულიყვნენ ქართები ამიერ-კავკასიაში და თანდათან აღმოსავლეთი საქართველო დაეპყრათ"[5]. თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში" აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა „ქართლის მოქცევას" სპეციალური თავი უძღვნა, სადაც ზემოთმოტანილი შეფასება უფრო ერცლად არის გადმოცემული[6]. აღნიშნავს რა რომ ქრონიკის შემდგენელს „განზრახვა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წ. I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. მეორე შევსებული გამოცემა. ტფ., 1921. გვ. 172 შემდ.

[2] იქვე, 174.

[3] იქვე, 176.

[4] იქვე, 172.

[5] ქართველ ერის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 68.

[6] ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, დასახ. გამოც., გვ. 85 შემდ.

ჰქონია საქართველოს სამეფოს საზოგადო მატიანე დაეწერა უძველეს დროითგან, წარმართობის ხანითგან მოყოლებული"[1], პატივცემული ავტორი განმარტავს ქრონიკის ცნობას ქართველთა უძველესი ისტორიის ერთი უმთავრესი საკითხის, თავდაპირველი ბინადრობის საკითხის, შესახებ: „ერთი სიტყვით, მემატიანის აზრით ქართველები იმ დროს კავკასიაში ჯერარა ყოფილან: ქართლის მეფის ძე აზოზ ვითომც ალექსანდრე მაკედონელს მოჰყვა. ალექსანდრემ მისცა აზოს დასამკვიდრებლად მცხეთა და მერმინდელი ქართლის მთელი მიწა-წყალი. ამის შემდგომ „ესე აზოზ წარვიდა არან ქართლად მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას... და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოზ ძჱ არან ქართველთა მეფისაჲ"-ო (ციტატის წყაროდ მითითებულია თაყაიშვილის გამოცემები—„სამი ისტორ. ქრონიკა" და „ხელნაწერთა აღწერილობა", რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ს. ჯ.). ამგვარად გაჩნდა კავკასიაში პირველად ქართველთა მოსახლეობაო. მაშასადამე, ჩვენს მემატიანეს თავდაპირველი ქართლი სადღაც სამხრეთით ეგულება, იქა ყოფილა ქართველ ერის სამშობლო. რაკი ჩვენი ავტორის სიტყვით აზოზს ახალ სამფლობელოს სამხრეთით სომხითი ჰსაზღვრავდა, ქართველთა თავდაპირველი სამშობლო ქართლი სომხეთზე უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო. ამნაირი წარმოდგენა ჰქონია ჩვენს მემატიანეს ქართველთა უძველეს ისტორიის შესახებ. რაზე იყო ამგვარი შეხედულება და ეს ცნობები დამყარებული, მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანითგან არა ჩანს. არც საზოგადოდ ქართველთა ჩამომავლობისა და უძველეს ისტორიის შესახებ, არც აზოზს წინადროის ქართველებზე, არც იმის შესახებ, თუ რა დაემართათ თავდაპირველ „ქართლში" მცხოვრებ დანარჩენ ქართველებს, რომელნიც აზოს არ გამოჰყვნენ და მეფე არანთან დარჩნენ,—ყველა ამაების შესახებ მატიანეში არაფერია ნათქვამი, ერთი სიტყვაც-კი არ მოიპოვება. მაგრამ მეტად საგულისხმო და საყურადღებოა ერთი გარემოება: მემატიანეს სცოდნია რომ ეხლანდელი საქართველო და ამიერ-კავკასია ჩვენი ერის თავდაპირველი სამშობლო არ არის, რომ ქართველები წინათ კავკასიის სამხრეთით მოსახლეობდნენ და მხოლოდ შემდეგ წამოვიდნენ და დასახლდნენ ამიერ-კავკასიაში, თანამედროვე მეცნიერებაში ეს აზრი განმტკიცებულია (იხ. ქ'ლ ერის ისტორია I) და თუ ეს გარემოება ჩვენს ისტორიკოსს სცოდნია, უეჭველია მას რაღაც ძველი საყურადღებო საისტორიო წყაროები უნდა ჰქონოდა, რომელშიაც ალბათ გაცილებით მეტი ცნობები იქნებოდა, ვიდრე მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეშია შენახული"[2].

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ", რომელიღაც ძველ წყაროებზე დამყარებით, ადასტურებს იმ აზრს რომ ქართველთა თავდაპირველი სამშობლო სადღაც

[1] იქვე, 88.

[2] იქვე, გვ. 89—90 (ხაზგასმულია ყველგან ავტორის მიერ).

სომხეთის სამხრეთით მდებარეობდა. გარდა ამისა, აკადემიკოსი ჯავახიშვილი „ქართლის მოქცევაში“ სხვა საყურადღებო ჩვენებებსაც პოულობს ქართველთა ცხოვრების სხვა მხარეების შესახებაც უძველეს ხანაში. ქრონიკის ცნობა რომ აზომ ამიერ-კავკასიაში ძველი სამშობლოდან მოიყვანა „რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი“, აკად. ჯავახიშვილის აზრით, მიუთითებს გვაროვნული წყობილების გარკვეულ საფეხურისა და ექსოგამიის წესის არსებობაზე[1]. ქრონიკას დაცული აქვს აგრეთვე საყურადღებო ცნობა („თანა ჰყუანდეს კერპნი ღმერთად გაცი და გაიმ“) ქართული წარმართული პანთეონის შესახებაც:... „მემატიანეს გაცი და გაიმ ქართველთა უუძველეს ღვთაებად და კერპებად მიუჩნევია... მემატიანეს სიტყვები ოდნავ ბუნდოვანია და მკაფიოდ არა ჩანს, „არან“ მეფისა თუ ქვეყნის სახელი იყო და აზოჲ არან-ქართლისა ან და „არან-ქართველთა“ მეფის, თუ ქართლისა მეფის არანის შვილი იყო. მაგრამ სხვაფრივ მატიანისა და ცხოვრების ცნობის აზრი სრულებით ნათელია: ქართველებს თავიანთ პირველდელ სამშობლოთგან თან ორი უძველესი მამაპაპეული სალოცავი ღვთაება და კერპი მოუტანიათ“ [2].

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა დღესაც იწვევს ჩვენს ინტერესსა და ყურადღებას.

„მოქცეჲაჲ ქართლისაჲ“ ამ ნახევარი საუკუნის წინათ გახდა მხოლოდ ცნობილი მეცნიერებისათვის, როცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავმა განთქმული „შატბერდის კრებული“ შეიძინა. „კრებული“, რამდენიმე სხვა ხელნაწერთან ერთად, წიგნთსაცავისათვის ალექსისძე მესხიშვილს შეუწირავს 1888 წელს [3]. ამ ხელნაწერთა აღწერილობა იმავე წელს დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“ სამეცნიერო სარბიელზე ახლად გამოსულმა ნიკო მარმა, რომელმაც აღნიშნა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის არსებობაც [4]. როგორც „შატბერდის კრებულმა“, ისე „ქართლის მოქცევამაც“ მაშინვე მიიპყრეს მშობლიური სიძველეებით დაინტერესებული წრეების ინტენსიური ყურადღება და ჩვენი არქეოლოგ-არქეოგრაფებისა და ისტორიკოსების შესწავლის საგნად იქცნენ. შემდგომი წლის 6 იანვარს „ივერიაშივე“ ვინმე —„ეგრი“-მ (თედო ჟორდანია?) გამოაქვეყნა „ქართლის მოქცევის“ მოკლე ში-

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. I, ტფ. 1928, გვ. 147.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ ერის ისტორია, წ. I, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, ტფ. 1928, გვ. 91—92.

[3] Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, Тифлис, 1906—1912 (ქვემოთ ყველგან=Опис.), 632; ასეთივე ცნობა აქვს აგრეთვე ყველა ქვემოთ დასახელებულ ავტორს.—„ქართლის მოქცევის“ გარშემო არსებული ლიტერატურა წინამდებარე წერილში განხილულია სპეციალური თვალსაზრისით, წერილის თემასთან დაკავშირებით.

[4] „სია ხელ-ნაწერებისა, რომელიც შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა“: „ივერია“, 1888 წ., №№ 236 (ნოემბრის 9), 238, 239, 240 და 254.

„სია“ წარმოადგენს 52 ხელნაწერის მოკლე აღწერილობას. მე-14 ხელნაწერი „შატბერდის კრებულია“, რომელშიაც მე-8 თავად ნაჩვენებია: „მოქცეჲაჲ ქართლისაჲ და სხვადასხვა თქმულებანი წმ. ნინოს შესახებ, აგრეთვე ანდერძი მირიან მეფისა ძისა თვისისა მამართ რჳვისა და ცოლისა თვისისა ნანაჲსა“. „სიის“ შემდგენელის ვინაობა აღნიშნული არ არის და ჩვენ ამ შემოთხვევაში თაყაიშვილის ცნობას ვემყარებით.

ნაარსი. ავტორს „შატბერდის კრებული“ მეცხრე საუკუნის ხელნაწერად, იოვანე-დაჩის ნუსხად, მიაჩნია. ავტორის აზრით, „მ. ქ.“ შეიცავს ქრისტიანობის გავრცელების ამბავს და ნინოს ღვაწლისა და მისი ცხოვრების სრულ აღწერას. ეს უკანასკნელი ორი რედაქციითაა მოცემული: პირველი მოკლე და მარტივია და აქამდე ცნობილ ვარიანტებში უეჭველად უძველესი, მეორე-კი განერცობილია და წერილმან ამბებით შემკულ-შეზავებულიო. ავტორი აღნიშნავს აგრეთვე რომ ახალმოპოებულ წყაროში ქართველთა „ყველა მეფეებზე უწინარეს მოხსენებულია არან მეფე ქართლისა, ამას ჰყოლია შვილი აზო“, რომელიც ქ. ცხოვრების აზონს უდრისო [1]. ჯერ „იველრიაშიე“, ორი დღის შემდეგ, და მერმე-კი თავის „ისტორიაში“, იმავე წელს, დიმიტრი ბაქრაძეც შეეხო ამ შესანიშნავ მანუსკრიპტს [2]. „იველრიაში“ ბაქრაძემ გამოაქვეყნა მთელი კრებულის შინაარსი და ანდერძ-მინაწერებიც მეტნაკლებად. ბაქრაძის აზრით, „შატბერდის კრებული“ გადაწერილია აშოტის შვილის, ბაგრატ კურაპალატის, ზეობაში (826—876 წწ.), იოანე ბერის მიერ. „მოქცეეაჲ ქართლისაჲ“ შეიცავს არა მარტო ჩვენს ქრონიკას ანუ „ქართულს მოკლე მატიანეს“, როგორც მას ბაქრაძე ეძახის, არამედ წმ. ნინოს ცხოვრებასაც. „ეს მატიანე, გამოკრებული, როგორც ეტყობა, სხვა დიდის მატიანიდამ,—წერს ბაქრაძე,—ბევრში ეწინააღმდეგება ქ—ცხოვრებას; მაგალითებრ, მატიანეში პირველ ქართლის მეფედ სახელ-წოდებულია არანი, რომლის შვილი აზო თურმე მიემხრო ალექსანდრე მაკედონელსა და ალექსანდრესაგან თვით არანის სიცოცხლეშივე დადგენილ იქმნა მეფედ მცხეთაში“ [3]. ავტორი შემდეგშიაც ლაპარაკობს „ქართლის მეფის არანის ძეზე, აზოზე, რომელიც... ალექსანდრე მაკედონელმა არანის სიცოცხლეშივე დაადგინა ქართლის მეფედ“ [4]. „არც მატიანეში, არც „ქართლის მოქცევაში“, ამბობს ბაქრაძე, ჩვენ არა ვხედავთ არავითარ კვალს არც უცხოელთ მწერლობის გავლენისას და არც შემდეგ საუკუნეთა ცვლილებისას“ [5].

1890 წელს ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა „შატბერდის კრებულის“ ვრცელი აღწერილობა და თვით ქრონიკაც გამოსცა ვრავალრიცხოვანი კომენტარიებით [6]. გამომცემელმა, სხვათა შორის, ამ პუბლიკაციის წინასიტყვაობაში განსაზღვრა ქრონიკის შემკველი ხელნაწერის („შატბერდის კრებულის“) გადაწერის თარიღიც 973 წლის ახლო (უფრო წინამორბედი) პერიოდით (ეს ანგარიში ავტორს დამყარებული აქვს შატბერდის კრებულის გადამწერის იოვანე ბერაის მიერვე გადანუსხული პარხალის სახარების თარიღზე, რაც სწორედ 973

---

[1] „იველრია“, 1889 წ. № 4: „ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა“.

[2] „იველრია“, 1889 წ., № 6 და „ისტორია საქართველოსი (უძველესის დროდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)“. თხზულება დ. ზ. ბაქრაძისა. ტფ., 1889, გვ. 56—58.

[3] „ისტორია საქართველოსი“, გვ. 57—58; „იველრია“, დასახ. № .

[4] ისტორია, გვ. 79.

[5] „იველრია“, 1889 წ., № 6.

[6] სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა), გამოცემული ვრცელის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. ტფ. 1890.

წელს უდრის [1]. ეს დათარიღება მას შემდეგ ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში დიდად არ შეცვლილა [2].

ჩვენთვის საინტერესო ადგილის გამო თაყაიშვილი ამბობს: „პირველი მეფე საქართველოსი ქართლის მოქცევის ხრონიკით არის არანი, მეორე აზო, ძე არანისი, და მესამე ფარნავაზ. ქართლის ცხოვრება მეფე არანის მაგიერ ალექსანდრე მაკედონელის დროს უჩვენებს მამასახლისს სამარას"... [3].

თაყაიშვილის პირველ გამოცემას პირველი რეცენზია უძღვნა ნიკო მარმა, რომელმაც დადებითი შეფასება მისცა ნაშრომს. ამ წიგნის გამოცემასთან ერთად, გარდა იმისა, რომ ფაქტიურად მდიდრდება ჩვენი ცოდნა საქართველოს წარსულის შესახებ, ქართული მატიანეების კრიტიკა ახალს, მკვიდრ ნიადაგზე დგება და ეს არის სწორედ ამ შემთხვევაში უმთავრესიო. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ჩვენს ძეგლს შეიძლება ეწოდოს მხოლოდ სრულიად გარეგანი ნიშნების მიხედვით, იგია მოკლე ისტორიული ნარკვევი, რომელიც წინ წარუმძღვანებიათ საკუთრივ „ქართლის მოქცევისათვის"; ეს უკანასკნელი-კი სხვა არა არის რა, თუ არ წმ. ნინოს ცხორებაო. საინტერესოა, მარი ამბობს: თაყაიშვილის გამოცემა მე შევუდარე პირს, რომელიც ჩემ მიერ არის გადმოწერილი ნამდვილი ხელნაწერიდან, და აღმოვაჩინე ზოგიერთი, უმთავრესად ორთოგრაფიული, უზუსტობანი ნაბეჭდ ტექსტშიო. იქვე მართლაც ნაჩვენებია ოთხიოდე შემთხვევა დედნის ორთოგრაფიის დარღვევისა თაყაიშვილის გამოცემაში [4].

მკაცრი კრიტიკა გამოიწვია თაყაიშვილის გამოცემამ მოსე ჯანაშვილის მხრივ, რომელმაც ამ გამოცემის დეფექტები უჩვენა ჯერ პრესაში [5] და შემდეგ ცალკე ბროშურაში [6]. უკანასკნელში დაწვრილებით აღნუსხულია ჯანაშვილისეული შესწორებანი. ჯანაშვილმა სავსებით მიიღო და კიდევ უფრო მკვეთრად განავითარა დებულება იმის შესახებ რომ <„მოქცევაჲ ქართლისაჲ" ქრისტომატიაში ერთს განუყოფელ მოთხრობას წარმოადგენს [7]">, ე. ი., რომ ქრონიკა და წმ. ნინოს ცხორება მთლიანი ნაწარმოებია. თვით ქრონიკის შესახებ ჯანაშვილი, სხვათა შორის, ამბობს: „ქრისტომატიის შემადგენელს მოჰყავს ჯერ „საზოგადო მიმოხილვა" საქართველოს ისტორიისა არამიდგან მე-V—IV საუკ. ქრ. წინ ვიდრე აზოტ კურატპალატის (786—826) ძმის გვარამის დრომდე. ეს

---

[1] იქვე, წინასიტყვაობა, გვ. XVIII—XX, XLV—LXXIX.

[2] იხ. მაგ., პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ტფ. 1923, გვ. 97, 571.

[3] სამი ისტორ., LXXXVII. იგივე აზრი აქვს განმეორებული ავტორს თავისი „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა"-ს (ტფ. 1891) წინასიტყვაობაში, გვ. XXXIII.

[4] იხ. Записки Восточного отделения Русского археологического общества, т. VI, С.-П., 1892, стр. 357—362.

[5] გაზ. „ივერია" 1891 წ. № 127: „საყურადღებო საგანი (წერილი რედაქციის მიმართ)". აქ ავტორი სხვათა შორის, ამტკიცებს რომ „შატბ. კრებული" „სამეცნიერო ქრისტომატიაა" ან „ენციკლოპედია".

[6] აღვადგინე ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა" და „წმ. ნინოს ცხოვრების გასაგებ შესასწორებელი სახელმძღვანელო, შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ", ტფ. 1891.

[7] „აღვადგინე", გვ. 25.

შეადგენს I თავს ქართლის მოქცევისას"[1]. „არამი", ცხადია, ბაქრაძის „მეფე არანს" უდრის. რაც შეეხება ტექსტის აღდგენას, აქ ჯანაშვილმა, მართლაც, ბევრი გააკეთა, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ნიშიერმა ფილოლოგმაც ვერ შეამჩნია ზოგიერთი მეტად საყურადღებო მოვლენა ხელნაწერში და თაყაიშვილის წაკითხვის შესწორების საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, მიუხედავად იმისა რომ მისი ლიტერატურული გამოსვლა სწორედ ამ ამოცანას ისახავდა თავის მიზნად[2].

1893 წელს ალექსანდრე ხახანაშვილმა გამოაქვეყნა თავისი სპეციალური ნარკვევი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის წყაროების შესახებ. ამ საკითხებს ავტორი, მისივე განცხადებით, კვლავ მიჰმართავს, სხვა მკვლევართა შემდეგ, სწორედ თაყაიშვილის გამოცემების გამო. ხახანაშვილს მიმოხილული აქვს ბერძნულ-რომაული, სომხური და ქართული წყაროები, ხოლო უკანასკნელთა შორის იგი პირველ რიგში ჩერდება „ქართლის მოქცევაზე", რომელიც, ხახანაშვილის აზრითაც, შეიცავს როგორც ქრონიკას, ისე ნინოს ცხოვრებას. ქრონიკის ცნობებიდან ხახანაშვილი ყურადღებას აპყრობს ჩვენთვის საინტერესო ჩვენებასაც და ამბობს: „По этому памятнику первым грузинским царем считается не Фарнавазъ, а Аранъ, вторымъ Азо, сынъ Арана, а третьимъ Фарнавазъ"[3]. ძეგლის დათარიღებაში ხახანაშვილი იმეორებს თაყაიშვილს[4].

მეორე გამოცემა ჩვენი ძეგლისა ეკუთვნის თედო ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს, რომელმაც „მოქცევაი ქართლისაის" ტექსტი დაბეჭდა თავისი „ქრონიკების" პირველ წიგნში[5]. თავის ვრცელ წინასიტყვაობაში, რომელიც უმთავრესად „ქართლის ცხოვრებისადმი" არის მიძღვნილი, ჟორდანია შეეხო „ქართლის მოქცევასაც". ჟორდანიას მტკიცებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ განიყოფება ორ უმთავრეს ნაწილად, რომელთაც ერთმანეთთან მეტად სუსტი შინაგანი კავშირი აქვთ... შესანიშნავია რომ წ'ა ნინოს ცხოვრება, პირველს ნახევარში მოთხრობილი, თვალსაჩინოდ განსხვავდება მეორე ნახევრის მოთხრობილისაგან შინაარსით და ქრონოლოგიითაც. ხოლო ზოგი ცნობები პირველის და მეორე ნახევრისა ერთი მეორის წინააღმდეგნი არიან... პირველს ნახევარში მოთხრობილი წ'ა ნინოს ცხოვრება სხვა წყაროდამ უნდა იყოს ამოღებული, ხოლო მეორე ნახევარში მოთხრობილი—თჳთ მატიანე... პირველი უძველესი უნდა იყოს მეორეზე და უკანასკნელის ზეგავლენის გარეშე დაწერილი"[6]. „ქრონიკა ქართლის მოქცევისა

---

[1] იქვე, გვ. 25—26.

[2] ჯერ კიდევ „ივერიაში" აცნობებდა მ. ჯანაშვილი მკითხველ საზოგადოებას „რომ დედნიდამ უკვე ამოწერილი გვაქვს სიტყვა-სიტყვად, მარცვალ-მარცვლად, სტრიქონ-სტრიქონად, სრულიად უცვლელად მთელი „მოქცევა ქართლისა"-ო.

[3] Л. С. Хаханов, Источники по введению христианства в Грузии. Из I тома III выпуска «Древностей Восточных» Московского Археологического Общества. М., 1893, стр. 16.

[4] იქვე, 14—17.

[5] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტფ., 1892, გვ. 11—79.

[6] იქვე, XXVI—XXVII.

უნდა იყოს შემოკლებული პირი უძველესის საეკლესიო მატიანისა[1]. ავტორი ადარებს აგრეთვე ქრონიკას ქ. ცხოვრებასთან.

თ. ჟორდანიას გამოცემა „ქ. მოქცევისა“ უთუოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო წინ, მაგრამ ამ მკვლევრის მახვილ თვალსაც გამოეპარა ხელნაწერის ზოგიერთი საყურადღებო ფაქტი[2]. ამავე გამოცემაში ჟორდანიამ გამოაქვეყნა „შატბერდის კრებულის“ აღწერილობა, დაჩის წერილები და ანდერძ-მინაწერები; ხელნაწერის დათარიღებისათვის შემჩნეულია ხელნაწერის შინაგანი ნიშნები, სახელდობრ, ჩვენება ხელნაწერში ჩართული „ბერძენი მეფეების“ სიისა, რომელიც მოყვანილია იმპერატორ ნიკიფორემდე (963—969). ამის შემდეგ მოხსენებულიაო „კიერიჯან“, რაც, ჟორდანიას აზრით, „როგორც ჩანს... არის მეტი სახელი იმპერატორის იოანე ზემიხვესის ანუ ციმისხისი“[3]. მართალია, ჟორდანია ვერ ამჩნევს რომ ეს ჩვენება არკვევს მხოლოდ terminus ante quem non-ს, მაგრამ მისი დაკვირვება მაინც საყურადღებოა. კიერიჯანზე ჩვენ უფრო კატეგორიულად შეგვიძლია ვთქვათ რომ ეს იოანე ჩიმიშკია: „კიერიჯან“ არის, რათქმაუნდა, ბერძნული დიალექტური „კჳრ ჳან“ (ქართ. ფეოდალურ ტერმინოლოგიაზე გადმოტანით—„პატრონი იოანე“; დიალექტიზმი სწორედ სახელის თავკიდურ ბგერის ამ ფონეტიკურ განვითარებაში მდგომარეობს: ი→ჲ→ჯ; მეტი „ი“ შუაში და „ჯ“ „ჟ“-ს ნაცვლად უკვე ქართულ ნიადაგზე შეიძლება იყოს გაჩენილი) და, ჩანს, სომხური წყაროდან მომდინარეობს („კიერ“ ეს სომხური დაწერილობის *կիւր*-ის წაკითხვაა; სომეხი ისტორიკოსები იოანე ჩიმიშკის სწორედ „კჳრ-ჳან“-ობით, *կիւր ժան*, იხსენიებენ)[4]. ალბათ იმის გამო, რომ ჟორდანიას ეს გუმანი დაუსაბუთებლად ჰქონდა გამოთქმული, თაყაიშვილმა მას თავის მეორე აღწერილობაშიაც ანგარიში არ გაუწია და კვლავ გაიმეორა, ბიზანტიის იმპერატორების სია ნიკიფორემდე არის მოყვანილიო („до Никифора Кривошеина, 963—969“; Кривошеин-ი ავტორს, ალბათ, „კიერიჯან“-ის შესატყვისად აქვს დასახელებული)[5].

ჟორდანიას მოცემული აქვს აგრეთვე ვრცელი მსჯელობა ხელნაწერისა და ძეგლის მიერ აღძრულ ისტორიულ საკითხებზე[6]. ქრონიკის ჩვენთვის საინტე-

[1] იქვე, XXVII—XXVIII.

[2] სხვათა შორის, ჟორდანია ჩემულობს პრიორიტეტს ქართლის მოქცევის გამოცემაზე და ძრიმე ბრალსა სდებს პირველ გამომცემელს. უკვე 1888 წ. ჩვენ ვიკისრეთ ამ ძეგლის გადაწერა და გამოცემა, დიდი შრომით ტექსტი აღვადგინეთ, თვით ხელნაწერის არშიებზედაც დავწერეთ (!) და ცალკე რვეულშიაც გადმოვწერეთ. ეს ჩვენ მიერ აღდგენილი ტექსტია გამოყენებული პირველ გამოცემაშიო, ქრონიკები, I, XXV—XXVI, 99, 103. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ პირველ გამოცემის შეცდომათა გაზიარების საკითხი იჩენს თავს ! კიდევ უფრო უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ცნობა ფილოლოგიური ვარჯიშის შესახებ ამ უძველესი მანუსკრიპტის არშიებზე.

[3] იქვე, 103.

[4] მაგ., სტეფანოს ტარონელი; იხ. მისი ისტორია, 1885 წლის პეტერბურგის გამოც., *Սեփհանոսի Տարոնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն տիեզերական*, გვ. 150, 179, 182, 183, 184, 186, 187, 193. გელცერსაც აღნიშნული აქვს რომ ტომით სომეხ იოანეს შესახებ მისი თანამეტომენი აღტაცებით ლაპარაკობდნენ, ეძახოდნენ რა კიურ ჯან-სო. Очерк политической истории Византии: Очерки по истории Византии. Вып. I, С.-П. 1912, стр. 95.

[5] Опис., 637.

[6] იქვე, 99—122; შდრ. 94—99.

რესო ცნობასთან დაკავშირებით, ეორდანია წერს: „აქ ჩვენი ქრონიკა იძლევა ახალს ცნობებს, რომელიც ჩვენმა მატიანეებმა არ იციან: არან ყოფილა ქართლის მეფე, და არა „ტომით ბერძენი ძე იარედოსისი“ ქ. ცხ.—ბისა (1, 27)... ჩანს რომ მცხეთა ყოფილა ცალკე სამეფო ანუ სამამასახლისო; ხოლო ქართლი სხვა სამეფო ანუ სამამასახლისო. ქართლის მეფემ ანუ მამასახლისმან აზომ, ძემან არან ქართლის მამასახლისამან, ბერძნების მხარე დაიჭირა, უშველა მათ“ და, სამაგიეროდ, მცხეთა მიიღო. ალექსანდრემ, გარდა ამისა, „დაუმორჩილა მასვე ყველა მწვრილ-მწვრილნი ტომნი ქართველთ ერისა. ამნაირად ბერძნებმა პირველად შეადგინეს ერთი სახელმწიფო ქართველთ ტომისაგან და დააყენეს აზო მეფედ. ამის შემდეგ აზომ გადმოასახლა ქართლიდამ მცხეთას (მცხეთა იყო ნაწილი სარკინეთისა) თვისნი ნათესავნი და, კერპთმსახურთა ჩვეულებისამებრ, თან გადმოიტანა სანათესაო კერპები ქართლისა—გაიმ და გაცი“... [1]

1900 წელს ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა როგორც ქრონიკის, ისევე ნინოს ცხოვრების რუსული თარგმანი მრავალრიცხოვანი შენიშვნებითა და კომენტარიებით [2]. ქრონიკის ადგილი, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, აქ თარგმნილია შემდეგნაირად: „И царь Александр держал при себе Азо, сына царя Картли Арана; он дал ему во владение Мцхету и, назначив ему границами Эрети, Эгрис-цкали, Сомхитию и Црольскую гору, ушел. Между тем этот Азо отправился в Картли, к Арану, отцу своему, привел о т т у д а восемь домов и десять домов сородичей с в о и х и поселился в старой Мцхете, имея при себе богами идолов—Гаци и Гаим“ [3]. შენიშვნაში მთარგმნელი ამბობს: „Картли—бывший город и крепость в нынешнем Армазском ущельи, в шести верстах к юго-западу от Мцхеты, давший название всей Грузинской стране... Царь Картли Аран в К. Ц. неизвестен“ [4]. „По данным нашей хроники, до прихода Александра Македонского в Грузию, цари сидели в Картли или Армазе, и затем престол был перенесен в Мцхету“ [5]... ამრიგად, გამოდის რომ აზოს მთელი მიგრაცია არმაზიდან მცხეთაში გადასახლებით ამოიწურა.

„შატბერდის კრებულსა“ და „ქართლის მოქცევას“ თაყაიშვილი დაუბრუნდა კიდევ ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობაში [6]. აქ მოცემულია ხელნაწერის ძალიან ვრცელი მეცნიერული აღწერილობა. მანუსკრიპტის გარეგანი ნიშნეულობიდან ყურადღებას იქცევს აღმწერის მითითება, რომ ხელნაწერი შესრულებულია როგორც ასომთავრულით (გვ. 1—255), ისე ნუსხურით (გვ. 256—588) და ა დ გ ი ლ ა დ ი კ ი თ ხ ე ბ ა: პირველ ნაწილში—მთლიანად, ხოლო მეორე ნაწილში—ყველგან, სადაც-კი მელანი არ გახუნე-

[1] იქვე, გვ. 12, შენ. 17.

[2] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 28, Отд. 1.

[3] დასახელ. გამოცემა, გვ. 7—9.

[4] იქვე, გვ. 7, შენ. 1.

[5] იქვე, გვ. 9, შენ. 2 (მე-10 გვერდზე).

[6] Опис., т. II, стр. 632—651.

ბულა ან ეტრატი არ გაცვეთილაო. სამწუხაროდ, ზოგ ადგილას ეტრატი ძალიან დაზიანებულია, ზოგი ფურცელი, როგორც მაგ. 60 და 127, მხოლოდ სანახევროდ შენახულა, ზოგ ადგილას მელანია გადასული და სხვაგან კიდევ სიტყვები და ფრაზები განზრახ არის ამოფხეკილიო [1]. მთლად ხელნაწერს აკლია 15 ფურცელი, ამათგან 4—„ქ. მოქცევის“ (ე. ი. ქრონიკისა და ნინოს ცხოვრების) ნაწილში. გარდა ამისა, ნაგვიანევი აკინძვისას აურევიათ ხელნაწერის ფურცლებიო [2]. შემდეგ მოდის კრებულის შინაარსის დაწვრილებითი აღწერა მსჯელობით ნათარგმნი ძეგლების წარმოშობაზე და იმ თავების ბიბლიოგრაფიით, რომლებიც ამ დროისათვის უკვე გამოცემული იყო. დაბეჭდილია აგრეთვე არშიების მინაწერები, მნუსხველთა ბოლოსიტყვა - ანდერძ - მოსახსენებლები და ცალკე ტექსტები (ეპისტოლეები) მათი რუსული თარგმანითურთ. მე-7 თავად მოხსენებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელშიაც ავტორი ეხლა უკვე აერთიანებს როგორც საკუთრივ ქრონიკას, ისე ნინოს ცხოვრებასაც. ხელნაწერის ამ ნაწილის აღწერილობისათვის თაყაიშვილი, ჩანს, საკმაოდ სთვლიდა თავისი პირველი გამოცემის წინასიტყვაობას, რომელი გამოცემაც და, საერთოდ, საკითხის ლიტერატურა ნაჩვენებია იქვე შენიშვნაში [3]. ახალი (ერთადერთი) დაკვირვება აქ მხოლოდ შემდეგია: „ქართლის მოქცევის“ პირველი ორი პერგამენტის ფურცლის ტექსტი, მელნის სიფერმკრთალის გამო, განახლებულია მერმინდლელი ხელით. შემოწმება ამტკიცებს რომ ეს განახლება შესრულებულია საკმაოდ ზუსტად და წესიერად“ [4]. ეს გარემოება რომელიც მანამდის არავის არ შეუნიშნავს და არ აღუნიშნავს, ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა, იმიტომ რომ სწორედ ამ ფურცლებზეა მოთავსებული ქრონიკის ის ადგილი, რომელიც ამჟამად ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს.

„აღწერილობის“ ამაღე ნაკვეთში ე. თაყაიშვილი შეეხო ე. წ. „ჭელიშურ კრებულსა“-ც. ამ უკანასკნელის შესახებ პირველი ცნობა გამოაქვეყნა „კრებულის“ აღმომჩენმა ა. ხელაიამ [5]. ამ ნარკვევში, რომელიც საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში იყო წაკითხული მოხსენების სახით 1907 წლის დამლევს, ავტორი აღწერს ხელნაწერს და განსაკუთრებით ჩერდება „ქართლის მოქცევის“ „ვარიანტზე“, რომელიც ჭელიშურ კრებულში აღმოჩნდა. აქვე ვრცლად არის ნაჩვენები ახალი „ვარიანტის“ საკითხავ-სხვაობანი შატბერდულთან შედარებით. აქვე აღძრულია რიგი ისტორიული საკითხები. სამწუხაროდ, „ქ. მოქცევის ქრონიკას“ ჭელიშურ კრებულში აკლია პირველი ორი ფურცელი [6], სადაც მოთავსებულია სწორედ ჩვენთვის საინტერესო ცნობა, და ამიტომ ამ ხელნაწერზე ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით.

[1] იქვე, გვ. 632.

[2] იქვე, 633.

[3] იქვე, 639.

[4] „Текст первых двух пергаментных листов „Обращения Грузии“ по причине бледности чернил возобновлен позднейшею рукою. Проверка доказывает, что это возобновление сделано довольно точно и аккуратно“, იქვე, 639.

[5] „ძველი საქართველო“, ტ. I., ტფ. 1909, განყ. II, გვ. 1—29: „ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა“.

[6] იქვე, 2; Опис. II, 705.

„ქართლის მოქცევის“ ტექსტი,— როგორც ამ ჰელიშური ხელნაწერის მიხედვით პირველად, ხოლო შატბერდული კრებულის თანახმად—მეორედ,—თაყაიშვილმა დაბეჭდა, ჰელიშური ხელნაწერის აღწერასთან ერთად, „აღწერილობაში“ [1]. ეს გამოცემა ამჟამად ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში ტექსტის საუკეთესო გამოცემად ითვლება [2].

ჩვენი ნარკვევის თემა არ მოითხოვს აქ მთელი იმ ლიტერატურის განხილვას, რომელიც „შატბერდის კრებულთან“ ან „ქართლის მოქცევასთან“ არის დაკავშირებული საერთოდ. ჩვენ გვაინტერესებს ამჟამად „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის მხოლოდ ერთი ცნობა.

ზემოთმოცემული მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ ძეგლის იმ ცნობას, რომლის განმარტებისადმი მიძღვნილია ეს წერილი. უწინარეს ყოვლისა, საჭირო ხდება ცნობის ტექსტის აღდგენა, რომელიც დამახინჯებული აღმოჩნდა ყველა გამოცემაში,—მიუხედავად იმისა რომ ძეგლი, მთლიანად, და ცნობა, კერძოდ, ასეთი ინტენსიური ინტერესის, ყურადღებისა და შესწავლის საგანი იყო,—და წინაარმდეგ ჩვენი გამოცდილი ფილოლოგების განცხადებისა ტექსტის უცთომელი გამოცემის შესახებ. ეს ტექსტუალური საკითხი ჩვენ თავდაპირველად გაგვიჩნდა იმის გამო რომ ზოგიერთს სხვა ლიტერატურულ ძეგლში ყურადღება მივაქციეთ ჩვენთვის საინტერესო ცნობის ერთი ელემენტის დაჟინებულ განმეორებას ვარიანტული ფორმით. საქმე ეხება სიტყვა „არან“-ს.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია რომ უკვე ნინოს ცხოვრების შატბერდულ ნუსხაში ნათქვამია: არმაზის კერპის „მარჯულ მისა დგა კერპი ოქროჲსაჲ და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისა კერპი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გა, რ̃ნი იგი ღ̃თდ ჰქონდეს ¦მამათა თ̃ქნთა არიან ქართლით“ [3]. ის გარემოება რომ „ქართლის მოქცევის“ „მკვლევართა უმრავლესობა დაჟინებით იცავდა ქრონიკისა და ნინოს ცხორების ლიტერატურული ერთიანობის თეზისს, საკმაო საფუძველი უნდა გამხდარიყო“ „ქრონიკისა“ და „ნინოს ცხოვრების“ ამ ვა-

---

[1] Опис. II, 708—813; ჰელიშ. ხელნაწერის აღწერა—აქვე, 704—708.

[2] „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ერთი, დასაწყისი, ნაწილი უკანასკნელად დაბეჭდა განსვენებულმა პროფ. იოსებ ყიფშიძემ თავის ქრესტომატიაში: „Грузинская древнелитературная хрестоматия с древнегрузинско-русским словарем“. Петроград, 1918, გვ. 22—27. წინასიტყვაობაში გამომცემელი აღნიშნავს რომ ქრონიკის ტექსტი დაიბეჭდა ნაბეჭდი გამოცემების მიხედვით, მაგრამ შემდეგში ხელნაწერთან შედარების გზით გამოირკვა რომ ყველა წინანდელი გამოცემა ნაკლოვანი ყოფილა და სათანადო შეცთომების გასწორებას აქვე ვიძლევითო. ამ „შესწორებათა“ დაკვირვება ცხადყოფს რომ განსვენებულ მეცნიერსაც ძალიან ბევრი რამ ხელნაწერში შეუმჩნეველად დარჩენია; ვერ შეუნიშნავს მას, კერძოდ, ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ სპეციალურად გვაინტერესებს და რომელთა შესახებაც ქვემოთ არის საუბარი.

[3] Опис., II, 752; ჰელიშურ ვარიანტში „არიან ქართლით“ გადამახინჯებულა „ამიერგნ“ სახით! ესევე დაწერილობა „არიან“ დაცული აქვს თაყაიშვილს თავის პირველ გამოცემაშიაც; იხ. „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა“, ტფ., 1891, გვ. 21.—ეს ადგილი ციტირებული აქვს აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილსაც, რომელიც ასწორებს ფორმას „არიან“-ს „არან“-ად, რაც მას სპეციალურად აღნიშნული აქვს: „ხელთნაწერში შეცდომით სწერია „არიან“-ო, იხ. ქართვ. ერ. ისტ., წ. I, მესამე გამოც., გვ. 92 და შემ.

რიანტულ ფორმათა სხვაობის მიზეზების უფრო დაკვირვებული კვლევისათვის.

ასეთივე სტიმული უნდა გაეჩინა სხვა წყაროებსაც, მაგ., თეიმურაზის საქართველოს ისტორიის ერთ ცნობას. სახელდობრ, თუმცა თეიმურაზი აზოს მოსვლის ამბავში ლეონტი მროველის კონსტრუქციას იმეორებს, მაგრამ გარკვეული კონტამინაციით „ქართლის მოქცევის“ ცნობასთან: თეიმურაზი ამბობს რომ ალექსანდრემ მცხეთის ქვეყნის დაპყრობის შემდეგ „დაუტევა მუნ აზონ მთავართა თჳსთაგანი ძეჲ არიანე მთავრისა მაკედონელისა ასი ათასისა მხედრობითა, რომელნი იყუნეს იტალიელნი“ [1]... და იქვე, შენიშვნაში, განმარტავს: „სრულიად საქართველოს კათალიკოსი არსენი დიდი სწერს აზონს ძეც არიანესსა“ [2]. შემდეგ თეიმურაზი წერს:... „კვალად წარვიდა აზონ მამისა თჳსისა მიმართ არიანესსა და მოიყვანა მუნით ათი სახლი ჩინებულთა და ათასი სახლი მდაბიონი და ყოველნი დედა-წულითურთ მათით მოვიდეს და დაეშენნენ ქართლს (ესე იგი საქართველოსა შინა)“ [3]...

თეიმურაზის ეს ადგილი თავიდანვე ცნობილი იყო, მაგ., თ. ჟორდანიასათვის, ე. თაყაიშვილისათვის და სხვებისთვის, მაგრამ არც ამ ჩვენებას მიაქციეს ყურადღება. თ. ჟორდანიას ფორმა „არიანე“, ჩანს, „არანის“ დამახინჯებად მიაჩნდა, იმიტომ რომ იგი თეიმურაზის ამ ადგილის ციტაციისას პირველის გვერდით ფრჩხილებში სვამს მეორეს [4].

კიდევ უფრო უნდა გაემახვილებინა ალნიშნული საკითხი ერთ ფაქტს. 1897 წელს თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა თავისი „ქრონიკების“ მეორე წიგნში ნაწყვეტები „ნინოს ცხოვრების“ ორი ახალი „ვარიანტიდან“ (თვით ჟორდანიასვე ტერმინოლოგიით). ერთი ამ ნუსხათაგანის შესახებ ჟორდანია წერდა: „პალეოგრაფიულ ნიშნების მიხედვით ამავე დროს (XVII საუკუნეს) უნდა იყოს გადაწერილი მხედრულად ახალი ფრიად შესანიშნავი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, რომელიც ეკუთვნის მღ. ვასილ კარბელაშვილს. ამ ვარიანტს ბოლოს დამატებული აქვს ქართველ მეფეთა მოკლე ისტორია, რომელიც, როგორც შედარებიდამ ცხადდება, ამოღებულია ცნობილის იოანე ბერაძისგან გადაწერილის უძველესის ქართლის მატიანისაგან „მოქცევა ქართლისაჲ“ [5]... ამ აქვე დაბეჭდილ „ქართველ მეფეთა მოკლე ისტორიაში“ მართლაც განმეორებულია, გადამუშავებული სახით, „ქართლის მოქცევის“ თხრობა მცხეთის პირ-

[1] ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა, ს.-პ., 1848 წ., გვ. 110—111.

[2] იქვე, 110, შენ. 2.

[3] იქვე, 111.

[4] ქრნკ. 1, გვ. X.—თაყაიშვილი თეიმურაზის ცნობას სთელის ვარიანტად ქრონიკის ჩვენების მიმართ, მაგრამ შენიშნავს: „კათალიკოს არსენის ისტორიული ნაშრომი, საიდანაც თეიმურაზს ამონაწერები ჰქონდა ხელთა... ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილიო“. СМОМПК, вып. 28, стр. 9, прим. 2. ნამდვილად-კი, როგორც ქვემოთ იქნება უფრო დაწვრილებით ნაჩვენები, არსენის ის ნაშრომი, რომელიც თეიმურაზმა გამოიყენა, ისტორიული თხზულება კი არ იყო, არამედ ნინოს ცხორების ახალი რედაქცია.

[5] ქრონიკები, წ. II, გვ. 519.

ველ მეფეთა შესახებ და აქაც სამჯერ გვხვდება სიტყვა „არიან“ სწორედ ამ ფორმით. ჟორდანია სამიეჯერ ფრჩხილებში ასწორებს „უნდა «არან»-იო (იქვე, 520; ხაზგასმულია ჟორდანიას მიერვე). იგი არ დააფიქრა არც მისმა საკუთარმა მოსაზრებამ რომ ეს „მოკლე ისტორია“ ამოღებულია „იოანე ბერაძისგან გადაწერილის უძველესის ქართლის მატიანისაგან“-ო. მეორე „ვარიანტში“, რომელსაც ერთი 1732 წლის ხელნაწერი იძლევა, „ესევე ამბავი ცოტა მეტ-ნაკლებობით არის აღწერილი“ და მისი ცნობაც „ამოღებულია“ ქართლის მოქცევის ქრონიკიდამ“. აქაც ორჯერ გვხვდება ფორმა „არიან“, რაც ორიეჯერ ფრჩხილებში გასწორებულია ჟორდანიას მიერ: „უნდა «არან»“-ო[1].

ეს ახალი ვარიანტი „ნინოს ცხოვრებისა“ მთლიანად გამოსცა 1902 წელს მღ. პ. კარბელაშვილმა, რომელმაც იგი კატეგორიულად მიაწერა მეათე საუკუნის „დიდ არსენ ქართლის კათალიკოზს“. გამომცემელი აცხადებს რომ ძეგლი აღმოჩნდა 1900 წელს საეკლესიო მუზეუმის გაურჩეველ ხელნაწერთა შორის, არსენი კათალიკოზის ნაწილობრივ შენახულ კრებულში, რომელიც მე-11 ან მე-12 საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილიო[2]. გამომცემელი არას ამბობს იმის შესახებ თ.უ რა დამოკიდებულებაშია მის მიერ გამოქვეყნებული ძეგლი ვას. კარბელაშვილის კუთვნილ ხელნაწერთან და ჟორდანიას გამოცემასთან, ანდა იმის შესახებ თუ რაზეა დამყარებული მოსაზრება არსენი კათალიკოზის ავტორობის და დროის შესახებ. ეს მით უფრო საკვირველია რომ როგორც თვით გამოცემიდან ჩანს, ავტორის სახელისაგან ხელნაწერში ვითომც მხოლოდ „არ... ნი“ დარჩენილა, ხოლო ხელნაწერის საქრონოლოგიო მითითებათაგან გამომცემელს აუხსნელად დაუტოვებია, სხვათა შორის, „დიმიტრის მეფობის“ ხსენებაც, რომელიც ამავე სტრიქონში არის ვითომ მოცემული[3]. შემდეგ მოსალოდნელი იყო რომ თ. ჟორდანია და კიდევ უფრო მეტად, პ. კარბელაშვილი, რომელიც ნინოს ახალ ცხოვრებას არსენი კათალიკოზს მიაწერს, განიხილავდნენ ამ ძეგლის მოცემული თხრობის ურთიერთობის საკითხს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობასთან „არიანეს ძის აზონის“ შესახებ, რომლის წყაროდაც თეიმურაზი „სრულიად საქართველოს კათალიკოსს არსენ დიდს“ აღიარებს, როგორც ზემოთ ვნახეთ. თეიმურაზის ჩვენებას შეუძლია, რათქმაუნდა, აგრეთვე რამდენადმე შეამაგროს პ. კარბელაშვილის მოსაზრება არსენის ავტორობის შესახებ. მაგრამ ეს საკითხები არც ჟორდანიას და არც კარბელაშვილს არ აღძვრია. კარბელაშვილმაც თავის გამოცემაში ფორმა „არიან“ საეჭვოდ მიიჩნია, თუმცა არც ისე კატეგორიულად, როგორც ჟორდანიამ[4].

---

[1] იქვე, 521.

[2] ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათალიკოზის მიერ X საუკუნეში, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 10.XI—XII ხელნაწერიდგან (sic!). ტფ. 1902, „მკითხველთა მიმართ“, გვ. 53.

[3] იქვე, 52.

[4] პირველ შემთხვევაში სიტყვას გვერდით უზის კითხვითი ნიშანი, იქვე 46, მეორე შემთხვევაში დედნის ფორმას გვერდით ფრჩხილებში უზის კითხვის ნიშნიანივე „არან“, იქვე 46,. ხოლო მესამე შემთხვევაში დედნის საკითხავი „არიან“ უცვლელად არის დატოვებული, იქვე, 47.

ამის შემდეგ ბუნებრივია რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ტექსტის აღდგენის ამოცანა მხოლოდ ხელნაწერის შესწავლით თუ შეიძლება გადაწყდეს. ხელნაწერის შესწავლა კი არკვევს შემდეგს.

თხრობა აზოს შესახებ მოთავსებულია „შატბერდის კრებულის“ მე-435 გვერდზე. ეს გვერდი და, მასთან ერთად, მისი წინამორბედი მე-434 გვერდიც, სადაც იწყება „ქართლის მოქცევა“, განახლებულია, როგორც ეს აღნიშნული ჰქონდა ე. თაყაიშვილსაც (თაყაიშვილს შეცდომით აქვს ნათქვამი, განახლებულია ორი ფურცელი, ნამდვილად ეს პროცესი მხოლოდ ორ გვერდს შეჰხებია). მაგრამ მარტო ამ ფაქტის დადასტურება საკმარისი არ არის. ჯერ ერთი, უნდა მივუთითოთ რომ განახლება გამოიხატა მთელი ტექსტის ხელმეორედ დაწერაში, ძველის ზემოდან, უფრო მუქი მელნით. განახლების მიზეზი ყოფილა არა სხვა რაიმე დეფექტი ხელნაწერისა, არამედ მხოლოდ ძველი ტექსტის მელნის სიმკრთალე. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც რომ ძალიან ხშირად იკითხება ძველი ტექსტიც, იმიტომ რომ ძველი და ახალი ასოები ყოველთვის ერთმანეთს არ ჰფარავენ, თუმცა განმაახლებელი მისდევდა ძველი ნაწერის კვალს. უფრო საყურადღებოა ის გარემოება რომ წინააღმდეგ თაყაიშვილის მტკიცებისა, „განახლება შესრულებულია საკმაოდ ზუსტად და წესიერად“-ო, განმაახლებელს შეუცვლია ძეგლის ორთოგრაფია და ზოგიერთი საკითხავები. ასე, მაგ., აშკარად ჩანს რომ ძველს ტექსტში აზოს ღმერთებიდან მეორე კერპის სახელად ეწერა „გა“, ხოლო ფორმა „გაიმ“ განმაახლებელს ეკუთვნის (გვ. 435, პირველი სვეტის დასასრული). ამ მტკიცების სიმართლეს ადასტურებს „წინოს ცხოვრების“ შატბერდული ნუსხა, სადაც კერპების სახელებად მოცემულია „გაცი“ და „გა“ სამჯერ[1]. თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს, ადვილად შეიძლება დავინახოთ თუ მოვიგონებთ რომ ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში, ძველი ქართული წარმართული პანთეონის შესახებ მსჯელობისას, აკადემიკოსმა ნიკო მარმა „გაიმ“, დაბოლოების მიხედვით, ებრაული მრავლობითი რიცხვისა და, ამდენადვე, ქართულში მწიგნობრული გზით შემოსულ ფორმად მიიჩნია[2].

იმ ცვლილებებიდან, რომელნიც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის დასაწყისი გვერდების განმაახლებელს შემოუტანია, აღსანიშნავია „უ ბრჯგუ“, რომელიც ძველ ტექსტში არსად არ გვხვდება. ეს გარემოება განსაზღვრულ ფარგლებში ათარიღებს თვით განახლების საქმესაც. ვინაიდან „უ ბრჯგუ“ ქართულ მწერლობაში კათალიკოსმა ანტონი პირველმა შემოიტანა, ცხადია ხელნაწერის განახლებაც შეუძლებელია შესრულებულიყო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე. მაგრამ რადგანაც ხელნაწერი მესხიშვილების საგვარეულოდან არის გამოსული, და, როგორც ჩანს, მართლაც ცნობილს დავით რექტორს, ალექსისძე-მესხიშვილს, ეკუთვნოდა, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ რომ განახლება შესრულებულია დავითის წრეში (იქნებ თვით დავითის მიერაც) მე-18 საუკუნის დამლევს ან მე-19 საუკუნის დამდეგს, როცა მოღვაწეობდა დავითი. ამრიგად,

[1] Опис., II, 752, 761, 769; ჰელიშური ნუსხა ერთ შემთხვევაში იძლევა—„გაიც და გაცაჲ“, იქვე, 752, ხოლო ორს დანარჩენ შემთხვევაში—„გაცი“ და „გაცა“, იქვე, 761, 769.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერ. ისტ., I, მესამე გამოც., გვ. 91—94.

ქრონიკის ტექსტში შეტანილი სათანადო ცვლილებაც ამ დროს ეკუთვნის. ჩვენთვის ამ ცვლილებიდან ყველაზე საგულისხმოა, რათქმაუნდა, ის, რომელიც აზოს შესახებ თხრობაში აღმოჩნდა. სახელდობრ, იმ ფრაზაში, რომელიც შეიცავს ცნობას აზოს უკან გაბრუნების შესახებ ძველ სამშობლოში, განმაახლებელს ძველი ტექსტის ფორმა არიან შეუცვლია „არანით", უყურადღებობის გამო, უეჭველია, და არა განზრახვით. ორს სხვა შემთხვევაში-კი განმაახლებელს უცვლელად დაუტოვებია ძველი ტექსტის ფორმა „არიან". ეს ხელოვნური ფორმა, „არან", მოსწონებიათ, რატომღაც, ძეგლის გამომცემლებს და ასეთი დაჟინებით გაუვრცელებიათ იგი, სრულიად გამოჰპარვიათ რა სწორი წაკითხვა ორ ადგილას. ამგვარი შეცთომა მით უფრო გაუგებარია რომ ის მოუვიდა ძეგლის ყველა მკვლევარს და მათ შორის იმათაც, ვინც ყველა დანარჩენს ეცილებოდა ძეგლის სწორად წაკითხვაში, მოწინააღმდეგის წანაკითხს უვარგისად სთვლიდა და თავისას-კი სრულიად უცთომელად. ცხადია რომ ამგვარი შეცთომის წყარო იყო ის, სერიოზული და დინჯი მეცნიერული კვლევისათვის შეუფერებელი აჟიოტაჟი, რომელიც ძეგლის აღმოჩენამ გამოიწვია და რომელიც ეხლაც ასეთს უსიამოვნო შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს.

თუნდაც ტექსტის განახლებას არ ჰქონოდა ადგილი, თავისთავად ცხადია რომ ფორმა „არან" ვერ დაიჩემებდა უპირატესობას „არიან"-ის წინაშე, იმიტომ რომ პირველი ერთხელ გვხვდება, მეორე-კი—ორჯერ და იმიტომაც რომ მეორეს მხარს უჭერენ როგორც „ნინოს ცხორების" შატბერდული ნუსხა, ასევე ყველა სხვა ლიტერატურული ძეგლიც, რომელიც ამაევ საგანს ეხება და აშკარად „ქართლის მოქცევაზეა" დამოკიდებული.

ყოველივე ზემონათქვამის გათვალისწინებით, სავსებით დამარწმუნებელი უნდა იყოს თუ ჩვენ ფორმა „არან"-ს უკუვაგდებთ, როგორც სრულიად შემცთარს, და მის მაგიერ „არიან"-ს დავამკვიდრებთ. ამ აღდგენით, „ქართლის მოქცევის" ქრონიკის თხრობა აზოს შესახებ, საქართველოსაკენ ალექსანდრე მაკედონელის მეორე გამოლაშქრების ისტორიაში ჩართული, შემდეგ სახეს მიიღებს, ქარაგმების გახსნითა და თანამედროვე პუნქტუაციით:

> ... „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფე ყოვლისა ქუეყანისაჲ, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახჳლი. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუე. და დადგა სარკინესა დასავალით კერძო; და დასცა ვენაჯი და როჲ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუენენი; და სტაგითა რუჲსაჲთა დაჰრჩჳან ადგილსა მას ნასტაგისი.
>
> და მერმე გამოიღო სარკინე. თჳთ დაყარეს და მეოტ იქმნეს.
>
> და თანა ჰყუანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძე არიან ქართლისა მეფისაჲ. და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას: ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისა, და წარვიდა.
>
> ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა. და წარმოიყვანა რეაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი. და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყუანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გა.

და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა—აზოჲ, ძე არიან ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა".

როგორია ამ თხრობის ისტორიული ღირებულება?

უეჭველია რომ თხრობა, თუ მას მისი მთლიანი სახით ავიღებთ, სამშობლო სიძველეებით დაინტერესებული მწიგნობრის ხელოვნური კონსტრუქციაა, რომლის ცალკეული კომპონენტები არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. ასე, მაგ., აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს რომ „თვით ცნობებშიაც მემატიანეს მსხვილი შეცდომები შეჰპარვია: ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა კავკასიაში მას უტყუარ ამბავად მიაჩნია"...[1] ეს სავსებით სწორია და მოცემული ისტორიული შეცთომა[2] უეჭველობით ამეღლავნებს თვით ამბის ხელოვნურ წარმოშობას. ანაქრონისტულია თხრობაში „ჰონთა" ხსენება, რომელიც, საეჭვოა, ქარაგმის ქვეშ დასმულ „ჰურიათა" მცთარი გახსნის შედეგი იყოს, როგორც ამას ე. თაყაიშვილი ფიქრობდა[3]. თუმცა ლეონტი მროველი ასწორებს და „ჰონთა" მაგიერ „ჰურიათა" შესახებ ლაპარაკობს[4], მაგრამ ეს არის „ქართლის მოქცევისავე" სხვა ცნობის გადმოტანა წინ: „ჰურიათა" მცხეთას მოსელისა და აქ დასხდომის შესახებ ქრონიკა მოგვითხრობს მე-12 მეფობისათვის[5]. ანაქრონისტული ჩანს აგრეთვე „ბუნ-თურქთა" ხსენება ჩვენი ქრონიკის დასაწყის ნაწილში; ყოველ შემთხვევაში ეს ცნობა ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებლად არავის განუმარტავს. ხელოვნურია „ლოთის შვილთა" და „იებოსელთა ნათესავების" შემოტანა თხრობაში. ასევე ხელოვნური ჩანს ბუნ-თურქებისა და ჰონების ურთიერთობა. ხელოვნური წარმონაქმია და ეტიმოლოგიზაციის მიზანს ემსახურება ცნობა ზანავ-ხერკის დასახლების შესახებ ჰონთა მიერ, ან ვენახის გაშენებისა და რუს გამოღების შესახებ ალექსანდრეს მიერ ნასტაგისში. ამიტომ, რათქმაუნდა, საეჭვოა აკად. ივ. ჯავახიშვილი, როცა წერს:... „მკვლევარი მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანის ცნობებს დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრას და მხოლოდ თითოეულ ცნობის ღირსება-ნაკლულევანებათა აწონ-დაწონის შემდგომ ისარგებლოს"[6]. ასაწონ-დასაწონი ქრონიკაში მაინც რჩება. პატივცემული ავტორი შემდეგ განაგრძობს:... „მკაცრი კრიტიკული განხილვის შემდგომაც ამ მატიანეში აღმოჩნდა და შემდეგშიც აღმოჩნდება ზოგიერთი ძვირფასი საისტორიო ცნობები, როგორც, მაგ., ქართველთა სამხრეთით მოსვლა და გადმოსახლებაა ამიერ-კავკასიაში" და სხვებიო[7]. ჩვენი მხრით დავუმატებთ რომ, დასაწ-

[1] ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, მე-2 გამ., 90.

[2] სრულიად არ არის დამაჯერებელი, რათქმაუნდა, ის მოსაზრებები, რომლებიც ლიტერატურაში არის წარმოდგენილი „ქართლის მოქცევის" ამ შეცთომის გასამართლებლად.

[3] СМОМПК, вып. 28, отд. I, стр. 5, прим. 1.

[4] მარიამ., 12; შევს., მარის გამ., 25.

[5] Опис., II, 709—710; ლეონტი მროველი, წინაალმდეგობისაგან თავის დასაღწევად, ამ ჰურიებს ახალმოსულებად სთვლის და წინათ მოსულთაგან განარჩევს, მარიამ., 31 და შევს., 47. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც რომ ჩვენ მიერ ციტირებულ ტექსტში გვხვდება ფორმა „ჰონთა", რომლის გამოყვანა ქარაგმიან „ჰურიათა" ფორმისაგან კიდევ უფრო ძნელია.

[6] ძვ. ქართ. მწ., 90

[7] იქვე, 90—91.

ყისს ნაწილში, ქრონიკის ცნობათაგან ყურადღების ღირსია და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, კერძოდ, ცნობები ქართლის უძველესი ქალაქებისა და აზოს სამფლობელოს საზღვრების შესახებ ამიერ-კავკასიაში. მაგრამ მაინც განსაკუთრებით საინტერესოა, რათქმაუნდა, თხრობა აზოს გადმოსახლების შესახებ.

თხრობა აზოს შესახებ ხელოვნურ ისტორიულ გარემოსა და ჩარჩოშია ჩასმული, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. ეს გარემოება, ცხადია, ამცირებს თხრობის ისტორიულ მნიშვნელობას. მაგრამ, ამასთან ერთად, თხრობა შეიცავს ისეთი გარდმოცემის ელემენტებს, რომელნიც პირველი გაცნობისთანავე განათლებულ მკითხველში გარკვეული ნდობის გრძნობას იწვევენ. მათი ჩაღრმავებული ანალიზი კიდევ აქ ძველი ტრადიციის ნაკვალევს აღმოაჩენს.

გარდა თქმულებაში დაცული მოგონებისა ქართველთა მოძრაობის შესახებ ამიერ-კავკასიისაკენ სამხრეთიდან, რასაც სამართლიანად მიაქცია ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილმა, როგორც ვნახეთ, ჩვენს ინტერესს იზიდავს თხრობაში დაცული საკუთარი სახელებიც.

დავიწყოთ სიტყვა „არიან“-იდან. რა რეალურ მნიშვნელობას ატარებს იგი?

ზემოთ ნაჩვენები იყო რომ ყველა მკვლევარი „არიან“-ს (ანუ „არანს“-ს როგორც შეცთომით კითხულობდნენ დღემდე) აზოს მამის სახელად სთვლიდა. ამასთანავე უმრავლესობა ფიქრობდა რომ ეს „არიან“-ი ქართველების პირველი მეფე უნდა ყოფილიყო, თუმცა არ ჩანს რატომ. ქრონიკა ხომ მხოლოდ იმას ამტკიცებს რომ აზო იყო პირველი მეფე მცხეთაშიო. არსაიდან არ ჩანს რომ აზოს მამა იწყებს დინასტიას.

მაგრამ დავუბრუნდეთ სახელის მნიშვნელობის საკითხს. მხოლოდ აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა გამოსთქვა ეჭვი „არან“-ის ასეთი გაგების გამო, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები: „მემატიანის სიტყვები ოდნავ ბუნდოვანია და მკაფიოდ არა ჩანს, „არან“ მეფისა თუ ქვეყნის სახელი იყო“-ო. მართლაც, არ შეიძლება ითქვას რომ ქრონიკის ცნობები ამ მხრივ მთლად ნათელი იყოს. არიანის დასახელების პირველსა და მესამე შემთხვევაში შესაძლებელია ეს სახელი პირის სახელად იყოს მიჩნეული და აზოს მამისადმი მიკუთვნილი:

... აზოჲ, ძე არიან ქართლისა მეფისაჲ...

... აზოჲ, ძე არიან ქართველთა მეფისაჲ...

ასეთი შეთანხმება (პირის სახელი, ანალოგიურ სინტაქსურ კონტექსტში, უბრუნვისფორმოდ) ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია. აი მაგალითებიც.

აბო ტფილელის „წამების“ სათაურის ქვეშ წარწერილია რომ ეს ნაწარმოები არის

„გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი, ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა“[1].

გიორგი მერჩულის სიტყვით, გრიგოლ ხანძთელის ცხორება დაიწერა

[1] წმ. მოწამე აბო ტფილელი, გამოც. საეკლ., მუზეუმისა, ტფ. 1899 წ., გვ. 3.

„ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისასა“ და ა. შ. [1].

წვიმოეთის ეკლესიის წარწერაში ნათქვამია:

... „სალოცველად, ადიდენ ღ[ნ], ძლიერის ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა“ [2]...

სუმბატ დავითისძის მატიანით,

„გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ-მეფე, ძე ბაგრატ ქართველთა მეფისა“ [3]...

ამრიგად, როგორც ვთქვით, ზემოთმოტანილ ორ შემთხვევაში არაფერი გვიშლის ხელს „არიან“ გავიგოთ, როგორც პირის სახელი. მაგრამ თვით ძეგლის თვალსაზრისით ასეთი გაგება არ იქნებოდა სწორი. ამას მოწმობს მოცემული სიტყვის ხმარების მეორე შემთხვევა:

„ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა“.

აქ უკვე შეუძლებელია „არიან“ პირისსახელად იყოს მიჩნეული. ასეთი შეთანხმება ძველმა ქართულმა, და მით უმეტეს ახალმა, რათქმაუნდა, არ იცის. არც არავითარი საფუძველი ჩანს იმისათვის რომ აქ გადაწერის რაიმე შეცთომა ვიგულისხმოთ. დაუჯერებელია რომ მოცემული საკითხავი მომდინარეობდეს, ვთქვათ, შემდეგისაგან: „ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლისა მეფისა, მამისა თჳსისა“. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შესწორებისათვის ჩვენ არავითარი ობიექტური საბუთი არ გაგვაჩნია. შეიძლებოდა სიტყვების გადასმაც გვეგულისხმებინა შემდეგი სახით:

„ხოლო ესე აზოჲ წარვიდა ქართლად, არიან მამისა თჳსისა“, მაგრამ ცხადია რომ, ქრონიკის ავტორის თვალსაზრისით, ასეთი თვითნებური შესწორებაც გამოუსადეგარია—მკითხველისათვის ხომ გაუგებარი რჩება რომელ ქართლზეა აქ საუბარი. მკითხველი მხოლოდ ისტორიულ ქართლს, კავკასიის ქართლს, იცნობს. ქრონიკის ავტორის აზრკარა განზრახვა კი ისაა რომ მკითხველი დაარწმუნოს, ამ ისტორიულ ქართლს გარდა არსებობდა კიდევ სადღაც სხვაგან მეორე ქართლი, საიდანაც ჩვენი წინაპრები ახალ სამშობლოში გადმოსახლდნენ ალექსანდრე მაკედონელის დროსო. ამ ორი ქართლის გასარჩევად მას რაღაც მსაზღვრელები სჭირია, ვთქვათ ისეთივე, როგორსაც ისტორიულ ხანაში ხმარობდნენ ქართლის სხვადასხვა ნაწილების აღსანიშნავად, მაგ., „ზემო“ და „ქვემო“ (ზემო ქართლი, ქვემო ქართლი). ამგვარი მსაზღვრელის როლში გამოდის, ჩანს, სიტყვა „არიან“, რომელიც, ავტორის სიტყვახმარებაში, მხოლოდ „ძველ“ ქართლს განეკუთვნება და ამით ამ უკანასკნელს ადვილად განასხვავებს „ახალი“ ქართლისაგან. ასეთი გაგებისას, სამიეე ფრაზა, რომლებშიაც არიანია მოხსენებული, საესებით ბუნებრივი აგებულებისა (ძველი ქართლის წყობის თვალსაზრისით) გამოვა:

[1] Г. Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, აკად. მარის გამ., ს.-პ., 1911, გვ. პ.

[2] ქრონიკები, I, 143.

[3] ქ. ცხ., მარიამ., 352.

... აზოჲ, ძჲ არიან ქართლისა მეფისაჲ...
=აზო, არიან ქართლის მეფის ძე.
... ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა...
= ეს აზო წავიდა არიან ქართლში, თავის მამასთან...
... აზოჲ, ძჲ არიან ქართველთა მეფისაჲ...
= აზო, არიან ქართველების მეფის ძე.

როგორც უკანასკნელი ფრაზიდან ჩანს, მსაზღვრელი „არიან“ მიეკუთვნება როგორც ქვეყანას, ისე მის მცხოვრებთაც. ამ საკითხის, ისე როგორც სიტყვის მორფოლოგიის შესახებ, ჩვენ საუბარი გვექნება ქვემოთ, ეხლა კი საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი ძასალა მოვიტანოთ სიტყვის სემანტიკის ზემოთმოცემული განმარტებისათვის.

ამ განმარტებას უცილობლად მხარს უჭერს ნინოს ცხოვრების შატბერდული ნუსხა, რომლის მიხედვითაც ნინო ამბობს: არმაზის კერპის „მარჯულ... დგა კერპი ოქროჲსაჲ, და სახელი მისი—გაცი; და მარცხლ მისა—კერპი ვეცხლისაჲ, და სახელი მისი—გა, რნი იგი ღ˘თდ ჰქონდეს მამათა თქ˘ნთა არიან ქართლით“ [1]. აქ, რათქმაუნდა, საესებით ცხადია რომ „არიან“ სწორედ ქვეყნის სახელს მიემართება: ავტორი ლაპარაკობს იმ გაცისა და გას კერპების შესახებ, რომელნიც (გაცი და გა) ღმერთებად მიჩნეული ჰქონიათ ქართველების წინაპრებს არიან ქართლიდან. სხვანაირი გაგება აქ გამორიცხულია და ამდენადვე უნდა დავასკვნათ რომ უკვე მეათე საუკუნეში, თუ ამაზე ადრე არა, ქრონიკის „არიანი“ (ნინოს ცხორების ავტორი ხომ, ეჭვს გარეშეა, ქრონიკას ემყარება და მას იმეორებს ამ შემთხვევაში) მეფის სახელად კი არ მიაჩნდათ, არამედ ძველი ქართლის სპეციფიკურ მსაზღვრელ სახელისდებად.

ასეთივე გაგება ქრონიკის ცნობისა, იქნებ უფრო მკაფიო სახითაც, დაცული აქვს ნინოს ცხორების იმ ახალ რედაქციას, რომელიც, როგორც ენახეთ, მისმა გამომცემელმა არსენი კათალიკოზს მიაწერა. ეს ავტორიც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის თხრობას იმეორებს, მაგრამ გარკვეული გადამუშავებით კერძოდ ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლებელი და, ჩანს, მიუცილებელი იყო უკვე ფეოდალური წრის ტენდენციებს ეჩინა თავი [2]. ავტორის განცხადებით, მისი მიზანი იყო გამოერკვია ქართველების და მათი მეფეების ტომობრივი შთამომავლობა: „უწყებაჲ ჯერ არს ამისიცა, საყუარელნო, ვითარმედ ესე მეფე მირიან ანუ სხუანი მეფენი ქართველნი, რომლისა ტომისაგან იყვნეს, ანუ ქართველნი რომელთა ნათესავთა შეიღნი ვართ“ [3]. შემდეგ ავტორი მოუთხრობს,—ქრონიკის მიხედვით, მაგრამ გარკვეული ცვლილებებით,—ალექსანდრეს ლაშქ-

[1] Опис. II, 752; ჰელიშურში ჩვენ ამავე ცნობას ვგულისხმობთ, იხ. აქვე, გვ. 644, შენ. 3, მაგრამ იგი იმდენად დამახინჯებულია გადამწერთაგან რომ ამჟამად ჩვენთვის გამოუსადეგარი ხდება.

[2] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია: გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში (განაკვეთი I), ტფ., 1932, გვ. 24—26.

[3] ცხოვრება წმ. ნინოსი, დასაბ. გამოც., 46.

რობას. აქ საყურადღებოა რომ ავტორი ლაპარაკობს „საზღვართა ქართლისათა“, „ქართლისა“ და „ქუ§ყანა ქართლისა“-ს შესახებ ისტორიულ ქართლის აღსანიშნავად. ამ ისტორიულ ქართლში შემოსვლისას ალექსანდრეს „ჰყვა თანა აზოვე (ასეა საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების საეკლ. მუზ. ფონდისეულ № 518 ხელნაწერში; ნაბეჭდ გამოცემაში კია—„ახოვე“) ძე არიან ქართველთა მეფისა“, ალექსანდრემ მას „მისცა ქუ§ყანა ესე ჩუ§ნი სამეუფოდ და სამკჳდრებელად“. შემდეგ დასახელებულია აზოს სამფლობელოს საზღვრები ქრონიკის თანახმად და ნათქვამია: „ხოლო ესე აზოვე წარვიდა არიან ქართლად მამისა თჳსისა“... ეს ადგილი სხვათა შორის ამტკიცებს რომ მოცემულ ფრაზის წყობა ერთნაირი ყოფილა როგორც შატბერდულ ნუსხაში, ისე იმ ხელნაწერშიაც, რომელიც გამოყენებული აქვს არსენის (ჩვენც ასე ვუწოდოთ მას ჯერ-ჯერობით პირობითად), თუ არსენის სწორედ შატბერდული კრებული არ ჰქონდა ხელთა, რაც, რათქმაუნდა, არც აუცილებელია და არც თავისთავად ცხადი. შემდეგ ავტორი ამბობს: „ესე აზოვე[1] არს პირველი მეფე ქართველთაჲ“ და მისი შთამომავალი იყო პირველი ქრისტიანი მეფე მირიანიო. შემდეგ ავტორი დაასკვნის, იძლევა რა პასუხს აგრეთვე ქართული ენის წარმოშობის საკითხზედაც: „ჩუ§ნ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან“[2]. „არიან ქართლით-გამოსრულნი“ „არიან ქართლიდან გამოსულებს“ აღნიშნავს, ამ არიან-ქართლიდან წამოსული ხალხის შთამომავალნი ვართ ჩვენ ქართველებიო, ამტკიცებს ავტორი.

ეს მოწმობაც საკმაოდ ადრინდელ ხანას ეკუთვნის. ძეგლის პირველ გამომცემელს მის ავტორად, სრულიად დაუსაბუთებლად, როგორც ვნახეთ, X საუკუნის არსენ კათალიკოზი ჰყავს მიჩნეული[3].

ჩვენთვის ამჟამად საკმარისია იმის დადგენაც, რომ ძეგლი მე-12 საუკუნეზე გვიანდელი წარმოშობისა არ უნდა იყოს[4]. ამ ძეგლის შემდგენელიც „ქართლის მოქცევის“ ტექსტს კითხულობდა ისე, როგორც ეს ჩვენ მიერ არის აღდგენილი.

ამრიგად, უეჭველია რომ გარდმოცემის „არიან“ რჯღაც მსაზღვრელია, რომელიც ქვეყნისა და მისი მცხოვრებლების სახელს მიემართება. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს სიტყვის ფორმა — იგი უცელელი ფუძის სახი-

---

[1] საგულისხმოა მანუსკრიპტული ტრადიციის განვითარების ეს მაგალითი: ნაწილაკი „-ვე“ ავტორის შეგნებაში სახელის ფუძეს შეჰხორცებია. ამ ფაქტის გამოც საფიქრებელია რომ ავტორს ხელთ შატბერდული კრებული კი არ ჰქონდა, არამედ სხვა ხელნაწერი, რომელშიაც აზოს სახელს თან ეს ნაწილაკი ჰქონდა დართული (შატბერდულ ნუსხაში ასეთ შემთხვევას არ ვხვდებით).

[2] დასახ. გამოცემა, 46—47.

[3] შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძვ.-ქართ. საისტ. მწერლობა, I გამ., 37, II გამ., 83—84.

[4] თ. ჟორდანია ხელნაწერს პალეოგრაფიულ ნიშნებით მე-12 ს-ს მიაკუთვნებს, Опис. I 224, II 177, პროფ. კ. კეკელიძე—მე-13 ს-ს, ძვ.-ქართ. ლიტ. ისტ. I 154, მ. ჯანაშვილი-კი ხელნაწერებს № 832 და № 833 სთვლის მე-13—მე-14 ს-ისად, Опис. III, 24, 28.

თაა წარმოდგენილი. ამიტომ, ტექსტის სინტაქსური წყობით, „არიან“ მის მომდევნო სიტყვასთან ერთად კომპოზიტს შეადგენს, რომელიც ჩვენი ორთოგრაფიის თანახმად, დეფიზით უნდა იწერებოდეს („არიან-ქართლის“...). ასეთი კომპონენტის ფუნქცია შესაძლოა დაეკისროს როგორც ზედსართავ, ისე არსებით სახელს. პირველი შემთხვევის ანალოგია გვექნებოდა ჩვენი ქრონიკისაგე ცნობაში აზოს შესახებ რომ იგი

„დაჯდა ძუელ მცხეთას“.

„ძუელ მცხეთას“ რომ კომპოზიტი არ იყოს, მაშინ უნდა გვქონოდა: „დაჯდა ძუელსა მცხეთასა“ (ისევე, როგორც ქრონიკაშივე გვაქვს: „იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა“, Опис. II, 719, „შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა“, იქვე, „დაეფლა ქუემოსა ეკლესიასა“, იქვე, 720).

გეოგრაფიულ-ეთნიკური არსებით-სახელიანი კომპოზიტის მაგალითი უნდა გვქონდეს ქრონიკაშივე, იქ სადაც მოთხრობილია ნინოს ქადაგების შესახებ თიანეთში და ნათქვამია რომ ნინო

„გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა“ (იქვე, 716—717). ნინო მიდის ერწუს ოლქში და ისადგურებს აქ ჟალეთის თემის დაბა ედემში, საიდანაც ავრცელებს ქრისტიანობას. ნინოს ამ საქმიანობის შედეგად, ქრონიკის მტკიცებით, ინათლება მთელი ოლქის, ერწუს, მოსახლეობა, ე. ი., ერწუელები. მაგრამ ამ მხარეს მეორე სახელიც ჰქონია—„თიანეთი“, რომელიც საფიქრებელია, „მთიანეთისაგან“ მომდინარეობს. არსაიდან არ ჩანს რომ ერწუ და თიანეთი ავტორისათვის სხვადასხვა ერთეულები იყოს: ამ შემთხვევაში ავტორი იმავე ჩამოთვლის წესს გაჰყვებოდა, როგორიც მას ზემოთაც აქვს გამოყენებული: ნინოო, ამბობს იგი, „წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა: ჰართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა“,— და იტყოდა: „ნათელ სცა ერწუელთა და თიანელთა“-ო. თუ ავტორი ასე არ იქცევა, ეს იმას მოასწავებს რომ მის სიტყვახმარებაში „ერწუ“-ს გვერდით არსებობდა კომპოზიტური ფორმა „ერწუ-თიანეთი“-ც (როგორც დღეს—„ერწო-თიანეთი“, თუმცა დღეს ამ კომპოზიტს უკვე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს), და აქედან ნაწარმოები „ერწუ-თიანელნი“. მორფოლოგიური განსხვავება (შეთანხმების თავისებურებას ჩვენთვის ამჟამად დიდი მნიშვნელობა არა აქვს) მოცემული კომპოზიტებისა—„არიან-ქართლი“ და „ერწუ-თიანეთი“, „არიან-ქართველნი“ და „ერწუ-თიანელნი“—ისაა, რომ უცვლელი კომპონენტის ფუძე ერთ შემთხვევაში თანხმოვნიანია („არიან“-), მეორეში-კი—ხმოვნიანი („ერწუ“-). როგორც სინტაქსურად, ისე მორფოლოგიურად „არიან-ქართლთან“ უფრო ახლოს იქნება ძველ-ქართულშივე ცნობილი ისეთი ტოპონიმიკური კომპოზიტი, როგორიცაა, მაგ., „მაღრან-დვალეთი“ [1], რომელიც ამ კუთხეს განასხვავებს საკუთრივ „დვალეთი“-საგან.

---

[1] იხ., მაგ., „ძეგლი ერისთავთა“, ქრნკ., II 18; შდრ. აგრეთვე იქვე „დვალეთი“, „დვალნი“, „ქვემო-დვალნი“, „შავ-დვალნი“, 2, 6, 13—18.

ამრიგად, წარმოება „არიან-ქართლი“ და „არიან-ქართველნი“ სავსებით ეთანხმება ძველი ქართულის ნორმებს. დაგვრჩენია საკითხი ამ სახელწოდებათა რეალური მნიშვნელობის შესახებ. სად გულისხმობს ქრონიკა ამ ისტორიული ქართლისაგან განსხვავებულს არიან-ქართლს?

ქრონიკის თხრობაში დაცულია მოგონება აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ ტომთა მოძრაობის შესახებ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, თავის ისტორიულ სამკვიდრებელისაკენ, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული და, გარდა ამისა, მოგონებაც ამ მოძრაობის თვით ამოსავალი (რამდენადაც ეს ტრადიციას ახსოვდა) პუნქტის შესახებაც. ქართული გარდმოცემის სარწმუნოობა ჩვენთვის უფრო მისაღები იქნება, თუ მის განხილვას წინ წარვუმძღვანებთ მსოფლიო ისტორიის იმ ცნობებს, რომელთაც კავშირი აქვთ ჩვენს საგანთან. ჩვენ ვფიქრობთ რომ ამ ცნობების ანალიზი საშუალებას გვაძლევს საკმაოდ კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ქართების გადასვლის პროცესი ამ უძველესი, ასე ვთქვათ, „წინა-აზიური“ ყოფიდან მათი განვითარების ახალს, სავსებით ისტორიულს, „კავკასიურ“, პერიოდში.

ქართლი და მისი მცხოვრებნი მსოფლიო ისტორიაში „იბერიისა“ და „იბერების“ სახელწოდებით არიან ცნობილნი. უძველესი, ეპემიუტანელი ცნობა იბერთა შესახებ ბერძნულ მწერლობაში ეკუთვნის მეორე საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) მწერალს აპოლოდორს. ამ ცნობით, რომელიც შენახული აქვს სტრაბონს (წ. I, თ. 3, § 21), „დასაველელი იბერები (აქ იგულისხმება პირენეს ანუ იბერიის ნახევარ-კუნძულის უძველესი მოსახლეობა, რომლის შთამომავალნი არიან ბასკები, ს. ჯ.) გადმოსახლდნენ პონტოსა და კოლხეთს ზემოთ მდებარე ადგილებში, რომელთაც, აპოლოდორის სიტყვით, არმენიისაგან მდ. არაქსი ჰყოფს“. აქედან ცხადი ხდება რომ ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იბერ-ქართების ტერიტორია გაცილებით უფრო შორს იყო სამხრეთისაკენ გადაჭიმული (მდ. არაქსამდე!), ვიდრე პირველ საუკუნეში, ძვ. წ.

აპოლოდორზე ადრე, IV საუკუნისათვის, იბერებს თითქოს იხსენიებენ პლატონი და არისტოტელე, პირველი—იმ „მეომარ ხალხთა“ შორის, რომელნიც სვამენ უწყლო ღვინოს, მეორე კი ამბობს რომ „იბერების მეომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არჭობს ხოლმე, რამდენიც მტერი ჰყავს მოკლული მიცვალებულს“-ო [1]. აკადემიკოსი ლატიშევი ფიქრობდა რომ აქ სწორედ კავკასიელი იბერები, ე. ი., ქართები, იგულისხმებიან. ყოველ შემთხვევაში, აქ იბერთა ტერიტორია სრულიად განუსაზღვრელი რჩება. ცნობების მნიშვნელობა ისაა, რომ გარდა სატომო სახელის უძველესი ხსენებისა მერმინდელი ისტორიული ფორმით, ისინი შეიცავენ გარკვეულს ეთნოგრაფიულ ჩვენებებს.

ეხლა თუ ჩვენ წინამორბედ საუკუნეში გადავალთ, ჩვენს ყურადღებას ერთბაშად მიიქცევს ის გარემოება რომ „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე იბერებს ამიერ-კავკასიაში არ იხსენიებს. ჰეროდოტეს კი კავკასიის შესახებ კარგი ცნო-

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „ენიმკი-ს მოამბე“, ტ. I, 221.

ბები ჰქონდა—კოლხეთი მას საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი, იცნობდა იგი კასპიის ზღვის მხარესა და კავკასიის მთიანეთს და სარწმუნო ცნობები ჰქონდა მას კავკასიის საერთო პოლიტიკურ ვითარების შესახებ, აქემენიდების სახელმწიფოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მოასწავებს თუ არა ეს იმას რომ აღმოსავლეთის ქართველმა ტომებმა ადგილი ვერ ჰპოვეს ჰეროდოტეს ისტორიაში? ჩვენ ვფიქრობთ რომ არა, ჩვენ გვგონია რომ მ ე რ მ ი ნ დ ე ლ ი ი ბ ე რ-ქ ა რ თ ე ბ ი ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს მ ო თ ხ რ ო ბ ა შ ი „ს ა ს პ ე ზ რ ე ბ ი ს“ ს ა ხ ე ლ ი თ გ ე ე ვ ლ ი ნ ე ბ ი ა ნ.

„სასპეზრებს“ ჰეროდოტე იხსენიებს თავისი თხზულების სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა კონტექსტში და ამით საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ მათი ტერიტორიულ-ეთნიკური ადგილი სხვა ხალხთა შორის. ასე, მაგალითად, ჰეროდოტე ამბობს: „სპარსები ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელიც წითლად იწოდება; მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელების ზემოთ სასპეზრები, სასპეზრების ზემოთ—კოლხები ვიდრე ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“ (IV, 37). აქ ძალიან კარგად არის განსაზღვრული დასახელებული ხალხების ტერიტორია—ჩრდილოეთის ზღვა და ფაზისი, რათქმაუნდა, შავი ზღვა და რიონია (უკიდურეს შემთხვევაში—ჭოროხი). კოლხეთს მაშინ უჭირავს, ეს ჩვენ ვიცით სხვა წყაროებიდანაც, შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, კერძოდ—დას. საქართველო. მის სამხრეთით „წითელ“ ზღვამდე (ე. ი. სპარსეთის ყურემდე) ჰეროდოტე მხოლოდ სამ დიდ ხალხს უჩვენებს. მათგან მიდებისა და სპარსების ტერიტორია აგრეთვე კარგად არის ცნობილი. და ამ ცნობილს ტერიტორიულ ერთეულებს შორის ნათლად ირკვევა სასპეზრების მიწაწყალიც.

ჰეროდოტეს სხვა ცნობებიც ამაზე ხასიათისაა. ერთ ადგილას, უფრო მცთარი გეოგრაფიული წარმოდგენების საფუძველზე, ჰეროდოტე არსებითად იმაზე სურათს იძლევა: „სპარსების, მიდების, სასპეზრებისა და კოლხების ზემოთ, აღმოსავლეთისაკენ ერთი მხრით გადაჰიმულია წითელი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ არის კასპიის ზღვა და მდინარე არაქსი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ დის“ (IV 40). ამრიგად, აქაც, ცხადია რომ უვრცელესს, შავი ზღვიდან წითელ ზღვამდე (სპარსეთის ყურე) გადაჰიმულს, მიწაწყალზე, რომელიც შეიცავდა წინააზიის უდიდეს ნაწილს, ჰეროდოტე მხოლოდ ოთხ ხალხს ასახელებს—თუ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჩამოვყვებით—კოლხებს, სასპეზრებს, მიდებსა და სპარსებს. ეს ღირსშესანიშნავი დასკვნაა. მისი მნიშვნელობა ჩვენთვის კიდევ უფრო ნათელი გახდება თუ გავარკვევთ სახელწოდება „სასპეზრ“-ის რეალურ შინაარსს. სათანადო მასალას თვით ჰეროდოტე გვაწვდის. აქემენიდების სახელმწიფო სატრაპიების აღნუსხვისას, ჰეროდოტე მიუთითებს რომ მე-18 ოლქს შეადგენდნენ „მატიენები, სასპეზრები და ალაროდიები, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ 200 ქანჭარი“ (III 94). საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ბერძნული „ალაროდი“ იმავე „ურარტუს“ უდრის, „მატიენ“-ის შესახებ ასევე სარწმუნო უნდა იყოს რომ აქ ძველი „მიტან“-ის გამოძახილი გვაქვს. უკვე ეს მეზობლობა ბევრს რასმე არკვევს „სასპეზრების“ საკითხისა-

თვის. რომ იგი (მეზობლობა) შემთხვევითი არ არის, ეს დადასტურებულია ჰეროდოტეს სხვა ცნობაშიაც. აქ ნათქვამია რომ „ალაროდიები და სასპეჭრები მიდიოდნენ შეიარაღებულნი კოლხების მსგავსად. მათ სარდლობდა მასისტე, სიროგეტრის ძე“-ო (VII 79). ამრიგად, ალაროდიები და სასპეჭრები ერთ რაზმს შეადგენდნენ და კოლხებთან ერთად მათ ერთი ტიპის შეიარაღება ჰქონდათ. აქ უკვე მატიენები დასახელებული არ არიან. ეს იმიტომ რომ ჰეროდოტეს მატიენები ქსერქსის ლაშქარში უფრო ადრე ჰყავს მოხსენებული. იგი ამბობს: „ლიგუებს, მატიენებს, მარიანდუნებსა და სირიელებს ისეთივე შეიარაღება ჰქონდათ, როგორც პაფლაგონიელებს... პაფლაგონიელებსა და მატიენებს მეთაურობდა მეგასიდრეს ძე დოტე“-ო (VII 72).

აქემენიდთა სახელმწიფოს ეს ადმინისტრაციული ოლქები მეტნაკლებად შეესატყვისებოდნენ ძველ სახელმწიფოებს, რომლებიც დაიპყრეს სპარსელებმა. ეს სახელმწიფოები ხშირად, ჯერ კიდევ სპარსულ დაპყრობამდე, მრავალ-ტომიანი წარმონაქმნები იყო. ჰეროდოტე გადმოგვცემს უაღრესად საყურადღებო ცნობას ამგვარი სატრაპიების შედგენის წესის შესახებ: დარიოსმა, ამბობს ჰეროდოტე, დააარსა სპარსეთში 20 ადმინისტრაციული ოლქი. „დანიშნა შემდეგ ოლქების უფროსები და დააწესა გადასახადები მთავარ ეროვნებათა მიხედვით. ამასთანავე თვითეულ ეროვნებას მიაწერეს მომიჯნავე მეზობლები, ხოლო უფრო შორეული მოსახლეობა განაწილებულ იქნა მთავარ ეროვნებათა შორის“-ო (III 89). ამ ცნობის აზრი სწორედ ის არის რომ სატრაპიები მეტწილად მრავალტომიანი ოლქები იყო, ერთი რომელიმე მთავარი ხალხით, ეროვნებით. სატრაპიაში შემავალი დანარჩენი ტომები ამ მთავარი ეროვნების მეზობლები იყვნენ. ვინ წარმოადგენდა ჩვენს მე-18 ოლქში ამგვარს მთავარს, გაბატონებულ ეროვნებას? აშკარაა—სასპეჭრები. ამიტომაა სწორედ რომ ჰეროდოტე წინააზიის ოთხ უდიდეს ხალხს შორის მხოლოდ სასპეჭრებს ასახელებს, კოლხების, მიდებისა და სპარსების შემდეგ, და არა მატიენებს ან ალაროდიებს. ეს ორი უკანასკნელი ტომი პოლიტიკურად ცხადად ჩამოქვეითებული ჩანს ჰეროდოტეს დროისათვის. ალაროდიებს ჰეროდოტე მხოლოდ ორჯერ იხსენიებს, ჩვენ მიერ ზემოთციტირებულ ადგილებში. სავსებით ესეც უნდა ვთქვათ ჩვენ მატიენების, როგორც ტომის, შესახებ; მათ ჰეროდოტე უფრო ხშირად მიმართავს მხოლოდ გეოგრაფიულ განსაზღვრებათა საჭიროებისათვის. ეს ადგილები ჩვენთვის მეტად საყურადღებოა და საჭიროა მათი აქ განხილვა. წინასწარ საჭიროა შევნიშნოთ რომ შეუძლებელია ჰეროდოტეს გეოგრაფიას თანამედროვე მეცნიერული სიზუსტე მოვთხოვოთ—მის ცნობებს, თავისთავად ცხადია, შედარებითი და მიახლოებითი მნიშვნელობა აქვთ.

თავის პირველ წიგნში ჰეროდოტე გადმოგვცემს: „სპარსების ბატონობამდე სირიელები მიდიელებს ემორჩილებოდნენ, ხოლო შემდეგ—კიროსს. მიდიისა და ლიდიის სამეფოებს შორის საზღვარს წარმოადგენდა მდინარე ჰალისი, რომელიც გამოდის არმენიის მთიდან და ჯერ გაივლის კილიკიელების ქვეყანას, ხოლო შემდეგ მარჯვნივ სტოვებს მატიენებს, მარცხნივ — ფრიგიელებს; გაივლის რა ამ ქვეყნებს, მდინარე უხვევს ჩრდილოეთისაკენ და გაივლის სირიელ კაბადუკიელებს შორის, მარჯვნივ, და პაფლაგონიელებს შორის—მარცხნივ“

42. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული.

(I 72). ამ ცნობით მატიენები ცხოვრობენ მდ. ჰალისის აღმოსავლეთით და კილიკიელების ჩრდილოეთით. მატიენას დასავლეთით სამხრეთისაკენ ფრიგიაა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ—კაბადუკია და პაფლაგონია. კილიკია, ფრიგია, პაფლაგონია, მდ. ჰალისი ჩვენთვის კარგად ცნობილი ერთეულებია, რომელნიც საკმაოდ გარკვეით საზღვრავენ მატიენების ქვეყნის მდებარეობას. რომ არმენია, ჰალისის სათავეების დასახელებისას, ჰეროდოტესთვის მერმინდელი არმენია არ არის, ეს აშკარაა.

არმენია ჰეროდოტესთვის გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარეობს, რაც სრული სარწმუნოობით გამომდინარეობს „ისტორიის მამის“ შემდეგი ჩვენებიდან. ჰეროდოტე მოგვითხრობს რომ მილეთის ტირანი არისტაგორა მივიდა სპარტაში, იქაურ მეფე კლეომენთან. არისტაგორას, კლეომენთან საუბრის დროს, ხელთ ეჭირა თურმე სპილენძის რუკა, რომელზედაც „ამოჭრილი იყო დედამიწის მთელი წრე, მთელი ზღვა და ყველა მდინარე“. არისტაგორას უნდოდა დაერწმუნებინა სპარტის მბრძანებელი რომ საჭიროა იონიელების განთავისუფლება ბარბაროსების ბატონობისაგან. სახელის გარდა ეს თქვენ უდიდეს სიმდიდრესაც შეგძენთო. ყველა სხვა ხალხს, ერთად აღებულს, არა აქვს იმდენი სიმდიდრე, რამდენიც ამ ხმელეთის (იგულისხმება მახლობელი აღმოსავლეთი) მცხოვრებლებსო: უწინარეს ყოვლისა — ოქრო, შემდეგ ვერცხლი, სპილენძი, ჭრელი სამოსი, საკიდარი საქონელი და მონებიო. ცხოვრობენ იქაური ხალხები ერთი მეორის გვერდით უშუალოდ: იონიელების მეზობლად — ლიდიელები, — აქ არისტაგორამ მიუთითა თავის რუკაზე, — ლიდიელებს აღმოსავლეთით ესაზღვრებიან ფრიგიელები, ფრიგიელებს ესაზღვრებიან კაბადუკიელები, რომელთაც ჩვენ სირიელებს ვუწოდებთ, ამათ მოსდგამენ კილიკიელები, რომელნიც აღწევენ ზღვას იმ ნაწილში, სადაც კვიპროსის კუნძულია; კილიკიელების მეზობლად ცხოვრობენ არმენიები, ხოლო არმენიებს მოსდგამენ მატიენები, რომელთაც აი ეს ქვეყანა უპირავთ (აქ ალბათ იგულისხმება მითითება რუკაზე). მათ ესაზღვრება კისია, სადაც მდ. ხოასპზე არის სუსა, დიდი მეფისა და მისი საგანძურების ადგილსამყოფელიო (V 49). მაგრამ არისტაგორას ცდა მარცხით დამთავრდა, კლეომენმა უარჰყო წინადადება სპარსელების წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ და ამიტომ არც არისტაგორას „მოუხერხდა ესაუბრნა უფრო დაწვრილებით გზის შესახებ სპარსეთის მეფისაკენ“-ო (V 50 — 51). ამ საქმეს თვითონ ჰეროდოტე კისრულობს: ნამდვილად ეს გზა ამგვარია, — ამბობს იგი: მის მთელ სიგრძეზე მოწყობილია სამეფო სადგომები მშვენიერი საცხოვრებელი ბინებით, და გადის ეს გზა თავიდან ბოლომდე დასახლებულ და უშიშარ ქვეყანაზე. ლიდიისა და ფრიგიის სივრცეზე, $94^1/_2$ ფარასანგზე 20 ასეთი სადგომია. ფრიგიიდან გზა მიდის ჰალისამდე, სადაც არის კარი და მის მახლობლად ერცელი სიმაგრე... შემდეგ მოსდევს კაბადუკია კილიკიის საზღვრამდე, რაც შეადგენს 104 ფარასანგს 28 სადგომით; ამ საზღვრებში ორი კარი უნდა გაიაროთ და ორ სიმაგრესაც ჩაუაროთ. კილიკიაში ამ გზაზე $15^1/_2$ ფარასანგზე 3 სადგომია. კილიკიისა და არმენიის საზღვარს შეადგენს ევფრატი, ხომალდებისათვის სანაოსნო. არმენიაში არის 15 სადგომი $56^1/_2$ ფარასანგის სივრ-

ცეზე; აქვე არის სიმაგრე. არმენიიდან მატიენაში რომ გადავდივართ, აქ 137 ფარასანგის სივრცეზე ვპოულობთ 34 სადგომს. ამ ქვეყანაზე დის 4 ხომალდების სანაოსნო მდინარე, ყველა მათი გადასვლაა საჭირო. ამ მდინარეებიდან პირველია ტიგროსი; მეორესა და მესამეს იგივე სახელი ჰქვიან; მაგრამ ეს ერთიდაიგივე მდინარე არ არის, და არც ერთიდაიმავე ადგილიდან გამოდიან ისინი, იმიტომ რომ ერთი მათგანი მოდის არმენიიდან, მეორე-კი—მატიენიდან. მეოთხე მდინარეს ჰქვიან გუნდა... აქედან გადავდივართ კისიაში, სადაც 42½ ფარასანგის სივრცეზე 11 სადგომი მოდის ვიდრე მდინარე ხოასპამდე, რომელიც აგრეთვე სანაოსნოა ხომალდებისათვის. ამ მდინარეზე მდებარეობს ქალაქი სუსა. ამრიგად, ყველა სადგომია 111 და ამდენივე ფუნდუკი (საცხოვრებელი ბინა) გზაზე სარდიდან სუსამდეო (V 52). შემდეგ ჰეროდოტე განმარტავს რომ ფარასანგში ნაანგარიშევია 30 სტადიონი (=157,5 მეტრს) და თუ ერთი დღის გზაზე 150 სტადიონს დავსდებთ, მაშინ მთელი ამ გზის გავლას, სარდიდან სამეფო ციხე-დარბაზამდე, რომელსაც მემნონისეულს ეძახიან, დასჭირდება ზუსტად ოთხმოცდაათი დღეო (V 53).

აქაც ძნელი შესამჩნევი არ არის რომ ჰეროდოტეს გეოგრაფიულ წარმოდგენებს სიზუსტე აკლია; ეს განსაკუთრებით ჩანს მდინარეთა სათავეების განსაზღვრაში, რაც, რათქმაუნდა, სრულებით გასაკვირველი არ არის. მიუხედავად ამისა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად აქ ახალი, საყურადღებო მასალაა მოცემული. აშკარაა რომ მატიენას ჰეროდოტე ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გულისხმობს (მიაქციეთ ყურადღება სამი ტიგროსის ხსენებას). სხვაგან კიდევ ჰეროდოტე ამბობს რომ მატიენის მთებიდან გამოდის მდ. გუნდა (I 189, 202), რომელიც შემდეგშიაც მატიენების ქვეყანაზე დის (V 52) და რომ მატიენებისავე ქვეყნიდან გამოდის მდინარე არაქსიც (I 202; აქაც, უეჭველია, მდინარეების სათავეების განსაზღვრისას ჰეროდოტეს შეცთომა მოსდის). ყველა ამ ჩვენების მიხედვით უნდა მივიღოთ რომ მატიენას, ჰეროდოტეს გეოგრაფიულ წარმოდგენაში, უჭირავს მთელი ჩრდილოეთი მესოპოტამია, მერჭინდელი დიდი სომხეთის სამხრეთი ნაწილი და ანატოლიის აღმოსაველეთი ნაწილი. უკანასკნელი განსაზღვრებისათვის უნდა მოვიგონოთ ჰეროდოტეს ცნობა რომ ქსერქსეს ლაშქარში მატიენები შეადგენდნენ ერთს სამხედრო ნაწილს პაფლაგონიელებთან ერთად (VII 72). აღმოსაველეთით მატიენას საზღვარი შორავდა ქალაქ სუზას, რომლის მდებარეობაც ცნობილია, დაახლოებით 200 კილომეტრით (4725 მ × 42 ½ ფარს.). ამის შემდეგ, თუ მოვიგონებთ ჰეროდოტეს ყველა ცნობას, რომელნიც ეხებიან მატიენებს, სასპეჭრებსა და ალაროდიებს ერთად, უნდა დავასკვნათ რომ ორს უკანასკნელ ხალხს ეჭირა ადგილები უკვე მატიენების ქვეყნის ჩრდილოეთით; სასპეჭრებს — დასავლეთისაკენ, ალაროდიებს, მათი ურარტუ — არარატთან უეჭველი კავშირის გათვალისწინებით, აღმოსაველეთისაკენ. ამრიგად, სასპეჭრ-ალაროდიებს ეჭირათ, სხვათა შორის, მერმინდელი სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილიც. სასპეჭრების ადგილსამყოფელის დასაზუსტებლად უნდა კვლავ მოვიგონოთ ჩვენ მიერ თავის ადგილას ციტირებული ჩვენებანი ჰეროდოტესი (IV 37, 40) აზიის (იგულისხმება წინააზია მცი-

რე აზიისა და არაბთა ნახევარკუნძულის გამოკლებით, IV 38) მოსახლეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სასპეჯრები კოლხების უშუალო მეზობლები არიან. მაგრამ ამ საგნის შესახებ ჰეროდოტე სხვა ადგილასაც ლაპარაკობს. ერთგან ის გადმოგვცემს: „მეოტიდის ტბიდან (=აზოვის ზღვას) მდინარე ფასიდსა და კოლხების ქვეყნამდე არის 30 დღის გზა კარგი ქვეითისათვის, კოლხეთიდან მიდიამდე-კი გზა დიდი არ არის: ამ ქვეყნებს შორის მხოლოდ ერთი ხალხი ცხოვრობს — სასპეჯრები; მათ გასცდები თუ არა, უკვე მიდიაში ხარ“ (I 104). ამ ცნობის მიხედვით, სასპეჯრები უშუალოდ ემეზობლებიან დასავლეთისაკენ კოლხებს, ხოლო აღმოსავლეთისაკენ — მიდიელებს. ეს იმაზედაც მიუთითებს რომ ალაროდიები ცხოვრობდნენ სასპეჯრებს სამხრეთით, უფრო ზუსტად — სამხრეთ-აღმოსავლეთით. მაშასადამე, აღმოსავლეთისაკენ სასპეჯრები ალაროდიებზე ჩრდილოეთითაც იყვნენ მოქცეულნი. რომ სასპეჯრები მიდიელებთან უშუალო კონტაქტში იმყოფებოდნენ, ამას ჰეროდოტე ადასტურებს მეორე ადგილას, ასტიაგის შესახებ თქმულებაში: ...„მწყემსი თავის ჯოგს აძოვებდა აკბატანიდან ჩრდილოეთისაკენ, ევქსინის პონტოს მიმართულებით. იქ, სასპეჯრების ქვეყნის მხრივ, მიდია მეტად მთიანია, ამაღლებული და ხშირი ტყით დაფარული; მიდიის დანარჩენი ნაწილი-კი სრულიად ვაკეა“ (I 110). თუ ამ ცნობებს დავუკავშირებთ სამეცნიერო მწერლობაში შემჩნეულსა და საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს რომ სასპეჯრების სახელმა თავი შემოინახა ძველი ქართული პროვინციის, — ბაგრატიონთა განთქმული გვარის სამშობლოსა და დომენის, — „სპერის“ სახელწოდებაში, რომელიც კარგად არის დადასტურებული ძველს ქართულსა და სომხურ წყაროებში, უფლება გვექნება დავასკვნათ რომ მეექვსე-მეხუთე საუკუნეების მიჯნაზე სასპეჯრებს უჭირავთ ევფრატის სათავეები და არზრუმის მხარე, მიახლოებით — ერზინჯანამდე, ჭოროხის აუზის ზემოთა ნაწილი, არაქსის აუზის მთელი ზემოთა და შუა ნაწილი და, საფიქრებელია, რომ მერმინდელი იბერიის, საკუთრივ ქართლის, უმნიშვნელოვანესი ნაწილიც. იქნებ უკვე იმ დროს სასპეჯრების გავლენა კავკასიონამდე სწვდებოდა; ეს საგულისხმებელი ხდება ჰეროდოტეს რიგი ცნობების შედარებითი ანალიზის ნიადაგზე: კავკასიონამდე ყველა ხალხი აღიარებს სპარსელების ხელმწიფებას, ხოლო იმავე დროს კოლხების გვერდით და კოლხებსა და მიდიელებს შუა, ჰეროდოტეს მტკიცებით, მ ხ ო ლ ო დ სასპეჯრები ცხოვრობენ; მაშასადამე, პირველი მტკიცებაც სპარსელების გავლენის ქვეშ მყოფ სასპეჯრებს უნდა გულისხმობდეს, კოლხებთან ერთად. სასპეჯრების ტერიტორიის განსაზღვრებისათვის ჩვენ ქვემოთ ვუჩვენებთ დამატებითს მასალას.

უკვე ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით აშკარა უნდა იყოს რომ ჰეროდოტეს სასპეჯრები მ ე რ მ ი ნ დ ე ლ ი ბ ე რ ძ ე ნ ი მ წ ე რ ლ ე ბ ი ს ი ბ ე რ ე ბ ი ა რ ი ა ნ. არავითარი სხვა რაციონალური ახსნა არ შეიძლება მოვუძებნოთ არც იმ კითხვას თუ ვინღა უნდა იყვნენ სასპეჯრები და სად გაქრნენ ისინი შემდეგში ასე უკვალოდ, უკეთუ მათ მხოლოდ სახელი არ გამოიცვალეს „იბერებად“, არც იმ კითხვას, თუ საიდან გაჩნდნენ ასე მოულოდნელად ეს იბერები.

მაგრამ ამ გაიგივებას მხარს უჭერს სატომო სახელების ანალიზი, რომელსაც ერთი ფუძიდან გამოჰყავს ორივე სახელი. ჩვენ აღარ გავიმეორებთ სათანადო მსჯელობას, რომელიც სხვა ადგილას იყო მოცემული „იბერის“ ისტორიის გარშემო [1]. აქ გვინდა დაეუმატოთ ზოგიერთი ახალი მოსაზრება.

ჰეროდოტეს შემდეგ ახალი ცნობა სასპეჭრების შესახებ მოეპოვება ქსენოფონტეს, რომელმაც პირადად გაიარა 401 წ. ძვ. წ., მატიენ-სასპეჭრების ქვეყანა. ქსენოფონტეს ცნობიდან ჩანს რომ გასული ერთი საუკუნის განმავლობაში ამ მხარეებში ბევრი რამე გამოცვლილა. სხვას რომ თავი დავანებოთ, აღსანიშნავია შემდეგი: სასპეჭრები კვლავ განაგრძობდნენ სპარსელებისაგან დაძოკიდებულებაში ყოფნას; ალბათ სწორედ ამ ხანგრძლივი სპარსული გავლენის შედეგად სასპეჭრების სამხრეთი, ჩანს, რამდენადმე მოშლილა — მათგან გამოყოფილნი უნდა იყვნენ ქსენოფონტეს მიერ ცალკე მოხსენებული ტაოხები, რომელნიც მერმინდელ ტაოს უკავშირდებიან, და ფასიანები, რომელნიც მდ. ფასიდს, ამ შემთხვევაში — არაქსს, უკავშირდებიან. ამასთან უაღრესად საყურადღებოა რომ სასპეჭრების სახელი ქსენოფონტეს ა ხ ა ლ ი ფ ო რ მ ი თ აქვს მოცემული: იგი ამბობს რომ ლაშქრობის დროს „ფასიანებსა და ჰესპერიტებს ტირიბაზი“ სარდლობდაო (VII, თ. 8, § 25).

შემდეგ საპიროა აპოლონი როდოსელის (III ს., ძვ. წ.) ჩვენებაც მოვიგონოთ, რომლის თანახმადაც „საპეჭრები“ ბეხეჭრებსა და ბუზერებს შორის ცხოვრობენ („არგონავტიკა“, II 394—396); სხვა ადგილას აპოლონი ამ ხალხს „ამაყ საპეჭრებს“ ეძახის და იმავე ტომებს შორის, იმავე ადგილას (შაი ზღვის სანაპიროზე, სამხრეთ კოლხეთში) ათავსებს (იქვე, II 1243). აპოლონი, რათქმაუნდა, იმეორებს რომელიღაც უფრო ძველ წყაროს.

სასპირთა ქვეყნის სახელწოდებას, რამდენადმე განსხვავებული ფორმით, იცნობს სტრაბონიც. არმენიების წარმოშობის ისტორიაში იგი ამბობს რომ არმენიების მამათმთავრის, არმენის, თანამგზავრებმა დაასახლეს აკილისენა და სუსპირიტიდა კალახანამდე და ადიაბენამდე (XI, თ. 4, § 8). ამავე ცნობას ახალი რედაქციით სტრაბონი იმეორებს სხვაგან: „არმენის თანამგზავრთაგან ზოგმა დაიკავა აკილისენა... ხოლო სხვები დასახლდნენ სუსპირიტიდაში კალახენამდე და ადიაბენამდე არმენიის საზღვრებს გარეთ“ (XI, თ. 14, § 12). მესამე ადგილას კიდევ სტრაბონი ამბობს: „სუსპირიტიდაში კაბალასთან არის ოქროს მაღაროები, სადაც გაგზავნილი იყო, ალექსანდრეს მიერ, მემნონი ჯარისკაცებითურთ, მაგრამ მკვიდრმა მცხოვრებლებმა ის უკუაგდეს“-ო (XI, თ. 14, § 9). ყოველ ეჭვს გარეშეა რომ სუსპირიტიდას ქვეშ სტრაბონი ასწერს იმავე „სასუბარო“-ს, გარდმონაშთის სახით ძველ-ქართულ პროვინცია „სპერ“-ში თავ-შემონახულს [2].

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი; „ურარტუ“, ეურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937 წ., № 10.

[2] ეს წერილი უკვე მზად იყო, როცა შევნიშნეთ რომ არსებითად ანალოგიურ შეხედულებას სასპერ-საბერებზე იცავდა თურმე თავის დროზე კავკასიის ცნობილი მკვლევარი, პ. უ ს ლ ა რ ი თავის Древнейшие сказания о Кавказе-ში (Т. 1881). აქ ერცელი მსჯელო-

აგრეთვე ძველი წყაროს არა ნაკლებ საყურადღებო ცნობის გამოყენება უნდა გვქონდეს ჩვენ ევსევი კესარიელთან (IV ს. პირვ. ნახევარი, ახ. წ.), რომელიც, ჩამოსთვლის რა ნოეს მესამე შვილის, იაფეტისაგან, შთამომავალ ტომებს, ამბობს: „ეს არიან ტომები ნოეს მესამე ძის, იაფეტისაგან, მიდიიდან ვიდრე სპერიამდე (ad Speriam) ოკეანეს მხრიდან აკვილონამდე ვრცელდებიან შემდეგნაირად"... შემდეგ ჩამოთვლილია ძველი ხალხებისათვის ცნობილი ტომები აზიისა და სკვითია-სარმატიისა, ისევე როგორც ამ ტომების ქვეყნები (SC I 667). აღნაგობა, თავისთავად ცხადია, მთლიანად ხელოვნურია. სახელწოდება „სპერიაც" მწიგნობრული წარმოშობისა უნდა იყოს თვით ევსევისათვის და, როგორც მიდიასთან მისი შეპირისპირებიდან შეიძლება დავასკვნათ, იქნებ ჰეროდოტესავე ცნობის ნაგვიანევ გადამუშავების ნაყოფი იყოს. ჩვენთვის საინტერესოა ამ შემთხვევაში მხოლოდ სიტყვის ფორმა, რომელსაც სავსებით მხარს უჭერს ისტორიულ ხანამდე შემონახული ადგილის სახელწოდება „სპერი", არაბულ-თურქულ ენობრივ წრეში სახეცვლილი უკვე „ისპირ"-ად (ამ ენების წესის თანახმად, რომელიც ვერ ითმენს თანხმოვანთა თავმოყრას სიტყვის დასაწყისს; შდრ. „ახლათი" — ხლათი, „სუხუმი" — ცხუმი და მრავ. სხვა)[1].

ზემოთმოტანილი ფაქტების ენობრივი განმარტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტეფანე ბიზანტიელის, გეიანდელ-რომაული ხანის მწერლის, ჩვენებას. თავის ლექსიკონში „საპედრა" სიტყვის ქვეშ სტეფანე ამბობს: „საპედრები — ხალხია პონტოს მხარეში, რომელიც ამჟამად იწოდება β-ს მეშვეობით საევედრებად (Σάβειρες)". თუ სტეფანე აქ იმეორებს რომელსამე ძველ წყაროს, მაშინ შესაძლებელია ბეტას აქ ქართული ბანის ფონეტიკური მნიშვნელობაც ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ვინიანი ფორმაც ჩვენთვის მეტად საყურადღებოა: იგი გვაგულისხმებინებს რომ ან „π" ჰეროდოტე-ქსენოფონტე-სტრაბონის ფორმებში ადგილობრივ მჟღერს, ბ-ს გადმოსცემდა, რაც შეუძლებელი სრულებით არ არის და რაც ჩვენ უფრო მოსალოდნელად მიგვაჩნია, ან პარია-

---

ბაა მიძღვნილი იმის დასამტკიცებლად, რომ ჰეროდოტეს სასპეირები, სტრაბონის სისპირიტიდა, სპერი ერთსადაიმავე ობიექტს განეკუთვნება. ეს იგივე ისტორიული იბერია. ძალიან საყურადღებოა რომ ავტორი ჰეროდოტეს სასპირ-საბირს ქართულ „საიბერო"-თი ხსნის. ამასთან ერთად, კავშირი „სასპირსა" და „იბერს" შორის უსლარს „ალვეთ გუმანის" ფორმაში აქვს გამოთქმული, „იბერიას" კიდევ იგი „იმერეთისგან" აწარმოებს. სასპირები მერმინდელი ქართველები არიან და უეჭველია ისინი ამიერ-კავკასიაში ცხოვრობდნენ. ეს სახელწოდება ჰეროდოტეს, საფიქრებელია, სპარსული წერილობითი წყაროებიდან აქვს ამოღებული (გვ. 298 —305, 524 — 526, 536-7). უსლარს აღნიშნული აქვს რომ ჰეროდოტეს თხზულების სხვადასხვა ხელნაწერში გვხვდება „სასპეირ" ფორმის გარდა აგრეთვე „საპეირ" და „საპეირ"-იო (გვ. 524). ჩვენს ხელთ არსებულ გამოცემებში (კალენბერგის გამ. „ტოიბნერის ბიბლიოთეკაში", 1911 და კროიცერ-ბერის გამ., 1856) ასეთი საკითხავები არ მოიპოვება. უსლარს ამ შეხედულებებში მრავალი წინამორბედი ჰყავდა, მაგრამ საკითხის ისტორიის შესახებ დაწერილებით — სხვაგან.

[1] ევსევის ცნობა იმ მხრივაც საყურადღებოა რომ სპერია-სასუბაროს ძველი ისტორიული მნიშვნელობის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს, რაკი აქ ამგვარი რეალური მსაზღვრელის როლში გამოდის.

ნი ფორმის გვერდით არსებობდა ბანიანი ფორმაც, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს საევრ-საევჯრი.

ბანიან ფორმის ოდინდელ არსებობას გვაგულისხმებინებს სტეფანეს დაწერილობის გრაფიკული ტრადიციაც (ბეტა=„ვ“ ← ბეტა=„ბ“), რადგანაც თავისი დროის გამოთქმის „ვ“ სტეფანეს შეეძლო „ეი“ ჯგუფითაც გადაეცა, მის მიერ დაცული ფორმა რომ მართლაც გვიანდელ რომაულ ხანაში იყოს წარმოშობილი.

ამრიგად, თუ მარტოოდენ გრაფიკული მონაცემიდან ამოვალთ, მივიღებთ შემდეგს პარალელურ ფორმებს ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების ფუძისათვის.

ხალხის აღსანიშნავად:

სასპევრ- (ჰეროდოტე)
(ჰ)ესპერ-იტ- (ქსენოფონტე)
საპევრ- (აპოლონი როდოსელი, სტეფანე ბიზანტიელი)
საევრ- (სტეფანე ბიზანტიელი).

ტერიტორიის აღსანიშნავად:

სჳსპირ-იტ- (სტრაბონი)
სპერ-[ია] (ევსევი)
სპერ[1]- (ქართული და სომხური ისტორიული წყაროები)
ისპირ- (თურქული წყაროები).

ამ ფორმების ურთიერთშედარება ცხადჰყოფს რომ ზოგ მათგანს დამატებითი აფიქსაცია ახასიათებს. თავ-ფუძე, თანხმოვნების სახით წარმოგვიდგება:

ს ბ რ (სპრ) || **ს ვ რ.**

ხმოვნების თვალსაზრისით-კი ფუძე წარმოგვიდგება არა მარტო ვარიაციებში: **ეჲ, ე, ი,** არამედ შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმებითაც:

შეკუმშული	შეუკუმშავი
-სპევრ- (ჰეროდოტე)	საპევრ- (აპოლონი, სტეფანე)
-სპერ- (ქსენოფონტე)	საევრ- (სტეფანე)
-სპირ- (თურქ.)	
სპერ- (ქართ.-სომხ.)	
სპერ- (ევსევი)	

[1] ეს ფორმა წარმოშობით ქართული არ უნდა იყოს. იგი, ალბათ, ძველი ბერძნული ტრადიციისაგან მომდინარეობს და არაქართულსავე ენობრივ წრეში უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოცემული სახით.

ადვილად შესამჩნევია რომ შეკუმშული ფორმები მეტწილად პრეფიქსით გართულებულ ფუძეებთან გვხვდება: სასპეჯრ- (ჰეროდოტე), ჰესპეჯრ- (ქსენოფონტე), სჯსპირ- (სტრაბონი). გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ამ მხრივ, ქართულ-სომხურ ფორმას (და, უეჭველია, მისგან დამოკიდებულს ევსევისეულსაც), რადგანაც ის ბევრად უფრო ნაგვიანევი ხანისაა. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ რომ რედუქცია მოცემულ შემთხვევებში პრეფიქსის ზეგავლენის შედეგია და უძველესი სწორედ შეუკუმშავი ფორმა უნდა იყოს. თუ რომელი ხმოვანია აქ ამოღებული რედუქციის შედეგად, ამას აპოლონი როდოსელის ჩვენება, სტეფანეს მოწმობით განმტკიცებული, გვირკვევს: ეს ან იგივე ა უნდა იყოს, ან უკანასკნელის შემცვლელნი ო ‖ უ, როგორც ამას ხშირად ვხვდებით წინააზიის ძველ ეთნიკაში (ურარტუ ‖ ალაროდი ‖ არარატი, თაბალი ‖ თობელი ‖ თუბალი და მრავალი სხვა[1]). იგივე წყარო გვიდასტურებს რომ აღნიშნულ ხმოვნებს ენაცვლებოდა ი-ცა და ე-ც[2]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ უძველეს ცნობებში უკანასკნელი მარცვლის ეჲ, ე და ი ხმოვნიანი სახეები ძირითადად მიგვაჩნევინებს ე-ს — უფრო ძველი დროისათვის — და ი-ს, მერმინდელი ხანისათვის, მაშინ ჩვენი სატომო სახელის შემდეგს პირდაპირ დადასტურებულს ან საეარაუდო ფორმებს მივიღებთ:

საბერ ‖ სობერ ‖ სუბერ ‖ სიბერ ‖ სიბირ
საეერ ‖ სოვერ ‖ სუვერ ‖ სივერ ‖ სივირ.

წარმოდგენილი ფორმების მეშვეობით ეს სახელი კი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად უკავშირდება უფრო ძველს „თაბალ“-„სუბარსა“ და მერმინდელს სახელს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისას, რომლითაც უკანასკნელი მეზობელ ხალხებშია ცნობილი:

იბერ (— ძველი ბერძნული მწერლობა),
ივერ ‖ ივირ (გვიანდელ-ბერძნული და ბიზანტიური მწერლობა),
ჰიბერ (რომაული მწერლობა),
(ი)ვირ(ქ) (სომხური მწერლობა).

ჩვენ აქ აღარას ვამბობთ სხვა (ასურულ, სპარსულ...) ფორმებზე, რომელნიც, როგორც ჩანს, მოცემულ ფუძის კიდევ უფრო გვიანდელ განვითარებას წარმოადგენენ. „საბერ“ და მისი სახესხვაობანი, ამრიგად, თუბალის კანონზომიერი ვარიაციების მწკრივში დგებიან.

მაშასადამე, სასპერ-საბერების იდენტიფიკაცია მერმინდელ იბერებთან არა მარტო ისტორიულად არის აუცილებელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, არამედ ენობრივადაც მისაღებია.

წმინდა ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა არა მარტო ფუძე, არამედ მისი თანმხლები გამაფორმებელი ელემენტები. ზემოთმოტანილი ფორმების ჩაკვირვება გამოჰყოფს პრეფიქსულსა და სუფიქსურ ფორმატივებს.

---

[1] რედუქცია ქართველური ენების ნიშანდობლივი მოვლენაა და მოსდის თითქმის ყველა ხმოვანს. იხ. პროფ. ე. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სესია, 1939 წ. 27 — 30. IX, დღის წესრიგი და მოხსენებათა თეზისები“, თბ., 1939, გვ. 24 — 25.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი.

ჰეროდოტეს, ქსენოფონტესა და სტრაბონის მოწმობანი გვაძლევენ პრეფიქსს: **სა** || **ჰე** (თუ: **ე**) || **სჳ** (თუ: **სუ** || **სო**). არა გვგონია შევცდეთ თუ ვიტყვით რომ მხოლოდ ქართულში ვპოულობთ ამ პრეფიქსის გასაღებს.

ჰეროდოტეს ფორმაში, კერძოდ, იგივე ქართ. **სა** — უნდა გექონდეს, რომელიც ისტორიულ ხანაშიაც აწარმოებს ტომის, ხალხის ადგილსაცხოვრისის სახელწოდებას: სა-ქართველ-ო, სა-ფრანგ-ეთი. ამავე პრეფიქსის ქართველური ვარიაციების გადმოცემა უნდა იყოს **ჰე** და **სჳ** (უკანასკნელს შდრ. სომხეთი — სომეხეთი?). მაშ უნდა მივიღოთ რომ ჰეროდოტეს (და, შესაბამისად, ქსენოფონტესი და სტრაბონისაც) ფორმა არსებითად ქვეყნის, სახელმწიფოს სახელწოდებაა, თვით მოსახლეობაზე გადატანილი. ასეთი შეცთომა, რომლის წყარო და გავრცელების გზები ჩვენგან ორი ათას ხუთასი წლითაა დაშორებული, ვერ გაგვაკვირვებს თუ მოვიგონებთ რომ მსგავსი ლაფსუსები ჩვენს განათლებულ დროშიაც მოსდით ხოლმე. წარმოდგენილ განმარტებას მხარს უჭერს მოცემული ფორმების სუფიქსური ელემენტების განხილვა. ქსენოფონტესთან, როგორც ვნახეთ, ფუძეს წაერთვის ფორმანტი **-ιᾶ** (Ἐπειρητῶν, გენ.). ეს უფრო ის ბერძნული დაბოლოება უნდა იყოს, რომელიც ქალაქის თუ ადგილის სახელიდან მცხოვრების სახელწოდებას აწარმოებს და რომლის მაგალითებსაც, კერძოდ, იგივე სტეფანე ბიზანტიელი გვაძლევს თავის ლექსიკონში სათანადო სიტყვების ქვეშ, როგორც, მაგ.: 1) „პჯენის, კოლხების ქალაქია; მცხოვრებთა სახელწოდება — პჯენიტეს, (იმ სახელწოდებათა) წესის თანახმად, რომელნიც თავდებიან — „ის“-ზე, 2) „ტანაის“, ქალაქია, მდინარის თანამოსახელე... მოქალაქე — „ტანაიტეს“... 3) „ტჳრას, ქალაქია და მდინარე ევქსინის პონტოსთან; ტჳრასიდან მცხოვრებთა სახელი უნდა ყოფილიყო „ტჳრატეს“, მაგრამ პოლიისტორი ქალაქსა და მდინარეს უწოდებს ტჳრასს, ხოლო მცხოვრებლებს — „ტჳრანოჲ“. არის „ტჳრიტეს“-იც, თითქოს ტჳრის-იდან“, 4) „ფასის, ქალაქია აიასი მდ. ფასისთან კოლხიდაში... მცხოვრებთა სახელი უნდა ყოფილიყო „ფასიტეს“..., ან „ფასიატეს“, პლეონასტური ა-თი, და ასედაც ამბობენ“-ო. თუ ქსენოფონტეს ფორმას ამ წარმოშობისად მივიჩნევთ, მაშინ მივიღებთ საყურადღებო დასკვნას რომ „ჰესპერ“-ი ქსენოფონტესა თუ მისი წყაროებისათვის სწორედ ქ ვ ე ყ ნ ი ს ა ხ ე ლ ი ი ყ ო.

კიდევ უფრო საინტერესოა სტრაბონისეული ფორმა სუფიქსაციის თვალსაზრისით. სტრაბონისეული ფორმა, „სჳსპირიტის“, საერთოდ სწორედ ა დ გ ი ლ ი ს ა ხ ე ლ ი ა, ბერძნული დაბოლოებით (სტრაბონისეული წარმოების ფუძე, გენეტივის საშუალებით, უნდა აღდგენილ იქნას როგორც „სჳსპირიტიდ“-). ხოლო მოცემული ნაწარმოები ფუძის ფუძედ დაგვრჩება, — ისე როგორც „კოლხ“ „კოლხ-ის“-ში, — „სჳსპირიტ“-ი. ეს ფუძე ან ქსენოფონტეს ფორმის მსგავსი წარმოებიდან მომდინარეობს[1] და ადასტურებს ზემოთმოტანილ მსჯელობას ქსე-

[1] ანალოგიურ შემთხვევას გვიჩვენებს სტეფანე ბიზანტიელი თავის ლექსიკონში სათანადო სიტყვის ქვეშ: „ხ ა ლ კ ი ს... არის ქალაქიც „ხალკის“ სკვითეთში, რომლის მოქალაქენიც იწოდებიან „ხალკიტაჲ“ და მხარე — „ხალკიტის“...

ნოფონტესეული ფორმის შესახებ, ან არა-და, შესაძლებელია, სხვა, დამოუკიდებელი წარმოების ნაყოფი იყოს. უკანასკნელ შემთხვევაში მოცემული ფუძე ყველაზე ადვილად ქართ. სა-სპირ-ეთ-ის, სომხ-ეთ = სომხ-ით-ის და მრავ. სხვ. მსგავსი წარმოების ნაყოფად უნდა ჩაგვეთვალა და მივიღებდით რომ ბერძნულ მწერლობაში დაცულია ამ სახელწოდების როგორც ქართული პრეფიქსი, ისე ქართული სუფიქსიც (-ეთ, -ით).

ამ ენობრივი ფაქტების დადგენა ჩვენთვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ბერძნული ფორმის „ალაროდ"-ის განმარტება, რომელიც აგრეთვე ჩვენი მსჯელობის მიმართულებას უჭერს მხარს: აქ რომ იგივე „ურარტუ" || „არარატი" გვაქვს, ეს საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ ბერძნული ფორმის სახესხვაობის ახსნა ყველაზე ადვილი უნდა იყოს ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი დისიმილაციის წესების ნიადაგზე, განსაკუთრებით — ქართული ენისათვის ნიშანდობლივი დისიმილაციის მექანიზმის მეშვეობით, რადგანაც ქართულში გვხვდება როგორც პროგრესიული, ისე რეგრესიული განმსგავსება ბგერებისა[1]: პირველს უნდა აეხსნა ხმოვანთ ცვლილება (ა → ო; ეს ცვლილება ჩვეულებრივი ხასიათისა არ არის, რათქმაუნდა), ხოლო მეორეს — თანხმოვანთა ცვლილება (ლ ← რ) „ალაროდ"-ში[2].

ამრიგად, ხიდი, რომელიც აერთებს ისტორიულ იბერია-ქართლს ძველს აღმოსავლეთთან, შუქდება ლიტერატურული წყაროების სინათლით, ჩვენ ვფიქრობთ, სრულიად უცილობლად. უნდა დავასკვნათ რომ ქართლი, მცხეთა-არმაზის სამეფო, მხოლოდ ახალი პოლიტიკური წარმონაქმი იყო იმ ხალხისა, რომელიც მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში საპეჯრ-საბეჯრის სახელით კარგად ცნობილი იყო ბერძნებისათვის და რომელიც მაშინ თავისი სამხრეთი საზღვრით ჯერ კიდევ დიდად არ იყო დაშორებული თავის დედასამშობლოს. დიდმნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიისათვის რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში წინააზიის ძირეული ტერიტორიის (წინაზია მცირე აზიისა და არაბეთის ნახევარ-კუნძულის გამოკლებით) ოთხი უდიდესი ხალხიდან (სპარსელები, მიდიელები, სასპეჯრები, კოლხები) ორი — კოლხები და სასპეჯრები — ქართული მოდგმისა იყო.

სახელწოდება საბერ-საცირი თაბალ-თუბალის ჯგუფს ეკუთვნის და ის ისტორიული სურათი, რომელიც აქ წარმოდგენილია საბერ-საცირის გარშემო, აღავსებს თაბალ-თუბალის მოდგმის ისტორიას და სავსებით ეთანხმება ამ უკანასკნელს[3]. ამ მრავალსახოვანი ეთნიკური სახელწოდების აქ დადგენილი ფორმა ახალ ინტერესსაც შეიცავს: იგი მჭიდროდ უახლოვდება ტერმინს სუბარ-ულს, რომლითაც, უნგნადისა და იენსენის შემდეგ, ახალ ორიენტალისტიკაში უპირატესად აღნიშნავენ მიტანი-ენას ანუ მიტანიურს. ამის საფუძველი ის არის რომ ძველ-აღმოსავლურ სილაბარებში მიტანიური სიტყვე-

[1] იოსებ ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე; № 1, 1919 — 1920 წ.

[2] რეგრესული დისიმილაციისათვის შდრ. ყიფშიძისავე მაგალითები: ოლარი—ბერძნ. ორარიონ-იდან; ალაჯორი — სომხ. არაჯავორ-იდან, წრეულს — წლეულს.

[3] იხ. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი.

ბი სუბარულად იწოდება. სუბარებს გეოგრაფიულად შეესატყვისება ბაბილონელთა ძველი კოსმოლოგიის სუბარტუ. ამ კოსმოლოგიით მსოფლიო ოთხ დიდ ნაწილად იყოფა: აკკადი, ამურრუ, ელამი და სუბარტუ [1]. ბლაიხშტაინერი სუბარებს ტაბალებისა და მუსკების ახლო მონათესავედ სთვლის და თვით სახელწოდება სუბარტუ-ში გამოჰყოფს სუფიქსს — ტუ-ს, რომელსაც ქართულ — თი-ს უახლოებს [2]. ასევე ავტორი სუ-ს პრეფიქსად სთვლის და, ამრიგად ფუძედ — ბარ-ს გამოჰყოფს, ამავე ძირისაა ი-მერ←—ი-ბერ და მუს-კუ || ბას (ა-ბას-გი)-იო. „ამრიგად, — დაასკვნის ბლაიხშტაინერი, — თუ შეცთომაში არ შევყავართ ამ სიტყვათშედარებებს, რომელნიც გასაოცარი არიან იაფეტური ბგერათცვლილების თავისებურებით, სუ-მერ, სუ-ბარ და ტი-ბარ || იბერ-ში, მათი მონათესავე ბას-კ || მუს-კ-ითურთ, მოცემულია ერთგვარი იაფეტიანი ხალხების სამი ნაკადი, რომელნიც სხვადასხვა დროს იჭრებოდნენ შუამდინარეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში"-ო [3]. შემდეგ ბლაიხშტაინერი ცდილობს უჩვენოს სუბარულისა და ქართველური ენების სიახლოე, უპირატესად საკუთარი სახელების ანალიზზე.

ჩვენთვის აქ ამჟამად ის არის საყურადღებო რომ სუბარს[4] მიტანის სამყაროსაკენ მიეყავართ. ჩვენ კი ზემოთ ისტორიული ჩვენებების ნიადაგზე დავერწმუნდით სასპეჱრ-საბირებისა და მატიენების, იმავე ძველი მიტანიელების, უშუალო მეზობლობასა და ახლო კავშირში როგორც ურთიერთ შორის, ისე, მესამე მხრით, ალაროდიელებთან. ჯერ კიდევ მეექვსე-მეხუთე საუკუნის მიჯნაზე ეს კავშირი რეალურად შესაცნობი იყო და მასზე იყო დამყარებული დარიოსის მე-18-ე საგამგეო ოლქის სტრუქტურა. ოდესღაც ერთიანი ხალხი ისტორიულ ქარტეხილებს სამ დიდ ნაწილად გაუპია. ცალკე გამოთიშულან და დასავლეთისაკენ გარიყულან, იმავე მიზეზების წყალობით, თაბალ-თუბალისავე ნაშიერი ტიბარენები და სხვები, ვინც მათ უახლოესად ენათესაებოდა და ემეზობლებოდა. საერთო სამშობლო ამ ტომებისათვის მიტანი ჩანს.

მიტანი სულ უფროდაუფრო იპყრობს ყურადღებას ორიენტალისტებისას, რომელნიც ამ ქვეყანასა და მის ხალხს სულ უფროდაუფრო მეტ წონასა და მნიშვნელობას აძლევენ ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. თუ შევაჯამებთ იმას, რასაც მიტანის შესახებ ამბობენ თანამედროვე საუკეთესო ორიენტალისტები, მივიღებთ რომ მიტანი არის წინააზიის უძველესი ბინადარი მოსახლეობის, ახლო აღმოსავლეთის ენდემური კულტურის შემქმნელი ხალხის, ძირითადი კერა მეორე ათასეულში, ძვ. წ., ის სამყარო, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შევიწროებულია სემიტების მიერ, ხოლო დასავლეთიდან — ინდო-ევროპელების მიერ (თუ გამართლდება ინდოევროპეისტების ჰიპოთეზი ნესიტების

[1] Роберт Блейхштейнер, Субары древнего Востока в свете изучения яфетидов: «Язык и история», сб. I, 1936 г., 185.

[2] იქვე, 185 — 186.

[3] იქვე, 187 — 190.

[4] ძალიან საყურადღებოა რომ ერთი ძველი ცნობით, კოლხეთის დედაქალაქს „სჳბარისი" || „სუბარისი" ეწოდებოდა. ხომ არა გვაქვს ჩვენ აქ იმავე სატომო სახელის ნაყარი? იხ. დიოდორე სიცილიელი, IV 48 (დიოდორე კოლხების დედაქალაქად სჳბარისს ასახელებს არგონავტების შესახებ მოთხრობაში).

ინდოევროპულობის შესახებ). მიტანი ამ გაგებით შეიცავს ხეთასაც, რამდენადაც ამ უკანასკნელში ჩვენ ადგილობრივი, მკვიდრი სამყაროს შინაარსსა ვსდებთ. ამასთან ერთად, განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ მიტანის სხვადასხვა სახელით იცნობენ მისი მეზობლები.

აი, რას ამბობს ამ საგნის შესახებ თანამედროვე ბურჟუაზიული ორიენტალისტიკის ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, გეტცე: „მეორე ათასეულის ამოცანის გადაწყვეტის ცდისას ნიადაგ და ყოველი მხრით ეხვდებით ერთსადაიმავე პოლიტიკურსა და კულტურულ სიდიდეს, მიტანი-სახელმწიფოს. აშკარაა რომ 1800 — 1400 შუა საუკუნეებში იგი წინააზიის უძლიერესი სახელმწიფოა. წინააზიის ცენტრი, შეიძლება დაეასკვნათ, მაშინ უნდა ყოფილიყო ზემო მესოპოტამიაში“ [1]. „სახელი მიტანი-სახელმწიფო მხოლოდ პოლიტიკური ცნებაა. ბოღაზ-ქოის ხეთებისათვის (ე. ი. ინდოევროპელი ხეთებისათვის ანუ, უფრო სწორედ, ნესიტებისათვის, ს. ჯ.) მიტანი-სახელმწიფო ერთერთი ქვეყანაა მრავალი ხური-ქვეყნიდან ისევე, როგორც არსებობს რამდენიმე (mehrere) ხატი- და რამდენიმე არზავა-ქვეყანა. უმთავრესად სახელი ხურის მეშვეობით აღინიშნება საერთოდ ხური-ქვეყნებისა და, განსაკუთრებით, მიტანი-ქვეყნის ხალხი და ენა“ [2]. შემდეგ გეტცე განსაზღვრავს ხური-ქვეყნების ტერიტორიას: ჩრდილოეთ სირიის გარდა მას ეკუთვნის აგრეთვე ორი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მხარე — მიტანი-სახელმწიფო და ხური-ქვეყანა ვიწრო მნიშვნელობით; უკანასკნელის არსებობა გეტცესათვის ეჭვს გარეშეა, ასეთი მოსაზრება წყაროების მკაფიო ჩვენებაზეა დამყარებული. რამდენადაც შესაძლებელია ამის განსაზღვრა, ხური-ქვეყანა მდებარეობს ძველი-აღმოსავლური მსოფლიოს პერიფერიაზეო. მიტანი ქვეყანა ჰფარავს მთელს ზემო-მესოპოტამიას კარგამიშიდან ტურ-აბდინის მხარემდე, ნიშანდობლივ ბალიხისა და ხაბურის ხეობებამდე და ნიზიბინის მხარემდე. მისი აღმოსავლეთი საზღვარი დაახლოებით ბითლის-სუსთან არის საგულეველი. ხოლო ხური ქვეყანა ვიწრო მნიშვნელობით შეიძლება მხოლოდ მის აღმოსავლეთით იწყებოდეს. ამ ქვეყნის, თავდაპირველი ხურული მხარის ცენტრის, შეაგული ზოგადი გეოგრაფიული მოსაზრებით უნდა ვეძებოთ თითქმის მხოლოდ ვანის ტბის სანახებში და არა სხვაგან სადმეო [3]. შემდეგ, გეტცეს აზრით, მატანისავე უდრის ასურული სახელწოდება „ნაირი-ქვეყნები“ და ეგვიპტური იგივე „ნაჰარაინი“ [4]. შემდეგში მრავალი „ნაირი-ქვეყნის“ შეერთების ნიადაგზე წარმოიშვა ურარტუ [5], სადაც პირისსახელებში, სხვათა შორის, ჩვენ ვხედავთ ხურების ტაროსის ღვთაებას ტეშუპს [6]. ხურები

---

[1] Albrecht Götze, Hethiter, Churriter und Assyrer. Hauptlinien der vorderasiatischen Kulturentwicklung im II Jahrtausend v. Chr. Geb., Oslo, 1936, S. 101.

[2] იქვე, შდრ. ამავე ავტორის უფრო ადრინდელი ნაშრომი: Kleinasien, 57 შემდ.

[3] იქვე, 102 — 103.

[4] იქვე, 103 — 104, 98.

[5] იქვე, 104.

[6] იქვე, 104.

საერთოდ, გეტცეს აზრით, წინააზიის მთიებიანი სარტყლის ხალხია; ეანის ტბის სანახები ყოველთვის მათ ცენტრად რჩებაო [1].

ხურული ენის შესახებ გეტცე ამბობს: „მიტანი-ქვეყნის ენა და ხურული ერთი და იგივე ენაა... შემდეგ, სრულიად სარწმუნოა, რომ მისი მონათესავე უნდა იყოს ურარტული ენა, ურარტუს მეფეების ენა 900 — 700 წლებს შუა" [2]. „ხურული მკვეთრად განსხვავდება წინააზიის ყველა სხვა ნაცნობი ენისაგან, სემიტურებისაგან ისეე, როგორც ინდო-გერმანულებისაგან. დამახასიათებელია სუფიქსების თავისუფალი ხმარება როგორც ზმნასთან, ისე არსებით სახელთან. აგებულების მიხედვით იგი ყველაზე ადრე მოგვაგონებს აგლუტინაციურ სუმერულს" [3]...

დასავლეთ ევროპის თანამედროვე ორიენტალისტიკის ინდოევროპეისტული სკოლის მეორე, არა ნაკლებ ცნობილი, წარმომადგენელი ბედრიხ ჰროზნი ამბობს: „მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბოღაზ-ქოის წარწერებში აღმოჩენილია აგრეთვე ნიმუშები სხვა ენისაც, რომელიც იწოდება „ხურლილი", ე. ი. „ხურული". სიტყვა „ხურლილი" განეკუთვნება „ხური" ქვეყნისა და ხალხის სახელს, რომელსაც ხეთურ ენაში აქვს „ხურლას" ფორმა. ხურულის ნიმუშების მიხედვით უნდა დავასკვნათ რომ ხურული არ არის არც არიული, არც ინდოევროპული ენა. როგორც ეს მე დავადგინე ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ, ხურული ენა თითქმის — თუ მთლად არა — ეიგივება მიტანი ქვეყნის არა არიულ ენას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ მიტანის მეფის ტუშრატას გრძელი, ეგვიპტეში, ტელ-ელ-ამარნაში, ნაპოვნი წერილით" [4]. ამრიგად, ჰროზნიც უეჭველად სთვლის რომ მიტანიური ენა იგივეა რაც ხურული.

რაც შეეხება საკითხს თვით სახელწოდება „ხურის" შესახებ, იგივე ჰროზნი წერს: ხეთის სახელმწიფო არქივი ბოღაზ-ქოიში გვაცნობს ჩვენ კიდევ ორს მნიშვნელოვან ენას, რომელთა ცენტრი უფრო მესოპოტამიაში იმყოფება, ვიდრე მცირე აზიაში. ეს არიან პირველ რიგში ხურიტები ანუ, როგორც მათ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ეძახდნენ, ხარიელები. ამ სახელწოდებას კითხულობდნენ „ხარი" და ჩვეულებრივ ფიქრობდნენ რომ ეს სახელი ეიგივება არიელების სახელს, „არია"-ს, და რომ ხარიელები, მაშასადამე, არიელი ხალხია. ამასთანავე ჩვეულებრივად ეყრდნობოდნენ იმას, რომ იმ სახელმწიფო ხელშეკრულებებში, რომლებიც დადებულია ხეთების მიერ მიტანი-ქვეყანასა და იქ გაბატონებულ ხარიელებთან, გვხვდება აგრეთვე არიული ღვთაებანი „მითრა", „ვარუნა", „ინდრა", „ნასატია". მაგრამ მე დავამტკიცე, რომ ამ ხალხის სახელწოდება უნდა წაკითხულ იქნას „ხური", და არა „ხარი": მე ვიპოვე ორი ადგილი, სადაც ეს სახელი დაწერილია არა ერთი ნიშნით, რომელსაც ორი მნიშვნელობა, „ჰარ" და „ჰურ", აქვს, არამედ ნიშნებით „ხუ" და „ურ", ამიტომ შეუძლებელია ეს სახელი გაეუთანაბროთ არიელების სახელს" [5]. ხურიტების

[1] იქვე, 105 — 106, 128.
[2] იქვე, 108.
[3] იქვე, 107, 38.
[4] Проф. Б. Грозный, Хеттские народы и языки: «Вестник древней истории», 1938 г., № 2 (3), стр. 30.
[5] იქვე, 29 — 30.

გავრცელებისა და პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ ჰროზნი ამბობს: „ხურიტების მიერ დასახლებული იყო, უმთავრესად, ქვეყნები ხური და მიტანი, რომელნიც, ჩემი აზრით, უნდა ვეძიოთ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. მიტანის ქვეყანა მდებარეობდა მდინარეების ხაბურისა და დიაგდიაგის მხარეში; შემდეგში სელეკიდებმა მას მიგდონიის ახალი სახელი მისცეს". ხური ქვეყანამ თავისი სახელწოდება მიიღო ალბათ ხური || ხურა ქალაქისაგან, რომელიც ხურიტების დედა-ქალაქი იყო. ეს არის ეხლანდელი ურფა, ბერძნულად „ორჰოი" და სირიულად „ურჰოი", რომლის მიხედვითაც მთელს მიდამო ადგილებს შეერქვა „ორჰოენე". გამორიცხული არ არის რომ სახელწოდება „ხური" არსებითად ნიშნავს „გამოქვაბულნი" და დაკავშირებულია მრავალრიცხოვან გამოქვაბულებთან ქალაქ ურფას მიდამოებში[1]. ხურიტები ცხოვრობდნენ სირიაშიაც და დროგამოშვებით ფლობდნენ არა მარტო სირიას, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც. მეორე ათასეულის პირველ ნახევარში ხური იყო ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც დაიპყრო ბევრი ქვეყანა და რომელსაც ასურელები ეძახდნენ ეგრეთვე „ხანიგალბატ"-საც. სირია ხეთურ წარწერებში ხშირად იწოდება პირდაპირ „ხური" და იგივეა ეგვიპტური „ხორ" (უმართებულოდ „ხარუ"), რაც, მე-16 ს-იდან მოყოლებული, აღნიშნავდა პალესტინასა და სირიას. ხოლო თუ ასეთი სიტყვახმარება შემოვიდა ეგვიპტეში ჰიქსოსების დროიდან, მაშინ ძალიან შესაძლებელია რომ ჰიქსოსების შემოსევაც ეგვიპტეში, ბოლოსდაბოლოს, დადის ხურიტებამდე და მათ სემიტ ვასალებამდე. ხურიტების უკანასკნელი ნაშთია ძველი აღთქმის ხორიტები. მეორე ათასეულის პირველ ნახევარში ხურიტებმა დაიპირეს აგრეთვე ხეთას სახელმწიფოს ერთი ნაწილი. ამით აიხსნება ხურული რიტუალები მცირე აზიის ქალაქებში და ხურული ენის ხმარება ხეთის მეფეების სახელმწიფო არქივში. ხეთურ რიტუალებში გვხვდება აგრეთვე ხურული ლიტანიები, ლოცვები და შელოცვები, და ხეთური მღვდელთ-მსახურების დროს არაიშვიათად გალობენ ხური მგალობლები. ხურულ ენაზე არსებობდა, საფიქრებელია, საკმაოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურა, როგორც ამას ამტკიცებს ბოღაზ-ქოიში ნაპოვნი ნაწყვეტი ხურულ ენაზე გილგამეშის ეპოსისაო[2].

ემილ ფორერი-კი, თანამედროვე მახვილგონიერი ხეთოლოგი, გადაჰრით ამტკიცებს რომ ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების ნამდვილი ფორმაა „ხარი", რის საბუთადაც მიუთითებს ასურულ ტექსტზე, სადაც ესევე სახელწოდება გადმოცემულია როგორც „არი". ეს უკანასკნელი ვარიანტია „ხარისა", რადგანაც ასურელები აკლებდნენ ხოლმე ზოგჯერ თავკიდურ ხ-საო. ხეთურ ტექსტებშიაც უნდა წავიკითხოთ „ჰარლილი" და არა „ჰურლილი"-ო[3]. გეტცე თავის უფრო ადრინდელ ნაშრომში, „მცირე აზიაში", წერს რომ სათანადო ლურსმული ნიშანი შეიძლება აგრეთვე როგორც „ხარი"-ც წავიკითხოთო[4]. „ხა-

[1] იქვე, 30.

[2] ჰროზნი, დასახ. წ.. 30 — 31.

[3] მითითებულია გეტცეს ქვემოთდასახელებულ ნაშრომში, ციტირებულ ადგილას.

[4] A. Götze. Kleinasien (Kulturgeschichte des Alten Orients), 1933, S. 57, A. 2.

„არი“ ფორმას მხარს უჭერს სახელგანთქმული ედუარდ მაიერიც და რამდენიმე სხვა მეცნიერიც [1].

მაგრამ შესაძლებელია ვიფიქროთ რომ ამ სახელს რამდენიმე ფორმა ჰქონდა უკვე მაშინ, სხვადასხვა ენობრივი წრეებისდა მიხედვით, ისევე როგორც გვაქვს: თაბალ-თუბალ-თობელ-ტიბარ-იბერ..., ურარტუ-არარატ-ალაროდ... და სხვა მათი მსგავსნი. საყურადღებოა ფორმა არი-ც, რომელიც ხალდი-ალდის ცნობილ პარალელს მოგვაგონებს.

ჩვენ არ ვკისრულობთ აქ იმის გამორკვევას, დაუცავს თუ არა მერმინდელს ბერძნულს ლიტერატურულ გარდმოცემას ხარი-ხური სახელი ისევე, როგორც მან შემოგვინახა მატიენა (მიტანი), ალაროდი (ურარტუ) და სხვები, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, საყურადღებო ამ თვალსაზრისით, სახელწოდება „არიანა“. აევსტის „არიანა ვაეჯო“-ს ზოგი აზერბაიჯანში იგულვებს, ზოგი ხვარაზმში. სტრაბონი, რომლისთვისაც არიანა ინდოეთის მოსაზღვრე ქვეყანაა, ამავე დროს ამბობს რომ „არიანას სახელწოდება ვრცელდება სპარსეთისა და მიდიის ერთ ნაწილზედაც და ბაქტრიისა და სოგდეთის ჩრდილოეთ ნაწილებზედაც, რადგანაც ყველა აქაური ხალხი თითქმის არ განსხვავდება ენით“-ო (XV, 2, 8) და რომ „არიანები“ ახლოს დგანან ასირიელებთან, სირიელებთან, არმენიელებთან და არაბებთან (I, 2, 34). ხომ არ არის აქ გეოგრაფიული სახელწოდება გადანაცვლებული აღმოსავლეთისაკენ ისევე, როგორც იმავე სტრაბონის ტექსტში „მატიანა“ გამოცხადებულია „მიდიის მხარედ“ (II, 1, 14; XI, 7, 2; XI, 8, 8).

როგორც არ უნდა გადაწყდეს „არიანა“-ს საკითხი, ჩვენ ვფიქრობთ რომ „ქართლის მოქცევის“ თხრობის არიან-ქართლი წარმოადგენს მოგონებას ჰარი-ქვეყნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ. რეალურად აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიდამოები, რადგანაც როგორც ვნახეთ, ჰარი-ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც.

ენობრივად ხარი || ჰარის დაახლოებას არიანთან, ვფიქრობთ, ხელს არაფერი დაუშლის. ფუძე ამ სახელებში ერთიდაიგივეა, თუ ხ || ჰ-ს დაკარგვას შესაძლებლად მივიჩნევთ. როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. გვ. 670), „არი“ ფორმა უკვე ლურსმულ ტექსტებშია დადასტურებული. რაც შეეხება დაბოლოება -ან'ს, იგი ქართველურ ენებში კარგად არის ცნობილი [2]. რა ფუნქცია აქვს აქ ამ ფორმანტს, აწარმოებს ზედსართავს (ყვიც-ი-ან-ი || ყვით-ელ-ი...), თუ არსებითს სახელს ეთნიკა-ტოპონიმიკას კატეგორიებიდან (ზან-ჭან-სვანი..., არტაანი, გურჯაანი, მირზაანი...), ეს ისეთი საკითხია, რომლის გადაჭრისათვის საჭირო მასალა ამჟამად ჩვენ არ მოგვეპოება [3]. ამ საკითხს ჩვენ სხვა დროს დავუბრუნდებით, ხოლო ამჟამად თქმულების ისტორიულ მხარეზე შევაჩერებთ ჩვენს მსჯელობას.

[1] მაიერზე მითითება იხ. აგრეთვე გეტცესთან.

[2] იხ. ს. ჯანაშია, თაბალ-თუბალი...

[3] „არიან“ ფორმის სინტაქსური ადგილი და ფუნქცია ჩვენს ტექსტში (კერძოდ, ის გარემოება რომ იგი მიემართება როგორც „ქართლს“, ისე „ქართველებს“) თითქოს უფრო ხედსართული წარმოების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

რომ „ქართლის მოქცევის“ თხრობაში დაცული თქმულება ძველია, ამას ჩვენ ანტიკური ბერძნულ-რომაული მწერლობა გვიმოწმებს. ირკვევა რომ ეს თქმულება ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელს ძველ ამიერ-კავკასიაში. სტრაბონი, მაგ., ამბობს: კირსილე ფარსალიელისა და მედი ლარისაელის სიტყვით, რომელნიც ალექსანდრეს ლაშქრობაში მონაწილეობდნენ, არმენიას ეს სახელი ეწოდა არმენის მიხედვით (აქ იგულისხმება იასონის ერთი თანამგზავრთაგანი, ს. ჯ.). არმენის თანამგზავრთაგან ზოგმა დაიკავა აკილისენა, რომელიც მანამდე სოფენელების ხელქვეით იყო, სხვები კი დასახლდნენ სისპირიტიდაში კალახენასა და ადიაბენამდე, არმენიის საზღვრებს გარეთ (წ. XI, თ. 14, § 12). მეორე ადგილას სტრაბონი, ზოგიერთი მომენტის განერკობით, მოგვითხრობს შემდეგს: ამბობენ რომ იასონმა, თესალიელ არმენთან ერთად, თავის მოგზაურობის დრო.ს კოლხიდაში მიაღწია კასპიის ზღვას, გაიარა იბერია, ალბანია, არმენიისა და მედიის ბევრი ნაწილი, როგორც ამას მოწმობს იასონის სალოცავები და მრავალი სხვა ძეგლი. არმენი იყო თითქოს ქალაქ არმენიიდან,—რომელიც მდებარეობს ბოიბეიდის ტბის გარშემო, ფერებსა და ლარისას შორის,—ხოლო მისი ამხანაგები თითქოს ცხოვრობდნენ აკილისენასა და სისპირიტიდაში, კალახანასა და ადიაბენამდე; თვით არმენის სახელის მიხედვით ქვეყანასაც არმენია ეწოდა (წ. XI, თ. 4, § 8; ცნობა არმენის წარმოშობის შესახებ განმეორებულია ზემოთციტირებულ თავშიაც). ცნობა იასონის სალოცავების შესახებ სტრაბონს უფრო დაწვრილებით გადმოცემული აქვს მე-14 თავში: „იასონის ლაშქრობას მოწმობს იასონის სალოცავები, რომელთაგანაც ზოგი აგებულია დინასტების მიერ, როგორც მაგალითად იასონის ტაძარი აბდერაში აგებულია პარმენიონის მიერ“ (წ. XI, თ. 14, § 12).

ეჭვი არ არის რომ თქმულება არგონავტების შესახებ, საერთოდ, და, კერძოდ, მისი აქ მოტანილი ნაწილი მრავალი სხვადასხვადროისა და წარმოშობის ფენითაა შემოგარსული. ამ მრავალკეც გარეშრეების ქვეშ ისტორიული ჭეშმარიტების მარცვალი მაინც შეიძლება აღმოვაჩინოთ, ასე, მაგ., დიდად საყურადღებოა რომ უკვე ჰეროდოტეს მოეპოვება ერთი ცნობა, რომლიდანაც ირკვევა რომ ჰეროდოტეს დროს არგონავტიკის პერსონაჟებიდან მედეა ყოფილა დასახული ეპონიმად: აქ მოთხრობილია (VII 62) რომ „მიდიელებს („მედებს“) ძველად ყველანი ეძახდნენ არიებს, მაგრამ მას შემდეგ რაც კოლხიდელი მედეა ათენიდან მივიდა ამ არიებთან, მათ გამოიცვალეს სახელი; ასე ამბობენ თავის შესახებ თვით მიდიელები“-ო. ამრიგად, მეხუთე საუკუნის ბერძნული მწერლობისათვის აღებული წრის ეპონიმთა რიცხვიდან მხოლოდ კოლხი, ე. ი. ადგილობრივი, მკვიდრი პირია ცნობილი. სარწმუნოა რომ თქმულებას იასონის თანამოლაშქრის არმენის შესახებ გაიმეორებდა ცნობისმოყვარე და მრავალმომთხრობელი ჰეროდოტე, მის დროს რომ ეს თქმულება ბერძნულ მწერლობაში არსებულიყო.

საყურადღებოა, რომ სტრაბონი არმენის შესახებ გარდმოცემის შეჯერის დროს ბერძნულ ლიტერატურაში ადრინდელ-ელინისტური ხანით ათარიღებს—მისი წყარო ალექსანდრეს თანამოლაშქრეთა მოთხრობაა. ამდენადვე, სარწმუნო ჩანს აგრეთვე რომ თქმულება არმენიელების ეპონიმის შესახებ ბერძნებმა ადგილობ-

რიე შეითვისეს სწორედ ადრინდელ ელინისტურ ხანაში, როდესაც ელინურმა სამყარომ უფრო მჭიდრო კონტაქტი დაამყარა მახლობელი აღმოსავლეთის შინაგან რაიონებთან და როცა არმენიელებმა დამკვიდრება იწყეს ძველი ურარტუს ტერიტორიაზე. თქმულების ადგილობრიე წარმოშობაზე მიუთითებს ცნობაც სალოცავების შესახებ—იმის მოწმობა, რომ ეთნარქი გაღმერთებული იყო მკვიდრი მოსახლეობის მიერ, რაც წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, თუ თქმულებას ბერძნების მიერ მოტანილად მივიჩნევთ.

სტრაბონის ცნობაში არსებითად იხსენიება არა ერთი, არამედ რამდენიმე ეპონიმი. არმენის როლი, ფაქტიურად, თქმულებაში იმითაა ამოწურული, რომ მისგან სახელი მიიღო ქვეყანამ, არმენიამ. ხოლო არმენის თანამგზავრების შესახებ ნათქვამია, რომ მათ დაიკავეს, ბინადრობა გაიჩინეს აკილისენასა და სისპირიტიდაში, რომ მათ, მაშასადამე, საფუძველი დაუდვეს ამ ქვეყნების მოსახლეობას. არმენის თანამგზავრები, რომელთა სახელიც სტრაბონთან დაცული არ არის, ამრიგად ნამდვილ ეთნარქებად არიან წარმოდგენილნი. ამავე დროს ეს არიან აკილისენასა და სისპირიტიდას მოსახლეობის, ე. ი. სწორედ სასპერ-იბერების, წინაპრები, იმიტომ რომ, როგორც ვნახეთ, ეს პროვინციები იბერების ძველთაძველი და მშობლიური თემები იყო, ხოლო სისპირიტიდაში ანუ სპერში იბერები, რათქმაუნდა, მესამე საუკუნეში, ძვ. წ., ჯერ კიდევ კომპაქტური და ძირითადი, ეთნიკურად გაბატონებული, მოსახლეობის სახით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. არმენის თანამგზავრები, მაშასადამე, იბერების ეთნარქებად იყვნენ მიჩნეულნი.

ის გარემოება რომ სტრაბონისეულ თქმულებაში იბერების ეთნარქის სახელი მოხსენებული არ არის, შეიძლება იმით აიხსნებოდეს რომ ამ ეთნარქის სახელსა და ქვეყნის თუ ხალხის სახელწოდებას შორის არ იყო ისეთი შინაგანი კავშირი, როგორიც არმენსა და არმენიას შორის. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სტრაბონისეულ მოთხრობაშიაც არის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ იბერების ეთნარქის სახელი და ვინაობა ისე, როგორც ის თავდაპირველად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ადგილობრივს თქმულებაში.

ეთნარქის გაღმერთება, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვამბობდით, არსებითად თვით არმენთან სრულებითაც არ არის დაკავშირებული. სტრაბონი ორივეგან იასონის სალოცავების შესახებ ლაპარაკობს. გაუგებარია რატომ უნდა აეგოთ კავკასიაში ხალხებს სწორედ იასონისათვის სალოცავები, და არა არმენისათვის, რომლისაგანაც სახელი მიიღო არმენიამ. თუ იყო ცნობა რომ სალოცავები იასონის და არა სხვა ვისიმე სახელზე იყო აშენებული, ეს იმას მოწმობს რომ კულტის საგანი იასონი იყო ან იასონს უკავშირდებოდა. ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ რომ ადგილობრივი თქმულების თავდაპირველ ტექსტში „იასონი“ (ჯერ ასე ვუწოდოთ მას) იხსენიებოდა კიდევაც ეთნარქად. ასევე ბუნებრივი იქნება განვავრცოთ ჩვენი ვარაუდი და მივიღოთ რომ სწორედ „იასონი“ ერია არმენის იმ თანამგზავრთა რიცხვში, რომელთაც საფუძველი დაუდვეს სისპირიტიდასა და აკილისენას მოსახლეობას და რომელნიც სტრაბონის ცნობაში სახელდებით მოხსენებულნი არ არიან. შესაძლოა ისიც

43. აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული.

რომ „იასონი“ სპეციალურად სასპერების მამათმთავრად ითვლებოდა, თუ ვიგულვებთ (რაც შესაწყნარებელია) რომ ერთ პროვინციას ერთი ეთნარქი ჰყავდა მიჩენილი.

მართლაც, რომ იასონი კავკასიაში ეთნარქად იყო მიჩნეული, ეს დადასტურებულია დოკუმენტალურად. ტაციტი მოგვითხრობს: იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა სომხეთის გამო ქართველსა და სპარსელებს შორის, ქართლის მეფეს ფარსმანს ეხმარებოდნენ ალბანელები და სარმატები. უპირატესობა აშკარად ფარსმანის მხარეზე იყო: სპარსელების ერთადერთი ძალა მხედრობაში მდგომარეობდა, ფარსმანი კი ძლიერი იყო ქვეითობითაც; „ვინაიდან იბერები და ალბანელები, რომელნიც მთიან ადგილებში ცხოვრობდნენ, უფრო შეჩვეულნი არიან ცხოვრების სიმკაცრესა და ამტანობას. ისინი ამბობენ რომ წარმოშობილნი არიან თესალიელებისაგან იმ დროს, როცა იასონი, რომელმაც წაიყვანა მედეა და შვილები გაიჩინა მასთან, შემდეგ დაბრუნდა აეტის დაცარიელებულ სასახლეში უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან. მართლაც აქ ბევრი რამ მოწმობს მისი სახელისა და ფრიქსის ორაკულის შესახებ. არავინ არ სწირავს იქ მსხვერპლად ვერძს, რადგანაც სწამთ, რომ მან მოიყვანა ფრიქსი, იყო ეს ცხოველი თუ ხომალდის ღერბი“ (ანალები, VI 34). მართალია, მთლად ნათელი არ არის, ტაციტი ამ გარდმოცემას ორივე ხალხს მიაწერს, თუ მხოლოდ იბერებს, მაგრამ ცხადია, რომ პირველ რიგში თქმულება მაინც იბერებს მიემართება: ტაციტის მიერ მოთხრობილ ამბავში მთავარი როლი მაინც იბერებს აქვთ დაკისრებული; გარდა ამისა, იასონისაგან ჩამომავლობის დასასაბუთებლად მისი აეტის სამფლობელოში დამკვიდრების დასახელება სწორედ კოლხების ძმურად მონათესავე იბერებს თუ დაეჯერებოდა.

დამატებით უნდა აღვნიშნოთ რომ გამოჩენილი რომაელი მწერალი პლინიუს სეკუნდი აგრეთვე ამბობს: „ალბანელები, გარდმოცემით, იასონისაგან არიან წარმოშობილნი“-ო (ნატურალური ისტორია, წ. VI, § 38).

თუ როგორ გაერცელდა თქმულება იასონზე ალბანეთშიაც, ეს ცალკე საკითხია, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით. ყოველ შემთხვევაში დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი გარდმოცემის არსებობა, რომელიც იბერების წინაპრად პირდაპირ ასახელებდა იასონს ან ამ სახელის მსგავსი სახელის მატარებელ ეთნარქს [1].

ამრიგად აღდგენილი ძველი კავკასიური თქმულება ეთნარქი იასონისა და არმენის, არმენიის ეპონიმის, შესახებ გასაოცრად ემსგავსება ძველ-ქართულ გარდ-

[1] აქ შეუძლებელია არ მოვიგონოთ, აღძრულ საკითხებთან კავშირში, სუმბატ დავითისძის კონსტრუქცია, რომლის თანახმადაც ბაგრატიონთა წინაპარნი, სოლომონის შვილნი ძენი, თუმცა ებრაელები არიან წარმოშობით, მაგრამ თავდაპირველად ეკლესიას მკვიდრდებიან, ვინმე რაჭაელ დედოფლის წინაშე. ეკლესიაში დარჩენილა 3 ძმა, ხოლო დანარჩენნი ჩრდილოეთისაკენ წასულან: გუარამი ქართლის ბაგრატიონების წინაპარი გამხდარა, საჰაკი კახეთს დაბინავებულა, ხოლო უსამმა და ვარაზვარდმა კამბეჩანის ერისთათა ჩაიგდეს ხელში, მარ. ქცხ., 338—339. ეკლესიი იგივე აკილისენაა და, ამდენადვე, სუმბატის თქმულებაში დაცულია რაღაც გამოძახილი ეკლეც-აკილისენას, სპერის—ბაგრატიონთა დომენის, და ქართლის, თავისი ალბანეთის მოსახღვრე პერიფერიითურთ, გარკვეული ისტორიული კავშირის შესახებ.

მოცემას არიან-ქართლის მეფის ძის აზოს, ისტორიული ქართლის ეთნარქის, შესახებ.

თვალსაჩინოა ონომასტიკური მონაცემების მსგავსება: იასონ და აზო, არიანი და არმენი. ხაზგასასმელია რომ ჩვენ სწორედ მსგავსებაზე მივუთითებთ და არა იგიეობაზე: „იასონ", მაგ., „აზო"-საგან მაინც იმდენად განსხვავდება ფონეტიკურად, რომ მათი მსგავსება შესაძლოა შემთხვევითიც იყოს. იგივე უნდა ითქვას არიანისა და არმენის ურთიერთობის შესახებ, რასაც უნდა დაემატოს მათი მნიშვნელობითი სხვაობაც: „არიან" ქვეყნის სახელია, „არმენი" — კაცისა; საერთო ის არის რომ ორივე, სხვადასხვა გზით, ადგილსაცხოვრისს მიემართება.

ასეთი მსგავსების პირობებში კანონზომიერია კითხვა: არის ეს გარდმოცემა, რომელსაც სხვადასხვა ვარიანტით გადმოგვცემენ ჰეროდოტე, სტრაბონი, პლინიუსი და ტაციტი, ადგილობრივი გარდმოცემა, რომელიც შეითვისეს ბერძნებმა და რომაელებმა, თუ პირიქით, ეს იგივე არგონავტების თქმულებაა, ბერძნებისაგან შეთვისებული კავკასიელი ხალხების მიერ? ჩვენ უკანასკნელ შესაძლებლობას გადაჭრით უარვყოფთ, იმიტომ რომ თავდაპირველ თქმულებაში იასონისა და მისი თანამემამულეების მოგზაურობის შესახებ კოლხეთში ვერაფერს ეპოვნულობთ ისეთს, რასაც შეეძლო გაეჩინა წარმოდგენა იასონსა და მისს ახლად შეთხზულს თანამგზავრ არმენზე, როგორც იბერებისა და არმენიელების წინაპრებზე. ფესალიელი აბრაგი, რომელმაც მოიტაცა კოლხების უდიდესი განძი, კოლხეთის მეფის ასულთან ერთად, და რომელიც მიზეზი გახდა კოლხეთის მეფის, მეფისძისა და მრავალი კოლხის ტრაგიკული დაღუპვისა და თვით კოლხეთის გაუბედურებისა (ოქროს ვერძის დაკარგვა), როგორ უნდა გადაქცეულიყო ქართველთა გალმერთებულ მამათმთავრად? ასეთი მეტამორფოზი დაუჯერებელია.

უფრო ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იქნება მივიღოთ რომ გარდმოცემა ქართველთა ჩამომავლობის შესახებ, ახლო მსგავსების მქონე „ქართლის მოქცევის" თხრობასთან აზოს შესახებ, ძველი და ფართოდ გავრცელებული ადგილობრივი ტრადიცია იყო. ამ თქმულების სხვადასხვა ნაწილებს ბერძნები, ჩანს, უკვე მეექვსე-მეხუთე საუკუნიდან ეცნობიან თანდათან!

ჰეროდოტესთან დაცული ფრაგმენტი ამ გარდმოცემისა საყურადღებოა არა მარტო იმ ხრივ რომ აქ დადასტურებულია ეთნარქების ადგილობრივი წარმოშობა, არამედ იმ ხრივაც რომ იგი, ჩვენი აზრით, ემოწმება ქართულ არიან-ს. ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი: იმ გარდმოცემაში, რომელიც ადგილობრივ გაიგონეს ბერძნებმა უკვე VI—V საუკუნეში, იყო ცნობა არიან-ქვეყნის შესახებ; ეს ცნობა ბერძნებმა გადაიტანეს არია-მიდიელებზე, ხოლო მედ—მიდიელის სახელის ასახსნელად გამოყენებულ იქნა მედეა—ამ სახელების მსგავსების დაპერა არავითარ სიძნელეს არ შეიცავდა. არიან-ქვეყნისა და მედიის დაახლოებაც ძნელი არ იყო, რადგან, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, უკვე კლასიკურმა მწერლობამაც იცის რომ მედია შეადგენდა არიანას ნაწილს („არიანას სახელწოდება ვრცელდება სპარსეთისა და მედიის ერთ ნაწილზედაც", სტრაბონი, წ. XV, თ. 2, § 8). ამავე გეოგრაფიული ფაქტისა და წარ-

მოდგენის სხვაგვარი გამოთქმაა სტრაბონისავე ცნობა რომ „მატიანა მედიის ოლქია“ (წ. II, თ. I, § 14): მატიანა-არიანას კავშირის შესახებ ჩვენ ზემოთ ბევრი გვაქვს ნათქვამი. ჰეროდოტეს ჩვენება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც რომ ნაწილობრივ გვიხსნის თუ როგორ მოხდა შემდეგში თქმულების გავრცელება ალბანეთზედაც: გეოგრაფიულად ალბანეთის დაკავშირება მედიასთან ბუნებრივი იყო და ასევე ბუნებრივი წარმომაელობის შესახებ თქმულების გადმოტანა, სათანადოდ შეცვლილ ფორმაში; რაკი მედიის ეპონიმად მედეა იყო მიჩნეული, ალბანელების ეთნარქად მედეას ქმარი, იასონი, აღიარეს. ეს იყო განვითარება სტრაბონთან დაცული ცნობებისა რომ იასონსა და არჩენმა მოიარეს იბერია, ალბანია, არმენიისა და მედიის მრავალი ნაწილი (წ. XI, თ. 4, § 8) და რომ მედეა იასონთან ერთად მბრძანებლობდა ამ ქვეყნებში (მედიაში), რომ იასონს აქ მოგვაგონებს მის სახელზე აგებული სალოცავები, რომელთაც დიდ თაყვანს სცემენ ბარბაროსები, რომ მარცხნივ კასპიის კარებიდან (დარუბანდის ყელიდან?) არის მნიშვნელოვანი მთა, რომელსაც იასონის სახელი ჰქვიან (ალბანეთში? იბერიაში? საეჭვოა რომ აქ „კავკ-ასი“ იგულისხმებოდეს, წ. XI, თ. 13, § 10).

საერთოდ, თუ როგორ იზრდებოდა და იცვლებოდა, გაბერძნულების მიმართულებით, პირვანდელი ადგილობრივი თქმულება, ეს გარდა ზემოთაღნიშნულისა, კარგად ჩანს სხვა ფაქტებზედაც. ასე, მაგ., მედიის ეპონიმად კოლხი ქალის მედეას მაგიერ შეთხზულ იქნა უკვე მედეას შვილი მედი, რომლისგანაც სახელი მიიღო თურმე ქვეყანამ (სტრაბონი, წ. XI, თ. 13, § 10; დიოდორე სიცილიელი, ბიბლიოთეკა, IV 56). ბერძნული მითოსის გავლენას ეხედავთ ჩვენ ლეონტი მროველთანაც: უკანასკნელის აზონ მაკედონელი „ქართლის მოქცევის“ აზოსა და „არგონავტიკას“ იასონის კონტამინაციის შედეგია, რათქმაუნდა[1].

თქმულების წარმომაელობის გასარკვევად მნიშვნელობას არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ ეს გარდმოცემა უცნობი დარჩა სომხური და ალბანური მწერლობისათვის[2], მაშინ როცა ქართულმა იგი ორიგინალური ფორმით ისეთ ძველ ძეგლში დაიცვა, როგორიცაა „ქართლის მოქცევა“.

ჩვენ უკვე ვნახეთ თუ როგორს ისტორიულ სინამდვილეს ებჯინება ქართული გარდმოცემის ცნობა, რომელიც ძველ სამშობლოზე მითითებას შეიცავს. რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით გარდმოცემის მეორე ელემენტი, ცნობა ეთნარქის შესახებ?

ის გარემოება რომ აქ ჩვენ არსებითად ეპონიმთან არა გვაქვს საქმე, აძლიერებს ჩვენს ნდობას საკუთრივ „აზო“-სადმი, მაშინ როცა „ქართლოს“-ში,

---

[1] უკვე დ. ბაქრაძეს ჰქონდა შენიშნული, საქ. ისტ., 78: ქ. ცხ-ის აზონი საეჭვოა, იგი მოგვაგონებს იაზონ არგონავტს, „ეს ჩვენი აზონი უნდა იყოს ნამდვილი მიფი ბერძნულის მწერლობის ზედმოქმედების დროს ქართულ მწერლობაზე მითვისებული ჩვენ მემატიანეთაგან“.

[2] როგორც სებეოსთან დაცულს ანონიმურს დაწყებითის ისტორიას, ისე მოსე ხორენელსაც სომხების ეთნარქების სქემა ბიბლიურ გენეალოგიებზე აქვთ აშენებული. სახელწოდება „არმენიის“ ასახსნელად მართალია აქაც გამოყენებულია სათანადო ფუძის სახელი, მაგრამ ამ სახელის მატარებელი პირი, ჰაიკის შთამომავალი, იაფეტისაგან არის გამოყვანილი. მოსე კალანკატუელიც ამავე სქემას მისდევს და ალბანეთის, არაბ. არანის, ეპონიმად იაფეტის ნაშიერს „არანს“ მიიჩნევს. ესეც კონცეპცია მიიღო შემდეგში ლეონტი მროველმაც.

„არმენაკ"-ში და მათს მსგავს კონსტრუქციებში ხელოვნური ეტიმოლოგიზაცია თავისთავად გამოსჩვივის. მკაცრად რომ გავსინჯოთ, გარდმოცემა აზოს მხოლოდ მცხეთა-არმაზის დინასტიის დამაარსებლად სთვლის, და არა მთელი ხალხის წინაპრად. ეს მეორე გარემოებაც ზრდის ნდობას აზოს ისტორიულობისადმი. გარდა ამისა, იმ არიან-ქვეყანაში, მიტანი-ურარტუს სამყაროში, საიდანაც გარდმოცემას აზო გამოჰყავს, ხოლო ისტორიულ ანალიზს—ქართველობაც, სამეფო ონომასტიკონი წარმოგვიდგენს საყურადღებო ფაქტებს, რომელნიც ამ პირისსახელისათვის ბევრად უფრო რეალურ ნიადაგად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე ბერძნული მითოსი.

მიტანი-ნაირი-ურარტუ მრავალტომიანი ქვეყანა იყო. მეორე ათასეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ეს ტომები სრულიად თითქმის არასოდეს არ გაერთიანებულან. ურარტუს სამეფოს ძლიერების ხანაშიაც უძლიერესნი ამ ტომთა შორის გარკვეულ სეპარატიზმს იჩენენ. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ეს სეპარატიზმი იმდენად არ არის, რამდენადაც ბრძოლა პირველობისათვის, ჰეგემონიისათვის ჰარი-სამყაროში. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ თემთა შორის (საკუთრივ ურარტუ-ბიაინას გარდა) მ ა ნ ა იყო, რომლის ხსენება ასურულ წყაროებში იმავე მეცხრე საუკუნეში ჩნდება, როცა თვით ურარტუსიც. ამის შემდეგ მ ა ნ ა ლურსმულ წარწერებში ძალიან ხშირად იხსენიება, როგორც აქტიურად მებრძოლი, ერთი მხრით, თავის დამოუკიდებლობისათვის ასურელების წინააღმდეგ, მეორე მხრით ბიაინას მეფეების წინააღმდეგაც ჰეგემონიის მოსაპოვებლად. შალმანესერ III-ესამის (858—824) მეფობის მე-30 წელს (828 წ., ძვ. წ.), ასურეთის მბრძანებლის ტურტანი ჰუბუშკიადან გადადის მანაში, რომლის მფლობელი უ ა ლ კ ი იძულებულია დასტოვოს თავისი სატახტო ქალაქი ზ ი რ თ ა. ასურელებმა ააოხრეს დედა-ქალაქი და აურაცხელი ნადავლი წამოიღეს მანადან—მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, ქონება[1]. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ყველა ცნობაზე მანას შესახებ ლურსმულ წარწერებში. აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ნაირის (მიტანის) ამ ქვეყნის სამეფო დინასტიაში საგვარეულო სახელი ყოფილა აზ̄ა, რომელსაც აზ̄უ-აზ̄რ (ლურსმულში ორივე ხმოვანი ერთი ნიშნითაა გადმოცემული) ფორმაც ენაცვლება. მერვე საუკუნის სამოციან წლებში ურარტუს მეფე არგიშტი I (778—750) ებრძვის მანას, სადაც მეფედ არის ამ დროს ა ზ ა[2]. ალბათ ამ აზას შვილია ი რ ა ნ ზ უ (თუ ირანზო, ეს სახელიც საყურადღებოა!), რომლის შესახებაც სარგონი (724—705) გვიამბობს თავის ხორსაბადის ტექსტებში: ძლიერმა ქალაქებმა შეანდახულმა და დურდუკამ ომი განიზრახეს თავის მეფისა და ბატონის ირანზუს წინააღმდეგ, რომელიც ჩემს უღელს ეწეოდა (ე. ი. ჩემი ქვეშევრდომი იყოო), და მიეხდვნენ მიტატის ზიქირთუდან, რომელმაც მათ თავისი მეომრები და მხედრობა მისცაო. ასურეთის მბრძანებელი იკვეხის, ეს ურჩი ქალაქები ძირიანად მოვთხარეო. ეს მომხდარა სარგონის მეფობის მესამე წელს, ე. ი. 721 წ., ძვ. წ.[3], ხოლო ამავე მეფობის

[1] D. D. Luckenbill, Ancient records of Assyria and Babylonia, Chicago, 1926, I, 587.

[2] И. И. Мещанинов, Халдоведение, Баку, 1927, стр. 25.

[3] ლუკენბილი, ტ. II (1927), 6.

მეექვსე წელს, 718 წ., ძვ. წ., ურსას, ანუ რუსას, ურარტუს მეფეს, და იმავე მიტატის ზიქირთუდან, კვლავ აუმხედრებიათ მანას მოსახლეობის ნაწილი სარგონისა და მათი (ე. ი. მანაველების) მბრძანებლის შვილის აზას წინააღმდეგ. მეამბოხეებს მოუკლავთ აზა უაუშ-ის ციცაბო მთაზე და გვამიც[1] იქვე დაუგდიათ. სარგონი მოგვითხრობს: აღვუპყარ ხელი ვედრებით ასურს, ჩემს მბრძანებელს, რომ შური მეძია მანას ქვეყნისათვის და დამებრუნებინა იგი ასურეთის მფლობელობისათვის. უაუშის მთაზე მე ტყავი გავაძერე ბაგდატუს და ვუჩვენე იგი მანაველებს. ულუსუნუ, მისი ძმა, მე დავაყენე სამეფო ტახტზე და მთელი მანას ქვეყანა მას დაეუმორჩილეო. მაგრამ შემდეგში ეს ულუსუნუც გადასდგომია სარგონს და რუსას შინდობია. ულუსუნუს სხვა თემებიც აუმხედრებია ასურეთის წინააღმდეგ. სარგონმა დალაშქრა მანა, ცეცხლით გადაბუგა დედა-ქალაქი იზირთუ (წინათ მოხსენებული ზირთა), მოსახლეობა ასწყვიტა და ხელთ იგდო ქალაქები ზიბია და არმანდი. მაგრამ სარგონის მდგომარეობა მანაში არ იყო მკვიდრი, როგორც ჩანს, და მას ისევ შერიგება ურჩევია ულუსუნუსთან, რომელიც აღუდგენია სამეფო ტახტზე[1]. ამის საპასუხოდ, რუსას 22 ციხე წაურთმევია ულუსუნასათვის, რაც შემდეგ სარგონს ისევ დაუბრუნებია (ეს ცნობა მანას ტერიტორიის სივრცეზე მიუთითებს). მე დავამშვიდე მანას ქვეყანა, რომელსაც განხეთქილება აწუხებდაო, ამბობს სარგონი. ეს მომხდარა 717 წ.[2]. შემდეგ დედა-ქალაქ იზირთუში სარგონს თავისი ქანდაკება დაუდგამს, წარწერით[3]. 716 წელს სარგონს კვლავ გაულაშქრნია მანას წინააღმდეგ და მანაველებისაგან ხარკი აუღია. ძღვენი მიუღია მას აგრეთვე (გიზილბუნდის) ქალაქისთაეების ზიზი და ზალასაგან (მიაქციეთ ყურადღება სახელებს)[4]. შემდეგ სარგონი გვამცნობს, რუსას წავართვი მთა უიშდიში, მანაველების მთიანი ოლქი, და მიეცი ის ულუსუნუ მანაველსო[5]. შემდეგშიაც იხსენიება ულუსუნუ მანაველი, როგორც სარგონის მოხარკე; საყურადღებოა რომ ამაეე ცნობაში თაბალიცაა მოხსენებული[6].

ამ წარწერების ცნობებს სარგონი იმეორებს, ცოტა სხვა ვერსიით ე. წ. „საგამოფენო წარწერაში“. აქ სარგონი მოუთხრობს: ირანზუს სიკვდილის შემდეგ მის ტახტზე მისი შვილი აზა დაეყენეო. მაშინ რუსა ურარტიელმა აამხედრა ხალხი უიშდიშიდან, ზიქირთუდან და მისიანდუდან, მანაველების დიდი წინამძღოლებიო, რომელთაც მოუკლავთ აზა უაუშის მთაზე. მერმე იგივე ცნობები მოსდევს, მხოლოდ ისე გამოდის თითქოს ულუსუნუ თავდაპირველად რუსას კანდიდატი იყო და თითქოს ულუსუნუმ 22 სიმაგრე ქრთამად მისცა რუსას, ალბათ ტახტისათვის. ქალაქები ზიბია და არმანდი აქ დასახელებულია როგორც იზიბია და არმიდი, „მიუდგომელი სიმაგრეები“. ზიქირთუს-ქვეყნელი მიტატის

[1] იქვე, II, § 10.
[2] იქვე. 12.
[3] იქვე, 13.
[4] იქვე, 19.
[5] იქვე, 20.
[6] იქვე, 24.

სატახტო ქალაქად დასახელებულია პარდა. იხსენიება აგრეთვე მანაველების ქალაქები შუანდახული და ზურზუკა. იხსენიება ბედ-შავი ბაგდატიც, უიშდიშის ქვეყნიდან, რომელსაც ტყავი გააძვრეს [1].

საინტერესო ცნობებს შეიცავს სარგონის ეპისტოლე ასურისადმი მერედ ლაშქრობის შესახებ. ეს ლაშქრობა თითქოს ზიქირთუ და ანდია ქვეყნების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. 26-ჯერ გადაულახავს სარგონის ლაშქარს მდინარე ბუია. შემდეგ გაუვლია მეტად მაღალი და ძნელად გასავლელი მთა სიმირრია [2], ისევე როგორც სხვა მთები—სინაჰულზი და ბირუათთი, ძლიერი მთები, აგრეთვე თურთანი, სინაბირი, აშურა და სუია [3].

შემდეგ სარგონის ლაშქარს გაუვლია ამ მთების ძირში მიმდინარე რაპპა და არათთა და ჩასულა სურიაშის პირდაპირ, რომელიც მანას ქვეყნის ოლქი ყოფილა და კარალისა და ალაბრიას თემებს უდგებოდა. ულუსუნუ მანაველი, რომელმაც იცოდა რომ ამ წლების განმავლობაში სარგონი სულ მის წინააღმდეგ შურისძიებაზე ფიქრობდა, თავისი წარჩინებულებითა და სხვა სეფეწულებით გამოვიდა დედა-ქალაქ იზირთუდან, ეახლა სარგონს თავის სანაპირო სიმაგრეში, სინიჰინუში, და მიართვა ხარკი, ცხენები, უღელს შეჩვეულები, და მათი გამრეკელები, მსხვილი რქოსანი პირუტყვი და ცხვარი (იქვე, 144). აქედან, ალაბრიის სანაპირო ზონით, სარგონი ჩასულა პარსუაშში, სადაც სარგონმა ძღვენი მიიღო მრავალი მეზობელი ქვეყნის მთავრისაგან; მათ შორის ყურადღებას იქცევს ზარდუკუ ჰარზიანუდან (იქვე, 147). პარსუაშიდან, ამბობს სარგონი, მე მიველ მ ი ი-ში, მანას ქვეყნის ოლქში. ულუსუნუ და მისი ხალხი მელოდნენ თავის ციხე სირდაკუ-ში. თითქოს ჩემი მოხელეები ყოფილიყვნენ, მან დამახვედრა ფქვილისა და ღვინის მარაგი, ჩემი ლაშქრის გამოსაკვებად. დიდი გახედნილი (*draft*, შესაბმელი?) ცხენები, მსხვილი რქოსანი პირუტყვი და ცხვარიც მივიღე მისგან, როგორც ხარკი. თავისი უფროსი ვაჟიშვილიც ჩამაბარა და მის მიერ ხელისუფლების მიღების სიმტკიცისათვის წარწერაც ამოჭრა ფიქალზე. ულუსუნუ მეეედრებოდა, შური მეძია მის მტრებზე, კაკმი ქვეყნის ხალხისაგან, ბოროტი მტრებისაგან დამეფარა მისი ქვეყანა და უკუმეგდო რუსა, აღმედგინა გაფანტული მანაველები მათ წინანდელ ადგილსაცხოვრისში,—აი, რასა მთხოვდნენ თვითონ ისა და მისი წარჩინებულნი, მისი ქვეყნის მმართველებიო, ამბობს სარგონი (იქვე, 148; ჩვენ ვამოკლებთ თხრობას, ს. ჯ.). შემდეგ სარგონი განაგრძობს: ულუსუნუს მათი მეფისა და ბატონის, წინაშე, მე გავშალე მძიმე სანადიმო სუფრა და ავამაღლე მისი ტახტი მისი მამის, ირანზუს, ტახტზე ბევრად უფრო მაღლაო (ეს ცნობა მიუთითებს იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ასურეთის მბრძანებელი მანას ქვეყანას აძლევდა). ამავე წარწერაში იხსენიებიან იგივე ზიზი აპათარიდან, და ზალაია, კიტპათაიდან, გიზილბუნდუს ქვეყნის ქალაქისთავები. მათი ქვეყანა აღწერილია როგორც შორეულ მთებში მდებარე ქვეყანა, ჩაკეტილი მანასა და მიდიელების ქვეყნებს შორის. ეს ქალაქისთავები გამოცხადებულან სარგონთან, მორჩილების ნიშნად, მანას ქვეყნის ციხე ზ ი რ დ ი ა კ ა შ ი (იქვე, 149).

[1] იქვე, 56; [2] იქვე, 142; [3] იქვე, 143 (ეპისტოლე იხ. აგრეთვე Thureau-Dangin, Une relation de la huitième campagne de Sargon. P., 1912; ქვემოთ=თურო-დანჟენი).

ზირდიაკიდან სარგონს გაუვლია 30 „ბერუ (ორმაგი საათი) მანაველების ქვეყანასა, ბით-კაბსისა და ძლიერი მიდიელების ქვეყანას შორის და მიახლოვებია პანზიშს, ძლიერს საფარ სიმაგრეს ზიქირთუსა და ანდიას ქვეყნების მისადგომზე (150). პანზიშიდან სარგონი გადასულა მდ. იშთარ-აურაზე და მიახლოვებია ზიქირთუს ოლქს აუკანეს, რამაც გამოიწვია მეტატი ზიქირთუელის, რომელმაც თავისი სატახტო ქალაქი პარდაც არარად მიიჩნია, და მისი ხალხის მთლიანად აყრა და გაქცევა. სარგონმა კი ხელთ იგდო მათი მრავალი დაბა-ქალაქი (151). აუკანედან სარგონი გადასულა მანას ქვეყნის ოლქ უიშდიშ-ში, რომელიც რუსას მიერ იყო მიტაცებული. რუსამ, სარგონის თქმით, დიდი ცოდვა ჩაიდინა, რომ ეს ქვეყანა გაანადგურა და მისი ხალხი დაიმორჩილა. რუსა და სარგონი შეხვდნენ ერთმანეთს უაუშ-ის მთასთან (საფიქრებელია რომ ქვეყნის სახელი უიშდიში ამ მთის სახელისაგან არის ნაწარმოები). სარგონი აღწერს უაუშის მთას, როგორც ხანჯლის წვერსაცით ცაში აღმართულსა და ღრუბლებში ჩაფლულს დიდ მთას, რომელზედაც არასოდეს ადამიანს არ უვლია, რომლის მწვერვალზე არასოდეს ცაში მონავარდე ფრინველიც არ ასულა, რომელიც მუდამ თოვლითა და ყინულით არის დაფარული და სხვა (იქვე, 152; აღწერილობა რამდენადმე დაზიანებულია). საფიქრებელია რომ მთა უაუში არარატს უდრის, და ამდენადვე უიშდიშის ოლქის მდებარეობაც განსაზღვრულია. ამ უაუშის მთის შუა სარგონსა და მის ლაშქარს, რომელიც დაღლილი და დაუძლურებული ყოფილა ამოდენა გზისა და ურიცხვი, მეტად ძნელი, მთების გაელის გამო, დაუმარცხებია რუსა, მეტატი ზიქირთუდან და სხვა მათი მოკავშირენი და უდევნია ისინი, 6 ბერუს მანძილზე, ზიმურის მთამდე, იასპის (ეშმის) მთამდე. ამ ომის შედეგად რუსა დაიღუპა, ულუსუნუ კი გავახარე, რაკი მის ქვეყანაში მისი მტრების ფეხი ამოვკვეთეო, ამბობს სარგონი; მე შევაჩერე ჩემი ლაშქრობა ანდიასა და ზიქირთუს წინააღმდეგ და პირი ვიბრუნე ურარტუსაკენ; უიშდიში, მანას ქვეყნის ოლქი, მისი მრავალი ციხე-ქალაქით, რომელნიც ურიცხვი არიან, როგორც ვარსკვლავნი ცისანი, მე მთლიანად ხელთ ვიგდეო. მათი მაგარი კედლები მე დავანგრიე, შევიპერი მათს ურიცხვს ხეხილის ბაღებში და ჩემი ლაშქარი დავაძღე აუარებელი საჭმლითაო (იქვე, 153—157). უიშდიშიდან სარგონი მიახლოებია „ქალაქ უშკაიას, დიდ ციხეს ურარტუს საზღვრის თავზე, რომელიც ჰკეტავს, როგორც კარი, ზარანდას ოლქის შესავალს, აბრკოლებს ჩემს შიკრიკებს, დგას მალაუს მთაზე, კვიპაროზის მთაზე, როგორც სანაპირო (სვეტი), და აღმართულია სხივოსნობით შემოსილი სუბი ქვეყნის ველზე. ამ ოლქში მცხოვრებთ მეტოქე არა ჰყავთ მთელს ურარტუში ცხენოსნობაში. მრავალი წლის განმავლობაში ისინი იპერდნენ (ველური?) ცხენების ახალგაზრდა კვიცებს, ამ ვრცელი ქვეყნის ნაშიერებს, და აშენებდნენ მათ მისი სამეფო ჯარისათვის. მაგრამ მათ არ იპერენ ისე მაღლა, როგორც სუბიში, ოლქში, რომელსაც ურარტუს ხალხი მანას ქვეყანას ეძახის, და მათი ჯოგები იქ არ ჩანან. ისინი უნაგირს არ ადგამენ მათ, არამედ მიდიან რა წინ, გვერდისკენ მიბრუნებით ან უკან მობრუნებით, როგორც ეს საჭიროა ბრძოლაში, ვერასოდეს ვერ ნახავთ რომ ისინი უღელს სტეხდნენ“... რუსას დამარცხების გამო შედრკა ეს ხალხიო, ამბობს

სარგონი. შემდეგ საკმაოდ ბუნდოვან ფრაზაში იხსენებიან სუბიელების ომში გამოცდილი ბელადები, რომელნიც თითქოს ურჩევენ ხალხს, წინააღმდეგობა უიმედოა და ასურს დამორჩილდითო. მაგრამ სუბიელებმა უშკაია, ამ ქვეყნის სიმტკიცე, და გარშემო ქალაქები ნანგრევებად აქციეს, და ისეთ გზას გაუდგნენ, რომელსაც უკან მოსავალი არა აქვსო. სარგონი მაინც შესულა უშკაიაში და გაუზიდავს მისი გარდამეტებული სიმდიდრე, დიდი კედელი, რომელსაც განი 8 კუბიტი ჰქონია, დაუნგრევია, შინაგანი საცხოვრებელი შენობები დიდი კოპებით (თაიხეებით) დაუწვავს, 115 გარშემო მდებარე ქალაქიც გადაუბუგავს, ქალაქი ანიაშტანია, სანგიბუტუს საზღვარზე მდებარე, უშკაია და თარმაკისა ქალაქებს შორის, 17 გარშემო მდებარე ქალაქით, მიწასთან გაუსწორებია, მათი სახურავების დიდი კოპები (თაიხეები) დაუწვავს, ისევე როგორც მათი მოსავალი და მათი ნამკალი, მათი სავსე ბეღლები დაუღია და თავისი ჯარები დაუძღია ამოურწყეველი მარცვლით. „როგორც კალია, შეეუსია ჩემი ბანაკის ცხოველები მის მინდვრებს და მათ მოსპეს მისი მცენარეულობა, რომელზედაც იგი დამოკიდებული იყო, მათ ააოხრეს მისი ველიო“, ტრაბახობს სარგონი (იქვე, 158). შემდეგ სარგონი განაგრძობს: „უშკაიდან მე გავემართე ბარუს ქვეყანაში, რომელზედაც იგი დამოკიდებულია თავისი ცხოველებისათვის და რომელსაც აგრეთვე სანგიბუტუს ეძახიან, მას მივუახლოვდი. კედლებით გარშემორტყმული ქალაქები თარუი და თარმაკისა, დალაია ქვეყნის ველზე მდებარე, სადაც მას ჰქონდა მარცვლეულის დიდი მარაგი, რომელთა კედლები იყო მეტისმეტად მაგარი, რომელთა გარეთა კედლები კარგად იყო აშენებული, რომელთა თხრილები ძალიან ღრმა იყო და მთლიანად გარს ერტყმოდა მათ, რომელთა შიგნით თაველაში დაბმული იყო ცხენები, მისი სამეფო ჯარისათვის რომ ინახაენ და ყოველწლიურად რომ ასუქებენ“,—აი, ამ ქვეყნის ხალხი დაშინებული იყო იმით, რაც ჩვენ მეზობელ თემებში ჩავიდინეთო. მათ მიატოვეს თავიანთი ქალაქები და გაიქცნენ ხმელ ქვეყანაში, წყურვილის ადგილს, როგორც უდაბნოში, თავისთავის გადასარჩენადო. აქაც სარგონს დაუნგრევია ყველაფერი და დაუწვავს, თავისი ლაშქარიც დაუძღია ამოურწყეველი მარცვლით. აქ თითქოს ასურელებს აუოხრებიათ 30 ქალაქი (იქვე, 159). შემდეგ წარწერა დაზიანებულია. მოხსენებული ყოფილა პუნქტები, სადაც სარგონი მიეიდა თარმაკისიდან. პირველად იხსენიება ქალაქი ულჰუ, სიმაგრე (კიშპალის მთის ძირას). დაზიანებულ ტექსტიდან ისე გამოდის რომ თითქოს ეს უწყლო ქვეყანა ყოფილა; რუსამ გამოუყვანა მათ წყალი დიდი არხით, რომელმაც უხვად, როგორც ევფრატმა, მოუტანა მათ წყალი; არხის მთავარი ტანიდან შემდეგ გაუყვანიათ არხები, რომლითაც მოურწყავთ ხეხილის ბაღები. ძველთაგანვე უდაბურმა მიწამ მოიტანა წვიმასავით უხვი ხილი და ყურძენი; მეტად მაღალი, ჩრდილმრავალი ჰაერისხეები, მისი სასახლეების სიმდიდრე, მან ტყედ გააშენა მის ველზე. „როგორც ღმერთმა, მან ამღერა ხალხს მათი სასიხარულო სიმღერები“. 300 იმერ სათესლე მიწას, მარცვლეულით დათესილს, მან... მოსავალში გამოაღებინა მარცვლის გადიდებული რაოდენობა. დაუთესავი მიწები, გაზაფხულზე მორწყული, ბალახითა და საძოვრებით იყო სავსე ზამთარ-ზაფხულ; ცხენებისა და ჯოგების საბალახოდ გადააქცია

ისინი. აქლემები გაწვრთნა მან თავის წალკილ (ალბათ—მორწყულ, სარწყავ... ს. ჯ.) ქვეყანაში და ისინი ასხამდნენ წყალს არხებშიო, ამთავრებს ამ თავის შესანიშნავ სამეურნეო აღწერილობას სარგონი (იქვე, 160). აქვე ყოფილა, მდინარის პირას, რუსას მიერ აშენებული სასახლე, სურნელოვანი კვიპაროზის კოპებით გადახურული, და ქალაქი შარდურიხურდა, სიმაგრე... ქიშთეს მთაზე. მოსახლეობას „ვაის“ ძახილით მიუტოვებია ეს ქალაქებიც და სარგონს აუოხრებია პროვინცია. ქალაქ ულჰაში, „ქონებათა ქალაქში“, მას გაუძარცვავს სამეფო სასახლე. „ამოურწყველი“ მარცვლის გარდა, აქ უპოვნიათ ღვინის მარნები, სადაც ასურის მეომრებს უსვამთ კეთილი ღვინო გუდებიდან, როგორც მდინარის წყალი. ამ სიამოვნების მიღების შემდეგ, ასურელებს გაუნადგურებიათ ყველაფერი: ბაღები, რომელნიც ამკობდნენ ქალაქს და რომელნიც აღსავსე იყვნენ ხილითა და ღვინით, როგორც ცის განუზომელი ღვარები, გულდაგულ გაუჩეხიათ რკინის ცულებით; იგივე ბედი დასდგომია დეკორატიულ ბაღებსა—დიდ ხეებს—და მინდვრის ნათესებს, სადაც არ დაუტოვებიათ არც ერთი თავთავი, და საძოვრებს, სადაც დათესილი ყოფილა ბალახი და ხაბურუ, ურარტუს მეფის ცხენების საკვები. ასე დაუნგრევიათ შარდურიხურდა, „მათი დიდი სიმაგრე“, 57 სხვა ქალაქთან ერთად, სანგიბუთუს ოლქის მიდამოებში (იქვე, 161). ულხუდან სარგონი ლაშქრობს სანგიბუთუს ოლქის ყველა სხვა მნიშვნელოვანი სიმაგრის წინააღმდეგ. 21 გამაგრებული ქალაქი იდგა არზაბიას მთის ქედზე, ძლიერი აგურის კედლებით, ღრმა თხრილებით გარშემო, ბურჯებით კარებთან. ყოველნაირი სიუხვითა და დოვლათით ყოფილა სავსე აქაური ხალხის ცხოვრება. უზარმაზარი სასახლეები, სამეფო ნიშნებით, სურნელოვანი კვიპაროზის კოპებით უნახავთ აქ სარგონის მეომრებს. სანგიბუთუს ოლქისა და ყველა ამ ქალაქის მცხოვრებთ სწრაფად გადაუცია ასურელების მოახლოების ამბავი ურარტუს შორეული საზღვრებისათვის იმ წესით, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“-ა აღწერილი: მთის მწვერვალებზე აღმართულ სვეტებზე ანთებდნენ ისინი ცეცხლს ბუჩქნარისაგან და ამით გადასცემდნენ დიდ მანძილზე მტრის მოახლოების ამბავს დილით და ღამით. აქ, არზაბიასა და ირთიას მაღალ მთებს შორის დაბანაკებულა სარგონი და შესდგომია ქვეყნის აოხრებას ჩვეულებრივი მეთოდით. „მე დავწვი მათი მშვენიერი სადგომები: ქერისა და ხორბლის უშველებელი ხვავები, რომელსაც ისინი მრავალი დღის განმავლობაში აწყობდნენ ბეღლებში ქვეყნისა და ხალხის შესანახად, მე მთელს ჩემ ლაშქარს დავატვირთვინე ცხენებსა, ჯორებსა, აქლემებსა და ვირებზე და დავაკრეფინე ჩემი ბანაკის შუა, როგორც გორაკები. საშველი უხვად და მოყირჭებამდის ვაჭამე ჩემს კაცებს. სანოვაგის უხვი მარაგი უკან გზისთვის ასურეთში მათ შეჰკრიბეს სიხარულით. მე ავჩეხე მისი დიდებული ხეხილის ბაღები, მე ავჩეხე მისი ვენახების დიდი რაოდენობა, მე ბოლო მოვუღე მთელს მის სასმელს. დიდი ტყეები, რომლებიც ლელიანივით ხშირი იყო,— მათი ხეები ავჩეხე და უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა. ყველა მოკრილი ხის ღერო შევაგროვე და ცეცხლი წავუკიდე. 146 ქალაქს მათს მიდამოებში მე წავუკიდე ცეცხლი, როგორც ბუჩქნარს და მათი კვამლით დავფარე პირი ზეცისა, როგორც გრიგალმა“, მოუთხრობს სარგონი (იქვე, 164). აქედან სარგონი გა-

დასულა არმარილი-ს (!) ოლქში, სადაც სარგონს იგივე სურათი დახვდა და სადაც მან ისეთივე კვალი დასტოვა (იქვე, 165). არმარიალის (!) ოლქიდან ასურის ლაშქარი გადასულა უიზუკუ-ს მთაზე და მიახლოებია ოლქს აიადის. აქ დასახელებულია 30 გამაგრებული ქალაქი „საშინელი ზღვის“ პირას და დიდი მთების ძირას, სადაც იდგნენ ურარტუს რჩეული ჯარები, ამ ქვეყნის სიმტკიცე. რაკი მათი მეზობელი პროვინციის, არმარიალის, ამბავი ნახეს, შიშით შეპყრობილნი გაიქცნენო. აქაც იგივე ამბები დატრიალებულა (166). „აიადის ქვეყნიდან წამოველ, გადავლახე მდინარეები ულურია, კალამია და ინაი, და მივუახლოვდი ოლქს უაიაისს, მისს დასაყრდენს, რომელიც არის ურარტუს ქვემოთა საზღვარზე და ნაირის საზღვარზე“-ო, განაგრძობს სარგონი (167). უაიაისიდან ასურეთის მბრძანებელი მიახლოებია ნაირი ქვეყნის მეფის იანზუს ოლქს. ნაირის მეფე იანზუ გამოსულა თავის სატახტო ქალაქ ჰუბუშკიადან და შეჰგებებია სარგონს (168). დანარჩენს ჩვენ აქ აღარ გადმოვცემთ.

აქ ჩვენ მოკლებული ვართ ადგილსა და საშუალებას სარგონის ცნობებში დაცული ყველა გეოგრაფიული ცნობის ლოკალიზაცია ვცადოთ. ცხადია მხოლოდ რომ მოთხრობილი ლაშქრობის დროს სარგონი ჯერ ასულა ურარტუს ჩრდილოეთ საზღვრებამდე, სადაც მას ამ საზღვრების თავისათვის, ე. ი. უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილისათვის, მიუღწევია, შემდეგ იქიდან წამოსულა მეორე გზით, ომითა და რბევით, უკვე თვით ურარტუს ტერიტორიით, ურარტუს „ქვემო“, ე. ი. სამხრეთ საზღვრამდე, სადაც საკუთრივ ურარტუს საკუთრივ ნაირი ემიჯნებოდა. შემდეგ, ვგონებთ, პირველი მარშრუტის დროს—ჩრდილოეთისაკენ, სარგონმა აღმოსავლეთის მხრიდან მოუარა ურარტუს ცენტრალურ პროვინციებს (ამას მოწმობს ზემო და ქვემო ზანგისა და მიდიელების ქვეყნის, მარშრუტის განმსაზღვრელი, ხსენება ტექსტში).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა რომ მანა, ამ ცნობების მიხედვით, საკუთრივ ურარტუსაგან (ვანის ტბის რაიონი), ჩანს, ჩრდილოეთით მდებარეობდა. შეიძლება ისიც ვიფიქროთ რომ მანა და საკუთრივ ურარტუ (ბიაინა) ერთმანეთს არარატის მთის რაიონში ესაზღვრებოდნენ; ამას მთა უაუაშისა და პროვინცია უაიშდიშის ლოკალიზაცია ემოწმება: როგორც ვნახეთ, უაიშდიში მანას ის პროვინცია იყო, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა ბიაინას და ამიტომაც პირველ რიგში იყო მიტაცებული ამ უკანასკნელის მეფეთა მიერ.

ყველაზე ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ რომ მანას სამთავროს ძირითადი რაიონები არაქსის ხეობაში მოდიოდა. რამდენად შორს ვრცელდებოდა ჩრდილოეთისაკენ მანას ტერიტორია, ამის თქმა მოცემული ცნობების ნიადაგზე შეუძლებელია. საყურადღებოა ზიქირთუ, რომელსაც უკიდურესი მდებარეობა უჭირავს, სარგონის ცნობებით, და, ჩანს, საკუთრივ მანას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება. შესაძლებელია ზიქირთუ უკვე მტკვრის ხეობაში მოდიოდეს. ამდენადვე შეუძლებელი არც ისაა რომ ზიქირთუს დედა-ქალაქი პარდა ისტორიულ ბარდავს (პარტავს) უდრიდეს.

ჩვენ მიერ მიღებული ლოკალიზაცია, ვფიქრობთ, ეთანხმება წყაროებში წარმოდგენილ პოლიტიკურ ურთიერთობასაც, როცა მანა-ასურის ბლოკს უპირისპირდება ბიაინა-ზიქირთუს ბლოკი (შდრ. ქართველთა სამეფო-სამთავროების ურთიერთობა გვიანდელ-ფეოდალურ ხანაში).

საფიქრებელია რომ მანას სახელწოდების მერმინდელ ფორმას წარმოადგენს ძველი სომხეთის ერთი პროვინციის, მანალის-ის („მანალიქ“) სახელი. ადონცის ლოკალიზაციით, მანალისის პროვინცია მდებარეობდა მდ. ევფრატის სათავეებში ბაღირ-ხაჩის მთიდან მდ. ტუზლუმდის. მომიჯნავე პროვინციები იყო ეკელესენა (აკილისენა, ეკლეცი) და დერჯანი; ახლო პროვინციები იყო აგრეთვე კარინის ოლქი, ჩრდილოეთით, და დარანალია, სამხრეთით. ამაზე ავტორს სამართლიანად აქვს გამოყოფილი მოცემულ გეოგრაფიულ სახელში ფუძედ მ ა ნ, ხოლო -ა ლ ი—ქართველურ აფიქსად მიჩნეული[1]. ის გარემოება რომ ზოგი ძველი სომეხი ავტორი (მაგ., არისტაკეს ლასტივერტელი) ამ ოლქის სახელწოდებას გადმოსცემს მანანალისის ფორმით („მანანალიქ“),—დასაყრდენს ჰპოვებს ლურსმულ წარწერებში, სადაც „მანა“ ყოველთვის ორი ნ-არით იწერება. ამ ნარების გამყოფი ხმოვნის გულვება შესაწუნარებელია.

მაგრამ სარგონის წერილი ასურისადმი შეიცავს შესანიშნავ ცნობას რომ „მანნა“ არ იყო ქვეყნის ადგილობრივი სახელი. როგორც ვნახეთ, სარგონი ამბობს რომ „ს უ ბ ი ს ოლქს ურარტუს ხალხი მანას ქვეყანას ეძახის“. ცოტა ზემოთ დასახელებულია ს უ ბ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ბარი. მეზობელ ოლქს კიდევ სარგონი ბარუს ეძახის. (ასევე სთარგმნის ამ ცნობას თურო-დანჟენიც, 29).

ჩვენ ვფიქრობთ რომ სუბი იგივე სუბარია, რომ აქ სუბარეთი იგულისხმება[2]. იქნებ ამაზე სახელწოდების ფრაგმენტი იყოს „ბარუ“-ც, რომელიც ქართულ სიტყვა „ბარ“-საც ასე ეხმაურება (ორივე ეს პროვინცია მდ. არაქსის დაბლობზე მოდიოდა, როგორც ვნახეთ. სუბის ბარის შესახებ ხომ სპეციალურად არის საუბარი). რომ „ბარუ“ შესაძლოა სწორედ მსაზღვრელი იყოს, ამას მხარს უჭერს სარგონის ცნობა რომ ბარუს მეორე სახელიც ჰქონდა—სანგიბუთუ. ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში საკუთრივ გეოგრაფიული სახელწოდება გამოვიდოდა.

ეხლა თუ მოვიგონებთ მანა-სუბის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ურარტულ ხანაში, და მის გეოგრაფიულ მდებარეობას, როგორც ეს ჩვენ განვსაზღვრეთ, სრულიად ბუნებრივად უნდა გვეჩვენოს რომ საუკუნე ნახევრის შემდგომ, ჰეროდოტეს ხანაში, როცა ურარტუს სამყარო პოლიტიკურად სავსებით დაშლილი იყო, უკანასკნელის ადგილას ჩვენ კვლავ ორს მთავარ ელემენტს ვხედავთ: სასპეირ-საბერებს, რომელნიც მანა-სუბი-სუბარს შეესატყვისებიან, და ალაროდიებს, რომელნიც საკუთრივ ურარტუ-ბიაინას შეეფარდებიან. ჰეროდოტესეული სასპეირების ლოკალიზაცია, რომელიც ჩვენ თავის ადგილას ვსცა-

[1] Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, С-Пб. 1908, стр. 46, 48-52, 55-56, 19.

[2] სარგონის ცნობებით იმ დასკვნის გაკეთებაც შეიძლება რომ სუბი მანას ერთ პროვინციასაც აღნიშნავდა, კერძოდ და სპეციალურად. ასეთი დავიწროება სახელის მნიშვნელობისა იშვიათი ამბავი არ არის.

დეთ (იხ. აქვე, გვ. 660), კარგად ეთანხმება მანა-სუბის ტერიტორიის აქ მოცემულ განმარტებას.

მაგრამ ჩვენ გვაქვს საშუალება კიდევ უფრო შორს წავიდეთ და სუბი დავუკავშიროთ არა მარტო ჰეროდოტეს სასპეირებს, არამედ სტრაბონის სისპირიტიდა-სუსპირიტიდასაც.

როგორც ვნახეთ, სარგონი სპეციალურად და ხაზგასმით აღნიშნავს სუბი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ერთს ძირითად ნიშანს: აქაურ ხალხს თურმე მეტოქე არა ჰყავდა მთელ ჯრარტუში ცხენოსნობის თვალსაზრისით. მეცხენეობა, ჩანს, მათი მეურნეობის ერთი ძირითადი დარგთაგანი იყო. ისინი წლების განმავლობაში ხედნიდნენ და ზრდიდნენ ცხენებს სამეფო ლაშქრისათვის. შემდეგ აღწერილია ის საგანგებო წესები, რომელთა თანახმადაც სუბიელები წვრთნიდნენ ცხენებს (საფიქრებელია, საომარი) ეტლებისათვის. ყურადღებას იქცევს, ამ თვალსაზრისით, სარგონის მეორე ცნობაც რომ სუბი-ქვეყნის თავზე აღმართულ ციხე-ქალაქ უშკაიას მეცხოველეობა დამოკიდებული იყო ბარუ-სინგაბუთუს მხარეზე (აქ იყო საძოვრები, უნდა ვიგულისხმოთ) და მეორე მეზობელი მხარის, დალაიას, ქალაქებში, თარუისა და თარმაკისაში, ყოველწლიურად ასუქებდნენ ცხენებს, რომელნიც დაბმული ყოფილან აქ (ურარტუს) სამეფო ლაშქრისათვის.

მეორე მხრით, სტრაბონი გვიამბობს: მიდიის ნაწილი, კასპიის კარებს ქვემოთ, რომელიც დაბალსა და ღრმა ვაკეზე მდებარეობს, მეტად ნაყოფიერია... როგორც ამ ქვეყანას, ისე არმენიასაც აქვთ საუცხოო მინდვრები ცხენებისათვის. საცხენე მინდორს ეძახიან იმასაც, რომლითაც გადადიან პერსიდა-ბაბილონიდან კასპიის კარებამდე; ამბობენ რომ ამ მინდორში, სპარსელების ბატონობის დროს, ბალახს სძოვდა ორმოცდაათიათასი ფაშატი (ჰაკი) ცხენი: ეს იყო სამეფო ჯოგები. გარდა ამისა, ზოგნი ამტკიცებენ რომ აქ არის სამშობლო ნესაური ცხენებისა, რომელნიც ყველაზე კარგები და ყველაზე ბაგრები იყვნენ სამეფო ცხენებში; სხვების აზრით-კი ამ ცხენების სამშობლო არის არმენია. ელინურ და სხვა ჯიშის ცხენებთან შედარებით მიდიურ ცხენებს თავისებური აგებულება აქვთ. მცენარე, რომლითაც ეს ცხენები უპირატესად იკვებება, იწოდება საკუთრივ მიდიურად, იმიტომ რომ მიდიაში იგი უხვად გვხვდება (XI, 13, 7).

მეორე ცნობაში სტრაბონი ამბობს რომ არმენიის პროვინციას სისპირიტიდას აქვს მშვენიერი საძოვრები, რაშიაც არ ჩამორჩება მიდიას, ისე რომ ნესაური ცხენები, რომელნიც ემსახურებოდნენ სპარსეთის მეფეებს, იზრდებიან აქაც, ხოლო არმენიის სატრაპი უგზავნიდა სპარსელს ყოველწლიურად 20.000 კვიცს მითრას დღესასწაულისათვის. მეორე მხრივ, არტავაზდამ გამოიყვანა ანტონის წინაშე, როცა მასთან ერთად შევიდა მიდიაში, მხედრობის გარდა კიდევ 6.000 შეჯავშნული ცხენი. ამგვარი მხედრობის მოყვარულები არიან არა მარტო მიდიელები და არმენიელები, არამედ ალბანელებიც, იმიტომ რომ ისინიც ხმარობენ შეჯავშნულ ცხენებს (XI, 14, 9). მესამე ადგილას კიდევ სტრაბონი ამბობს რომ არმენიის პროვინციები ფაბენე, კომისენე და ორქისთენე იძლევიან (არმენიის) მხედრობის უდიდეს ნაწილსო (XI, 14, 4).

ამრიგად, სტრაბონის ცნობით, აქემენიდების დიდ იმპერიაში ორი რაიონი ყოფილა განთქმული და წამყვანი მეცხენეობაში—ჩრდილოეთი მიდია და სისპირიტიდა არმენიაში. მიდიას იცნობს და ასახელებს სარგონიც თავის ეპისტოლეში. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ადგილებში, ამ ეპისტოლედან, მეცხენეობის შესახებ მიდია სავსებით გამორიცხულია. არ რჩება არავითარი საფუძველი ეჭვისათვის რომ სარგონის აღწერილობა გულისხმობს არმენიას, სტრაბონისეული გაგებით, კერძოდ სისპირიტიდას. სარგონის სუბი ანუ მანა, გარკვეულ ფარგლებში, უდრის სისპირიტიდას. ხოლო საერთო სამეურნეო ნიშნების სიახლოვისათვის სუბი-მანასა და არმენიის ამ პროვინციებს შორის ბევრს გვეუბნება სტრაბონის შემდეგი ცნობა: არმენიაში არის ბევრი მთა და მთის ვაკე, სადაც გაჭირვებით მოჰყავთ ვაზი. ბევრი ხეობა-კი გამოირჩევა ან ზონიერი, ან შესანიშნავი ნაყოფიერებით, როგორც მაგალითად, არაქსის ხეობა... შემდეგ საკასენე, რომელიც ალბანეთსა და მტკვარს ესაზღვრება, შემდეგ—გოგარენე (პროვინცია, რომელიც იბერებს წაართვეს არმენიელებმა მეორე საუკუნეში, ს. ჯ.). მთელ ამ ქვეყანაში უხვად მოდის ნაყოფი, იზრდება შინაური მუდამ ყვავილმსხმოიარე ხე და ზეთისხილიც კი (XI, 14, 4). სარგონის ზემოთმოტანილი აღწერილობა ამ მხრივაც ხვდება სტრაბონისეულს.

აქ გამართული ხაზის გასაგრძელებლად უკვე იბერებამდის ჩვენ გვინდა დაეუმატოთ კიდევ რამდენიმე ცნობა და მათი განმარტება, რომელთაც უნდა დაგვარწმუნონ რომ სუბი-მანასა და სასპეირ-საბეირების ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა იბერების სახით იყო წარმოდგენილი. ის ცნობები, რომელთა ანალიზსაც ჩვენ აქ ვაპირებთ, რომაელების მითრიდატე პონტოელთან ბრძოლასა და ამიერ-კავკასიაში შემოჭრას უკავშირდება.

აპიანე მოუთხრობს რომ პომპეუსისაგან დამარცხებული (66 წ.) მითრიდატი „საჩქაროდ გაეშურა ევფრატის სათავეებისაკენ, რათა იქიდან კოლხიდაში გადასულიყო. შეუჩერებელი სვლით იგი მეოთხე დღეს გავიდა ევფრატში. მომდევნო სამი დღის განმავლობაში მან დარაზმა და შეაიარაღა თავისი თანამგზავრები, შემდეგ შემოერთებულებთან ერთად, შეიპრა ხოტენეს არმენიაში, უკუაგდო ხოტენელები და იბერები. რომელნიც ცდილობდნენ მის შეჩერებას ისრებითა და ქვებით და მივიდა მდინარე აფსართან. აზიელ იბერებს ზოგნი სთვლიან წინაპრებად, სხვები—კოლონისტებად ევროპელი იბერებისად, მესამენი—მხოლოდ თანამოსახელეებად, იმიტომ რომ ისინი არ არიან მსგავსნი არც ჩვეულებითა და არც ენით" („მითრიდატეს ომები", 101). აშკარაა რომ იბერების შეხვედრა მითრიდატესთან სადღაც ევფრატის სათავეებთან მომხდარა—ამ შეტაკების შემდეგ მიაღწია მხოლოდ მითრიდატმა აფსარს, ე. ი. ჭოროხს. უაღრესად საეჭვოა რომ მითრიდატესთან მებრძოლი იბერები ცენტრალური ქართლიდან შემთხვევით აქ მოსული რაზმი ყოფილიყო. უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ რომ ხოტენელები და იბერები აქაური მკვიდრნი იყვენ, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს მითრიდატს, როცა ამ უკანასკნელს მათ სამშობლოში უნდოდა გავლა და ამდენადვე იგი ხოტენესაც ომში ითრევდა. თუ ეს დასკვნა გამართლდება, მაშინ მივიღებთ მნიშვნელოვან

დებულებას რომ სასპერ-საბერების შთამომავალნი, იმავე იბერების სახელწოდებით, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ისხდნენ თავის ძველ მამულზე, რომელიც არტაშესის სომხურმა სამთავრომ მოსწყვიტა საბერ-იბერების სამყაროს მეორე საუკუნის დამდეგს, ძვ. წ. ხოტენეს იბერებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოწყვეტილი იყვნენ საკუთრივ ქართლის ანუ იბერიის სამეფოს პოლიტიკურად, მაინც შეუნახავთ თავისი ინდივიდუალობა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

აპიანეს ცნობას ადასტურებს და ახალ შუქსა ჰფენს სტრაბონის ერთი ჩვენება (წ. XII, თ. 3, § 28). სტრაბონი ამბობს: ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მიდამოებს ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები და ხალდები მცირე არმენიამდე. უკანასკნელი საკმაოდ ნაყოფიერი ქვეყანაა. მას, ისევე როგორც სოფენეს, ყოველთვის ჰფლობდნენ საკუთარი მთავრები. მათ ეპორჩილებოდნენ ხალდეებიცა და ტიბარენებიც, ასე რომ მათი ხელისუფლება ერცელდებოდა ტრაპეზუნტსა და ფარნაკიამდე. როცა გაძლიერდა მითრიდატ ევპატორი, იგი გახდა მბრძანებელი როგორც კოლხიდის, ისე ყველა ამ ადგილისა. იგი ისე ზრუნავდა ამ ადგილების შესახებ, რომ ააგო აქ 75 სიმაგრე, რომლებშიაც მოათავსა თავისი განძების უმეტესი ნაწილი. ყველაზე მნიშვნელოვანი სიმაგრეები იყო: იდარა, ბასგიდარიზა და სინორია. ეს უკანასკნელი დიდი სომხეთის საზღვარზე ძევს. პარიადრის მთელ მთიანეთს ბევრი მოხერხებული პირობა მოეპოვება: იგი წყალმრავალია, ტყით მდიდარი და მრავალ ადგილას დასერილი ციცაბო ხეებითა და აღმართებით. სწორედ ამიტომ იყო აქ აგებული საჭურჭლეების უმრავლესობა. პომპეუსისაგან დევნილმა მითრიდატმა პონტოს სამეფოს ამ განაპირაში შეაფარა თავი. მან დაიკავა წყალმრავალი მთა აკილისენაში, დასტეირასთან. აქვე ახლოს იყო ევფრატიც, რომელიც ჰყოფს აკილისენას მცირე სომხეთისაგან. მითრიდატმა აქ გაატარა ერთი ხანი, სანამ მტრის მიერ გარემოცული ის იძულებელი არ გახდა მთებით კოლხიდაში გაქცეულიყო.

აშკარაა რომ სტრაბონისა და აპიანეს მოთხრობა ერთსადაიმავე ამბავს გულისხმობს: აპიანეც ამბობს რომ მითრიდატი, დასტეირასთან დამარცხებული, მიდის სინორეგას ციხესიმაგრეში (სტრაბონის სინორია), სადაც მას ბევრი ფული ჰქონდა შემონახული, შემდეგ აქედან მიდის ევფრატის სათავეებისაკენ, ევფრატს გადადის მეოთხე დღეს, შეიკრება ხოტენეს არმენიაში, სადაც შეტაკება მოსდის ხოტენელებსა და იბერებთან და მხოლოდ შემდეგ გადადის კოლხეთში.

ამრიგად, მითრიდატი ჯერ აკილისენაში გამაგრდა, დასტეირასთან. აქ დამარცხების შემდეგ იგი მიდის ციხე სინორეგა-სინორიაში, სადაც განძები ეგულება. სინორეგა-სინორია პარიადრის მთიანეთში მდებარეობს, დიდი არმენიის საზღვარზე. აქედან მითრიდატი მიემართება ევფრატის სათავეებისაკენ, გადადის ამ მდინარეს (მაშასადამე, სათავესთან) და თავს ამოჰყოფს ხოტენეს არმენიაში, სადაც ხვდება იბერებს. ხოტენეს არმენიის გაელის შემდეგ მიდის მხოლოდ მითრიდატ აფსართან, ე. ი. პოროხთან. ამრიგად, ცხადია, ხოტენეს არმენია ევფრატის სათავეებსა და პოროხს შორის მდებარეობდა, სტრაბონის წარმოდგენით თუ მასთან დაცული ცნობით.

უეჭველია რომ აპიანეს ხოტენე იგივე სტრაბონის ხორძენეა (პირველის მიღება უკანასკნელისაგან შესაძლოა პალეოგრაფიულ ნიადაგზედაც: ტაუსა და ძეტას აღრევა ბერძნულ დამწერლობაში ძნელი არ არის. სტრაბონის -ορ-ჯგუფი კი იძლევა, ჩანს, აპიანეს ომეგას; მაგრამ გამორიცხული არ არის რომ ეს ფორმები ადგილობრივი დიალექტური ვარიანტები იყო: რ-ს დაკარგვა-გაჩენა და ძ (ან მონათესავე აფრიკატის)—ტ'დ შენაცვლება შესაძლებელი ფონეტიკური მოვლენებია ქართველური ენების წრეში). სტრაბონი ამბობს რომ სომხეთის პირველმა მეფემ არტაშესმა ჩამოაჩრა იბერებს პარიადრის კალთები, ხორძენე და გოგარენეო (წ. XI, თ. XIV, § 5).

პარიადრისა და ხორძენე-ხოტენეს შეუღლებული მოხსენება ორსაეე ცნობაში მხარს უჭერს ხორძენესა და ხოტენეს გაიგივებას. ეხლა გასაგებია რომ ხოტენე-ხორძენეში მითრიდატს იბერები დახვდნენ. ესენი ამ ქვეყნის ძველი მკვიდრნი იყვნენ, რომელნიც აქვე დარჩენილან მათი სამშობლოს დაპყრობის შემდეგ არტაშესის მიერ საუკუნე-ნახევრის წინათ.

პარიადრის მთიანეთისა და ხორძენე-ხოტენეს ლოკალიზაციისათვის გამოსაყენებელია მცირე არმენიისა და აკილისენას გეოგრაფიული მდებარეობა: აკილისენა ევფრატის მარცხენა ნაპირზე გადაფენილი ქვეყანა იყო, ერზინჯანკემახის თემები, ხოლო მცირე არმენია, აკილისენას მოსაზღვრე დასავლეთიდან, მიახლოებით შეიცავდა სევასტია-სივასისა და მელიტენა-მალატიას ოლქებს. პარიადრის მთიანი ოლქი, ამრიგად, საგულისხმებელია პარიადრ-პარხალის ქედსა და ევფრატ-აკილისენას შორის; იგი ვრცელდებოდა აღმოსავლეთისაკენ, ჩანს, მიახლოებით ენდერეს-ყარა-ჰისარიდან. აღმოსავლეთით მას, ცხადია, ხოტენე-ხორძენე ესაზღვრებოდა. ეს საზღვარი უნდა მიახლოებით გუმუშხანა-ერზინჯანის ხაზზე დავსდოთ, თუ მოვიგონებთ აპიანეს ცნობას რომ მითრიდატი შედის ხოტენეში ევფრატის გადასვლის შემდეგ ამ მდინარის სათავეებთან. ამრიგად, ისტორიული ხოტენე-ხორძენე შეიცავდა, ზემო ევფრატის აუზში, გუმუშხანას თემის აღმოსავლეთ ნაწილს და ბაიბურდის თემს (მიახლოებით, რათქმაუნდა).

ამ ძველი ხორძენეს უეჭველი მემკვიდრეა ადრინდელ-ფეოდალური სომხეთის ერთი დასავლური თემი — ხორძიანა ანუ ხორძიანენა. ოღონდ როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ისე აქაც უნდა ვიგულისხმოთ რომ მერმინდელმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა ძველი პროვინციის მხოლოდ ნაწილი შეინარჩუნა. პროკოპი კესარიელის ცნობით, ხორძიანა დაშორებული იყო ქალ. თეოდოსიოპოლს (ერზერუმს) სამი დღის გზით. ადონცის ლოკალიზაციით, რაც ჩვენ არ მიგვაჩნია მთლად ზუსტად, ხორძიანას ეჭირა მერმინდელი თურქ. ყაზა კეღი, მდ. ფერი-სუს ხეობაში, და სამხრეთიდან ადგებოდა ხალხალის მთას [1].

საინტერესოა ამ თემების ტოპონიმიკა, რომელშიაც მათი ძველი ისტორია ცხადად მეტყველებს. შენახულა, როგორც ჩანს, ფორმა ხოტენეს ნაკვალევიც: მდინარე ოგენე-დერეს ზემოთა წელზე ვპოულობთ დაბა ხოტინოსს (Хотинос), ადგილის სახელს ხოტინოს-ქეფრუს და — დასახელებული მდინარის სათავეებისაკენ — დაბა ოტენე-ულას (თუ აქ შეცდომას არ ჩადის ყველა რუსული რუკა:

[1] დასახელ. ნაშრომი, 14 — 15, 19 — 20, 46 — 47.

შდრ. იქვე ოგენე სუფლა და ოგენე-დერე). სახელწოდება ხოტინოს-ქეფრუ,— ხოტინოს ხიდი, შეიძლება მიუთითებდეს იმაზე რომ, სახელმდებლის თვალსაზრისით, ეს რაიონი შესავალი კარი იყო საკუთრივ ხოტენეში (შდრ. „გურჯიბოღაზ“ — საქართველოს ყელი). გასათვალისწინებელია აგრეთვე ხორტიკი და ხორტიკ-დაღიც, ისპირს სამხრეთით. ამ პუნქტის სახელწოდებაში მთელი პროვინციის სახელწოდება ისევეა შემონახული, როგორც კლარჯეთის თემის სახელი ერთი დაბის სახელში (იხ. რუს. რუკების Кларджет, არტანუჯის სამხრეთით) და, რაც კიდევ უფრო საკვირველია, ბჯნერ-ვიზერების ძველთა-ძველი თემის სახელი შენახულია დღემდე დაბა ვიზერაში (Визера მდ. გალანიმა-დერეზე, ტრაპეზუნტიდან სამხრეთ-დასავლეთით). ხოლო ფორმა „ხორძენე“ ძალიან ეხმაურება „ხორზიანის“ ველის სახელწოდებას ქალ. არტაანის სამხრეთით, არტაან-ოლთისის გზატკეცილიდან აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა სათავის ხეობაში, და შესაძლოა რომ ეს უკანასკნელი ხორძენეს ისტორიული გამოძახილია.

პარიადრ-ხოტენეს ტოპონიმიკის მთლიანად განხილვის საშუალებას აქ ჩვენ მოკლებული ვართ (ეს სხვა დროისათვის გადაგვიდეია). აქ მხოლოდ საილუსტრაციოდ გაკვრით აღვნიშნავთ: ყურადღებას იქცევს სახელწოდება იმერა, გუმუშხანადან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რომელიც მეორდება საქართველოშიაც (იმერ-ხევი, ჭოროხის ხეობაში, და იმერა—ბორჩალოში). ხომ არ არის ეს იმავე იბერიის ტრანსფორმაცია? წინაალმდეგ შემთხვევაში იგი მაინც უდაოდ ქართული ტოპოგრაფიული ტერმინი გამოდის, რომლისგანაც არის ნაწარმოები „იმერეთი“. გვხვდება ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელთა ქართველური ჰაბიტუსი თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს (აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ზოგიერთს): ტრაპეზუნტის სანჯაყში, მდ. ხორშუტ-ჩაის ხეობაში, ქვემოდან ზევით—ტაიმჭ (შდრ. ტამჭ-ტამუში აფხაზეთში), ძარა (Дзара), გორიანა, მაჯარა (შდრ. მაჯარა კოდორის ხეობაში, „მაჯარ“ გვხვდება სამხრეთ-დასავლეთისაკენაც ამ პუნქტიდან, ჯელარე-დერესის ხეობაში), შუეა (ორ ადგილას, გაღმა-გამოღმა), მირზანი (შდრ. მირზაანი, კახეთში); გუმუშ-ხანას თემში, იმერასთან—მოხორა (შდრ. მუხური, ქვემო იმერეთში, და მუხურა, ზემო იმერეთში) და ლორი (შდრ. ლორე ქვ. ქართლში), ბორშიანი, აქვე საყურადღებოა არნო, არა და მდ. ჩოროხ-დერესი. სურმენეს ყაზაში, პარხალის ქედის ერთ ნაწილს ეწოდება უკვე უცილობლად ქართული სახელი „ნატეხილები“ (Горы Натехилеби; ხომ არ არის გრაფიკული შეცთომა: Чатехилеби?), სუნურ-ოვანის დაბლობში, სამხრეთით, არის ქსანთა (Ксанта. შდრ. ქსანი) და კიდევ უფრო სამხრეთით იგივე ლორი, აქვე, ზიარეთიდან ჩრდილოეთით—კიტრა (Китра), სამხრეთ-დასავლეთისაკენ—ჩოროგმა (Чорогма), დასავლეთისაკენ ერმადა (Ермады). აქვეა ძალიან საინტერესო ხურუ (Хуру; შდრ. ქართ. ჰური). ჭოროხის ხეობაში, საკუთრივ სპერში—ხართი (Харт, შდრ. ქართა), ჩუმოვანი, ორცორ-ი (Орцор, ორწვერი?), მთა ნახიზ—დაღი და იქვე დასახლებული პუნქტი—ნახიზირ (Нахизир, ნახი-ძირი?); ისპირიდან სამხრეთისაკენ ყურადღებას იქცევს დაბა ხორტიკი და ქედი ხორტიკ-დაღი, უკანასკნელიდან პირდაპირი ხაზით დასავლეთისაკენ—ხუნტუსი; ხომ არ არის ეს სახელებიც იმავე ხოტენეს ნაკვა-

ლევი? იქვე ისპირთან, დასავლეთისაკენ, არის ყიზილ-იმარეთი; ისპირიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გვხვდება კობლათი (Коблат) და გობლადი (Гоблад); უკანასკნელ სახელწოდებათა დაბოლოებიანი სახელები აუარებელი რაოდენობით გვხვდება სურმენეს თემში—ბურნაჩანდო, ტერზანდო, კასაჩანდო და მრავ. სხვა; ქართველურია (ჭანური) აშკარად ციმილათი (Цимилат)... გოლოშა (ღოლოშა? Голоша; შდრ. ტოლოში), საინტერესოა მესხორი, იქვე ზაზანა და იქვე აგრეთვე განსაკუთრებით საყურადღებო—სამერა (მდ. იამბოლი-დერესის ხეობაში). ხომ არ არის ეს საერის ნაშთი? ან რა კავშირი აქვს მასთან „სიერი-დაღს“, ოლთისის დასავლეთით? უნდა შევნიშნოთ რომ ამავე ფურცლის ახალ გამოცემაზე უკვე „სამრო“ არის აღნიშნული; სრულიად გამოკვლილა თვით მდინარის სახელიც. ამავე ხეობის ზემო წელზე ყურადღებას იქცევს იშხანი და თელევიც (Телеви).

ამრიგად, ხოტენე იგივე ხორძენეა სტრაბონისეული ცნობისა, ძველი საბერ-სასპერების მიწა-წყლის ნაწილი, არტაშესის მიერ მიტაცებული. უეჭველია, რომ აპიანეს მიერ მოხსენებული ხოტენელი იბერები ძველთაგანვე მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდნენ და პირდაპირი ხაზით შთამომავლობდნენ სასპერ-საბერებისაგან.

ეხლა ნათელია: აპოლოდორის ცნობა რომ იბერებს სომხებისაგან არაქსი ჰმიჯნავსო, გულისხმობს საზღვარს, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც სასპერ-იბერებმა პარიადრის მთიანეთი, ხორძენე და გოგარენე დაჰკარგეს. ეს პროვინციები არაქსის სამხრეთით მდებარეობდა.

გარდა ამისა, უფლება გვაქვს დავასკვნათ: სასპერის სახელი იბერად იქცა არა მარტო ისტორიულ იბერია-ქართლის მოსახლეობის მიმართ, არამედ იბერიის გარეშეც, პარიადრ-ხორძენეს მოსახლეობის მიმართაც, რომელიც ხალხის ძირითად ტანს მოსწყდა ჯერ კიდევ მეორე საუკუნის დამდეგს, ძვ. წ. ამდენადვე სასპეჯრ-იბერის გაიგივება ახალს მტკიცე საბუთს იძენს.

იმის შემდეგ, რაც აქ მეტ-ნაკლებად გაირკვა სუბი-მანას შესახებ, ძალდაუტანებლად შეიძლება ითქვას რომ „ქართლის მოქცევის“ თხრობის აზო თავის უშუალო დასაყრდენს პოულობს სწორედ სუბი-მანას, მერმინდელ საბერ-სასპირების, რეალურს ისტორიულ სინამდვილეში. ამჟამად ძნელია იმის თქმა, უდრის თუ არა, პერსონალურად, „ქართლის მოქცევის“ აზო სუბი-მანას სამეფო დინასტიის რომელსამე განსაზღვრულს ისტორიულ წარმომადგენელს. თუ გარდმოცემის აზოში პერსონიფიცირებულია, მცხეთა-არმაზის სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიულ ეპოქის ჩარჩოში, ხალხის მოგონებები ამ პოლიტიკურ მოღვაწეთა, კერძოდ—სამეფო დინასტიის შესახებ. ამ საკითხთან კავშირში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი საგულისხმო შეხვედრა; აზოს დინასტიისავე ერთი წარმომადგენლის, ბაგადატის სახელი იგივე მერმინდელი ბაგრატ-ია, რომელიც საფუძვლად დაედო სპერის თავი-გვარის საგვარეულო სახელს—ბაგრატიონს[1]. საყურადღებოა რომ ჯერ კიდევ მოსე ხორენე-

---

ადონცი, დასახელ. ნაშრომი, 411—413, ფიქრობს რომ ტიგრან II დროს (I საუკ. პირველი ნახევარი, ჩვენს ერამდე) მოხსენებული მთავარი ბაგადატი არის მამათმთავარი მერმინდელი ბაგრატიონების საგვარეულოსი. აქვე იხ. არგუმენტაცია დ-ს რ-ში გადასვლის

ლის ხანაში (IX ს.), ამავე მწერლის ცნობით, ბაგრატიონების სამფლობელოში არ ისმოდა სომხური მეტყველება.

თუ თავს მოვუყრით ყოველსავე იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, მივიღებთ ძირითადად და მოკლედ, შემდეგს [1]:

1. უძველესი ქართული ეროვნული გარდმოცემით, რომელიც ლიტერატურულად ფიქსირებულ იქნა არა უგვიანეს VII ს. შუაწლებისა, ქართლის (მცხეთა-არმაზის) სამეფოს დამაარსებელი და ქართველთა ნაწილის გადმოსახლების მეთაური მტკვრის ხეობის ამ სექტორში ყოფილა აზო, არიან-ქართლის ანუ არიან-ქართველთა მეფის ძე.

2. ეს ისტორიული გარდმოცემა ბერძნებს ერთ ნაწილში გაუცვნიათ უკვე აქემენიდურ ხანაში, ხოლო მთლიანად—ელინისტურ ხანაში; ბერძნებს ადგილობრივი თქმულება თანდათან დაუახლოებიათ თქმულებასთან არგონავტების შესახებ.

3. გარდმოცემის „არიან" უდრის ხარი (ჰარი) || ხური (ჰური)-ს, რაც მეორე ათასეულის (ძვ. წ.) დამდეგიდან მოყოლებული საერთო სახელია წინა-აზიის უძველესი ენდემური მოსახლეობისა და შეიცავს ხეთას, მიტანის, ურარტუს და მათს მონათესავე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. ძველი სამეფოსა და, განსაკუთრებით, მიტანის პოლიტიკური დაქვეითების შემდგომ ეს ხარული, ახლო მონათესავე, ხალხები დაქსაქსული სახით წარმოგვიდგებიან, ვიდრე ურარტუს სამეფოს ჩამოყალიბებამდე. ქართველების უშუალო წინაპრად უნდა მიჩნეულ იქნას თაბალ-თუბალი იგივე სუბარი.

4. ურარტულ ხანაში თუბალ-სუბარის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენს მანას ანუ სუბის ვრცელი და ძლიერი სამეფო, რომელიც მუდმივ ებრძვის ჰეგემონიისათვის საკუთრივ ბიაინას. საფიქრებელია, რომ უკვე მანას სამეფო ისტორიული ქართლის ტერიტორიის უდიდეს ნაწილსაც შეიცავდა.

5. სუბი-მანას სამეფო სახლში საგვარეულო სახელია აზა || აზო, რომლის განმეორებას წარმოადგენს ქართლის მოქცევის აზო.

6. ურარტუს სამყაროს პოლიტიკური დაქვეითების ხანასა და ადრინდელ-აქემენიდურ ხანაში სუბი-მანა წარმოდგენილია როგორც სასპეირ-საბერი, წინააზიის ოთხ უდიდეს ხალხთაგან ერთი; მეორე—ქართველთა დასავლურ შტოს წარმომადგენელი კოლხები იყვნენ (ჰეროდოტე); ხოლო საკუთრივ ბიაინა-ურარტუ წარმოდგენილია ალაროდის სახით, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩენილია სასპეირებთან შედარებით. სასპეირ-საბერი (რომელთა ტერიტორია რომაულ ხანაში სისპირიტიდად იწოდება) ონომასტიკურადაც უდრის მერმინდელ იბერს და ისტორიულ იბერია-ქართლის სამეფოს ტერიტორიასაც შეიცავს, მხოლოდ მისი პოლიტიკური ცენტრი შესაძლოა მცხეთა-არმაზის რაიონზე სამხრეთით

კანონზომიერებისათვის. საყურად ღებოა აგრეთვე აზოს მამის, ირანზუს, სახელი, ნაირის მეფის სახელი იანზუ და სხვებიც.

[1] ნარკვევში წამოყენებული ძირითადი დებულებები გამოქვეყნებული იყო ავტორის მიერ, მოკლედ და პოპულარულად, წერილში „ურარტუ" (ჟურნალი „კომუნისტური აღმშენებლობისათვის", 1937 წ. № 10).

იყოს საძიებელი[1]. სამხრეთით სასპეირ-საბერების მიწაწყალი ერცელდება არაქსის ხეობასა, ჰოროხის ხეობის ზემოთა ნაწილზე და ევფრატის სათავეებზე.

7. სუბი-მანას ძირითადი თემების დამთხვევა მერმინდელ სისპირიტიდასთან რომაულ ხანაში დასტურდება შესანიშნავი ცნობებითაც ამ რაიონების განვითარებული მეცხენეობის შესახებ ორსავე ისტორიულ პერიოდში.

8. საბერ-იბერების ტერიტორიის შემდგომი თვალსაჩინო შეკვეცა სამხრეთისაკენ ხდება მეორე საუკუნის დამდეგს, ძვ. წ., როცა არტაშესის ახლად დაარსებული სამეფო ითვისებს საბერ-იბერების თემებს—პარიადრის მთიანეთს, ხორძენესა და გოგარენეს; ამის შედეგად და ამის შემდეგ იბერიისა და არმენიის საზღვარი გადის მდინარე არაქსზე.

9. პარიადრის მთიანეთსა და ხორძენეში (=აპიანეს ხოტენეს), ე. ი. მიახლოებით გუმუშხანასა და ბაიბურდის თემებში, იბერების არსებობა დადასტურებულია ჯერ კიდევ I საუკუნისათვის, ძვ. წ. სათანადო ანტიკურ ცნობებში ყურადღებას იქცევს ფაქტი „საბერ“ ფორმის შეცვლისა „იბერ“ ფორმად ისტორიულ იბერია-ქართლის სამეფოს ფარგლებს გარეთაც. ამ თემების ტოპონიმიკაში დღემდე დაცულია ქართველური წარმოშობის სახელები.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილ წერილის დებულებათა შემდგომი დასაბუთებისათვის აუცილებელია ხარი-წრის ხალხთა ენობრივი მემკვიდრეობის ისტორიული შესწავლა. აქ ჩვენ საილუსტრაციოდ გვინდა ვუჩვენოთ ორიოდე ფაქტი, რომელნიც მოწმობენ ხარი-ენების საოცარ შეხვედრებს ქართველურ ენებთან. ჰროზნი ჩვენ მიერ ზემოთციტირებულ თავის რუსულ წერილში, სხვათა შორის, ამბობს (გვ. 30): „ხურული ენის (აქ იგულისხმება საკუთრივ ხარული, რომელიც ჰროზნის აზრითაც, ეიგივება ე. წ. მიტანი ენას. ს. ჯ.) მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებაა რომ ნათესაობითი ბრუნვა, რომელიც დამოკიდებულია არსებითი სახელისაგან, იღებს მის წინ მდგომელი არსებითი სახელისაგან ამ უკანასკნელის დაბოლოებასაც. ასე, მაგ., სიტყვები: „ქალაქ შამუხის ღმერთები“ ხურულად იქნება: „ნანი-ნა შამუხა-ი-ნა“; მრავლობითი რიცხვის დაბოლოება პირველ სიტყვაში „ღმერთები“ -ნა აქ მიერთვის მომდევნო შამუხა-ს მხოლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვასაც. ამის მსგავსი ჩვენთვის ცნობილია ზოგიერთი კავკასიური ენიდანაც. ამიტომ საესებით შესაძლებელია რომ ხურული ენა შორეულად მაინც ენათესავება ამ კავკასიურ ენებს“. რომელ კავკასიურ ენებს. გულისხმობს აქ ჰროზნი, არ ჩანს. ნამდვილად, ასეთი გრამატიკული წესი ახასიათებს მხოლოდ ქართულს, რაც ამ უკანასკნელის ახლო ნათესაობას ამტკიცებს ხარულთან. იგივე ფრაზა ძველ ქართულად იქნება „ნან(ი)-ნი შამუხ(ა)-ისა-ნი“—ღმერთ-ნი შამუხ-ისა-ნი. თუნდაც იმავე „ქართლის მოქცევის“ აზოს შესახები თხრობის პირველივე ფრაზა რომ ავიღოთ, სწორედ ამ კონსტრუქციას წავაწყდებით: „პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავ-ნი იგი ლოთის-შვილ-თა-ნი წარიქცი-ნ-ა“... (Опис., II, 708).

[1] საბერების ერთი ამგვარი ძველი ცენტრთაგანია, უეჭველია, წალკის ის პუნქტი, სადაც უკანასკნელ წლებში სიძველეთა დაცვის განყოფილების არქეოლოგ. ექსპედიციამ (ხელმძღვანელი—ბ. კუფტინი) შესანიშნავი კულტურის ძეგლები აღმოაჩინა.

მაგალითების გამრავლება სრულიად ზედმეტია, იმდენად ცნობილია ძველი ქართულისათვის ეს წესი. აღსანიშნავია რომ ძველ ქართულში ეს წესი ვრცელდება ყველა ირიბ ბრუნვაზე, იმდენად საყოველთაოა მისი მოქმედება.

მნიშვნელოვანია ისიც რომ მრავლობითი რიცხვის ნიშანიც მატერიალურად ერთიდაიგივეა ხარულ-მიტანურსა და ქართულში: -ნ(ი). „ღმერთის“ აღმნიშვნელი სიტყვაც ანალოგიებს ჰპოვებს ქართველურსა და მის შორეულ ენებში (შდრ. ქართული „იავ-ნანის“ „ნანა ნანინა“, აფხ. ან-ცაა...).

მრავლობითის მაწარმოებლები საერთოდ იქცევს ყურადღებას ამ თვალსაზრისით. იმავე ხარი-ურის ენათა ერთი წარმომადგენლის, პროტო-ხათურის ანუ ხეთურის, შესახებ ჰროზნი ამბობს: „ხეთურში ანუ პროტოხათურში... მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან „ბინუ“ „ბავშვი“ იქნება „ლე-ბინუ“ „ბავშვები“. შესაძლებელი ჩანს რომ ეს ენა კავშირში იმყოფება ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ ენებთან, რომლებშიაც აგრეთვე ხშირად იხმარება პრეფიქსები“ [1]. „ჩრდილო-აღმოსავლური კავკასიური ენები“ აქ დასახელებულია მხოლოდ უცოდინარობის გამო. ნამდვილად კავკასიურ ენებში ამგვარი მრავლობითის წარმოება მხოლოდ ქართველურ ენებს ახასიათებს: იგი ჩვეულებრივია სვანურისათვის: „დი“—დია (დიასახლისი), დედა, „ლჳ-დია“—დედები; „მუ“—მამა, „ლა-მუა“—მამები, „დაჩურ“—და, „ლა-დჩურ-ა“—დები. როგორც ვხედავთ, აქაც ფორმალური ნიშანი მატერიალურადაც იგივეა. მართალია, სვანურის ამ ფორმებში პრეფიქსთან ერთად სუფიქსიც გამოდის, როგორც ჩანს, მაწარმოებლის როლში, მაგრამ ეს გარემოება დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება, თუ გავითვალისწინებთ განვითარების პირობებსა და ხეთური ენის დაცულობა-შესწავლის ვითარებას.

სვანურის წარმოდგენილი ფორმა საკითხს აყენებს, ხომ არ ჰქონდა თავის დროზე ქართულს შესატყვისი „სა—ო“ ფორმასაც აგრეთვე მრავლობითის წარმოების ფუნქცია? სემანტიკურად ეს ბუნებრივია. ასეთივე მოვლენა გვაქვს ჩვენ ხომ მრავლობითის -თ- სუფიქსთან, იგი ადგილსათაესის ფორმებსაც აწარმოებს: ჩუმათელეთი—ადგილი, სადაც ჩუმათელიძეები ცხოვრობენ (ამ სოფლის სახელის ნაჩვენები წარმოშობა დოკუმენტალურად დასტურდება), სომხეთ-სომხითი, სომხების ქვეყანა [2]... ადგილის სახელებს აწარმოებს აგრეთვე -ნ- სუფიქსიც: აგარანი (ირიბ ბრუნვებში: აგარათა), გავაზნი...

თუ მოვიგონებთ რომ მეგრულში ლე (ლა-)—ე (სვანურადაა მიჩნეული) აწარმოებს აგრეთვე ადგილის სახელებს (ლე-დგებიე—დგებიების სოფელი, ლე-სიჭინე—სიჭინაეების სოფელი... ყიფშიძე, გრამ., s. v. ლე-), შეიძლება ერთი საყურადღებო ისტორიული ჩვენება ავხსნათ.

პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილმა სამართლიანად შენიშნა რომ ქართულ პროვინციათა შორის მოხსენებული ბიზანტიელ მწერალთა მიერ „სკჳმნია“ || „სკჳმია“ იგივე ლეჩხუმია: „აღწერილობის მიხედვით ეს პროვინცია უნდა უდრიდეს

[1] დასახელ. წერილი, 27—28.

[2] -თ- სუფიქსი ავტორს განხილული აქვს ცალკე წერილში, რომელიც მოხსენების სახით წაკითხული იყო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში,

ლეჩხუმს, რომლის ძირეული ნაწილის ჩხუმ || ცხუმ'ის მიახლოებითს გადმოცემას წარმოადგენს ბერძნული „სკჳმ". თუ „სკჳმია" უდრის ლე-ჩხუმ-ს, მაშინ იქ „ნ" სრულიად ზედმეტია და, მაშასადამე, კანონიერად უნდა ჩაითვალოს ხელნაწერებში ამ ადგილას მოცემული ფორმა, ხოლო სხვა ადგილებში მოცემული „სკჳმნია" შედეგი უნდა იყოს ამ ფორმის (ლეჩხუმ-სკჳმიას) გააზრებისა ბერძნულ ნიადაგზე, სადაც არსებობდა სახელი „სკჳმნოს" (როგორც საზოგადო ისე საკუთარი), რომლის ნარიან ფორმას გაუჩენია „ნ" ლეჩხუმ-„სკჳმია"-ში" (გეორგიკა, II 96, შენ. 2).

ჩვენ ვფიქრობთ რომ „ნ" ამ ფორმაში ზედმეტი არ არის; პირიქით, მის გარეშე ჩვენ ვერც ავხსნით თუ რატომ არ არის წარმოდგენილი ბერძნულ გარდმოცემაში „ლეჩხუმ"-ის ლე- პრეფიქსი: ჩანს, რომ მეგრულ-სვანურ ფორმა „ლეჩხუმ"-ის გვერდით არსებობდა მისი შესატყვისი ქართ. ფორმა „ჩხუმ-ნ-ი", სადაც „ნ" მრავალ. რ. სუფიქსია. ეს ქართული ფორმა აქვს დადასტურებული (გაბერძნულებული სახით: -ია!) ბიზანტიურ მწერლობასაც.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ რომ ქართველური და ხარი-ენების შეხვედრა აქაც იჩენს თავს: სათანადო ლიტერატურაში ნაჩვენებია რომ მცირე აზიის უძველეს ტოპონიმიკაში ლე- პრეფიქსი გეოგრაფიულ სახელებსაც აწარმოებს....

დ ა ე ა ტ ე ბ ა ნ ი:

662 გვერდისათვის. Kretschmer, Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache, 105—107, უჩვენებს რომ ძვ.-ბერძნ. π გადმოსცემს უცხოურს (სუმერულს) ბ-ს და თვითონაც გადადის (უძვ. ხანის ლათინურში) ხ-დ.

674 გვერდისათვის. ჩვენ სხვა ადგილას ნაჩვენები გვაქვს „ხარი" || „ჰარი"-ფუძის ისტორიისათვის მნიშვნელოვან „ჰერ" ძირის ნაწარმოებნი ქართულში. ამ საკითხს კიდევ დამუშავება სჭირია. ჩვენ აქ მხოლოდ გვინდა მივუთითოთ სატომო სახელ „ჰერ"-ზე, რომელიც მარტოოდენ ძველ ქართულ მწერლობას აქვს დაცული. „ჰერეთს" ეძახდნენ ჩვენი წინაპრები მეზობელ ალბანეთს, მაშინ როცა ყველა სხვა მეზობელი ხალხისათვის ეს სახელი ამ მნიშვნელობით უცნობი იყო. (შეიძლება მხოლოდ ეშვი არსებობდეს, ხომ არ უდრის მას ანტიკური მწერლობის „გერ"-ები, თუ ჰ || გ-ს ეს შესატყვისობა შესაწყნარებელია). ბუნებრივი იქნება ამიტომ ვიფიქროთ რომ სახელი „ჰერი" ისევე გადატანილ იქნა მერმინდელ მოსახლეობაზე, როგორც სახელი „სომეხი".

საფიქრებელია რომ აზოს შესახები თხრობის ის ელემენტები, რომელნიც დადასტურებულია ანტიკური მწერლობის მიერ ალბანეთისათვის, გატანილია ჰერების მიერ. ჰერებს უნდა მიეპყრას ყურადღება მაშინაც, როცა საკითხი ჩნდება, თუ ვინ იყო მატარებელი იმ კულტურისა, რომელსაც ამჟამად უკვე ალაზან-იალოილუთაფას კულტურა უნდა ეწოდოს და რომელსაც პროფ. გ. ნიორაძემ ეხლახან ვრცელი მონოგრაფია უძღვნა („ალაზნის ველის გათხრები", თბ. 1940).

683 გვერდისათვის. სარგონის მარშრუტი და მანას მდებარეობა სხვაგვარად აქვთ ლოკალიზებული თურო-დანჟენს, VI შმდ. და Lehmann-Haupt'ს, Armenien einst und jetzt, II 315 შმდ. ლოკალიზაციის საკითხები დაწვრილებით სხვაგან გვაქვს განხილული.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბეჭდილი შრომების სია *

1. „Мудрость Балавара“ (თარგმანი) (Записки Вост. отд. Русск. арх. об-ва“. СПБ. 1899 г. XI, стр. 1—48).

2. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ (ჟურ. „მოამბე“. ტფ. 1900, № IV, განყ. II, გვ. 1—27).

3. ანდრია მოციქულის და წ-და ნინოს მოღვაწეობა საქართველოში (ჟურ. „მოამბე“. ტფ. 1900, № V, განყ. II, გვ. 55—70; № VI, განყ. II, გვ. 18—50).

4. Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии („Журн. Мин. нар. просв.“ СПБ. 1901, № 1, стр. 77—113).

5. ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში (ჟურ. „მოამბე“, ტფ. 1901, № IV, განყ. II, გვ. 1—17).

6. Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha („Sitzungsberichte der K. Pr. Akademie der Wissenschaften“, 1901, т. XXXVIII, p. 875—902).

7. Народные переписи в Грузии („Записки Вост. отд. Русск. арх. об-ва“. СПБ. 1902, т. XIV, вып. 1, стр. 01—014).

8. მამულიშვილობა და მეცნიერება. ტფ. 1904, 52 გვ. (პირველად დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში“: 1904, № 2453, გვ. 2—3; № 2458, გვ. 2—3; № 2460, გვ. 2—3; № 2465, გვ. 2—3; № 2466, გვ. 2—3; № 2467, გვ. 2—3).

9. К истории церковных реформ в древней Грузии (Георгий Афонский) („Журн. Мин. нар. просв.“ СПБ. 1904, № 2, стр. 358—372).

10. Грузия.—Библиография (ანოტირებულია 30 სახელწოდება) („Виз. врем.“ СПБ. 1904, т. XI, вып. 1—2, стр. 323—352).

11. Грузия.—Библиография (ანოტირებულია 21 სახელწოდება) („Виз. врем.“ СПБ. 1904, т. XI, вып. 3—4, стр. 751—785).

12. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია. გადმობეჭდილია „ცნობის ფურცლიდან“. ტფ. 1905, 90 (2) გვ. (პირველად დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში“: 1905, № 2856, გვ. 2—4; № 2859, გვ. 2—3; № 2860, გვ. 2—3; № 2862, გვ. 2—3; № 2866, გვ. 1—3).

---

* წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული სიები შეადგინა ბიბლიოგრაფმა თამარ მაჭაგარიანმა.

13. Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. 1. СПБ. 1905, 147 стр. (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VIII).

14. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПБ. 1906, 45 стр.

15. ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში („ივერია“. 1906, № 10, გვ. 9—11; № 11, გვ. 14—16; № 12, გვ. 12—15; № 13, გვ. 11—14).

16. საქართველოს ეკონომიური ისტორია. პირველი ნაწილი (VIII—XIII საუკ.) („ივერია“. 1906, № 22, გვ. 12—16; № 26, გვ. 10—12).

17. Грузия.—Библиография (ანოტირებულია 18 სახელწოდება) („Виз. врем.“ СПБ. 1906, т. XII, вып. 1—4, стр. 426—445).

18. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, ტფ. 1907, 110, II, 6 გვ.

19. Автокефалия.—А. Грузинской церкви. („Политич. энциклопедия“ под ред. Л. З. Слонимского. СПБ. 1907, т. I, стр. 46—48).

20. Грузия. („Политич. энциклопедия“ под ред. Л. З. Слонимского. СПБ. 1907, т. I, стр. 598—602).

21. ქართველ ერის ისტორია. წიგ. I, ტფ. 1908, X, 189 გვ.

22. საისტორიო მასალები, პასუხი მ. ჯანაშვილს (ევსტათი მცხეთელის მარტვილობის თარიღის გამო) (ჟურ. „საქართველო“. ტფ. 1908, № 10, გვ. 11—14).

23. История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века („Известия Академии Наук“. СПБ. 1908. VI серия, № 5, стр. 433—446; № 6, стр. 511—536).

24. Обзор теории и литературы о происхождении грузинского языка („Жур. Мин. пар. просв.“ СПБ. 1908, № 8, стр. 241—258).

25. ქართული სამართლის ისტორია. ორი ლექცია 27 და 28 მაისს 1909 წელს (კონსპექტი). ტფ. 1909 (ერთი დაქეცილი ფურცელი რვა ნაბეჭდი სეეტით. აღწერილია პირველი სეეტის მიხედვით).

26. ქართული სამართლის ისტორია. პირველი ნაწილი (VIII—XII ს.) (ჟურ. „ერი“, ტფ. 1909, № 1, გვ. 14—16; № 2, გვ. 13—16; „ჩვენი ერი“, ტფ. 1909, № 1, გვ. 13—16; № 2, გვ. 13—16; „საქართველოს მოამბე“. ტფ. 1909, № 1, გვ. 14—16; № 2, გვ. 14—16; № 3, გვ. 13—15).

27. Материалы для истории грузинской патристической литературы („Хр. Восток“. СПБ. 1912, т. 1, вып. 1, стр. 6—29).

28. რეცენზია. (Е. Такайшвили) Материалы по археологии Кавказа, собр. экспедициями Моск. археол. об-ва, XII вып. (262—V—XII) в 169 стр. (Москва, 1909)—(„Хр. Восток“. СПБ. 1912, т. I, вып. 1, стр. 99—104).

29. რეცენზია. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, ч. I (домонгольский период) Зап. нумизм. отд. Русск. арх. об-ва, IV в. I тома, 129 стр. (СПБ. 1910)—„Хр. Восток". СПБ. 1912, т. I, вып. 1, стр. 104—114).

30. К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам („Хр. Восток". СПБ. 1912, т. I, вып. 3, стр. 277—297).

31. ქართველ ერის ისტორია. წიგნი I და II. ტფ. 1913, V, III, 248 გვ. 15 ჩ. ფ. სურ.*

32. Слово св. Иоанна Златоуста „О врожденном и предопределенном добре и зле" в древне-грузинском переводе („Хр. Восток". СПБ. 1913, т. II, вып. 3, стр. 275—280).

33. Грузия.—История Г.—Грузинское право.—Грузинский язык.—Грузинская литература: 1. Древний период; 2. Древне-грузинская историческая литература („Энциклопедический словарь" т-ва бр. А. и Н. Гранат и К°. СПБ. (1913), т. XVII, стол. 192—251).

34. ქართველ ერის ისტორია. წიგნი II. ტფ. 1914. 252—708 გვ., 25 ჩ. ფ. სურ. (დართული აქვს „საქართველოს რუკა" და „ბაგრატონიანთა შთამომავლობითი შტოს ტაბულა").

35. Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе („Хр. Восток". СПБ. 1914, т. III, вып. I, стр. 17—31).

36. წინასიტყვაობა და რედაქცია:—„კრებული", პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა. ტფ. 1915, I—VIII გვ.

37. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I—ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—VIII სს.). ტფ. 1916, XXXVI, 338, XXV გვ.

38. О знаках препинания при издании древне-грузинских текстов („Пособия для работ по армяно-грузинской филологии", III. Пгр. 1916, стр. 1—12.)

39. Об одном анонимном грузинском историке XIV века („Известия Рос. Академии Наук". Пгр. 1917, VI серия, № 17, стр. 1483—1486).

40. ქართველ ერის მოკლე ისტორია. წიგნი პირველი. უძველესი დროიდან 1 ს-მდე ქ. შ. ქუთ. 1917. 182, (1) გვ. (გარე კანზე—1918 წ.).

41. ქართველ ერის მოკლე ისტორია. წიგნი II. 1—12 ს. ქრ. შ. ქუთ. 1918, 96 გვ.

42. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს. (ჟურ. „პრომეთე". ტფ. 1918, № 1, გვ. 35—61).

---

* 1913 წ. ამ თხზულების მხოლოდ პირველი წიგნი გამოვიდა (შდრ. აქვე № 34). რ ე დ.

43. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბ. 1919, 64 გვ.

44. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ. 1919, 56 გვ.

45. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1. ქუთ. 1919. 218 (2) გვ.

46. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I—ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). მეორე შევსებული გამოცემა. ტფ. 1921. XXXX, 224 გვ.

47. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშების დართვით) („ტფ. უნივერსიტეტის მოამბე". 1922—1923. ტ. I, გვ. 313—391).

48. გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში („ტფ. უნივერსიტეტის მოამბე". 1922—1923. ტ. II, გვ. 247—261).

49. ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება („ტფ. უნივერსიტეტის მოამბე". 1923, ტ. III, გვ. 186—216).

50. რედაქცია „საქართველოს ისტორიული რუკისა". ტფ. 1923.

51. ქართველ ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, ნაწ. I. (XV საუკ.), ტფ. 1924, VIII, 230, (1) გვ. (პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ჩვენ მეცნიერება"-ში. ტფ. 1923, № 4—5, გვ. 58—63; № 6—7, გვ. 48—79; 1914 წ. № 8, გვ. 25—46; № 9—10, გვ. 14—56; № 11—12, გვ. 15—79).

52. რეცენზია—ს. კაკაბაძის შენიშვნა საისტორიო რუკაზე („საისტორიო მოამბე" I, გვ. 293—397)—(ჟურ. „ჩვენი მეცნიერება". ტფ. 1924, № 11—12, გვ. 129).

53. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III_1, ნაკვეთი მესამე.—ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925, VI, 170, (1) გვ. (ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ჩვენ მეცნიერება"-ში. 1924, № 1 (13), გვ. 133—160; № 2 (14), გვ. 17—64; № 3—4 (15—16), გვ. 17—64).

54. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III_1, ნაკვ. 1, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ტფ. 1926, XIV, 240, 2 ჩ. ფ. ტაბულა. [ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ახალ კავკასიონ"-ში. 1925, № 1—2, განყ. IV, გვ. 55—99].

55. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III_1, ნაკვეთი მეორე.—ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფ. 1926, VI, 200 გვ. (ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „მიმომხილველ"-ში. ტფ. 1926, № 1, გვ. 69—93).

56. წინასიტყვაობა და გამოცემა: „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე"-სი. ტფ. 1927, 5—9 გვ.

57. ქართველ ერის ისტორია. წიგნი 1, გამოც. 3, შევს. და გადამუშ. 14 ნახატ. და 9 სურ., ტფ. 1928, X, 375 გვ.

58. ქართული სამართლის ისტორია. წიგ. 1, ტფ. 1928, X, 220 გვ.

59. ქართული სამართლის ისტორია. წიგ. მეორე, ნაკვ. პირველი, ტფ. 1928, VIII, 233 გვ.

60. ქართული სამართლის ისტორია. წიგ. მეორე, ნაკვ. მეორე, ტფ. 1929, XVI, 581 გვ.

61. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგ. პირველი. მეორე, ახლად დაწერილი გამ-მა, 21 სურ. და 1 რუკით, ტფ. 1930, VII, 428, (1) გვ.

62. თანაავტორი:—Грузинская ССР. гл. VIII. Исторический очерк („Б. С. Э". М. 1930, т. XIX, столб. 558—598).

63. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგ. მეორე. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა, სურათებით. ტფ. 1934. XX, 708 გვ.

64. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში. ტფ. 1934, III, 57 გვ.

65. ბალნეოლოგიური და ინჰოლაციური მკურნალობა საქართველოში. ტფ. 1935, 39 გვ.

66. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. წიგ. 1, ტფ. 1935, XV, 216 გვ.

67. შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი (გაზ. „საქ. შინამრეწველი". ტფ. 1935, 10/IV, № 9, გვ. 2—3).

68. ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში (ენიმკი-ს მოამბე, ტფ. 1937, ტ. I, გვ. 1—8).

69. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია (ენიმკი-ს მოამბე, ტფ. 1937, ტ. II, 1, გვ. 1—14) [იმავე წელს დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტ"-ში 6/VIII № 153, გვ. 2—3; ცალკე წიგნად დაიბეჭდა: ტფ. 1938, 16 გვ.].

70. შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა (გაზ. „კომუნისტი". ტფ. 1937, 9/III, № 55, გვ. 3—4).

71. Личность и мировозрение (შოთა რუსთაველისა) („Известия ВЦИК", 1937, 17/III, № 66, стр. 3).

72. საბჭოთა ინტელიგენცია ხმას მისცემს სტალინური ეპოქის საუკეთესო ადამიანებს (გაზ. „კომუნისტი", ტფ. 1937, 12/XII, № 283, გვ. 3).

73. რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხის-ტყაოსანი" (საკ. საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან) (გაზ. „კომუნისტი", ტფ. 1937, 29/XII, № 298, გვ. 3, გაზ. „ლიტ. საქ." ტფ. 1938 10/I, № 1, გვ. 2).

74. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის (გაზ. „კომუნისტი", ტფ. 1938, 30/V, № 122, გვ. 3).

75. Как создавался университет (Газ. „Заря Востока". Тб. 1938, 30/V, № 122).

76. ქართული ძველი წარმართული, საერო და შემდეგ გაჩენილი საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის (ჟურ. „მნათობი“. ტფ. 1938, № 6, გვ. 133—140).

77. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ. 1938, 382 გვ.

78. წინასიტყვაობა და რედაქცია კრებულისა:—„შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“. თბ. 1938, V—VIII გვ.

79. მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა (გაზ. „კომუნისტი“. ტფ. 1938, 23/XII, № 292, გვ. 2).

80. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი II. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფ. 1937—(1939), XVI, 754, (2) გვ.

ამ შრომების გარდა აღსანიშნავია შემდეგი:

I. აკად. ივ. ჯავახიშვილს, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1897 წელს შეუდგენია ბიბლიოგრაფია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ გაზ. „იველრიიდან“ (1886—1896 წწ.). ეს მასალა დაიბეჭდა ი. ყიფშიძის რედაქტორობით გამოცემულ „ქართულ ბიბლიოგრაფია“-ში. პეტროგრადი. 1916, VIII, 160 გვ.

II. აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით და დახმარებით კ. შულცემ თარგმნა ქართულიდან გერმანულად „აბო ტფილელის წამება“, რომელიც დაიბეჭდა ჰარნაკის ტექსტებსა და გამოკვლევებში (Texte und Untersuchungen, N. Folge, XIII, 4).

აკად. ივ. ჯავახიშვილის ლექციებისა და მოხსენებების შინაარსი (გეჭდვითი მასალების მიხედვით)

1. В имп. Русск. археолог. общ. 22 февр. И. А. Джавахов прочел весьма интересный реферат „старые грузинские народные переписи“... [მოკლე შინაარსი] (Известия Кавказ. отд. имп. Русск. геогр. об-ва. Тфл. 1901, т. XIV, № 2, отд. Смесь, стр. 104) [ვადმობეჭდილია გაზ. „Правительственный вестник“-იდან № 43].

2. კულტურის ისტორია საქართველოში (გაზ. „ისარი“. ტფ. 1907, № 138, გვ. 2—4; № 139, გვ. 2—3) (შინაარსი სამი ლექციისა: „კულტურის ისტორია საქართველოში უძველეს დროიდან XIII საუკუნემდე“. ლექციები წაკითხული იყო 1907 წ. 22, 23, 24 ივნისს ტფ. საკრებულოს დარბაზში).

3. პრივატ-დოცენტის ჯავახიშვილის რეფერატი (გაზ. „ამირანი“. თბ. 1908, № 86, გვ. 3—4) („საქართველოს ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულების განვითარება VIII—XII საუკუნეთა განმავლობაში“).

4. ივ. ჯავახიშვილის ლექციები ქართულ საისტორიო მწერლობაზე (შინაარსი ლექციებისა) (ჟურ. „საქართ. მოამბე". ტფ. 1910, № 13, გვ. 9—11; ალმანახი „მოამბე". ტფ. 1910, იანვ. გვ. 12—14; ჟურ. „ერი", ტფ. 1910, № 1, გვ. 9—11; № 2, გვ. 9—11; № 3, გვ. 5—7). ხელწერა: B.

5. ივ. ჯავახიშვილის ლექცია (პროგრამა 7 და 8 იანვარს წაკითხული ლექციისა „საქართველოს ეკონომიური წესწყობილება და მდგომარეობა XVII—XVIII სს." ლექცია წაკითხული იყო საისტ. და საეთნ. საზოგადოების სასარგებლოდ) („სახალხო გაზ." ტფ. 1914, № 1084, გვ. 3).

6. მოსმენილი ივ. ჯავახიშვილის ლექციიდან მოკლედ (ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში წაკითხული პირველი ლექციიდან) (ჟურ. „თეატრი და ცხოვ." თბ. 1918, № 4, გვ. 12—14). ხელწერა: მუშა მიხ. დევაძე.

7. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება: „ვეფხის-ტყაოსნის" კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი სადაურობისა, დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ" (გაზ. „ბახტრიონი" 1922, 3. VII, № 1, გვ. 2). (მოხსენება წაკითხული იყო საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების კრებაზე. გადმოცემულია მოხსენების მოკლე შინაარსი).

8. ახალი ხანა ქართულ მეტყველებაში. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება (შინაარსი) (გაზ. „ლომისი", ტფ. 1923, № 26, გვ. 1). ხელწერა: S. (ჯანაშია სიმონ).

9. პროფ. პეტრე მელიქიშვილის იუბილე (გაზ. „ქართული სიტყვა", ტფ. 1924, № 15, გვ. 3—4) (ივ. ჯავახიშვილის სიტყვის შინაარსი. პ. მელიქიშვილის პასუხში აღნიშნულია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ქართ. უნივერსიტეტის დაარსების საქმეში). ხელწერა: დამსწრე (შარაშიძე შალვა).

ბიოგრაფიული ცნობები და შრომების

ს ი ა

1. სხვადასხვა ამბები... (პეტერბურგიდან ცნობა ივ. ჯავახიშვილის მიერ საპრივატდოცენტო გამოცდების დასრულების შესახებ აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე) (ჟურ. „კვალი", ტფ. 1901, № 14, გვ. 223).

2. ქართული ბეჭდვითი სიტყვა (გაზ. „საქართველო". ტფ. 1916, 14/X, № 228, გვ. 1) [გადმობეჭდილია გაზ. „ჩვენი მეგობრი"-დან წერილი ნ. გ. ადონცის პროფესორად არჩევის შესახებ. ამის გამო გაზ. „საქართველო"-ს გაკვირვება, თუ რად აუხვიეს გვერდი პრივ.-დოც. ივ. ჯავახიშვილს].

3. ჯავახიშვილი, ივ. (წერილი რედაქციის მიმართ) (გაზ. „სახ. ფურცელი". ტფ. 1916, 29/X, № 709, გვ. 3—4) [პრივ.-დოც. ნ. გ. ადონცის პროფესორად არჩევის შესახებ გაზ. „საქართველო"-ს რედაქციის შემცდარი მსჯელობა საქმის ნამდვილი გარემოების განმარტება].

4. პროფესორი ივ. ჯავახიშვილი (პორტრეტი და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. ქართული უნივერსიტეტის დაარსების გამო) (გაზ. „საქართველო“, 1918, № 23, გვ. 3).

5. ჯანაშვილი მოსე. ქართული უნივერსიტეტი (პროფ. ივ. ჯავახიშვილის როლი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში) (გაზ. „საქართველო“, ტფ. 1918, № 10, გვ. 3—4).

6. მელიქსეთ-ბეგ, ლეონ. ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიულ ცნობებს დართული აქვს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა სია 1897—1920 წწ.) (ჟურ. „მომავალი“. ტფ. 1920, № 1, გვ. 4—8, ჩ. ფ. პორტ.).

7. ივანე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიულ ცნობებს დართული აქვს უმთავრესი შრომების სია, როგორც დაბეჭდილის, ისე დაუბეჭდავისა) (გაზ. „ლომისი“. ტფ. 1923, № 21, გვ. 2). ხელწერა: საისელი.

8. პროფ. ივანე ჯავახიშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი) (ბიოგრაფიულ ცნობებს დართული აქვს უმთავრესი შრომების სია) (გაზ. „ტრიბუნა“. ტფ. 1923, № 402, გვ. 2).

9. ქართული მეცნიერება (პროფ. ივ. ჯავახიშვილის როლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში) (გაზ. „ლომისი“. ტფ. 1923, № 21, გვ. 1). ხელწერა: გ-ელი.

10. პიროვნება და კულტურა (პროფ. ივ. ჯავახიშვილის როლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში) (გაზ. „ლომისი“, ტფ. 1923, № 21, გვ. 2—3) ხელწერა: ინ.

11. ივანე ჯავახიშვილი (1876—IV. 11—1926) (ბიოგრაფიულ ცნობებს დართული აქვს უმთავრესი შრომების სია) (ჟურ. „ჩვენი მეცნიერება“, ტფ. 1926, № 17—18, გვ. 1—VII, პორტ.).

12. მაყაშვილი, კოტე. ვანო ჯავახიშვილი (ავტორის შთაბეჭდილებები პროფ. ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი ეტაპებისაგან) (ჟურ. „ჩვენი მეცნიერება“. ტფ. 1926, № 17—18, გვ. 1—5).

13. შენგელაია დემნა. პროფ. ივ. ჯავახიშვილი (ბიოგრაფია უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის გამო) (გაზ. „ლიტ. საქართ.“. ტფ. 1938, № 13, გვ. 1).

14. ჯანაშია სიმ. ივ. ჯავახიშვილი (ბიოგრაფიული ცნობები და მეცნიერული მოღვაწეობის დახასიათება) (ჟურ. „მნათობი“. ტფ. 1938, № 6, გვ. 94—101, პორტ.).

რეცენზიები და შენიშვნები

1. Джавахов, И. Народные переписи в Грузии (СПБ. 1901). რეც.— ჯ[ანაშვილი], მ[ოსე]. ბიბლიოგრაფია (გაზ. „ივერია“. ტფ. 1902, № 253, გვ. 4).

2. ჯანაშვილი, მოსე. მცირე შენიშვნა (ივ. ჯავახიშვილის წერილის გამო) („მამულიშვილობა და მეცნიერება“) (გაზ. „ცნობის ფურც.“ ტფ. 1904, № 2472, გვ. 4—4; № 2473, გვ. 3).

3. გოგებაშვილი, იაკობ. მკითხველისადმი (ჯავახიშვილის წერილის გამო) („მამულიშვილობა და მეცნიერება") (გაზ. „ცნობის ფურც.". ტფ. 1904, № 2481, გვ. 2—3).

4. Джавахов, И. Государственный строй древней Грузии и древней Армении. т. I. СПБ. 1905. Рец. „Марушиани" (жур. „Кавказ. Вестник". Тфл. 1905, № 4, стр. 81—87).

5. ტფილისი, 11 იანვარი. (მოწინავეში აღნიშნულია, რომ ივ. ჯავახიშვილის ლექციამ, „საქ. ეკონომიური ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე", დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და ბევრი გაბრუნდა უადგილობის გამო) (გაზ. „ისარი". ტფ. 1907, № 5, გვ. 1).

6. ყიფშიძე, ა. საჯარო ლექცია ი. ა. ჯავახიშვილისა (საქ. ეკონომიური ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე) (გაზ. „ისარი", ტფ. 1907, № 4, გვ. 3; № 5, გვ. 3).

7. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფ. 1907, გვ. 110, ფ. 40 კ. რეც.: მ[ახარაძე], ფ[ილიპე]. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები (ჟურ. „ცისკარი", ქუთ. 1907, № 5, გვ. № 6, გვ. 11—13).

8. ტფილისი, 10 ივნისი (მოწინავეში დახასიათებულია ივ. ჯავახიშვილი, როგორც ლექტორი და მკვლევარი) (გაზ. „ამირანი", ტფ. 1908, № 79, გვ. 1).

9. ჯავახიშვილი, ივ. ქართველ ერის ისტორია. წ. 1, გვ. 190. ა. თუმანიშვილის გამოცემა. რეც. (ჟურ. „საქართველო". ტფ. 1908, № 4, გვ. 11).

10. Джавахов, И. Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. I. СПБ. 1905. Рец.: Марр, Н. („Жур. Мин. нар. просв.", СПБ. 1908, № 5, стр. 200—223).

11. ჯანაშვილი, მ. ჩემი შენიშვნები (ჟურ. „საქართველო" ტფ. 1903, № 3. გვ. 11—12; № 5, გვ. 12; № 9, გვ. 10—12) (ავტორი არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს შემდეგ საკითხებში:... „II. დიდგვარიანი იყო და არა მდაბიოთაგანი" (ყუთლუ-არსლანი), III. „590 წელს და არა 544-ს და არც 888-ს" (ევსტათის წამება), IV. „სკვითიაში მყოფი საქართველოში ყოფილა" (ანდრია პირველწოდებული).

12. ნახუ[ცრი]შვილი, დ. ქართველი ერის ისტორია ივ. ა. ჯავახიშვილისა (მკითხველის შენიშვნები) (ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", ტფ. 1915, № 49, გვ. 6—7).

13. კასრაძე, დ. ივ. ჯავახიშვილის ლექციის გამო („საქ. მეფე და მისი უფლების ისტორია") (ჟურ. „კლდე", ტფ. 1915, № 3, გვ. 13—15).

14. ჯავახიშვილი, ივ. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (ცალკე ამონაბეჭდი „ტფ. უნივ. მოამბე"-დან II, გვ. 313—391. ტფ. 1923). რეც.—(ჟურ. „ჩვენი მეცნიერება", ტფ. 1923, № 6—7, გვ. 102).

15. საქართველოს ისტორიული რუკა, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. შინ. საქმ. სახ. კ-ტის გამოცემა. ტფ. 1923. რეც.—კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე" ტფ. 1924, წ. I, გვ. 293—297).

16. ჯავახიშვილი, ივ. ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. „ტფ. უნივ. მოამბე“ III. რეც.—კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე“, ტფ. 1924 წ. I, გვ. 285—291).

17. ჯავახიშვილი, ივ. ქართული საფას-საზომების მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა. „ჩვენი მეცნიერება“ № 1—2, 1924 წ. რეც.—კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე“, ტფ. 1924, წ. II, გვ. 277—294).

18. ჯავახიშვილი, ივ. ქართველი ერის ისტორია, IV წ. I ნაწ. (XV ს.) ტფ. 1924, გვ. 230. რეც.—კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე“, ტფ. 1924, წ. II, გვ. 268—277).

19. ჯავახიშვილი, ივ. ს. კაკაბაძის შენიშვნა საისტორიო რუკაზე („საისტ. მ-ბე“ 293—297) „ჩვ. მეც-ბა“ № 11—12 (აპრ. და მაისი) 1924 წ. რეც.—კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე“, ტფ. 1924, წ. II, გვ. 265—268).

20. ჯავახიშვილი, ივ. ქართული საზომების მცოდნეობა ანუ მეტროლოგია. „ჩვენი მეცნიერება“ № 2, 1924 წ.; № 3—4, 1925 წ. რეც.: კაკაბაძე, ს. („საისტორიო მოამბე“, ტფ. 1925, წ. I, გვ. 284—293)*.

21. Генко, А. По поводу работы проф. И. А. Джавахишвили, касающейся грузинских палимпсестов с библийскими текстами („Тексты и раз. по кавказ. филологии“. Л. 1925, стр. 34—49).

22. Допдуа, К. Апахронизм в решении вопроса о взаимоотношениях яфетических языков Кавказа („Тексты и раз. по кавказ. филологии“. Л. 1925, стр. 26—34.)

23. Марр, Н. О кавказской версии библии в грузинских палимпсестных фрагментах (по поводу уклона Тифлисского университетского грузиноведения) („Тексты и раз. по кавказ. филологии“. Л. 1925, стр. 50—65.).

24. ჯავახიშვილი, ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III_1, ნაკ. I—ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ტფ. 1926, XIV—240 გვ.; ქართ. დამწერლ. მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ტფ. 1926, წიგნი III_1, ნაკ. II; ქართ. სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ. 1926, VI—200 გვ.; ქართ. სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, წიგნი III_1, ნაკ. III—ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925, VI, 170 გვ. რეც.—P. P. („Analecta Bollandiana“, 1928, tome 46. p. p. 395—397).

25. ჯავახიშვილი, ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგ. I, მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. ტფ. 1930, VII, 428 გვ. რეც.—Peeters, Paul. („Extrait de Byzantion“. (1929—1930), tome V, fasc. II, p. p. 694—696).

---

* ბიბლიოგრაფიული სისრულისათვის ჩვენ აქ ვუჩვენებთ ჩვენთვის ცნობილს ყველა რეცენზიას და წერილს აკად. ივ. ჯავახიშვილის თხზულებებზე; არსებითად № 15—20 სამეცნიერო კრიტიკას არ შეიძლება მიეკუთვნოს. რ ე დ.

26. ჯავახიშვილი, ივ. ქართ. სამართლის ისტორია. წიგ. I, ტფ. 1928, X 220 გვ. ქართ. სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაკ. I, ტფ. 1928, VIII, 233 გვ. ქართ. სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაკ. II, ტფ. 1929, XVI, 581 გვ. რეც.— P. P.—(„Analecta Bollandiana", 1930, tome 48.

27. ჯავახიშვილი, ივ. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. წიგნი I. ტფ. 1935, XV, 216 გვ. რეც. P. P.—(„Analecta Bollandiana", 1936, tome 54, p. p. 397—401).

ავტორის შესწორებანი

მაკარ ხუბუას წერილში

დაბეჭდილია	უნდა იყოს
გვ. 246, სტრ. 13 ქვ.	აბულ ბეგ' ესეარ...(?).	აბულ ბეგ მოურავე ყიზიყ
გვ. 247, სტრ. 3 ზევ.	მა...	მოურავი ქიზიყისა

ცენზორი შ. ჯიმშიტაძე

* * *

წარმოებას გადაეცა ასაწყ. 17.1.1939 წ.
ხელმოწ. დასაბეჭდ. უკ. ფ. 23.6.1940 წ.
ანაწყ. ზომა 7×11; ქაღ. ზ. 70×105 სმ
ბეჭდური ფორმ. რ. 45; საავტ. ფ. რ. 58½
შეკვ. № 864; მთავლიტის რწმუნ. № 2272
ტირაჟი 1000

ხსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალ.
სტამბა, აკაკი წერეთლის ქუჩა № 7